

ივანე იმნაიშვილი  
ვახტანგ იმნაიშვილი

# ზმნა ძველ ქართულში

ნაწილი I

მაინის ფრანკფურტი  
1996

წიგნში დიდძალი ფაქტობრივი მასალის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე განხილულია ძველი ქართული ზმნის ყველა მნიშვნელოვანი კატეგორია, გამოვლენილია უღლების ძირითადი კანონზომიერებანი, წარმოჩენილია რიგი თავისებურება, რომლებიც აქამდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი ზმნის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა; წარმოგენილია მრავალრიცხოვანი ტაბულა და პარადიგმა ზმნურ ფორმათა წარმოების ყველა ტიპის უკეთ შესასწავლად.

დიდი მოცულობის გამო წიგნი გამოდის ორ ნაწილად. პირველში შევიდა ზმნის პირსა და რიცხვთან დაკავშირებული საკითხები, მომავალი დროის გამოხატვის საშუალებანი, მწკრივთა წარმოება, ვნებითი და საშუალო გვარის ზმნათა თავისებურებანი. მეორეში განხილულია ასპექტი, ქცევა, კონტაქტი, ფუძემონაცველ ზმნები, რთული ზმნები და ზმნის უპირო ფორმები—საწყისი და მიმღეობა.

**რედაქტორები:**

**პროფ. იოსებ შივაერტი**

**პროფ. ზურაბ ჭუგუაძე**

**დოც. რუხან ენოსი (მუშაშვილი)**

**Iwane Imnaischwili, Wachtang Imnaischwili**

## **Das altgeorgische Verbum**

**I. Teil**

**Alle Rechte vorbehalten**

**Copyright © 1996**

**Wachtang Imnaischwili**

**Frankfurt a/M**



## წინათმდებ

წინამდებარე წიგნი ძირითადად ივანე იბნაიშვილის დაწერილია. მე ვეხმარებოდი მასალების მოპოვებაში, ზოგიერთი ნაწილის დაშუშავებაში და საბოლოო სახეც წიგნს მე მივეცი. მასალები ამ წიგნის დასაწერად დიდი ხნის მანძილზე გროვდებოდა, თვითონ წიგნზე მუშაობა დაახლოებით 10 წელს გრძელდებოდა და არსებითად 1984 წლისთვის დამთავრდა. ხელნაწერი მეტისმეტად ვრცელი გამოვიდა, 80 სავეტორო თაბახზე მეტი.

უკვე საკმაოდ შერყეული ჯანმრთელობის გამო და იმიტომაც, რომ მრავალი საშური საქმე ჰქონდა დაწყებული (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის III ტომი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები, გურული დიალექტის ლექსიკონის მასალები და სხვ.) და სურდა დარჩენილი დრო მათი ხორცშესხმისთვის დაეთმო, ივანე იბნაიშვილმა ვეღარ შეძლო ამ წიგნისთვის საბოლოო სახის მიცემა და გამოსაცემად მომზადება მე მომანდო. გამომცემლობის მოთხოვნით და პრაქტიკული მოსაზრების გამო იგი საგრძნობლად შემცირდა. მიუხედავად ამისა, ზოგან ნაშრომი გადატვირთულია საილუსტრაციო მასლით (როცა ორმოციოდე წლის წინ სადოქტორო დისერტაციას იცავდა, ი. იბნაიშვილს შენიშვნა მისცეს "სახელთა ბრუნებაში" ნიშნების სიუხვის თაობაზე, მან ასე უპასუხა: "მოკლას ხარი თივამა"). წიგნი უკვე მომზადდა დასაბეჭდად. მაგრამ საქართველოში მომხდარმა დიდმა ძვრებმა ამ წიგნის გამოქვეყნება დიდი ხნით დააშინებულა.

რაკი წიგნის დაბეჭდვა უახლოეს ხანებში ნავარაუდევია აღარ იყო და არც რაიმე პერსპექტივა ჩანდა, მასში აღარ შემიბნანია და, ამდენად, არაა გათვალისწინებული უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა და ძველი ქართული ენის ახლად გამოქვეყნებული ძეგლები.

მე გამოვიყენე გერმანიაში ჩემი ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინების დროს სრულიად მოულოდნელად გამოჩენილი შესაძლებლობა და შევეჭვიდე მეტად ძნელ საქმეს—თელი წიგნი ჩემი აწყობილია კომპიუტერზე, თუმცა მანამდე მასზე მუშაობის არავითარი გამოცდილება არა მქონია.

წიგნის აწყობას უამრავი სიძნელე ახლდა თან, დაწყებული იმით, რომ არა მქონდა სხვადასხვა სახის ქართული შრიფტი, და დამთავრებული ძველი ქართული ძეგლების უძმარისობით. ხანდახან თბილისში არ მიგვიწვდებდა ხელი იოლად ზოგიერთ ადრე გამოქვეყნებულ წყაროზე და უცხოეთში—მით უმეტეს. ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად დედანი თბილისში იყო დატოვებული და მე მხოლოდ შემანქანის მიერ გადაბეჭდილი შემოკლებული ტექსტით ვსარგებლობდი. ჭირდა თბილისიდან ტექსტთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის დროულად მიღებაც. ამის გამო მომიხდა ზოგიერთი ნაწილის მნიშვნელოვნად გადაშუშავება.

ყველაზე მეტად მიჭირდა დრო. დასაბეჭდი იყო დაახლოებით 1700 თაბახის ფურცელი და, რომ ტექსტის აწყობა აუცილებლად ფრანკფურტში დამესრულებინა. მიხდებოდა ყოველდღიურად 16 საათის განმავლობაში კომპიუტერზე მუშაობა ყოველგვარი დასვენების დღეებისა და შეღავათის გარეშე. არ შეიძლება ამ გამალებული ტემპით ბეჭდვას თავისი უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლოდა. ამ სიჩქარეში, ალბათ, გაიპარებოდა ლაფსუსები, უზუსტობანიც, მაგრამ რაკი დროით მეტისმეტად

შეზღუდული ვიყავი, მათი აცილება ვერ შევძელი. ცხადია, ყველაფრის დაზუსტება და შემოწმება ფრანკფურტში ვერ მოხერხდებოდა. ეს განსაკუთრებით საილუსტრაციო მასალის შესახებ ითქმის. მემანქანის უწყურადღებობის გამო ზოგიერთი წყარო არასწორად იყო მითითებული და საჭირო სიტყვების ერთი ნაწილის მიგნება ვერ მოხერხდა. ამიტომ იძულებული ვიყავი, ყველა ასეთი ბუნდოვანი ადგილი ამომეღო ტექსტიდან. მიჭირდა ამ მასალას შევლოდი, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

მე ერთადერთი მიზანი მამოძრავებდა—ივანე იმნაიშვილის მრავალი წლის ნაშრომ-ნაფიქრალს მივიწყების მტვერი არ დასდებოდა და დღის სინათლე დროულად ეხილა, რადგანაც წიგნს ნელ-ნელა "ასაკი შეეპარა".

უკანასკნელი ნაწილი, მიმეღობა. სრული სახით არაა წარმოდგენილი. მე მას "მასალები" დავარქე. თავის დროზე ავტორებს ჰქონდათ გარკვეული მიზეზი, რის გამოც ეს თავი ვრცლად და გამოწვლილვით არ დაიწერა. ამჟამად კი მე არა მქონდა საშუალება საილუსტრაციო მასალა შეძებნა და ერთგვარად ხორცი შემეხსნა უკონტექსტოდ ჩამოთვლილი ნიშნუებისათვის, რაკი უკვე დაწერილის აწყობასაც ძლივს ვასწრებდი.

მინდა მადლობა გადაეუხადო დოც. რუბენ ენუქაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია ამ წიგნის დასახვეწად მუშაობის დროს.

დიდად ვარ დავალებული პროფ. ზურაბ ჭუმბურიძისგან, რომელმაც დრო გამონახა და მეტიმეტად შემჭიდროებულ ვადებში რედაქტირება გაუწია ნაშრომს.

განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო პროფ. იოსტ გიპერტი, რომელიც იყო ამ წიგნის გამოშვებების უპირველესი ხელშემწყობი და წამქეზებელი. თუ არა მისი გულისხმიერება და თავდადებად მხარში ამოდგომა, წინამდებარე წიგნი ვერ იხილავდა შზის სინათლეს. მისი მდიდარი პირადი ქართული ბიბლიოთეკიდან იგი უხვად მამარაგებდა საჭირო ქართული ძეგლებით, მათ შორის მეტად იშვიათი გამოცემებით, საერთოდ, იმ მასალებით, რაც ამ წიგნის აწყობას სჭირდებოდა, და მშველოდა დასაზუსტებელი ადგილების მიკვლევაში.

მინდა მადლობით მოვიხსენიო გერმანიის სამეცნიერო კავშირი(DFG), რომელმაც დააფინანსა ჩემი სამეცნიერო მივლინება და ამ წიგნზე მუშაობის საშუალება მომცა.

ცხადია, ამ მოცულობის წიგნი დაზღვეული არ იქნება უზუსტობათაგან, აქა-იქ შეცდომებიც გაიპარებოდა. ეს სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ სად და რა პირობებში იბეჭდებოდა ნაშრომი. ყოველგვარ საქმიან შენიშვნას, რა თქმა უნდა, მაღლიერებით მივიღებ.

ვახტანგ იმნაიშვილი

მიანის ფრანკფურტი  
ივნისი, 1996.

## ზმნა ძველ ქართულში

ახალი ქართული ენის ზმნები ძველისაგან თითქმის ყველა ძირითადი კატეგორიის მიხედვით განსხვავდება. ეს განსხვავება ყველაზე უფრო ნათლად ჩანს პირის, რიცხვის, დროის, კილოს, მწკრივების წარმოებაში. ამიტომ ყველა ამ კატეგორიაზე აქ შედარებით ვრცლად უნდა შეჩერდეთ. უპირველეს ყოვლისა, შევეხებით ზმნისწინებს.

### I. ზმნისწინი

1. ზმნისწინს ძველ ქართულში ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული ზოგი ის ფუნქცია, რომლებიც დღევანდელ ენაში აქვს. მას არ შეეძლო, მაგალითად, სრული ასპექტის წარმოება. ამიტომ წერს და დასწერს. ჭამს და შესჭამს. კლავს და მოკლავს ასპექტის მიხედვით გარჩეული არ იყო. ყველა უსრულ ასპექტს გამოხატავდა. ზმნისწინს არ შეეძლო აგრეთვე (მომაველი) დროის წარმოება: ზემოთ მოყვანილი ყველა ფორმა. ზმნისწინიანი და უზმნისწინო, მხოლოდ ახლანდელ დროს გამოხატავდა (пишет. ест. енивает), მომაველი დრო სხვა საშუალებებით გადმოიკეზოდა.

ძველ ქართულში ზმნისწინის მთავარი დანიშნულება იყო ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულების ჩვენება: აღვალს (ქვევიდან ზევით). დავალს (ზემოდან ქვევით). განვალს (მიგნიდან გარეთ). შევალს (გარედან მიგნით) და სხვ. ზმნისწინი ზოგჯერ აგრეთვე (ზმნის) სხვა ლექსიკური მნიშვნელობის მისაღებადაც იყო გამოყენებული: განაგო (=გამართა, მოაწესრიგა), დააგო (=შეარია), მოიგო (=შეიძინა); განყო (=გაყო, დაანაწილა; გააღო, გადაშალა წიგნი). შეყო (=დახურა), მიყო (=გაიშვირა ხელი; წამოიწყო საქმე), დაყო (=დახურა კარი, გაატარა დრო) და სხვ. ზმნისწინმა მხოლოდ მოგვიანებით შეიძინა ასპექტისა და დროის წარმოების უნარი. ჩანასახის სახით ამ (ახალი) გაგებით აქა-იქ თვით ძველ ქართულშიც შეგვხვდება ხოლმე: არამედ მოვლუნან დღენი. ოდეს აღმაღლდეს მათგან სიძმ იგი. და მაშინ იმარხვიდენ (მ. 9.15; მრ. 2.20; ლ. 5.35 = но придут дни, когда отнимется у них жених. и тогда будут поститься).

2. ძველ ქართულში გვაქვს ყველა ის ზმნისწინი, რომლებიც დღესაც მოგვეპოვება. იქ დამატებით არის კიდევ ზმნისწინთა ორი წყვილი, რომლებიც ახალ ქართულს აღარ გადმოჰყოლია. ესენია უკუნ — უკმო და წიაღ — წიაღმო.

## შპს

შუქნ ძველ ქართულში ჩვეულებრივი ზმნისწინი იყო. იგი გამოხატავდა მოქმედების მიმართულებას შუქან: რაითა განაშოვრნე და შუქანადგინნე, რომელნი იკადრებენ ყოველსა ფაშსა (კიმ. II, 190.8 = რომ მოიცილო. უკუადლო, მოიშორო, დათრგუნო); ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი შუქნდგეს (ი. 6,66 C = შუქან გაბრუნდნენ. შუქან წაიღინენ. განუღენენ, გასცილდნენ); ნუ შუქნქცევინ კუალად აღებად სამოსლისა თვისისა (მ. 24,18 = შუქან ნუ გა(მო)ბრუნდება); იუდა ... შინანა და შუქნსცა ვეცხლი იგი მღდელთ-მოძღუართა და მოხუცებულთა (მ. 27,3 = შუქან დაუბრუნა); შუქნეც ვენაჟი იგი ქერიესა მას (საქ. წ. II, 136,16 = /შუქან/ დაუბრუნე); უკუეთუმცა არა გული მისი დარჩობილ იყო სოდომს, არამცა შუქნეხედნეს ქმრისა მისისაგან ხილვად დაწუვასა მას (სწავ. 196,11 = შუქან არ მიიხედავდა).

რთულ ზმნისწინს ნ აღარ აქვს: მას ფაშსა აღდგა კაიფა მღდელთ-მოძღუარი და უკუმაქცია სტეფანე მუნევე კრებულად (ისტ. ქრ. I, 244,29 = /შუქან/ მოაბრუნა); მომძღლენ მე პატროსანნი იგი მარგალიტნი და დამიარხენ ივინი საფასეთა შენთა და მერმე უკუმაქცენ ივინი დღესა მას დიდსა (საქ. წ. II, 47,13 = /შუქან/ მომეცი, დამიბრუნე); ვაჭარი...ილუწინ, რაითამცა უკუმოილო აღნადგინები თვისი (სწავ. 108.2); უკუმაგება (ისტ. ქრ. II, 10,40; 13,12).

ხშირად ბოლოკიდურა უც იკარგება: სიხარულ მუშაკისა არნ, ოდეს შეიკრიბის სამკალი თვისი და უკმოიგის ნაშრომი თვისი (იქვე, 17,12); შეძრწუნდა ზაქარია და წარსლვად ვერ შეუძლო ანგელოზისა მის ხილვითა და უკმოვიდოდა (სინ. 26,4 = შუქან-შუქან იხევედა); მაშინ მშუღობაი დაუტევეს კურილეს და სხ-უთათა ძმათა და უკმოვიდეს ლუდად (კიმ. I, 4,15); ხოლო წმიდამან შუმანიკ უკმოჰხენდა ერსა მას და პრქუა მათ (შუშ. 138.23); რაითამცა პირველ წარტაცებული იგი მვეცისაგან ადამი უკმოივსნა და მვეცი იგი მოკლა უკუართა (სინ. 146,27 = რომ /შუქან/ გამოეხსნა). ერთი სიტყვით, ძველი ქართული შუქნ (→უკუ →უკ) ზმნისწინი აღარ გვაქვს ახალ ქართულში<sup>1</sup>.

## წიად

წიად ძველ ქართულში იხმარებოდა სვლის აღმნიშვნელ ზმნებთან და დღევანდელი ენის გარდა → გადა-ს შეესატყვიებოდა.

სლვა: წიადხუალთ იორდანესა ქვეყანად ქანანისა (რიცხ. 35,10); უკურღმულსა მას ფიცისასა ნუ წიადხუალთ (ამოს 5,5); შესხდეს, წიადვიდოდეს ზღუასა მას კაპარნაუმდ კერძო (ი. 6,17 C); წიადმოვიდოდეს ივინი და მოაქუნდა იფქლი (საქ. წ. II, 136,16); ძლით უქლო წიადმოსლვაი ამიერ კერძო (მ. ცხ. 396r); ვკოვეთ მზაი ნავი, რომელსა უნდა წიადსლვაი აღექსანდრიად (საქ. წიგ. II, 110,36).

ვლა: პირი იგი ზღვსაი მის დასავალით წიადვლეთ (ზარზმ. 196,15); წიადმოვლეს რაი მდინარს იგი (იქვე, 190,29); რომელსაცა დღესა წიადვლეთ იორდანე (2

<sup>1</sup> იშვიათად გადმონაშთის სახით შეიძლება ამოტივტივდეს სადმე უკუ ზმნისწინი: უკუიყრის (ეაეა). უკუღვა (კ.გამსახურდა).

შჯ. 27,2).

ჯღომა: წიაღუდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესეველთასა (მ. 8,28); წიაღუდა იგი წმიდასა იორდანესა (ლიმ. 2,20); წიაღველით ჩუენ ნათთა ეგვებედ (საქ. წ. II. 110,28); წიაღუდეთი კვარეს (იქვე. 115,21).

აღნიშნულ ზმნებთან წიაღ ზმნისწინის ხმარება ყველაზე ხშირია. თითო-ორიჯერ შემთხვევაში წიაღ ერთვის სხვა ფუძეებსაც, რომელთაც ასეთივე გაგება აქვთ (სელას აღნიშნავენ). მაგალითად: განაპო ზღუაჲ და წიაღიყვანა იგინი (ფს. 77,13. ე.ი. ხალხი ზღვაზე გადაიყვანაო); ერი იგი ყოველი წიაღმოკრბა იორდანესა (2 მეფ. 19,39 = перешел весь народ Иордан).

აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში, სადაც წიაღ არის გამოყენებული ზმნისწინად, გადალახვა ხდება მხოლოდ და მხოლოდ წყლის დაბრკოლებისა: გადავიდა (გადმოვიდა) ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე, საერთოდ, წყალზე. არასოდეს არ იტყვიან წიაღუდა (წიაღმოუდა) მთასა, ციხესა. გალავანსა ან სხვა რაიმე სახის ზღუდესო, არამედ მხოლოდ წყლის სახით წარმოდგენილ დაბრკოლებასო.

თუ ჩვენ წიაღ ზმნისწინის ა.შანიძისეულ ეტიმოლოგიას გავეცნობით, მაშინ ადვილი მისახვედრი იქნება. თუ რატომ მაინცდამაინც წყლის დაბრკოლება იგულისხმება ყველგან. ა.შანიძე ხსნის, რომ წიაღ წარმოშობით რთული სიტყვაა. იგი შედგება აღ ზმნისწინისა (რომელიც უჩვენებს მიმართულებას ქვემოდან ზემოთ) და სწორედ წყალ სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან: წყლის + აღ → წიაღ. ხშირი ხმარების გამო და იმ მიზეზით, რომ შემადგენელმა სიტყვებმა დროთა ვითარებაში თავიანთი საკუთარი მნიშვნელობა დაკარგეს. ადვილად ამოვარდა წყლის სამი ბგერა. შღრ. ამავე (წყლის) სიტყვის ანალოგიური ბედი შემდეგ მაგალითს: წყლის + ფქვილი → წისქვილი (ფქვილი ძველად წისქვილის ქვას ერქვა, жернов). რომელშიც ახლა მხოლოდ ორი ბგერა დაკარგულა (წყლის → წის). სამაგიეროდ ერთი (თაკვიდური ფ) შემდგომს სიტყვასაც მოჰკლებია<sup>2</sup>. ერთი სიტყვით, ა.შანიძის ეს ეტიმოლოგია მართებული უნდა იყოს. ახლა კი გასაგებია, თუ რატომ არის, რომ წიაღ ზმნისწინიან ფორმებს სულ წყალთან დაკავშირებით ხმარობენ: თურმე თვით ზმნისწინი გვეუბნება: წყლის ზემოთ (წყლის აღ) გადავიდა, გადმოვიდა, გადავიდნენ, გადმოვიდნენო.

რაც შეეხება თვით აღ ზმნისწინს, მისი ღ ელემენტი პარალელს პოულობს კავკასიურ ენებში და ცა-ს აღნიშნავს. ეს ღ ელემენტი და მისი სახესხვაობანი ზოგ კავკასიურ ენაში ზმნას ერთვის წინ (როგორც ჩვენი აღ ზმნისწინი) და სხვადასხვა ფუნქცია აქვს. მათ შორის მიმართულების აღნიშვნისაც<sup>3</sup>. ეს დაშვება, რომ რიგ ენაში (ადრე) ცის აღნიშნული აღ ზმნისწინად იქცა, რომელიც ქვემოდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას (მოძრაობას) გამოხატავს, პარალელს პოულობს მეორე ქართული, საპირისპირო მნიშვნელობის მქონე, ზმნისწინის სახით: ა.შანიძის ეტიმოლოგიით. და ზმნისწინი დაბ ფუძიდან უნდა მომდინარეობდეს (დაბ → და: \*დაბეარდა → დაეარდა)<sup>4</sup>. ხოლო დაბ ფუძე ძველად მიწას აღნიშნავდა. საინტერესოა, რომ იგივე

<sup>2</sup> ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I. 1973. გვ. 261.

<sup>3</sup> ი.უშაშიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში. 1967. გვ. 191—192.

<sup>4</sup> ა.შანიძე, იქვე.

დამ სენურში ახლაც ყანას, მიწას აღნიშნავს. საგულისხმოა, რომ თვით ძველ ქართულშიც დამა და აგარაკი ზოგჯერ "ყანის", "მიწის" მნიშვნელობით იხმარება.

ამგვარად, თავდაპირველად აღვიდა ცისკენ, მაღლა ასვლას ნიშნავდა, ხოლო დავიდა (← \*დაბვიდა) — მიწისკენ, დაბლა სვლას.

წიად, როგორც ზნისწინი, მალე გადაჯარდა ენიდან, იგი შეცვალა მეორე (რთულმა) გარდა ზმნისწინმა. რომელიც დღეს ყოველგვარი დაბრკოლების, მათ შორის წყლის დაბრკოლების, გადალახვის აღსანიშნავად იხმარება: მდინარეზე გადავიდა, ტბაზე, არხზე გადავიდა და სხვ. საჭირო შემთხვევაში სწორედ ეს მდინარე, ტბა, არხიც ემატება.

როგორც ცნობილია, ახალ ქართულში ძველთან შედარებით ზოგი ზნისწინი გამარტივებულია — დაკარგული აქვს თანხმოვანი: აღ → ა (შესაბამისად: აღმო → ამო), გან → გა, გარდა → გადა (გარდამო → გადმო), წარ → წა (წარმო → წამო). სანტერესია, რომ ზნისწინთა გამარტივების პროცესი ძველ ქართულშივე დაიწყო. ამ საკითხზე დაწერილებით, მრავალრიცხოვანი მაგალითის მოშველიებით მსჯელობს ზ.სარჯველაძე<sup>1</sup>, ამიტომაც აქ ჩვენ აღარ გამოუვლავებით ვრცელ ანალიზს. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს ტექსტიბიდან:

დაცემულნი აჰმართნეს (სინ. 123,18. შდრ. დაცემისაგან აღმართა: იქვე, 201,8); ამოხვედ მიერ განმართლებული სიმართლითა (იქვე, 88,29. შდრ. აღმოსავალით: იქვე, 15,33).

თავსა ზედა თვისსა გავთულ არს (მ. 12,26 C; მრ. 3,26 C. შდრ. განვეთას მამაი ძისაგან: ლ. 12,53).

მისცა მთ გადარეული დიდება (Sin. 35, 17,18-19b).

მისისა შობისაი წიგნი წაიკითხონ (სინ. 216,3. შდრ. შემდგომად წარკითხვისა სახარებისა დასწერა უჯური კარსა ეკლესიისასა: სინ. 71,21); თუაღნი წამოცვენებულ იყენეს (იქვე, 268,9).

ასევე ცნობილია, რომ შთა ზნისწინი ჩა-დ იქცა. ამ პროცესის სათავეც ძველ ქართულშია<sup>2</sup>: მაგალითად, ერედვის წარწერაში ცკითხულობთ: ჩავიდა ჰერეთს შინა.

თვით შთა ზნისწინი მიღებულია ორი ზნისწინის შეერთებით: შე + და (ა.შანიძე, არნ.ჩიქობავა, ა.მარტიროსოვი); ამიტომაც, რომ შთა ორ მიმართულებას უწევნებს: ა) ზემოდან ქვემოთ და ბ) გარედან შიგნით (დახურულ სივრცეში)<sup>3</sup>. ჩა ზნისწინიც იმასვე აღნიშნავს.

მი და მო ზნისწინების ხმარება დღევანდელ ენაში ასეა განაწილებული: ა) თუ ზნის მიერ აღნიშნული მოქმედება აქედან იქით, პირველი პირიდან შესამე პირისაკენ მიემართება. მი ზნისწინი იხმარება: მიიტანა, მიიყვანა, მისცა, მისწერა, მიუახლოვდა, მიუტევა, მიანიჭა და სხვ. ბ) თუ მოქმედება იქიდან აქეთ, შესამე პირიდან პირველი პირისაკენ მიემართება, მო ზნისწინია გამოყენებული: მომიტანა, მომიყვანა, მომცა, მომწერა, მომიახლოვდა, მომიტევა, მომიანიჭა და სხვ.

<sup>1</sup> ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984, გვ. 476—481.

<sup>2</sup> ზ.სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 478.

<sup>3</sup> შთა ზნისწინის მიერ გამოხატულ მიმართულებათა შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ა.ვეშაძე, ზნისწინი ძველ ქართულ ენაში, გვ. 148—154.

ეს წესი ძველი ქართულიდან მომდინარეობს.

მაგრამ როგორაა საქმე, როცა მოქმედება (პირველი პირიდან იქნება თუ მესამე პირიდან) მეორე პირისაკენ მიემართება? ახალ ქართულში ამ შემთხვევაში ისევე მოზნისწინი იხმარება: მოგიტანა, მოგიყვანა, მოგცა, მოგწერა, მოგიახლოვდა, მოგიტყუა, მოგანიჭა და სხვ. ეს ბუნებრივია: მეორე პირი ჩვეულებრივ პირველ პირთანაა. მის საიხლოვეს იგულისხმება: ამიტომაც, რომ ის იმ ზნისწინის იყენებს, რომელიც სწორედ პირველი პირისათვის არის განკუთვნილი.

როგორ იყო საქმე ამ მხრივ ძველ ქართულში? იქ ზოგან ასეთივე წესია გატარებული. მეორე პირი მო-ს იყენებს: ვინ მოგცა შენ ველშწიფება ისე (მ. 21,23 DE); მამა შენი რომელი ქხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (მ. 6,4,6.18); რომელმან-ესე შენ მთავრობაი მოგმადლა (საქ. წიგ. II, 44,3); უკუეთუ მოუტყენით თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტყენეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეტათამან (მ. 6,14); მოუტყევთ და მოგეტყოს თქვენ (ლ. 6,37) და სხვ. მაგრამ უფრო ძველ ვითარებას ასახავს საწინააღმდეგო შემთხვევები, როცა II პირისათვის მიზნისწინია გამოყენებული. ეს არის სწორედ ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი. ზემოთ მოყვანილი მოზნისწინიანი ფორმები უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე, სადაც დღეს, როგორც ვნახეთ, II პირისათვის მოზნისწინია დამკვიდრებული. ამ ახალ წესს, როგორც ითქვა, გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, რამაც შესაძინევად გააადვილა მისი შედარებით უმტკივნეულოდ დაფუძნება.

ახლა მოვიყვანოთ II პირთან მიზნისწინის ხმარების მაგალითებს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან:

1. მახზლება: მიგახზლენ შენ ტირილი ჩემი (საქ. წიგ. II, 47,26. ბრძ. = მოგიახლოვდეს).

2. მოგება. ეს ზნა ორი გაგებით არის წარმოდგენილი: ა) მიგება-მიზღვა. სამაგიეროს გადახდა და ბ) პასუხის მიცემა. პირველი ანანის საარვისო ქცევის ფორმებით იხმარება (მიგაგებთ, მიგაგენ), ხოლო მეორე — სასხვისოთი (მიგიგეთ, მიგიგოთ).

ვითარცა თქვენ ჩუენთვს კუერცხისა დადებითა და მართვსა გამოვლითა დაშუერით და განგუზარდენით, ვერეცა ჩუენ მას სუსხსა მიგაგებთ (სახ. 11,23); მიგაგე შენ ბოროტი (1 მეფ. 24,18 O); მიგაგენ ღმერთმან, შეილო, მისაგებელი კეთილთა მისთაი (ლიტ. ქრ. 303,10); მე ვარ მეგობარი შენი, რომელმან დავიმარხე კეთილი შენი მცირელი და აწ აღნადგინებითურთ მიგაგო შენ (ბალ. 39,12).

უკუეთუცა ჩუენ გუკითხევდ. მიგოგებთცა (ი—ე, 54,9); არა მიგიგო თქვენ სიტყუაი (ეხეკ. 20,3. შდრ. საწყისი: უკუეთუ მიგებთლა თუ სიტყუაი მიუგო მე მათ: ეხეკ. 14,3 E); რაი-მე სიტყუაი მიგიგოთ უფალსა ჩუენსა (დაბ. 44,16).

3. მიგორება: მიგაგორვო ქუეშე თქვენსა, ვითარცა გორაენ ურემი. საესქ ლერწმითა (ამოს 2,13 O).

4. ღვენება: მოძლუარ. მიგლეველ შენ, ვიდრეცა ხვლოდი (მ. 8,19); ხოლო მე ვარქუ მას: მიგლეველ შენ, მამაო, ვიდრეცა ხვლოდი (საქ. წიგ. II, 110,15); უფალო, რაისა ვერ მიგლეველ? (ი. 13,37 C. შდრ. საწყისი: რაისა ვერ ძალ-მიც მიღვენებად

შენლა: მ. 13,37 DE).

5. მთავსება: მომეც ვეცხლი იგი ჩემი, რომელი-იგი მოგავსებე შენ (საკ. წ. II, 124, 25,30 = გასესხე. შღრ. სათავისო ქვევის ფორმა: მომეც ვეცხლი იგი, რომელი მოგავსებე ჩემგან (იქვე. 124,35. შღრ. აგრეთვე უზნისწინო საწყისი: ნუ დაჰვარდები თავით თვისით ანკანაკებითა და ვასხებითა: ზირ. 18,33 O).

6. მოვლინება: ან სიხარულით ქრისტესს მიერ მოვივლინე შენ ანგელოზი (კობ. II, 175,32 = მოვივლინე); ამისთვის აპა ესერა მოვავლინე თქუენდა წინაწარმეტყუელნი და ბრძენნი მწიგნობარნი (მ. 23,34 C. DE-ში უფრო ახალი ფორმა: მოვავლინე); მოავლინოს უფალმან შენ ზედა სიკუდილი (2 შჯ. 28,21).

7. მითრევა: ესრეთ არქუთ: აღდგე და მოვედ აღგილსა თვისსა და ნუ ეგვიითარი გონება გიპყრიეს! უკუეთუ არა, თრევით მოგითრიოთ (შუშ. 5,4 C; მოგითრიოთ BDEFH; მოგათრიოთ G; მოგითრიო A).

8. მითუალვა: ამას კაცსა ნამარხევედ მოგიუთალავ ... , რაითა ასწაო სარწმუნოება (სწავ. 291,19); ან ესერა მოგიუთალავ და შეგვეღრებ განგებასა და სამწყსოსა, რომელი რწმუნებულ იყო ჩემდა (ისტ. ქრ. II, 79,37); შენდა მომითუალავს სიტყვს-გებათა თვისსა შენისათვის (ბალ. 86,36 = შენთვის ჩამობარება, მომიცია).

9. მითხრობა: რაი-იგი უფალმან მოგუმადლოს, მოკლითა სიტყვთა მოგიოხრა (ი—ე. 6,3 = მოკლედ გიამბობთ); რომელმან-იგი ფრად ილუწა ჭეშმარიტებისათვის ნინოის თანა, რომელი-იგი ჟამსა თვისსა მოგიოხრა (ლიტ. ქრ. 222,37).

10. მომადლება: რამცა იყო, რომელი თქუენ არა მომადლებე (ისტ. ქრ. I, 146,38); აპა ეგერა მომადლნა შენ ღმერთმან ყოველნი, რომელნი არიან შენ თანა ნავსა ამას (მოც. 27,24); რაი გნებაეს, და მომადლო შენ (მამ. ცხორ. 29,28). პირველ პირთან, როგორც წესსა, მო ზნისწინი გვაქეს: რაი-იგი უფალმან მოგუმადლოს, მოკლითა სიტყვთა მოგიოხრა (ი—ე. 6,2). მაგრამ იშვიათად მო მეორე პირთანაც გეხვდება. მაგალითად: განანათლინენ გულნი თქუენნი მეცნიერებითა ჭეშმარიტებისაითა და შეუბრკოლებელად დაიციენ ცხორებათ თქუენნი და მომადლნენ თქუენ (ექუსთ. 26,26).

11. მიიჭება: ნიჭსა კეთილსა მოგანიჭებ თქუენ (იგავ. 4,2 O).

12. მისლვა: მივიღეთ ჩუენცა შენ თანა (ი. 21,3 C. მაგრამ: მოვიღეთ DE).

13. მიტყევა: ყოველივე თანა-ნადები შენი მოგიტყევე შენ (მ. 18,32); ღმერთმან მოგიტყევენი. რომელრაი-იგი ჰყავთ (შუშ. 142,23); ვინ გნებაეს ორთავანი, და მოგიტყევე თქუენ (მ. 27,17,21); რაითა მოგიტყევე თქუენ მეუფსა ჰურიათაი (ი. 18,39); არაა მოგიტყევე ცოდვანი თქუენნი (ეს. 1,14); ხოლო ან მო-და-გოტყევე თქუენ ორ ჟამ ოდენ (სინ. 239,14 = გაძლებეთ მხოლოდ ორ საათს); უკუეთუ არა მოუტყევეთ კაცთა შეცოდებანი მათნი. არცა მამამან მოგიტყევენს შეცოდებანი თქუენნი (მ. 6,15 C. DE: მოგიტყევენს. C ხშირად უფრო ძველ ფორმებს იძლევა, ვიდრე DE; აქაც ასეა); რაითა მამამანცა თქუენმან ... მოგიტყევენს შეცოდებანი თქუენნი (მრ. 11,25 D. მოგიტყევენს CE).

14. მიცემა: მშვდობასა ჩემსა მოცემ თქუენ (ი. 14,27); ვცოდე, რამეთუ მოგეც სისხლი მართალი (მ. 27,4); ვინ მოცეა შენ ველმწიფებათ ესე (მ. 21,23 C; მრ. 11,28



C): არა ვითარცა სოფელმან მიგცა, მიგცემ თქვენ (ი. 14.27 C): უკუეთუმცა არა იყო ბოროტის-მოქმედი, არამცა მიგეცით შენ იგი (ი. 18.30); მთხოვე მე, რაიცა გნებაეს, და მიგცე შენ (მრ. 6, 22); მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაისანი (მ. 16,19).

15. მიძლუნება: მიგიძლუნებთ მადლსა და ლოცვასა წმიდისა ადგომისასა (ლიტ. ქრ. 142,38 = ხანძთ.); და ვითარცა მეუწყა მე ძვრის-ზრახვაჲ კაცისა მისთვის, მიგიძლუნე შენ თიკანი თხათაჲ (დაბ. 38,17); მცირედ ოდენ რაიმე მისი მოვიკუნო და მიგიძლუნო თქვენ (მამ. ცხორ. 9,20).

16. მიჯღა: ღმრთის მსახურებისაგან სახარებაჲ მიმიღე და აწ წინდსა მიმჯღა? (სინ. 27,8); აღმიღგინებდა ჩუენ აღნადგინებისა მის ვახშსა და მიმჯღიდა ჩუენ სარჩელსა (სინ. 42, 21); მიჯღით მიგადაღოს უფალმან ღმერთმან შენგან (2 შუკ. 23,21 M); იხილე, ნუკუე ორი წილი საშეკელი მიგადაღონ ბოროტთა საქმეთა შენთათვის (ისტ. ქრ. II, 2,33).

მაგრამ იგივე მი ზმნისწინი ძველ ქართულში ბევრად უფრო მორგებულად და მართებულად არის ნახმარი, ვიდრე ახალ ქართულში. ბევრჯერ თქმულა, რომ მი ზმნისწინი იქითა რიგის (მაშორებელ) ორიენტაციას უჩვენებს, როცა მოქმედება პირველი პირიდან მისგან შორს არსებული მესამე პირისაკენ მიემართება: აქედან იქით (შორს) მიიყვანეს, მიჰგუარეს, მიუძღვნეს, მიუთუალეს და სხვ. ასეა ეს წარმოდგენილი აგრეთვე პარვა ზმნის პირიან და უპირო ფორმებშიც. მაგალითად: რაისათვის მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისა (დაბ. 44,4). აქ მი ზმნისწინი აბსოლუტურად ზუსტად არის ნახმარი: პარვა ხდება აქედან იქით, პირველი პირიდან შორს, მესამე პირისაკენ. ქურდმა, ვინც გაქურდა, მოპარული ნივთები წაიღო აქედან იქით.

ახალი ქართულის მომპარა, მომპარეთ წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, უმართებულა: ქურდს აქეთ, ჩემკენ. I პირისაკენ კი არ მოაქვს ნაქურდალი, არამედ აქედან შორს, III პირისაკენ. ამიტომ მიმპარა (მომპარე). მიმპარეს (მომპარეთ) ენობრივად უნაკლო ფორმებია.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, მო ზმნისწინიანი ფორმები (მომპარა, მოიპარა...) წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, უმართებულაო. რატომ ჩვეულებრივ? როდის შეიძლება მოიპარა, მოპარა და მსგავსი მო ზმნისწინიანი ფორმები გამართლებული იყოს? მაშინ, თუ მომპარავი (ქურდი) პირველ პირთან არის. ვთქვათ, მისი ოჯახის წევრია, მისი ამხანაგი და თანამზრახველია. ასეთ შემთხვევაში უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იქ, შორს, იპარა და აქეთ, I პირისაკენ, გამოიქცა და აქ მოიტანა ნაქურდალი. ეს ეხება ჩუმად გაპარვა- გამოპარვასაც.

ერთგან ეპიფანე კვიპრელზე ნათქვამია: მიერ უკუე დლითგან არღარა ინება ეპიფანე ყოფად ადგილსა მას განსმენისა მისთვის მოგზაურთა მათ მიერ. მაშინ გამოიპარა თავი თვისი ძმათაგან და წარვიდა უფიცხლმსსა ადგილსა, რომელ-იგი არა საგონებელ იყო, რომელსა ადგილსა იყოფოდა იგი (საკ. წ. II, 98,10). გამოიპარა თავი თვისი ნიშნავს: ჩუმად მოსცილდა იმ ადგილს, ჩუმად მიატოვა ის ადგილი (და წამოვიდაო). აქ გამოიპარა ორპირიანი გარდამავალი ზმნა, მისი პირდაპირი ობიექტია "თავი"; სიტყვისაიტყვით იქნება: თავი (გა)მოიპარაო. დღეს ჩვენ ასეთ შემთხვევაში ვნებითის ფორმას ვიყენებთ: იგი (ეპიფანე) გამოიპარა. აი. ეს მშვენიერი წესი

იყო ქართულში. ფორმითაც და შინაარსითაც სრულიად გამართლებული. დღევანდელ ქართულში ყველგან მოიხმარება. მი კი დიდი ხანია, რაც ჩამოშორდა სამოქმედო ასპარეზს. ეს გუმინ და გუმინწინ არ მომხდარა, ამის დასაწყისი თვით ძველ ქართულშია მოცემული.

ზემოთ ნათქვამი და აქეთა და იქითა როგის ორიენტაციის ფორმების დაპირისპირება ეხება მხოლოდ მი და მო ზნისწინიან მაგალითებს. სხვა ზნისწინიანები როგორღა უნდა გაეგოთ? სხვა ყველა მარტივ ზნისწინიანი ფორმა ისევეა, როგორც მი ზნისწინიანი. ხოლო მო-ს დართვით მიღებული რთულ ზნისწინიანები — როგორც მო ზნისწინიანნი. მაგალითად. ერთ მხარეზე იქნება: მიმპარა, განმპარა, წარმპარა და მისთანანი, მეორე მხარეს — მოიპარა, გამოიპარა, წარმოიპარა და სხვანი.

რაც ითქვა მიმპარა ზნაზე, დასვლებით იგივე უნდა ითქვას მიტაცება და მიღება (მიმილო მან მე იგი) ზნებზეც. ამიტომ დანარჩენი ორისა (და კიდევ სხვათა) შესახებ აქ საუბარს აღარ გაეგარებლებოთ. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ სანიშნულ მოწმობას სამივეს შესახებ:

ვინ-მე რაი მიმპარა საუნჯეც იგი (სინ. 98,15); რომელმან მიმპარა ბარზიმი ესე. შევიყრა მონად ჩემდა (საკ. წ. II, 73,22); ესევეთარი ჭურჭელი მიმპარეს მას (იქვე. 72,20); ხოლო უკუეთუ ჭეშმარიტად გენებავს, რაითა არავინ მოგპაროს საფასე შენი. ქვენ, ვითარცა მე გასწაო, და ვერვინ შემძლებელ იქნეს მიმპარად შენდა: დაჟედ იგი მუცელსა შინა გლახატასა, და უკუნისამდე ვერვინ მოგპაროს იგი (სწავ. 89,18-20); მპარაენი შემივდეს მე და განმპარეს ასი ლიტრაი ვეცხლი (მამ. ცხორ. 116,1); სადა მპარაეთა დათხარიან და განიპარიან (მ. 6,19 C; განიპარონ DE); დამპარეცა მე და წარმოიყვანენ ასულნი ჩემნი, ვითარცა ტყუენი მახვლითა (დაბ. 31,26); დაიპარეს ლელვ (მ. ცხ. 88r); ერთმან ვინმე მძათაგანმან წარიპარნა ტულნი წმიდისანი მის (აპოკრ. 20,23); მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ შეძინა (სინ. 161,26); რამეთუ მოვიდენ ღამე მპარაენი და მოთხარონ და წარიპარონ იგი (სწავ. 89, 16); თუ წარუპარავს მკუდარი იგი (სინ. 153,3).

ამთ გვერდით, როგორც ვთქვით. მო-ს ნაცვლად აქა-იქ მო გეხვდება, ცალკეც და სხვა ზნისწინებთან ერთად შერწყმული (მეორე კომპონენტად). ახალ ქართულში დამკვიდრებული წესის მკრთალი ჩანასახი თვით უძველეს ძეგლებში გეხვდება. აი, რამდენიმე ნიმუში: უცხონი კურცხნი მოიპარნის და თვსა ბუდედ მიიხუნის (სახ. 239,42); ვერვინ შემძლებელ იქნეს მიმპარად შენდა (სწავ. 89,19). მაგრამ: შეეშინოს შესლვად და მოპარვად (მ. ცხ. 155r).

ყოველივე სამღლელო კურჭელი ეკლესიისა გამოიპარა (მ. ცხ. 177r); სადა მპარაეთა ვერ დათხარიან და ვერცა გამოიპარონ /საფასე/ (მ. 6,20 C; DE; განიპარონ); რაისათვის წარმოიპარენ ღმერთნი ჩემნი (დაბ. 31,30); პარვით წარმოიპარეს მე ქუეყანით ებრაელთათ (დაბ. 40,15 O).

მო ელემენტარნი ზნისწინების გამოვლენა ადვილი გასაგებია: გამოიპარე-მოპარე იქიდან აქეთ ხდება. I პირისაგან მოემართება.

ანზარივე შინაარსით გეხვდება ვნებითის ფორმებიც:

რომელი-იგი ზაკუეთით მიეპარა აღამისგან (სინ. 91,24 = მოპარულ იქნა, მოპარეს); კედელი დაითხარებოდა და საფასე არა განიპარებოდა (ათონ. 11,175r).

მაგრამ: ზ ახალი ესე საქმს და საკრველი! რამეთუ კედელი დაითხარებოდა და საფასს არა გამოიპარვოდა (სინ. 223,15). საით? იქით თუ აქეთ? ერთი და იგივე ადგილი სხვადასხვანაირად არის გადმოღებული (თუ გადაწერილი): ერთს მიაჩნია, რომ არ მიჰქონდათ იქით, იქით არ მიიპარავდნენ: მეორეს კი ჰგონია, რომ აქეთ არ გამოჰქონდათ, აქეთ არ მოიპარავდნენ (ნაპარვეი აქეთ არ გამოჰქონდათ). რთულ ზმნისწინიან ზმნებში ასეთი ორგვარი გაგება ჩვეულებრივია. ამიტომ ერთს ვერ ჩაეთვლით შეცდომად და მეორეს — სწორად (ვერც პირიქით). სულ სხვაა, როგორც ენახეთ. მარტივი მი და მო. აქ მი ზმნისწინიანები მოგეაჩნია ისტორიულად მართებულად (მიმპარეს, განმპარა, წარმპარა...).

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ ვნებითებს: შევეპარებოდით მათ (I მეფ. 14.9 O): ვითარ-იგი მოიპარნეს ჟამნი ჩემნი განმცხრომელისანი, ვერ გულისხმა-ვყავ ვეშმარიტად (საკ. წ. II. 153,14), მაგრამ A ხელნაწერში (Sin. 97) უკვე მოიპარნეს იკითხება: მაშინ წარიპარნინან მორწმუნენი ესე წმიდანი და შევიდიან გელესიად (ისტ. ქრ. II. 104.39).

მიმტაცა: მვეტმან ბოროტმან მიმტაცა იოსებ (დაბ. 37, 33); მანცა მიმტაცა ყრმაი წილთაგან ჩემთა (ისტ. ქრ. II, 31, 32. დღევანდელი ერთი იქნება: მომტაცა. წამართვა. ძალით გაიტაცა ჩემგან); აწ ვინ მიმტაცა შენ ჩემგან (კომ. I, 142, 17). საინტერესო ფორმა: პირდაპირ ობიექტად შინაარსით იგულისხმება მეორე პირი (აკი ტექსტშიც შენ არის მოცემული!). მაგრამ ზმნის ფორმაში იგი იგულისხმება: მიმტაცა მან მე იგი. ობიექტური ნიშანი I ორიობიექტურ პირს აქვს (მიმტაცა). ამიტომ II პირი თმობს თავის პოზიციას და უნიშნოდაა წარმოდგენილი, რადგანაც შეუძლებელია ზმნის ფორმაში ერთდროულად აღინიშნოს პირველი და მეორე ობიექტური პირები<sup>1</sup>: არა მიჰხუეკო მოყუსსა და არა მისტაცო (ლევ. 19,13 G. ზოგიერთ ხელნაწერში უფრო ახალი მორაბ-სტაცო იკითხება); ნუმცა მოგუტაცებს კრავსა (რიფს. 164.29); სასუფეველი ცათაი იიბულების. და მძლავრნი მიიტაცებენ მას (მ. 11,12 C); მოვიდეს უკეთური იგი და მისტაცის სიტყუაი იგი დათესული გულისაგან მისისა (მ. 13.19; C: მიიტაცის); არავინ მიმტაცენს იგინი ველთაგან ჩემთა (მ. 10.28); მიიტაცენს ვითარცა სამწყსოა. წარტაცებული მტერთაგან (მარ. 4,26 O).

არის ვნებითის ფორმა: ვიდრე-იგი დგა და მითქუმიდა ჩუენებასა მას შინა, მივიტაცე მე ქალაქად (ისტ. ქრ. I, 251.4).

არა მიჰხენდნეს...არცა მიტაცებასა საუნჯეთასა (ურთ. 86,3); არცა ვის ველეწიფების მიტაცებად მათა ველისაგან მამისა ჩემისა (ი. 10,29).

რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როცა ძველი ქართულის ჩვეულებრივი მი ზმნისწინის ნაცულად განსახილველი ზმნის უფრო გვიანდელი მო ზმნისწინიანი ფორმები გვხვდება. მაგალითად: მისცა მონატაცები იგი, რომელ მოსტაცა (ლევ. 6.4 O); ნუ მოიტაცებ სხვსასა (უდაბ. 64); რომელნი იიბულებდენ, მათ მოიტაცონ იგი (მ. 11,12); და მოიტაცენ შესუნებულნი ანგელოზთაგან საშინელთა (საკ. წ. II. 59,8); ასწავებს ველთა მოტაცებასა და არა მიცემას (სწავ. 149,5).

მიღება. ეს ზმნა ძველ ქართულში ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება.

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათა. ტ. I. ნწ. II. 1971. გვ. 318.

ესენია: 1. მიღება და 2. წართმევა. პირველ შემთხვევაში იგი მხოლოდ და მხოლოდ ორპირიანია და სათავისო ქცევის ფორმით არის წარმოდგენილი (მივიღე მე იგი, მიმიღო მან მე, მიიღე შენ იგი, მივიღე მე შენ, მიიღეს მათ იგი...); მეორეში ასევე მხოლოდ და მხოლოდ სამპირიანია და სასხვისო ქცევის ფორმები აქვს (მიმიღო მან მე იგი, მიუღე შენ მას იგი, მივიღო მე შენ იგი, მიუღონ მათ მას იგი...). საწყისი და მიძლეობა ორივეს ერთნაირი (ზიარია) აქვს (მიღება, მიღებული, მიძლები...). რადგანაც სათავისო ქცევას სამივე პირში, ხოლო სასხვისოს ორში (პირველსა და მეორე ობიექტურ პირებში) ქცევის ნიშნად ი მოუღის, ხშირად მათ შორის ფორმალური განსხვავება არ არის; მაგალითად. მიმიღო ამასაც ნიშნავს: მიმიღო მან მე (სათ. ქც.). და ამასაც: მიმიღო მან მე იგი (სასხ. ქც.). ასევე:

### სათავისოა

მივიღე მე შენ  
მივიღეს მათ შენ  
მიმიღე შენ მე  
მიმიღებ შენ მე  
მივიღონ მათ შენ

### სასხვისოა

მივიღე მე შენ იგი  
მივიღეს მათ შენ იგი  
მიმიღე შენ მე იგი  
მიმიღებ შენ მე მას  
მივიღონ მათ შენ იგი...

რომელი ამათგანი იგულისხმება მოცემულ შემთხვევაში, ამას მხოლოდ კონტექსტით გავიგებთ.

ჩვენ აქ ეს ზმნა გვიანტერესებს მისი მეორე მნიშვნელობით, როცა ის წართმევას აღნიშნავს და, მაშასადამე, წარმოდგენილია სასხვისო ქცევის ფორმით, მაგრამ არა ყველა ობიექტურ პირში, არამედ მხოლოდ პირველსა და მეორეში. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო თავისებურება მხოლოდ აქ (I და II ობ. პირებში) მგლავნდება. აი, ამის მაგალითები:

აპა ესერა მე მივიღებ თქვენგან მუარსა (მალაქ. 2,3 M); სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან (ფს. 50,13); რაი ვყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს /მიღებს D/ სამნოსა ჩემსა (ლ. 16,3); რომელი მივიღებდეს შენ სამოსელსა შენსა (ლ. 6,29); აწ, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან (იონა 4,3 /ბრძ./); რაისათვის მიმიღო მე ისრაელმან ქუეყანაი ჩემი (მსაჯ. 11,13 G); რაითა მარგალიტი ხოლო იესუ ქრისტე მოვიგო, რომელი ვერცა შენ და ვერცა მეფეთა მათ შენთა მიმიღონ (საკ. წ. II, 36,15); უგუნურო, ამას ღაძესა მივიღონ სული შენი შენგან (ლ. 12,20).

საწყისებიც, როგორც ვთქვით, კონტექსტის შინაარსით უნდა გავარჩიოთ. ენახით რამდენიმე ნიმუში: ვერ კმა-ეყო იოსებს ველმწიფებაი სახლისა ჩემისაი, არამედ ჩემიცა უნდავე ქმრისაგან მიღებაი (საკ. წ. II, 67,22); მიღებაი სულისა ჩემისაი იზრახეს (ფს. 30,14); რომელსა უნდეს საშველად შენდა და მიღებად კუართი შენი, მოუტევე მას სამოსელიცა შენი (მ. 5,40); თუ ენებოს მტერსა მიღებად ფიქვსა შენისა, მიეც მას (სინ. 221,4. შდრ. მ. 5, 40); მიღებულ არს ქალი მათგან (ივან. 4,16 O).

თუ აქაც პირდაპირი ობიექტი ნარიან მრავლობითშია წარმოდგენილი, ღ ძირი ხუთი შეიცვლება და ობიექტის მრავლობითობის ენ → ნ სუფიქსი ჩაემატება, სხვა მხრივ ყოველივე ისე იქნება. როგორც ღ ძირთან გვქონდა:

საცეცხურნი მან ველისა ჩემისაგან არაოდეს მომიხუნაო (ლიტ. ქრ. 197.34 = ხანძთ.); ხოლო შენ(ნი) ესე კეთილნი ანუ მომიხუნე შენვე მცირედისა რასამე რისხვისათვის. ანუ ჟამთა ქცევამან მოგვხუნეს შენცა და მეცა (იქვე, 295,42-43).

რასაკვირველია, ახლის ჩანასახი — მო ზნისწინის გამოყენება — იშვიათად ძველადაც გვხვდებოდა, მაგალითად: და თუ მონაგებსა მოგიღებდეს შენ, მიეც მას (სინ. 221, 4). მაგრამ იქვე, სწორედ იმავე სტრიქონზე (გადატანილია). იკითხება უძველესი და სწორი მოგიღებდეს<sup>9</sup>. მერმე და მერმე მო ზნისწინიანი ფორმები მოხშირდა და დღეს ერთადერთ ნორმას ის წარმოადგენს: ბოლო მომიღო, მოგიღო. მე შენ ბოლო მოგიღე, შენ მე ბოლო მომიღე, ბოლო მომიღეს და სხვ.<sup>10</sup>

როცა ჩვენ ვამბობთ, თუ ზნით გამოხატული მოქმედება II პირისაკენაა მიმართული, მას ძველ ქართულში მი ზნისწინი შეეფერებაო. უნდა დავძინოთ, რომ ეს მეორე პირი არ შეიძლება სუბიექტი იყოს, რადგან მოქმედება სწორედ მისკენაა მიმართული და ამიტომ ის მოქმედი ვერ იქნება.

აქ გამორიცხულია აგრეთვე პირდაპირი ობიექტიც (მეორე პირი არ შეიძლება პირდაპირი ობიექტი იყოს), რადგან, როცა ობიექტი პირდაპირია, ეს მოქმედება თვითონ მას ეხება, იგია მოქმედების საგანი და ობიექტი და მიმართულების გამოხატვის საქმეში იგი უძლურია.

რჩება ერთადერთი შესაძლებლობა: განსახილველ შემთხვევებში, როცა II პირისადმი მიმართულ მოქმედებაზეა საუბარი. ეს პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ირიბი ობიექტი. ზემოთ მოყვანილ ამ ტიპის ყველა მაგალითში მოქმედება სწორედ ირიბი ობიექტისადმი მიმართული. ეს პირი ადამიანია: მოგცე შენ (კაცს); მოგიღუნო შენ. მოგმადლე თქვენ.

აქედან ისიც გამოდინარეობს, რომ ჩვენი მსჯელობის ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ ირიბობიექტისანი ზნებები, ე.ი. ორპირიანი გარდაუვალი (მიგეტეოს, მიგეკადების...) და სამპირიანი ზნებები (მიგეც, მოგმადლა, მიგეკასხე...).

როცა ეს II პირი პირდაპირი ობიექტია, როგორც ითქვა. მი ზნისწინის ზემოთ ნაჩვენები თავისებურების საკითხი არ დაისმის. მაგალითად, წინადადებაში: ნათესაეთა შენთა და მღელეთ-მოძღუართა მომცეს მე შენ (ი. 18,35), შენ პირდაპირი ობიექტია, მოქმედება კი I პირისკენაა მიტეული და ამიტომ სამართლიანად მო ზნისწინი გვაქვს. ასეთია კიდევ: მოგუცნა თქვენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად ველთა ჩუნეთა /ე.ი. ჩუნე/ (აგ. ძეგ. I, 167,25). სამაგიეროდ, ამ მაგალითში: ღმერთმან მოგუცნა ველთა თქუნეთა /ე.ი. თქუნე/ (იქვე, 167,28), პირდაპირი ობიექტი ჩუნე არის, იგი არ გამოდგება მიმართულების ორიენტირად. ამისთვის აქ თქუნე იგულისხმება და ზნისწინადაც შესაფერისად მი არის წარმოდგენილი. ერთი სიტყვით,

<sup>9</sup> სწორედ ამის გამო გამოცემაში გასწორებულია ამ უძველესი ხელნაწერისათვის ასე უძველეს ფორმა და ტექსტში დაბეჭდილია მოგიღებდეს.

<sup>10</sup> ეს ახლა, დღეს, დ. გურამიშვილისა და ბესიკის დროს კი ისევე ძველი მი ზნისწინიანი წარმოება იყო გაბატონებული. მაგალითად: მე საწურომან მიმიღო, რაც საბადისი შებადა (დ. გურამიშვილი, "დავითიანი", 1955, 104,554); ვარდმან შემრისხა თავმოწონები./ ისარი მტყორცა დასამონები./ სრულად მიმიღო ყოველი ღონები (ბესიკი, 1932, 3.7); ცნობა მიმიღო და გულთხედვით შემზღულა ანამან (იქვე, 9.8); მიმიღო ცნობა. არ ძალბძის (იქვე, 9.26).

როცა მეორე პირისადმი მიმართულ მოქმედებებზე საუბარი, ეს მეორე პირი ირიბი ობიექტი უნდა იყოს.

\* \* \*

დასასრულ. ორიენტაციასთან დაკავშირებით შეჩერდებით კიდევ ზოგი ზმნისწინის ზმნასთან თავისებურ, ენობრივად უფრო მართებულ, მორგებაზე, ვიდრე გვიანდელ ენაში დამკვიდრდა. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორი ზმნისწინი უნდა იხმარებოდეს ზმნასთან გარკვეულ პირობებში. არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა ძველში ერთი რიგის ზმნისწინები იხმარება, ახალში — სხვა რიგისა. ყველაზე მეტად ეს ეხება ზემო და ქვემო მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებს. ასე, მაგალითად, ძველ ქართულში ქვემოდან ზემო მიმართულების აღსანიშნავად გარკვეულ შემთხვევებში, როგორც წესია, აღ ზმნისწინი იხმარებოდა: ცხენზე (ჯორზე, ვირზე, აქლემზე...) აღჯდა, აღსუა, აღსხნა (პ. ობ. მრავლობითში), აღსხდეს... ასეთ შემთხვევებში დღეს ვიყენებთ შე და და ზმნისწინებს: ცხენზე შეჯდა, დაჯდა, შესვა, დასვა. შესხდნენ ... დღეს ამ ორიდან (შე, და) უფრო შე ზმნისწინი იხმარება. ეჭვი არაა, აქ თეორიულად და ისტორიულად აღ უფრო მართებულია, ვიდრე შე ან. მით უმეტეს, და: აქლემზე შეჯდომა გამოხატავს ქვემოდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას. ამისთვის კი ქართულში (ძველსა და ახალში) სწორედ აღ ზმნისწინია ზედგამოჭრილი: მაღლა აიხედა (ადიხილა), აიყვანა, აიტანა, აზიდა, ააგდო და სხვანი. დღეს, რა თქმა უნდა, ენაში დაკანონებულ ფორმებს ვერავინ შეცვლის, მაგრამ ისტორიულად რომ დიდი უპირატესობა აქვს ძველი ქართულის აღ ზმნისწინიან წარმოებას, სრულიად ცხადი და უდავოა.

რაც ითქვა აღჯდა, აღსუა, აღსხდეს... ფორმებზე, იგივე შეიძლება გავიმეოროთ ბევრი სხვა მსგავსის შესახებაც, მაგრამ აქ მათზე ცალკე საეტიკალური მსჯელობა საჭირო არაა, სათანადო მაგალითები ისედაც მჭევრმეტყველია. აი, რამდენიმე ნიმუში:

მოპეარეს ვირი იგი და კიც და დაასხეს სამოსელი მას ზედა, და აღჯდა მას (მ. 21,7 C. DE-ს უკვე ახალი ფორმა აქვს ნახმარი: დაჯდა. მერმე ეს დაჯდა გაიზიარეს დიდმა მთაწმიდლებმა — ექვთიმემ და გიორგიმ); აღჯდა კარაულსა თვისსა (1 მფე. 25,42); აღჯდა იგი საწოლსა თვისსა ზედა (საკ. წ. II, 123,2); აჯდა იგი და ყოველნი ლაშქარნი მის თანა ასხდეს (Sin. 8, 275r); აღსხდებოდეს ოცდაათორმეტსა სავედარსა (მსაჯ. 10,4 M); ცხენთა არლა აღესხდეთ (ოსე 14,4).

და შეპმოსა მას ბისონი და ძოწეული და ეტლსა თვისსა აღესხა იგი (საკ. წ. II, 69, 25); აღსუა იგი თვისსა კაპარულსა (ლ. 10,34); აღსუეს იგი კაპარულსა (სინ. 250,31); აღსუას იგი ცხენსა (ესთ. 6,9); აღსხნა იგინი თხემსა ზედა მთისასა (მსაჯ. 16,3 G); აესხნეთ თქვენ აქლემსა ერთფერად (საკ. წ. II, 100,36).

სუეტი იგი საკუმეველისაი დგა ადგილსა მას ზედა სამ დღე შეუძრველად და გამოსცმდა სულნელებასა მიუთხრობელსა და დღესა მესამესა აღკრბა (ასურ. 108,16 = მაღლა ავიდა, მაღლა აიწია, მაღლა აიკრიფა...).

ბერი ვინმე იყო მძოვარი იორდანისა პირსა. და დღესა ერთსა შთავიდა იგი

წმიდად იორდანედ სუმაღ წყლისა. და აღეკუა ფერვსა მისსა ნაკუთი ლერწმისა და დამთა იგი ფერვსა შინა მისსა: ლომ. 5.19 (ფეხში შერეჭო ლერწმის ხიწვიო). ქვევიდან (მიწიდან) ზევით, რასაკვირველია, აღეკუა და არა შეეკუა და სხე.

ამავე მნიშვნელობით იხმარება სინონიმური სომა (= შესობა) ისევე და ისევე აღზნისწინით, მაგალითად: ლომი კელობდა ფრვითა, რამეთუ აღესვა მას ჩნდმ და შეუღვა წალაი (Sin. 8, 367v); მი-თუ-ეყრდენს კაცი /ლერწამსა/, აღესვის ველსა (4 მეფ. 18.21); განაპო ადგილი, სადა აღსობილ იყო ჩნდმ (Sin. 8, 367v); ხოლო მამამან ჩუენმან გულისხმა-ყო მვეცისაი მის ტყივილი და აღუყრა ფერვი მისი და ჩნდმ აღსობილი გამოჰხადა მას (კომ. II, 178.5).

არცა აღმოსავსებელი გაქეს (ი. 4.11 ლაგ. DE-ს უზნისწინო სავსებელი აქეს, ხოლო C-ს — სარწყული). აღმოსება ძველად ნიშნავდა ჭვიდან წყლის ამოღებას (ქვევირიდან ან საწნახლიდან ღვინის ამოღებას). ამიტომ აღმოსავსებელი ის ჭურჭელი იყო, რომლითაც იღებდნენ წყალს. ე.ი. დღევანდელი ვედრო თუ მისი მსგავსი რამ. აღიმის ოთხთავს კარგად აქვს შერჩეული ქართული სარწყული, ე.ი. საწყლე. წყლის ამოსაღები.

აღგურა ყრმაი იგი /სუეტსა ზედა/ (ანტიოქ. 349,28).

ეს, რაც ქვემოდან ზემოთ მიმართულ მოქმედებას შეეხება. ახლა ორიოდე სიტყვა სხვა მიმართულების გამოხატველ ზნისწინებთან დაკავშირებით.

განქორწინება ძველ ქართულში ქალის გათხოვებას ნიშნავდა. მას ხანდახან გვერდში ედგა ორსიტყვიანი ქმრის(ა) ვიღოდან (თხოვდებოდნენო). ვაჟის მიერ ცოლის მოყვანა (შერთვა) სხვადასხვანაირად აღინიშნებოდა: უფრო ძველ ძეგლებში იყო: იქორწინებოდეს (ენ.), ცოლს იხმბიდეს. შემდეგ კი განქორწინება-ს ანალოგიით გაჩნდა შემოქორწინება — მშვენიერი ტერმინი. შინაარსითაც და ფორმითაც ზედმიწევნით ზუსტი და გამართლებული. აი, რამდენიმე მაგალითი: ღღესა მას აღდგომისასა არცა განქორწინებდენ /ქალებს/, არცა იქორწინებოდან /ვაჟები/ (მ. 22.30 DE). C-ში აღწერილი ორსიტყვიანი გამოთქმები გვაქვს, თანაც შებრუნებით. პირველად ვაჟებია, მეორედ — ქალები: არცა ცოლს იხმბიდენ. არცა ქმრის ვიღოდან: განქორწინე ასული შენი (ზირ. 7.26 = გაათხოვე); ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განქორწინებდეს (მ. 24,38). მაგრამ საბოლოოდ (ეგვივე ადგილი): ჭამდეს და სუმიდეს, შემოქორწინებდეს და განქორწინებდეს (აღწ. 227,32). შემდგომში ამ მშვენიერმა სიტყვამ შინაარსი შეიცვალა: ღღეს განქორწინება ცოლ-ქმრის გაყრის ოფიციალური ტერმინია.

დღევანდელი გათხოვება ძველად საცოლის დანიშვნას აღნიშნავდა: თხოვილ იყო ... მარიამ იოსებისა (მ. 1.18 = დანიშნული იყო); თთუესა მას შეექუსესა მიივლინა გაბრიელ ანგელოზი... ქალწულისა, განთხოვილისა კაცისა (ლ. 1.27 C).

და ზნისწინიანი ზნები ზოგჯერ ძველ ქართულშიც გამოხატავს ინტენსივობას, მოქმედების სიმრავლეს, ვთქვათ, ისეთს. ღღეს რომ გვაქვს ასეთ შემთხვევებში: მან სულ დატება (თეფშები). დაზარდა (შვილები და შვილიშვილები). დათალა (ფიცრები). დაასუქა (ღორები), დააფრინა (ბარტყები). დარეცხა (ბევრი სარეცხი)<sup>11</sup>

<sup>11</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 255—258.

და სხვ. აი, ამის ორი მაგალითი:

მკურდარი თქვენნი, რომელნი დაჰსრუნით საშუალ მისსა, იგინი არიან ჯორცნი (ეზექ. 11.7 ო. წ-ში გვაქვს: მოსწყვდენით); შესუამს ცუარსა და დამწუანდის /ყანა/ (H-622,33).

იგივე და ზნისწინი სხვაგან თავისი ძირითადი მნიშვნელობით (ზემოდან ქვემოთ მიმართული მოქმედება) მოხდენილად არის ნახმარი: აპა ესერა ვაცი თხათად მოვიდოდა ბლუარით კერძო პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა და არა დაეხებოდა ქუყანასა (დან. 8.5). დღეს ვიტყვით: არ ეხებოდაო (უზნისწინოლ) ან არ შეეხებოდაო.

ძველი ქართულის ზნისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე ე.წ. ტმესი (განკვეთა)<sup>12</sup>, რომლის არსიც ასეთია: გარკვეულ შემთხვევებში ზნისწინი და ზნა გაითიშებოდა და მათ შორის ჩაემატებოდა სიტყვა ან სიტყვები, მაგალითად: მოვინმევიდა (ვიღაც მოვიდა), შერაფვიდა (როცა შევიდა), და-თუ-ჰვარდე (თუ დავარდები). აღ-თუ ვინმე-აროს იგი ქრისტედ (თუ ვინმე მას ქრისტედ აღიარებს) და სხვ.

ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ზნისწინები წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვებია, რომლებიც მოქმედების მიმართულებას, ადგილსამყოფელს გამოხატავენ. შემდეგ და შემდეგ მიეკედლნენ ისინი ზნას, როგორც მოქმედების გამოხატველ სიტყვას, საბოლოოდ მას შეუერთდნენ და მის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად იქცნენ. ძველი ქართულის ტმესიანი ზნები ასახავს გარდამავალ საფეხურს უძველესი დროიდან, როცა ზნისწინი დამოუკიდებელ სიტყვას წარმოადგენდა და ცალკე იდგა, ახალი ქართულისაკენ, სადაც ზნისწინი და ზნა ერთ მთლიან სიტყვას წარმოადგენს და მათი გათიშვა და ორ დამოუკიდებელ, სრულმნიშვნელობიან სიტყვად დაშლა არ შეიძლება. ასეთი ისტორიის კარგი ცოცხალი მოწმეა გან ზნისწინი (იგი თანდებულადაც არის გამოყენებული), რომელიც დამოუკიდებელი მნიშვნელობით დღესაც იხმარება: გან-ო, შდრ. სიგრძე და განი. აქედანაა ნაწარმოები ახალი ქართულისაკენ სა-განი (ეუკოლ ბერიძე). ასევე ხსნიან და ზნისწინის ეტიმოლოგიასაც, რომელიც ზნებში აღნიშნავს ზემოდან ქვემოთ მიმართულ მოქმედებას: დავარდა, და-ფრინდა, და-ეცა, და-აგლო და სხვ.<sup>13</sup> მეტ-ნაკლებად ასე ითქმის სხვა ზნისწინების შესახებაც.

ძველ ქართულში ტმესის შემთხვევაში ზნისწინსა და ზნას შორის ჩამატებული სიტყვები, შინაარსობრივადაც და რაოდენობრივადაც, მეტად შეზღუდული იყო. ე.ი. ძველი ქართულის ტმესი დაშლისა და გადავარდნის გზაზე დიდი ხნით ადრე შემდგარი მოვლენა იყო. მას, როგორც ასეთს, აქ ახალი ფუნქცია ჰქონდა შებენილი — გამოშახველობის გასაძლიერებლად იყო გამოყენებული. გაქრობადი ენობრივი მოვლენის გადმონაშთებისათვის ამგვარი მეორადი ფუნქციის კისრება ჩვეულებრივია და ბუნებრივი ასახსნელია. ამას უფრო ნათლად გვიჩვენებს "ვეფხისტყაოსნის" მაგალითი.

<sup>12</sup> ვრცლად ამ საკითხზე იხ. თ. ცქიტიშვილი. ტმესი ძველ ქართულში. მაცნე, 5, 1966.

<sup>13</sup> ამ ზნისწინის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. ზემოთ. გვ. 7.



რა და რა სიტყვები შეიძლება ჩამატებულიყო?—ყველაზე მეტად ნაწილაკები. შემდეგ კავშირები. ზმნიზედები, ნაცვალსახელები, იშვიათად თანდებულებიც. რომლებიც. იგულისხმება, იმ ნაცვალსახელებს ახლდნენ.

აქ კურენებთ სათანადო მაგალითებს აღიშნული რიგის მიხედვით.

#### ნაწილაკები

არა, არასადა: თქვენ შე-არა-ხუალთ და შემავალთა უტევებთ არა შესლვად (მ. 23,14; ლ. 11,52); ხოლო აბანო იგი ვერე იყო, ვითარცა გან-ვე არასადა-კურეებულ იყო (საკ. წ. II. 40,21).

ვე: აღ-ვე ამისთვის-გადგინე შენ, რაითა ვაჩუნო შენ ზედა ძალი ჩემი (პრომ. 9,17); რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ვეულოს მისგან (მ. 13, 12; ლ. 8,18; 19,26); ესეცა გან-ვე-ახზე და სიცხითა შემწუაე (ისტ. ქრ. II. 46,27).

მე: მო-მე-იწია თქვენ ზედა სასუფეველი ღმრთისაი (მ. 12,28); ანუ მო-მე-იწია ჩემ ზედა გულის-სიტყუაი ბოროტი (ისტ. ქრ. II. 7,17).

მცა, თუმცა: დამო-თუმცა-ება საფქველე ლოდი ყელსა (მრ. 9,42 C); უზჯობე არს მისა, დამო-თუმცა-ეკიდა მას ფქველი ვირით საფქველი ყელსა მისსა და შთამცა-ვარდა უფსკრულთა ზღვსათა (მ. 18,6 C); მო-მცა-ვედ და მო-მცა-ვილე ჩემი იგი აღნადგინებთურთ (მ. 25,27 C).

ნუ: აღ-ნუ ვინ-ანთის სანთელი და ქუეშე შედგის კვირსა (მრ. 4,21); მო-ნუ ვინ-ილის სანთელი (იქვე, C); მო-ნუ-ისთულან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროისთავთაგან ლელვ (მ. 7,16 C).

ოდენ: ივინიცა... გან-ოდენ-იგებდეს სათრომელთა (მრ. 1,19 C); დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო (ი. 7,14); და ვითარ აღ-ოდენ-მეკიდა იგი და მოვიდოდე აქა (ისტ. ქრ. II. 27,32).

რე: მეგობარო, აღ-რე-გუაღე ზემო კერძო (ლ. 14,10 CD); გარე-იდგინა იგი პეტრე (მრ. 8,32).

და: აღმო-და-ილე პირველად დირე იგი (მ. 7,5 C); და-ლა-ადგრა ადგილსა მას ... ორ დლე (ი. 11,6); შაბათი იგი და-ლა-იდუმე (ლ. 23,56).

ცა: აღ-ცა-ივსებოდა ნავი იგი (მრ. 4,37); მო-ცა-მიძულეს მეცა და მამაცა ჩემი (ი. ზნძი): შე-ხოლო თუ-ვახო ფესუსა სამოსლისა მისისასა, ეცხოვნდე (მ. 9,21); რაითამცა შე-ხოლო ვითარ-ახეს მას (მრ. 3,10 C).

#### კავშირები

თუ: გამო-თუ-იბას ქელსა მისსა ვირით საფქველი (მრ. 9,42); და-თუ-ქვარდე და თაყუანის-მცე მე (მ. 4,9 C); მი-თუ ვისმე-უტევენთ ცოდვანი, მიუტენენ (ი. 20,23 C).

რამ: აღ-რამ-ესრულნეს დღენი იგი, შეემშია (ლ. 4,2); გამო-რამ-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათა (ლ. 1,22); მი-რამ-ილო, არა უნდა სუმის (მ. 27,34).

ვინმე [1] სახ. ბრ. ]: მო-ვინმე-უკდა მას კაცი (მ. 17,14 C; 19,16); მო-თუ ვინმე-კუდეს უშვილო (მ. 22,24 C); მო-ვინმე-ეგებოდა კაცი ქალაქისაგან (ლ. 8. 27). ამ მაგალითებში ვინმე მხოლოდითი იგულისხმება. უკანასკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი (მ. 26,60 C); მო-ვინმე-აუღინეს მისა ფარისეველნი და ჰეროდანნი (მრ. 12,13); მო-ვინმე-სრულ იყვნეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას (ლ. 13,1). აქ კი ვინმე მრავლობითს გულისხმობს.

[2] მოთხ. ბრ. ]: მი-ვინმე-უგო ერთმან ერისაგანმან და ჰრქუა (მრ. 9,27); აღ-ვინმე-ილო ... უმა ერსა მას შორის (ლ. 11,27); აღ-თუ ვინმე-იაროს იგი ქრისტედ (ი. 9,22).

[3] მიც. ბრ. ]: მი-თუ ვისმე-უტყვენთ ცოდეანი, მიეტყვენ (ი. 20,23 C); მი-ვითმე-უგეს მწიგნობართაგანთა და ფარისეველთა (მ. 12,38).

რამე: არცა შე-რამ-გირაცხიეს. რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, კაცი თუ ერთი მო-კუდეს ერისა ამის წილ (ი. 11,50 C).

რამე: იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტელთასა, რამთა მო-რამე-უშაღონ მას (ლ. 9,52).

ჩვენი მაგალითები ისეთია, რომ ზმნისწინი ახლავს პირიან ზმნას. ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ტმესი მარტოოდენ პირიან ზმნებთანა დაკავშირებული და საკითხი მხოლოდ და მხოლოდ მათ ეხება. არა, ტმესი ყოველნაირ ზმნას შეიძლება ჰქონდეს, პირიანსაც და უპირიანსაც (საწყისებსა და მიმღებებს), მაგრამ, ბუნებრივია. იგი აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში მაინც პირიან ფორმებთანა დაკავშირებული. აქვე ვაჩვენებთ ტმესს უპირო ზმნებშიც:

საწყისი: უბრძანა მათ (ნავი) ქუეყანით შე-რე-დგინებად მცირედ (ლ. 5,3); C-ში საწყისი სახელობით ბრუნვამა: შე-რე-დგინებამ.

მიმღება: თქვენცა უკუე შე-ვე-ცთობილ ხართა (ი. 7,47); ანუ შე-მე-ჰყრობილ ვიყავ ძილითა მოდრეკასა მუკლთასა? (ისტ. ქრ. II, 7,17); მო-ვინმე-სრულ იყვნეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას (ლ. 13,1); მი-ღათუ-წვენულ იყოს აღსასრულისა თვისისა ჟამთა.... ნუეე წარჰკუეთნ სასოებასა (სინ. 227,16); ხოლო აბნო იგი ვერე იყო, ვითარცა გან-ვე არასადა-უკრეებულ იყო (საკ. წ. II, 40,21).

ზოგჯერ ზმნას ზმნისწინი არ მოეპოვება, მაგრამ ტმესი მაინც გვაქვს. როდის ხდება ეს, ერთი შეხედვით, უცნაური ამბავი? ამას ადგილი აქვს ე.წ. რთულ ზმნებში, რომელთა პირველი, სახელადი, ნაწილიც თითქოს ზმნისწინის მაგივრობას წევს (როგორც ცნობილია, რთულ ზმნებს ზმნისწინი არ მოეპოვებათ)<sup>14</sup>. მაგალითები: ველ-მე-წიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად. ვიდრემდის სიძე იგი მათ თანა არს (მ. 9,15); ჯერ-თუ-არს ვისამე განტყეება ცოლისა თვისისა ყოვლითა მიზეზითა (მ. 19,

<sup>14</sup> რთული ზმნების შესახებ იხ. ჭ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში: კუშინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები. 13. 1959; მისივე, რთული ზმნები ძველ ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედვით: იქვე, 15. 1960.

3 C): ჯერ-თუ არს ქმრისა ცოლისა დატყუებულად (მრ. 10,2 C).

რამდენი სიტყვა (ერთეული) შეიძლება იყოს მოთავსებული ზმნისწინსა და ზმნას შორის? ყველაზე ხშირია ერთი სიტყვა. უფრო ნაკლებად — 2. კიდევ ნაკლებად — 3. იშვიათია 4. დღემდე 4-ზე მეტი არ მოგვეპოვება. უფრო ზუსტად: ჩვენ არ შეგვხვედრია.

აი, თითო-ოროლა მაგალითი (ზოგს განმეორებით ვიმოწმებთ, ამიტომ წყარო-ზე აღარ მიუთითებთ):

ა) აღ-რა-მ-ეს-რულნეს. მო-ვე-ეღოს. მო-მცა-ვედ. და-თუ-ყოვნა. შე-არა-ხუალთ.

ბ) შე-ხოლო თუ-ვახო. შე-ხოლო ვითარ-ახეს. აღ-ნუ ვინ-ანთის. მო-ნუ ვინ-ილის.

გ) ანუ გან-შე რას ზედა-ვარისზე ძმა ჩემი (ისტ. ქრ. II, 27,7); გან-ხოლო თუ-ვითარ-იკურნოს (იერ. 51,8); აღ-ვე ამისთვის-გადგინე (თანდებული ჩათვლილია ცალკე ერთეულად); ნინეველნი სწრაფით განათავისუფლებდეს მონათა, ჩვენ და-ხოლო ნუ ვის-ვიმონებთ სიცრუვით (ისტ. ქრ. II, 34,19); სასყიდელსა მუშაქისასა ეძიებს. რომელთა დააკლეს. და ცრემლთა შენთა სასყიდელი და-შე+მცა რამ-გაქ-ლოა? (ისტ. ქრ. II, 8,24. აქ ნაწილაკები შე და მცა ორ ერთეულად არის ჩათვლი-ლი).

დ) 4 ელემენტი გვექნება. თუ რთულ დათუ და ვინმე სიტყვების წარმოშობას გაეითვალისწინებთ და შეზღვევულ ელემენტებად დაეშლით: მო-ლა+თუ ვინ+მე გაკუდინოს შენ. გზაივე შენი იგი არს (სინ. 221,11); მი-ლა+თუ ვინ+მე წყენულ იყოს (სინ. 227,16).

ტმესი, როგორც მოვლენა, თვით ძველ ქართულში განიცდიდა რღვევას და ხმარებიდან თანდათან გადიოდა. ამის მარჯვენებელია სახარების ტექსტები. რომელთა ახალი რედაქციებიც დიდმა ქართველმა ლიტერატორებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლებმა შექმნეს: მათში საგრძნობლად შემცირებულია ტმესიანი ზმნების ხმარება (აქ ხშირად მო-რა-მ-ვიდა -ს მოვიდა რამ ცვლის). ყოველ შემთხვევაში, XII საუკუნის აქეთ ტმესი, როგორც ნორმა და ჩვეულებრივ წერა-მეტყველებაში სახმარებელი ფორმა, აღარ გადმოსულა. ამას არ ეწინააღმდეგება ტმესიანი ფორმების ხშირი ხმარება "ეფესისტყაოსანში". ამ დიდებულ ქნილებაში ავტორი ტმესს იყენებს ახალი ფუნქციით — წმინდა მხატვრული თვალსზრისით და უმაღლეს ექსპრესიულ ეფექტსაც აღწევს.

ტმესი, როგორც იშვიათი გადმონაშთი და როგორც ერთ-ერთი პოეტური ხერხი (არქაიზმი, ლექსისათვის ერთგვარი არქაული კოლორიტის მიცემა), იშვიათად თანამედროვე პოეზიაშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ ეს უკვე საეტიკალური კვლევის საგანია და აქ ამაზე დავიდუბებთ.

## II. პირის ნიშნები

მეტად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ძველი ქართული ენა პირის ნიშან-თა ხმარების თვალსაზრისით. ეს ეხება როგორც სუბიექტურ, ისე ობიექტურ პირის ნიშნებს. ექვსი პირიდან (3 სუბიექტური, 3 ობიექტური) ხუთს პრეფიქსი აქვს ნიშნად. ერთადერთს — სუფიქსი. ყველა მათგანს აქვს თავისი დამახასიათებელი თავისებურება, განსხვავებული დღევანდელი ვითარებისაგან. ამიტომ ისინი ცალ-ცალკე უნდა მიმოვიხილოთ.

### A. სუბიექტური პირის ნიშნები

#### 1. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი (S<sub>1</sub>)

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი წარმოშობით (არსებითად) ერთია, ესაა ვ, რომელიც სხვადასხვა ფონეტიკურ ვითარებაში განსხვავებულ სახეს ღებულობს.

ა) S<sub>1</sub> = ვ. ვ გვაქვს. უპირველეს ყოვლისა, თანხმოვნების წინ: ვ-ბერდები, ვ-გალობ. და-ვ-ვარდები, ვ-ზრდი, ვ-პოვე, ვ-სუამ, ვ-ფრდი, ვ-ქადაგებ, ვ-ღალადებ, ვ-ყავ. ვ-ჩან. ვ-ცან და სხვ.

ხმოვანთაგან ვ შეიძლება იყოს მხოლოდ ა, ი და ე-ს წინ: ვ-არ, ვ-აქე, აღ-ვ-აგე. ვ-იცი. ვ-იწერ. ვ-იქმ. მი-ვ-ეც. ვ-ესავ. ვ-ევედრები...

ბ) ხანმეტსა და ჰემეტ ტექსტებში (კბილბაგისმიერი) ვ ზოგჯერ (წყვილბაგისმიერ) უმარცვლო უდ (უბრჯგუდ) გადაიქცევა. ეს მაშინ ხდება, როცა ფორმაში მასთან ერთად არის კიდევ მესამე ობიექტური პირის ნიშანი ხ (ხანმეტ ძეგლებში) ან ჰ (ჰემეტში). ასეთ შემთხვევაში ძველ ქართულში რიგი შებრუნებული იყო: ჯერ ობიექტური ნიშანი იდგა, მერმე — სუბიექტური: ხუ, ჰუ, ე.ი. ვინი ჯერ გადასმული იყო და შემდეგ გადაქცეული (შენაცვლებული) იყო უმარცვლო უდ (ხ-სთან)<sup>15</sup>: ხ-უ-კითხე (←-უ-ხ-კითხე), შე-ხ-უ-ძინე, ხ-უ-აჩვენე, ხ-უ-ეტყოდე და მრავალი სხვა.

აი, რამდენიმე მაგალითი ხანმეტი და ჰემეტი ძეგლებიდან:

მე. ფარნაეაზ. და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი (ისტ. ქრ. I, 14); მე, თათეა-რაზ. აღზუართე ესე ჯუარი (იქვე, 15); აღზუაგზენე ცეცხლი ბჭეთა იერუსალმშიას-თა (იერ. 17, 27); ჩუენ ხუარწმუნთ მას და თქუენ უზრუნველ-გყენეთ (მ. 24, 14); აჰ ზოგი ფასისა ჩემისაი მიხუეც გლახაკთა; და რომელი მე მომეხუეცა. მიხუაგო-ოთხ ნაწილად (ლ. 19, 8); უკუეთუ არა... დახუდვა თითი ჩემი სახესა მას ფერუთასა და დახუდვა ველი ჩემი გუერდსა მისსა. არასადა მრწმენეს (ი. 20, 25); ნეტარ ხიყენენ. რომელთა არა ხუეხილვო და ხურწმენე (ი. 20, 29); ესე აღზუასრული და

<sup>15</sup> ა. შანბე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ნიშნებში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. I. 1957.

დასუბეჭდო ნაყოფს მას მათსა (პრომ. 15.28); რადთა მიხუშსვაგუნეთ ჩუენ პატიოსანსა მას მოძღუარსა ჩუენსა, ძესა ღმრთისასა (ისტ. ქრ. I. 34.3); აღხუტყორცებ ტყავსა მას ზე აერთა (იქვე); შეხუერდეთ და ხუმაღლობდეთ ... და შეხუწირვიდეთ უფლისა მიმართ (იქვე, 46.32); თავყანის-ხუტეზდეთ და ვადიდებდეთ მამასა (იქვე, 48.9).

ჯუარი ესე ქრისტჲსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჲუმართე ... ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა (ისტ. ქრ. I, 15); მოჲუგუარე იგი მოწყაფეთა შენტა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისსა (იქვე, 51).

გ) თუ წინა მუხლში აღწერილი შემთხვევებისას უმარცვლო უ-ს მოსდევს ი ხმოვანი (უფრო ხშირად ვნებითის, უფრო ნაკლებად სათავისო ქცევის ნიშანი). ხდება შერწყმა და მივიღებთ უ-ს ( $\psi + \theta = \psi$ ). მაგრამ ეს ვ აქ არ არის მარტო (პირველი სუბიექტური) პირის ნიშანი. ამასთან ერთად მასში შესულია გეარის ან ქცევის ნიშანი თ-ც. აქ უ-ს პირის ნიშნად მხოლოდ პირობით ვთვლით.

ამის მაგალითები იქნება: რომელსა ხვტყოდე (+ხუიტყოდე) ყოფად მათ ზედა (იერ. 18.8); უკუეთუშცა ხვეყნით დღეთა მათა ჩუენთასა, არამცა ხვეყნით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა (მ. 23.30).

ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ჰყყავ (მ. 17.5); არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ველმწიფებითა ამას ჰვექმ (მ. 21.27 C).

დ) თ-სა და უ-ს წინ ვ არ იწერება. ძველი ქართული გულმოდგინედ იცავს წესს: წერე, როგორც გამოთქეამ. ამიტომ იქ გამოთქმასა და წერას შორის თითქმის სრული შესატყვისობაა. გამოთქმაში ვ თ-სა და უ-სთან არ ისმის, ამ შემთხვევებში იგი არ გამოითქმებოდა (და ახლაც არ გამოითქმება) და არც წერდნენ (ახლა აუცილებლად ვწერთ. აზრის სიზუსტე მოითხოვს მის წერას: დაობლდი, მოუწოდე პირველი პირიც იქნებოდა და მეორეც).

უ-ს შემდეგ თ ქართულ ზნაში. როგორც მორფოლოგიური ელემენტი, არა გვაქვს. ამიტომ ვ+თ მხოლოდ ნასახელარ ზნებში იყო და არის. ძველ ქართულში ასეთი შემთხვევები ძალიან ცოტაა; რაც არის, ისიც იშვიათად იხმარება. ასეთი ზნებია, ტექსტებში რომ შეგვხვედრიან. დაობლება და შეორგულება. პირველ სუბიექტურ პირში (IX საუკუნიდან მეორეშიც) გვქონდა: მე დაობლდი, შეორგულდი (შევეკვდი, დავეკვდი). მესამე პირში ხშირად გვხვდება თხრის, თხრიდა (ხმამაღლა ხმაურობდა; ითქმის ქუხილზე, ზღვის დღეღვაზე, საერთოდ, დიდ ხმაურზე). მაგრამ I და II პირებში. გასაგები მიზეზის გამო, არ იხმარება (თეორიულად იქნებოდა: თხრი, თხრიდი, თხრიდე (მე, შენ). ძველად არ გვქონდა ამ ტიპის სხვა ზნები.

აი, ის ორიოდე მაგალითი, რაც მოვიპოვეთ: ვამ ჩუენდა, რამეთუ დღეს დაობლდი და მიგუეღების მარგალიტი ჩუენი ჩუენგან (ფებრ. = Sin. 6, 199v; პარხ. 666a); დაობლდით მათგან და არა გუაქუს, თუ ვისა წარვიდეთ (მ. ცხ. 87r); უფლისა მოსლვაჲ კართა ზედა გუადგს. და ჩუენ ორგულებთ (საკ. წ. II, 52,28); შეორგულდი მე და ათნი იგი ჩემ თანა (ისტ. ქრ. I. 234. 15). შდრ. II პირის ამგვარივე ფორმა: უწყი, რამეთუ შეორგულდი და სთქუ გონებასა შენსა (იქვე, 250. 8). რომ აქ მეორე პირი იგულისხმება. ამას. შინაარსის გარდა (მე ვიცი, რომ შენ დავეკვდიო), და-თი შეერთებული მეორე ზნაჲ ამჟღავნებს: შეორგულდი და სთქუ გონებასა შენსა.

სიტყე კი საკუთრივ მეორე პირია და ამავე დროს სხვა პირი (პირველი) არ შეიძლება იყოს. შეორავული მე, მაგრამ: შეხორავული, შეპორავული შენ, მაგრამ ამაზე ქვეით.

რაც შეეხება უ-ს. ის, როგორც სასხვისო ქცევის პრეფიქსი, თითქმის ყველა ზმნას შეიძლება ჰქონდეს წინ (პირის ნიშანსა და მომდევნო ნაწილებს შორის) და ამიტომ ენაში ძალიან ხშირად იხმარება: მე მოუწოდე, უთხარ, დაუწერე, მოუღე, დაუბევე, უწუნე, უყავ, მოუყარ, შეუძლე და სხვა მრავალი. არსად ასეთ შემთხვევაში, ვიბეგრებთ, პირის ნიშანი ვ არ იწერება. ძველ ქართულში აქ არც ერთი გამონაკლისი არ გვხვდება.

აი, ამის რამდენიმე ნიმუში ძეგლებიდან:

რომელსა მე ამბორს-უყო. იგი არს, შეიყარო იგი (მრ. 14,44); ესწავლო იგი და განუტეო (ლ. 23,16); ოდეს-იგი ხუთი ვუეზაი განუტეხე ხუთ ათასსა (მრ. 8,19 C); და განუწესე მას როჭივი ჩემთაგან საუნჯეთა (ისტ. ქრ. I, 249, 12); არა დაუტეუ ვებო მე მარტოი (ი. 9,29 C); რომელსა მე დაუწო პური და მივსცე, იგი არს (ი. 13,26); შეუღვე პირველითგან ყოველთა ჭეშმარიტად (ლ. 1,3); მე ულოცვილე მამასა (ი. 14,16 C). მამასა უყუარ მე (ი. 10,17); რომელსა-იგი სარცხენელ უწნდე მე..., ძემანცა კაცისამან არცხენოს მას (მრ. 8,38); ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ, და ვპრწმენე (ი. 20,29).

სიტყვთა შენითა გარდაუტეოთ ბაღც (ლ. 5,5); რომლისა თანა იგავისა დაუღვათ იგი (მრ. 4,30 C); ჩუენ უთხართ კითხვისა მისისაებრ (დაბ. 43,7); რადთა მოუთხრათ მომავლინებელთა მათ ჩუენთა (ი. 1,22 C); ვითარცა ჩუენ მოუტევეთ თანა-მღებთა ჩუენთა (მ. 6,12); უკუეთუ მოუშუათ ესრეთ, ყოველთა პრწმენეს იგი (ი. 11,48); წინა-ალუღვთ მას მახვლითა (სწავ. 272,4).

უ ხმოვნით ერთადერთი ზმნის მარტივი ფუძე იწყება. ესაა უწყ<sup>16</sup>: მე უწყი, შენ უწყი, მან უწყის და სხვ. ცხადია, ვ პირველ პირში არც აქ გვექნება. რამდენიმე მაგალითი: აწ უწყი, რაი ვყო (ლ. 16,4); უწყი, რამეთუ მესია მოვალს (ი. 4,25 C); არარაი სხუაი შეჯული უწყი, თვნიერ ქრისტეანობისა (საკ. წ. II, 21,29); ჩუენ არა უწყით (ი. 9,21 C); მე უწყოდე, რამეთუ ყოველსა ეაშას ისმინი ჩემი (ი. 11,42 C); რადთა უწყოდი ესე (ლ. 1,18 C; DE: ვცნა).

როგორც ვხედავთ, I და II სუბიექტური პირების ფორმები აქაც ერთმანეთს ემთხვეოდა და ურთიერთისაგან არ იყო გარჩეული. საქმე ეხება მეცხრე საუკუნის შემდეგდროინდელ ენას, რომელსაც S<sub>1</sub> და O<sub>1</sub> ნიშანთა მიხედვით სანნარევს უწოდებენ (გვექნდა ხანმეტი, ჰემეტი და სანნარევი ფორმები. უფრო დაწვრილებით — ქვემოთ. ჩვენ აქ და ქვემოთ ყველგან, თუ საუკეთესოდ სანმეტსა და ჰემეტზე არაა საუბარი, მაგალითებად მოგვყავს მხოლოდ ეს. სანნარევი, ფორმები). ასეთებია, მაგალითად: მე/შენ მიუგე, მიუგო, დაუბევე, დაუბეო, უწუნე, უწუნო, უთხარ, უთხრა. უწყი ... ჩუენ/თქვენ უწყოდეთ, უწყოდით, მიუგეთ, მიუგოთ, დაუბევეთ, დაუბეოთ, უწუნეთ, უწუნოთ, უთხართ, უთხრათ და სხვ. ამ პირებს შორის გან-

<sup>16</sup> ფიქობენ, რომ გამონაკლისი არც ეს ზმნა უნდა იყოს, თავიდანვე უაქაც ქცევის ნიშანი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგ შეუხორცდა იგი ზმნის ძირსა (დ.მაჭავარიანი, უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 11, 1953).

სხვაეება ამ შემთხვევაში არც ხანმეტსა და ჰემეტ ძეგლებში იყო (შე მიხუგე — შენ მიხუგე, ჩუენ ხუუენეთ — თქუენ ხუუენეთ ...), მაგრამ ამაზე დაწერილებით ქვემოთ გვეჩენება საუბარი.

## 2. მეორე სუბიექტური პირის ნიშანი (S<sub>2</sub>)

მეორე სუბიექტური პირის ნიშნის განხილვისას ცალ-ცალკე უნდა გავანალიზოთ ხანმეტი. ჰემეტი და სანნარევი ძეგლების ფორმები, რადგანაც მათ სხვადასხვაგვარი წარმოება აქვთ.

### ა) ხანმეტი ძეგლები

ხანმეტ ძეგლებში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად (S<sub>2</sub>) გვაქვს ხ პრეფიქსი: შენ ხ-ტირ, ხ-წერ, ხ-კლავ, ხ-აქე, გან-ხ-ატფე, და-ხ-აჭნე, ხ-იცი, ხ-იმი, და-ხ-ობლდი, შე-ხ-ორგულდი, ხ-უწყი.

ასევე ხ გვეჩენება მრავლობითშიც: ხ-ტირ-თ, ხ-წერ-თ, ხ კლავ-თ, ხ-აქე-თ, გან-ხ-ატფე-თ, და-ხ-აჭნე-თ, ხ-იცი-თ, ხ-იმი-თ, და-ხ-ობლდი-თ, შე-ხ-ორგულდი-თ, ხ-უწყი-თ.

მაგალითები ხანმეტი ძეგლებიდან:

თქუმულ არს პირველთა: არა ცილი ხეუცო (მ. 5,33); შეხიყუარო მოყუასი შენი და მოხიძულო მტერი შენი (მ. 5,43); ნუ ხქალაგებ წინაშე შენსა (მ. 6,2); მაშინ ხიხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა (მ. 7,5); უკუეთუ შენ აღხილე, მითხარ შე, სადა დახდე (ი. 20,15); ხეძიებდით და ხპოვით (მ. 7,8); უკუეთუ თქვენ უკეთურთა ხიცით ნიჭისა კეთილისა მიცემა შეილთა მათ თქვენთა (მ. 7,17); რაითამცა ველითა ჩემითა ხქმენთ ძალი (ისტ. ქრ. I, 33,24); რომლისათვის თქვენ აღხდეგით და საკრველითა შეხკართ იგი და მოხკალთ და ხთქუთ (იქვე, 34.4-5).

ძველი (ხანმეტობის) დროიდან ხანი მეორე სუბიექტური პირის ნიშნად გადმონათის სახით დღესაც შემოგვრჩა მხოლოდ ორ ზნაში. ესენია: ხ-არ და ხ-ვალ /ხ-ვედ /ხ-ვიდ ფორმებში: შენ ხ-არ, თქვენ ხ-ართ, შენ ა-ხ-ვალ, გა-ხ-ვალ ... წა-ხ-ვალ. თქვენ ა-ხ-ვალთ, გა-ხ-ვალთ ... წა-ხ-ვალთ; შენ მო-ხ-ვედი, წა-ხ-ვედი; შენ უნდა მი-ხ-ვიდე, წა-ხ-ვიდე; თქვენ მო-ხ-ვედით, წა-ხ-ვედით, თქვენ უნდა მი-ხ-ვიდეთ, წა-ხ-ვიდეთ ...

ხანმეტ ტექსტებში, როგორც ვნახეთ, ყველა ზნა მეორე სუბიექტურ პირში ხ პრეფიქსს დაირთავდა. მამსაღაძე, ჩუენი დღევანდელი ხარ, ხართ, მიხვალ, მიხვალთ ... იმ ძველი დროის გადმონათია.

### ბ) კანმეტი ძეგლები

ჰემეტ ძეგლებში ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხანმეტში მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ხ გვეჩენდა, კ იხმარებოდა. მაგალითად: შენ კ-ტირ, კ-წერ, კ-კლავ.

ჰ-აქე, გან-ჰ-ატყე, და-ჰ-აჭნე, ჰ-იცი, ჰ-იმი, და-ჰ-ობლდი, შე-ჰ-ორგულდი, ჰ-უწყი. მრავლობითიც ასე გვექნება: ჰ-ტირ-თ, ჰ-წერ-თ, ჰ-კლავ-თ, ჰ-აქე-თ, გან-ჰ-ატყეთ, და-ჰ-აჭნეთ, ჰ-იცი-თ, ჰ-იმი-თ, და-ჰ-ობლდი-თ, შე-ჰ-ორგულდი-თ, ჰ-უწყი-თ.

ჰემეტი ტექსტები გაცილებით ნაკლებია შემონახული, ვიდრე ხანმეტი. აღსანიშნავია, რომ ჰემეტი ფორმები ზოგჯერ ხანმეტ ტექსტებშიც არის დადასტურებული. ასე, მაგალითად, ხანმეტ ლექციონარში 172 საერთო რაოდენობიდან 165 ხანმეტი ფორმა, 7 — ჰემეტი. ეს ეხება ხანისა და ჰეს ყველა ფუნქციით ხმარებას — S, O, და სხვ. ჩვენთვის აქ საჭირო მაგალითებიც, ცხადია, ცოტაა. აი, რამდენიმე ნიმუში, სადაც S-ის ნიშანი ჰ: რასეაშს ჰიხილოთ ესე ყოველი (მ. 24,33); ამა ეგერა წინა-გიღვს თქვენ გალილეად, მუნ ჰიხილოთ იგი (მრ. 16,7); რად არიან სიტყუანი ეგე, რომელთა ჰიცილობთ ურთიერთას სლვასა შინა (ლ. 24,17); რადსა მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰჭამთ და ჰსუამთ (მრ. 2,16); რადსა აღშფოთებულ ხართ და ჰტირთ (მრ. 5,39); უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოება და არა შეჰორგულდეთ (მ. 21,21. მესტიის სახარების ხელნაწერშია "შეორჰგულდეთ", მაგრამ ჰ აქ გადასმულა: შეჰორგულდეთ → შეორჰგულდეთ. ამ ხელნაწერში ჰემეტი ფორმები სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად: უკუეთუ მეუფება მეუფებასა განჰეთა: მრ. 3,24; უკუეთუ სახლი სახლსა განჰეთა: მრ. 3,25. ასე რომ, შეჰორგულდეთ აქ შემთხვევით არ არის დაშვებული<sup>17</sup>.

### ბ) სანაარაჰი მხვლავი

როგორც ნაჩვენებია იყო, ხანმეტსა და ჰემეტ ძეგლებში მეორე სუბიექტური ჰირის ნიშნად იყო მხოლოდ ერთი ბგერა — პრეფიქსი ხ (ხანმეტში) და ჰ (ჰემეტში). IX საუკუნიდან იწყება ამ უკანასკნელის (ჰემეტის) დაშლა და დანაწილება, პრეფიქსი ჰ მომდევნო ბგერების გაუღებით იცვლება: ხმოვნების წინ ყველგან იკარგება (ისინიე...), ე.წ. დელის ბგერების<sup>18</sup> წინ (დ. ტ. თ. ძ. წ. ც. ჯ. ჭ. ჩ) სანად იცვლება<sup>19</sup> (ს-ტირ ...), ხოლო დანარჩენი თანხმოვნების (ე.წ. მამის ბგერების<sup>18</sup>) წინ უცვლელად რჩება (ჰ-ყავ ...). ეს პროცესი, როგორც ითქვა, IX საუკუნეში იწყება და ჩვენს დრომდე მოდის. პირველი დიდი ძეგლი, რომელშიც იგი კარგად ჩამოყალიბებული და დახვეწილი სახით გვხვდება, ცნობილი სინური მრავალთავია, რომელიც 864 წელს არის გადაწერილი იერუსალიმში. თქმა არ უნდა, მისი ჩანასახი და განვითარების პირველი საფეხურები უფრო ადრეულ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო ძველი თარიღიანი ძეგლები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. აი, რამდენიმე ნიმუში ამ ძვირფასი წიგნიდან (წიგნის რიგზე):

<sup>17</sup> ჰემეტობის შესახებ დაწერილებით იხ. ა. შანიძე, ჰემეტობა აღიშის სახარებაში: ტუმ. 2, 1922—23; მ. შანიძე, ჰემეტობის გადმონათები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1. 1959.

<sup>18</sup> "დელის ბგერები" და "მამის ბგერები" ა. შანიძის ტერმინებია, იხ. "სუბიექტური პრეფიქსი მეორე ჰირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე ჰირისა ქართულ ხანებში", 1920, გვ. 183.

<sup>19</sup> ზოგჯერ, უფრო გვიან, სისინა ს მიშინა ჯ. ჭ. ჩ აფრიკატების წინ მიშინა შდ იქცევა (ასიბილაცი), მაგალითად: მუნ შ-ჯედ, შ-ჭამ, გამო-შჩნდი: მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960, გვ. 50—52.



წინაწარმეტყველთა იკითხაეთ და არა გულისხმა-ჰყოფთ (58.14); ვითარ ვჯუარ-ცმულს აღიარებ ღმრთად (58.29); უწყი, რამეთუ შეორგულდი და სთქუ გონებასა შენსა (66.12); უკუეთუ იხილავ (67.14); და რაჟამს ჰპოვნე ... მუწყე წიგნითა (68.17); თქვენ თვთ სწამებთ (72.18); ვითარ არა შესძრწუნდი? არამედ სთქუა სამე (77.24); აწ გარეშელა სდგა კართა (84.3); საღმრთონი წიგნნი აიხუენ და ჰპოო (85.11); რადითაჲცა აღჰზარდე და გესუა ეგე ყრმად (96.36); ყოვლისა მის ხისა სამოთხისა ნაყოფი შჰამოთ. ზოლო ხისა მისგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა არა შჰამოთ (101.28); რაჟამს გარდარეულად ჰჰამადითა დასტენო და აღმოიგსო მუცელი შენი (109.37); ჰსუმიდე შენ წყალსა კევისასა (128.31); სიკედლილსა შინა არა დაჰმთე (157.2); რადითა არა ფიცსა ზედა შეჰჰალაეანდო თავი თვისი ... და წინაწარმეტყველი მოჰკლა (210.14-15).

ზოგჯერ ხ. ს. ზ. შ. ღ ბეგრების მეზობლობაში S<sub>2</sub>-ის ნიშანი 3 იკარგებოდა. მაგალითად: რადის სძე და ხურინავ (იონა 1, 6; სინ. 163, 17)<sup>20</sup>. ზ.სარჯველაძე ისეთ ფორმებსაც გამოავლენს, სადაც ს პრეფიქსი იკარგვის: თქვთ (უნდა იყოს სთქვთ), ცნობ (უნდა იყოს სცნობ) და სსვ.<sup>21</sup>

ამგვარი ფორმები გამოჩნდისებია. როგორც წესი, თანხმობების წინა პოზიციიში S<sub>2</sub>-ის ნიშნები მყარად დგას.

### 3. მასაჲ სუბიექტური პირის ნიშანი (S<sub>3</sub>)

მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მრავალმხრივ არის საყურადღებო:

ა) 6 პირიდან (სამი სუბ., სამი ობ.) იგი ერთადერთია, ზმნას ბოლოში რომ ერთვის. სუფიქსია (წერ-ს, ჰამ-ს, აღაშენ-ა ...). სხვა ყველა თავში ერთვის, პრეფიქსია (უწერ, სწერ, მწერს, გწერს, ჰკითხავს).

ბ) იგი ერთადერთია, რომ ბევრია ერთდროულად (ს, ნ, ა, ო, დ, ენ, ან, ეს, ნ, ედ), სხვები კი არსებითად მხოლოდ ერთია: უწერ, ხწერ (ჰწერ, სწერ), მწერ-ს, მი-ხწერ-ს (მი-ჰწერ-ს, მი-სწერ-ს). თუ აქ სადმე პირის ნიშანთა რაოდენობა ერთს სცილდება და მეტია, იგი ან მხოლოდ წარმომავლობით სხვდასხვა კილოს კუთვნილება (მაშასადამე, არსებითად მაინც ერთია), ანდა ფონეტიკურ ნიადაგზეა წარმომდგარი (ვ, უ, ძ ...). მესამე პირის ყველა ნიშანზე ეს არ ითქმის.

გ) ყველა სხვა ხუთი პირის ნიშანი, ზმნაში პრეფიქსის სახით რომ არის წარმოდგენილი. მხოლოდ ერთ ფუნქციას ასრულებს — აღნიშნავს პირს, რიცხვის გამოხატვა მათ არ ევალებათ. ამისთვის ენაში სხვა ნიშანი არსებობს (თ. ენ): მესამე სუბიექტური პირის ნიშანი კი იმავედროულად რიცხვსაც გამოხატავს: ს, ნ, ა, ო, დ. — მხოლობითს, ზოლო ენ, ან, ეს, ნ, ედ — მრავლობითს (იგი წერ-ს, მან დაწერ-ა. დაიწყ-ო; იგინი წერ-ენ, არი-ან, მათ დაწერ-ეს, უნდა წერო-ნ). აქ ირდევვა ქართული ენისათვის დამახასიათებელი აგლუტინაციის პრინციპი და ერთი ფორმანტი ორი

<sup>20</sup> დაწერილებით ამის შესახებ იხ. ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I. ნაწ. II. 1971. გვ. 25.

<sup>21</sup> ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. გვ. 383-384.

ფუნქციის შესრულებას კისრულობს<sup>22</sup>.

ჩამოთვლილი ათი ნიშნიდან დღევანდელ ენაში ზოგი აღარ იხმარება (მხოლოდითის ნ, დ; მრავლობითის ედ); ამასთან ზოგი სუფიქსის გამოყენების არე ძველ ქართულში სხვაა, კიდრე დღეს არის. მაგალითად:

ა) ენებითი გვარის ზმნებში დღეს აწმყოს მესამე პირში (მხ. რ.) ა სუფიქსი გვაქვს: იწერება-ა, ემალება-ა, ბერდება-ა, მტკიცდება-ა, თბება-ა, ძველ ქართულში კი ს გვექონდა: იწერები-ს, ემალები-ს, ბერდები-ს, განმტკიცები-ს, ტფები-ს.

ახალ ქართულში ა-ს დართვის გამო ფუძისეული ი ამოღებულია და ამ მწკრივში ორი ფუძე გვაქვს: ერთი მხოლოდითის მესამე პირში, მეორე — სხვაგან ყველგან: იმალება-ა; ე-იმალები, იმალები, ე-იმალები-თ, იმალები-თ, იმალები-ან. შდრ. ძვ. ქართული იმალები-ს.

ბ) დღეს უწყვეტლის მრავლობითში ნენ სუფიქსი გვაქვს ყველა ტიპის ზმნაში: წერდნენ, კლავდნენ, იტყოდნენ, ძველ ქართულში კი ყველგან ეს სუფიქსი გვექონდა: წერდ-ეს, კლავიდ-ეს, იტყოდ-ეს.

გ) დღეს წყვეტლის მრავლობითში ორი სუფიქსი გვაქვს: ეს გარდამავალი ზმნებისათვის და ნენ გარდაუვალათათვის: დაწერ-ეს და დაიწერ-ნენ, ძველ ქართულში ორივე შემთხვევაში მხოლოდ ეს სუფიქსი იყო: დაწერ-ეს, დაიწერნ-ეს, ჭამ-ეს, წარვიდ-ეს.

მხოლოდ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სუფიქსები დ, ნ, ედ სხვადასხვა ფუნქციით იხმარებოდა, რასაც მწკრივების შესწავლისას დაწვრილებით მიმოვიხილავთ. აქ კი მხოლოდ ჩამოთვლილ თითოეული მათგანის ხმარების ყველა შემთხვევას. რადგანაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნების ხმარებისას გარჩევა არ არის ხანმეტსა, ჰაემეტსა და სანნარევე ძეგლებში და ყველგან ერთი და იგივე ნიშნები გვაქვს, მაგალითებს (როგორც სხვაგან ჩვეულებრივ, თუ სპეციალურად ხანმეტსი და ჰაემეტსი არ გვექირდება), სანნარევი ნორმების მიხედვით წარმოვადგენთ.

#### სუბიექტური ნიშანი მესამე პირისა

მხ. რ. (ს, ნ, დ, ა, ო)

მაგალითები

ს

წერ-ს

(აწმყო)

იწერები-ს

(ენ. გვ. აწ.)

<sup>22</sup> სახელებშიც ამის ერთადერთი შემთხვევაა, როცა თ სუფიქსს უხდება ერთდროულად რიცხვიც — მრავლობითი — აღნიშნოს და ბრუნეც. თანაც ხუთი: მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. დღეს უმთავრესად ნათესაობითი გამოიყენება (შდრ. მეგობართაც აღნიშნეს, მეგობართაც კარგად ესმოდათ, მეგობართა შესახებაც იყო ნათქვამი). ფიქრობენ, თ(ა) ამათში თავიდანვე მხოლოდ მრავლობით რიცხვს აღნიშნავდა. ბრუნვის გამოხატვა მას მხოლოდ შემდეგ დაეკისრა (ა.ჩიქობავა).

მასბიე-ს	(სტატ. აწ.)
წერდუ-ს	(I კავშ.)
წერდი-ს	(უწყვ. ხოლმ.)
წერი-ს	(II ხოლმ.)
წერო-ს	(II კავშ.)
უნოდი-ს	(II კავშ.)
მისცოდი-ს	(შერ. კავშ. და შერ. ხოლმ.)
(და)უწერიე-ს	(I თურმ.)
ებრძანი-ს	(III ხოლმ.)
(და)ეწერო-ს	(III კავშ.)

## ბ

წერ-ბ	(აწ. ხოლმ.)
პკონიე-ბ	(სტატ. აწ. ხოლმ.)
წერდი-ბ	(I ბრძ. მე-3 პირისა)
წერე-ბ	(მან იგი: II ბრძ. მე-3 პირისა)
შეგირაცხიე-ბ	(I თურმ. ხოლმ.)

## ღ

პნთიე-ღ	(სტატ. აწ.)
წარუღდებიე-ღ	(I თურმ.)

## ა

წერღ-ა	(უწყვ.)
წერა-ა	(წყვ.)
(და)ეწერა-ა	(II თურმ.)

## ო

აქო	(წყვ.)
ექო	(II თურმ.)

ბრ. რ (ენ, ან, ნ, ეღ, ეს)

## ენ

წერენ	(იგინი მას/მათ: აწმყო)
-------	------------------------

## ან

თხრი-ან	(ი თემის ნიშნ. აწ.)
იწერები-ან	(ენ. გვ. აწ.)
პვი-ან	(სტატ. აწ.)

ჩან-ან	(საშ. გვ. აწ.)
წერდი-ან	(უწყვ. ხოლმ.)
იწერებოდი-ან	(ოდიანი ზმნების I კავშ. და უწყვ. ხოლმ.)
წერი-ან	(II ხოლმ.)
უწოდი-ან	(II კავშ.)
მისცოდი-ან	(შერ. კავშ. და შერ. ხოლმ.)
(და)უწერი-ან	(I თურმ.)
მოესრნი-ან	(III ხოლმ.)

## 6

წერდენ	(I კავშ.)
იწერებოდინ	(ოდიანი ზმნების I კავშ. — იშვიათად)
წერონ	(II კავშ.)
(და)ეწერნენ	(III კავშ.)

## ელ

წერედ	(იგინი მას/მათ: აწ. ხოლმ.)
წერედელ	(I ბრძ.)
სკვიდი-ედ	(უწყვ. ხოლმ. — იშვიათად)
(და)წერედელ	(მათ იგი: II ბრძ.)
მოვიდი-ედ	(II ხოლმ. — იშვიათად)

## ეს

წერდეს	(უწყვ.)
წერეს	(წყვ.)
წარვიდეს	(გარდაუვ. წყვ.)
(და)ეწერნეს	(II თურმ. გარდამ.)
დაძვიწყებოდეს	(II თურმ. გარდაუვ.)

თითოეული ამ შემთხვევის ნიმუშები სათანადო მწკრივების ანალიზისას იქნება მოყვანილი და გაშუქებული.

ახლა კითხვა ისმის: რატომაა, რომ ამდენი მნიშვნელოვანი თავისებურება მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის წარმოებას ახასიათებს? კერძოდ, როგორ მოხდა, რომ 6 პირიდან 5 პრეფიქსით აღინიშნება და მხოლოდ ერთი — მესამე სუბიექტური პირი — სუფიქსით? ამის შესახებ აჩიქობავა წერს: "ექვს გარეშეა, ამის მიზეზი უნდა იყოს რაღაც დიდი გარდატეხა, რომელიც იმ დროისათვის მომხდარი იყო სათანადო ენობრივი კოლექტივის საბეტყველო ფსიქიკაში: პრეფიქსული წყობის ენა (მხედველობაში გვაქვს პირთა აღნიშვნა) სუფიქსაციით გზას ადგება ... ამ კონტექსტში ბუნებრივად ჩნდება ვარაუდი, რომ ჩვენს ენაში ეს გარდატეხა მოხდა ისეთ ენებთან შეხვედრასთან დაკავშირებით, რომლებიც სუფიქსაციით ხასიათდებიან

— ეს კი ურალურ-ალტაური ან ინდოევროპული ენები უნდა ყოფილიყო<sup>23</sup>. მართლაც, ქართულსა და ინდოევროპულ ენებს შორის ამ უკანასკნელ ხანებში ბევრ საერთოს პოულობენ (გ.მელიქიშვილი, თ.გამყრელიძე და გ.მაჭავარიანი). ამიტომ ეს ვარაუდი საყურადღებო უნდა იყოს.

მაგრამ ბევრი რატომღა? ო ხმოვანი შეიძლება ფონეტიკურად მომდინარეობდეს ა-საგან, რომელსაც წინ ე(წ) უძღოდა (ვ+ა=ო), ანდა ამ ტიპის ზმნათა ანალოგიით იყოს მიღებული<sup>24</sup>. სხვა ნიშნები, საფიქრებელია, სხვადასხვა დიალექტისა თუ დიალექტური წრის კუთვნილებაა, რომელთაც საერთო სალიტერატურო ენაში ამ დიალექტებიდან შემოაღწიეს. დროთა ვითარებაში ამ სუფიქსებს შორის მოხდა სამოქმედო არის გადანაწილება: ზოგმა ამა თუ იმ მწკრივის აღნიშვნა იკისრა, ზოგმა სხვისა: ნ და ედ სუფიქსები ერთხანს აწმყოს ხოლმეობითსა და I და II ბრძანებითის ფორმებს აწარმოებდნენ (ჭამ-ნ, ჭამ-ედ; ჭამდი-ნ, ჭამდ-ედ; ჭამე-ნ, ჭამ-ედ). შემდეგ კი შესაბამის მწკრივებთან ერთად თანდათან გავიდნენ ხმარებიდან. ამათზე ადრე დატოვა სამოქმედო ასპარეზი დ სუფიქსმა, რომელსაც თვით ძველ ქართულში ჰქონდა შერყეული საფუძველი და კანტიკუნტად იხმარებოდა<sup>25</sup>. ამგვარად, ძველ ქართულში გამოყენებული 10 ნიშნიდან დღეს მხოლოდ 7 იხმარება, რომელთაც მკაცრად აქვთ განაწილებული თავ-თავისი სამოქმედო არე. აქედან ზოგი ძალიან ვრცელ ასპარეზზე მოქმედებს (ს, ა, ნ), ზოგი ნაკლებადაა დასაქმებული (ო).

ამ სიმრავლის გამოა, რომ ქართული ენის კილოებში დღეს იგრძნობა დაუცხრობელი ლტოლვა უნიფიკაციისაკენ: უპირატესობა ენიჭება ერთს. უკუდებულა მეორე. გურულში, მაგალითად, ეს სუფიქსი თანდათან ტოვებს სამოქმედო ასპარეზს და იმ ერთადერთ ადგილასაც იკარგება, სადაც ის ჯერ კიდევ შემორჩენილია (წყვეტილი გარდაშალ ზმნებში). რადგან აქ ენ სუფიქსია გაბატონებული: მათ (იგინმა) დაწერუნ, გააკეთუნ, დაფარუნ, უთხარუნ, ითამაშუნ, მიულოცუნ, შეასრულუნ და სხვ. იგივე ენ აქ ფართოდ გამოიყენება ან სუფიქსის მაგივრად: მიზბიუნ, იტყვიუნ, ტირიუნ, იცინიუნ, ჩივიუნ... თუ ეს პროცესი აქ ასე სწრაფად განვითარდა, სალიტერატურო ქართულში ხმარებული შეიძინა სუფიქსიდან მალე ორი (ეს, ან) უკვე აღარ გვექნება.

## B. ობიექტური პირის ნიშნები

პირველი და მეორე ობიექტური პირების აღნიშვნისას მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, თუ როგორია ეს ობიექტი: პირდაპირი თუ ირიბი — ორივე შემთხვევაში ერთნაირად გამოიხატება. რაც შეეხება მესამე პირს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტის რაობას: სულ სხვანაირადაა წარმოდგენილი პირდაპირი

<sup>23</sup> ა.ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის შამბე, 5-6, 1940, გვ. 16.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 14.

<sup>25</sup> ამგვარი ფორმების შესახებ იხ. ი.აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X სს-ის ძველების მიხედვით, თუმ. 93, 1954; დ.გეწაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი დ ძველ ქართულში ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., 11, 1952-53; ბ.გვიგინიშვილი, უ.კიციანი, შესაქმის, გამოსლუათა და ლექსიტულთა წიგნების ქართული კერძობები: მრავალთავი, 1, 1968; ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი, გვ. 395-398.

ობიექტის ნიშანი და სულ სხვაგვარად — ირიბისა. ამიტომ აქ, ბუნებრივია, I და II ობიექტური პირების შესახებ საუბრისას პირდაპირ და ირიბ ობიექტებზე ცალ-ცალკე მსჯელობა არ გვექნება.

#### 4. პირადი ობიექტური პირის ნიშანი (O<sub>1</sub>)

ძველ ქართულში პირველი ობიექტური პირის ნიშანია მ: იგი მე მ-კლავ-ს, მ-აქებ-ს, მ-კითხავ-ს, მ-ეტყვ-ს, მ-აქუ-ს, მ-ინებ-ს, მ-ივი-ს.

ეს დღევანდელ ქართულშიც ასეა, მაგრამ ძველი ქართული ახლისაგან აქ იმით განსხვავდება, რომ ძველ ქართულში ეგვევ ფორმები იხმარებოდა პირველი პირის მრავლობითისათვისაც: იგი ჩუენ მ-კლავ-ს, მ-აქებ-ს, მ-კითხავ-ს, მ-ეტყვ-ს, მ-აქუ-ს, მ-ინებ-ს, მ-ივი-ს.

ამგვარად, ძველ ქართულში პირველი ობიექტური პირის ნიშანი მ თანაბრად იხმარებოდა მხოლობითისა და მრავლობითისათვის, ასეთ ფორმებში რიცხვის გარჩევა არ იყო. ასე გვექნა ყველა ზმნაში. აი, კიდევ რამდენიმე მაგალითი: იგი მე/ჩუენ მიყუარ-ს, მძულ-ს, მესმი-ს, მიკვრ-ს, მხატავ-ს, გამო-მ-ცდი-ს, მო-მ-ცემ-ს; მან მე/ჩუენ იგი მო-მ-ცა-ა, მაუწყყ-ა, მიჩუენ-ა, მრქუა, მამცნ-ო, მასწავ-ა და სხვ.

მამ როგორღა უნდა გავიგოთ, როდის იგულისხმება მხოლობითი და როდის — მრავლობითი ასეთ შემთხვევებში? გასარჩევი ხერხი ბევრია, მაგრამ ყველაზე ხშირად ზმნასთან სათანადო ნაცვალსახელია წარმოდგენილი და იგი მიგვახვედრებს რიცხვს:

მომეც მე, რადცა თანა-გაც (მ. 18,28); მომეც მე სიტყუაი საძნოისა შენისაი (ლ. 16. 2); მომეც ჩუენ, რადთა დაესხდეთ ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა (მრ. 10.37); მარადის მომეც ჩუენ პური ესე (ი. 6.34); მარქუ ჩუენ განცხადებულად (ი. 10.24 C); მითხარ მე, სადა დასდევ (ი. 20,15); მითხარ ჩუენ იგავი იგი (მ. 13.36).

ზოგჯერ რიცხვის ამოცნობის საშუალებას იძლევა მომდევნო წინადადება, სადაც მუდარდება გასარკვევი რიცხვი: არა მაქუს, სადა დავიკრიბო ნაყოფი ჩემი (ი. 12, 17). "დავიკრიბო" სუბიექტად შეიწყობს მე-ს, მაშასადამე: არა მაქუს მე. ასეთია კიდევ: ძმებავს, რადთა აწვე მომცე მე თავი იოვანე ნათლის-მცემელისაი (მრ. 6,25). აქ მეორე წინადადებაში მომცე ზმნას ახლავს მე ნაცვალსახელი, მაშასადამე, იგივე მე არის საჭირო ძმებავს ზმნისთვისაც. კიდევ ერთი მაგალითი: მრწამს, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა (მრ. 9.24). აქ არც ერთ ზმნას არ ახლავს პირის ნაცვალსახელი, მაგრამ რიცხვს ავლენს კუთვნილებითი ჩემსა, მაშასადამე, იგულისხმება მხოლობითი რიცხვი: მრწამს მე. შემეწიე მე.

არის კიდევ კონტექსტის სხვა ჩვენებანი, რომლებიც სადავო ფორმაში პირველი ობიექტური პირის რიცხვს გვაგებინებს, მაგრამ აქ ყველა ასეთ ხერხზე ვერ შევჩვედებით.

მაგრამ ძველ ქართულში მრავლობითში მსთან ერთად არის აგრეთვე გუ პრეფიქსი: იგი ჩუენ გუკლავ-ს, გუაქებ-ს, გუკითხავ-ს, გუეტყვ-ს, გუაქუ-ს, გუ

ინებს-ს (გვებს). გუივი-ს (გვივის). დღევანდელ ქართულში მრავლობითში მხოლოდ ასეთი წარმოება გვაქვს: გუაქებ-ს, გუკითხავ-ს და სხვ. მ-ს გამოყენების შემთხვევები დღეს აღარ არის არც სალიტერატურო ენაში, არც კოლოებში.

კითხვა იბადება: თუ ძველ ქართულში პარალელურად იხმარებოდა მო-შ-ცა და მო-გუ-ცა. მრქუა და გურქუა, მითხარ და გუითხარ (გვთხარ), რა განსხვავება იყო მათ შორის: ისინი, ეს პარალელური ფორმები, აბსოლუტურად ერთი და იმავე შინაარსის გამოხატველი იყო და, ვისაც რომელი მოესურვებოდა, იმას გამოიყენებდა. თუ მათ შორის იყო შინაარსობრივი განსხვავება, ერთი სხვა რამეს გამოხატავდა, მეორე — სხვას?

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხზე ორი სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო, აზრია გამოთქმული. ერთის მიხედვით, ეს ფორმები ერთნაირი მნიშვნელობისაა, ხშირად ერთმანეთის ადგილასაც იხმარება. ერთი და იმავე ძველის ერთ თარგმანში მითხრა (ჩუენ) რომ იკითხება, მეორეში გვთხრა არის წარმოდგენილი. თვით ერთსა და იმავე თარგმანში ერთგან მომცა რომ წერია, მეორეგან მოგუცა იკითხება. აქ რაიმე კანონზომიერების დადგენა არ ხერხდება და ეს პარალელური ფორმები ერთი და იმავე შინაარსის ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ. ამ შეხედულებას იცავს ა.ჩიქობავა<sup>26</sup>.

მეორე შეხედულებით, ამ წყვილ ფორმებში ორი სხვადასხვა აზრია ჩაქსოვილი. ისინი ექსკლუზიური-ინკლუზიური ფორმებია<sup>27</sup> და თითოეული მათგანი თავის საკუთარ, შინაარსს შეიცავს: მ — ექსკლუზივი — აღნიშნავს, რომ ჩუენ ნაცვალსახელში იგულისხმება მე და ის (ისინი). ამაში მეორე პირი (შენ, თქვენ) გამორიცხულია. ამიტომ დაერქვა ექსკლუზივი. მასადაამე, ჩუენ მომცა ნიშნავს: მან მოგვცა მე და მას (მათ).

გუ — ინკლუზივი — გვიჩვენებს, რომ ჩუენ ნაცვალსახელში იგულისხმება მე და შენ (თქვენ). ამაში მეორე პირი ჩარიცხულია. ამიტომ ჰქვია ინკლუზივი. მასადაამე, ჩუენ მოგუცა იქნება: მან მოგვცა მე და შენ (თქვენ). აქედან შესაძლოა პირი გამორიცხულია. ინკლუზივი და ექსკლუზივი მთელი რიგი ენებისათვის იყო და არის დამახასიათებელი. ძველი ქართულის პარალელური ფორმებიც ამას გამოხატავს: მ პრეფიქსიანი — ექსკლუზივის (მე და მას/მათ). გუ პრეფიქსიანი — ექსკლუზივის (მე და შენ/თქვენ). ამ შეხედულებას იცავენ ა.შანიძე<sup>28</sup>, ვ.თოფურია<sup>29</sup>, ა.ონიანი<sup>30</sup>, დ.მელიქიშვილი<sup>31</sup>, თ.მეტრეველი<sup>31</sup>.

<sup>26</sup> ა.ჩიქობავა. მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვილებების სისტემაში: იკე. 1. 1946. გვ. 91—130.

<sup>27</sup> ა.შანიძე. ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურ ზმნებში: წელიწადული. 1—2. 1923—24. გვ. 373—374; მისივე. ქართული ზმნის სატყევი: ტუმ. 6. 1926. გვ. 335. შპ. 1.

<sup>28</sup> ვ.თოფურია. სვანური ენა. I. ზნა. 1951: მისივე. შრომები, I. 1967.

<sup>29</sup> ა.ონიანი. ინკლუზივი-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში: მაცნე. 1. 1965: მისივე. ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები. 1978.

<sup>30</sup> დ.მელიქიშვილი. ინკლუზივი-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში: მაცნე. 4. 1977.

<sup>31</sup> თ.მეტრეველი. ინკლუზივი-ექსკლუზივის კატეგორიისათვის ძველ ქართულში: ძველ. 23. 1980.

ძველი ქართულის უფრო ადრეულ ძეგლებში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები შედარებით კარგადაა დაცული. ასე, მაგალითად, სახარების ცნობილი ადგილი ("მამო ჩუენო ...") ყველა ცნობილ ხელნაწერში მკაცრად იცავს ექსკლუზივის წესს: მამო ჩუენო, ... პური ესე ჩუენი არსობისაჲ მოძეჲ ჩუენ ღლეს და მოძიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი ... და ნუ შემოიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიჰსწენ ჩუენ ბოროტისაგან (მ. 6,11-13; ლ. 11,3-4; ლუკას სახარებაში მეოთხე ზმნა — მიჰსწენ — არ არის). აქ მეორე პირად ღმერთი იგულისხმება, მას სთხოვენ პურსა და სხვას. ცხადია, ფორმაში მეორე პირი გამოირიცხულია. ამიტომ არის ყველგან ექსკლუზიური ფორმის გამოძახტველი მ და არა გუ (ინკლ.). ასეა ეს წარმოდგენილი ჩვენთვის ცნობილ ყველა უძველეს ხელნაწერში (რამდენიმე ათეულში). ეს წესი სახარების ტექსტის თარგმნისას (IV-V ს.) მყარი იყო და ამ წმინდა წიგნში ეს უაღრესად დამახასიათებელი ადგილი ხელუხლებლად დარჩა.

რაც შეეხება იმ ფაქტზე მითითებას, რომ ტექსტებში ზოგჯერ არეულია ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები, რომ ზოგჯერ ერთის მაგივრად მეორე იხმარება. ეს ასეც იყო მოსალოდნელი: ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როცა ესა თუ ის კატეგორია გადავარდნას იწყებს, ზშირია ნარევი ფორმები, ეს არევა შემდეგ და შემდეგ აუტანელი ხდება და ფორმა გადის ხმარებიდან. მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს, ვამტკიცოთ, რომ ასეთი კატეგორია თავიდანვე არ ყოფილა ენაში, როგორც მწყობრი სისტემა და ცოცხალი ენობრივი მოვლენა.

ძველი ქართულის ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის დაშვებას ზურგს უმაგრებს ანაირივე ფორმების არსებობა დღევანდელ სვანურ ენაში. სვანურის ზოგ კილოში (ბალსზემ.) ეს კატეგორია დღესაც ცოცხალი და საყოველთაოდ მოქმედი მოვლენაა. სვანურად გუამარუ იწება "გეამზადებს" მე და შენ, მე და თქვენ, ხოლო ნამარუ — "გეამზადებს" მე და მას, მე და მათ. ასეთია კიდევ სვანურის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები:

<u>ინკლუზივი</u>		<u>ექსკლუზივი</u>
გუ-აყა	"გეყავს"	ნ-აყა
გუ-პრ	"გეპქვს"	ნ-პრ
გუ-ალატ	"გეიყვარს"	ნ-ალატ
გუ-ტხე	"გეაბრუნებს"	ნ-გ-ტხე და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სვანურსა და ძველ ქართულში ინკლუზივის პრეფიქსი ერთი და იგივეა — გუ: გუ-პრ, გუ-აქუს, ექსკლუზივისა — განსხვავებული: სვანურს ნ აქვს, ძველ ქართულს — მ: ნ-პრ, მ-აქუს.

რომ სვანურისათვის ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ცოცხალია, ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ეს კატეგორია პირველ სუბიექტურ პირსაც მოეპოვება:

<u>ინკლუზივი</u>		<u>ექსკლუზივი</u>
ლ-ამარუ-დ	"ვამზადებთ"	სუ-ამარუ-დ
ლ-პრი-დ	"ვართ"	სუ-პრი-დ და სხვ.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა შემთხვევა, რომლის შესახებაც ა.შანიძე



მოგვითხრობს<sup>12</sup>. როცა ერთი ლახირელი სვანი ქართულად ელაპარაკებოდა. იმის გამო, რომ ქართულ ზმნას დღეს აღარ გააჩნია ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების გარჩევის უნარი, ქართულ ზმნებში სვანურ ფორმებს (ექსკლუზივისას) ჩაურთავდაო. ამბობდაო: ცერცი ნაქეს (ე.ი. გვაქეს მე და მას, მეორე პირის გამორიცხვით — ა.შანიძეს, როგორც II პირს, არ ეხებოდა ცერციის ქონება). ვერ ნიშლიდნენ (გვიშლიდნენ). ნეყოლებოდა (გვეყოლებოდა). ნეხებოდა (გვეხებოდა). გადასახადი დანაწეროს (დაგვაწეროს), მონდიოდა (მოგვიდიოდა) და სხვ. ზემოთქმულის მიხედვით უნდა დაეასკენათ, რომ სვანური და ძველი ქართული ამ საკითხში ერთად დგანან და ერთიმეორეს უმაგრებენ ზურგს.

არცაა გასაკვირი: მაღალ მთებში მოქცეული ქართველი ტომები, საუკუნეების განმავლობაში ირგვლივ დასახლებულ ტომებსა და ენებთან ნაკლებად დაკავშირებული და განკერძოებული, დიდხანს ინახავდნენ არქაიზმს ენასა და ყოფა-ცხოვრებაში. გაეიხსენოთ, ამ მხრივ, ხევსურული კილოს ზოგი გასაოცარი ღრმა არქაული ენობრივი და ეთნოგრაფიული საყოფაცხოვრებო თავისებურება, რომლებშიც თვალნათლივ იხედება უძველესი დროების ძნელად ასახსნელი გადმონათობები.

მკერულ-ჭანურს ინკლუზიურ-ექსკლუზივისა დღეს არაფერი შემორჩენია. როგორც ახალ ქართულს. მაგრამ საუკუნეთა სიღრმეში შეიძლება იგი მისთვისაც ყოფილიყო დამახასიათებელი.

#### 5. ზოროა ობიექტური პირის ნიშანი (O<sub>2</sub>)

მეორე ობიექტური პირის ნიშანი პრეფიქსი გ: იგი შენ გ-კლავ-ს, გ-აქებ-ს, გ-კითხავ-ს, გ-ეტყვ-ს, გ-აქუ-ს, გ-ინებ-ს, გ-ივი-ს.

ასეა მრავლობითშიც: იგი თქვენ გ-კლავ-ს, გ-აქებ-ს, გ-კითხავ-ს, გ-ეტყვ-ს, გ-აქუ-ს, გ-ინებ-ს, გ-ივი-ს. ამ მხრივ მხოლოდობითსა და მრავლობითს შორის არავითარი განსხვავება არ იყო: ობიექტის მხოლოდობითის ფორმა მთლიანად მეორდება მრავლობითში. დავძენთ აქვე განმეორებით, რომ აქ არც ობიექტის რაობას ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა. პირდაპირიც და ირიბიც ერთნაირად გამოიხატებოდა ერთადერთი გ პრეფიქსით. შდრ. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან: იგი შენ (თქვენ) გ-კლავ-ს, გ-აქებ-ს (პირდ.) და: იგი შენ (თქვენ) გ-აქუს, გ-ინებ-ს, გ-ივი-ს (ირიბ.).

გ პრეფიქსი უცვლელად გადმოეცა ახალ ქართულს; იგი აგრეთვე ერთნაირად იხმარება მხოლოდობითსა და მრავლობითში. ოღონდ დღევანდელ ქართულში მრავლობითის ფორმას თ სუფიქსი დაემატა და მათ შორის ფრიად სასურველი ფორმალური განსხვავება დამყარდა. გვაქეს, ერთი მხრივ: იგი შენ გ-კლავს, გ-აქებ-ს, გ-კითხავ-ს, გ-ეტყვი-ს, გ-აქე-ს. ხოლო მეორე მხრივ: იგი თქვენ გ-კლავ-თ, გ-აქებ-თ, გ-კითხავ-თ, გ-ეტყვი-თ, გ-აქე-თ. ამ თ-ს დართვას, როგორც ვხედავთ, შესამე სუბიექტური პირის ნიშანი ს სუფიქსი შეეწირა, რადგანაც სთ კომპლექსი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ძნელი ასატანი იყო. როცა შესამე სუბიექტური პირის ნიშნად ხმოვნება (ა, ი), ისინი, რასაკვირველია, ხელუხლებელია: ათ, ით კომპლექსი ძალიან კარგად

<sup>12</sup> ა.შანიძე, ორგვარი ფორმა .... გვ. 373.

გრძნობს თავს: იგი თქვენ გინდა-თ. მან თქვენ გ-აქ-ო-თ. დაეძინო ბოლოს, რომ ხსენებული სთ კომპლექსი XIX საუკუნის ზოგიერთი მწერლის ენაში აქა-იქ კიდევ გვხვდებოდა: ის თქვენ გ-უტყვი-ს-თ, გ-აქებ-ს-თ, გამაგ-ო-ცხადებ-ს-თ ..., მაგრამ სულ მალე ხ მსგავს ფორმებს საბოლოოდ ჩამოშორდა.

## 6. მსაჯე ოზივტური აირის ნიშანი (O<sub>2</sub>)

როგორც უკვე გვქონდა შენიშნული (გვ. 31), I და II ობიექტური პირის ნიშნე-ბისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ობიექტის რაობას: პირდაპირსაც და ირიბსაც საკსებით ერთნაირი ნიშნები აქვს (მო-მ-კლ-ა, მო-ში-კლ-ა, მო-გ-კლ-ა, მო-გ-იკლ-ა). მაგრამ ეს არ ითქმის III ობიექტურ პირზე; აქ გადაშეყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ობიექტის რაობას: პირის ნიშანი სულ სხვანაირად აქვს წარმოდგე-ნილი ირიბ ობიექტს და სულ სხვანაირად — პირდაპირს. ამიტომ აუცილებელია, ისინი ცალ-ცალკე მიმოვიხილოთ. ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო ადვილი და მარ-ტივია ირიბი ობიექტის პირის ნიშნის შესწავლა, შეუდარებლად უფრო რთულია პირ-დაპირისა. ამიტომ ჩვენ უფრო მარტივით დაიწყოთ და შემდეგ გადავიდეთ რთულზე.

### a) ირიბი ოზივტი (O<sub>2</sub> ირ.)

ძველ ქართულში ირიბ ობიექტს მუდამ აქვს პირის ნიშანი (თუ მისი დაკარგვა ფონეტიკური ფაქტორებით არ არის გაპირობებული). ეს ნიშანი არის იგივე, რაც ქონდა მეორე სუბიექტურ პირს, ე.ი. პრეფიქსი ხ (ხანმეტ ძეგლებში), ჰ (ჰაემეტში) და ჰ, ხ (ხანნარევეში, გვ. 26). გამოყენების არეც საკსებით იგივეა, ამიტომ მათზე აქ განმეორებით აღარ შევჩერდებით. მოვიყვანთ მხოლოდ მაგალითებს ხანმეტი, ჰაემე-ტი და ხანნარევი ძეგლებიდან.

### ა) ხანმეტი

მო-ხ-გუარ-ა, ხ-კითხ-ა, მი-ხ-პარ-ა, შე-ხ-ძინ-ა, მი-ხ-წერ-ა, ხ-თხოვ-ა, ხ-ჩქუ-ა, ხ-წიქნ-ა, ხ-უთხარ-ა. ეს ხ სუბიექტური წყობით უღლებიას ყველა ფორმას (ყველა პირს) აღმოაჩნდება, რადგან იგი ყველა ასეთ ფორმაში შედის, მაგალითად:

მო-ხ-უგუარ-ე	ხ-უკითხ-ე	მი-ხ-უ-პარ-ე
მო-ხ გუარ-ე	ხ კითხ-ე	მი-ხ პარ-ე
მო-ხ გუარ-ა	ხ კითხ-ა	მი-ხ პარ-ა
მო-ხ-უგუარ-ეთ	ხ-უკითხ-ეთ	მი-ხ-უ-პარ-ეთ
მო-ხ გუარ-ეთ	ხ კითხ-ეთ	მი-ხ პარ-ეთ
მო-ხ გუარ-ეს	ხ კითხ-ეს	მი-ხ პარ-ეს

შე-ხ-უძინ-ე	მი-ხ-უწერ-ე	ხ-უთხოვ-ე
შე-ხ ძინ-ე	მი-ხ წერ-ე	ხ თხოვ-ე
შე-ხ ძინ-ა	მი-ხ წერ-ა	ხ თხოვ-ა

შე-ხ-უ-ძინ-ეთ	მი-ხ-უ-წერ-ეთ	ხ-უ-თხოვ-ეთ
შე-ხ- ძინ-ეთ	მი-ხ- წერ-ეთ	ხ- თხოვ-ეთ
შე-ხ- ძინ-ეს	მი-ხ- წერ-ეს	ხ- თხოვ-ეს

ხ-უ-არქე	ხ-უ-ერუენ-ე	ხ-უთხარ
ხ- არქე	ხ- ერუენ-ე	ხ-უთხარ
ხ- რქუა	ხ- ერუენ-ა	ხ-უთხარ-ა
ხ-უ-არქუ-თ	ხ-უ-ერუენ-ენ-(ი)-თ	ხ-უთხარ-თ
ხ- არქუ-თ	ხ- ერუენ-ენ-(ი)-თ	ხ-უთხარ-თ
ხ- რქუ-ეს	ხ- ერუენ-ენ-ეს	ხ-უთხარ-ეს

როცა პირველი სუბიექტური პირის ნიშანი (ვ) და მესამე ობიექტური პირის ნიშანი (ხ) ერთმანეთს ხვდება, ადგილი აქვს გადასმას: ვ გადადის ხ-ს შემდეგ და უმარცვლო უდ იქცევა. ასეა მიღებული მო-ხ-უგუარ-ე, ხ-უკითხ-ე, მი-ხ-უპარ-ე, შე-ხ-უძინ-ე, მი-ხ-უწერ-ე, ხ-უთხოვ-ე, ხ-უარქე და სხვ. (6. გვ. 22). ხოლო როცა ზნის ფუძე უთი იწყება (უ სასხვისო ქცევის ნიშანია III ობიექტურ პირში). სუბიექტური ნიშანი იკარგება: მე მას იგი ხ-უთხარ და ფორმა მეორე სუბიექტური-სას ემთხვევა: შენ მას იგი ხ-უთხარ (6. გვ. 23).

ახლა მოვიყვანოთ ტექსტებიდან სათანადო ნიმუშებს:

მე, ფარანავაზ, და თათვარაზ შეხუბთ ესე კარი (ისტ. ქრ. I, 14); ვინ აქა შინა თავყანის-ხცეს, ღმერთმან შეიწყალენ. და ვინ ამის ეკლესიასა და ვით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ (იქვე); რომელსა ხუნდეს საშუკელად და მიღებად კუართისა შენისა, მიხუტევე მას ფიჩუცა შენი (მ. 5,40); აღსუაგზნე ცეცხლი ბჭეთა იერუსალჰმისათა (იერ. 17,27); წარდგა მის წინაშე განბოკლებული. თავყანის-ხცემდა მას და ხეტყოდა (მ. 8,2); ზრქუა მას იესუ: ხეკრძალე. ნუვის ხუთხარობ, არამედ მივედ და ხუწუნე თავი შენი /მღღელთა/ (მ. 8,4); მოხუცდა მას ასისთაი, ხევედრებოდა მას და ხეტყოდა (მ. 8,5); ზამცნო მათ და ზრქუა: ნუვის ხუთხარობთ ხილვასა ამას (მ. 17,9); მაშინ მოხუგარეს მას ყრმები, რაითა ველი დახდვას და ხლოცოს. ხოლო მოწაფენი ზრისხვიდეს მათ (მ. 19,13); და ამა იესუ შეხმთხვა მათ და ზრქუა: გიხაროდენ! ხოლო იგინი მოხუცდეს და შეხუერდეს ფერვთა მისთა და თავყანის-ხცეს მას (მ. 28,9); და არარად ვის ხუთხარეს, რამეთუ ხემძინოდა (მრ. 16,8); და რომელთა ხესმოდა, ხუცერდა სიტყუაი იგი (ლ. 2,18); ხოლო მარიამს დახემარხნეს სიტყუანი ესე და დახედვა გულსა თვისსა (ლ. 2,19); ცოდვილნიცა ცოდვილთა ხევისხებედ. რაითა მოიღონ სწორი (ლ. 6, 34); ვითარცა მოვიდოდა და მოხეახლა სახლსა მას, ხესმოდა ჳამი სიხარულისაი და განცხრომი-საი. და მოხუწოდა ერთსა მონათაგანსა და ხეთთხვიდა (ლ. 15,25-26); აღდგა ზაქე და ზრქუა უფალს: უფალო. ამა ზოგი ფასისა ჩემისაი მიხუცე ვლახაკთა და. რომელი მომეხუტუა. მიხუგო ოთხ წილად (ლ. 19,8); ხუთხარობდეს მოციქულთა ამას. და ხუნდეს სიტყუანი მათნი ვითარცა სიჩქურისანი მათ წინაშე და არა ზრწმენა მათი (ლ. 24,10-11); ხოლო პეტრე შთახხუდა და იხილნა ტილონი იგი მღებარენი და ...დახუცერდა საქმს ესე (ლ. 24,12); თავადი იესუ მიხეახლა მათ და თანა-ხუვიდო-და (ლ. 24,15); ხოლო ჩუენ ხუესკეთ (ლ. 24, 21); იგინი ზაიძულუბდეს და ხეტყო-

დეს: დახადგერ ჩუენ თანა (ლ. 24, 29); ნანდვლვე აღდგა უფალი და ხუწუნა სიმონს (ლ. 24, 34); ნეტარ ხიყენენ, რომელთა არა ხუეხილუო და ხუწუნენე (ი. 20,29).

თანა-ხაე ყორციელთათა მსახურებად მათა. ესე აღხუასრულო და დახუბუგ-ლო ნაყოფს მას მათსა (პრომ. 15,27-28); არა თუ ვისგან ხეთხრა, არამედ თვთ გულისხმაყო (ისტ. ქრ. I, 32, 20); და შერაიმე-ხუეხილუოს მას საქმს და არა მოვიდეს ეკლესიად. შეხერაცხოსა მას ცოდვაი (იქვე, 33,4-5); წმიდაი კაცი ხუეშს მას, რადთა ხმსახურებდეს (იქვე, 33,15-16); მიმცემელსა მას ფერჯნი უფალმან დახბანა იუდაისნი (იქვე, 48,33); რომელმან ყოს და ხასწაოს, მას დიდ ხერქუას სასუფეველსა ცათას (იქვე, 49,6-7); მაშინ აღხუხუნეს პირნი მათ ყრმათანი და ხუფროისად ხუგალობდეს (იქვე, 50,13-14).

მოყვანილი მაგალითებიდან ზოგიერთ ფორმაში, როგორცაა: მიხუტევე, ხეკრძალე, ხუწუნე, დახადგერ, პრეფიქსი ხ კაცს შეიძლება მეორე სუბიექტური პირის ნიშნადაც ჯივენოს: შენ მიხუტევე, შენ ხეკრძალე, შენ ხუწუნე, შენ დახადგერ. მაგრამ არა: ყველა ეს ფორმა II ბრძანებითისაა, სადაც მეორე პირის სუბიექტური ნიშანი არ შეიძლება იყოს. შდრ. შენ დახუწერე (წყე.) და შენ დაწერე! (ბრძ.): ხ ამ ფორმებში მხოლოდ მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანია.

ხუთხრობთ და მსგავს ფორმებში ხანი საზიაროა, იგი ეკუთვნის როგორც მეორე სუბიექტურ (თქვენ ხუთხრობთ), ისე მესამე ირიბობიექტურ პირს (თქვენ ხუთხრობთ მას/ მათ). ამ უკანასკნელი შესაძლებლობის გამო მსგავსი ფორმები აქაცაა შემოტანილი.

რაც შეეხება ინიან ვნებითებს (ხიქნა, ხიყენეთ), აგრეთვე უფროობითი ხარისხის ფორმებს (ხუფროისად), ხ ამათში წარმოშობით მესამე ობიექტურ პირს აღნიშნავს (ა.შანიძე, ა.ჩიჭობაეა, გ.მაჭავარიანი) და მათ ქვემოთ საეციალურად შევხებით.

## ბ) კამპები

მი-ჰგუარა, ჰ-კითხა, მი-ჰპარა, შე-ჰ-ძინა, მი-ჰწერა, ჰ-თხოვა, ჰ-რქუა, ჰ-წუნა, ჰ-იყო, ჰ-უთხრა. რაც ითქვა ხ-ს თაობაზე, იგივე შეიძლება გავიმეოროთ ჰ-ს შესახებაც.

მი-ჰ-უ-გუარე	ჰ-უ-კითხე	მი-ჰ-უ-პარე
მი-ჰ გუარე	ჰ კითხე	მი-ჰ პარე
მი-ჰ გუარა	ჰ კითხა	მი-ჰ პარა
მი-ჰ-უ-გუარეთ	ჰ-უ-კითხეთ	მი-ჰ-უ-პარეთ
მი-ჰ გუარეთ	ჰ კითხეთ	მი-ჰ პარეთ
მი-ჰ გუარეს	ჰ კითხეს	მი-ჰ პარეს
შე-ჰ-უ-ძინე	მი-ჰ-უ-წერე	ჰ-უ-თხოვე
შე-ჰ ძინე	მი-ჰ წერე	ჰ თხოვე
შე-ჰ ძინა	მი-ჰ წერა	ჰ თხოვა

შე-პ-უ-ძინ-ეთ	მი-პ-უ-წერ-ეთ	პ-უ-თხოვ-ეთ
შე-პ- ძინ-ეთ	მი-პ- წერ-ეთ	პ- თხოვ-ეთ
შე-პ- ძინ-ეს	მი-პ- წერ-ეს	პ- თხოვ-ეს
პ-უ-არქუ	პ-უ-ერუენ-ე	პ-უ-თხარ
პ- არქუ	პ- ერუენ-ე	პ-უ-თხარ
პ- რქუა	პ- ერუენ-ა	პ-უ-თხარ-ა
პ-უ-არქუ-თ	პ-უ-ერუენ-ენ-(ი)-თ	პ-უ-თხარ-თ
პ- არქუ-თ	პ- ერუენ-ენ-(ი)-თ	პ-უ-თხარ-თ
პ- რქუ-ეს	პ- ერუენ-ენ-ეს	პ-უ-თხარ-ეს.

**ნიშნუშანი ტაშტაბილან:** ხოლო იგინი ჰეციცხედეს მას (მ. 9,24): ვინ არს თქვენგანი კაცი, რომელსა ჰედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არა-მე ჰუბყრასა და აღმოიქუას იგი (მ. 12.11); მიჰდევდა მას ერი მრავალი (მ. 12.15); და ჰუნდა ლათუ მისი მოკლეაი, ჰეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი ჰეყრა იგი (მ. 14.5); ჰონდა ჰეროდეს როკვაი იგი მისი (მ. 14.6); მოართუეს თაი მისი ლაკლითა და მიჰცეს ქალსა მას (მ. 14.11); ვმაი ჰიყო ზეით გამო (მ. 17.5); ჰესმა რაი ესე მოწაფეთა, ... შეჰეშინა ფრიად (მ. 17,16); არა ჰუცშს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა (მრ. 2,17); ვერ ველ-ჰეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად (მრ. 2,19); რომელსა-იგი ველი განუგელ ჰედგა (მრ. 3,3); არცალა ჯაჭუგბითა ვის ველ-ჰეწიფა შებორკილებად იგი (მრ. 5,3); მოვიდა და შეჰუჯრდა და ჰუთხრა მას ყოველი ბრალი (მრ. 5, 33); ჰიყაე შენ ცოცხალ გუგუშ-ლებისაგან შენისა (მრ. 5,34); დაჰცხრა ქარი იგი, და ჰუბეტქსად დაჰუკვრდებოდა მოწაფეთა მისთა (მრ. 6, 51); და ჰამცნო მათ, რაითა არავის უთხრან, და რაოდენ-იგი ჰამცნებდა მათ, იგინი უფროდს მიმოჰდებდეს, და უმეტქსად განუკვრდებოდა და იტყოდეს: ყოველსავე კეთილსა ჰიქშს: ყრუთა ჰასმენს და უტყუთა ჰატყუებს (მრ. 7, 36-37); მოჰუწოდა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა მათ: ... არა ჰატქეს, რაი ჭამონ და უკეთუ განჰუტყენე უზმანი ვანად მათა, დაჰცხნდენ გზათა ზედა (მრ. 8, 1-3); მოილო შვდი იგი პური..., რაითა დაჰუგონ, ხოლო მათ დაჰუგეს ერსა მას, და ჰატუნდა თევიზი მცირედ და იგიცა აკურთხა და ჰუბრძანა მათ დაეგებაი (მრ. 8, 6-7): ხოლო ჰეროდია ჰებტერა მას და უნდა მოკლეაი მისი (მრ. 6, 19 C).

აღიშის სახარებაში ა. შანიძეს შენიშნული აქვს 11 ჰაემეტი ფორმა<sup>31</sup>.

#### ბ) საწნარეპი

მო-ვ-პ-გუარ-ე	ვ-პ-კითხ-ე	მი-ვ-პ-პარ-ე
მო- პ-გუარ-ე	პ-კითხ-ე	მი- პ-პარ-ე
მო- პ-გუარ-ა	პ-კითხ-ა	მი- პ-პარ-ა

<sup>31</sup> ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, II. ჰემეტობა აღიშის სახარებაში: ტუმ. 2, 1922-23, გვ. 417-424.

მო-ე-ჰ-გუარ-ეთ	ე-ჰ-კითხ-ეთ	მი-ე-ჰ-პარ-ეთ
მო-ჰ-გუარ-ეთ	ჰ-კითხ-ეთ	მი-ჰ-პარ-ეთ
მო-ჰ-გუარ-ეს	ჰ-კითხ-ეს	მი-ჰ-პარ-ეს

შე-ე-ხ-ძინ-ე	მი-ე-ს-წერ-ე	ე-ხ-თხოვე
შე-ხ-ძინ-ე	მი-ს-წერ-ე	ს-თხოვე
შე-ხ-ძინ-ა	მი-ს-წერ-ა	ს-თხოვა
შე-ე-ხ-ძინ-ეთ	მი-ე-ს-წერ-ეთ	ე-ხ-თხოვეთ
შე-ხ-ძინ-ეთ	მი-ს-წერ-ეთ	ს-თხოვეთ
შე-ხ-ძინ-ეს	მი-ს-წერ-ეს	ს-თხოვეს

ვარქუ	ეწუენე	უთხარ
არქუ	ეწუენე	უთხარ
ჰ-რქუ-ა	ეწუენ-ა	უთხარ-ა
ვარქუთ	ეწუენ-ენ-(ი)-თ	უთხარ-თ
არქუთ	ეწუენ-ენ-(ი)-თ	უთხარ-თ
ჰ-რქუეს	ეწუენ-ნ-ეს	უთხარ-ეს.

მოვიყვანთ ნიმუშებს სინური მრავალთავიდან, ჰემეტრობის შემდეგ ყველაზე ძველი დიდი ძეგლიდან:

ამის გამო ამცნო გურიტისაი უფალმან აბრაჰამსა (226,23); აღმოსავალ სახელი ერქუა მას .... ესე არს, რომელი-იგი ჯუარს-ეცუა და დაეფლა გულსა ქუეყანისასა (227, 4-5); ნუვე წარჰკუეთნ სასოებასა (227,18); მიუმსგავსე ეზეკია მეფესა, რომელი მახნდა სიკუდილსა და ეუწყა ესაიასგან ... და შეუმატა მას ღმერთმან ათხუთმეტი წელი ცხორებისაი (227,22-23); მოუწოდა მთავართა ტაძრისა მისისათა და მეყსეულად გამოუქმნა ხატი იგი ჯუარისაი... და უბრძანა წინა-ძღუან-ვაი ბრძოლასა მას. და იყო ძლევაი დიდი: და უფროსი ერისაი მის დაეცა (237,22-25); რომელსა ჩუენ გამსახურებთ (238,3); ხოლო მე ვარქუ მას (240,5); ჰკითხვიდა მათ დედოფალი და არასადა უთხრეს მართლ. და უბრძანა მათი ყოველთაი ცეცხლითა დაწევაი, ხოლო მათ შეეძინა და მისცეს მას იუდა და ჰრქუეს (240,28-30); პური დაგებული ეღვა და იგი ქეასა ჭამდა? (240,37); რომელ ესმოდა პეტრ(მ)სგან და ქმართა განეცუებოდეს საწოლთაგან და უნდა სიწმიდით დადგრომა (246, 1-2); რომელნი-იგი მან თავადმან დახურგნა, თქუენ ურთიერთას დახურგველით (246,31); ხოლო აგრძა დიდსა ბრალსა დაჰკრებდა პეტრეს (246,36); წარუპყრა ქელი თვისი წმიდამან პაულე მეგრძლეთა (253,10); ვითარ ჰგანან მარტველნი უფალსა ჩუენსა! ესწორებთან მკლველნი იგი მოწამეთანი ჯუარის-მკუებულთა მათ ქრისტ(მ)სთა (256,8); რამეთუ შესძინეს უვარის-მყოფელთა მათ გინებასა მათსა ზედა, ესერა შესძინებენ თაყუანის-მკემელნი შუენიერებასა მათსა (259,4); თაყუანის-ესკუთ ძესა მხოლოდმო-ბილსა (260,1); მოვედით და ვამბოდით ამას შინა ყოველნივე (260,35); მოვედით და ესძლოთ ჩუენ ეშმაკთა შრომითა (262,4).

როგორც ნიმუშებიდან ჩანს, ჰ-პრეფიქსი ჰემეტრი ძეგლისა, რომლიდანაც უნდა მომდინარეობდეს სინური მრავალთავი, აქ სხვადასხვა სახით გვხვდება: ხმოვნების

წინ დაკარგულია ყველგან (ამცნო, უბრძანა, იყო, ედგა). ე.წ. დედის ბგერების წინ სანად არის შეცვლილი (მისცეს, შესძინეს, ესძლოთ), ხოლო მამის ბგერების წინ უცვლელად არის დარჩენილი და კვლავ ჰე გვაქვს (წარჰკუეთნ, ჰკითხვიდა, დაწერგნა, ჰგვანან). პირველი სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნების შეხვედრისას თავდაპირველი რიგი (ჯერ სუბიექტის ნიშანი, მერმე — ობიექტისა) აღდგენილია და გვაქვს: ვჰმსახურებთ, ვჰბრძოდით, ესძლოთ (და არა: ჰუმსახურებთ, ჰუბრძოდით, ჰუძლოთ, როგორც იყო მოსალოდნელი ჰემეტურად. ანდა: ჰუმსახურებთ, ჰუბრძოდით, როგორც გეხვედება ჰემეტობიდან სანნარეე ფორმებზე გარდამავალ ხანაში). ამ სახით, როგორც განხილულ ძეგლებში გვაქვს, ირიბი ობიექტის პირის ნიშნის ზმარება არსებითად დღესაც გრძელდება. ესაა, რომ დღეს ჰე ამ შემთხვევაში მხოლოდ 7 თანხმოვნის წინ გეხვედება რეგულარულად. ესენია: ბ, ჰ, ფ, გ, კ, ქ, ყ. სხვა თანხმოვნების წინ, როგორც წესი, იგი იკარგება. ზემოთ (გვ. 27) აღნიშნული გეკონდა, რომ S<sub>2</sub>-ის აღნიშნული ჰ- და ს- პრეფიქსები ზოგჯერ ძველ ქართულშივე იკარგებოდა. იგივე ითქმის ამ პრეფიქსების O<sub>2</sub>-ის ნიშნად გამოყენებასთან დაკავშირებით. აქა-იქ ისინი იკარგება. მაგ., ვხედველ: ლ. 10, 18 (უნდა იყოს: ვჰხედველ).

#### ბ) პირდაპირი ობიექტი (O<sub>1</sub> პირ.)

პირდაპირი ობიექტი შეიძლება იდგეს მიცემითში (I სერიის ზმნებთან) და სახელობითში (II სერიის ზმნებთან). თითოეულ მათგანს პირის ნიშანი სულ სხვადასხვაგვარად აქვს წარმოდგენილი. მარტივად დგას საკითხი, როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია. გაცილებით რთულად, როცა იგი მიცემითში დგას. აჯობებს, რომ მარტივი შემთხვევით დავიწყეთ.

დაეუმატოთ ამას ისიც, რომ სანიშნო მაგალითებად ავიღოთ მხოლოდ ორპირიანი გარდამავალი ზმნები, რადგან აქ მხოლოდ სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ნიშანია წარმოდგენილი. სამპირიან ზმნებში ერთ-ერთ პირად ირიბი ობიექტიც შედის და იგი ხელს შევევიშლის პირდაპირის ნიშნის ანალიზში.

#### ა) პირდაპირი ობიექტი სახელობითში

როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია, მას მესამე ობიექტური პირის ნიშანი არა აქვს: მან იგი განდრიკა, თარგმანა, განკაფა, მოკლა, შეკრიბა, გალენა. მომკო, დამუსრა, განრცხა, ქადაგა, ქნა, განყარა, ყო, დაწერა, შეწერა, აღწონა. ჭამა და ბეერი სხვა.

ხანდახან შეიძლება აქ ჩამოთვლილ ზმნათაგან ზოგიერთს სათანადო პრეფიქსი აღმოაჩნდეს. ამის გამო არ იქნებოდა მართებული. გვეთქვა: ზემოთ აღნიშნული წესი ირლევეაო. არა, წესი მტკიცეა და მან გამონაკლისი არ იცის. მაგრამ თუ ორპირიან გარდამავალ ზმნასთან მინც არის წარმოდგენილი ობიექტის ნიშანი, ჩანს, ის არაა ორპირიანი. მასში კიდევ იგულისხმება მესამე, ირიბი ობიექტური. პირი და პირის ნიშანიც მას ეკუთვნის. ასეთი ზმნაა. მაგალითად. დაწერა და დასწერა: ძველ ქარ-

თულში ორივე გვხვდება. ორივე არაიშეიათად. ორივე ფორმა გამართლებულია: პირველში ორი პირი იგულისხმება: მან იგი, მეორეში სამი — მან მას იგი. ტიპური გამოთქმბია: დაწერა მან წიგნი (წერილი...), დასწერა მან მას ჯუარი. მაგალითად: გულფიცხელობის თქუენისათვის დაწერა მოსე მცნებაი ეგე (მრ. 10.5); დაწერა ფიცარი პილატე (ი. 19,19); მაგრამ, მეორე მხრივ: /აბო/ რაჟამს მიიწია, კადნიერად დასწერა ჯუარი კარსა მას (აბო 171,5); /ეპისკოპოსმან/ დასწერა ჯუარი ბორცუსა მას (სინ. 73,15); /ნეტარმან გრიგოლ/ ჯუარი დასწერა წმიდათა მათ მონასტერთა (ხანძთ. 124,24).

ასეთია აგრეთვე განმარცუვა და შემოსა: განმარცუეს იგი (მ. 27,28), მაგრამ: განმარცუეს მას ქლამინდი იგი (მ. 27,31); შემოსეს გუამი მისი (მრ. 6,29), მაგრამ: ქლამინდი მეწამული შეჰმოსეს მას (მ. 27,28); შეჰმოსეს მას თვისივე სამოსელი (მ. 27,31); შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე (ლ. 23,11).

ზოგან ორპირიანობასა და სამპირიანობას ზმნისწინის შეცვლით გამოწვეული ლექსიკური ნოუანსის სხვაობა განაპირობებს. მაგალითად: განკუეთა მან იგი, მაგრამ: მოკუეთა მან მას იგი, წარაკუეთა მან მას იგი; შეკუეთონა საბელნი კეთა ნეთისათანი (ისტ. ქრ. I, 186, 39).

#### ა) პირდაპირი ობიექტი პირდაპირად

როცა პირდაპირი ობიექტი მიცემითშია (ე.ი. სათანადო ზმნა I სერიის რომელიმე მწკრივში დგას), მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, ზმნა ზმნისწინით არის წარმოდგენილი თუ უზმნისწინოდ: თუ ზმნა ზმნისწინითაა მოცემული, მას პირის ნიშანიც აქვს, თუ უზმნისწინოდ, მას არა აქვს პირის ნიშანი. ამიტომ ძველი ქართული ენის ურყევი კანონია: თარგმანებს, მაგრამ: გამოსთარგმანებს; თლის, მაგრამ: გამოსთლის; თხზავს, მაგრამ: შესთხზავს; კერავს, მაგრამ: განაკერავს; კლავს, მაგრამ: მოკლავს; კრებს, მაგრამ: შეკრებს; მკის, მაგრამ: მოკმის; მუსრავს, მაგრამ: შემუსრავს; ქანდაკებს, მაგრამ: გამოქანდაკებს; ყრის, მაგრამ: დაყრის; წირავს, მაგრამ: შესწირავს; წუავს, მაგრამ: დასწუავს; წყმედს, მაგრამ: წარსწყმედს; ჭამს, მაგრამ: შესჭამს და სხვ.

ძველი ქართულისათვის ყოველად შეუძლებელია ჰკლავს ან მოკლავს, ჰმუსრავს ან შემუსრავს, სწერს ან დაწერს, სჭამს ან შეჭამს. არა: ზმნისწინიანს პირის ნიშანი უნდა უცილობლად (მოკლავს, შემუსრავს, შესჭამს), ხოლო უზმნისწინოებს არ სჭირდება იგი (კლავს, მუსრავს, ჭამს)<sup>44</sup>. როგორც ირკვევა, მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნის შეტანა (გაჩენა) ზმნის ფორმაში ზმნისწინის დამატებასთანა დაკავშირებული და ზმნისწინის ზმნასთან შეხორცებასთან ერთად მოხდა.

ახლა ვუჩვენებთ სათანადო მაგალითებს ძველი ტექსტებიდან. ნიმუშად მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ უფრო მეტად გავრცელებულ ზმნას:

არა თარგმანებ გამოუთარგმანებელსა მას საკვრველებასა (სინ. 173,7);

<sup>44</sup> უფრო დაწერილობით იხ. ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტ. ქრესტ.. II, 1963. გვ. 177—179; მისივე. ქართული ენის ისტ. ქრესტ.. ტ. I. ნაწ. II. გვ. 163—203.



პურიანი თარგმანებზე (სინ. 34,20); და თარგმანებდა აღვილად ჩუენებასა (საკ. წ. II. 58,28). მაგრამ: ყოველსა ... გამოსთარგმანებნ (ასურ. 71,32); ყოველსა ჭეშმარიტად გამოსთარგმანებდა (საკ. წ. II, 106,40); აღიარებდეს სიტყუასა წიგნთასა და გამოსთარგმანებდეს (ბალ. 48,9); ანუ ყოველნი ნუ გამოსთარგმანებდენ (1 კორ. 12,30).

ასა ესერა მცირესა ამას ვთხზავ ბაიასა (ნოვ. I. 6.11.5); ზინ და ფსურიდსა თხზავნ (Sin. 11. 251,8); ენაი ჩემი თხზვიდა (ფს. 49,19 ჟ); რაკდენცა ნიეთსა მისცემდე. ვგოდენცა იგი თხზვიდეს (Sin. 35, 300rb). მაგრამ: რომელი უსულოთა საქმეთა მიერ შესთხზვენ ქებასა (ანტიოქ. 312,10).

ენაი შენი უბოროტეს ღრიაკალისა კბენს (სწავ. 148,14); გუელი კბენდა და ღრიაკალი (2 შჯ. 8.15 ლავ., ლატ., პარ.); მტარვალნი ... ვითარცა მგელნი. კბენდეს კრავსა მას ქრისტესსა (თთუენი, 49,12; ეტ. VIII). მაგრამ: ურიცხუთა მათგანთა დაკბენდა (Sin. 11, 252,2 ქვ.).

არარაი აქენ ამის სოფლისაი. გარნა ერთი ნემსი, რომლითა კერვიდა დანაკისკუდისა ფურცელსა (ნოვ. I. 6,7,4); სფურიითა კერვიდა (ცხ. ანტ. 46,32). მაგრამ: ვითარცა ვინ განკერავენ კეცსა, ვერე არს, რომელი ასწავებდეს უგუნურსა (ზირ. 22,7); განკერვიდეს ბადეთა მათთა (მ. 4,21 C).

ისარი იგი კლვიდა ორკერძოივე კაცებსა (სინ. 23,16); ლომსა და დათუსა კლვიდა მონაი შენი (1 მეფ. 17,16); ვითარ-იგი ტყუენვიდეს ყოვლითკერძო და კლვიდეს (ანტიოქ. 398,8). მაგრამ: თუ არა უბრძანო, არა მოკლავს (სწავ. 66,17); ვითარ-ესე იხილა ყრამან მან, რამეთუ არა მოკლვენ მას მოყუასთავე თვისთა თანა (სინ. 276,17); მღდელი ... კრავსა მას ღმრთისასა დაკლავნ (წარტყ. 18,6); ოდეს პასქასა მას დაკლვიდეს (მრ. 14,12); აღდგენ შეილნი მამა-დედათა ზედა და მოკლვიდენ მათ (მრ. 13,12).

ერსა ვკრებთ (სინ. 251,29); ძენი მათნი კრებენ შემასა (იერ. 7,18); რომელი მღელიოსა კრებდეს მათთა შინა (იობ 30,4). მაგრამ: რომელი არა შეკრებს ჩემ თანა. იგი განაბნევეს (მ. 12,30; ლ. 11,23); ხოლო ჩუენ ... შეკრებთ მონაგებთა (ლიმ. 59,28); ძენი მათნი შეკრებენ შემასა (იერ. 7,18 გელათ.); ვიდრემდის შეკრებნ იგი, მოწყალე არს (Sin. 35, 160va,12); რომელი-იგი ხარკსა შეკრებდეს (მ. 17,24).

თანა-აც სასოებით ვნეაი მვენელსა მას, და რომელ-იგი ლეწავნ — სასოებით შეკრებაი (1 კორ. 9,10); აღდგე და ლეწვედი მათ, ასულო სიონისაო (მიქ. 4,13). მაგრამ: დაჰლეწვიდეს და დასთრგუნვიდეს ყოველთა ერთა წარმართთა და მკდომთა (თუალთ. 60,5); დაჰლეწდეს კერპთა ამთ ყოველთა (საევს. 52,3); დატკებნოს თავი ვეშაპისაი და დაჰლეწდეს ბრძოლისა მახვლითა (ბოლნ. 40,6). როგორც ვხვდავთ. ეს ზნა ორი სახით იხმარება: ავ თემის ნიშნით და უნიშნოდ. მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. პირის ნიშნის გამოყენების წესს ორივე სახეობა თანაბრად ექვემდებარება.

*/მფრინველნი/ არა სთესვენ, არცა მკიან (მ. 6,26; ლ. 12,24); რომელი მკიდა ყანასა (Sin. 35, 268 ra, 3); ბეთსამელნი იგი მკიდეს სამკალსა იფქლსა ყანასა შინა (1 მეფ. 6, 13); რომელი-იგი მკიდეს (ეპ. ანტ. 18,30); სადა მკიდენ, შეუდგე მათ (რუთ 2,9). მაგრამ: სრულიად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიად კეთილსა (ხანძთ. 134,10).*

არა ესე არსა. რომელი-იგი მუსრვიდა იერუსალმის შინა (მოც. 9,21 წ C); მოწაფენი მისნი მოპტრიდეს თავსა უკელისასა, მუსრვიდეს ველითა და ჭამდეს (ლ. 1,6). მაგრამ: უფალი ამპარტავანთა შეპმუსრავს (იგაე. 3,34); ლოცვა და მლოძარება და მოთმინება განსაკდელთაი შეპმუსრვენ გულსა შემუსრვითა სარგებელითა (Sin. 35, 76ra); რომელნი... შეპმუსრვიდეს სულთა (წარტყ. 36,19); შეპმუსრვიდა იგი ყოველთა დამყარებულთა (კომ. I, 261,27).

რომელნი (დედანი) რცხიდეს მუნ (ცხ. ეფრ. 89,11); რცხიდეს მათ ცრემლთა მიერ თვისთა (ნოე. I, 3,24,5. A-1105). მაგრამ: ხოლო მესათხეველნი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განპტრცხიდეს ბაღეთა (ლ. 5,2).

წყაროი კეთილი, რომელი რწყავნ ნერგთა, ვერეცა სიმრავლმ მონაზონთაი ურთიერთას რწყვენ ცრემლითა მათითა მათსა მათ ფსალმუნებასა (Sin. 97, 54ra-rb); რომელი ლავრასა სწავლითა რწყვიდა (კომ. I, 13,11); ანუ ვინ რწყვიდეს ცრემლთა მიერ წმიდათა სოფლებსა ჩუენსა (ას-ურ. 65,28 ყ). მაგრამ: ამის ზღვსა შეწამულის-გან გამოვალს ათორბეტი წყაროი და მოპრწყავს იგი ფრიაღსა ფინიკიანსა. და მახლობელად მისა არს ვერდომული, რომელი მოპრწყავს სხუასა ფინიკიანსა და ზღუდელვე შთავალს (სინ. 269, 21-22); წიგნი პავლმსნი... მოპრწყვენ და განაძღუბენ ეკლესიასა ღმრთისასა (თუალთ. 80, 23); წყაროი... მოპრწყვიდა ყოველსა პირსა ქუეყანისასა (დაბ. 2,6 ლაგ.); წყალნი... მოპრწყვიდენ ვეესა მას ნაწილთასა (იოველ 3,18 ლაგ.).

ზოგჯერ ამ ზნაში ჰ გადასმულია რ-ს შემდეგ, წ-სთან მოხვედრისას კი სხვა ფონეტიკური კანონის მიხედვით ს-დ არის შეცვლილი: წყაროი ერთი იყო ქუეყანასა გიდრისასა, და მორსწყვიდა იგი მას ყოველსა (ს. მეს. 58,14)<sup>35</sup>. მთავარი ის არის, რომ პირდაპირი ობიექტის ნიშანი ვლინდება ზნისწინაან ფორმაში!

გარდარეულად ვსდევნიდ ეკლესიათა ღმრთისათა და ვტყუენვედი მათ (გალატ. 1, 13); რომელსა-იგი ოდესმე ტყუენვიდა (გალატ. 1,23); შემზადნეს ნაეები და ტყუენვიდეს ქუეყანათა მრავალთა (Опис. 179,22). მაგრამ: სიმძღრე შენი წარმოსტყუენავს შმიერთა (სწავ. 148,11); სარწმუნობაი და უცხოებაი წარსტყუენავს სიყუარულსა ოქროსასა (Sin. 35, 169ra, 11 ქვ.); რომელნი შეველენ სახლებსა და წარმოსტყუენვენ ღელათა, შეკრებულთა ცოდეთა (2 ტიმ. 3,6).

რომელნი ყრიედ თავთა თვისთა და იტყუედ (თუალთ. 61,28); ყრიდა ველთა და ფერეთა (ცხ. ეფრ. 98,2); ხოლო თანა-წარმაველნი იგი ჰემობდეს მას და ყრიდეს თავსა მათსა (მ. 27,39; მრ. 15,29). მაგრამ: დაწყრიდა /კბილთა/ ქუეყანასა ზედა (Sin. 6, 196r, 2 ქვ.); კული მისი მიითრევედა მესამედსა ვარსკულავთასა და გარდამოყრიდა ქუეყანად (თარგმ. გამოცხ. 12,4 B); გარდაწყრიდეს ჭურჭელთა მათთა ნავით ზღუად (იონა 1, 5 ლატ.); სავედრები გარდამოყრიდეს მვედართა (ცხ. ეფრ. 86,29).

ჯორცსა მოყუარეთა ჩუენთასა ვკონხით (აგ. ძეგ. I, 215,40 ყ); ხოლო უგლანაკენსნი-რე ნაგლევეთა თივთაი ცონხიდეს (ზრონოლრ. 194, 20). მაგრამ: ველნი იქნან

<sup>35</sup> ამის შესახებ უფრო ვრცელად იხ. ი. იმნაიშვილი. მეტათეზისის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თემ. 114. 1965. გვ. 139—149.

და ქმსახურებენ თუალთა და ყოველსა გუამსა. და მისცემენ პირსა საჭმელსა. და კბილნი განსკობნიან (სწავ. 175.12).

განრისხებულ არიან ღმერთნი და ძრვენ ქუეყანას (ისტ. ჟრ. II, 63.27); ვძრვიდე ყოველთა ასოთა ჩემთა (იობ 9.28 ოშკ., ლატ., პარხ.); ვერღარა ძრვიდეს მას გონებაი (უძვ. რედ. 168.9). მაგრამ: აღსძრავს ეკლესიათა ღმრთისათა (სინ. 79.18); მშვდობას ეკლესიათასა შესძრავს (კიმ. II, 188.38); ამას შენდა მიმართ აღსძრავთ მეოხად (სინ. 26, 6v, 6); ესე კაცნი აღსძრვენ ქალაქსა ამას ჩუენსა (მოც. 16.20); სიტყუაი მტერისაი და ზრახვაი აღსძრავს მას მწუხარებად (სწავ. 30.24); აღსძრვიდა ყოველსა ერსა (არიმ. 53. 58.2); რომელი შესძრვიდეს ყოველთა დაბადებულთა (სწავ. 123.24).

ძლიერნი წერენ სიმართლესა (ივავ. 8.15 პარ.); კალამი მოების ველსა მას დაკუეთილსა და წერს (კიმ. I. 94.26); მე ვჯედ და ვწერდი (აპოკ. 89.7); წარვედ. შეილო, და წერდ (საკ. წ. II, 131.12). მაგრამ: აღვსწერ საქმეთა (წარცყ. 1.20); მარიამ ეკლესიასა ხატად გამოსწერს (სინ. 125.4); ოდეს პილატე ჯუარსა მას ზედა დახწერს (ხანმ. მრავ. 14 b.14); განწესებასა ამას თავთასა აღვსწერთ ჩუენ (მოც. გვ. 218.4); რომელი გამოსწერს (ზირ. 38.27); მარიამ წინავე ხატად გამოსწერდა (სინ. 125.13); მე დავსწერდ წიგნსა ზედა მელნითა (იერ. 36.18); აღსწერდიან მათთვის შესხმასა (ანტიოქ. 312.15); აღსწერდა სიტყუასა მას მთავრისასა (კიმ. I. 56.15).

ჟამსა წირავს (პავ. მასალ. 33); რეცა თუ ჟამსა წირვენ (ლიმ. 106.26); რაჟამს მღღელი ჟამსა წირვიდეს (ლიმ. 47.39); რაითა არა წირვიდიან დღესა შინა ორ-გზის (აღწ. 115.10). მაგრამ: ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგების ჩემისა (ლ. 18.12); რომელი შესწირავს მსხუერპლსა უბიწოსა წინაშე ღმრთისა (სწავ. 80.12); რომელნი შესწირვენ წმიდასა შესაწირავსა (ბოლნ. 40.18); ვედრებასა შესწირვიდა ღმრთისა ცრემლითა (ბალ. 115.38); ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა (ზარზმ. 174.26); კაცი თქუენგანი უკუეთუ შესწირვიდეს შესაწირავსა მსხუერპლად ღმრთისა (ლევ. 1.2).

არა თუ ქუეყანასა წუვიდა (სინ. 139.26); ცეცხლის-ფერნი ვეშაჰნი მოხუეულ იყენეს და ვითარცა ვმელსა ლერწამსა წუვიდეს (ლიტ. ჟრ. 16.22); არამედ საჭურველსა მათსა წუვიდენ ცეცხლითა (ეზეკ. 39.10 O). მაგრამ: არა ხოლო თუ ჯორცთა ოდენ დასწუავს. არამედ სულსაცა (სწავ. 7.4); არცა ფრიადი სიცხმ შესწუავს მათ (ხანმთ. 115.20); დასწუავს მათ გესლი (სინ. 35, 292vb); რომელი დასწუვიდა ჯორცთა ცხადად (სინ. 261, 8); შესწუვიდა სიცხე იგი ქუეყანასა (ლიმ. 137.11); შამფურნი იგი დასწუვიდეს ზურგსა მისსა (სინ. 11, 47v, 13).

ნუცა ადგილი დასასჯელი წყმედს საყდართა მათ საშუეღლისათა ანგელოზებრთა (სინ. 35. 9ra.2). მაგრამ: ხოლო ესე სულთა და ჯორცთა წარსწყმედს (სინ. 35. 320ra,8); ნუმცა მცირითა გემოითა წარვსწყმედთ კეთილთა მათ საუკუნეთა (სწავ. 227.33); ესე ეშაჰნი არიან, რომელნი აღაშფოთიებენ და წარსწყმედენ კაცთა (ბალ. 123.27).

მოვიდა ძმ კაცისაი. ჭმამს და სუამს (მ. 11.9; ლ. 7.34); რაიდა არა შჭამთ საჭმელსა. რომელსა ჩუენ ვჭამთ (გულანდ. 211.10); ვისმე არა უნდეს საჭმის.

ნუკალა ჭამნ (2 თესალ. 3,10); ჭამდა მკალსა და თაფლსა ველურსა (მრ. 1,6); ჭამლით და სუემლით მათ თანა (ლ. 10, 7); პურსა მათსა ნაკლულუევანებით ჭამდენ (ეზეკ. 12,19). მაგრამ: რომელი შემჭამს ჯორცსა მკულდართასა (კიმ. I, 149,5); რომელი შემჭამნ ლერწამსა (ოიველ 2, 5); შემჭამდა ჯორცთა კაცთასა (აპოკრ. 39,28); აღჭამდა ბარკალ-სხვლთა მისთა (უდაბ. 34r); რომელნი ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა (გობრ. 177, 17); მამანი შემჭამდენ შვილთა შენ შორის. და შვილნი შემჭამდენ მამათა (ეზეკ. 5, 10); რადითა მოჭამდენ ჯორცთა მისთა (ბოლნ. 70,15). ამ უკანასკნელ ზნაში ჰ პირდაპირი ობიექტისაა და არა ირიბისა, როგორც კაცი იფიქრებდა ახალი ქართულის კვალობაზე. შდრ. მოჭამონ სამკალი თქუენი (იერ. 5,16); მოვიდეს და მოჭამოს ქუეყანაი (იერ. 8,16); მოჭამნენ ვენაჳნი თქუენნი და ლელოვანი თქუენი (იერ. 5,17).

როგორ დგას საკითხი მაშინ, როცა ზნას არ შეუძლია ზნისწინის დართვა? აქვს თუ არა მას ჩვენთვის საინტერესო პირის ნიშანი? ერთი შეხედვით, რაკი ზნისწინი არ ერთვის, ნიშანიც არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ საჩქე ასე მარტივად ვერ გადაწყდება. ზემოთ განხილული ტიპის ზნებში აბსოლუტურ უბრაულებსობას ზნისწინიანი ფორმები შეადგენდნენ. უფრო მეტიც, როცა ზნას არა აქვს უნარი ზნისწინის დართვისა, იგი პირდაპირი ობიექტს ნიშანს ირთავს. ასეთი ზნებები სულ ცოტაა და, ეტყობა, ერთ-ერთი ძველი დიალექტის შემონატანი უნდა იყოს. ეს ზნებია: ჰგუემს, ჰპოვებს, სტანჯავს, სცავს, სცნობს, ჰყოფს და შეიძლება რამდენიმე ერთეული კიდევ სხვა. მართალია, ძველ ქართულში გვაქვს მოიპოვებს, დაიცავს, იცნობს, მაგრამ ეს ინიანი (სათავისო ქცევის) ფორმები უკვე სხვა ზნებია და ამათ ჩვენი მსჯელობა არ ეხება. რაც შეეხება ისეთ მაგალითებს, როგორიცაა ჰყოფს ზნის ზნისწინიანი ფორმები: განჰყოფს, დაჰყოფს, შეჰყოფს, მიჰყოფს (მოჰყოფს), ესენი არაა ჰყოფს ფორმის გაგრძელება: აქ ზნისწინის დამატებით სულ სხვა მნიშვნელობის ახალ ზნებს ვღებულობთ: ჰყოფს არის "აკეთებს", ხოლო განჰყოფს — "ყოფს", "ანაწილებს" (განუყო = გაუყო, დაუნაწილა), დაჰყოფს — "ხუაევს", "კეტავს" (დაყო კარი = დახურა კარი, დაყო წიგნი = დახურა წიგნი) და სხვ. ერთი სიტყვით, აქ სხვადასხვა ზნა გვაქვს და ორივე ჯგუფი საერთო კანონს ემორჩილება. დაშვება, იმისა, რომ ამ ფორმებში ჰ და ს პირის ნიშანი შეიძლება ირიბი ობიექტისა იყოს, იმთავითვე გამორიცხულია, რადგან II სერიის ფორმებში ეს ნიშნები უკვე აღარაა: მან იგი გუება, პოვა, ტანჯა, ცნა. ყო. წარმოვადგენთ ამ ტიპის ზნათა ობიექტისნიშნან ფორმათა ნიმუშებს:

რჩული წარმართთაი ჰგუემს (აპოკრ. 77,38); ჰგუენ (Sin. 35, 148rb,5; ანტიოქ. 353,11); რომელთამე ჰგუემლიან ქუერთხითა ეკლოვანითა (კიმ. II, 107,37).

ამას ჰპოვებს ძალი (ექუსთ. 109,2); ეძიებდეს ცრუ-მოწამეთა იესუისთვს... და არა ჰპოვებდეს მას (მ. 26,60 E; მრ. 14,55 CE); ყოველსა რომელსა ჰპოვებდეს, მოჰკლვიდეს (წარტყ. 16,13).

სტანჯავს ყოველსა სოფელსა (აპოკრ. 10,2); რომლისაი უნდა მას ტანჯკაი, სტანჯკიდა (დან. 5,19). ნ.კ.: სინ. 249,34; კიმ. I, 302,32; კიმ. II, 63,14.

მე სათნოებათა მისთა ვყოფ მარადის (ი. 8,29 C); სწორ ჰყოფდა თავსა თვისსა ღმრთისა (ი. 5,18); ჰყოფდენ სასწაულებსა ღიდ-ღიდსა და ნიშებსა (მ. 24,24;

მრ. 13,22).

მე ესერა ვდგა და ვსცავე (სინ. 202,27); სცავენ მას (სწავ. 301,27); მეუღარნი განწესებით სცვიდეს მას (სას. პ. 268,290); 6.კ.: სინ. 61, 16; აღწ. 152,4; მ. 27,54.

მე ვითარ ვსცნობ ამას იგავსა (Sin. 35, 248ra,14); ნუ სცნობნ მარცხენც შენი (მ. 6, 3); რომელი... მომავალთა სცნობდა (ანტიოქ. 335,26).

უფრო ცოტა ისეთი ზნეები, რომელთაც ობიექტური პირის ნიშანი ორივე სახის ფორმებში აქვთ წარმოდგენილი — უზნისწინაობებშიც და ზნისწინაინანებშიც. სდევნის — წარსდევნის, ჰგმობს — განჰგმობს, ხითხოვს — გამოხითხოვს, ჰკურნებს — განჰკურნებს, სტკებნის — დასტკებნის, ჰფარავს — დაჰფარავს და სხვანი. ეს წესი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში რომელიღაც კილოდან უნდა იყოს შემოტანილი. ზოგიერთ ფორმას შეიძლება სხვა ახსნაც მიეცეს<sup>36</sup>; ზოგ შემთხვევაში პ. ს შეიძლება წარმოშობით ირიბისა იყოს (შდრ., მაგალითად: რომელმან განმკურნოს მე ვნებად ესე ჩემი: ისტ. ქრ. I, 94,21) და სხვ. მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ძველ ქართულში არის ამ ტიპის ზნეები, ცოტა, მაგრამ მაინც არის. შევნიშნავთ ბოლოს, რომ ძველი ქართულის ეს წესი დღეს შემონახულია თუშურში<sup>37</sup>. აქ ჩვეულებრივია ასეთი წყვილ-წყვილი ფორმები: ღბანს - გაღბანს, ღბედავს — გაღბედავს, ღგლეჯავს — მოღგლეჯავს, ზღებს — ჩაზღებს, სთიბს — მისთიბს, ხკლავს — მახკლავს, ხვოცავს — დახვოცავს და სხვ. მაგრამ ამას უფრო გამოწველილით სჭირდება შესწავლა.

რაც შეეხება ძირითად წესს, რომელზედაც ცოტა ზემოთ გვქონდა საუბარი (კლავს — მოკლავს, წერს — დასწერს, ჭამს — შესჭამს ...), იგი სუფთა სახით დატკულია დღევანდელ ხევსურულში<sup>38</sup>. აქ, როგორც ძველ ქართულში, უზნისწინო ფორმები ყოველთვის უნიშნოდ არის წარმოდგენილი, ხოლო ზნისწინაინანებს მუდამ აქვს პირის ნიშანი. გასაგებია ამ არქაიზმის ხევსურულში ხელუხლებლად დაცვის მიზეზები. აქ ახლა იმაზე აღარაფერს ვიტყვით, რომ ფონეტიკური და სხვა მიზეზების გამო სხვადასხვა პირის ნიშნები გვაქვს (ვთქვათ, მჟღერი მამის ბგერების წინ ღ. ყრუთა წინ ხ და სხვ.). მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს უკონტექსტოდ: ბედევდა — გაღბედავს, თელვენ — გასთელვენ, კეებავს — დახკეებავს, კლავს — მახკლავს, ლევენ — დალლევენ, ლოცავს — დალლოცავს, მალავს — დალმალავს, ვტებ — გაევსტებ, ფარავდა — დახფარვენ, ფქეავს — მოხფქეავს, ქსოვენ — დახქსოვენ, ყრის — დახყრის, წირავს — გასწირავს, ჭამს — მაშჭამს, ველავს — მახველავს ...

## 7. ხანძახისა და ააძახის ურთიერთიშინაობა

რა მიმართებაა ხანძეტსა და ააძეტ ფორმებს შორის? რომელია უფრო ძველი და. პირიქით, რომელია უფრო ახალი? რომელი რომლისაგან მომდინარეობს? რატომ

<sup>36</sup> შეიძლება დავუშვათ, რომ ობიექტის ნიშანი სამპირიანი ზნეების ფორმებიდან გადმოყლილი სათანადო სათავისობი: ხითხოვს→ხითხოვს, ხრეკს→ხირეკს, ხკადრებს→ხიკადრებს. ანალოგიური შემთხვევები სხვათა ცნობილი: დამალენ შენ ჩუენ—ჩუენ დაკიმალენთ (ა. შანიძე), ასეგადმოყლილ პირის ნიშნად მიანიათ ინიან ვნებითებში არსებული ხ: ხიყო, ხიღვა, ხისხნეს (ა. ჩიჭუაძე).

<sup>37</sup> ი. იშნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I, ნაწ. II, გვ. 203.

<sup>38</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ. ი. იშნაიშვილი. ქართული ენის ისტ. ქრესტ. ტ. I, ნაწ. II, გვ. 189—200.

გვაქვს ერთი და იგივე ნიშანი  $S_2$  და  $O_3$  პირებისათვის? რით არის გაპირობებული ჰაემეტ ტექსტებში ზ-არ ფორმის გამოვლენა? ჩამოთვლილი და კიდევ ბევრი სხვა კითხვაა დასმული მრავალ ნაშრომში, რომლებიც ხანმეტრობა-ჰაემეტრობის ურთიერთ-მიმართების პრობლემას მიეძღვნა. სხვადასხვა დროს ამ ურთულეს პრობლემას ამა თუ იმ კუთხით იხილავდნენ ი.ჯავახიშვილი<sup>39</sup>, ა.შანიძე<sup>40</sup>, გ.ახვლედიანი<sup>41</sup>, ა.ჩიჭუბავა<sup>42</sup>, გ.დევეტერსი<sup>43</sup>, თ. გონიაშვილი<sup>44</sup>, გ.როგავა<sup>45</sup>, ა.ონიანი<sup>46</sup>, ზ.სარჯველაძე<sup>47</sup>, რ.ენუქაშვილი<sup>48</sup> და სხვ. მათი კვლევის ანალიზი ვერ გახდებოდა ჩვენი შრომის მიზანი. ვიტყვი თხოვრისად, რომ უფრო მეტად გასაზიარებელი ჩანს ის მოსაზრებანი, რომლებიც ა.შანიძისეულ ე.წ. "დიალექტურ თეორიას" ეყრდნობიან.

ა.შანიძის აზრით, ხანმეტი და ჰაემეტი ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავებულია არა (იმდენად) დროით, არამედ ადგილით, ტერიტორიით, ისინი ერთდროულად არსებობდნენ სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა დიალექტში. ხანმეტის სამოქმედო ასპარეზი იყო ქვემო ქართლი, ძველი გუგარეთი, ტერიტორია მცხეთა-ბოლნისის რადიუსით. სწორედ აქა დაცული პირველი ხანმეტი ძეგლები (მცხეთის ჯვარის მონასტერი, ბოლნისის სიონი). (ამავე დროს) სხვაგან ყველგან ჰაემეტი კილო იყო, რომლიდანაც ჩამოყალიბდა IX საუკუნისა და შემდეგ-დროინდელი ქართული. თუ ხანმეტი ძეგლები გაცილებით მეტად შემონახული (V-VI საუკუნეების პალიმფსესტები), ხოლო ჰაემეტი — ნაკლები, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ ხანმეტ კილოზე მოლაპარაკე ქართული ტომები ხალხის მოწინავე ნაწილს წარმოადგენდნენ, აენგარდში იდგნენ, ანბანიცა და მწერლობაც პირველად ამ ტომებმა შექმნეს და სწორედ ამიტომაც უფრო მეტი ძეგლი ხანმეტ კილოზე შემონახული. ჰაემეტ კილოზე რომ ბევრი ძეგლი ვერ შემოგვენახა, ეს არ ნიშნავს, რომ ძველადაც არ ყოფილა ისინი. ეს ჩვენი ისტორიის ბელუკულმართობით აიხსნება, მან

<sup>39</sup> ი.ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ტუმ, 2, 1922—23. გვ. 26—41.

<sup>40</sup> ა.შანიძე. ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ, 3, გვ. 354—363.

<sup>41</sup> გ.ახვლედიანი. ორი ერთსავე პრეფიქსი ქართულ ზნაში: ჩვენი მეცნიერება, 1, 1925.

<sup>42</sup> ა.ჩიჭუბავა. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენისათვის: ჩვენი მეცნიერება, 3—4, 1925. გვ. 65—84; მისივე. გრამატიკული კლას—კატეგორია და ზნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში: იკვ, 5, 1953. გვ. 51—61.

<sup>43</sup> G. Deeters. Das khartwelische Verbum. Leipzig, 1930, გვ. 31—34.

<sup>44</sup> თ.გონიაშვილი. დიალექტიზმებისათვის პადიმის ძეგლში: ენობის მოამბე, IV(2), 1938. გვ. 115—162.

<sup>45</sup> გ.როგავა. ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 15, 1956. გვ. 285—293; მისივე. ი.ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ძეგლების აღმოჩენა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: იკვ, 16, 1968. გვ. 273—277.

<sup>46</sup> ა.ონიანი. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის მორფემათა ხ და კ სუბმენტების ისტორიული ურთიერთმიმართება: ენათმეცნიერების ინსტიტუტის 26-ე სამეცნიერო სესია, 1970, თეზისები და მუშაობის გეგმა: მისივე. ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, 1978.

<sup>47</sup> ზ.სარჯველაძე. ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზნის პირიან ფორმათა ხატიბელო. 1971; მისივე. ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი. გვ. 39—40.

<sup>48</sup> რ.ენუქაშვილი. ხანმეტობა-ჰაემეტობის საკითხისათვის ქართულში: ძველმ. 19, 1976. გვ. 177—180.

გამოიწვია გარკვეული ადგილის ძეგლების დაღუპვა.

ხანისაგან ჰქვს მიღება (ჰქვს მიერ ხანის შეცვლა) წმინდა ენობრივი თვალსაზრისითაც გაუმართლებელია:  $\text{ჰ ქართულში მეტად სუსტი ბევრია. იგი ძველ ქართულშიც გადაეარდნის გზაზე იყო დამდგარი (ჰომი — ომი, ჰორმო — ორმო ...) და მას არ შეეძლო ხანის შეცვლა. მეორეც: თუ მაშინ ხ სუსტდებოდა და მას ჰ ცვლიდა. რაღა მარტო პირის ნიშნებში მოხდა ეს? რატომ არ შეეხო ეს ტალღა ძირეულ ხანებს და არ შეცვალა ისინი ჰ-დ? რატომ დარჩა ისევე ხედვა და არა ჰედვა, ჰატი და არა ჰატი. ხადილი და არა ჰადილი და სხვა მრავალი? ამ კითხვებზე პასუხი არ ჩანს. ა. შანიძის აღნიშნულ შეხედულებას ამართლებს დაახლოებით ერთდროული არსებობა ხანმეტი და ჰემეტი ფორმებისა. მაგალითად, უკანგორის წარწერაში (V ს.) იკითხება ხანმეტი ფორმა აღხუმართე (მე. თათვარაზ. აღხუმართე ესე ჯუარი), იგივე სიტყვა გვხვდება წყისის წარწერაში (616-619 წწ) ჰემეტურად: აღჰუმართე (ესე ჯუარი ქრისტოსი მე. კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე...). VII საუკუნის პირველი ნახევრისაა ცნობილი ხანმეტი ლექციონარი: VI საუკუნის უკანასკნელ ათეულს განეკუთვნება მცხეთის ჯვარის მონასტრის დემეტრე ვიპატოსის წარწერა ხანმეტი ფორმით (წმიდაო მიქელ მთავარანგელოზო. დემეტრეს ვპატოსსა მეოხ ხეყაე). ეს ყველაფერი თითქმის ერთდროულადაა, მაგრამ სხვადასხვა ადგილას: მცხეთაში, ბოლნისში, უკანგორში — ხანმეტი, წყისში — ჰემეტი. შემთხვევითი არაა, რომ თვით ზემოთ ნახსენებ ხანმეტ ლექციონარში 165 ხანმეტი ფორმაა, მაგრამ იქვე გვხვდება 7 ჰემეტი ფორმაც: ჰიხილოთ (ორჯერ), ჰიცილოთ, ჰეჰიძინენ. ჰეტყებდენ. მიჰეხების, ჰეყოს. ასე რომ, ხანმეტი და ჰემეტი ფორმები დიალექტური წარმოშობისა უნდა იყოს, ისინი შორეულ წარსულში ერთდროულად იხმარებოდა ენაში. ოღონდ სხვადასხვა კილოში.$

## 8. ხანის უხანციფი ხანმეტი ძეგლები

როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ხანმეტ ძეგლებში ხანი (ჰემეტებში ჰე) იხმარებოდა ორი ძირითადი ფუნქციით: მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად. ეს გეჰონდა, სახელდობრ. შემდეგს შემთხვევებში:

### S<sub>2</sub>

1. ერთპირიან ზმნებში (ინიანი ვნებითების გამოკლებით): შენ ხ-არ, ხ-დვა, ხ-ზი, ხ-ჯედ. ხ-წეე. ხ-ჩა(ნ), ხ-ტირ, ხ-დუმი. ხ-წუხ, მო-ხ-უალ. შე-ხ-უედ. წარ-ხ-კლე.

2. ორპირიან გარდამავალ ზმნებთან II სერიის მწკრივებში: შენ იგი ხ-თქუ, ხ-ყავ, ხ-ქმენ, ხ-ცან. ხ-პოვო. და-ხ-წერო, მო-ხ-კლა. შე-ხ-კრიბო, ხ-ისმინო. შე-ხ-იყარ. შე-ხ-კარ, მი-ხ-ილე.

3. I სერიის მწკრივებში იმ ორპირიან გარდამავალ ზმნებთან, რომელთაც ზმნისწინი არა აქვთ: შენ მას ხ-თარგმანებ, ხ-თხზავ, ხ-კბენ, ხ-კრავ, ხ-კლავ. ხ-კრებ. ხ-ლწავ, ხ-მეი. ხ-მუსრავ, ხ-რცხი, ხ-რწყავ, ხ-ყრი, ხ-ცოხნი, ხ-ძრავ, ხ-

წამებ. ხ-წერ. ხ-წუავ. ხ-წყმედ. ხ-ჭამ.

მხოლოდ მეორე სუბიექტურ პირს რომ აღნიშნავდეს, სხვა შემთხვევა არ არის (იგულისხმება, რომ ყველა სხვა შემთხვევაში  $S_2$  და  $O_3$  პირებისათვის).

### $O_3$

1. სამპირიან ზნებში (მწკრივები სულ ერთია):

ა) შე-ხ-უბთ, და-ხ-ბანა, მო-ხ-გუარა, ხ-თხოვა, ხ-კითხა, ხ-რქუა, ხ-უას-წავე, მი-ხ-ტაცა, მი-ხ-ცემდა, შე-ხ-ძინებს, გან-ხ-ძარცუა, მი-ხ-წერა.

ბ) ხ-უბრძანა, მი-ხ-უგო, ხ-უგმირა, და-ხ-უღვა, ხ-უთხრა, შე-ხ-უბუსრა, შე-ხ-უპყრა, და-ხ-უტყვა, და-ხ-უფენდეს, გან-ხ-უღეს, მი-ხ-უყვანა, ხ-უწუნა.

გ) და-ხ-ბაღა<sup>49</sup>, და-ხ-ბეჭდა, და-ხ-თესა, შე-ხ-კაზმა, და-ხ-კრძალა, აღ-ხ-მართა, გან-ხ-მარტა, და-ხ-მარხა, გან-ხ-შზადა, და-ხ-წერგა, აღ-ხ-ასრულა, გან-ხ-ფინა, და-ხ-ფლა, და-ხ-აყენა, და-ხ-ხსნა, და-ხ-ხმა.

დ) აღ-ხ-აგზნეს, ხ-აგინოს, ხ-აიძულა, და-ხ-აკერვა, მო-ხ-ამშიონ, და-ხ-ამძიმა, ხ-ამხილა, ხ-არცხენა, აღ-ხ-აღო, შე-ხ-აურვა, შე-ხ-ამინა, ხ-აცთუნა, გან-ხ-აცხრო, ხ-აწვეს, ხ-აჭენა, შე-ხ-აჭირვა, და-ხ-აჯერა.

2. ორპირიან გარდაუვალ ზნებში (მწკრივები სულ ერთია): მი-ხ-ეახლა, და-ხ-ადგრა. (და)-ხ-უკვრდა, და-ხ-ემალა. შე-ხ-ემთხვა, ხ-ესაეს, ხ-უყუარდა, ხ-შორავს, ხ-წიუნა, შე-ხ-ცთა, და-ხ-ცხრა, მო-ხ-უვდა.

3. ორპირიან გარდაუვალ ზნისწინიან ზნებთან I სერიის მწკრივებში (აქ ხ პირდაპირ ობიექტს აღნიშნავს): გამო-ხ-თარგმანებს, შე-ხ-თხზავს, და-ხ-კებნს, გან-ხ-კურავს, მო-ხ-კლავს, შე-ხ-კრებნს, და-ხ-ლენწავს, მო-ხ-მკიან, შე-ხ-მუსრავს, გან-ხ-რცხიდეს, მო-ხ-რწყავს, წარ-ხ-ტყუენავს, გარდამო-ხ-ყრიდეს, გან-ხ-ცოხნიან, აღ-ხ-ძრავს, და-ხ-წერს, შე-ხ-წირვიდა, და-ხ-წუავს, წარ-ხ-წყმედს, შე-ხ-ჭამენ.

4. ინიან ვნებითებში. აქ ობიექტის პირის ნიშანი გადმოსული უნდა იყოს სათანადო მოქმედებითი გეარის ზნიდან კონკურსიის დროს<sup>50</sup>. ეს სწორედ ისე უნდა მომხდარიყო. როგორც იმავე მოქმედებითი გეარის ზნის პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი ენ-ან სუფიქსი კონკურსიის საფუძველზე გადმოიყვა პრეფიქსიან ვნებითებს<sup>51</sup>. ამ საკითხის შესახებ დაწერილებით იჭნება მსჯელობა ქვემოთ, პრეფიქსიანი ვნებითების განხილვისას. მაშასადამე, ეს ხ ოდითგანვე ობიექტის ნიშანი იყო. ხანშეტ ტექსტებში იგი ყველა ინიან ვნებითს მოეპოვება.

5. უფროობითი ხარისხის ფორმებში, როგორიცაა: ხ-უძიძმსი, ხ-უადვილმსი. ხ-უმჯობმსი, ხ-უდიდმსი და სხვანი. ა. შანიძის გამოკვლევით, ასეთი სიტყვების საფუძველად ზედსართავი სახელია აღებული (ძიძმე, ადვილი, მჯობი, დიდი), რომელსაც ზნის კატეგორიების მაწარმოებელი პრეფიქსები ემატება: სასხვისო ქვევის ნიშანი უ (შესამე ობიექტური პირისათვის) და შესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი

<sup>49</sup> ამ ტიპის ზნები წარმოშობით სამპირიანებია.

<sup>50</sup> არნ. ჩიჭუაძე. ხანშეტი და ქვეუტი ტექსტების აღმოჩენისათვის. გვ. 65—84.

<sup>51</sup> ა. შანიძე. აქტიური და პასიური ერთურობის მიმართ მრავალ-პირიანი ზნის ჩვენებით: სმამ. ტ. IV, 4. 1945. გვ. 375—382.



ბ. ხუმჯობსი პირველად მასზე უკეთესს აღნიშნავდა. ავტორის აზრით, ჩემზე უკეთესი მაშინ ასე გამოიხატებოდა: მი-ჰჯობსი, შენზე უკეთესი — გ-ი-ჰჯობსი. შემდეგ ეს ორი უკანასკნელი ფორმა დაიკარგა და მხოლოდ მესამე პირისათვის დანიშნული ფორმა განზოგადდა სამივე პირისათვის. "(ხ)უმჯობსი" ძველ ქართულში და დღეს ნიშნავს როგორც მასზე, ისე ჩემზე და შენზე უკეთესს. უფროობითი ხარისხის ფორმაა წარმოშობით ხუცესი-ც (თავიდან — უფროსი), რომლის ხ და უ თავდაპირველად ზმნის პირისა და ქცევის ნიშნები იყო. შემდეგში, როცა ეს სიტყვა მღვდლის აღსანიშნავად გამოიყენეს, ძველი მნიშვნელობის აღსადგენად მას თავში კვლავ დაუმატეს ახალი უ და მიიღეს უხუცესი, რომელიც, მართლაც, უფროსს აღნიშნავს. "ხუცესის" შესაფარდი წარმოებაა მეგრული უჩაში და სევანური ზომა. რომლებიც ახლაც უფროსს გამოხატავს. მაშასადამე, ქართულის მსგავსი წარმოება მეგრულ-ჭანურსაც და სევანურსაც ქჷნიათ<sup>32</sup>. აზნაირი მაგალითებია კიდევ: ხ-უადრსი, ხ-უბოროტსი, ხ-უბრწყინვალსი, ხ-უკეთსი, ხ-უმრავლსი, ხ-უმცირსი, ხ-უმძიმსი, ხ-უპირადსი (მერმე — უპირატესი), ხ-უსაქეტაცსი, ხ-უტკბილსი, ხ-უფროდსი, ხ-უმორსი, ხ-უძლიერსი, ხ-უწინარსი და სხვ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ისეთი შემთხვევები, როცა ერთ ფორმაში ან მხოლოდ მეორე სუბიექტური პირის ნიშანი იგულისხმებოდა (ხ-არ, ხ-თქუ, ხ-წერ ...). ანდა მხოლოდ მესამე ობიექტური პირისა (ხ-რქუა, ხ-უწუნა, ხ-ესავს...). მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ერთ ფორმაში ორივე ეს პირი ერთად არის მოცემული: სუბიექტად — მეორე, ობიექტად — მესამე, ნიშანი კი ყოველთვის მხოლოდ ერთია წარმოდგენილი. ასეთ ფორმებს საზიაროს ვუწოდებთ, სადაც ერთი ხ ნიშანი ორივე პირის გამომხატველია. ასეთი საზიარო ფორმაა, მაგალითად, ზავსხოთ (ასესხოთ) თქუენ მას (მათ) იგი. ამ საძი პირიდან თქუენ სუბიექტია, მისი ნიშანია პრეფიქსი ხ; მას (მათ) ირიბი ობიექტია. მისი ნიშანიც იგივე ხ არის; იგი პირდაპირი ობიექტია და მას ნიშანი არა აქვს. ასე რომ, ხ აქ საზიარო ნიშანია.

საზიარო ფორმები ორგვარია. ერთი ისაა, როცა ერთმანეთს ხვდება მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირები. მეორე შემთხვევა მაშინ გვეჩვენა, როცა ინიანი ვნებითის ფორმაში სუბიექტად მეორე პირია წარმოდგენილი: შენ ხ-ყავ. ხ ამ შემთხვევაში მეორე სუბიექტური პირის ნიშანია, მაგრამ იგივე ხ სხვა პირებშიც გვხვდება (მე ხ-ყავ, იგი ხ-იყო). იგი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, წარმოშობით მესამე ობიექტური პირის ნიშანია, რომელიც კონვერსიისას თან გადმოჰყვება ხოლმე ინიან ვნებითს. ამდენად, არსებითად რომ ვთქვათ, პირველი შემთხვევის მსგავსი მოვლენა გვაქვს. მაგრამ რადგანაც ხ-ს მეორე მონაწილე (ობიექტი) ახლა აღარა ჩანს და არც იგულისხმება, ამიტომ იგი ცალკე გამოყავით. აი, მაგალითები ორივე შემთხვევისათვის:

ა) შენ მას (მათ) და-ხ-წერ, შე-ხ-კრებ, მო-ხ-კლავ, შე-ხ-ჭამ, და-ხ-ემალე, გან-ხ-ემორე, შე-ხ-ემთხვე, მი-ხ-ემსგავსე ...

შენ მას იგი მი-ხ-ეც, ხ-არქუ, ხ-უთხარ, ხ-უწუნე, და-ხ-უტევე, ხ-კითხე, ხ-

<sup>32</sup> ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართულურ ენებში: თუშ. 1. 1936. გვ. 333—340; გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართულურ ენებში: თუშ. 71. 1958. გვ. 119—131.

თხოვე.

ბ) შენ ხ-იყავ, ხ-იქნები (ხ-იქენ), ხ-იხოვე, მი-ხ-იქეც, და-ხ-იღვე ... თქვენ ხ-იყენეთ, და-ხ-ისაჯნეთ, და-ხ-იმალენით, შე-ხ-იყრენით, და-ხ-იწერენით, ხ-იყოფით, ხ-იქეცოდით.

ზემოთ ჩვენ საუბარი გექონდა ხანმეტე ფორმების ხმარების შემთხვევებზე. საესებით იგივე უნდა ითქვას ჰემეტ ტექსტებში ჰე პრეფიქსიანი ფორმების შესახებ. თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ხანის ადგილას ჰეს ჩავსვამთ, მივიღებთ ჰემეტ ფორმებს<sup>22</sup>, მაგალითად: ჰ-უთხარ, ჰ-ურუნე, ჰ-იყავ, და-ჰ-იღვე და სხვ. ამიტომ ამის გამოკრება აღარაა საჭირო.

დასასრულ, რომ შემდგომ სპეციალურად აღარ დაუბრუნდეთ ამ საკითხს, აქვე ეწვევებით თითო-ორჯელ მაგალითს ხანმეტური ფორმების უღლებიას. მივეყვებით ზემოთ წარმოდგენილ რიგს.

## S<sub>2</sub>

### 1. ერთპირიანი ზმნები (ინიანი ვნებითების გამოკლებით):

ე-წუხ	ე-წევ	მო ვალ
ხ-წუხ	ხ-წევ	მო-ხ-უალ
წუხ-ს	წევ-ს	მო ვალ-ს
ე-წუხ-თ	ე-წვე-თ	მო ვალ-თ
ხ-წუხ-თ	ხ-წვე-თ	მო-ხ-უალ-თ
წუხ-ან	წევან-ან	მო ვლენ-ან

### 2. ორპირიანი გარდამავალი ზმნები II სერიაში:

ე-თქე	ე-ყავ	შე-ე-იყარ
ხ-თქე	ხ-ყავ	შე-ხ-იყარ
თქე-ა	ყო	შე- იყრ-ა
ე-თქე-თ	ე-ყავ-თ	შე-ე-იყარ-თ
ხ-თქე-თ	ხ-ყავ-თ	შე-ხ-იყარ-თ
თქე-ეს	ყვეს	შე- იყრ-ეს

### 3. ორპირიანი გარდამავალი ზმნები I სერიაში, უზმნისწინოდ:

ე-კლავ	ე-წერ	ე-ჭამ
ხ-კლავ	ხ-წერ	ხ-ჭამ
კლავ-ს	წერ-ს	ჭამ-ს
ე-კლავ-თ	ე-წერ-თ	ე-ჭამ-თ
ხ-კლავ-თ	ხ-წერ-თ	ხ-ჭამ-თ
კლავ-ენ	წერ-ენ	ჭამ-ენ

<sup>22</sup> გამონაკლისა ორი ზმნა — ხ-არ და მო-ხ-უალ (მო-ხ-უელ, მო-ხ-ელ). რომლებიც ჰემეტ ტექსტებში ხანით იხმარება.

O<sub>3</sub>

## 1. სამპირიანი ზმნები:

5.	შე-ხ-უაბ	ხ-უკითხე	შე-ხ-უძინე
	შე-ხ- აბ	ხ- კითხე	შე-ხ- ძინე
	შე-ხ- აბ-ა	ხ- კითხ-ა	შე-ხ- ძინ-ა
	შე-ხ-უაბ-თ	ხ-უკითხეთ	შე-ხ-უძინეთ
	შე-ხ- აბ-თ	ხ- კითხეთ	შე-ხ- ძინეთ
	შე-ხ- აბ-ეს	ხ- კითხ-ეს	შე-ხ- ძინ-ეს
6.	ხ-უბრძანე	გან-ხ-ულე	ხ-უთხარ
	ხ-უბრძანე	გან-ხ-ულე	ხ-უთხარ
	ხ-უბრძან-ა	გან-ხ-ულ-ო	ხ-უთხარ-ა
	ხ-უბრძანეთ	გან-ხ-ულეთ	ხ-უთხართ
	ხ-უბრძანეთ	გან-ხ-ულეთ	ხ-უთხართ
	ხ-უბრძან-ეს	გან-ხ-ულ-ეს	ხ-უთხარ-ეს
7.	და-ხ-უბადე	გან-ხ-უმარტე	აღ-ხ-უმართე
	და-ხ- ბადე	გან-ხ- მარტე	აღ-ხ- მართე
	და-ხ- ბად-ა	გან-ხ- მარტ-ა	აღ-ხ- მართ-ა
	და-ხ-უბადეთ	გან-ხ-უმარტეთ	აღ-ხ-უმართეთ
	და-ხ- ბადეთ	გან-ხ- მარტეთ	აღ-ხ- მართეთ
	და-ხ- ბად-ეს	გან-ხ- მარტ-ეს	აღ-ხ- მართ-ეს
8.	ხ-უაიძულე	ხ-უაცთუნე	ხ-უამხილე
	ხ- აიძულე	ხ- აცთუნე	ხ- ამხილე
	ხ- აიძულ-ა	ხ- აცთუნ-ა	ხ- ამხილ-ა
	ხ-უაიძულეთ	ხ-უაცთუნეთ	ხ-უამხილეთ
	ხ- აიძულეთ	ხ- აცთუნეთ	ხ- ამხილეთ
	ხ- აიძულ-ეს	ხ- აცთუნ-ეს	ხ- ამხილ-ეს

## 2. ორპირიანი გარდასუვალი ზმნები:

და-ხ-უადგერ	შე-ხ-უემთხვე
და-ხ- ადგერ	შე-ხ- ემთხვე
და-ხ- ადგერ-ა	შე-ხ- ემთხვე-ა
და-ხ-უადგერ-ით	შე-ხ-უემთხვე-ენ-ით
და-ხ- ადგერ-ით	შე-ხ- ემთხვე-ენ-ით
და-ხ- ადგერ-ეს	შე-ხ- ემთხვე-ენ-ეს

## 3. ორპირიანი გარდამავალი ზმნები I სერიაში, ზმნისწინით:

მო-ხ-უკლავ	და-ხ-უწერ
მო-ხ- კლავ	და-ხ- წერ

მო-ხ- კლავ-ს	და-ხ- წერ-ს
მო-ხ-უ-კლავ-თ	და-ხ-უ-წერ-თ
მო-ხ- კლავ-თ	და-ხ- წერ-თ
მო-ხ- კლავ-ენ	და-ხ- წერ-ენ

#### 4. ინიანი ვნებითები:

ბ-ვყავ (← ხ-უ-ი-ყავ)	ბ-ვქნები (← ხ-უ-ი-ქნები)
ბ-იყავ	ბ-იქნები
ბ-იყო	ბ-იქნები-ს
ბ-ვყვენით	ბ-ვქნებით
ბ-იყვენით	ბ-იქნებით
ბ-იყვენ-ეს	ბ-იქნებით-ან

5. უფროობითი ხარისხის ფორმები უკვე სახელია და ჩვეულებრივი წესით იბრუნვის.

#### 9. ხანძარი და კაპაძის ძვლები ალმოჩენის ძოღი ისტორია

ხანი მეორე სუბიექტური პირის ნიშნად ადრევე იყო შენიშნული. ა. შანიძე თავის ცნობილ მონოგრაფიაში (სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920) სპეციალურად ჩერდება ამ საკითხზე და დაწერილებით ანალიზებს ხ-არ და მო-ხ-უალ, მო-ხ-უელ, მო-ხ-ულე ფორმებს (გვ. 17-20). მანვე სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მესამე ობიექტური პირის ნიშნად ხანის ხმარების გადმონათობებს და ვრცლად განიხილა სათანადო ფორმები: ხერთვისი (← ხ-ერთვი-ს იგი მას), მეოხ ხეყავ, შეხეწოე, შეხუბათ ("ნათობები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში": ტუმ, 2, 1922-23. გვ. 262-281). ავტორმა ასეთი ხანიანი ფორმები დიალექტურ მოვლენად ჩათვალა და დაუშვა, რომ ძველი ქართულის ერთ-ერთ კილოზე მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების ნიშნად ყველგან ხანი უნდა ყოფილიყო, ხ-არ, ხ-უალ, მო-ხ-უელ. ხ-ერთვის(ი), შე-ხ-უბათ ... იმის გადმონათობით (პირველი ორი — ხ-არ, მო-ხ-უალ — დღესაც ძველებურად მხოლოდ ხანით იხმარება). მომდევნო, თითქმის მამინვე მომხდარმა აღმოჩენებმა ბრწყინვალედ გაამართლა მეცნიერის ეს ვარაუდი.

იმ ხანებში ი. ჯავახიშვილი გამალებით მუშაობდა ქართული პალეოგრაფიის კურსის შესაქმნელად (ამ კურსს ის დიდი ხნის განმავლობაში კითხულობდა ჩვენს უნივერსიტეტში). როცა ავტორი ქართული ანბანის (მრგლოვანის) თავისებურებასა და წარმოშობას იკვლევდა, მისი ყურადღება მიიქცია ამ ანბანის სამი ასოს მოხაზულობამ. ეს ასოებია ლ, ლ და ლ. რომლებიც ძველ ქართულში ორი სახით გვხვდებოდა: თავშეკრულად და თავგახსნილად (ტერმინები ი. ჯავახიშვილისა). ამასთან, ავტორის დაკვირვებით. პირველი (თავშეკრული) უფრო ძველ პერიოდში, V-VI საუკუნეების ძეგლებში (ბოლნისის სიონისა და მცხეთის ჯვარის მონასტრის წარწე-

რებში). იხმარებოდნენ. ხოლო მეორენი (თავგახსნილი) — მერძინდელ, შედარებით უფრო გვიანდელ. ძეგლებში. ი.ჯავახიშვილის აზრით, შეიძლება ამ გარემოების გამოყენება უთარილო ძეგლების დასათარილებლად, თუ გამოირკვეოდა დრო, როცა დაიწყო ხსენებული ასოების თავის გახსნა. მეცნიერის წინასწარი ვარაუდით. ეს პროცესი მეშვიდე საუკუნის ნახევარში უნდა დაწყებულიყო, რადგან თავგახსნილი ბანი. ვიე და ყარი ამ დროის შემდეგ გვხვდებარ, მანამდე ისინი მხოლოდ თავშეკრული სახით არის წარმოდგენილი. მაგრამ ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის დებულების დასამტკიცებლად ბოლნისისა და მცხეთის წარწერების მწირი მასალები სრულებით არ იყო საკმარისი, მას სხვა, ახალი, უხვი მასალები ესაჭიროებოდა.

მამინ ი.ჯავახიშვილს მოაგონდა ქართულ-ებრაული პალიმფსესტი, რომლის ძველი ქართული ასოების დიდებული სახეც მას დიდი ხნიდან გონებაში ჰქონდა ჩაბეჭდილი. ეს პალიმფსესტი ოქსფორდის ბოდლეის სახელობის ბიბლიოთეკაში იყო დაცული. მისი 2 ფურცელი დოქტორ ა.ნეიბაურს 1897 წ. ნ.მარისთვის გამოეგზავნა და სთხოვდა, ეცნობებინა, თუ (ებრაულის გარდა) რა ენაზეა დაწერილი და რა შინაარსის ძეგლს შეიცავს იგი. ნ.მარმა ფურცლები პ.კ.კოკოცოვს გადასცა. რომელმაც პალიმფსესტი წაიკითხა, ტექსტი გამოიფრა და გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა 1899 წელს<sup>54</sup>, ამონაბეჭდი კი თავის (უკანასკნელი კურსის) სტუდენტს ი.ჯავახიშვილს არუქა. აი, აქედან ახსოვდა დიდ ქართველ მეცნიერს იმ პალიმფსესტის ქართული ასოების დიდებული მოხაზულობა. სამწუხაროდ. ი.ჯავახიშვილის (და აგრეთვე ა.შანიძის) არქივი სანკტ-პეტერბურგიდან (მამინდელი პეტროგრადიდან) თბილისში გადმოტანისას გზაში დაიკარგა. საბედნიეროდ. ეს ჟურნალი უნივერსიტეტში აღმოჩნდა. გაირკვა, რომ პალიმფსესტის ქართული ტექსტი მთლიანად ხანმეტი იყო და ძალიან ახლო იდგა ბოლნისისა და მცხეთის წარწერების ასოთა მოხაზულობასთან. № 4 და 4 აქაც ყველგან თავშეკრული იყო, ე. ი. ტექსტი (ნაწყვეტები იერემიას წინასწარმეტყველების მე-17 და მე-18 თავებიდან) VI-VII საუკუნეების უძველეს ქართულს ასახავდა. საქართველოში არსებულ წარწერებს გვერდში ამოუდგა უძველესი ქართული ხელნაწერების (პალიმფსესტების) ენაც.

ამის შემდეგ ი.ჯავახიშვილი შეუდგა თვით თბილისში არსებული პალიმფსესტების გამოკვლევას. მან შეისწავლა. გამოიფრა და გამოსცა ტექსტები H-341, A-89, A-737, A-844 და S-999 ხელნაწერებიდან. შედეგი ერთი და იგივე იყო: № 4 და 4 ყველგან თავშეკრული აღმოჩნდა. ყველა ამტკიცება მეცნიერის აზრს, VII საუკუნის ნახევარამდე ეს ასოები მხოლოდ თავშეკრულად იწერებოდა. მაგრამ მეცნიერის კვლევის სხვა უმნიშვნელოვანესი შედეგი აღმოჩნდა განსაკუთრებით საინტერესო — შესწავლილ ტექსტებში S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> პირების ნიშნებად ყველგან გვქონდა ხ-, ე.ი. უძველეს ხანაში ეს ნორმა ყოფილა ენისა.

ი.ჯავახიშვილის ეს ფუნდამენტური გამოკვლევა დაიბეჭდა 1923 წელს<sup>55</sup>. გამოკვლევას თან ახლავს თვით მის მიერ გამოფრული ტექსტები. უფრო გვიან. ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ეს გამოკვლევა დამატებად შევიდა ავტორისავე

<sup>54</sup> Еще один рукописный фрагмент Иерусалимского Талмуда: ЗВОИРАО. II. გვ. 195-205.

<sup>55</sup> ი.ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები. გვ. 331—391.

"ქართულ პლეოგრაფიაში", რომელიც გამოსცა ილია აბულაძემ<sup>56</sup>. ამ უკანასკნელმა ი.ჯავახიშვილის არქივში იპოვა დიდი ქართველი ისტორიკოსის მიერ წაკითხული და გამოფურული პალიმფსესტების სხვა. ახალი, ჯერ გამოუქვეყნებელი ადგილები, რომლებიც მან ძველ გამოცემას თაუთავის ადგილას ჩაუმატა. ამგვარად, ი.ჯავახიშვილის აღნიშნული გამოკვლევის ეს მეორე, ახალი, გამოცემა გაცილებით უფრო მდიდარია ხანმეტი ტექსტების ნიმუშებით.

ი.ჯავახიშვილის ამ გამოკვლევას მოჰყვა ა.შანიძის ახალი აღმოჩენები. ჯერ იყო და მან თბილისში S-1329 ხელნაწერში მიაგნო ჰაემეტ პალიმფსესტს, რომელიც ჩვენამდე ნაკლებად იყო მოღწეული (51 ფ.), შემდეგ მისი ერთი ნაწილი სვანეთში (სოფ. იფარში) იპოვა. აღმოჩნდა, რომ ეს ორი, ერთა სიახით სხვადასხვა ადგილას მოხვედრილი ხელნაწერი თურმე ერთი წიგნის ნაწილები ყოფილა. მეცნიერმა დაწერილებით შეისწავლა ისინი, გაშიფრა ტექსტი, დაუთმო გამოკვლევა და გამოაქვეყნა<sup>57</sup>.

შემდეგ ა.შანიძემ აღმოაჩინა ხანმეტი მრავალთავი (S-3902), რომელიც, გამომცემლის აზრით, VIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს გადაწერილი. ამ დასკვნას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ ამ ხანმეტ ხელნაწერში ხ არ გვხვდება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც იგი აუცილებელი იყო (დაეცადო, შეემათხვენეთ, ვაჩუენებდეთ, მივეახლებით, ვევედრებოდით, სახე ვეკმნნეთ და სხვ.). ეს უჩვენებს, რომ წიგნი გადაწერილია იმ დროს, როცა ხანმეტობა გადაჯარდნის გზაზე იყო დაძვარა და ხანის არ დაწერა (გამოტოვება). ზოგ შემთხვევაში მაინც, მძიმე შეცოდებას აღარ წარმოადგენდა. ეს ძველი ა.შანიძემ გამოაქვეყნა ურცელი გამოკვლევითურთ<sup>58</sup>.

უფრო მოგვიანებით მანვე გამოაქვეყნა ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები<sup>59</sup>.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ხანმეტი ძველია ე.წ. ხანმეტი ლექციონარი, რომელიც ადრე სინის მთაზე იყო დაცული (ა.ცაგარელმა 1883 წ. აქვე ნახა და აღწერა იგი). მაგრამ შემდეგ გაქრა საღრაც, როცა ნ.მარი და ი.ჯავახიშვილი იქ მივიდნენ 1902 წელს, ეს ძვირფასი წიგნი უკვე აღარ დახვდათ. შემდეგ გამოირკვა, რომ იგი ავსტრიელ მხატვარს ალფონს ლეოპოლდ მილიხს 1896 წლის მიწურულს უნის სამეფო ბიბლიოთეკის დირექტორისთვის, ჰაინრიხ ფონ ცაისბერგისთვის, შეუთავაზებინა შესაძენად. მაგრამ ამ უკანასკნელს უარი უთქვამს ხელნაწერების (ხანმეტ ლექციონართან ერთად მილიხს კიდევ 3 სხვა ქართული ხელნაწერი ჰქონია და ცალკეული ფურცლებიც) საეკვე წარმომავლობის გამო. შემდეგ ეს ხელნაწერები ცნობილ ავსტრიელ ენათმეცნიერს ჰუგო შუხართის უყიდა 1897 წლის იანვარში<sup>60</sup>. სწორედ შუხართის მეშვეობით გახდა ჩვენთვის ცნობილი ხანმეტი ლექციონარი და

<sup>56</sup> ი.ჯავახიშვილი. ქართული პლეოგრაფია. 1949. გვ. 274—366.

<sup>57</sup> ა.შანიძე. ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ. 3. გვ. 354—388.

<sup>58</sup> ა.შანიძე. ხანმეტი მრავალთავი: ტუმ. 7. 1927. გვ. 98—159.

<sup>59</sup> ენოქის მოამბე. ტ. 4. №1. 1938. გვ. 29—42.

<sup>60</sup> ვიშნაიშვილი. ვინ ყოფდა ავსტრიაში ქართულ ხელნაწერებს: ცისკარი, 8. 1979.

მასთან ერთად შექმნილი ხელნაწერები.

ხანმეტი ლექციონარი ორჯერ გამოსცა ა. შანიძემ: ჯერ ტექსტი (მხედრულად) და გამოკლევა<sup>61</sup>, შემდეგ — ტექსტის ფოტოპირი. მისი მხედრული ტრანსლიტერაცია, ძველის სრული სიმფონია და გამოკლევა<sup>62</sup>.

იმ ინტენსიურმა კვლევა-ძიებამ და უწვეულო აღმოჩენებმა დიდად წაწიეს წინ ჩვენი ენისა და ისტორიის კვლევის საქმე. ახალი ფურცლები გადაშალეს ქართული ენის. საქართველოს ისტორიის, წარსულის გამოქვეყნებაში. იმ ხანებში ხშირად გაიგონებდით: ქართულ ფილოლოგიაში რევოლუცია ხდებოდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ხანმეტი ძეგლებისა და ხელნაწერების აღმოჩენამ ერთბაშად რამდენიმე საუკუნით გადაწია წინ ქართულ ხელნაწერთა ისტორია, დიდძალი საინტერესო მასალა შესძინა ქართული ლიტერატურის ისტორიას, საქართველოს ისტორიას. ხანმეტი ტექსტებით უცხოელი მეცნიერებიც დაინტერესდნენ. კერძოდ. ინგლისელმა ქართველოლოგმა ჯ. ბერდსლომა მშვენიერად გამოსცა იაკობის პირველსახარების ხანმეტი ფრაგმენტები<sup>63</sup> (სხვათა შორის. ეს ძეგლი არახანმეტი ხელნაწერის მიხედვით მანამდე გამოაქვეყნა სხვა ცნობილმა ქართველოლოგმა ე. გარიტამ<sup>64</sup>. ეს. რა თქმა უნდა, ქართული ხელნაწერებისადმი უდიდეს ინტერესზე მეტყველებს. უფრო ადრე ეს აპოკრიფი გამოსაცემად მოამზადა ი. ჯავახიშვილმა<sup>65</sup>).

უკანასკნელ ხანს ხანმეტი ტექსტების გამოშეუერებაზე ინტენსიურად მუშაობს ლ. ქაჯაია<sup>66</sup>.

იმედი უნდა ვიქონიოთ. რომ სხვადასხვა ქვეყნის წიგნთსაცავებში კიდევ აღმოჩნდება ხანმეტი (და პემეტი) ტექსტები.

დასასრულ დაეუმატებთ. რომ უფრო გვიან, როცა ხანმეტობა უკვე გადაეარდნილი იყო და მოგვიანო ხანის გადამწერებს უხდებოდათ ხანმეტი ტექსტებიდან გადმოწერა სანნარეუზე, ისინი ვერ ერკვეოდნენ საქმის ნამდვილ არსში. ზოგ შემთხვევაში ძველად პირის ნიშნად გამოყენებული ხ ხოლო კავშირად მიაჩნდათ და ქარაგმას უკეთებდნენ. მაგალითად: მივედით დაბასა მას... და ვითარცა შესვლეთ მუნ ხ<sup>67</sup> ჰპოვოთ კიცვ დაბმული (მრ. 11, 2 C). ხ<sup>68</sup> (ხოლო) აქ სრულიად უადგილოა, ის უნდა იყოს ხანმეტობის გადმონაშთი: თავიდან იქნებოდა: ჰპოვოთ კიცვ დაბმული. მაგრამ შემდეგ. სანნარეუზე გადმოსვლისას. პირის ნიშნად ჰ დაუწერეს. როგორც წესი იყო (ჰპოვოთ). ხ კი კავშირად იქნა გაგებული და ქარაგმით აღნიშნეს.

ასეთია კიდევ: ხ<sup>69</sup> აცადეთ მათ: ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი (მ. 15, 14 C). ხ<sup>70</sup> (ხოლო) აქაც გაუმართლებელია, თავიდანვე ზაცადეთ უნდა ყოფილი-

<sup>61</sup> ქართული ხელნაწერები გრაცში, ტომ. 9. 1929. გვ. 310—353.

<sup>62</sup> ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპირი რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. ძველი ქართული ენის ძეგლები. 1. 1944.

<sup>63</sup> J. N. Birdsall. A Second Georgian Recension of the Protevangelium Jakobi: Le Muséon. t. 83. 1—2. Louvain. 1970.

<sup>64</sup> A. Jacob. Une version géorgienne inédite de la Liturgie de saint Jean Chrysostome: Le Muséon. t. 77. 1—2. Louvain. 1964.

<sup>65</sup> სინის მითის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1947. გვ. 184—193.

<sup>66</sup> ლ. ქაჯაია. ხანმეტი პავიოგრაფიული კრებული: მრავალთავი. 9. 1981: ხანმეტი ტექსტები. ნაკვ. 1. 1984.

ყო. სანარევეზე გადმოტანისას ხ კავშირად გაიგეს და ქარაგმა დაუსვეს.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: ხ<sup>2</sup> უფროის ამისა სიყუარული არავის აქუნ (ი. 15.13 C). ძველად უნდა ყოფილიყო (და გეჰონდა კიდევ) ხუფროის, ხ მერმე იქნა გაგებული კავშირად. ქარაგმა დაუსვეს და ცალკე დაწერეს; რად. საყუარულო, თავი თვისი მო-ხ<sup>2</sup> იძულე და არა გინებს გამოთავისუფლებად დაფარულთა მათგან წყლულბათა შენტა (Sin. 97. 142rb.8). ტემისის სახით წარმოდგენილი ხოლო კავშირი აქ უადგილოა; ცხადია, ეს თავის დროზე მეორე სუბიექტური პირის ნიშანი იყო, მაგრამ შემდეგ ხშირად ჩარჩენილი პირის ნიშანი კავშირად გაიხარეს. ხანმეტობის ასეთი გადმონაშთები სხვაც ბევრია ცნობილი.

გვხვდება ჰის ხმარების გადმონაშთებიც: ნუცა შთაჰვლებდ სარწმუნობასა ჩე-შსა მწურესა (Sin. 11. 78v). ჰემეტურია ძ-ს წინ ჰ-ს არსებობა: ჰძრახვიდა (იქვე, 7r.12); ჰ-სა და ე-ს როგორც ჰემეტურია: ჰქმსახურებ (Sin. 11, 5v.3. წმინდა ჰემეტურად: ჰქმსახურებ); ჰქმსახურო (იქვე, 5v.9 ქვ.); ჰქმონებდ (იქვე, 39v.1)<sup>67</sup>.

ეს საკითხი ა.შანიძეს აქვს შესწავლილი და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს<sup>68</sup>.

#### 10. ტარიზნაჰი "ხანმეტი", "ჰანმეტი", "სანმეტი"

ტერმინი "ხანმეტი" პირველად გიორგი მთაწმიდელს აქვს ნახმარი. იგი ანდერძში. რომელიც სახარების მის მიერ შექმნილ რედაქციას აქვს დართული, წერს:

"ესე საცნაურ იყავნ, რამეთუ ესე წმიდაი ოთხთავი ახლად გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვითემე სულიერითათა და ბერძულთა სახარებათადა შეგვეწაშებია ფრიადითა გამოწულილებითა. და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოთ. ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ვერ-გინდეს დაწერაჲ, ღმრთისათვის, სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაიმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად. ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, — მუნით დაწერეთ და, ღმრთისათვის, ერთმანერთსა ნუ გაჰრეთ. და გლახაკისა გეორგისთვის, რომელმან ესე ვთარგმნე, ლოცუა-ყავთ!" (ვანის ოთხთავი, 266v).

აქ აღნიშნული "საბაწმიდური", ცხადია, სახარების ისეთი რედაქციაა, რომელიც საბაწმიდის საკანეში შექმნილია. ამაზე, ჩვეულებრივ, არ დავიბნენ; თუშცა კი დღეს შემორჩენილთაგან რომელია ოთხთავის საბაწმიდური რედაქცია, მეცნიერებოსათვის უცნობია. მაგრამ რაღა ხანმეტურნი სახარებანი? რაა ხანმეტი? ამ საგანზე ბევრი სხვადასხვა აზრი გამოთქმულა. რომელთა შესახებაც ა.შანიძე მოგვითხრობს: მ.ბროსეს "ხანმეტი" კომენტარებად ესმოდა; დ.ბაქრაძე მას სახარების დანართად (с прибавлениями) თვლიდა; ა.ცაგარელი ფიქრობდა, რომ ხანმეტი სახარება უნდა იყოს სრული სახარება და არა გამოკრებული; თ.ჟორდანიანი მიიჩნევდა, რომ ხანმეტი,

<sup>67</sup> ამის თაობაზე იხ. ა.შანიძე. ჰემეტობა აღიშის სახარებაში: ტუმ. 2. 1922-23.

<sup>68</sup> А.Шанидзе. Переживания ханмэтных форм в грузинских рукописях IX-X веков: ხსკე მეტნ. აკად. საქ. ფილ. მაამბე. ტ. I, N3. 1940. გვ. 237-240.



როგორც საბაწმინდური (საბაწმიდა), შეიძლება გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი იყოსო, მაგრამ დასძენდა: თუ ეს სიტყვა გეოგრაფიული სახელი არ არის, ფრიად ძველს უნდა აღნიშნავდესო: მ.ჯანაშვილს ხანმეტი ვერნა ზოგჯერ მეტი (ხან მეტი. ხან ნაკლები): კ.კეკელიძის აზრით, ხანმეტი არის დრო-მეტი, ე.ი. დიდი ხნისა, უფრო ძველი (более древняя редакция); ნ.მარმა ხანმეტი-ს ხან სპარსულ ხანა-ს დაუკავშირა და მუხლად გაიგო; აქედან: ხანმეტი — "მუხლმეტი". სახარების სხვადასხვა რედაქციებში (ბერძნულშიც და აქედან სხვა ენებზეც), მართლაც არის ზოგიერთი (უფრო ძველი). რომელთაც მუხლები აკლია (მაგ., მრ. 9,44; 9,46; ი. 8,1-11 და სხვ.). ნ.მარიც, ალბათ, ამას გულისხმობდა. ნ.მარის გაგებით, ხანმეტი არა ამ ტიპის რედაქციას გულისხმობდა, არამედ სრულს, რომელსაც არ აკლდა ეს და სხვა ამგვარი მუხლები.

მაგრამ არც ერთი ზემოთ წარმოდგენილი გაგება სწორი არ არის. ამ ტერმინის მართებული გაგება მოგვცა ა.შანიძემ, რომელმაც ხანმეტში დაინახა მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნებად გიორგი მთაწმიდლის დროისთვის ზედმეტად ხმარებული ხ (ხანი), ვთქვათ: ხ-ტირ, ხ-იცი, ხ-ეტყოდა, ხ-უთხრა, ხ-იყო და სხვ. გ.მთაწმიდლის დროს, რა თქმა უნდა, ასეთი ხანების ხმარება ზნებში დიდი ხნის გადაჯარდნილი იყო და მას ადვილად შეეძლო ამგვარი ფორმებისათვის ხანმეტი ეწოდებინა. გამოთქმულია მოსაზრება<sup>69</sup>, რომ შესაძლებელია, ეს ტერმინი გიორგიმდეც არსებობდა და მან მხოლოდ გაიმეორაო. სანამ ხანმეტის უფრო ადრეული გამოყენება რაიმე წერილობითი წყაროთი დადასტურებული არ არის, მანამ ამ ტერმინის შექმნა გიორგის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

რაც შეეხება ჰემეტსა და სანნარევს, ორივე ა.შანიძის მიერაა შექმნილი: პირველი — ხანმეტის ანალოგიით და მის კვალობაზე, მეორე უჩვენებს, რომ ჰემეტობის რღვევის შემდეგ გარკვეულ შემთხვევებში (დ. ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჭ, ჩ თანხმოვნების წინ) ჰ ს-დ იქცევა (ასიმილაცია), პირის ნიშანთა რიგში ხ გამოერევა (ჰ-პოვე, ს-თხოვა, უთხრა), ამას ეწოდა სანნარევი. თუ იგი ყოველმხრივ, შეიძლება, ვერ აკმაყოფილებს მკაცრ მოთხოვნებს, სახმარებლად მოხერხებულია და ადვილი და ჩვენც მას ვიყენებთ (ტერმინები, ჩვეულებრივ, პირობითია<sup>70</sup>).

ამგვარად. გვეჩვენა ხანმეტი ფორმები (ხკითხა, ხტირ, ხუთხრა), ჰემეტი (ჰკითხა, ჰტირ, ჰუთხრა) და სანნარევი (ჰკითხა, სტირ, უთხრა).

## 11. "დააბადა" ზა მისი ტიპის ზნებში

ზოგ ორპირიან გარდამავალ ზნას ძველ ქართულში II სერიის მწკრივებში წარმოდგენილი აქვს მესამე ობიექტური პირის ნიშანი ხ (ხანმ.), ჰ. და ს. თუმცა უკვე

<sup>69</sup> ა.შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: ტუმ. 2. 1922—23. გვ. 398—416. სათანადო ლიტერატურაც იქვეა დაწვრილებით მოთითებული.

<sup>70</sup> ა.ჩიქოვაძეს მართებული შენიშვნით, "შეცნიერული აზროვნებისათვის მთავარია ცნება და არა ტერმინი. ტერმინს თავისთავადი ღირებულება არა აქვს. იგი ცნების გადმოცემას ემსახურება" (ერვატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. I. 1948. გვ. 7).

ნაწენები წესის მიხედვით ეს ნიშნები არ სჭირდება. მაგალითად: მან იგი დაჰმადა, დასთესა, აღჰმართა, განჰმზადა, დაჰმარხა, დაჰმეჭდა, დაჰმულა, დაჰმუა და სხვ. ასეთი ზნებებს, როგორც ვხედავთ, შეეწყობა სუბიექტი (მისი ნიშანია სუფიქსი ა: დაჰმად-ა) და პირდაპირი ობიექტი — იგი. სახელობითი დასმულ (პირდაპირ) ობიექტს კი, როგორც ვიცით, ნიშანი არა აქვს (მან იგი დაწერა, ქმნა, შეჭამა ...). მაშ, რის მაქნისა ეს ჰ და ს? შევლოძით არის დაწერილი, რომ ვთქვათ, არ შეიძლება, რადგან ეს და ამგვარი ზნები ყოველთვის სათანადო ობიექტური ნიშნით გვხვდება ძველ. კარგ ხელნაწერებში. მათს გადამწერებს კი ასე, ერთი ხელის მოსმით, უცოდინარობას ვერ დაეწაბებთ. მაშ, რატომაა აქ ჰ და ს? ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ეს ზნები წარმოშობით სამპირიანია. ადრე, ძველისძველად, მათ სამი პირი ჰქონდათ, მაგრამ დროთა ვითარებაში ერთ-ერთი მათგანი — ირიბი ობიექტი — დაკარგეს, ზნა ორპირიანი გახდა, მაგრამ ფორმა ძველი დარჩა, დაკარგული ირიბი ობიექტის ნიშანი (ჰ, ხ) ზნას არ მოსცილებია. ამრიგად, შინაარსი ახალი, ფორმა ძველი — აი, ამ ზნების ძირითადი დამახასიათებელი თვისება. ენაში ასეთი მოვლენა ბევრია: სიტყვების შინაარსი ჩქარა, მოკლე დროში იცვლება, ფორმა კი უფრო გამძლეა, იგი დიდხანს ცოცხლობს და ხელუხლებელი რჩება მას შემდეგაც კი, როცა სიტყვამ შინაარსი შეიცვალა და სხვა მნიშვნელობა მიიღო. ამის კარგი მაგალითია მ-ძინა-ე-ს და მ-ღვიძა-ე-ს, რომლებიც დღეს ერთპირიანი ზნებია, თუმცა ზნის ფორმა ორი პირის ნიშანს უჩვენებს: მ-ს პირველი ობიექტური პირისათვის და ს-ს შესაბამე სუბიექტური პირისათვის. დღეს მ-ს დართვა გასაგებია: მძინა-ე-ს მე, მაგრამ რაღას გამოხატავს სუფიქსი ს? დღეს — აღარაფერს, ძველ ქართულში კი მისი ფარდი სახელი ზნაში იგულისხმებოდა: მ-ძინა-ე-ს მე ძილი, და-ე-ძინე მე ძილი. ძველი ქართულის ცნობილი გამონათქვამებია: სრბაი ჩემი აღსრულებულ არს, ლუაწლი დიდი მიმიღუაწები-ე-ს, ძილი ტკბილი დამიძინებ-ე-ს (შდრ. კიდევ: და-მცა-მიძინებ-ე-ს ძილი საუკუნო-ი და განმისუენებ-ე-ს: წარტყ. 38,2). აი, ასეთი გზა აქვს გავილილი დაჰმად-ს და მისი ტიპის ზნებსაც.

ა. შანიძე ნახულობს კიდევ სხვა, ახალ საბუთს იმ დებულების გასამაგრებლად, რომ ადრე ეს ზნები, მართლაც, სამპირიანნი იყვნენ. ესაა ვნებითის წარმოების წესი. როგორც ა. შანიძემ დაადგინა (სხვა გამოკვლევებში), ორპირიან მოქმედებით გვარის ზნებს ერთპირიანი ვნებითი შეესაბამება (დამაღლა მან იგი — თვით იგი დამაღლა), სამპირიან მოქმედებებებს — ორპირიანი ვნებითი (დაუშალა მან იგი მას — იგი მას დაეშალა). დაჰმად-ს ტიპის ზნები ვნებითს სწორედ ერთი აწარმოებს, ე. ი. ფორმით ორპირიანია: დაეზადა, დაეთესა. აღეზართა, განეზზადა, დაეზარხა, დაეზეჭდა, დაეფულა, დაეფუა და სხვ.<sup>71</sup> ეს ვნებითები ყველა ერთპირიანია, თუმცა ფორმა (ე პრეფიქსით) ორპირიანი ვნებითისა აქვს. ერთადერთი გამონაკლისია განაჰმუნა (მან იგი), რომელსაც არა ენაინი, არამედ დონიანი ვნებითი აქვს. მაგრამ სისტემა (სამპირიანი მოქმედებითი — ორპირიანი ვნებითი) აქაც მტკიცედაა დაცული. ვნებითს დღესთან ერთად დაკარგული ირიბი ობიექტის ნიშანიც ახლავს — განაჰმუნდა (იგი). ჰ

<sup>71</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი შესაბამე პირის ქართულ ზნებში. 1920. გვ. 74—83.

აქაც მოქმედებითიდან მოდის: დაქსნის იგი მას — დაქსნდების იგი.

შემდეგ და შემდეგ ზმნის შინაარსის შეცვლას მხარი აუბა ფორმამაც და ჰ და ს თანდათან გაქრა. ამის დასაწყისს თვით ძველ ქართულში ვამჩნევთ, მაგალითად: და განზხადოს გზაი შენი წინაშე პირსა შენსა (მ. 11.10 C); განზხადნეს გზანი შენნი (იქვე, DE); წარკედ და დაუფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა (მ. 25.25 D); აღდგეს სახლისა უფალი და დავშას კარი (ლ. 19,25); დავსნა ველნი მსახურთა შენთანი (ისტ. ქრ. II, 59, 25); რაითა შეიწყალოს იგი და განვსნეს კრულებისაგან (იქვე, 74.31); უკუეთუ ვინმე დავსნეს ერთი მცნებათა ამთგანი უმცირესთაი (მ. 5.19 D). რა თქმა უნდა, საჭირო იყო და არის კიდევაც სხვა ხელნაწერებში: განზხადოს, განზხადნეს, დაუკუალ, დაქსმას, დაქსნა, განავსნეს, დაქსნეს. დავძნთ აქვე, რომ მოქმედებითს კვალდაკვალ მიჰყვება ენებითი და ენის (ორპირიანთა მაწარმოებლის) ნაცვლად (ერთპირიანთა მაწარმოებელ) ინს (და ღონს, მაგრამ უპრეფიქსოდ) იყენებს: დაიბადნეს (გამოცხ. 4, 11 A); დაიუზნენ (იქვე, 21, 25 A); დაიუშვის (თარგმ. გამოცხ. 3, 8); დავსნდებიან (Sin. 11, 99r,2); დავსნდენ (იქვე, 134,1 ქვ.); განავსნდენ კრულებანი (იქვე, 90r.5 ქვ.). დღევანდელ ენაში აქ ყველგან ი გვაქვს: დაიბადა, დაითესა, დაიბარხა, აღიბართა, გაიხსნა და სხვ. ერთადერთი გამონაკლისია და კვლავ ძველებურად ენით იწარმოება მოეზხადა, გაეზხადა, თუმცა ზმნა აშკარად ერთპირიანია.

აღნიშნული ტიპის ზმნები კარგადაა შესწავლილი<sup>72</sup>. ამჯერად მათ მხოლოდ ჩამოვთვლით (თითო მაგალითის მითითებით<sup>73</sup>):

1. დაჰბადა: დაჰბადა ღმერთმან (მრ. 13,19)
2. დაჰბეჭდა: დაჰბეჭდნით მონანი (გამოცხ. 7,3)
3. დასთესა: რომელმან დასთესა თესლი კეთილი (მ. 13,24)
4. აღკაჰმა: აღკაჰმა იგი განსლვად სამეუფოდ თვსად (ბალ. 135,18)
5. დაქრძალა: დაქრძალეს კარი ეკლესიისაი (სინ. 70,20)
6. აღჰმართა: აღხუმართე ესე ჯუარი (ისტ. ქრ. I,15)
7. განჰმარტა: ფრთენი თვსნი განჰმარტნა (რავახ. 83,7)
8. დაჰმარხა: რაითა ქალწულები თვსი დაჰმარხოს უბიწოდ (წარტყ. 25,8)
9. განჰმარჯუა: ყოველი საქმე ჩუენი განჰმარჯოს (სწავ. 81,3)
10. განჰზხადა: განჰზხადა უფალმან მსხუერპლი თვსი (სოფ. 1,7)
11. დაჰწერა: დაჰწერენ მე სვენაჲნი (ეკლეს. 2,4)
12. წარხასრულა: წარხასრულნა იესუ სიტყუანი ესე (მ. 7,28 Y)
13. განჰჟინა: განჰჟინნა სასმენელნი თვსნი (მრავ. 256,18)
14. დაჰფლა: დაუკუალ იგი გზასა ზედა ცხენთ-სარბიელთასა (დაბ. 48,7)
15. განხალო: ყოველმან წულმან რომელმან განხალოს საშობი, წმიდა უფლისა ეწოდოს (ლ. 2.23 Y)
16. დახაყნა (?): ხაყნებდეს იგინი დაწერასა მას (ისტ. ქრ. I, 32.11)
17. აღხაჰმნა (?): ნუ ხაჰმნებთ საფლავსა წინაწარმეტყუელთასა (მ.23.9 Y).

<sup>72</sup> დაწერილობით დაჰბადა-ს ტიპის ზმნების შესახებ იხ. ა. შანიძის "პრეფიქსები" (გვ. 77—83). აგრეთვე ი. იშანიშვილი. ქართული ენის ისტ. ქრესტ. ტ. I, ნაწ. II, 1971, გვ. 325—331.

<sup>73</sup> უფრო ვრცლად იხ. გვ. 328 და შემდ.

18. დაქსნა: რომელმან... დაქსნა სიმტკიცე ჯოჯოხეთისა (წარტყ. 51,15).

19. დაქმა, დაქსა: გამოვიდეს და დაქსეს (დაქმეს O) კარი (დან. 14,14J).

## 12. პირდაპირი მხარდაჭერის ზნეები

ძველ ქართულში არის კიდევ ერთი ჯგუფის ზნეები, რომლებიც ა—ე, ა—ენ, ა—ებ აფიქსებით იწარმოება. ისინიც წარმოშობით სამპირიანები არიან, მაგრამ ჩვეულებრივ მხოლოდ ორ პირს გვიჩვენებენ: სუბიექტსა და ირიბ ობიექტს, პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვთ, ყოველ შემთხვევაში, არ უჩანთ, თუმა პირდაპირ-ობიექტის ზნების მორფოლოგიურ-სინტაქსური ძალა შენარჩუნებული აქვთ — სუბიექტს მოთხოვრებითში შეიწყობენ, მოსდით ინვერსია, როგორც ყველა გარდამავალ ზნას: ამხილებს იგი მეფესა — ამხილა მან მეფესა, მიმხილებიეს მე მეფესა/მეფისა/ მეფისადა; გიმხილებიეს შენ მეფესა. ამ ზნებს ახალ ქართულშიც ისევე ორი პირი მოეპოვებათ, ოღონდ, ძველისაგან განსხვავებით, სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი: ამხილებს (ამხელს) იგი მას — ამხილა მან იგი, არწმუნებს იგი მას — არწმუნა მან იგი. აქედან ჩანს, რომ დღეს დასრულებულია აღნიშნული ზნების ჩვეულებრივ ორპირიან გარდამავალ ზნებად გადაქცევის პროცესი. ეს ზნეებია:

1. აღ-გზ(6)ჴმა: ვითარცა ძმათა აღაგზნეს ლუგმელსა (კომ. II, 143,7).

2. იძულება: ვითარ აიძულა ბერსა (ლიმ. 85,22); აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა (მ. 14,22); აიძულე სულსა შენსა (სწავ. 18,3); აიძულე თავსა შენსა (ლიმ. 39,17). არის სახელობითიანი მაგალითებიც: ვაიძულეთ იგი (ასურ. 56,23).

3. და-ძმძმება: დაეძმძმე აბასა, რამეთუ მიუტყევე მას ყოველი ტვრთი ჩემი კორციელი და სულიერი (Sin. 35, 193rb,8); რაითა არავის დაეძმძმით, თქვენგანსა (1 თესალ. 2,9). გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში ზნა სასხვისო ქცევით არის მოცემული (დაუძმძმით) და. ცხადია, აქ აღძრული საკითხისათვის არ გამოგვადგება. სახელობითი აქაც გვხვდება: დააძმძმა უღელი მისი ზედა ქედსა ჩემსა (გოდ. იერ. 1.14); რომელმან-იგი მაშინ ნავი დააძმძმა (სინ. 108,18), მაგრამ აქ რამდენადმე მნიშვნელობაც განსხვავებულია.

4. შხილება: ამხილა იონას (ისტ. ქრ. II, 47,26); მრავალგზის ამხილა მეფესა და ჰატრიაქსა (კომ. I, 64,28); ვამხილო მარიამს (პარხ. 17b); რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა (სინ. 283,4). მაგრამ: ვამხილოთ ცთუნებად მისი (მალ. 92.12 ჴ). კაცმა რომ თქვას, ეს ცთუნებად დაკარგული შესამე პირი უნდა იყოს, რომელიც შემორჩენილია; ირიბი მას (მალაქარს) კი თავისთავად იგულისხმება: ვამხილოთ (მას) ცთუნებად მისი. ძველად, ჩვეულებრივ, იტყოდნენ და წერდნენ: ვამხილოთ მას ცთუნებისათვის მისისა. შტრ. მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცლოვისათვის (ი. 16,8). ასეთი (პირდაპირობიექტური) პირი თანდათანობით მკვიდრდება ამ ტიპის ზნებში და ირიბს აძეებს ფორმიდან (ამხილა მან მეფე).

5. რცხუნა: მტერსა მას მისსა სრულიად არცხუნა უფალმან (Sin. 11, 334v, 10 ქვ.); არცხუნა მწვალებელსა მას მესუეტესა (ლიმ. 13,10); არცხუნეს უსჯულოსა მას ნესტორის (კომ. I, 98,8); აბას თემანცა კაცისამან არცხუნოს (ლ. 9.26); რაითა არცხუნოს ძლიერთა (1 კორ. 1.27).

6. დაწმენება: ამ ზმნას ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ა) დაჯერება. დაწმენება და ბ) ჩაბარება, მინდობა, დაეკლება. ჩვენ აქ მის პირველ მნიშვნელობას ვეხებით.

ძლით დაეწმენე მთ (ლიმ. 117,16); დააწმენა წმიდამან მაქსიმე პიროსს (კომ. I. 66,33); არწმენეს ერსა მას (მ. 27,20); არწმენე ამთ (საქ. წ. II, 22,17); ვითარ-მე ვარწმუნო მონათა ღმრთისათა გებად ეშმაკთა (იქვე, 22,24); ვითარ არწმუნოს წმიდასა მას (იქვე, 25,9); ჩუენ ზუარწმუნოთ მას (მ. 28,14 X).

7. შეურეება: დიდითა მით ბრძოლითა შეურევა ეშმაკმან გულსა მისსა (კომ. II, 172, 30); ელაის შეურეეს ქალაქთა დამკვდრებულთა (საქ. წ. II, 56,1); რაითა არა ... შეურეოს გულთა თქვენთა (წარტყ. 30,11).

8. შეშინება: ცოლსა მას პილატ(ოსსა ძილსა შინა ვინ შეაშინა (საქ. წ. II, 17,36); რაითამცა შეაშინა მას (კომ. II, 147,27); ჰგონებდეს, რაითამცა ესევეითარითა უცნებითა შეაშინეს ნეტარსა მას (იქვე, 158,5).

9. ცთუნება: ხოლო მას ევაის მიერ აცთუნა ეშმაკმან (Sin. 6. 173v.5 ქვ.): რაითამცა აცთუნეს. შე-თუმცა-უბღეს, რჩეულთაცა (მ. 24,24 C). შდრ. ხატუნებდენ მრავალთა (მ. 24, 11 Y).

ენებითად მოქცევისას ზმნას ერთი პირის მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ფორმა ორპირიანისა მოეპოვება: პირი (ირიბი ობიექტი) დაკარგულია, მისი ნიშანი კი შენახულია: ბრმა ბრმას თუ წინა-უბღენ, შესცოთან და ორნივე მთხრებლსა შთაცვეიან (მ. 15,14); კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცოთეს ერთი მათგანი (მ. 18,12).

მაგრამ აქა-იქ ჩანს ირიბობიექტური პირის ფარდი სახელიც: შენ უჯზოსა ნუ შესცოთები (Sin. 36. 31b, 8); შესცოთის გზასა (ექუსთ. 91,28); ზეცისა ცხოვრებასა შესცოთა (სინ. 121.8 =ასცდა); შესცოთა იგი გზასა უდაბნოსა ზედა (საქ. წ. II, 60.1 =გზას ასცდა უდაბურ ადგილას). ეს გზა უნდა ჰქონდეს გაველილი სხვა პირდაკარგულ ფორმებსაც.

10. განცხრომა: სცა მას პური და ღვინო და განაცხრო მას (H-341, 562, 20 = ისტ. ქრ. II, 84,31, ოლონდ აქ მას არ არის). შდრ. სათანადო ვნებითის ფორმები: აწ უმეტესად განიხარებს და განსცხრების ქალაქი ურპაი (ურპ. 3+8,16); /იგი/ განსცხრებინ და იხარებნ (სწავ. 246,5); და განვმუენდეთ და განვსცხრებოდით (სენან. 3+3b); მხიარულ იყენენ წინაშე ღმრთისა და განსცხრებოდან სიხარულით (ფს. 67,4). ს აქ ყველგან ირიბი ობიექტის ნიშანია. მაშასადამე, ეს ფორმები ისტორიულად ორპირიანია. აქედან: მის შესაფერ მოქმედებითს სამი პირი უნდა ჰქონოდა. ზემოთ აღნიშნული მას (დააცხრეო მას) სწორედ ირიბი ობიექტის ნიშანია. ობიექტი ჩვეულებრივ დაკარგულია, მაგრამ აქა-იქ შემორჩენილია. ეს კარგად ჩანს იმავე ვნებითის მაგალითებზე: დასცხერ ნებისა შენისა ყოფასა და თავისა მართლებასა და კაცთა მოთნებასა (Sin. 35. 190 ra, 12). დასცხერ, დასცხერ ესევეითარსა აღთქმასა (პარხ. 15a = მრავ. 257,1). ს ამ ფორმებში მხოლოდ ობიექტისაა. მეორე სუბიექტური პირის ნიშანი გამორიცხულია. რადგან ფორმა ბრძანებითისაა. ირიბი ობიექტის ფარდი სახელებია ყოფასა, მართლებასა, მოთნებასა, აღთქმასა. ცხადია, ამის შესაფერი მოქმედებითი სამპირიანი უნდა ყოფილიყო. აი, კიდევ სხვა მსგავსი მაგა-

არა დასცხრებით (Sin. 36, 63a,12); ნუ დასცხრები ლოცვას უფლისა მიმართ ჩუენთვის (1 მეფ. 7,8); კაცი ესე არა დასცხრების სტიყუას ბოროტსა (მოც. 6,13); არა დასცხრებოდა მხილებას მწველებელთასა (კობ. I, 2,8).

11. დაჯერება: აჯერა მთ. ვითარმედ ჭეშმარიტად აღდგა იგი მკუდრეთით (კობ. II, 138,15); ჭირით დააჯერა ისაკს (საკ. წ. II, 138,15); გრძნებითა მათითა დააჯერეს მრავალსა კრებულს (კობ. II, 25,31); რომელთა-იგი დააჯერეს ერისაგან- და მათ ტყუელით (სინ. 164,32); გულს ვერ დააჯერის (Sin. 35, 308rb,3); რაითა დააჯეროს მს (ლიმ. 92,7).

ასეთია კიდევ: გინება, განგრილება, დაკრევა, მოშშიება, აღლება, განღვება, განცინება, ცთუნება, დაძინება, წუევა, ჭენება, განხარება, შეჭირება და სხვანი, რომელთაც აქ ახლა ვეღარ განვიხილავთ, სანიშნოდ ზემოთ მოყვანილიც საკმარისა. სურათი ნათელი უნდა იყოს: ამ ოდესღაც სამპირიან ზნებს დროთა ვითარებაში სხვადასხვა მიზეზის გამო ერთი პირი (პირდ. ობ.) დაუკარგავთ, აგებულება და მორფოლოგიურ-სინტაქსური ძალა კი ძველი შერჩენიათ. ახალ ქართულში სწორედ ერთ დროს დაკარგული პირდაპირი ობიექტი აღმდგარა, მაგრამ ახლა უკვე ირიბი გასულა ხმარებიდან. აი, ამ ფორმათა საინტერესო ისტორიის მოწმება განხილული ზნები.

რასაკვირველია, აქა-იქ უფრო ძველი ვითარებაც არის შემონახული: ფორმაში სამივე პირია წარმოდგენილი: სუბიექტიც, ირიბი ობიექტიცა და პირდაპირიც. ამის მაგალითებია: დააჯერე სულს შენსა მოთმინება (სწავ. 12, 35); ერისა კაცი იგი იქნა მთავარ მას ქუეყანასა და აიძულა მონაზონსა მას დატეეება დაბისა მის (ლიმ. 85, 8); არამედ ჯერ-არს, რაითა ვაიძულოთცა მთ სიყუარული ჩუენი (სწავ. 35, 24); ვითარ-იგი დალეუნა კერპნი და უღმრთოთა მათ არწმუნა ქრისტე (ასურ. 194, 26); არწმუნეთა ანასტასიას შსახურება ღმერთთა (საკ. წ. II, 26, 28); ევედრე უფალს ჩემთვის, რაითა დააჯეროს მე მართალი სარწმუნოება (ლიმ. 10, 2) და სხვ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგჯერ სუბიექტთან ერთად მხოლოდ პირდაპირი ობიექტია წარმოდგენილი, როგორც ახალ ქართულს გადმოეცა. მაგრამ ასეთი შემთხვევები ნაკლებად გვხვდება. ძირითადი წესია, რომ სუბიექტთან ერთად მხოლოდ ერთი — ირიბი — ობიექტი იყოს წარმოდგენილი, ე.ი. აკლდეს პირდაპირი ობიექტი, და ეს წესი კარგად არის დაცული ძველი ქართულის სხვადასხვა სახის ტექსტებში.

### 13. მართალი პრეპოზიციის მს

ზოგიერთ ხელნაწერში ხანდახან ერთადაა წარმოდგენილი წყვილი ნიშანი მს, მაგალითად: რაიცა მსთხოვო შენ ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან (ი. 11,22 D); რა-იგი მსთხოვით მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ (ი. 15,16 D). რას გამოხატავს აქ მართალი ნიშანი? კაცს შეიძლება ეგონოს, რომ ერთი მათგანი მეორე სუბიექტურ პირს აღნიშნავს, მეორე — მესამე ობიექტურსო. მაგრამ ეს არ იქნება სწორი. როგორც ვიცით, S<sub>2</sub> და O<sub>2</sub> ერთი და იმავე ნიშნით გამოიხატება. ხანმეტში — ხანით. პაეებში — პაეთი. სანნარეები — მ და ს პრეფიქსებით. აქედან მ ე.წ. მამის ბერების წინ გვაქვს (მ-ყავ, მ-კითხა). ს — დედის ბერების წინ (ს-თქუ, მი-ს-ცა). ჩვენს მაგალითში თ-ს წინ ს შეეფერება, ამიტომ მასთან ერთად მ შეუძლებელია.

მეორე: როცა S<sub>1</sub> და O<sub>1</sub> ერთად ხედება. ერთი ნიშანი იწერება მხოლოდ (მიხცე. მიპცე. მისცე). ამის გამო ასეთ ფორმებს საზიაროს ეუწოდებთ. მესამე: ჰს მაშინაც გვაქვს, როცა მეორე და მესამე პირთა შეხვედრა არაა. ის მხოლოდ ერთს ეკუთვნის: ვეცხლი დიდძალი მიპსცეს ერისაგანთა მათ (მ. 28.12); რომელი მე მივპსცე მას (ი. 4.14 D). ორივე მაგალითში მხოლოდ მესამე ობიექტური იგულისხმება, მეორე სუბიექტური — არა. მეოთხე: ჰს მოეპოვებათ აგრეთვე ერთპირიან ზმნებს, სადაც იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ მეორე სუბიექტური პირი და გამოირიცხულია ყოველგვარი სხვა შესაძლებლობა. ამის ნიმუშებია: დედაკაცო. რაჟსა ჰსტირ (ი. 20.13.15 D); რაჟამს ჰსდგეთ ლოცვასა შინა (მრ. 11.25 D); თქუენ ჰსწუხდეთ, ხოლო მწუხარებათ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს (ი. 16.20 D). ჰს ერთად ყველა აღნიშნულ შემთხვევაში თითო პირს გამოხატავს: ან მეორე პირის სუბიექტს (ჰსტირ), ან მესამე პირის ობიექტს (მიპსცეს). იგი უნდა იყოს ჰემეტრობიდან სანნარევეზ გარდამავალი საფეხური, როცა ჰ-ს პოზიცია შერყეულია, არც სანი ჩამოყალიბებულა სრულყოფით. როგორც ჩანს, აქ გამოითქმობა ბგერა. რომელსაც შემართვის მომენტი ჰ-ს მიუგავდა, დამართვისა — ს-ს. ჰს ასეთ შემთხვევებში გეხვდება გარდამავალ ხანაში. მეცხრე საუკუნისა და მათე საუკუნის I ნახევრის ძეგლებში. შემთხვევითი არაა. რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ყველა მაგალითი ამოღებულია ჯრუჭის ოთხთავიდან. რომელიც გადაწერილია 936 წელს. მსგავსი შემთხვევები გეხვდება აგრეთვე აღიშნის ოთხთავშიც (897 წ.), რომელიც ჰემეტრი დენიდან თუ მისი წინაპრიდან უნდა მომდინარეობდეს. პარხლის ოთხთავში (გად. 973 წ.) კი ამის არც ერთი მაგალითი არ მოიპოვება, აქ საბოლოოდაა ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული მხოლოდ სანი.

#### 14. ა. ზ. ს. შ. ლ. ხ სპირანტაჰის წინ

ჰ და ს. როგორც მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები. ძველ ქართულში ცოცხალი. მოქმედი კატეგორიის გამოხატულება იყო და მათი ხმარების წესებს მკაცრად იცავდნენ: სადაც საჭირო იყო. უეჭველად წერდნენ. სადაც არ იყო საჭირო, არ ხმარობდნენ. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ მაშინ არ იყო ისე. როგორც დღეს არის ჩვენს ენაში: ჰ და ს დღეს. როგორც გარკვეული მორფოლოგიური კატეგორიის ნიშნები, ძალზე არეულად გამოიყენება. ბევრი მათგანი, ვინც ამ ნიშნებს ხმარობს. წერს ყველგან. სადაც საჭიროა და სადაც არაა საჭირო (დასძინა. მოჰგვარა, მაგრამ: დასტოვა. ჰპოვა): ბევრი კი იქაც არ იყენებს, სადაც საჭიროა (დატოვა, პოვა, მაგრამ: მოპარა, ყავს). ერთი სიტყვით, დადგენილი ნორმები ხშირდ ირღვევა. ძველ ქართულში, ვიმეორებთ, ამ ნიშნების წერა მკვიდრ ნიადაგზე იდგა და საიმედოდ იყო დაცული.

ფონეტიკური მიზეზების გამო ჰ ხშირად იკარგებოდა ზ, ს, შ, ლ, ხ სპირანტებთან. ხშირად. მაგრამ არა ყოველთვის. აქაც ყველაფერი გადამწერსა და მის ცოდნაზე იყო დამოკიდებული. Sin. 97 ხელნაწერის გადამწერი გიორგი ტფილელი. როგორც ეტყობა. დიდად განსწავლული პიროვნება იყო. ჰ საჭირო ადგილას მას თითქმის ყოველთვის აქვს ნახმარი. ასევე შეიძლება ითქვას ცნობილ შატბერდელ მწერალ იოვანე ბერაზეც. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით იმავე შატბერდში გადამწერილ

ადმისა და ჯრუჭის ოთხთავთა გადამწერების შესახებ. რადგან აქ ჰაეს დაკლება არცთუ იშვიათი მოვლენაა. ერთი სიტყვით, ძველ ქართულში  $\text{ჰ}$ , როგორც პრეფიქსი ( $\text{S}_2$  და  $\text{O}_3$  პირებისა). აღნიშნულ სპირანტებთან ფონეტიკურ ნიადაგზე ხშირად იკარგება. ძველი ხელნაწერების შესწავლისა და გამოკემისას ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში. ეს რაც შეეხება ჰაეს.  $\text{ს}$  კი თითქმის ხელუხლებელი იყო და ასე მოატანა ჩვენს დრომდე<sup>74</sup>.

ახლა ენახოთ  $\text{ჰ}$ -ს დაკარგვის მაგალითები ჩამოთვლილ ბეგრათა წინ:

### ზ

ღვინს-მოფარდულნი თქუენნი განზავებენ ღვინოსა წყლითა (ეს. 1,22). უნდა ყოფილიყო: განჰზავებენ. შდრ. წმიდაი ნინო ცრემლითა განჰზავებდა წყაროსა მას (აგ. ძვე. I, 151,12).

$\text{ზ}$  ე.წ. მამის ბეგრათა შორის არის ერთადერთი, რომელთანაც  $\text{ჰ}$ -ს გვერდით  $\text{ზ}$ -ც იხმარება: ეპიფანე შესზავებს თევზთა მათ და ასადილებს ყოველთა მორწმუნეთა (ურთ. 198,3); რაჟამს სულნელთა ნელსაცხებელთა ვინმე შესზავებნ (თუალთ. 79,7); რაჟამს ნელსაცხებელთა სულთა შესზავებედ და საკუმეველთა უკუმევედ (თუალთ. 79,2-3). ჩვეულებრივი ნორმების მიხედვით უნდა ყოფილიყო შეჰზავებს, შეჰზავებნ, შეჰზავებედ.

რასა ზამთ და აღჰესნით კიცუსა მაგას (მრ. 11,5 DFG); რასა ზამთ შაბათსა შინა (ლ. 6,2 CDF); დედოფალო ჩემო, აჟა ზია (ლიტ. ქრ. 309,18); წარზიღვიდეს სტრატოტინი იგი წმიდათა მათ (ვარ. 806); არა ზრახვე ღმრთისასა, არამედ კაცთასა (მ. 16,23 D); რაისა ზრახვეთ გულთა თქუენთა (მ. 16,8 CD; მრ. 2,8 C; ლ. 5,22 CD); არას ზრუნვე არაისთვს (მ. 22,16); არა ზრუნვაჲ, რამეთუ წარვეწყმდებით (მრ. 4,38 D); ნუ ზრუნავთ (მ. 6,25 CD; მრ. 13,11 C; ლ. 12,11 C); მაგისთვს ნუ ზუაობ (მ. ცხ. 196v).

### ს

რომელი გამოსახავს სიტყვერსა მას მსხუერპლსა მოწამეთასა (თარგმ. გამოცხ. 6. 3); რომელნი-იგი გამოსახვენ გამოსახულსა მას და ქანდაკებულსა და გამოწერილსა ურგებად (ეს. 44,10); რომელნი-იგი გამოსახვიდეს ცუდთა მათ და გამოჰქანდაკებდეს კრპასა ურგებსა (ეს. 44,9). საინტერესოა, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გვაქვს პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები: გამოჰქანდაკებდეს და გამოსახვიდეს.  $\text{ჰ}$ -ს დაკლების მიზეზი  $\text{ს}$  ბეგრაა, მის წინ, როგორც წესი, იკარგება  $\text{ჰ}$ .

მოსპოლავს (Sin. 11, 340r,13); მოსპოლავს მათ პირისაგან შენისა (2 შჯ. 9,5 G); უფალი საბაოთ მოსპოლავს ... ძლიერსა მამაკაცსა (ეს. 3,1); მოვსრავ მე ქრისტანეთა (კიმ. I. 307,6); მოსრვენ გუელთა მათცა ქალაქისათა (აპოკრ. 5,38);

<sup>74</sup> გამოვლენილია  $\text{ზ}$  პრეფიქსის დაკარგვის თითო-ორულა მაგალითიც (იხ. ზ. ხარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. გვ. 383—384). მაგრამ ეს უფრო შემთხვევითი ხასიათის ატარებს. ვიდრე ფონეტიკური კანონზომიერებისა და ამიტომ ასეთი მაგალითები კალმისძო-ერ შეცდომათა დონეზე უნდა განვიხილოთ ისევე. როგორც ნიმუშები. სადაც  $\text{ჰ}$  თავსართი დაკარგულია არა  $\text{ზ}$ ,  $\text{ს}$ ,  $\text{შ}$ ,  $\text{ღ}$ ,  $\text{ხ}$  ბეგრებთან. არამედ სხვებთან.



რამეს მოსრავნ მათ (ფს. 77,34), რომელი-იგი მოსრედა (მოც. 9,21); რაისათვის მეზურეთა და ცოდვილთა თანა ჭამთ და სუამთ (ლ. 5,30 CFG); ნუ ეძიებთ, რა შჭამოთ და რა სუათ (ლ. 12,29 CEFCHI); სასუმელი სამე ჩემი შესუათ (მ. 20,23 CDEFGHIK); სურის ნაწლეეთა ჩემთა (ბოლნ. 81,10); ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ვერე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო (სახ. 241,36,37); სუროდის მოკუდომად (გამოცხ. 9,6); რამეთუ მიიღე ძალი ევე შენი დიდი და სუფევ (გამოცხ. 11,17 AB. შდრ. ქსუფევ C); სხუა სიყუარული არა სწორავს სიყუარულსა მისსა თანა (ისტ. ქრ. I, 1,27); დასხდეთ თქვენცა ათორშეტ-თა საყდართა (მ. 19, 28); აღმოსხმიდა წყალსა (Sin. 11, 191v,2 ქვ.).

ძალიან ხშირია საჯ ძირის შეკუმშული ფორმების უპრეფიქსოდ წარმოდგენის შემთხვევები: სჯი (შჯი), სჯით (შჯით), სჯიღეთ (შჯიღეთ), დაესჯი, დასჯი. დასჯის და სხვები. ს (შ) აქ შეიძლება პირის ნიშნადაა გაგებულნი და ამიტომ არ უწერენ საჭირო ჰ-ს. თუმცა ამ დაშვების გარეშეც ს-ს წინ ჰ პრეფიქსი ძალიან ხშირად იკარგება.

### ღ

რაის ღაღაღებ (შსაჯ. 18,24 pb); შენ ყოვლადვე საკურთხეველსა ჩემსა წინაშე სდგა და ღაღაღებ (ბოლნ. 42,7. ვარ.). აქაც საინტერესოა ორი ზმნის გვერდოვანად წარმოდგენა: ერთისა — პრეფიქსით, მეორისა — უპრეფიქსოდ: შენ სდგა. მაგრამ: შენ ღაღაღებ. მიზეზი აქ ღ ბგერის მეზობლობაა.

არა ცუდად დავლუარათ სიტყუათა ამათ (სინ. 218,20); გარდაღურედეს ჭურჭელსა ნავით ზღუად (იონა 1,51. გარდაჰყრიდეს O, გარდასდებდეს; ლაგ.). ჰ ლ-სთან იკარგება, ყ-სთან კარგად გრძნობს თავს და ხელუხლებელია.

### შ

არა დამთა შვილი (ლ. 22,31 C). დამთა აქ ნიშნავს: დარჩა (იგი მას), დაურჩა. ზმნა ორპირიანია. ამას ხაზგასმით მოწმობს ამავე ადგილის DE-სეული წაკითხვა: არა დაუშთა შვილი. ერთი მაგალითი კიდევ: შვილი არა დაშდეს (მრ. 12,19 C). შდრ. DE: შვილი არა დაუშთეს<sup>3</sup>. ცხადია, დაშდეს აგრეთვე ორპირიანი გარდაუვალი ზმნა და შ-ს წინ ჰ დაკარგულად უნდა ვიყარაულოთ.

ნუ შემინდები ტანჯვათაგან (ანდრ. 212,28); რაისა შემინდით. მცირედ-მორწმუნენო (მ. 8, 26 FGHIK); არა შემინდეთ მათგან (2 შჯ. 3,22 G); შემოსული ცათაი ღრუბლითა განმითული იორდანეს (სას. პ. 151,7); შენ შობ ყრმას (სინ. 28,7); მიდგომილ ხარ შენ და შეე ძმ (დაბ. 16,11); შატბერდი დაღაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს (ხანძი. 151,38); შორავს იერიქოსა ორმოც და ათორშეტ მილიონ (თუალთ. 96,11); რაედენ უკუე შორევილი და გემორა დღენდელი ესე დღე (სწავ. 256,29); ვერცთვე გლოვაი ... დაშრეტს ყოველსა აგზებულსა გულის-წყრომისა და სიცხარისასა (Sin. 35, 155ra,13); მარხვანი სარწმუნოებით დაშრეტენ აღსა ცეცხლისასა (სინ. 114,18); რომელი ღონეი ყუ და დაშრეტენ ლამპარნი (ისტ. ქრ. II, 59,23); დაშრეტით აღი ცეცხლისაი (კიმ. II, 24, 19); რაბამ

<sup>3</sup> ა. შანოძე. პრეფიქსები. გვ. 117.

განშუენდი (ქებ. 7, 7); შემურდა ჭურჭელი იგი (H-341, 21,11; არა დაშუერ (გამოცხ. 2,3); მე წარგავლინებ თქვენ მკად, რომელსა თქვენ არა დაშუერით (ი. 4,38 DE; შუერით C); უფალო, ნუ მოშურები (ლ. 7,6), ნულარა მოშურებით აქა (ლიტ. ქრ. 269,7); რომელნი-ესე ჩემთვის მოშუერით (შუშ. 142,44).

## ხ

ას ვლიას ხადის (მრ. 15,35 D); რომელმანცა ხადა მას (ლ. 7,39 C; 14,12 C); მე ვხადო ქრისტესა (ისტ. ქრ. II, 58,1); ხადოდა სახელსა ქრისტესსა (იქვე, 52,23); რაჟამს შენ ხადოდი მას (იქვე, 52, 6); რაისა ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა (მ. 7,3 CD; ლ. 6,41 CD); ხედავა ამას დედაკაცსა (ლ. 7,41 C); მიხელა იესუ და პრქუა მათ (მ. 19, 26 CD); რომელსა თქვენ ხედავთ (მ. 13,17 CD); სასტიკებითა მისითა ქვათაცა განხეთქს (ისტ. ქრ. II, 19,35); მუცელთა მათთა განხეთქენ (ს. მეს. 55,30); რეცა თუ განხეთქედ ყუედრებითა მით და მხილებითა რჩულისა გარდამავალთა მათ (Sin. 35, 244rb, 4); მგელ მტაცებელ, რომელ-იგი პირველ განხეთქდა და შემჭამდა კრავთა ეკლესიისათა (კურთხ. იაკ. 114,5). აქაც სიმპტომურია გვერდიგვერდ განხეთქდა (უპრეფიქსოდ) და შემჭამდა (პრეფიქსით), მიზეზი აქ ხ ბევრია, რომელთანაც ვერ ძლებს ჰ.

რომელნი განხრწნიან გულსა (Sin. 35, 117va,17); რომელნი (ემმაკნი) განჰხრწნიან გულსა კაცისასა (იქვე, 114va, 10). ცხადია, პირველ შემთხვევაში ჰ დაკარგულია ხ-სთან მეზობლობის გამო. დავენთ ბოლოს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებული ზმნა ძველ ქართულში, რომლის მართლწერაშიც ყოყმანობენ: ზოგი აქ უ-ს წერს (განხრწნიან), ზოგი კი — ხ-ს (განხრწნიან)<sup>76</sup>. უფრო ძველ ძეგლებში უბეტესად ვ არის წარმოდგენილი.

თუ ვიეთ ხულების იგი (თარგმ. გამოცხ. 21,8); მსგავსად მღღელობისა ხუდა მას კუმეად საკუმეველისა (ლ. 1,9 C); წილ-იოდეს მას ზედა, ვისმცა რად ხუდა (მრ. 15,24 C); რაისა სძე და ხურინავ (იონა 1,6). აქაც გვერდიგვერდ არის პრეფიქსიანი (სძე) და უპრეფიქსო (ხურინავ) ფორმები: ს მკვიდრად ღვას თავის ადგილზე, ჰ კი იკარგება ხ-ს წინ.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ ჰ-ს დაკარგვის შემთხვევები სპირანტების წინ, მაგრამ ზოგჯერ, უფრო იშვიათად, იგი ასეთ ბედს იზიარებს ზოგიერთ სონორთან, ყველაზე მეტად რ-სთან. რ ყველა თანხმოვანზე მეტად უახლოვდება ხმოვნებს. ხმოვნებთან კი ჰე ძველ ქართულში უკვე დაკარგულია. ამიტომ იგი რ-ს წინაც იკარგება. მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც ზემოთ აღნიშნულ სპირანტებთან. აი, რამდენიმე სანიშნუ-მო მაგალითი:

ნუ განრისხნები (Sin. 11. 280v, 7); რადთა არა განრისხნე (ისტ. ქრ. II, 67, 37); წარღუნოდა ქალაქსა (მოქც. 139,10 ლ. აქ ჰ-ს რ-ც მიჰყოლია: რრ → რ); განრყუნით (Sin. 11, 351v,11); შევრაცხეთ (იქვე, 1r,11); ვრწმუნე (იქვე, 92r,2 ქვ.).

ამგვარი შემთხვევები განსაკუთრებით ბევრია სინური მრავალთავის ერთ მცირე მონაკვეთში, რომლის გადამწერიც სხვა უნდა ყოფილიყო და არა ის, ვინც

<sup>76</sup> გულისხმა/გულისემა სხვა როგის საკითხია.

წიგნის დანარჩენი ნაწილი გადაწერა<sup>77</sup> (შესაძლებელია ამ ნაწილისთვის სხვა განსხვავებული, დედანი ჰქონდათ). მაგალითებს მოვიყვანთ უკონტექსტოდ: რქუა (სინ. 147,17; 149, 11,26); რქუეს (147,11; 149,11,26); ჯრწამ (147,25); რწამს (147,25); რწმენა (149,22); განარისხნებით (150,1).

რაც შეეხება ისეთ ფორმებს, სადაც ჰე მ-ს წინ ჩანს დაკარგული (მსახურებდა: ისტ. ქრ. II, 52,23; მსახურებდეს: იქვე, 52,3; ემსახურო: იქვე, 64.1), ჰ-ს დაკარგვაში დიდი წილი უძვეეს მ-ს შემდეგ მდგარ ს ბერას (მს...), რომელიც მაინც ახდენს გავლენას, თუმცა ჰ და ს მანითაა გათიშული.

სხვა შემთხვევაში ასეთ როლს ზ თამაშობს: აღშზადა (Sin. 11, 361v,15); განშზადა (ისტ. ქრ. II, 53,24); განშზაღნენ (იქვე, 60,30); შემშზადა (იქვე, 72.17) და სხვ. თუმცა, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული (გვ. ?), ამ ზმნაში ჰ-ს დაკარგვა დამატებით სხვა მიზეზითაც შეიძლება აიხსნას: განშზადა (შაშზადა...) წარმოშობით სამპირიანია, დროთა ვითარებაში მან დაკარგა ირიბი ობიექტი და ორპირიან გარდამავალ ზმნად იქცა, ასეთ ზმნებს კი II სერიის მწკრივებში ობიექტის ნიშანი არ სჭირდებათ. ზმნის შინაარსს ფორმაც აუბა მხარი და დაკარგული ირიბი ობიექტის ნიშანმა ნელ-ნელა იწყო ზმნის ფორმიდან გაქრობა.

<sup>77</sup> ცნობილია, რომ ეს "ხელნაწერი გადაწერილია რამდენიმე პირის მიერ" — ა. შანიძე. სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენისათვის: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოაშზაღნეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით. წინასიტყვაობით და გამოკვლივით. 1959. გვ. 229; აგრეთვე: ი. თმათაშვილი. სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი. გვ. 10. ლ. ქავთაძის აზრით, ხელნაწერში 8 ხელი გაირჩევა: პუნქტუაცია V—VIII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში (საკანდ. დისერტ., 1969, ხელნ.).

### III. ზმნის რიცხვი

"რიცხვის გამოხატვა ზმნაში საზოგადოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის კატეგორიასთან. მხოლოდ პირი შეიძლება იყოს ამა თუ იმ რიცხვის მქონე. რადგანაც პირი ქართულში არის სუბიექტური ან ობიექტური, ხოლო ობიექტური პირი შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი, ამიტომ რიცხვის განსაზღვრა ზმნაში ასეთი იქნება: ზმნის პირიან ფორმებს ორ-ორი რიცხვი აქვთ, მხოლოდითი და მრავლობითი. მხოლოდითია ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ერთის მოქმედებას, ერთზე მოქმედებას ან ერთის მიმართ ჩადენილ მოქმედებას. მრავლობითია ფორმა, რომელიც მასვე გვიჩვენებს მრავალზე"<sup>7</sup>. ჩვენც ამის მიხედვით განვიხილოთ ჯერ სუბიექტური პირის რიცხვი, მერმე — ობიექტურისა.

#### A. სუბიექტური პირის რიცხვი

a) პირველ და მეორე სუბიექტურ პირს მრავლობითში ერთი და იგივე თ სუფიქსი აქვს. თ ერთეის ბოლოში მხოლოდითის მზამზარეულ ფორმას და მას მრავლობითად აქვეყს: ვარ — ვარ-თ, ეწერ — ეწერ-თ, შევკარებ — შევკარებ-თ, მოვკლავ — მოვკლავ-თ. ვაქებ — ვაქებ-თ, ვატფობ — ვატფობ-თ, ხარ — ხარ-თ, სწერ — სწერ-თ, შეპკარებ — შეპკარებ-თ, მოპკლავ — მოპკლავ-თ, აქებ — აქებ-თ, ატფობ — ატფობ-თ და ა.შ. (ძველსა და ახალში) პირველი და მეორე სუბიექტურის მხოლოდით-მრავლობითი მეტად ადვილი გასარჩევია ერთმანეთისაგან: მრავლობითი არის იგივე მხოლოდითი. პლუს თ (ეწერ + თ = ეწერთ), მხოლოდითი არის იგივე მრავლობითი, მინუს თ (სწერთ — თ = სწერ). ქართული ზმნის ეს თავისებურება ძალიან ადვილია გასაგებად.

მაგრამ ეს კარგი წესი სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგჯერ ირღვევა და მხოლოდითისა და მრავლობითის ფორმები, თ-ს გარდა, სხვა, დამატებითი, ნიშნებითაც განსხვავდება. I და II სერიის ფორმებში ამ დამატებით განმასხვავებლად გვევლინება ე.წ. თანხმოვანთგასაყარი ი ხმოვანი. რომელიც ჩაერთვის თ-სა და მის წინამავალ თანხმოვანს (ღ-სა და სხვებს) შორის. I სერიაში ეს ეხება დ საერცობიან ზმნებს, რომელთაც მრავლობითში უნდა დაემატოს თ სუფიქსი; ხოლო ერთად მოხვედრილი დთ ძელი გამოსათქველია და ამიტომ გამოთქმის გასაადვილებლად მათ შორის ი ჩნდება: მე ეწერ-დ — ჩუენ ეწერ-დ-ი-თ. შენ სწერ-დ — თქვენ სწერ-დ-ი-თ; მე შევკარებ-დ — ჩუენ შევკარებ-დ-ი-თ. შენ შეპკარებ-დ — თქვენ შეპკარებ-დ-ი-თ. აქ ი-ს გაჩენის მიზეზი წმინდა ფონეტიკური ფაქტორია. თავიდანვე, რასაკვირველია, ასე არ

<sup>7</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 166.

უნდა ყოფილიყო. მაშასადამე. დამატებითი განმასხვავებელი ი ხმოვნის დართვა მეორეული მოვლენაა.

შემდეგ და შემდეგ ეს ი ანალოგიით მხოლოდობითშიც გადმოდის (ეწერდი. სწერდი) და კვლავ ძალაში შედის ზემოთ აღნიშნული წესი (მხოლოდობითი + თ = მრავლობითი, მრავლობითი - თ = მხოლოდობითი): ჩუენ ეწერდი-თ — მე ეწერდი. თქუენ სწერდი-თ — შენ სწერდი. ჩუენ განვიზრახეუდი-თ — მე განვიზრახეუდი. თქუენ განვიზრახეუდი-თ — შენ განვიზრახეუდი. როგორც ვხედავთ. ქართულისათვის ჩვეულებრივი წესის დარღვევა (გარკვეულ შემთხვევაში ი-ს გაჩენა) ეხება მხოლოდ დონიან ზნებს და აქაც მხოლოდ უწყვეტელსა და მასზე დაფუძნებულ I ბრძანებითს (წერდ — წერდით. განვიზრახეუდ — განვიზრახეუდით). ეს გათანაბრება. როგორც ვთქვით. უკვე ძველი ქართულის უადრეს ძეგლებში დაიწყო, IX-X საუკუნეების ძეგლებში აბოლუტურად გაბატონდა, ხოლო დღევანდელ ქართულში ერთადერთ ნორმად იქცა: ეწერდი — ეწერდით, სწერდი — სწერდით. დღეს (და კარგა ხანია) სალიტერატურო ქართულში ძველებური მე ეწერდ. შენ სწერდ აღარსად არა გვაქვს.

II სერიაში ი-ს დამატება, პირველ რიგში. ისევე ღ ბგერით დაბოლოებულ (დონიან ენებითებსა და დ ფუძიან) ზნებს ეხებოდა: მოვედ — მოვედით, მოხუედ — მოხუედით, დაეკარდი — დაეკარდით. დაქუარდი — დაქუარდით. დაებერდი — დაებერდით. შემდეგ სხეებსაც: მივეც — მივეციტ. მიეც — მიეციტ. ხშირი იყო აგრეთვე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნისას და ამასთან დაკავშირებით — პრეფიქსიან და სხვა ტიპის ენებითებში: დამალენ — დამალენით. დამალენ — დამალენით. განემტკიცენ — განემტკიცენით, განამტკიცენ — განამტკიცენით.

მესამე სერიის მწკრივებს სულ სხვაგვარი წარმომადგობა აქვთ და განსახილველი საკითხი იქ სულ სხვადასხვაგვარად იდგა თითოეულ მწკრივში და თვით ერთისა და იმავე მწკრივის შიგნით სხვადასხვა ტიპის ზნებში. ერთი სიტყვით. პრინციპულად თავიდანვე ამოსავალი იყო ზემოთ მრავალგზის აღნიშნული კანონი: მხ. + თ = მრ., მრ. - თ = მხ. ყველა დარღვევა მეორეულია.

ბ) მესამე სუბიექტურ პირს. როგორც აღნიშნული იყო (გვ. 27). ერთი და იგივე სუფიქსები აქვს გამოყენებული როგორც პირისათვის, ისე რიცხვისათვის. ესენია ს. ნ. დ. ა. ო მხოლოდობითი და ენ. ან. ნ. ეს, ედ მრავლობითში. ჩვენ ამჟამად უკანასკნელნი გვაინტერესებს. ჩამოთვლილი ხუთი სუფიქსიდან თითოეული მხოლოდ გარკვეულ, მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში იხმარება. სახელდობრ:

1. ენ მხოლოდ აწმყოს მწკრივშია და არსად სხვაგან; ისიც უმთავრესად მოქმედებითი (და საშუალი) გეარის ზნებში (ი თემის ნიშნინათა გამოკლებით): წერენ, შეპკრებენ, მოპკლენ, აქებენ, ატფობენ, ჰყოფენ, მისცემენ, განაკუეთენ. ესენენ, ეშურობენ. აქ ენ სუფიქსი გამოხატავს როგორც პირს (მესამე სუბიექტურს), ისე რიცხვს (მრავლობითს). სხვაგან ენ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშნად არ გვხვდება. გარდა ამისა, ენ სუფიქსი გარკვეულ შემთხვევებში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს. მაგრამ ამაზე ქვევით გვექნება საუბარი (გვ. 268 და შემდ.).

2. ან სუფიქსის ხმარების შემთხვევები ყველაზე ხშირი და მრავალფეროვანია. იგი იხმარება:

ა) აწმყოში. გარდამავალ ზმნებში. რომელთაც ი თემის ნიშანი აქვთ: იგინი თხრი-ან, თლი-ან, ჭრი-ან, გვი-ან, ზრდი-ან, გამოსცდი-ან, განაჰვდი-ან ..., იშვიათად ი სუფიქსის გარეშე: იქმ-ან.

ბ) აწმყოში დინამიკურსა და სტატიკურ ვნებითებში: იკურთხევი-ან, ემალები-ან, ეკრძალები-ან, ევედრები-ან, ევლტი-ან, ბერდები-ან, შეწუხნები-ან, განმტკიცნე-ბი-ან, განტფები-ან, დაჰნები-ან ...

ჰვი-ან, უყრი-ან, ჰგონი-ან ...

გ) აწმყოში საშუალო გვარის ზმნებში: რბი-ან, დი-ან, ჩან-ან, დგან-ან, ჰგვან-ან, წვან-ან. ჰქუან-ან (→ ჰქონ-ან) ... ტირ-ან, უყუარ-ან, მოსწონ-ან, დუმ-ან ...

დ) უწყვეტლის ხოლმეობითში (ღონიან ზმნებში): წერდი-ან, შეჰკრებდი-ან, მოჰკლვიდი-ან, აქებდი-ან, განატფობდი-ან, ჰყოფდი-ან, მისცემდი-ან ...

ე) ოღიანი ზმნების I კავშირებითსა და უწყვეტლის ხოლმეობითში: იმალებო-დი-ან, ტიროდი-ან, იტყოდი-ან, მოვიდოდი-ან ...

ვ) II ხოლმეობითში ყველა ტიპის ზმნაში: წერი-ან, შეკრიბი-ან, მოკლი-ან, შესუი-ან (→ შესევან), განატფი-ან, თქუი-ან (თქვან), ჰრქუი-ან (ჰრქვან. აქედან: ჰქვიან → ჰქვია → ქვია). მოვიდი-ან, აღდგი-ან. დაწვი-ან (მაგრამ: მათ იგი დაწუი-ან → დაწვან). გამოჩნდი-ან ...

ზ) II კავშირებითში (ისეთ ზმნებში, რომელთაც ფუძის ბოლოს აქვთ ოდ ბერათა ჯგუფი, რომელიც დამწერთ თუ გადამწერთ ასოციაციით პირველი სერიის ოდ საერცობს აგონებს და I კავშირებითის კვალობაზე აუღლებინებს: უწოდი-ან (= უწოღონ). შესციოდი-ან (= შესციოღონ); დაკოდი-ან (= დაკოღონ) ...

თ) შერეულ კავშირებითსა და შერეულ ხოლმეობითში: დაიბანოდი-ან, განი-ძარციოდი-ან, შეიძოსოდი-ან, აღასრულნოდი-ან, ეზიარნოდი-ან, განსაჯოდი-ან, აღილოდი-ან, მისციოდი-ან, შეწიროდი-ან ...

ი) I თურმეობითში (აქ ან ბოლოსართი ინვერსიის საფუძველზე აღნიშნავს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას): დაუწერი-ან, შეუკრები-ან, უყოფი-ან, მოუცები-ან ... დაჰმაღვი-ან, დაჰვიწყები-ან ...

კ) III ხოლმეობითში (აქაც პირდაპირი ობიექტი აღინიშნება ინვერსიულად): განეველნი-ან, მოესრნი-ან, ექმ(ნ)ი-ან, ეტერთნი-ან, გარემოეცენი-ან, ეწუართნი-ან.

3. ნ სუფიქსი მხოლოდ კავშირებითებში იხმარება. ხუთიდან ეს ერთადერთი სუფიქსია, რომელიც ოდენ თანხმოვანს წარმოადგენს, მას წინ ხმოვანი არ ახლავს, სხვებს ყველას წინ აქვს ხმოვანი, სამს — ე (ენ, ედ, ეს), ერთს — ა (ან).

ახლა ვაჩვენოთ ნ-ს ხმარების კონკრეტული შემთხვევები. ესენია:

ა) ღონიანი ზმნების I კავშირებითი: წერდე-ნ, შეჰკრებდე-ნ, განსწმედდე-ნ, კლვიდე-ნ, შეჰსუმიდე-ნ, აქებდე-ნ, ატფობდე-ნ, თლიდე-ნ, ჰყოფდე-ნ, მისცემდე-ნ...

ბ) ოღიანი ზმნების I კავშირებითი (იშვიათად): იწერიბოდი-ნ, მოვიდოდი-ნ, იტყოდი-ნ, ტიროდი-ნ, ევედრებოდი-ნ, აღდგებოდი-ნ, იქმნებოდი-ნ ...

გ) II კავშირებითი: წერო-ნ, მიუგო-ნ, უწოლო-ნ, იხილო-ნ, თქუა-ნ, ჰრქუა-ნ, შეიპყრა-ნ, ცნა-ნ, მისცე-ნ, დაიცე-ნ, ივსნე-ნ, განჯრწნე-ნ, შექმნე-ნ...

დ) III კავშირებითი: დაეწერნე-ნ, შეეკრიბნე-ნ, მოეკლნე-ნ, განეტფნე-ნ, განეწმიდნე-ნ, დაეშიოტნე-ნ ...

4. ელ სუფიქსი გვაქვს:

ა) აწმყოს ხოლმეობითში: იგინი არი-ელ, წერ-ელ, შეკრებ-ელ, მოკლევ-ელ, აქებ-ელ, შექს-უბ-ელ ...

ბ) I ბრძანებითში: იგინი წერდ-ელ, შეკრებდ-ელ, მოკლვიდ-ელ, აქებდ-ელ, განატფობდ-ელ, თლიდ-ელ ...

გ) უწყვეტლის ხოლმეობითში (იშეიათად, უმთავრესად აწმყოს ხოლმეობითის ანალოგიით): სცივიდი-ელ, მოვიდოდი-ელ, იხილვიდი-ელ, მისცემდი-ელ ...

დ) II ბრძანებითში: მათ იგი წერ-ელ, შეკრიბ-ელ, მოკლ-ელ, აქ-ელ, განატფ-ელ, ყვ-ელ, მისც-ელ, განწმიდ-ელ ...

ე) II ხოლმეობითში (იშეიათად, უმთავრესად აწმყოს ხოლმეობითის ანალოგიით): მოვიდი-ელ, შეკრიბი-ელ, მოკლი-ელ, განატფი-ელ, განწმიდი-ელ ...

5. ეს სუფიქსი გამოყენებულია შემდეგს შემთხვევებში:

ა) უწყვეტელში ყველა ტიპის ზმნაში (გარდამავალსა და გარდაუვალში): წერდ-ეს, შეკრებდ-ეს, მოკლვიდ-ეს, აქებდ-ეს, ტიროდ-ეს, იტყოდ-ეს, იმალებოდ-ეს, მირბიოდ-ეს, განმტკიცებოდ-ეს, ევედრებოდ-ეს ...

ბ) წყვეტილში აგრეთვე ყველა ტიპის ზმნაში: წერ-ეს, შეკრიბ-ეს, მოკლ-ეს, აქ-ეს, განატფ-ეს... დაიმალნ-ეს, განმტკიცნ-ეს, ევედრნ-ეს, იყვნ-ეს, წარვიდ-ეს...

გ) II თურმეობითში გარდამავალ ზმნებში, როცა პირდაპირი ობიექტი (რომელიც სუბიექტის ნიშნით გამოიხატება) მრავლობით რიცხვშია: დამეწერნ-ეს, შემეკრიბნ-ეს, მომეკლნ-ეს, განმეტფნ-ეს, მემეყვნ-ეს, მიმეტვნ-ეს, განმეწმიდნ-ეს ...

დ) მეორე თურმეობითში ორპირიან გარდაუვალ ზმნებში: დაჰვიწყებოდ-ეს, დაჰმალვოდ-ეს, შეჰვედრებოდ-ეს, შესწეოდ-ეს ...

## B. ობიექტური პირის რიცხვი

აქ უნდა გაეარჩიოთ ორი შემთხვევა: ა) როცა ობიექტი ირიბია და ბ) როცა ობიექტი პირდაპირია. ესენი მრავლობითს სულ სხვადასხვანაირად გამოხატავენ. საქმის ვითარება ძალიან მარტივია. როცა ობიექტი ირიბია, ხოლო მეტისმეტად რთულია, როცა ობიექტი პირდაპირია. ეს გაპირობებულია ძველი ქართულის მყარი წესით: სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელის მრავლობითობა აღინიშნება ზმნაში. მიცემითში მდგარისა კი — არა. ჩვენს მსჯელობას მარტივი შემთხვევის განხილვით დავიწყებთ.

### ა) ობიექტი ირიბია

ირიბი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ გამოიხატება. მისი მხოლოდობისა და მრავლობითის ფორმები ერთნაირია. რადგანაც ირიბი მუდამ მიცემითში ღვას, ამგვარი მდგომარეობა გვეჩვენა ყველგან.

ირიბი ობიექტი აქვს ყველა სამპირიან, აგრეთვე ყველა ორპირიან გარდაუვალ ზმნას. რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არაა. მაგალითებსაც ამ რიგით მოვიყვანთ:

აწმული				წყვეტილი				
	შემძინებს	იგი	მე	მას	შემძინა	მან	მე	იგი
	შეგძინებს	"	შენ	"	შეგძინა	"	შენ	"
	შესძინებს	"	მას	"	შესძინა	"	მას	"
(e.) <sup>78</sup>	შემძინებს	"	ჩუენ	"	შემძინა	"	ჩუენ	"
(i.)	შეგუძინებს	"	"	"	შეგუძინა	"	"	"
	შეგძინებს	"	თქუენ	"	შეგძინა	"	თქუენ	"
	შესძინებს	"	მათ	"	შესძინა	"	მათ	"
	მოგუერის	იგი	მე	მას	მოგუერა	მან	მე	იგი
	მოგუერის	"	შენ	"	მოგუერა	"	შენ	"
	მოჰგუერის	"	მას	"	მოჰგუერა	"	მას	"
(e.)	მოგუერის	"	ჩუენ	"	მოგუერა	"	ჩუენ	"
(i.)	მოგუერის	"	"	"	მოგუერა	"	"	"
	მოგუერის	"	თქუენ	"	მოგუერა	"	თქუენ	"
	მოჰგუერის	"	მათ	"	მოჰგუერა	"	მათ	"
	მითხრობს	იგი	მე	მას	მითხრა	მან	მე	იგი
	გითხრობს	"	შენ	"	გითხრა	"	შენ	"
	უთხრობს	"	მას	"	უთხრა	"	მას	"
(e.)	მითხრობს	"	ჩუენ	"	მითხრა	"	ჩუენ	"
(i.)	გუთხრობს	"	"	"	გუთხრა	"	"	"
	გითხრობს	"	თქუენ	"	გითხრა	"	თქუენ	"
	უთხრობს	"	მათ	"	უთხრა	"	მათ	"
	მბულს	მე	იგი		მიყუარს	მე	იგი	
	გბულს	შენ	"		გიყუარს	შენ	"	
	სბულს	მას	"		უყუარს	მას	"	
(e.)	მბულს	ჩუენ	"		მიყუარს	ჩუენ	"	
(i.)	გბულს	"	"		გიყუარს	"	"	
	გბულს	თქუენ	"		გიყუარს	თქუენ	"	
	სბულს	მათ	"		უყუარს	მათ	"	
	მესმის	მე	იგი		მესმა	მე	იგი	
	გესმის	შენ	"		გესმა	შენ	"	
	ესმის	მას	"		ესმა	მას	"	
(e.)	მესმის	ჩუენ	"		მესმა	ჩუენ	"	
(i.)	გუესმის	"	"		გუესმა	"	"	
	გესმის	თქუენ	"		გესმა	თქუენ	"	

<sup>78</sup> აქ და ქვემოთ (e.) ექსკლუზივის აღნიშნავს, ხოლო (i.) — ინკლუზივის.



ესმის მათ " ესმა მათ "

როგორც ვხედავთ, აქ ირიბი ობიექტის მხოლოდობითი და მრავლობითი გარჩეული არ არის არც ერთ პირში (გამონაკლისა მხოლოდ O<sub>1</sub> პირის ფორმები. სადაც ირიბი ობიექტის მრავლობითობაც აღინიშნება ზოგჯერ): მოგეუარა მან იგი შენ და თქვენ; უთხრა მან იგი მას და მათ; გიყუარს იგი შენ და თქვენ; ესმის იგი მას და მათ. ასეა ეს ყველა ირიბობიექტთან ზნაში. როგორც ვთქვით, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს პირველი ობიექტური პირი, რომელსაც ერთმანეთის გვერდით და პარალელურად მოეპოვება მ-პრეფიქსიანი წარმოებაც და გუ-პრეფიქსიანიც (შემძინებს—შეგუძინებს, მძულს—გუძულს, მესმა—გუესმა). მაგრამ გუ აქ იმდენად მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი კი არ არის (ასე რომ იყოს, მანიანი ფორმები — შემძინა, მიყუარს... მარტო მხოლოდობითი უნდა ყოფილიყო), რამდენადაც ინკლუზივისა (შეგუძინა ჩუენ, ე.ი. მე და შენ/თქვენ), რომელიც ექსკლუზივს უპირისპირდება (შემძინა ჩუენ, ე.ი. მე და მას/მათ). ეს რომ ასეა, ამას დემონსტრაციულად ემოწმება II და III პირები, რომლებშიც ირიბი ობიექტის მხოლოდობითი და მრავლობითი გარჩეული არაა. ამ დასკვნას მხარს უჭერს აგრეთვე მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტი, რომელიც ამ თვალსაზრისით სავსებით იზიარებს ირიბის ბედს და მრავლობითობის გამოხატვის უნარს მოკლებულია. დასასრულ, ამასვე ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ გუ-პრეფიქსიანი ზნაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა სხვა ფორმანტით, ენ → ნ სუფიქსით, აღინიშნება: დაგუხატენ შენ ჩუენ, დაგუხატნა მან ჩუენ. აქ გუ-პრეფიქსი მხოლოდ პირს გამოხატავს, ამ პირის მრავლობითობა კი ენ(ნ) სუფიქსით აღინიშნება. გუ თავიდანვე რომ მრავლობითობის მაჩვენებელი ყოფილიყო, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა სხვა. ახალი, აფიქსის გამოყენება იმავე პირის მრავლობითობის აღსანიშნავად? ასე რომ, სწორი უნდა იყოს დებულება, რომ ძველ ქართულში ირიბი ობიექტის მრავლობითობა არ გამოიხატებოდა ზნაში.

### ბ) ობიექტი აირღააირია

როცა ობიექტი პირდაპირია, მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტის ბრუნვას: თუ ობიექტი მიცემითშია (ეს იქნება I სერიის ზნებთან), მისი მრავლობითობა ზნაში არ აღინიშნება. ხოლო როცა იგი სახელობითშია (ეს იქნება II და III სერიის ზნებთან), მისი მრავლობითობა ზნაში ყოველთვის აღინიშნება. იგი ყოველთვის არის გამოხატული. ეუქვენთ ორივე შემთხვევა მაგალითებით:

#### ა) ობიექტი მიცემითშია

კაცი წერს წიგნსა, მაგრამ აგრეთვე: კაცი წერს წიგნთა; მონადირც კლავს ირემსა და: მონადირც კლავს ირემთა; დედაი აქებს შვილსა თვისსა და: დედაი აქებს შვილთა თვისთა; მკურნალი განსწმუღს კუთროვანსა და: მკურნალი განსწმუღს კუთროვანთა. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის, მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზნაში არ აისახება.

ჩვენ ზემოთ (გვ. 32 და შემდ.) დავინახეთ, რომ ირიბი ობიექტიც (რომელიც ყოველთვის მიცემითში დგას) ვერ ახერხებდა ზნაში მრავლობითობის გამოხატვას (გიყუარს თქვენ, სძულს მათ...). ახლა შეიძლება ორივე შემთხვევა განვაზოგადოთ:

მაცემთში დასმულ ობიექტს (ირიბი იქნება იგი თუ პირდაპირი) საერთოდ არ შეუძ-  
ლია ზნნაში თავისი მრავლობითობის გამოხატვა. შემდეგ და შემდეგ ამათი განვითა-  
რება სხვადასხვა გზით წარიმართა: რადგანაც ირიბი ობიექტი, ჩვეულებრივ, ადამი-  
ანს გულისხმობდა. გაიზარდა მისი გავლენა და მრავლობითობის გამოხატვის  
უნარიც შეიძინა: დღეს ვიტყვი: თქვენ შეგძინათ, მათ უყვართ, თქვენ გძულთ, მათ  
სურთ. თქვენ გინდათ. პირდაპირი კი, რომელიც უმთავრესად არა ადამიანს, არამედ  
ნივთის კატეგორიის საგნებს გულისხმობდა, კვლავ ძველებურად დარჩა და მას არც  
ახლა შეუძლია მრავლობითობის გამოხატვა: კაცი წდგნებს წერს, მონადირე დრმებს  
კლავს, მკურნალი მთარჩუნს ავადმყოფებს და სხვ.

### ბ) ობიექტი სახელობითია

როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითში დგას, ვიმეორებთ, მისი მრავლობი-  
თობა ზნნაში ყოველთვის აღინიშნება ენ-ნ სუფიქსით. შევედაროთ ერთმანეთს ერთი  
და იმავე მწკრივის (წყვეტილის) ისეთი ფორმები, რომლებშიც, ერთი მხრივ,  
პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია დასმული, ხოლო მეორე მხრივ — მრავლობითში:

მს.			მრ.		
მე	მოკვალ	მგელი	მე	მოკვლ-ენ	მგელნი
შენ	მოკვალ	"	შენ	მოკვლ-ენ	"
მან	მოკლა	"	მან	მოკლ-ნ-ა	"
ჩვენ	მოკვალთ	"	ჩვენ	მოკვლ-ენ-თ	"
თქვენ	მოკვალთ	"	თქვენ	მოკვლ-ენ-თ	"
მათ	მოკლეს	"	მათ	მოკლ-ნ-ეს	"

ეს ფორმები ერთმანეთისაგან ენ-ნ სუფიქსის ქონება-არქონებით განსხვავდება  
მხოლოდ: სადაც პირდაპირი ობიექტი მხოლობითშია (მგელი), იქ ენ-ნ სუფიქსი არა  
გვაქვს, ხოლო სადაც პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია (მგელნი), იქ არის მხო-  
ლოდ. მაშასადამე, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, მისი მრავლობითობა  
ზნნაში ყოველთვის აისახება და ამ მრავლობითობას აჩვენებს ენ სუფიქსი. თუ  
ზოგჯერ არა ენ, არამედ მხოლოდ ნ სუფიქსი გვაქვს, ამისი მიზეზია წმინდა ფონეტი-  
კური კანონი: ენ სუფიქსს ბოლოს ერთვის რაიმე მორფოლოგიური კატეგორიის  
აღნიშვნელი ხმოვანი ან ხმოვნით დაწყებული სუფიქსი, რომელიც კუმშავს ენ  
სუფიქსს. ჩვენს შემთხვევაში ასეთი შემკუმშველი სუფიქსია შესამე სუბიექტური  
პირის ნიშანი ა (\*მოკლ-ენ-ა → მოკლ-ნ-ა) და იმავე პირის ნიშანი მრავლობითში ეს  
(\*მოკლ-ენ-ეს → მოკლ-ნ-ეს). თუ მხოლობითის ფუძესაც გავითვალისწინებთ, დავინა-  
ხავთ. რომ ხსენებული ფონეტიკური წესის მიხედვით ამ ფუძეში ორი ხმოვანია  
შეკუმშული: მან ივინი \*მოკალ-ენ-ა → მოკლნა: ძირისეული ა (შდრ. მოვ-კალ, მოპ-  
კალ) მომდევნო ენ სუფიქსისეულმა ემ ამოაგლო (შეკუმშა), ხოლო თვით ენ სუფიქ-  
სისეულ ე-ს ეგვე ბელი ეწია იმის მომდევნო ა სუფიქსის გამო. ასეთი ენ-ნ სუფიქ-  
სიანი მაგალითები იქნება კიდევ (მხოლობითთან შედარებით):

მე	შე-ვი-პყარ	ივი	მე	შე-ვი-პყარ-ენ	ივინი
შენ	შე-ი-პყარ	"	შენ	შე-ი-პყარ-ენ	"
მან	შე-ი-პყარ-ა	"	მან	შე-ი-პყარ-ნ-ა	"

ჩუენ	შე-ე-ი-პყარ-თ	"	ჩუენ	შე-ე-ი-პყრ-ენ-თ	"
თქუენ	შე- ი-პყარ-თ	"	თქუენ	შე- ი-პყრ-ენ-თ	"
მათ	შე- ი-პყრ-ეს	"	მათ	შე- ი-პყრ-ენ-ეს	"
მე	შე-ე-ჭამე	პური	მე	შე-ე-ჭამ-ენ	პურნი
შენ	შე- ჭამე	"	შენ	შე- ჭამ-ენ	"
მან	შე- ჭამ-ა	"	მან	შე- ჭამ-ენ-ა	"
ჩუენ	შე-ე-ჭამე-თ	"	ჩუენ	შე-ე-ჭამ-ენ-თ	"
თქუენ	შე- ჭამე-თ	"	თქუენ	შე- ჭამ-ენ-თ	"
მათ	შე- ჭამ-ეს	"	მათ	შე- ჭამ-ენ-ეს	"

**შენიშვნა:** ჩვენი მსჯელობა პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის ფორმებზე აქ და შემდეგშიც (თუ სპეციალურად არ იქნება მითითებული) ეხება მხოლოდ ნარიან მრავლობითს: მგელნ-ი, პურ-ნი და სხვ. ზემოთ აღწერილი მოე-ლენა მხოლოდ ნარიანი მრავლობითისათვის არის დამახასიათებელი, ებიან მრავლო-ბითში მდგარ პირდაპირ ობიექტს ასეთი თვისება ჩვეულებრივ (აბსოლუტურად უმე-ტეს შემთხვევაში, ძალზე იშვიათი გამონაკლისის გარდა) არ ახასიათებს. ჩვეუ-ლებრივია: მან მოკლა მგელი და მან მოკლა მგლები, მან შეიპყრა ირემი და მან შეიპყრა ირემები, მან ჭამა ლეღვ და მან ჭამა ლეღუები. ათასში ერთხელ თუ შეგვ-ხვდება რიცხვში შეთანხმების შემთხვევები. მაგალითად: გარდავიხილუნით გუაშები იგი მოწამეთაი (ისტ. ქრ. I, 187,26). ებიანი ობიექტი, როგორც ვხედავთ, ითანხმებს ზმნას მრავლობითში, მაგრამ ამნარი შემთხვევები. ვიბეორებთ. ძალზე იშვიათია.

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში ძველ ქართულს ახასია-თებდა. ახალ სალიტერატურო ქართულში იგი არა გვაქვს (მთის კილოებში აქა-იქ ჯერ კიდევ არის შემონახული). იგი ძველი და ახალი ქართულის განმასხვავებელი მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიაა. ამიტომ მას უფრო გამოწვლილით სჭირდება შესწავლა. მაგრამ მისი მრავალფეროვანი ფორმების საფუძვლიანად შესწავლა შეუძლებელია, თუ კარგად არ ვიცნობთ ძველი ქართული ზმნის მწკრივებს. სწორედ ამიტომ აქ დროებით შევწყვეტთ ამ მოვლენაზე საუბარს და კვლავ დაეუბრუნდებით (მაშინ უკვე ფართოდ), როცა ძველი ქართული ენის მწკრივები თავიდან ბოლომდე გვეჩვენება შესწავლილი.

## IV. მწკრივები

### A. I სერია

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა (გვ. 5), ზმნისწინის ძველ ქართულში არ შეეძლო სრული ასპექტის წარმოება. აწმყოს ფორმებზე დართვით მომავალი დროის გამოხატვა. ეს ფუნქციები იქ სხვა საშუალებებით გამოიხატებოდა. აქედან გასაგებია, რომ ძველ ქართულში არ გვექონდა და არც შეიძლება გვექონოდა აწმყოს ორი წრე — უზმნისწინო და ზმნისწინიანი, რადგან ორივე რიგის ფორმები უსრულ ასპექტს გამოხატავდნენ. კერძოდ. ზმნისწინიანი აწმყო ახლანდელ დროს აღნიშნავდა მხოლოდ. ამიტომ, კიდევ ვიმეორებთ, იქ აწმყო და მყოფადი, უწყვეტელი და ხოლმეობითი. აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი არ გვექონდა, ამ წყვილ-წყვილი (ზმნისწინით განსხვავებული) მწკრივის ნაცვლად იყო მხოლოდ თითო ცალი: აწმყო, უწყვეტელი და I კავშირებითი. ამის მიუხედავად, ძველ ქართულში I სერიის მწკრივთა რაოდენობა მინც ექვსს შეადგენდა. ეს მწკრივებია: აწმყო, აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი. I ბრძანებითი, უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი. I სერიაში მწკრივების ერთნაირმა რაოდენობამ (6) ძველსა და ახალ ქართულში მცდარი დასკვნა არ უნდა გამოგვატანინოს და არ გვაფიქრებინოს: I სერიის მწკრივები ძველსა და ახალ ქართულში ერთნაირიაო. თვით აწმყო და უწყვეტელი, რომლებიც ძველადაც გვექონდა და ახლაც გვაქვს, სხვადასხვა შინაარსისაა, ფორმაც სხვადასხვაგვარი აქვს. განვიხილოთ I სერიის მწკრივები დაწერილებით.

### 1. აწმყო

აწმყო მხოლოდ მწკრივის სახელია. ტერმინი ვერ არის მოსაწონი: აწ მყო(ფი). დღეს არც აწ და, მით უმეტეს, არც მყო არ იხმარება ჩვეულებრივად ენაში. პირველის ნაცვლად გვაქვს ახლა, ხოლო მეორის მაგივრად — მყოფი. აწი ზოგიერთ კუთხეში დღეს მომავალს აღნიშნავს: "მერბე", "ამის შემდეგ". ამიტომ გასაგებია ზოგიერთის მცდარი აზრი, რომ "აწმყო" მომავალ დროს გამოხატავსო, აწი, ამის შემდეგ რომ იქნება. იმასო<sup>80</sup>. ზოგს მისი გამოთქმაც უჭირს<sup>81</sup> და ასე ამბობს: აწმპო. აწწყო. ამ ტერმინს ადრე ახლანდელი დროის აღსანიშნავადაც იყენებდნენ

<sup>80</sup> ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 199.

<sup>81</sup> მიზეზი ისაა, რომ აქ ქართული ენისათვის დამახასიათებელი პარაზონიული კომპლექსი წყ გათიშულია მთი და ყურს შერწყმული პარაზონია ირღვევა.

ხოლმე და ესეც უშლის ხელს მის უმტკივნეულოდ დამკვიდრებას. მაგრამ ასეა თუ ისე. ტერმინი. ჩვეულებრივ. პირობითია და შეიძლება ჩვენც შეეუურიგდეთ მწკრივის აღსანიშნავად "აწმყოს" დატოვებას.

აწმყოს მწკრივის შინაარსსა და ფორმას ძველ ქართულში ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს. ასეთებია:

ა) თავისი შინაარსით იგი მხოლოდ ახლანდელ დროს გამოხატავს (Präsens. настоящее время) და არ შეუძლია მომავალი დროც უჩვენოს, როგორც ახალ ქართულს ძალუძს ხოლმე ზოგჯერ: მომიტანე საჭმელი და ვჭამ. "ვჭამ" აქ მომავალი დროის გაგებას შეიცავს (Принеси мне пищу и буду есть)<sup>2</sup>. ვიმეორებთ. ასეთი ნიუანსი ძველ ქართულ აწმყოს არ გააჩნდა.

ბ) აწმყოს ფუძით წარმოდგენილი ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, როგორც უკვე ითქვა. ერთი იყო შინაარსით, ორივე ახლანდელ დროს გამოხატავდა. ეწერ და დავსწერ. ახლანდელი ენით რომ ვთქვათ, იყო "ეწერ", пишу. ვჭამ და შევეჭამ — "ეჭამ", ем. ვკლავ და მოვკლავ — "კლავ", убиваю, ეხატავ და დავხატავ — "ეხატავ", рисую, ვკრებ და შევეკრებ — "კრებ". ვაგროვებ. собираю და სხვ. "შუმანიკის წამების" X თავში ნათქვამია: შუმანიკის უწყალოდ წამების სამი კვირის შემდეგ ვარსკენმა მოიხბო ერთი მცველთაგანი და ჰკითხა: ცოცხალია აქამდე ის საბრალო? მცველმა უპასუხა: "სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცხლით. რამეთუ შიმშილითა უფროდს ხოლო მოკუდების (შუშ. 139,1). ამ წინადადების აზრია: სიკედილთან (სიკედილისაკენ) უფრო ახლოა, ვიდრე სიცოცხლესთან (სიცოცხლისაკენ), რადგან უფრო მეტად შიმშილით კედებაო (მოკუდების) და არა: მოკედებაო (умирает და არა умрет. როგორც იფიქრებდა კაცი ახალი ქართულის მიხედვით).

ახლა ენახოთ აწმყოს მწკრივის რამდენიმე უზმნისწინო და ზმნისწინიანი მაგალითი:

#### ა) უზმნისწინონი

ჰკითხა კაცმა მან: ვის ეძიებ? ხოლო მან პრქუა: ძმათა ჩემთა ეძიებ. მითხარ მე, სადა აძიებენ (დაბ. 37,15-16); სამკაული ესე ... მე ამას ცხორებასა არღარად შეუძარების. ხოლო მე ვარქუ: ნურას ისწრაფი, იყოს შენ თანა. და ჩუენღა ამას განვიზრახევდით. მოვიდა ყრმაი ერთი და თქუა: იაკობ მანდა არსა? და მე ვარქუ. ვითარმედ: რაი გინებს? და მან პრქუა: უწესს პიტახხში. და მე დამიკვრდა, თუ რაიდა-მე მიწესს ამას ჟამსა (შუშ. 137,17-20); ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ (ლ. 6,21); რაიდათვს მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი იმარხვენ, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ (მრ. 2,18 C); კაცნი და საცხოვარნი, და ზროხად და ცხოვარი ნურას გემოსა იხილვენ. ნუცა წყალსა სუშენ (იონა 3,7); მაგალით თქვენ თანა, არას ვოურვით. არცა გუეშინის (ეესტ. 147,19-20); რომელი ხითხოვს მიილის. და რომელი ხეძიებს, პოვის. და რომელი ხირგეს, განხელის (მ. 7,8 Y); პისხენ ხუთნი ძმანი (ლ. 16,28); ერსა ყოველსა სძინავს (მოქც. 233,36); აწ თქვენ რად

<sup>2</sup> ა. შანიძე. საფუძვლები. გვ. 218.

სღუმით და ქსხელთ? (2 მეფ. 19,10).

ვინ ვაჭონოე ერსა ამას? (ლ. 9,18); და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს (მუშ. 142,32); ხოლო მე მასძიეს შენთვის (დაბ. 41,15); რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ (ი. 6,27); წყალნი იგი მუნვე ჰგიან და წყალნი იგი მუნვე ღიან (მოქც. 233,35); რომელთა ჰმოსიეს სამოსლები სეიტაკები (გამოცხ. 7,13); რომელი რჩული გაიყრიეს? (ევსტ. 145, 3); მოძიყარ სამოსელი შენი, რომელი გაცვეს შენ, და განამარტე (რუთ 3,15 პარიზ.; ოშკი: გმოსიეს).

მოვედ საფლავსა ჩემსა, სადა ვაჭარხავე<sup>41</sup> (ლიმ. 83,45 = ემარხივარ); აქა აჭარხავს მამა ჩუენი (მამ. ცხორ. 316,5 = მარხია). ასეთი აე თემის ნიშნინი სტატიკური ენებითი უნდა გექონდეს აგრეთვე "ვეფხისტყაოსანშიც": "რამან შექნა მოყვითანედ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო" (602,3). ჰრგავს(ო) აქ იქნება: დარგუ-ლია, აღმოცენებულია, არის.

#### ბ) ზმნისწინააწმ

რად უდიდეს არს: ოქროი ანუ ტაძარი იგი, რომელი განსწმელს ოქროსა მას? (მ. 23,17 C); ხოლო იგინი უფროის განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღაშფოთებს ერსა და ასწავეებს ყოველსა ჰურიასტანსა (ლ. 23,5 = აშფოთებს, აღელვებს. აჯანყებს, აქეზებს); ბრმანი აღიზილვენ. შეკლობელნი ვლენან, კეთრო-ვანნი განწმდებან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან (ლ. 7,22); რამეთუ და-ჰკსავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, თქუენ არა შეხუალთ (= არ შედი-ხართ) და არცა შემავალთა უტევებთ შესლვად (მ. 23,14); თავსა თვისსა ძედ ღმრთი-სად გამოაჩინებს (ევსტ. 152,16); ხოლო მან ხრქუა მათ: ნუ განხკრთებით (მრ. 16, 6); ამა ჩუენების მხილველი იგი მოვალს (დაბ. 37,19 = მოდის); ვინაი მოხუალ? (იონა 1,8 = საიდან მოდიხარ?); ნუ დასთხვეთ სისხლსა, ველსა ნუ მიჰყოფთ მის ზედა (დაბ. 37,22); რომელი არა შეიკრებს ჩემ თანა, იგი განაბნეეს (ლ. 11,23); ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს (ლ. 15,2); ამა ეგერა დაგმდუ-ბის თქუენ სახლი თქუენი ოვერი (მ. 23,38 C); ამა ესერა არს სამი წელი, ვინაითან მოვალ (= მოვიდვარ) და ვეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა (ლ. 13,17); უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაითა განასხმენ? (ლ. 11,19); რა-მეთუ ათეულსა აღიღებთ პიტნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა თანა-წარკვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა (ლ. 11,42); ნუ მიხცემთ სი-წმიდესა ძაღლთა, ნუცა დახუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა (მ. 7,6 Y).

რატომაა, რომ ზოგი ზმნისა ზმნისწინანი ფორმა ნახმარი, ზოგისა კი — უზმნისწინო? ეს დამოკიდებულია ენაში ზმნების სხვადასხვა სახით დამკვიდრებასა და გაერცვლებაზე, აგრეთვე იმაზე, რომ ზმნისწინის დართვით ზოგ ზმნას შინაარსი ეცვლება. ზოგს სხვა ნოუანსი ეძლევა. ასე, მაგალითად, უზმნისწინოდ არ გვხვდება იწყნარებს (ვიწყნარებ, იწყნარებ, ვიწყნარე...), ცნობილი მნიშვნელობა (მიღება) ამ ზმნაში მხოლოდ შე ზმნისწინის დართვასთანაა დაკავშირებული: შეიწყნარებს,

<sup>41</sup> ა. მანიძე, საფუძვლები, გვ. 464.

შეიწყნარა, შემიწყნარა, შეიწყნარა და სხვ. და-ს დართვით და საარვისო ქცევის ფორმით გვაქვს კიდევ სხვა ნიუანსი: დაწყნარა იგი.

ზოგი ზმნა მხოლოდ უზმნისწინოდ იხმარება და ზმნისწინს ვერ დაურთავ. ასეთებია: ვეძიებ. ეძიებდა. ეძიებდეს; ვაცხოვნებ, აცხოვნებდა, აცხოვნებდეს... თუ ზოგ ზმნას ზმნისწინი საერთოდ დაერთვება. ეს იწვევს მნიშვნელობის შეცვლას — ნაწილობრივ ან რადიკალურად. ამის მაგალითებია: არა უტყვევებ შესლვად — არ უშვებთ, ნებას არ აძლევთ, რომ შევიდეს. მაგრამ ზმნისწინიანი განუტყევა ან დაუტყევა უბრალო გაშვება და ნების დართვასა და ძალდატანებას არ გულისხმობს. ასევე: "ნუ მიჰყოფთ ველს" ნიშნავს: "ნუ ახლებთ ხელს, ნუ აღმართავთ ხელს, ნუ შეეხებით". ხოლო უზმნისწინო ჰყოფს (ეჰყოფ, ჰყოფ) არის: აკეთებს (ვაკეთებ, აკეთებ). იქმს (ვიქმ, იქმ). შერება (ეშერები, შერები).

ერთი სიტყვით, მიზეზი ბევრია, რომ ტექსტში ერთი და იმავე დროის (ახლანდელის) გამოსახატავად საკმაოდ ხშირად იხმარება როგორც უზმნისწინო, ისე ზმნისწინიანი ფორმები. ამისი არაერთი მაგალითი შეგვხვდა ჩვენ ზემოთ დამოწმებულ ნიმუშებში.

მაინც რა განსხვავებაა ერთი და იმავე ზმნის ზმნისწინიანსა და უზმნისწინო ფორმებს შორის? ასპექტი ორივეს ერთი აქვს — უსრული, დროც ერთი აქვთ — ახლანდელი. მაშ რა? თუ რამე განსხვავებაა მათ შორის, ისევე ზმნისწინის ძირითადი ფუნქციის მიხედვითაა — მიმართულება გამოხატული: წერს არ უჩვენებს მიმართულებას, დასწერს კი — რალაცაზე, ზემოდან ქვემოთ; ამიტომაც აქვს და ზმნისწინი. ასეთია კლავს და დაკლავს, სუამს და შექსუამს, ჭამს და შეჭამს, ტყუენავს და წარმოსტყუენავს, თარგმანებს და გამოსთარგმანებს, ძრავს და აღსძრავს (შესძრავს). ვალს და განვალს (მოვალს, მივალს, შევალს, წარვალს...) და ბევრი სხვა.

## ვ) ვიტყვ, ვეძიებ

ეს ფორმები მწკრივის მიხედვით აწმყა, დროის თვალსაზრისით — ახლანდელი (და არა მომავალი, როგორც ახალ ქართულშია). ვიტყვ იწება "ვამბობ", говорю, ვეძიებ — "ვეუბნები", говорю ему, გეტყვ — "გეუბნები", говорю тебе, მეტყვ — "მეუბნები", ты говоришь мне და ა.შ.

ენახოთ რამდენიმე მაგალითი ტექსტებიდან:

ვითარცა მასწავა მე მამამან. მას ვიტყვ (ი. 8,28); რად იტყვ უფალი ჩუენი სიტყუასა მაგას (დაბ. 44,7); არა ვიცი, რასა იტყვ (ლ. 22,60); რომელი ვიციოთ, ვიტყვოთ (ი. 3,11), კაცნო ბრძენნო, კეთილად იტყვოთ (შუშ. 135,31); ესმისა, რასა ესენი იტყვან? (მ. 21,16).

პრქუა ფარაო იოსებს: მე, ფარაო, გეტყვ (= გეუბნები), თვნიერ შენსა არავინ აღყოს ველი ქუეყანასა ეგვიპტისასა (დაბ. 41,44); ამისთვის იგავით ვეტყვ მათ (მ. 13,13); მე არას მეტყვა? (ი. 19,10); ანუ ვითარ ხეტყვ ძმასა შენსა: მაცადე, და აღმოგიღო წუელი იგი თუალით შენით? (მ. 7,4 Y); რამსა მეტყვოთ მე: უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა გეტყვ თქუენ? (ლ. 6,46).

ეს ზმნები შინაარსით აწმყო (დროის თვალსაზრისით — ახლანდელი), ხოლო წარმოშობით — მეორე ხოლმეობითი, რასაც უჩვენებს მათი მორფოლოგიური აგებულება (მწკრივის ნიშნად ი აქვთ: ვიც-ი, იც-ი, იც-ის; უწყ-ი, უწყ-ი, უწყ-ის) და სინტაქსური ძალა: სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობენ, ხოლო პირდაპირ ობიექტს — სახელობითში: იცის კაცმან საქმს, უწყის მამამან ჭეშმარიტებად. შემდეგ: ამ ზმნებს II სერიიდან გადმოჰყვა ის თვისებაც, რომ შეუძლიათ ფორმაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა: იცის მან ფეჟ, მაგრამ: იცნის მან ფეჟნი; უწყის მან ფეჟ, მაგრამ: უწყნის მან ფეჟნი. აწმყოს ჩვეულებრივ ზმნებზე ამის თქმა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ამას გარდა, პირველ მათგანს (იცის) შეიძლება პირდაპირ ობიექტად I და II პირიც ჰქონდეს. ასეთი წარმოშობის მიუხედავად, ეს ზმნები თავისი შინაარსით უკვე ჩამდგარია აწმყოს ჩვეულებრივს რიგში და ამ მწკრივის სხვა ზმნებივით არის გამოყენებული.

უჩვენებთ რამდენიმე მაგალითს:

ვიცი შენ, ვინ ხარ (მრ. 1,24 C); არა ვიცი თქვენ, ვინანი ხართ (ლ. 13,25); არა ვიცი, რას იტყვ (ლ. 22,60); ვიცი ჩემი იგი და მიცნიან ჩემთა მათ (ი.10,14); არღარა მიცი მეა? (ი. 14,9); შენ ხარ მოძღუარი ისრაელისა და ესე არა იცია? (ი. 3,10); მცნებანი იცი (ლ. 18,20); მიცის მე მამამან (ი. 10,15); ვიცით შენ, ვინ ხარ (ლ. 4,34 = ვიცნობთ შენ, знаем тебя); ვიცით, რამეთუ მართალსა იტყვ და ასწავებ (ლ. 20,21); მეცა მიცით და იცით, ვინაჲ ვარ (ი. 7,28); თქვენ უკეთურთა ხიცით ნიჭისა კეთილისა მიცემად შვილთა მათ თქვენთა (მ. 7,11 Y); რაღსათვის სიტყუანი ჩემნი არა იცნით? (ი. 8,43).

თუ ვი-ც-ი, ი-ც-ი, ი-ც-ის წარმოშობით II ხოლმეობითია, როგორი უნდა ყოფილიყო მისი წყვეტილი? თუ დაეუშვებთ, რომ ამ ზმნას წყვეტილი უნიშნო უნდა ჰქონოდა (მღრ. მი-ვ-ს-ცი-ი, მი-ს-ცი-ი, მი-ს-ცი-ი-ს, წყვ. მივეც, მიეც), საეარაუდებელი იქნებოდა: ვ-ი-ც მე შენ, ვ-ი-ც მე იგი, მ-ი-ც შენ მე, ი-ც შენ იგი და სხვ. ორი ამთგანი დადასტურებულია გამოცემული ტექსტებით. მაგალითად: მაცადე მე, რაითა განვიდე, რამეთუ მე ვიცი შენ, და ძე იგი ღმრთისაჲ შენ მიერ აღასრულებს სასწაულთა (კიმ. I, 251,5); შემინდვით, არა ვიცი დაწერად /ასუა!/ (ЗВОИРАО, 13, вѣн. II-III. 1901, გვ. 46). თუ წარმოდგენილ ადგილებში რაიმე შეცდომა არაა, მაშინ ჩვენ გვეჩვენება ამ საინტერესო ზმნის წყვეტილის არანაქლებ საინტერესო წარმოება. მღრ. ა.ჩიქობავას მოსაზრება, რომელიც ამ ზმნის წყვეტილში ცან-ს ვარაუდობს<sup>4</sup>.

არა უწყი, რასა იტყვ (მ. 26,70 C = არ ვიცი, რას ამბობ); არა ხუწყი, რადესე ხიქნა მას შინა ამით დღეთა (ლ. 24,18 X); უწყია, რამეთუ ფარისეველთა რადესე სიტყუად შენი, დაბრკოლდეს? (მ. 15,12); დღე იგი და ჟამი არავინ უწყის (მ. 24,36 C); ღმერთმან უწყნის გულნი თქვენნი (ლ. 16,15 C); უწყით (S<sub>1</sub>O<sub>3</sub>), რამეთუ ჭეშმარიტ ხარ (მ.22,16 C); არა უწყით (S<sub>2</sub>O<sub>3</sub>), რასა ითხოვთ (მ. 20,22 C); მათ უწყიან. რად ვარქუ მათ (ი. 18,21 C).

<sup>4</sup> აჩიქობავა. ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 72.



ამავე რიგის ფორმები უნდა იყოს აგრეთვე მესმის და ესმის. რომელთაც საესებით მსგავსი აგებულება აქვთ: მესმ-ის, გესმ-ის, ესმ-ის, ესაა მხოლოდ. რომ ზმნა გარდაუვალია, მისი სინტაქსური და სხვა თავისებურება არ მუდამაა დედა, როგორც ეს ენახეთ იცის და უწყის ზმნების მაგალითზე. მაგრამ სამაგიეროდ ეს ფორმები ტექსტებში ნახმარია სწორედ ძველი მნიშვნელობით, ხოლომობითის გაგებით და წარსული დროის შინაარსით, რაც მეტად ნიშანდობლივია II ხოლომობითისათვის. ამიტომ აწმყოს ჩამოყალიბების გზების ისტორიისათვის ამ ფორმებს (რომლებიც აქამდის ჩვეულებრივი აწმყო გვევონა) დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ. მიემართოთ მაგალითებს:

"ეპიფანე კვიპრიელის ცხოვრებაში" ერთგან იკითხება: უმა იყო მისა /ეპიფანეს-სა/ მიმართ და თქუა: ეპიფანე! ხოლო ეპიფანე ჩუეულ იყო, რამეთუ მრავალ-გზის ესმის ესე უმა, და შეუშფოთებელად თქუა (საქ. წ. II, 121,23). აქ ესმის ნიშნავს: ესმობა ხოლმე, როგორც II ხოლომობითის შეეფერება. ამ გაგებას, სხვათა შორის, აძლიერებს აგრეთვე ტექსტში "მრავალ-გზის" ზმნიზედის დამატება: ბევრჯერ, ხშირად ესმობა ხოლმე.

ამნარი მაგალითები სწორედ II ხოლომობითის შინაარსით ხშირია ხოლომობითის ფორმებით ძალიან მდიდარ წიგნში "მამათა სწავლანი". მაგალითად: ოდეს მესმის ცული ზღაპრობა, მხიარულად ვისმენდი, და ოდეს მესმის სინანულისათვის. გარე-მივიქციი სასმენელი ჩემი; და ოდეს მესმის კითხვაი წიგნთა. მიმერულის; და ოდეს მესმის საშველი და ვლამა, განღვებულ ვიქნბი (სწავ. 262.12-15). აქ მესმის ყველგან ნიშნავს: "მესმობა ხოლმე". ამას ადასტურებს მათ გვერდით უწყვეტლის ხოლომობითისა და II ხოლომობითის ხმარება: ვისმენდი (უწყ. ხ.). გარე-მივიქციი. მიმერულის, ვიქნბი. აქ ყველგან წარსულში მომხდარ განგრძობილ (განმეორებულ) მოქმედებაზეა ლაპარაკი. აწმყო შეუთავსებელია. აქ სწორედ (II) ხოლომობითის ადგილია და ასეთია განსახილველი მესმის. მამასადამე, აქ გვაქვს II ხოლომობითიდან აწმყოში გადმოსული კიდევ ერთი ზმნა. ჩვენ კი მას აქამდე მხოლოდ აწმყოს ძველ ბინადრად ვიცნობდით. უეჭველია, ამ ტიპის ზმნათა რიცხვი მომავალში კიდევ გაიზრდება.

#### ე) შარი, ხარი

არ ფუძე ძველ ქართულში აწმყოში ორი სახით იხმარებოდა: ფუძის ბოლოს დართული ი ხმოვნით და უძისოდ. ამიტომ გვექონდა, ერთი მხრივ: ე-არ, ხ-არ, არ-ს, ე-ართ, ხ-ართ, \*არ-ან, ხოლო მეორე მხრივ: ე-არი, ხ-არი, არი-ს, \*ე-ართ, \*ხ-ართ. არი-ან. პირველ წყებას აკლდა თეორიულად საგულეებელი არ-ან და მის მაგიერად მეორე წყებიდან ნასესხები არი-ან იყო გამოყენებული. ხოლო მეორე წყებას არ მოეპოვებოდა (ყოველ შემთხვევაში დღემდე არაა ნაპოვნი და, ვფიქრობთ, არც უნდა ყოფილიყო) პირველი და მეორე პირის მრავლობითის ფორმები \*ე-ართ, \*ხ-ართ. რაც შეეხება მესამე პირის ფორმას მხოლობითში (არი-ს), იგი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აქა-იქ.

რა საჭირო იყო ორი სახის აწმყო? ჩვენი აზრით, ადრე მათ სხვადასხვა შინაარსით ხმარობდნენ: ინანი ფორმები ხოლომობითის შინაარსს გადმოსცემდა.

სხვები ჩვეულებრივი აწმყოსათვის იყო გამოყენებული<sup>85</sup>. ამისი მკრთალი გადმონაშთი ძველ ქართულში აქა-იქ არის შემორჩენილი. ოღონდ ესაა, რომ ინიანი ფორმები, ხოლმეობითის შინაარსის მკრთალად გადმოცემის გარდა, გარკვეულ, მკაცრად შემოფარგლულ გარემოცვაშია მოქცეული. მათი ხმარების ტიპური შინაარსი და გარემო ასეთია:

ა) ისინი წარმოადგენენ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს (ე.წ. შემასმენლის);

ბ) იხმარება მხოლოდ ადამიანის მიმართ;

გ) მე, შენ ნაცვალსახელები ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის წარმოადგენილია (ძმ ღმრთისაა ხარი შენ);

დ) მე, შენ ჩვეულებრივ მოსდევს ვარი, ხარი ფორმებს, უფრო ნაკლებად უსწრებს წინ. მაგრამ ამ შემთხვევაში მათ მოჰყვება შემასმენლისი ან სხვა სათანადო ამხსნელი სიტყვა (მე ჰურია ვარი); მე, შენ ნაცვალსახელებს კი, თავის მხრივ, წინ უსწრებს შემასმენლისი ან სხვა ამხსნელი სიტყვა;

ე) შეიძლება სულ ბოლოს იყოს შემასმენლისის შსაზღვრელი.

მაგალითები პირველ პირზე, ბუნებრივია, უფრო მეტია: პირველი პირი მოსაუბრეა. ოგი ადამიანია (ან ადამიანის თვისებით წარმოდგენილი პირი) და სწორედ მასზე ითქმის მე ვარით. შემდეგ მეორე პირი მოდის (ხარი შენ). რაც შეეხება მესამე პირს, ძალზე იშვიათად შეხვედრილი არის ასეთი მიზნით არასდროს არაა გამოყენებული. არიან კი, როგორც ვთქვით, ძველ ქართულში თავიდანვე არ ფუძიან ფორმათა რიგში იყო ჩაყენებული და იქვე განაგრძობს დღესაც არსებობას.

ახლა უვჩვენებთ სათანადო მაგალითებს

ძმ ღმრთისაა ვარი მე (მ. 27,43; ი. 10,36); კაცი ცოდვილი ვარი მე (ლ. 5,8); რამეთუ მხოლოდ-მობილ და გლახაკ ვარი მე (ფს. 24,16; 85,1); მკსნელი შენი ვარი მე (ფს. 34,3); ღმერთი შენი ვარი მე (ფს. 49,7); მწირ ვარი მე ქუეყანასა ზედა (ფს. 118,9); მოწაფე ვარი მე დიდისა თელაგისი (მამ. ცხორ. 128,33); მაშურალ ვარი მე (იქვე, 226,36); ასული ვარი მე ბრაკსტარისაი (Sin. 11, 97v,10); ვინაითგან აქა მოსრულ ვარი, დედაკაცსა არა შეხებულ ვარი მე (ისტ. ქრ. II, 86,14); მონა ვარი მე ღმრთისა მალისაი (Sin. 11, 39r,4 ქვ.); სადგური ღმრთისაი ვარი მე (იქვე, 41v,12).

იმდენად მკვიდრი და გაბატონებულია ზემოთ აღნიშნული წყობა და რიგი, რომ ზოგჯერ მისი უყომანოდ დაცვისათვის ენისა და აზრის სხვა ელემენტარულ მოთხოვნილებას ხელყოფენ: ხოლო მე გლახაკ და დავრდომილ ვარი მე, ღმერთო (ფს. 68,30; 69,6). აქ პირველი მე ბუნებრივია ქართული ენისათვის და არის კიდევაც თავის ადგილზე, ხოლო მეორე მე ძალით არის ჩამატებული ამ კონსტრუქციის ბერძნულიდან ზუსტად გადმოღებისათვის. შევნიშნავთ აქვე, რომ ბერძნულში მე (ἐγώ) მხოლოდ ერთჯერაა ნახმარი. პირველ შემთხვევაში — ბოლოში (πεταχὸς καὶ ἀλγῶν εἶμι ἐγώ). მეორეში — წინ, თავში (ἐγὼ δὲ πεταχὸς καὶ πένη). ახლა აშკა-

<sup>85</sup> შეიძლება ამ ი-ს უშუალო კავშირი ქონდეს II ხოლმეობითის მაწარმოებელ ი-სთან: ვიცი, უწყი. ეწყობი. ვკამბი. ვსუთ. ვთქუთ. მოედრიკი. ვიხილი ... მაგრამ ეს ცალკე კვლევის საგანია.

რას. რატომ მოსდევს ასე დაინებით მე ნაცვალსახელი ვარი (ხარი) ზმნას. მისი საფუძველი ისაა, რომ ბერძნული ორიგინალის ზუსტად გადმოტანას ცდილობენ ქართულში.

ბერძნულში ხან ზმნა არის წინ (უბეტესად), ხან ნაცვალსახელი (უფრო ნაკლებად). შდრ. მწირ ვარი მე ქუეყანას ზედა (ფს. 118.19) — ἡ ἀποικίος ἐχῶ εἰμι ἐν τῇ γῆ. მაგრამ: ყრმა ვარი მე და შურატც (ფს. 118.141) — νεώ-ερεός εἰμι ἐχῶ καὶ ἐξοισθεσάμενος.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ქართულშიც არის შემთხვევები, როცა მითითებული რიგი დარღვეულია ან ნაცვალსახელი (ქვემდებარე) სულ გამოტოვებულია. მაგალითად: უწყით, კინა ვარი (ი. 7.28 C); მე უცხო და მწირ ვარი ქუეყანას ზედა (სწაე, 21,13); სოფელსა შინა მკვდრ ვარი (იქვე, 81,3); ვერ შემძლებელ ვარი ძღვევად მისა (81,24); მე ჰურიად ვარი (ისტ. ქრ. II, 86,11); მე არორაკია ქალაქით ვარი (Sin. II, 39r.6 ქვ.); მე უძღური ვარი და არა ღირს ვარი ამას (მამ. ცხორ. 219,6); რა გინებს ჩემბან? მე დედაკაცი ვარი (იქვე, 252. 28): ძმ ვარი სოკრატისი. მთავრისა ათენელისა (Sin. II, 179v). ეს თავისუფლება უფრო ხშირია არაბიბლიურსა და ორიგინალურ ძეგლებში, სადაც ავტორები იმდენად შებოჭილნი არ არიან.

რაც ითქვა ვარი-ს შესახებ, იგივე ითქმის აგრეთვე მეორე პირის ხარი-ს შესახებაც. ამიტომ მსგავს მსჯელობას აღარ გავიმეორებთ და მაგალითებს უკომენტაროდ მოვიყვანთ.

ძმ ღმრთისა ხარი შენ (მ. 14.33); უკუეთუ მეუფემ ხარი შენა? (ი.18,37): მუსნელი ჩემი ხარი შენ (ფს. 69,6): ველის-ამყრობელი ჩემი ხარი შენ (ფს. 90.2): დაე ჩუენი ხარი შენ (დაბ. 24,60); ანუ რომლისა სოფლისა ხარი შენ (იონა 1.8): წინაშე თუალთა ჩემთა ხარი შენ მარადის (ეს. 49,16); დედოფალი მათი ხარი შენ (ლომ. 59,19); ღმერთი ხარი შენ (საკ.წ. II, 98.29); გურწამ, ვითარმედ კაცი ღმრთისა ხარი შენ (მამ. ცხორ. 232,1).

მესამე პირის ინიანი ფორმა (მრ. რ.) ძველ ქართულში მეტად იშვიათად გვხვდება და ძნელია დაბეჯითებით ეთქვათ. ისიც ხოლმეობითის გაგებას შეიცავდა. მაგრამ არც ამ აზრის ხელალებით უარყოფა იქნებოდა მართებული, რადგან ზოგჯერ უეჭვო (ვარი, ხარი) და საეჭვო (არის) სრულიად ერთნაირ გარემოცვაში გვხვდება თვით ერთსა და იმავე ხელნაწერში. მაგალითად: ესე ყრმა ჩემი მოწაფემ არის და უდაბნოსა მამათა შვილი (მამ. ცხორ. 232,1). შდრ. იმავე ხელნაწერის უეჭვო მაგალითები: მოწაფემ ვარი მე დიდისა თეკლასი (128,33); მოწაფემ ვარი მე განთქმულისა პავლსი (128,34). ეს ვარი და არის ერთი და იმავე კაცის ხელითა დაწერილი, კონსტრუქციაც მსგავსია (მოწაფემ ვარი, მოწაფემ არის) და არა გვაქვს უფლება, დამწერს უეჭველად სხვადასხვანაირად შეუფასოთ განსახილველი ზმნის ინიანი ფორმები: ვარი-ს ი მივიჩნიოთ ხოლმეობითის შინაარსის მქონედ, ხოლო სრულიად ამგვარი ი არის ფორმაში — არა და იგი არს ზმნის უბრალო ვარიანტად ჩავთვალოთ.

აი, კიდევ ერთი ასეთი მაგალითი იმავე ხელნაწერიდან: ვერ შემძლებელ არს კაცი ცხორებად ადგილსა ამას, რამეთუ შფოთი მრავალი არის (იქვე, 175,12). ამ ციტატის აზრია: ამ ადგილას კაცს არ შეუძლია ცხოვრება, რადგან აქ სულ, მუდამ

(მრავალი) შფოთი და არეულობა არისო. ამაზე უკეთეს კონტექსტს ხოლმეობითისთვის კაცი ვერ ინატრებს.

მაგრამ ამ საკითხს შემდგომი ჩაღრმავებული ძიება ესაჭიროება, ხოლო დაინტერესებულ პირთათვის კიდევ დაუერთათ ამ ტიპის რამდენიმე მაგალითს: ...რომელ არის კარავს მას შინა საწამებელისასა (ლევ. 4,7); და ყოველი, რომელი ვალს ველითა ყოველთა შოვრის მვეცთა, რომელი ვალს ოთხითა, არაწმიდა არის იგი თქვენდა (ლევ. 11,27. შდრ. არაწმიდა არს ესე ყოველი თქვენდა: ლევ. 11,28); ნათესავი თქუენი მარადის მამფოთებელი არის (აღწ. 199,17). "მარადის" ხზნიზედას სწორედ არის შეეფერება.

დასასრულ, უნდა შევეხოთ ამ ფორმათა მრავლობითი რიცხვის საკითხს. ინიანი მაგალითები პირველსა და მეორე პირში (ვართ, ხართ) ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის და მათზე ვერაფერს ვიტყვით. რაც შეეხება მესამე პირს, აქ, პირიქით. მხოლოდ ერთადერთი ინიანი ფორმა გვაქვს (არან) და იგი ჩვეულებრივი აწმყოსათვის არის გამოყენებული. უნო მაგალითი (არან). რომელიც ვ-არ, ხ-არ, არ-ს, ვ-ართ. ხ-ართ ფორმების გაგრძელება იქნებოდა, აქამდე არ არის სადმე დადასტურებული. როგორც ჩანს, იგი ადრე გავიდა ხმარებიდან. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, როგორც ითქვა, მისი გადმონაშთი აქამდე არაა სადმე გამოჩენილი, ხოლო მეორე მხრივ, მის ნაცვლად ამ რიგში ჩამდგარი არიან ძველსა და ახალ ქართულში ჩვეულებრივი აწმყოს რიგითი ფორმა და არაფერი ეტყობა ხოლმეობითობისა. მამსადამე, მესამე პირის საკითხიც დღესდღეობით ღიად უნდა დარჩეს.

საკითხის დასმა და კვლევის დაწყება დღესაც შეიძლება. "სიმონ სალოსის ცხოვრებაში", რომელიც იერუსალიმურ №17 ხელნაწერშია დაცული, ორჯერ გვხვდება არან ფორმა ჩვეულებრივი არიან ხზნის ნაცვლად. მისი შინაარსი სრულიად ისეთივეა, როგორც საყოველთაოდ ხმარებულ არიან ხზნას აქვს. არიან ფორმით არის წარმოდგენილი იმავე ძეგლის იგივე ადგილები ჩვენ მიერ ზემოთ ბევრჯერ ნახსენებ ბრიტანულ ხელნაწერში ("მამათა ცხოვრებანი"). საქმე ისაა, რომ ეს ფორმა ხელნაწერში ორივეგან გადატანილია სტრიქონიდან სტრიქონზე. შეიძლება ამას დააბრალოს კაცმა და შეცდომად ჩაუთვალოს გადამწერს. მაგრამ ასეთი მარტივი საბაბით განსახილველ ფორმათა მცდარად ჩათვლა არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში. ამას ვერ ვიტყვით ორივე მაგალითზე. მაგრამ ენახოთ ჯერ თვით წინადადებები: და არა ყოველსა ყრმებსა აკოცებნ, არამედ ამთ ხოლო, რომელთაჲ ცნა სულითა, ვითარმედ მოკუდომად ა/რან (Jer. 17, 305ra).

ამით აუწყებ, რამეთუ არა გრწამს უფალი. ესე სიტყუანი არა სალოსისანი არ/ან. არამედ ბრძნისანი (იქვე, 311rb).

პირველი შედარებით უდავო მაგალითია: გადამწერმა ა დატოვა წინა სტრიქონზე, რან გადაიტანა, აქ გადატანასთან დაკავშირებული სიბნელე და აქედან გამოძინარე შეცდომა არაა საფიქრებელი. მაგრამ მეორე კი საეჭვოა: შეიძლება ვიფიქროთ, რომ, როცა გადამწერმა არ დატოვა წინა სტრიქონზე და სიტყვის დარჩენილი ნაწილის დაწერას შეუდგა. ეგონა, რომ არი დატოვა წინა სტრიქონზე და ან დაწერა (მისი აზრით, არიან მიიღო). ეს შეიძლება დაეუშვათ. ასეთი შემთხვევა ხშირია.

მაგრამ პირველ მაგალითში აზნაირი ვარაუდი, ალბათ, გამოირიცხვლია. ხოლო თუ პირველ შემთხვევაში გადაშწერისათვის არან უცხო ფორმა არ იყო, ან თვითონ ამბობდა ასე, ანდა ასე იყო დაწერილი დედანში, საიდანაც იწერდა, მაშინ ორივე ეს მაგალითი იქნება პირველი დედასტურება საძებარი იშვიათი ფორმისა (არან), რომლის შესატყვისი ვ-არ, ხ-არ, არ-ს, ე-არ-თ, ხ-არ-თ ქართული სალიტერატურო ენის მთელ მანძილზე გვაქვს.

### ვ) ვზი, ვსჟალ

ზოგიერთი ტიპის საშუალო გვარის ზმნებსა და სტატეკურ ვნებითებს აწმყოში პირველსა და მეორე პირში მეშველი ზმნის დამატება არ სჭირდებოდათ, ეს ფორმები მარტივად, უმეშველზმნოდ იხმარებოდა. მაგალითად: შენ მე მიყუარ (და არა მიყუარზარ, როგორც ახალ ქართულში), მე შენ გიყუარ, მე შენ გძულ. შენ მე გძულ. შენ მას სძულ. მე ვღგა (და არა ვღგავარ), შენ სღგა. მე ვზი (ციხეს ვზი ეზომ მაღალსა) და მრავალი სხვა.

აქ იყო ერთპირიანი ზმნებიც (ეზი, ვღგა) და ორპირიანიც (ეპრწამ, წარეკყაყე). საქმე ეხებოდა მხოლოდ I და II სუბიექტურ პირებს. მესამე სუბიექტურ პირს კი აღარ სჭირდებოდა მეშველი ზმნა: ზი-ს, ღგა-ს, უყუარ-ს, სძულ-ს, ჰგონიე-ს — როგორც გადმოგვეცა შემეკიდრეობით და ახლაც ეხმარობთ. ერთი სიტყვით, აწმყოში მეშველზმნიანი ფორმები არ არსებობდა. ეს საკითხი საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ლ. ბარამიძეს<sup>66</sup>, ამიტომ აქ ამაზე მსჯელობას არ განვაგრძობთ და მხოლოდ თითო-ორი მაგალითის ჩვენებას დავუჯერდებით.

ბაბ: სახითა ხოლო მონაზონთა ვჭავთ (სწავ. 266.6). რუსთველს ჯერ კიდევ ძველებურად აქვს. მეშველი ზმნის გარეშე: მას არა ვჭავე ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა (317.4); შენ მას ჰჭავე და ოგი შენ გგავს (956.2).

ღმზ: ამა ესერა მე წინაშე შენსა ვღგა (კომ. I. 146.1); ჩემ თანა სღგა და განუშორებელ ხარ (კომ. I. 13.1); რომელნი-ესე შემოკლებულსა ამას ჟამსა მეშველსა დარასა ზედა ვღგათ (აბო 158.28); რომელსა ზედა ვღგათ (სენ. 32a); ნუ სღგათ, არამედ მომიუდით (უდაბ. 24ra); გულისყმა-ყავ, კაცო, თუ ვისსა მახლობელად სღგა ანუ ვის წინაშე უღგ ჟამსა მას წმიდათა საიდუმლოთასა (Опис. 71.3).

ღმზ: აწ ბუნებისასა მას ვეძიებ, ხოლო უფროის ბუნებისასა ვღგუმი (სინ. 32.36; სენ. 44a); ღაღაღ-ყავ ძლიერად და ნუ სღგუმი (ეს. 58.1); ჩუენი არს რემოთი გალაღისა და ჩუენ ვღგუმით მიღებად მისა (3 მეფ. 22.3); სღგუმით მეუდართა აღდგომასა (უდაბ. 30v).

ბ: ბეერი ზმნა, რომლებიც ძველ ქართულში იხმარებოდა, დღეს აღარ არის ენაში. თუ იმის ანალოგიით ვიმსჯელებთ, რა ცვლის დღეს ამ ხმარებიდან გასულ ზმნებს, მაშინ აქ შეიძლება შემოვიტანოთ ვ ძირის მქონე მ-ი-ე-ი-ს, გ-ი-ე-ი-ს

<sup>66</sup> ლ. ბარამიძე. ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასხვა და განვითარება ქართულში: ძველმ. 9. 1964. გვ. 95—150. ზოგი მაგალითი აქედან გვაქვს დამოწმებული.

... ფორმები. რომელთაც დღეს მყავს. გვყავს ... ენაცვლება. ძველად არც ეს ფორმები ირთავდნენ მეშველ ზმნას. მაგალითად: შენ ხოლო მარტოი მივი (ქრისტინ. 187.14 = მყავხარ).

**ზი:** მე აქა მშედობით ვზი (კომ. I, 204,21); შენ იტყვ, ვითარმედ ... პეტრეს საყდარსა ვზიო (ლიტ. ქრ. 202.14); შენ ჰზი აქა პარესსა ამას მარტოი (კომ. I, 206,18); ვაიმე. დედოფალო ჩემო, აქა ზია? (ლიტ. ქრ. 309.18).

**თნ-აზ:** შენ ხარ ძქ ჩემი საყურელი. შენ მონავ (მრ. I,11 C). ასეთ შემთხვევებში, როცა (გრამატიკულ) სუბიექტად I და II პირია, ჩვეულებრივ რთული ზმნა იხმარება: სათნო-გიყავ, სათნო-მიყო, სათნო-ვეყავ ... ჩვენს მაგალითშიც ასეა ABDEFGHIK ხელნაწერებში (შენ სათნო-გიყავ).

**რამ:** მე უკუე აწ აგრეთ ვრბი. ვითარცა არა უჩინოდ (1 კორ. 9,26); ხოლო შენ მოკლედ ჰრბი (PO, XIX/5, 1926, 76,19).

**რწამ:** თქუენ მე შემიყურეთ და გრწამ (ი. 16,27); რომელთა ვგრწამ მე (მ. 18,6 C); უფალო ღმერთო, მრწამ, რომელიცა ამათ პრწმენი (პარხ. 429b); მე შეურაცხ ვარ, არამედ მწამ /ასეა! შენ (Sin. 62, 36va, 7); ჩუენცა გურწამ, რომელსა ველ-გეწიფების ცხორებაი მოსაეთა შენთაი (პარხ. 806a; 810b).

**სხად:** აწ ჩუენ რაის ვსხედთ? (იერ. 8.14 O); რომელთა შორის თქუენ ჰსხედთ (მსაჯ. 6.10 G).

**შა(ან):** ქუ(ან) ფუტე ძველ ქართულში იხმარებოდა როგორც "ქონების" (უსულლო საგნების), ისე "ყოლის" (აღამიანების) მნიშვნელობით და ამ მხრივ იგი ისეთივე ხასიათისა იყო, როგორც რუსული иметь, გერმანული haben და სხვ. ჩვენ აქ მისი უძველესი მნიშვნელობა ("ყოლა") გვიანტერესებს. ამ მნიშვნელობით გამოყენებისას ზმნა ორივე (სუბიექტური და ობიექტური) წყობით იხმარებოდა. როგორც ამ ტიპის სხვა ზმნებს, მეშველი ზმნა არც ამას სჭირდებოდა. მაგალითები: აწ ესერა ქნარი მათი მე ვარ, და მე სასიტყუელად ვაქუ (იობ 30,9 = დასაცინად ვყავარ); და აქუ შენ ყოველსა ქუეყანასა ზედა მეოხად მათა (პარხ. 638b = დამხმარედ ჰყავხარ); რომელთა გუაქუ თანაშემწედ. დედოფალო წმიდაო (ათონ. კრებ. 357.14); გადიდებთ და მეოხად გუაქუ ღმრთისა მიმართ, ყოვლად წმიდაო (მოდრ. 107r, 27).

**ზაზ:** ყავ ფუტე (სხვადასხვა ზმნისწინით) აღამიანის წაყვანას აღნიშნავდა და ჩვეულებრივად სუბიექტური წყობით იხმარებოდა. მეშველი ზმნა პირველ-მეორე სუბიექტურ პირებში არც ამ ზმნას ჰქონდა. მაგალითები: რაისა არა მოგავ ვჯუარ-ცუმად (აპოკრ. 45.25 = მიგყავარ); აპა ესერა მე ტყუედ წარვჰყავ ვეჰპტედ და ველთა უცხოთასა მივეცი (საკ. წ. II. 62,4 = მიგყავარ); მუნვეცა მოგუყავ შენ (საკ. წ. II. 63,10 = მიგყავხარ); სამ დლე არიან, და განჰყავ შენ დაკლვად (აპოკრ. 31,15 = შენ მათ გაჰყავხარ); /უფალოს/ შეჰყავ შენ ქუეყანასა მას კეთილსა (2 შჯ. 8.7 = შეჰყავხარ); მისთვის შეჰყავთ ჩუენ შეწამებად ცილისა (დაბ. 43.18).

**ზაარ:** სიმონ იონაისო. გიყუარ მეა უფროის ამათსა? (ი. 21,15 = გიყვარვარ?); ამისთვის უყუარ მე მამასა ჩემსა (ი. 10,17 C = ეუყვარვარ); შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ (ი. 21,15); ანუ რომელსა მამასა უყუარან შვილნი, ვითარ

ჩვენ თვისას მას უფალს უყუარო (ისტ. ქრ. II. 1.4): თვით მამას ჩემსა უყუარო თქვენ (ი. 16.27).

და(6): ნუცა შენ აქა შან (სენ. 226v); შან შენ აზნაურად. და ვერ გომსახუროთ ჩვენ (საკ. წ. II. 63.4); გარეშე ქათ (ქანთ C) მღაბლად (სწავ. 264.21 = ქან-ვართ); რომლისათვის შათ. ვითარცა ნათული (პარხ. 93b).

აბა: აწ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გმაგ (შუშ. 135.10); ვერძთვე მე მმაგ შენ (თარგმ. გამოცხ. 3.17).

ძე: და მე ესერა ჯურღმულსა შიდა ვძე, ვითარცა კაცის-მკვლელი (საკ. წ. II. 61.8); რაისა სძე და ხურინავ (სინ. 163.17; იონა 1.6).

ჟალ: მე ვსძულ /სოფელსა/ (ი. 7.7); ამას კაცებსა ვსძულთ ჩვენ (კიმ. I, 116.4); ამისთვის სძულთ თქვენ სოფელსა (ი. 15.19).

ჟამ: შენ სწევ და კუნესი (ლიტ. ქრ. 27.15); ნუ დღეს ქუყანასა სწევ და ხვალე ცხედარსა ზედა (აღწ. 229.40).

ჟამ: ამა ესერა ელისაბეტს უხარის და მე ვწუხ (სინ. 98.19); აწ თუ მოკვდე, არღარა ვწუხ მე (ტობ. 11.9); რაისა სტირ და სწუხ (Sin. 11, 348r, 2 ქვ.); საქმესა ზედა ცოდვილთასა ვწუხთ (Sin. 6, 178r, 6); ნუ სწუხთ, არამედ სიხარულით ერჩღით ბრძანებასა და ჩინებასა მისსა (ასურ. 80, 27).

ასომ: და მეძცა, გლახაკი, მარადის გავსოვ წმინდათა შინა ლოცვათა შენთა (ხანძთ. 309.40 = გახსოვდე); უკუეთუ გავსო მე გულსა შენსა (საკ. წ. II.71.21 = გახსოვარ); მიიღე ეგე, მამაო, და გავსომცა მე სულისა შენისა თანა (იქვე. 102.24 = გახსოვდე). ორი უკანასკნელი მაგალითი იძითაცაა საყურადღებო, რომ მათში. გარდა იმისა, რომ არ იხმარება მეშველი ზმნა (ვარ), ბოლოკიდური ე-ც დაკარგულია წინამავალი ო-ს გაველენით: გავსოვ → გავსო. ამ ზმნას ასეთი რამ ხშირად მოსდის.

როგორც აღნიშნული გვქონდა, მეშველ ზმნას არ ირთავს აგრეთვე სტატიკური ვნებითი.

ზონ: თქვენ ვინ გგონიე მე (მ. 16.15; ლ. 9.20); ვინ ვგზონიე ერსა ამას? (ლ. 9.18 = ვინ ვგონივარ); ვერეცა თქვენ გარეშე ჰგონიეთ კაცთა მართალ (მ. 23.28).

ამარ: ოთხ არიან. რომელთა უყყრიე მე (აპოკრ. 17.21 = უყყრიევარ, ვყყვარ); /ეკლესიასა/ უყყრიე შენ. ვითარცა ზღუდე (მოდრ. 153r, 10).

ზემოთ აღწერილი ტიპის ზმნები სხვაეც არაერთია ძველ ქართულში, მაგრამ აქ ახლა ყველა მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ყველანი ერთი საერთო თვისებით ხასიათდებიან: აწმყოში მათ არ სჭირდებათ მეშველი ზმნის დართვა. ეტყობა, მათი გაცემა და დამოუკიდებლად არსებობის უნარის დაკარგვა უფრო გვიან მოხდა<sup>87</sup>. ეს პროცესი საბოლოოდ და საყოველთაოდ დასრულებული დღესაც არ არის.

<sup>87</sup> თითო-ორი მაგალითი X-XI საუკ. ძეგლებშიც ვპოულობთ. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი მერცხალია.

აე და ამ თემისნიშნან ზმნებს შესამე სუბიექტური პირის მრავლობითში თემის ნიშნისეული ა ეკარგებათ, მას კუმშავს მომღვენო ენ სუფიქსისეული ე ზმოვანი: კლ-ავენ → კლ-ვენ, ზრახ-ავენ → ზრახ-ვენ, იკითხ-ავენ → იკითხ-ვენ, შეაბ-ამენ → შეაბ-მენ. შეკსუ-ამენ → შეკსუ-მენ. შთაიცუ-ამენ → შთაიცუ-მენ. ასევე გვექნება კიდევ: იმარხ-ვენ, ჰხედ-ვენ, სთეს-ვენ, ბრწყინ-ვენ, სტანჯ-ვენ, აღსძრ-ვენ, დახვლ-ვენ, დასწუ-ვენ, დასთრგუნ-ვენ ... დასღ-მენ, აღუთქუ-მენ, განასხ-მენ, მართუ-მენ, დაწთქ-მენ, აღიქუ-მენ. აღიხუ-მენ და სხვ.

ამნარი შეკუმშული ფორმები დღეს ქართული ენის მთის კილოებში გვაქვს შემინახული. უფრო მეტად ფშურსა და ხეესურულში. ვაჟა-ფშაველას ნაწერებში ორივე სახის (შეკუმშული — ძველი — და შეუკუმშავი —ახალი) ფორმები გვხვდება. აი. რამდენიმე ნიმუში ძველებური წარმოებისა: ჰუარვენ I 46,2 ა; ჰხედვენ 50 გ; სძრახვენ, მოჰმართვენ 65 ბ; ჩაიცივენ, გენახვენ 69 ბ; დაჰკერვენ 86 ა; ჰსმენ 90 ბ; სთულვენ 94.1 ა; ბრწყინვენ 116.2 ბ; იცივენ 182 ბ; ჰკითხვენ, გკითხვენ 193 ა; მტანჯვენ 247,1 ბ; გკლვენ V 145,3; დაამენ 208,6; გამოუსმენ 295,14; დასწვენ, დასდავენო 534,6; ილესვენ VI 98,22; იკითხვენ 454,7; განათლვენ, წაუსმენ VII 29,18-19; მოიპარვენ 73,8 ქვ.; მოუბმენ 245,25 და ბევრი სხვა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, ასეთი მოვლენა ვაჟას ლექსებშია მხოლოდ დადასტურებული, ხოლო პოეტურ ქმნილებაში თითო მარცვლის დაკლება-მომატებას დიდი მნიშვნელობა აქვსო. არა! აე, ამ თემის ნიშანთა შეკუმშვა ფშავში (და სხვა მთის კილოებში) ძველი ქართულიდანაა გადმოსული და ახლაც ცოცხალი მოვლენაა. ჩვენი მაგალითების ნახევარი ვაჟას პროზიდან და პუბლიცისტური წერილებიდანაა აღებული. ასე რომ, ეს შეკუმშული ფორმები ვაჟას ნაწერებში ლექსის მოთხოვნით არაა გამოწვეული, მას უფრო ღრმა საფუძველი აქვს<sup>38</sup>.

ახლა ვნახოთ მცირე საილუსტრაციო მასალა თვით ძველი ქართულიდან:

რადსათვის მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ (მრ. 2,18); რომელნი შეჰკამენ სახლსა ქურიეთასა და მიზეზით შორად ილოცვენ (ლ. 20,47 C); ესრე ზრახვენ გულთა მათთა (მრ. 2,8); ნეტარ არიან თუაღნი, რომელნი ჰხედვენ, რომელსა თქვენ ჰხედავთ (ლ.10,23); მიხედვით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან (მ. 6,26); რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესვენ. შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა (მრ. 10,24); იცოდა იესუ სულითა თვისითა, რამეთუ დრტვენენ მოწაფენი მისნი ამისთვის (ი. 6,61); მოწაფენი შენნი ჭამენ და სუბენ (ლ. 5,33); უკეთეთ მე ბერზებულითა განვასხამ ეშმათა, ძენი თქვენნი რაითა განასხმენ? (მ. 12,27); იხილე, რასა ზმენ მოწაფენი შენნი (მრ. 2,24 E).

<sup>38</sup> ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. ი. იმნაიშვილი. ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, 1968. გვ. 107—111. აქ დაკენით, რომ ამნარი შემთხვევები სხვა (ბარის) კილოებშიცაა შემწნული, მაგალითად. გურულში. სადაც ახლაც ხშირად გაიგონებს კაცი (განსაკუთრებით მოხუცების ენაში): რას იხმენ. არ იკითხვენ და ისე აკეთებენ მისით: მოკლენ კაცს და მერე უქცევენ ყვას ...



## (1) თაძის ნიშანი

ძველი და ახალი ქართულის ზმნები განსხვავებულია აგრეთვე თემის ნიშანთა გამოყენების მიხედვით. აქ უნდა გაეარჩიოთ რამდენიმე შემთხვევა.

### ა) ებ — ღ

რიგ ზმნას ძველ ქართულში ჰქონდა ებ თემის ნიშანი. ახალში იგი აღარ გადმოჰყოლია და დღეს უთემისნიშნოდ იხმარება. ასეთებია:

#### დადგინება<sup>89</sup> — დადგენა

ვითარცა-იგი მაშინ აღადგინებს მეუღართა და აცხოვნებს (ი. 5,21); ქარტაი იგი წერილითა მით აღადგინებს აღნადგინებსა (ისტ. ქრ. II,2,8); ნუ დამადგინებ მე მარცხენით შენსა (იქვე. 6,3); წმიდითა მით განათლებითა წარადგინებს სასოვებასა კეთილსა (თუალთ. 29,20); უბრძანა შერე-ღვანებად მცირედ (ლ. 5,3 C).

#### ვლინება — ვლენა

მე მოვავლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა შორის მეგლთა (მ. 10,16); მეცა წარავალინებ თქვენ (მ. 28,18 C); მომავლინა მე ... განვლინებად მომსრალთა განტყეებითა (ლ. 4,18); არცა მოციქული /არს/ უფროის მომავლინებელისა თვისისა (მ. 13,16 D); შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი (მ. 10,40).

ამ ტიპის ზმნათა შორის კიდევ ეს მივლინება არის, რომელიც დღეს გარკვეულ შემთხვევებში ებ თემის ნიშნით იხმარება (მივლინებით წაეიდა. მივლინების ხარჯები ...). მაგრამ ისეთი საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვა. როგორცაა მოვლენა (явление). დღეს მხოლოდ ებ-ის გარეშე არის გამოყენებული.

#### მოყვანება — მოყვანა

ქალწულთა აღიყვანებს ღმერთი ზეცად (სწავ. 275,17); რომელი მიიყვანებს ცხორებასა (მ. 7,14); ნუ შემოიყვანებ ჩვენ განსაცდელსა (მ. 6,13; ლ. 11,4); რომელი მიიყვანებ მამისა (საქ. წ. II, 10,13); ბრძანა ... სენაკსა ერთსა შეყვანებად (შუშ. 136,36); იგინიცა ჯერ-არიან ჩემდა მოყვანებად (ი. 10,16); მოვიდიან ანგელოზნი სულისა მის წარყვანებად (საქ. წ. II, 5,26); შეყვანებასა მას მამა-ღედისა მიერ ყრმისა მის იესუსა (ლ. 2,27); მოყვანებული (ასურ. 52,14 5).

<sup>89</sup> ნიშნებში ქვემოთ სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმები იქნება წარმოდგენილი.

## შეძინება — შეძენა

არღარა შეესძინებ სიტყუად (სენან. 82a); თხრობითა ამით შენითა შეძინებ მე ძალსა (ისტ. ქრ. II, 61,1); ნულარა შესძინებ ხილვად (გამ. 10.28); არარას შემძინებს ამისი გამოძიება (საბა ას. 8.41); რასა შეეუძინებს ჩუენ შეუნიერება საძოსლისაი (ისტ. ქრ. II, 22.31); ნურას შეიძინებთ ქუეყანასა ზედა (იქვე, 23,10); სიმდიდრესა დიდითა შრომითა ... შეიკრებენ და მრავლად შეიძინებენ (Sin. 35, 304rb,14); შეძინება თქუენი გუნებნ (ისტ. ქრ. II, 37,23); ცხადად შეძინების უჩნნ (Sin. 36, 6b,4); ვინ-შე თქუენგანი ზრუნვიდეს და შემძლებელ არს იგი შეძინებად ჰასაკსა თვისსა წყრთა ერთ (მ.6,27; ლ. 12,25); და აღმოსცეს გულმან ჩემმან მრავალსაჲ სიტყუათა შეძინებად ღირსთაი მათ (კიმ. I, 136,3).

## მოწყინება — მოწყენა

ანუ ვითარ არა მოვიწყინო სოფელი ესე, რამეთუ იგი მოიწყინებს მოყუარეთა მისთა (მალ. 106, 38). თუშეცა იქვე, მეორე რედაქციაში, მოიწყენს და მოაწყენს იკითხება. მაგრამ ეს უკვე ახლის ჩანასახია, რომელიც შემდეგ და შემდეგ ვითარდება და ბატონდება ენაში. სხვა მაგალითები: არა მიეახლინან ადგილსა, სადა აწყინებულ კაცნი (საკ. წ. II, 55,38); მრავალთა დღეთა აწყინებდა და სტანჯვიდა ოდესმე ლიქნით და ოდესმე სიქადულით (იქვე, 27,31); რადით არა მარადის მოვიდოდის და მაწყინებდეს მე (ლ. 18,5); რადით არა მაწყინებდენ მე ამისთუის (ისტ. ქრ. II, 83.15); ჯერ-არს მარადის მათდა ლოცვაი და არა მოწყინებად ლოცვასა შინა (ლ. 18.1 C); მოწყინებასა შევარდა ფიცხელსა (მ. ცხ. 67r); წყინებისა მისთვის მისისა აღდგეს (ლ. 11,8).

მართალია. ჩვენ მიერ მოყვანილი პირიანი ფორმები (აწყინებელ — აწყმე. ხოლმ., აწყინებდა — უწყვე.. მაწყინებდეს და მაწყინებდენ — I კავშ.) აწყმოს მწკრივისა არაა, მაგრამ ამას ახლა აქ დასმული საკითხისათვის არა აქვს მნიშვნელობა: ისინი I სერიის მწკრივებია და თემის ნიშნის საკითხსაც სწორედ I სერია წყვეტს, თემის ნიშანი ზნებს I სერიაში აქვს, II სერიაში არ გადაჰყვება და, რაკი წარმოდგენილი ფორმები თემისნიშნანია, ცხადია, ამ ზნას აწყმომიც უნდა ჰქონდეს ებ თემის ნიშანი და აქი აქვს კიდევ — მოიწყინებს (და არა: მოიწყენს). ასე რომ, ეს ზნაც სრულიად იმგვარია, როგორც დაიდგინებს, წარიყვანებს და სხე.

ასეთივე უნდა იყოს აგრეთვე ძველ ქართულში კარგად ცნობილი მოაკუდინებს (ცოდვად განუზავების ყოველთა ასოთა და მოაკუდინებს სულსა საუკუნოდ: სწავ. 63.5; არა მოაკუდინებად შენდა მოვედ: თარგმ. გამოცხ. 1,18a), მაგრამ დღეს იგი თითქმის არ იხმარება არც თემის ნიშნით (მოაკედინებს) და არც უმისოდ (მოაკედენს). მას წარმატებით ცვლის "კლავს", "მოკლავს". ამიტომ აქ ამ ზნას (და მის მსგავსთ) აღარ განვიხილავთ.

რა მიზეზით ჩამოსცილდა ებ თემის ნიშანი განსახილველ ზნებს ახალ ქართულში? ეს რთული საკითხია. ჩვენ აქ მხოლოდ ძველ ქართულში არსებული ვითარება გადმოვეცით და თვალში საცემ თავისებურებას გაუესვით ხაზი. ძველ

ქართულში კონტაქტის კატეგორია სუსტად იყო განვითარებული, არ იყო დღეს ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინ სუფიქსი (აწერ-ინ-ებს), მით უმეტეს უნდა ითქვას ეს ევ-ინ-ის შესახებ (აკელ-ევ-ინ-ებს). ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა: ამ ფონზე ებ სუფიქსი, როგორც კაუზატივის საყოველთაო და უშუალო კომპონენტი, მოშველიებული იყო ზმნის გააქტიურებისათვის. ხოლო როცა კონტაქტის კატეგორია მწყობრად ჩამოყალიბდა და უხვად გამდიდრდა შუალობითი ფორმების საწარმოებელი სუფიქსებით, ებ-ის ძალა და მნიშვნელობა შესუსტდა და იგი მერმე სულ გაქრა. ამ უკანასკნელ გარემოებას, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო იმანაც, რომ აღნიშნული ტიპის ზმნების ფუძეში თავიდანვე იყო ძირისეული ინ (დაადგ-ინ-ებს, წარავლ-ინ-ებს, შესძ-ინ-ებს, მოიწყ-ინ-ებს, მოაკუდ-ინ-ებს), რომელიც კაცს კაუზატივის აღსაქმელად განაწყობდა. მაგრამ ამ საკითხს ასე მარტივად ვერ გადაეწყვეტო, მას ფართო კვლევა-ძიება ესაჭიროება. ჩვენთვის აქ მთავარი იყო, ძველი ქართულის ვითარება სწორად დაგვეხატა და ისე მოგვეწოდებინა მკითხველისათვის.

### b) Ø — ი

ესევეთარი იგი მსგავს არს, რომელი წონს ქართა (აღწ. 71.10); გონებას თვისსა ამსწონდა (უღაბ. 20v); მომხუჭული ზოგსა ვერ იწონს (სწავ. 274.13); ადვილად გარდასწონს უკმარებად მიმართ, ვიდრე არა უბჯობისსა მიმართ (კურთხ. მოს. 140.10); არა მოუწონდეს ვეცხლსა მას (4 მეფ. 22.7). დღევანდელ ენაში ი თემის ნიშნით იხმარება: წონის, წონიდა, წონიდეს.

### c) Ø — ავ

აქ წინა მუხლში განხილულის საპირისპირო შემთხვევა გვაქვს: ზმნა ძველ ქართულში უთემისნიშნო იყო, მას მერმე დაემატა ავ თემის ნიშანი.

### შემოს — შემოსავ

ცისკარი შემოსს შენ (სწავ. 257.17); იხილვების სახუველითა შეხუველი და შეჰმოსს დღეს ადამის შიშულობას (სას. 3. 77.16); მთანი უზრუნველად შეჰმოსენ საბლარდნელსა დიდებისას (სინ. 191.26); რომელ-ეგე შენცა შეიმოს /ქრისტესა/ (სინ. 77.19); ნულარა კულად შეიმოსს გონებითა ზრუნვასა და საურავსა მისსა (სინ. 195.8); შეიმოსს ნათლისა სამოსელსა (სას. 3. 222.78).

### ვოცს — ვოცავს

თმითა თავისა თვისსაითა წარჰვოცდა /ფერუთა მისთა/ (ლ. 7.38 C); წარჰვოცდა სისხლსა წმიდისა ანდრიანესსა (ანდ.-ანატ. 220.21). წარჰვოცდა და არა წარჰვოცვიდა, როგორც იყო მოსალოდნელი. ავ თემის ნიშანი რომ ჰქონოდა. ამასვე ამტკიცებს საწყისი წარვოცად (ლ. 7.38), ავ თემის ნიშნით წარვოცვად იქნებოდა.

მამასადამე. აწმყოს ნორმალური ფორმებია: წარეჰყოც, წარჰყოც, წარჰყოცს, წარეჰყოცთ, წარჰყოცთ, წარჰყოცენ. მხოლოდ ორი პირის გაგებით 3 აღარ იქნებოდა საჭირო (ვოც, ჰყოც, ვოცს, ვოცთ, ჰყოცთ, ვოცენ).

"ვეფხისტყაოსანშიც" ჯერ კიდევ ძველებური ფორმა, უთემისნიშნოდ. მაგალითად: ვით კატასა, ვაზოციდი ლომსა (390,4); მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა (1044,1); სწორად ჰხოცდა შორს თუ ახლოს (1014,3); აწეცა დაგეხოც (81,3); თქვენ დაგხოცს თქვენი პატრონი (1194,2); თავთა ნუ დაჰხოცთ (285,4); გვითხრა: თუ შეხვალთ, დაგხოცენ (1032,4); მათთა შემბმელთა დაჰხოცენ (1300,4); საწყისიც ამის მიხედვითა ნაწარმოები: ხოცა და არა ხოცვა. მაგალითად: დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქეს ხოცა ნადირთა მცირეთა (16,4).

#### d) ებ — ობ

ძველი ქართულის ებ თემის ნიშანი ახალში ობ-ით არის შეცვლილი: შეატყუებს → შეატყობს, დაამჟუებს → დაამზობს, განაჟებს → განაპობს. აქ თემის ნიშნების უბრალო მონაცვლეობასთან არ უნდა გვექონდეს საქმე. მიზეზი ფონეტიკურ პროცესებში უნდა ვეძიოთ: პირველ ორში უ-ებ → ობ: შეატყუებს — შეატყობს, დაამჟუებს — დაამზობს. შესაბამისი წილი შეიძლება ბაგისმიერ პ-ს მიუძღოდეს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ძველ ქართულში ამ ზმნებში ჩვეულებრივ ებ თემის ნიშანი გვაქვს. მაგალითები:

ნუშტა ვინ შეატყუებს ... სიმარტივესა თქმულისა სულიერიისასა თქმულსა თანა მეტს-შეტყუელთასა (უძე. რედ. 50,6). ამ ზმნას წყვეტილის შესაბამე პირში (მხოლოდობითა და მრავლობითში) უ ყოველთვის მოეპოვება: შეიტყუა თავსა თვსსა, ვითარმედ მოწვენულ არს განსლუაი მისი ამიერ სოფლით (ლიმ. 74,22); ვითარ შეატყუა ჯოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდაი იგი ჯორცთა ამთგან (შუშ. 142,1); მანუწყე შეტყუებადა მისი (ბალ. 39,25); პირველისა ბეჭდისა შეტყუებასა მოციქულთა კრებულსა გულისუმა-ვკყოფთ (თარგმ. გამოცხ. 6,2). უ ვნებითშიც გვაქვს: ვინ თქუნგანი შემეტყუების შე ცოდვათათვს (ი.8,46 C). უ ამ სიტყვაში ძირისეულია. ეს გარემოებები გამოგვადგება საზომად. რომ დღევანდელ ქართულში იგი სათანადო შემთხვევებში ვინით ვწეროთ: შევატყვე, შეატყვე, შევატყვეთ, შეატყვეთ, შეატყვეს, შემიტყვია და სხვ. (და არა: შევატყე, შეატყე, შეატყეს...)

მწარჩი ზმნა აგრეთვე დამჟუება. შდრ. მიმღეობა: იქმნენსმცა ასონი მათნი შრომისაგან დამჟუებულ (უძე. რედ. 169,9); თავი თვისი მისცა დასამჟუებულად ემშაკოსა (უღაბ. 21vb). მაგრამ უებ → ობ პროცესი ამ ზმნაში ადრე დაწყებულა. ამიტომ, რომ აქ ობიანი ფორმები შედარებით ადრე და მეტი რაოდენობით მოიპოვება. მაგალითად: ამას დღესა ცხორებაი სიკუდილისა დაამჟობს (სევან. 336a; სინ. 74, 25); მოპოვნებაი მისი /ოქროისა/ დამჟობა არს კაცისა (სევან. 59b).

ძირეული უ კი აქ ყველგან თავის ადგილზეა: ტაბლები იგი დაამჟუა (ი.2,15-C); დაამჟუა აპოლონი (კიმ. I. 157,12); სასხლომელები იგი მსყიდელთაი მათ ტრედისათა დაუჟუა (მრ. 11,15). ამიტომ დღეს ეს ზმნაც სათანადო შემთხვევებში ვინით უნდა დაიწეროს: დავამხვე, დაამხვე, დავამხვეთ, დაამხვეთ, დაამხვეს, დამიმხვია (და არა: დავამხე, დაამხე, დაამხეს და სხვ.). რაც შეეხება მხოლოდობითის შესაბამე პირს, იქ

ძირეული ვ და პირის ნიშანი ა შერწყმულია და. როგორც წესი, ო-ს იძლევა (დაამხე-  
ა → დაამხო. შდრ. ვიყავ. იყავ, იყავ-ა → ი-ყო, იღე-ა → იღო და სხვ.).

უფრო ბევრია განაპება-ს ტიპის მაგალითები:

კითარცა ვაჭარნი ქველნი განაპებენ ლელვათა გულის-თქუძისათა და წიაღე-  
ლენან (სვან. 469b).

აქ, როგორც აღნიშნული გვექნა, გამოგვადგება I სერიის სხვა მწკრივებისა  
და უპირო ზმნების მაგალითებიც (ისინი I სერიის ფორმებს ეყრდნობიან): რამეთუ  
განაპებდეს მუცელ-ქუშულთა მათ გალაღელთასა (ამოს 1,13); თვსთა სამოსელთა  
დაიპებდეს (სვან. 224a); მეტუქელნი იგი მისნი ურთიერთას ტვნსა დაიპებდეს (კიმ.  
I, 138.17); განაპება ზღვსაი (ზარზმ. 157.13); განაპებასა ზღვსასა (იქვე. 165.17);  
ჭლაკი მისი არა განაპებულ არს (ლევ. 11.4); ეზოი იგი განაპებული (კიმ. II. 188.14);  
შეხედნა მას განაპებულისაგან კარისა (სინ. 271.1); სამოსელი დაიპებული (ივაე.  
23,21).

### ე) ებ — ავ

განმართება და განმართება (წარმოშობით ერთი უნდა იყოს: მართ /მარტ) სხვადასხვა მნიშვნელობით ძველად ებ თემის ნიშნით იხმარებოდა, ახლა კი ავით ეხმარობთ, თუმცა დღეს ძველებური საწყისი გვაქვს შემორჩენილი და მას ვიყენებთ: განმართება. განმართებითი ლექსიკონი.... პირიან ფორმებს კი, ვიმეორებთ, ავით ვაწარმოებთ: განმართავ, განმართავი და სხვ. ძველ ქართულში ებ თემის ნიშანი უფრო მეტად საწყისებსა და მიმღებობებში ჩანს, თუმცა არც პირიან ფორმებშია იშვიათი. რამდენიმე მაგალითი:

ხოლო თავთა მათთა დააცუბიდეს ძელსა და აჰმართებდეს წინაშე ბჭეთა ქალაქისათა (ისტ. ქრ. II, 103,11); კელარი დაიუბნის და ამცნის განმართება (ი—ე. 37,12); ესე ღვას დაცუმად და აღმართებად მრავალთა (ლ. 2.34 C); რომელმან ხურომან შეუბლოს შენდა ხატად აღმართებად (სინ. 59.37); ვარი იგი მთავარი, ... ურნატ-სავსედ განმართებული (სინ. 67,17); ძელი აღმართებულ იყო (სინ. 117,3); ქალაქი იგი აღმართებული (სინ. 108,13); ბევრეულნი კრავთა აღმართებულთანი (საკ. წ. II, 87,4. "აღმართებული" აქ ნიშნავს მსუქანს, ნასუქარს).

კაცსა ნუ განუმართებ გულსა შენსა (ზირ. 17,12); მოწაფეთა თვსთა განუმართებნ ყოველთა (მრ. 4.34 C); კითარ განგვმართებდა ჩუენ წიგნებსა (ლ. 24,32 C); განუმართებდეს ფერკათა მათთა (ანდრიან. 226.2); ჯამი ესე გამოეძიებს კურთხევათა მათთვს განმართებასა (კურთხ. იაკ. 10.1); უკუეთუ თუალი შენი განმართებულ იყოს (მ. 6.22); მახც განმართებული ოლეთა ზედა (ოსე 5.1); მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმართებულითა გულითა (მოც. 2,46 = უბრალო, ღია, გაშლილი გულით).

შეიძლებოდა ამ ტიპის მონაცვლეობა დაგვეჩანა ძველი ქართულის აღბაძება-სა (= წახალისება, წაქეზება, აგულანება, გადაბირება, მიშგავსება) და დღევანდელ ბაძვა, მიბაძვა-ს შორის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში იყო ბაძვა ჩვეულებრივი გაგებით (მიგუალე ჯინჭველისა და ჰბაძველ. ზ მედგარო: სახ. 157,19). რადგანაც ძველი მნიშვნელობით (წაქეზება) იგივე ფუძე დღევანდელ ენაში აღარ

მოგვეპოვება. ამიტომ შეიძლება აქ მასაც დაეუთმოთ ადგილი.

ორიოდე ნიმუში: მაშინ მრავალნი ერნი შეეძინებოდეს ოროგინელთა მყრალთა და თანა-აღაბაძუებდეს უმეცართა და გულსა უქცევდეს (კიმ. II, 216,4). კიდევ უნდა გავიხილოთ: მოყვანილი ფორმა აწმყოსი არ არის (უწყვეტილია), მაგრამ თემის ნიშნის გამოსარკვევად ამას არა აქვს მნიშვნელობა, ამ საქმეში ორივე (და საერთოდ, I სერიის ყველა მწკრივი) ერთნაირად დაგვეხმარება, ერთი და იგივე თემის ნიშანი აქვს ყველას. აქ საწყისებიც (და მიმღობანიც) გამოგვადგება. აი, ორი მაგალითი: წარმოადგინებს ამას კულად წიგნი დუმილითა და აღბაძებდასა უწუნებს (სინ. 116,4): განვიცდიდეთ ურთიერთას აღბაძებდად სიყუარულსა და კეთილთა საქმეთა (ებრ. 10,24).

### ი) ებ — ი

ნუ შესცვალებ სიყუარულსა ღმრთისასა ცოლისა სიყუარულად (სწავ. 121,24. დღეს: შეცვლი); მისცვალე მზესა ადგილითი-ადგილად, რადთა არა იყოს დადგრომილ ერთსა ადგილსა (უძვ. რედ. 48,26); უკუეთუ კრებულსა შორის ხარ, ნუ იცვალე ადგილსა (სინ. 35, 305ra, 6 ქე.); მრავალსა ჭურჭელსა შესცვალენ დღითი-დღედ (საკ. წ. II, 124,2); სცვალედა ტაძარსა მას ... კათოლიკედ გელესიად (სინ. 55,3); და ძრუაი შეცვალედა საქმეთაი არს (გამოცხ. 16,8 თ); საშინელ არს წყველაი ესე, დადებული შემცვალებელთა ზედა საღმრთოთა სიტყუათასა (გამოცხ. 22,19 თ); ხუთ ქმარ ცვალებულ არს შენდა (ი. 4,18 C).

დღევანდელ ქართულში ეს ზნა ი თემის ნიშნით იხმარება და ამის გამო ფუძე ეკუშება: ვცვლი, სცვლი, ცვლის..., მაგრამ ზოგი ფორმა ძველებურადვე დარჩა: ცვალებადი ძველებური წარმოებაა, ხოლო მისი დღევანდელი ფარდია ცვლადი, რომელსაც ტერმინის მნიშვნელობა აქვს. უცვალებელი ძველი წარმოებაა (გრამატიკაში იხმარება: უცვალებელი პირი), ხოლო უცვლელი — ახალი. ასე ერთად განაგრძობენ არსებობას ძველი და ახალი ფორმები. ენაში ეს არის ფორმათა სიმდიდრის, მრავალფეროვნების წყარო.

### ე) ი — ავ

რეცხვა ძველ ქართულში ი თემის ნიშნით იხმარებოდა და ამის გამო ფუძე შეკუმშული ჰქონდა: გან-ვ-კრცხ-ი, გან-კრცხ-ი, გან-კრცხ-ი-ის ... "რეცხვას" რცხა, განრცხა ერქვა. "მრეცხავს" — მრცხელი, "სარეცხს" — სარცხელი. ეს ზნა იმით იქცევა ყურადღებას, რომ გარდამავალ ზნათაგან ერთადერთი იყო, რომელსაც წყვეტილში მწკრივის ნიშნად ი ჰქონდა (ამის შესახებ დაწვრილებით წყვეტილის განხილვისას ვიმსჯელებთ). ამიტომ რიც შემთხვევაში მისი აწმყო, წყვეტილი და II ხოლმეობითი ერთმანეთს ემთხვეოდა<sup>90</sup>. სამწუხაროდ, ძველ ტექსტებში იგი ხშირად არ იხმარება და სათანადო მაგალითებიც ძუნწად არის შემონახული.

რცხიდეს მათ /ქარტათა/ ცრემლითა (მ. ცხ. 97r); რომელნი რცხიდეს მუნ

<sup>90</sup> ი. თანაშეილი. იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია: ძველ. 7. 1961. გვ. 145—147.

(ცხ. ეფრ. 89.11): რცხილეს მათ ცრემლითა მიერ თვისითა (ნოვ. I. 3.24,5): მესათხე-  
ვლენი იგი ... განპრცხილეს ბადეთა (ლ. 5.2): დედანო, რაჟამს დასხდეთ რცხად  
(ექუსთ. 101.35): იწყეთ განრცხად სამოსელთა თქუენთა სინანულითა (სინ. 88.22):  
სხუაისა მრავალ არს, რომელი მოვლო ჰყობად: განრცხად სასუშელებისა და  
სტაძნებისა და ქუაბებისა და ცხედრებისა (მრ. 7.4).

## h) ებ/Ø — ებ

დასასრულ, აქ უნდა აღენიშნოთ წოდება ზმნის ორი სახით გამოყენება ძველ  
ქართულში: ერთი მათგანია ებ თემის ნიშნით ხმარება, როგორც დღეს გვაქვს (უწო-  
დებს, უწოდებდა, უწოდებდეს ...). ხოლო მეორე — უთემისნიშნოდ (უწოდს, უწოდ-  
და, უწოდდეს). თანაც არა ჩანს, რომ მათ შორის რაიმე შინაარსეული განსხვავება  
იყოს. საფიქრებელია, რომ უწოდოს და მისთანანი უფრო ძველი წარმოშობისა იყოს,  
ხოლო ებ თემის ნიშნისანი — ახლისა. აი, რამდენიმე საილუსტრაციო ნიმუში ორივე  
რიგისა:

მათ უწოდს ღმერთი (თეკლა 93.30); ესე მოძიწოდს წარმართთა ვრად თვსა  
დღეს (სას. კ. 73.124); მოძიწოდს ჩუენ სულიერსა ამას კრებასა დიდი ათანასი (იქვე.  
241.41); რომელი გიწოდს შენ ყოველსა ეამსა (სწაე. 134.30); კულად იტყვს და  
მოუწოდს ტაბლასა მას (ბოლნ. 41.11); სიძე იგი განწმედილთა სულთა მოუწოდს  
(ასურ. 49.15); არას გიწოდდი შენ. შეილო (I მეფ. 3.6 M); უწოდდა მას ანგელოზი  
უფლისა (დაბ. 20.11.15 ლაგ.); უწოდდა უფალი ღმერთი ადამს (დაბ. 3.1); უფალი  
უწოდდა მას (I მეფ. 3.8 M).

სამსტუროთაგან მისთა გიწოდებენ (ეს. 41.9 pb); ამა ესერა მიწოდებთეს  
სახელით ბესელმლ (გამ. 31,2 O).

გვხვდება მესამენიანი ფორმაც: რაისათვს მიწოდი მე (I მეფ. 3.6); არას  
გიწოდი შენ (იქვე); უფალი უწოდის მას (I მეფ. 3.9). რა არის აქ ი? ხომ არ არის  
იგი თემის ნიშანი? თემის ნიშანი რომ იყოს. მაშინ ჩვენ აწმყოსთან გვექნება საქმე.  
მაგრამ ნიმუშებში პირველ ორ შემთხვევაში წარსული დრო იგულისხმება, მესამეში  
— მომავალი. მაშასადამე, აწმყო აქ გამოირცხულია. მაშ. რა არის ი? — პირველ ორ  
ზმნაში ეს უნდა იყოს თანხმოდანთეასაყარი. მერბე უწყვეტლის მწკრივის ნიშნად რომ  
იქცა, ისეთივე ხმოდანი, როგორიცაა ეწმედდი, სწმედდი ზმნებში გამოვლენილი ი.  
ორი ღონიდან ერთის დაკარგვის შემდეგ მიიღო ზმნამ ასეთი უცნაური სახე: მიწოდ-  
დი → მიწოდი, გიწოდდი → გიწოდი, ტექსტის აზრიც ასეთია. შდრ. ო:  $\alpha\epsilon\lambda\eta\mu\alpha\delta\alpha\varsigma\ \mu\epsilon:$   
 $\sigma\upsilon\ \chi\epsilon\lambda\eta\mu\alpha\delta\alpha\ \sigma\epsilon;$   $\tau\upsilon\ \text{звa.т} \text{мeн}я:$   $\text{я нe звa.т тeб}я.$  ეს ახალ ქართულზე იქნება: რას  
მეძახნი? (რაისათვს მიწოდდი → მიწოდი). რაც შეეხება მესამე — უწოდის — ფორმას,  
II კავშირებითის დაშვება გამოირცხულია: სუბიექტი სახელობითში დგას (უფალი  
გიწოდის), თუმცა დრო მომავალი იგულისხმება (когда посовет тебе). ამიტომ მას  
სპეციალური შესწავლა უნდა.

## თ) უაღრუა

აწმყოს. როგორც მწკრივის, არავითარი სპეციალური მაწარმოებელი (მწკრივის ნიშანი) არა აქვს. აქ წარმოდგენილია სუფთა ფუძე, უმეტესად სხვადასხვა თემის ნიშნით ნაწარმოები. აწმყოზე ზოგადი საუბრის შემდეგ წარმოვადგენთ ყველა ტიპის ზმნათა უღლების მაგალითებს. აქ გათვალისწინებული იქნება წინა თავებში განხილული საკითხებიც, უმთავრესად პირთან დაკავშირებული თავისებურებანი.

## A. მოხდომებითი გარის ზმნები

a. უთემისნიშნონი<sup>91</sup>

ე-წერ	და-ე-ს-წერ	ე-ი-ქმ	შე-ე-ქ-მოს
ს-წერ	და- ს-წერ	ი-ქმ	შე- ქ-მოს
წერ-ს	და- ს-წერ-ს	ი-ქმ-ს	შე- ქ-მოს-ს
ე-წერ-თ	და-ე-ს-წერ-თ	ე-ი-ქმ-თ	შე-ე-ქ-მოს-თ
ს-წერ-თ	და- ს-წერ-თ	ი-ქმ-თ	შე- ქ-მოს-თ
წერ-ენ	და- ს-წერ-ენ	ი-ქმ-ან	შე- ქ-მოს-ენ

## b. ფუძედრეკადნი

ე-კრებ	შე-ე-ქ-კრებ	ე-დრეკ	გან-ე-ა-ბნეე
ქ-კრებ	შე- ქ-კრებ	ს-დრეკ	გან- ა-ბნეე
კრებ-ს	შე- ქ-კრებ-ს	დრეკ-ს	გან- ა-ბნეე-ს
ე-კრებ-თ	შე-ე-ქ-კრებ-თ	ე-დრეკ-თ	გან-ე-ა-ბნეე-თ
ქ-კრებ-თ	შე- ქ-კრებ-თ	ს-დრეკ-თ	გან- ა-ბნეე-თ
კრებ-ენ	შე- ქ-კრებ-ენ	დრეკ-ენ	გან- ა-ბნეე-ენ

## c. ებ თემისნიშნინანი

ე-ღებ	და-ე-ს-ღებ <sup>92</sup>	ე-ა-ქებ	წარ-ე-ი-ყვან-ებ
ს-ღებ	და- ს-ღებ	ა-ქებ	წარ- ი-ყვან-ებ
ღებ-ს	და- ს-ღებ-ს	ა-ქებ-ს	წარ- ი-ყვან-ებ-ს
ე-ღებ-თ	და-ე-ს-ღებ-თ	ე-ა-ქებ-თ	წარ-ე-ი-ყვან-ებ-თ
ს-ღებ-თ	და- ს-ღებ-თ	ა-ქებ-თ	წარ- ი-ყვან-ებ-თ
ღებ-ენ	და- ს-ღებ-ენ	ა-ქებ-ენ	წარ- ი-ყვან-ებ-ენ

<sup>91</sup> ზოგი რამ თემის ნიშნითა შესასხებ უკვე ითქვა. ამასთანავე ვგულისხმობთ, რომ თემის ნიშნები (ძირითადად მინც) ცნობილია წინამდებარე ნაშრომის მკითხველთათვის.

<sup>92</sup> დაესღებ - "დაესღებებ" - "დაესღებებ. ძირითა ლევ. შდრ. წყვეტილის დაესღებ, დასღებ.



d. ობ თემისნიშნანნი

ე-ატფობ	გან-ე-ატფობ	ე-ს-ცნობ	ე-შ-ობ <sup>99</sup>
ა-ტფობ	გან- ა-ტფობ	ს-ცნობ	ჰ-შ-ობ
ა-ტფობ-ს	გან- ა-ტფობ-ს	ს-ცნობ-ს	შ-ობ-ს
ე-ატფობ-თ	გან-ე-ატფობ-თ	ე-ს-ცნობ-თ	ე-შ-ობ-თ
ა-ტფობ-თ	გან- ა-ტფობ-თ	ს-ცნობ-თ	ჰ-შ-ობ-თ
ა-ტფობ-ენ	გან- ა-ტფობ-ენ	ს-ცნობ-ენ	შ-ობ-ენ

e. ი თემისნიშნანნი

ე-თლი-ი	გამო-ე-ს-თლი-ი	მო-ე-ჰ-გური	ე-ყრი
ს-თლი-ი	გამო- ს-თლი-ი	მო- ჰ-გური	ჰ-ყრი
თლი-ის	გამო- ს-თლი-ი-ს	მო- ჰ-გური-ის	ყრი-ს
ე-თლი-ით	გამო-ე-ს-თლი-ით	მო-ე-ჰ-გური-ით	ე-ყრი-ით
ს-თლი-ით	გამო- ს-თლი-ით	მო- ჰ-გური-ით	ყრი-ით
თლი-იან	გამო- ს-თლი-იან	მო- ჰ-გური-იან	ყრი-იან

f. ავ თემისნიშნანნი

ე-კლ-ავ	მო-ე-ჰ-კლ-ავ	ე-ჰ-კითხ-ავ	ე-თხზ-ავ
ჰ-კლ-ავ	მო- ჰ-კლ-ავ	ჰ-კითხ-ავ	ს-თხზ-ავ
კლ-ავ-ს	მო- ჰ-კლ-ავ-ს	ჰ-კითხ-ავ-ს	თხზ-ავ-ს
ე-კლ-ავ-თ	მო-ე-ჰ-კლ-ავ-თ	ე-ჰ-კითხ-ავ-თ	ე-თხზ-ავ-თ
ჰ-კლ-ავ-თ	მო- ჰ-კლ-ავ-თ	ჰ-კითხ-ავ-თ	ს-თხზ-ავ-თ
კლ-ავ-ენ	მო- ჰ-კლ-ავ-ენ	ჰ-კითხ-ავ-ენ	თხზ-ავ-ენ

ავ თემისნიშნან ზმნათა S<sub>3</sub> პირის მრავლობითის ფორმებში თემისნიშნისეული ზმოვანი ყოველთვის ამოვარდება. ასევეა ამ თემისნიშნან ზმნებშიც. ცხადია, ეს უნ ბოლოსართის დართვის შედეგად ხდება.

g. ამ თემისნიშნანნი

ე-სუამ	შე-ე-ჰ-სუამ	აღ-უ-თქუამ	გან-ე-ა-სხ-ამ
ჰ-სუამ	შე- ჰ-სუამ	აღ-უ-თქუამ	გან- ა-სხ-ამ
სუამ-ს	შე- ჰ-სუამ-ს	აღ-უ-თქუამ-ს	გან- ა-სხ-ამ-ს
ე-სუამ-თ	შე-ე-ჰ-სუამ-თ	აღ-უ-თქუამ-თ	გან-ე-ა-სხ-ამ-თ
ჰ-სუამ-თ	შე- ჰ-სუამ-თ	აღ-უ-თქუამ-თ	გან- ა-სხ-ამ-თ
სუამ-ენ	შე- ჰ-სუამ-ენ	აღ-უ-თქუამ-ენ	გან- ა-სხ-ამ-ენ

<sup>99</sup> ეშობ ← ეშეობ ← ეშეეობ. მღრ. წყვეტილის ე-შეე, ჰ-შეე.

## h. ემ თემისნიშნანი

## i. იოფ თემისნიშნანი

ე-ს-ც-ემ	მი-ვ-ს-ც-ემ	ე-ჰ-ყოფ <sup>მ</sup>	გან-ე-ჰ-ყოფ
ს-ც-ემ	მი- ს-ც-ემ	ჰ-ყოფ	გან- ჰ-ყოფ
ს-ც-ემ-ს	მი- ს-ც-ემ-ს	ჰ-ყოფ-ს	გან- ჰ-ყოფ-ს
ე-ს-ც-ემ-თ	მი-ვ-ს-ც-ემ-თ	ე-ჰ-ყოფ-თ	გან-ე-ჰ-ყოფ-თ
ს-ც-ემ-თ	მი- ს-ც-ემ-თ	ჰ-ყოფ-თ	გან- ჰ-ყოფ-თ
ს-ც-ემ-ენ	მი- ს-ც-ემ-ენ	ჰ-ყოფ-ენ	გან- ჰ-ყოფ-ენ

B. უნაბითი გვარის უნაბი<sup>მ</sup>

## a. ინიანი

## a. ი

ე-ი-მაღლები	შე-ე-ი-ძრევი	გან-ე-ი-ლევი	გან-ე-ი-კურნები
ი-მაღლები	შე- ი-ძრევი	გან- ი-ლევი	გან- ი-კურნები
ი-მაღლები-ს	შე- ი-ძრევი-ს	გან- ი-ლევი-ს	გან- ი-კურნები-ს
ე-ი-მაღლები-თ	შე-ე-ი-ძრევი-თ	გან-ე-ი-ლევი-თ	გან-ე-ი-კურნები-თ
ი-მაღლები-თ	შე- ი-ძრევი-თ	გან- ი-ლევი-თ	გან- ი-კურნები-თ
ი-მაღლები-ან	შე- ი-ძრევი-ან	გან- ი-ლევი-ან	გან- ი-კურნები-ან

## b. ენიანი

ე-ე-ვედრები	შე-ე-ე-წვევი	შე-ე-ე-ყოფი	შე-ე-ე-მთხუევი
ე-ვედრები	შე- ე-წვევი	შე- ე-ყოფი	შე- ე-მთხუევი
ე-ვედრები-ს	შე- ე-წვევი-ს	შე- ე-ყოფი-ს	შე- ე-მთხუევი-ს
ე-ე-ვედრები-თ	შე-ე-ე-წვევი-თ	შე-ე-ე-ყოფი-თ	შე-ე-ე-მთხუევი-თ
ე-ვედრები-თ	შე- ე-წვევი-თ	შე- ე-ყოფი-თ	შე- ე-მთხუევი-თ
ე-ვედრები-ან	შე- ე-წვევი-ან	შე- ე-ყოფი-ან	შე- ე-მთხუევი-ან

## c. ღონიანი

ღა-ე-ბერ-ღ-ები	ე-ცხოვენ-ღ-ები	ღა-ობლ-ღ-ები
ღა-ჰ-ბერ-ღ-ები	ს-ცხოვენ-ღ-ები	ღა-ობლ-ღ-ები
ღა- ბერ-ღ-ები-ს	ცხოვენ-ღ-ები-ს	ღა-ობლ-ღ-ები-ს
ღა-ე-ბერ-ღ-ები-თ	ე-ცხოვენ-ღ-ები-თ	ღა-ობლ-ღ-ები-თ
ღა-ჰ-ბერ-ღ-ები-თ	ს-ცხოვენ-ღ-ები-თ	ღა-ობლ-ღ-ები-თ
ღა- ბერ-ღ-ები-ან	ცხოვენ-ღ-ები-ან	ღა-ობლ-ღ-ები-ან

<sup>მ</sup> ე-ჰ-ყოფ ← \*ე-ჰ-ყოფ ← \*ე-ჰ-ყოფი.

<sup>მ</sup> ენებითი გვარის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება მსჯელობა. ამჯერად მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებთ, რომ ენებითის დღეს ცნობილ სახეობათა გვერდით ძველ ქართულში -ჰნ სუფიქსიანი ენებითიც მოგვეპოვებოდა.

## d. ენ სუფიქსიანი

შე-წუხ-ნ-ები	გან-ე-მტკიც-ნ-ები	და-ე-ღუმ-ნ-ები
შე-ს-წუხ-ნ-ები	გან-კ-მტკიც-ნ-ები	და-ს-ღუმ-ნ-ები
შე- წუხ-ნ-ები-ს	გან- მტკიც-ნ-ები-ს	და- ღუმ-ნ-ები-ს
შე-ე-წუხ-ნ-ები-თ	გან-ე-მტკიც-ნ-ები-თ	და-ე-ღუმ-ნ-ები-თ
შე-ს-წუხ-ნ-ები-თ	გან-კ-მტკიც-ნ-ები-თ	და-ს-ღუმ-ნ-ები-თ
შე- წუხ-ნ-ები-ან	გან- მტკიც-ნ-ები-ან	და- ღუმ-ნ-ები-ან

## e. უნიშნო

გან-ე-ტყუები	და-ე-ს-ცხრები	შე-ე-ღრკები
გან- ტყუები	და- ს-ცხრები	შე-ს-ღრკები
გან- ტყუები-ს	და- ს-ცხრები-ს	შე- ღრკები-ს
გან-ე-ტყუები-თ	და-ე-ს-ცხრები-თ	შე-ე-ღრკები-თ
გან- ტყუები-თ	და- ს-ცხრები-თ	შე-ს-ღრკები-თ
გან- ტყუები-ან	და- ს-ცხრები-ან	შე- ღრკები-ან

## C. საშუალო ბაარის ზედა

წარ-ვალ	ე-ღგ-ა	ე-ზი	ე-წეე
წარ-ხ-ვალ	ს-ღგ-ა	ჰ-ზი	ს-წეე
წარ-ვალ-ს	ღგ-ა-ს	ზი-ს	წეე-ს
წარ-ვალ-თ	ე-ღგ-ა-თ	ე-სხედ-თ	ე-წეე-თ
წარ-ხ-ვალ-თ	ს-ღგ-ა-თ	ჰ-სხედ-თ	ს-წეე-თ
წარ-ვლენ-ან	ღგ-ან-ან	სხედ-ან	წეე-ან
		მე ოგი ...	მე ოგინი ...
ე-რბ-ი	ე-ჩა(5)	მ-ა-ქუ(5)-ს	მ-ქონ-ან
ჰ-რბ-ი	ს-ჩა(5)	გ-ა-ქუ(5)-ს	გ-ქონ-ან
რბ-ი-ს	ჩა(5)-ს	ა-ქუ(5)-ს	ჰ-ქონ-ან
ე-რბ-ი-თ	ე-ჩა(5)-თ	(e.) მ-ა-ქუ(5)-ს	(e.) მ-ქონ-ან
ჰ-რბ-ი-თ	ს-ჩა(5)-თ	(i.) გ-უ-ა-ქუ(5)-ს	(i.) გ-უ-ქონ-ან
რბ-ი-ან	ჩან-ან	გ-ა-ქუ(5)-ს	გ-ქონ-ან
		ა-ქუ(5)-ს	ჰ-ქონ-ან

სუბ. წყ.	ობ. წყ.	სუბ. წყ.	ობ. წყ.
ე-პ-რწამ	მ-რწამ-ს	ე-პ-გაე	მ-გაე-ს
პ-რწამ	გ-რწამ-ს	პ-გაე	გ-გაე-ს

ქ-რწამ-ს	ქ-რწამ-ს	ჰ-გაე-ს	ჰ-გაე-ს
ვ-ქ-რწამ-თ	(ე.) მ-რწამ-ს	ვ-ჰ-გაე-თ	(ე.) მ-გაე-ს
ქ-რწამ-თ	(ი.) გ-ურწამ-ს	ჰ-გაე-თ	(ი.) გ-უგაე-ს
ქ-რწამ-ან	გ-რწამ-ს	ჰ-გეან-ან	გ-გაე-ს
	ქ-რწამ-ს		ჰ-გაე-ს

## 2. აწმყოს ხოლმეობითი

ა) აწმყოს ხოლმეობითი პირნაკლი მწკრივია, მხოლოდ მესამე სუბიექტური პირი მოეპოვება (მხოლოდობითა და მრავლობითში). მას, როგორც აწმყოს, არა აქვს არაეითარი მწკრივის ნიშანი, ფუძედაც იგივე აწმყოს ფუძე აქვს გამოყენებული. ფორმალურად მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ აწმყოს პირის (და რიცხვის) ნიშნად ს (მხ.) და ენ. ან (მრ.) სუფიქსები აქვს, ხოლო აწმყოს ხოლმეობითს — ნ (მხ.) და ელ (მრ.). მაგალითად:

<u>აწმყო</u>	<u>აწმყ. ხოლმ.</u>
არ-ს, არი-ან	არ-ნ, არი-ელ
წერ-ს, წერ-ენ	წერ-ნ, წერ-ელ
კლავ-ს, კლავ-ენ	კლავ-ნ, კლავ-ელ
სუამ-ს, სუამ-ენ	სუამ-ნ, სუამ-ელ
ჰყოფ-ს, ჰყოფ-ენ	ჰყოფ-ნ, ჰყოფ-ელ
მისცემ-ს, მისცემ-ენ	მისცემ-ნ, მისცემ-ელ

მაშასადამე, ამ ორ მწკრივს შორის მთელი განსხვავება მხოლოდ პირის (და რიცხვის) ნიშანთა სხვადასხვაობაზე ყოფილა დამყარებული. სხვა ფორმობრივი სხვაობა მათ შორის, ვიმეორებთ, არ არის.

ბ) კითხვა ისმის: არის კი აწმყოს ხოლმეობითი სხვა მწკრივი? სხვადასხვა პირის ნიშნები ჩვენ გვაქვს თვით ერთი და იმავე მწკრივის შიგნით სხვადასხვა ტიპის ზნებში. მაგრამ, ამის მიუხედავად, მათ სხვადასხვა მწკრივებად არ ვთვლით. მაგალითად, თვით იმავე აწმყოში არის როგორც ჭამ-ენ, ჰყოფ-ენ, მალე-ენ, ისე: თლი-ან, იქმ-ან, იმაღლები-ან. იმავე მწკრივში ახალ ქართულში ასეთი დაპირისპირება მხოლოდობითიც გვაქვს: ერთი მხრივ, არის — ადგენ-ს, აღნობ-ს, აქრობ-ს, მეორე მხრივ კი — დგებ-ა, დნებ-ა, ქრებ-ა. ასეთივე სხვაობა წყვეტილშიც, სადაც პირის ნიშნად (მხ.) ხან ა არის, ხან — ო. მაგალითად: დაწერ-ა, თქუ-ა, ჭამ-ა, მაგრამ: აქ-ო, განაგ-ო, იწყ-ო. მართალია, ზემოთ აღნიშნულ სხვაობებს თავისი ისტორია აქვს, ცნობილია, თუ რამ გამოიწვია ისინი, მაგრამ ფაქტია — ერთი მწკრივის შიგნით სხვადასხვა პირის ნიშნება გამოყენებული.

აწმყოს ხოლმეობითი მაინც ცალკე, დამოუკიდებელი მწკრივია უმთავრესად მისი შინაარსის, მისი მნიშვნელობის გამო, რომელიც მან დროთა ვითარებაში, ხანგრძლივი განვითარების მანძილზე შეიძინა. იგი დიდი ხანია, რაც აწმყოს გამოეყო. ცალკე დადგა. ახალი ფუნქციების გამოხატვა იკისრა და ამ თვალსაზრისით დაუპირისპირდა აწმყოს, რომლის ფუძესაც იგი იყენებს. ეს ახალი ფუნქცია ხოლმეობითობა, ხანგრძლივი, ხშირად განმეორებული მოქმედების გამოხატვა. ამიტომ

შემთხვევითი არაა. რომ წინადადებებში, რომლებშიც აწმყოს (და სხვა) ხოლმეობითი გეხვდება, ხშირად ენახათ ხოლმე მარადის. მარად, მრავალჯონ ზმნიზელებს. მაგალითად: მარადის ლამე და დლე საფლაკებსა და მთათა გარე იქცეონ, და ღაღაღუნ და ქეთა იცეონ თავსა თვისსა (მრ. 5.5). ხოლმეობითის შინაარსისათვის ზედგამოჭრილია სწორედ ეს მარადის: იგი განგრძობილი, ხშირად განმეორებული მოქმედების შესახებ ითქმის.

მეორე მხრივ, ამ ახლად ჩამოყალიბებულმა მწკრივმა დროის გამოხატვაშიც გადაუხვია აწმყოსაგან, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ერთი სიტყვით, აწმყოს ხოლმეობითის სახით ჩვენ წინაშეა სხვა, ახალი, დამოუკიდებელი მწკრივი, რომელიც ფორმითაც (პირისა და რიცხვის ნიშნებით) და შინაარსითაც განსხვავდება აწმყოსაგან და ამიტომ ცალკე მწკრივად წარმოგვიდგება.

გ) რატომ ქქვია ამ მწკრივს აწმყოს ხოლმეობითი? აქ ორი მოსაზრება არსებობს. ერთის მიხედვით (პ.ჯაჯანიძე), ამ მწკრივს აწმყოს ხოლმეობითი იმიტომ ქქვია, რომ იგი აწმყოს გაგებას შეიცავს. აწმყო აქ ესმით დროის თვალსაზრისით (настоящее время). მაგრამ ეს ასე არაა. აწმყოს ხოლმეობითისათვის იმდენად ამათუ იმ დროის გამოხატვა კი არ არის მთავარი, რამდენადაც განგრძობილი, ხშირად განმეორებული მოქმედების ჩვენება. ხოლო როცა აუცილებელია ამასთან ერთად დროც იქნეს მითითებული, აწმყოს ხოლმეობითი უმთავრესად წარსულ დროს გამოხატავს. ჩვენი ზემოთ მოყვანილი მაგალითიც ამას უჩვენებს: ის არაწმვიდა სულით შეპყრობილი კაცი სულ საფლაკებში და მთებზე იყო (იქცეონ). ყვიროდაო (ღაღაღუნ). თუმი ქვას იცემაო (იცეონ). აქ სხვა დრო შეუძლებელია. ბერძნულშიც, რა თქმა უნდა, ასეა: ἦν ἁρᾶζων καὶ κατακίπτων. ყველა სხვა თარგმანშიც წარსული დროა. შდრ. რუს. кричал он и бился о камни. კიდევ ორი მაგალითი: ა) სლუკას მათსა ვლენედ, და დგომასა მათსა დგანედ (ეზუე. 1,21). ეს ნიშნავს: მათი სკლის დროს ისინიც მიდიოდნენო და მათი დგომის დროს ისინიც იდგნენო (დგებოდნენო). შდრ. ბერძნ. ἐν τῷ πορεύεσθαι αὐτὰ ἐπορεύοντο καὶ ἐν τῷ ἑστάναι αὐτὰ εἰστήκεισαν და რუს. когда шли те, шли и они и когда те стояли, стояли и они. ბ) ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილუა იგი პირველად, რამეთუ მთხოველ იყო. იტყოდეს: არა ესე არსა, რომელ-იგი ზინ და ითხოვნ (ი. 9,8). ე.ი. განა ეს ის კაცი არ არის, რომელიც (აქ) იჯდა და (მოწყალებას) ითხოვდა? შდრ. Οἱ οὖν γειτόνες καὶ οἱ μεαροῦντες αὐτὸν τὸ πρότερον, οἱ προσαιτες ἦν, ἔλεγον. οὐχ οὐτὸς ἔστιν ὁ κατῆμενος καὶ προσαιτῶν და тут соседи и видевшие прежде, что он был слеп, говорили: не тот ли это, который сидел и просил милостыни? მაშასადამე, აწმყოს ხოლმეობითი აქაც წარსულ დროს გამოხატავს. ესაა სწორედ მისი ნიშანდობლივი თვისება დროის გამოხატვის საქმეში. ეს მწკრივი ახლანდელ დროს იშვიათად თუ გადმოსცემს, მაშინაც მასში ხაზგასმულია უმთავრესად არა დრო, არამედ განგრძობილი მოქმედება. მაშ. რატომ ქქვია მას აწმყოს ხოლმეობითი? მეორე შეხედულების მიხედვით, აწმყოს ხოლმეობითი მას შეერქვა იმის გამო, რომ იგი იყენებს აწმყოს ფუძეს. ამ ორ მწკრივს ფუძე აქვს საერთო, განსხვავებულია მხოლოდ პირისა და რიცხვის ნიშნები. წერ-ს და წერ-ნ. გარდაიხილუ-ენ და გარდაიხილუ-ედ ერთიან ფუძეების მიხედვით. ტერმინის შექმნისას ეს იყო ამოსავლად

მჩნეული. მამასადამე, ამ მწკრივს აწმყოს ხოლმეობითი იმიტომ დაერქვა, რომ იგი აწმყოს ფუძეს იმეორებს, მას ეყრდნობა.

ხოლო თუ რატომ ჰქვია მას აწმყოს ხოლმეობითი, ამაზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი: აწმყოს ხოლმეობითის მთავარი ფუნქციაა ხშირად განმეორებული მოქმედების გამოხატვა. ესაა სწორედ ხოლმეობითი, პერმანენივი. რადგანაც ასეთ მოქმედებას დღევანდელ ენაში ხოლმე-ს დახმარებით გამოვხატავთ. გრამატიკულ ტერმინად გამოყენებისასაც მას მიენიჭა უპირატესობა (წინათ ასეთ ტერმინად ჩვეულებითი-ც იხმარებოდა: მაგალითად, ნამყო ჩვეულებითი — იგულისხმებოდა II ხოლმეობითი).

დ) რატომ არის ეს მწკრივი პირნაკლი? ადრე პირველი და მეორე პირებიც ჰქონდა და მერმე დაკარგა თუ ეს (I და II) პირები არც ოდესმე ჰქონია და, მამასადამე, არც დაუკარგავს? ამ საკითხზედაც ორგვარი პასუხია გაცემული. ზოგიერთის აზრით, ადრე ამ მწკრივს ყველა პირი ჰქონდა, ორი დაიკარგა, მხოლოდ მესამე პირი შემოგვრჩაო. მეორე შეხედულებით, სხვა (I და II) პირები არ იყო და, ცხადია, დაკარგვაზეც ლაპარაკი შეუძლებელია.

რატომ? აქ გასათვალისწინებელია თვით მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა ისტორია. როგორც აღნიშნული იყო ადრე, ქართულში ყველა სხვა პირს, სუბიექტურს თუ ობიექტურს, თავიდანვე ერთი ნიშანი ჰქონდა ( $S_1 - ვ, S_2 - ხ, O_1 - მ, O_2 - გ, O_3 - ხ$ ). მხოლოდ ერთადერთი მესამე სუბიექტური პირი იყო, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ნიშანი ჰქონდა: ს, ნ, ღ, ა, ო (მხ.), ენ, ან, ნ, ეს, ედ (მრ.). რა წარმოშობაც უნდა ჰქონდეს ამ უცნაურ სიმრავლეს (დიალექტური თუ სხვა). გვიან, როცა საერთო სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა, აქ თავი მოიყარა ყველა ამ ათმა ნიშანმა (თავიდანვე, უნდა ვიფიქროთ, ყველა მათგანი ერთი ფუნქციით იხმარებოდა—მხოლოდ მესამე სუბიექტურ პირს აღნიშნავდა), რაც ხელის შემშლელ ფაქტორად იქცა. ასეთ შემთხვევაში, როცა ენაში ერთი და იმავე ფუნქციით რამდენიმე ფორმანტი ან სიტყვა იხმარება, დროთა ვითარებაში ენა ცდილობს, ერთ-ერთი დატოვოს, ხოლო მეორე (სხვები) ან გააძევოს ენიდან, ანდა მათ მნიშვნელობა შეუცვალოს, სხვა ნიუანსით, დავიწროებული თუ გაფართოებული მნიშვნელობით გამოიყენოს. ამის მაგალითები ქართულში და. საერთოდ, ქართველურ ენებში ბევრია.

მესამე სუბიექტური პირის ნიშნებსაც ეს ბედი ეწია: მათგან ზოგი დროთა ვითარებაში სულ გაქრა (ღ ...), ზოგმა ერთხანს ცადა მათთვის დაკისრებული სხვა, უცხო, ფუნქციების შესრულება, მაგრამ შემდეგ გადავარდა. ამ უკანასკნელ რიგს განეკუთვნება აწმყოს ხოლმეობითის მესამე პირის ნიშნები ნ და ედ. მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა სიმრავლემ აიძულა ისინი, ერთხანს სხვა ფუნქციები ეკისრათ — ხოლმეობითობა გამოეხატათ.

მამასადამე, რაკი ამ ხოლმეობითის გაჩენა და წარმოშობა მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის ნიშნებთანაა დაკავშირებული. ცხადია, სხვა პირების არსებობა არც იყო მოსალოდნელი და სინამდვილეშიც არ ყოფილა<sup>66</sup>.

<sup>66</sup> ზ.სარჯველაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ აწმყოს ხოლმეობითი არ იყო პირნაკლი მწკრივი. I და II სუბიექტური პირები მას აწმყოსთან ჰქონდა საერთო და მხოლოდ III პირი ჰქონდა საკუთარი და განსხვავებული: ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, 1975, გვ. 149—151; მისივე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი. 1984, გვ. 425—427. მაგრამ ამ შეხედუ-

თვით მესამე პირის ნიშნებიდან ყველაზე მეტად დ. ნ (მხ.) და ულ (მრ.) დაზარალდნენ. თანხმოვნებიდან ყველაზე გამძლე ს გამოდგა. იგი დარჩა მხოლოდობით ც (წერ-ს) და მრავლობით ც (წერ-ეს).

ნ. ელ სუფიქსების ჩამოშორება და გაძევება უშთავრესად საშუალო ქართულში მოხდა. ახალ ქართულში ნ. ელ-ის ნაშთიც კი არსად გვხვდება სალიტერატურო ენაში.

ე) აწმყოს ხოლმეობითის წარმოებაც ისეთივეა. როგორც აწმყოსი. სახელდობრ:

ა. აქაც ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები მხოლოდ აწმყოს ხოლმეობითა და არა სხვა რაიმე მწკრივი: წერ-ნ და დასწერ-ნ. ჭამ-ნ და შემჭამ-ნ. კრებ-ნ და შეკრებ-ნ. აქებ-ნ და შეაქებ-ნ. ატფობ-ელ და განატფობ-ელ. თარგმანებ-ელ და გამოსთარგმანებ-ელ. თხრი-ელ და აღმოსთხრი-ელ და სხვ.

ბ. იტყვ-ნ. იტყვ-ელ. ეტყვ-ნ. ეტყვ-ელ. მეტყვ-ნ. გეტყვ-ნ. მეტყვ-ელ ...

ც. იცი-ნ. იცი-ელ. უწყი-ნ. უწყი-ელ.

დ. არ-ნ. არი-ელ. აქ არ გვხვდება არც არი-ნ (თუმცა სავსებით მოსალოდნელი იყო) და არც: არ-ელ (არც იყო მოსალოდნელი).

ე. აწმყოს ხოლმეობითი ხშირად გვხვდება აგრეთვე სტატიკურ ენბითებში. ეს ამ ტიპის ზმნათა ბუნებითაც აისხნება — ჰმოსიენ, უყრიენ, ჰნთიენ, ჰგონიენ... უფრო მეტად და ხშირად განგრძობილ მოქმედებას (მდგომარეობას) გულისხმობს: აცვია (ეცვა) ხოლმე, სულ ხელში უჭირავს (ეჭირავ) ხოლმე... როგორც ცნობილია. ამ ტიპის ზმნები უნდა ჰქონდეს აღებული საფუძვლად I თურმეობითის ი-ე-ს წარმოებას (შეუძმოსიეს, შეუყრიეს...), ამიტომ ნარიან (ხოლმეობითის) ფორმებს იქაც ხშირად ვხვდებით, მაგრამ ამაზე საცუილურად ქვემოთ ვიტყვი.

ფ. ავიანი და აძიანი ზმნების უღლებაც ერთგვარია: მრავლობითში თემის ნიშანი აქაც იკუმშება: კლვ-ელ. ილოკვ-ელ. იმარხვ-ელ. განიზრახვ-ელ. შეაბმ-ელ. განირთხმ-ელ. სუმ-ელ. განასხმ-ელ. შთაიცუმ-ელ.

გ. განჰმან-ნ. დგან-ნ. მოუვლენ-ნ. მოითმენ-ნ. ურქენ-ნ. ისმენ-ნ. დაუფენ-ნ. აქუნ-ნ. იღრჭენ-ნ. ჩან-ნ. აღუწენ-ნ. წონ-ნ.

აქამდე ჩვენ ვსჯელობდით აწმყოს ხოლმეობითის ისეთ ფორმებზე, რომლებსაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად (მხ. რ.) ნ სუფიქსი აქვთ: წერ-ნ, ჰგონიენ-ნ. ჰმოსიენ-ნ, უყრიენ-ნ, ჰნთიენ-ნ და სხვ. უფრო ადრე ასეთსავე შემთხვევებში საინანი ფორმები აწმყოს მწკრივის შესწავლისას განვიხილეთ (წერ-ს, ჰგონიენ-ს, ჰმოსიენ-ს, უყრიენ-ს, ჰნთიენ-ს...). მაგრამ ძველ ქართულში ასეთ შემთხვევებში (ამ ფუძით) არის კიდევ მესამეანი, დ სუფიქსით წარმოდგენილი, ფორმები: იგი მას ჰგონიენ-დ. ჰმოსიენ-დ, უყრიენ-დ, ჰნთიენ-დ... რა ფორმებია ესენი? სად უნდა მიეჩინოს მათ ადგილი? დ სუფიქსიანი ფორმები (ჰმოსიენ-დ) თავისი შინაარსით ისევე უპირისპირ-

---

ლებს ვერ დავთანხმებთ. II ხოლმეობითისა და წყვეტილის დამთხვევის მაგალითების მოშველიება არ არის აქ მოსაძიანი. რადგან ეს ეხება მხოლოდ ღონიან ზმნებს. ფონეტიკური მიზეზებით არის გამოწვეული და. მაშასადამე, მეორეულია. აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ნაჯარაუდვეი დამთხვევა I და II სუბიექტურ პირებში კი ყველა ზმნას მოიცავს. ამავე დროს ამ დამთხვევას არავითარი საფუძველი (არც ფონეტიკური. არც მორფოლოგიური და არც სხვა სახის) არ გააჩნია.

დებიან ს სუფიქსიანებს, როგორც ნ სუფიქსიანი (კ-მოსიე-ნ) — იმავე სანიანებს, ე.ი. ღ და ნ ერთმანეთს უდგას გვერდით და თანაბრად უპირისპირდება ს-ს. მაშასადამე, კ-მოსიე-ღ, უყრიე-ღ და სხვა მათი მსგავსი ფორმები ისევე აწმყოს ხოლმეობითი ყოფილა. ამას კარგად გვიჩვენებს შემდეგი მაგალითი: "ცხედრები ყოლად ოქროისად მელგა. დაგებული საგებელითა დიდად პატოსნითა, იგი დაუტყვე და მომცა ღმერთმან ესე ლოგინი და ტყავი; და კუალად სამოსელი, რომელი მშოსიედ. მრავალ სასყიდლისად ღირნ, მის წილ მშოსიეს ესე სამოსელი შეურაცხი" (ნოე, II, 254,3). ე.ი. წინათ ძვირად ღირებული სამოსელი მეცვა ხოლმე (მშოსიედ), ახლა კი მის ნაცვლად უბრალო (არაფრად ჩასაგდები) სამოსელი მაცვიო (მშოსიეს). მშოსიედ ფორმის ხოლმეობითობას განაზავს აგრეთვე მომდევნო ზმნის ხოლმეობითი ღირნ, რომელიც ნ სუფიქსითა დადასტურებული. მაშასადამე, მშოსიედ და ღირ-ნ ერთი შინაარსისა და ერთი მწკრივის ფორმებია, ისინი თანაბრად უპირისპირდებიან მშოსიეს-ს, რომელიც იქვეა ნახმარი წინა ორის დასაპირისპირებლად. მშოსიედ და ღირნ ფორმებთან შემთხვევით არ არის ნახმარი წყვეტილის ფორმა მელგა (ცხედრები ყოვლად ოქროისად მელგა) — მქონდაო: აწმყოს ხოლმეობითი ჩვეულებრივ სწორედ წარსულ დროს გამოხატავს.

ასევე აწმყოს ხოლმეობითია აგრეთვე უყრიე-ღ რაც კარგად ჩანს კონტექსტში: "გვთხრობდეს ვიეთნიმე მამისა აგათონისთვის, რამეთუ ისწრაფდა ყოველთა მცნებათა: და თუ ნავითა ვიდრე წარვალნ, ნიჩაბი წინაით მას უყრიედ, და თუ ძმანი მოუვდან, ვითარცა ლოცვა ადასრულიან, მეყსეულად ველნი მისნი ტაბლასა დააგებედ. რამეთუ სავე იყო სიყუარულითა ღმრთისაითა (ნოე, II, 24,11). უყრიედ — (ნიჩაბი) მას ეყრა (ეჭირა) ხოლმეო. უყრიედ ფორმის ხოლმეობითობას განაზავს მის ირგვლივ (წინ და უკან) ნახმარი ხოლმეობითები: აწმყოს ხოლმეობითი წარვალნ, დააგებედ. II ხოლმეობითი მოუვდან, ადასრულიან.

აბგვარად, აწმყოს ფუძით წარმოდგენილი ღონიანი ფორმები (მშოსიედ, უყრიედ, მასმიედ ...) ნარიანებს უნდა დაუდგეს გვერდით და აწმყოს ხოლმეობითად უნდა იქნეს მიჩნეული. ორივე ესენი თანაბრად დაუპირისპირდება აწმყოს, რომელიც სანით არის გამოხატული (მშოსიეს, უყრიეს...).

მართალია, ეს ღონიანი აწმყოს ხოლმეობითი მხოლოდ სტატიკურ ვნებითში გვხვდება და სხვაგან არაა დადასტურებული, მაგრამ ამას აქვს გამართლება: სხვა ტიპის აწმყოს ფუძეზე დ-ს დართვა უწყვეტელსა და I ბრძანებითთან დამთხვევას გამოიწვევდა და წარამარა გვექნებოდა სრულიად სხვადასხვა შინაარსის თანხვედნილი ფორმები. მაგალითად:

აწმყ.ხ.	უწყვ. I ბრძ.
*წერ-ღ	წერ-ღ
*ჰყოფ-ღ	ჰყოფ-ღ <sup>7</sup>

რაც შეეხება სტატიკურ ვნებითს, აქ ეს დამთხვევა არ არსებობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამათ უწყვეტელი და I ბრძანებითი (საერთოდ, I სერიის სხვა

<sup>7</sup> მხოლოდ ავიანი და ამიანი ზმნები მოგვეცადა განსხვავებულ ფორმებს (სტანჯავედ — სტანჯევედ, სუამდ — სუამდ...). მაგრამ ამასაც შედარებით გვიან. უფრო ადრე (თავიდანვე) აქაც სრული დამთხვევა იქნებოდა.



მწკრივები აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის გარდა) არ გააჩნიათ. ამ დანაკლისის ისინი იყებენ II სერიის ფორმებით, სადაც მათ ენიანი წარმოება ენაცვლება: მპოსი-ეს — ემოსა, უყრიეს — ეყრა, ჰეეს — ევო.

ღ-ს თავისი, საკუთარი, მრავლობითის ფორმა არა აქვს. ის ისევე ელ სუფიქსს იყენებს, რომელიც ნ-ს კორელატა მრავლობითში. ქართულში, საერთოდ, შეუძლებელია ერთსა და იმავე მწკრივში მხოლობით-მრავლობითის ნიშნებად იყოს:

ს და ეს

ნ და ენ (ან)

ღ და ეღ.

ესენი სხვადასხვა მწკრივებში ღგანან ერთმანეთის კორელატებად:

წერ-ს,

მაგრამ:

წერ-ენ

წერღე-ს

წერღე-ნ

წერო-ს

წერო-ნ

უწერიე-ს

უწერი-ან.

ასევეა სხვებიც. ამიტომ ეფიქრობთ ჩვენ, რომ აწმყოს ხოლმეობითის ელ ნიშანი მხოლობითში ნ-ს შეისატყევისებს.

დასასრულ. უჭევენებთ დამახასიათებელ ნიმუშებს ძველი ძეგლებიდან:

A) ნ/ღ: ანუ არა ესე არსა, რომლითა სუამ უფალი ჩემი და იგი იზმნი? (დაბ. 44.5); პიტასში...მკედრ მიმოდასდევნინ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა (შუშ. 138.28); ვამი მათი. ვითარცა ვამი ანგელოზისაი. შესმინ (ევსტ. 148.16); ვითარცა ქარი ცუარისაი რამ ნაიუინ (გალობ. 7,25); შავად ჰხილავნ თუალი იგი საფირონი (თუალთ. 13,14); ნურამ გაქუენ გზასა ზედა. ნუცა ორი სამოსელი გაქუენ (ლ. 9.3. გაქუენ ¶გაქუენნ); მამაი გრიგოლ...უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ (ხანძთ. 224,38); მარხვათა ყოვლადეე არა ზრახვენ (ისტ. ქრ. I, 180.29); თითოეული მათი მარტოი სენაკსა იყოფინ და არავინ უწყინ. რასა-იგი იქნ (იქვე, 182.27); სული წმიდაი იხარებნ შორის მათსა. და მამაი იღიდებინ...და ქეელის-მოქმედებაი მისაი იქადაგებინ (აბო 160.10); მარადის ისმენნ...და იკითხვენ და ისწავებნ. ხოლო რომელთამე ... წინა-ალუღებინ. არამედ მიზეზ სწავლის ექნებინ (იქვე, 164.1); რაჟამს ვალნ იგი. გინა თუ ზუაობნ. სული ეცის მონადირეთაი და კუდითა თვსითა კუალსა მას შეჭყუნინ (სახ. 236,2); ისუნებნ: იფქლისაიძი არნ ანუ ქრთილისაი. თუ ქრთილისაი არნ, ივლტინ მიერ და იფქლისასა მას მივიდის (იქვე, 238.26); ხოლო ქერიი იგი ფრიად აწყინებდა მას და მოვალნ მისა ზედაის-ზედა უწყინოდ და თაყუანის-სცებნ მას და შეუერღებინ, ტირნ, ცრემლოვინ, მოეხუევინ ფერვთა მისთა. აკოცებნ მუკლთა მისთა, ამბორს-უყოფნ ველთა მისთა. ხოლო მსაჯული იგი ჰრისხვენ მას და აგინებნ და განაბებნ გარე. არამედ ზინ იგი წინაშე მისსა, აწყინებნ და ეტყვენ მას: მისაჯე მე მოვალისა ჩემისაგან (ბოლნ. 50,13-20).

ღლე და ღამე დააღტობნ სარეცელსა თვსსა ცრემლითა და განჰბანნ მას ნაკადულითა თუალთაგან ჩამობდინარითა (ასურ. 15,33); ვითარცა მონაი რამ ღგანნ წინაშე უფლის თვსისა (ბაღ. 108,8; 119,27); მრავალთა სიტყუათა მოუკლენ და აწყინებნ (ლიმ. 12,32); ყოველსა მოითმენნ (სწავ. 255,19); რომელი ღგან (§ღგანნ) და ისმენნ მისა (ი. 3.29 C); ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცვენ

და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თვისითა (აბო 169,4); აქუნნ მის თანა პური და წყალი (ლმ. 9,2); პეროვინ და ილრჭენნ კბილთა და განჯუმბინ (მრ. 9,18); ელვაი ... ჩანნ ვიდრე დასავალადმდე (მ. 24,27); ოდესმე მცოკოვანი ჩანნ და ოდესმე ჭაბუკი (კომ. I, 129,34); ნაყოვანსა მონაზონსა უბნნ, ოდეს ესმინ მარხვაი (Sin. 35; 27vb,9 ქვ.); ესეითარი ოგი მსგავს არს, რომელი წონნ ქართა (აღწ. 71,10).

არამელ ვერევე ჭგინ. ვითარცა-ოგი არნ (თუალთ. 25,25); რაეამს ჭგონიენ მამალსა მას. თუ შეეხო დედალსა, მუნქუესვე მოკუდის მამალი ოგი (სახ. 236,35); დიდად პატიოსანი სამოსელი ჰმოსიენ მაგას (ნოვ. II, 14,15); სადა-ოგი მუნ არნ (პარხ. 441a); ყოველსა მას ცხორებასა მისსა ზინ რაი ველთ-საქმარსა, მრუარი უჭრიენ უბეთა შინა ცრემლთა მათთვს, რომელნი გარდამოცვევიდ თუალთაგან მისთა (ნოვ. II, 16,7); უკუეთუ ვიხილი ძმაი, რომლისათვის მასმინ ბრალი რაიმე, არა მინებნ შეყვანაი მისი სახელ ჩემდა (იქვე, 175,4 A).

ცოდვილნიცა ჰყუარობედ მოყურეთა მათთა (ლ. 6,32); ცოდვილნიცა ცოდვილთა ზავსხებულ (ლ. 6,34 Y); შებორკილიან ოგი ჯაჭვთა და საკრეკლითა და სკეედ (ლ. 8,29); მდიდარნი ველშიფიებულ მათ ზედა (მ. 20,25); ველნი ჩუენნი ნუ მიყოფიედ მას ზედა (დაბ. 37,27); რჩული ქრისტეანობისაი იციედ კაცთა (ეგესტ. 154,23); მეფენი წარმართთანი უფლებულ მათ ზედა (ლ. 22,25); რომელნიმე მათგანნი ამინებულ მას და ეტყვედ (აბო 169,1); შიშით ღვანედ, ვითარცა ზეცას წინამუღმრთისა (ხანძთ. 215,8); მღვდარე არიედ თუალნი მისნი, რამეთუ ზე უხილვედ (სახ. 236,5); ჭგონებულ, ვითარმედ მრავლის-მეტყუელებითა მათითა ისმინოს მათი ღმერთ-მან (მ. 6,7); ისწრაფიედ განკურნებად და მსახურებად მათა (კომ. II, 208, 29); თავანის-სცემულ და ისწავებულ საკრეველსა მას მოძღურებასა მისსა და იხარებულ (იქვე, 182,20); შეეწვიენ, რომელნი შურებიედ შმნებასა მის ადგილისასა (იქვე, 169,23); რომელსა არა ასხედ თუალნი (ეს. 59,10 O); რომელსა თუალნი ხოლო ელმოდ (Sin. 35, 255r); ყრმანი რაი იძღერიედ ბურთვთა მიმოგდებით (Sin. 36, 301b, 4 ქვ.); ვითარცა ვძობედ რაი მყურანი და ვითარცა ფუიედ ჯინჭველნი (Опнс. 123,13); ძირნი მისნი ორწყვიედ (ურთ. 200,13); თითო-პირითა სახიობითა შემკობილნი აწყინებულ და ოდესმე ებრძვედ და ზედა მოჭკრებიედ განშიშულებულნი და ეტყვედ მრავალსა სიტყუასა აღძრვისასა და მოავსენებულ ... ოგინიცა მის თანავე ასხდიან ჰუნეთა და არბევედ ... და აწუევედ ნებასა მეფისასა და დაუცხნიედ შეჯულსა მისსა (ბალ. 124, 23-28).

B) ზ: ოგი არა შეწუნის...და ყოველსა სიტყუასა ზედა და საქმესა განმტკიცებული შეუცთობელად ჭგიედ საესე ყოვლითა საქმითა კეთილითა (სწავ. 237,10); ხოლო მას ესრტთ ჭგონიედ თავი, ვითარცა მსახური (Sin. 35, 163 ra, 18); აღსა რაი შევიდის, განაკურცხლებულ ჭგონიედ (უდაბ. 53vb).

ჰმოსიედ სამოსელი (Sin. 35, 204vb, 12); წულილად დაკერული სებენისაი ჰმოსიედ (იქვე, 286ra, 11 ქვ. შდრ. იქვე; ხოლო აწ ეგერა მრავალ-სასყიდლისაი გუმოსიეს. მამა-პაპებს ძველი და დაკერებული სამოსელი ეცკათ ხოლმე, ხოლო ჩვენ ახლა ძვირფასი სამოსელი გვაკვიარ. აქაც სანანნი ფორმა ერთგ ზისობას უჩვენებს, ღონიანი კი — მრავალგ ზისობას); სახმ, რომელი ჰმოსიედ მოძღურასა, ოგი ვერ შეიმოსიან მოწაფეთა (Sin. 36, 26b, 5); დადგა სამოსელი თვისი და სამკაული ჩუეუ

ლებისა, რომელი ჰმოსიოდ შეუეთა (Sim. 11, 390v, 3 ქვ.); რომელ ჰმოსიოდ სამოსე-  
ლი იგი (თუალოთ. 72,31-32); არა შეიშოსის მან მატყლისა სამოსელი, არამედ ჰმოსი-  
ოდ მას სელისა სამოსელი (კომ. II, 98,12 = A-95, A-19-ში /სენ. მრავ./ ჰმოსიონ  
იკითხება: ისტ. ქრ. I, 242,11. ორივე აწმყოს ხოლმეობითა); თუ ვინმე იხილის იგი  
/სამოსელი/. ვითარცა ანტონის ქსედავენ: და ოდეს შეიშოსიან. ვითარცა მოძღუერება  
მისი ვერე ჰმოსიოდ (უდაბ. 362).

არა თუ დღისი ჩანნ ბრწყინვალეება მისი, არამედ ღამე შორით ვითარცა  
სანთელი ჰნთიოდ (თუალოთ. 11,32); თუალოთა წინაშე მიჰყრიოდ იგი /საკუდილი/ (Sin.  
35, 307ra); შსგავს არს ეგვიტარი იგი კაცსა, რომელსა ყანა უჰყრიოდ და ნაყოფი  
მისი ჭიათა დაუჰჰამოდ (ნოვ. II, 192,15); მოაჩქვს მუცელი და ვსნილად უჰყრიოდ  
(თუალოთ. 6,29); უკუჯო ვიხილი ძმა: რომლისათვის მასმიოდ ბრალი რაიმე, არა  
მინებნ შეყვანება მისი სახიდ ჩემდა (ნოვ. II, 175,4 B); რომელსა-იგი ვეტყოდი,  
უწყის ქრისტემან, რამეთუ არავისგან მასმიოდ გინა მისწავთოდ (რავახ. 93,25);  
/სხუათა/ არა უფლიოდ ნებას მისლუად (2 ეზრა 4,11).

### საქრატონიანი მჰკარივები

აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ანალიზისას ჩვენ ყველა ზნა არსებითად  
ერთად განვიხილეთ, ერთი საერთო ყალიბით, იმის განურჩევლად, რა გვარისა იყო.  
რა შინაგან ტიპებს განეკუთვნებოდა თითოეული მათგანი. ამის მიზეზი ის გარემოება  
იყო, რომ სუფთა ფუძეს, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ თემის ნიშნით იყო გართულე-  
ბული, არ ერთოდა ფუძის სხვა რაიმე მანარმოებელი. ამიტომ ყველა დაახლოებით  
ერთნაირი წესით იუღლებოდა. უწყვეტელსა და მომდევნო სამ მწკრივს კი I სერიაში  
(I ბრძანებითს, უწყვეტლის ხოლმეობითს, I კავშირებითს) ფუძის ბოლოს ერთვის  
ფუძის საწარმოებელი სუფიქსი, ვერეთწოდებული საერკობი დ ან ოდ. ამ სუფიქსე-  
ბის დართვას უღლებამი დიდი ცვლილებები მოჰყვება, ამასთან, ოდ-ს გაცილებით  
უფრო მეტი და რთულიც. ამიტომ ჩვენ ახლა ყველა ზნა ორ ჯგუფად უნდა გავყოთ  
— ღონიანებად (წერ-დ-ა, ჰყოფ-დ-ა, ჭამ-დ-ეს, განიზრახვი-დ-ეს) და ოდიანებად  
(ტირ-ოდ-ა, იტყ-ოდ-ა, ევედრებ-ოდ-ა, იელტ-ოდ-ეს). ამათი უღლება I სერიის ოთხ  
დანარჩენ მწკრივში სულ სხვადასხვანაირად ხდება და ამიტომ ისინი ცალ-ცალკე  
უნდა განვიხილოთ. ამასთან, როგორც ითქვა, ღონიანი ზნეები შედარებით ნაკლები  
სირთულეებით ხასიათდება, ოდიანები კი — მეტი თავისებურებით. ისინი ამ ტიპის  
ზნეების დღევანდელი უღლებისაგან ძალიან შორს დგანან და ასათვისებლადაც  
ძნელია. ამიტომ მეთოდურად სჯობია, ჯერ ღონიანები შევისწავლოთ, ხოლო ამის  
შემდეგ — ოდიანები.

სანამ უშუალოდ უღლებაზე გადავიდოდეთ, სასარგებლო იქნება, მოვიგონოთ,  
თუ რომელია ღონიანი ზნეები და რომელი — ოდიანები.

ღონიანია (დ-ს ირთავს საერკობად) ყველა მოქმედებითი გვარის ზნა: წერ-დ-  
ა, ჰყოფ-დ-ა, სუმი-დ-ა, უწუნებ-დ-ა, მისცემ-დ-ა, აკურთხევ-დ-ა, მოსრვი-დ-ა.  
გამონაკლისია 5 ზნა, რომელთაც ოდ საერკობი აქვთ. ესენია: მბრძ-ოდ-ა, იქმ-ოდ-ა,  
იკ-ოდ-ა, უწყ-ოდ-ა და ქხად-ოდ-ა. ამთ თავისებური ისტორია აქვთ და ამით აიხს-

ნება მათი განდგომა საერთო წესიდან. სხვას ყველას ღონი აქვს საერცობად.

ოღანი (ოღ-ს დაირთავს საერცობად) ყველა ვნებითი გვარის ზმნა: იმალებ-ოღა, ეკედრებ-ოღა, დაბერდებ-ოღა, ტყუებ-ოღა. გამონაკლისა რამდენიმე ზმნა, რომელთაც ვნებითი გვარის საწარმოებელი ე პრეფიქსი აქვთ, მაგრამ მაინც დ-ს ირთავენ. ესენია: ეგლოვ-ღა, ეზავობ-ღა, ეკიცხევ-ღა, ემღერ-ღა, ენუკევ-ღა, ერჩ-ღა, ესვი-ღა, ეტყებ-ღა, ეშურობ-ღა, ეშულობ-ღა. ამათი წარსულიც, წარმოშობაც თავისებურია და ქვემოთ იქნება გარკვეული.

რაც შეეხება საშუალი გვარის ზმნებს, მათგან უმეტესობა დ საერცობით არის წარმოდგენილი, როგორც მოქმედებითი (უყუარ-ღა, სშულ-ღა, ავსოვ-ღა, სმაგ-ღა, სთნ-ღა, ყფუ-ღა), გაცილებით ნაკლები — ოღ-ით, როგორც ყველა ვნებითი (დი-ოღა, რბი-ოღა, სთრ-ოღა, ყი-ოღა, სურ-ოღა, სწყურ-ოღა, ჰმში-ოღა, ტირ-ოღა...).

განვიხილოთ ეს ორი ჯგუფი ცალ-ცალკე.

### ა. ღონიანი ზმნები

თვით ღონიან ზმნებშიც არაა ერთიანობა. აქ სულ სხვანაირად (და საკმაოდ რთულად) ითვლის ავ და ამ თემისნიშნის ზმნები, ხოლო სხვანაირად (და შედარებით მარტივად) — სხვები, სახელდობრ: ებ, ევ, ობ, ი, ოფ, ემ თემისნიშნის, უთემისნიშნო და ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკადი) ზმნები. ეს უკანასკნელი უფრო ახლო დგანან ახალი ქართულის სათანადო ზმნების უღლებასთან. ამიტომ მეთოდურად უფრო გამართლებული იქნება, სწორედ ამ ტიპის ზმნებით დავიწყოთ.

აქ არის მასალის დალაგების ორი გზა:

ა) ამოსავლად ავიღოთ მწკრივი და ჯერ ამ მწკრივში განვიხილოთ ყველა ტიპის (ჩვენს შემთხვევაში სამი ჯგუფის) ზმნები, მერმე — მეორეში, მესამეში, მეოთხეში.

ბ) ამოსავლად ავიჩიოთ ცალკე ჯგუფის ზმნები და რიგრიგობით განვიხილოთ ისინი ყველა მწკრივში, მერმე დაეუბრუნდეთ მეორე ჯგუფის ზმნებს, მერმე — მესამისას და ასე ბოლომდე.

ჩვენ ეს მეორე გზა მიგვჩინა მეთოდურად უფრო გამართლებულად. რადგან მთავარია, ცალკე ჯგუფის თავისებურებას ჩაეწყვეთ სხვადასხვა მწკრივში უღლებისას. ასე უფრო ადვილია შეთვისება.

### 3. უწყვეტელი

უწყვეტელს დ საერცობიან ზმნებში მწკრივის ნიშანი არა აქვს. S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირების მრავლობითი რიცხვის ფორმებში დ საერცობსა და მრავლობითობის თ ბოლოსართს შორის ჩნდება თანხმოვანთგასაყარი ი, რომელიც ზოგჯერ მხოლობითის ფორმებშიც გადადის. უღლების პარადიგმების ჩვენებისას ჩვენ მას ფრჩხილებში ესკამთ.

## უთემისნიშნონი

ე-წერ-დ-(ი)	და-ე-ს-წერ-დ-(ი)	ე-ბან-დ-(ი)
ს-წერ-დ-(ი)	და- ს-წერ-დ-(ი)	პ-ბან-დ-(ი)
წერ-დ-ა	და- ს-წერ-დ-ა	ბან-დ-ა
ე-წერ-დ-ი-თ	და-ე-ს-წერ-დ-ი-თ	ე-ბან-დ-ი-თ
ს-წერ-დ-ი-თ	და- ს-წერ-დ-ი-თ	პ-ბან-დ-ი-თ
წერ-დ-ეს	და- ს-წერ-დ-ეს	ბან-დ-ეს

## ხმოვანმონაცვლენი

ე-კრებ-დ-(ი)	შე-ე-პ-კრებ-დ-(ი)	ე-დრეკ-დ-(ი)
პ-კრებ-დ-(ი)	შე- პ-კრებ-დ-(ი)	ს-დრეკ-დ-(ი)
კრებ-დ-ა	შე- პ-კრებ-დ-ა	დრეკ-დ-ა
ე-კრებ-დ-ი-თ	შე-ე-პ-კრებ-დ-ი-თ	ე-დრეკ-დ-ი-თ
პ-კრებ-დ-ი-თ	შე- პ-კრებ-დ-ი-თ	ს-დრეკ-დ-ი-თ
კრებ-დ-ეს	შე- პ-კრებ-დ-ეს	დრეკ-დ-ეს

## ე თემისნიშნანნი

ე-ღებ-დ-(ი)	და-ე-ს-ღებ-დ-(ი)	ე-ა-ქებ-დ-(ი)
ს-ღებ-დ-(ი)	და- ს-ღებ-დ-(ი)	ა-ქებ-დ-(ი)
ღებ-დ-ა	და- ს-ღებ-დ-ა	ა-ქებ-დ-ა
ე-ღებ-დ-ი-თ	და-ე-ს-ღებ-დ-ი-თ	ე-ა-ქებ-დ-ი-თ
ს-ღებ-დ-ი-თ	და- ს-ღებ-დ-ი-თ	ა-ქებ-დ-ი-თ
ღებ-დ-ეს	და- ს-ღებ-დ-ეს	ა-ქებ-დ-ეს

## ევ თემისნიშნანნი

ე-ა-კურთხ-ევ-დ-(ი)		ე-ს-ძლ-ევ-დ-(ი)
ა-კურთხ-ევ-დ-(ი)		ს-ძლ-ევ-დ-(ი)
ა-კურთხ-ევ-დ-ა		ს-ძლ-ევ-დ-ა
ე-ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ		ე-ს-ძლ-ევ-დ-ი-თ
ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ		ს-ძლ-ევ-დ-ი-თ
ა-კურთხ-ევ-დ-ეს		ს-ძლ-ევ-დ-ეს

## ობ თემისნიშნანნი

ე-ა-ტფობ-დ-(ი)	გან-ე-ა-ტფობ-დ-(ი)	ე-ს-ცნობ-დ-(ი)
ა-ტფობ-დ-(ი)	გან- ა-ტფობ-დ-(ი)	ს-ცნობ-დ-(ი)
ა-ტფობ-დ-ა	გან- ა-ტფობ-დ-ა	ს-ცნობ-დ-ა
ე-ა-ტფობ-დ-ი-თ	გან-ე-ა-ტფობ-დ-ი-თ	ე-ს-ცნობ-დ-ი-თ
ა-ტფობ-დ-ი-თ	გან- ა-ტფობ-დ-ი-თ	ს-ცნობ-დ-ი-თ
ა-ტფობ-დ-ეს	გან- ა-ტფობ-დ-ეს	ს-ცნობ-დ-ეს

ი თემისნიშნანი

ე-თლ-ი-დ-(ი)	გამო-ე-ს-თლ-ი-დ-(ი)	ე-ყრ-ი-დ-(ი)
ს-თლ-ი-დ-(ი)	გამო- ს-თლ-ი-დ-(ი)	ჰ-ყრ-ი-დ-(ი)
თლ-ი-და	გამო- ს-თლ-ი-და	ყრ-ი-და
ე-თლ-ი-დ-ი-თ	გამო-ე-ს-თლ-ი-დ-ი-თ	ე-ყრ-ი-დ-ი-თ
ს-თლ-ი-დ-ი-თ	გამო- ს-თლ-ი-დ-ი-თ	ჰ-ყრ-ი-დ-ი-თ
თლ-ი-დ-ეს	გამო- ს-თლ-ი-დ-ეს	ყრ-ი-დ-ეს

უმ თემისნიშნანი

ე-ს-ც-უმ-დ-(ი)	მი-ე-ს-ც-უმ-დ-(ი)	და-ე-ს-ც-უმ-დ-(ი)
ს-ც-უმ-დ-(ი)	მი- ს-ც-უმ-დ-(ი)	და- ს-ც-უმ-დ-(ი)
ს-ც-უმ-და	მი- ს-ც-უმ-და	და- ს-ც-უმ-და
ე-ს-ც-უმ-დ-ი-თ	მი-ე-ს-ც-უმ-დ-ი-თ	და-ე-ს-ც-უმ-დ-ი-თ
ს-ც-უმ-დ-ი-თ	მი- ს-ც-უმ-დ-ი-თ	და- ს-ც-უმ-დ-ი-თ
ს-ც-უმ-დ-ეს	მი- ს-ც-უმ-დ-ეს	და- ს-ც-უმ-დ-ეს

ოფ თემისნიშნანი

ე-ჰ-ყოფ-დ-(ი)	გან-ე-ჰ-ყოფ-დ-(ი)	და-ე-ჰ-ყოფ-დ-(ი)
ჰ-ყოფ-დ-(ი)	გან- ჰ-ყოფ-დ-(ი)	და- ჰ-ყოფ-დ-(ი)
ჰ-ყოფ-და	გან- ჰ-ყოფ-და	და- ჰ-ყოფ-და
ე-ჰ-ყოფ-დ-ი-თ	გან-ე-ჰ-ყოფ-დ-ი-თ	და-ე-ჰ-ყოფ-დ-ი-თ
ჰ-ყოფ-დ-ი-თ	გან- ჰ-ყოფ-დ-ი-თ	და- ჰ-ყოფ-დ-ი-თ
ჰ-ყოფ-დ-ეს	გან- ჰ-ყოფ-დ-ეს	და- ჰ-ყოფ-დ-ეს

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის ზმნების უღლება მთლიანად არ ემთხვევა თანამედროვე ქართულისას. რაშია მიზეზი სხვაობა?

1. ერთ-ერთი განსხვავება ისაა, რომ ახალ ქართულში I და II პირის ფორმებს დ საერცობის შემდეგ უკვეყლად მოუღის ი ხმოვანი: დეწერდი, განებანი, მოედრეკდი და სხვანი, ძველში კი იგი ხან იყო და ხან არა. აი, მაგალითად, შემთხვევები, როცა ჩვენთვის საინტერესო ი არაა წარმოდგენილი:

ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტერთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდ!  
(ლ. 11.27 C). ეს ადიშის ხელნაწერია. ასეა აგრეთვე ტბეთის (B) ოთხთავშიც. სხვაგან (ADEFHGHIK...) ინიანი ფორმა: სწოვდი. ძველებური (სწოვდ ტიპის) ფორმები დიდი რაოდენობითაა დაცული, მაგალითად, Sin. 97 ხელნაწერში, რომელიც, საერთოდ, არქაულობით ხასიათდება: განვიზრახვედ<sup>98</sup> (30,30<sup>99</sup>); ეკონებდ

<sup>98</sup> ავ და ამ თემისნიშნან ზმნათა უღლება განსხვავებულია და მას ცალკე განვიხილავთ. მაგრამ ი ხმოვნის დართვის თვალსაზრისით აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც დ საერცობიან სხვა ზმნებში. ამიტომ წარმოვადგენთ ერთად.

(28.12: 31.13): გულისხმა-ჰყოფდ (7.5. ეს ბრძანებითა, მაგრამ უწყვეტელი და I ბრძანებითი ამ მხრივ სრულებით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან); სულთ-  
ვითქემდ (5.33); ეძებდ (9.20); ვიწროთი (7.18); ვჭამდ (9.15); ეხელევედ (27.34);  
აღოთქემდ /მენ/ (Sin.97, 165vb.4); განიგულეზდ (155ra,3); ვაიძულეზდ (257vb.  
11); იმარხევედ (162ra,11); მონაზონებდ (162ra,15); ფსალმუნებდ (172va, 11);  
იღუწილ (158ra,7; 270va,10); ვკყუარობდ (257va,9). 41 მაგალითიდან ამ სახითაა  
მოცემული 36. დანარჩენი 5 ფორმა კი ი-ს დაირთავს: ვპონებდი (260vb,19); მისდუ-  
ედი (188va,24); ვაიძულეზდი (257vb,18); უყუარდი მე (243va,16); ვისწრაფდი  
(ისტ. ქრ. II, 21,37)<sup>100</sup>.

საერთოდ, რამდენადაც ძველია ხელნაწერი და მასში ძველი ნორმებია დაცუ-  
ლი, სწოვედ ტიპის (უინო) მაგალითები მეტია: აქეთ და აქეთ კლებულობს უინო  
ფორმების რაოდენობა და თანდათან მატულობს ინიანებისა. დღეს კი სალიტერატუ-  
რო ენაში მხოლოდ და მხოლოდ ინიანი ფორმები გვაქვს (ეწოვედი, ვეძებდი და სხვ.).

რა არის ეს ი? რა წარმოშობისაა იგი? ი უნდა გაჩენილიყო პირველად მრავ-  
ლობითში: სწოვედ-თ, მისდევდ-თ, პონებდ-თ. მისი ფუნქცია იყო, გაეადვილებინა დ-  
სა და თ-ს გამოთქმა, რადგან დთ კომპლექსის გამოთქმა ძალიან ძნელი იქნებოდა. ი  
ამიტომ მხოლოდ ფონეტიკური ფუნქციითაა გაჩენილი<sup>101</sup>. მას თანხმობენთვასაყარს  
უწოდებენ. მრავლობითიდან იგი შემდეგ მხოლობითში გადავიდა ანალოგიით (ცნო-  
ბილი პრინციპის კვალობაზე: მხოლობითი არის იგივე მრავლობითი, მინუს თ. ამი-  
ტომ: სწოვედით — თ = სწოვედი): ეს ი ახლა უწყვეტლის მწკრივის ნიშნად ითვლება.

2. მეორე განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის მესამე პირის  
მრავლობითის გამოხატვაშია. ძველად ამ ფუნქციით მხოლოდ ეს სუფიქსი იხმარებო-  
და: წერ-დ-ეს, შეპკრებ-დ-ეს, მისცემ-დ-ეს, ჭამ-დ-ეს. დღეს კი ყველგან ნენ სუფიქ-  
სია გამოყენებული: წერ-დ-ნენ, შეპკრებ-დ-ნენ, მისცემ-დ-ნენ, ჭამ-დ-ნენ.

ძველი ქართულის ეს სუფიქსთან დაკავშირებით ერთი გარემოებაცაა აღსანიშ-  
ნავი: წერდეს, შეპკრებდეს, მისცემდეს ძველად. უწყვეტლის გარდა, I კავშირები-  
თის ფორმასაც წარმოადგენდა: წერ-დ-ეს, შეპკრებ-დ-ეს, მისცემ-დ-ეს. აქ სუბიექ-  
ტი მხოლობითში იყო, რაც ს სუფიქსით აღინიშნებოდა; დარჩენილი ე მწკრივის  
ნიშანი იყო. მაგრამ ეს ფორმის დაშლისას და ანალიზისას. მთლიანად კი ფორმა  
წერდეს საზიარო იყო: უწყვეტლისა (წერდ-ეს იგინი მას/მათ) და I კავშირებითისა  
(წერდ-ეს იგი მას/მათ): და ეს წარამარა გვხვდებოდა ენაში, რადგან ამ ორ მწკრივს  
დიდი გამოყენება ჰქონდა. შესაძლებელია, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი. უწყვეტლის  
ეს სუფიქსი ენ-ით რომ შეიცვალა. მაგრამ ახლა უკვე უწყვეტლისა და აწმყოს  
კავშირებითის (აგრეთვე ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის) მრავლობითის  
ფორმები ემთხვევა ერთმანეთს: წერდენ (წერდნენ) გუშინ დაეალებებს, დაწერდენ  
(დაწერდნენ) ნეტავი ხვალ დაეალებებს. ამათი გარჩევა უფრო ძნელია: ორივე

<sup>100</sup> Sin. 97-დან აღმოჩენილი მაგალითების ნაწილი მითითებულია "ქართული ენის ისტორიული  
ქრესტომათის" (ტ. II, 1963) მიხედვით.

<sup>101</sup> ნ. ამის შესახებ ი. თანაშელაძე, ქართული ენის ისტ. ქრესტ. II, გვ. 179—180.

<sup>102</sup> აჭიქიძეა. რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითი დასმული მორფოლოგი-  
ური ობიექტი ძველს ქართულში. ტშ. 9, 1929, გვ. 119.

მრავლობითია: ძველ ქართულში ერთი მაინც მხოლოდობით იყო (I კავშირებით), მეორე კი — მრავლობითში (უწყვეტელი).

რომ წერდეს და დასწერდეს, კრებდეს და შეკრებდეს ორივე უწყვეტელია და ზმნისწინების დართვას არა აქვს მნიშვნელობა ასპექტის, დროისა და მწკრივის რაობის გარკვევაში, ამაზე ზემოთ, ზმნისწინიანი აწმყოს მწკრივზე მსჯელობისას, უკვე იყო ნათქვამი. ზმნის პირის ნიშნებზე საუბრისას იყო აგრეთავე აღნიშნული, რომ, მაგალითად, წერს ზმნას, როგორც უზმნისწინო ორპირიან გარდამავალ ზმნას, არ უნდა ობიექტური პირის ნიშანი, ხოლო ზმნისწინიანს უეჭველად სჭირდება იგი. ამიტომ აქ ამ საკითხებზე აღარას ვიტყვით განმეორებით.

#### 4. I ბრძანებითი

ბრძანებითის ფორმებით (მწკრივებით) ძველი ქართული ერთობ მდიდარი იყო. I სერიაში (I სერიის საერცობიან ფუძეზე დაყრდნობით) I ბრძანებითი ჰქონდა, II სერიაში—მეორე. გვექონდა II პირის ბრძანებითი, III პირის ბრძანებითი. I პირის ბრძანებითი მხოლოდ მაშინ გვექნებოდა, როცა ეს პირი მრავლობითში იდგა— სხვებში გარეულ პირველ პირს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ჰბრძანებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში (I პირის ბრძანებითისთვის) ენას აღარ ჰქონდა საკუთარი ფორმა და ამ მიზნით კავშირებითის ფორმებს მიმართავდა (I ან II კავშირებითის): ვწერდეთ/ვწეროთ.

განვიხილოთ კონკრეტულად I ბრძანებითი.

##### ა) I ბრძანებითი II პირისა

I ბრძანებითი II პირისა არის იგივე უწყვეტელი, მინუს სუბიექტური პირის ნიშანი. ე.ი. ეს ორი მწკრივი ერთმანეთისაგან სუბიექტური პირის ნიშნის ქონებით თუ არქონებით განსხვავდება. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ უწყვეტლის II სუბიექტური პირის ფორმები იყო: შენ სწერდ(ი), ჰკრებდ(ი). ბრძანებითი იქნება: წერდ(ი)! კრებდ(ი)!

აი, კიდევ სხვა მაგალითები:

უწყვეტელი

ს-ჭამდ-(ი)

ჰ-გრებდ-(ი)

ჰ-კოცდ-(ი)

ს-დრეკდ-(ი)

ს-წამებდ-(ი)

ჰ-გვიდ-(ი)

ს-თლიდ-(ი)

ბრძ.

ჭამდ-(ი)!

გრებდ-(ი)!

კოცდ-(ი)!

დრეკდ-(ი)!

წამებდ-(ი)!

გვიდ-(ი)!

თლიდ-(ი)!

თუ ზმნაში შესაძლო ობიექტური პირის ნიშანიც იგულისხმება, ეს ნიშანი ბრძანებითშიც დარჩება, რადგან პირის ნიშნის დაკლება მხოლოდ სუბიექტურ პირს ეხება. ასეთ შემთხვევაში უწყვეტლისა და ბრძანებითის ფორმა გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა: მოაკუეთდ-(ი) — მოჰკუეთდ-(ი)! დასწერდ-(ი) — დასწერდ-(ი)! მაგრამ



ეს კია. რომ პირველ შემთხვევაში ჰ და ს საზიარო ნიშანია, იგი ეკუთვნის როგორც II სუბიექტურ პირს, ისე ობიექტურსაც. მეორე შემთხვევაში (ბრძანებითი) ჰ და ს მხოლოდ და მხოლოდ მესამე ობიექტური პირის ეკუთვნილებაა. მაგრამ ეს გარეგნულად არ ჩანს და ფორმები ემთხვევა ერთმანეთს მთლიანად. ასევე დაემთხვევა ერთმანეთს ფორმები კიდევ (ჩვენი მაგალითებიდან):

უწყვ-

შეკრებლ-(ი)

დასდებლ-(ი)

სძლეულ-(ი)

სცნობლ-(ი)

გამოსთლილ-(ი)

მისცემლ-(ი)

I ბრძ.

შეკრებლ-(ი)!

დასდებლ-(ი)!

სძლეულ-(ი)!

სცნობლ-(ი)!

გამოსთლილ-(ი)!

მისცემლ-(ი)!

ასევე განუსხვავებელი ფორმები გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა ზმნის ფუძე ზმოვნით იწყება. აქ სათანადო პირის ნიშანი უკვე დაკარგულია IX საუკუნიდან და ფორმები უნიშნოდა წარმოდგენილი:

უწყვ-

განაბნევლ-(ი)

წარიყვანებლ-(ი)

განაპებლ-(ი)

ატფობლ-(ი)

იკრებლ-(ი)

იღრეკლ-(ი)

I ბრძ.

განაბნევლ-(ი)!

წარიყვანებლ-(ი)!

განაპებლ-(ი)!

ატფობლ-(ი)!

იკრებლ-(ი)!

იღრეკლ-(ი)!

მაგრამ ხანმეტურად (და ჰამეტურად) აქ ზოგან ისევე განუსხვავებელი ფორმები გვექნება, ზოგან — გარჩეული: ხანიანი (ჰაიანი) უწყვეტელში, ხოლო უხანო (უჰაიო) — ბრძანებითში:

უწყვ-

განხაბნევლ-(ი)

წარხიყვანებლ-(ი)

განხაპებლ-(ი)

ხატფობლ-(ი)

განხატფობლ-(ი)

ხიკრებლ-(ი)

შეხიკრებლ-(ი)

ხიღრეკლ-(ი)

მოხიღრეკლ-(ი)

I ბრძ.

განხაბნევლ-(ი)!

წარხიყვანებლ-(ი)!

განხაპებლ-(ი)!

ხატფობლ-(ი)!

განხატფობლ-(ი)!

იკრებლ-(ი)!

შეხიკრებლ-(ი)!

იღრეკლ-(ი)!

მოხიღრეკლ-(ი)!

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ I ბრძანებითი მეორე პირისა მხოლოდით რიცხვში. ზუსტად ასევე იქნება მრავლობითიც, ოღონდ ფუძის ბოლოს მრავლობითობის თ სუფიქსის დამატებით. ესაა მხოლოდ, რომ აქ თანხმოვანთგასაყარი ი აუცილებელია. მაგალითებად ავიღოთ იგივე ნიმუშები. ზემოთ მხოლოდითი რიცხვისთვის რომ იყო მოყვანილი: ჭამდით! გრეხდით! ჯოცდით! ღრეკდით! წამებდით! გვიდით! თლიდით! და ასე სხვადასხვა ტიპისა და ჯგუფის ზმნებში: შეკრებდით! მოსდრეკდით!

სცნობდით! გამოსთლიდით! მისცემდით! განაბნევდით! წარიყვანებდით! ატფობდით!  
და სხვ.

როგორც ვნახეთ, თანმოვანთგასაყარი ი / ე-წერ-დ-(ი), წერ-დ-(ი) / , რომელსაც აგრეთვე ნართულ ი-ს ეძახიან, უწყვეტელსა და ბრძანებითს (მხ. რიცხვში) ხან ერთვის. ხან — არა. ძველ ქართულში ორივე სახეობა ხშირად იხმარება: უფრო ძველ ტექსტებში წერდ ტიპის ფორმები ჭარბობს, მაგრამ იქვე თანდათან უფრო მეტად იკაფავს გზას შეძღვედროინდელი, უფრო ახალი, ი-დართული ფორმები (ს-წერდი, წერდი!). თვით ძველ ქართულში ერთი კანონზომიერება შეიმჩნევა: ძველებური, უნიო ფორმები თითქოს უფრო ხშირად ბრძანებითში გვხვდება, უფრო ნაკლებად — უწყვეტელში. ამის განზოგადებით გვეუწებოდა:

უწყვე.

ს-წერდი

იგულებდი

აქებდი

ბრძ.

წერდი!

იგულებდი!

აქებდი!

შეიძლება ასეთი დიფერენციაციის დამყარების ცდა იმით იყოს გამოწვეული, რომ თხრობითის (უწყვე.) და ბრძანებითის ფორმები ყოველთვის ფორმალურად არაა გარჩეული და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა (წარიყვანებდი/წარიყვანებდი — წარიყვანებდი/წარიყვანებდი). ამიტომ არის ცდა, ერთი უპირატესად ერთი სახით (ეთქვათ, ი სუფიქსით) იხმარებოდეს, მეორე — უძიხოდ, რომ კარგად ჩანდეს მათ შორის ფორმალური განსხვავება.

რომელი რომელ ფორმას ირჩევს? რომელს რომელი შეეფერება უფრო? აქაც არჩევანი ერთადერთი და მართებულია: უნიშნო ფორმა ბრძანებითმა ირგუნა, ი ნიშნანი უწყვეტელს დარჩა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ბრძანებითი განსაკუთრებული ინტონაციით გამოითქმის და ასეთ შემთხვევაში ფორმას თუ რაიმე შეიძლება ჩამოსცილდეს, სცილდება. ამის კარგი მაგალითია სლუვა, მოსლუვა ზმნის წყვეტილობა და II ბრძანებითის II პირის ფორმა მოვედ, რომელიც ზოგიერთ ძველ ხელნაწერში (ადიშის, ტბეთის, მესტიის ოთხთავებში) წყვეტილში ძველებურად, ხელუხლებლად არის წარმოდგენილი (მოვედ მე), მაგრამ ბრძანებითში ძალიან ხშირად (ტბეთის ხელნაწერში თითქმის მუდამ) ე-ს გარეშე იხმარება: მოედ! წარედ! მიედ! განედ!; შეიძლება ჩვენს შემთხვევაშიც (წერდი! აქებდი!) ენერგიული გამოითქმის შედეგად სწორედ ბრძანებითში დარჩა იჩამოცილებული ფორმები. მაგრამ ამასაც ცალკე, სპეციალური კვლევა ესაჭიროება.

ახლა ვნახოთ სათანადო ნიმუშები:

იხილა ლევი აღფესი და ჰრქუა მას: მოძღვედ მე (მრ. 2,14); შდრ. იხილა მეზურე, სახელით ლევი, და ჰრქუა მას: მოძღვედი მე (ლ. 5,27); ვილოდე და შენცა ვგრევე ჰყოფდი (ლ. 10,37); ეჰრქუა სულსა ჩემსა: განისუენე, ჭამე, სუ და იხარებდი (ლ. 12,19); წინაწარმეტყულებდი. ვინ არს, რომელმან გცა შენ (ლ. 22,64); აწ უკუვე ვკრისაებრსა ყოფად გვბრძანებდი, მამაო (ზარზმ. 193,3); აღდეგ და წარვედ შენ ნინევედ ... და ქადაგებდი მას შინა (იონა 3,2); ქადაგებდი მას შინა (იონა 1,2); აქებდი, იერუსალემ, უფალსა, უგალობდი ღმერთსა შენსა, სიონ (ფს. 147,1); იცევიდ თავსა თვისსა ყოვლისაგან ბოროტისა (ისტ. ქრ. II. 12,26); ესრცით იწურთიდ მარადის და

სულთ-ითქემდ დლითი-დლედ და ჰმადლობდ უჟალსა (Sin. 97, 124vb).

ნათელ-სცემლით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისაითა და ხასწაუბლით მათ დამარხედ ყოველი, რომელი გამცენ თქვენ (მ. 28,19-20 X); თქვენცა ვერევე მსგავსად ზუჯოფლით მათ (ლ. 6,31 Y); წარველით თქვენ ქალაქებსა და სოფლებსა და დაბნებსა და ჰყოფლით ნიშებსა და სასწაულებსა და კურნებასა და მოაქცევლით წარმართთა და ნათელ-სცემლით,... და ასწაუბლით მათ. უსასყიდლოდ მიგიღებთ და უსასყიდლოდცა მისცემლით (ეესტ. 153, 8-13); მცირედ მეგბლით მე .... რამთა ვილოცო (იქვე, 155,6); ვაჭრობლით ამას, ვიდრემდის მივიდე (ლ. 19,13); ხითხოვლით და მიგეცეს თქვენ, ხეძიებლით და ხპოვით, ხირეკლით და განგელოს თქვენ (მ.7,7 Y); კეთილსა უყოფლით და ავასხებლით (ლ.6,35); სნეულთა განჰკურნებლით, კეთროვანთა განსწმედლით (მ. 10,8).

### I ბრძანებითი III პირისა

მესამე პირის ბრძანებითი, როგორც აწმყოს ხოლმეობითი, პირის ნიშნებად იყენებს ნ და ედ სუფიქსებს, ფუძე კი უწყვეტლისაა აღებული (როგორც აწმყოს ხოლმეობითის აწმყოს ფუძე ჰქონდა გამოყენებული). მაშასადამე, ეს მწკრივები ერთმანეთის გვერდით ასეთ სურათს გვიჩვენებს:

უწყვე.		... III პ. ბრძ.	
წერ-ღ-ა	წერ-ღ-ეს	*წერ-ღ-ნ	წერ-ღ-ედ
ჭამ-ღ-ა	ჭამ-ღ-ეს	*ჭამ-ღ-ნ	ჭამ-ღ-ედ
ღა-ს-წერ-ღ-ა	ღა-ს-წერ-ღ-ეს	*ღა-ს-წერ-ღ-ნ	ღა-ს-წერ-ღ-ედ
შე-შ-ჭამ-ღ-ა	შე-შ-ჭამ-ღ-ეს	*შე-შ-ჭამ-ღ-ნ	შე-შ-ჭამ-ღ-ედ

ბრძანებითის ვარსკვლავიანი ფორმები (მხ. რ.) თეორიულად არის აღდგენილი. ასე უნდა ყოფილიყო დასაწყისში, მაგრამ ძველ ქართულში ყველგან საქმეში ჩარეულია ჩვენთვის უკვე ცნობილი ფონეტიკური წესი და აქაც ღ-სა და ნ-ს შორის ჩნდება თანხმოვანთგასაყარი ი. ფორმაც უფრო ადვილად გამოსათქმელი ხდება: წერ-ღ-ი-ნ, ჭამ-ღ-ი-ნ, ღა-ს-წერ-ღ-ი-ნ, შე-შ-ჭამ-ღ-ი-ნ. სხვა მათ შორის არავითარი განსხვავება არაა, ძველ ქართულში III პირის ბრძანებითის მხოლოდ ამნაირი ფორმები აქვს.

აი, კიდევ მესამე პირის ბრძანებითის მაგალითები სხვა ზმნებისა:

იგი გლეს-ღ-ი-ნ	იგინი გლეს-ღ-ედ
" გან-პ-გლეს-ღ-ი-ნ	" გან-პ-გლეს-ღ-ედ
" ღრეკ-ღ-ი-ნ	" ღრეკ-ღ-ედ
" გან-ა-ბნეე-ღ-ი-ნ	" გან-ა-ბნეე-ღ-ედ
" კრებ-ღ-ი-ნ	" კრებ-ღ-ედ
" ღა-ს-თხეე-ღ-ი-ნ	" ღა-ს-თხეე-ღ-ედ
" წამ-ებ-ღ-ი-ნ	" წამ-ებ-ღ-ედ
" ღა-ს-ღ-ებ-ღ-ი-ნ	" ღა-ს-ღ-ებ-ღ-ედ
" წარ-ი-ყვან-ებ-ღ-ი-ნ	" წარ-ი-ყვან-ებ-ღ-ედ

- |                     |                    |
|---------------------|--------------------|
| ▪ გან-ა-კ-ებ-ღ-ი-ნ  | ▪ გან-ა-კ-ებ-ღ-ედ  |
| ▪ ა-კურთხ-ე-ე-ღ-ი-ნ | ▪ ა-კურთხ-ე-ე-ღ-ედ |
| ▪ ს-ძლ-ე-ე-ღ-ი-ნ    | ▪ ს-ძლ-ე-ე-ღ-ედ    |
| ▪ ა-ტფო-ბ-ღ-ი-ნ     | ▪ ა-ტფო-ბ-ღ-ედ     |
| ▪ გან-კ-გე-ი-ღ-ი-ნ  | ▪ გან-კ-გე-ი-ღ-ედ  |
| ▪ თლ-ი-ღ-ი-ნ        | ▪ თლ-ი-ღ-ედ        |
| ▪ მი-ს-ც-ე-მ-ღ-ი-ნ  | ▪ მი-ს-ც-ე-მ-ღ-ედ  |
| ▪ კ-ყოფ-ღ-ი-ნ       | ▪ კ-ყოფ-ღ-ედ...    |

**ნიშნუბანი ძაბლუბილან:** ამიერითგან იხარებდნ უდაბნოი ესე (ზანძთ. 206,42);

ყოველი ქვეყანაი თაყუანის-გცემდინ შენ და გიგალობდინ შენ და უგალობდინ სახელსა შენსა (ფს. 65,4); ძლიერი იგი უბლურსა მას ჯელსა აუბყრობდინ, და გულს-მოდგინც იგი სულმოკლესა ნუგეშინის-სცემდინ, და მღვდარც იგი მოძილსა მას განაფრთხობდინ, წესიერი იგი უწესოსა მას ასწავებდინ, და მარხველი მჭამელსა მას და განმცხრობელსა და ურჩსა ყოველსა ეაშა ასწავებდინ (ისტ.ქრ. II, 17,26-29); რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისემა-ყოფდინ (მ.24,15 C); რომელსა უნებს შედგომად ჩემდა, უკარ-ყავნ თავი თვისი და აღიღუნ ჯუარი თვისი და მომღვედინ მე (ლ. 9,23); ვერე ნათობდინ ნათელი თქუენი (მ. 5,16 C); ღმერთი იესუ ქრისტე იხარებდინ ჩუნ თანა კეთილად მყოფებასა მას ჩუნსა, განისუენებდინ ღირსებით ქცევასა მას თქუენსა, იშუებდინ მოყუარებაი ჩუენი მისა მიმართ (კიმ. I, 198, 18-22); ყოველი სიტყუაი საღმრთოი გინდინ სმენად (ზირ. 6,35); არამედ ბრძნობდინ სიწმიდელსა კაცად-კაცადი (პრომ. 12,3).

ხოლო თქვენ გიყუარედ მტერნი თქუენნი (ლ.6,55); იხარებდინ მთაი სიონი და იშუებდედ ასულნი ჰურასტანისანი (ფს. 47,12); აღგარებდედ შენ... ყოველნი საქუენი შენნი (ფს. 144,10); შეიღნი მისნი იგლოვდედ (კიმ. I, 201,14); თუ მათუა ესხნენ მონანი და მოწაფენი, ესრტოვე ასწავებდედ (Отис. 62,10); წუხლედ წარმართნი (სინ. 53,19); დაღაღებდედ ფიჭუნი (ზაქ. 11,2); გაქუდედ საღმრთონი წიგნნი (სწავ. 74,1); გარდამოსიხვედედ თუაღნი თქუენნი ცრემლთა (იერ. 9,18).

## 5. უწყვეტლის ხოლმეობითი

უწყვეტლის ხოლმეობითი ვერდნობა უწყვეტლის ფუბეს (წერ-ღ, აქებ-ღ, შეკრებ-ღ) და მწკრივის ნიშნად აქეს სუფიქსი ი, რომელიც ორივე რიცხვის ყველა პირში გასდევს უცვლელად: ვ-წერ-ღ-ი, ს-წერ-ღ-ი, წერ-ღ-ი-ს, ვ-წერ-ღ-ი-თ, ს-წერ-ღ-ი-თ, წერ-ღ-ი-ან; ვ-აქებ-ღ-ი, აქებ-ღ-ი, აქებ-ღ-ი-ს, ვ-აქებ-ღ-ი-თ, აქებ-ღ-ი-თ, აქებ-ღ-ი-ან, შე-ვ-კ-რებ-ღ-ი, შე-კ-რებ-ღ-ი, შე-კ-რებ-ღ-ი-ს, შე-ვ-კ-რებ-ღ-ი-თ, შე-კ-რებ-ღ-ი-თ, შე-კ-რებ-ღ-ი-ან.

იმის გამო, რომ ამ ტიპის ზმნებში უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის I და II პირების ფორმები (ორივე რიცხეში) შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უწყვეტლის ხოლმეობითი პირნაკლია. მას მხოლოდ მესამე პირი აქეს (ორივე რიცხეში), პირველი და

მეორე პირები (თავისი, საკუთარი) არ გააჩნია. მაგრამ ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი. ჯერ ერთი, ამ მწკრივთა I და II პირებში დამთხვევა ხდება არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ ამ (დავარქვითა მათ აქ I) ტიპის ზმნებთან მრავლობითში: ვ-წერ-ღ-ით, ს-წერ-ღ-ით (უწყვ.) — ვ-წერ-ღ-ით, ს-წერ-ღ-ით (უწყვ. ხ.). საერთოდ და საყოველთაოდ დამთხვევა მხოლოდ აქ არის. მაგრამ ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ეს მოვლენა მეორეულია, იგი გამოწვეულია ფონეტიკური მიზეზით: უწყვეტლის მრავლობითში ი ჩნდება, რათა ერთად მოხვედრილი ლ (საერცობი) და თ (მრავლობითის ნიშანი) ერთმანეთს დააცილოს და მათი გამოთქმა ადვილი გახადოს. უწყვეტლის ხოლმეობითში კი ი მწკრივის ნიშანია და იგი მას ყოველთვის მოეპოვებოდა.

მეორე: დამთხვევას არ ექნება ადგილი მხოლოდობითში, როცა თანხმოვანთგასაყარი ი მრავლობითიდან მხოლოდობითში არ არის გადასული. ასეთი შემთხვევები კი ძველ ქართულში ხშირია, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლები, ვიდრე ნართაულ ინანი ფორმები.

მესამე: არის საკმაოდ ძველი წარმოშობის ზმნების ერთი ჯგუფი, ე.წ. ავანი და აჰანი ზმნები, რომლებშიც დამთხვევას არსად არა აქვს ადგილი. ამ ზმნებს ქვემოთ განვიხილავთ უფრო ფართოდ, აქ კი მხოლოდ მაგალითების შედარებას დავესწრეთ:

#### უწყვეტ-

მო-ვ-კ-კლ-ევ-ღ-(ი)

მო- კ-კლ-ევ-ღ-(ი)

მო- კ-კლ-ვი-ღ-ა

მო-ვ-კ-კლ-ევ-ღ-ით

მო- კ-კლ-ევ-ღ-ით

მო- კ-კლ-ვი-ღ-ეს

#### უწყვეტ. ხ.

მო-ვ-კ-კლ-ვი-ღ-ი

მო- კ-კლ-ვი-ღ-ი

მო- კ-კლ-ვი-ღ-ის

მო-ვ-კ-კლ-ვი-ღ-ით

მო- კ-კლ-ვი-ღ-ით

მო- კ-კლ-ვი-ღ-იან

სადაა აქ დამთხვევა? არა, უწყვეტლის ხოლმეობითი ჩვეულებრივი. უნაკლო მწკრივია. ძველი ქართულის ფონეტიკური პროცესების გამო, რომ ზოგან ფორმათა შეხვედრები გვაქვს. მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს, რომ მორფოლოგიურ მოვლენათა ძველი, პირვანდელი სახე შეუბღალავად იქნეს აღდგენილი და დადგენილი.

თვლიდნენ, რომ უწყვეტლის ხოლმეობითი ქართული ენის მორფოლოგიის ძველი ბინადარი არ არის, რომ იგი შედარებით გვიან წარმოიშვა. მას შემდეგ, რაც აწმყოს ხოლმეობითმა იწყო შესუსტება და ხმარებიდან გასვლაო. ლ.კიკნაძემ გაარკვია, რომ ეს მწკრივი VIII საუკუნიდან იჩენს თავს<sup>102</sup> (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ მკვლევრის სახელს უკავშირდება უწყვეტლის ხოლმეობითთან დაკავშირებული საკითხების დაწერილებით შესწავლა). ზ.სარჯველაძე აღნიშნავს, რომ უწყვეტლის ხოლმეობითი შემოინახეს მთის დიალექტებმა, რაც, მისი აზრით, "მიუთითებს, რომ იგი სალიტერატურო ენის წარმონაქმნი კი არაა, არამედ ცოცხალ მეტყველებაშიც

<sup>102</sup> ლ.კიკნაძე, უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: ძველმ. 7, 1961, გვ. 231—279.

არსებობდა<sup>100</sup>. მართლაც, უწყვეტლის ხოლმეობითი თვით უძველეს ძეგლებში გვხვდება, სახარების ენაშიც არის დადასტურებული (მიეტონტმანებლი: ი. 5,7 C; ხვლოდი: ი. 21;18). იგი უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერშიც, სინურ მრავალთავშიც (864 წ.). არაერთხელ გვხვდება. მაგალითად: რაჟაშ-იგი ესხდით ერთობით, ვიკითხვიდით წამებას წმიდათასა და გვეკრნ მოთმინებაი იგი მათი და ვიტყვადით ურთიერთას (სინ. 274,8,9). ხაზგასმული ზმნები უწყვეტლის ხოლმეობითშია (აქ ორი სხვა ზმნაც ხოლმეობითის ფორმებითაა: ესხდით — II ხ., გვეკრნ — აწმყ. ხ.).

უწყვეტლის ხოლმეობითზე ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი, ამიტომ ნათქვამით დაკმაყოფილებით და ეურენებთ პარადოგმებსა და ნიშნებს ძეგლებიდან:

ე-წერ-დი  
ს-წერ-დი  
წერ-დი-ს  
ე-წერ-დი-თ  
ს-წერ-დი-თ  
წერ-დი-ან

და-ე-ს-წერ-დი  
და- ს-წერ-დი  
და- ს-წერ-დი-ს  
და-ე-ს-წერ-დი-თ  
და- ს-წერ-დი-თ  
და- ს-წერ-დი-ან

მო-ე-ს-ღრეკ-დი  
მო- ს-ღრეკ-დი  
მო- ს-ღრეკ-დი-ს  
მო-ე-ს-ღრეკ-დი-თ  
მო- ს-ღრეკ-დი-თ  
მო- ს-ღრეკ-დი-ან

და-ე-ს-ღ-ე-ბ-დი  
და- ს-ღ-ე-ბ-დი  
და- ს-ღ-ე-ბ-დი-ს  
და-ე-ს-ღ-ე-ბ-დი-თ  
და- ს-ღ-ე-ბ-დი-თ  
და- ს-ღ-ე-ბ-დი-ან

ე-ა-კურთხ-ე-დი  
ა-კურთხ-ე-დი  
ა-კურთხ-ე-დი-ს  
ე-ა-კურთხ-ე-დი-თ  
ა-კურთხ-ე-დი-თ  
ა-კურთხ-ე-დი-ან

გან-ე-ა-ტფო-ბ-დი  
გან- ა-ტფო-ბ-დი  
გან- ა-ტფო-ბ-დი-ს  
გან-ე-ა-ტფო-ბ-დი-თ  
გან- ა-ტფო-ბ-დი-თ  
გან- ა-ტფო-ბ-დი-ან

გამო-ე-ს-თლი-დი  
გამო- ს-თლი-დი  
გამო- ს-თლი-დი-ს  
გამო-ე-ს-თლი-დი-თ  
გამო- ს-თლი-დი-თ  
გამო- ს-თლი-დი-ან

მი-ე-ს-ც-ემ-დი  
მი- ს-ც-ემ-დი  
მი- ს-ც-ემ-დი-ს  
მი-ე-ს-ც-ემ-დი-თ  
მი- ს-ც-ემ-დი-თ  
მი- ს-ც-ემ-დი-ან

ე-ჰ-ყოფ-დი  
ჰ-ყოფ-დი  
ჰ-ყოფ-დი-ს  
ე-ჰ-ყოფ-დი-თ  
ჰ-ყოფ-დი-თ  
ჰ-ყოფ-დი-ან

უ-ყუარ-დი  
უ-ყუარ-დი  
უ-ყუარ-დი-ს  
უ-ყუარ-დი-თ  
უ-ყუარ-დი-თ  
უ-ყუარ-დი-ან

ე-ს-ძულ-დი  
ს-ძულ-დი  
ს-ძულ-დი-ს  
ე-ს-ძულ-დი-თ  
ს-ძულ-დი-თ  
ს-ძულ-დი-ან

ე-წუხ-დი  
ს-წუხ-დი  
წუხ-დი-ს  
ე-წუხ-დი-თ  
ს-წუხ-დი-თ  
წუხ-დი-ან

<sup>100</sup> ზ. ხარაჯულაძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი, გვ. 438.

ვ-პ-მატ-ღ-ი	უ-უ-ღ-ი	უ-ჩ-ღ-ი
პ-მატ-ღ-ი	უ-უ-ღ-ი	უ-ჩ-ღ-ი
პ-მატ-ღ-ი-ს	უ-უ-ღ-ი-ს	უ-ჩ-ღ-ი-ს
ვ-პ-მატ-ღ-ი-თ	უ-უ-ღ-ი-თ	უ-ჩ-ღ-ი-თ
პ-მატ-ღ-ი-თ	უ-უ-ღ-ი-თ	უ-ჩ-ღ-ი-თ
პ-მატ-ღ-ი-ან	უ-უ-ღ-ი-ან	უ-ჩ-ღ-ი-ან

**ნიშნები მხარეებიდან:** ვიღრე მე მივტონტმანებლი, სხუაი ჩემსა უადრეს შთავდის (ი. 5.7 C); მე რაეაშს ვესალმუნებლი, ვითარცა საკუმილი ცეცხლისაი. გარე-მომადგის მე და გონებაი ჩემი არა მიდრკის სხუად. შენი გონებაი სადა არნ. პუსალმუნებლილა და ილოცვიდი? (იქვე, 265,8); ფერუთა მათთა ვაკოცებლი და ნუგეშინის-ესკეზდი (საქ. წ. II. 22,20); რომლითა მარადის შევიმოსდი სამკაულსა მას საეშმაკოსა (Sin. 11, 252v,10); დალაკათუ მე არა განვიციდი. იგი გამოპეცხადებინ (ბალ. 6.34); ოდეს მივერჩიდი გულის-სიტყუასა მას არა მისლვად ბერისა. კუალად დაინთქობდი ენებისა მისგან და კუალად ვაიძულებდი თავსა თვსსა მისლვად (ნოვ. II, 59,23); და მე ოდეს ვჭამდი, გინა მეძინოს, იგი ილოცავნ ჩემთვის (იქვე, 117,24); რაეაშს ბრწყინვალეებაი მოძივდის, აღვიდი ცად და ეხედვიდი კეთილთა მათ ანგელოზთა საკურეველთა და ვისმენდი გალობასა მათსა ... და ვიხარებდი ღმრთისა სიტკებობითა მის ჯმისა მათისაითა (იქვე, 283, 22); ეშმაკნი მოვიდნ და მსგავსად ღორთა ჩხრეკიდან მწუიერესა და ასხურებედ მათ (იქვე, 264,10); მოვიდნ მფრინველნი ცისანი. შთავიდიან მდინარესა. დაიბანნან და მოვიდნ სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთულებდნ და ყუაილსა მას ძოვიდნ და მოწლედ ჩემდამო ღაღადებედ. რეცა ჩემი არს სამოთხს იგი. გარე-მომადგან უღავილით და უძობედ ჩემდა მომართ. და მრავალ-გზის იყო ესე (მოქც. 231,25); მოკლნან მართუნი თვსნი და უკუნაისკენლ სიყუარულითა ივლოვიდნ (სახ. 237,2); ჰუვენიდე და ავინებლიან მას ყოველი (კიმ. I, 206,9); მოსწყუედლიან მრავალთა ადგილთა მას ჩინებულსა ქალაქსა შინა (იქვე, 105, 27); ივინი კბილ-ღრჭენით იბრდლუენდნ მის ზედა (წარტყ. 16,30); შეკრბან ყრმანი ... და იმღერდნ დღე ყოველ (ურთ. 194,12); ყოველსა, რომელსა მოემარჯვს, მიიტაცებლიან სამოსლისა მისისაგან (ცხ. ვფრ. 116,2); სხუანი კუალად გემწერობდნ და ნიავსა მოჰყენდნ (A-92,236); ჰქონდიან მას გულის-სიტყუანი ბოროტნი და უკეთურნი (Sin. 35, 173rb,4); ოდესმე ჰლიქნიდნ და ოდესმე დასადიმრან (ლიმ. 107, 31); აღსწერდნ მათთვის შესხმასა (ანტი-ოქ. 312, 15); ჰნატრიდნ ივინი ყოველთა მათ მოღუაწეთა (გურია 122,3); განამორებდნ თავთა თვსთა ყოველთავე მსოფლიოთა დიდებათაგან (ასურ. 147,17).

მაგრამ იშვიათად, როგორც აღნიშნული გვექონდა ადრე, უწყვეტლის ხოლმეობითს მესამე პირის მრავლობითში აქვს ედ სუფიქსი. სწორედ ის სუფიქსი, რომელსაც იყენებს აგრეთვე აწმყოს ხოლმეობითი (არი-ედ, კლე-ედ, სუმ-ედ, აქებ-ედ, ატვობ-ედ...). ეს მოვლენა კარგა ხანია შექნიულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურა

რამი<sup>104</sup>. აქ მოვიყვანთ ამ იშვიათი ფორმების რამდენიმე მაგალითს<sup>105</sup>: სარწმუნოებაი განაძლიერებნ მათ და არას ზრუნვილიოდ ხილვისათვის და საქმისა (სწავ. 300,27); მამინ განეცხადოს ყოველთა საქმე მისი, ვითარცა-იგი მათი, რომელნი ეტყოდიდ მუუვესა დღესა მას განკითხვისასა (იქვე, 20,33); იქმენ შენ ვითარცა მუჰმლინი, რომელნი მუჰმლივიდიდ სამწყსოსა გინა სავენაჲესა (იქვე, 13,6); ოხრისა მათისაგან ივლტიედ ყოველნი, რომელთა ჰნებან მძარვად სამცველოი მათი, რომელსა სკვიდიედ (იქვე, 13,9); ეშმაკისა მიერ ცნობა-მისრულ იქნინან და ვიდოდიედ იგინი და ჯობდიედ დღე და დამე (Перг. 47); ქუე მდაბლად აქუნდიედ მას მარადის კორციელნი თუალნი (მარლაამ 115,21).

## 6. I კავშირებითი

ძველ ქართულში I კავშირებითს მოეპოვებოდა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, როგორც ეს I სერიის ყველა მწკრივში გვაქვს (წერს და დასწერს, წერნ და დასწერნ, წერდა და დასწერდა).

ძველი ქართულის I კავშირებითი შინაარსითაც მეტი იყო ახალზე და უფრო ხშირადაც იხმარებოდა. გარკვეულ შემთხვევებში იგი მომაველ დროსაც გამოხატავდა: წერ-ღ-ეს, და-ს-წერ-ღ-ეს = დაწერს, бюджет писать, მაგრამ ამაზე შემდგომ გვექნება სპეციალური საუბარი, როცა მომაველი დროის გამოხატვის საშუალებებს შევეხებით.

I კავშირებითი იყენებს უწყვეტლის ფუძეს (წერ-ღ, აქებ-ღ, აკურთხევ-ღ, ატფობ-ღ, თლი-ღ, მისცემ-ღ, ჰყოფ-ღ) და მწკრივის ნიშნად აქვს ე სუფიქსი, როგორც ეს დღევანდელ ქართულშია. ამგვარად, I კავშირებითს ძველ ქართულში ასეთი სახე აქვს:

ვწერ-ღ-ე	და-ე-ს-წერ-ღ-ე	მო-ე-ს-დრეკ-ღ-ე
ს-წერ-ღ-ე	და- ს-წერ-ღ-ე	მო- ს-დრეკ-ღ-ე
წერ-ღ-ეს	და- ს-წერ-ღ-ეს	მო- ს-დრეკ-ღ-ეს
ვწერ-ღ-ეთ	და-ე-ს-წერ-ღ-ეთ	მო-ე-ს-დრეკ-ღ-ეთ
ს-წერ-ღ-ეთ	და- ს-წერ-ღ-ეთ	მო- ს-დრეკ-ღ-ეთ
წერ-ღ-ენ	და- ს-წერ-ღ-ენ	მო- ს-დრეკ-ღ-ენ
და-ე-ს-ღებ-ღ-ე	ე-ა-კურთხ-ევ-ღ-ე	გან-ე-ა-ტფობ-ღ-ე
და- ს-ღებ-ღ-ე	ა-კურთხ-ევ-ღ-ე	გან- ა-ტფობ-ღ-ე
და- ს-ღებ-ღ-ეს	ა-კურთხ-ევ-ღ-ეს	გან- ა-ტფობ-ღ-ეს
და-ე-ს-ღებ-ღ-ეთ	ე-ა-კურთხ-ევ-ღ-ეთ	გან-ე-ა-ტფობ-ღ-ეთ
და- ს-ღებ-ღ-ეთ	ა-კურთხ-ევ-ღ-ეთ	გან- ა-ტფობ-ღ-ეთ
და- ს-ღებ-ღ-ენ	ა-კურთხ-ევ-ღ-ენ	გან- ა-ტფობ-ღ-ენ

<sup>104</sup> ააბულაძე. ქართული ზმნის იშვიათი ფორმები. გვ. 131—147; ლ. კახაძე. უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში. გვ. 274—276.

<sup>105</sup> პირველი 4 ნიმუში დამოწმებული აქვს ი. აბულაძეს. დანარჩენები — ი. ქავთარაძეს.



გამო-ე-ს-თლი-ი-დ-ე	მი-ე-ს-ც-ემ-დ-ე	ე-პ-ყოფ-დ-ე
გამო- ს-თლი-ი-დ-ე	მი- ს-ც-ემ-დ-ე	პ-ყოფ-დ-ე
გამო- ს-თლი-ი-დ-ე-ს	მი- ს-ც-ემ-დ-ე-ს	პ-ყოფ-დ-ე-ს
გამო-ე-ს-თლი-ი-დ-ე-თ	მი-ე-ს-ც-ემ-დ-ე-თ	ე-პ-ყოფ-დ-ე-თ
გამო- ს-თლი-ი-დ-ე-თ	მი- ს-ც-ემ-დ-ე-თ	პ-ყოფ-დ-ე-თ
გამო- ს-თლი-ი-დ-ე-ნ	მი- ს-ც-ემ-დ-ე-ნ	პ-ყოფ-დ-ე-ნ

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის ზმნათა უღლება I კავშირებითშიც საკმაოდ მარტივია და ძალიან ცოტათი განსხვავდება დღევანდელი ქართულისაგან.

1. ძველ ქართულში ღონიანი ზმნების უწყვეტლის შესაშე პირის მრავლობითი (წერ-დ-ეს) და I კავშირებითის მხოლობითი (წერ-დ-ე-ს) ერთმანეთს ემთხვევა ყოველთვის. მართალია, ისინი სხვადასხვანაირად იშლებიან: უწყვეტელში ეს დაბოლოება ერთი მთლიანი სუფიქსია, ერთი ერთეულია — სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობითში; I კავშირებითში კი ეს იშლება: ე მწკრივის ნიშანია, ს კი იმავე შესაშე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლობითში. მაგრამ ეს ანალიზისას. ტექსტებში და მოსმენისას კი ერთი სახით (ერთად) იწერება და ითქმის. რადგანაც ორივე ეს მწკრივი ძალიან ხშირად იხმარება ძველ ქართულში, ცდუნებაც დიდია. რომ ისინი აურიონ ერთმანეთში. ხშირად ასეც ხდება. როგორ უნდა განვასხვაოთ ეს გარეგნულად სრულიად ერთნაირი ფორმები?

მთავარი კრიტერიუმი სუბიექტის რიცხვის დადგენაა: როცა სუბიექტი მრავლობითშია. მწკრივი უწყვეტელია: კაცნი წერდეს (=წერ-დ-ეს). ხოლო როცა მხოლობითშია, მწკრივი I კავშირებითია: რადია კაცი წერდეს (= წერ-დ-ე-ს). ესა ყველაზე საიმედო და უტყუარი საზომი.

მაგრამ თუ სუბიექტის რიცხვის დადგენა გაჭირდა, მაშინ შეგვიძლია ამავე კონტექსტის სხვა, უდავო ზმნების ჩვენება მოვიშველიოთ: რა რიცხვშიც ისინი არიან. იგივე რიცხვი ვივარაუდოს. სადავო ზმნისათვის. ერთი სიტყვით, აქაც მაინც ამავე კონტექსტის ჩვენება წყვეტს საკითხს.

ავიღოთ რამდენიმე მაგალითი:

და იყო შაბათსა მეროესა და განვიდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხოლო მოწაფენი მისნი მოშჭრიდეს თავსა უუელისასა. მუსრვიდეს ველითა და ჭამდეს (ლ. 6.1). შავად აწყობილი ზმნები — მოშჭრიდეს, მუსრვიდეს, ჭამდეს — უწყვეტლის ფორმებია, რადგანაც სუბიექტი მრავლობითშია — მოწაფენი. აქ ეს ფორმები ასე დაიშლება: მოშჭრიდ-ეს, მუსრვიდ-ეს, ჭამდ-ეს.

ახლა მეორე მაგალითი ავიღოთ: რომელი ჭამდეს ვორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა (ი. 6.54,56). აქ კი იგივე ჭამდეს და მასთან ერთად აგრეთვე სუმიდეს კავშირებითის ფორმებია, რადგან მათი სუბიექტი მხოლობითშია — რომელი. ახლა ეს ფორმები ასე დაიშლება: ჭამდ-ეს, სუმიდ-ეს.

განვიხილოთ უფრო რთული მაგალითი: ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განპქორწინებდეს, ვიდრე დღემდღე შესლვად ნოქესა კიდობნად (ლ. 17,26-27). რომელი მწკრივისაა აქ ეს ზმნები? — უწყვეტლისა. ამაზე მიგვითითებს იქორწინებოდეს ფორმა, რომელიც აღარაა საზიარო. ის მხოლოდ და მხოლოდ უწყვეტელია (იქორწინებოდეს იგინი), მხოლო-

ბითმი კი იქნებოდა იქორწინებოდა (ამაზე ქვემოთ). მაშასადამე, იგივე ჭამდეს და მასთან ერთად განაქორწინებდეს. სუმიდეს უწყვეტელი ყოფილა.

უკანასკნულ. კიდევ ერთი მაგალითი: და იწყოს გუემად მისთანათა მათ მონათა. ჭამდეს და სუმიდეს მოპირვალიეთა თანა (მ. 24,49). აქ იგივე ჭამდეს და სუმიდეს კავშირებითა. საკითხს აქ წყვეტს სხვა ზნა — იწყოს, რომლის სუბიექტიც მხოლოდობითა (იწყოს მან), მაშასადამე, მისი მეზობელი ზნებიც მხოლოდობით იგულისხმება: ჭამდეს, სუმიდეს ფი (= ჭამდ-ე-ს, სუმიდ-ე-ს). ამასვე ამტკიცებს აგრეთვე წინა მუხლის უფრო აშკარა ჩვენება: უკეთუ თქუას ბოროტმან მონამან გულსა თვისსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად (მ. 24,48). ამას მოპყვება სწორედ სადავო მაგალითები — ჭამდეს და სუმიდეს. როგორც გამოირკვა, თურმე ის ბოროტი მონა ჭამდეს და სუმიდეს. ახალ ქართულში ეს დამთხვევა მოხსნილია, რადგან უწყვეტელში ძველი ეს სუფიქსის ნაცვლად ნუნ სუფიქსი გვევს: იგინი ჭამდუნენ, მოჭრადუნენ, მუსრავდუნენ, სვამდუნენ.

მეორე საზომად შეიძლება დრო ავიღოთ: თუ ზნით გამოხატულია წარსულში მომხდარი მოქმედება, მწკრივი უწყვეტელია, ხოლო თუ მომავალში შესასრულებელი — I კავშირებითი: (მარმან) ჭამდეს პურსა (= უწყვეტელი); (ხვალე) ჭამდეს პურსა (= I კავშირებითი).

2. I კავშირებითის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა უძველესი დროიდან 1936 წლამდე ერთი სახით იყო წარმოდგენილი სალიტერატურო ენაში: იგინი წერდ-უნ. ჭამდ-უნ. აქედ-უნ. მისცემდ-უნ. ქართული ენის განვითარების მიუღ ამ მონაკვეთზე ეს იყო ერთადერთი ნორმა. მაგრამ 1936 წლიდან ენისა და ტერმინოლოგიის დადგენი კომისიის დადგენილებით ამ ნათელ ფორმაში სავალდებულოდ იქნა მიჩნეული არაფრის მათნისი ნ-ს ჩამატება: რომ იგინი წერდ-უნენ. ჭამდ-უნენ. აქედ-უნენ. მისცემდ-უნენ და სხვ. აქედან წაიშალა საუკუნოებრივი სიმარტივე. რაშელოც ამ ფორმაში ოდითგანვე განუყოფლად სუფევდა. მაგრამ რადგანაც იმავე ირაციონალური ნ-ს ჩამატება კომიტეტმა უწყვეტელშიც სავალდებულო გასადა. ახლა უკვე უმოწყალოდ ემთხვევა ერთმანეთს ამ ორი მწკრივის მრავლობითის ფორმები: იგინი გუმინ წერდუნენ და მინდა, რომ იგინი წერდუნენ. სხვა მხრივ, ემპირებით. ამ ტიპის ზნების I კავშირებითი ძალიან სადა და ნათელი მწკრივია. მარტივი საწარმოებელია. წარმოსათქმელადაც არ შეიცავს რაიმე სიმძნელეს და შესასწავლადაც ადვილია.

დასასრულ, მოვიყვანთ საილუსტრაციო მაგალითებს:

უკეთუ მე ვსამებდე თავისა ჩემისათვის, წამება ჩემი არა არს ჭეშმარიტ (ი. 5,31); უკეთუ ვისმე უყვარდე მე (ი. 14,23); ან გაქებდე შენ. შუენიერებითა შემეკლო (აბო 174,33); პირსა შენსა ერჩედეს ერი ჩემი (დაბ. 41,40); წყალობათა შენთა ... უგალობდე. თესლითი თესლამდე მოუთხორობდე ჭეშმარიტებათა შენთა პირითა ჩემითა (ხანძი. 207, 26); ოდეს ჰყოფდე სადილსა გინა სერსა, ნუ ჰხადი მეგობართა შენთა (ლ. 4,12); თუ განამარტენ სასმენელნი შენნი და გულს-მოდგინედ ისმენდე (ევსტ. 148, 37); ჰმეფობდეა ჩუენ ზედა, ანუ უფლებით უფლებდეა ჩუენ ზედა? (დაბ. 37,8); ხიყოს-მე ვინ თქუენგანი კაცი, რომელსა ხთხოვდეს ძმ მისი პურსა. ქვაი ნუ მიხცესა მას? ანუ თუ თევზსა ხთხოვდეს. გუელი ნუ მიხცესა? (მ. 7,9 Y); რაითა არა მარადის მანყინებდეს მე (ლ. 18,15); რაითა იღუწიოდეს მისთვის ერისთავი იგი ყოველთა მარტველთა (აბო 168,30); რაი-იგი შეჰკანდეს, მან უყოს

(ეესტ. 145,19); ამიერიდან მნატრიდეს მე ყოველი თესლეები (ლ. 1,48). თუშცა აქ სუბიექტი მრავლობითშია /თესლეები/. მაგრამ იგი ებითაა ნაწარმოები, ხოლო ებიანი მრავლობითი ძველ ქართულში ზმნას რიცხვში, ჩვეულებრივ, ვერ ითანხმებდა.

მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღუაწებასა მისსა (აბო 174,18); ანუ რასა ვიტყვოდით, ანუ რასა ვმართლობდეთ (დაბ. 44,16); უკუეთუ ზავასხებდეთ მათ, რომელთაგან ხესავთ კუალად მოღებასა, რომელი მადლი არს თქვენდა (ლ. 6,34 Y); რადითა ჰჭამდეთ და ჰსუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა ... და ჰსჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაჲლისათა (ლ. 22,30); ვაი თქვენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით (ლ. 6,25); უკუეთუ კეთილსა უყოფდეთ კეთილის მყოფელთა თქვენთა, რომელი მადლი არს თქვენდა? (ლ. 6,33); ორნი ფქვიდენ ფქვილთა: ერთი წარიყვანონ და ერთი დაუტეონ (მ. 24,41 Y); მამამან მოხცეს კეთილი, რომელნი ხოხოვდენ მას (მ. 7,11 Y); მაშინ პეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი (მ. 24,30 X); წარავლინა წინაით მკერცხლ-მავალნი. რადითა განჰშადებდენ გზათა (ზარზმ. 192, 32); მაშინ ცთენ მრავალნი და ურთიერთას არდაბაგებდენ (შინა-განსცემდენ DE) და იძულებდენ (იძულობდენ DE) ურთიერთას (მ. 24,10 C); რადითა განასხმოდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სნეულებათა და უძლურებათა (მ. 10,1).

#### b. ავიანი და აჰიანი ზმნები

ავიანი და აჰიანი ზმნების უღლება I სერიის სავრცობიან მწკრივებში დიდი თავისებურებებით ხასიათდება. იგი ძალიან დაცილებულია დღევანდელი ქართული-საგან. ამ თავისებურებათა ასახსნელად დღეს წამოყენებულია ნაირ-ნაირი, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედულება. რომ ამ თავისებური უღლების შესწავლა მკვიდრი იყოს და სხვადასხვა შეხედულების არსნიც კარგად გავერკვეთ, უმჯობესია, ჯერ თვით უღლებას გავეცნოთ ახლოს, ხოლო მის ანალიზსა და ახსნაზე მერმე ჩამოვაგდოთ საუბარი. საამისოდ, საერთო მსჯელობისა და აღნიშნულ თავისებურებათა ახსნისათვის, წინასწარ საკმარისი იქნება (მარტო) უწყვეტლის გათვალისწინებაც, რადგან ამ თავისებურებებს ყველაზე მეტად სწორედ უწყვეტელი გვიჩვენებს. შემდეგ, დანარჩენი მწკრივების უღლების გაცნობისას, მათთვის სპეციფიკურად დამახასიათებელ ნიშნებზე გვექნება მსჯელობა.

### 3. უწყვეტელი

ვ-კლ-ევ-დ-(ი)

ჰ-კლ-ევ-დ-(ი)

კლ-ვი-და

ვ-კლ-ევ-დ-ით

ჰ-კლ-ევ-დ-ით

კლ-ვი-დ-ეს

ვ-ს-უ-ემ-დ-(ი)

ჰ-ს-უ-ემ-დ-(ი)

სუ-მი-და

ვ-ს-უ-ემ-დ-ით

ჰ-ს-უ-ემ-დ-ით

სუ-მი-დ-ეს

ბო-ე-კ-კლ-ე-დ-(ი)	შე-ე-კ-ს-უ-ე-მ-დ-(ი)
ბო- კ-კლ-ე-დ-(ი)	შე- კ-ს-უ-ე-მ-დ-(ი)
ბო- კ-კლ-ე-ი-და	შე- კ-ს-უ-მ-ი-და
ბო-ე-კ-კლ-ე-დ-ი-თ	შე-ე-კ-ს-უ-ე-მ-დ-ი-თ
ბო- კ-კლ-ე-დ-ი-თ	შე- კ-ს-უ-ე-მ-დ-ი-თ
ბო- კ-კლ-ე-ი-დ-ეს	შე- კ-ს-უ-მ-ი-დ-ეს

უწყვეტელში ამ ყალიბის მიხედვით ითვლება ყოველი ავთან და აჰანი ზნა. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის. მცირე განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ პირის ნიშნებთან დაკავშირებით, მაგრამ პირის ნიშნების ხმარების წესებს უკვე ვიცნობთ. უღლების წესი და ყალიბი კი ერთია. მაინც ვერყენებთ დამატებით პირის ნიშნებთან დაკავშირებულ სხვაობებს.

ე-კ-კითხ-ე-დ-(ი)	და-ე-ს-ღ-ე-მ-დ-(ი)
კ-კითხ-ე-დ-(ი)	და- ს-ღ-ე-მ-დ-(ი)
კ-კითხ-ე-ი-და	და- ს-ღ-მ-ი-და
ე-კ-კითხ-ე-დ-ი-თ	და-ე-ს-ღ-ე-მ-დ-ი-თ
კ-კითხ-ე-დ-ი-თ	და- ს-ღ-ე-მ-დ-ი-თ
კ-კითხ-ე-ი-დ-ეს	და- ს-ღ-მ-ი-დ-ეს
ე-ს-ტანჯ-ე-დ-(ი)	შთა-ე-კ-ნ-თ-ქ-ე-მ-დ-(ი) <sup>106</sup>
ს-ტანჯ-ე-დ-(ი)	შთა- კ-ნ-თ-ქ-ე-მ-დ-(ი)
ს-ტანჯ-ე-ი-და	შთა- კ-ნ-თ-ქ-მ-ი-და
ე-ს-ტანჯ-ე-დ-ი-თ	შთა-ე-კ-ნ-თ-ქ-ე-მ-დ-ი-თ
ს-ტანჯ-ე-დ-ი-თ	შთა- კ-ნ-თ-ქ-ე-მ-დ-ი-თ
ს-ტანჯ-ე-ი-დ-ეს	შთა- კ-ნ-თ-ქ-მ-ი-დ-ეს

აქ მთავარი საკითხია, გაირკვეს: რა არის ევ და ეშ, I და II პირებში რომ გამოჩნდება (ე-კლ-ე-დ, კ-კლ-ე-დ, ე-ს-უ-ე-მ-დ, კ-ს-უ-ე-მ-დ)? თეორიულად მოსალოდნელი იყო ე-კლ-ა-ე-დ-(ი), კ-კლ-ა-ე-დ-(ი), ე-ს-უ-ა-მ-დ-(ი), კ-ს-უ-ა-მ-დ-(ი), როგორც ახალ ქართულში გვაქვს (ველადი, ვსვამდი). მაგრამ ავთან და აჰან ზნებს ამ მწკრივში I და II პირებში ავ და აშ არსად არა აქვთ დაცული, აქ ყველგან და ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ევ და ეშ ელემენტები გვაქვს. მაშ, რა არის ეს ევ და ეშ?

მკვლევართა ერთი ვჯგუფის აზრით, ევ და ეშ არის თემის ნიშნები, სხვა თემის ნიშნები, რომლებიც აქ ენაცვლება სათანადოდ ავ და აშ ნიშნებს. აქ ერთ ფორმანტს (თემის ნიშანს) ენაცვლება მეორე ფორმანტი (თემის ნიშანი). ეთქვათ, ისე, როგორც დღეს გვაქვს კილოებში: ხატ-ამ-ს, კლ-ამ-ს, დაიწყებ-ს, გააძღობ-ს (=დაიწყებს, გააძღობს). ერთი სიტყვით, ჩვენ აქ საქმე გვაქვს თემის ნიშანთა მონაც-

<sup>106</sup> ამ ზნაში ობიექტური პირის ნიშანი ხშირად გადასმულია ნ-ს შუბლზე და თ-ს წინ ზღ არის ქცეული: შთან-ე-ს-თ-ქ-ე-მ-დ-(ი), შთან-ს-თ-ქ-ე-მ-დ-(ი), შთან-ს-თ-ქ-მ-ი-და და ა.შ. (6. ამის შესახებ ზემოთ). მაგრამ უღლების სისტემისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ვლებასთან. ეს შეხედულება წამოაყენა ა.ჩიქობავამ<sup>107</sup>. მას ემხრობიან ი.ქავთარაძე, პ.ჯაჯანიძე და სხვები.

მეორე შეხედულების მიხედვით, რომელიც ლ.კიქნაძეს<sup>108</sup> ეკუთვნის, ავ. ამ თემის ნიშნების ვე-ად და ეზ-ად ქცევა ფონეტიკურ ნიადაგზე უნდა აიხსნას. მას საფუძვლად უძევს მხოლოდ და მხოლოდ ფონეტიკური ფაქტორები. კერძოდ, ნაწილობრივი ასიმილაცია. რა მოქმედებს ა-ზე, რა იმსგავსებს მას? რა აქცევს მას ე-დ? — დ-ს მომდევნო ი. ე.წ. თანხმოდანთავსაყარი ი, რომელიც მრავლობითი ყოველთვის არის წარმოდგენილი; ეს პროცესიც ჯერ სწორედ მრავლობითი დაიწყო: ე-კლ-ავ-დ-ით → ე-კლ-ე-ვ-დ-ით; ი იმსგავსებს ა-ს ნაწილობრივ და ე-დ აქცევს. აქ ისეთივე მოვლენა უნდა გვექონდეს, როგორც დასავლურ კილოებშია დღეს: დაეიწყე → დეეიწყე, დავინახე → დეეინახე, გაეოგე → გეეოგე. აქედან შემდეგ ეს ასიმილირებული ფორმა გადავიდა მხოლობითი (მხოლობითი = მრავლობითის - თ). ევ და ეზ თემის ნიშნებზე ლაპარაკი ზედმეტია: აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში, აგრეთვე აწმყოზე დაყრდნობილ I თურმეობითში გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ ავ და ამ თემის ნიშნები: ე-კლ-ავ, ე-კლ-ავ, ე-სუ-ამ, ე-სუ-ამ; მომიკლ-ავ-ს, მოგიკლ-ავ-ს, შემისუ-ამ-ს, შევისუ-ამ-ს. თუ აქ თემის ნიშანთა მონაცვლეობაა, რაღა მხოლოდ უწყვეტელშია, რატომ არა გვაქვს იგი აწმყოში, თურმეობითში? ამ მწკრივებში ხომ ევ, ეზ არსად არ არის!

შემდეგ: ე.წ. მორფოლოგიური თეორიის ავტორები უწყვეტლის მესამე პირში, სადაც თემის ნიშნის ხმოვანი დაკარგულია, უშვებენ, რომ აქ ავ და ამ უნდა ყოფილიყო: კლ-ავ-დ-ა → კლ-ე-ი-დ-ა, სუ-ამ-დ-ა → სუ-მი-დ-ა. ახლა იქნება მეორე უხერხულობა: ერთისა და იმავე მწკრივის I და II პირში ევ, ეზ თემის ნიშნები ყოფილა. ხოლო მესამეში ავ და ამ. ასეთი უსისტემო მონაცვლეობა ენაში არა გვაქვს არც ამ შემთხვევაში და არც საერთოდ.

შემდეგ: ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მესამე პირის ბრძანებითის მხოლობითში გამოვლინდება იგივე ევ ელემენტი (კლ-ევ-დ-ი-ნ! სუ-ემ-დ-ი-ნ!), ხოლო მრავლობითში არის კლ-ე-ი-დ-ედ, სუ-მი-დ-ედ. რომლებშიც მორფოლოგიური თეორიის მიერ შეკუმშულად ნაგარაუდევია ავ და ამ თემის ნიშნები. ესეც მესამე უხერხულობა: მესამე სუბიექტური პირისათვის ერთისა და იმავე მწკრივის მხოლობითში ერთი თემის ნიშანია დაშვებული, მრავლობითში — სხვა. ასეთი უსისტემო და არეუ-დარევა ენის მწყობრ ფორმებს არ ახასიათებს. არ შეიძლება ერთდროულად სხვადა-სხვა თემის ნიშანი ჰქონდეს ერთსა და იმავე ზმნას სხვადასხვა მწკრივში, სხვადა-სხვა პირსა და სხვადასხვა რიცხვში.

როგორც ეთქვით, ძველ ქართულში ჯერ არავის უნახავს, ავიან და ამიან ზმნებს ამათ ნაცვლად ევ და ეზ ნიშნები ჰქონოდეს აწმყოში, აწმყოს ხოლმეობითში. პირველ თურმეობითში; ჯერ არავის დაუდასტურებია ასეთი უცნაური ფორმები: ე-კლ-ევ, ე-კლ-ევ, ე-სუ-ემ, ე-სუ-ემ, მო-მი-კლ-ევ-ს, მო-გი-კლ-ევ-ს, შე-მი-სუ-ემ-ს, შე-გი-სუ-ემ-ს... ასეთი ფორმები ძველმა ქართულმა არ იცის.

<sup>107</sup> ა.ჩიქობავა. ერვტიული კონსტრუქციის პრობლემა, I, გვ. 98-110.

<sup>108</sup> ლ.კიქნაძე. პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თჟმ. 30ბ-31ბ, 1947, გვ. 317-344.

სამაგიეროდ ძველ ქართულში არის ნამდვილი ევანი და ეჰანი ზნები, რომელთა უღლებაც ახლოს არ ეკარება მორფოლოგიური თეორიის მიმდევართა ვარაუდს. ეს ზნები ჩვენ ზემოთ (გვ. 111) მოყვანილი გვაქვს I ტიპის ზნათა მაგალითებში. აი, როგორ იუღვლის ნამდვილი ევანი და ეჰანი ზნები ისევ იმავე სადავო უწყვეტელში:

ე-ა-კურთხ-ევ-დ-(ი)	მი-ე-ს-ც-ემ-დ-(ი)
ა-კურთხ-ევ-დ-(ი)	მი-ს-ც-ემ-დ-(ი)
ა-კურთხ-ევ-დ-ა	მი-ს-ც-ემ-დ-ა
(და არა: ა-კურთხ-ე-ი-დ-ა)	(და არა: მი-ს-ც-მ-ი-დ-ა)
ე-ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ	მი-ე-ს-ც-ემ-დ-ი-თ
ა-კურთხ-ევ-დ-ი-თ	მი-ს-ც-ემ-დ-ი-თ
ა-კურთხ-ევ-დ-ეს	მი-ს-ც-ემ-დ-ეს
(და არა: ა-კურთხ-ე-ი-დ-ეს)	(და არა: მი-ს-ც-მ-ი-დ-ეს)

ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე და მთავარი ისაა, რომ ეს ზნები სწორედ ევ და ეჰ თემის ნიშნებით იხმარება აწმყოში. აწმყოს ზოლმოუბითისა და I თურმეობითში: ე-ა-კურთხ-ევ, ა-კურთხ-ევ, ა-კურთხ-ევ-ს, მი-ე-ს-ც-ემ, მი-ს-ც-ემ, მი-ს-ც-ემ-ს, მ-ი-კურთხ-ევ-ი-ეს, მი-მ-ი-ც-ემ-ი-ეს) და ანაირი ფორმები საძებარი და უპოვნელი კი არა, სავსეა ჩვენს ენაში. ეს იმიტომ, რომ ისინი ნამდვილი, ცოცხალი, ენაში არსებული და ხშირად ხმარებული ფორმებია, მაგრამ მათ არაფერი აქვთ საერთო ავ და ამ თემისნიშნთან ზნებთან.

უწყვეტლის ფორმათა წარმოების განხილვისას მეორე ასახსნელი საკითხია მესამე პირში (მხ. რ.) წარმოდგენილი ი ხმოვანი: კლ-ე-ი-დ-ა, კლ-ე-ი-დ-ეს, სუ-მ-ი-დ-ა, სუ-მ-ი-დ-ეს. რის მაქნისა აქ ხაზგასმული ი? იგი თანხმოვანთვასაყარი ხმოვანი უნდა იყოს, რომელიც გაჩნდა მას შემდეგ, რაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნებმა (ა-მ და ეს-მა) შეკუმშეს თემის ნიშნები, მათი ა ხმოვნის ამოგდების შემდეგ თავი მოიყარა ერთად რამდენიმე თანხმოვანმა (\*კლელა, \*კლელეს, \*კითხვლა, \*კითხვლეს, \*განასხმლა, \*განასხმლეს...), რომელთა გამოთქმის გასაადვილებლად გაჩნდა სწორედ ის ი. მოწინააღმდეგენი აქ შენიშნავენ ფონეტიკური თეორიის ავტორს, რომ, თუ ი ჩამატებული იყო, რაღად ხდებოდა კუმშვაო. მაგრამ ეს მოსაზრება დიდ დაბრკოლებად არ ჩაითვლება: შეკუმშვა და მერმე ი-ს ჩამატება ერთდროულად არ მომხდარა. აღნიშნული პროცესები საუკუნეებით არიან დაცილებული ერთმანეთისაგან. იგივე ავ, ამ თემის ნიშნები ძველ ქართულში, როგორც აღნიშნული გვქონდა (გვ. 99), აწმყოს მესამე პირის მრავლობითშიც იკუმშებოდა (მას ენ სუფიქსი კუმშა-და): კლ-ე-ენ, ილოც-ე-ენ, განიზრახ-ე-ენ, სუ-მ-ენ, განასხ-მ-ენ, შთაიკუ-მ-ენ. გარკვეულ შემთხვევებში აქაც გვქონდა ძველად გამოსათქმელი კომპლექსები. ყოველ შემთხვევაში. უკუმშველი ფორმები (კლავენ, სემენ...) გაცილებით უფრო ადვილი გამოსათქმელია. მაგრამ მთის დიალექტებში ჯერ კიდევ ძველებური, ძველად გამოსათქმელი ფორმებია შემორჩენილი. ენის ფორმათა დახვეწასა და განვითარება-გაუმჯობესებას საუკუნეების ჭიდილი, ბრძოლა სჭირდება.

რაც შეეხება დ საერცობის შემდეგ წარმოდგენილ ი-ს (ე-კლ-ევ-დ-ი, კ-კლ-ევ-დ-ი, ე-კლ-ევ-დ-ი-თ, კ-კლ-ევ-დ-ი-თ). ამის შესახებ ზემოთ (გვ. 113) უკვე გვქონდა

საუბარი და აქ აღარ გაეიშორებთ.

ეს მეორე შეხედულება და მისი დასაბუთება, როგორც ვთქვით, ეკუთვნის ლ. კიკნაძეს. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურაც მკითხველს მის ნაშრომში შეუძლია ნახოს.

ახლა ვუჩვენებთ სათანადო მაგალითებს ძეგლებიდან:

ღამე გულითა ჩემითა ეზრუნველ (ფს. 76,7); ვპლოცველ პირსა შენსა ყოვლითა გულითა ჩემითა, განვიზრახველ გზათა შენთა (ფს. 118,58-59); ეხედველი საკრველებათა (მოქც. 229,35); ვითარცა მერცხალი, ვერე ვჭრჭინველ და, ვითარცა ტრედი, ვლუმინველ (სახ. 241,32); ვიხილველ მერმე ჩუენებასა (დაბ. 41,22); ჩუენ ყოველთა, ვითარცა შეილთა, გუხედველ (შუშ. 134,32); მაშინ ვტკიროდე და სულთ-ვითქემდე (მოქც. 230,9); მეგონა მე, ვითარმელ თქუენ ჰკრევედით მჭელეულთა შოერის ეელსა (დაბ. 37,7); ეჭამდით წინაშე შენსა და ესუემდით (ლ. 13,26); ხოლო ჩუენ ვიკითხვედით მიზეზსა (ზარზმ. 197,30); და ჩუენლა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაი ერთი (შუშ. 137,18); აღელო თავი თვისი და ესვიდა იგი ძალსა თვისსა (ევსტ. 149,40); ხოლო მამაი მისი გამოვიდა და ხლოცივდა (ლ. 15,28 Y); ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა შხპ (მ. 17,2); იფარვიდა თავსა თვისსა ხუთ თთუე (ლ. 1,24); ვარსქენ ... ძღუნად თავსა თვისსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ (შუშ. 133,19); ფარაო პრისხვიდა მონათა თვისთა (დაბ. 41,10); ხოლო იონა შთავიდა უბესა მის ნავისასა და ეძინა და ხურინვიდა (იონა 1,5); კითხვით მკითხვიდა ჩუენ კაცი იგი ნათესავსა ჩუენსა (დაბ. 43,7); ხოლო წმიდაი იგი მარტული ღუმლით მენელ მითუა-ღვიდა მავკლსა (აბო 171,35); ჰბერვიდა წყალთაგან ნაივი და შალვიდა ფურცელსა ხისა მისგან (მოქც. 235,24).

ანგელოზნი განკრევებით ზეგარდამო ხხედვიდეს, რომელ-იგი ხიქნებორა (ისტ. ქრ. I, 48,4); მოახლებულ იყენეს მახვლოსანნი და ჩუენსა გარემოის სცემდეს და კლვიდეს (მოქც. 234,16); ღრტვნიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს (ლ. 15,9); ქერუნენეს მათ მოსე და ელია მის თანა და ჰზრახვიდეს მას (მ. 17,37 Z); შესწირვიდეს შესაწირავსა ... და შაბათთა იმარხვიდეს (ევსტ. 149,31-32); და ვითარცა ვიხილენ, ჭკურვიდეს რაი ივინი, წარვიდა სისხლი ჩემი (ისტ. ქრ. I, 186,25); მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღვინოსა ყოვლადვე (მანძთ. 216,6); რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი, ვიდრემდე დასთრგუნვიდესცა ურთიერთას (ლ. 12,1); ვერ დაიდგმიდეს მედარნი ზურგთა ზედა ცხენთასა (ცხ. ეფრ. 86,30); მოიხუმიდეს უძღურთა და სნეულთა მათთა ტაძრად წმიდათა კვროს და იოვანესა სარწმუნოებით (პარხ. 835a).

#### 4. I ბრძანებითი

I ბრძანებითის წარმოების საერთო წესი და ყალიბი აქაც იგივეა, რაც I ტიპის ზმნებს ჰქონდა (ნ. ზემოთ, გვ. 114): II პირის ბრძანებითი იმეორებს უწყვეტელს სუბიექტური პირის ნიშნის გარეშე, ხოლო მესამე პირი ვერდნობა უწყვეტლის ფუძეს და პირის ნიშნებად აქვს ნ (მხ.) და ელ (მრ.) სუფიქსები. განსხვავება ფუძის წარმოებაშია მხოლოდ, უწყვეტლის თავისებურებას ჩვენ ზემოთ უკვე გავეცანით. ახლა

ადვილია ბრძანებითის წარმოების გაგებაც. კიდევ გავიშორებთ: აუთანი და ამიანი  
ზმნები აქაც ერთად ღვანან. მაგალითები:

## II პირისა

კლ-ე-დ-(ი)!  
ვნ-ე-დ-(ი)!  
როკ-ე-დ-(ი)!  
მოსრ-ე-დ-(ი)!  
ზრუნ-ე-დ-(ი)!

კლ-ე-დ-ით!  
ვნ-ე-დ-ით!  
როკ-ე-დ-ით!  
მოსრ-ე-დ-ით!  
ზრუნ-ე-დ-ით!

მო-კ-კლ-ე-დ-(ი)  
კ-კითხ-ე-დ-(ი)!  
ს-თეს-ე-დ-(ი)!  
კ-ხედ-ე-დ-(ი)!  
შე-კ-მუსრ-ე-დ-(ი)!

მო-კ-კლ-ე-დ-ით!  
კ-კითხ-ე-დ-ით!  
ს-თეს-ე-დ-ით!  
კ-ხედ-ე-დ-ით!  
შე-კ-მუსრ-ე-დ-ით!

ე-ს-ე-დ-(ი)!  
იხილ-ე-დ-(ი)!  
ილოც-ე-დ-(ი)!  
იმარხ-ე-დ-(ი)!  
განიზრახ-ე-დ-(ი)!

ე-ს-ე-დ-ით!  
იხილ-ე-დ-ით!  
ილოც-ე-დ-ით!  
იმარხ-ე-დ-ით!  
განიზრახ-ე-დ-ით!

## III პირისა

კლ-ე-დ-ინ!  
ვნ-ე-დ-ინ!  
როკ-ე-დ-ინ!  
მოსრ-ე-დ-ინ!  
ზრუნ-ე-დ-ინ!

კლ-ე-ი-დ-ედ!  
ვნ-ე-ი-დ-ედ!  
როკ-ე-ი-დ-ედ!  
მოსრ-ე-ი-დ-ედ!  
ზრუნ-ე-ი-დ-ედ!

მო-კ-კლ-ე-დ-ინ!  
კ-კითხ-ე-დ-ინ!  
ს-თეს-ე-დ-ინ!  
კ-ხედ-ე-დ-ინ!  
შე-კ-მუსრ-ე-დ-ინ!

მო-კ-კლ-ე-ი-დ-ედ!  
კ-კითხ-ე-ი-დ-ედ!  
ს-თეს-ე-ი-დ-ედ!  
კ-ხედ-ე-ი-დ-ედ!  
შე-კ-მუსრ-ე-ი-დ-ედ!

ე-ს-ე-დ-ინ!  
ი-ხილ-ე-დ-ინ!  
ი-ლოც-ე-დ-ინ!  
ი-მარხ-ე-დ-ინ!  
გან-ი-ზრახ-ე-დ-ინ!

ე-ს-ე-ი-დ-ედ!  
ი-ხილ-ე-ი-დ-ედ!  
ი-ლოც-ე-ი-დ-ედ!  
ი-მარხ-ე-ი-დ-ედ!  
გან-ი-ზრახ-ე-ი-დ-ედ!



მესამე პირის მხოლოდობითში, როგორც აღნიშნული იყო, წარმოშობით თანხმო-  
ვანთგასაყარი ი ნაწილობრივ იმსგავსებს ავ თემის ნიშნის ა-ს, ე-დ აქცევს მას და  
ასეა მიღებული, მაგალითად, კლევდინ.

მრავლობითში ედ სულ ამოადგებს იმავე ა-ს (\*კლ-ე-დ-ედ) და ამის შემდეგ  
ჩნდება თანხმოვანთგასაყარი ი (კლ-ე-ი-დ-ედ), რაც აადვილებს გამოთქმას, ურობლი-  
სოდაც ერთად მოიყრიდა თავს აქ 4 თანხმოვანი, სხვაგან კი მეტიც (განი-რთხმდ-ედ.  
შეი-რტყმდ-ედ).

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ავ თემისნიშნისანი ზმნების მაგალითები. ზუსტად ასე  
იუღვლის აგრეთვე ამიანი ზმნებიც. თუ ავიანებში ევ-ად სახეცვლილი სუფიქსია. აქ  
მის ნაცვლად ემ გვექნება, თუ იქ ა-ს ამოადგების შემდეგ მარტო ვ იყო დარჩენლი. აქ  
მ იქნება. სხვა მხრივ მათ შორის სრული იგივეობაა. ამიტომ მხოლოდ მაგალითებს  
ვუჩვენებთ:

## II პირისა

სუ-ემ-დ-(ი)!	სუ-ემ-დ-ი-თ!
და-ა-ბ-ემ-დ-(ი)!	და-ა-ბ-ემ-დ-ი-თ!
და-ს-დგ-ემ-დ-(ი)!	და-ს-დგ-ემ-დ-ი-თ
და-პ-ნთქ-ემ-დ-(ი)!	და-პ-ნთქ-ემ-დ-ი-თ!
გან-ი-რთხ-ემ-დ-(ი)!	გან-ი-რთხ-ემ-დ-ი-თ!
გან-ა-სხ-ემ-დ-(ი)!	გან-ა-სხ-ემ-დ-ი-თ!
აღ-უ-თქუ-ემ-დ-(ი)!	აღ-უ-თქუ-ემ-დ-ი-თ!
შთა-ი-ცუ-ემ-დ-(ი)!	შთა-ი-ცუ-ემ-დ-ი-თ!
მი-ა-რთუ-ემ-დ-(ი)!	მი-ა-რთუ-ემ-დ-ი-თ!

## III პირისა

სუ-ემ-დ-ი-ნ!	სუ-მ-ი-დ-ედ!
და-ა-ბ-ემ-დ-ი-ნ!	და-ა-ბ-მ-ი-დ-ედ!
და-ს-დგ-ემ-დ-ი-ნ!	და-ს-დგ-მ-ი-დ-ედ!
და-პ-ნთქ-ემ-დ-ი-ნ!	და-პ-ნთქ-მ-ი-დ-ედ!
გან-ი-რთხ-ემ-დ-ი-ნ!	გან-ი-რთხ-მ-ი-დ-ედ!
გან-ა-სხ-ემ-დ-ი-ნ!	გან-ა-სხ-მ-ი-დ-ედ!
აღ-უ-თქუ-ემ-დ-ი-ნ!	აღ-უ-თქუ-მ-ი-დ-ედ!
შთა-ი-ცუ-ემ-დ-ი-ნ!	შთა-ი-ცუ-მ-ი-დ-ედ!
მი-ა-რთუ-ემ-დ-ი-ნ!	მი-ა-რთუ-მ-ი-დ-ედ!

დასასრულ, მოვიყვანთ სათანადო ნიმუშებს:

II პირისა: მიგუაღე ჯინჭულისა და ჰმაძევე, ზ მედგარო (სახ. 238,13);  
დაუკლებელად სულთ-ითქუემდ და ტიროდე და არქუ მას (ისტ. ქრ. II, 9,30);

გსუროდენ ლოცვისა და ზრახველ უფლისა მიმართ (Sin. 97, 61vb,5); იმარხველ გონებასა.... იმარხველ მიხედვასა (იქვე, 162rb,1-2); ამიერიოვან გნებაეს თუ ტანჯვად კრპთა არა მსახურებისათუის, მტანჯველ მე (საკ. წ. II, 36,16); მოვედ, ზ სტეფანია, და სუემდ მდინარისა მისგან, რომელსა მოდის სძმ და თაფლი (Sin. 11, 252r,4); აწ სარწმუნოებით ესეველ მაღლსა მათსა და იოხდ წმინდასა ლოცვასა მათსა (კობ. I, 214,21); ხოლო ილოცვედით, არა იყოს სივლტოლაი თქუენი ზამთარსა (მ. 24,20 C); ულოცვედით, რომელნი გხუეჭდენ თქუენ (მ. 5,14 C); სნეულთა განჰკურნებდით, კთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხნებდით (მ. 10,8); ჭამდით და სუემდით მათ თანა (ფს. 4,6).

**III პირობა:** ეგრე ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა (მ. 5,16); უკეთუ ვისზე სწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ (ი. 7,37; ბოლნ. 24,16); ესევედინ ისრაელი უფალსა (ფს. 130,3); რომელსა არა ჰქონან ტირილნი, განიცადენ და სულთ-ითქუემდინ და ისწავენ ჭეშმარიტად (ისტ. ქრ. II, 14,14).

## 5. უწყვეტლის ხოლმეობითი

როგორც აღნიშნული გვექონდა, უწყვეტლის ხოლმეობითი ძველი სახით ყველაზე სრულყოფილად სწორედ ავიან და ამიან ზმნებში არის შემონახული. აქ იგი არც ერთ შემთხვევაში არ ემთხვევა არც უწყვეტლის და არც, მით უმეტეს, სხვა საერცობანი მწკრივების რომელიმე პირის ფორმას. იგი აქ სრულიად დამოუკიდებელი და თავისთავადია<sup>109</sup>.

წარმოების წესი აქაც ისეთივეა, როგორც I ტიპის ზმნებში იყო (ე-წერ-დ-ი, ს-წერ-დ-ი, წერ-დ-ი-ს), ე.ი. საერცობიან ფუძეს მწკრივის ნიშნად ემატება ი სუფიქსი (\*ე-კლ-ავ-დ-ი), რომელიც ავ თემის ნიშნისეულ ა-ს ამოაგდებს (\*ე-კლ-ე-დ-ი), ხოლო ამის შემდეგ ჩნდება თანხმეოვანთგასაყარი ი, რომელიც ადგილს იმკვიდრებს თემის ნიშნის ე-სა და დ საერცობს შორის (ე-კლ-ე-ი-დ-ი). ამ წესს ემორჩილება ყველა ავიანი და ამიანი ზნა. აქ გამონაკლისი არ არსებობს. ქართული ზმნის უღლების სისტემაში ამ ტიპის ზმნათა ჩვენება უძველეს საფეხურს უნდა ასახავდეს, ავიან და ამიან ზმნებს სხეაც არაერთი და ორი ულტრაარქაიზმის ნიშეში შემოუნახავს. ამიტომ აქაც დიდი ფასი აქვს მათს ჩვენებებს.

უწყვეტლის ხოლმეობითზე ზემოთ (გვ. 118) პირველი ტიპის ზმნებზე საუბრისას საკმაოდ გვექონდა ნათქვამი. ამიტომ ახლა აქ სათანადო სქემებისა და მერზე ძველი ძველებიდან ამოკრებილი მაგალითების მოყვანით დაკმაყოფილდებით.

ე-კლ-ე-ი-დ-ი

ე-სუ-მ-ი-დ-ი

ჰ-კლ-ე-ი-დ-ი

ჰ-სუ-მ-ი-დ-ი

კლ-ე-ი-დ-ი-ს

სუ-მ-ი-დ-ი-ს

<sup>109</sup> ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით მსჯელობს ლ. კაკაბაძე: უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: ძველმ. 7. 1961.

ე-კლ-ე-ი-ღ-ით  
 კ-კლ-ე-ი-ღ-ით  
 კლ-ე-ი-ღ-ი-ან

ე-სუ-ში-ღ-ით  
 კ-სუ-ში-ღ-ით  
 სუ-ში-ღ-ი-ან

მო-ე-კ-კლ-ე-ი-ღ-ი  
 მო- კ-კლ-ე-ი-ღ-ი  
 მო- კ-კლ-ე-ი-ღ-ი-ს  
 მო-ე-კ-კლ-ე-ი-ღ-ით  
 მო- კ-კლ-ე-ი-ღ-ით  
 მო- კ-კლ-ე-ი-ღ-ი-ან

შე-ე-კ-სუ-ში-ღ-ი  
 შე- კ-სუ-ში-ღ-ი  
 შე- კ-სუ-ში-ღ-ი-ს  
 შე-ე-კ-სუ-ში-ღ-ით  
 შე- კ-სუ-ში-ღ-ით  
 შე- კ-სუ-ში-ღ-ი-ან

ე-კ-კითხ-ე-ი-ღ-ი  
 კ-კითხ-ე-ი-ღ-ი  
 კ-კითხ-ე-ი-ღ-ი-ს  
 ე-კ-კითხ-ე-ი-ღ-ით  
 კ-კითხ-ე-ი-ღ-ით  
 კ-კითხ-ე-ი-ღ-ი-ან

ღა-ე-ს-ღგ-ში-ღ-ი  
 ღა- ს-ღგ-ში-ღ-ი  
 ღა- ს-ღგ-ში-ღ-ი-ს  
 ღა-ე-ს-ღგ-ში-ღ-ით  
 ღა- ს-ღგ-ში-ღ-ით  
 ღა- ს-ღგ-ში-ღ-ი-ან

ე-ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ი  
 ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ი  
 ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ი-ს  
 ე-ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ით  
 ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ით  
 ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ი-ან

აღ-უ-თქუ-ში-ღ-ი  
 აღ-უ-თქუ-ში-ღ-ი  
 აღ-უ-თქუ-ში-ღ-ი-ს  
 აღ-უ-თქუ-ში-ღ-ით  
 აღ-უ-თქუ-ში-ღ-ით  
 აღ-უ-თქუ-ში-ღ-ი-ან

აქედან სანიმუშოდ რომ ავიღოთ ერთ-ერთი ფორმა, ვთქვათ, შე-ე-კ-სუ-ში-ღ-ით, და გაკაანალიზოთ მისი შემადგენელი ელემენტები, გვეჩვენება:

შე არის ზმნისწინი

ე — პირველი სუბიექტური პირის ნიშანი

კ — მეასამე პირდაპირობიექტური პირის ნიშანი; იგი იმიტომაც ფორმაში, რომ ზმნისწინიც ერთვის მას; უზმნისწინოდ იქნებოდა: ე-სუ-ში-ღ-ით

სუ — ძირი

შ — თემის ნიშნის ნაწილი, ა ამოღებულა მწკრივის ნიშნის დართვის შედეგად

ი — თანხმოვანთგასაყარი

ღ — სავრცობი

ი — მწკრივის ნიშანი

თ — პირველი სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი.

ნოვოზამი ჰავლეზილანე: და მე არა ვუკუვიდი? (2 კორ. 11,29); მე არა ვკითხვიდი და იგი მითხრობნ ენებათა მისთა (ბალ. 6,35); უკუუთუ ენებე წინა-აღმღევის,

ვკრისხვილი...და უკუეთუ არავინ მშასხურის....არა მნებუნ ყოფად მის თანა და ძვრსა უზრახვილი (სწავ. 261, 32,35); უკუეთუ გამოვილი სენაკით და ვპრი მმა ჩემი ზრუნვასა, მეცა ვზრუნვილი მის თანა (ნოვ. II, 187,8).

ჩუენ ცოდვათა მათთა ვხედვილით. ხოლო სინანული მათი და კეთილისა საქმე ვერ ვცნი და უსამართლოდ განვიკითხვილით (სწავ. 307, 15,17); ოდეს ღმერთი გუზრახან ჩუენ.... დაუტევით იგი და მივექციით და ვზრახვილით ნათესავთა ჩუენტთა თანა საქმისა რაისათვისმე უცეროისა (სწავ. 29,17); დასხდით და იკითხვილით და არა გემინინ (აპოკრ. 27,25).

მოვახლის რად ცისკარი, განემორჩინან...და მეუდროებით და ცრემლით შესწირვიდნან ვედრებასა (ზარზმ. 201,7); გრიგოლის თუაღნი ხოლო ხედვიდნან მას (კიმ. I, 130,30); ცრემლით და ტირილით ილოცვიდნან ღმრთისა მიმართ (ისტ. ქრ. II, 105,6); რომელი ოდესმე არა ღირნ ნახევარ ქრთილად და კაცნი მის ზედა სახელსა ღმრთისასა ფიცვიდნან კადნიერად (სწავ. 161,8); რაეაშს აღვდგი, ჩემთვის ძვრსა ზრახვიდნან (იობ 19,18); იშუებდნან და ილოცვიდნან ღამე ყოველ (საქ. წ. II, 29,16); რაეაშს ებიებდნან რასმე დაფარულსა, გამოუცხადნან მათ, და კუალად ოდესმე თვთ წმიდანი იგი კითხვიდნან მათ (Sin. 80, 14,16).

იშეთათად ელ სუფიქსიანი უწყვეტლის ხოლმეობითი აქაც გვაქვს:

იქენ შენ ვითარცა მკუმილნი, რომელნი მკუმილვიდიედ სამწყსოსა გინა სავენავესა, რამეთუ იტყუელვედ ველთა მათთა და ვბითა მადლითა ღაღადებენ და იზახებედ, და ოჯრისა მათისაგან ივლტიედ ყოველნი, რომელთა ჰნებუნ მიპარუად სამცველოდ მათი, რომელსა სცვიდიედ (სწავ. 13, 6-9); სარწმუნოებაი განაძლიერებენ მათ და არას ზრუნვიდიედ ხილვისათვის და საქმისა სამინელთა საქმეთათვის (იქვე, 300,27); ესრეთი ვიდრე ქათმისა ვპობადმდე ილოცვიდიედ და იზარებედ ურთიერთას (საქ. წ. II, 29,26).

## 6. I კავშირებითი

I კავშირებითის წარმოების საერთო წესი და ყალიბი აქაც ისეთივეა, როგორც I ტიპის ზმნებში. I სერიის საერკობიანი მწკრივების ფუძეს მწკრივის ნიშნად ემატება ე სუფიქსი: ვ-კლ-ვი-დ-ე, კ-კლ-ვი-დ-ე, კლ-ვი-დ-ე-ს... ამანაც გამოწკრიბისი არ იცის, ყველა ავიანი და ამიანი ზმნა ამ ერთადერთი ყალიბით ივლლება. ამ მხრივ I კავშირებითსა და უწყვეტლის ხოლმეობითის შორის მხოლოდ ის არსებითი განსხვავებაა, რომ პირველს მწკრივის ნიშნად ე აქვს (ე-კლ-ვი-დ-ე), მეორეს კი ი (ე-კლ-ვი-დ-ი). I კავშირებითს S<sub>3</sub> პირის მრავლობითობის ნიშნად ნ მოუღის. სხვა ელემენტების კვალიფიკაცია ისეთივე იქნება, როგორც უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმების ანალიზისას (გვ. 133) ვნახეთ, ამიტომ ამაზე მეტს არაფერს ვიტყვი. მოვიყვანთ მხოლოდ უღლების პარადიგმებსა და ნიშუშებს ძველებიდან.

ე-კლ-ვი-დ-ე  
კ-კლ-ვი-დ-ე  
კლ-ვი-დ-ე-ს

ე-სუ-ბ-ი-დ-ე  
კ-სუ-ბ-ი-დ-ე  
სუ-ბ-ი-დ-ე-ს

ე-კლ-ვი-ღ-ეთ  
ქ-კლ-ვი-ღ-ეთ  
კლ-ვი-ღ-ენ

ე-სუ-ში-ღ-ეთ  
ქ-სუ-ში-ღ-ეთ  
სუ-ში-ღ-ენ

მო-ე-ქ-კლ-ვი-ღ-ე  
მო- ქ-კლ-ვი-ღ-ე  
მო- ქ-კლ-ვი-ღ-ე-ს  
მო-ე-ქ-კლ-ვი-ღ-ეთ  
მო- ქ-კლ-ვი-ღ-ეთ  
მო- ქ-კლ-ვი-ღ-ენ

შე-ე-ქ-სუ-ში-ღ-ე  
შე- ქ-სუ-ში-ღ-ე  
შე- ქ-სუ-ში-ღ-ე-ს  
შე-ე-ქ-სუ-ში-ღ-ეთ  
შე- ქ-სუ-ში-ღ-ეთ  
შე- ქ-სუ-ში-ღ-ენ

ე-ქ-ითხ-ე-ი-ღ-ე  
ქ-ითხ-ე-ი-ღ-ე  
ქ-ითხ-ე-ი-ღ-ე-ს  
ე-ქ-ითხ-ე-ი-ღ-ეთ  
ქ-ითხ-ე-ი-ღ-ეთ  
ქ-ითხ-ე-ი-ღ-ენ

ღა-ე-ს-ღგ-ში-ღ-ე  
ღა- ს-ღგ-ში-ღ-ე  
ღა- ს-ღგ-ში-ღ-ე-ს  
ღა-ე-ს-ღგ-ში-ღ-ეთ  
ღა- ს-ღგ-ში-ღ-ეთ  
ღა- ს-ღგ-ში-ღ-ენ

ე-ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ე  
ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ე  
ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ე-ს  
ე-ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ეთ  
ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ეთ  
ს-ტანჯ-ე-ი-ღ-ენ

აღ-უ-თქუ-ში-ღ-ე  
აღ-უ-თქუ-ში-ღ-ე  
აღ-უ-თქუ-ში-ღ-ე-ს  
აღ-უ-თქუ-ში-ღ-ეთ  
აღ-უ-თქუ-ში-ღ-ეთ  
აღ-უ-თქუ-ში-ღ-ენ

**ნიშნუვაბი ჰიბლუნიღან:** რაითა ეამითი ეამად ეიხილვიღე საღმრთოსა პირსა თქუენსა (ზარზმ. 199,25); გიძლავს შესუმაღ სასუმელისა მის, რომელსა მე შევსუმიღე? (მ. 20,22 C); მცირედლა და სოფელი ესე არა მხედვიღეს მე, ხოლო თქუენ მხედვიღეთ მე (ი. 14,19); რაჟამს შენ იმარხვიღე (მ. 6,17); ძალი მაღლისაჲ გვარვიღეს შენ (ლ. 1,35); უკუეთუ ვინმე გკითხვიღეს: რაისათვის აღჰქნინით? ესრე თქუთ (ლ. 19,31); მოვლენან ღღენი, ოდეს გული გითქუმიღეს თქუენ ღღეთათვის ძისა კაცისათა ხილვად (ლ. 17,22); ხვალე იგი ზრუნვიღეს თავისა თვისისათვის (მ. 6,34); რაჟამს ძლიერი შეჭურვილი სცილდეს ეზოსა თვისსა (ლ. 11,21).

ჯერ-არს, რაითა...დიღსა ლოცეასა შეხუწირვიღეთ უფლისა მიმართ (ისტ. ქრ. I. 46,32); რაითა ჰჭამდეთ და ჰსუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა (ლ. 22,30); მას ღღესა მე არა მკითხვიღეთ (ი. 16,23 C); რაჟამს იმარხვიღეთ, ნუ იყოფით, ვითარ-ცა-იგი ორგულნი, მწუხარე (მ. 6,16); შორის შესაკრებელსა მათსა გტანჯვიღენ თქუენ (მ. 10,17); ეკიცხევენ მას და ტანჯონ იგი, ჰწერწყვიღენ მას და მოკლან იგი (მრ. 10,34); აჲ ესერა თუაღნი თქუენნი ჰხედვიღენ (დაბ. 45,12); რომელნი აღმო-კითხვიღენ (აბო 157,28); მოვლენან ღღენი, ოდეს აღმაღლდეს მათგან სიძს იგი. და მაშინ იმარხვიღენ (მ. 9,15).

### ს. ოდიანი ზნებაი

ოდიანი ზნებები ძველ ქართულში მეტად დიდი თავისებურებებით ხასიათდება. ამთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია უწყვეტლისა და I კავშირებითის ურთიერთშეფარდება და დაპირისპირება. თუ ღონიან ზნებში უწყვეტელს დ საერცობის შემდეგ შეიძლება ი (მერმინდელი მწკრივის ნიშანი) დართოდა, ხოლო I კავშირებითის მწკრივის ნიშნად ყოველთვის ე ჰქონდა (და ახლაც აქვს: ე-წერ-დ-(ი), ს-წერ-დ-(ი) — ე-წერ-დ-ე, ს-წერ-დ-ე). ოდიან ზნებში შებრუნებული ვითარება გვქონდა: უწყვეტელს მწკრივის ნიშნად ე ჰქონდა, ხოლო I კავშირებითის — ი.

უწყვეტელი: ე-ტირ-ოდ-ე, ს-ტირ-ოდ-ე, ე-ეტყ-ოდ-ე, ე-ტყ-ოდ-ე...

I კავშირებითი: ე-ტირ-ოდ-ი, ს-ტირ-ოდ-ი, ე-ეტყ-ოდ-ი, ე-ტყ-ოდ-ი...

ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქვამდნენ მოსაზრებას (ნ. მარი, მ. ბრიერი, ფ. ცორელი...), რომ ძველ ქართულში უწყვეტელი და I კავშირებითი ერთმანეთისაგან კარგად გარჩეული არ არისო. მაგრამ არა: ძველ ქართულში უწყვეტელი და I კავშირებითი ყველგან მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს და არსად არ ემთხვევა ერთი ფორმა მეორისას. კარგად ამბობს ა. შანიძე: "ძველები მათ არჩევენ, ენის მკვლევრები კი არა". ამის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ძველად, კარგად დიდხანს, არ იყო შექმნილი ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობდა ღონიანი და ოდიანი ზნების უღლებას შორის.

პირველად ამ საკითხს (ღონიანი და ოდიანი ზნების უღლებათა განსხვავებას) ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება. უკრ კიდევ 1927 წელს, ხანმეტი მრავალთავის გამოცემისას, როცა ღონიანი და ოდიანი ზნების უღლების თავისებურებაზე ჰქონდა საუბარი, მკვლევარმა აღნიშნა: ამ მაგალითებიდან თითქო იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ, თუ ოდ სუფიქსი გვაქვს, მაშინ კილოს (= მწკრივის. ი.ი; ე.ი) მწარმოებელი ი არისო<sup>110</sup>. ეს ბრწყინვალე მიხვედრა ავტორმა უფრო მოგვიანებით ეჭვმოუტანლად დაასაბუთა თავის გამოკვლევაში<sup>111</sup>, რომლის შედეგადაც მტკიცე ნიადაგზე დადგა ღონიან და ოდიან ზნათა უღლების თავისებურებათა შესწავლა.

შეუდგეთ ცალკე მწკრივების გაცნობას.

### 3. უწყვეტელი

ამ (III) ტიპის ზნების მწკრივის ნიშანია სუფიქსი ე, რომელიც უშუალოდ მოჰყვება ოდ საერცობს (ე-ტირ-ოდ-ე). ეს მწკრივის ნიშანი უცვლელად გასდევს პირველ და მეორე პირებს მხოლოდობითა და მრავლობითში, ხოლო შესამე პირის ფორმებში (მხ. და მრ.) ამოღებულია მომდევნო ა და ეს სუფიქსების დართვის გამო.

<sup>110</sup> ა. შანიძე. ხანმეტი მრავალთავი: თუმ. 7, 1927, გვ. 117—118.

<sup>111</sup> ა. შანიძე. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში: სმამ. ტ. 6, N10, 1945, გვ. 835-844.

ვ-ტირ-ოდ-ე	გან-ე-ტფ-ებ-ოდ-ე
ს-ტირ-ოდ-ე	გან-ს-ტფ-ებ-ოდ-ე
ტირ-ოდ-ა	გან- ტფ-ებ-ოდ-ა
ვ-ტირ-ოდ-ეთ-თ	გან-ე-ტფ-ებ-ოდ-ეთ-თ
ს-ტირ-ოდ-ეთ-თ	გან-ს-ტფ-ებ-ოდ-ეთ-თ
ტირ-ოდ-ეს (*-ტირ-ოდ-ე-ეს)	გან- ტფ-ებ-ოდ-ეს

ვი-ც-ოდ-ე	უწყ-ოდ-ე
ი-ც-ოდ-ე	უწყ-ოდ-ე
ი-ც-ოდ-ა	უწყ-ოდ-ა
ვი-ც-ოდ-ეთ-თ	უწყ-ოდ-ეთ-თ
ი-ც-ოდ-ეთ-თ	უწყ-ოდ-ეთ-თ
ი-ც-ოდ-ეს	უწყ-ოდ-ეს

ამ ორ ზმნასთან სუბიექტად მოთხრობითი იხმარება: იცოდა მან, უწყოდა მან. იცოდეს მათ, უწყოდეს მათ. როგორც აღნიშნული იყო (გვ.82), ისინი წარმოშობით II ხოლმეობითის ფორმებია.

ვი-ქმ-ოდ-ე	ვი-ტყ-ოდ-ე
ი-ქმ-ოდ-ე	ი-ტყ-ოდ-ე
ი-ქმ-ოდ-ა	ი-ტყ-ოდ-ა
ვი-ქმ-ოდ-ეთ-თ	ვი-ტყ-ოდ-ეთ-თ
ი-ქმ-ოდ-ეთ-თ	ი-ტყ-ოდ-ეთ-თ
ი-ქმ-ოდ-ეს	ი-ტყ-ოდ-ეს

იტყოდა და მსგავს ფორმებში ფუძისეული უმარცვლო უ ო-ს უშუალო მეზობლობაში დაკარგულია: \*იტყუოდა → იტყოდა. შდრ. დღევანდელი ცივი. კივის. წივის. მაგრამ: ციოდა, კიოდა, წიოდა.

ვი-ბრძ-ოდ-ე	ვი-ხად-ოდ-ე
ბ-ბრძ-ოდ-ე	ბ-ხად-ოდ-ე
ბ-ბრძ-ოდ-ა	ბ-ხად-ოდ-ა
ვი-ბრძ-ოდ-ეთ-თ	ვი-ხად-ოდ-ეთ-თ
ბ-ბრძ-ოდ-ეთ-თ	ბ-ხად-ოდ-ეთ-თ
ბ-ბრძ-ოდ-ეს	ბ-ხად-ოდ-ეს
ბბრძოდა ← *ბბრძუოდა ← *ბბრძაუოდა	

გან-ე-კ-კრთ-ებ-ოდ-ე	შე-ე-ს-ცთ-ებ-ოდ-ე
გან- კ-კრთ-ებ-ოდ-ე	შე- ს-ცთ-ებ-ოდ-ე
გან- კ-კრთ-ებ-ოდ-ა	შე- ს-ცთ-ებ-ოდ-ა

გან-ე-კ-კრთ-ებ-ოდ-ეთ  
 გან- კ-კრთ-ებ-ოდ-ეთ  
 გან- კ-კრთ-ებ-ოდ-ეს

შე-ე-ს-ცთ-ებ-ოდ-ეთ  
 შე- ს-ცთ-ებ-ოდ-ეთ  
 შე- ს-ცთ-ებ-ოდ-ეს

ესენი წარმოშობით ორპირიანი ენებითი გვარის ზნებია, კ და ს აქ დაკარგული ირიბი ობიექტის ნიშნებია. სათანადო მოქმედებითები (განაკრთო, შეაცთუნა) წარმოშობით სამპირიანი ზნებია, რომელთაც ირიბი ობიექტი დაკარგული აქვთ (იშვიათად შეიძლება გამოჩნდეს კიდევ: აცთუნეს ... რჩეულთაც).

ე-ე-დრ-ებ-ოდ-ე  
 ე-ე-დრ-ებ-ოდ-ე  
 ე-ე-დრ-ებ-ოდ-ა  
 ე-ე-დრ-ებ-ოდ-ეთ  
 ე-ე-დრ-ებ-ოდ-ეთ  
 ე-ე-დრ-ებ-ოდ-ეს

და-ე-ა-დგრ-ებ-ოდ-ე  
 და- ა-დგრ-ებ-ოდ-ე  
 და- ა-დგრ-ებ-ოდ-ა  
 და-ე-ა-დგრ-ებ-ოდ-ეთ  
 და- ა-დგრ-ებ-ოდ-ეთ  
 და- ა-დგრ-ებ-ოდ-ეს

ე-ი-ვლტ-ოდ-ე  
 ე-ი-ვლტ-ოდ-ე  
 ე-ი-ვლტ-ოდ-ა  
 ე-ი-ვლტ-ოდ-ეთ  
 ე-ი-ვლტ-ოდ-ეთ  
 ე-ი-ვლტ-ოდ-ეს

ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ე  
 ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ე  
 ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ა  
 ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ეთ  
 ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ეთ  
 ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ეს

განსაკუთრებით სანტერესია სლვა ზნის უღლება უწყვეტელსა და სხვა მწკრივებში. ამიტომ თითო მაგალითად ამ ზნას ყოველთვის დავასახელებთ.

ვიდ-ოდ-ე  
 ხ-ვდ-ოდ-ე  
 ვიდ-ოდ-ა  
 ვიდ-ოდ-ეთ  
 ხ-ვდ-ოდ-ეთ  
 ვიდ-ოდ-ეს

წარ- ვიდ-ოდ-ე  
 წარ-ხ-ვდ-ოდ-ე  
 წარ- ვიდ-ოდ-ა  
 წარ- ვიდ-ოდ-ეთ  
 წარ-ხ-ვდ-ოდ-ეთ  
 წარ- ვიდ-ოდ-ეს

როგორც აღნიშნული გვქონდა, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ამ ზნაში არასდროს არაა წარმოდგენილი. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მეორე პირისაგან განსასხვავებელი ფუნქცია დაკისრებული აქვს II სუბიექტური პირის ხ ნიშანს, რომელიც ამ ზნას უხსოვარი დროიდან გადმოჰყვა და დარჩა (ამასთან ერთად მეორე ხანძეტი ფორმაა ზარ: მე ე-არ, შენ ხ-არ, იგი არ-ს). ეს ამ ზნის მეორე თავისებურებაა. შესაბამე: ოდ სავრცობის ო ხმოვნის გაუღებით დაიწროებულია ფუძის ე ხმოვანი (ვედ. შდრ. წყვეტილი: მოვედ. წარხვედ...) და ი-დ არის ქცეული (ვიდ-ოდ-ე, ვიდ-ოდ-ა...). მეოთხე: ფუძისეული ე ბგერა მეორე სუბიექტური პირის ხ ნიშნის შემდეგ უმარცვლო უდ იქცევა, ხოლო მასთან მომდევნო ი-ს შერწყმით მიღებულია



ვ: ხ-ვიდ-ოდ-ე → ხ-უი-ოდ-ე → ხ-ვ-ოდ-ე. მეხუთე: აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში ვალ ფუძე გამოიყენება: წარვალ, წარვალნ. მეექვსე: ძველად უზნისწინო ფორმებიც იხმარებოდა, როგორც ზემოთაც გვაქვს წარმოდგენილი. დღეს კი ეს ზნა მხოლოდ ამა თუ იმ ზნისწინით გამოიყენება: წაეალ, მივილოდი, შევილოდე...

დასასრულ. მოვიყვანთ ნიმუშებს ძველებიდან: რად არა ... უთხარ ეპისკოპოსსა იოვანეს. რასა-იგი მე შენ გეტყოდე? (ისტ. ქრ. I, 249,39 = გეუზნებოდი); უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათვის (ი. 18,23 = ვამბობდი); მოგუებასა და ცთომასა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათვის და უცხოვებასა ჩემსა ვეგლოვი (მოქც. 229,20); აღუტევე ვმა და ვტიროდე (შუშ. 137,4); ვუედრებოდე დიდებულსა მას მოსლევასა (ქრისტინ. 189,31); მისაჯე მე უფალო, რამეთუ მე უმანკოებითა ჩემითა ვიდოდე და უფალსა ვესეველ (ფს. 25,1).

იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი (ლ. 19,22); პირველ არაინ გიცოდა. ვინ ხარ... ანუ რომლითა შჯულითა სცხონდებოდე (აბო 176,14); მე ვარ მამაი შენი. იესუ ქრისტე, რომლისათვის-იგი შენ გსუროდა და მხადოდე მამად შენდა (ქრისტინ. 189,35); ჰყუაოდე შენ. ვითარცა შრომანი ზედა მთასა სიონსა (ეც. VIII, 58,15); რაეაჲს წარვადგინეს მათ წინაშე მსაჯულისა. ნეტარო ბუვა. იტყოდე (იქვე. 42,13).

მამინ ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად (მოქც. 230,35); ზენონ ... ღმრთის მსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა (ხანძთ. 212,32); ვითარცა მვეცი მძენვარე, ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი (შუშ. 136,27); ესმა მრავალსა სიმრავლესა, რაოდენსა იგი ჰქმნოდა (მრ. 3,8 Z); ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა შინა მისსა (ლ. 1,41); სახლსა შინა არა იყოფოდა (ლ. 8,27); იგი სუმიდა და სთროდა (3 მეფ. 16,9); უკუეთუმცა ვაბუკას ეძლია ჩემდა. რაიმცა მგლოდა, არამედ ჩჩვლისა ქალისა მიერ ვიძლიე (პარხ. 620a).

დავეცვენით პირთა თვისთა ზედა თაყუანის-ცემად უფლისა და ვეედრებოდეთ (ისტ. ქრ. I, 178,21); ვივლტოდეთ ღამით ამით ძელითა და მოვედით თქუენდა (იქვე. 182,37); წარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდეთ ქედთა რაიმე მალალთა (ზარზმ. 195,20); მამულსადა ზედა რჩულსა ვიყვენით, სპარსთა რჩული ვიცოდეთ (ეესტ. 145,39); მივილოდეთ ჩუენ გზასა (გულანდ. 211,16).

გისტვენედეთ თქუენ. და არა პროკედით; გიგოდებდით თქუენ. და არა სტიროდეთ (ლ. 7,32); უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მამაცამცა ჩემი იცოდეთ (ი. 8,19; 14,7); ვითარცა ვარდი სპეტაკი ჰყუაოდეთ. ღმერთ-შემოსილნო (ეც. VIII, 36,4).

რომელნი შრომით და ქუეყანის-მოქმედებით იზარდებოდეს (ზარზმ. 189,5); ვითარცა ესმა ესე მისგან. ცრემლოდეს ყოველნი (შუშ. 135,39); აღიდრვოდეს ღელვანი (იონა 1,11); ორნივე ესე ვიდოდეს ყოველთა სიმართლისა უფლისათა (ლ. 1,6); დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფესა და მთავარსა და ყოველსა ერსა (მოქც. 235,14); რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას საკინობთა ერი (აბო 164, 14); მოციქულნი ... მოიქცეოდეს და ნათელს-იღებდეს (ეესტ. 153,17); ესროდეს იგინი ურთიერთას ისრითა (ისტ. ქრ. I, 183,15); ეშურებოდეს ძმანი მისნი (დაბ. 37,11); ხოლო იგინი უფროის განძლიერდებოდეს და იტყოდეს (ლ. 23,5).

## 4. I ბრძანებითი

ბრძანებითის წარმოების სართო წესი აქაც იგივეა: მეორე პირის ბრძანებითი იყენებს უწყვეტლის ფუძეს (ტირო-ოდ-ე) სუბიექტური პირის ნიშნის გამოკლებით. ამრიგად:

უწყვეტელია

ს-ტირო-ოდ-ე

ჰ-ყო-ოდ-ე

მო-პრბი-ოდ-ე

ს-ტყებ-ოდ-ე

II პირის ბრძანებითია

ტირო-ოდ-ე

ყო-ოდ-ე

მირბი-ოდ-ე

ტყებ-ოდ-ე

ტირო-ოდ-ეთ

ყო-ოდ-ეთ

მირბი-ოდ-ეთ

ტყებ-ოდ-ეთ

მესამე პირის ბრძანებითსაც უწყვეტლის ფუძე აქვს გამოყენებული (ტირო-ოდ-ე); ხოლო პირის ნიშნებად ნ (მხ.) და ედ (მრ.) სუფიქსებს ირთავს, რომელთაგანაც მეორე (ედ) წინამავალ შწკრივის ნიშანს (ე-ს) ამოაგდებს. ამრიგად, აქ გვექნება:

ტირო-ოდ-ენ იგი (= იტიროს მან)

ტირო-ოდ-ედ იგინი (= იტირონ მათ).

ყო-ოდ-ენ

ყო-ოდ-ედ

მირბი-ოდ-ენ

მირბი-ოდ-ედ

ტყებ-ოდ-ენ

ტყებ-ოდ-ედ

მხოლოდობითის ფორმები (ტიროდენ, ყოდენ, მირბოდენ, ტყებოდენ...) მოგვაცნობენ ჩვენი დღევანდელი ცოცხალი ენის მსგავსსავე მაგალითებს (ტიროდ/ნ/ენ, ყოდ/ნ/ენ...), რომლებიც, როგორც ვხედავთ, ემთხვევა ძველ ბრძანებითს (რა თქმა უნდა, იმ უმაქნისი ნ-ს გამოკლებით, რომელზედაც ზემოთ (გვ. 124) გვქონდა საუბარი). მაგრამ ეს გარეგნულად ერთნაირი ფორმები სულ სხვადასხვაა: ძველი ტიროდენ, ყოდენ ... ბრძანებითია და მხოლოდობითს გულისხმობს (იტიროს მან); ახალი ტიროდ/ნ/ენ, ყოდ/ნ/ენ... უწყვეტელია და მათში მრავლობითი იგულისხმება (ტიროდ/ნ/ენ იგინი). როგორც ვხედავთ, მათ შორის შინაარსის მიხედვით დიდი სხვაობაა. ამიტომ აშნიარ ფორმებს ძველ ქართულში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ მათში დღევანდელი უწყვეტელი არ დავინახოთ.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ II პირის ბრძანებითის ფორმებზე (ტიროდე, ყოდე, იტყოდე, იმალებოდე...), რომლებიც დღევანდელ ენაში აწმყოს კავშირებითს წარმოადგენს ისე, როგორც საერთოდ ძველი უწყვეტელი (ნეტავი იტყოდე, იტყოდეთ; მინდა, რომ ვტიროდე, ნეტავი ვიცოდე ...). რადგან ოდნავი ზმნების ამ მთავარ თავისებურებაზე ზემოთ უკვე იყო მსჯელობა. რა თქმა უნდა, ძველი ქართულის ამ ფორმებსაც მუდმივი და დამბული ყურადღება სჭირდება.

გავეცნოთ სათანადო პარადიგმებს:

S<sub>2</sub> პირიშენ

ტირო-ოდ-ე

განტყებ-ოდ-ე

მოკულებ-ოდ-ე

იგინი

ტირო-ოდ-ეთ

განტყებ-ოდ-ეთ

მოკულებ-ოდ-ეთ

განუშებ-ოდ-ე

განუშებ-ოდ-ეთ

იც-ოდ-ე

იც-ოდ-ეთ

იქმ-ოდ-ე

იქმ-ოდ-ეთ

იტყ-ოდ-ე

იტყ-ოდ-ეთ

პ-ბრძ-ოდ-ე<sup>112</sup>

პ-ბრძ-ოდ-ეთ

პ-ხად-ოდ-ე

პ-ხად-ოდ-ეთ

შე-ს-ცთებ-ოდ-ე

შე-ს-ცთებ-ოდ-ეთ

გან-ს-ცხრებ-ოდ-ე

გან-ს-ცხრებ-ოდ-ეთ

ევედრებ-ოდ-ე

ევედრებ-ოდ-ეთ

დაადგრებ-ოდ-ე

დაადგრებ-ოდ-ეთ

ივლტ-ოდ-ე

ივლტ-ოდ-ეთ

იზარდებ-ოდ-ე

იზარდებ-ოდ-ეთ

ვედ. ვიდ ფუძეზე აქ ცალკე უნდა ითქვას. უწყვეტლის ფორმაა ხ-ვდ-ოდ-ე (←\*ხ-ტიდ-ოდ-ე ←\*ხ-ვიდ-ოდ-ე). სუბიექტური ნიშნის ჩამოკლების შემდეგ დაგვრჩება ვდ-ოდ-ე, მაგრამ ასეთი ფორმა ბრძანებითში არ შეიძლება იყოს და არც არის. საქმე ისაა, რომ ვ აქ მიღებულია უი ბგერათ ჯგუფისაგან, ხოლო თვით უ ე-საგან მომდინარეობს (ვიდ), იგი წინამავალი ხანის გაუღენით გადაიქცა უმარცვლო უდ. და რადგანაც ბრძანებითს ხანი აღარ სჭირდებოდა. ფუძისეული ვინიც აღდგენილია და ხელუხლებლადაა დაცული. ასევეა. რა თქმა უნდა, მრავლობითშიც.

ბრძანებითში ძველი ფორმის აღდგენამ სხვა უხერხულობა გამოიწვია. ბრძანებითის II პირის ფორმა უწყვეტლის პირველი პირისას დაემთხვა (პირველ პირს ამ ზმნაში ნიშანი არა აქვს) და მივიღეთ:

უწყვეტალი

ვიდოდე მე

ვიდოდეთ ჩუენ

ბრძანებითი

ვიდოდე შენ

ვიდოდეთ თქუენ

ასევე გვექნება ყველა ზმნისწინით

აღვიდოდე მე

აღვიდოდეთ ჩუენ

განვიდოდე მე

განვიდოდეთ ჩუენ

შევიდოდე მე

შევიდოდეთ ჩუენ

აღვიდოდე შენ

აღვიდოდეთ თქუენ

განვიდოდე შენ

განვიდოდეთ თქუენ

შევიდოდე შენ

შევიდოდეთ თქუენ

<sup>112</sup> ქ და ხ აქ და ქვემოთ ირიბი ობიექტის ნიშანია.

წარვილოლე მე  
წარვილოლეთ ჩუენ

წარვილოლე შენ  
წარვილოლეთ თქუენ და სხე.

ეს ძალიან ხშირად სახმარებელი ზმნაა და ასეთი თანხვენილი ფორმებიც ხშირად შეგვხვდება. ამიტომ ამ ზმნას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კონტექსტში ძნელი არაა მისი პირის დადგენა: თუ პირველი პირის მოქმედებაა გამოხატული, ფორმა უწყვეტლისა ყოფილა, ხოლო თუ მეორე პირია მოქმედი — ბრძანებითისა. თუ დრო წარსულია, ფორმა უწყვეტლისა იქნება, თუ მომავალი — ბრძანებითისა. ერთი კია, რომ ძეგლებში ასეთი ფორმა აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ბრძანებითის შინაარსით არის ნახმარი, იშვიათად — უწყვეტლისა. ეს უკანასკნელი უფრო მამინ გეხვდება, როცა თხრობა პირველი პირით მიმდინარეობს. ასეთია, მაგალითად, "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", "სინა-რაითის მამათა მოსრუა" და სხე.

### ს<sub>2</sub> პირი

ფე

ტირ-ოდ-ენ

განტყებ-ოდ-ენ

მოკუდებ-ოდ-ენ

განჴებ-ოდ-ენ

იც-ოდ-ენ

იქმ-ოდ-ენ

იტყ-ოდ-ენ

ჴ-ბრძ-ოდ-ენ

ჴ-ხად-ოდ-ენ

შე-ს-ცთებ-ოდ-ენ

გან-ს-ცხრებ-ოდ-ენ

ვეედრებ-ოდ-ენ

დაადგრებ-ოდ-ენ

ივლტ-ოდ-ენ

იზარდებ-ოდ-ენ

ვიდ-ოდ-ენ

განვიდ-ოდ-ენ

ფეინი

ტირ-ოდ-ედ

განტყებ-ოდ-ედ

მოკუდებ-ოდ-ედ

განჴებ-ოდ-ედ

იც-ოდ-ედ

იქმ-ოდ-ედ

იტყ-ოდ-ედ

ჴ-ბრძ-ოდ-ედ

ჴ-ხად-ოდ-ედ

შე-ს-ცთებ-ოდ-ედ

გან-ს-ცხრებ-ოდ-ედ

ვეედრებ-ოდ-ედ

დაადგრებ-ოდ-ედ

ივლტ-ოდ-ედ

იზარდებ-ოდ-ედ

ვიდ-ოდ-ედ

განვიდ-ოდ-ედ.

ახლა ძველი ძეგლებიდან ამოღებული საილუსტრაციო ნიმუშები დაკურთოთ:

**II პირისა:** სარწმუნოებამან შენმან გაცხოენა შენ. გუაღე, ვილოლე მშვლობით!  
(ლ.7,50); შეილო, მივედ დღეს და იქმოლე საყურძენსა ჩემსა (მ. 21,28 C); აღდევ და

ხალოდე ღმერთსა შენსა, რაითა განმარინნეს ჩუენ (იონა 1.6); ხოლო მან თქუა: მოძღუარ, იტყოდე! (ლ. 7.40 = თქი!); ჰრქუა მას: ჰლწუოდე მაგას (ლ. 10.35); რბიოდე (მრავ. 301.4); მამა იგლოვდი და ტიროდე მათთვის და გემზიოდენ და ძწოდე (სწავ. 285. 1).

სიძმ. გამოედით და მიეგებოდეთ (მ. 25.6 C); ქუეყანასა მას იქცოდეთ და ვაჭრობდით (დაბ. 42.34); შევიდოდეთ იწროსა მას ბჭესა (მ. 7.13); რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, ჭამდით წინადაგებულსა თქუენსა და განჰკურნებდით მას შინა უძღურთა და ეტყოდეთ მათ (ლ. 10.9); ჩემდამო ნურას იტყოდეთ (აბო 169.6); ნუ ჰსტირით ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა ჰსტიროდეთ და შეილთა თქუენთა (ლ. 23.28); რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით. მიივლტოდეთ სხუად და მიერლა თუ გდევნიდენ თქუენ. ივლტოდეთ სხუად კერძო (მ. 10.23); რომელსა ჟამსა გესმეს ვჰმა საყვრისაჲ... დაცოდეთ და თაყუანის-სცემდით ხატსა მას (დან. 3.5); ბეჭედი ეგე ცოცხალი შეჰგაეს წარღებად თქუენდა. მიიღოთ და ვიდოდეთ (გულანდ. 220.4).

**III პირისა:** აჰ იესუ შეხებთხვა მათ და ხრქუა: გიხაროდენ! (მ. 28.9 X); გემზიოდენ მისა, რომელსა, შემდგომად მოწყუედისა. ველ-ეწიფების შთაგდებად გეჰენიასა. ჰე. გეტყვ თქუენ, მისა გემზიოდენ (ლ. 12.5); რომელსა ასხენ ყურნი სმენად. ესმოდენ (ლ. 14.35); სული შენი სახიერი მიძოდენ მე ქუეყანასა წრფელსა (ფს. 142.10); მხიარულ იყვენ უდაბნო ეგე და ყუაოდენ (ეს. 35.1); ვითარცა-ოგი მას ჰსურინ. გსუროდენ შენცა (Sin. 6. 34a.7); ვიდოდენ. რამეთუ ღღმ მიდრეკილ არს (Sin. 97, 10ra); მოვედინ და ტიროდენ (ისტ. ქრ. II, 14.14); ჯურღმულთა შენტაგან წყაროი გამოვიდოდენ შენტა წყაროთაჲ (განჩ. 64.389 მ.თარხნ. გამოც.).

მაშინ რომელნი ჰურასტანს იყვენ, ივლტოდედ მთად; და რომელნი იყვენ შორის მისა. განივლტოდედ (ლ. 21.21); შენტა უბანთაგან დიოდედ (განჩ. 64.389 მ.თარხნ. გამოც.); ვიდოდედ წინაშე თუალთა მისთა ბრწყინვალეჰანი სინანულისანი (უდაბ. 63va).

## 5-6. უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი

ოდიან ზნებეს უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი ერთი სახით აქეთ წარმოდგენილი (ე-ტირ-ოდ-ი — ე-ტირ-ოდ-ი, ს-ტირ-ოდ-ი — ს-ტირ-ოდ-ი, ტირ-ოდ-ი-ის — ტირ-ოდ-ი-ის...). ეს იმიტომ, რომ ამ ტიპის ზნებში I კავშირებითის მწკრივის ნიშანია ი (ამით უპირისპირდება იგი უწყვეტელს, რომელსაც ე აქვს პირის ნიშნად — ე-ტირ-ოდ-ე). ხოლო უწყვეტლის ხოლმეობითს მწკრივის ნიშნად ი მოუღის სამივე ტიპის ზნებში (ე-წერ-დ-ი, ე-კლე-დ-ი, ე-ტირ-ოდ-ი). ამრიგად, ორივე მწკრივს ერთი საყრდენი ფუძე და ერთი მწკრივის ნიშანი აღმოაჩნდა, ე.ი. ისინი ერთმანეთს დაემთხვენენ სრულიად. მხოლოდ კონტექსტის საშუალებით უნდა ამოვიცნოთ, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი უნდა ვიგულისხმოთ — უწყვეტლის ხოლმეობითი თუ I კავშირებითი. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. რატომ მოხდა ეს დამთხვევა. ამას საეტიკალური კვლევა სჭირდება და აქ ვერ გამოუვლდებოთ ამის შესახებ მსჯელობას. თავდაპირველად გავეცნოთ ოდ საერცობიანი ზნების უღლე-

ბას უწყვეტლის ხოლმეობითსა და I კავშირებითში პარადიგმების მეშვეობით. მაგალითებად გამოვიყენოთ იგივე ზმნები, უწყვეტელში რომ გვკონდა აღებული:

ვ-ტირ-ო-ღ-ი	გან-ვ-ტყ-ე-ბ-ო-ღ-ი
ს-ტირ-ო-ღ-ი	გან-ს-ტყ-ე-ბ-ო-ღ-ი
ტირ-ო-ღ-ი-ს	გან- ტყ-ე-ბ-ო-ღ-ი-ს
ვ-ტირ-ო-ღ-ი-თ	გან-ვ-ტყ-ე-ბ-ო-ღ-ი-თ
ს-ტირ-ო-ღ-ი-თ	გან-ს-ტყ-ე-ბ-ო-ღ-ი-თ
ტირ-ო-ღ-ი-ან	გან- ტყ-ე-ბ-ო-ღ-ი-ან

ვ-ი-ც-ო-ღ-ი	უწყ-ო-ღ-ი
ი-ც-ო-ღ-ი	უწყ-ო-ღ-ი
ი-ც-ო-ღ-ი-ს	უწყ-ო-ღ-ი-ს
ვ-ი-ც-ო-ღ-ი-თ	უწყ-ო-ღ-ი-თ
ი-ც-ო-ღ-ი-თ	უწყ-ო-ღ-ი-თ
ი-ც-ო-ღ-ი-ან	უწყ-ო-ღ-ი-ან

ვ-ი-ქ-მ-ო-ღ-ი	ვ-ი-ტყ-ო-ღ-ი
ი-ქ-მ-ო-ღ-ი	ი-ტყ-ო-ღ-ი
ი-ქ-მ-ო-ღ-ი-ს	ი-ტყ-ო-ღ-ი-ს
ვ-ი-ქ-მ-ო-ღ-ი-თ	ვ-ი-ტყ-ო-ღ-ი-თ
ი-ქ-მ-ო-ღ-ი-თ	ი-ტყ-ო-ღ-ი-თ
ი-ქ-მ-ო-ღ-ი-ან	ი-ტყ-ო-ღ-ი-ან

ვ-პ-ბ-რ-მ-ო-ღ-ი	ვ-პ-ხ-ა-ღ-ო-ღ-ი
პ-ბ-რ-მ-ო-ღ-ი	პ-ხ-ა-ღ-ო-ღ-ი
პ-ბ-რ-მ-ო-ღ-ი-ს	პ-ხ-ა-ღ-ო-ღ-ი-ს
ვ-პ-ბ-რ-მ-ო-ღ-ი-თ	ვ-პ-ხ-ა-ღ-ო-ღ-ი-თ
პ-ბ-რ-მ-ო-ღ-ი-თ	პ-ხ-ა-ღ-ო-ღ-ი-თ
პ-ბ-რ-მ-ო-ღ-ი-ან	პ-ხ-ა-ღ-ო-ღ-ი-ან

გან-ვ-პ-კ-რ-თ-ე-ბ-ო-ღ-ი	შე-ვ-ს-ც-თ-ე-ბ-ო-ღ-ი
გან- პ-კ-რ-თ-ე-ბ-ო-ღ-ი	შე- ს-ც-თ-ე-ბ-ო-ღ-ი
გან- პ-კ-რ-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-ს	შე- ს-ც-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-ს
გან-ვ-პ-კ-რ-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-თ	შე-ვ-ს-ც-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-თ
გან- პ-კ-რ-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-თ	შე- ს-ც-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-თ
გან- პ-კ-რ-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-ან	შე- ს-ც-თ-ე-ბ-ო-ღ-ი-ან

ვ-ე-ვ-ღ-რ-ე-ბ-ო-ღ-ი	ღა-ე-ა-ღ-გ-რ-ე-ბ-ო-ღ-ი
ე-ვ-ღ-რ-ე-ბ-ო-ღ-ი	ღა- ა-ღ-გ-რ-ე-ბ-ო-ღ-ი
ე-ვ-ღ-რ-ე-ბ-ო-ღ-ი-ს	ღა- ა-ღ-გ-რ-ე-ბ-ო-ღ-ი-ს

ე-ე-ედრ-ებ-ოდ-ით  
ე-ედრ-ებ-ოდ-ით  
ე-ედრ-ებ-ოდ-ი-ან

და-ე-ა-დგრ-ებ-ოდ-ით  
და- ა-დგრ-ებ-ოდ-ით  
და- ა-დგრ-ებ-ოდ-ი-ან

ე-ი-ვლტ-ოდ-ი  
ი-ვლტ-ოდ-ი  
ი-ვლტ-ოდ-ი-ს  
ე-ი-ვლტ-ოდ-ით  
ი-ვლტ-ოდ-ით  
ი-ვლტ-ოდ-ი-ან

ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ი  
ი-ზარდ-ებ-ოდ-ი  
ი-ზარდ-ებ-ოდ-ი-ს  
ე-ი-ზარდ-ებ-ოდ-ით  
ი-ზარდ-ებ-ოდ-ით  
ი-ზარდ-ებ-ოდ-ი-ან

ვიდ-ოდ-ი  
ხ-ვდ-ოდ-ი  
ვიდ-ოდ-ი-ს  
ვიდ-ოდ-ით  
ხ-ვდ-ოდ-ით  
ვიდ-ოდ-ი-ან

წარ- ვიდ-ოდ-ი  
წარ-ხ-ვდ-ოდ-ი  
წარ- ვიდ-ოდ-ი-ს  
წარ- ვიდ-ოდ-ით  
წარ-ხ-ვდ-ოდ-ით  
წარ- ვიდ-ოდ-ი-ან

ახლა დავსვით ისევ ის კითხვა: როგორ უნდა განვასხვაოთ ეს ორი, გარეგნულად სრულიად ერთნაირი. მწკრივი ერთმანეთისაგან? კონტექსტითო, ვიტყვოდით. მაგრამ ეს ძალიან ფართო ცნებაა და დაკონკრეტება სჭირდება. როგორ განვასხვაოთ კონკრეტულად?

1. ზმნით გამოხატული დროის მიხედვით. თუ ზმნა წარსულ დროს გამოხატავს, ჩვენ საჭმე გვქონია უწყვეტლის ხოლმეობითთან, ხოლო თუ იგი მომავალ დროს აღნიშნავს, მწკრივი I კავშირებითი იქნება. მაგალითად ავიღოთ ვიტყვადი და გაეარკვიოთ, რომელ მწკრივს ეკუთვნის თითოეული ნიშნუში სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში.

პირველი გვხვდება შემდეგს კონტექსტში: ალვალო იგავით პირი ჩემი და ვიტყვადი დაფარულთა სოფლის დაბადებითანთა (მ.13,35 C = ფს. 77.2). ამის შინაარსია: გაეაღებ პირს იგავით და ვიტყვი დაფარულს ქვეყნის გაჩენიდან. შდრ. რუს. თარგმანი: отверзу в притчах уста Мои, изреку сокровенное от создания мира. როგორც ვხედავთ, აქ მომავალი დრო იგულისხმება. მაშასადამე, სადავო ვიტყვადი I კავშირებითია.

ახლა სხვა მაგალითი ავიღოთ:

არა გაესოსა, ძმანო ჩემო საყუარელნო, რაეაშს-იგი ვსხდით ერთობით და ვიკითხვიდით წამებასა წმიდათასა და გვკვრნ მოთმინებაჲ მათი და ვიტყვოდით ურთიერთას: ნეტარ არიან, რომელნი-იგი ქრისტ(ს)ითვს იწამნეს და დასთხინნეს სისხლნი მათნი! და გული გვთქუაჲნ, თუშტა ვიყვენით, ვითარცა იგინი (ისტ. ქრ. I. 183-184).

ამის შინაარსია: არ გახსოვთ, ჩემო საყუარელო ძმებო, როცა ერთად ვისხედით ხოლმე და ვკითხულობდით ხოლმე წმინდანების წამებას და გვიკვირდა ხოლმე

მათი მოთმინება და გამზობლით ხოლმე ერთმანეთში (ერთმანეთს ვეუბნებოდით ხოლმე): ბედნიერები არიან (ისინი), რომლებიც ქრისტეს გულისთვის ეწამნენ და დაღვარეს მათი სისხლი! და გენატრებოდა (გესურდა) ხოლმე, რომ (ჩვენც ისე) ვყოფილიყავით, როგორც ისინი.

აქ, ცხადია, წარსულში მრავალ ზის განმეორებულ მოქმედებაზეა ლაპარაკი. მაშასადამე, ვიტყვოდით უწყვეტლის ხოლმეობითა.

2. თუ ადვილად ვერ დავადგინებ დრო, უნდა მივმართოთ მეორე გზას: განვიხილოთ სხვა ზმნები, რომლებიც სადავო ზმნასთანაა ნახმარი (წინ და მომდევნოდ) და იმათი ჩვენების საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა.

ადვილთ იგივე მაგალითები. პირველ ნაწყვეტში მეორე ზმნა ადვალთ: ადვალთ იგავით პირი ჩემი და ვიტყვადი. ადვალთ II კავშირებითა. ის მომავალ დროს გამოხატავს. ამიტომ ვიტყვადი-ც კავშირებითა (I, მას II სერიის ფორმები არა აქვს), ისიც მომავალ დროს გამოხატავს. დასკვნა იგივე მივიღეთ.

მეორე მაგალითში მოსაზღვრე ზმნა (წინ და მომდევნოდ) ბევრია: ვსხდით (II ხოლმეობითი), ვკითხვიდით (უწყვეტლის ხოლმეობითი), გვკვრნ, გული-გვთქუამნ (ანწყოს ხოლმეობითი). ამ ხოლმეობითებშია გარეული სადავო ვიტყვადით და ამიტომ იგიც ხოლმეობითა (უწყვეტლისა). ყველა მათგანი წარსულში მომხდარ ხშირად განმეორებულ მოქმედებას გამოხატავს. დასკვნა აქაც იგივე მივიღეთ. არის კიდევ სხვა საშუალებები, მაგრამ მათზე ახლა აქ არ ვილაპარაკებთ (მაგალითად, I კავშირებითისა იქნება ზმნის ფორმა, თუ წინადადებაში არის კავშირები რამისა, ნუაჟუჟუ. ჯუჟუჟუ...). ერთი კა — უწყვეტლის ხოლმეობითი 100 შემთხვევაში შეიძლება ხუთიც არ გამოერიოს. ამ საზიარო ფორმების აბსოლუტური უმრავლესობა I კავშირებითია. მაგრამ უზუჯობესია, ყველა შემთხვევაში სადავო ზმნის საკითხი წმინდა ბეცნიერული, კვლევითი გზით გაირკვეს.

ენაში ორი სრულიად სხვადასხვა მწკრივის გარეგნული დამთხვევა და ერთი სახით (ფორმით) წარმოდგენა, რა თქმა უნდა. უარყოფითი მოვლენა და აბრკოლებს ტექსტის შინაარსის გაებას. ამას ჩვენი წინაპრებიც კარგად გრძობდნენ, რამაც გამოიწვია თვით ძველ ქართულში ცდები, ეს ორი მწკრივი ერთმანეთისაგან ფორმალურადაც ყოფილიყო გარჩეული. თუ ყველგან არა, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ხშირად ხმარებულ შემთხვევებში, ე.ი. მესამე პირში. ამის შესაძლებლობას თვით ენა იძლეოდა, რადგან მესამე პირის მრავლობითში 5 სუფიქსი იხმარებოდა, ყველა მათგანი კი არ იყო სათანადოდ დატვირთული. ამიტომ იყო, რომ ამ მწკრივების გასარჩევად სწორედ ასეთი სუფიქსები იქნა გამოყენებული. ან სუფიქსის ნაცვლად კავშირებითისათვის 5 გამოიყენეს, როგორც ყველა სხვა კავშირებითის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობითში: წერდე-ნ, კლიდე-ნ, მისცემდე-ნ (I კავშ.), წერო-ნ, მოკლა-ნ, მისცე-ნ (II კავშ.). დაეწერნენ-ნ, მოეკლნენ-ნ, მიეცნენ-ნ III კავშ.). ეს ყველა კავშირებითის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის მაწარმოებელი ერთადერთი სუფიქსი გამოყენებულ იქნა ოდიან ზმნებშიც იმავე ფუნქციის შესასრულებლად და ტირიდი-ან, იტყოდი-ან ფორმების გვერდით გაჩნდა ტირიდი-ნ, იტყოდი-ნ და მისი მსგავსი წარმოება. ამრიგად, თუ სადმე შეგვხვდა იმალებოდი-ნ, ივლტოდი-ნ, ევედრებოდი-ნ, იცოდი-ნ და სხვა ამისი მსგავსი ფორმები, ეს მხოლოდ



კავშირებითა, ამაში წილს ვერ დაიდებს უწყვეტლის ხოლმეობითი. მისთვის ნ სუფიქსი მრავლობითში უჩვეულო და უცნობა.

ეს კარგი, ვთქვათ, მოგვარდა I კავშირებითის მრავლობითის საქმე, მან საკუთარი ფორმა გააჩინა. უწყვეტლის ხოლმეობითი? ხოლმეობითებისათვის ან დაბოლოება დამახასიათებელი იყო თავიდანვე: გაეიხსენოთ II ხოლმეობითი (ჭამი-ან, იხილი-ან, დაუტევი-ან...). თვით უწყვეტლის ხოლმეობითსაც სხვა ორი ტიპის ზმნებში იგივე ან მოუპოვება (წერდი-ან, კლვიდი-ან). ამიტომ მისთვის საკვებით ბუნებრივი იყო, ან სუფიქსი შეენარჩუნებინა. ასეც მოხდა.

მაგრამ ტიროდიან, იტყოდიან საერთოდ მაინც საზიარო იყო, რადგან I კავშირებითში შემოღებული ნ სუფიქსი (ტიროდი-ნ, იტყოდი-ნ) ენაში ისე გავრცელებული არ იყო, და ტიროდიან და მისი მსგავსი ფორმები ტრადიციით მაინც უფრო ხშირად იხმარებოდა. ამიტომ უწყვეტლის ხოლმეობითმა სცადა, მასაც სხვა, ახალი, საკუთარი ფორმა ქქონოდა, და ამ მიზნით დაირთო აწმყოს ხოლმეობითისათვის დამახასიათებელი ედ სუფიქსი. ამდენად, უწყვეტლის ხოლმეობითშიც სრულიად განსხვავებული ფორმები მივიღეთ. ტიროდი-ედ, იტყოდი-ედ, ევედრებოდი-ედ და სხვ. მართალია, ეს ფორმები არც თუ ხშირად გვხვდება, მაგრამ თვით ცდის ბუნება და მიზეზი გასაგებია. ეს ორივე ცდას ეხება, თუმცა თავისებური ფორმები I კავშირებითში მაინც უფრო ხშირია.

ეს ყველაფერი მხოლოდ მესამე პირის მრავლობითს ეხება. იმავე პირის მხოლოდობითისა და I და II პირების ფორმები კი ისევე საზიაროდ და სადავოდ დარჩა.

აღნიშნული საკითხი კარგად აქვს შესწავლილი და სათანადო მასალებით გაშუქებული ა. შანიძეს<sup>13</sup>. ამიტომ ამ საკითხზე საუბარს აღარ გვაუკძელებთ და შევედგებით ძველი ძეგლებიდან სათანადო საილუსტრაციო ნიმუშების ჩვენებას.

#### ა) უწყვეტლის ხოლმეობითი<sup>14</sup>

ამას რამ ვიტყვი, ნათელი ვიხილი (პარხ. 1269); ვიდრე მე მივიღოდი, სხუნად უწინარეს ჩემსა შთადიან და განიკურნიან (ი. 5, 7); რამეთუ ვიხილი საყდართა ზედა ძალი რამე ბრწყინვალე. და შემბაყრის მე შიშმან. ვიდრემდის ბუღანი ჩემნი დაილენებთედ, და არღარა უწყვიდი. რასა-იგი ვიქმოდი (ისტ. ქრ. II, 83, 6).

შემხუდის მე, გამო-რამ-ვღაღღ სამაგიროისაით გინა საუნჯაკლით, და მაქუნ ნუ რამ და შე-ვინმე-მემთხვის მამათაგანი გინათუ ბრწყინვალეთაგანი ვინმე ერისა კაცი რამევე (Sin. 35, 20rb, 17); ვიქმოდი მე ღამით და ღლით და გან-უყოფიდი გლახაკთა (აღწ. 168, 34); მე ვიყავ მამშვდებელ მათდა; რაჟამს ვეტყოდი მათ, იგინი მბრძენედ მე (ფს. 119, 7); ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თავით თვისით და ზვლოდი, ვიდრე-

<sup>13</sup> ა. შანიძე, ენებითი გვარის ზნათა უღლების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში: აკად. ნ. შანიძის სახელობის ენის ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, თეზისები. 1947, გვ. 11-12; მხოვე. გ. მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიძის ცხოვრების მიხედვით: ცხოვრება იოვანესი და ეფთვიძის (ძველი ქართული ენის ძეგლები. 3), 1946, გვ. 77-78.

<sup>14</sup> უწყვეტლის ხოლმეობითი იმეიათ შწკრავდ ითულება ძველი ქართულისათვის (ზ. შარაჯველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი. გვ. 433), ამიტომ მაგალითებს უხვად მოვიყვანო.

ცა ვნებაჲნ (ი. 21,18); ღლითი-ღლე მოვიდეს კაცი იგი და ეტყოდის წმიდასა მას, ვითარჲმუდ: მაკურთხე, მამაო, წმიდითა ჯულითა შენითა (ზარზმ. 201,354); განმარტე ბულითა სიტყვითა ვიციწიადი, სიტყუევსა და უბადრუტებასა ეხადოდი (იერ. 20,8); და თუ ეპიო იგი, რამეთუ იცინინ, მეკა ვიციწიადი მის თანა (ნოე. II, 187,9); დაუდგი წინაჲშე ღმრთისა ლოცვად და სადაისსადა ვიწყევლი თაესა და სადაისსადა უტყუადი ღმრთისა .... ვიტყუადი და ღმრთისა უტყუადი (იქვე, 251,18); მოუგის და ეტყოდის (იქვე, 276,10); მრავალგ ზის მისციან მას მტირე პური და ეტყოდან (იქვე, 235,10); არამედ ძაღლიცა მოვიდოდან და ლოშნიედ წუთხსა მისსა (ბოლნ. 68,23); ოდეს-იგი წერნ წმიდა მამაი ჩუენი გრიგოლი .... ეხედვედ განცხადებულად ტრედსა სპეტაკსა, რომელი ფრინანე წინაჲშე პირსა მისსა, ვიღრე ფრთენი მისნი პირსა მისსა ეტყოდან და ჯულთა მისთა ზედა და წერილსა მას ზედა იქცევი (კომ. I, 132,6); ღვან და მის თანა ტროოდან და აღიღებედ ღმრთისა (პარხ. 1288); ოდესმე თვით წმიდანი იგი ჰკითხვიდანი მათ და ოდესმე რაი გზასა მოსცითან, უბლოდანი მათ (Sint. 80, 14,17); ცხადად რაი ებრძენ მტერი წმიდათა, გამოუნდანი წმიდათა და ეტყოდან (იქვე, 14,6 ქ.); მოვიდოდან ... და ნათელს-იღებდანი (ბალ. 138,35 ლ); სვან რაი წყლისა მისგან, მეესეულად კურნებასა მიუმთხუეოდან (ასურ. 51,9); რაჲმს მოციქულნი მისნი აღვიდოდან კოსტანტინეპოლედ მევისა, წიგნი მოეწერის ნეტარსა მასცა და ლოცვასა ითხოუნ მისგან (ეტ. VIII, 6,13).

ახლა ორიოდე მაგალითი იმ შემთხვევისათვის, როცა უწყვეტლის ხოლმეობითი მრავლობითი ედ სუფიქსი იყენებს:

მამინ განეცხადოს ყოველთაჲვე საქმე მისი, ვითარცა-იგი მათი, რომელნი ეტყოდოდ მეუფესა დღესა მას განკითხვისასა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ეწინაწარმეტყუელებდითა და სახელითა შენითა ძალთა მრავალთა ვიქმოდეთ (სწავ. 20,33); ... ემმაკისა მიერ ცნობა-მისრულ იქმნიან და ვიღოდოდ იგინი და ვმობდოდ დღე და ღამე (Иер. 47)<sup>115</sup>; და ვითარცა ესეკითარასა ღუაწლსა შინა არნ კაცი იგი, რომელი მახნ სიკუდილსა, და სული მისი და ვორცნი შიშისა მისგან და ჰირისა ძრწოდოდ, და ოფლი სიმწარისაი გამოცემულ არ პირსა მისსა, მამინ ანგლოზი ბრწყინვალე საშინელი და მრისხანე გამოუბრწყინდის საშინელითა ხილვითა (სწავ. 227,24 B). ამ ტიპის მაგალითები დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია კიდევ ნახოს ი.აბულადის<sup>116</sup>, ი.ქეთარადის<sup>117</sup>, ზ.სარჯველადის<sup>118</sup> ნაშრომებში.

## ბ) I კაპიტრადითი

სულწინებებსა ნელსაცხებელთა შენტასა ვრბოდი (აბო 170,18); ჰ მეფეო ჩემო ძლიერო, სადათ-მე მოგლოდი: აღმოსავალით-მე ანუ დასავალით? (ხანძთ.

<sup>115</sup> დამწებულსა ლ.კახაბზ შრომის მიხედვით: უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში. გვ. 275.

<sup>116</sup> აბულადე. ქართული ზნის იშვიათი ფორმები. გვ. 137.

<sup>117</sup> ი.ქეთარადე. ზნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის. გვ. 104 და სხვ.

<sup>118</sup> ზ.სარჯველადე. ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი. გვ. 399-400.

214.10): აღსასრულსა ზვტყოდი ნათესაეთა მიმართ (იერ. 18.7): ესე უწყი მე. რამეთუ მორაი-ვიდოდი თქვენდა. საკვებითა მით კურთხევითა ქრისტესითა მოვიდე (პრომ. 15.29): ვითარ გვეულებს. მითხარ მე. რაითა უწყოდი. და აღვეწრო შრომა შენი (შუმ. 134.34): მიგანიჭეს ძალი კურნებისაი. რაითა მით სცხოვნდებოდი უცხოთა ამას ქუეყანასა (მოქც. 232.4): რომელსა ყურსა ვტყოდი საუნჯეთა შინა. აწ არა უწყი. ხოლო მერმე უწყოდი (ი. 13.7 C): რაითა მძიმოდის იგი მტერთა მათთა (ევსტ. 149.38): ანუ ვინ არა სტიროდის მას. რომელსა არცა ჭირი ეხილვა. არცა შიში (შუმ. 133.16): რაითა გემონოდის მისა (ხანძთ. 204.37): რაითა ცხოველი იგი ხატი მას შინა თაყუანის-იციმებოდის მათ მიერ (ზარზმ. 190.41): არღარა მივიღო სხუად საზრდელი. რომლითა კუალად შმოოდის. და არცა სხუად სასუმელი, რომლითა კუალად მწყუროდის (აბო 170,29-30): მოვიდეს უფალი იგი მის მონისაი დღესა. რომელსა არა მოელოდის (მ. 24,50).

შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით (მ. 11,3): და ჩვენ ... ღმერთი დაუტეოთ და ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმრთად ვხადოდით? (ევსტ. 154.1): რა-მე სიტყუად მოგოგოთ. ანუ რასა ვიტყოდით. ანუ რასა ემართლობდით? (დაბ. 44,16): ვითარ-მე გზად იგი უწყოდი? (ი. 14.5 C): ვაი თქვენდა. რომელნი იცინით აწ. რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით (ლ. 6,25): გამო-რაი-ხვდოდით მიერ ქალაქით. მტუერი ფერვთა თქვენთაგან განიყარეთ (ლ. 9,5): ნეტარ ხართ, რომელნი სტირით აწ. რამეთუ იცინოდით (ლ. 6,21): მრავალნი სტეობოდან და მრავალთა აცთუნებდენ (აბო 158,29): მრავალნი მოვიდოდან სახელითა ჩემითა და იტყოდან (ლ. 21,8): ხოლო მტერნი იგი თქვენნი ვითარცა ცვლნი დადნებოდან ჯოჯოხეთსა შინა...და იგლოვდენ იგინი ტირილითა დიდითა და სირცხველელნი დაცვოდან პირსა ზედა თვისსა და ბნელსა მას გარესკენლსა მისხმოდან გუემითა დიდითა შემთობილნი და...შეძრწუნებულნი ზარისა მისგან განილეოდან...და გულგებულნი განაფლებოდან (წარტყ. 33,25,28,29,31,32).

ახლა ენახოთ ოდ-იხ დაბოლოებიანი კავშირებითის ფორმები:

ოღეს არღა გხედვიდენ და არცა ესმოდენ ტკბილნი სწავლანი შენნი (ასურ. 128.5): ბუნებანი განყოფილად ითქუმოდენ (კომ. 1, 62,26): ყოველი ღუარძლი წვალებისაი აღმოჰყხურან და მართალსა მას და წრფელსა გზასა სახარებისასა ვიდოდენ (იქვე, 79,10): ოღეს მკუდრეთით აღდგენ. არცა იქარწინებოდენ. არცა განაქორწინებდენ (მრ. 12,25 C).

განსაკუთრებით ბევრია აშხაირი ფორმა "იოვანეს გამოცხადების" ტექსტში. უფრო AB ხელნაწერებში. აი, რამდენიმე მათგანი: და ეყარნეს ოთხნი იგი ქარნი. რაითა არა ქროდენ და იგლოვდენ (18,11 AB): სადა იყვნეს მვეცი იგი და ცრუნინა-წარმეტყუელი და იტანვეზბოდენ დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე (20,10 AB): ნეტარ არიან. რომელნი იქმოდენ მცნებათა მისთა (22,14 A): მრავალნი ჰურიანი ... შევიკრდებოდენ და ითხოვდენ შენგან ნათლის-ღებასა (3,9 თ AB): იგინცა შეიძრ-ნენ აღვილთაგან მათთა და აღვილითი აღვილად ივლტოდენ (6,16 თ AB): მორწმუნ-ენი ქრისტესნი იდიდებოდენ (11,14 თ AB): თავნი იგი და დიდნი სულითა ივლტო-დენ უდაბნოდ. ვითარცა პირველ მოწამენი. და მუნ იყოფებოდენ საშსა მას და ნახევარსა წელსა (12,6 თ AB): და სხუანი კლკანი იქმნებოდენ აღვილ-აღვილ (16,3

თ AB): მაშინ ყოველნივე თვისს სარწმუნოებას იბრძოდნ დამტკიცებად (16,19 თ AB); და ტიროდნ (A) მეფენი ქუყანისანი, რომელთა მის თანა ისიძვეს, და იტყოდნ (18,19 თ AB): რომელთა მოეკუდინენს საქმენი ჯორცთანი ქრისტეს მიერ და მის თანა ჯუარს-ეკუმოდნ და სოფლისა ამის მიმართ მკუდარ იყენენ (20,6 თ AB).

\* \* \*

ასეთია ოდიანი ზმნების უღლების თავისებურებანი. ეს განსხვავება და დაბირისპირება ღონიან და ოდიან ზმნებს შორის წითელი ზოლივით გასდევს პირველი სერიის ყველა საერცობიან მწკრივს: ღონიანი ზმნების უწყვეტლისეული ი-ს (შ-ის) სანაცვლოდ ოდიანებში ე გვაქვს, ხოლო კავშირებითისეული ე-ს ბაღლად — ი. გრაფიკულად ეს ასე შეიძლება გამოეხატოს:

	ღ		ოღ
უწყვ.	შ/ი	-	ე
კავშ.	ე	-	ი

ძველ ქართულშივე დაიწყო დ და ოღ საერცობიან ზმნათა უღლების გათანაბრების პროცესი<sup>119</sup>. ეს მაინც ენის ისტორიის საკითხი უფროა და ამიტომ მკითხველს ზ.სარჯველაძის სათანადო დამხმარე სახელმძღვანელოზე მივუთითებთ<sup>120</sup>.

## B. II სერია

II სერიის მწკრივები ქართულ ენაში ყველაზე ძველია. სხვა სერიების მწკრივები კი მერმეა ჩამოყალიბებული II სერიის ბაზაზე (ა.ჩიქობავა). ალბათ, ამიტომაც, რომ ძველ ქართულში ამ სერიის ფორმები გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე I სერიისა და, მით უმეტეს, III-ისა. ამასთანავე იქ (ძვ. ქართ.) II სერია უფრო მდიდარია. უფრო მრავალფეროვანი სხვადასხვანაირი ფორმებით, ვიდრე ახალ ქართულში. ეს სიძველე და სიმდიდრე თავს იჩენს ცალკეული კატეგორიების წარმოებისას. ასე, მაგალითად, ძველ ქართულში II სერიის ფორმებში სისტემატურად აღინიშნებოდა ნარიანი მრავლობითის სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი: მონადირემან მოკლა ირემი, მაგრამ: მონადირემან მოკლნა ირემნი (მე მოკლ-ენ, შენ მოკლ-ენ), მან მას წიგნი მისცა, მაგრამ: მან მას წიგნი მისცნა (მე მივც-ენ, შენ მისც-ენ) და სხვ. ეს კატეგორია დღეს აღარა გვაქვს სალიტერატურო ენაში, მაგრამ შემონახულია მთის კილოებში (ხევსურულში, ფშაურში ...).

მერმე: ამის საფუძველზე იყო, რომ პრეფიქსიან ენებითებს II სერიის მწკრივებში იგივე ენ-ნ სუფიქსი უწნდებოდა მრავლობითში: ჩუენ დავიმალ-ენ-ით, თქვენ დაიმალ-ენ-ით. იგინი დაიმალ-ნ-ეს, ვევედრ-ენ-ით, ევედრ-ენ-ით, ევედრ-ნ-ეს. დღეს

<sup>119</sup> ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში: სმამ, ტ. VI, N10, 1945.

<sup>120</sup> ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ.441-447.

არც ასეთი ფორმები გვაქვს სალიტერატურო ენაში. მაგრამ ისინი კვლავ ცოცხალია იმავე მთის კილოებსა და ზოგ ბარის კილოშიც. ერთი სიტყვით. გვინდა ვთქვათ. ძველ ქართულში II სერიის მწკრივები უფრო მდიდარი იყო სხვადასხვანაირი ფორმებით.

რით განსხვავდება ერთმანეთისაგან I და II სერიის ფორმები? მკითხველს მოვავონებთ მოკლედ. რომ ამ განსხვავებას საფუძვლად უქვეს მორფოლოგიური და სინტაქსური ფაქტორები:

**მორფოლოგიური:** I. I სერიაში ზნებს ერთვის თემის ნიშნები, რომლებიც II სერიაში ჩამოსცილდებათ. თემის ნიშნები გვიან არის გაჩენილი და გამოყენებულია სწორედ I და II სერიის ფუძეთა განსასხვავებლად. ეს თემის ნიშნებია: ავ, ამ, ებ, ევ, ი, ობ, ებ და ოფ. ესენი ერთვიან I სერიის ექვსივე მწკრივს, მაგრამ, გადავა თუ არა ზნა II სერიაში, ისინი ჩამოსცილდებიან ფუძეს და ქრებიან. ამრიგად, II სერიის თემა ასეთ ზნებში მარტივია, I-ისა — რთული. მაგალითი:

<u>აწ</u>	გან-ა-ტფ-ობ-ს	<u>წყვ</u>	გან-ა-ტფ-ო
<u>აწ_ხ</u>	გან-ა-ტფ-ობ-ნ	<u>II ბრძ</u>	გან-ა-ტფ-ე-ნ
<u>უწყვ</u>	გან-ა-ტფ-ობ-დ-ა	<u>II ხ</u>	გან-ა-ტფ-ი-ს
<u>I ბრძ</u>	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-ნ	<u>II კავშ</u>	გან-ა-ტფ-ო-ს
<u>უწყვ_ხ</u>	გან-ა-ტფ-ობ-დ-ი-ს		
<u>I კავშ</u>	გან-ა-ტფ-ობ-დ-ე-ს		

ზოგი თემის ნიშანი დროთა ვითარებაში ფუძეს შეუხორცდა და გადაყვა II სერიაში. მაგალითად: შობს, მაგრამ აგრეთვე: შობა (ძველად იტყოდნენ: მე ვ-შევ, შენ კ-შევ, მან შე-ა), მან აცნობა, მაგრამ ამას I სერიაში ახლა მეორე (ებ) თემის ნიშანი აქვს დამატებული: ა-ცნ-ობ-ებს (დღევანდელი ქართულიდან შეიძლება გავიხსენოთ ს-ც-უბ-ა მან მას. შდრ. მი-ს-ც-ა მან მას იგი).

2. პირველ სერიაში ზოგ ზნას ფუძეში აქვს ხ ხმოვანი. მეორეში — ი: ვ-დრეკ — ვ-დრიკე, ვ-გრეხ — ვ-გრიხე ... ასეთ ზნებს ხმოვანმონაცვლეს (ა.შანიძე) ან ფუძედრეკადებს (ე.თოფურია) უწოდებენ. მაგალითი:

I სერ.

<u>აწ</u>	მო-ს-დრეკ-ს
<u>აწ_ხ</u>	მო-ს-დრეკ-ნ
<u>უწყვ</u>	მო-ს-დრეკ-დ-ა
<u>I ბრძ</u>	მო-ს-დრეკ-დ-ი-ნ
<u>უწყვ_ხ</u>	მო-ს-დრეკ-დ-ი-ს
<u>I კავშ</u>	მო-ს-დრეკ-დ-ე-ს

II სერ.

<u>წყვ</u>	მო-დრიკ-ა
<u>II ბრძ</u>	მო-დრიკ-ე-ნ
<u>II ხ</u>	მო-დრიკ-ი-ს
<u>II კავშ</u>	მო-დრიკ-ო-ს

**სინტაქსური:** განსხვავების სინტაქსური საფუძვლის შესახებ მსჯელობენ გარდამავალ ზნებთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ ამ ტიპის ზნებთან I სერიაში სუბიექტი სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო პირდაპირი ობიექტი — მიცემითში (კაცი წერს წერილს). მეორე სერიაში სუბიექტი მოთხრობითში გადავა, ხოლო პირდაპირი ობიექტი — სახელობითში (კაცმა დაწერა წერილი). სუბიექტისა და

პირდაპირი ობიექტის ბრუნვათა სხვადასხვაობაც (იგი — მას. მან — იგი) ნიშანდობ-  
ლივია I და II სერიისათვის. მაგალითი:

I სერია		II სერია			
ანყო	კაცი წერს წერილსა	წყვ.	კაცმან	დაწერა	წერილი
ან. ხ.	" წერნ "	II ბრძ.	"	დაწერენ "	"
წყვ.	" წერდა "	II ხოლმ.	"	დაწერის "	"
I ბრძ.	" წერდინ "	II კავშ.	"	დაწეროს "	"
უწყვ. ხ.	" წერდის "				
I კავშ.	" წერდეს "				

გარდა ამისა, II სერიაში არა გვაქვს სავრცობიანი მწკრივები და ისინი ამითაც უპირისპირდებიან I სერიის მწკრივებს (ე.წ. შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი).

ამგვარად, I და II სერიების ფუძეების გარჩევა ძნელი საქმე არ უნდა იყოს. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

## 7. წყვეტილი

წყვეტილი<sup>121</sup> II სერიის ძირითადი მწკრივია. მის ფუძეზეა დაყრდნობილი ამ სერიის სხვა მწკრივები (II ბრძანებითი, II ხოლმეობითი, II კავშირებითი).

ზოგ ზმნას წყვეტილში არავითარი მწკრივის ნიშანი არა აქვს (ეთქუ, მოკვალ, შევიყარ ...). ასეთ ზმნებს უნიშნოს უწოდებენ (ცხადია, საქმეში ჩახედულ მკითხველს არ აერევა "უნიშნო ვნებითთან", მაგრამ სიმარტივისათვის მაინც ჯობია ვთქვათ "ნულიანი წყვეტილი"). ზოგ ზმნას აქვს მწკრივის ნიშანი. წყვეტილის ყველაზე გავრცელებული მწკრივის ნიშანია ე სუფიქსი (დაწერე-ე, დასწერე-ე). ასეთ ფორმებს ე ბოლოსართიან წყვეტილს ეწოდებთ. დასასრულ, აქვე გვაქვს მწკრივის ნიშნად აგრეთვე ი სუფიქსიც (განერცხ-ი, დაებერდ-ი ...). ამათ ი ბოლოსართიან წყვეტილს ეწოდებთ. თითოეული ეს ნიშანი მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში გვხვდება.

### 1. უნიშნო (ნულიანი) წყვეტილი აქვს

ა) ამ, ემ და ოფ თემისნიშნთან ზმნებს:

დავაბ-ამ

ალუთქუ-ამ

დავასხ-ამ

მივსც-ემ

ეპყ-ოფ

დავაბ

ალუთქუ

დავასხ

მივეც<sup>122</sup>

ეყავ<sup>123</sup>

<sup>121</sup> ზოგიერთი მეცნიერი ამ მწკრივს "ნამყო წყვეტილს" ეძახის, ზოგი — "ნამყო ძირითადს". მას ხან "აორისტსაც" უწოდებენ. ხან "ნამყო სრულს". მაგრამ ღლეუ უფრო მარტივი და სხარტი "წყვეტილი" არის მიღებული.

<sup>122</sup> ემ თემის ნიშანი ამ ერთადერთ ზმნას აქვს.

<sup>123</sup> ოფ თემის ნიშანიც ამ ერთადერთ ზმნას მოეპოვება.

ბ) ზოგ ავ. ი და ობ თემისნიშნან ზმნას, სახელდობრ. ისეთებს, რომელთაც ფუძე ეკუმშებათ:

ე-კლ-ავ	მოკკალ (შდრ. მო-კლ-ა)
ე-ურწნ-ი	განკურწენ (შდრ. გან-ურწნ-ა)
შევიყრ-ობ	შევიყარ (შდრ. შეი-ყარ-ა)

ამ ტიპის ზმნები ქართული ენის მორფოლოგიის უძველესი ფენებიდან უნდა მომდინარეობდნენ. მათ სხვა მხრივაც ეტყობათ ღრმა არქაიზმის ნიშნები.

## 2. უ ბოლოსართიანი წყვეტილი აქვს

ა) ყველა უთემისნიშნო ზმნას:

ეწერ	ეწერ-ე
ებან	ებან-ე
ეტეხ	ეტეხ-ე

ბ) ფუძედრეკად ზმნებს:

ვდრეკ	ვდრიკ-ე
ეკრებ	ეკრიბ-ე
ეშრეც	ეშრიც-ე

გ) უბ თემისნიშნან ზმნებს (ორიოდეს გამოკლებით):

ეაქებ	ეაქ-ე
ეცკალ-ებ	ეცკალ-ე
ეიხარ-ებ	ეიხარ-ე

დ) ევ თემისნიშნან ზმნებს:

ეაკურთხ-ევ	ეაკურთხ-ე
ესძლ-ევ	ესძლ-ე

ე) ზოგ ავ. ი და ობ თემისნიშნან ზმნას, სახელდობრ. ისეთებს, რომელთაც ფუძე არ ეკუმშებათ:

ეიხილ-ავ	ეიხილ-ე
ეთხრ-ი	ეთხარ-ე
ეატფ-ობ	განეატფ-ე

როცა აქ ფუძის ეკუმშეასა და უკუმშეელობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს II სერიის ფორმები მთლიანად: აქ იკუმშება ან არ იკუმშება ესა თუ ის ზმნა. ე-თხრ-ი. ე-ზრდ-ი. ე-თლ-ი, როგორც ეხედავთ, I სერიაში იკუმშება, მეორეში კი — არა: ე-თხარ-ე. ე-ზარდ-ე. ე-თალ-ე. ამ ფუძეთა უკუმშეელობა უფრო ძველ ვითარებას ასახავს. ვიდრე მათი I სერიის შეკუმშული ფორმები.

## 3. ინიანი წყვეტილი აქვს

ა) გარდამავალ ზმნათაგან ერთს. ესაა განრცხა: განერცხ-ი, განპრცხ-ი, განერცხ-ით, განპრცხ-ით. მესამე პირის ორივე რიცხვის ფორმაში ი ამოღებულა ა და ეს სუფიქსების დართვის შედეგად.

ბ) ღონიან ენებითებს:

დაებერდ-ი, დაპბერდ-ი  
განეძლიერდ-ი, განსძლიერდ-ი  
დავევარდ-ი, დაპვევარდ-ი

გ) ზოგ საშუალო და ენებითი გვარის ზმნას:

დავეც-ი, დაეც-ი, მივეც-ი, მიეც-ი  
განვერ-ი, განერ-ი  
ვპრწმენ-ი, პრწმენ-ი,  
დავცვევ-ით, დასცვევ-ით

მაგრამ ი ამ ზმნებში მეორეული უნდა იყოს<sup>124</sup>.

ახლა განვიხილოთ სამივე ტიპის ზმნათა უღლება ცალ-ცალკე.

## 1. აფარის ნიშანი Ø

ვ-თქუ	ვ-სუ	ვ-არქუ
ს-თქუ	პ-სუ	არქუ
თქუ-ა	სუ-ა	პ- რქუ-ა
ვ-თქუ-თ	ვ-სუ-თ	ვ-არქუ-თ
ს-თქუ-თ	პ-სუ-თ	არქუ-თ
თქუ-ეს	სუ-ეს	პ- რქუ-ეს

როგორ უნდა წარმოვთქვათ ეს ფორმები? ვ-თქუ, სუ ... ფორმებში ბოლო ბგერა არის უ, რომელიც პოზიციის მიხედვით შეიძლება უმარცვლო იყოს — კერძოდ, მაშინ, თუ სიტყვაში, რომელშიც უ შედის, არის რომელიმე სხვა ხმოვანი, რომელსაც დაკისრებული აქვს მარცვლის შექმნა. ასეთ შემთხვევაში უ, ჩვეულებრივ, დღევანდელი ვ-ს მსგავსად წარმოითქმის, მაგრამ თუ უ-ს შემცველ სიტყვაში სხვა ხმოვანი არ არის, მაშინ უ აქ სრულებითაც არ არის უმარცვლო, იგი ჩვეულებრივ (მარცვლიანი) უ არის, ვთქვათ, ისეთი, როგორიცაა იგი შემდეგს სიტყვებში: გული, სული, ქული. ასე რომ არ იყოს, მაშინ ვთქუ-ს ტიპის ზმნათა სახით გვექნება ფორმა. რომელშიც ერთი მარცვლიც არაა. ამიტომ უ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში — ვთქუ, სთქუ, ვსუ, პსუ — უნდა წაეიკითხოთ მარცვლიანად, როგორც უ: ვთქ-უ, სთქ-

<sup>124</sup> იხ. ამ საკითხის შესახებ უფრო ვრცლად ლ. კიჭანაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თუმ, 30ხ—31ხ, 1947. გვ. 315—320 და სხვ.; მ. მაჭავარიანი, "უნიშნო" ენებითი ქართულურ ენებში: ქესს, I, 1959, გვ. 120—121 და სხვ.



უ. ვს-უ. ქს-უ. მესამე პირის ორივე რიცხვში უკვე არის სხვა ხმოვნები (ა, ე) და. ცხადია, უ აქ, მართლაც, უმარცვლოა: თქუა, სუა, თქუეს, სუეს.

რატომ არ არის ვარქუს მესამე პირის ფორმებში ა პრეფიქსი? აკი იგი დაცულია I და II სუბიექტური პირის ორივე რიცხვის ფორმებში? მესამე პირში იგი ამოღებულია მომდევნო ა და ეს სუფიქსების გავლენით: \*ქ-არქუა → ქ-რქუა, \*ქ-არქუ-ეს → ქ-რქუ-ეს. I და II სუბიექტური პირის ფორმებს ფუძის ბოლოს არ ერთვის რაიმე ხმოვანი, რომელიც შეიძლება ა პრეფიქსის ამოღებას. რაკი მესამე პირის ორივე რიცხვის ფორმებში ამის გამო ქ-ს უშუალოდ ხმოვანი აღარ მოსდევს. ის აღდგება და კუთვნილ ადგილს იჭერს.

სხვა მაგალითები:

და-ვა-ბ	და-ვა-სხ	აღ-უ-თქუ
და- ა-ბ	და- ა-სხ	აღ-უ-თქუ
და- ა-ბ-ა	და- ა-სხ-ა	აღ-უ-თქუა
და-ვა-ბ-თ	და-ვა-სხ-თ	აღ-უ-თქუთ
და- ა-ბ-თ	და- ა-სხ-თ	აღ-უ-თქუთ
და- ა-ბ-ეს	და- ა-სხ-ეს	აღ-უ-თქუეს

შთა-ე-ნთქ	მი-ე-ართუ	შთა-ე-ი-ცუ
შთა-ქ-ნთქ	მი- ართუ	შთა- ი-ცუ
შთა- ნთქ-ა	მი- ართუ-ა	შთა- ი-ცუ-ა
შთა-ე-ნთქ-თ	მი-ე-ართუ-თ	შთა-ე-ი-ცუ-თ
შთა-ქ-ნთქ-თ	მი- ართუ-თ	შთა- ი-ცუ-თ
შთა- ნთქ-ეს	მი- ართუ-ეს	შთა- ი-ცუ-ეს

ახლა ავიღოთ ისეთი შემთხვევები, როცა ძირისეული (მარტივი ფუძის) ხმოვანი აღდგება  $S_1$  და  $S_2$  პირის ფორმებში. ეს შეიძლება შეგვხვდეს ზოგ ავ, ი, ობ თემისნიშნაან ზმნაში. უმეტეს შემთხვევაში ამოღებულია ე ხმოვანი, ზოგჯერ ა-ც.

აღდგება ე:

გან-ე-რყუნ	ე-ა-გრძენ	გან-ე-ვსენ
გან-ქ-რყუნ	ა-გრძენ	გან-ქ-ვსენ
გან- რყუნ-ა	ა-გრძენ-ა	გან- ვსენ-ა
გან-ე-რყუნ-თ <sup>123</sup>	ე-ა-გრძენ-თ	გან-ე-ვსენ-თ
გან-ქ-რყუნ-თ	ა-გრძენ-თ	გან-ქ-ვსენ-თ
გან- რყუნ-ეს	ა-გრძენ-ეს	გან- ვსენ-ეს

<sup>123</sup> მრავლობითობის თ-ს წინ ხშირად უკვე გარეწილია თანხმოვანთა საყარო ი: გან-ერყუნ-თ. გან-ქრყუნ-თ. ე-ა-გრძენ-თ. ა-გრძენ-თ ... საკითხის ისტორიის ნათესადად აქ უფრო ძველი ვითარებაა მოცემული. შეგვეძლო ინიანი ფორმებიც დაგვეწერა. შეგვეძლო ი ფარსხილებში ჩაგვესვა. მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის.

აღ-ვა-გზენ	აღმო-უ-ფხუერ	გან-უ-ვრწენ
აღ ა-გზენ	აღმო-პ-ფხუერ	გან-პ-ვრწენ
აღ ა-გზნ-ა	აღმო- ფხურ-ა	გან- ვრწნ-ა
აღ-ვა-გზენ-თ	აღმო-უ-ფხუერ-თ	გან-უ-ვრწენ-თ
აღ ა-გზენ-თ	აღმო-პ-ფხუერ-თ	გან-პ-ვრწენ-თ
აღ ა-გზნ-ეს	აღმო- ფხურ-ეს	გან- ვრწნ-ეს

## აღღებება ა

მო-უ-კაღ	შე-ე-ძარ	ღა-ე-ჭარ <sup>126</sup>
მო-პ-კაღ	შე-ს-ძარ	ღა-ს-ჭარ
მო კაღ-ა	შე- ძრ-ა	ღა- ჭრ-ა
მო-უ-კაღ-თ	შე-ე-ძარ-თ	ღა-ე-ჭარ-თ
მო-პ-კაღ-თ	შე-ს-ძარ-თ	ღა-ს-ჭარ-თ
მო კაღ-ეს	შე- ძრ-ეს	ღა- ჭრ-ეს

ღა-ე-პ-ფაღ	შე-ე-ი-პყარ	შე-ე-კარ
ღა- პ-ფაღ	შე- ი-პყარ	შე-პ-კარ
ღა- პ-ფაღ-ა	შე- ი-პყრ-ა	შე- კრ-ა
ღა-ე-პ-ფაღ-თ	შე-ე-ი-პყარ-თ	შე-ე-კარ-თ
ღა- პ-ფაღ-თ	შე- ი-პყარ-თ	შე-პ-კარ-თ
ღა- პ-ფაღ-ეს	შე- ი-პყრ-ეს	შე- კრ-ეს

ძველ ქართულში ამ უკანასკნელი ტიპისაა 4 ზმნა, რომელთაც I და II სუბიექტური პირების ფორმებში აღუღებდათ ა ხმოვანი, რომელიც ახალ ქართულში არა ჩანს. ესენია:

შე-უ-თხაზ	გან-ე-ირათხ	ღა-ე-პ-ვაშ	შე-ე-ირატყ
შე-ს-თხაზ	გან- ი-რათხ	ღა- პ-ვაშ	შე- ი-რატყ
შე- თხზ-ა	გან- ი-რთხ-ა	ღა- პ-ვაშ	შე- ი-რატყ-ა
შე-უ-თხაზ-თ	გან-ე-ირათხ-თ	ღა-ე-პ-ვაშ-თ	შე-ე-ირატყ-თ
შე-ს-თხაზ-თ	გან- ი-რათხ-თ	ღა- პ-ვაშ-თ	შე- ი-რატყ-თ
შე- თხზ-ეს	გან- ი-რთხ-ეს	ღა- პ-ვშ-ეს	შე- ი-რატყ-ეს

ზოგი ზმნის მარტივ ფუძეში ავ და ევ ელემენტები გვაქვს. როცა მათ ავ, ებ, ობ და ოფ თემის ნიშანი ერთვის, ფუძისეული ა და ე ხმოვნები ამოვარდება. უხმოვნოდ დარჩენილი ვ-ც იკარგება და ასე სახეცვლილი საწყისი (და I სერიის ფორმები) და წყვეტილის I და II პირის შეუკუმშავი ფორმები ერთმანეთთან ძნელად შესადარე-

<sup>126</sup> ძველ ქართულში გვაქვს ჭარ ფუძე: ღაჭარ ეტრატე ესე (ამოკრ. 89.15); ღაჭკარ და ღაჭჟსურე (2 შჯ. 9.21 M).

ბელი ჩანს. შეიძლება კაცს ისინი სხვადასხვა ზნა ან სხვადასხვა წარმოება ეგონოს. ესენია:

1. ყავ ძირი. წყვეტილის ფუძე; აწმყოში ოფ თემის ნიშანი ემატება. რომელიც ძირისეულ ა-ს ამოაგდებს (ყავ-ოფ → ყვოფ). შემდეგ უხმოვნოდ დარჩენილი ვ ო-ს წინ იკარგება და I სერიისათვის გვაქვს ყოფ ფუძე (საწყისი ყოფა). რომელიც ძნელად დასაკავშირებელია II სერიის ყავ ფუძესთან.

2. ასევეა მიღებული დევ ძირისაგან (რომელიც წყვეტილის ფუძეცაა) I სერიის ღებ ფუძე (ღევ-ებ → ღე-ებ → ღებ; საწყისი: ღება, ღადება).

3. სე-ისაგან სობ (სეე-ობ → სე-ობ → სობ; საწყისი: სობა, დასობა).

4. შე-ისაგან შობ (შეე-ობ → შე-ობ → შობ; საწყისი: შობა).

5. ცე-ისაგან ცავ (ცეე-ავ → ცე-ავ → ცავ; საწყისი: ცვა, დაცვა).

ახლა ვჭრენებთ ამ ზნათა უღლებას წყვეტილში:

ვ-ყავ	ღა-ღ-ღევ	ე-შევ	ღა-ღ-ა-სევ
ჰ-ყავ	ღა-ს-ღევ	ჰ-შევ	ღა- ა-სევ
ყ-ო <sup>127</sup>	ღა- ღე-ა	შე-ა	ღა- ა-ს-ო <sup>128</sup>
ვ-ყავ-თ	ღა-ღ-ღევ-თ	ე-შევ-თ	ღა-ღ-ა-სევ-(ი)-თ
ჰ-ყავ-თ	ღა-ს-ღევ-თ	ჰ-შევ-თ	ღა- ა-სევ-(ი)-თ
ყ-ე-ეს	ღა- ღე-ეს	შე-ეს	ღა- ა-სევ-ეს
	ღა-ღ-ი-ცევ	ღა-ღ-ი-ცევ-(ი)-თ	
	ღა- ი-ცევ	ღა- ი-ცევ-(ი)-თ	
	ღა- ი-ცე-ა	ღა- ი-ცე-ეს	

ფორმა კეთება (делать) ძველ ქართულში არ გვქონია. "გააკეთა" იქ იყო გაალამაზა. გაამშენებია (სიტყვა "ლამაზი" ძველ ქართულში არ იყო). კეთილობა — სილამაზე. ქნულკეთილი — ღამაზი. დღევანდელი კეთება კი ძველად გამოიხატებოდა ზემოთ მოყვანილი ვყოფ- ვყავ ზნით. ამ ზნას მგორე, სინონიმური ცალიც მოეპოვებოდა — აწმყოში: ვიქმ, იქმ, იქმს, ვიქმთ, იქმთ, იქმან. ხოლო წყვეტილში უნიშნო საარვისო ქცევით იხმარებოდა:

ე-ქმენ	ე-ქმენ-(ი)-თ
ჰ-ქმენ	ჰ-ქმენ-(ი)-თ
ქმ-ა	ქმ-ეს

ისინი ერთი მნიშვნელობით იხმარებიან და ძალიან ხშირად ღგანან ერთმანეთის გვერდით, მაგალითად. ბერძნული ოთხთავის ერთი და იმავე ადგილის გადმოსაცემად სხვადასხვა ხელნაწერში.

ნიმუშები: მონასა ჩემსა /უბრძანი/: ქმენ ესე! და ქმნის (მ. 8.9 DE) — ყავ ესე! და ყვის (იქვე C); რასა სასწაულსა იქმ (ი. 6.30 DE) — რად სასწაული ჰყო (იქვე C); სათნოებათა მისთა ვიქმ (ი. 8.29 DE) — სათნოებათა მისთა ვყოფ (იქვე C). აქედან

<sup>127</sup> ყავ-ა → ყვა (შეკუმეა) → ყო (ვა-ს ოდ შერწყმა).

<sup>128</sup> დასევ-ა → დასეა — დასო.

ისიც ჩანს, რომ ქმნა დამახასიათებელი ყოფილა DE ხელნაწერებისათვის, ხოლო ყოფა — C-სათვის (ადიშის ოთხთავი). ადრე, ალბათ, ისინი სხვადასხვა დასაწყისური წრის კუთვნილება იყო. საჭიროდ მოგეაჩნია, კიდევ რამდენიმე თავისებური ზმნა წარმოვადგინოთ:

მი-ე-ეც	ე-ცან	ე-ა-მცენ	უ-თხარ
მი-ეც	ს-ცან	ა-მცენ	უ-თხარ
მი-ს-ც-ა	ცნ-ა	ა-მცენ-ო	უ-თხარ-ა
მი-ე-ეც-(ი)-თ	ე-ცან-თ	ე-ა-მცენ-(ი)-თ	უ-თხარ-თ
მი-ეც-(ი)-თ	ს-ცან-თ	ა-მცენ-(ი)-თ	უ-თხარ-თ
მი-ს-ც-ეს	ცნ-ეს	ა-მცენ-ეს	უ-თხარ-ეს

მი-ე-ეც ზმნაში ე ძირისეულია: ეს არის ერადღერთი ზმნა, რომლის ძირიც ხმოვნით იწყება. აწმყოში არის მივსცემ, მისცემ და მისთანა<sup>129</sup>.

უთხარ იმითაა თავისებური, რომ მას ძველ ქართულში შეიძლება ზმნისწინი დაერთოს: მიუთხარ, მოუთხარ და სხვ. აქედან ძველ ქართულში გავრცელებულია მითხარობა დღევანდელი "მითხრობის" ნაცვლად. კაცმა რომ თქვას, ამ ცნებას მი ზმნისწინი უფრო შეეფერება, ვიდრე მო. შე ზმნისწინით სხვა აზრი გამოიხატებოდა. ვაშული შეუთხრა (კიმ. II, 144,33; 192,11; 193,6) — დაუკანონა, დაუწესა, ბრძანება გამოსცა მათთვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბრძოლა ზმნის წყვეტილის ფორმა:

ე-პ-ბრძავ	ე-პ-ბრძავ-თ
პ-ბრძავ	პ-ბრძავ-თ
პ-ბრძ-ო	პ-ბრძ-ე-ს

პ-ბრძ-ო ← პ-ბრძ-ე-ა ← პ-ბრძ-ე-ა. ფუძის შეკუმშვის შემდეგ ვ და ა შერწყმულა და ო ასეა მიღებული.

რომ ე-პ-ბრძავ, პ-ბრძავ ნამდვილად წყვეტილის ფორმაა, ამას ამტკიცებს შემდეგი მაგალითები: მე გბრძავ შენ, და გეწინენ შენ და შეგაყრან (იერ. 50, 24 I). ოშკის ბიბლიაში ამ ადგილას გებრძოდუ იკითხება, ხოლო თბილისურ გამოცემაში არის წინა-განგეწყვე. ყველა წარსულ დროს უჩვენებს. ასეთი მაგალითებია კიდევ: მე ყოველთა კაცთა ვ(პ)ბრძავ და ვერეინ შეუძლო წინა-აღდგომად ჩემდა (საკ.წ. I, 37.17). ვევე ადგილი პარხლის მრავალთაემიც (A-95) გვხვდება: მე ყოველთა ვპბრძავ, და არაეინ შეუძლო ჩემდა ძლეეად, ხოლო შენ მძლო (618b). ცოტა ქვემოთ იმავე ხელნაწერში იკითხება: მე მათ ვპბრძავ, ვიდრემდის მოეწყვდნი თირკუმელნი მათნი და დეაბნელი ცნობად მათი (621b). ეს მეტად საინტერესო ზმნა ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ზმნათაგან, რომელთა I და II სუბიექტური პირის ფორმებიც წყვეტილსა და აწმყოში ერთმანეთს ემთხვევა. შდრ.:

<u>აწმყო</u>	<u>წყვეტილი</u>
ე-პ-ბრძავ	ე-პ-ბრძავ
პ-ბრძავ	პ-ბრძავ

<sup>129</sup> ცუმა ზმნის შესახებ გამოთქმული სხვადასხვა თვალსაზრისი თავმოყრილია გ.გოგოლაშვილის წერილში "ერთი ზმნური ძირის (ცუმა) შედგენილობისათვის ქართულში": მაცნე. I, 1985, გვ. 92-96.

კ-ბრძავე-ს  
 ვ-კ-ბრძავე-თ  
 კ-ბრძავე-თ  
 კ-ბრძავე-ან

კ-ბრძ-ო  
 ვ-კ-ბრძავე-თ  
 კ-ბრძავე-თ  
 კ-ბრძავე-ს

ვ-კ-ბრძავე სხვა მხრივაც იქცევა ყურადღებას. იგი წარმოშობით სამპირიანი ზმნაა: წყვეტილში შემონახულია მესამე ირიბობიექტური პირის ნიშანი (ვ-კ-ბრძავე). ხოლო მეორე მხრივ, სუბიექტს მოთხრობითში იწყობს: კბრძო მან, კბრძავეს მათ. გარდა ამისა, ეს არის ერთ-ერთი იმ ხუთი ზმნიდან, რომლებიც, თუმცა მოქმედებითა (წარმოშობით მაინც). მაგრამ ირთავეს არა ღ საერცობს, როგორც ყველა მოქმედებითი გეარის ზმნა, არამედ ოდ-ს, როგორც ვნებითი და ზოგი საშუალი. ყველაფერი ეს ამ ზმნის სიძველეზე მიუთითებს<sup>130</sup>.

აქვე მოვიყვანთ ზოგი საშუალი გეარის ზმნის უღლებას. ეს ის ზმნებია, რომლებიც ძალიან ხშირად იხმარება ენაში და მათ თავისებურებათა ცოდნა თავიდანვეა საჭირო. ესაა მისვლა-მოსვლის აღმნიშვნელი ზმნები, ვედ და ვედ ფუძით რომაა წარმოდგენილი. ძველ ქართულში ისინი სისტემატურად იხმარებიან ერთმანეთის პარალელურად, ესენიც თითქოს აბსოლუტური სინონიმებია. ვედ (← ვედ) ფუძე I სერიაში უზმნისწინოდაც იხმარებოდა ჩვეულებრივ, ხოლო II სერიაში ასეთი რამ იშვიათია (შდრ. უფალო, ვიდრე ვიდეთ: ი. 6,68 C). ამიტომ ჩვენც ზმნისწინით წარმოვადგენთ.

მო- ვედ	მო-ვეედ	მო-უვეედ
მო-ხ-უედ	მო-კ-უედ	მო-უვეედ
მო- ვიდ-ა	მო- ვდ-ა	მო-უვედ-ა
მო- ვედ-ი-თ	მო-ვეედ-ი-თ	მო-უვეედ-ი-თ
მო-ხ-უედ-ი-თ	მო-კ-უედ-ი-თ	მო-უვეედ-ი-თ
მო- ვიდ-ეს	მო- ვდ-ეს	მო-უვედ-ეს

ვ-ჯედ <sup>131</sup>	ვ-დებ	ვ-წევ
ს-ჯედ	ს-დებ	ს-წევ
ჯედ-ა	დებ-ა	წევ-ა
ვ-სხედ-ი-თ	ვ-დებ-ი-თ	ვ-წევ-ი-თ
ს-სხედ-ი-თ	ს-დებ-ი-თ	ს-წევ-ი-თ
სხედ-ეს	დებ-ეს	წევ-ეს

ვედ ძირი უფრო სასხვისო ქცევის ფორმით იხმარება (მო-უვედა), ამიტომ მას აღარ სჭირდება თანდებულის დამატება. შდრ. მოვიდა მის თანა და მოუვედა მას.

<sup>130</sup> აწყობა და წყვეტილის ფორმათა დამთხვევის იშვიათი მაგალითების შესახებ იხ. ა. მანაშკვილი. იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია, გვ. 145-147.

<sup>131</sup> ეს ზმნა ფუძემანაკვლა რიცხვის მიხედვით: მხოლოდობითი ვედ ფუძე იხმარება, მრავლობითში სხედ. ეს თანამედროვე ქართულისათვისაც დამახასიათებელია.

ახალ ქართულში ეს ფუძე აღარ იხმარება თავისი ძველებური მნიშვნელობით — ფორმაცა და შინაარსიც შეცვლილი აქვს. დღეს მოუხტა (/მოუხდა), გადახტა ზმნებში სხვა აზრია ჩადებული. წახდა (←წარუდა) კიდევ სულ სხვას აღნიშნავს: წარუდა → წახდა — ისე წაიდა. რომ აღარ დაბრუნდება, გაფუჭდა, დაიკარგა.

ვედ ძირი სვანურმა შემოინახა. სიარულის, ქართული ვედ /ვიდ ზმნის შინა-არსის გადმოსაცემად იქ მხოლოდ ეს ძირია გამოყენებული (ლი-ვედ — სიარული). ვედ ძველი გაგებით იხმარება აგრეთვე ქართული ენის მთის კილოებში.

ახალ ქართულში მწკრივის ნიშნის გარეშე არც ერთი ზმნა აღარ გვაქვს წყვეტილში. ი, რომელიც ძველად იშვიათად გვხვდებოდა თანხმოვანთგასაყარის როლში, იქცა მწკრივის ნიშნად (ვთქვი, მოვკალი...).

დასასრულ, ძველი ქართულის ძეგლებიდან მოვიყვანთ ამ ტიპის ნიმუშებს:

ხოლო ესე ვიკადრე და ვთქუ (ისტ. ქრ. I, 250,1); მე მოუგე და ვარქუ: შემინდევ, უფალო (იქვე, 249,39); ვერ თუ შესაძლებელ არს სასუბელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რაითამცა არა შევსუ, იყავნ ნებაჲ შენი (მ. 26,42 C); შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერვთა ჩემთა არა მეც (ლ. 7,44); ხასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რომელი გამცენ თქუენ (მ. 8,20 X); მან ყოველივე მომიძღუნა და მივართუ პიტაიხშსა (შუმ.137,25); დავინთქ მე უყსა უფსკრულისასა (ფს. 68,3); ცოლი ვისუ და შეილი არა მებადების (ისტ. ქრ. II, 86,3); მე დავწვე, დავიძინე და აღვდეგ (Sin. 11, 262,1); დავჰაჰმ ზღუდა ბჰვეებითა (იობ 38,8 ლატ.); მე დავასხ შენ ვენაჲდ (უდაბ. 64va); განგაცუ საყური და რკალი ყურთა შენთა (ეზექ. 16,12); შეგმოსე შენ ჭრელითა და შევასხ ფერვთა შენთა იაკინთე და შევგარტყ შენ ბისონი (ეზექ. 16,10); დავამჰუ ესავი (იერ. 49,10); ჰრქუა ყრმისა ამქუმელსა მას: რაი ვშევ? (აღწ. 186,8); განვსხალ (ეს. 5,2 ლატ.); აჰა ზოგი ფასისა ჩემისაჲ მიხუეც გლახაკთა (ლ. 19,8 Y); უწყითა, რაი-ესე ვყავ თქუენდა მიმართ? (ი. 13,12).

ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ვერეცა მე შენ შეურაცხ-გყავ (შუმ. 135.20-21); ხოლო შენ არქუ მონათა შენთა: მოიყვანეთ იგი ჩემდა (დაბ. 44,21); შენ ჩემი ხატი დაამჰუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ (შუმ. 135,13); განნეთქე ძაძაი ჩემი და გარე-შემარტყ მე სიხარული (ფს. 29,12 ლ); რომელმან გარეგანი ესე შესთხაზ შენითა მით შეთხზუითა (კომ. I, 199,2); შენ განსლიდენ ფრიად და შუენიერებაჲ შთაიეც (ფს. 103,1); რომელმანცა აღმოჰოხნუარ იორდანეს ურჩებისა ეკალი (სას. 3. 238,81); ვის ზედა განსძარ ენაჲ ეგე შენი (ბოლნ. 78,19); შენ შორის ორთა ავახათა ჯუარს-ეცუ (Sin. 62, 32va,8 ქე.).

პურნი იგი შესაწირავთანი შეჰამნა და სცა მისთანათა (ლ. 6,4 C); სცა (= უკბინა) გუელმან ფერესა მისსა (კომ. I, 251,35); ზრძო საცთურსა და განაქიქა იგი (უდაბ. 158r); მოუცდა ქალაქსა მას ჰრამათელთასა, ჰზრძო და დაიყრა იგი (2 მეფ. 12,29); და მან განირთხა ველი (მ. 12,13. მე განვირათხ, შენ განირათხ); ამან მოიქუა იგი მკლავთა ზედა მისთა (ლ. 2,28); გარდაჲდა შაბათი იგი (მრ. 16,1);

გვსუა წყალი საცხოვართა ჩუნთა (გამ. 2.19 პარზ. ოთხპირიანი ზმნა<sup>132</sup>).

უთხართ მას ჩუნებამი მისი, და მან განგვმარტა ჩუნ (დაბ. 41.17); არა კეთილად ვთქუთ. ვითარმედ სამარტელ ხარ (ი. 8. 48 C); ხოლო ჩუნ ვარქუთ (დაბ. 44.26); მე, ფარნავაზ, და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი (ისტ. ქრ. I, 14); ჩუნ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების (ლ. 23.41); რომელსა შინა ყოველნი მოვსწყდით (ეპისტ. ანტ. 32.9); წარვედით და მოვწყდით (Sin. 35. 185ra,15); მაცხოვარებამი და ცხოვრებამი აღვიღეთ ყოველთა ასოთა და გვრგვინი მადლისად დავიდეთ თავსა ჩუნსა (ურთ. 151,28).

დღითი-დღედ თქვენ თანა ტაძარსა შინა ვჯგედ და გასწავებდ და არა შემოხყართ მე (მ. 26,55); რომლისათვის თქვენ აღხდვით და საკრეველითა შეხყართ იგი და მოხკალთ და ხთქუთ (ისტ. ქრ. I, 34.4); მოკალთ შორის ტაძრისა და საკურთხეველისა (მ. 23.35); შეიმოსეთ და ვერ განსტყფით (ანგ. 1,6); რომელნი მოსწყდით ქრისტესთვის (პარზ. 860b); რამეთუ თქვენ მიმუცით საყრობილედ (იერ. 37,17).

ამისთვის ესრე თქვენს შმობელთა მისთა (ი. 9,22); ჰრქვენს მოციქულთა უფალსა (ლ. 17,5); მუნ ჯუარს-აცუეს იგი და ძერის-მოქმენი იგი (ლ. 23,33); აღუთქვენს მას მიცემად ვეცხლი (მრ. 14,11); პოვეს კიც იგი დაბბული... და აღკსენეს იგი (მრ. 11,4); ავაზანი დაესხნეს, განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს (ლ. 10,30); მივიდეს მოწაფენი იოვანესნი და წარიდეს გუამი მისი და დაჰხლეს იგი და მოვიდეს და უთხრეს იესუს (მ. 14,12); დაჰქუეს კარი (დაბ. 19,10 M); რომელთა მრაველითა ღუწლითა ჰბრძენს და სძლეს წინა-აღმდგომთა (პარზ. 896a).

## 2. შჰარივის ნიშანია ე

ე მწკრივისნიშნიან ზმნათა უღლება თითქმის არაფრით განსხვავდება ახალი ქართულისაგან. ჩვენ აქ (და ქვემოთ) მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა მოქმედებითი გვარის ზმნებში პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითში დგას. ხოლო როცა ეს ობიექტი წარიან მრავლობითშია, მაშინ ძველსა და ახალ ქართულს შორის მეტად დიდი განსხვავებაა. ამიტომ ასეთ შემთხვევებს მწკრივების შესწავლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდებით და მათზე ცალკე გვექნება საციცალური მსჯელობა. მწკრივის ნიშანი ე თვალნათლივ ჩანს ორივე რიცხვის I და II სუბიექტური პირების ფორმებში: ე-წერ-ე, ს-წერ-ე, ე-წერ-ეთ, ს-წერ-ეთ; ე-ჭამ-ე, ს-ჭამ-ე, ე-ჭამ-ეთ, ს-ჭამ-ეთ. მაგრამ მესამე პირის მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებში ეს ნიშანი არა ჩანს, იგი ამოღებულია მომდევნო ა და ეს სუფიქსების დართვის შედეგად: \*ჭამ-ე-ა → ჭამა, \*ჭამ-ე-ეს → ჭამეს. აქ რომ სუფიქსად მხოლოდ თანხმოვანი გვექნოდა, რა თქმა უნდა, მწკრივის ნიშანი ე გადარჩებოდა. ასეთი შემთხვევა მართლაც გვაქვს II ბრძანებითის III პირში, სადაც პირის ნიშნად მხოლოდობითში მხოლოდ ნ სუფიქსია. ამიტომ აქ მწკრივის ნიშანი ხელუხლებელია და მტკიცედ დგას: კაცმან წერ-ენ (= დაწეროს), ჭამ-ენ (= ჭამოს), შეკრიბ-ენ (= შეკრიბოს) და სხვ. ამაზე

<sup>132</sup> 6. ამის შესახებ ლ. კატაძე, ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში: "კომუნისტური აღზრდისათვის", 8-9. 1937.

ცოტა ქვემოთ ცალკე გვეყება საუბარი. ამგვარად, თუ ამ ტიპის წყვეტილში არა ჩანს შწკრივის ნიშანი ე. ეს ფონეტიკური მიზეზებით არის გამოწვეული და მათი მოხსნისას დაკარგული ე აღდგება. მაშასადამე, წყვეტილის შწკრივის ნიშანი ე აქაც პოტენციურად იგულისხმება. ვაჩვენებთ რამდენიმე ე შწკრივისნიშნის წმინდა წყვეტილში უღლების პარადიგმას:

ღ-ე-წერ-ე	გან-ე-ტებ-ე	ღ-ე-პ-ბან-ე
ღ-ს-წერ-ე	გან-ს-ტებ-ე	ღ-ს-პ-ბან-ე
ღ- წერ-ა	გან- ტებ-ა	ღ-ს-პ-ბან-ა
ღ-ე-წერ-ეთ	გან-ე-ტებ-ეთ	ღ-ე-პ-ბან-ეთ
ღ-ს-წერ-ეთ	გან-ს-ტებ-ეთ	ღ-ს-პ-ბან-ეთ
ღ- წერ-ეს	გან- ტებ-ეს	ღ-ს-პ-ბან-ეს

შე-ე-კრიბ-ე	გან-ე-წმიდ-ე	უ-გუმირ-ე
შე-პ-კრიბ-ე	გან-ს-წმიდ-ე	უ-გუმირ-ე
შე- კრიბ-ა	გან- წმიდ-ა	უ-გუმირ-ა
შე-ე-კრიბ-ეთ	გან-ე-წმიდ-ეთ	უ-გუმირ-ეთ
შე-პ-კრიბ-ეთ	გან-ს-წმიდ-ეთ	უ-გუმირ-ეთ
შე- კრიბ-ეს	გან- წმიდ-ეს	უ-გუმირ-ეს

ე-ა-კურთხ-ე	ე-ს-ძლ-ე	ე-პ-კითხ-ე
ა-კურთხ-ე	ს-ძლ-ე	პ-კითხ-ე
ა-კურთხ-ა	ს-ძლ-ო	პ-კითხ-ა
ე-ა-კურთხ-ეთ	ე-ს-ძლ-ეთ	ე-პ-კითხ-ეთ
ა-კურთხ-ეთ	ს-ძლ-ეთ	პ-კითხ-ეთ
ა-კურთხ-ეს	ს-ძლ-ეს	პ-კითხ-ეს

ე-თაღ-ე	მო-ე-სპ-ე	გან-ე-ა-ტფ-ე
ს-თაღ-ე	მო- სპ-ე	გან- ა-ტფ-ე
თაღ-ა	მო- სპ-ო	გან- ა-ტფ-ო
ე-თაღ-ეთ	მო-ე-სპ-ეთ	გან-ე-ა-ტფ-ეთ
ს-თაღ-ეთ	მო- სპ-ეთ	გან- ა-ტფ-ეთ
თაღ-ეს	მო- სპ-ეს	გან- ა-ტფ-ეს

ნიშნუბანი ძებნუბიდან: მაშინ დაუტყვე მე პირველი იგი კაცთა უელოვნებითა შეთხზული შჯული (აბო 168.10); მე, თათვარაზ, აღზუმართე ესე ჯუარი სახელითა ღმრთისაითა (ისტ. ქრ. I, 15); ესე ჯუარი ქრისტ(ს)ი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანეს-მან და გუდასმან, აღზუმართე ... ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა (იქვე); მე რომელი ვიხილე მამისა ჩემისაგან, მას ვიტყვ (ი. 8.38); არა თქუა, ვითარმედ: დავასოვლე, არამედ: დავბანეო (სწავ. 5,35); რომელმან ძმაი მისი მოვარჩეუ აბანოს (აბოკრ. 83,25); და დავბანე შენ წყლითა (ეზეკ. 16,9).



არა კეთილი თესლი დასთესე აგარაკსა ამას შენსა? (მ. 13,27); პირითა ჩველთა მწოვართათა დაამტკიცე ქება (მ. 21,16 C); კეთილად მზრახე მე დღეს (ბალ. 110,10 ჯ); მოიხსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხოვრებასა შენსა (ლ. 16,25).

იხილა იგი მკვევალმან ვინმე (ლ. 22,56); დაუმზადა ლევი პური დიდი იესუს (ლ. 5,29); შთახხვდა საფლავსა მას (ი. 20, 5,11 X); რომელმან მოთხარა და დააღრმო და დადვა საფუძველი კლდესა ზედა (ლ. 6,48); მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ (მრ. 12,19).

ხოლო პირველად ბორკუსა მას მიემართეთ და ვთხარეთ ვითარ სამ ქამადმდე ოდენ და ვპოვეთ ძველი ერთი (ისტ. ქრ. I, 252,30); ოდეს გიხილეთ შენ შმიერი და გამოგზარდეთ (მ. 25,37); აღვალეთ ძამათა ჩუენთა (დაბ. 43,21).

რაისათვის მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისაი? (დაბ. 44,4); მეძიებდით მე... რამეთუ მკვამეთ პურისა მისგან და განსძელით (ი. 6,26 C); თქვენ მე შემოიყუარეთ და გრწამ (ი. 16,27); მიხილეთ მე და არა გრწამს (ი. 6,36).

იწრაფეს და გარდააკეთეს კაცად-კაცადმან ტვრითი თვისი (დაბ. 44,11); ხოლო მათ დაიპეს სამოსელი მათი და აქოდეს კაცად-კაცადმან ტვრითი თვისი კარაულსა (დაბ. 44,13); განძარცუეს იგი და ქლამინდი შექმამული შემოსეს მას (მ. 27,28); ყოველთა ნამეტნავეისაგან მათისა შემოწირეს (მრ. 12,44); ზრახვა-ყვეს მისთვის. რაითამცა წარწყმოდეს იგი (მ. 12,14 C).

### 3. შჰაკივის ნიშანი ი

წყვეტილის მწკრივის ნიშნად ი-ს გამოყენება მეორეული მოვლენა უნდა იყოს. იგი პირველად დამკვიდრდა ისეთ ზნებში, რომელთაც ფუძის ბოლოს დ ქჰონდათ. უპირველეს ყოვლისა, ესაა ყველა დონიანი ვნებითი (დავებრდი, განემართლდი, შეეზრუნდი...), აგრეთვე ისეთი ფუძეები, რომელთა ბოლოკიდური დ-ც ძირეული ჩანს (და-ე-ვარდი, წარ-ე-წყმდი, გან-ე-წმდი...). ამ ფორმებზე მრავლობითობის თ სუფიქსის დართვისას აუცილებლად ჩნდება თანხმოვანთგასაყარი ი, რომელიც შემდეგ მხოლოდითშიც გადადის ანალოგიით. ამ საკითხზე ჩვენ უკვე შექერდით უწყვეტელზე საუბრისას (გვ. 113) და აქ აღარ გავიმორებთ. შემდეგში ამ მეორეულმა ი-მ თანდათანობით გააფართოვა მოქმედების ასპარეზი: პირველ ხანებში დონიანთა გარდა სხვა გარდაუვალ ზნებსაც დაერთო (ვნებითსა და საშუალს), შემდეგ კი მოქმედებითშიც გავრცელდა. დღეს ი სუფიქსი ე-სთან ერთად წყვეტილის მწკრივის ძირითადი ნიშანია.

ძველ ქართულში, დონიანთ გარდა, ი მწკრივის ნიშანი აქვს ენან ვნებითებს. როგორიცაა: და-ე-უ-ცი (= დავვარდი), ე-უ-ცი (ფიქრებს, მწუსარებას, ოცნებას მიუცე), გან-ე-ე-რი (= გადავარი), აგრეთვე საშუალთ: ე-პ-რწმენ-ი (მე მას); და-ე-ცვე-ით. მოქმედებითთაგან კი იგი, როგორც აღნიშნული გვაქვს ზემოთ, ერთადერთ ზმნას მოეპოვება (გან-ე-რცხ-ი) და ამასაც უმწკრივისნიშნო ფორმა ეცილება. განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე.

ა) ღ ფუძიანი ზმნები<sup>133</sup>

რ-ღ:	ღა-უბერ-ღი ღა-პბერ-ღი ღა ბერ-ღა ღა-უბერ-ღით ღა-პბერ-ღით ღა ბერ-ღეს	გან-უბლიერ-ღი გან-ს-ბლიერ-ღი გან- ბლიერ-ღა გან-უბლიერ-ღით გან-ს-ბლიერ-ღით გან- ბლიერ-ღეს	გან-უცვბრ-ღი გან-ს-ცვბრ-ღი გან- ცვბრ-ღა გან-უცვბრ-ღით გან-ს-ცვბრ-ღით გან- ცვბრ-ღეს
------	---	---	---

ლ-ღ:	გან-უმართლ-ღი გან-პ-მართლ-ღი გან- მართლ-ღა გან-უმართლ-ღით გან-პ-მართლ-ღით გან- მართლ-ღეს	გან-უცხოველ-ღი გან-ს-ცხოველ-ღი გან- ცხოველ-ღა გან-უცხოველ-ღით გან-ს-ცხოველ-ღით გან- ცხოველ-ღეს	ღა-ობლ-ღი ღა-ობლ-ღი ღა-ობლ-ღა ღა-ობლ-ღით ღა-ობლ-ღით ღა-ობლ-ღეს
------	---	---	---

ზ-ღ:	გან-უბრწყინ-ღი გან-პ-ბრწყინ-ღი გან- ბრწყინ-ღა გან-უბრწყინ-ღით გან-პ-ბრწყინ-ღით გან- ბრწყინ-ღეს	გან-უძენ-ღი გან-ს-ძენ-ღი გან- ძენ-ღა გან-უძენ-ღით გან- ძენ-ღით გან- ძენ-ღეს	ღა-უპ-ვსნ-ღი ღა- პ-ვსნ-ღი ღა- პ-ვსნ-ღა ღა-უპ-ვსნ-ღით ღა- პ-ვსნ-ღით ღა- პ-ვსნ-ღეს
------	---	--	---

შ-ღ:	წარ-უწყმდ-ი წარ-ს-წყმდ-ი წარ- წყმდ-ა წარ-უწყმდ-ით წარ-ს-წყმდ-ით წარ- წყმდ-ეს	გან-უწყმდ-ი გან-ს-წყმდ-ი გან- წმდ-ა გან-უწყმდ-ით გან-ს-წყმდ-ით გან- წმდ-ეს
------	---	---

ამ უკანასკნელ ზნას (გან-უწყმდ-ი) აქვს სხვა ტიპის ვნებითის ფორმებიც: ენ სუფიქსიანი (გან-უწყმდ-ენ), ინიანი (გან-უიწყმდ-ე). მაგრამ ამაზე დაწვრილებით ქვემოთ, როცა ვნებითებზე გვექნება მსჯელობა.

ბ) ენიანი ვნებითები

ღა-უეცი	მი-უეცი	გან-უერი
ღა ეცი	მი- ეცი	გან- ერი
ღა ეცა	მი- ეცა	გან- ერა

<sup>133</sup> ასე უწოდებთ ისეთ ზმნებს, რომელთაც მ შეკრივის ნიშნის წინ ღ მოუღის (ფუძისეული, ვნებითის ნიშანი...).

მრავლობითი ამ ზმნებს სხვანაირად ეწარმოებათ. იგი გართულებულია ენ სუფიქსის ჩართვით (და-ე-ე-ც-ენ-ით, და-ე-ც-ენ-ით, და-ე-ც-ენ-ეს...). დაწვრილებით ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ჩვენთვის მთავარია, რომ თვით მხოლოდობით ფორმებში მწკრივის ნიშნად უკვე ი არის დამკვიდრებული. აქვე შევნიშნათ, რომ დავეცი, მივეცი არ უნდა გვეგონოს მოქმედებითი. არა! ამის მოქმედებითა დავეც, მივეც. რომ აქ ჩვენ ვნებითთან გვაქვს საქმე და არა მოქმედებითთან. ამას, სხვათა შორის, მესამე პირის ფორმებიც ადასტურებენ: დაეცა (იგი) და არა დასცა (მან, მას, იგი). მიეცა და არა მისცა.

### გ) საშუალი გვარის ზმნა

მრწამს ჩვეულებრივ ობიექტური წყობით გვხვდება: მრწამს, გრწამს, პრწამს (აწმყო), მრწმენა, გრწმენა, პრწმენა (წყვეტილი). ეს ფორმები მწკრივის ნიშნის დადგენის საკითხში ვერ გამოგვადგება, რადგანაც S<sub>3</sub>-ის ნიშანი ა სუფიქსი ამაგდებს წინამდებულ ხმოვანს — მწკრივის ნიშანს (შდრ. მან დაწერა, რომელშიც მწკრივის ნიშანი ე ამოღებულია). მაგრამ ძველ ქართულში ძალზე იშვიათად გვხვდება ამ ზმნის სუბიექტური წყობის ფორმებიც. აი, სწორედ იქ ჩანს წყვეტილის მწკრივის ი ნიშანი. ამ ფორმებს ცოტა ქვემოთ დავიმოწმებთ ძველი ქართულის ძველებიდან. აქ კი უღლების პარადიგმას წარმოვადგენთ:

ე-პრწმენ-ი	ე-პრწმენ-ით
პრწმენ-ი	პრწმენ-ით
პრწმენ-ა	პრწმენ-ეს

აქაც, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, წყვეტილის მრავლობითის ფორმა პრწმენეს (მას იგინი) ემთხვევა II კავშირებითის მხოლოდობითის ფორმას (რადთა პრწმენეს მას იგი). ეს თავისებურება ამ ზმნებზე საუბრისას ზოგჯერ გათვალისწინებული არაა და წყვეტილის ფორმა კავშირებითადაა მიჩნეული<sup>134</sup>.

მრავალმხრივ საყურადღებოა კიდევ ერთი საშუალი გვარის ზმნა — ცვენა, რომელიც წყვეტილში ასე ითვლის:

—	და-ე-ცვე-ით <sup>135</sup>
—	და-ს-ცვე-ით
და-ცვე-ა	და- ცვე-ეს

არის ორპირიანი ფორმებიც: და-ს-ცვე-ა, და-ს-ცვე-ეს.

ეს ზმნა თავისი შინაარსის გამო I და II პირის მხოლოდობით რიცხვში არ იხმარება. მესამეში გვხვდება ე.წ. კრებით სახელებთან. მწკრივის ნიშნად ამ ზმნას აქვს ი, რასაც გვიჩვენებს მრავლობითის ფორმები: და-ე-ცვე-ით, და-ს-ცვე-ით. ფრიად მაცდურია მესამე პირის ფორმა მხოლოდობითში (და-ცვე-ა და-ს-ცვე-ა), რაც ახალი ქართულის აწმყოს (თუ მყოფადს) მოგვაგონებს; მაგრამ არა: და-ცვე-ა და-ს-

<sup>134</sup> ი. ქუთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის, გვ. 199.

<sup>135</sup> ზოგს წყვეტილად მიაჩნია დაეცვეთ, დასცვეთ (ი. ქუთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში: იკვ. I, 1946, გვ. 165). მაგრამ ესენი II კავშირებითის მაგალითებია.

ცვა წყვეტილია და დღევანდელ ენაზე იქნებოდა დაცვივდა, დასცვივდა.

ამ ზმნას მრავლობითის I და II სუბიექტური პირები საზიარო აქვს II ხოლმეობითსა და აწმყოსთან. ასე, მაგალითად. და-ე-ცვე-ი-თ, და-ს-ცვე-ი-თ შეიძლება წყვეტილიც იყოს, II ხოლმეობითიც და აწმყოც. ამას კონტექსტი გადაწყვეტს. სწორედ ასეთი დამთხვევების გამოა, რომ ზოგჯერ წყვეტილის ფორმებში, სხვებისაგან განსასხვავებლად, პრეფიქსიან ენებითა დამახსიათებელი ენ სუფიქსი ჩნდება: და-ე-ცვე-ენ-ი-თ, და-ს-ცვე-ენ-ი-თ. ეს ადვილი ასახსნელია: შინაარსით იგი ძალიან ახლოა სწორედ ენებითთან<sup>136</sup>.

დღევანდელი რეცხვა ზმნა ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, (შეკუმშული) რცხ ძირის სახით იხმარებოდა, წყვეტილში მწკრივის ნიშნად კი ი ქჷონდა:

გან-ე-რცხ-ი	გან-ე-რცხ-ი-თ
გან-ჰ-რცხ-ი	გან-ჰ-რცხ-ი-თ
გან- რცხ-ა	გან- რცხ-ეს

ი ამ ზმნას აწმყოს თემის ნიშნად ქჷონდა, ამიტომ აწმყოში იგი ასე იუღლებოდა:

გან-ე-ჰ-რცხ-ი	გან-ე-ჰ-რცხ-ი-თ
გან- ჰ-რცხ-ი	გან- ჰ-რცხ-ი-თ
გან- ჰ-რცხ-ი-ს	გან- ჰ-რცხ-ი-ან

ეს მაშინ, თუ ასე (ზმნისწინით) იქნებოდა წარმოდგენილი, მაგრამ უზმნისწინოდ S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირის ფორმები საეხებით დაემთხვეოდა წყვეტილს. ეს კიდევ ცოტაა. რადგანაც II ხოლმეობითს ყოველი ტიპის ზმნისათვის მხოლოდ ი სუფიქსი აქვს მწკრივის ნიშნად. მსგავსი ფორმები მასაც აღმოაჩნდებოდა. ასე და ამრიგად, ამ ზმნის I და II სუბიექტური პირის ფორმები სამ მწკრივს ერთნაირად ექნებოდა წარმოდგენილი. მაგალითად:

<u>აწმყო</u>	<u>წყვეტი.</u>	<u>II ხოლმ.</u>
ე-რცხ-ი	(გან)-ე-რცხ-ი	(გან)-ე-რცხ-ი
ჰ-რცხ-ი	(გან)-ჰ-რცხ-ი	(გან)-ჰ-რცხ-ი
რცხ-ი-ს	(გან)- რცხ-ა	(გან)- რცხ-ი-ს
ე-რცხ-ი-თ	(გან)-ე-რცხ-ი-თ	(გან)-ე-რცხ-ი-თ
ჰ-რცხ-ი-თ	(გან)-ჰ-რცხ-ი-თ	(გან)-ჰ-რცხ-ი-თ
რცხ-ი-ან	(გან)- რცხ-ეს	(გან)- რცხ-ი-ან

სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ წყვეტილში ამ ზმნას ზოგჯერ სულ არა აქვს მწკრივის ნიშანი და უღლება ასეთ სახეს მიიღებს:

გან-ე-რცხ	გან-ე-რცხ-თ
გან-ჰ-რცხ	გან-ჰ-რცხ-თ
გან- რცხ-ა	გან- რცხ-ეს

ყველაფერი ეს მორფოლოგიური ომონიმისაგან თავის დაღწევის სურვილით

<sup>136</sup> იხ. ამის შესახებ მ. მანათიშვილი, იოანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების ძველი ქართული ვერსია: ძქვემ. 7. 1961, გვ. 145.

არის გაპირობებული — ენას სურს, სხვადასხვა მწკრივის (=სხვადასხვა შინაარსის) ფორმები გარეგნულადაც, ფორმის მხრივაც, იყოს ერთმანეთისაგან გარჩეული. ახალ ქართულში ეს ამოცანა მარტივადაა გადაწყვეტილი: აწმყო მდარითო ავ თემის ნიშანი და საფუძვლიანად განსხვავდება წყვეტილისაგან.

რაც შეეხება II ხოლომობითს, იგი ახალ ქართულში აღარა გვაქვს სალიტერატურო ენაში (მხოლოდ მთის კილოებშია შემონახული).

ახლა მოვიყვანთ ი მწკრივისნიშნის ზმნათა ნიშუშებს ძველი ძველებიდან:

შეშეთონა გონებაი ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან (აბო 157,14); შეორგული მე და ათნი იგი ჩემ თანა (მოქც. 234,15); ხოლო ავმადლდი რად. დავმადლდი და შეესულბი (ფს. 87,16); მე გაუწყო საქმს ჩემი, ვითარ დავ შეუხრდი (ლიმ. 37,17); მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა (მოქც. 228,32); წარეწყმდი და სახლისაგან განვევარდი (იობ 6,18); დავყრუვდი და დავმადლდი და დავდუმენ კეთილთაგან (ფს. 38, 3).

შენ კურთხეულ ხარ, რამეთუ ტაძრად ღმრთისა გამოხნდი (ისტ. ქრ. I. 49,32); განპყრდი შურითა საღმრთოითა (ეტ. VIII. 42,10); აღხურინდი ფრთითა მით სიძარტლისაითა სიმაღლედ (სას. 3. 132,119); მცირედ მორწმუნეო, რაისა შეორგული? (მ. 14,31); ესეკითართა მდლთა მიერ განმსდიდრდი (ასურ. 187,18); საღმრთოი შური აღიდე და განპშუნდი. ღმერთშემოსილო ევთვმი. განპმრწყინდი მართლმადიდებლობისა ნათლითა (სას. 3. 117,66); რაითამცა არა აღმსცირდი ცხადად (Sin. 35, 131va,6 ქვ.).

ავმადლდა ზეცად (მრ. 16,19); ზენონ ... აძველდა ცხენსა და დვენა-უყო (ხანძთ. 212,40); მიერთვან დაცხსნა და განქარდა უწყსოი იგი საქმს (ევსტ. 154, 23); მაშინ მეყსეულად კარაული იგი ზნონი აღმორგდა (საკ. წ. II. 93,36); განძუნდა გულისწყრომაი მეფისაი (ისტ. ქრ. II, 61,24); რომელი წარეწყმა შორის საკურთხეველისა მის და ტაძრისა (ლ. 11,51); იგი აღმოსცენდა და აღმორძნდა მორჩი (დაბ. 40,10); სარწმუნოებაი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა (აბო 175,40).

გუესმა რად. დავვარდით ქუეყანად (ეტ. II, 54,37); ვაი ჩუენდა, რამეთუ დღეს დაობდით (მარხ. 666a); ვნებულ ვიყენით და განეცოცხლდით (ისტ. ქრ. II. 23,40); დავშთით ძირი და თესლი მოდუნდელად დღედმდე (2 ეზრა 8,86).

რაისა ესოდენ შესძრწუნდით, მცირედ მორწმუნეო (მ. 8,26); აწვე სამე განმადარ ხართ და აწვე განმდიდრდით (1 კორ. 4,8).

აღორძნდეს და განმრავლდეს ნათესავნი აბრაჰამისნი დიდად ფრიად (ევსტ. 149,12); /ხოლო იგინი/ შეძრწუნდეს და შეშინდეს (ლ. 24,37 C); აღმოსცენდეს ეკალნი და შეამთეეს იგი (მრ. 4,7); ხოლო მოსლევას წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმშენდეს (ხანძთ. 213,25); რომელნიმე მათგანნი შეორგულდეს (მ. 28,17); შეცტუნდეს და მირბიოდეს და მოიკითხვიდეს მას (მრ. 9,15 C).

რად ვყო, მამაო, რამეთუ დავეცი (Sin. 35, 302ra,12 ქვ.); და მივეცი მე საფლავად და ვიქმენ მე მიწა და ნაცარ (სწავ. 226,34); შ მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, ... აწ ვითარ-მე მიეცი ველსა შეურაცხთა, უმჯულოთა და უნდოთა კაცთასა (ხანძთ. 214,13); დაღაცათუმცა დავეცი ამით დაცემითა, მაშინცა არა ჯერ-იყო შენდა წარკუთვამ წყალობისაგან ღმრთისა (სწავ. 115,7).

მშვლობით განვერი და უვნებელად დავიცვე (ლომ. 19,20); აწლა განვერი სიმორავლისა მისგან (ლოტ. ქრ. 402,32); აღჴფრინდი ფრთითა მით სიმართლისადათა სიმალელედ. განვერი დელავთა უგუეზელად (სას. 3. 132,120); ვითარ განვერა მტერთა მათგან (ისტ. ქრ. I, 179,36).

მიხილუ და გრწმენი (მ. 20,29 ლაგ.); უფალო ღმერთო, მრწამ, რომელიცა ამათ ჰრწმენი (პარხ. 429b).

დაცვეა ერი იგი და თაყუანის-სცეს ღმერთსა (ივდ. 6,18 = დაცვივდა); განვმა თივა და ყუავილი მისი დასცვეა (ეს. 40,8); ჳორცი თითთა და ნებთა მისთაი მოსცვეა ვიდრე ბუალადმდე (კომ. I, 317,24); ყოველი იგი ერი განცვეა მისგან და საულ დაშთა მარტოი გაღაგალს (1 მეფ. 13,7 = გაცვივდა, გაეცალა, წაივდა); და ვითარცა ჩუნ ყოველნი დაცვეთი ქუეყანასა, მესმა ვამი (მოც. 26,14; все мы упали на землю, "ღ-ში უკვე გვიანდელი დაცვევნით იკითხება); დაცვეთი ჩუნ ყოველნი, ვითარცა ფურცელნი, უმჯულოებითა ჩუნითა (ეს. 64,6; и все мы поблекли как лист); ხოლო ჩუნ ორგულეებასა შევცვეთი (ლოტ. ქრ. 315,29)...

შდრ. ამას: ოდესღა ვიხილით ელვაი და გუესმის ქეხილი ძლიერი, შევძრწუნ-ღით და დაცვეთი ჰირთა თვსთა ზედა ქუეყანად შიშისაგან (სწავ. 211,18). დაცვეთი აქ II ხოლმეობითია, სხვაგან ეს ფორმა შეიძლება აწმყოც იყოს. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად და სხვადასხვა მწკრივის ერთმანეთისაგან განასასხვაებელად II სერიის ფორმებს — წყვეტილს, II ხოლმეობითსა და II კავშირებითს (აწმყო თავისთავად განსხვაებულა: მას რჩება ძველი ფორმა) — მრავლობით რიცხვში ურთავენ პრეფიქსიანი ვნებითებისათვის დამახასიათებელ ენ → ნ სუფიქსს. ამის ერთი მაგალითი ჩვენ ზემოთ ვნახეთ (მოც. 26,14), სხვებს კი აქვე მოვიყვანთ: ხოლო ვითარ ესე ვიხილეთ, შიშმან და ძწოლამან დიდმან შვიძყრნა ჩუნ, და დაცვევნით ჰირთა თვსთა ზედა თაყუანის-ცემად უფლისა და ვევედრებოდეთ (ისტ. ქრ. I, 178,21 = წყვ.); რამეთუ ზეცით გარდამოვცვევნით ყოველნი მის-თანანი (A-95, 691a = წყვ.); და ვითარ ვერ ვპოვეთ მიშუებაი განსყიდად მათა, სამართლად შევცვევნით ამას განსაცდელსა (კომ. I, 306,17 = წყვ.); რომელნი-იგი განცვევენს სარგებლისაგან სწავლათა მისთაისა (იქვე, 60,10 = წყვ.); წარვიცვენ-ნეთ ველნი, რაითა აქუნდეს კაღნიერებაი აღყრობად უფლისა მიმართ (პარხ. 38b = II კავშ.).

სხვა ნიმუშები: ხოლო ვინაითგან არა თავს-იდევით თქვენ, ამისთვის ესე ვითარისა პატივისაგან გამოსცვეთი (Sin. 11, 262,8 ქვ.; პარხ. 1047b). პარხლის მრავალთაზე დაყრდნობილ გამოცემაში გამოსცვეთი იკითხება (ეტ. VIII, 87,11); გამოსცვეთი აქ, ცხადია, წყვეტილია, ხოლო გამოსცვეთი — II კავშირებითი, რაც ტექსტის აზრს არ შეეფერება; ხოლო მათ დაიპეს სამოსელი მათი ... და დაცვევს წინაშე მისსა ქუეყანასა ზედა (დაბ. 44,14; и пали пред ним на землю); და განცოფენს ... და მოხრებლსა გამობისასა შთაცვევს და წარწყმდეს (სწავ. 21,27); მეყსულად დაირლუეს კლიტენი იგი, და ბეჭედნი იგი დასცვევს კართა მათგან, და განეხუნეს კარნი (სინ. 71,24; სვან. 292b); ჰნატრიდეს და თავთა თვსთა ოგლოვდეს, ვინაითგან განცვევს ოგინი კეთილთა მათგან საუკუნეთა (პარხ. 930b); ხოლო იგინი შუაცვევს ფერუთა მისთა და ჰრქუეს (იქვე, 721a).

განგებანე შენ წყლითა და განერცხი სისხლი შენი შენგან (ეზექ. 16.9 0). იერუსალიმურ ხელნაწერში ეს ზმნა უმწკრივისნიშნოდ არის ნახმარი. თანაც ძირისეული ე აღდგენილია: განერცხ. ბაქარის გამოცემაშიც ამაირივე ფორმა, ოღონდ სხვა ზმნისწინით: წაერცხ. ასეთი ორი სახე აქვს ამ ზმნას ძველ ქართულში. ზოგი ძველი ხელნაწერი ერთს უჭერს მხარს და მწკრივის ნიშნად ი-ს ხმარობს. ზოგი კი — შორეს და უმწკრივისნიშნოდ წყვეტილს იყენებს. პირველის ნიშნში იქნება: მოიღე ერთი ჭურჭელთა იმათგან და შესცხე ზმთი და აგორვე და რცხი ვეე კმთილად და წარიღე და დადგი ადგილსავე თვისსა (ნოვ. I, 10,125 A-1105,14). მართალია, რცხი აქ II ბრძანებითში დგას (როგორც სხვა ზმნები მის გვერდით). მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახათ, II ბრძანებითისა და წყვეტილის ფუძე ერთი და იგივეა (II პირის ბრძანებითს სუბიექტური პირის ნიშანი არა აქვს მხოლოდ) და იგი ჩვენი მსჯელობისათვის საესებით გამოგვადგება. მამასადაჲ. ამ ფორმასაც წყვეტილში ი აქვს მწკრივის ნიშნად. ამ მაგალითის ფასი იმითაც უფრო იზრდება, რომ უზმნისწინოდ არის ნახმარი, რაც ძველ ქართულში ძალზე იშვიათია. კიდევ უფრო იშვიათია უზმნისწინო საწყისი. მაგრამ იგიც გვხვდება: შ დედანო, რაჲმს დასხდეთ რცხად სთულისა მის თქუენისა (უძე. რედ. 121,7). ამ ტიპის (ინანი) მაგალითია კიდევ: უკუეთუ ცოდვაი გიქნიეს და ბრალითა შესუარულ ხართ, განირცხით იგი სინანულითა (სწავ. 99,26). ესეც ბრძანებითის ფორმაა, მაგრამ მწკრივის ნიშნისთვის ამას არა აქვს შნიშვნელობა.

მეორის მაგალითები იქნებოდა: უკუეთუ გინებს პირისა შენისა დაბანაჲ. დაიბანე იგი ცრემლითა და გამოირცხ მწინეული იგი ტირილითა (ისტ. ქრ. II, 12,33); ვისცა უცეს /გუელმან/, ვეცხლისა ჭვრჭულსა ზედა დაწერე და საულითა გარეცხ და წყალი შეასვი (Опис. 253,20).

შესაბამისად სხვადასხვა ნიშნითა წარმოდგენილი II კავშირებით<sup>137</sup>: ზოგან ეთი. ზოგან კი — ათი: შეჰმარიღე გულის-სიტყუანი და განჰრცხე სულმყრალობაჲ ცოდვისაჲ (სწავ. 136,6); /გამოაბას ვენაჲსა კარაული თვისი და .../ განრცხეს ღვინითა სამკაული თვისი (კურთხ. იაკ. 68,14; 80,16; 82,12); რადითა განრცხეს წიღონებაჲ იგი ცოდვისაჲ (ისტ. ქრ. II, 41,36). მაგრამ: /სამოსელი/ განირცხას ადგილსა წმიდასა (ლევ. 6,27 G). ოშკის ბიბლიაში გამოირცხენ იკითხება. ეს უკვე შესამენარი — ენანი — წარმოება (ბრძანებითი აქაც წყვეტილის ფუძეს ეყრდნობა).

ამგვარად, ამ მეტად საყურადღებო ზმნას პირველ-შორე სუბიექტურ პირებში შეიძლება ერთი და იგივე ფორმა სამი მწკრივისათვის (აწ., წყვ., II ხ.) ჰქონდეს საზიარო: შორე მხრივ, თვით ერთსა და იმავე მწკრივში სამგვარი წარმოება გვიჩვენოს: ი მწკრივისნიშნანი (განერცხ-ი). უმწკრივისნიშნოდ (განრცხ) და ე მწკრივისნიშნანი (განირცხ-ენ).

ღ) დასასრულ. კიდევ აღვნიშნათ, რომ თვით ძველ ქართულში არის დაწყებული პროცესი — უმწკრივისნიშნოდ ზმნები თანდათანობით ი მწკრივისნიშნანთა რიგში გადადიან. აი. ამის თითო-ორიგა ნიშნები:

<sup>137</sup> წყვეტილისა და II კავშირებითის მწკრივის ნიშნათა ბიძარების შესახებ ქვემოთ დაწერილებით გვეჩვენებს მსჯელობა.

მ ჯოჯოხეთო, ალაღე პირი და შთამნთქი მე ცოცხლიე (კიმ. I, 142,24 = შთამნთქი); მე მრავალთა მართალთა ნაყოფი მოუღე და მუცელს ჩემსა შთავთქი (საქ. წ. I, 37,16; 6 დაკარგულა). ეს ფორმა Sin. 11 ხელნაწერის მიხედვითაა მოყვანილი. იგივე ადგილი პარხლის მრავალთაშიც გვხვდება. ჩვენთვის საინტერესო ფორმა იქ ე სუფიქსით არის დადასტურებული: შთამნთქე (618b). ი მწკრივისნიშნისანი ფორმაა ფსალმუნშიც: ნუცა იტყველ, ვითარმედ შთავნთქით იგი (ფს. 34,25). ამ ზმნას ახლა ავ თემის ნიშანი აქვს.

მე ჭიქისა მოქმედი ვიყავ და მკურვალებისა მისგან ცეცხლისა დავბრძი (ლიმ. 37,25); გაუნყო ჭეშმარიტი, ვითარ დავბრძი (იქვე, 37,27); გვთხარ შენცა, ვითარ დაჰბრძი (იქვე, 37,26). ვ.თოფურას აზრით, თავიდანვე დავბრძემ, დაჰბრძემ უნდა ყოფილიყო<sup>138</sup>. მოქმედებითა დამაბრძე (კიმ. I, 200,29).

დამაბრძენ ყოველნი საქმენი ჩემნი და ძირსა ფერვთა ჩემთასა მიწუელი (იობ 13,27). შეიძლება ეს ი თანხმოვანთვასაყარი იყოს.

შეესცეთი (ჭილ-ეტრ. 88,11).

მოირტყით ძაძად და იტყებდით და გოდებდით (იერ. 4,8 D). ოშკურში ისევე ძველებური, უნო ფორმაა: მოირტყთ. მეორე ადგილას (იერ. 6,26) ორივე ხელნაწერში (IO)ძველი და სწორი ფორმაა დაცული: მოირატყ, რაც გამოცემაში, სამწუხაროდ, უფრო გვიანდელი და ისტორიულად არასწორი ფორმით შეუცვლიათ (მოირტყ). ი-ს დაურთველობა I ხელნაწერში, ალბათ, მხოლობითის ფორმამ განაპირობა.

ამნაირი მაგალითები სხვაც გვხვდება, მაგრამ ყველა მათგანზე აქ ვერ შევჩერდებით.

## 8. II ბრძანებითი

II ბრძანებითსაც მხოლოდ ორი პირი მოეპოვება: მეორე და მესამე სუბიექტური. წარმოების წესი აქაც იგივეა, რაც I ბრძანებითში (I სერიაში) გვექონდა: მეორე პირის ბრძანებითი იყენებს წყვეტილის სათანადო ფორმას სუბიექტური პირის ნიშნის ჩამოკლებით (წყვ.: დასწერე, შეკრიბე, დასწერეთ, შეკრიბეთ; ბრძ.: დაწერე, შეკრიბე, დაწერეთ, შეკრიბეთ). III პირის ბრძანებითში კი წყვეტილის ფუძეზე ერთვის 6 და ედ პირის ნიშნები: მან იგი დაწერე-ნ, შეკრიბე-ნ; მათ იგი დაწერე-ედ, შეკრიბე-ედ (← \*დაწერე-ე-ედ, \*შეკრიბე-ე-ედ).

განვიხილოთ ახლა II ბრძანებითის წარმოება უფრო დაწვრილებით.

### ბრძანებითი II პირისა

რადგანაც II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს ეყრდნობა, უზგობესია, იმ რიგს მივყვეთ, რომელიც წყვეტილის შესწავლისას იყო არჩეული: ჯერ განვიხილოთ უმწკრივისნიშნო ზმნები, მერმე — ე მწკრივისნიშნისანი, ბოლოს კი ი მწკრივისნიშნი-

<sup>138</sup> ვ.თოფურა. მესამე ტომის ენების წარმოება ქართულში: სმამ. III. N9, 1942. გვ. 966, 971.



ანნი.

## ა) უმწკრივისნიშნონი

თქუ	თქუთ
სუ	სუთ
არქუ	არქუთ
შთანთქ	შთანთქთ

თქუ, სუ, თქუთ, სუთ, რა თქმა უნდა, აქაც ერთმარცვლიანი სიტყვებია, მაშასადამე, ამათი უ მარცვლიანია (6. ზემოთ, გვ. 154).

ხმოვნით დაწყებულ ზმნებში ბრძანებითი და წყვეტილი IX საუკუნიდან უკვე არაა გარჩეული:

და-ა-ბ	და-ა-ბ-თ
და-ა-სხ	და-ა-სხ-თ
შთა-ი-ცუ	შთა-ი-ცუთ
მი-ა-რთუ	მი-ა-რთუთ
აღ-უ-თქუ	აღ-უ-თქუთ

ხანმეტ ტექსტებში პირველი სამი ზმნა წყვეტილსა და II ბრძანებითში სხვადასხვა გვარი ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი:

წყვ-	<u>II ბრძ.</u>
და-ხ-ა-ბ(-თ)	და-ა-ბ(-თ)
და-ხ-ა-სხ(-თ)	და-ა-სხ(-თ)
შთა-ხ-ი-ცუ(-თ)	შთა-ი-ცუ(-თ)

ასევე ჰემეტ ტექსტებშიც. რაც შეეხება ორ მოძღვენო ზმნას, ისინი ორივეგან ერთი სახით — ხანინი ფორმით — იქნებოდნენ წარმოდგენილი, რადგანაც სამპირიანება და ბრძანებითში ირიბობიექტური პირის ნიშანი ხელუხლებელი დარჩებოდა:

წყვ-	<u>II ბრძ.</u>
მი-ხ-ა-რთუ(-თ)	მი-ხ-ა-რთუ(-თ)
აღ-ხ-უ-თქუ(-თ)	აღ-ხ-უ-თქუ(-თ).

წყვეტილის ფორმებში ხ საზიაროა მეორე სუბიექტურისა და შესაძე ირიბობიექტური პირებისათვის, ბრძანებითში ხ მხოლოდ ირიბობიექტურ პირს გუთუნის.

სხვა მაგალითები:

გან-რყუენ	გან-რყუენ-თ
გან-ჯრწენ	გან-ჯრწენ-თ
ა-გრძენ	ა-გრძენ-თ

მო-კალ	მო-კალ-თ
შე-ძარ	შე-ძარ-თ
და-ჰ-ფალ	და-ჰ-ფალ-თ
შე-ი-ჰყარ	შე-ი-ჰყარ-თ
შე-კარ	შე-კარ-თ
შე-თხაზ	შე-თხაზ-თ
გან-ი-რათხ	გან-ი-რათხ-თ

ლა-კ-ვაშ  
შე-ი-რატყ

ყავ  
ლა-ს-ღევ  
შევ  
ლა-ა-სევ  
ლა-ი-ცევ  
ქვენ  
კ-ბრძავ

მი-ეც  
ცან  
ა-მცენ  
უ-თხარ

(ლა)ჯად  
ლა-ა-მუ

ლა-კ-ვაშ-თ  
შე-ი-რატყ-თ

ყავ-თ  
ლა-ს-ღევ-თ  
შევ-თ  
ლა-ა-სევ-თ  
ლა-ი-ცევ-თ  
ქვენ-თ  
კ-ბრძავ-თ

მი-ეც-(ი)-თ  
ცან-თ  
ა-მცენ-თ  
უ-თხარ-თ

(ლა)სხელ-ი-თ  
ლა-ა-მუ-უ-თ

ბ) ე შწკრივისნიშნანნი

ლა-წერ-ე  
გან-ტეხ-ე  
ლა-კ-ბან-ე  
შე-კრიბ-ე  
გან-წმიდ-ე  
უ-გუმირ-ე  
ა-კურთხ-ე  
ს-ძლ-ე  
თაღ-ე  
კ-კითხ-ე  
მო-სა-ე  
გან-ა-ტფ-ე

ლა-წერ-ე-თ  
გან-ტეხ-ე-თ  
ლა-კ-ბან-ე-თ  
შე-კრიბ-ე-თ  
გან-წმიდ-ე-თ  
უ-გუმირ-ე-თ  
ა-კურთხ-ე-თ  
ს-ძლ-ე-თ  
თაღ-ე-თ  
კ-კითხ-ე-თ  
მო-სა-ე-თ  
გან-ა-ტფ-ე-თ

გ) ი შწკრივისნიშნანნი

ლა-ბერ-ღ-ი  
გან-ძლიერ-ღ-ი  
გან-ცვბრ-ღ-ი  
  
გან-მართლ-ღ-ი

ლა-ბერ-ღ-ი-თ  
გან-ძლიერ-ღ-ი-თ  
გან-ცვბრ-ღ-ი-თ  
  
გან-მართლ-ღ-ი-თ

გან-ცხოველ-დი  
და-ობლ-დი

გან-ცხოველ-დი-თ  
და-ობლ-დი-თ

გან-ბრწყინ-დი  
გან-ქუნ-დი  
და-ქ-უნს-დი

გან-ბრწყინ-დი-თ  
გან-ქუნ-დი-თ  
და-ქ-უნს-დი-თ

და-ვარ-დი  
წარ-წყმდ-ი  
გან-წმდ-ი

და-ვარ-დი-თ  
წარ-წყმდ-ი-თ  
გან-წმდ-ი-თ

და-ე-ცი  
მი-ე-ცი  
გან-ე-რი  
ქ-რწმენ-ი

და-ე-ცი-ენ-ი-თ  
მი-ე-ცი-ენ-ი-თ  
გან-ე-რი-ენ-ი-თ  
ქ-რწმენ-ი-თ  
და-ცვე-ი-თ (და-ცვე-ენ-ი-თ)  
გან-რცხ-ი-თ

—  
გან-რცხ-ი

ცალკე უნდა ითქვას ველ /ვიდ ფუძიანი ზმნების შესახებ. ამ ფუძემ დღემდე შემოგვინახა ხანმეტური ფორმები. ამიტომ ამ ზმნის ფორმები წყვეტილსა და II ბრძანებითი ყოველთვის კარგად იყო გარჩეული. შტრ.

წყვ.

აღ-ხ-უედ (-ი-თ)  
გან-ხ-უედ (-ი-თ)  
მი-ხ-უედ (-ი-თ)  
მო-ხ-უედ (-ი-თ)  
შე-ხ-უედ (-ი-თ)  
შთა-ხ-უედ (-ი-თ)  
წარ-ხ-უედ (-ი-თ)

II ბრძ.

აღ-ვედ (-ი-თ)  
გან-ვედ (-ი-თ)  
მი-ვედ (-ი-თ)  
მო-ვედ (-ი-თ)  
შე-ვედ (-ი-თ)  
შთა-ვედ (-ი-თ)  
წარ-ვედ (-ი-თ)

ჩვენთვის საინტერესოა ზმნის II ბრძანებითის S<sub>2</sub> პირის ფორმები ქართული ენის ისტორიის მთელ მანძილზე ემთხვევა წყვეტილის I პირის ფორმებს (ორივე რიცხვში):

წყვ.

შე მოვედ  
ჩუენ მოვედით  
შე წარვედ  
ჩუენ წარვედით  
ამათი გარჩევა კონტექსტით ადვილია.

II ბრძ.

შენ მოვედ  
თქვენ მოვედით  
შენ წარვედ  
თქვენ წარვედით და ა.შ.

დავებნთ ბოლოს, რომ თანამედროვე ქართულში ეს ერთადერთი ზმნა შემოგვრჩა, რომელიც ასხვავებს წყვეტილისა და ბრძანებითის ფორმებს. მაგალითად:

წყვ.

მოხვედი

II ბრძ.

მოდი (+მოვედი)

შეხვედი

წახვედი

ამ განსხვავებას ხანმეტური ფორმების შემონახვას უნდა ვუმაღლოდეთ.

საერთო ტენდენციის კვალობაზე (წყვეტილი და ბრძანებითი ყველგან ემთხვევა ერთმანეთს) ზოგ ქართულ კოლოში (მაგალითად, გურულში) ამ ზმნასაც საერთო ყალიბში აქცევენ — წყვეტილისა და ბრძანებითის ფორმებს ერთნაირად ხმარობენ, მაგრამ ისე, რომ ხანმეტობის ნაშთიც არ ჩანდეს, ე.ი. საფუძვლად ბრძანებითის იღებენ. წყვეტილს იმას უმსგავსებენ. მაგალითად:

	ბრძ.		წყვე.
(მოვედი→)	მოდი	→	მოდი
	შედი	→	შედი
	გადი	→	გადი
	წადი	→	წადი

### ბრძანებითი III პირისა

როგორც უკვე იყო ნათქვამი, III პირის ბრძანებითი ამოსავლად იღებს წყვეტილის ფუძეს, ხოლო პირის ნიშნებად (წყვეტილის ა და ეს სუფიქსების ნაცვლად) ნ და ელ სუფიქსებს იყენებს, სწორედ იმ სუფიქსებს, რომლებსაც I ბრძანებითი მიმართავდა (წერდ-ინ, წერდ-ელ...).

ჭამა და თქუა ზმნები რომ ავიღოთ, წყვეტილში მათი ფუძეა ჭამე და თქუ. S<sub>3</sub> პირის ფორმაში შწკრივის ნიშანი ე დაკარგულია მომდევნო ა-ს დართვის გამო. ამრიგად, თუ ამ ჭამე და თქუ ფუძეებს დაეურთავთ ნ და ელ სუფიქსებს, მივიღებთ III პირის ბრძანებითის ფორმებს: ჭამე-ნ (მან იგი), ჭამე-ელ /← \*ჭამე-ელ/(მათ იგი). ბოლო ელ სუფიქსიც ამოგდებს ხოლმე წინამავალ ე-ს. ჭამენ დღევანდელ ენაზე იქნება "ჭამოს" (უთხარი მას, რომ ჭამოს), ხოლო ჭამედ — "ჭამონ" (უთხარი მათ, რომ ჭამონ). ძველად ასეთი ფორმები ენაში ძალიან გავრცელებული, ხშირად სახმარებელი ცოცხალი ენობრივი მოვლენა იყო. შემდეგ და შემდეგ კი თანდათან ხმარებიდან გავიდა, ხოლო მათი ფუნქციების შესრულება მიენდო II კავშირების.

ახლა მოვიყვანოთ ჩვენ მიერ მიღებული რიგით შესაშვ პირის ბრძანებითის მაგალითები:

#### ა) უმწკრივისნიშნონი

თქუნ  
სუნ

და-ა-სხ-ნ  
შთა-ი-ცუნ  
მი-ართუნ  
აღ-უ-თქუნ

თქუნელ  
სუნელ

და-ა-სხ-უნელ  
შთა-ი-ცუნელ  
მი-ართუნელ  
აღ-უ-თქუნელ

გან-რყუნ-ი-ნ  
გან-ურწუნ-ი-ნ  
ა-გრძენ-ი-ნ

ამ ტიპის მაგალითებში ნ-ს წინამკვალი ი თანხმოვანთგასაყარია.

გან-რყუნ-ედ  
გან-ურწუნ-ედ  
ა-გრძნ-ედ

მო-კალ-ნ  
შე-ძარ-ნ  
ლა-პ-ფულ-ნ  
შე-ი-პყარ-ნ  
შე-კარ-ნ  
შე-თხზ-ნ  
გან-ირათხ-ნ  
ლა-პ-უშ-ნ  
შე-ირატყ-ნ

მო-კლ-ედ  
შე-ძრ-ედ  
ლა-პ-ფულ-ედ  
შე-ი-პყრ-ედ  
შე-კრ-ედ  
შე-თხზ-ედ  
გან-ირათხ-ედ  
ლა-პ-უშ-ედ  
შე-ირტყ-ედ

ყუ-ნ  
ლა-ღვე-ი-ნ  
შვე-ი-ნ  
ლა-ა-სვე-ი-ნ  
ლა-ი-ცვე-ი-ნ  
ქშენ-ი-ნ

ყვ-ედ  
ლა-ღვე-ედ  
შვე-ედ  
ლა-ა-სვე-ედ  
ლა-ი-ცვე-ედ  
ქშნ-ედ

მი-ეც-ი-ნ  
ცან-ნ  
ა-მცენ-ი-ნ  
უ-თხარ-ნ

მი-ს-ც-ედ (←\*მი-ე-ც-ედ)  
ცნ-ედ  
ა-მცნ-ედ  
უ-თხრ-ედ

მო-ვედ-ი-ნ  
ჯედ-ი-ნ  
ღვ-ი-ნ  
წვე-ი-ნ  
ლა-ა-მჟუ-ნ

მო-ვიდ-ედ  
სხდ-ედ  
ღვ-ედ  
წვე-ედ  
ლა-ა-მჟუ-ედ

ბ) ე მწკრივისნიშნისანი

ლა-წერ-ე-ნ  
გან-ტეხ-ე-ნ  
ლა-პ-ბან-ე-ნ  
შე-კრიბ-ე-ნ  
გან-წმიდ-ე-ნ  
უ-გუპირ-ე-ნ

ლა-წერ-ედ (←\*ლა-წერ-ე-ედ)  
გან-ტეხ-ედ  
ლა-პ-ბან-ედ  
შე-კრიბ-ედ  
გან-წმიდ-ედ  
უ-გუპირ-ედ

ა-კურთხ-ენ  
ს-ძლ-ენ  
თაღ-ენ .  
პ-კითხ-ენ  
მო-სა-ენ  
გან-ატფუ-ენ

ა-კურთხ-ედ  
ს-ძლ-ედ  
თაღ-ედ  
პ-კითხ-ედ  
მო-სა-ედ  
გან-ატფუ-ედ

გ) ი მწკრივისნიშნანნი

ღა-ბერ-ღ-ინ  
გან-ძლიერ-ღ-ინ  
გან-ცვბრ-ღ-ინ

ღა-ბერ-ღ-ედ  
გან-ძლიერ-ღ-ედ  
გან-ცვბრ-ღ-ედ

გან-მართლ-ღ-ინ  
გან-ცხოველ-ღ-ინ  
ღა-ობლ-ღ-ინ

გან-მართლ-ღ-ედ  
გან-ცხოველ-ღ-ედ  
ღა-ობლ-ღ-ედ

გან-ბრწყინ-ღ-ინ  
გან-ქენ-ღ-ინ  
ღა-პ-ენ-ღ-ინ

გან-ბრწყინ-ღ-ედ  
გან-ქენ-ღ-ედ  
ღა-პ-ენ-ღ-ედ

ღა-ვარ-ღ-ინ  
წარ-წყმღ-ინ  
გან-წმღ-ინ

ღა-ვარ-ღ-ედ  
წარ-წყმღ-ედ  
გან-წმღ-ედ

ღა-უ-ც-ინ  
მი-უ-ც-ინ  
გან-ურ-ინ  
პ-რწმენ-ინ  
ღა-ცკე-ინ  
გან-რცხ-ინ

ღა-უ-ც-ინ-ედ  
მი-უ-ც-ინ-ედ  
გან-ურ-ინ-ედ  
პ-რწმენ-ედ  
ღა-ცკე-ედ  
გან-რცხ-ედ

როგორც დავინახეთ, ბრძანებითის მწკრივებს ქართულში ამოსავალი ფუძე სხვა მწკრივებისაგან აქვთ ნასესხები, საკუთარი მაწარმოებელი არაფერი მოეპოვე-  
მათ. ერთადერთი, რითაც ბრძანებითები საყრდენი მწკრივებისაგან განსხვავდება,  
პირის ნიშნებია. როცა საქმე II პირს ეხება, ბრძანებითის სუბიექტური პირის ნიშნები  
არა აქვს მხოლოდ, თორემ, სხვა მხრივ, სავსებით იმეორებს წყვეტილს (I ბრძანები-  
თი — უწყვეტელს). III სუბიექტური პირისთვისაც ამოსავალი ფუძე წყვეტილსა და  
II ბრძანებითის (შესაბამისად — უწყვეტელსა და I ბრძანებითის) აგრეთვე ერთი და  
იგივე აქვთ, ესაა მხოლოდ, რომ პირის ნიშნებად მათ სხვადასხვა სუფიქსი აქვთ  
გამოყენებული: წყვეტილს (მის მსგავსად უწყვეტელსაც) ა და ეს, II ბრძანებითის

(აგრეთვე I-საც) 6 და ედ. ამაზეა დამყარებული მთელი განსხვავება. აშარი სხვაობა თვით ერთი მწკრივის — აწმყოს — ფარგლებშიც იჩენს თავს (წერ-უნ, რბი-ან) და, როცა მწკრივის არსებობა მხოლოდ და მხოლოდ პირის ნიშნების ქონება-არქონებაზე ანდა სხვადასხვა მწკრივის მიერ განსხვავებული პირის ნიშნების გამოყენებაზეა დამოკიდებული, ცხადია, მას (ასეთ მწკრივს) მტკიცე საფუძველი ვერ ექნება. ეს მით უფრო იმიტომ ითქმის, რომ ბევრჯერ აღნიშნული მანიპულაციებიც (პირის ნიშნის უხმარებლობა ანდა საყრდენი მწკრივისაგან განსხვავებული პირის ნიშნების გამოყენება) არ შეეძლოდა და ბრძანებითი წყვეტილისაგან მაინც გაურჩეველი იყო (შდრ. არქუ — არქუ, აღაშმენ — აღაშმენ, თავს-იდევ — თავს-იდევ, ხუთხარ — ხუთხარ, მოჰუარე — მოჰუარე, შეხბინე — შეხბინე...). ზოგჯერ II კავშირებითსაც ეკისრებოდა ბრძანებითის გამოხატვის ფუნქცია. აი, მაგალითები: გასმიეს, რამეთუ თქუმულ არს: შეიყარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი (მ. 5.43). აქ ბრძანებაა გამოხატული: შენი ამხანაგი შეიყვარე, შენი მტერი კი შეიძულეო. შდრ. რუს. თარგმანი: *любимближнего твоего и ненавишь врага твоего*. აქ ბრძანებითის II კავშირებითი შევლის, კიდევ უკეთესია მეორე მაგალითი: არა კაც-ჰკლა, არა იძრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო; (მ. 19,18). აქ ყველა ზნა ბრძანებითი კილოს შინაარსისაა, მაგრამ ყველა II კავშირებითის ფორმით არის გადმოცემული. აქ რაიმე გაუგებრობაზე ზედმეტია ლაპარაკი. შდრ. აქაც რუს. თარგმანი: *не убивай, не прелюбодействуй, не кради, не лжесвидетельствуй*. შემდგომს მუხლში იკითხება: პატივ -ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყარო მოყუასი შენი. ვითარცა თავი თვისი (მ. 19,19). აქაც იგივე შინაარსი აქეთ ხაზგასმულ ზნებს: ორივეს ბრძანებითის მნიშვნელობა აქვს, ამთგან ერთი (პატივ-ეც) ნამდვილი ბრძანებითია (არსებითად წყვეტილისაგან ნასესხები ფორმა), მეორე კი აქაც II კავშირებითია. ყველა ეს ფორმა ბრძანებითს გამოხატავს, ზოგი საკუთარი ძალით, ზოგი — სხვა მწკრივების მეშვეობით.

ზოგჯერ ბრძანებითი II ხოლმეობითის ფორმებსაც იყენებს. მაგალითად:

ოღეს ნაკი იყოს ფებერვალი, კთ(29) ჰყვი (ფს. ცნობ. 462,27 = ყავ); ეგრეთა თქუენ ჰყვით (I კორ. 16,1 AB). CD-ში ჩვეულებრივი ჰყოფდით იკითხება (I ბრძ.); ესრტო და ესრტო ჰყვი (ნოვ. II, 72,3); უკუეთუ არა გნებავს დიაკონების, ბარძიძი ოღენ იყრი (იქვე. 73,5); თქუენცა ოღეს მტერი ვინ გესუსს. ეგრეთ ჰყვით (იქვე. 112,25. C-ში I ბრძანებითის ფორმა — ჰყოფდით); შეჰკერით სფურიდად და მისციით მცველთა მათ, და მოგართუმიდენ თქუენ პურსა (იქვე. 127,7); ერთგ ზის ხოლო შჰჰამი დღესა შინა პური ვმელი მარილსა თანა და მერმე მოვედ, და გითხრა შენ სხუაჲ სახც (იქვე. 143,1. C-ში ახლა უკვე II ბრძანებითის ფორმა მოცემული: ჰჰამე. II ბრძანებითის ფორმა ამის შემდეგ სამივე ხელნაწერში — მოვედ. მაშასადამე, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში II პირის ბრძანებითისათვის სამი საშუალებაა გამოყენებული: ა) ჰყოფდით, ბ) ჰჰამე, მოვედ, გ) ჰყვით, შეჰკერით, მისციით, შჰჰამი); ეგრეთა თქუენ ჰყვით მათა მიმართ (მ. 7,12 ლატ., პარ.); სამ-გ ზის წელიწადსა დღესასწაული ჰყვით ჩემი (გამ. 23,14 = ყავთ); წესად და ღირსად ჰყვით. საყუარელხო (სეან. 451v. პარხლისაში ჰყოფდით არის); უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით იგი, და უკუეთუ ქალი იყოს, განარინეთ იგი (გამ. 1,16 O). აქ ერთი ზნა ხოლმეობითია (მო-

კლთი = მოკლთ), ხოლო მეორე — ბრძანებითში (განარინეთ). პარიზულ ლექციონარში ევკ ხოლმეობითშია: განარინთ: არამედ თავს-ღებით თავს-იღვეით ევე და მისკით მას საჭმლისაგან თქვენისა და უტვეთ იგი (რუთ 2,16). აქაც სხვა ზმნები ბრძანებითშია (თავს-იღვეით, უტვეთ). ცხადია, მისკით აგრეთვე ბრძანებითის მონარსისა (= მიეკით). ამგვარი მაგალითები ძველ ქართულში იშვიათი არაა. აქედან ჩანს, რომ ბრძანებითის მწკრივებს უჭირთ დაკისრებული ფუნქციების საკუთარი ძალებით შესრულება, ამ მიზნით ისინი უხვად სარგებლობენ II კავშირებითისა და II ხოლმეობითის ფორმებით. შემდეგში და შემდეგში, როგორც უკვე ითქვა, II ბრძანებითის ხმარება თანდათან შემცირდა და დღეს იგი, როგორც მწკრივი, სულ გადავარდნილია სალიტერატურო ენიდან.

ახლა ენახოთ II ბრძანებითის ნიმუშები ძველებიდან:

**II პირისა:** მტკიცედ ღვე (შუშ. 138,13); ხოლო შენ აღღვე და ვიდოდე აღმოსავალით (მოქც. 229,1); ოდეს გხადოს ვინმე, მივედ და დაჯედ უკუნაისკენელსა ადგილსა (ლ. 14,10); ჰოყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა (მრ. 5,34 Z); ამისა შემდგომად ჭამე და სუ შენცა (ლ. 17,8); თქუ, რაითა ქვანი ესე ჰურ იქნენ (მ. 4,3 C); რომელი გვეულების საქმედ, ყავ ადრე (ი. 13,27); მშრომელთა ამას გკლესისა შინა შეხეწოე (ისტ. ქრ. I, 14); წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ვპატოსსა მეობ ხეყავ (იქვე. 15); აღღვე, დევნა-უყავ კაცთა მათ, ეწოე და არქუ (დაბ. 44,4); განირათხ ველი შენი (მ. 12,13); შეიბ მახელი წელთა შენთა (ფს. 44,4); წარვედ ძმათა და ხარქუ მათ (ი. 20,17 X); ხაცადე აწ (ისტ. ქრ. I, 47,40); დაჯედ და დაჭარ ეტრატე ესე (სვან. 261v); რისხვითა ერი მოსარ (ფს. 55,8); მიიქუც სახიდ შენდა და მოუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან (ლ. 8,39).

წარველით ქუეყანად ქანანისა და წარმოიყვანეთ მამაი თქუენი (დაბ. 45,17-18); მოიქცით და ილოცველით (მოქც. 234,1); მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანი და დაკალთ (ლ. 15,23); ჰკრძაღენით, ნუუკუე შეურაცხ-ვინმე-ჰყოთ (მ. 18,17 Z); მაშინ იწყონ სიტყუად მათათა: დამეცენით ჩუენ (მ. 23,10); განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი სიცრუისანი (ლ. 13,27); წარიყვანეთ ევე საპყრობილედ და იღუმალ ღამით თავი წარაკუეთეთ (ევსტ. 154, 41); ჰღვეით ბადე თქუენი ნადირობად (ლ. 5,4Z); განაშხაღენით გხანი უფლისანი და წრფელ ყვენით აღაგნი მისნი (ლ. 3,4); წარვედით და ხუთხართ ძმათა ჩემთა (მ. 28,10 X); შეხაცუთ ბეჭელი ველსა მისსა (ლ. 15,22 Y); მიხეცით ქველის-საქმ (ლ. 12,33 X); შთაუღვეით ვეცხლი და ბარძიმი იგი ვეცხლისაი შთაუღვთ ძაძასა მას უმრწემქმსისასა (დაბ. 44,2).

მოგვტვენ ბრალნი ჩუენნი და გუაჟურთხენ (შუშ. 142,21); მოგვსენენ და ღირს გუყვენ ჩუენ ქრისტეს ბეჭედსა (ისტ. ქრ. I, 246,36); საქმენი ველთა ჩუენთანი წარაშართენ ჩუენ ზედა და ქმული ველთა ჩუენთაი წარგვმართე (ხანძთ. 207,33); შეიყვანენ კაცნი ესე სახიდ (დაბ. 43,16); დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი (ი. 21,16); წმიდითა ლოცვითა თქუენითა მოგვსენენით (Опис. 275,3); განყოღენთ მონაგებნი თქუენნი (ლ. 12,33); წარვედით და მოიმოწავენთ ყოველნი წარმართნი (მ. 20,19 X); წაროხუენით ჯორცნი მისნი ქალაქსა გარე, განაბნიენით შესაჭმელად მვეცთა და მფრინველთა (ევსტ. 155,1); მტერნი იგი ჩემნი მომგუარენით მე აქა და მოწყვიდე-



ნით წინაშე ჩემსა (ლ. 19,27); მომიპყრნით სასმენელნი თქუენნი და უფროისლა საცნობელნი ევე ყურნი განამარტუნით სმენად (აბო 158,11); ზ ჯოჯოხეთიო, აღაღე პირი და შთამნთქი მე ცოცხლივე (კიმ. I, 142,24); უკუეთუ ცოდვაი გიქნის და ბრალითა შესუარულ ხართ. განირცხით იგი სინანულითა (სწავ. 29,26); ნუ იყოფი გულის-თქუემისა აღმასრულებელ. განერი საფრკისაგან ეშმაკისაისა (საქ. წ. I. 44,24).

**III პირისა:** იყავნ ნებაი შენი (ლ. 11,2); რომელსა აქუნდეს საზრდელი, ევეკე მსგავსად ყავნ (ლ. 3,11); ჰწყურის თუ ვისმე, მოვედინ ჩემდა. სუნ (ი. 7,37 C); ცან ბრალი იგი უღებებისა და თვნიერად პურისა დაადგერინ, ვიდრე მუნ ეამამღე განჩინებულად ხვალისაგან (Sin. 35, 230rb,4 ქვ.); ღვეინ იგი გარეშე (სწავ. 27,5); აღიძარნ ზღუაი (სას. პ. 382,33); აჰ სახლი ჩემი დაიწუნ ცეცხლითა (სევან. 228v); უკუეთუ მაგათა ჯერ-არს, მოდღვეინ მათ (პარხ. 666a =გაქყვეს).

ვინ ამის ეკლესიასა დაეთ ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ (ისტ. ქრ. I, 14); ქრისტემან დიდებაი უოხჭნოი მათ ყოველთა მანნიჭენ... სრულიად შეამკვენ...და განამართლენ (ხანძთ. 225-226); ხუკესმან აღაესენ წადილი თქუენი (შუშ. 142,42); ჰეწოდენ მაგას იოვანე (ლ. 1,60 Z); ბრძანენ სიწმიდემან თქუენმან (ზარზმ. 193,13); ღმერთმან მოავლინენ ძმაი იგი თქუენი (დაბ. 43,14).

რომლისა თანა იპოოს ბარძიმი იგი, მოკუედინ (დაბ. 44,10); აღმოვედინ განხრწნისაგან ცხორებაი ჩემი შენდამი (იონა 2,7); უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ევე შენი შენდავე მოიქეცინ (შუშ. 133,36); მოგუეცინ უფალმან გულს-მოდგინედ მსახურებაი სიწმიდისა შენისა (ხანძთ. 210, 15); გურწყმენინ აწ, ძმანო, შეუორგულებულად (კიმ. II. 78,1); შეგესემინ ლოცვისა ჩემისა (ფს. 64, 3).

მო-რამ-ვიდოდი შენდა. მოძრიდენ ცეცხლმან მან. იძლიენ ძნელი იგი, მოუზღურდინ მღვმს იგი, დამრტინ საკბილი იგი გეპენი(ი)საი და დაჭენინ ურცხვნოი იგი, ანგელოზთა შეეშინენ ... ეშმაკსა პირი დაეყავნ. სატანაი განკუთრდინ და მის თანა იწყალენ, გულის-წყრომაი მისი აღატყდინ ... სატანჯველი მისი განქარდინ ... და ყოველი ძირი მისი უპოვარ იყავნ (კიმ. I, 201,8-14).

ხუთიული აღიღედ ყოვლისაგან ქუეყანისა ევეკტისაისა და შერკიბედ ყოველივე საზრდელი შედთა მათ წელთაი (დაბ. 41,34-35); ძამაი შვიძოსედ ყოველთა კაცთა (იონა 3,8); ეშმაკნი შედრწუნდედ. მთავრობანი და ძალნი დაეცნედ, მარჯუენითნი ადგილნი ვიდრემღდევე ევნედ. შეილნი მისნი იგლოვდედ (კიმ. I, 201,10); თორენი და ყუერბნი დაირღედ (ლევ. 11,35); მომართუედ შესაწირავად ყოველთაგან (გამ. 25,2); შეედ ძეებ და ასულებ (იერ. 29,6); მიგატევენედ შენ ცოდვანი შენნი (ლ. 5,20 C); აღღვეინ უფალი და განიბნინედ ვიდრე პირისა მისისაგან (Опис. 28,16); დასკვეედ მახვლნი ველთაგან მათთა უშვეულოთა მათ (აპოკრ. 34,1).

ღირს მყვენინ ყოველნი ქრისტემან (Опис. 64,9); ღმერთმან განგაძლიერენინ თქუენ სმენად და რწმუნებად (აღწ. 72,24); უფალმან მოგოცენენინ სასუფეველსა მისსა (Опис. 23,26); ღმერთმან მიგიტევენინ, რომელ-რამ იგი ჰყავთ (შუშ. 142,23); მაკურთხენინ ჩუენ ღმერთმან (ფს. 66,8); მშვლობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ (აბო 170,40); ყავნ ესრტთ ფარაო და დაადგინენინ ადგილთა მთავარნი ქუეყანასა ზედა (დაბ. 41,34); მივედინ და აღადგინენინ შეილნი იგი შენნი (კიმ. I, 147,18).

უბანთა ვაჭარნი მოიყვანულ (მოც. 19,38); შეკველრნულ სულნი თვისნი (1 პეტ. 4,19 ლ); დაიპყრნულ მონათა შენთა წყარონი წყალთანი (ივლ. 7,12); ცოლნი და შვილნი მათნი მოიყვანნულ და სხუასა ნატყუნავსა განუკუენნულ ჩუენგან (1 მეფ. 30,22); თუაღნი, რომელნი ეკიცხევედნ მამასა და შურსაცხ-ჰყოფდენ სიბერესა ღელისასა, აღმოჰყადნულ იგინი ყორანთა ჯევისათა და შეჰჰამედ იგი მართუეთა ორბისათა (ივან. 30,17); აწ მოგუენულ ჩუენ შედნი კაცნი ძეთა მისთაგანნი (2 მეფ. 21,6); მოგუენულ შენ თაენი მათნი, და დამიმარხენ მე იგინი ღლელ მხოლუბისა მათისა (ივლ. 2,10); შეიწყნარნულ ყურთა თქუენთა სიტყუანი პირისა ჩემისანი (იერ. 9,20); მოიყვანნულ მოწამენი იგი მათნი, და განმართულედ და ისმინედ და თქუელ ჰეშმარიტი (ეს. 43,9).

თუმცა, როგორც ვნახეთ, ბრძანებითის ფორმები მეტად ჭრელი და მრავალფეროვანია. მაგრამ, საერთოდ, მწყობრადაა წარმოდგენილი. ფორმათა მწყობრ ხასიათსა და სიმტკიცეს განაპირობებდა მათი ხშირი მიმოქცევა ენაში, მწერლობაში, ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა და ამის საფუძველზე დახვეწა და დაწმენდა, ზედმეტის ამოღება და თავიდან მოშორება, ძირითადი წესების მტკიცედ დანერგვა ყოველდღიურ პრაქტიკაში.

მოუხედავად ამისა, მაინც უნდა ვთქვათ, რომ ბრძანებითის ეს ჭრელი ფორმები ძველ ქართულში ყველაასათვის ადვილი გასაგები არ იყო, მათ აქა-იქ აშკარა გაუგებრობის კვალი ატყვიან: ზოგჯერ მხოლოებითის მაგივრად მრავლობითი იხმარება, მრავლობითის ნაცვლად — მხოლოებითი, ერთ ტიპს მეორით ცვლიან და სხვ. შეიძლება ამაში თვით ძველ ქართულშივე ბრძანებითის რღვევის პროცესი დაინახოთ: ყველაზე ადრე სწორედ ის ენობრივი მოვლენა ირღვევა და გადავარდება, რომელსაც ასეთი მრავალსახიანობა და სიჭრელე ახასიათებს. ასეა თუ ისე, წესების დარღვევის შემთხვევები არც თუ ისე იშვიათია. აქ სანიშნოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ.

ა) ზგინს ჟოკაჲ ბოლობითთა, უნდა იყოს მრავლობითთი:

გამოვედნი აწ ბანაკნი ჩუენნი და ბრძოლაჲ ძლიერი ვყოთ მის თანა (ისტ. ქრ. II, 40,35). უნდა იყოს, რა თქმა უნდა, გამოვიდელ: ბანაკნი გამოვიდელ, ბანაკი გამოვედნი.

ქრისტემან წიგნსა მას ცხოველთასა დაწერენ ივინი (ხანძთ. 226,10). = დაწერენ: მან იგი დაწერენ, მაგრამ: მან იგინი დაწერენ. აქ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა არაა ასახული. შეცდომები ასეთ რთულ ფორმებში უფრო ხშირია.

ზღუდემან ასულისა სიონისამან გარდამოაღინენ, ვითარცა ნალუარევინი, ცრემლნი ღლე და ღამე (ვოდ. 2,18[40]). საჭირო იყო გარდამოაღინენ.

ღმერთმან წარგიმართენ სლვანი შენნი (კიმ. I, 22,13). უნდოდა კი: წარგიმართენინ.

განესუენინ ბჰენი ცათანი და გარდამოვედნი სული წმიდაჲ (Sin. 62, 59va). უნდა ყოფილიყო: განესუნედ, როგორც გასწორებულია კიდევ გამოცემაში (ისტ. ქრ. II, 94,6). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეორე ფორმა გვერდით სწორად არის წარმოდგენილი: გარდამოვედნი სული წმიდაჲ.

ბ) ზაფის ფორმა გრავოზიტში. უნდა იყოს გოლოზიტში:

მშვლობამან ღმრთისამან ... ღამტკიცენინ წმიდაი ეკლესიაი და ღაცხრვენ. რომელი მიწვენულ არს მას ზედა საცთური (კობ. II, 190,23). საჭირო იყო ღამტკიცენ: მან ღამტკიცენ ეკლესიაი, მაგრამ: მან ღამტკიცენინ ეკლესიანი. ბრძანებითის მეორე ფორმა გვერდით აქაც სწორადაა მოცემული: მან ღაცხრვენ საცთური.

გრწმენედ თქუმული ესე (მრავ. 311,7). უნდა იყოს გრწმენინ: თქუმული ესე გრწმენინ, ხოლო: თქუმულნი ესე გრწმენედ.

ხოლო შენ უფალმან ღაციკენინ (აღწ. 188,5). რასაკვირველია, უნდა ყოფილიყო ღაციკენინ (მან შენ). საგანგებოდ შევაპოწმეთ ხელნაწერი (Sin. 6, 6v,2). სამწუხაროდ, იქაც ისეა, შეცდომით.

ბრძანებითის წარმოებისას არის სხვა ხასიათის შეცდომებიც (ერთი ხმოვნის — მწკრევის ნიშნის — ნაცკლად მეორის ხმარება და სხვა), მაგრამ აქ, დასასრულ. ერთი მაგალითის მოყვანით დაგვამაყოფილდებით:

ღმერთმან რომელმან ღაჰადა ცაი და ქეყანაი, წარწყმდენ იგი და განიფხურენ (Sin. 62, 31va). უნდა იყოს არა წარწყმდენ (იგი), არამედ: წარწყმდინ. არა განიფხურენ, არამედ: განიფხურინ.

მაგრამ აშნაირი დარღვევები და შეცდომები შედარებით ნაკლებია და ბრძანებითის სისტემა, საერთოდ. ბუნებრივია ძველი ქართულისათვის.

## 9. II ხოლმეობითი

II ხოლმეობითი, წყვეტილთან ერთად. ერთ-ერთი უძველეს მწკრევთაგანია (ა.ჩიქობავა). წარმოების მიხედვით იგი მეტად მარტივია, იყენებს წყვეტილის ფუძეს (ან. უკეთ: წყვეტილთან ერთად იყენებს II სერიის მარტივ ფუძეს) და ყველგან და ყოველთვის აქვს ერთადერთი მწკრევის ნიშანი. ეს არის სუფიქსი ი. გარდამავალია ზნა — მწკრევის ნიშნად ი აქვს, გარდაუვალია — მაინც ეს ი მოეპოვება. მოქმედებითს, ვნებითს, საშუაღს — ყველას მხოლოდ ი აქვს მწკრევის ნიშნად. ამიტომ, ვიმეორებთ, II ხოლმეობითის ფორმები მეტად ადვილი საწარმოებელია.

მეორე მხრივ, ამ მწკრევის მეტად მრავალფეროვანი ფუნქციების შესრულება უხდება. იგი გამოხატავს განგრძობილ. მრავალჯერ განმეორებულ მოქმედებას. ეს მისი ძირითადი და უცვლელი ფუნქციაა. რომელ დროში მიმდინარეობს ეს განგრძობილი და ხშირად განმეორებული მოქმედება? არჩევანი აქ არაა შეზღუდული: იგი ხან (უმათერესად) წარსულ დროში მიედინება, ხან ახლანდელში, ზოგჯერ აგრეთვე — მომავალში. შემთხვევითი სრულებით არ არის, რომ II ხოლმეობითიდან გადმოსული ზოგი ზნა სამუდამოდ დასახლდა აწმყოს მწკრევიში, რომელიც სწორედ ახლანდელი დროის გამოხატავად არის შექმნილი და განკუთვნილი. ასეთი ზნებია, მაგალითად: იცის, უწყის, ესმის, არის, რომელთაგან პირველ ორს II ხოლმეობითის (II სერიის) გარდამავალ ზნათათვის სპეციფიკური სინტაქსური თვისებაც შენჩა: სუბიექტს ახლაც მოთხრობითში შეიწყობს. ხოლო პირდაპირ ობიექტს — სახელობითში: კაცმა იცის თავისი საქმე, ღმერთმა უწყის მისი აშმაგი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სამართლიანი მოსაზრება, რომ

უფრო გვიან ჩამოყალიბებული აწმყოს ფორმები, პირველ რიგში, ი თემისნიშნანნი, II ხოლმეობითისაგან მომდინარეობს, ამათი თემის ნიშანი წარმოშობით II ხოლმეობითის მწკრივის ნიშანია (ა.ჩიქაბავა). ამიტომ, რომ ბევრი ზმნის ერთი და იგივე ფორმები ორივე მწკრივში გვხვდება. მაგალითად:

**II ხოლმე.**

მომკის  
განპკსნის  
განგ ზაენის  
განჭრის  
ქხადის  
ტტებნის  
განრყუნის  
განჯრწნის

**აწმყო**

მოჰკის (მკის)  
განპკსნის  
განგ ზაენის (გ ზაენის)  
განსჭრის (ჭრის)  
ქხადის  
სტტებნის  
განპრყუნის (რყუნის)  
განპჯრწნის (ჯრწნის) და სხვ.

ობიექტური პირის ნიშანი აწმყოს ფორმებს მოგვიანებით უნდა დართოდა.

II ხოლმეობითი ზოგჯერ ბრძანებითსაც ეხმარება ბრძანების გამოხატვაში (პყვით, მოჰკლით, განარინით...), რაზედაც ცოტა ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 177).

ი ოდითგანვე არსებობდა II ხოლმეობითის მწარმოებლად (მწკრივის ნიშნად), იგი ნამდვილი მორფოლოგიური ელემენტია და ამიტომ, სადაც კი შესაძლებელია (თუკი მოცემული ფუძე საერთოდ იკუმშება), კუმშავს ფუძეს, სწორედ ისე, როგორც ამას აკეთებდა წყვეტილში შესამე სუბიექტური პირის ა და ეს ნიშნები. და რადგანაც ხოლმეობითის ი ყველა პირს გასდევს, კუმშეაც ყველა პირში გვექნება:

შე-ე-ი-პყრო  
შე-ი-პყრო  
შე-ი-პყრო-ის  
შე-ე-ი-პყრო-ით  
შე-ი-პყრო-ით  
შე-ი-პყრო-იან  
(მდრ. შე-ე-ი-პყარ, შე-ი-პყარ)

მო-ე-კლი  
მო-პ-კლი  
მო-კლი-ის  
მო-ე-კლი-ით  
მო-პ-კლი-ით  
მო-კლი-იან  
(მდრ. მო-ე-კალ, მო-პ-კალ)

და-ე-პ-ფლი  
და-პ-ფლი  
და-პ-ფლი-ის  
და-ე-პ-ფლი-ით  
და-პ-ფლი-ით  
და-პ-ფლი-იან  
(მდრ. და-ე-პ-ფალ, და-პ-ფალ)

და-ე-პ-ვში  
და-პ-ვში  
და-პ-ვში-ის  
და-ე-პ-ვში-ით  
და-პ-ვში-ით  
და-პ-ვში-იან  
(მდრ. და-ე-პ-ვაშ, და-პ-ვაშ)

გან-ერყუნ-ი  
გან-პ-რყუნ-ი  
გან-რყუნ-ის

გან-ე-ჯრწნ-ი  
გან-პ-ჯრწნ-ი  
გან-ჯრწნ-ის

გან-ერყუნ-ით  
 გან-პ-რყუნ-ით  
 გან- რყუნ-იან  
 (შღრ. გან-ერყუნენ, გან-პ-რყუნენ)

გან-ე-ვრყუნ-ით  
 გან-პ-ვრყუნ-ით  
 გან- ვრყუნ-იან  
 (შღრ. გან-ე-ვრყუნენ, გან-პ-ვრყუნენ)

ფუძე, რომელიც საერთოდ იკუმშება, არ შეიძლება II ხოლმეობითში უკუმშ-  
 კელი დარჩეს. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის.

ცალკე უნდა შევეხოთ ორ ზმნას. ესენია ჯღმა და (მო)სლვა ზმნების  
 ჩვენთვის საინტერესო მწკრივების ფორმები. პირველი ფუძემონაცვლეა რიცხვში.  
 მეორეს ფუძისეული ხმოვანი ეცვლება ხმოვანი ბოლოსართის დართვისას. აი, მათი  
 უღლება:

ე-ჯღ-ი (←ე-ჯღელ-ი)	მო- ვიდ-ი
ს-ჯღ-ი	მო-ხ-ვღ-ი (←მო-ხ-უღელ-ი ←მო-ხ-ვიღ-ი)
ჯღ-ი-ს	მო- ვიდ-ი-ს
ე-სხღ-ით	მო- ვიდ-ით
პ-სხღ-ით	მო-ხ-ვღ-ით
სხღ-ი-ან	მო- ვიდ-ი-ან

II პირში შეიძლება ს-ს ნაცვლად შ-ც იყოს: შ-ჯღ-ი. მრავლობითში პ ს-ს წინ  
 იკარგება. მაგრამ ამ შემთხვევაში პ-ს დაკარგვაში მონაწილეობს სხვა, არაფონეტი-  
 კური მომენტიც: მრავლობითში შენაცვლებული თავკიდური ფუძისეული ს პირის  
 ნიშნად აღიქმება, ამიტომ აქ უმეტესად არ არის წარმოდგენილი პ პირის ნიშანი.

მეორე ზმნის ფუძისეული ე დავიწროებულია მომდევნო ი-ს მიერ და ინად  
 არის ქცეული.

ზოგჯერ შეიძლება მწკრივის ნიშანი ზმნაში აშკარად (თვალნათლივ) არ  
 ჩანდეს. ეს მაშინ ხდება, როცა ზმნის ფუძე უმარცვლო უზუა დაბოლოებული. ეს უ  
 მომდევნო ი-სთან ერთად ვ დიფთონგს გვაძლევს. მაგალითად:

ე-თქვ (←ე-თქვი)	და-ე-წვ (← და-ე-წვი)
ს-თქვ	და-ს-წვ
თქვ-ს	და- წვ-ს
ე-თქვ-თ	და-ე-წვ-თ
ს-თქვ-თ	და-ს-წვ-თ
თქვ-ან	და- წვ-ან

ასე თუღვლის აგრეთვე ე-სვ (←ე-სვი), შთა-ე-ი-ცვ (←შთა-ე-ი-ცვი), ჯუარს-  
 ე-ა-ცვ (←ჯუარს-ე-ა-ცვი) და სხვ.

ცალკე უნდა შევიჩრდეთ ამ ტიპის ერთ ყველაზე ხშირად ხმარებულ ზმნაზე.  
 ეს გახლავთ რქუა ზმნის II ხოლმეობითის ფორმა. (წყვეტილში) ამ ზმნის თავისებუ-  
 რებას უკვე გავეცანით (გვ. 155). II ხოლმეობითში უნდა გვეჩინდეს: ე-არქუი (პ-ე-ა-  
 რქუი). ი მწკრივის ნიშნის დართვის შედეგად დაიკარგება ა ქცევის ნიშანი, გვეჩება  
 ე-არქუი, ა-ს ამოვარდნის შემდეგ აღდგება ხმოვნის წინ დაკარგული პ (ე-პ-არქუი),  
 ხოლო უ და ი შეირწყმება და საბოლოოდ ასეთ ფორმას მივიღებთ: ე-პ-რქვ. ამის  
 გათვალისწინების შემდეგ მისი უღლება მარტივია:

ე-პ-რქვ	ე-პ-რქვ-თ
პ-რქვ	პ-რქვ-თ
პ-რქვ-ს.	პ-რქვ-ან

როგორც აღნიშნული გეჰონდა, პ-რქვ-ან ფორმისაგან მივიღეთ დღევანდელი პქვია. მან ეს გზა გამოიარა: (მათ მას იგი) პ-რქვან → პქვია. დასაბუთებში გრძელდება გამარტივება: პირის ნიშანიც იკარგება და ასეთ ფორმას ვიღებთ — ქვია. ახლა პქვია ორპირიანია, სუბიექტი (მათ) დაკარგულია. დღეს ამ ზმნის სუბიექტად ზოგს მიცემითი ესმის (ამ კაცს მათე პქვია), ზოგს — სახელობითი (ამ კაცს მათე პქვია). დავებნთ ბოლოს აქაც, რომ ამ ზმნას ძველად ორი მნიშვნელობა ჰქონდა: თქმა, თხრობა (პრქუა მან მას = უთხრა) და წოდება, სახელის დარქმევა (და პრქვეს მას სახელი პეტრე). დღეს ეს ზმნა ამ, მეორე, მნიშვნელობით იხმარება.

ე-თქვ, ს-თქვ, თქვ-ს, ე-თქვ-თ, ს-თქვ-თ, თქვ-ან ფორმები მორფოლოგიურად ზუსტად არ დაიშლება. ავიღოთ პირველი მათგანი ე-თქვ. ვ პირველი სუბიექტური პირის ნიშანია. რაღაა დარჩენილი თქვ? ძირითად, რომ ეთქვათ, არ იქნება მართებული — მაშინ სადღაა მწკრივის ნიშანი? ასე რომ დავმართოთ: ე-თქვ, არც ეს იქნება სწორი, რადგან აქ მწკრივის ნიშანთან ერთად შედის ძირისეული უ. სანამ აქ უი ვცუფი ვ-ს სახით — შერწყმულად — გვაქვს წარმოდგენილი, ფორმის შემადგენელი ელემენტების სწორი ანალიზი არ მოხერხდება. თუ ჩვენ გესურს დავყოთ შემადგენელ ნაწილებად ე-თქვ და მისი მსგავსი ფორმები, ვ უნდა წარმოვადგინოთ დაშლილად, შერწყმულად, მაშინ შეცდომა არასოდეს მოგვივა მორფოლოგიური ელემენტების განსაზღვრისას. მამასადამე, საანალიზოდ ერთადერთია, მაგალითად, თქუი-ან, და-ს-წუი-ან, ე-ს-უი-თ და სხვ.

აქ დაშლილად წარმოდგენილი მაგალითები მარტო თეორიულად აღდგენილი ფორმები კი არ არის, იგი უნაში გვხვდება. გარკვეული სკოლები, უფრო იერუსალიმური და ზოგი სხვაც, ასეთ ფორმებს სწორედ დაშლილად გადმოგვცემენ, შერწყმულად წერენ. ასე იქცევა, მაგალითად, გარკვეულ ნაწილში, Sin. II ხელნაწერი. აი, მაგალითად, რამდენიმე ფორმა, როცა ვ დაშლილია და უი ვცუფით არის წარმოდგენილი (მივეუთითებთ თვით ხელნაწერსა და "ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის" II ტომს, რომელშიც აქედან ამოღებული ტექსტებია დაბეჭდილი): რაი გრქუ-ან სახელი (63,10); პრქუან (63,14), გუთხრეს (81,21); გაგუმაზგოს (86,27); ვიტყუი (69,22); მიმამთხუა (79,30); შემთხუა (87,22); შეხუეს (81,37); მოწყუ-ან (5r,6); შდრ. აგრეთვე: რიცხუი (61,23); ფუცხუთა (13r,7 ქვ.), ერუთა (29v,7); ზლუისა (60,27); შენთუის 60,33); თუისი (78,36); მშუილობა (51,22) და მრავალი სხვა. ასე რომ, თუ სადმე შეგვხვდა დაშლილად დაწერილი ფორმები, შეცდომა კი არაა, საესებით შესაძლებელი და ნამდვილად არსებული მაგალითებია. მაგრამ, საერთოდ, მიღებულია ამ ტიპის ფორმების შერწყმულად წერა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ევ ელემენტის შემცველი ფუნქციონალური ზმნები, რომლებსაც ევის წინ უმარცვლო უ მოეპოვებათ (გამორკვევა, შერუევა, წუევა. შემთხუევა. შეხუევა ...).

II სერიის მწკრივებში ე ოდ იქცევა (ვ ამ დროს ჩვეულებრივად იკარგვის), ხოლო ამაზე II ხოლმეობითის ო-ს დართვისას დაშლილად წერის შემთხვევაში ორი

ი გვეჩება ერთად: შევამთხუი-ი (+შევამთხუი-ი). შეამთხუი-ი. შეამთხუი-ის. შევამთხუი-ით. შეამთხუი-ით. შეამთხუი-იან და ასე: გამოარკუი-ის და გამოარკუი-იან. აწუი-ის და აწუი-იან. შეაწუი-ის და შეაწუი-იან, შეუხუი-ის და შეუხუი-იან და სხვ.

უფრო ჩვეულებრივია. რა თქმა უნდა. შერწყმული. ვ-თი დაწერილი. ფორმები: შეამთხვის (+შეამთხვის). შეეჩვის. აწვის. შეუხვის. გამოარკვის და სხვ.

ზემოთ აწმყოსა და II ხოლმეობითის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გვქონდა საუბარი (გვ. 82). იქ ვაჩვენეთ, რომ დღევანდელი აწმყოს ფორმა (შესმის, გუესმის) ძველ ტექსტებში წარსული დროისა და ხოლმეობითის გაგებით იყო ნახმარი. ეს გასაგებიცაა: შესმის, გუესმის წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა II ხოლმეობითი.

ამთ გვერდით გვხვდება ფორმითა და წარმოებით აშკარა II ხოლმეობითის მაგალითები, რომლებიც ახლანდელი დროის გაგებით (ე.ი. აწმყოს მწკრივის მნიშვნელობით) არის გამოყენებული. მაგალითად:

შე-რამ-მწუხრდის, სთქვთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაი. და განთიად სთქვთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაი (მ. 16,2-3); სთქვთ აქ იჩება "ამბობთ", "ამბობთ ხოლმე": საღამოს ამბობთ ხოლმე, კარგი ამინდი იჩებაო; დილით ამბობთ ხოლმე, ცუდი ამინდი იჩებაო (ა.ჩიქაძეა); ვაი თქვენდა, მწიგნობარნო ბრძანო, რომელთა სთქვთ, ვითარმედ: რომელმან ფუცოს ტაძარსა მას, არარაი არს, ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს (მ. 23,16). ეს ნიშნავს: ვაი თქვენ, ბრმა მწიგნობრებო, რომლებიც ამბობთ (ხოლმე). იქვე, გვერდზე, ასეთ ფორმულაში ხოლმეობითის აწმყოს მწკრივი ცვლის: ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რამეთუ მიმოხუალთ ზღუასა ზედა და ვჴელსა (მ. 23,15). მე-16 მუხლის სთქვთ და მე-15 მუხლის მიმოხუალთ ერთი დროის გაგებით იხმარება, ორივე ახლანდელ დროს გულისხმობს. ერთ შემთხვევაში ეს II ხოლმეობითის მწკრივითაა გამოხატული (სთქვთ). ხოლო მეორეში — თვით აწმყოთი (მიმოხუალთ). კიდევ ერთი მაგალითი: მო-რამ-ვიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპი-აისათა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა: რაი თქვან ჩემთვის კაცთა, ძისა კაცისაი ყოფად? (მ. 16,13). ეს ნიშნავს: რას ამბობენ ხოლმე ადამიანები ჩემ შესახებ? იქვე: თქვენ რაი სთქვთ, ვინ ვარ მე? (მ. 16,15). ეს ნიშნავს: თქვენ რას ამბობთ ხოლმე, ვინ ვარ მე? ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ძველი ქართულის II ხოლმეობითი ხშირად შეიცავდა აწმყოს შინაარსს და ამ მწკრივის ადგილასაც ხშირად იყო გამოყენებული. ამგვარი ნიმუშები ბევრ სხვა ზნაზეც შეგვიძლია ვიპოვოთ. მაგალითად: ვასწავლი მათ შეცთომილებად (პარხ. 775a). ხაზგასმული ზნა აქ II ხოლმეობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგრამ ვასწავლი, ვასწავლი ზნებს სხვაგან შეიძლება აწმყოს გაგებაც ჰქონდეს და, მეტიც: ფორმითაც აწმყოს მწკრივი იყოს. ეს საკითხები დაწვრილებით აქვს განხილული ა.ჩიქაძეას<sup>139</sup> და აქ მათზე საუბარი აღარ არის საჭირო.

<sup>139</sup> ა.ჩიქაძეა. ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I. გვ. 11-80.

დასასრულ. შეჭერდებით კიდევ ერთ საკითხზე. ჩვენ ზემოთ არაერთხელ გვქონდა საუბარი ელ სუფიქსის შესახებ, რომელიც მესამე სუბიექტური პირის მრავლობითისათვის ერთადერთია აწმყოს ხოლმეობითში (სუბ-ედ, კლე-ედ, არი-ედ, აქე-ედ. ჰემო-ედ, ივლტი-ედ, მისცე-ედ, ჰყოფ-ედ და სხვ.). იხმარება კიდევ I და II ბრძანებითებში, აგრეთვე უწყვეტლის ხოლმეობითში. ელ სუფიქსის ასე ფართოდ გამოყენების მიზეზებზე ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

ახლა აქ უნდა დაეძინოთ, რომ იგივე ელ სუფიქსი II ხოლმეობითშიც არის გამოყენებული. რადგან ამ საკითხზე სპეციალურად მსჯელობენ ილ.აბულაძე<sup>140</sup>, ლ.კიკნაძე<sup>141</sup>, ზ.სარჯველაძე<sup>142</sup>... შეიძლება აღარაფერი ვთქვათ და მხოლოდ სათანადო მაგალითების მოხმობით დავკმაყოფილდეთ: მრავალნი ეშმაკუღლნიცა მივიღიდელ საფლავთა მათთა და განიკურნინან (სწავ. 88,6. ჩვეულებრივი სახით იქნებოდა: მივიღიან); რომელნი ჟამსა სიცხისასა მახლობელად სხდიედ გამოსადინელსა წყალთასა და სიგრილისა მისგან ჰაერისა განერინან მძაფრისა მისგან სიცხისა (იქვე, 4,36 = სხდიან); არაენ მაგის მისაგებელი მათი ... და ცუდად დაშურიედ (იქვე, 26,21); ძმანო ჩემო, არა გუეშინისა ჟამისა მისგან, ოდეს-იგი განციენიედ ფერენი და თქოლაჲ შეედვის მუელთა (იქვე, 60,9); იხარებედ, რაჟამს განვლიან ქუეყანაჲ იგი საშიში და გზაჲ იგი იწროა, დაწყნარდიედ შუოთისაგან და სირბილისა და დაეკუნინან მინდობით (იქვე, 139,7); სახც, რომელი ჰმოსიედ მოძღუარსა, იგივე შუომოსიედ<sup>143</sup> მოწაფეთა (იქვე, 69,12); რაოდენიცა თქვედ გამსყიდელთა მათ, მისციან (ათონ. 17, 12v,5); და ოდეს იხილნინან პირნი მათნი გინა საბოსელი, ... მხიარულ იქნნიედ გულითა (სწავლ. იოანე ოქროპ. 15r/v); და წარიყვანიედ<sup>144</sup> დედები ცოლად (პროკოპი 260v,7b).

ახლა წარმოვადგენთ ულლების პარადიგმებსა და ნიმუშებს ძველი ტექსტებიდან.

ე-წერი	შე-ე-კრიბ-ი	და-ე-დგ-ი
ს-წერი	შე-ჰ-კრიბ-ი	და-ს-დგ-ი
წერი-ის	შე-კრიბ-ი-ს	და-დგ-ი-ს
ე-წერი-ით	შე-ე-კრიბ-ით	და-ე-დგ-ით
ს-წერი-ით	შე-ჰ-კრიბ-ით	და-ს-დგ-ით
წერი-ან	შე-კრიბ-ი-ან	და-დგ-ი-ან
ე-ჰ-კითხ-ი	ე-ცნ-ი	მი-ე-ს-ც-ი
ჰ-კითხ-ი	ს-ცნ-ი	მი-ს-ც-ი
ჰ-კითხ-ი-ს	ცნ-ი-ს	მი-ს-ც-ი-ს

<sup>140</sup> ილ.აბულაძე. ქართული ზნის იმეოთი ფორმები. გვ. 133-136.

<sup>141</sup> ლ.კიკნაძე. უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში. გვ. 252.

<sup>142</sup> ზ.სარჯველაძე. დ/ედ და ნ ნიმუშებიანი მესამე სუბიექტური პირის იმეოთი ფორმები ძველ ქართულში: მაცნე. 2. 1973. გვ. 144-145 და სხვ.

<sup>143</sup> ილ.აბულაძე. ქართული ზნის იმეოთი ფორმები. გვ. 134-135.

<sup>144</sup> ზ.სარჯველაძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 144-145.



ე-კ-ითხ-ით	ე-ცნ-ით	მი-ვ-ს-ც-ით
კ-ითხ-ით	ს-ცნ-ით	მი- ს-ც-ით
კ-ითხ-ი-ან	ცნ-ი-ან	მი- ს-ც-ი-ან
ე-ყვი	ე-ქწნ-ი	ე-სვ
კ-ყვი	კ-ქწნ-ი	კ-სვ
ყვი-ს	ქწნ-ი-ს	სვ-ს
ე-ყვი-ით	ე-ქწნ-ით	ე-სვ-ით
კ-ყვი-ით	კ-ქწნ-ით	კ-სვ-ით
ყვი-ი-ან	ქწნ-ი-ი-ან	სვ-ი-ან
ღა-ე-ბერ-ღ-ი	შე-ე-წუხ-ნ-ი	გან-ე-ტფ-ი
ღა-კ-ბერ-ღ-ი	შე-ს-წუხ-ნ-ი	გან-ს-ტფ-ი
ღა- ბერ-ღ-ი-ს	შე- წუხ-ნ-ი-ს	გან- ტფ-ი-ს
ღა-ე-ბერ-ღ-ი-თ	შე-ე-წუხ-ნ-ი-თ	გან-ე-ტფ-ი-თ
ღა-კ-ბერ-ღ-ი-თ	შე-ს-წუხ-ნ-ი-თ	გან-ს-ტფ-ი-თ
ღა- ბერ-ღ-ი-ი-ან	შე- წუხ-ნ-ი-ი-ან	გან- ტფ-ი-ი-ან

**წიგნუბები ტაშსტაშილან:** ვინ უძღურ არნ, და მე არა უძღურ ვიყვი? (2 კორ.

11,22); ხოლო ბერძან მიუღო ... და ჰრქუა მას: უკეთუ განიპის ქლამინდი შენი, განაგდა იგი? ხოლო მან ჰრქუა: არა, არამედ შეგვერი და კულად ვიუგუი იგი (ნოვ. II, 268,16); რაჟამს სული არაწმიდა განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა ჰიის და თქვს (ლ. 11,24 C); მე მასძიეს შენთვის: ვითარ თქვან ჩუენებად. განჰმარტი იგი (დაბ. 41,15); და ვჰრქვ მას: წარედ! და წარვიდის: და სხუასა: მოედ! და მოვიდის: და მონასა ჩემსა: ყავ ესე! და ყვის (ლ. 7,8 C); რაჟამს მამა გრიგოლ სტუმრად მიიწიის იშხანს, ეპისკოპოსმან საყდარსა იგი დასვს და თვთ თანა დაჯდის, რამეთუ არა თავს-იღვის ურჩება ნეტარისა გრიგოლისი (ხანძთ. 220,5); ირემმან რაჟამს იხილის, და ივლტინ გუელი და შთავდის ვურელად, მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თვისნი წყლითა წყაროისაითა და მივიდის ვურელად. სადა-იგი გუელი დამალულ არნ, და დასხნის წყალი იგი, ვიდრემდე გამოვდის გუელი იგი. და დათრგუნის ფერკითა და მოკლის (სახ. 241,39).

რაჟამს იხილით ღრუბელი აღმომავალი დასავალით, მეყსეულად სთქვთ: წემა მიაქუს (ლ. 12,54); რაჟამს იხილიან მართუეთა დედაი ანუ მამაი დამდეღებუ-ლი და თუაღათაგან მოკლებული, მართუეთა მათ დაჰკრტნნიან ძუელნი ფრთენი და აღლოშნიან თუაღნი მათნი და განატფნიან იგინი ფრთითა თვისითა და განახლნი-ან და განაჭაბუენიან იგინი და ჰრქვან მამა-დედათა თვისთა (სახ. 237,34).

რაჟამს აღვიდის ვენასა, ტევეანი დამომარცულნის და მოკუფხლნის და ქუე გარდამობნის და გარდამოვიდის, შეაკოლტის ერთად და ინგორის მარცუალსა მას ზედა, და აღეკრის მარცუალი იგი ეკალსა მას მისსა და მართვს მართუეთა თვისთა და დაუტევის კერტი იგი ტეენისაი მის ცუდი (იქვე, 238/239); /კაკაბმან/ უცხონი

კერცხნი მოაპარნის და თვსა ბუდედ მიიხუნის და შეაცხვნის და მართუენი გამოივადნის. და ვერ დაუთმან მართუეთა მათ. და შეკრიბის, ვითარცა ქარქუეტი რაი და დაუტკეის განკობად და მით ქარქუეტითა დაითმინის ცხორებად. და რაჟამს აღორძნდნან მართუენი იგი, აღფრინდნან ურთიერთას თითოვეულად თვსა თესლად, მივიდნან თვსთა შმობელთა და იგი, ვითარცა უგუნური, დაუტკეიან (იქვე, 239/240).

## 10. II კავშირებითი

II კავშირებითის აღსანიშნავად სხვადასხვა სახელწოდება იხმარებოდა. აღრე მას მყოფადს უწოდებდნენ; შერმე ერთხანს II კონიუნქტივი ერქვა, ბოლოს კი დღევანდელი ტერმინი — II კავშირებითი — დამკვიდრდა (ა. შანიძე)<sup>145</sup>.

II კავშირებითი ფართოდ გავრცელებული მწკრივია ქართულში. მას უფრო მეტი გამოყენება ძველ ქართულში ჰქონდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ II სერიის მწკრივია. ხოლო ამ სერიის ფორმები უფრო ძველია (ა. ჩიქობავა) და, რა თქმა უნდა, უფრო ხშირად იხმარებოდა. მეორეც — მას მრავალი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, როგორც თავისი. ძირითადი, ისე სხვა, დამატებითი. თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოსახატავად ძირითადად და უმთავრესად II კავშირებითი იხმარებოდა. მაგალითად. წინადადებას: "ხვალ მე მოვალ. ამას დაეწერ და მერმე თან წავიღებ" — ძველებურად ასეთი სახე ექნებოდა: "ხვალე მე მოვიდე, დაეწერო ესე და მერმე წარვიღო თანა". როგორც აწმყოზე საუბრისას ვნახეთ, ძველად ზნისწინიან აწმყოს მომავალი დროის გამოსახატვა არ შეეძლო, ძველი წყვილ-წყვილი ფორმები — ეწერ და დაესწერ, ვხატავ და დაეკხატავ, ვკრებ და შეეკკრებ, ვჭამ და შეეცჭამ — ორივე აწმყო იყო. თხრობითი კილიან მომავალ დროს, ვიმეორებთ, ძირითადად და უმთავრესად II კავშირებითი გამოხატავდა.

მეორე მხრივ, (სრული ასპექტის) კავშირებითი კილოს გამოსახატვის მთელი სიძიძიე მასვე აწვა მხრებზე.

II კავშირებითი გამოყენებული იყო აგრეთვე სხვადასხვა პირის ბრძანებითის გადმოსაცემად (წარვიდეთ, შეიყუაროს ...). მაგრამ ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვიტყვი. ერთი სიტყვით, II კავშირებითის ძველ ქართულში მრავალი რამ ევალებოდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ იგი ძალიან ხშირად იხმარებოდა.

## II კავშირებითის წარმოება

II კავშირებითის მწკრივის ნიშნებად გამოყენებული ჰქონდა ო, ა, ე, ი სუვიქსები. ამასთან, სამი პირველი თავიდანვე იყო განკუთვნილი ამ ფუნქციისათვის და ხშირადაც გვხვდებოდა, ხოლო მეოთხე (ი) ორიოდ ზნაში თუ იხმარებოდა, ისიც არა ყოველთვის და არა ყოველგან.

როდის, რა შემთხვევაში გამოიყენება თითოეული მათგანი?

1. ო იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, როცა (სადაც) წყვეტილში ე გვქონდა.

<sup>145</sup> ა. შანიძე. პრეფიქსები. გვ. 36.

ე.ი. წყვეტილის ე-ს II კავშირებითის ო შეესაბამება<sup>146</sup> (ე ნიშნანი წყვეტილის შესახებ იხ. გვ. 161).

წყვე

ე-წერ-ე  
გან-ეტებ-ე  
და-ე-კ-ბან-ე  
შე-ე-კრიბ-ე  
გან-ე-წმიდ-ე  
უგმირ-ე  
ე-ა-კურთხ-ე  
ე-ს-ძლ-ე  
ე-კ-კითხ-ე  
გან-ე-გმე-ე  
მო-ე-ს-პ-ე  
გან-ე-ა-ტფე-ე  
ე-ა-ქე  
და-ე-ი-წყე-ე

II კავში

ე-წერ-ო  
გან-ეტებ-ო  
და-ე-კ-ბან-ო  
შე-ე-კრიბ-ო  
გან-ე-წმიდ-ო  
უგმირ-ო  
ე-ა-კურთხ-ო  
ე-ს-ძლ-ო  
ე-კ-კითხ-ო  
გან-ე-გმო  
მო-ე-ს-პ-ო  
გან-ე-ა-ტფო  
ე-ა-ქო  
და-ე-ი-წყო

2. როცა წყვეტილში ზმნას მწკრივის ნიშანი არ მოეპოვება, II კავშირებითში ა მოუღის (თუ რა შემთხვევაშია წყვეტილი უნიშნო, იხ. ზემოთ, გვ. 155):

წყვე

ე-თქე  
ე-სუ  
და-ე-წუ  
ე-არქე  
შთა-ე-ი-ცუ  
და-ე-ა-ბ  
და-ე-ა-სხ  
მო-ე-კალ  
და-ე-კ-ფალ  
შე-ე-ი-პყარ  
გან-ე-ი-რათხ  
და-ე-კ-ვაშ  
შე-ე-ი-რატყ  
შე-ე-თხზ

II კავში

ე-თქუა  
ე-სუა  
და-ე-წუა  
ე-პ-რქუა  
შთა-ე-ი-ცუა  
და-ე-ა-ბ-ა  
და-ე-ა-სხ-ა  
მო-ე-კლ-ა  
და-ე-კ-ფლ-ა  
შე-ე-ი-პყრ-ა  
გან-ე-ი-რათხ-ა  
და-ე-კ-ვშა  
შე-ე-ი-რატყ-ა  
შე-ე-თხზ-ა

ერთადერთ გამონაკლისს აქ თითოიქოს ვყავ ზმნა შეადგენს, რომელიც წყვეტი-

<sup>146</sup> ხოლო თვით ო სუფიქსის შესახებ გ. როგავა წერს: "ო სუფიქსთან კავშირებითის პირვანდელი აფიქსი უნდა ყოფილიყო ე სუფიქსი. კავშირებითის ო უნდა იყოს მიღებული ფუძისეულ კვ სუფიქსთან კავშირებითის ე-ს შერწყმით: დაწერო ← დაწერ-ე-ო ← დაწერ-ე-ე-ე დაწერო ← დაწერ-ე-ე ← დაწერ-ე-ე-ე დაწერო-ს ← დაწერ-ე-ე-ს ← დაწერ-ე-ე-ს ← დაწერ-ე-ე-ს (გ. როგავა, აორისტიკა და კავშირებითი მორჩის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის ქართულსა და მკერულში: სმპ. ტ. VI, №8, 1945. გვ. 652 და სხვ.). მაგრამ ეს საეკუა.

ლში უნიშნა, მაგრამ II კავშირების გარეგნულად ოთი აწარმოებს: ე-ყო, ჰ-ყო, ყო-ს, ე-ყო-თ, ჰ-ყო-თ, ყო-ნ, მაგრამ არა: აქ წესის დარღვევა მოჩვენებითია. ამ ზმნას კავშირებითი ასე უნდა ჰქონოდა: \*ე-ყა-ე-ა, \*ჰ-ყა-ე-ა, \*ყა-ე-ა-ს. ა-ს ამოღების შემდეგ უნდა გექონოდა: \*ე-ყე-ა, \*ჰ-ყე-ა, \*ყე-ა-ს. ამის შემდეგ ძირისეული ვ და მწკრივის ნიშანი ა შერწყმულია და ო აქედანაა მიღებული: ე-ყო, ჰ-ყო, ყო-ს. ასევეა მრავლობითშიც. კაცმა რომ თქვას, ო აქ მწკრივის ნიშანი მხოლოდ ფორმალურად არის, ნამდვილად მასში ფუძისეული ე-ც შედის. ეს შერწყმა წყვეტილის შესაბამე სუბიექტური პირის მხოლობითშიც ხდება: ე-ყავ, ჰ-ყავ, ყო (←\*ყე-ა ←ყა-ე-ა).

კუმშვადი ზმნების მეორე ნაწილი (წყვეტილში უნიშნოდ რომ იხმარებოდა) II კავშირებითში ე-ს გვიჩვენებს. ესაა უმთავრესად ის ზმნები, რომელთაც ფუძის ბოლო ბგერად ნ აქვთ:

წყვე-

აღ-ე-ა-გ-ზენ  
ე-ა-გრძენ  
ღა-ე-ა-მყენ  
ე-ა-მცენ  
გან-ე-რყუნენ  
ე-ქმენ  
მი-ე-ა-ყრდენ  
გან-ე-ურწენ  
გან-ე-უსენ  
ე-ი-ჯმენ

აქვე შემოდის ე-ზე დაბოლოებული ორიოდე ზმნა:

ე-შეე  
ღა-ე-ი-ცეე  
მი-ე-ი-ცეე

განსაკუთრებით უნდა ითქვას სიარულის აღმნიშვნელ ორ ყველაზე ხშირად ხმარებულ ზმნაზე. ესენია სღვა და ჯღობა:

წყვე-

მო-ვედ  
მო-უვედ

-ე მწკრივისნიშნისა ზოგიერთი სხვა ზმნაც:

აღ-ე-(ჰ)-ფხურე  
მი-ე-ეც

შეინიშნავთ აქვე, რომ დღევანდელ ენაში გარდამავალ ზმნათაგან ერთადერთი შემოგვრჩა, რომელმაც დღესაც მწკრივის ნიშნად ე შეინარჩუნა. ეს არის ბოლოს მოხსენიებული მიესცე. სხვა გარდამავალი ზმნა დღეს აღარ მოგვეპოვება, II კავშირებითში მწკრივის ნიშნად ე რომ ჰქონდეს. ყველა დანარჩენი ი მწკრივის ნიშნის დაირთავს. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

3. ზმნებს, რომელთაც წყვეტილში მწკრივის ნიშნად ი მოუღდის, II კავშირებითში უეჭველად ე დაერთვის:

II კავშ.

აღ-ე-ა-გ-ზენ-ე  
ე-ა-გრძენ-ე  
ღა-ე-ა-მყენ-ე  
ე-ა-მცენ-ე  
გან-ე-რყუნენ-ე  
ე-ქმენ-ე  
მი-ე-ა-ყრდენ-ე  
გან-ე-ურწენ-ე  
გან-ე-უსენ-ე  
ე-ი-ჯმენ-ე

ზმნა:

ე-შეე-ე  
ღა-ე-ი-ცეე-ე  
მი-ე-ი-ცეე-ე

II კავშ.

მო-ვიდე  
მო-უვიდე

აღ-ე-(ჰ)-ფხურე-ე  
მი-ე-ს-ე-ე

## წყვ.

გან-ე-ე-რ-ი  
 და-ე-ე-ც-ი  
 ე-პ-რწმენ-ი  
 და-ე-ბერ-დ-ი  
 და-ე-ვარდ-ი  
 გან-ე-რცხ-ი  
 და-ე-ცვე-ი-თ

## II კავშ.

გან-ე-ე-რ-ე  
 და-ე-ე-ც-ე  
 ე-პ-რწმენ-ე  
 და-ე-ბერ-დ-ე  
 და-ე-ვარდ-ე  
 გან-ე-რცხ-ე  
 და-ე-ცვე-ი-თ

4. II კავშირებითის მწკრივის ნიშნად ი იხმარებოდა ზოგჯერ წოდება ზნაში (ორივე მნიშვნელობით: 1. მოხმობა; 2. წოდება, დარქმევა): უ-წოდ-ი (= მოუწოდო). მო-უ-წოდ-ის (= მოუწოდოს), უ-წოდ-ი-ან (= უწოდონ)...

**ნიშნაზნაზი:** ბვედრად უწოდი (სწავ. 85,1 B = უწოდო, შდრ. სახელ-ესდვა: იქვე C); ამა ესერა შენ ბუცლად-ილო და ჰმვე ძმ და უწოდი სახელი მისი იესუ (ლ. 1,31); გვევე შინარსი სხეგან ო მწკრივისნიშნანი ფორმითა გადმოცემული: ამისთვის ბუცლად-ილო და ჰმვე ძმ და უწოდო სახელი მისი იესუ (სინ. 4,5); რომელ-იგი შობად არს, წმიდა არს და ძე ღმრთის იწოდის (ლ. 1,35 C); იწოდის აქ = იწოდოს. მართლაც, DE-ში ო ნიშნანი ფორმა: შობილსა მას წმიდა ეწოდოს, ძე ღმრთის. ცხადია, იწოდის და ეწოდოს ერთი და იმავე შინარსისა; მო-რად-ვიდეს იგი სახიდ. მოუწოდის ბეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ (ლ. 15,6). C-ში იკითხება: მოუწოდოს. რომ მოუწოდის მართლაც II კავშირებითა, ამას გვიჩვენებს მეზობელი ზნეები: მო-რად-ვიდეს იგი და ჰრქუას, რომლებიც უეჭველად II კავშირებითა. მაშასადამე, მოუწოდის აქაც II კავშირებითის მნიშვნელობით არის ნახმარი. კიდევ: ამა ქალწული მიუდგეს და შვეს ძმ, და უწოდან სახელი მისი ევმანუელ (მ. 1,23). უწოდან აქ იქნება, ძველი ქართულის ჩვეულებრივი ფორმით რომ მოვიყვანოთ, უწოდონ.

რატომ არის ი ამ ერთადერთ ზნაში, ისიც არა ყველგან და არა ყოველთვის?

ა. შანიძემ დამატებულად გამოარკვია, რომ სადავო ი აქ გადმოსულია ოდანი ზნეების I კავშირებითის ანალოგიით. იცოდ-ო. უწყოდ-ო, ტიროდ-ო-ს, იქმოდ-ო-ან. ჰ-ხადოდ-ო-ან ქნის ანალოგიის საფუძველს, რომ გადამწერმა საანალიზო ზნის წოდ ფუძეში ოდ საერცობ სუფიქსად მიიჩნოს და კავშირებითში, როგორც ოდიან ზნეებს შემკერის, ი დაურთოს. უ-წოდ-ი (მე), უ-წოდ-ი (შენ), უ-წოდ-ი-ის (მან), უ-წოდ-ი-თ, უ-წოდ-ი-თ, უ-წოდ-ი-ან<sup>147</sup>.

ბ. გეგინეიშვილის აზრით, შესაძლებელია ასეთი ანალოგიით წარმომდგარი ფორმები აღმოაჩნდეს ოდ ელემენტის შემცველ სხვა ზნეებს, როგორიცაა კოდა (აღმოკოდა, გამოკოდა, დაკოდა), შეცოდება<sup>148</sup>.

შევეხებით ვნებითების II კავშირებითის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

A. პრეფიქსიანი ვნებითები შესაბამისი მოქმედებითის ნიშანს დაირთავენ:

<sup>147</sup> ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი. გვ. 843.

<sup>148</sup> ბ. გეგინეიშვილი. ოდ ელემენტის შემცველი ერთი ზნური ფუძის აგებულებისათვის : სმპ. ტ. 34, N1, 1964. გვ. 213-225.

ღ-ე-ღ-ე-ა  
ე-ქ-ნ-ე  
ღ-ე-მ-ღ-ო  
ღ-ე-ა-ბ-ა  
ღ-ე-კ-ფ-ღ-ა  
მ-ი-ს-ც-ე

ღ-ე-ი-ღ-ე-ა  
ე-ი-ქ-ნ-ე  
ღ-ე-ი-მ-ღ-ო  
ღ-ე-ე-ბ-ა  
ღ-ე-ე-ფ-ღ-ა  
მ-ი-ე-ე-ც-ე

B. ენ სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითები II კავშირებითის მხოლოდ ე სუფიქსით აწარმოებენ: შე-ე-წუხ-ნ-ე, გან-ე-ტფ-ე. მაგრამ ეს უკვე ნაწილობრივ ზემოთ აღნიშნულ წესში იგულისხმება: თუ კუმშვად ზმნებს წყვეტილი უნიშნო აქვთ, II კავშირებითი ეთი ეწარმოებათ

წყვე  
გან-ე-წმიდ-ენ  
გან-ე-მტკიც-ენ  
ღ-ე-ღუმ-ენ  
გან-ე-ჭაბუკ-ენ  
აღ-ე-შფოთ-ენ  
ღ-ე-ღენ  
ღ-ე-ს-ცხერ  
ღ-ე-ა-ღგერ  
გან-ე-ეუმ  
მო-ე-კუდ

II კავშ.  
გან-ე-წმიდ-ნ-ე  
გან-ე-მტკიც-ნ-ე  
ღ-ე-ღუმ-ნ-ე  
გან-ე-ჭაბუკ-ნ-ე  
აღ-ე-შფოთ-ნ-ე  
ღ-ე-ღ-ნ-ე  
ღ-ე-ს-ცხერ-ე  
ღ-ე-ა-ღგერ-ე  
გან-ე-ეუმ-ე  
მო-ე-კუდ-ე

C. ღონიანი ვნებითებიც, რა თქმა უნდა, II კავშირებითის ე სუფიქსით აწარმოებენ: ღ-ე-ბერ-ღ-ე, გან-ე-ძლიერ-ღ-ე, გან-ე-მართლ-ღ-ე, გან-ე-ცხოველ-ღ-ე, გან-ე-ბრწყინ-ღ-ე, გან-ე-მუნ-ღ-ე და სხვანი. ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, როცა II კავშირებითის ე ნიშანზე ვმსჯელობდით.

## II კავშირებითის ფუნქციები

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, ძველ ქართულში II კავშირებითის ბევრი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ერთ-ერთი მისი ძირითადი ფუნქცია იყო, გამოხატვა მომავალი დრო (თხრობითი კილოსი, თორემ კავშირებითი კილო ძველადაც და დღესაც უფრო მომავალ დროს გულისხმობს): მე არა აღვიდე (= არ ავალ), წეროს (= დაწერს), ჭამოს (= ჭამს, შეჭამს), თქუას (იტყვის), მოვიდეს (მოვა), შეკრიბონ (შეკრიბენ), მოკლან (მოკლავენ), აღდგეს (აღდგება), მოკუდეს (მოკედება), ოდეს იხილოთ (ნახეთ) და ბევრი სხვა.

ასეთ შემთხვევაში II კავშირებითის აღარ ერთოდა მისთვის დამახასიათებელი კავშირები — რაიმთა, ნუკუე, უკუეთუ და სხვები. ამ კავშირებთან ის უკვე კავშირებით კილოს გამოხატავდა: რაიმთა მოვიდეს (რომ მოვიდეს), ნუკუე მოკლას (რომ არ მოკლას; ვაითუ მოკლას), უკუეთუ თქუას (თუ იტყვის), ვიდრემდე გრქუა (სანამ გეტყოდე) და სხვ. ესაა II კავშირებითის მეორე ძირითადი ფუნქცია. ამ ფუნქციას ის დღესაც ასრულებს. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ პირველ ფუნქციას — (თხრობით-

კილოანი) მომავალი დროის გამოხატეას — იგი ახალ ქართულში მყოფადის (ზნნის-წინიანი აწმყოს) მწკრის აქეს დაკისრებული (მოვა. მოკლავს. შკრებენ. მოკვდება. აღღგება).

II კავშირებითის მესამე ფუნქცია იყო. გამოეხატა II პირის ბრძანებითი. ამ მიზნით ჩვეულებრივ გამოყენებული იყო II ბრძანებითი. მაგრამ როგ შემთხვევაში (IX საუკუნიდან ერთობ ხშირად) წყვეტილისა და II ბრძანებითის S<sub>2</sub> პირის ფორმები ერთმანეთს ემთხვეოდა (ხარქუ — ხარქუ, ხუთხარ — ხუთხარ, ხიყაუ — ხიყაუ, ევედრე — ევედრე, უთხარ — უთხარ...), რაც ენას აიძულებდა, ამ საორჭოფო ფორმების სანაცლოდ სხვა საშუალებები გამოეძებნა. სწორედ ამ მიზნით გამოიყენეს II კავშირებითის მდიდარი შესაძლებლობანი. მეორე პირის ბრძანებითის გამოსახატავად II კავშირებითის გამოყენების მაგალითები უკვე ენახეთ ზემოთ (გვ. 177).

4. II კავშირებითი გამოყენებული იყო მესამე პირის ბრძანებითის გადმოსაცემად. აქ იგულისხმება ისეთი ფორმები, როგორიცაა: წეროს, სუას, თქვას, იყოს. მოვიდეს, შეიყუაროს, აკურთხოს და სხვ.

ეს ფორმები უფრო გამძლე და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და დღესაც კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. რადგანაც მესამე პირის ბრძანებითის სხვა ფორმები დღეს უკვე აღარა გვაქვს ენაში, მოკლას, წავიდეს, ჭამოს და ამ ტიპის ფორმები გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე ძველად იყო.

5. დასასრულ. II კავშირებითი გამოყენებული იყო და ახლაც გამოყენებულია I პირის ბრძანებითის გამოსახატავად. პირველი პირის ბრძანებითი თავისებურია: პირველ პირს მხოლოდ მაშინ შეიძლება ებრძანოს, როცა იგი სხვებთან ერთად არის წარმოდგენილი, ე.ი. მრავლობითშია. ამ შემთხვევაში ბრძანება სხვებთან ერთად მასაც ეხება. ამნარი ბრძანებითი გვქონდა ძველად და გვაქვს დღესაც. აი. ორიოდე ნიშუში:

აღღვეით და წარვიდეთ ამიერ (მ. 26,46 C); გუაღე, მივიდეთ ჩუენცა, რაითა მოესწყდეთ მის თანა (ი. 11,16); მოვედით და მოკლათ იგი და დავიყრათ სამკვდრებული იგი მისი (მ. 21,38); ხოლო იესუ ჰრქუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელად დაბნებსა და ქალაქებსა (მრ. 1,38); ეს მაგალითი სხვადასხვა თვალსაზრისით არის საინტერესო: მოვედით II პირის ბრძანებითია და იგი ეხება მხოლოდ იესუს მოწაფეებს (აქ მოდიეთ); მეორე — წარვიდეთ — კი ყველას ეხება, მათ შორის მთქმელს. პირველ პირს (იესუს), რადგანაც მოწაფეებთან ერთად ისიც უნდა წავიდეს; ამიტომაც ზნნა მრავლობითში.

ამნარი ბრძანებითი დღესაც ძალიან გავრცელებულია<sup>149</sup>.

გავეცნოთ უღლების პარადიგმებს:

ა) მწკრის ნიშანი ო

ე-წერ-ო

შე-ე-კრიბ-ო

ე-კ-კითხ-ო

ს-წერ-ო

შე-კ-კრიბ-ო

კ-კითხ-ო

<sup>149</sup> ე.იშაიშვილი. II კავშირებითის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: თსუ სტუდენტთა 28-ე სამეცნ. კონფერენცია. 22-27. IV. 1966. ენათმეცნ. სექცია. მოხსენებათა თეზისები. გვ. 5-6.

წერ-ო-ს  
ე-წერ-ო-თ  
ს-წერ-ო-თ  
წერ-ო-ნ

შე-კრიბ-ო-ს  
შე-ე-კრიბ-ო-თ  
შე-ე-კრიბ-ო-თ  
შე-კრიბ-ო-ნ

ჰ-კითხ-ო-ს  
ე-ჰ-კითხ-ო-თ  
ჰ-კითხ-ო-თ  
ჰ-კითხ-ო-ნ

გან-ე-კურნ-ო  
გან-ჰ-კურნ-ო  
გან-კურნ-ო-ს  
გან-ე-კურნ-ო-თ  
გან-ჰ-კურნ-ო-თ  
გან-კურნ-ო-ნ

ე-თალო  
ს-თალო  
თალო-ს  
ე-თალო-თ  
ს-თალო-თ  
თალო-ნ

წარ-ე-იყვან-ო  
წარ-იყვან-ო  
წარ-იყვან-ო-ს  
წარ-ე-იყვან-ო-თ  
წარ-იყვან-ო-თ  
წარ-იყვან-ო-ნ

ე-ა-კურთხ-ო  
ა-კურთხ-ო  
ა-კურთხ-ო-ს  
ე-ა-კურთხ-ო-თ  
ა-კურთხ-ო-თ  
ა-კურთხ-ო-ნ

ე-ს-ძლო  
ს-ძლო  
ს-ძლო-ს  
ე-ს-ძლო-თ  
ს-ძლო-თ  
ს-ძლო-ნ

გან-ე-ა-ტფო  
გან-ა-ტფო  
გან-ა-ტფო-ს  
გან-ე-ა-ტფო-თ  
გან-ა-ტფო-თ  
გან-ა-ტფო-ნ

ბ) მწკრივის ნიშანია ა

ე-თქუა  
ს-თქუა  
თქუა-ს  
ე-თქუა-თ  
ს-თქუა-თ  
თქუა-ნ

ე-ჰ-რქუა  
ჰ-რქუა  
ჰ-რქუა-ს  
ე-ჰ-რქუა-თ  
ჰ-რქუა-თ  
ჰ-რქუა-ნ

შე-ე-სუა  
შე-ჰ-სუა  
შე-სუა-ს  
შე-ე-სუა-თ  
შე-ჰ-სუა-თ  
შე-სუა-ნ

მო-ე-კლა  
მო-ჰ-კლა  
მო-კლა-ს  
მო-ე-კლა-თ  
მო-ჰ-კლა-თ  
მო-კლა-ნ

შე-ე-თხზა  
შე-ს-თხზა  
შე-თხზა-ს  
შე-ე-თხზა-თ  
შე-ს-თხზა-თ  
შე-თხზა-ნ

შე-ე-ი-ჰყრა  
შე-ი-ჰყრა  
შე-ი-ჰყრა-ს  
შე-ე-ი-ჰყრა-თ  
შე-ი-ჰყრა-თ  
შე-ი-ჰყრა-ნ

ღა-ე-ჰ-ფლა  
ღა-ჰ-ფლა  
ღა-ჰ-ფლა-ს  
ღა-ე-ჰ-ფლა-თ  
ღა-ჰ-ფლა-თ  
ღა-ჰ-ფლა-ნ

ღა-ე-ჰ-ჰ-ჰ-ა  
ღა-ჰ-ჰ-ა  
ღა-ჰ-ჰ-ა-ს  
ღა-ე-ჰ-ჰ-ა-თ  
ღა-ჰ-ჰ-ა-თ  
ღა-ჰ-ჰ-ა-ნ

ე-ცნა  
ს-ცნა  
ცნა-ს  
ე-ცნა-თ  
ს-ცნა-თ  
ცნა-ნ



## გ) მწკრივის ნიშანა ე

მი-ე-ს-ც-ე	ე-შ-ე-ე	და-ე-ი-ც-ე-ე
მი- ს-ც-ე	ჰ-შ-ე-ე	და- ი-ც-ე-ე
მი- ს-ც-ე-ს	შ-ე-ე-ს	და- ი-ც-ე-ე-ს
მი-ე-ს-ც-ე-თ	ე-შ-ე-ე-თ	და-ე-ი-ც-ე-ე-თ
მი- ს-ც-ე-თ	ჰ-შ-ე-ე-თ	და- ი-ც-ე-ე-თ
მი- ს-ც-ე-ნ	შ-ე-ე-ნ	და- ი-ც-ე-ე-ნ
აღ-ე-ა-გ-ზნ-ე	ე-ქნ-ე-ე	გან-ე-რყუნ-ე
აღ- ა-გ-ზნ-ე	ჰ-ქნ-ე-ე	გან-პ-რყუნ-ე
აღ- ა-გ-ზნ-ე-ს	ქნ-ე-ე-ს	გან- რყუნ-ე-ე-ს
აღ-ე-ა-გ-ზნ-ე-თ	ე-ქნ-ე-ე-თ	გან-ე-რყუნ-ე-თ
აღ- ა-გ-ზნ-ე-თ	ჰ-ქნ-ე-ე-თ	გან-პ-რყუნ-ე-თ
აღ- ა-გ-ზნ-ე-ნ	ქნ-ე-ე-ნ	გან- რყუნ-ე-ე-ნ

ამასვე შეიძლება დაეუროთოთ მრწამს საშუალო გეარის ზნის უღლებაც: ე-პ-რწმენ-ე, პ-რწმენ-ე, პ-რწმენ-ე-ს, ე-პ-რწმენ-ე-თ, პ-რწმენ-ე-თ, პ-რწმენ-ე-ნ.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, დღევანდელ ენაში გარდამავალი ზნებიდან უღლების ამ ტიპს შერჩა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიცემა ზნა, სხვა ყველა ა და ო მწკრივისნიშნინათა რიგებში გადავიდა (ეშეა, დაეიცეა, ვისსნა, გაერყენა, გაეზრწნა, ექნა... ვიგრძნო, აღეაგ-ზნო, მიეაყრდნო). როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში ე მწკრივისნიშნინანი გარდამავალი ზნები შეუდარებლად მეტი იყო. ხომ არა აქვს ამას რაიმე საფუძველი? ვფიქრობთ, კი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ ზნას (ე-შ-ე-ე, და-ე-ი-ც-ე-ე ...). ყველა დანარჩენს ფუძე ნ-ზე უბოლოვდება, ყველა კუშშეაღია, ყველას ნ-ს წინ მღვარი ე ეკუშშეაღ და ყველას აქვს კავშირებითში მწკრივის ნიშნად ე სუფიქსი: ვივსენ მე იგი, მაგრამ: რაითა ვივსენ მე იგი; ექმენ — ექმენ-ე, განერყუნენ — განერყუნენ-ე, ეაგრძენ — ეაგრძენ-ე... ჩვენ გვგონია, რომ აქ გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის წარმოების მყარი წესი: როცა პირდაპირი ობიექტი (ნარიან) მრავლობითშია, მაშინ II კავშირებითის მწკრივის ნიშნად ყველგან და ყოველთვის არის მხოლოდ და მხოლოდ ე სუფიქსი, სულ ერთია, რა ნიშანი ჰქონდა ზნას მხოლოდობითში. მაგალითად:

და-ე-წერ-ო წერილი,	მაგრამ:	და-ე-წერ-ნ-ე წერილნი
ე-ჭამ-ო პური		ე-ჭამ-ნ-ე პურნი
ე-ი-ხილ-ო კაცი		ე-ი-ხილ-ნ-ე კაცნი
ე-თქუ-ა სიტყუა		ე-თქუ-ნ-ე სიტყუანი
მო-ე-კლ-ა მგელი		მო-ე-კლ-ნ-ე მგელნი
შე-ე-ი-პყრ-ა სირი		შე-ე-ი-პყრ-ნ-ე სირნი.

თავისთავად ცხადია, რომ, თუ II კავშირებითში მწკრივის ნიშნად ე არის, მაშინ, როცა პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითშია, ამ ობიექტის მრავლობითობის

შეზღვევამოც ე ქება მწკრივის ნიშანი: მი-ვ-ს-ც-ე წიგნი და მი-ვ-ს-ც-ნ-ე წიგნნი, ე-შე-ე შილი და ე-შენ-ე შილინი, და-ვ-ი-ც-ე ძმა და და-ვ-ი-ც-ნ-ე ძმანი.

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, II კავშირებითში მწკრივის ნიშნად მხოლოდ და მხოლოდ ე გვაქვს და სათანადო ფორმათა დაბოლოებაც ყველა პირში არის ნე: მოკლ-ნე, მოკლ-ნე, მოკლ-ნეს, მოკლ-ნეთ, მოკლ-ნეთ, მოკლ-ნენ. აი, ამის ასოციაციით წერენ მწკრივის ნიშნად ეს ისეთ ზმნებში, რომელთაც ფუძის ბოლოს ნ ბგერა აქვთ. ეს ნ გადაშწერთა შეგნებაში აღქმულია, როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი. უღლებაც საესებით ერთნაირია. მღრ., მაგალითად:

ქ. ობ. მრ.

ვი-ს-ხ-ნ-ე იგინი

ი-ს-ხ-ნ-ე

ი-ს-ხ-ნ-ეს

ვი-ს-ხ-ნ-ეთ

ი-ს-ხ-ნ-ეთ

ი-ს-ხ-ნ-ენ

საინტერესოა, რომ ასეთი მსგავსება წყვეტილშიც არის:

ვი-ს-ხ-ენ იგინი

ი-ს-ხ-ენ

ი-ს-ხ-ნ-ა

ვი-ს-ხ-ენ-თ

ი-ს-ხ-ენ-თ

ი-ს-ხ-ნ-ეს

ქ. ობ. მხ.

ვი-ვ-ს-ნ-ე იგი

ი-ვ-ს-ნ-ე

ი-ვ-ს-ნ-ეს

ვი-ვ-ს-ნ-ეთ

ი-ვ-ს-ნ-ეთ

ი-ვ-ს-ნ-ენ

ვი-ვ-ს-ენ იგი

ი-ვ-ს-ენ

ი-ვ-ს-ნ-ა

ვი-ვ-ს-ენ-თ

ი-ვ-ს-ენ-თ

ი-ვ-ს-ნ-ეს

ჩვენი აზრით, პირველი ტიპის მაგალითები უმაგრებდა ზურგს, რომ II ტიპის უღლებამი მწკრივის ნიშნად ე შერჩენილიყო უფრო დიდხანს. შემდეგში კი, როცა ანალოგიის ეს წყარო მოიხსნა, II კავშირებითის მწკრივის ნიშნად ეს გამოყენებაც შემცირდა თანდათანობით და დღეს ამ ტიპის ზმნა ერთილა შემოგვრჩა.

ეს პროცესი — გარდამავალ ზმნებში II კავშირებითის მწკრივის ნიშნად ეს თანდათან გაქრობა — თვით ძველ ქართულში ადრე იყო ჩასახული და მის კვალს უკვლეს ძეგლებშიც ვხვდებით. ეს რყევა ეხება როგორც ზემოაღნიშნულ ნარიან ზმნებს, ისე, მით უფრო, სხვებსაც. აი, რამდენიმე საწიმუშო მაგალითი:

იგი გფარვიდეს შენ, და იგრძნა უჭკუელად ძალი იგი (სწავ. 300,23 AC). მაგრამ B-ს აქვს იგრძნე; და, თუ აგრძნეს მამამან შენმან, წარგუწყმიდნეს ჩუენ (პარხ. 717b); და ამცნებდა მათ ფრიად, რაითა არაეინ აგრძნეს ესე (მრ. 5,43 CE; D: აგრძნას); და ჩუენ ვერ აგრძნათ. რაეაშს იელტოდის (საკ. წ. II, 64,23).

არა დაშთეს აქა ქვაი ქვას ზედა, ვიდრემდე ყოველივე დაირღუეს (მ. 24,2 CEFGIK; დაირღუეს D).

დაღათუ მრავალ ვზის განპრცხა წყლითა, გესლი იგი არავე განეყარის მისგან (სწავ. 43,18). მაგრამ იქვე: შეჰმარიღნე განრყუნრიღნე გულის-სიტყუანი შენნი და განპრცხე სულ-მყარლობაი ცოდვისაი (სწავ. 136,6 A: განპრცხა BC); რომელმან

ჭამოს მკუდარი მათგანი, /მან/ განირცხეს სამოსელი თვისი და არაწმიდა იყოს იგი ვიდრე მწუხარდმდე (ლევ. 11,40).

და ლათუ ესმეს ესე მთავარსა მას (მ.28,14). მაგრამ: რაითა ესმას ერსა (გამ. 19.9).

რაითა აღმოჰქუხურას სასენებელი შენი გულისაგან ჩემისა (მ. ცხ. 69r): ნუკუე შეკრებასა მას ლუარძლისასა აღმოჰქუხურათ იუკლიცა (მ. 13,29). მაგრამ: ვიდრემდის აღჰქუხურე საძირკული თქუენი (პარხ. 1065b); ყოველი ნერგი ... ძირითურთ აღიფხურეს (მ. 15,13 DE; აღმოიფხურეს C; შდრ. აღიფხურას HIK).

რაი კეთილი ვქნე (მ. 19,16); ნუკუე შფოთი იქნეს ერისაი (მრ. 14,2): რაითა ფრიად იენოს და შეურაცხ იქნეს (მრ. 9,12). მაგრამ: რაი საქე ვქნა (ლ. 18.18 D; ვქნე CEFGHIK); ვიდრემდე ესე ყოველი იქნას (მ. 24,34 D; იქნეს EFGHIK); რომელმან ესე არა მოიგოს, არამედ უღებ იქნას ცხორებისა თვისისათვის, იგი ბრმა არს და მწუხარე (სწავ. 24,14).

აჰა ესერა შენ მუცლად-ილო და ჰმეუ ძმ და უწოდი სახელი იესუ (ლ. 1,31): ამისთვის მუცლად-ილო და შვე ძმ და უწოდო სახელი მისი იესუ (სინ. 4,5). მაგრამ: წარვედ სახიდ შენდა და შეებთხვე ქმარსა შენსა და ბეყსეულად ილო (ასეა!) და ჰმეუ ძე და უწოდი სახელი მისი სემიონ (კიმ. I, 217,28 U; N: ჰმეუ).

გამხილო მას... დავიცე სიწესიერებაი იგი მისი შენგან (Sin. 97. 166va,1); ზ სულო ჩემო, ვითარ-ჲე განვერე საქმეთა მათგან მოწყენულთა და ვითარ დავიცე ცოდვთაგან მოწყენადთა (სწავ. 185,2); მან თავადმან თავს-მიღვას მე და ღამიცივს ყოველთაგან ბოროტთა გუემათა შენთა (პარხ. 729a); სანახები ესე ჩუენი დაიცივს უფალმან (კიმ. I, 262,25). მაგრამ: იგი დავიცეა თქუმად (რიცხ. 23,12 G); ოდეს დაიცივას კაცმან თავი თვისი. უკჳს, რაითა ისწრაფოს (Sin. 85, 179v); ოდეს მუშაკმან დაიცივას ყანაი იგი თვისი კეთილად ვიდრე მკადმდე (იქვე. 180r); რაითა დაიცივან ბეჭედი ქრისტიანობისაი სარწმუნოებით (პარხ. 695b).

შეკრიბონ იგი /ნასხლევი/ და ცეცხლსა დასხან და დაიწუეს (ი. 15,6 DEFG; მაგრამ: დაიწუას CHIK); რომელსა უნდეს, მწუხარე იყოს, და რომელი დაიწუეს, დაიწუეს (სწავ. 196,27). მაგრამ იქვე: რაითა არღარა კუალად იქცენ. მუნვე გონებითა მათითა და იხილონ იგი, დაღაცათუ ყოველი საქე მათი დაიწუას (196,7).

შეეშინა ასისთავსა მას, ნუკუე განიჭრეს პავლე მათგან (მოც. 23,10; მაგრამ: განიჭრას D). ე.გარითის გამოცემაში ენანი ფორმა: განიჭრეს.

რომელი განჰსენეთ ქუეყანასა ზედა, ვსნილი იყოს იგი ცათა შინა (მ. 18.18 DFG, განჰსენეთ C. მაგრამ: განჰსენათ EHIK). ეს ზნა ანალოგიურ ფრაზაში სხვა ადგილას (მ. 16.19) ასეთი სახით გეხვდება: განჰსენა EHIK, განჰსენა C, განჰსენა D; მაგრამ: განჰსენე FG; ნუკუე ... განგვსენეს შენ ამის მძიმისა კრულებისაგან (ლიმ. 104,3). მაგრამ იქვე: რაითა განგვსენას ცხორებასა მისსა (103,27).

ფორმათა ეს ჭიდილი და რყევა დიდხანს გრძელდებოდა. საბოლოოდ დასრულებული დღესაც არ არის. რამდენადაც დღესაც შესაძლებელია მოვისმინოთ და წავეკითხოთ როგორც "ეს მიზეზი გამოირიცხულ უნდა იქნეს", ისე "...უნდა იქნას". ისე კი. თუ ორიოდ შემთხვევას არ მივიღებთ მხედველობაში (უნდა ვიგრძნო, ალვა-გზნო...). გეზი იქითაა აღებული, რომ აღნიშნულ სადავო შემთხვევებში მწკრივის

ნიშნად ა გაბატონდეს (უნდა დაიცვა, გავხსნა, ვიხსნა, ვშვა, გავრყვნა, გავხრწნა). როგორ არის საქმე ენებითი გვარის ზმნებში?

როგორც აღნიშნული გვეჩნდა, პრეფიქსიანი ენებითები მწკრივის იმ ნიშანს დაირთავენ, რომელიც შესაბამის მოქმედებითს მოუპოვება:

და-უ-ა-ბ-ა

და-ე-ე-ბ-ა

მი-ე-ს-ც-ე

მი-ე-ე-ც-ე

და-ე-მალ-ო

და-ე-ი-მალ-ო.

ეს წესი მეტად მარტივია. თუ იცი მოქმედებითი გვარის ზმნათა უღლება II კავშირებითში, გეცოდინება სათანადო ენებითთა უღლებაც, უკეთ: მწკრივის ნიშანი. მაგრამ აქ თქმული მხოლოდ მხოლოდობით რიცხვს ეხება. მრავლობითი როგორილა? სირთულე სწორედ მრავლობითშია. საქმე ისაა, რომ პრეფიქსიანი ენებითების უღლებას II სერიის მწკრივებში ერთგვარი სირთულე ახლავს. იგი არსებითად ზმნაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვასთან არის დაკავშირებული. რადგანაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის შესწავლა მწკრივების გავლის შემდეგ გადაწყვეილეთ, ამ საკითხს დაწვრილებით იქ განვიხილავთ, აქ კი ვიტყვი, რომ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის წესი მოქმედებითიდან გადმოყოლილი აქეთ პრეფიქსიან ენებითებს მრავლობითის ფორმებში. და, რაკი სათანადო მოქმედებითს ასეთ შემთხვევაში მწკრივის ნიშნად ყოველთვის ერთი ნიშანი, ე სუფიქსი, აქვს, იგივე ე სუფიქსი იქნება ენებითთა მწკრივის ნიშანი მრავლობითში. გამოდის, რომ პრეფიქსიან ენებითებს ერთ მწკრივში, II კავშირებითში, 2 მწკრივის ნიშანი აქვთ: ერთი (ო, ა, ე) — მხოლოდობითში, ხოლო მეორე (მხოლოდ ე) — მრავლობითში. ეს, ცხადია, დიდ უხერხულობას ქმნიდა და ენა ცდილობდა, საქმე გაემარტივებინა, ფორმები დაეხვეწა, მხოლოდობითი და მრავლობითი ერთ პრინციპზე აეგო. ენის ეს დაუცხრობელი მისწრაფება ახალ ქართულში განხორციელდა. აღნიშნული სიძნელეები პრეფიქსიანმა ენებითებმა ჩამოიცილა და ორივე რიცხვისათვის ერთი საერთო ყალიბი შექმნა. მართალია, ერთი სირთულე ახლაცაა დარჩენილი. ის წყვეტილის შესაბამის პირის მრავლობითს ეხება (დაიმაღლენ, დაესწრენ), მაგრამ ამაზე უკვე გვეჩნდა საუბარი და აქ აღარაფერს ვიტყვით. ქვევით, როცა ენებითებზე ცალკე გვეჩნება მსჯელობა, ამ საკითხზე კვლავ ჩამოვადგებთ ლაპარაკს.

ახლა ვნახოთ პრეფიქსიან ენებითთა უღლების პარადიგმები:

ა) მწკრივის ნიშანია ო

ო-ო-ო

გან-ო-ი-კითხ-ო

გან-ე-ე-შზად-ო

ო-ო-ო

გან-ო-კითხ-ო

გან-ე-შზად-ო

ო-ო-ოს

გან-ო-კითხ-ოს

გან-ე-შზად-ოს

ო-ო-ე-ნ-ეთ

გან-ო-ი-კითხ-ნ-ეთ

გან-ე-ე-შზად-ნ-ეთ

ო-ე-ნ-ეთ

გან-ო-კითხ-ნ-ეთ

გან-ე-შზად-ნ-ეთ

ო-ე-ნ-ენ

გან-ო-კითხ-ნ-ენ

გან-ე-შზად-ნ-ენ

## ბ) მწკრივის ნიშანია ა

მო-ე-ი-კლა	შე-ე-ი-პყრ-ა	და-ე-ე-ფლა
მო ი-კლა	შე ი-პყრ-ა	და- ე-ფლა
მო ი-კლა-ს	შე ი-პყრ-ა-ს	და- ე-ფლა-ს
მო-ე-ი-კლ-ნ-ეთ	შე-ე-ი-პყრ-ნ-ეთ	და-ე-ე-ფლ-ნ-ეთ
მო- ი-კლ-ნ-ეთ	შე- ი-პყრ-ნ-ეთ	და- ე-ფლ-ნ-ეთ
მო- ი-კლ-ნ-ენ	შე- ი-პყრ-ნ-ენ	და- ე-ფლ-ნ-ენ

## გ) მწკრივის ნიშანია ე

ე-ი-ქმნ-ე	და-ე-ი-ცე-ე	გან-ე-ერ-ე
ი-ქმნ-ე	და- ი-ცე-ე	გან- ერ-ე
ი-ქმნ-ე-ს	და- ი-ცე-ე-ს	გან- ერ-ე-ს
ე-ი-ქმნ-ნ-ეთ	და-ე-ი-ცე-ნ-ეთ	გან-ე-ერ-ნ-ეთ
ი-ქმნ-ნ-ეთ	და- ი-ცე-ნ-ეთ	გან- ერ-ნ-ეთ
ი-ქმნ-ნ-ენ	და- ი-ცე-ნ-ენ	გან- ერ-ნ-ენ

რაც შეეხება სხვა ვნებითებს (ღონიანებს, ენ სუფიქსიანთ და უნიშნობებს), მათი საქმე ამ მხრივ მარტივია: ყველას ერთადერთი ე აქვს მწკრივის ნიშნად მხოლოდ ბითშიც და მრავლობითშიც. აი, მათი ულლებების სქემა:

## ა) ღ სუფიქსიანი

და-ე-ბერ-ღ-ე	გან-ე-ცოცხლ-ღ-ე	ე-ცხოვნ-ღ-ე
და-პ-ბერ-ღ-ე	გან-ს-ცოცხლ-ღ-ე	ს-ცხოვნ-ღ-ე
და- ბერ-ღ-ე-ს	გან- ცოცხლ-ღ-ე-ს	ცხოვნ-ღ-ე-ს
და-ე-ბერ-ღ-ეთ	გან-ე-ცოცხლ-ღ-ეთ	ე-ცხოვნ-ღ-ეთ
და-პ-ბერ-ღ-ეთ	გან-ს-ცოცხლ-ღ-ეთ	ს-ცხოვნ-ღ-ეთ
და- ბერ-ღ-ენ	გან- ცოცხლ-ღ-ენ	ცხოვნ-ღ-ენ

## ბ) ენ სუფიქსიანი

და-ე-ღუმ-ნ-ე	და-ე-გლახაკ-ნ-ე	გან-ე-ლოგ-ნ-ე
და-ს-ღუმ-ნ-ე	და-პ-გლახაკ-ნ-ე	გან-პ-ლოგ-ნ-ე
და- ღუმ-ნ-ე-ს	და- გლახაკ-ნ-ე-ს	გან- ლოგ-ნ-ე-ს
და-ე-ღუმ-ნ-ეთ	და-ე-გლახაკ-ნ-ეთ	გან-ე-ლოგ-ნ-ეთ
და-ს-ღუმ-ნ-ეთ	და-პ-გლახაკ-ნ-ეთ	გან-პ-ლოგ-ნ-ეთ
და- ღუმ-ნ-ენ	და- გლახაკ-ნ-ენ	გან- ლოგ-ნ-ენ

გ) უნიშნო

გან-უ-ტფუ	და-უ-ს-ცხრ-ე	და-ე-ა-ღგრ-ე
გან-ს-ტფუ	და- ს-ცხრ-ე	და- ა-ღგრ-ე
გან- ტფუ-ს	და- ს-ცხრ-ე-ს	და- ა-ღგრ-ე-ს
გან-უ-ტფუ-თ	და-უ-ს-ცხრ-ე-თ	და-ე-ა-ღგრ-ე-თ
გან-ს-ტფუ-თ	და- ს-ცხრ-ე-თ	და- ა-ღგრ-ე-თ
გან- ტფუ-ენ	და- ს-ცხრ-ე-ნ	და- ა-ღგრ-ე-ნ

დასასრულ, წარმოვადგენთ ზოგი საშუალო გეარის (და სხვა) ზმნას, რომელთაც რაიმე თავისებურება ახასიათებთ II კავშირებიტის წარმოების თვალსაზრისით:

მო ვიღ-ე	გარდამო-ე-ვღ-ე	მო-უ-ვღ-ე
მო-ხ-ვღ-ე	გარდამო-ჰ-ვღ-ე	მო-უ-ვღ-ე
მო ვიღ-ე-ს	გარდამო- ვღ-ე-ს	მო-უ-ვღ-ე-ს
მო ვიღ-ე-თ	გარდამო-ე-ვღ-ე-თ	მო-უ-ვღ-ე-თ
მო-ხ-ვღ-ე-თ	გარდამო-ჰ-ვღ-ე-თ	მო-უ-ვღ-ე-თ
მო ვიღ-ე-ნ	გარდამო- ვღ-ე-ნ	მო-უ-ვღ-ე-ნ

—	ე-ჰ-ბრძ-ო <sup>150</sup>
—	ჰ-ბრძ-ო
და- ცვე-ე-ს	ჰ-ბრძ-ო-ს (მან)
და-ე-ცვე-ე-თ <sup>151</sup>	ე-ჰ-ბრძ-ო-თ
და-ს-ცვე-ე-თ	ჰ-ბრძ-ო-თ
და- ცვე-ე-ნ	ჰ-ბრძ-ო-ნ (მათ)

ახლა მოვიყვანოთ II კავშირებიტის ნიმუშები ძველი ძეგლებიდან:

**თ შჳარ-იჳის-ნი-შენ-ი-ა-ნ-ი:** რაი-მე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა დავიკრიბო ნაყოფი ესე ჩემი (ლ. 12, 17); აწ უკუეთუ განჰკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და ვყო მკვდრ მცხეთას შინა შსახურად არმაზისა (მოქც. 232, 13); ვინ ამის ეკლესიადსა დავით ეპისკოპოსსა სულაოს (ისტ. ქრ. I, 14); მოხატკიოს ნათესაჲმან მან უკეთურებისაგან მათისა (იერ. 18, 8); ჩუენ ზუარწმუნოთ მას და თქვენ უზრუნველ გყვენთ (მ. 28, 14 X); და რომელი მე მომეხუეჲა, მიხუაგო ოთხ წილად (ლ. 19, 8 Y); იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს ოგი (შუმ. 137, 22); წარვიყვანო შენ სხუად ქუეყანად და განგამრავლო და აღგაორძინო შენ ღიდად (ევსტ. 149, 1); ნუ ჰზრუნავთ სულთა თქვენთათვის, რაი შჳამოთ ანუ რაი სუათ (მ. 6, 25 E).

<sup>150</sup> ეს ზმნა იმავე ტიპისაა, როგორისაც ვყო: ო ე-ს და ა-ს შერწყმითაა მიღებული. კავშირებითში ამ ზმნას ა უნდა ჰქონოდა შწკრივის ნიშნად. რადგან მისი წყვეტილი უნიშნოა: ეჰბრძავ, ჰბრძავ, ჰბრძო (=ჰბრძვა).

<sup>151</sup> ზოგ მკვლევარს ეს ფორმები წყვეტილის ნიმუშებად მიაჩნია. შდრ. ა. ქაუთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში, გვ. 165.

უკუთუ გბრძოს შენ ამპარტაკანებითა. შეიჭურვე შენ საჭურველითა მით სიმდაბლისადათა; და თუ გბრძოს შენ ნებითა ჯორცთადათა, მოირტყ შენ სინძიდე,... უკუთუ გბრძოს შენ ნაყოფებითა, შეისხენ შენ ფრთენი მარხვისანი (სწავ. 144.17.19.21); რაითა /ზღუაი/ უკუნიტეს ჩუენგან და ვყოთ მუნ ჩუენდად სხუადაც მალნარი (3 ეზრა 4.14); ხუკეს, მოუძღუნათა სამკაული ესე მისი? (შუშ. 137,15); ნუკუე მათცა კუალად გზადონ შენ (ლ. 14.12).

**ა შპარიჰისნიშნიაწნი:** უკუთუ არა დახუღვა ველი ჩემი გუერდსა მისსა. არასადა მრწმენეს (ი. 20,25 X); რომელმან ყოს და ხასწაოს, მას დიდ ზერქუას სასუფეველსა ცათასა (ისტ. ქრ. I, 49,7); ოდეს ხთქუა მეუფედ მამაი. ნუ განხყოფ ძესა (იქვე, 49,17); მოედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკედრებელი მისი (მ. 21,38 C); აღდგე, წარვიდე მამისა ჩემისა და გპრქუა (ლ. 15,17); აღდგეს სახლისა უფალი და დაჰსას კარი (ლ. 13,25); მერმეცა მას დღესა ამის კრებულისათვის გვრგვნი შევთხზა (მრავ. 316, 35); მან დაამუყას იგი (ურთ. 32,3); და მან თავს-მოდვას მე (პარხ. 729a); ჯაჰვე იგი სარწმუნოებისაი შთავიკუათ და სათნოი იგი ცხოვრებაი მოვიბლარდნით (სინ. 18,11).

**ჟ შპარიჰისნიშნიაწნი:** ესე ყოველი მოგცე /შენ/ (მ. 4,9); ვისცა უცეს /გუელ-მან/, ვეცხლისა ჭვრჭვლსა ზედა დაწერე და საულითა გარეცხ და წყალი შეასვი (Опис. 253,16); მოძღუარ, რაი ვქნე, რაითა ცხოვრებაი საუკუნი დავიმკედრო? (ლ. 10,25); აღხუაგზნე ცეცხლი ბჭეთა იერუსალმისათა, და შეჭამენს ზღურბლნი იერუსალმისანი და არა დაშრტეს (იერ. 17,27); აჰა ესერა შენ მუცლად-ილი და ჰშვე ძმ (ლ. 1,31); ნუკუე შეკრებისა ღუარძლისასა აღმოჰფხურეთ მის თანა იფქლიცა (მ. 13,29 BFGM).

ნეტან ხიყვენ, რომელთა ხუეხილვო და ხურწმენე (ი. 20,29 X); რაითა გრწმენეს და ცხოვრებაი გაქენდეს სახელითა მისითა (ი. 20,31); ვინ უწყის, თუ მუნ კთილსა რასმე შეეებთხვო და ბოროტსა ამას განკერე (შუშ. 140,14); შვილნი შენნი შორის შენსა დაეცენ და არა დაშთეს ქეაი ქეასა ზედა (ლ. 19,44); რამეთუ წარ-ჰძღუე წინაშე პირსა უფლისასა (ლ. 1,76 C); ან ვდგე მე მონად შენდა (დაბ. 44,33).

და მე ვიდრე-მე ვიდე (დაბ. 37,30); რომელსა ჰედვას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა (მ. 12,11 Z); უკუთუ მოგკუდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტეს თანა ვცხონდე (აბო 171,13); რაჟამს დაამბერდე, განგიყრენენ ველნი შენნი და სხუათა შეგარტყან (ი. 21,18).

აღნიშნული გექონდა, რომ, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, სამივე შემთხვევაში მწკრივის ნიშანი არის მხოლოდ ე. ამაზე დაწერილობით ქვემოთ გექქნება საუბარი, როცა ყველა მწკრივის შევისწავლით, აქ კი მტირე საილუსტრაციო მა-სალის მოყვანით დაკმაყოფილებით და II კავშირებითზე საუბარს ამით დავასრუ-ლებთ.

რაითა მოვიხუნე ბუალნი იგი წმიდისა სტეფანოსნი (ისტ. ქრ. I, 251,40. მხ. მოვილო); დავარღენე საუნჯენი ჩემნი და უფროდსნი აღვაშწნე (ლ. 12,18. მხ. დავარღვო, აღვაშწნო); მოეცენ შესაკრებელთა და საპყრობილესა, მეფეთა და

მთავართა მოციქვანნი სახელის ჩემისათვის (ლ. 21,12. მხ. მიტეკე, მოციქვანონ); ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მისნი ისმინნეს და აცხოვნნეს ივინი (ხანძთ. 225.23. მხ. ისმინოს, აცხოვნოს); შეჭამნენ მფრინველთა ცისათა ჳორცნი შენნი (დაბ. 40.19. მხ. შეჭამონ).

## 11. შერეული კავშირებითი

შერეული კავშირებითი ახლად აღმოჩენილი და დადგენილი მწკრივია. მართა-ლლა, ამ მწკრივის ფორმებს, როგორც მეტად თავისებურთ, ადრეც მოუქცევიათ ყურადღება, მაგრამ ისინი ცალკე მწკრივად არ მოუწვევიათ.

ნ.მარი, მაგალითად, მოგოცენწოდის შესახებ ამბობდა: "Загадочным является для меня форма моготсєнწодис... Быть может, она также тао-кларджетизм"<sup>152</sup>. ა.ჩიქობავა თავის შრომებში ასეთ ფორმებს უწოდებს "ნამყო უსრულს", "არქულ ნამყო უსრულს", "ნამყო უსრულის ხოლმეობითს", "წაქეზებით ბრძანებითს" და ცალკე, დამოუკიდებელ, მწკრივად არ მაჩნია<sup>153</sup>.

მოგოცენწოდის, წარავლიწოდის და დასდვოდის ფორმათა შესახებ ა.შანიძე გაკერით მსჯელობდა ერთ სხვა საკითხისადმი მიძღვნილ წერილში და აღნიშნავდა ამ ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის ზოგ არსებით ნიშანს<sup>154</sup>, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ საეციალურ მოხსენებაში ვრცლად შეჩერდა ამ საკითხზე, დაწერილებით განიხილა ასეთი ფორმები, ისინი ცალკე მწკრივად გამოყო, სახელად შერეული კავშირებითი უწოდა და ადგილი II სერიაში მოუწინა, II კავშირებითის გვერდით<sup>155</sup>.

ა.შანიძე წერს: "ქართული ენის IX-X სს-თა ძეგლებში გვხვდება ფორმები, რომლებიც ვერ თავსდება ვერც ერთის აქამოდღე ცნობილი მწკრივის ფარგლებში. წარმოების თვალსაზრისით ისინი II სერიას ეკუთვნიან — მის ფუძეს ეყრდნობიან, მაგრამ ზედ ურთავენ ოდ საერკობს, რომელიც I სერიიდან არის აღებული. ამის გამო ისინი ორგვარ ბუნებას იჩენენ: სინტაქსური თავისებურებანი II სერიის მწკრივებისა აქეთ (გარდამავალი ზმნები ქვემდებარეს მოთხრობითში შეიწყობენ, პირდ. დამატებას კი — სახელობითში), ხოლო ერთი მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ისინი I სერიის რიგებში დგანან: ასპექტი უსრული აქეთ. დრო მათ მომავალი აქეთ, კილო — თხრობითი ან კავშირებითი, ზოგჯერ ბრძანებითიც. ამგვარად, ფუნქციით ისინი ეტოლებიან მწკრივს, რომელიც I კავშირებითის (ან I მყოფადის) სახელით არის ცნობილი. მაგალითი: "საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდინ მას ნაყოფი ყამთა მათთა (მ. 21,41 C). აღნიშნული ორ-ბუნებოვანი მწკრივი

<sup>152</sup> Деяния трех святых близнецов мучеников Спевсипа, Еласипа и Меласипа. Грузинский текст по двум рукописям X века исследовал, издал и перевел Н.Март: ЗВОИРАО. 17. 1906. გვ. 285 და შემდეგ. ებოწმებთ ა.შანიძის შრომის მიხედვით: სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი. გვ. 843.

<sup>153</sup> ა.ჩიქობავა. ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერულ-კავკასიურ ენებში. I. გვ. 59-65 და სხვ.

<sup>154</sup> ა.შანიძე. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი. გვ. 843.

<sup>155</sup> ა.შანიძე. მწკრივთა მოძღვრებისათვის. V. სხვა უცნობი მწკრივი ქართულში: თსუ. სამეცნიერო სესია (1948 წ. 31 მაისი-5 ივნისი). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.



უთუოდ მეორეული წარმოშობისაა. ამაზე მოუთითებს ობიექტური ნ ინფიქსის ჩასმა ზმნის ფუძესა და ოდ საერცობს შორის: შეწიროდის (მან იგი), მაგრამ: შეწიწიროდის (მან იგინი)<sup>156</sup>.

კარგადაა ნათქვამი, ორბუნებოვანი მწკრივიანო. მისი ეს ორი ბუნება ნათლად გამჟღავნდება, თუ ამ მწკრივის ფორმებს მოეუძებნით შესატყვისებს პარალელურ ტექსტებში. აქ მათ ზან I კავშირებითი ცვლის, ზან — II.

ა) რაითა ეზიაროდის იგი ჟამსა, დასწეულებასა მისსა (ლომ. 41,28 S = Sin. 36); მაგრამ: რაითა ეზიარებოდის იგი ჟამსა დასწეულებისა მისისასა (იქვე, A = ათონ. 9).

უბოდ ზროხათაგან და ვერძი ცხოვართაგან უბიწონი შეწიწიროდიან (ეზეკ. 43,25 IO), მაგრამ: ზუარაკსა ზროხათაგან და ვერძსა ცხოვართაგან უბიწოთა მყოფედენ (იქვე, თბილ. გამოც. 1884). აქ თუმცა სხვადასხვა ზმნაა, მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა მწკრივი. მწკრივი კი მეორე შემთხვევაში I კავშირებითია, რომელსაც ენაცვლება შერეული კავშირებითი.

ბ) რომელთა მისცოდინან მას ნაყოფი ჟამთა მათთა (მ. 21,41 C), მაგრამ: რომელთა მისცენ ნაყოფი ჟამსა თვისსა (იქვე, DE).

რაითა წარავლინნოდის იგინი ქდაგებად (მრ. 3,14 C). მაგრამ: რაითა წარავლინნეს იგინი ქდაგებად (იქვე, DE).

დაძხუროდინ მას ზედა საბურველნი ტყავნი ვაკინთონნი (რიცხ. 4,6 G), მაგრამ: დასდვან მას ზედა საბურველი იგი ტყავი იაკინთონი (იქვე, M).

მოიღონ სამოსელი პორფირი და შეხუროდინ საბანელი (რიცხ. 4,14 G), მაგრამ: მოიღონ სამოსელი ძირეული და შეხურონ ემბაზსა მას (იქვე, pb).

განმრავლებით განვამრავლო თესლი შენი და არა აღირაცხოდის სიმრავლისაგან (დაბ. 16,10. თბილ. გამოც. 1884), მაგრამ: განმრავლებით განვამრავლო ნათესავი შენი, რომელი ვერ აღირაცხოს სიმრავლითა (იქვე, O).

ზოგან სამივე შესაძლებლობა ერთად გვხვდება:

რამეთუ იგინი ძოვდენ და დაიძინოდინან (სოფ. 3,13 ლაგ.), მაგრამ: დაიძინონ O (ოშკი), დაიძინებოდინან I (იერუს.). აქ ყველგან მომავალი დროა გამოხატული: ზოგან I კავშირებითით (და უსრული ასპექტით), ზოგან II კავშირებითით (და სრული ასპექტით), ხოლო მესამეგან ჩვენთვის საინტერესო მწკრივით (შერეული კავშირებითით).

რაკი ამ ორბუნებოვან მწკრივში ორივე (I და II) კავშირებითის თვისებებია გაერთიანებული, სად არის მისი ადგილი, სად უნდა მოთავსდეს იგი — I თუ II სერიაში?

განვიხილოთ უფრო გამოწვლილვით, რა აქვს მას საერთო I სერიასთან და რა — II-სთან. ამის შემდეგ უფრო ადვილი იქნება მისი ადგილის განსაზღვრა.

შერეულ კავშირებითს I სერიასთან სამი რამ აერთიანებს:

1. უსრული ასპექტი
2. ოდ საერცობი

3. უღლება. შერეულ კავშირებითში ზმნები იღლებიან ისე, როგორც ყოველი ოღიანი ზმნა I კავშირებითში. მაგალითად:

I კავშ.

ე-ტირ-ოდ-ი

ს-ტირ-ოდ-ი

ტირ-ოდ-ი-ს

ე-ტირ-ოდ-ი-თ

ს-ტირ-ოდ-ი-თ

ტირ-ოდ-ი-ან

შერ. კავშ.

და-ე-კლ-ოდ-ი

და-კ-კლ-ოდ-ი

და- კლ-ოდ-ი-ს

და-ე-კლ-ოდ-ი-თ

და-კ-კლ-ოდ-ი-თ

და- კლ-ოდ-ი-ან

რა აქვს საერთო შერეულ კავშირებითს II სერიასთან?

1. ფუძე. აქ აღებუღია II სერიის ფუძე, რაც იმით გამოიხატება, რომ:

ა) ზმნას თემის ნიშანი ჩამოცილებული აქვს: აღიღოდის და არა: აღიღებდეს; დაჰმარხოღის და არა: დაჰმარხოვიღეს; ყოღიან და არა: ჰყოფდენ; მისციღიან და არა: მისციღენ; შთამოჰსნოღიან და არა: შთამოჰსნოღენ.

ბ) ფუძედრეკად ზმნებს ი აქეთ და არა ე: განათიოღიან (←განათიოვიღიან) და არა: განათვიღენ.

2. სინტაქსური ძალა: გარდამავალ ზმნებს სუბიექტი მოთხოობითში აქეთ, ხოლო პირდაპირი ობიექტი — სახელობითში: აღიღოდის მან ივი, აღანთოღიან მათ ივი, მისციღიან მათ მას ივი.

3. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის წესი: აღასრულნოღიან მათ ივინი, შეწირონოღიან მათ ივინი, წარავლინნოღის მან ივინი.

4. პრეფიქსიან ენებითა წარმოების წესი (მრავლობითში): ეზიაროდის ივი მას, მავრამ: ეზიარნოღიან ივინი მას.

5. მესამე ობიექტური პირის ნიშნის გამოხატვის კანონი: დაღვიღიან და არა: დასღებდენ, დაკლოღიან და არა: დაჰკლვიღენ, ყოღიან და არა: ჰყოფდენ, შეწიროღიან. შეწირონოღიან და არა: შესწიროვიღენ.

რაკი შერეულ კავშირებითს უფრო მეტი ნიშნის მიხედვით შგავსება II სერიის მწკრივებთან აქვს, ამიტომ. ბუნებრივია, ასეთ მწკრივს ადგილი სწორედ II სერიაში ჰქონდეს, მისი მონათესავე II კავშირებითის გვერდით, და არა I სერიაში, რომელთანაც მას შედარებით ნაკლები ნიშნები აქვს საერთო.

პირველ ხანებში ახლად აღმოჩენილი მწკრივის მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის მაგალითები იყო ცნობილი. შემდეგ და შემდეგ, ახალ-ახალი ფორმების მოპოვებასთან ერთად, აღმოჩნდა I და II პირის ნიშნებიც. ასე რომ, ღღეს შევეიძღ-ღია შერეული კავშირებითის უღლებების პარადიგმაც წარმოვადგინოთ ისე, რომ ყველა თეორიულ ფორმას სათანადო მაგალითიც მოეპოვებოდეს დასამოწმებლად. აი, ეს პარადიგმაც:

შე-ე-წიროღ-ი

შე-ს-წიროღ-ი

შე- წიროღ-ი-ს

შე-ე-წიროღ-ი-თ

მი-ე-ს-ცი-ოდ-ი

მი- ს-ცი-ოდ-ი

მი- ს-ცი-ოდ-ი-ს

მი-ე-ს-ცი-ოდ-ი-თ

შე-ს-წირ-ოდ-ით	მი-ს-ც-ოდ-ით
შე-წირ-ოდ-ი-ან	მი-ს-ც-ოდ-ი-ან

თუ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაც იქნებოდა ასახული. მაშინ პარადიგმა ასეთ სახეს მიიღებდა:

შე-ე-წირ-ნ-ოდ-ი	მი-ე-ს-ც-ნ-ოდ-ი
შე-ს-წირ-ნ-ოდ-ი	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი
შე-წირ-ნ-ოდ-ი-ს	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-ს
შე-ე-წირ-ნ-ოდ-ით	მი-ე-ს-ც-ნ-ოდ-ით
შე-ს-წირ-ნ-ოდ-ით	მი-ს-ც-ნ-ოდ-ით
შე-წირ-ნ-ოდ-ი-ან	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-ან

ენებითი გვარის ზმნებზე შემდგომში გვექნება საეტიკური მსჯელობა და ამ მწკრივის მაგალითებსაც იქ გაეარჩევთ. ერთ სანიშნეო ზმნას კი (რომლის ფორმებიც პრაქტიკულად გვხვდება ენაში) აქაც წარმოვადგენთ:

ე-ე-ზიარ-ოდ-ი	ე-ე-ზიარ-ნ-ოდ-ით
ე-ზიარ-ოდ-ი	ე-ზიარ-ნ-ოდ-ით
ე-ზიარ-ოდ-ი-ს	ე-ზიარ-ნ-ოდ-ი-ან.

ზემოთ (გვ. 143 და შემდ.), I სერიის მწკრივების შესწავლისას, ჩვენ ენახეთ, რომ ოდიან ზმნებს უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი გარეგნულად საესებით ერთნაირი სახით ქჭონდათ წარმოდგენილი (ე-ტირ-ოდ-ი — ე-ტირ-ოდ-ი ... ტირ-ოდ-ი-ან — ტირ-ოდ-ი-ან). იქ ისიც შევნიშნეთ, რომ ამ დამთხვევის ასაცილებლად მესამე პირის მრავლობითის ფორმებში შეიქმნა განმასხვავებელი ნიშნები: ან სუფიქსის ნაცვლად კავშირებითმა მისთვის სხვა შემთხვევებში დამახასიათებელი ნ სუფიქსი დაირთო, ხოლო უწყვეტლის ხოლმეობითმა ელ სუფიქსს მიმართა (რომელიც აწმყოს ხოლმეობითსაც ქჭონდა — ჭამ-ედ, არი-ედ...) და, ამგვარად, ამ ერთ პირში განსხვავება დამყარდა.

რადგან შერეული კავშირებითიც ოდ სუფიქსს იყენებს და უღლებაც ისეთი აქვს, როგორიც I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ქჭონდა, მრავლობითის ან სუფიქსის ნ-თი შეცვლის საჭიროება აქაც დამდგარა, რომ გარეგნულადაც განსხვავებული ყოფილიყო შერეული კავშირებითი და შერეული ხოლმეობითი (რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი). მართლაც, ანაირი ოდ-ი-ნ<sup>17</sup> დაბოლოებიანი შერეული კავშირებითის მაგალითებიც გვაქვს. აი, რამდენიმე ნიმუში:

შთამოჰსნოდინ კრეტსაბმელსა მაგრილობელსა, და დაპხუროდინ მით კილობანი წამებისაი (რიცხ. 4,5 G); დაპხუროდინ მას ზედა საბურველნი ტყაენი ვაკინთონი (რიცხ. 4,6 G. მოსალოდნელი იყო დაპხურნოდინ); მოილონ სამოსელი პორფირი და შეხუროდინ საბანელი (რიცხ. 4,14 G. ილ. აბულადის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" მოყვანილია ეს მაგალითი და დამატებულია ა: შეხუროდი(ა)ნ.

<sup>17</sup> ოდიანი ზმნების ეს თავისებურება შესწავლილი აქვს ა. შანტაძეს: ძველი ქართულის ოდ საერკობან ზმნათა წარმოების ისტორიისათვის: თსუ სამეცნიერო სესია (თუზისები). 19-21 ივნისი, 1953. გვ. 4-5.

მაგრამ ეს ჩამატება, როგორც დავინახეთ, არ იყო საჭირო).

შერეული კავშირებითი, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, ოდ სავრცობიან I კავშირებითს ეხმანება. მისი გამოძახილია. მართალია, ოდ-ი-ნ დაბოლოება იქ შეუდარებლად ხშირად იხმარებოდა. ვიდრე აქ გვაქვს, მაგრამ ეს ადვილად აიხსნება: შერეული კავშირებითი, როგორც სამართლიანად ბრძანებს ა. შანიძე, მეორეული წარმოშობისა და მისი ნიშნები კანტიკუნტად გვხვდება აქა-იქ. ამით შორის ოდ-ი-ნ ყალიბი კი ძალზე იშვიათია, იმდენად იშვიათი, რომ ზოგი მკვლევარი მას უმართებულად მიიჩნევს და გასწორებასაც არ ერიდება.

რადგანაც შერეული კავშირებითის მაგალითები დღემდე, საერთოდ, ცოტაა ნაპოვნი. ურიგო არ იქნება, ერთხელ კიდევ თავი მოუყაროთ მათ:

ვითარ-მე ღირსად მოგვისენნოდი თქვენ, შეიღწო ჩემო, გლახაკმან ამან (საქვს. 81,1-2); მიქმენით მე სიწმიდს, და გამოგეცხადოდი თქვენ (გამ. 25,7); გამოგეცხადოდი შენ მიერ და გეტყოდი შენ ზედა-კერძო მიერ საღვინებელით (გამ. 25,21); ვინა(ი)-იგი გამოგეცხადოდი შენ (გამ. 30,36 = 1884 წ.).

იტყოდის გალობასა მას უფლისასა ქნართა, და კეთილ იყოს იგი შენდა, და განისუწნოდი (1 მეფ. 16,16 O); ესე იამბიკოი შემდგომად სახარებისა სთქოდი (ლაგ. ლექც. 122); ამისა შემდგომად გვედრები, რადითა მომიწუროდი ყოველი, რადცა გივძლეს ჩემგან; მოუგო წმიდამან და პრქუა: მე ვევედრები სიწმიდესა შენსა, რადითა მომიუსენოდი ვედრებათა შენთა ღმრთისა მიმართ (მამ. ცხორ. 167,31,32).

რადითა აღილოდის კილობანი იგი მით (გამ. 25,14); კეთილ იყოს შენდა და განვისუწნოდის შენ (1 მეფ. 16,16 პარიზ. ლექც. 82v); ხოლო დღესა მათ შაბათისასა განულოდის, და დღესა თთვისთავისასა განულოდის (ეზექ. 46,1); რადითა, ოდეს დასდგოდის ველი სნეულთა ზედა, იქმნებოდის ნიშები და სასწაულები ერსა შენსა შორის (იაკ. ფამისწირ. რლ, 13); ერთსა მას შეება კარი, რადითა დაჰმარხოდის იგი მამათათვს, და მეორს დაუტევა ბარბაროსთა მათთვს (მამ. ცხორ. 178,4); მას მისცა ფლობა ეკლესიასა ზედა კოსტანტინოპლისა, ვითარმედ უკუეთუ სადამე საკმარ იყოს მღვდელი, რადითა მან აკურთხოდის (საკ. წ. II, 126,27); რომელსა დავსდვა ველი, მიილოდის სული წმიდაი (ათონ. 42, 140r); დაუტევა მცირს ვურელი, სადაით საზრდელი მიილოდის (პარხ. 1238); რადითა მისცოდის პური (იქვე); რადითა არა წარბეუწნოდის გონებაი მისი (Sin. 36, 35a); დაამკედრნა ივინი ქუაბსა და დაუდვა მათ რჩული, რადითა თითოეული მათი თვსა დაეყუდოს ქუაბსა თვსსა ხუთ დღე კვრიაკესა შინა და არარაი ჭამოდის, გარნა პური ხოლო და დანაკისკული და წყალი სუმაღ (მამ. ცხორ. 312,29).

მოვსცე მშვლობაი ქუეყანასა თქვენსა და დაიძინოდი უზრუნველად (ლევ. 26,6 O).

ყოველი სიტყუაი მძიმს მოგართოდინ შენ და სიტყუაი ადვილი განსავჯოდინ მათ და აღვიმცუროდინ და შეგეწუოდინ შენ (გამ. 18,22); დღესა ერთსა მოუვლეს წმიდასა მას რომელნიმე მთვანნი სენაკებისაგან და ითხოველეს მისგან, რადითა უბრძანოს და იქნოდინ წყალი ტფილი და ჭამოდინ წუენი და აღანთოდინ სანთელი, რადითა იკითხვიდენ ღამით წიგნსა (მამ. ცხორ. 313,30-31); უბრძანა, რადითა შაბათსა და კვრიაკესა აღასრულოდინ კანონი (მამ. ცხორ. 66,13); რადითა ევანგელს

და სხუანი ლოცვანი აღასრულნოდან სომეხთა ენითა, ხოლო ჟამისწირვასა შვერ-  
ბენ ბერძენთა ეკლესიასა და მათ თანა ეზიარნოდან (კიმ. II, 162, 27,28); რადთა  
აღილოდან მით ტაბლად იგი (გამ. 25,26,27); რადთა აღილოდან იგი მით (გამ.  
38,4); რადთა აღილოდან იგი უღლითა მით (გამ. 38,40); აღილოდან მით საკურ-  
თხეველი იგი (გამ. 38,24); მათ აღილოდან კარავი იგი (რიცხ. 1,50 = 1884 წ.);  
რადთა შაბათსა კრებად ღმრთით-ქნულსა ეკლესიასა ყოვლად ... და რადთა მოუკლე-  
ბელად შაბათი კვრაკედ ღამს განათიოდან მწუხრითგან დილეულამდე და ყოველ-  
თა დღესასწაულთა (კიმ. II, 163,9,10); მიიღონ საზრდელი მონასტერსა მას შინა.  
ჭამოდან წუენი და მცირედ ზღვსაგანცა და რადთა ყოველთა ერთბამად განათიოდი-  
ან ღამს იგი უძილად, ვიდრე განთიადმდე კვრაკესა ფსალმუნებითა (მამ. ცხორ.  
312,31-32); გამოსლვასა მათსა ეზოსა მას გარეშესა ერისა მიმართ განიძარცოდან  
(განიძარცოდან O) სამოსელი მათი, რომლითა ქმსახურებდეს /მათ/ და დაღვოდი-  
ან იგი საჯდომელსა მას წმიდათასა და შეიმოსოდან სამოსელი სხუად (ეზეკ.  
44,19); რადთა დაიბანოდან კელნი და ფერჯნი მათნი (გამ. 30,18); დაიბანოდან  
აპრონ და ძეთა მისა კელნი და ფერჯნი მათნი (გამ. 30,19); ოდეს შევიდოდან კარვად  
საწამებელისა და დაიბანოდან წყლითა (გამ. 30,20); თავი მათი არა დაიყვნონ და  
თმა მათი არა განიშიშულონ, დაბურვით დაიბუროდან თავთა მათთა (ეზეკ. 44,20);  
დაკლოდან მუნ, რომელი ლოცვათათვის არნ და უბეცრებათათვის (ეზეკ. 40,39); ესე  
არს შჯული შესაწირავთად, რომელ მძარხოოდან ძეთა აპრონისთა წინაშე ღმრთისა  
პირისპირ საკურთხეველსა (ლევ. 6,14); მოგვესწოდან ყოველნი მცნებანი უფლი-  
სანი (რიცხ. 15,39 = 1884 წ.); შეიმოსოდან სამოსელი სხუად, რაჟამს შევიდოდან  
ტაძრად (ეზეკ. 42,14); რაჟამს შევიდოდან ივინი ბჭეთა ეზოისა მის შინაგანისთა.  
სამოსელი სელისად შეიმოსოდან და არა შეიმოსოდან მატყლისად მსახურებასა მას  
ბჭითგან შინაგანისა ეზოისად (ეზეკ. 44,17); მუარი იგი შესაწირავისად და მკერდი  
იგი ჩემებისად ნაყოფსა თანა ცემლთასა შეწიროდან (ლევ. 10,15).

შენიშვნა: ლ. კიკნაძეს მითითებული აქვს, თუ მის მიერ დამოწმებული მაგალი-  
თებიდან რომელი ვის მიერ არის მიკვლეული<sup>158</sup>. ამას ემატება ნიმუშები,  
რომლებიც ნაპოვნია ზ. სარჯველაძის<sup>159</sup>, ე. იმნაიშვილის<sup>160</sup>, თ. ცქიტიშვილის<sup>161</sup>  
მიერ. ამათ რამდენიმე ახალი ნიმუშიც შევმატეთ. ამჟამად ჩვენს განკარგულებაში  
სულ 50 სხვადასხვა ფორმა, რომლებიც 68 მაგალითითაა წარმოდგენილი. 9 ფუძის  
ნიმუშები მეორდება:

აღილოდან	გვხვდება	6-ჯერ
შეიმოსოდან	"	4-ჯერ
დაიბან(ნ)ოდან	"	4-ჯერ
გამოგეცხადოდი	"	3-ჯერ
განათიოდან	"	2-ჯერ

<sup>158</sup> ლ. კიკნაძე, შერეული ხელმოებითი მწერივი ძველ ქართულში: ორიონი, 1967, გვ. 185-186.

<sup>159</sup> ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. საკითხები, გვ. 185.

<sup>160</sup> ე. იმნაიშვილი, ენობრივი შენიშვნები: "მამათა ცხორებანი", 1975, გვ. 420-422; მისივე:  
ძველ ქართული კავშირებითი შესახებ ძველ ქართულში: თუშ. 187, 1977.

<sup>161</sup> თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, 1977, გვ. 284.

განელოდის	•	2-ჯერ
დამპარხოდის	•	2-ჯერ
მიილოდის.	•	2-ჯერ
ჭამოდან	•	2-ჯერ

სხვები ცალად არის წარმოდგენილი.

ამათგან ოდ-იან დაბოლოება აქვს ოთხს. ესენია:

დაბუროდინ (რიცხ. 4,5 G), შთამოქსნოოდინ (რიცხ. 4,5 G), დამხუროდინ (რიცხ. 4.6 G), შეხუროდინ (რიცხ. 4,14 G).

შენიშვნა: წინამდებარე წიგნი უკვე მოშადებული იყო გამოსაცემად, როცა გამოქვეყნდა ზ.სარჯველაძის "ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი" (1984). აქ (გვ. 456) წარმოდგენილია შერეული კავშირებითის 20-ზე მეტი ახალი მაგალითი, უმეტესად გელათისა (Q-1152) და მცხეთის (A-51) ბიბლიების მიხედვით. საინტერესოა, რომ მათ შორის ოდ-იან დაბოლოებანი ფორმებიცაა: დაიბანკოდინ, დაბუროდინ, დამხუროდინ, შეხუროდინ, იბანოდინ.

## 12. შერეული ხოლმეობითი

ძველ ქართულში შერეული კავშირებითის გვერდით უნდა გვეჩინოდა აგრეთვე შერეული ხოლმეობითი, რომელიც გარეგნულად, ფორმით მას ემსგავსებოდა საესეობით, ოღონდ შინაარსი, ფუნქცია ეწებოდა განსხვავებული — წარსულ (ან ახლანდელ) დროში მრავალგზისობის გამოხატვა. ასეთი მწკრივის მაგალითები ლ.კიკნაძემ იპოვა, ამით კი ძველი ქართული ენის მწკრივების ისედაც გრძელ რიგს კიდევ ერთი ახალი წევრი შეემატა. აი, რას ამბობს ლ.კიკნაძე ამ მწკრივის შესახებ: "რაკი შერეული კავშირებითი ფუნქციით I კავშირებითის ტოლია და ოდ-იანი ზმნების ამ მწკრივს ფორმითაც ჰგავს, მის გვერდით უნდა არსებულიყო ის მწკრივიც, რომელიც ფუნქციით უწყვეტლის ხოლმეობითის ტოლი იქნებოდა, ხოლო ფორმით (გარეგნულად) არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული შერეული კავშირებითისაგან (ამ მწკრივისა და შერეული კავშირებითის ფორმები ისევე დაემთხვეოდა ერთმანეთს, როგორც ოდ-იანი ზმნების უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის ფორმები). ფორმით შერეული კავშირებითის მსგავს ამ მწკრივს, რომელიც, როგორც ჩანს, მართლაც არსებულა ქართულში, ... შერეული ხოლმეობითი უნდა ეწოდოს და (ისევე, როგორც შერეულ კავშირებითს) ადგილი მეორე სერიაში უნდა მიეჩინოს"<sup>162</sup>.

ავტორს დამოწმებული აქვს ამის სამი მაგალითი, რომელთაც ზ.სარჯველაძემ გელათისა და მცხეთის ბიბლიებიდან დაუმატა ორი ნიმუში (ერთი და იმავე ზმნისა)<sup>163</sup>. იმედია, მომავალში კვლავ აღმოჩნდება არა ერთი და ორი ნიმუში.

ჩვენც ამ მაგალითებს დავესესხებით:

და მრქუა მე: საყდარნი ჩრდილოით კერძონი და საყდარნი ესე სამხრით კერძონი, რომელნი არიან წინაშე პირსა განშორებულთასა, ესენი არიან სასხდო-

<sup>162</sup> ლ.კიკნაძე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში, გვ. 186-187.

<sup>163</sup> ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი, გვ. 456.

მელნი სიწმიდისანი, რომელთა შინა ჭამოდან მუნ მღდელთა ძეთა საღუკისთა, რომელნი მთუხლებან უფალსა, იგი არს წმიდაი წმიდათაი. მუნ დადვოდან წმიდაი წმიდათაი და საკლევლინი და რომელი ცოდვისათვის არნ და რომელი-იგი უმეტრებისათვის არნ. რამეთუ უფალი წმიდაი არს (ეზეკ. 42,13).

როგორც სამართლიანად შენიშნავს ლ.კიქნაძე, ჭამოდან და დადვოდან სხვა ადგილას შეიძლება შერეული კავშირებითი იყოს (და არის კიდევ). მაგრამ აქ მხოლოდ შერეული ხოლმეობითია და ამას ნიშნავს: ჭამენ ხოლმე, დებენ ხოლმე. შდრ. რუს. თარგმანი: ... в которых священники съедают, ... там же они кладут. ამ ფორმათა ხოლმეობითობას ხაზს უსვამს აგრეთვე იქვე ორჯერ ხმარებული აწმყოს ხოლმეობითი — არნ ... არნ. ასე რომ, აქ ყოველად შეუძლებელია შერეულ კავშირებითსა და, მაშასადამე, მომავალ დროზე იყოს საუბარი.

მესამე მაგალითი: შერაი-ვიდოდან იგინი კარვად საწამებელისა ანუ ოდეს მოვიდოდან საკურთხეველად მსახურებად მისა, დაიბანოდან მისგან, ვითარცა უბრძანა მოსეს (გამ. 38,27 [40,32]).

დაიბან(ნ)ოდან ამ კონტექსტში შერეული ხოლმეობითია და ნიშნავს: განიბანებოდნენ ხოლმეო. შდრ. რუს. თარგმანი: когда они входили в скинию собрания и походили к жертвеннику /служить/, тогда отмывались /из него/, как повелел Господь Моисею. აქ ყველგან წარსულ დროში (მრავალგზის) მომხდარ ამბავზეა საუბარი. ეს კი აბსოლუტურად შეუთავსებელია რომელიმე კავშირებითისათვის, მათ შორის შერეული კავშირებითისათვის. საანალიზო ზმნის გვერდით ნახმარი **შერაი-ვიდოდან** და **მოვიდოდან** აგრეთვე ხოლმეობითია (უწყვეტლის ხოლმეობითი) და კარვად ეკუთვნა ტექსტის საერთო აზრს: როცა მოვიდოდნენ და შევიდოდნენ ხოლმე, განიბანებოდნენ ხოლმეო.

რამეთუ სამსახურნი წმიდისანი აქუნდეს და მკრითა აღილოდან (Q-1152, 118r,16); სამსახურებელი იგი სიწმიდისაი აქუნდა და მკრითა აღილოდან (რიცხ. 7,9).

ლ.კიქნაძემ ივარაუდა, რომ ძველ ქართულში შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითის ფორმებთან ერთად შერეული წყვეტილიც უნდა გვექონოდა<sup>164</sup>.

ზ.სარჯველაძე თვლის, რომ მართლაც, "ძველ ქართულში უნდა გვექონოდა რამდენიმე შემთხვევა, როცა შერეული წყვეტილია საგულგებელი"<sup>165</sup>.

წარმოვადგენთ მკვლევრის მიერ დამოწმებულ მაგალითებს:

ზღუად იგი ძლიერთა ქართაგან აღიროდა (ი. 6, 18 C); რომელი-იგი გაქუნდა კეთილი, ვერ გულისხმა-ჰყავ და ვის-იგი არაი ვეყოდე, მას დაემონე (უდაბ. 109v,25-28a); რომელი თვს-ვეყოდა კოსარს, მეფესა სომხითისასა (Jer.-24, 21r,7-8); რომელნი იყენეს ტარისნს კილიკიისასა და თვს-ვეყოდეს, ვითარ იტყვან, წმიდასა პეტლე მოციქულსა (იქვე, 29v,11-13; A-193, 42r,4-6); თვს-ვეყოდა ღმრთისმშობელი ელისაბედს (Jer.-22, 40r,19-20b).

<sup>164</sup> ლ.კიქნაძე, შერეული ხოლმეობითის შერევი ძველ ქართულში. გვ. 193.

<sup>165</sup> ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი. გვ. 456-457.

და ჩემი. ხუარანძე, შვირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად (ქართლ. ცხ. 144.10-12); რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი (იქვე, 315,8-9).

ზ.სარჯველაძის აზრით, "თითქოს შერეული ბრძანებითი გვხვდება გელათის ბიბლიაში (Q-1152): და აღილოდიდ მბკები კარვისაჲ, 105v,13-14"<sup>166</sup>.

როგორც ჩანს, ძველ ქართულში ცნობილ მწკრივებს შერეული წყვეტილიც უნდა დაემატოს. რაც შეეხება შერეულ ბრძანებითს, მისი არსებობა საეჭვოა.

### C. III სპრია

III სერია სულ სხვა პრინციპზეა აგებული, ვიდრე I და II, იგი ორივეს უპირისპირდება მთელი რიგი მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნებით. მკვლევართა აზრით, III სერიის მწკრივები უფრო გვიან არის ჩამოყალიბებული და ბევრ თავისებურებას შეიცავს, რომელნიც არ გვხვდება I და II სერიებში.

აქ უპირველეს ყოვლისა, ფუძე სულ სხვაა, სხვადასხვა გრამატიკული ნიშნის მიხედვით შექმნილი. თვით ამ სერიის შიგნით, სხვადასხვა მწკრივში, სხვადასხვა, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ფუძეა გამოყენებული. ცალკე დგას I თურმეობითი და I თურმეობითის ხოლმეობითი (როგორც აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი I სერიაში). ცალკე დგანან სხვები. სწორედ აქაა, რომ გარდამავალ ზნებს სხვა სინტაქსური კონსტრუქცია აქვთ (მას იგი), ვიდრე I (იგი მას) ან II სერიაში (მან იგი).

აქ გარდამავალ ზნებს პირის ნიშანთა ინვერსია ახასიათებს, რაც ამ სერიის თავისებური ისტორიით აიხსნება. I და II სერიაში რომ სუბიექტური პირის ნიშნები გვაქვს, III-ში ობიექტურით იცვლება: ვ-წერ (I ს.), ვ-წერე (II ს.), მაგრამ: მიწერიეს (III ს.); ჰ-კლავ, მო-ჰ-კალ, მაგრამ: მო-გ-იკლავს; ჭამ-ს, ჭამ-ა, მაგრამ: (ჰ)-უჭამიეს.

გარდამავალ ზნათა III სერიის ფორმებში ქცევის ნიშნები მხოლოდ ფორმალურად წარმოჩნდება, ქცევა მოჩვენებითია, მათ სათანადო ქცევის შინაარსი არ გააჩნიათ. ამა როგორ უნდა იყოს შესაძლებელი, I და II სერიის სამ (ერთმანეთისაგან შინაარსითა და ფორმით მკვეთრად განსხვავებულ) ქცევას III-ში სამივესათვის ერთი და იგივე ფორმა ჰქონდეს? შდრ.

#### I ს.

და-ვ-ს-წერ

და-ვ-ა-წერ

და-ვ-ი-წერ

და- უ-წერ

#### II ს.

და-ვ- წერ-ე

და-ვ-ა-წერ-ე

და-ვ-ი-წერ-ე

და- უ-წერ-ე

#### III ს.

და-მი-წერ-ი-ე-ს

და-მი-წერ-ი-ე-ს

და-მი-წერ-ი-ე-ს

და-მი-წერ-ი-ე-ს

როგორღა შეეზომება ეს ერთი დამიწერიეს I და II სერიის სამი ქცევის ოთხ ფორმას? ეს ნამდვილი ქცევა არაა, ეს მოჩვენებითი, მხოლოდ ფორმალური, ქცევის შინაარსის უქონელი, ქცევის შინაარსისაგან დაცლილი ფორმაა; მხოლოდ მისი გარეგანი საშოსელი (დამიწერიეს, დაგიწერიეს, დაუწერიეს) მოგვაგონებს სასხვისო

<sup>166</sup> ზ.სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 457.



ქვეყნის ფორმებს. აქ არ არის და არც შეიძლება იყოს საარქისო (არც ნულანნი, არც ანანნი) ან სათავისო ქვევა. ესაა სწორედ III სერიის გარდამავალ ზნათა ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება.

სამპირიანი ზნეები აქ, ჩვეულებრივ, ორპირიანად იქცევა. ერთი პირი (ირიბი ობიექტი) აკლდება:

მი-ს-წერ-ს კაცი მოყუასსა წერილსა

მი-ს-წერ-ა კაცმან მოყუასსა წერილი

მი-უ-წერ-ი-ე-ს კაცსა მოყუსისადა წერილი.

ირიბი ობიექტი გადადგება (თანდებულან) ნათესაობითი (ნანათესაობითარ ვითარებითი), წყვეტს მორფოლოგიურ კავშირს ზნასთან და ეს უკანასკნელი ორპირიანი ხდება. მართალია, ძალზე იშვიათად შესაძენ (ირიბობიექტური) პირიც შენარჩუნებულია (უბრძანებებს მას ანგელოზთა იგი), მაგრამ ეს მეტად იშვიათია და მეორეული მოვლენა უნდა იყოს (მაგრამ ამაზე ქვემოთ). ჩვეულებრივად კი აქ სამპირიანი ზნა ორპირიანი ხდება.

ახალი ქართულიდან განსხვავებით ძველ ქართულში III სერიაში არ მოგვეპოვება მეშველზნიანი ფორმები არც გარდამავალ (მიშობისარ, გიშობივარ, მოუკლავვარ, მოუკლავხარ...), არც, მით უმეტეს, ორპირიან გარდაუვალ ზნებთან (დაპიციყებიყო, მოსწყურებიყო...).

ერთპირიან ზნებს სწორედ აქ არ ახასიათებს ორგანული წარმოება. აქ მათი მხოლოდ აღწერითი ფორმები გვაქვს (წარსრულ ვარ, წარსრულ ხარ, წარსრულ არს; წარსრულ ვიყავ, წარსრულ ვიყო).

დასასრულ. დაეძინეთ, რომ III სერიის ფორმები ძველ ქართულში საერთოდ მცირე რაოდენობით გვხვდება. მათი ზვედრითი წონა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე I სერიისა და, მით უმეტეს, II-ისა. ასე, მაგალითად, ოთხთავის სამ შატბერდულ ხელნაწერში გარდამავალი ყალიბის ზნის III კავშირებითის მხოლოდ ორი ფორმა გვხვდება: დაეტეოს (მ. 19,29 C) და ეყივნოს / ეყივლოს (მ. 26,75; ლ. 22,34; ი. 13,38). გასაგებია, რომ ასევე (და უფრო) ნაკლებად გვხვდებოდეს ორპირიანი გარდაუვალი ზნების მაგალითებიც.

ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძის, ა. ჩიქობავას და სხვათა შრომებში) და აქ მათზე დაწვრილებით შეჩერება არაა საჭირო. ყველა ამის გამო III სერიის ფორმებს განსაკუთრებული მიდგომა და ყურადღება სჭირდება.

### 13. I თურმეობითი

ზემოთ III სერიის ფორმათა დამახასიათებელ თავისებურებებზე ნათქვამი, ცხადია, ეხება I თურმეობითსაც. დამატებით, კერძოდ, I თურმეობითზე უნდა ითქვას შემდეგი:

ამ შქარივის შესწავლის გასაადვილებლად ყველა ზნა 4 კვადრატად უნდა დაეყოთ. ესენია:

ა) ავ და ამ თემისნიშნანი გარდამავალი ზნეები (მომიკლავს, დამიღვამს).

ბ) ყველა სხვა გარდამავალი ზნა (დამიწერიეს, წარმიწყმედიეს, აღმიშენებოეს, მიძლევიეს, მიცნობიეს, მიმიცემიეს, მიყოფიეს).

გ) ერთპირიანი ზნეები (წარსრულ ვარ, განმტფარ ვარ, განკრთომილ ვარ...)

დ) ორპირიანი გარდაუკალი ზნეები (დაკვიწყებოეს, გარდაჰრევიეს...).

ყოველი ამათგანი თავისებურად იუღვლის და რომელიმე ერთის ყალიბი სხვებს არ გამოადგება. მიყვეთ რიგ ზე.

#### ა. აწიანი და აწიანი ზნეები

აწიანი და აწიანი ზნეების I თურმეობითის ფორმები I სერიის ფუძეს ეყრდნობა, ავ და ამ თემის ნიშნები I თურმეობითშიც გადაყვებათ და სასხვისო ქცევის ნიშნებს (ი, უ) იყენებენ. სულ ერთია, რომელი ქცევა იგულისხმებოდა I და II სერიაში.

ავ და ამ თემის ნიშნების გადატანა I თურმეობითში ურყევი კანონია, მათი სხვა სუფიქსებით შეცვლა შეუძლებელია. ამ წესმა გამოწაკლისი არ იცის.

ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა ავ და ამ თემის ნიშნების მაგივრად და დაბოლოებას იყენებენ: ვერ გამოხედია (= გამოხედეს), მიტქია (= მიტქემს), არ მინახია, დამითესია, დამიხატია, თავი არ გამოწორია, დამიხარჯია, დამიდგია, დამისხია და სხვ. დღეს ეს ისე მოხშირდა ჩვენს პრესასა და მწერლობაში, რომ ზოგი მკვლევარი არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ აწიანი, და დაბოლოებიანი. ფორმებიც კანონიერად იქნეს ცნობილი და დარჩეს სალიტერატურო ენაში<sup>19</sup>. ძველ ქართულში კი, როგორც ვთქვით, ასეთი შენაცვლებების ჩანასახიც არა ჩანს.

ავ და ამ თემისნიშნიანი ზნეების უღლება საკმაოდ მარტივია, როცა სახელობითში დასმული სახელი (წარმოშობით სუბიექტი, მერმე პირდაპირ ობიექტად აღქმული) მესამე პირია და მხოლოდობითში დგას:

მო-მ-ი-კლ-ავ-ს	მე	იგი	მ-ი-თქუ-ამ-ს
მო-გ-ი-კლ-ავ-ს	შენ	"	გ-ი-თქუ-ამ-ს
მო-უ-კლ-ავ-ს	მას	"	უ-თქუ-ამ-ს
(e.) მო-მ-ი-კლ-ავ-ს	ჩუენ	"	მ-ი-თქუ-ამ-ს
(i.) (მო-გ-უ-ი-კლ-ავ-ს →)	"	"	(გ-უ-ი-თქუ-ამ-ს →)
მო-გ-ვ-კლ-ავ-ს			გ-ვ-თქუ-ამ-ს
მო-გ-ი-კლ-ავ-ს	თქუენ	"	გ-ი-თქუ-ამ-ს
მო-უ-კლ-ავ-ს	მათ	"	უ-თქუ-ამ-ს

**შენიშვნები.** 1. მხოლოდობითი და მრავლობითი აქ S<sub>2</sub> და S<sub>3</sub> პირებისათვის, როგორც ვხედავთ, გარჩეული არ არის: შენ მოგიკლავს, აგრეთვე: თქუენ მოგიკლავს. მრავლობითში თ-ს დამატება (თქუენ მოგიკლავთ) ყოველად შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ შენ, მას, თქუენ. მათ მორფოლოგიურად, ზნის თვალსაზრისით, ირიბი

<sup>19</sup> ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემის-ნიშნიანი ზნათა უღლებისათვის I თურმეობითში: ძველქმ, 19, 1976. გვ. 35-36.

ობიექტია. ხოლო ირიბ ობიექტს ძველ ქართულში ზნაში მრავლობითობის გამოხატვა არ ძალუძს: გინდა შენ. გინდა თქვენ; უყუარს მას. უყუარს მათ (ნ. ამის შესახებ ზემოთ. გვ. 73).

ერთადერთი განსხვავება პირველ პირშია. როცა საქმე გვაქვს ე.წ. ინკლუზიურ ფორმასთან: მომიკლავს მე — მოგუიკლავს ჩუენ (მე და შენ/თქვენ). ექსკლუზიურ ფორმებში საერთო წესი რჩება: მომიკლავს მე — მომიკლავს ჩუენ (მე და მას/მათ).

2. ჩვენ აქ ინკლუზიური ფორმებისთვის გვიწერია მო-გუი-კლავს და მო-გე-კლავს. ორივე შესაძლებელი ფორმაა, უფრო მიღებული მეორეა, მაგრამ მასში. საშწნუხაროდ. არა ჩანს ნათლად პირისა და ქცევის ნიშნები ცალ-ცალკე. ისინი შერწყმულია და მიღებულია გვ (=გუი). ფორმის უფრო ნათლად წარმოსადგენად არის აქ ფორზილებში მოცემული დაშლილი, შეურწყმელი გუ და ი (მო-გუი-კლავს).

3. როცა სახელობითში დასმული სახელი (ახლა პირდაპირ ობიექტად რომ გვესმის) მრავლობითშია, ზნის უღლებას სირთულეები ემატება: ამ სახელის მრავლობითობა ზნაში უნდა აღინიშნოს ან (მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის) სუფიქსით, ეს უკანასკნელი კი შეეკუმშავს ავ და ამ თემის ნიშნებს, ა ხმოვანს ამოაგდებს ფორმიდან. საბოლოოდ უღლება ასეთ სახეს მიიღებს:

	მო-მ-ი-კლ-ე-ან	მე	იგინი	მ-ი-თქუ-მ-ან
	მო-გ-ი-კლ-ე-ან	შენ	"	გ-ი-თქუ-მ-ან
	მო-უ-კლ-ე-ან	მას	"	უ-თქუ-მ-ან
(ე.)	მო-მ-ი-კლ-ე-ან	ჩუენ	"	მ-ი-თქუ-მ-ან
	(მო-გუი-კლ-ე-ან →)			(გუი-თქუ-მ-ან →)
(ი.)	მო-გე-კლ-ე-ან	ჩუენ	"	გვ-თქუ-მ-ან
	მო-გ-ი-კლ-ე-ან	თქვენ	"	გ-ი-თქუ-მ-ან
	მო-უ-კლ-ე-ან	მათ	"	უ-თქუ-მ-ან

მაგრამ ამ საკითხზე ქვევით. მწკრივების შესწავლის შემდეგ, ფართოდ გვექნება მსჯელობა. ახლა კი მხოლოდ თქმულით დავემყოფილდეთ.

4. ყველა ზემოთქმული ესება ისეთ შემთხვევებს, როცა ობიექტურად აღებულა მესამე პირი (უბეტესად სწორედ ასეთი შემთხვევები გვხვდება), მაგრამ როცა პირდაპირ ობიექტად I ან II პირია წარმოდგენილი (რაც იშვიათად გვხვდება), როგორც აღინიშნეთ, ძველ ქართულში ფორმას შემველი ზნა არ დაერთვის, როგორც დღევანდელ ქართულში ვართ შეჩვეული (მოგიკლავვარ, მომიკლავხარ, სად მინახავხარ, სად გინახავვარ...). ამით ნაცვლად ძველ ქართულში გვექნებოდა: მოგიკლავ მე შენ, მომიკლავ შენ მე, გინახავ შენ მე, მინახავ მე შენ. ასევე იქნება საქმე, როცა სუბიექტად მესამე პირია წარმოდგენილი: მოუკლავ მე მას/მათ (= მოუკლავვარ), მოუკლავ შენ მას/მათ (= მოუკლავხარ). აი, ასეთი, სუბიექტური წყობით უღლების ნიმუში:

მო-უ-კლ-ავ	მას	მე	უ-ხილ-ავ
მო-უ-კლ-ავ	"	შენ	უ-ხილ-ავ
მო-უ-კლ-ავ-ს	"	იგი	უ-ხილ-ავ-ს
მო-უ-კლ-ავ-თ	"	ჩუენ	უ-ხილ-ავ-თ

მო-უკლ-ა-ეთ	"	თქუენ	უ-ხილ-ა-ეთ
მო-უკლ-ე-ან	"	იგინი	უ-ხილ-ე-ან
ლა-უბ-ამ	მას	მე	შთა-უნთქ-ამ
ლა-უბ-ამ	"	შენ	შთა-უნთქ-ამ
ლა-უბ-ამ-ს	"	იგი	შთა-უნთქ-ამ-ს
ლა-უბ-ამ-თ	"	ჩუენ	შთა-უნთქ-ამ-თ
ლა-უბ-ამ-თ	"	თქუენ	შთა-უნთქ-ამ-თ
ლა-უბ-მ-ან	"	იგინი	შთა-უნთქ-მ-ან

როგორც ვხედავთ, მოუკლავ რიგის ფორმები მრავალმნიშვნელობიანი იყო: მოუკლავ (დაუკლავ) ნიშნავდა: 1. უკლავ მე მას ქათამს; 2. უკლავ შენ მას ქათამს; 3. მოუკლავეარ მე მის ჯავრს; 4. მოუკლავხარ შენ მის ჯავრს. ამგვარადვე ოთხ-ოთხი მნიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე ამ ზნის შემდეგ ფორმებს: მოგიკლავ (მე შენ...), მომიკლავ (შენ მე...). ძნელი გასაგებია, ამ ოთხისგან რომელი იგულისხმება ამა თუ იმ ადგილას ტექსტში, რომელშიც ზოგჯერ არც არის წარმოდგენილი ყველა საჭირო პირობა და მასალა, რომ სწორი დასკვნა გამოვიტანოთ. სწორედ ამიტომ, ამ მრავალმნიშვნელობიანობის მოსასპობად, იყო, რომ აღნიშნული ტიპის ზნებს I თურქობითი დაემატათ მეშველი ზნეები, რამაც მყისვე გააჭრო გაუგებრობა: ახლა მოგიკლავეარ მხოლოდ ამას ნიშნავს: შენ მე (თურმე) მომიკალი, მომიკლავხარ — მე შენ (თურმე) მოგიკალი. ასევე ერთადერთ შინაარსს შეიცავს მოუკლავეარ და მოუკლავხარ.

ეს პროცესი, მეშველი ზნის დამატება I და II პირებისათვის, საერთოდ (და არა მარტო ჩვენს შემთხვევაში). თვით ძველ ქართულში ჩაისახა, ამის მაგალითებს კონკრეტულად თვით ძველი ქართულის ძეგლებშიც შევხვდებით. შემდეგ და შემდეგ იგი თანდათან ღვივდება და ვითარდება, საკმაოდ ფეხმოდგმულია საშუალ ქართულში, ხოლო თანამედროვე ენაში იგი მტკიცე ნორმად არის ქცეული და მისი დარღვევა შეუძლებელია<sup>168</sup>.

ახლა წარმოვადგენთ სათანადო საილუსტრაციო მასალას ძველი ძეგლებიდან:

ა) ჰილადირი ობიექტი III პირში: კაცი ველითა შეუქმნია მიწისაგან და სული თესი შთაუბურავს უკუდავიო (ბალ. 25,22); მათ სთნდა და ჰრქუეს: კეთილად განვიზრახავს, ყავ ეგრე (ლომ. 133,20); რომელი-იგი დაუთესავს ღმერთსა ასოთა შინა მისთა (სწავ. 182,9); შენდა მიმითუალავს სიტყვს-გებაჲ თავისა შენისათვის (ბალ. 86,36); მე მწუხრითგან აქა ჟამმდე დამითხზავს ოცი მჰარი /სირამ/ (Sin. 35, 279rb,11); არა გამოძიეთხავს მისგან გამოძიებით (კიმ. I, 181,3); შენ თავი შენი შვიკრავს მვეკისა თანა (სწავ. 151,8); ევე ყოველი დამიძარხავს სიყრმით ჩემითგან (ლ. 18,21); იგი ძმაჲ და მოყუასი არს ჩუენი და არა გვნახავს მრავლით ჟამითგან

<sup>168</sup> მეშველზნისანი ფორმების ისტორიის შესახებ იხ. ლ.ბარამძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზნისანი ფორმისა ჩასახვა და განვითარება ქართულში: ძქქშ. 9. 1964. გვ. 95-150.

(ბალ. 95,10); მე არა მიპარავს ბარზომი იგი (საკ. წ. II, 73,7); უკუეთუ გიტვრთავს ძუალები ესე სიყუარულისა და ტკივილისა მისთვის უფალთა მათთაისა (ბალ. 27,34); რომლისა ფრთეთა ქვეშე მისთა დაუყარავს ყოველი (ასურ. 26,3); მოვიწინა სული სურნელებისა, რომელ ეგვიპთარი არასადა ვის უწნოსავს (ს. მეს. 75,20. ეს ზნა ჩვეულებრივად უთემისნიშნოდ იხმარება: ვიწნოს, იწნოს, იწნოს; ყნოსა, საყნოსელი. აქ გასწენია ავ თემის ნიშანი, რომლითაც დღესაც იხმარება); შიშსა ბნელისასა მოუცავს გონება ჩემი (კომ. I, 183,36); მიცოდავს ცად მიმართ და შენ წინაშე (ბოლნ. 38,16); იყო იგი სპეტაკ ფრიად, რომელ არასადა მიხილავს ეგვიპთარი ცხორებასა ჩემსა (ლიმ. 98,36).

მაგისტოვს მოძიბამს ევე /კარაული/ აქა (საკ. წ. II, 93,5); აქამომდე კიბესა ფერვი არღარა დაუღამს (სწავ. 264,33); აპა ესერა მე განმზინებებს და მოთქვამს (Sin. 62, 38ra,4); საბლარდნელი პატოსანი უხრწნელი მოძირთვამს შენდა (კომ. I, 180,2); უფალსა ურქვამს, ვითარმედ ძვრის-მეტყუელად აღუდევ დაეთოს (2 მეფ. 16, 10. იშვიათი ფორმა. ამ ზნას ჩვეულებრივ II სერიის ფორმები მოეპოვება, საწყისიც — რქება — ხშირია, მაგრამ I და III სერიის ფორმები ძალზე იშვიათია, ამდენად, საყურადღებო მწკრივთა ჩამოყალიბების ისტორიისათვის); ძინძი ევე, რომელ გარე შეგირტყამს (ბალ. 149,28); ეშპაკსა საბრვე დაურწყამს მისთვის (ბალ. 110,6. გეხვდება ავითაც: რომელი დაურწყავს მტერსა ჩემსა: ლიტ. ქრ. 77,3. მაგრამ ნამდვილად ამ უნდა. შდრ. საფრვისა დარწყუმასა: სწავ. 143,28. შდრ. აგრეთვე დღევანდელი: შერწყმა, შერწყმული); უკუეთუ არა გისუამს წყალი ევე, სუ და ვილოდე (ასურ. 52,36); შემეწიე მე, რომელსა-ევე ქრისტე შთავიცუამს (კომ. I, 146,37).

ბ) პირდაპირი ობიექტი (←სუბ.) I ან II პირში: ამ ტიპის ზნებს ახალ ქართულში მეშველი ზნა ერთვის, ძველში კი ეს არ ჰქონია.

მიდრეკილ არს კაცთა ბუნება ამაოსა მიმართ, და შეუკრავთ ყოველნი მტერსა საწუთროისა ამის სიყუარულითა (აღწ. 159,35); მხიარულ იყავ, რამეთუ მიმოთუალავ შენ და შეილნი შენნი და თავიცა ჩემი ველთა მისთა, რომელი შემძლებელ არს ყოფად ყოვლისა (პარხ. 1122); მოველოდი მზესა, ოდეს-მე დაჰვდეს, რადთა განვისუენო შრომათაგან ჩემთა და საღმობათა, რომელთა მოუცავ (იობ 2,9); განვილვძობთ ძილისაგან უდებებისა, რამეთუ ზამთარსა ბოროტსა მოუცავთ (სწავ. 271, 33); მვედართაგანი მაგას სიტყუასა არავინ იტყვს, ვითარ შენ მარტოდ ცილსა სწამებ? გიხილავ სადაა ანუ მე შენ? (კომ. I, 69,23); ვინ უწყის, ღმრთისა ტაძრადლა იგი შევიდოდე, მაშინ სადამე უხილავ მას (მრავ. 263,28); ვერტმცა ღირს ვიქნები ვმისა მისისა სმენად, და უხილავმცა მე შვედობით (საკ. წ. II, 73,10); ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვპრწყენე (ი. 20,29); საკვრველი! ძმასა იმას ღლიასა ქუეშე დაუჭირავ და არა განმიტეობს (Sin. 35; 315rb,9).

#### ბ. სპა გარდამავალი ზნები

ყველა სხვა გარდამავალ ზნას I თურმობითში აქვს ი-ფ-ზ დაბოლოება. აქ ბოლო ს სუფიქსი მესამე სუბიექტური პირის ნიშანია: და-ში-წერ-ი-ე-ს მე წიგნი, აღ-გ-ი-შენ-ე-ბ-ი-ე-ს შენ სახლი, უ-ჭამ-ი-ე-ს მას პური. ი და ე სადაყოდაა ქვეული:

ა.ჩიქობავას ი წარმოშობით II ხოლმეობითის მწკრივის ნიშნად მაჩნა<sup>169</sup>. სხვა შეხედულებით<sup>170</sup>, მას აწმყოს თემის ნიშნად თელან: სწერ-ი-ე-ს (← \*ს-წერ-ი-ენ-ს), რომელიც აქედან I თურმეობითში გადასყვა სათანადო ფორმებს (უწერ-ი-ე-ს). ასეთი და ამისი მსგავსი გზა აქვს გავლილი სხვა ზნებსაც: უ-პყრ-ი-ე-ს (სტატიკური ვნებით) → შე-უ-პყრ-ი-ე-ს (I თურმეობითი), კ-გ-ი-ე-ს → მო-უ-გ-ი-ე-ს (უფრო გვიან: მო-უ-გ-ებ-ი-ე-ს), კ-მოს-ი-ე-ს → შე-უ-მოს-ი-ე-ს.

კიდევ უფრო ბუნდოვანია მომღეენო ე-ს გენეზისის საკითხი. ზოგი მკვლევარის აზრით, იგი უნდა იყოს გამარტივებული (ნ-დაკარგული) სახეობა ენ სუფიქსისა (ისეთისა, როგორიც "მოვლ-ენ-ან"-ში გვაქვს), რომელიც სტატიკურ ვნებითებს (აგრეთვე სხვებსაც) აწმყოში ახასიათებდათ (\*კ-გ-ი-ენ-ს, \*უ-პყრ-ი-ენ-ს...) და შემდეგ I თურმეობითშიც გადასყვათ<sup>171</sup>.

ე.თოფურას შეხედულებით, ეს ე ისეთივე ე სუფიქსია, როგორიც გვაქვს ოდიანი ზნების უწყვეტელში (ე-ტირ-ოდ-ე, ს-ტირ-ოდ-ე), წყვეტილში (ე-წერ-ე, ს-წერ-ე). ყველა მათგანი წარსული დროის (ნამყოს) მაწარმოებელია<sup>172</sup>.

ი.ქეთარაძის აზრითაც, I თურმეობითის ე წყვეტილის ე-სთანაა გათანაბრებული და მისგან მომდინარედაა მიჩნეული.<sup>173</sup>

ამჟამად ძველია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, თუ ნამდვილად რა წარმოშობისაა ეს სადავო ე სუფიქსი. საკითხის საბოლოოდ გარკვევას ახალი მასალები და გამოწველილეთ შესწავლა ესაჭიროება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ი-ე-ს დაბოლოება გვაქვს ყველა გარდამავალ ზნაში, გარდა ავ და ამ თემისნიშნანებისა. აქ იგულისხმება:

#### ა) უთემისნიშნოები

##### 1. ობიექტური წყობით

და-მ-ი-წერ-ი-ე-ს	მე	იგი	შე-მ-ი-მოს-ი-ე-ს
და-გ-ი-წერ-ი-ე-ს	შენ	"	შე-გ-ი-მოს-ი-ე-ს
და- უ-წერ-ი-ე-ს	მას	"	შე- უ-მოს-ი-ე-ს
(ე.) და-მ-ი-წერ-ი-ე-ს	ჩვენ	"	შე-მ-ი-მოს-ი-ე-ს
(და-გ-უ-ი-წერ-ი-ე-ს →)			(შე-გ-უ-ი-მოს-ი-ე-ს →)
(ი.) და-გ-წერ-ი-ე-ს	"	"	შე-გ-გ-მოს-ი-ე-ს
და-გ-ი-წერ-ი-ე-ს	თქვენ	"	შე-გ-ი-მოს-ი-ე-ს
და- უ-წერ-ი-ე-ს	მათ	"	შე- უ-მოს-ი-ე-ს

<sup>169</sup> ა.ჩიქობავა, ერგატოლი კონსტრუქციის პრობლემა, I, გვ. 95.

<sup>170</sup> ლ. კოჭაბუ, ძირეული და ნასახლარი ზნები ქართულში: გორის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, II, გორი, 1947.

<sup>171</sup> იქვე.

<sup>172</sup> ე.თოფურა, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იკე, 7, 1955, გვ. 453-459.

<sup>173</sup> ი. ქეთარაძე, ზნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის, გვ. 183, 185.

2. სუბიექტური წყობით

ლა-უნერ-იე	შე-უძოს-იე
ლა-უნერ-იე	შე-უძოს-იე
ლა-უნერ-იე-ს	შე-უძოს-იე-ს
ლა-უნერ-იეთ	შე-უძოს-იეთ
ლა-უნერ-იეთ	შე-უძოს-იეთ
ლა-უნერ-იან	შე-უძოს-იან

ბ) ხმოვანმონაცვლეები

1. ობიექტური წყობით

(e.)	გან-ში-წმედ-იე-ს	მო-ში-ღრეკ-იე-ს
	გან-გ-ი-წმედ-იე-ს	მო-გ-ი-ღრეკ-იე-ს
	გან- უ-წმედ-იე-ს	მო- უ-ღრეკ-იე-ს
(e.)	გან-ში-წმედ-იე-ს	მო-ში-ღრეკ-იე-ს
	(გან-გუი-წმედ-იე-ს →)	(მო-გუი-ღრეკ-იე-ს →)
(i.)	გან-გვ-წმედ-იე-ს	მო-გვ-ღრეკ-იე-ს
	გან-გ-ი-წმედ-იე-ს	მო-გ-ი-ღრეკ-იე-ს
	გან- უ-წმედ-იე-ს.	მო- უ-ღრეკ-იე-ს

2. სუბიექტური წყობით

გან-უ-წმედ-იე	მო-უ-ღრეკ-იე
გან-უ-წმედ-იე	მო-უ-ღრეკ-იე
გან-უ-წმედ-იე-ს	მო-უ-ღრეკ-იე-ს
გან-უ-წმედ-იეთ	მო-უ-ღრეკ-იეთ
გან-უ-წმედ-იეთ	მო-უ-ღრეკ-იეთ
გან-უ-წმედ-იან	მო-უ-ღრეკ-იან

გ) ებ თემისნიშნაანები

1. ობიექტური წყობით

(e.)	წარ-ში-ყვან-ებ-იე-ს	გან-ში-ტყე-ებ-იე-ს
	წარ-გ-ი-ყვან-ებ-იე-ს	გან-გ-ი-ტყე-ებ-იე-ს
	წარ- უ-ყვან-ებ-იე-ს	გან- უ-ტყე-ებ-იე-ს
(e.)	წარ-ში-ყვან-ებ-იე-ს	გან-ში-ტყე-ებ-იე-ს
	(წარ-გუი-ყვან-ებ-იე-ს →)	(გან-გუი-ტყე-ებ-იე-ს →)
(i.)	წარ-გვ-ყვან-ებ-იე-ს	გან-გვ-ტყე-ებ-იე-ს
	წარ-გ-ი-ყვან-ებ-იე-ს	გან-გ-ი-ტყე-ებ-იე-ს
	წარ- უ-ყვან-ებ-იე-ს	გან- უ-ტყე-ებ-იე-ს

2. სუბიექტური წყობით

წარ-უ-ყვან-ებ-იე	გან-უ-ტყე-ებ-იე
წარ-უ-ყვან-ებ-იე	გან-უ-ტყე-ებ-იე

წარ-უყვან-ებ-ი-ე-ს  
წარ-უყვან-ებ-ი-ე-თ  
წარ-უყვან-ებ-ი-ე-თ  
წარ-უყვან-ებ-ი-ან

გან-უტყე-ებ-ი-ე-ს  
გან-უტყე-ებ-ი-ე-თ  
გან-უტყე-ებ-ი-ე-თ  
გან-უტყე-ებ-ი-ან

ღ) ევ თემისნიშნანები

1. ობიექტური წყობით

მ-ი-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს  
გ-ი-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს  
უ-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს  
(e.) მ-ი-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს  
(გუ-ი-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს →)  
(i.) გვ-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს  
გ-ი-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს  
უ-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს

მ-ი-ძლ-ე-ე-ი-ე-ს  
გ-ი-ძლ-ე-ე-ი-ე-ს  
უ-ძლ-ე-ე-ი-ე-ს  
მ-ი-ძლ-ე-ე-ი-ე-ს  
(გუ-ი-ძლ-ე-ე-ი-ე-ს →)  
გვ-ძლ-ე-ე-ი-ე-ს  
გ-ი-ძლ-ე-ე-ი-ე-ს  
უ-ძლ-ე-ე-ი-ე-ს

2. სუბიექტური წყობით

უ-კურთხ-ე-ე-ი-ე  
უ-კურთხ-ე-ე-ი-ე  
უ-კურთხ-ე-ე-ი-ე-ს  
უ-კურთხ-ე-ე-ი-ე-თ  
უ-კურთხ-ე-ე-ი-ე-თ  
უ-კურთხ-ე-ე-ი-ან

უ-ძლ-ე-ე-ი-ე  
უ-ძლ-ე-ე-ი-ე  
უ-ძლ-ე-ე-ი-ე-ს  
უ-ძლ-ე-ე-ი-ე-თ  
უ-ძლ-ე-ე-ი-ე-თ  
უ-ძლ-ე-ე-ი-ან

ე) ი თემისნიშნანები

1. ობიექტური წყობით

გან-მ-ი-ჯურწნ-ი-ე-ს  
გან-გ-ი-ჯურწნ-ი-ე-ს  
გან- უ-ჯურწნ-ი-ე-ს  
(e.) გან-მ-ი-ჯურწნ-ი-ე-ს  
(გან-გუ-ი-ჯურწნ-ი-ე-ს →)  
(i.) გან-გვ-ჯურწნ-ი-ე-ს  
გან-გ-ი-ჯურწნ-ი-ე-ს  
გან- უ-ჯურწნ-ი-ე-ს

მ-ი-მ-ი-გურ-ი-ე-ს  
მ-ი-გ-ი-გურ-ი-ე-ს  
მ-ი- უ-გურ-ი-ე-ს  
მ-ი-მ-ი-გურ-ი-ე-ს  
(მ-ი-გუ-ი-გურ-ი-ე-ს →)  
მ-ი-გვ-გურ-ი-ე-ს  
მ-ი-გ-ი-გურ-ი-ე-ს  
მ-ი- უ-გურ-ი-ე-ს

2. სუბიექტური წყობით

გან-უ-ჯურწნ-ი-ე  
გან-უ-ჯურწნ-ი-ე  
გან-უ-ჯურწნ-ი-ე-ს  
გან-უ-ჯურწნ-ი-ე-თ

მ-ი-უ-გურ-ი-ე  
მ-ი-უ-გურ-ი-ე  
მ-ი-უ-გურ-ი-ე-ს  
მ-ი-უ-გურ-ი-ე-თ



გან-უპრწნ-ი-ეთ  
გან-უპრწნ-ი-ან

მონ-უგურ-ი-ეთ  
მონ-უგურ-ი-ან

ვ) ობ თემისნიშნანები

1. ობიექტური წყობით

- |      |  |                                      |
|------|--|--------------------------------------|
|      | გან-მ-იტფ-ობ-ი-ეს                          | მ-ი-ცნ-ობ-ი-ეს                       |
|      | გან-გ-იტფ-ობ-ი-ეს                          | გ-ი-ცნ-ობ-ი-ეს                       |
|      | გან- უტფ-ობ-ი-ეს                           | უ-ცნ-ობ-ი-ეს                         |
| (e.) | გან-მ-იტფ-ობ-ი-ეს<br>(გან-გ-იტფ-ობ-ი-ეს →) | მ-ი-ცნ-ობ-ი-ეს<br>(გ-ი-ცნ-ობ-ი-ეს →) |
| (i.) | გან-გვ-იტფ-ობ-ი-ეს                         | გვ-ცნ-ობ-ი-ეს                        |
|      | გან-გ-იტფ-ობ-ი-ეს                          | გ-ი-ცნ-ობ-ი-ეს                       |
|      | გან- უტფ-ობ-ი-ეს                           | უ-ცნ-ობ-ი-ეს                         |

2. სუბიექტური წყობით

- |  |                 |              |
|--|-----------------|--------------|
|  | გან-უტფ-ობ-ი-ე  | უ-ცნ-ობ-ი-ე  |
|  | გან-უტფ-ობ-ი-ე  | უ-ცნ-ობ-ი-ე  |
|  | გან-უტფ-ობ-ი-ეს | უ-ცნ-ობ-ი-ეს |
|  | გან-უტფ-ობ-ი-ეთ | უ-ცნ-ობ-ი-ეთ |
|  | გან-უტფ-ობ-ი-ეთ | უ-ცნ-ობ-ი-ეთ |
|  | გან-უტფ-ობ-ი-ან | უ-ცნ-ობ-ი-ან |

ზ) ემ და ოფ თემისნიშნანები

1. ობიექტური წყობით

- |      |  |                                    |
|------|--|------------------------------------|
|      | მი-მ-ი-ც-ემ-ი-ეს                         | მ-ი-ყ-ოფ-ი-ეს                      |
|      | მი-გ-ი-ც-ემ-ი-ეს                         | გ-ი-ყ-ოფ-ი-ეს                      |
|      | მი- უ-ც-ემ-ი-ეს                          | უ-ყ-ოფ-ი-ეს                        |
| (e.) | მი-მ-ი-ც-ემ-ი-ეს<br>(მი-გ-ი-ც-ემ-ი-ეს →) | მ-ი-ყ-ოფ-ი-ეს<br>(გ-ი-ყ-ოფ-ი-ეს →) |
| (i.) | მი-გვ-ც-ემ-ი-ეს                          | გვ-ყ-ოფ-ი-ეს                       |
|      | მი-გ-ი-ც-ემ-ი-ეს                         | გ-ი-ყ-ოფ-ი-ეს                      |
|      | მი- უ-ც-ემ-ი-ეს                          | უ-ყ-ოფ-ი-ეს                        |

2. სუბიექტური წყობით

- |  |                |             |
|--|----------------|-------------|
|  | მი-უ-ც-ემ-ი-ე  | უ-ყ-ოფ-ი-ე  |
|  | მი-უ-ც-ემ-ი-ე  | უ-ყ-ოფ-ი-ე  |
|  | მი-უ-ც-ემ-ი-ეს | უ-ყ-ოფ-ი-ეს |
|  | მი-უ-ც-ემ-ი-ეთ | უ-ყ-ოფ-ი-ეთ |
|  | მი-უ-ც-ემ-ი-ეთ | უ-ყ-ოფ-ი-ეთ |
|  | მი-უ-ც-ემ-ი-ან | უ-ყ-ოფ-ი-ან |

ი-ეს დაბოლოების ნაცვლად ახალ ქართულში ი-ა დაბოლოება გვაქვს

ყველგან: დამიწერ-ო-ა, მიჭამ-ო-ა, ამიშენებ-ო-ა და სხვ. ამ ახალ წარმოებას სათავე თვით ძველ ქართულში მოეპოვება. იქაც ხშირიაა ო-ა დაბოლოებიანი ფორმები: დამიტყუებ-ო-ა, შეგირაცხ-ო-ა, უბრძანებ-ო-ა, განუთხვე-ო-ა, დაგვწერ-ო-ა და სხვ.

რა არის ამ დაბოლოებაში ბოლო ა? ნ.მარი მას "არს" მეშველი ზმნის შეკვეცილ სახედ თვლიდა<sup>174</sup>. ა.შანიძეც ფიქრობს, რომ ეს "ა შეიძლება "არს" ზმნის შეკვეცილ ფორმადაც იქნეს გაგებული, რადგანაც სხვა პირის ფორმებს მეშველი ზმნა გაუწნდა: დაუწერი-ვარ, დაუწერი-ხარ, დაუწერი-ა"<sup>175</sup>.

მაგრამ საკითხი ბევრად უფრო ადვილად აიხსნება, თუ დაუშვებთ, რომ ეს სადავო ა არის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი (მხ. რ.), რომელმაც შეცვალა იმავე ფუნქციის სხვა, მეორე ნიშანი ს: და-მ-ი-წერ-ი-ე-ს → და-მ-ი-წერ-ი-ა (←და-მ-ი-წერ-ი-ე-ა). ს-ს ა-დ შეცვლის არა ერთი და ორი მაგალითი მოგვეპოვება, რომელთაც ადვილი ჰქონდათ ძველი ქართულიდან დღემდე:

მშობის → მშობა

მწყურის → მწყურია

მეშინის → მეშინია

მგულვის → მგულ(ე)ება

ს ა-მ შეცვალა ყველა ტიპის ვნებითი გვარის ზმნის აწმყოს მესამე სუბიექტურ პირში:

იმალების → იმალება

ევედრების → ევედრება

ბერდების → ბერდება

შეწუნების → შეწუნდება

ღნების → ღნება.

I თურმობითის ახალი ფორმებიც (უბრძანებია, დაგვიწერია...) ამ ძლიერი მისწრაფების უბრალო გამოხატულებაა. ა-მ, ბუნებრივია, ჩვეულებრივი წესით ამოავლო წინამაგალი ე, რომელიც, ამასთან, უკვე უფუნქციოდ ჩანდა. ასევე იქცეოდა სხვა ანები, ისინიც უყოყმანოდ ამოავდებდნენ ხოლმე მათ წინ არსებულ (სხვა) ხმოვნებს (იმალების → იმალება).

არს მეშველი ზმნის შეკვეცილ ფორმად ჩვენთვის საინტერესო ა ფორმანტის ჩათვლა იმის გამოც არის მიუღებელი, რომ თვით I და II პირის ფორმებს, რომელთაც ახასიათებდათ მეშველი ზმნის დამატება, ძველ ქართულში არ ერთვის მეშველი ზმნა, იქ გვაქვს არა მიშობიხარ, გიშობივარ, არამედ მხოლოდ მიშობიე, გიშობიე, დამიწერიე, დაგიწერიე, შეუაყრიე, მოგვღებიე, შეგირაცხიე და სხვანი. ეს როგორ გამოდის: სადაც უნდა იყოს მეშველი ზმნა, იქ არ არის, სადაც არ უნდა იყოს, იქ ჩანს მისი ნაკვალევი? არა, აქ "არს" მეშველი ზმნის კვალზე ვერ ვილაპარაკებთ, აქ მესამე სუბიექტური პირის ჩვეულებრივი ა ნიშანი გვაქვს, რომელიც სხვაგანაც არაიშვიათად ენაცვლება ს სუფიქსს.

მართალია, ძველი ქართულის მოგვიანო ძეგლებში კანტიკუნტად შეიძლება

<sup>174</sup> Н.Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ.125.

<sup>175</sup> ა.შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 436.

შეგვხვდეს მეშველზმნიანი ფორმები (მეუწყუდევიარ: ბალ. 20.28; გაუყენებეარ: იქვე. 20.29; მოუღრევიარ: იქვე, 77.36; მოუღრეკისარ: იქვე, 110.22; მიუსნისარ: იქვე, 84.31; გამიჩინებისარ: ასურ. 115.24; ალუღენისარ: I მეფ. 26.19. ხარ აქ მერმეა ჩამატებული), მაგრამ. ჯერჯერობით. ეს წვეთია ზღვაში: მეორე; ეს არსებითად ორ (მოგვიანო) ძველშია: მესამე: ამ მოგვიანო (ერთი-ორი) ძველის ჩვენების მიხედვით ვერ აიხსნება გაცილებით უფრო ძველი და სანდო ძველების ჩვენებანი. სადაც მეშველზმნიანი ფორმების ჭაჭანება არაა. მთავარი მაინც ისაა, რომ სადავო ა-ს აქვს. ჩენი აზრით, სრულიად დამაკმაყოფილებელი და სანდო ანალოგიებით გამართლებული საკუთარი ახსნა.

ზემოთ გაკერით იყო ნათქვამი, რომ გარდამავალი ზმნების ამ მეორე ვგუფუსაც არა აქვს I-II პირში მეშველზმნიანი ფორმები. ამიტომ აქ ერთადერთი და ბუნებრივია მომიყიდე მე შენ და არა: მომიყიდისარ, მოუვლინებე მე მას და არა: მოუვლინებე-ვიარ, განუზნევიეთ თქვენ (ჩუენ) მას და არა: განუზნევისართ (განუზნევივართ) და სხვ. ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითები ტექსტებდანაა ამოღებული. მაგრამ სჯობს ეს და მსგავსი საილუსტრაციო ნიმუშები სათანადო ძველებიდან აქვე დაეურთოთ:

უფალო, ხატად შენდა დაგიბადებით ველითა და არა სიტყუითა (აღწ. 161,15); რაოდენ-გზის განუზნევიეთ /თქვენ/ ეშმაკსა მას (კომ. I, 275,30); იხილე, უფალო, რომელთა საგუებელთა შეუგდებე მე (აპოკრ. 36,25); კელთ-გვგდებე ჩუენ და მოცემულ ხარ ჩუენდა (სწავ. 230,32); ამა ესერა დამიღვინებე მე შენ დღესით დლითგან ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა (დაბ. 41,41); მასწაველულად მოგვკვი, შიო ნეტარო (სას. 3. 363, III,7); რომელთა თავს-უდებე შენ (ქრისტინ. 194,28); ვიძლიე მისგან, რომელსა-იგი შეუბყრიე მე (Sin. 11, 334,3 ქვ.); წმიდასა ღმრთის მშობელსა შუმივედრებით და მან დაგიცვენს თქვენ (ლიმ. 35,31); უფალსა მოუვლინებე მე ბეთელდ (4 მეფ. 2,2 ლატ.); სარგებელისათვის ამის ქუეყანისა წარმოუვლინებით ჩუენ უფალსა ჩუენსა (ასურ. 29,14); რაისათვის ჩემგან მეფარეი და შეფირაცხი მე ვითარცა წინა-აღმდგომი შენი? (იობ 13,24); რომელმან მომავლინა მე, ჩემ თანა არს, არა დაუტევებე მე მარტოი (მ. 8,29 C); ჩემდა შემოხვდე დღეს. რამეთუ მომიყიდე შენ მანდრაგურთა წილ ძისა ჩემისათა (დაბ. 30.16); შემინდე, უფალო, ოდეს მას კრულ-უყოფიე, ვერ ძალ-მიც შეწყნარებად შენდა (ლიმ. 103,13); დღეს მიშობი შენ (კომ. I, 174,29; მოც. 13.13); არცა განცხადებულად გიცნობი, ვინ ვარი მე (აღწ. 170.11); უკუეთუ არა, მეცა აღმჟოცე წიგნისა მისგან, რომელსა დაგიწერიე (სწავ. 207,19. თვით წყაროში — გამ. 32,32 — წყვეტილის ფორმა: უკუეთუ არა, აღმჟოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე).

აქამდე ჩვენ განვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როცა აღნიშნული ტიპის ზმნებს I თურმეობითში პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითში შეეწყობოდა: დაუწერიეს მას იგი, დაგიწერიე შენ მე, მიშობი მე შენ და სხვ. თუ რა სახეს მიიღებს ფორმა, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, ამის შესახებ საეციალური საუბარი გვაქვს ქვემოთ (გვ. 289 და შემდ.).

რას ეყრდნობა I თურმეობითი? რომელი სერიის ფუძე უძვეს საფუძვლად მას? აბსოლუტურად უძვეტეს შემთხვევაში იგი ეყრდნობა I სერიის ფუძეს, ძალიან იშვია-

თად — II-ისას. ისეთი ძველი წარმოშობის ზმნები, როგორიცაა ემ. ევ და ოფ თემის-ნიშნანი ფორმები, მუდამ და უგამონაკლისოდ მხოლოდ I სერიის ფუძეს იყენებს: მიმიცემის, მიგიცემის, მიუცემის, მიძლევის, გიძლევის, უძლევის, მიყოფის, გიყოფის, უყოფის. ასევე იქცევა აგრეთვე ხმოვანმონაკვლე ზმნებიც, რომელთაც ფუძეში ე ხმოვანი აქვთ (და არა ი, რომელიც II სერიის კუთვნილებაა): განგიბნევან, დამითმენის, დამილევან, აღურჩევის, განუწმედან, წარუწყმედან, აუწყუედან. ამათვე უნდა მიეკედლოს უთემისნიშნო ზმნებიც: ვითხოვის, შეუმოსის, შემირაცხის, მომიქსოვის, დაგიწერიეს, შეუჭამის, მიმიხუეჭიეს. მართალია, ამ ზმნებს I და II სერიაში ერთი და იგივე ფუძე აქვთ გამოყენებული, მაგრამ რადგანაც ისინი უღლების ყველა ძირითადი ნიშნის მიხედვით ხმოვანმონაკვლეებს უდგანან გვერდში, მათ აქვთ ვერ დავაცილებთ და თეორიულად ვეარაუდობთ, რომ ისინიც (უთემისნიშნობებიც) I თურმეობითში I სერიის ფუძეს უნდა ეყრდნობოდნენ. სხვა ზმნებიც (ებ, ობ, ი თემისნიშნანები) არსებითად ასევე I სერიას ეყრდნობან. ავიან და ამიან ზმნებზე ხომ ზემოთ სპეციალურად გვქონდა მსჯელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ძველ ქართულში შეიმჩნევა რყევა, თუ საყრდენად რომელი სერიის ფორმები აირჩიონ: ზოგნი (ხან) I სერიას ირჩევენ, ზოგნი (ხან) — II-ს. აი, ამის რამდენიმე მაგალითი:

წარმოკითხავს ებისტოლმ შენი, რომელი დაგიწერიეს მწვალებელთათვის, და განმოგებთეს და განმიმართებთეს (ლიმ. 64,27); ამა ესერა ღმრთისა მიერ მაქუს მე ქუბასა ამას შინა ოცდამეთრევაშემტმ წელი და კაცსა ყოვლადეუ სიტყუაი არა მიმოგებთეს, არცა მიხილავს აქა (კიმ. II, 156,8); მღღელსა დაუგებთედ ვორცი და სისხლი უფლისაი (სჟან. 476r. მართალია, ეს ფორმა I თურმეობითის ზოლმეობითისაა, მაგრამ რადგანაც ეს უკანასკნელი I თურმეობითის ფუძეს იყენებს, I თურმეობითის ფუძის რაობის გასაგებადაც გამოგვადგება). მაგრამ: მეცა ყოვლისაგანე, რომელი მომიგეთეს, ძღუნად სიტყვერად მიუყრა ზოგადსა მამასა და მწყემსსა ქართველთასა სანატრელსა დავითს (ასურ. 145,27); ხოლო დღეს მოუგეთს მონაზონთა ნაყროვანებაი სიხარბით, და გულ-ფიცხელობაი მანკიერებით, და შეკრებაი მრავლისა მონაგებობაი (ლიმ. 26.25); დაგვტევებთეს იგი და მოგვებთეს თავისა ჩუენისა საქმე, რომელი არა ვერ-არს (სწავ. 38,2); სხუანი სათნოებანი ვერაი მოუგან (სწავ. 27,5).

ამა ესერა დამიღვინებთე მე შენ დღესით დღითგან ყოველსა ქუეყანასა ეგვტისასა (დაბ. 41,41). მაგრამ: რომლისათვისცა აწ აქა წარმომიღვინეთეს ესე ორთა თანა მამათა მისთა (ასურ. 173,22 ლ); ეგრეთვე უფალსა ჩუენსა დაუღვინეთეს თითოეულსა ჩუენგანსა მცველად ანგელოზი (სწავ. 102,23).

რამეთუ დამბადებელსა არარაი დაუკლებთეს და არცა შეუმატებთეს საეპარსა მას (უქმ. რედ. 131,9). მაგრამ: მსახურებაი შენი არარაი ოღეს დამიკლია (ბალ. 15,38 ლ).

არაარსი სარწმუნოებაი მოგიპოვებთეს (კიმ. I, 76,22); რომელსამე მოუპოვებთეს მარხვაი ფრადი (სწავ. 264,3); რომელთა-ესე თავს-გვდებთეს სიცხმ დღისაი და ყინელი ღამისაი და ვერაი მოგვპოვებთეს (ცხ. ეფრ. 99,7). მაგრამ: და უკუეთუ მოპოვნეთეს მადლი წინაშე შენსა, მოჰხედე ამას წყალობითა შენითა აწვე ფაშა ამას (კიმ. I, 337,4); ჰგონებდეს, ვითარმედ უპოვნეთეს ფამი, რადთა ავინონ და შეურაცხ-

ყონ წმიდაი იგი (იქვე, 293,5); ვითარცა ცნა ყრმაჲს მან, ვითარმედ უპოვნია ადგილი კაცისა მის თანა. კვითხა იღუმალ (ბაღ. 20,11). აქ შეიძლება შევნიშნოთ, რომ I სერიის (ებან) ფუძეს ზმნისწინიანი ფორმები იყენებს (მო-უ-პო-ე-ბი-ე-ს), ხოლო II სერიისას — უზმნისწინობები (მ-ი-პო-ე-ი-ე-ს, უ-პო-ე-ი-ე-ს). მაგრამ რა არის ამ უკანასკნელთა ფუძეში ნ? საიდან მოდის იგი? ჩვენთვის საინტერესო ნ სუფიქსის შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებაა გამოთქმული. მისი წარმომავლობის საკითხს საეციკალურად ეხებოდა ი.ჭავჭავაძე, რომელიც თვლის, რომ "ნ სუფიქსი გამოდის - ებ სუფიქსის მონაცვლედ პირველსა და მეორე თურმეობითში მამინ, როცა აწმყოში ზმნა ებ ნიშნანია"<sup>176</sup>. ცოტა ქვემოთ მკვლევარი დასძენს: "ეს -ნ (← ენ) ზმნური ფუძის ისეთივე საწარმოებელი სუფიქსია, როგორც ან. ონ, ევ და სხვები. გამოყენებული სხვადასხვა სერიის ფორმებში"<sup>177</sup>. ნ.ნათაძის თვალსაზრისით, "ნ-ს წარმომობა ნათელი არაა... "გცოდნა", "გაპოვნა", "გითხოვნა" ... ზმნებში ის მასდარიდან მომდინარედ უნდა ცნოთ"<sup>178</sup>. ა.შანიძე ასეთ მოსაზრებას გეთავაზობს: "მოქმ. გვარის ზმნათა II თურმეობითის ფორმები ფორმობლივ პრეფიქსიანი ენბითის ორპირიან ზმნათა წყვეტილს დაემთხვა ... ასეთმა ორ-აზროვნობამ გამოიწვია საჭიროება, გარჩეულიყო ორი სხვადასხვა მწკრივისა და სხვადასხვა გვარის ფორმები. ენამ ამ შემთხვევაში სადიფერენციაციო საშუალებად ნ ინფიქსი გამოიყენა და მოქმედებითი გვარის ფორმებში გაატარა, თუმცა კი არა სისტემებრ და არა ყველა ტიპის ზმნაში ... ჩართული ნ პირველად II თურმეობითში უნდა გაჩენილიყო, მაგრამ შემდეგ იგი I თურმეობითშიც გადასულა ... თურმეობითებში ნარის ხმარებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ ინან ზმნებს, რომელთაც ნარი აწმყოშიც აქვს: ვთოხნი, ვტყეპნი, გკორტნი. გკონი და სხვ., რადგანაც ამათ თურმეობითებში ნ აუცილებლად გადაჰყვებათ: გაუთოხნია, გაუთოხნა. ამ თვალსაზრისით ამავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს "პოვნა" ზმნაც: უპოვნია, ეპოვნა"<sup>179</sup>. საწყისებში ნ, როგორც წესი, აქვთ ისეთ ზმნებს, რომელთაც მარტივი ფუძე უხე უთავდებათ: დევნა, თხოვნა, ლევნა, პოვნა, რევნა, და-ტევნა, და-ცვევნება, ძოვნა, წევნა (მი-წევნა, მო-წევნა...), წოვნა, წუევნა, ხუევნა. თუ დავუშვებთ, რომ უზმნისწინო (უფრო ძველი) პოვნა I თურმეობითის ამ საწყისიდან აწარმოებდა (პოვნა — უ-პოვნ-ი-ე-ს), მაშინ ადვილად ამოუდგებოდა ამათ გვერდით მეორე ძველი ზმნაც: ქნა — უ-ქნ-ი-ე-ს (ამ ზმნის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 227).

და სხუანიცა ესე ორნი ძენი ჩემნი მომიყვანებან წინაშე სიწმიდისა თქუენისა (ასურ. 173,24 ლ); მომიყვანებან კაცი იგი მეშფოთენი და ელანოსცა მაცთური თქუენ წინაშე (კომ. II,33,21); რაჲსათვის შემოგიყვანებოეს აქა შინა ვერძი ესე (ლომ. 23,29). მაგრამ: ვითარ თვნიერ სიტყვსა ჩემისა ათცამეტნი გლახაკნი შემოგიყვანან? (კომ. I. 129,30).

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ფორმათა ეს ჭიდილი საყრდენად II სერიის

<sup>176</sup> ი.ჭავჭავაძე. დრო-კილოთა III სერიის წარმოების ერთი თავისებურება ასალ ქართულში: იკვ. 7. 1955. გვ. 67.

<sup>177</sup> იქვე. გვ. 74.

<sup>178</sup> ნ.ნათაძე. შესაძებ სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იკვ. 7. 1955. გვ. 89.

<sup>179</sup> ა.შანიძე. საფუძვლები. გვ. 442-443.

ფუძის არჩევის სასარგებლოდ დამთავრდა. რამდენადაც იქით და იქით შევდივართ ძველი წერილობითი ძეგლების სიღრმეში, იმდენად უფრო მეტად არის აღებული I სერიის ფორმები I თურქობითის საყრდენად, ხოლო რამდენადაც აქეთ მოვდივართ, ახალი ქართულისაკენ. უფრო და უფრო ხშირია I თურქობითის ბაზად II სერიის ფორმათა გამოყენება. ამ დებულებას თვალნათლივ ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მთელი რიგი ზნებისა, რომლებიც ძველ ქართულში I თურქობითის საწარმოებლად მხოლოდ I სერიის ფორმებს იყენებდნენ, დღეს მხოლოდ II სერიას მიმართავენ. მაგალითად: ოზიან ზნებს დღეს I თურქობითში II სერიის ფუძით ვიყენებთ. შღრ. ათბობს — გაუთბა, აღნობს — გაუნდა, აქრობს — ჩაუქრია, აშრობს — გაუშრია, ახმობს — გაუხმია, აჭკნობს — დაუჭკნია, აცხრობს — დაუცხრია, სპობს — მოუსპია.

ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებს სხვა თემისნიშნის ზნებიც. განვიხილოთ სათანადო ნიმუშები:

იხილეთ, უფალო, რომელთა საგუემელთა შეუგდებოე მე (აპკრ. 36,25); ნუკამა მეტყვან. ვითარმედ: ველთ-გვეგდებოე ჩუენ და მოცემულ ხარ ჩუენდა (სწავ. 230,32); რომელი ლოცვაი ორად გამიყოფია. გინა თუ სიტყუაი დამიგდება, მას ზედა დამისუაშს ნიშნად კერძიი ზღვსაი წითლითა (იოვანე—ზოსიმე, ანდერძი, რომელიც დართული აქვს ძეგლს "ფსალმუნნი ჟამთანი": პ.ინგლოროყვა, III, 368,23). შღრ. დლეკანდელი: შეუგდა, დაუგდა.

წარმიკითხავს ებისტოლც შენი... და განმიგებოეს და განმიმართებოეს (ლიმ. 64,27. იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 222).

აჰა ესერა დამიღინებოე მე შენ დღესით დღითგან ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა (დაბ. 41,41). დღეს ვიტყვი: დამიდგენიხარ, დამიყენებიხარ (იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 222).

ძირი რისხვისა შენისაი ესე არს ჩემ ზედა. რამეთუ თავს-მიდებოეს რამე მცირედი სატანჯველი ამის სოფლისაი გინებითა ჩემითა (ბალ. 105,13); უწყოდეთ, რამეთუ მრავალი თავს-მიდებოეს მე შენგან (კიმ. II, 10,5); არა თუ თავსა ვიქებ ამით სიტყვთა, არამედ რომელი საქმე სხუათა დაუდებოეს (სწავ. 42,25); უკუეთუ ოქროი გინა ვეცხლი დაუდებოეს მარხულად. ქრისტე დაუტევებოეს და განშორებულ არს მისგან (სწავ. 192,24). დღეს ვიტყოდით: თავს მიღვია, დაუღვია.

გლახაკად საგონებელ ვართ, და რეცა არას მოვიგებთ, და სიხარბესა დაუღნობოეთ (სწავ. 264,23). დღეს იჩნებოდა: დაუღნივართ.

უფალსა მოუვლინებოე მე ბეთელდ (4 მეფ. 2,2 ლატ.); უფალსა მოუვლინებოე მე იერიჰომდენ (იქვე, 2,4); უფალსა მოუვლინებოე მე ვიდრე იორდანელმდენ (იქვე, 2,6); აჰა ესერა ღმერთსა მოუვლინებოეს ჩუენდა ერთი წმიდათაგანი (ლიმ. 87,10). დღეს: მოუვლენია. გარკვეულ შემთხვევებში (სამსახურებრივ და სამეცნიერო საქმეებზე) I სერიის (ეზიანი) ფუძე დღესაც შეიძლება (და უნდა) იჩნეს გამოყენებულ: მოუვლინება.

წარმიკითხავს ებისტოლც შენი... და განმიგებოეს და განმიმართებოეს (ლიმ. 64,26); ეცნათ, ვითარმედ ძვრის-ყოფაი ჩუენდა მოუმართებოეს (პარხ. 862b). დღეს: განმიმართავს. ყოველ შემთხვევაში, ეზიანი ფორმა (I სერ.) არ იხმარება.

წარვიდეთ და ეიხილნეთ გუამნი მათნი, ვითარ-იგი თმითა თვისთა შეუკობო-  
ან (საქ. წ. II, 54,29). დღეს: შეუკვია.

მან მოუგო, ვითარმედ: რომელი-იგი გმო, მისგან შეინდოს და სარწმუნოებად  
მოვიდეს, და მე შემინდობია (ი—ე, 32,12). დღეს: შემინდვია.

მომიღებოეს ვალი იგი ქრისტესგან (ლიმ. 83,5): შენთვის მომიღებოეს და არა  
სხვსა ვისთვისმე (ბალ. 30,26); მიჩუნე ჭურჭელი იგი, რომელ მოგიღებოეს (ბალ.  
30,14); მცირე უკუე ნაწილი მოგიღებოეს თავისა შენისათვის ამის სოფლისაგან (ბალ.  
149,27); მოუღებოეს სასყიდელი მათი (მ. 6,2,5,16); ამას დღესა აღუღებოეს დავითს  
ქნარი იგი თვისი და გალობს წინაშე ჩემსა (კიმ. I, 187,39); რომლისათვის საფასედ  
დადებისა მცნებაი მოგვლებოეს (ასურ. 126,36). დღეს: მიმიღია.

სხუანიცა ესე ორნი ძენი ჩემნი მომიყვანებთან წინაშე სიწმიდისა შენისა  
(ასურ. 173,24 წ); რაისათვის შემოგიყვანებოეს აქა შინა ვერძი ესე (ლიმ. 23,29); ნ.  
ამის შესახებ ზემოთ, გვ. 223. დღეს ითქმის: მომიყვანია.

ესე მიყოფოეს სიჭაბუკით ჩემითგან (მრ. 10,20 C); ამით მიყოფოეს თავი ჩემი  
მუშაკ (ლიმ. 16,7); შენ კაც ხარ და გიყოფოეს თავი შენი ღმერთ (ი. 10,33); აწ  
გიყოფოეს თავი შენი უგუნურთა თანა საცინელ (ბალ. 4,39); რომელი სხუსა კაცსა  
კაცისადა არა უყოფოეს (სწავ. 33,21); აწ ესერა მიწისაგან აღმოუყოფოეს თავი თვისი  
(სწავ. 65, 15). დღეს: ამოუყვია.

ძმ ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ (მოც. 13,33; კიმ. I, 174,29; მრავ.  
260,16; 310,27). დღეს: მიშვიხარ (მიშვია, დამბადებია).

აწ მოგვშუებია, რომელი გამოირჩია თავისა თვისისათვის (ბალ. 134,14). დღეს:  
მოგვიშვია (ნება დაგვირთავს).

აჰა ესერა მე განძირინებოეს და მითქუამს (Sin. 62, 38ra,4); არა განუწინებოეს  
ღმერთსა ბოროტისა საქმს (სწავ. 45,6). დღეს (იმავე ფუძეს თუ ვიხმარდით):  
გამოუწინია, გაუწინია.

დღეს კეთილისა საქმედ მომიცალებოეს და სინანულად მიწყიეს (Sin. 36,  
308a,2 ქვ.; სწავ. 257,29). დღეს: მომიცლია.

აჰა ესერა მომიცებოეს თქუენდა ყოველი მონაგები ჩემი (ლიმ. 134,22); მე  
აღთქუამა მომიცებია ღმერთთადა (ბალ.113,22); მიცებია საზრდელი და მისუამს  
სასუბელი (სწავ. 49,13); მცირელი ესე ჟამი მოუცებოეს ჩუენდა ღმერთსა სინანული-  
სათვის (ლიმ. 29,29); მცნებაი მოუცებია შენდა ღმერთსა (სწავ. 136,22); აწ უკუე  
წარმომიცებთან ეგენი წინაშე მეფობისა თქუენისა (კიმ. II, 22,29). დღეს: მიმიცია.

შეგვცვალებოეს მშველობაი და სიყუარული, და მოგვგვიეს ბოროტი, შური და  
მტერობაი (სწავ. 103,31). დღეს: შეგვიცვლია.

მრწამს ერთი ღმერთი და მიცნობიეს, რამეთუ ყოველი მის მიერ არს (ბალ.  
117,28); არასადა თავსა ჩემსა შემიცნობიეს დამარხვად ერთიცა მცნებათაგანი  
ღმრთისათაი (Sin. 35, 191v); მიცნობია ყოველთა შემოქმედი ღმერთი (კიმ. II,47,4);  
არდა გიცნობიეს, არცა მოიხსენეთ ხუთთა მათ პურთაი და ხუთ ათასთაი მათ (მ.  
16,9); არა გიცნობიესა, რამეთუ ყოველი, რომელი შეეკალს პირით, მუცლად მიეკალს  
და განსავალით განეკალს? (მ.15,17); ვინაითგან გიცნობია განკითხვად სარგებელისა  
მომატყუებელი (სწავ. 136,33); ჩუენ გურწმენა და გვცნობიეს, რამეთუ შენ ხარ

ქრისტე (ი. 6.69). დღეს: მიცვნა.

აწმცა დამიძინებუეს და დაყუდებულ ვარ, და-მცა-მიძინებუეს ძილი საუკუნო და განმისუენებუეს (წარტყ. 38.2). დღეს: დამიძინა.

რად არს საქმც ესე. რომელსა შენ იქმ. ჰ სტეფანია, წუთის ფერუნი არა დაგიწყობან სახლსა შინა ჩემსა (აღწ. 170,10). დღეს: დაგიწყვია.

რომელთა არარად აქუს საუმართაგანი, განუცმობან გუაწნი მათნი მარხვითა (სწავ. 25,20). დღეს: გაუხმით<sup>180</sup>.

ამნარი ზნები სხვაც ბევრია ძველ ქართულში, მაგრამ მათი I თურმეობითის ფორმები ჯერ გამოვლენილი არ არის. ეჭვი არაა, როცა ისინი თანდათანობით იქნება გამოშუქრებული ახალი და ახლი ტექსტების გამოცემისას და სათანადოდ იქნება აღრიცხული, ჩვენ მივიღებთ ქართული გარდამავალი ზნების აბსოლუტურ უძრავ-ლესობას, რომელნიც I თურმეობითის წარმოებაში I სერიის ფორმებს ეყრდნობან. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ დებულების სისწორის დასადასტურებლად ის მაგალითებიც კმარა, რომლებიც ზემოთ არის მოყვანილი.

რალა რჩება, რომელი ზნები ეყრდნობა II სერიის ფუძეს? სულ ცოტა. აი, ისინიც:

1. რათა აღტყინებულიცა იგი უჩინოდ ცეცხლი, რომელ აღუჯ ზნიეს შენთვის ეშმაკსა განსაცდელად, დაჰმრიტო (ასურ. 192,6); რამეთუ აღუჯ ზნიეს სულისა თვისისათვის ცეცხლი იგი საუკუნოდ უშრეტი (სწავ. 61,31). სხვა მაგალითი არაა ნაპოვნი. ხომ არ შეიძლება ამოსავლად (აწმყოდ) აღუჯ ზნის ვივარაუდოთ, ვთქვათ, ისე, როგორც გვაქვს: განუცხნის, განურყუნის, განუერწნის?

2. თუ არ გამართლდება მოსაზრება, რომ "მიპოვნიეს", "გიპოვნიეს", "უპოვნიეს" საწყისს ეყრდნობა და ისე აწარმოებს სათანადო ფორმებს (6. ზემოთ, გვ. 223), მაშინ ამ ზნის უზნისწინო I თურმეობითი II სერიაზე დაფუძნებულად უნდა ვივარაუდოთ. აი, დამატებითი მაგალითები: აქა მიპოვნიეს ნათელი ბრწყინვალე (კიმ. I, 282,14); მე მიპოვნია მამა ყოვლისა მყრობელი (ბალ. 79,2); საფასე გვპოვნიეს (სწავ. 314,16).

ზნისწინიანი ფორმები, როგორც აღნიშნული იყო (გვ. 223), უგამონაკლისოდ I სერიას ეყრდნობან (მოგპოვებუეს, მოუპოვებუეს...).

3. აწ ესერა ვითარცა მკლველი შეუყრიე /მე/ (სინ. 130,23); ანუ რად არს განრყუნებუება ეგე, რომელსა შენ შეუყრიე (თეკლა 97,4); ამისთვის ძწოლასა შეუყრია სული ჩემი (სწავ. 203,31).

ეს ფორმა სტატისტიკურ ენებითს (აწმყოს მწკრივისას) ეყრდნობა. შდრ. არა ხეთა რტომ მიყრიეს, არცა ქნარი მაქუს, არცა ლამპარნი მიყრიან აღნთებულნი (სინ. 32,19); დაგიტევებიეს მცნება ღმრთისა და გიყრიეს მოძღურება კაცთაი (მრ. 7,8). I თურმეობითისათვის უფრო მოსალოდნელი იყო შეუყრობიეს, რაც,

<sup>180</sup> ამ საკითხებზე მსჯელობს ა.ჩიქობავა თავის შრომაში: "ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში". I, 1948, გვ. 95-98. უფრო ადრე აღნიშნული საკითხი განხილული იყო მისივე ნაშრომში "თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უკვლელების სისტემის ისტორიისთან დაკავშირებით ქართულში": "ლიტერატურული ძიებანი", 2, 1945, გვ. 127-141.



აღბათ, სადმე ტექსტებში აღმოჩნდება.

4. I თურმეობითში ვეკლზე ხშირად გვხვდება სწავება-ს ფორმები, რომელსაც ვხედავთ თემის ნიშანი არ ახლავს, ე.ი. II სერიის ფუტეა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში ზნა (I და II სერიაში) სათავისო ქცევას გულისხმობს. აი, რამდენიმე ნიმუში: სიბრძნის-მოყურება ეგე არა მისწავის (საქ.წ. II, 34,10); სიყრმესაკე შენსა გისწავის (იქვე, 83,23); ვითარ-მე წიგნი იცის ამან, რამეთუ უსწავის მებრ არა (ი. 7,15 C); ჰ მსაჯულო, ჩუნ მორჩილება გვსწავის მეფეთა (კომ. I, 7,10); ვიცით და გვსწავის, რამეთუ ბალაქარს ეძიებთ (ბალ. 95,9 ლ). შდრ. კეთილად ჰზამ, დედოფალი ჩემო, ასწავით მკვეალსა შენსა ჭაბუკსა ჰასაკითა. განამტკიცე ეგე (Sin. 6, 190r,10 ქ.).

თუ ეს აწმყოა, მაშინ გასაგებია, რატომ არის I თურმეობითში მისწავის, გისწავის, უსწავის.

5. ასევე ხშირია ქნა ზნის II სერიაზე დაფუძნებული ფორმებიც. გასაგებია მიზეზის გამო აქ მაგალითები ძალიან ბევრია, ჩვენ კი მხოლოდ მცირედს დავიხილავთ: იწყო ჭაბუკმან მან უვარის-ყოფად, ვითარმედ: არარაი ესეითარი მიქნის (ლიმ. 34,14); რაი საქმე გიქნის შენ (ი. 18,35 C); რაი ბოროტი უქნის მაგას (მ.27,23); ამას უწესოი არაი უქნის (ლ.23,41 C); კაცი ველითა შეუქნია მიწისა-გან (ბალ. 25,22); ხოლო ჩუნ უღებ გვქნის ბრძანება იგი უფლისაი (ასურ. 56,28); შუბლი იგი უშუერადრე გამოუქნის ველოვანთა მათ (კომ. I, 150, 30); განეწმიდნეთ ყოველთაგან ცოდვთა, რომელნი წელიწადსა შინა გვქნინან (სწავ. 26,28); ველითა თვისითა შეუქნინან კერპნი (ბალ. 59,16).

6. კუალად მუნვე მოვიდეთ, რომელსაცა-იგი მიწყის (ასურ. 58,7); უკეთუ გიწყის. რაითამცა მყავ მე სარცხენელ წინაშე კაცთა, ხოლო მე არავე დავჰფარავ პირსა ჩემსა (კომ. I, 277,34); უწყის გალილუაით ვიდრე აქამომდე (ლ. 23,5).

შეიძლება ამ მაგალითებს რამდენიმე ზნა კიდევ შეემატოს, მაგრამ, საერთოდ, ამ ტიპის I თურმეობითი ძალიან ცოტაა, მაშინ როდესაც I სერიის ფორმებზე დაფუძნებულ ზნათა რიცხვი შეუდარებლად დიდია. I თურმეობითის ჩამოყალიბების ვითარებისა და ისტორიისათვის ამ ფაქტს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ახლა დამატებით I თურმეობითის წარმოების ზოგი ტიპის (...ი-ე-ლ ...ი-ა) ნიმუშები ვნახოთ:

A. პატიოსანო მამო, ვითარცა გიბრძანებთ, ვერეთცა ვყოთ (ასურ. 154, 15); დაუენწყებთ მას ბრალთა თვისთა საურაი (სწავ. 24,14); მომივლიეს ცასა ქუეშე ყოველი (კომ. I, 275, 3); რომელსა იორდანე წარუვლიეს (ასურ. 37,15).

არა რომელი ცხორება უსჭორველეს და უვიწრეს არს ცხორებისა ამის ჩემისა, რომელი დამითმენეს (ბალ. 122,16); აქამომდე არარაი ვითხოვეთ, ითხოვდით და მოილოთ (ი. 16,24); უკეთუ წარმიკუეთის სასობაი ჩემი (კომ. II, 36,19); ამა ესერა პური ჩემი დამომზადებთ (მ. 22,4 C); განშიშულებულ არს იგი სოფლისაგან და შეუმოსიეს სიყურული ქრისტესი (სწავ. 193, 2).

მოწინჭებთ შენდა უფალსა მესამედი მაღლი იერუსალმისაი (ასურ. 180,13); შემარაცხის ქრისტესის ცოდვად და შემარაცხის ყოველივე უნასად (კურთხ. მოს. 164,11); მას ესრეთ შეურაცხის ყოფაი ვორცთა შინა, ვითარცა

იწროსა დილეგსა (ბალ. 164,7. ამ ზმნას იშვიათად ებ თემის ნიშანიც უწნდება: ნუშცა შემარაცხებოეს მე ცოდვად თქუბული ესე: Sin. 35. 191v; ზოგჯერ ავ გამოჩნდება, რომელიც ახალ-ქართულში დამკვიდრდა, მაგრამ ნორმა და აბსოლუტურად გავრცელებულია უთემისნიშნო ფორმები, როგორც აქაა წარმოდგენილი); წარმაჯლისა წილ აღგორჩევიეს წარუვალი და უმჯობესი (ბალ. 13,14); გამოგორჩევიეს რჩული ქრისტეანობისა (ბალ. 77,30).

ლუწლი კეთილი მოძილუაწებოეს, სრბაი აღმისრულებოეს, სარწმუნობაი დამიმარხავს (2 ტიმ. 4,7); ესე დამიმარხავს და წესი დამიტევებოეს (ლიმ. 11,20); რომელი ვიცით, და-და-გვტევებოეს (მრავ. 313,32); რომელსა დაუნჯებოეს სათასე თვისი ღმრთისა თანა მალალთა შინა (სწავ. 194,23); არა მოძიქსოვიეს შენთვის სამოსელი შეთხზული ფურცელთაგან (კიმ. I, 179,39).

ყოველი წარუწყებოეს ესევითარსა მას და დაუქცევიეს სული თვისი (კიმ. I, 80,35); ეგევითარი სული არავის უცნოსიეს (ურკ. 323,14); აწ უკუე ვინაითან ესრეთ შეგიყვარებოეს უდაბნოი და ღმრთისათვის იწროებით ცხორებაი (ასურ. 100,30); ამა ესერა აღმშენებოეს და დამოხსნიეს მიზეზი მისი (ლიმ. 93,20); მე მეფეც არა შემორჩენებოეს (კიმ. I, 74,13); წარმოკითხავს ებისტოლმ შენი, რომელი დაგიწერიეს მწეალებელთათვის, და განმძებოეს და განმძმართებოეს (ლიმ. 64,27); არა განუჩინებოეს ღმერთსა საქმე და არცა დაუწერიეს, არამედ უცელმწიფებოეს კაცი თავსა თვისსა ზედა ყოფად კეთილისა (სწავ. 45,7).

წინაისწარმეტყუელთა დაუწყევიეს ენაი ორისა მეტყუელი (სწავ. 73,12); შემოწყნარებოეს, ძეო მეთისაო, რომელსა-ესე მასუეე, და მრწამს ღმერთი (ბალ. 117,23); მგელსა მას რისხვით უთქმიდა და შეასმენდა, ვითარმედ: მას შეუჭამიეს (ასურ. 116,26 ლ); სამოსელი თქუენი მდილთა დაუჭამიეს (კათ. იაკ. 5,2).

უცხო ქმულ არს კრებულისაგან მონაზონთაისა და დაუჭირებოეს შესაძინებელი სარგებელისა (სწავ. 192,29); არა ვისგან მიძიხუეჭიეს, ჩემი არს უბრალოი და არა პრქეან ამას აღნადგინები (ასურ. 134,15); მოძილებოეს ვალი იგი ქრისტესისგან და გარდავიდოეს და არღარაი არს ჩემი შენ თანა (ლიმ. 83,5); ნუ დაგიჯერებოეს, თუშცა მე მისა ცოლადა ვიყავ (შუმ. 135,31).

B. მეფესა უბრძანებია მოკუეთაი თავისა მათისა (ისტ. ქრ. II, 69,17); საწყალობელ არს კაცი იგი, რამეთუ გამოცდილებაი ვერ მოუგია (სწავ. 20,19); არა გაგვწყებია (ანტიოქ. 370.5 = დაგვიწყებია შენ იგი); სადა უკუე განუთხვეია ზღუასა გუამები იგი კაცთაი მათ ზღუასა დათქუბულთაი (საკ. წ. II, 31,2); ამა ესერა მითხრობია თქუენდა და დამირწმუნებია ყოველი, რომელი ბრძანებულ არს ჩემდა (ისტ. ქრ. II, 76,11); მრავალთა მკურნალთა უკურნებია, და არარაი სარგებელ მეყო (იქუე, 54,27); ზოლო თქუენთვის განუშზადებია ბნელი გარესკნელი და ცეცხლი უშრეტი (ასურ. 44,27); არცა ოდენ მოსახურებია და არცა დამიტევებია მსახურებაი მათი (საკ. წ. II, 23,35); სოფელი...სამკვდრებელად ჩუენ კაცთათვის მოუნიჭებია (ასურ. 45,16); ამისთვის ძქოლასა შეუწყრია სული ჩემი (სწავ. 203,31); უკუეთუ ცხორებია იგი პირველი არა შეგირაცხია ცხორებად (ბალ. 57,14 ლ); წარვედ და იკურთხე დადაკაცისა მისგან, რომელსა თავი მოუსულულებია (კიმ. I, 206,15); აწ, ვინაითან მოიწიფა, განმიტევებია (კიმ. II, 82,28); დაუტეობია სიმდიდრე სოფლი-

საი და საშუებლნი (ბალ. 81, 35); ამა მოსეს მოწაჲც ტიბერიელი მოუღებთა ქალაქით წამებული (კიმ. I, 172,9); ამას კაცსა თავი თვისი ეშმაკისადა მოუყიდა (იქვე. 85,26); რომლისა საქმისათვის გიყოფთა შეწყუდევა ჩემი აღვილსა ამას (ბალ. 21,35); შეურაცხ-გვიყოფთა საწუთროი ესე სოფელი (კიმ. II, 48,39); ესე აქამომდე მე ღამიშავებთა და წაღმართ სხუასა ვისმე დაუშავებთა (აღწ. 121,3 ქ.); განწესებაი იგი თუ შეაჩუნენ. მეფეც შეგიჩუნებთა (კიმ. II, 74,12. ამას ტექსტში მოსდევს: მიუგო მონამან ღმრთისამან: მე მეფეც არა შემოჩუნებთეს. არამედ ქარტაი შეეაჩუნენ. უცხოი მართლისა სარწმუნოებისაი. აქ ერთმანეთის გვერდით სრულიად თავისუფლად და დაუბრკოლებლად იხმარება ძველი და ახალი, შემოჩუნებთეს და შემოჩუნებთა. და ეს ასეა არა მარტო აქ, ამ ერთ ძველსა თუ წიგნში, არამედ ბევრგან სხვაგანა).

მე აღთქმად მიმიცემა ღმერთთადა (ბალ. 113,21); მიცემა საზრდელი და მისუამს სასუბელი (სწავ. 49,13); გულისჴმა-მიყოფთა ამოებთა ამის სოფლისაი და ჴემშარიტად მიცნობთა, რამეთუ არარაი არს კაცი, გარნა მატლი და წუთხი (ბალ. 78,23); საიდუმლოი გულისა ჩემისაი გამოძიხადებთა სიყუარულისა თქვენისათვის (ისტ. ქრ. II,83,12). გუჯარსა მას ჰრომისსა დაგიწერთა შენცა სახელი და წამებაი შენი (კიმ. I, 84,35); კარული ჩემი შეუჭამთა (ასურ. 116,25 ჴ). გვერდზე, პარალელურ ტექსტში, რომელიც ზემოთ გექონდა მოყვანილი, შეუჭამთეს იკითხება. მამასადამე, აქაც ძველი და ახალი, შეუჭამთეს და შეუჭამთა, სრულიად თავისუფლად არის გვერდიგვერდ.

დასასრულ, სანამ გარდამავალ ზნებზე საუბარს დავასრულებდეთ, ორიოდ სიტყვით ისევ უნდა შევიჩრდეთ სამპირიანი ზნების საკითხზე I თურემობითში (და, საერთოდ, III სერიის მწკრივებში). ჩვენ ზემოთ (გვ. 211) უკვე გექონდა შენიშნული, რომ სამპირიანი ზნები III სერიაში არა გვაქვს, რომ ამ ზნების ორიბი ობიექტი III სერიაში გადასვლისას (მიცემითიდან) გადადგება თანდებულის ნათესაობითში. წყვეტს მორფოლოგიურ კავშირს ზნასთან და ეს უკანასკნელი ორიპირიანი ხდება:

მისცემს კაცი ღმერთსა აღთქმასა

მისცა კაცმან ღმერთსა აღთქმად

მიუცემთეს კაცსა ღმრთისადა აღთქმად

ამ საკითხთან დაკავშირებით მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: აწ მე აღმითქუამს უფლისადა ვიდრე აღსასრულამდე ჩემდა მარტოდ-ყოფებთა (ხანძთ. 207,10); უფალსა შენსა აღუთქუამს შენდა ცხორებთა წარუვალი (სწავ. 3,27); საბლარდნელი პატოსანი მომირთუამს შენდა (კიმ. I,180,2); ამას კაცსა თავი თვისი ეშმაკისადა მოუყიდა (იქვე, 85,26); ყოველნი ძვრნი მოაწინა შენ ზედა, და არარაი ბოროტი დაუშთა, რომელი არა გიყო შენ, რომელი სხუასა კაცსა კაცისადა არა უყოფთეს (სწავ. 33,21); მე აღთქმად მიმიცემა ღმერთთადა (ბალ. 113,21); მივსწერ თქვენდა, ჴაბუკონ, რამეთუ გიძლევიეს ბოროტისადა (I იოვ. 2,13 ჴ); სიტყუად ღმრთისაი თქვენ თანა დადგრომილ არს და გიძლევიეს ბოროტისადა (I იოვ. 2,14 ჴ); ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა დიდსა დიდითა ვედრებითა აღუწერებანი მონჩისადა (აღწ. 145,5); მევე ვინებე ორი ნაწილი უკუნ ქვევად და მესამელი მომინიჭებთა შენდა (ასურ. 180,19).

ეს იყო I თურმეობითის მაგალითები. ახლა II თურმეობითის ერთი ნიმუშიც ვნახოთ: მას განეზარდა იგი სიყრბით მისითგან და ესწავა მისდა პატიოსანი მონაზონება და ბრძოლა ეშმაკთა მიმართ (ისტ. ქრ. I, 185,43).

ეს არის. ვიმეორებთ. წესი და ნორმა ძველი ქართულისათვის. მაგრამ აქა-იქ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც. როცა III სერიაშიც შენარჩუნებულია სამპირიანობა, ირიბი ობიექტი მიცემითში დგას და თანდებულს არ დაირთავს. ერთი სიტყვით, სამპირიანი ზნეები კანტიკუნტად III სერიაშიც გვხვდება (რაც ახალი ქართულისათვის სრულიად უცხია). ეს საკითხი კარგად აქვს შესწავლილი დ. გეგუაძეს<sup>181</sup>. ავტორის სამართლიანი დასკვნით, აღნიშნული მოვლენა მეორეული უნდა იყოს, აიხსნება იგი ენის ცდით, რომ III სერიის ფორმები გაუთანაბროს I და II სერიისას, რომ სამპირიანობა ყველგან ერთნაირად იყოს წარმოდგენილი. მაგრამ ამ მისწრაფებამ შემდგომი განვითარება ვერ მოახერხა და იქვე ჩაკვდა. ავტორს თავის შრომაში მოჰყავს მდიდარი საილუსტრაციო მასალა. ჩვენ აქ სხვა, ახალ, ნიმუშებს დავიმოწმებთ დამატებით:

წერილ არს, ვითარმედ: ანგულოსთა მისთა უბრძანებდეს შენთვის დაცვად შენდა (ლ. 4,10). ქვემდებარედ იგულისხმება "ღმერთს": ღმერთსა უბრძანებდეს ანგულოსთა შენთვის — ღმერთს უბრძანებია ანგულოზებისათვის შენ შესახებ); დამბადებულსა არარად დაუკლებიეს და არცა შეუმატებდეს საუმარსა მას (უძე. რედ. 131,9); პირი შენი დაიფარო და არა იხილო ქუეყანა, რამეთუ ნიშნად მიმიცემდე შენ სახლსა ისრაელისასა (ეზეკ. 12,6 წ); ათასი სატირი ვეცხლი მრჩობლი მიმიცემდეს ქმარსა შენსა (დაბ. 20,16 პარ.); მიმიცემდეს მათ, რომელნი შენ თანა არიან (იქვე); მვეცნიცა ველისანი საქმედ მიმიცემან მას და მონებად მისა ყოველნი ნათესავნი (იერ. 27,7); უღელი რკინისაი მივეც ქედსა ზედა ყოველთა ნათესავთა ... და მვეცნიცა ველისანი მიმიცემან მას (იერ. 28,14); სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამდ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევდეს სოფელსა (ი. 10,33). ეს ფრთიანი ოპტიმისტური გამოთქმა ამის შემდეგ ძალიან გავრცელდა და ხშირად იხმარებოდა, თვით სხვადასხვა რედაქციის სახარებებსა და ლექციონარებს რომ დავანებოთ თავი, პავიოგრაფიულსა და სხვა სახის მწერლობაში, მაგალითად: ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევდეს სოფელსა (ეზისტ. ანტ. 36,13); ირიბ ობიექტად სხვა სახელიც არის ხშირად გამოყენებული. მაგალითად: ერუენე მოციქულთა გალილეას და ეტყოდე: მიძლევდეს სიკუდილსა (სას. პ. 308,15). აქაც მხედველობაში აქვთ სახარების იგივე ეპიზოდი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. შდრ. ამას II სერიის ჩვეულებრივი, ირიბობიექტანი ფორმა: ერუენე გალილეას მოწაფეთა შენთა, მესწავლო, და ეტყოდე მათ: გიხაროდენ, მე ვსძლევ სიკუდილსა (იქვე. 315,225). მე ვსძლევ სიკუდილსა — მე მიძლევდეს სიკუდილსა. საინტერესოა, რომ აქაც საუბრის საგანი იგივე ეპიზოდია. ახლა ვნახოთ სუბიექტად სხვა პირებიც: სიტყუად ღმრთისაი თქვენ თანა დადგრომილ არს და ვძლევდეს ბოროტსა (1 იოვ. 2,14); ხოლო თქვენ ღმრთისაგანნი ხართ, შეიღწო, და ვძლევდეს მათ<sup>182</sup> (1 იოვ. 4,4); რომელთა აქამომდე ვერ უძლევდ-

<sup>181</sup> დ. გეგუაძე. სამპირიანი ზნეათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში: აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები. 17. 1957. გვ. 465-472.

<sup>182</sup> გამოცემაში და დაუმატებიათ (მათდა). რაც არ იყო საჭირო.

ეს ფიცსა (სწავ. 37,8); სწორედ ასევე იკითხება ეს ადგილი Sin. 36 ხელნაწერშიც (3b.9-10), მაგრამ იმავე ხელნაწერში სხვა ადგილას გვაქვს: ზუაბასა უძლევიეს მისდა (317a.8). კიდევ ერთი მაგალითიც: რომელმან სძლოს ნაყროვანებასა, უძლევეს ყოველთა ვნებათა (სწავ. 317.21). სძლოს ნაყროვანებას (II სერია) — უძლევიეს ვნებათა (III სერია). ირიბი ობიექტი ორივეგან დაცულია ერთნაირად.

მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ეს ცდა მარცხით დამთავრდა. დღეს III სერიაში სამპირიანი ზმნა არა გვაქვს, იგი არ არის არც სალიტერატურო ენაში და არც დიალექტებში. ენამ ეს წესი (III სერიაში ირიბი ობიექტის ხელუხლებლად დატოვება) ყველგან ერთნაირად უკუაგდო, ირიბი ობიექტისათვის თანდებულის (და, თვის...) დართვა და, ამრიგად, სამპირიანი ზმნის ორპირიანად გადაქცევა ამჯობინა. ასე აზრი უფრო ნათელი გამოდის. ამ უკანასკნელ გარემოებას, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან ისე, უამისოდ, სუბიექტიც და ირიბი ობიექტიც ორივე მიცემითში იქნებოდა, რაც აზრის ნათლად გაგებას ხელს შეუშლიდა. მაგალითად: კაცსა მიუწერიეს მოყუასსა წერილი, კაცსა (და)უძლევიეს სიკუდილსა (ვინ ვის დასძლია?), დედასა უთხრობიეს შვილსა საქმე იგი (ვინ ვის უთხრა?), ძმასა აღუთქეაშს დასა შეწევნაი (ვინ აღუთქეა დახმარება: ძმამ დას თუ დამ ძმას?). სიტყვათა რიგი აქ საქმეს ვერ უშველიდა, რადგან ქართულში ამას არა აქვს მკვიდრი საფუძველი. ძველი ქართულის იძულებითმა ცდამ, სადავო ბრუნვების (ქვემდებარე—პირდაპირი დამატების) გასარჩევად სიტყვათა რიგი გამოყენებინა, საქმეს ვერ უშველა. იგი ხშირად ირღვეოდა (აბელ მოკლა კენ; მას ეამსა მიიყვანა იესუ ჰილატე და გუემა იგი: ი. 19,1 C). მაგრამ აქ შველა სხვა მხრიდან მოვიდა: მოთხრობითმა და სახელობითმა ბრუნვის ნიშნები დართეს და ყველაფერი გასაგები გახდა. ჩვენს შემთხვევაში სხვა გზა იქნა არჩეული: სუბიექტი დარჩა მიცემითში, ირიბი ობიექტი ნათესაობითში გადადგა და თანდებული დართო: კაცს მგობრისთვის წერილი მიუწერია, ეს ამბავი დედას შვილისთვის უამბია, ძმას დისათვის აღუთქეაშს დახმარება და სხვ. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ სამპირიანობა III სერიაში კანტიკუნტად გამოიყენებოდა, მაგრამ რადგანაც იგი უცხო და მიუღებელი იყო ქართული ენის ბუნებრივი წყობისათვის, მალე გადავარდა ენიდან და დარჩა ერთი — ნათელი და გასაგები — წარმოება. ამიტომაც, რომ სამპირიანობის კვალს დღეს ვერსად ვხედავთ.

### ც. ერთპირიანი ზმნები

ერთპირიანი ზმნები I თურმეობითში (და III სერიაში საერთოდ) იწარმოება აღწერითად: საუღლებელი ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობის ფუძეს ერთვის ყოფა ზმნის აწმყოს ფორმა: ყოფილ ვარ, ყოფილ ხარ, ყოფილ არს, ყოფილ ვართ, ყოფილ ხართ, ყოფილ არიან. ამგვარადვე იქნება: წარსრულ ვარ, წარსრულ ხარ, აღმდგარ ვარ, აღმდგარ არს, განმტფარ ხარ, განმტფარ არიან, დაბერებულ ხარ, დაბერებულ არიან და სხვ. ამასთან, სულ ერთია, ეს ერთპირიანი ზმნა ვნებითი გვარისა თუ საშუალისა; აგრეთვე, თუ ვნებითია, რა ტიპის ვნებითია: ყველა ერთ წესს ემორჩილება, ყველა ერთნაირად იუღელის. მართალია, სხვადასხვა ვჯგუფის ზმნას მიმღეობა

სხვადასხვანაირად ეწარმოება. მაგრამ რაც შეეხება უღლების პრინციპს, მის ყალიბს, ეთიორებით, იგი ყველა ერთპირიან ზმნას საკსებით ერთნაირი აქვს: მიმღობის ფუძეს ყოფა ზმნის აწყო ემატება. მიმღობის ფუძე ხელუხლებელია. მას არ შეიძლება თავში (ზმნისწინის შემდეგ) სათანადო პირის ნიშანი ჩაემატოს, როგორც ახალ ქართულში გვაქვს (წა-ე-სულ-ვარ...). ეს ჩამატება სულ გვიანდელი მოვლენაა და ძველ ქართულში ის არსად გვხვდება. მოვიყვანოთ უღლების ნიმუშები:

წარსრულ ვარ	აღზრდილ ვარ
წარსრულ ხარ	აღზრდილ ხარ
წარსრულ არს	აღზრდილ არს
წარსრულ ვართ	აღზრდილ ვართ
წარსრულ ხართ	აღზრდილ ხართ
წარსრულ არიან	აღზრდილ არიან

განმტფარ ვარ	მომკუდარ ვარ
განმტფარ ხარ	მომკუდარ ხარ
განმტფარ არს	მომკუდარ არს
განმტფარ ვართ	მომკუდარ ვართ
განმტფარ ხართ	მომკუდარ ხართ
განმტფარ არიან	მომკუდარ არიან

I თურმეობითის ამნაირი წარმოება ცალკეული პირისთვის დღესაცაა შემონახული ზოგიერთ კილოში, მაგალითად, გურულში. იქ ახლაც ჩვეულებრივია: ყოფილ-არიან. მოსულარიან, წასულარიან, გაზრდილარიან, დამალულარიან და სხვ.

ზოგი მკვლევარი ასეთ ფორმებს (წარსულ არს...) შედგენილ შემასმენელს ეძახის. მაგრამ არა: აქ ჩვენ მარტივი შემასმენელი გვაქვს. შეცდომის წყარო, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ I თურმეობითის ასეთი ფორმები ცალ-ცალკე, ორ სიტყვად იწერება<sup>10</sup>. მაგრამ დაწერას, გარეგან გამოხატულებას საქმის არსისთვის არა აქვს მნიშვნელობა. ძველი წარსრულ ვარ, წარსრულ ხარ, წარსრულ არს და ახალი წაე-სულვარ, წასულხარ, წასულა ერთია შინაარსითაც და შედგენილობითაც და ამიტომ ერთნაირად უნდა შეფასდეს. ორივე მარტივი შემასმენელია და არა შედგენილი.

აქ ერთი შენიშვნაც უნდა გვაკეთოთ: ყველა ასეთი ფორმა (წარსრულ ვარ, წარსრულ არს...), რომლებიც ძველ ქართულში ძალიან ხშირად შეგვხვდება, I თურმეობითი როდია, უბეტესად და ჩვეულებრივად აწყოა, უბრალო აწყო და ამას ნიშნავს: მოსრულ ვარ — მოსული ვარ, დაბერებულ ხარ — დაბერებული ხარ, დამცხრალ არს — დამცხრალია (გაჩერებულია, შეჩერებულია, შეწყვეტილია) და არა ამას: (თურმე) მოვსულვარ, დაბერებულხარ, დამცხრალა. ფორმა თურმეობითისა რომ იყოს, მას თურმეობითის შინაარსიც უნდა ჰქონდეს. ამის გარეშე ჩვეულებრივს აწყოსთან გვექნება საქმე. ამისდა მიხედვით, ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ხან

<sup>10</sup> მხედველობაში გვაქვს გამოცემანი, თორემ ხელნაწერებში ერთად და ცალ-ცალკე წერის საკითხი სპეციალური კვლევის საგანია.

(უბეტესად) აწმყოსი იყოს (უფრო ზუსტად — შედგენილი შემასმენელი), ხან (იშვითად) — I თურმეობითისა. მაგალითად. წინადადებაში "ვიცი, ვინამ მოსრულ ვარ და ვიდრე ვალ" (ი. 8.14) ხაზგასმული ფორმა შედგენილი შემასმენელია (ვიცი, საიდანაც ვარ მოსულიო, საიდანაც მოვედიო), მაგრამ იგივე ფორმა ამ წინადადებაში "თავით ჩემით არა მოსრულ ვარ" (ი. 7.28) — თურმეობითია (ჩემი ნებით არ მოესულვარო). ასევე: წარსრულ ხარ უფრო ხშირად შედგენილი შემასმენელია, მაგრამ ამ წინადადებაში: "შენ ჩემი ხატი დაამკუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდასხ და შენი აღგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ" (შუშ. 135.14) — იგი I თურმეობითია: ვარსქენი არ იყო ცურტაემი. როცა შუშანიკმა გაიგო მისი აბავეი, სახლი მიატოვა და სხვაგან წავიდა. ამიტომაც ნათქვამი: შენი აღგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარო. "წარსრულ ხარ" ფორმის I თურმეობითობას გახაზავს აგრეთვე მეორე, გარდაამავალი, ზმნის ფორმა — დაგიტევებიეს, რომელიც I თურმეობითისაა. ეს უკანასკნელი გარემოება (სადავო ფორმის სხვა, ნამდვილ. უდავო თურმეობითთან ხმარება) ყველაზე უკეთესი საშუალებაა, რომელიც დაგვხმარება სადავო ფორმების მწკრივის დადგენაში.

დავასახელებთ ზემოთ ნაჩვენების მსგავს რამდენიმე ასე თუ ისე უძველ მაგალითს:

ესმა პეროდეს მეფესა, რამეთუ ... იოვანე ნათლის-მცემელი მკუდრეთით აღდგომილ არს, და მისთვის იქმნებთან ძალნი ესე (მრ. 6.14); სხვაგან ის ამბობს: იოვანეს მე თავი მოვკუეთე, ხოლო ესე ვინ არს, რომლისათვის ეგვეთარი მესმის, არა ვიცი (ლ. 9.9). პეროდე დაიჭვებულა იოვანეს მკუდრეთით აღდგომაში, არ ვიცი, როგორ მოხდაო. ამ იჭვსა და ორჭოფობას, სხვისი ნათქვამის მიხედვით გამოტანილ დასკვნას ძალზე კარგად გამოხატავს "აღდგომილ არს" (I თურმეობითი).

ღღეს კეთილისა საქმედ მომიტალებიეს და სინანულად მიწყიეს და გზასა სიმართლისასა დადგრომილ ვარ (სწავ. 257,30); ღღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა, და არა მომცემა ძალი მამა-ღღეთა ჩემთა(ა), რამეთუ მკალითა ვერ განვძლიერდები (ქ. ცხ. I, 190,14); რამეთუ მე შწოლასა შეუპყრიე და განკროთომილ ვარ გონებითა (ანტიოქ. 377,8); ხუცესი იგი, რომელ საყრობილესა შევაყენეთ, ამას ღამესა განპარულ არს იგი საყრობილით (Sin. 36 391a.19); არა მოსრულ არიან აქა ეგვეთარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდე შენი (ხანძთ. 217,14); რომელთა ყოველი სოფელი აღუშფოთებიეს, ივინი აქცა მოსრულ არიან, რომელნი შეუწყნარებან იასონს (მოც. 17.6); ოღეს ყოფილ არს აქამოდღე, თუმცა მამათა და ღღეთა ერთად ეჭამა პური (შუშ. 136,21); დაგიტევებიეს მამული შუჯული და ქრისტიანეთა თანა შეცთომილ ხარ (აბო 168,2); მე დამიკვრდა ხილუა იგი და მე ვარქუე: ვითარ განძლიერებულ ხარ უძღურებისაგან, მოძღუარო? (ხანძთ. 129.5); მოწვეწულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა (იქვე, 217,11); რამეთუ საფასურნი კეთილთა საქმეთანი დაუსხმან ცათა შინა, რომელსა შენ ვერ მიწულომილ ხარ (ბალ. 82.2).

ორპირიანი გარდაუვალი ზმნების I თურმეობითის (და, საერთოდ, III სერიის მწკრივების) შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ორი ერთმანეთის გამოპირიკსაყი შეხედულება<sup>184</sup>. ერთი (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი...) თავიანთ შრომებში გვთავაზობენ ორპირიანი გარდაუვალი ზმნების I თურმეობითის (და III სერიის სხვა მწკრივების) ორგანული წარმოების მოსალოდნელ ფორმებს (დაკვიწიყებზე, დაკვიწებზე, დაკვიწებოდე, დაკვიწებოდე...). ხოლო მეორენი (ნ. ნათაძე, ლ. ბარამიძე, ც. ქურციკიძე) უარყოფენ III სერიაში აღნიშნული ზმნების ორგანულ წარმოებას და ერთპირიანი ზმნების მსგავსად ამათაც აღწერითად წარმოვიდგენენ (მოცემულ არს მისდა/მას, წოდებულ იყო მისდა/მას, მონიჭებულ იყო, ხუდრებულ იყო...). მაგრამ ამ (მეორე) შეხედულების გაზიარება შეუძლებელია, რადგანაც აქ ორი ძირითადი მეთოდოლოგიური მოთხოვნა არის უგულებელყოფილი. ჯერ ერთი, "დავიწებულ არს", "მოცემულ იყო" მხოლოდ ფორმალური მხრით არის აღებული და უსაფუძვლოდ გათანაბრებული ერთპირიანი ზმნების აღწერითს წარმოებასთან, დავიწებულა მათი შინაარსი (რომ თურმეობითის გაგებას უნდა შეიცავდნენ). მეორე მხრივ, ყურადღება არ ექცევა იმ გარემოებას, რომ "დავიწებულ არს", "მოცემულ იყო" უმეტესად უბრალო აწმყო და წყვეტილია (= დავიწებულა, მოცემული იყო) და თურმეობითთან არც შინაარსით და არც ფორმით არაფერი აქვთ საერთო. მესამე მხრივ, და ეს მთავარია, ამ საეჭვო ფორმების გვერდით ენაში პრაქტიკულად გვაქვს I თურმეობითის (აგრეთვე II თურმეობითისა და III კავშირებითის) ნამდვილი ორგანული წარმოება. გამართლებული ჩვენი ენის ისტორიით, მისი განვითარების გენერალური ხაზით (მის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს) და დოკუმენტური მასალებით. პირველ ხანებში, როცა ორპირიანი გარდაუვალი ზმნების ორგანული წარმოების მაგალითები საკმაო რაოდენობით არ იყო გამოვლენილი, კიდევ შეიძლებოდა მათი არსებობის უარყოფა<sup>185</sup>, მაგრამ ახლა, როცა სათანადო მაგალითები უხვად არის და დღითიდღე მრავლდება, ამ თეორიის გაზიარება ყოველად შეუძლებელია.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ამ საკითხთან დაკავშირებით საქციალური წერილებმა გამოქვეყნებული, ამიტომ შეიძლება აქ ფართოდ აღარ ვიმსჯელოთ, მკითხველს სამეცნიერო ლიტერატურაზე მიუუთითოთ და სათანადო პარადიგმები და საილუსტრაციო ნიმუშები წარმოვადგინოთ<sup>186</sup>.

<sup>184</sup> ამის შესახებ დავიწებულ იხ. ი. იმნაიშვილი, ორპირიანი გარდაუვალი ზმნები III სერიაში: ქართული ენის ისტ. ქრესტ., ტ. I, ნაწ. II, გვ. 348-358.

<sup>185</sup> ამ შეხედულების ერთ-ერთი დამცველი თვითონ წერს: "ძველი ქართული ენის ძეგლებში, რომლებიც ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ, ორპირიანი ენებითი გვარის ზმნების III სერიის განვითარების ვერც ერთი მაგალითი ვერ დავადასტურეთ": ც. ქურციკიძე, ორპირიანი ენებითი გვარის ზმნების III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ძველ ქართულში, სმამ. ტ. 30, N2, 1963, გვ. 242.

<sup>186</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 456; ნ. ნათაძე, დრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში (სადისკრტაციო ნაშრომი, მანქანაზე გადაბეჭდილი), თბილისი, 1955; მისივე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, გვ. 81-100; ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, გვ. 95-150; ც. ქურციკიძე, ორპირიანი ენებითი გვარის ზმნების III სერიის მწკრივთა წარმოებისათვის ძველ ქართულში, გვ. 241-247; ი. იმნაიშვილი



და-ე-ქ-ვიწყებ-ი-ე  
 და- ქ-ვიწყებ-ი-ე  
 და- ქ-ვიწყებ-ი-ე-ს  
 და-ე-ქ-ვიწყებ-ი-ე-თ  
 და- ქ-ვიწყებ-ი-ე-თ  
 და- ქ-ვიწყებ-ი-ან

და-ე-ქ-მალ-ე-ი-ე  
 და- ქ-მალ-ე-ი-ე  
 და- ქ-მალ-ე-ი-ე-ს  
 და-ე-ქ-მალ-ე-ი-ე-თ  
 და- ქ-მალ-ე-ი-ე-თ  
 და- ქ-მალ-ე-ი-ან

და-მ-ვიწყებ-ი-ე-ს  
 და-გ-ვიწყებ-ი-ე-ს  
 და-ქ-ვიწყებ-ი-ე-ს  
 (e.) და-მ-ვიწყებ-ი-ე-ს  
 (i.) და-გ-ვიწყებ-ი-ე-ს  
 და-გ-ვიწყებ-ი-ე-ს  
 და-ქ-ვიწყებ-ი-ე-ს

და-მ-ალ-ე-ი-ე-ს  
 და-გ-მალ-ე-ი-ე-ს  
 და-ქ-მალ-ე-ი-ე-ს  
 (e.) და-მ-მალ-ე-ი-ე-ს  
 (i.) და-გ-უმალ-ე-ი-ე-ს  
 და-გ-მალ-ე-ი-ე-ს  
 და-ქ-მალ-ე-ი-ე-ს

რადგან ეს საკითხი სადავოდ არის გამხდარი, მასალებს შედარებით უხვად წარმოვადგენთ:

1. ესეცა არა დამვიწყებეს (კობ. I, 181, 23).
2. გულისუმა-ყავთ ყოველთა, რომელთა დაგვიწყებეს ღმერთი (ფს. 49,22).
3. თქემულსა ამას ჩემსა დაქვიწყებეს საზომი სომრავლითა საკრეველებათათა (უტვ. რედ. 106,11).
4. ესრე იყოს აწ აღსასრული ყოველთაჲ, რომელთა დაქვიწყებეს უფალი (იობ 8,13).
5. მიიტკენ ცოდვილნი ჯოჯოხეთს, ყოველნი წარმართნი, რომელთა დაქვიწყებეს ღმერთი (ფს. 9,18).
6. დაქვიწყებეს იგი ღმერთსა (ფს. 9,32).
7. დაქვიწყებან მას ამის სოფლისანი /საქმენი/ (Sin. 35, 294v,12).
8. რომელი არა შეჰმთხუევიეს და რომელი შემთხუევიად უც (ზრონ. 207,6 გამოც.). ხელნაწერებში იკითხება: შეჰმთხუევიეს AC, შეჰმთხუევიეს B. პირის ნიშნის ასეთი მეტათეზისი და ასიმილაცია ცნობილია.
9. აწ უაჲ მრავალგზის შეჰმთხუევიეს ჰურიასტანსა მოოჯრებაჲ (ზრონ. 223,34 გამოც.). ხელნაწერში შეჰმთხუევიეს იკითხება.
10. ვითარცა დიოკლიტიანძს და მაქსიმიანძს მიერ აღსარებისათვის ქრისტძსისა შეჰმთხუევიეს ესე (ზრონ. 264,1).
11. საესე ვარ ნუგეშინის-ცემითა, გარდამრევიეს სიხარული ყოველთა ზედა ჭირთა ჩუენთა (2 კორ. 7,4).
12. მაქუს მე ყოველი და გარდამრევიეს (ფილიპ. 4,18).
13. რაოდენნი არიან მორწმუნენი სახლსა მამისა ჩემისასა, რომელთა გარდაპრევიეს პური, და მე აქა სიყმილითა წარვეწყმდები (ბოლნ. 97,3. რ.ბარამიძის წიგნის მიხედვით: "იონან ბოლნელი", 1962). შლრ. რავდენთა მორეწეთა მამისა ჩემისათა

გარდაერევის პური, და მე აქა სიყმილითა წარეწყმდები: ლ. 15,17 C. გარდაერევის აწმყა. ამის I თურმეობითი არის სწორედ იოვანე ბოლნელის მიერ ნახმარი გარდაპრევის.

14. გარნა არა შემცილებიეს, რამეთუ მრავალნი ველოვანნი და ველით-ხურიი გარემო გუადან (გარე-მოგუადან?) ჩუნ. რომელთა-იგი საყურელ არს, რაითა დლითი-დღედისა შრომისაგან მოირეწდენ საზრდელსა თესსა (ექუსთ. 27,21). შდრ. იქვე: რაითა ნუკუე სამე შეგუცილდეს ჩუნ პონაი ჭეშმარიტებისა: 63,16. შეგუცილდეს II კეშირებითა, სწორედ ამის I თურმეობითა შემცილებიეს ("შეცილება" — დაეციება, არა შემცილებიეს — არ დაგვიწყება).

15. ნისლი დაქხუევიეს წარმართთა, ხოლო შენ ზედა უფალი გამობრწყინდეს, და დიდება მისი შენ ზედა მოიწიოს (ეს. 60,2 სინ. ლექც.). შდრ. ბნელი წყუღადისა და არმული ნისლისა დაეხუ(ე)ვის მათ ზედა, მაღლი და წყალობაი დაენერგვის ჩუნ ზედა (იქვე, 44,7). დაეხუევის აწმყა, დაქხუევიეს — მისი I თურმეობითი.

16. არცა დასჯერებიეს მისი, რომელმან-იგი თქუა (Sin. 35, 220rb). შდრ. დაქმშჯერდები: Sin. 36, 322a,9. შ ზემოდანა დაწერილი იმავე ხელითა და ბელნით. დასჯერდების აწმყა, ამის I თურმეობითა სწორედ დასჯერებიეს.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში დაცულია I თურმეობითის წარმოების ძველი წესი: მესამე პირისათვის ი-უ-ს დაბოლოება გვაქვს — დაქეციება-ი-ე-ს, შემთხვევ-ი-ე-ს, გარდაპრე-ი-ე-ს, შემცილებ-ი-ე-ს, დაქხუე-ი-ე-ს, დასჯერებ-ი-ე-ს. მესამე ობიექტური პირის ნიშანი (პ, ს) ყველგან შენახულია.

მაგრამ ამათ გვერდით გვაქვს I თურმეობითის ახალი წარმოება: ი-ე-ს დაბოლოების ნაცვლად გვხვდება ი-ა. ეს სიახლე არ შეიძლება მხოლოდ ორპირიან გარდაუვალ (ენებითი გვარის) ზნებებს მივაწეროთ და ვთქვათ, ი-ა დაბოლოებიანი ფორმები ამგვარი ზნების ახლებური წარმოების მარკენებულაო. არა! ი-ა დაბოლოება, როგორც ზემოთ ვნახეთ (გვ. 228), გარდამავალ ზნებსაც ხშირად მოეპოვებათ. და ეს გვხვდება თვით უძველეს ხელნაწერებში. იგი აქ, ძველ ხელნაწერებში, ადრე გაჩენილა როგორც გარდამავალ. ისე გარდაუვალ ზნებში და მხოლოდ რომელიმე ერთი მათგანისათვის დამახასიათებელ ნიშნად ვერ მივიჩნევთ: რომელიმე მომცემია ისე შეეფარდება მომცემის-ს, როგორც დამიტევებია შეეფარდება დამიტევების-ს. ი-ე-ს → ი-ა ერთდროულად გვხვდება ორივე ტიპის ზნებში. აი, ასეთი ი-ა დაბოლოებიანი მაგალითები გვაქვს ჩვენს შემთხვევებშიც:

17. ძელი /დედაი/ წინა მდებია (ეფრ. მტ.: მიმოძხილველი, I, 1926, 169,35).

18. დასდებია შიში და ძწოლა მათი სპარსთა ზედა (ქ. ცხ. I, 60,12).

19. ვითარ-იგი ზემთა ბუნებისა მძლეველ ექნა სიკუდილსა, არა დაგვიწყება (ანტიოქ. 106, 5 = დაგვიწყება).

20. არა დაქეციება საულს უკეთურებაი იგი (I მეფ. 23,9 I).

21. მეორესა მას ბუნებითისა გარეგანი ცოდვია წაქილდება და ეგევითარითა ცოდვითა შეგინებულ არს (ნოე. I, 3,24,14).

22. ესევეითარი არცა ერთი რაი შეგმთხუევა (მამ. ცხორ. 209,33).

23. ესე კაცნი არიან და ვნებაი შემთხუევა, ვითარცა სხუათა კაცთაცა

შემთხვევის (მაღ. 23. 8 4 BCD. აქ შემთხვევის აწმყო, ხოლო შემთხვევის მისი I თურმობითის ფორმა. 3 მ-ს წინ დაკარგულა.

24. არარაი უცხოი შემთხვევა მათ პურიათაგან (პველინი. უწყ. გვ. 472.11. სხვა ორ ხელნაწერში გარდამავალი ფორმა გვაქვს: შემთხვევა: 'HF).

25. ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებამ აწებება მას სიტყუასა (იერუს. ხელნ. აღწ. 57.11).

26. რომელი-იგი მკუდართა და ცოცხალთა ჩემთა თანა მიქმნა კეთილი და არა სხვსა ვისისაცა ნაწილისა გინა ხუცდრებულისაგან მქონებთა გინა მიმიცმნა (პეტრიწ. ტიპ. 52.10).

27. დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა. და არა მომცმნა ძალი მამადედათა ჩემთა(მ), რამეთუ მკალითა ვერ განეძლიერდები (ქ. ცხ. I. 190.14).

#### 14. I თურმობითის ხოლმეობითი

ეს მწკრივი ამ უკანასკნელ ხანებში ნელ-ნელა შემოდის და მკვიდრდება ძველი ქართული ენის გრამატიკაში. საჭმე ეხება ისეთ ფორმებს, როგორცაა: მოუკრძალავნ, დაუმარხავნ, უტკრთავნ, უხილავნ, უსუაძნ ... განმბინვეიენ, შეუდრესიენ, შვერაცხიენ, დაუტევებიენ. წარუწყებდიელ და სხვანი. ამდენ ხანს ამ ფორმებს I თურმობითად თელიდნენ, ჩვეულებრივი სანიანი წარმოების (დაუმარხავს, დაუტევებიეს...) ვარინტებად. ზოგი ძველის ინერციით ახლაც ასე იქცევა. ეს იმ ხანას მოგვაგონებს, როცა ჩვეულებრივი აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი (ჭამს — ჭამნ, ჭამენ — ჭამედ) ერთ მწკრივად მიჩნდათ. მაგრამ შემდეგ, როცა მკაფიოდ გამოიკვეთა აწმყოს ხოლმეობითის თავისებური წარმოება (პირის ნიშნებად მხოლოდ ნ/დ—უდ) და მკვეთრად განსხვავებული ფუნქცია (ხოლმეობითობა), ამ მწკრივის თავისთავადობაში ეჭვი აღარ ეპარებათ. იგი ახლა ცალკე, სრულუფლებიან მწკრივად არის აღიარებული.

როგორც ზემოთ ენახეთ (გვ. 221), I თურმეობითი არსებითად (თითქმის მთლიანად) აწმყოს ფუძეს ემყარება. ამიტომ რაც აწმყოსა და მის ფუძეზე დაყრდნობილ აწმყოს ხოლმეობითზე აღინიშნა, რაც მათს ურთიერთ მიმართებაზე ითქვა, საესებით იგივე უნდა გავიმეოროთ აგრეთვე I თურმეობითისა და მის ფუძეზე დაყრდნობილი (I თურმეობითის) ხოლმეობითის შესახებაც: უხილავს, უსუაძს, შეურაცხიეს, დაუტევებიეს I თურმეობითა, ხოლო უხილავნ, უსუაძნ, შეურაცხიენ, დაუტევებიენ — I თურმეობითის ხოლმეობითი. სანიანი და ნარიანი ფორმების ასეთი დაპირისპირება ძველ ქართულში შემთხვევითი და სპორადული კი არ არის, არამედ იგი წითელი ზოლივით გასდევს ძველი ქართულის ძველებს, სწორედ ისევე, როგორც იმავე ძველებში აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმები იხმარებიან ერთმანეთის პარალელურად. ესაა მხოლოდ, რომ ამ უკანასკნელთა წყვილები (წერს — წერნ...) გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე პირველთა პარალელები (დამიწერიეს — დამიწერიენ). მაგრამ ამას სრულიად მარტივი და ბუნებრივი ახსნა აქვს: ძველ ქართულში აწმყოს (და, საერთოდ, I სერიის) ფორმები გაცილებით უფრო

ხშირად იხმარება, ვიდრე I თურმეობითისა.

თქმა აღარ უნდა. I თურმეობითის ხოლმეობითიც, როგორც აწმყოს ხოლმეობითი. პირნაკლია. მას მხოლოდ მესამე პირის ფორმები აქვს (მხ. და მრ.). ახსნა აქაც იგივეა. რაც აწმყოს ხოლმეობითის ჰქონდა (ნ. ზემოთ. გვ. 104).

I თურმეობითის ხოლმეობითისათვის დამახასიათებელია სამი ძირითადი ნიშანი: ა) I თურმეობითის (III სერიის) ფუძე ყველა მისი ნიშნით; ბ) საკუთარი პირის ნიშნები (ნ /ღ — ეღ) და გ) ხოლმეობითის გაგება.

აი, რამდენიმე მაგალითი: რამეთუ კაცმან ოდესმე ძილსა შინა იხილის ხატი, რომელი არა ოდეს უხილავნ, და შეძრწუნდის გული მისი და განძენდის შიში მისი (სწავ. 221,8); გახაზული ზმნის აზრია: რომელიც არასოდეს არ უნახავსო. აქ თვალშისაცემა სამივე (ზემოთ) აღნიშნული ნიშანი: ფუძე I თურმეობითისაა (უხილავს — უხილავნ), მოუპოვება საკუთარი პირის ნიშანი (უხილავს — უხილავნ), აქვს მკვეთრად გამოხატული თურმეობითისა და ხოლმეობითის გაგება. შდრ. დღევანდელი თურმეობითის მსგავსი გამოთქმები: არასოდეს არ მიჭამია, მისვამს, მინატრია, მიმიღია და სხვ. ეს არის თურმეობითისა და ხოლმეობითის ტიპური ფორმული ბი თუ ბუნებრივი გამოთქმები.

უეჭველად საყურადღებოა, რომ ხოლმეობითის უხილავნ მოქცეულია სხვა (II) ხოლმეობითის ფორმებს შორის, როგორცაა: იხილის, შეძრწუნდის, განძენდის. დასასრულ. აღენიშნავთ როგორც უაღრესად დიდნიშნენლოვან ფაქტს, რომ Sin. 36 ხელნაწერში ჩვენი ზმნის ადგილას იკითხება ეხილვის (260a,12), რომელიც ე.წ. III ხოლმეობითის ფორმა! აქ მესამე სერიის ერთი (I თურმეობითის) ხოლმეობითი შეცვლილია იმავე სერიის მეორე (II თურმეობითის) ხოლმეობითით, რომელსაც III ხოლმეობითის უწოდებენ.

I თურმეობითის ხოლმეობითი ერთ-ერთი ძველი მწკრივია. მის ნიმუშებს ეხვდებით ყველაზე უძველეს ქართულ თარიღიან ხელნაწერში, სინურ მრავალთავში. მაგალითად: ესრელ სახედცა, რომელნი ცოდვითა შეჰყრობილ არიან, ... არა უწყიედ, რასა იქმედ; არცა მახლობელი უწყიედ, რამ არნ, არცა შორიელი უცნობიენ, რამ ყოფად არნ, და არცა უფალი თვისი მოივსენიან (სინ. 104,23). აქაც I თურმეობითის ხოლმეობითი — უცნობიენ — სხვა ხოლმეობითების გარემოცვაშია მოქცეული. იმავე წიგნში, ცოტა ქვემოთ, იკითხება: უკეთუ ვისმე ყანაა უცნ უცმარი და უნაყოფო და გლოვანი და კუალად ქუეყანაა კეთილი და მოაქუნ ნაყოფი, შე-სამე-ურაცხონ უნაყოფო იგი, ვითარცა სხუად? (სინ. 139,12). მაქციეთ ყურადღება აწმყოს ხოლმეობითის ნარიან ფორმებს: უცნ, მოაქუნ! სწორედ ამ შინაარსის გამოხატულია III სერიის "შე-სამე-ურაცხონ", რომელსაც, აწმყოს ხოლმეობითის ანალოგიით, I თურმეობითის ხოლმეობითის უწოდებენ.

იგივე უცნობიენ, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სხვაგანაც გვხვდება. აი, ერთი ნიმუში: რამეთუ ვიყვნეთ ჩუენ ვიდრე აქამოდღე, ვითარცა ყრმაი, რომელ არნ მუცელსა დედისასა და არას სცნობნ პატივსა, არცა უპატიობასა, არცა განსუენებასა და ცხორებაი არა უცნობიენ ცხოველთა თანა და მკუდართა თანა (ისტ. ქრ. II. 115.30).

ოთხთავის ერთ ცნობილ არაკში იკითხება: უკეთურო მონაო და მედგარო,

რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევენ (მ. 25,26 BC). აქ საინტერესოა ხოლმეობითებით გამოხატული ორი პარალელური აზრი; თითოეულში ორ-ორი ზმნაა: (მო)ვიმკი ხოლმე, სადაც არ დამითესავს, და ვაგროვებ ხოლმე, რომელიც არ გამიბნევია. ტექსტში სამი უდავო ხოლმეობითია: პირველ წყვილში: მოვიმკი და დავსთესი, მეორეში: შევიკრიბი. ამას ფორმულის მიხედვით უმჭველად უნდა მოჰყვებოდეს აგრეთვე ხოლმეობითი, ისე აზრი ირლევება. ეს მეოთხე წევრი არის სწორედ განმიბნევენ. რომელიც ზუსტად ესადაგება აზრსა და ფორმულას: ვაგროვებ ხოლმე, რომელიც არ გამიბნევიაო. ამიტომ, ცხადია, განმიბნევენ არის ხოლმეობითი, I თურმეობითის ხოლმეობითი.

კიდევ ერთი მაგალითი: მეორე იგი მეგობარი არს ცოლი და შვილნი, რომლითა შეპყრობილ იქნის გონებაჲ კაცისაჲ და ყოველსავე მათთვის ილუწინ, და სულნი და ჯორცნი მისნი განკაფნის ნებისათვის მათისა, და ესეცა არადვე სარგებელ ეყვის დღესა მას სიკუდილისასა, არამედ მცირედ ოდენ მოგზაურ ექნინან გუჟსა მას საფლავადმდე მისა. და მერმე იქცან ზრუნვასა თავისა თვისისასა და არაჲ შჭირნ წარსულისა მისთვის ... რომელნი შემძლებელ არიან თანამოგზაურ ყოფად და ესნად დღესა მას განკითხვისასა და მცირედი იგი აღნაღგინებითურთ დაუმარხან (ბაღ. 40,15). ამ ხოლმეობითის წინ უძღვის სხვა ხოლმეობითთა მთელი წყება: იქნის, ილუწინ, განკაფნის, ეყვის, ექნინან, იქცან, შჭირნ. ამიტომ, ცხადია, დაუმარხან აგრეთვე ხოლმეობითია, სახელდობრ, I თურმეობითის ხოლმეობითი.

სხვა მაგალითებს, ჩვენსას და სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებულთ, ქვემოთ დაეურთავთ.

ახლა დგება მეორე კითხვა: როგორ უნდა შეფასდეს აქ ღონიანი ფორმები, ზმნები, რომელთაც I თურმეობითის ფუძე აქვთ და შესაბამისი სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდობითში დ მოეპოვებათ? ვთქვათ, ისეთი ფორმები, როგორიცაა (მას/მათ იგი) განუბნევიედ, დაუგებიედ, შეუშოსიედ, შეურაცხიედ, განუტყევიედ, უყოფიედ, უყოდიედ და ა.შ.? — ამ შემთხვევაშიც ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმების განხილვისას მოვიქცეთ. იქ ჰეიეს, ჰმოსიეს, ჰნთიეს, უყერიეს აწმყომი გვაქვს განხილული, ხოლო ჰკიენ/ჰკიეედ, ჰმოსიენ/ჰმოსიედ, ჰნთიენ/ჰნთიედ, უყერიენ/უყერიედ, როგორც მორფოლოგიური ვარიანტები, — აწმყოს ხოლმეობითში. აქაც ღონიანი ფორმები (განუბნევიედ, შეურაცხიედ, განუტყევიედ...) ნარიანებს (განმიბნევიენ, შეურაცხიენ, განუტყევიენ) უნდა დაეუყენოთ გვერდით და ესენიც I თურმეობითის ხოლმეობითად ჩავთვალოთ. მართლაც, დ სუფიქსიანი ფორმებს, სწორედ ისე, როგორც ნ სუფიქსიანთაც, ყველგან ხოლმეობითის შინაარსი და ხოლმეობითთა გარემოცვა ახასიათებს. აი, რამდენიმე მაგალითი: ხოლო იგი ზარ-განვდილ არნ მათგან და არა უწყინ, რაჲ ყოს, ანუ ვითარ მოგზაურ ექნეს მათ..., ხოლო გუამი დაიწუენ ფიცხლისა მისგან სიმურვალისა და სული ეტყინებინ ცეცხლითა ცოდვისათა. რომელ უქნიედ წინაისწარ (სწავ. 140,30); აქ ხოლმეობითთა მოჭარბებული სიმრავლე გვაგონობინებს, რომ უქნიედ ხოლმეობითის შინაარსით არის ნახმარი (რომ არა ერთხელ და ორჯერ უქნიაო); ცოდვითა განსძარცვს, რომელი შეუშოსიედ. ვიდრემდის განამიშულის სარცხენელიცა მისი და შეჰმოსის მას სირცხელი და ყუედრება (ბაღ. 7,27). ამ წინადადებაში

ყველა ზნა ხოლმეობითის ფორმითაა მოცემული. მათგან ერთი (შემოსა) ჯერ I თურმეობითის ხოლმეობითმა (შეუშოსიოდ) დასმული, რადგან აუცილებელია ხოლმეობითობასთან ერთად აქტის უნახაობა ჩანდეს. მერმე — II ხოლმეობითში. "შეუშოსიეს" არ ივარგებდა. რადგან მისი მეშვეობით ხოლმეობითის შინაარსი არ გამოიხატება. მსგავსი მაგალითებია კიდევ: მღვდელსა და უგებოდ ჯორცი და სისხლი უფლისა (სევნ. 476a); ნაშობსა უკეთურსა მართალთა თანა შეურაცხიელ თავი (იგავ. 30,12 ლავ.); მხიარულ იყო, ვითარცა ვის უყოფიოდ ქორწილი შეიღთა თვისთაი (პარხ. 1013a); მაშინ უბრძანის მისგან განძარცუვად სული წმინდაი, რომელი მძულეზოდ მას დღესა მას გამოჰსნისასა (სწავ. 20,26); რომელსა /ნაცხოვარსა/ დანდალი განუღებოდ და მიმოსყავნ (Sin. 35, 283ra,4); მსგავს არს ვევეითარი იგი კაცსა, რომელსა ყანაი უყარიოდ და ნაყოფი მისი ჭიათა დაუჭამიოდ (იქვე, 298vb,9 = ნოე. II, 192,15); რომელსა-იგი ვეტყოდი, უწყის ქრისტემან, რამეთუ არავისგან მასმიოდ გინა მისწავიოდ (რავახ. 93,25). ამას უნდა დაემატოს კიდევ სახარების ცნობილი მაგალითები: მოიძი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიზნე-უოდ (მ. 25,24 ABEHIK); მოიძი, სადა არა დაესთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიზნევიოდ (მ. 25,26 ADEFGHIK).

შედარებით ნაკლებია I თურმეობითის ხოლმეობითის მრავლობითის ფორმები: და შენ, მ კაცო, კადნიერებითა და ამპარტავანებითა არად შეგირაცხიოდ გლახანი და იკადრებ მოძულეზოდ და ვნებად მათდა და მტერობად (სწავ. 103,24 C); საბუცნიერი ლიტერატურაში მოჰყავთ ეს მაგალითი<sup>187</sup>, თუმცა ჩვენი მიზნისთვის იგი საეჭვოა: კარგად არა ჩანს მისი ხოლმეობითობა. ამას ხაზს უსვამს ის გარემო-ბაც, რომ ერთ-ერთ ხელნაწერში უფრო მეტად მოსალოდნელი I თურმეობითის ფორმა იკითხება: შეგირაცხიან B = Sin. 35). სხვა ხელნაწერში (C) აგრეთვე საეჭვო შეგირაცხიან არის.

სხვა უეჭველი მაგალითებია: იგონებნ ყოველთა საქმეთა თვისთა, რომელნი ცხოვრებას მისსა უქმნიოდ (Sin. 36, 142,18); რაჟამს შევეთა ველურთა ძაძანი მათნი იხილიან, მსწრაფლ განემორჩიან, რამეთუ საკრველი დიდი იხილიან, ყოველსა ქუეწარმაგალსა დასთარგუნვენ ფერკითა მათითა, რამეთუ შეუსხმედ სარწმუნოებისა ფერკით-შეს(ს)ხმელნი (საკ. წ. II, 55,8); არარაისგან აღიძრვის და არა თანა-მღებ იქმნის, რაჟამს დაეცნიან ჯორცნი, რომელ შეუშოსიოდ (პარხ. 190vb,4); მსგავს არს იგი კაცსა, რომელსა შეუბორკილებიოდ ფერკნი (Sin. 35, 351,7-9a)<sup>188</sup>.

\* \* \*

ტერმინი "I თურმეობითის ხოლმეობითი" ლ. კიკნაძემ იხმარა პირველად<sup>189</sup>.

ცნების შინაარსის დადგენა პირველად ა. შანიძემ სცადა. აღიშის ოთხთავის ზემოთ (გვ. 239) განხილული "განმიზნევიენ" ფორმის შესახებ ა. შანიძე ერთგან

<sup>187</sup> ი. ა. ბუბლაძე, ქართული ზნის იშვიათი ფორმები, გვ. 141.

<sup>188</sup> ეს მაგალითები ამოღებულია ზ. სარჯველაძის გამოკვლევიდან "ღ/უღ და ნ/ნიშნანი...". გვ. 145. მეორე მაგალითი (შეუსხმედ) ი. თაბაძის მიხედვითაა მოყვანილი.

<sup>189</sup> ლ. კიკნაძე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში, გვ. 192.

ამბობს: "საინტერესოა, რომ ამგვარი რამ სხვაგანაც გვხვდება". და ქვემოთ ჩამოთვლის მსგავს მაგალითებს. როგორცაა: შეუწყრიენ, წარუმართებიენ, წარუწყმდიენ. აგრეთვე დ სუფიქსიანი (მრ. რ) ფორმები: აღუბერიოდ, შეურაცხიოდ, და დასძენს: "იგია, ალბათ, ხოლმეობითის -ნ მხოლოდით რიცხვში". თავის შენიშვნებს ავტორმა ასეთი სათაური გაუკეთა: "III ხოლმეობითის ძველი სახე"<sup>190</sup>. ასე რომ, ა.შანიძეს ჩვენთვის საინტერესო ფორმები III ხოლმეობითად აღრევე მოუნათლავს. ეს შენიშვნები უფრო ადრე იწერებოდა. შემდეგში ავტორმა III ხოლმეობითი ისეთ ფორმებს უწოდა, რომლებიც II თურმეობითის ვერდნობა (ებრძანის, ექმნის, ეთქუის...) და წარმოებითაც განსხვავებულია თურმეობითის ფორმებისაგან<sup>191</sup>.

საანალიზო ფორმებზე მსჯელობისას ილ.აბულაძეს შესაძლებლად მაინდა დაეშვა, რომ ამ საინტერესო ფორმებით ძველ ქართულში ადრე არსებული ხოლმეობითი იყო გადმოცემული<sup>192</sup>.

შემდეგ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ამ შწყრივის შეეხო ლ.კიქნაძე და მას "I თურმეობითის ხოლმეობითი" უწოდა<sup>193</sup>.

მოვიყვანებით უფრო ვრცლად შეჩერდა ამ ფორმებზე ზ.სარჯველაძე. იგი შეეცადა უხვი მასალების მოშველიებით დამაჯერებლად დაესაბუთებინა ადრე წამოყენებული შეხედულება, რომ ამ საინტერესო ფორმების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ახალ შწყრივთან, III სერიის ახლად მიგნებულ სრულუფლებიან წევერთან — I თურმეობითის ხოლმეობითთან<sup>194</sup>.

დასასრულ, მოვიყვანთ სათანადო ნიმუშებს. რადგანაც I თურმეობითის ხოლმეობითის მაგალითები საერთოდ ცოტაა მოპოვებული, აღარ შევიბოჭებით ჩვენი და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალის დასახელებით.

A. რამეთუ მოკუეითან თავი და მართვან ბეჭედი იგი მეფესა, რომელი შეუბეჭდაენ ყელსა (A-95, 707a); ეშმაკი აზრზენედ ვნებულსა მას და მოიღის, რომელი-იგი შეუდრესიენ ფურცელი (ნოვ. II, 87,25); დალათუ ვის დაუკლიენ საკითხავი, მერმე გა-ვე-სრულუბად სცის (იქვე, 63,19); ხოლო მდაბალსა მას მოუკრძალავნ თავი თვისი სიმდაბლითა მით და აქუნ მარადის პატივი თვისი (იქვე, 111,12 AB); საძაგელ არს კაცი მართალი კაცისა ცოდვილისა, და საძაგელ უსჯულოთა, რომელთა წარუმართებიენ გზასა (იგავ. 29,27); მიშსა შეუწყრიენ მომრუშეთა გული და სულსა უქმთასა კშმიოდის (იქვე, 19,15); ნუ ვითარცა მტერი შეგირაცხიენ იგი, არამედ ასწავებდით ვითარცა ძმასა (2 თესალ. 3,15); იყო პირი მისი ბრწყინველც. ვითარცა რომელსა უსუამნ ღვნიო (მარხ. 1019a); გამოსცდიან ახლად მონაზონთა, თუ ჭეშმარიტად უსწავლიენ ფსალმუნისა კანონი და უკუეთუ შემძლებელ არნ იგი დაცვად გონებისა თვისისა (კიმ. II, 159,31); ცნობად გზათა ჩემთა გული ეტყვს,

<sup>190</sup> ი.აბულაძე. ქართული ზმნის იშვიათი ფორმები. გვ. 143-145.

<sup>191</sup> ა.შანიძე. შწყრივთა მოძღვრებისათვის. II. ერთი უცნობი შწყრივი ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია. 1946 (მოხსენებათა კრებული). 1947.

<sup>192</sup> ი.აბულაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 145.

<sup>193</sup> ლ.კიქნაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 192.

<sup>194</sup> ზ.სარჯველაძე. დ'ელ და ნ ნიშნანი.... გვ. 147-148; მისივე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი. გვ. 402-406.

ვითარცა ერსა. რომელსა სიმართლუ უქნინენ და სამართალი ღმრთისა თვისისა არა დაუტყვებიენ (ეს. 58.2.I. O გვაძლევს სხვაგვარ წაკითხვას: ...რომელსა სიმართლ(მ) უქნიოდ და სამართალი ღმრთისაი დაუმარხანენ); აღიკიდის ტვრთი მათი და ფრიალთა ოფლითა და შრომითა უტვრთაენ იგი (ლიმ. 9,8); აღმოუცდა თამა ვორცთა მისთა. ვითარცა ყრმასა. რომელსა უწყინენ წურეთა გამოსლვაჲ (კომ. I, 312, 29); კაცი ქველის-მოქმედი თავს-მღებ ექმნის მოყუასსა თვისსა, ხოლო რომელსა წარუწყმედიენ სირცხვლი. შუვა დაიდგინის იგი (ზირ. 29,17).

B. ქვესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძეგლი, და კაცთა თუალსა სასთაული ერთი ხალხისა უცნ სასთუნლით კერძო. და თაყუანის-საცემელად კილიკი ერთი მცირე ქვე წარუგდებოდ (შუმ. 141,8); კულად იცის გზაიცა, რომელი უვლიოდ სადაჲ (უძე. რედ. 108,24); ვიდრე არა უკუბვიოდ ცმელი იგი წინაშე უფლისა (1 მეფ. 2,15); /სამოსელი/ შეურაცხი, საესე ბაყლითა, შეუმოსოდ (Sin. 35, 151rb,3); მიიქიან მისა, აღუმტკმოდ პირი და ჰხედვენ მათ (2 ეზრა 4,19. შდრ. ამ იშვიათი ზმნის სტატტიკური ენებითის მსგავსი წარმოება: რაჲმს დაიძინის უორკოლინოს ხვთქმან, პირი ზე უმტკმოდ: სახ. 241,7); მღლეი ღგან საკურთხეველსა ზედა და მსხუერპლსა მას უსისხლოსა შესწირაენ და ველითა ზე აღუყრიოდ<sup>195</sup> წმიდაჲ წმიდათაჲ საუფლოჲ ვორცი (წარტყ. 18,3); ღიაკონთა სამოსელი იგი ზე აღუყრიოდ და მასვე ადგილსა, ვითარცა საცხოვარნი, ღაიკლნიან, და სისხლითა მათითა წმიდაჲ საკურთხეველი შეიბღალის (იქვე, 18,8); შესაძინელი მმისა ჩემისაჲ საქმედ შესწირავთა შემირაცხიდ თავისა ჩემისა (ნოვ. II, 22,23); რომელი-იგი ველთა აქენ, არად შეურაცხიდ (იქვე, 240,1); იწყის ბრძოლად მისა, რომელი მას არა შეუსწავლიოდ (ბალ. 67,30); ეგრცთვე პოვის, ოდეს მოიქცის, კანდელი იგი ქუაბსა მას შინა წინაშე ხატსა წმიდისა ღმრთის მშობელისასა, რამეთუ ენთებინ იგი ეგრცთვე, ვითარცა განუტყვებოდ. გან-რაჲ-ვალნ იგი ქუაბისა მისგან (ლიმ. 64,1. ვარიანტში იკითხება: ვითარ დატყვევის A. "დატყვევის" კი III (II თურმეობითის) ხოლმეობითია. აქედანაც ცხადია, რომ განუტყვებოდ ამკარად I თურმეობითის ხოლმეობითია. მის ხოლმეობითობას განახავს აგრეთვე მის გვერდით მყოფი ხოლმეობითები: პოვის, მოიქცის, ენთებინ, გან-რაჲ-ვალნ); არა ავსოენ, რაჲ-იგი უქნიოდ (2 ეზრა 3,23); და თუ იგი არნ, რომელსა-იგი ეძიებენ, რომელი მას საკმრად თვისისა სენაკისა უყიდიოდ, მისცის მას (ნოვ. II, 18,23); აწ უკვე გულისხუმა-მიყოფიეს მე (ეტ. IX, 65,17); მხიარულ იყო, ვითარცა ვის უყოფიოდ ქორწილი შვილთა თვისთაჲ (პარხ. 1013a); თავი შეუყოფიოდ უღელსა ქვეშე მორჩილებისასა (Sin. 36, 319,11. ეს ზმნა "მამათა სწავლანის" გამოცემულ ტექსტში I თურმეობითის ფორმით არის წარმოდგენილი: შეუყოფიეს: 265,15); მერმე აღმიდგის ნებაჲ მიდრეკად შუებათა მიმართ და განმამორეზნ ჩემგან, რომელი-იგი მიცნობიოდ. ვიდრემდის შეითქენეს სული და გონებაჲ (ბალ. 6,23); რომელი მვეცისა თანა ბრძოლასა ჰყოფენ, ვიდრე არლა შეუჭამოდ /იგი/ მვეცსა მას (ნოვ. II, 110,28).

<sup>195</sup> ეს და ამ ტიპის სხვა ფორმები (განგებნივიოდ, წარუგდებოდ, მისწავიოდ) დ.გენაძესაჲ მოჰყავს თავის ერთ-ერთ შრომაში. მაგრამ მათ ორდინარულ I თურმეობითად თვლის. იხ. დ.გენაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი დ ძველ ქართულში. გვ. 140-141.



## 15. II თურმეობითი

## A. გარდამავალი ზმნები

II თურმეობითში (და მოძღვენო მწკრივებშიც) სამი სახის უღლება გვაქვს: a) გარდამავალი ზმნები (აქ ყველა ერთად დგას); b) ერთპირიანი და c) ორპირიანი გარდაუვალი ზმნები.

აქ ყველა გარდამავალი ზმნა ენიანი ვნებითის წყვეტილს ეყრდნობა. შდრ. ემალების ოგი მას, დაემალა ოგი მას (ენ.) და: მალაეს ოგი მას, დამალა მან ოგი, დაემალა მას ოგი (II თ.). ამ ზოგად წესს ემორჩილება ყველა გარდამავალი ზმნა. ახლა გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ გაერთიანდა აქ I თურმეობითის ორი ჯგუფი, აუიანი და ამიანი გარდამავალი ზმნები, ერთი მხრივ, და ყველა სხვა გარდამავალი ზმნა, მეორე მხრივ: რაკი II თურმეობითი ენიანი ვნებითის წყვეტილის ფორმას ეყრდნობა, ხოლო წყვეტილში (და, საერთოდ, II სერიაში) ზმნებს თემის ნიშნები არა აქვთ, ცხადია, აქ თემის ნიშნების ქონება-არქონებაზე დამყარებული განსხვავებაც მოიძლება და ყველა გარდამავალი ზმნა ერთად მოიყრის თავს. ყველას ერთი ყალიბი თუ ფორმულა აქვს: ა) ზმნისწინი (შეიძლება პქონდეს, შეიძლება — არა), ბ) ობიექტის ნიშანი (ინვერსიულად), გ) პრეფიქსი ე (წარმომობითი ვნებითი გვარის ერთ-ერთი მაწარმოებელი), დ) მარტივი ფუძე (ძირი) და ე) სუბიექტური პირის ნიშანი (ინვერსიულად), რომელიც აქ შეიძლება იყოს მხოლოდ ა და ო (წყვეტილშიც, რომელსაც, როგორც უკვე ითქვა, ეყრდნობა II თურმეობითი, სუბიექტურ ნიშნებად მხოლოდ ა და ო გვაქვს). გრაფიკულად ეს ასე გამოიხატება: X-მ-ე-ყ-ა/ო. X-ის ადგილას ჩასვით რომელიმე ზმნისწინი (თუ ზმნას სჭირდება), ყ-ის ნაცვლად მოცემული ზმნის ფუძე (ძირი) და ფორმა შზად იქნება. ავიღოთ სხვადასხვა ტიპის ზმნები:

უთემისნიშნონი:	და-მ-ე-წერ-ა <sup>196</sup> შე-მ-ე-მოს-ა	გან-მ-ე-ბან-ა მ-ე-ჭამ-ა
ზმოვანმონაცვლენი:	გან-მ-ე-წმიდ-ა მო-მ-ე-დრიკ-ა	წარ-მ-ე-წყმიდ-ა მ-ე-სმინ-ა
აჲ თემისნიშნიანი:	მო-მ-ე-კლ-ა და-მ-ე-მარხ-ა	და-მ-ე-უშა-ა მ-ე-კითხ-ა
ამ თემისნიშნიანი:	და-მ-ე-დგ-ა მთა-მ-ე-ცუ-ა	აღ-მ-ე-თქუ-ა მ-ე-სუ-ა

<sup>196</sup> სიმარტივისთვის მხოლოდ I პირის მაგალითები მოგვყავს. შეიძლებოდა II პირიც აგველო. III პირში ობიექტური ნიშანი დაკარგულია ზმოვის წინ და ამიტომ პირის ნიშნის დართვის წესი ნათელი არ იქნებოდა.

ზოგი ებ თემისნიშნანნი:	მო-მ-ე-გ-ო გან-მ-ე-ღ-ო	აღ-მ-ე-ნ-თ-ო მ-ე-ქ-ო
ვე თემისნიშნანნი:	მ-ე-კურთხ-ა	მ-ე-ძლ-ო
ემ თემისნიშნანნი:	მი-მ-ე-ც-ა	
ი თემისნიშნანნი:	გან-მ-ე-ზარდ-ა გან-მ-ე-ვსნ-ა	აღმო-მ-ე-თხარ-ა მ-ე-ყიღ-ა
ობ თემისნიშნანნი:	შე-მ-ე-პყრ-ა გან-მ-ე-ტფ-ო	მ-ე-შე-ა მ-ე-ცნ-ა
ოფ თემისნიშნანნი:	გან-მ-ე-ყ-ო ღა-მ-ე-ყ-ო	მ-ე-ყ-ო

ამგვარად, ყველა გარდამავალი ზმნის ერთ ჩარჩოში მოქცევით საგრძნობლად გაადვილებულია მათი უღლება. თუ აქ იმ გარემოებასაც მოვიგონებთ, რომ მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ძველ ქართულში არ გამოიხატება (უყუარს მას იგი — უყუარს მათ იგი), ხოლო ერთ-ერთი სახელი (წარმოშობით ირიბი ობიექტი) აქ ყოველთვის მიცემითში დგას, უფრო გასაგები გახდება, თუ რატომ არის ასე იოლი გარდამავალი ზმნების უღლება I თურმეობითში.

აქ ჩვენი მსჯელობა ზმნის ისეთ ფორმებს ეხება, რომლებშიც სახელობითში მდგარი სახელი მხოლოდითშია (მეწერა მე იგი, მოძეკლა მე იგი...), რაც ერთგვარად განაპირობებს ფორმათა ერთფეროვნებას. როცა ეს სახელი მრავლობითშია (ამას სპეციალურად დაეუბრუნდებით ცოტა ქვემოთ, როცა მწკრივების შესწავლას დაეპოთავრებთ). იგი ზმნაში გამოხატულებას პოულობს და ზმნის ფორმათა რაოდენობაც მატულობს (მეწერა მე იგი, მაგრამ: მეწერნეს მე ივინი, მოძეკლა მე იგი, მაგრამ: მოძეკლნეს მე ივინი...).

#### უღლების პარადიგმები:

##### ა) უთემისნიშნონი

და-მ-ე-წერ-ა	მე	იგი	შე-მ-ე-მოს-ა
და-გ-ე-წერ-ა	შენ	"	შე-გ-ე-მოს-ა
და-ე-წერ-ა	მას	"	შე-ე-მოს-ა
(e.) და-მ-ე-წერ-ა	ჩუენ	"	შე-მ-ე-მოს-ა
(i.) და-გ-ე-წერ-ა	"	"	შე-გ-ე-მოს-ა
და-გ-ე-წერ-ა	თქვენ	"	შე-გ-ე-მოს-ა
და-ე-წერ-ა	მათ	"	შე-ე-მოს-ა

	გან-მ-ე-ბან-ა	მე	იგი	მ-ე-ჭამ-ა
	გან-გ-ე-ბან-ა	შენ	"	გ-ე-ჭამ-ა
	გან- ე-ბან-ა	მას	"	ე-ჭამ-ა
(e.)	გან-მ-ე-ბან-ა	ჩუენ	"	მ-ე-ჭამ-ა
(i.)	გან-გ-უ-ე-ბან-ა	"	"	გ-უ-ე-ჭამ-ა
	გან-გ-ე-ბან-ა	თქუენ	"	გ-ე-ჭამ-ა
	გან- ე-ბან-ა	მათ	"	ე-ჭამ-ა

## ბ) ხმოვანმონაცვლენი

	გან-მ-ე-წმიდ-ა	მე	იგი	წარ-მ-ე-წყმიდ-ა
	გან-გ-ე-წმიდ-ა	შენ	"	წარ-გ-ე-წყმიდ-ა
	გან- ე-წმიდ-ა	მას	"	წარ- ე-წყმიდ-ა
(e.)	გან-მ-ე-წმიდ-ა	ჩუენ	"	წარ-მ-ე-წყმიდ-ა
(i.)	გან-გ-უ-ე-წმიდ-ა	"	"	წარ-გ-უ-ე-წყმიდ-ა
	გან-გ-ე-წმიდ-ა	თქუენ	"	წარ-გ-ე-წყმიდ-ა
	გან- ე-წმიდ-ა	მათ	"	წარ- ე-წყმიდ-ა

	მო-მ-ე-დრიკ-ა	მე	იგი	მ-ე-სმინ-ა
	მო-გ-ე-დრიკ-ა	შენ	"	გ-ე-სმინ-ა
	მო- ე-დრიკ-ა	მას	"	ე-სმინ-ა
(e.)	მო-მ-ე-დრიკ-ა	ჩუენ	"	მ-ე-სმინ-ა
(i.)	მო-გ-უ-ე-დრიკ-ა	"	"	გ-უ-ე-სმინ-ა
	მო-გ-ე-დრიკ-ა	თქუენ	"	გ-ე-სმინ-ა
	მო- ე-დრიკ-ა	მათ	"	ე-სმინ-ა

## გ) ავ თემისნიშნისანი

	მო-მ-ე-კლ-ა	მე	იგი	ლა-მ-ე-ვშ-ა
	მო-გ-ე-კლ-ა	შენ	"	ლა-გ-ე-ვშ-ა
	მო- ე-კლ-ა	მას	"	ლა- ე-ვშ-ა
(e.)	მო-მ-ე-კლ-ა	ჩუენ	"	ლა-მ-ე-ვშ-ა
(i.)	მო-გ-უ-ე-კლ-ა	"	"	ლა-გ-უ-ე-ვშ-ა
	მო-გ-ე-კლ-ა	თქუენ	"	ლა-გ-ე-ვშ-ა
	მო- ე-კლ-ა	მათ	"	ლა- ე-ვშ-ა

	ლა-მ-ე-მარხ-ა	მე	იგი	მ-ე-კითხ-ა
	ლა-გ-ე-მარხ-ა	შენ	"	გ-ე-კითხ-ა
	ლა- ე-მარხ-ა	მას	"	ე-კითხ-ა
(e.)	ლა-მ-ე-მარხ-ა	ჩუენ	"	მ-ე-კითხ-ა
(i.)	ლა-გ-უ-ე-მარხ-ა	"	"	გ-უ-ე-კითხ-ა
	ლა-გ-ე-მარხ-ა	თქუენ	"	გ-ე-კითხ-ა
	ლა- ე-მარხ-ა	მათ	"	ე-კითხ-ა

დ) ამ თემისნიშნისნი

	ლა-ძ-ე-ღ-ა	მე	იგი	აღ-ძ-ე-თქუა
	ლა-გ-ე-ღ-ა	შენ	"	აღ-გ-ე-თქუა
	ლა- ე-ღ-ა	მას	"	აღ- ე-თქუა
(e.)	ლა-ძ-ე-ღ-ა	ჩუენ	"	აღ-ძ-ე-თქუა
(i.)	ლა-გუ-ე-ღ-ა	"	"	აღ-გუ-ე-თქუა
	ლა-გ-ე-ღ-ა	თქუენ	"	აღ-გ-ე-თქუა
	ლა- ე-ღ-ა	მათ	"	აღ- ე-თქუა
	შთა-ძ-ე-ცუა	მე	იგი	მ-ე-სუა
	შთა-გ-ე-ცუა	შენ	"	გ-ე-სუა
	შთა- ე-ცუა	მას	"	ე-სუა
(e.)	შთა-ძ-ე-ცუა	ჩუენ	"	მ-ე-სუა
(i.)	შთა-გუ-ე-ცუა	"	"	გუ-ე-სუა
	შთა-გ-ე-ცუა	თქუენ	"	გ-ე-სუა
	შთა- ე-ცუა	მათ	"	ე-სუა

ე) ზოგი ებ თემისნიშნისნი

	ძო-ძ-ე-გ-ო	მე	იგი	აღ-ძ-ე-ნთ-ო
	ძო-გ-ე-გ-ო	შენ	"	აღ-გ-ე-ნთ-ო
	ძო- ე-გ-ო	მას	"	აღ- ე-ნთ-ო
(e.)	ძო-ძ-ე-გ-ო	ჩუენ	"	აღ-ძ-ე-ნთ-ო
(i.)	ძო-გუ-ე-გ-ო	"	"	აღ-გუ-ე-ნთ-ო
	ძო-გ-ე-გ-ო	თქუენ	"	აღ-გ-ე-ნთ-ო
	ძო- ე-გ-ო	მათ	"	აღ- ე-ნთ-ო

	გან-ძ-ე-ღ-ო	მე	იგი	მ-ე-ქ-ო
	გან-გ-ე-ღ-ო	შენ	"	გ-ე-ქ-ო
	გან- ე-ღ-ო	მას	"	ე-ქ-ო
(e.)	გან-ძ-ე-ღ-ო	ჩუენ	"	მ-ე-ქ-ო
(i.)	გან-გუ-ე-ღ-ო	"	"	გუ-ე-ქ-ო
	გან-გ-ე-ღ-ო	თქუენ	"	გ-ე-ქ-ო
	გან- ე-ღ-ო	მათ	"	ე-ქ-ო

ვ) ევ თემისნიშნისნი

	მ-ე-კურთხ-ა	მე	იგი	მ-ე-ძლ-ო
	გ-ე-კურთხ-ა	შენ	"	გ-ე-ძლ-ო
	ე-კურთხ-ა	მას	"	ე-ძლ-ო
(e.)	მ-ე-კურთხ-ა	ჩუენ	"	მ-ე-ძლ-ო
(i.)	გუ-ე-კურთხ-ა	"	"	გუ-ე-ძლ-ო

გ-ე-კურთხ-ა	თქუენ	"	გ-ე-ძლო
ე-კურთხ-ა	მათ	"	ე-ძლო

ზ) ეშ თემისნიშნანნი

	მე	იგი	და-მ-ე-ც-ა
(e.) მი-მ-ე-ც-ა	შენ	"	და-გ-ე-ც-ა
მი-გ-ე-ც-ა	მას	"	და- ე-ც-ა
(i.) მი-მ-ე-ც-ა	ჩუენ	"	და-მ-ე-ც-ა
მი-გ-უ-ე-ც-ა	"	"	და-გ-უ-ე-ც-ა
მი-გ-ე-ც-ა	თქუენ	"	და-გ-ე-ც-ა
მი- ე-ც-ა	მათ	"	და- ე-ც-ა

თ) ი თემისნიშნანნი

	მე	იგი	აღმო-მ-ე-თხარ-ა
(e.) გან-მ-ე-ზარდ-ა	შენ	"	აღმო-გ-ე-თხარ-ა
გან-გ-ე-ზარდ-ა	მას	"	აღმო- ე-თხარ-ა
(i.) გან-მ-ე-ზარდ-ა	ჩუენ	"	აღმო-მ-ე-თხარ-ა
გან-გ-უ-ე-ზარდ-ა	"	"	აღმო-გ-უ-ე-თხარ-ა
გან-გ-ე-ზარდ-ა	თქუენ	"	აღმო-გ-ე-თხარ-ა
გან- ე-ზარდ-ა	მათ	"	აღმო- ე-თხარ-ა

	მე	იგი	მ-ე-ყიდ-ა
(e.) გან-მ-ე-ვსნ-ა	შენ	"	გ-ე-ყიდ-ა
გან-გ-ე-ვსნ-ა	მას	"	ე-ყიდ-ა
(i.) გან-მ-ე-ვსნ-ა	ჩუენ	"	მ-ე-ყიდ-ა
გან-გ-უ-ე-ვსნ-ა	"	"	გ-უ-ე-ყიდ-ა
გან-გ-ე-ვსნ-ა	თქუენ	"	გ-ე-ყიდ-ა
გან- ე-ვსნ-ა	მათ	"	ე-ყიდ-ა

ი) ია თემისნიშნანნი

	მე	იგი	მ-ე-შე-ა
(e.) შე-მ-ე-პყრ-ა	შენ	"	გ-ე-შე-ა
შე-გ-ე-პყრ-ა	მას	"	ე-შე-ა
(i.) შე-მ-ე-პყრ-ა	ჩუენ	"	მ-ე-შე-ა
შე-გ-უ-ე-პყრ-ა	"	"	გ-უ-ე-შე-ა
შე-გ-ე-პყრ-ა	თქუენ	"	გ-ე-შე-ა
შე- ე-პყრ-ა	მათ	"	ე-შე-ა

გან-მ-ე-ტყო	მე	იგი	მ-ე-ცნ-ა
გან-გ-ე-ტყო	შენ	"	გ-ე-ცნ-ა

	გან- ე-ტფო	მას	"	ე-ცნ-ა
(e.)	გან-მ-ე-ტფო	ჩუენ	"	მ-ე-ცნ-ა
(i.)	გან-გ-უ-ე-ტფო	"	"	გ-უ-ე-ცნ-ა
	გან-გ-უ-ტფო	თქუენ	"	გ-უ-ცნ-ა
	გან- ე-ტფო	მათ	"	ე-ცნ-ა

## კ) ოფ თემისნიშნანი

	გან-მ-ე-ყო	მე	იგი	და-მ-ე-ყო
	გან-გ-ე-ყო	შენ	"	და-გ-ე-ყო
	გან- ე-ყო	მას	"	და- ე-ყო
(e.)	გან-მ-ე-ყო	ჩუენ	"	და-მ-ე-ყო
(i.)	გან-გ-უ-ე-ყო	"	"	და-გ-უ-ე-ყო
	გან-გ-ე-ყო	თქუენ	"	და-გ-ე-ყო
	გან- ე-ყო	მათ	"	და- ე-ყო

II თურმეობითს ძველ ქართულში კიდევ ერთი დიდი თავისებურება ახასიათებს. აქაც საქმე გარდამავალ ზმნებს ეხება, სახელობრ, ზოგ ებიან ზმნას, როგორცაა: აღვაშენებ, დაუტყვებ, განვაახლებ, აღვასრულებ, უბრძანებ, მოვკმზადებ, აღვამაღლებ, ვაჩუენებ, დავივიწყებ, წარვაგვლინებ, ვადიდებ, შევკვედრებ და სხვ. ახალ ქართულში ამათ აქეთ ებინა დაბოლოება, რომელშიც ებ თემის ნიშანია, იმ — შუალობითი კონტაქტის (კაუზატივის) მაწარმოებელი, ა კი — შესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდობითში. ამ სამი ელემენტიდან პირველი ორი ძველმა ქართულმა არ იცის: ებ თემის ნიშანი არც იყო მოსალოდნელი (აკი II თურმეობითი ენანი ვნებითის წყვეტილის ფუძეს ეყრდნობა), წყვეტილში კი (და, საერთოდ, II სერიაში) ზმნებს თემის ნიშანი არ გადაჰყვებათ. ხოლო რაც შეეხება შუალობითი კონტაქტის იმ სუფიქსს, ის ძველ ქართულში არა გვექონია (მას სხვა შემცველი ჰქონდა, რაზედაც ქვემოთ ვიტყვი). სწორედ ამიტომ იყო, რომ ზემოთ მოყვანილი ზმნების II თურმეობითი ძველ ქართულში იყო მხოლოდ და მხოლოდ: აღ-მ-ე-შცნ-ა (=აღმე-შენებინა). და-მ-ე-ტყე-ა (=დამეტყვებინა), გან-მ-ე-ახლ-ა (=განმეახლებინა), აღ-მ-ე-სრულ-ა (=აღმესრულებინა), მ-ე-ბრძან-ა (=მებრძანებინა), მო-მ-ე-მზად-ა (=მომემზადებინა). აღ-მ-ე-მაღლ-ა (=აღმემაღლებინა), მ-ე-ჩუენ-ა (=მეჩუენებინა), და-მ-ე-ვიწყ-ა (=დამევიწყებინა), წარ-მ-ე-ვლინ-ა (=წარმევლინებინა), მ-ე-დიდ-ა (=მედიდებინა). შე-მ-ე-ვედრ-ა (=შემევედრებინა, ე.ი. ჩამებარებინა, მიმებარებინა) და სხვ. ძველად ეს იყო ერთადერთი ფორმები, მყარი და შეუცვლელი. ამას მოკლე თურმეობითს უწოდებენ და სამართლიანადაც.

II თურმეობითის მოკლე ფორმები დღეს სალიტერატურო ენაში არ არის (ათასში ერთხელ თუ წასცდება ვინმეს. ისიც მთიანეთიდან გამოსული). სამაგიეროდ ცოცხლობს მთის დიალექტებში — ხევსურულში. ფშაურში და სხვაგან დიდი ვაჟა ხშირად იყენებდა აზნაირ ფორმებს. მაგალითად. მის ნაწერებში გვხვდება დღევანდელი სალიტერატურო ენისათვის სრულიად უჩვეული ფორმები: დაემცირა (=დაემცირებინა): ეუსყა (=ეუსყებინა), გაეტაღა (=გაეტაღებინა), გაელამაზა, ავეკაჟა. გავეკათ. გველერძელა (=გველერძებლებინა). გაელაღა. გაეტარათ,

დაელნა. დაებრუნათ, ჟეენათ (= ჟეენებინათ). გადაუყარათ (= გადაუყარებინათ). ამემაღლე (= ამემაღლებინე) და ასეთი ფორმები გვხვდება არა მარტო ლექსებსა და პოემებში, საიდანაც არის მოყვანილი მაგალითები. არამედ პროზაშიც და პუბლიცისტურ ნაწერებშიც: ვაითავა. გადაესახლა. დაბეშვენა (= დაბეშებენება). აქ იმასაც შევნიშნავთ, რომ ძველი ქართულის მსგავსად ვაეას მ-ც არ დაუწერია). მონღობა. გავეტარა. გაეხარა. გაუმეტა. აეტირა. გაუქმა. გაგეთავა და მრავალი სხვა<sup>177</sup>. ვაეას მსგავსად ამგვარ ფორმებს ხმარობს მისი უმცროსი ძმა თედოც. აი, რამდენიმე ნიმუში: იქაურ მღვდელს აღნიევს დაბეზლა /ვაეა/ (თ. რაზიკაშვილი, მოთხრობები, I, 1972, გვ. 8 = დაბეზლებინა); მტერა ღონე იყო. უნდა თავი დაემდაბლა და დაძმებისათვის ეთხოვნა შეეღა (იქვე, 134 = დაემდაბლებინა); მამამთილს ძალიანა სურდა როგორმე მოეშლინა იმათთვის დილოს ძილი (იქვე, 161); ცოლმა კიდევ რამდენჯერმე სცადა დაემლონა ეს ახირებული გადწყვეტილება. მაგრამ ამაოდ (იქვე, 161); უნდოდა უფრო დაემნა ბეკეკა (იქვე, 177 = დაემნებინა).

ზედმეტია ლაპარაკი ძველ ქართულში ასეთი ფორმების არსებობის შესახებ, როგორცაა დღევანდელი ქართულის "გრძელი" (და, უნდა ითქვას, ძნელად გამოსათქმელი) ფორმები

ააშენებინებს	აეშენებინებინა
გაკეთებინებს	გაკეთებინებინა
განახლებინებს	განახლებინებინა
ამაღლებინებს	ამაღლებინებინა
დამცირებინებს	დამცირებინებინა
შეტყობინებს	შეტყობინებინა

ძველ ქართულში ერთი მა-ივ-ა არ იყო და, მით უმეტეს, ორი — მა-ივ-მა-ივ-ა — წარმოუდგენელი იქნებოდა.

ახლა წარმოვიდგინოთ ამ ტიპის ზმნათა უღლების პარადიგმებს, თუცა ისინი უღლების თვალსაზრისით არსებითად არაფრით განსხვავდებიან ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმებისაგან

	<u>განვაახლებ</u>		<u>ვბრძანებ</u>
	გან-მ-ე-ახლ-ა	მე იგი	მ-ე-ბრძან-ა
	გან-გ-ე-ახლ-ა	შენ "	გ-ე-ბრძან-ა
	გან- ე-ახლ-ა	მას "	ე-ბრძან-ა
(e.)	გან-მ-ე-ახლ-ა	ჩუენ "	მ-ე-ბრძან-ა
(i.)	გან-გ-უ-ე-ახლ-ა	" "	გ-უ-ე-ბრძან-ა
	გან-გ-ე-ახლ-ა	თქვენ "	გ-ე-ბრძან-ა
	გან- ე-ახლ-ა	მათ "	ე-ბრძან-ა
	(=განმეახლებინა)		(=მებრძანებინა)

	<u>წარვაკვლინებ</u>		<u>ვადილებ</u>
	წარ-მ-ე-ვლინ-ა	მე იგი	მ-ე-დიდ-ა
	წარ-გ-ე-ვლინ-ა	შენ "	გ-ე-დიდ-ა

<sup>177</sup> ნ. აბის შესახებ ი. თნაიშვილი. ვაეა-ფშაველა და ძველი ქართული უნა. 1962. გვ. 111-119.

	წარ- ევლინ-ა	მას	"	ედიღ-ა
(e.)	წარ-მ-ევლინ-ა	ჩუენ	"	მ-ედიღ-ა
(i.)	წარ-გუ-ევლინ-ა	"	"	გუ-ედიღ-ა
	წარ-გ-ევლინ-ა	თქუენ	"	გ-ედიღ-ა
	წარ- ევლინ-ა	მათ	"	ედიღ-ა
	(=წარმევლინებინა)			(=მედიღებინა)

აღმეპართებ

	აღ-მ-ე-მართ-ა	მე	იგი
	აღ-გ-ე-მართ-ა	შენ	"
	აღ- ე-მართ-ა	მას	"
(e.)	აღ-მ-ე-მართ-ა	ჩუენ	"
(i.)	აღ-გუ-ე-მართ-ა	"	"
	აღ-გ-ე-მართ-ა	თქუენ	"
	აღ- ე-მართ-ა	მათ	"
	(=აღმეპართა)		

აღვამაღლებ

	აღ-მ-ე-მაღლ-ა
	აღ-გ-ე-მაღლ-ა
	აღ- ე-მაღლ-ა
	აღ-მ-ე-მაღლ-ა
	აღ-გუ-ე-მაღლ-ა
	აღ-გ-ე-მაღლ-ა
	აღ- ე-მაღლ-ა
	(=ამემაღლებინა)

ღამეშაბლებ

	ღამ-ე-შაბლ-ა	მე	იგი
	ღამ-გ-ე-შაბლ-ა	შენ	"
	ღამ- ე-შაბლ-ა	მას	"
(e.)	ღამ-ე-შაბლ-ა	ჩუენ	"
(i.)	ღამ-გუ-ე-შაბლ-ა	"	"
	ღამ-გ-ე-შაბლ-ა	თქუენ	"
	ღამ- ე-შაბლ-ა	მათ	"
	(=ღამეშაბლებინა)		

მომეშხადებ

	მო-მ-ე-შხად-ა
	მო-გ-ე-შხად-ა
	მო- ე-შხად-ა
	მო-მ-ე-შხად-ა
	მო-გუ-ე-შხად-ა
	მო-გ-ე-შხად-ა
	მო- ე-შხად-ა
	(=მომეშხადებინა)

ღამეტყეებ

	ღამ-ე-ტყე-ა	მე	იგი
	ღამ-გ-ე-ტყე-ა	შენ	"
	ღამ- ე-ტყე-ა	მას	"
(e.)	ღამ-ე-ტყე-ა	ჩუენ	"
(i.)	ღამ-გუ-ე-ტყე-ა	"	"
	ღამ-გ-ე-ტყე-ა	თქუენ	"
	ღამ- ე-ტყე-ა	მათ	"
	(=ღამეტყეებინა)		

აღვამშენებ

	აღ-მ-ე-შენ-ა
	აღ-გ-ე-შენ-ა
	აღ- ე-შენ-ა
	აღ-მ-ე-შენ-ა
	აღ-გუ-ე-შენ-ა
	აღ-გ-ე-შენ-ა
	აღ- ე-შენ-ა
	(=ამეშენებინა)

გაცუნებ

	მ-ე-ცუნ-ა	მე	იგი
	გ-ე-ცუნ-ა	შენ	"
	ე-ცუნ-ა	მას	"

განვაცხადებ

	გან-მ-ე-ცხად-ა
	გან-გ-ე-ცხად-ა
	გან- ე-ცხად-ა



(e.)	მ-ე-ცოუნ-ა	ჩუენ	"	გან-მ-ე-ცხად-ა
(i.)	გუ-ე-ცოუნ-ა	"	"	გან-გუ-ე-ცხად-ა
	გ-ე-ცოუნ-ა	თქუენ	"	გან-გ-ე-ცხად-ა
	ე-ცოუნ-ა	მათ	"	გან-ე-ცხად-ა
	(=მეცდუნებინა)			(=განმეცხადებინა)

III სერიის მწკრივებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია ზმნისწინანი ფორმების ხმარება. აქ შედარებით ნაკლებად გვაქვს უზმნისწინო ნიმუშები. მაგრამ ზოგჯერ II თურქობითში გვხვდება სწორედ ასეთი უზმნისწინო ფორმები. ეჭვი არაა, ეს უფრო ძველი ვითარების უკუყენაა, როცა ზმნისწინანი ფორმები არც ისე ხშირი იყო, როცა ცალკეული ზმნისწინები ჯერ კიდევ არ იყო ამა თუ იმ ზმნაში დამკვიდრებული. აი, რამდენიმე ამგვარი მაგალითი:

რამეთუ ეთხრა მას, სადა-იგი იყოფოდა (ნოე. II, 194,8); ბერსა ეთხრა მათა (Sin. 36, 391a,19); ყოველივე, რაიცა ექმნა და ეთხრა მისდა წმიდასა დაეთოს. წარმოუთხრა მან (ასურ. 172,32 წ. ეთხრა — ეთქვა, მოეთხრა); გუთხნეს მას წიგნი ძველნი და ახალნი (კომ. I, 168,22 = წიგნითხა); იყო ვინმე ბარაბა მეპომეთა თანა კრული, რომელსა შფოთსა შინა კაცი გელა (მრ. 15,7); არდა ესწრა ვითმე აღმწერელთა და მომთხრობელთა მიმართ მიწვენად ცხოვრებისა მისისა მუწყებელი წერილი (ასურ. 146,9 = მოესწრა); თანა ჰყვანდეს სტეფანე ... და ევთალი, მამასახლისი მონასტრისაჲ. რომელი ეშენა ელიას იერიქოს (კომ. II, 192, 28 = აეშენებინა): განაქიქა ცოთმაჲ სემონ მოგვსაჲ, რომელსა ეცოუნა ქალაქი ჩუენი ყოვლითა გრძნებითა მისითა (ისტ. ქრ. II, 89,30; Sin. 11, 110v,7); რამეთუ არარაჲ ეცოდა და მიეცა იგი დღეს (Sin. 97, 118v,3 ქვ.); რომელთა არა ეცოდა (თუალთ. 52, 19); მაგრამ იქვეა ზმნისწინანი ფორმაც: რომელთა-იგი არა შეეცოდა (თუალთ. 52,28); უკუეთუ-მცა ჭაბუკსა ეძლია ჩემდა, არამცა მგლოდა (პარხ. 620a); ეძლია მისა ბოროტსა ჩუეულებასა უმშგაკრობისასა, ბუნებასა კაცობრივსა (ლმბ. 72,22); უკუეთუ-მცა ესრე წულილად გამოეძია. ჭეშმარიტად ეძლიამცა ბოროტისა მის(და) და დადგრომილ იყო პატივსავე თვისსა (კომ. I, 179,9); თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა (ლ. 3,23).

ზემოთ ჩვენ მსჯელობა გვექონდა ისეთ შემთხვევებზე, როცა სახელობითში დასმული სახელი (წარმოშობით სუბიექტი, ახლა პირდაპირ ობიექტად რომ მიგვაჩინა) მხოლოდობითში იყო. იმ შემთხვევებს, როცა ეს სახელი მრავლობითში ღვას. ქვევით, მწკრივების შესწავლის შემდეგ, დაუბრუნდებით. მაგრამ II თურქობითზე, როგორც ცალკე მწკრივზე, მსჯელობა რომ ერთგვარად მთლიანი იყოს, სრული შთაბეჭდილების მიღება შეგვეძლოს, ნიმუშის სახით ასეთ უღლებასა და სათანადო მაგალითებს აქაც წარმოვადგენთ.

სიტყადისათვის გვერდით მხოლოდობითის ფორმასაც ვაჩვენებთ.

ქ.ობ.მხ.

მო-მ-ე-კლ-ა მე იგი

მო-გ-ე-კლ-ა შენ "

მო-ე-კლ-ა მას "

(e.) მო-მ-ე-კლ-ა ჩუენ "

ქ.ობ.მრ.

მო-მ-ე-კლ-ნ-ეს მე იგინი

მო-გ-ე-კლ-ნ-ეს შენ "

მო-ე-კლ-ნ-ეს მას "

მო-მ-ე-კლ-ნ-ეს ჩუენ "

- (i.) მოგუეკლა " " მოგუეკლ-ნ-ეს " "  
 მოგუეკლა თქვენ " მოგუეკლ-ნ-ეს თქვენ " "  
 მო ეკლა მათ " მო ეკლ-ნ-ეს მათ " "

ასევე იუღლება ყველა სხვა გარდამავალი ზნა. მარჯვენა პარადიგმის ფორმების 6 და ეს სუფიქსებზე მერმე გვექნება საუბარი. სათანადო მაგალითებს ძველი ძეგლებიდან ქვემოთ დავურთავთ.

ამდენ ხანს ჩვენ საანალიზოდ აღებული გექონდა ძველი ქართულის ჩვეულებრივი, ინვერსიული წყობა, როცა ცვალებადი იყო რეალური სუბიექტური პირები (მე, შენ, მას, ჩვენ, თქვენ, მათ), ხოლო უცვლელი — რეალური (პირდაპირი) ობიექტი (ოგი, იგინი). ესაა III სერიის ზნათა გაერთილებული წყობა. ძველ ქართულში იშვიათად შევხვდებით შებრუნებულ წყობასაც, როცა I და II პირები ობიექტად არის წარმოადგენილი და ზნაში სუბიექტური ნიშნითაა გამოხატული.

ენახთ სათანადო პარადიგმა ორივე წყობით:

<u>ობიექტ. წყობა</u>		<u>სუბ. წყობა</u>	
მო-მ-ეკლა მე	დავითი	მო-ე-ეკალ	მე დავითს
მო-გ-ეკლა შენ	დავითი	მო-ე-კალ	შენ დავითს
მო-ეკლა მას	დავითი	მო-ეკლა	იგი დავითს
(e.) მო-მ-ეკლა ჩვენ	დავითი	მო-ე-ეკლ-ენ-ით	ჩვენ დავითს
(i.) მოგუეკლა			
მოგუეკლა თქვენ	დავითი	მო-ეკლ-ენ-ით	თქვენ დავითს
მო-ეკლა მათ	დავითი	მო-ეკლ-ნ-ეს	იგინი დავითს

როგორც ტაბულიდან ჩანს, მოეკლა (მესამე პირებისათვის) ორივეგან ერთია გარეგნულად: მოეკლა მას დავითი და მოეკლა იგი დავითს, მაგრამ შინაარსით სულ სხვადასხვაა.

რადგანაც გარდამავალი ზნების II თურმეობითი ენიანი ენებითის წყვეტილის ფორმას ეყრდნობა, მწკრივის ნიშნებიც წყვეტილისა ექნება: მ და ე<sup>198</sup>. აი, ორივეს მაგალითი:

შე-ე-ეყარ	მო-ე-ეყან-ე
შე-ე-ყარ	მო-ე-ყან-ე
შე-ე-ყრა	მო-ე-ყან-ა
შე-ე-ეყარ-ენ-ით	მო-ე-ეყან-ენ-ით
შე-ე-ყარ-ენ-ით	მო-ე-ყან-ენ-ით
შე-ე-ყარ-ნ-ეს	მო-ე-ყან-ნ-ეს

სუბიექტური წყობისას, როგორც ვხედავთ, ფორმა სუბიექტური პირების მიხედვით იცვლება და ამიტომ აღარა გვაქვს ექსკლუზიურ-ინკლუზიური ფორმები და უღლებაც ერთი პირით ნაკლებია (ექვსი და არა შვიდი).

აქვე დავიმოწმებთ ტექსტებში დადასტურებულ მაგალითებს, სადაც მწკრივის ნიშნები გამოვლინდება:

<sup>198</sup> წყვეტილს ი-ც აქვს მწკრივის ნიშნად. მაგრამ იგი II თურმეობითში არ გვხვდება.

მ სულო ჩემო. ნეტარ თუმცა ჰაერთა შინა მფრინვალედ დაუბადე ღმერთსა (სწავ. 184,33): უკუეთუმცა საპყრობილესა არა შეგვეყვანე<sup>199</sup>. არამედ მყისა შინა მრავალფერითა სატანჯველითა გვეუბნე, მაშინ სამემცა აღვასრულა ნებაი მფეისა შენისაი (პარხ. 1088a): კაცო, უკუეთუმცა ცოდნილ იყავ და მე დაგვკალ. ჩემსა ინჩაუუსა იღვა მარგალიტი სირაქლემისა კურცხისა ოდენი და იემცა გამოველო, შენ დიდი საფასე შეგძენოდა (ბალ. 58,12 ლ); და მცირედლა, და მომცა ვიდრემე-ვეკლენით ჩუენცა თვნიერ ყოვლადვე წინა-აღმდეგობისა, ვინა სიტყვსაცა ერთისა მოგებისა (ისტ. ქრ. I, 178, 15); და შეეშინა მას დიდად. ვიდრემდის კინლა და გარდავარდა ქუეყანად. და შეიპყრეს იგი თანამყოფთა. და ჩუენ ყოველნი შევეპყრენით განკრეებასა (კომ. I, 299,5); ნეტარ თუმცა არა შემესწავლე, რამეთუ განმაცოცხლე მე მცირედსა ამას ჟამსა და მომაკუდინე მე სასურნოდ (სწავ. 227,1); მე მრცხუენის პირისაგან მამისა შენისა, რამეთუ მოვეყვანე შემწედ მისდა, ხოლო მე წინა-აღუდევე შეთქმულებისა თქუენისათვის, რამეთუ ფრიად შემეშინა შენგან (ბალ. 118, 4 ლ).

ახლა ვნახოთ სხვა მაგალითებიც, როცა წყობა ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი, ობიექტურია:

უკუეთუმცა მენება მსახურებაი მათი, არამცა აღმეარა მე სახელი წმიდაი ... იესუ ქრისტეისი (საქ. წ. II, 23,31); დაღაცათუმცა არა პირველვე გებრძანა შენდა, ჯერ-იყო შენდა... მიტეებად ძმისა შენისა თანა-ნადები იგი (სწავ. 34,6); თხრობით ოდენ მესმინა შენგან ამის ცხორებისათვის, არამედ საჭით არა თავს-მედვა და არცაღა მნებაეს ცხორებაი შემდგომად შენსა (ბალ. 166,2); არა მიხილავს იგი, ვითარმცა შეკითხა, თუ ვითარ იყოს ესე (კომ. I, 181,5); არა თუ მე აღმეძარათა ხატი იგი და მემცა დაეპყე (შუშ. 135,15); უკუეთუმცა არა შემეძოსა მე. არცამცა მივსნა მე (სინ. 44,5); გონებაი განმარტებული და უბიწოი მოჰოვნა (Sin. 11, 213v,4 ქვ.); რამეთუ შემესწავა იგი ქალაქსა სამეუფოსა კოსტანტინეს (ლიმ. 44,27); უკუეთუმცა შესაძლებელ იყო ჩემდა, ცრემლთაი და სულთ-თქუმისაი წიგნითა აღმცა-შეგსოებისტოლე ესე ჩემი მათგან და ესრცთ წარმოშეცა იგი შენდა (სწავ. 107,12); რომელ არასაღა ევეითარი ადგილი მხილავა (გულანდ. 217,8); რომელი მე მომხსუეჭა, მიხსუაგო ოთხ წილად (ლ. 19,8 Y); მე ნაგოზი არა აღმეყაღა ჩემსა მას კაცსა, არამედ მახალითა შთამეყურიტა და მცირედ წამომესხა (ნოვ. II, 210, 19).

ბრძანებაი დაწყნარებულებისა შენისაი შევიწყნარე, რომელი გებრძანა ყოველთათვის (კომ. II, 22,23); მოკულა ჭაბუკი იგი, რომელი შემოგვედრა ჩემდა (სწავ. 292, 15); უკუეთუმცა გენება და შეგესუა, ესევეითარი ყუაეილნი, ორნი ყრმანი, შობად გესხნეს (ლიმ. 111,2); უკუეთუმცა გეცნა, რაი არს: წყალობაი მნებაეს და არა მსხურპლი, არამცა დასაჯენით უბრალონი (მ. 12,7); უბჯობძს იყო შენდა, თუმცა წინადაგეცვთა ანუ განცოფებულ იყავ (მრავ. 300, 19).

მივიღა სახლსა მას კერპთასა, სადა-იგი მეორედ განეხსლა აპოლონი (კომ. I, 144,19); მაშინ ბრძანა პილატე ეზოისა მის წარმოტეებაი, რომელი განება წინაშე

<sup>199</sup> Sin. 11-ში შეგვეყვანუს ნაცულად იკითხება შეგვეყენე (31r). რაც ამ ტიპისვე II თურმობითა და შინაარსით უფრო გამართლებული. ნიშნავს (ციხეში) ჩავდებას, შევდებას. აქ ტექსტს სწორედ ასე გაგება უხდება.

საყდართა მისთა (აღწ. 199,39); რომელი იგ მოუბირა რაქისს (ბალ. 112,31); უკუანაისქნელ აღძრა იგი, რომელსა-იგი დაეპრმო, და სწყვედა წმიდასა მას (კომ. I, 334,36); უკუეთუმცა მადლი იგი ნებისა მისისაებრ თანა ყოფილიყო, ებრძანამცა, რადითა მთავარი იგი ქვა იქნეს (სწავ. 310,36); ვითარცა შევიდა, პოვა, რამეთუ ცოლსა მისსა წარედო ყოველი მონაგები თვისი და ლტოლვილ იყო, ყრმაი ჩწვლი შწოვარი, შვილი თვისი, დაედო მარტოი სახლსა შინა (კომ. I, 327,16. 6.კ. იქვე: 296,25); ამას დაეყო ქებასა შინა მტირესა სამოცდაათი წელი და არაოდეს სადა რად მოეგო ამის საწუთროისა საეპარი (ლიომ. 26,10); რამეთუ იგი ლოდი, რომელი პირველად გარდაეგორვა საფლავისა მისგან, იგი წაბებს, დღენდელად დღედმდე მღებარს (სინ. 165,35); რომელი დაედგინა შსახურად ეკლესიისა, რომელი იყო მუნ (ლიომ. 95,21. 6.კ. სწავ. 101, 30; ურთ. 64,13); და იყო რაეამს ინავ-ედგა მას სახლსა მას შინა, მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი მოსრულ იყვნეს და ინავ-ედგა იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა (მ. 9,10 C); მარიამს დახეპარხნეს სიტყუანი ესე და დახედვა გულსა თვისსა (ლ. 2,19 Y); თავი მოედრიკა (ასურ. 54,10).

სრულიად დაევიწყა სხეული და არად შეერაცხნეს საშუებელნი სოფლისანი (ასურ. 43,8); არა იყო მუნ ლიკინიოზ, რამეთუ წარველინა წმიდასა პანსოფის ქალაქად ძმათათვის სყიდად საზრდელისა (კომ. I, 59,22); მის თანა იყუნეს ყოველნი, რომელთა შეეზავა წამალი იგი მაკუდინებელი წმიდისა მისთვის (ლიომ. 45,32. 6. კ. იქვე: 46,9); შემდგომად სამისა დღისა შევედით ნავსა, რომელსა დაეზამთრა მას ჭალაკსა შინა (მოც. 28,11); მონაზონად ეკურთხა იგი წმიდასა მას და მას განეზარდა იგი სიყრბით მისითგან და ესწავა მისდა პატოისანი მონაზონება (სინ. 276,16); ამცნო, ვითარ-იგი განეზრახა (ბალ. 98,23).

იხილა გზასა ზედა ყრმაი, მღებარს ქუეყანასა, რომლისა გუელსა ეკბინა და მომკუდარ იყო (ისტ. ქრ. II, 52,37); შე-ოდესმე-იყრეს ავაზაკი ერთი, რომელსა მოგულა კაცი (ლიომ. 33,20. 6.კ. იქვე: 33,22); რომლისათვისცა ფრიალი სიმდიდრე შეეკრიბა საუნჯეთა შინა ზეცისათა (ასურ. 62, 22. 6.კ. კომ. I, 115,22); ხოლო ესე ასული აბრაამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა (ლ. 13,16. 6.კ. კომ. I, 267,36); რადითა შეუძლოს განცხოველებად სჯულისა, რომელი მოეკუდინა მამასა მისსა (ბალ. 129,21 ლ); დადვა იგი ახალსა მას მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან (მ. 27,60. 6.კ. ლიომ. 5,30. C: აღმოეკუეთა); ხოლო თეკლას არად შეერაცხა იგი ყოველი, არამედ დაემდაბლა თავი და ყოველი გონება მისი (თეკლა 97,13); დაჯდა იგი საეცდომსა მას, რომელი განეშადა მისთვის წინაშე კერპისა მის (კომ. II, 33,10. მაგრამ ენებითი იქვე არსებული ფორმები: განეშადა მისლვად აღვილსა მას: 33,5; განეშადანეს აღსრულებად ბრძანებასა მთავრისასა: 33,4); მონაქენდა, რად-იგი მონეშადა (ლ. 24,1 X); განემტკიცა პირი თვისი აღსლვად იერუსალმად (ბოლნ. 78,14); იხილა ეშმაკი, რომელსა აღემტკიო პირი და ეგულებოდა შთანთქმაი მისი (ბალ. 37,5); მრავალი ბორკილი და ვაჭვე განეხეთქა და დაემუსრა (მრ. 5,4 C); და თუმცა მოწყალეებასა მას მისსა არა დაემშვდა იგი, აღ-მცა-ვოცა ბუნება ესე ჩუენი (სინ. 182,21); უდებ-ვეეს სიტყუაი ბერისაი, რომელი ემცნო მათთვის სხეულისა მისისა ძლით, რამეთუ სადა ემცნო დადებდა ჯორცთა მისთაი მოწაფეთათვის, უღირსად შეერაცხა მათ ადგილი იგი ყოვლად ღირსისა მისთვის (ასურ. 65,6 ლ).

მოხდა სასყიდლით ვერ მრავალი ჩემთვის, რაითა შევიშინო (ნეემ. 6.13); ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა სანთელი არა ოდეს აღნთო ღამით (ლიმ. 26,14); რაითა განაახლოს ქუეყანა, რომელი მოეოჯრა მაცთურსა განწყობითა კერპთათა (კიმ. I. 177,5); სადა-იგი მოეპოვა დაყუდებით მაღლი (ასურ. 65,34 ♀); ნაპრალსა მას კლდისასა ეპოვნა ქუაბი მცირე (ასურ. 52,2); რომელთა შეეყრა იესუ (ლ. 22,63 CD); კათალიკოსსა მაკარის აუწყა ყოველი, რაიცა ეხილვა და ესმინა წმიდისა შიომცხეთისა (ასურ. 112,6); რამეთუ მრავალი ესმინა მისგან (მრ. 6,20); უამცა კერიაკისა არაოდეს აღესრულა ეკლესიასა შინა მათა თანა (ლიმ. 4,3. შდრ.: რაეამს აღესრულა ჰეროდე: მ. 2,19 C = წყვ. /ვნ./: მოკვდა); არა დაესრულა მორც წელი ებისკოპოსებასა, ესე ნეტარი ეფთემის გარდადგინებასა არა შეერთო (კიმ. II. 179,17 = დაესრულებინა. შდრ. დაესრულა ყოველი მღვდელობა და წინაინარბეტყულებამ: ლიტ. ქრ. 26,9 = წყვ./ვნ./: დასრულდა); უკუნსცა ყოველი, რომელი მოეტაცა ანგაპრებით მამას მისსა (ურთ. 76,26); ამას ნეტარსა ღმრთისათვის დაეტევა ებისკოპოსობა თვის (ლიმ. 44,17. ნ.კ. ბალ. 4,3,31; 94,29; ასურ. 29,8; 146,38; ნოვ. II. 32,51); უკუეთუმცა ღმრთეება ჯორცითა არა დაეფარა. კაცობა ვერ მიეახლა ღმრთისა (ეგსტ. 150, 20); ადგილ-ადგილდ ქუე ძემდ დაეფინა (მუშ. 137,434); მოვიდა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიეღო (მ. 25,22. ნ.კ.: მ. 25,24); განუტევა მათა ბარაბა იგი, რომელი აღძრვისათვის და კაცის-კლეისა შეეყრა საპყრობილესა (ლ. 23,25 C); ხოლო მან აღუთქუა ... დედაკაცისა მის წარგ ზენა, ვინაიცა მოეყვანა იგი (ხანძი. 223,3); ვიდრე არა ეყვნა ქათამსა. სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან (მოქც. 234,7); დაეყოვნა კაცსა მას დღე რაოდენიმე მუნ (ასურ. 208, 1); რამეთუ გამოეყო თავი მისი და იხედვიდა ბგერასა მას მათსა და რისხვასა (ლიმ. 132,22); ვინ უწყის, თუ ანგელოზსამცა უღებ-ვეო გამოცხადება ყოვლისა (კიმ. I. 181,39).

ქალსა ვისმე ... მათ უამთა ოდენ ეშუა (ლიმ. 109,33); ბღუარით კერძო მას თვით აღეშენა სენაკი (კიმ. II, 173,29); მდიდრად მოეცა ყოველივე უხუცებით (ზარზმ. 200,16); რომელი წარმოეცა დედასა შენსა დამბლითა ოსანითა (კიმ. I, 130, 16); მოეცვა განსადელთა და გულის სიტყუათა მრავალთა (ასურ. 209,18); მოედუნა წმიდასა მას ებისკოპოსსა საზრდელი (მუშ. 140,5); არა ეჭამა პური (ისტ. ქრ. I. 180,25); არასადა ეხილვა ეგვიპთარი ცხორებასა მისსა (ბალ. 54, 36); ეყვნა მათ ყოველთავე მსოფლიოთა ზრუნვათაგან (ასურ. 39,15).

ვიდრელა არა თუმცა ყოველი გუამი დაგუებანა (მრავ. 316,26); შიში და ზარი შეგუემოსა ყოველთავე (პარხ. 865a); არა ღირს ვიყვენით, დაღაცათუმცა ნება მისი ყოველი აღუესრულა (Sin. 36, 37a,16); უკუეთუმცა არა დაგუეფოვნა. აწმცა მოქცეულ ვართ სამ გზის (დაბ. 43,10); რაითამცა მუნ გუეშენა უდაბნო დიდი და მაღალი (ზარზმ. 193,42).

#### B. პართიურიანი ზმნები

ერთპირიან ზმნებს II თურმეობითშიც, როგორც I თურმეობითსა (ნ. ზემოთ, გვ. 231) და III კავშირებითში, ორგანული წარმოება არა აქვთ, ისინი მხოლოდ

თად იწარმოება: საუღლებელი ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობის ფუძეს ემატება ყოფა ზმნის წყვეტილის ფორმა:

წარსრულ ვიყავ	მოწვევულ ვიყავ
წარსრულ იყავ	მოწვევულ იყავ
წარსრულ იყო	მოწვევულ იყო
წარსრულ ვიყვენით	მოწვევულ ვიყვენით
წარსრულ იყვენით	მოწვევულ იყვენით
წარსრულ იყვენეს	მოწვევულ იყვენეს

მაგრამ უნდა გაავფრთხილოთ მკითხველი, რომ, თუმცა ასეთი ფორმები ძალიან ხშირად გვხვდება ძველ ქართულში, მათ ყოველთვის II თურმეობითის გაგება არ ექნებათ. პირიქით, ამგვარი ფორმების გამოყენებისას აბსოლუტურად უშეტეს შემთხვევაში წყვეტილთან გვექნება საქმე — ზნა ცალკე უნდა განვიხილოთ და მიმღეობა — ცალკე; აქ შედგენილი შემასმენელი გვექნება სწორედ ისე, როგორც სხვა სათანადო შემთხვევებში: მოსრულ იყო = მოსული იყო, კეთილ იყო = კარგი იყო, შეშინებულ იყო = შეშინებული იყო. II თურმეობითი რომ გვექნაღეს, აუცილებელია სათანადო წყვილებს თურმეობითის გაგებაც, თურმეობითის შინაარსიც ჰქონდეს. ამის გარეშე, ვიმეორებთ. ეს წყვილები ცალ-ცალკე დაიშლება და ზნა წყვეტილში უნდა ვივულისხმოთ.

იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ეს წყვილი II თურმეობითის აღნიშნავს, უშეტესად ისინი სხვა, უდავო, თურმეობითების გარემოცვაში გვხვდება. ირგვლივ თურმეობითებია, მამასადაძმე, ეს სადავო წყვილიც (მიმღეობა + მეშველი ზნა) თურმეობითია. ასე, მაგალითად, აღმოსრულ იყო II თურმეობითია (და არა წყვეტილი) ასეთ კონტექსტში: ბარბაროზი ვინმე აღმოსრულ იყო ნადირობად ნადირთა მათ შინა და მახლობელად წმიდისა მოწვეულსა განეტევა ქორი კაკბისა მიმართ (ასურ. 168, 20). "აღმოსრულ იყო" და "განეტევა" (აბოსულიყო და გაეშვა) შეხმატკბილებულად დგანან ერთმანეთთან და ორივე ერთი და იმავე მწკრივის ფორმა — II თურმეობითი. ასევე II თურმეობითია დაშთომილ იყო შემდგეს წინადადებაში: ამას ხუცესსა ეშენეს მრავალნი შეილნი და არცა ერთი მათგანი დაშთომილ იყო ცოცხლად (კიმ. I. 329, 7). "ეშენეს" და "დაშთომილ იყო" კარგად გვუბნან ერთმანეთს.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ III სერიაში ერთპირიანი ზმნების მწკრივის დადგენისას ღიდი დაკვირვებაა საჭირო. ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს:

მას ჟამსა უკუეთუშეცა ვინ მახლებულ იყო მათდა და ვგრეთ ერქუა (სწავ. 37, 20); ზ სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ჰაერთა შინა მფრინვალედ დავებადე ღმერთსა! ზ სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ნადირად ველთად დაბადებულ ვიყავ და არა კაცად პირველმეტყველად ქუეყანასა ზედა! (სწავ. 184, 34); დიდებული მაგალითია! ჯერ მოცემულია გარდამავალი ზნა (დავებადე) სუბიექტური წყობით (ეს იშვიათია), მერმე იგივე ზნა ვნებითად არის წარმოდგენილი (დაბადებულ ვიყავ). რა თქმა უნდა, ორივე II თურმეობითია.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ, მართალია, დაჰხად-ს ტიპის ზნათა ვნებითები წარმოშობით ორპირიანებია, მაგრამ ამ ზმნას თვით ძველ ქართულში უკვე დაკარგუ-

ლი აქვს ორი პირის გაგება და ერთპირიანად არის ქცეული. ასეთ შემთხვევაშიც მწკრივების არჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ფორმის შინაარსს ჰქონდა. დაეძინა აქ იმასაც, რომ ასეთი (დაჰადა-ს ტიპის) ზმნების ორჭოფული ხასიათი ძველადაც კარგად ჰქონდათ შეგნებული და ხშირად ფორმასაც ერთპირიანი ვნებით-ბისათვის განკუთვნილი ი პრეფიქსით ხმარობდნენ. აი, ორიოდ მაგალითი: რამეთუ თუთ ველმწიფედ დავიბადენით. ამისთვის გუებიებდ ჩუენ ეშმაქნი მარადის (ებისტ. ანტ. 29,2); რამეთუ შენ დაჰადანე ყოველნივე, და ნებითა შენითა იყენეს და დაიბადნეს (გამოცხ. 4,11 A); ბჭენი მისნი არა დაიუშენ დღისი, რამეთუ ლამპ მუნ არა იყოს (იქვე. 21,25 A); ოდეს დაითესის, აღმოუდის და იქმნის იგი უფროისი ყოველთა მხალთა (მრ. 4,32 D); უმშჯაერობისა წილ, რომელსა ვიქმოდეთ, განვი-თესინით შორად ქუეყანად (სწავ. 147,7); ქალაქნი ბლუარით კერძონი დაიუშენს, და არავინ იყო განმლებელ (იერ. 13,19); მას ეამსა განიბნინეს ენანი გოდლისა მისთვის, რომელი აღიშმნებოდა ბოროტად (სინ. 181,15) და სხვ.<sup>300</sup> ამიტომ ბუნებრივია, თუ დაბადებულ ვიყავ (და მისი მსგავსი ფორმები) ერთპირიანი ზმნების II თურმეობითად გეესმის.

სხვა მაგალითები: ჭეშმარიტად ეძლიამცა ბოროტისა მის(და) და დადგრომილ იყო პატივსავე თვისსა (კიმ. I, 179,9); ვითარცა შევიდა, ჰოვა, რამეთუ ცოლსა მისსა წარელო ყოველი მონაგები თვისი და ლტოლვილ იყო, ყრმაი ჩჩვლი მწოვარი, შვილი თვისი, დაეგდო მარტოი სახლსა შინა (კიმ. I, 327,17); უკუეთუმცა დაემარხა და ესმინა მცნებაი იგი ღმრთისაი ადამს, არამცა გამოვრდომილ იყო სამოთხისა მისგან. არამცა მოწვენულ იყო იგი ეკლოვანსა მას ქუეყანასა (ბოლნ. 4,25); ჰოვა ... წყალი ეგეზობი, რომელ პირველ გაეზობა, და არა დაკლებულ იყო მათგან არცაღა თითი ერთი (კიმ. I, 258,6); იხილა გზასა ზედა ყრმაი, მღებარც ქუეყანასა, რომლისა გუელსა ეკბინა და მოძეუდარ იყო (ისტ. ქრ. II, 52,37); არცა კარები დაეეშა, არმედ ლებულად დაეტევა და წარსრულ იყენეს (ნოე. II, 32,7); მღევართა მტერნი იგი ეოტნეს და მოქცეულ იყენეს (ბალ. 120,37 4); შეშინებულ ხიყენეს და დახედრიკ-ნეს პირნი მათნი ქუეყანად (ლ. 24,5 X); უმჯობეს იყო შენდა, თუმცა წინადაეცვთა ანუ განცოფებულ იყავ (მრავ. 300,20); ხოლო მევეე ჰერაკლე ერთურთ მისით მათ ეამთა ოდენ მიწვენულ იყო სპარსეთად, და მრავალნი ქალაქნი მათნი დაეყრნეს (წარტყ. 65,3); ამას ნეტარსა ღმრთისათვის დაეტევა ებისკოპოსობაი თვისი და მოწვე-ნულ იყო მახლობელად სოფელსა (ლიმ. 44,17).

### C. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები

ორპირიანი გარდაუვლი ზმნების შესამე სერიის ფორმათა შესახებ უკვე გვექონდა მსჯელობა I თურმეობითზე საუბრისას (გვ. 234 და შებდ.). II თურმეობითის შესაბამისი ფორმების შესახებაც იგივე უნდა ითქვას: ორპირიან გარდაუვალ ზმნებს აქვს საკუთარი (წარმოების) ფორმები II თურმეობითშიც (აგრეთვე III კავშირებით-შიც). ამიტომ, როგორც აღნიშნული გვექონდა, მართებულად არ მიგვაჩნია მეორე

<sup>300</sup> იხ. **მ. თაბუკაძე**, ენებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი, გვ. 47-48.

შეხედულება, თითქოს აქ (და, საერთოდ, III სერიაში) ისინი აღწერითად აწარმოებდნენ ფორმებს, როგორც ეს დამახასიათებელი იყო და არის დღესაც ერთპირიანი ზმნებისათვის. რაკი ამ საკითხზე უკვე გვქონდა მსჯელობა და სათანადო ლიტერატურაც იქ დავასახელეთ, აქ მოკლედ მოვჭირთ.

ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითის საწარმოებლად გამოყენებულია ოდ საერცობი. ამიტომაც ისინი იზიარებენ I სერიის ოდ საერცობიან ზმნათა თავისებურებებს. II თურმეობითის ფორმათა ზოგადი სტრუქტურა ასეთია:

1. პირველი ადგილი ზმნისწინს უჭირავს.
2. ბერზე მოდის სუბიექტური I და II და ობიექტური პირის ნიშნები (ვ, პ, ს).
3. ამას მოჰყვება მარტივი ფუძე (ძირი).
4. შემდეგ ემატება თემის ნიშანი.
5. თემის ნიშანს მოსდევს ოდ საერცობი.
6. ბოლოს ერთვის მწკრივის ნიშანი ე, ოდიანი ზმნებისათვის დამახასიათებელი უწყვეტელში. S<sub>3</sub> პირის ორივე რიცხვში ეს ე ამოღებულია მომდევნო ა და ეს სუფიქსების მიერ. ამრიგად, უღლების პარადიგმა ასეთ სახეს მიიღებს:

და-ე-პ-ვიწყ-ებ-ოდ-ე

და-ვ-პ-მალ-ვ-ოდ-ე

და- პ-ვიწყ-ებ-ოდ-ე

და- პ-მალ-ვ-ოდ-ე

და- პ-ვიწყ-ებ-ოდ-ა

და- პ-მალ-ვ-ოდ-ა

და-ე-პ-ვიწყ-ებ-ოდ-ეთ

და-ე-პ-მალ-ვ-ოდ-ეთ

და- პ-ვიწყ-ებ-ოდ-ეთ

და- პ-მალ-ვ-ოდ-ეთ

და- პ-ვიწყ-ებ-ოდ-ეს

და- პ-მალ-ვ-ოდ-ეს

აი, ლიტერატურაში ცნობილი მაგალითები, რომლებიც ამოღებულია ძველი ქართული ძეგლებიდან:

1. ხოლო ცოლსა მისსა /წუთლა/ სასწაული ოგი პატრიაქისაი არა დაჰვიწყებოდა, არამედ გონებასა მისსა აქუნდა ვსენებაი მისი (ანტიოქ. 105,35).
2. ვინმა იხილა მათ თანა ღიბილი და განცხრომაი, რამეთუ სრულიად დაჰვიწყებოდა რისხეაი, რომელ არცა თუ ავსოვდალა, თუ კაცთა შორის არს მრისხანებაი (კლემქსი, 132,16, გამოსაცემად მოაზნადა მ.ცინცაძემ).
3. არცამცა მიელო გუამოუნებაი მყოფობისაი, არა თუმცა ჰნებებოდა ღმერთსა დაწყებაი დამბადებელობისაი (ხრონ. 264,25).
4. იმიერ ეგულვებოდა წარსლვაი ზღუად და მრავალთამცა ნავთა ვნებაი შემთხუროდა მის მიერ და თანად კაცთაცა (ასურ. 162,1 ყ. C); შემთხუროდა (იქვე, D).
5. ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რაი შემთხუროდა ძმასა ამას (ზარზმ. 171.2).
6. უკუეთუმცა პირველითგანვე გქანებოდა ესე შიში, მეუფეო, არამცა მოწყვეულ იყო შენ ზედა შიში (ანტიოქ. 103,24).
7. აღმიზრდიან და საზომად მომიწიებებინ არა თუ ამისთვის, ვითარმცა სამართალი რაიბე ვისმე ჰქანებოდა ჩემ თანა მამულისა სამკვდრებელისა ძლით, არამედ მცნებისათვის ხოლო ღმრთისა (პეტრიწ. ტიპ. 51,7).



8. რამეთუ არამცა მრავალნი ეკუმინეს ცოლნი, არა თუმცა მაიძულებულად ქჷნებჷდა ბუნებაი (ზრონ. 82,5).

9. ხოლო იგი, ვითარცა არაოდეს ქჷნებჷდა გამოცდილება სიტყუათაი წინა-განსაწყობელად. განცვბრდა და, ვითარცა ყრუ და უტყვე, დუმდა (ზრონ. 265,27).

10. რეცა სამართალიცა შესწევდა, რამეთუ, ვინაითგან აღშენებულ იყო, მათ ქჷნებჷდა იგი ეკლესიაი (ი—ე, 118,23 = გვ. 53,12).

11. რომელთა-იგი არცაღა ერთი სასოებაი დაჰმოიძოდა ვინაი კერძოვე განლტოლვისაი (ზრონ. 287,20).

12. უკუეთუმცა ცოლნილ იყავ და მე დაგეკალ, ჩემსა ინჩაჷუსა იღვა მარგალიტი სირაქელემისა კურცხისა ოდენი და იგიმცა გამოველო, შენ დიდი საფასე შეგმენოდა (ბალ. 58,16 ლ).

### 16. III ხოლმეობითი

III ხოლმეობითიც, ისე როგორც შერეული ხოლმეობითი და I თურმეობითის ხოლმეობითი, შედარებით გვიან გამოყოფილი მწკრივია. მას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: ერთდროულად გამოხატოს უნახაი აქტი და განგრძობილი მოქმედება (მრავალე ზისობა). შესამე თავისებურება წარმოებას ეხება: იგი ემყარება II თურმეობითის ფუძეს. ამით იგი სავრძობლად განსხვავებულია I თურმეობითის ხოლმეობითისაგან.

ავილოთ რამდენიმე მაგალითი:

ერთ-ერთ სინურ ხელნაწერში (მამათა სწავლას რომ შეიცავს) ერთ ადგილს იკითხება: კაცმან ოდენსე ძილსა შინა იხილის ხატი, რომელი არაოდეს ეხილვის, და შეძრწუნდის გული მისი (Sin. 36. 260a.12). ეხილვის ნიშნავს: ენახა ხოლმე (არასოდეს არ ენახა). აქ აქტიც უნახაია და მოქმედებაც განგრძობილია. ფუძე, რომელსაც იგი ეყრდნობა, II თურმეობითისაა (ეხილვა), ხოლო მწკრივის ნიშნად გამოყენებულია II ხოლმეობითის ი სუფიქსი (ეხილვი-ის). ამ კონტექსტში სხვა ზმნებიც (II) ხოლმეობითის ფორმით არის მოცემული: იხილის, შეძრწუნდის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეგვევ ზმნა იმავე თხზულების სხვა ხელნაწერებში (რომლებიც არაა ასახული "მამათა სწავლანის" ი. აბულაძისეულ გამოცემაში) I თურმეობითის ხოლმეობითის ფორმით არის წარმოდგენილი.

...რომელი არაოდეს უხილავნ (სწავ. 221,8). აქ ორივეგან თურმეობითი გვაქვს (ეხილვის — უხილავნ თურმე), ორივეგან განგრძობილი მოქმედებაა გამოხატული (რომელიც არასოდეს არ ენახა/უნახავს ხოლმე). განსხვავება ფუძეშია: ერთგან II თურმეობითია აღებული საფუძელად (ეხილვა — ეხილვის), მეორეგან — I თურმეობითი (უხილავს — უხილავნ).

ასეთ ფორმებს III ხოლმეობითი უწოდა ა. შანიძემ, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა და დაადგინა ამ მწკრივის არსებობა ძველ ქართულში<sup>201</sup>. როცა შეკლევა-

<sup>201</sup> ა. შანიძე, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში, გვ. 1-14. შრომაში ვრცლად არის ლაპარაკი ამ ხოლმეობითის წარმოებაზე, მის საფუძველზე (რას ეყრდნობა იგი), მის მინაარსსა და თავისებურებე-

რომ ამ შწკრის III ხოლმეობითს არჩევდა, მას მხედველობაში ჰქონდა, რომ პირველი აწმყოს ხოლმეობითა, მეორე — II ხოლმეობითი (წყვეტილის ხოლმეობითი). ამის შემდეგ დადგინდა შწკრის III სერიისას ბუნებრივად ეწოდა III ხოლმეობითი. ახლა III ხოლმეობითი შეიძლება არ მოგვეჩვენოს ზუსტ ტერმინად (მხედველობაში არაა მიღებული თუ ჩათვლილი უწყვეტლის ხოლმეობითი, შერეული ხოლმეობითი, I თურმეობითის ხოლმეობითი). მაგრამ ტერმინები უმეტესად პირობითია და ჯერჯერობით შეიძლება ჩვენც ასეთი სახელწოდებებით მოვიხსენიოთ ისინი.

ა. შანიძეს სულ 11 მაგალითი ჰქონდა დადასტურებული III ხოლმეობითისათვის. აი, ორი მათგანი, რომლებიც დავით აღმაშენებლის ისტორიაში იკითხება:

არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე კეთილი, გინა სიტყუა ბოროტი, სიტყუა თქმული არარა დაეფაროდა ყოვლადე, არამედ, რაოდენცა ვის ფრულად ექმნის ანუ ეთქუის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა (ქ. ცხ. I, 355,2).

მშვენიერი მაგალითია. არა მარტო ფეოდალური სამეფოს, არამედ ყოველგვარი სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამსახურის ნათელი სურათია დახატული: თუ ვინმე ფარულად რამეს გააკეთებდა ან იტყოდა ხოლმე, სათანადო ორგანოებს არაფერი არ დაემალებოდა. ექმნის — (თუ რამეს) იზამდა, გააკეთებდა ხოლმე; ეთქუის — (თუ რამეს) იტყოდა ხოლმე. ესა სწორედ თურმეობითიცა და ხოლმეობითიც, II თურმეობითის ხოლმეობითი, ანუ, როგორც უწოდებენ, III ხოლმეობითი.

უკვე აღნიშნულ 11 ნიმუშს ზ. სარჯველაძემ დაუმატა 30-მდე ახალი მაგალითი და გამოაქვეყნა კიდევ<sup>202</sup>.

ორიოდე მაგალითს აქედანაც დავიმოწმებთ: ხოლო ჩვენ რაჟამს-იგი ერთი რაიმე მცნებათაგანი გუეგონის, თუ აღგვსრულება, არა ვიტყვ, თუ აღგუესრულის (A-110, 84v); და მოგაგონებდინ ხატთა მათ, რომელნი-იგი გენახნინან. ოდესცა ანუ რომელი-იგი თვთ მათვე ეწუენის შენდა ძილსა შინა (იქვე, 103r); აღმოიკითხიან მას შინა წერილი იგი, ვისდაცა მიეწერის (S-382, 148v).

როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>203</sup>, III ხოლმეობითის ფორმები მხოლოდ გარდამავალ ზმნათათვის არის მოპოვებული. მაგრამ უკანასკნელ ხანს გამოვლენილ III ხოლმეობითის მაგალითებში რამდენიმე გარდაუვალი ზმნაც გამოურია: ეძლიის, ევინის, ექორწინის, ასმიოდის<sup>204</sup>. თავდაპირველად მიკვლეული 11-ვე ფორმა მხოლოდ მესამე პირს წარმოგვიდგენდა (სუბიექტად). ახლა უკვე მოპოვებულია ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც სუბიექტად I და II პირებიც გვხვდება. მაგალითად:

S<sub>1</sub> (მხ.) განმებნის, დამეთესის

S<sub>2</sub> გენახნინან

ბზე. ამიტომ აქ მოკლედ მოეჭრით საკითხს.

<sup>202</sup> ზ. სარჯველაძე. ახალი მასალები მესამე ხოლმეობითის შესახებ: მაცნე, 3, 1972, გვ. 147-149.

<sup>203</sup> ა. შანიძე. დასახელებული შრომა. გვ. 10-11; ზ. სარჯველაძე. დასახელებული შრომა, გვ. 149.

<sup>204</sup> ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი. გვ. 463-466.

S<sub>1</sub> (მრ.) განგუბნიის, ალგუსრულის

ამიტომ ახლა შესაძლებელია და საჭიროც. უღლების პარადიგმები წარმოვადგინოთ:

	გან-მ-ე-ბნი-ის	მე	იგი	მ-ე-ბრძან-ის
	გან-გ-ე-ბნი-ის	შენ	"	გ-ე-ბრძან-ის
	გან- ე-ბნი-ის	მას	"	ე-ბრძან-ის
(e.)	გან-მ-ე-ბნი-ის	ჩუენ	"	მ-ე-ბრძან-ის
(i.)	გან-გ-უ-ე-ბნი-ის	"	"	გ-უ-ე-ბრძან-ის
	გან-გ-ე-ბნი-ის	თქვენ	"	გ-ე-ბრძან-ის
	გან- ე-ბნი-ის	მათ	"	ე-ბრძან-ის
	მ-ე-თქუ-ის	მე	იგი	ალ-მ-ე-სრულ-ის
	გ-ე-თქუ-ის	შენ	"	ალ-გ-ე-სრულ-ის
	ე-თქუ-ის	მას	"	ალ- ე-სრულ-ის
(e.)	მ-ე-თქუ-ის	ჩუენ	"	ალ-მ-ე-სრულ-ის
(i.)	გ-უ-ე-თქუ-ის	"	"	ალ-გ-უ-ე-სრულ-ის
	გ-ე-თქუ-ის	თქვენ	"	ალ-გ-ე-სრულ-ის
	ე-თქუ-ის	მათ	"	ალ- ე-სრულ-ის

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითია, მის აღსანიშნავად ნ ემატება ფუძის ბოლოს, ხოლო მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშნად გვაქვს ან: გან-მ-ე-ელ-ნ-ი-ან, გან-გ-ე-ელ-ნ-ი-ან და სხვ. (ამის შესახებ ნ. ქვემოთ, გვ. 294).

რა დროინდელია ეს მოვლენა? III ხოლმეობითი ძველი მწკრივია და გასულია ხმარებიდან თუ შედარებით გვიანაა განვითარებული და ამიტომ, რომ არ გეხდება უძველეს ძეგლებში, ვთქვათ, სახარების ენაში? სამართლიანად შენიშნავს ა. შანიძე: "რომ სწორი პასუხი გაეცეს ამ კითხვას, საჭიროა, ყველა მოღწეული ძველი იყოს შესწავლილი მწკრივთა ხმარების თვალსაზრისით... თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულში მრავალგზისობის კატეგორია მკაფიოდ არის გამოხატული როგორც I სერიის, ისე II-ში, არაერთი საბუთი არა გვაქვს დავეჭვოდეთ იმაში, რომ ეს კატეგორია III სერიის მწკრივითაც შეიძლებოდა ყოფილიყო გადმოცემული"<sup>25</sup>. როცა ა. შანიძე ამ მოსაზრებას გამოთქვამდა (1946 წ.), მის განკარგულებაში იყო მხოლოდ 11 მაგალითი, ისიც მხოლოდ XI-XIII საუკუნეების ძეგლებში მოპოვებული. დღეს ნიმუშები შეუდარებლად მეტი გვაქვს, ბევრი მათგანი X საუკუნეში გადაწერილ ძეგლებშია დადასტურებული. თარგმნით კი ისინი გაცილებით უფრო ადრეა ნათარგმნი, საფიქრებელია VIII-IX საუკუნეებში. ამიტომ ამ მწკრივის სიძველე ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ III ხოლმეობითი დღესაც არსებობს ხეცსურულში, რომელიც თანამედროვე ქართული ენის კილოთა შორის ყველაზე მეტად შეიცავს არქაულ ფორმებს და, ამდენად, ყველაზე უფრო ახლოა ძველ ქართულთან. ალ. ჭინჭარაულს დადასტურებული აქვს III ხოლმეობითის ისეთი მაგალი-

<sup>25</sup> ა. შანიძე, დასახელებული შრომა, გვ. 11.

თები. როგორცა: ეთქვის, ეუბნის, უზღავის, კვეხნის<sup>206</sup>. ამათგან ეთქვის თვით ძველ ქართულშიც გვხვდებოდა<sup>207</sup>.

III ხოლმეობითის ერთი მაგალითი "ვეფხისტყაოსანშიც" გვხვდება: ზოგან თოვლი გაეწითლის ვარდას, ბრჭლითა ნახოკარსა (843,3), რაზედაც პირველად დ.გენაძემ მოუთითა<sup>208</sup>. ასე რომ, III ხოლმეობითიც, ისე როგორც სხვა ხოლმეობითები, ძველი ქართულის ოდინდელ კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ<sup>209</sup>.

ბოლოს დაევრთათ სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული მაგალითებიდან რამდენიმეს:

თვნიერ კერთხისა და კედელსა მიყრდნობისა დგან იგი /ეფთვებე/ ცკლესიას ყოვლითა მოსწრაფებითა და კრძალულებითა. და ოდეს მცირე რაიმე საქმე არნ, მოწაფესა თვისსა საიდუმლოდ უბრძანის და იგი წარვიდის. და გინა თუ იკონრომოსისა-და უბრძანის, გინა თუ პარიკონრომოსისადა, მოზიდნის და შტოსა გაიყვანის და მუნ უთხრის ბრძანება მამისა. და ოდეს რაიმე დიდი იყვის, თვთ გავიდის შტოსა და დაიუბნის (ი—ე, 58,11 = გვ. 34,3); ამის მიზეზისათვის მშვლმან მან მყუდრომან ჟამსა მასცა მიცვალებისა მისისასა მყუდროება იუჟმა, ვითარცა ველოვანმან შენავეთ მოძღუარმან, რომელსა მრავალნი უფსკრულნი განეკლნიან და მრავალთა ღელვათა-და ბრძოლა-ეცის და ნავთსაყუდელისა მიმართ მხიარული შესლვად განემზადის; გინა ვითარცა მედარი ძლევა-შემოსილი, რომელსა-იგი ურიცხუნი სპარაზენნი მოესრნიან და მრავალნი ბრძოლანი ექმნიან და ყოველსავე შინა განმარჯვებული მივალნ ბეფისა თვისისა; ანუ თუ ვაჭარსა, რომელსა მცირითა რაიმე საფასითა ურიცხვ სიმდიდრე შეეკრიბის და საუნჯისა მიმართ თვისისა მხიარული მიისწრაფინ; გინა თუ ვითარცა მუშაკი ურნატ-სავსე ნაყოფთა ზედა თვისთა მხიარულ არნ, — ეგრეთვე წმიდად ესე ჟამსა მიცვალებისა თვისისასა ამათ ყოველთავე ზემო წერილთა მიემსგავსა (ცხორება და მოქალაქობა წმ. გიორგი მთაწმიდლისა: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაგებით, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, 1901, გვ. 336-337); რამეთუ განირთხნა წმიდანი იგი ფერჯნი მისნი წესიერად, რომელთა ღმრთის მსახურებისათვის მრავალი შრომა თავს-ედვის, და კელნი სანატრელნი, მწერალნი საღმრთოთა მოძღურებათანი, უმანკოსა მას და უბიწოსა გულსა ზედა დაიჯუარედნა (იქვე, 7); ნაცარი იგი საცეცხურისა, რომელი ეკუმბის ჟამის-წირვასა, პურსა თანა ჭამის (ნოვ. II, 90,25); ხოლო სიკარულად უწოდედეს მათ მახვლთა-გან, რომელნი ეტვრთნიან (ზრონ. 166,5);

რომელი-ესე წინამძღუართათვის ეყვის და მოძღუართა (ვაჰანის ქებათა განება); რამეთუ მრავალგზის ვითინიშე ჩნდნან ვითარცა კეთილნი და ფარულად ბევრნი ბოროტნი ექმნიან (ათონ. 17, 219r); იგი ვინმე წარჩინებულ არნ მონაგებთა სიმდიდრითა, და გარე-მოეცვის იგი სიმრავლესა მლიქნელთასა და არზანოგსა და პატიესა მეგობართა მრეშებელთასა (ექუსთ. 51,34); იცნის გზად, რომელნი-იგი

<sup>206</sup> ალ. უნაჭარაუდ. ხევისრულის თაყისებურებანი. 1960. გვ. 144-145.

<sup>207</sup> ა. შანბუ. დასახელებული შრომა. გვ. 10.

<sup>208</sup> დ. გენაძე. გარდამავალი შინების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში (საკანლიდატო დისერტაცია. მანქანაზე გადაბეჭდილი). 1952. გვ. 187.

<sup>209</sup> შტ. ზ. ხარეჯულაძე. ახალი მასლები მესამე ხოლმეობითის შესახებ. გვ. 149.

წარეკლის (იქვე, 91,27): ანუ თუ იქნის საქმე იგი, სახითა რადითაჲ ეცნის. ანუ ასმიოდის რადიჲ სხუასა ადგილსა მისთვის. ანუ ენახის და ვითარცა მანქანათა ეცნის (A-285, 26v); მარადლე ესრეთ ეკგონებდით. თუ შეესძინოთ ტვრთსა ცოდვათა ჩუენთასა. და ჩუენ უცნაურად განგუებნიის იგი (იქვე, 165v);

მოვიმოცი. სადა არა დამეთესის. და შევიკრიბი, სადა არა განმებნიის (მ. 25,26 პარიზ. ლექც. 168v); შესლევასა მუნ, სადა-იგი თვთ არა ეშრომის, არცა რაჲ ექადაგის (Jer. 9, 163); ხოლო უძღურისა მისგან, რომელსა არა ეწის მისდა. პირი გარე-შიიქციის (A-1, 647); მრავალგზის სიმაღლისა ღირსი ქუედაბლად მდგომარე არნ, რომელსა ფრად ეწუართნიან სიტყუანი იგი საღმრთონი (იქვე, 297); რამეთუ ღმერთ-შემოსილთა გამოთქუმელთა იგივე დაეწერის. არა უცხოჲ შეექმნის (A-110, 84v); რამეთუ ენთებინ იგი /კანდელი/ ვერეთე, ვითარ დაეტყვის, გან-რაჲ-ვალნ იგი ქუებისა მისგან (ლიმ. 64,2 A). მეორე (S) ხელნაწერში იკითხება განუტევებიოდ. რაც აგრეთვე ხოლმეობითია, I თურმეობითის ხოლმეობითი, დაეტყვის კი III ხოლმეობითია, რადგან იგი II თურმეობითის ფუუნება (დაეტყვა — დაეტყვის). აქ შწკრივები იცვლება, მაგრამ ზემოთ აღნიშნული (გვ. 259) ორი ძირითადი თვისება ხელუხლებლად დატოვებული: უნახავი აქტი და ხოლმეობითობა.

### 17. III კავშირებითი

III კავშირებითი ყველაზე ნაკლებად ხმარებული მწკრივია ქართულში, ძველსა და ახალში. განსაკუთრებით ახალში. და რამდენადაც სალიტერატურო ენაში დრო მიდის და ენა იხვეწება, ეს მწკრივი სულ უფრო იშვიათად გვხვდება. და ეს ისე თვალსაჩინოდ ჩანს, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენში გამოითქვა აზრი, რომ იგი. III კავშირებითი, სულ ამოვიღოთ მწკრივთა შემადგენლობიდან. ნულარ შეგვაქვს სახელმძღვანელოებში, ნულარ ვასწავლითო (მ. კეკელია). ამ მოსაზრების დაწერილობით განხილვას ახლა აქ არ ვაპირებთ. ვიტყვით მხოლოდ მოკლედ. რომ ჯერ ეს დრო არ დამდგარა. III კავშირებითი დღესაც ასე თუ ისე მტკიცედ დგას ენის ზოგიერთ კონსტრუქციაში, სადაც იგი შეუვალია და არც ერთ სხვა მწკრივს სრულყოფილად არ შეუძლია მისი შეცვლა (მაბრალევენ. ეს სამინელი რამ შენ დაგიწერია. დამეწეროს მაინც; ეუსურეთო, შესრულებოდეს დიდი ხნის ნატვრა და ეს დიდი წამოწყება ბოლომდე მიეყვანოს და კეთილად დაგვირგვინებინოს; კიდევ დიდხანს ასე ნაყოფიერად ეწეროს და გაეზარებინოს მშობელი ხალხის გული...). ასეთ და ამის მსგავს გამოთქმებს მხოლოდ III კავშირებითი სჭირდება, სხვა მწკრივი აქ უძღურია.

III კავშირებითის დღეს მრავალ შემთხვევაში II თურმეობითი ცვლის (და კარგადაც): გაეკეთებინა მაინც, ეთქვა მაინც, გაეფუჭებინა მაინც, ახალი ქართული ენის კილოებიდან ეს მწკრივი მტკიცედ დგას რაჭულში.

წარმოების მიხედვით III კავშირებითიც (როგორც III ხოლმეობითი) II თურმეობითის ეყრდნობა, განსხვავება მხოლოდ სუბიექტური პირისა და მწკრივის ნიშნებს შორისაა: II თურმეობითის მესამე სუბიექტური პირის ნიშნებად ა და ო სუფიქსები ჰქონდა (მეწერ-ა, მექ-ო), III კავშირებითის კი მხოლოდ ს აქვს (მეწერო-ს.

მეჭო-ს); II თურმეობითს ან სულ არ ჰქონდა მწკრივის ნიშანი (მოგეკალ). ანდა მხოლოდ ე სუფიქსი მოეპოვებოდა (მოგეყვან-ე, გეგუემ-ე). III კავშირებითს კი ო, ა და ე სუფიქსები აწარმოებდა (მეწერ-ო-ს, მოგკლ-ა-ს, მიმეც-ე-ს). ეს გასაგებიცაა: II თურმეობითი ენიანი ენებითის წყვეტილის ფუძეს ეყრდნობა, ხოლო III კავშირებითი — II კავშირებითისას (დაწერ-ო, მოგკლ-ა, მიესც-ე). სხვა ნიშნები საერთოა. საერთოა მთელი ყალიბი აღნიშნულ ნიშნებამდე:

და-მ-ე-წერ-ა	და-მ-ე-წერ-ო-ს
მო-მ-ე-კლ-ა	მო-მ-ე-კლ-ა-ს
მი-მ-ე-ც-ა	მი-მ-ე-ც-ე-ს

სინტქსური ძალაც, რა თქმა უნდა, ორივეგან ერთი და იგივეა. დასასრულ, კვლავ აღვნიშნავთ იმას, რომ აქაც, III კავშირებითშიც (როგორც II თურმეობითში) ზნები სამ ჯგუფად იყოფა. ესენია: ა) გარდამავალი ზნები, ბ) ერთპირიანი ზნები და ც) ორპირიანი გარდაუვალი ზნები. უღლების პარადიგმებიც ისეთივეა, როგორც II თურმეობითს ჰქონდა (ზემოთ აღნიშნული განსხვავების გამოკლებით — მათ სხვადასხვა აქეთ მხოლოდ სუბიექტური პირებისა და მწკრივების ნიშნები).

წარმოვადგინოთ აღნიშნული სამი ტიპის ზნათა უღლების პარადიგმები ცალ-ცალკე:

A. გარდამავალი ზნანი

ა) მწკრივის ნიშანია ო

	მე	იგი	მ-ე-ყ-ო-ს
	შენ	"	გ-ე-ყ-ო-ს
	მას	"	ე-ყ-ო-ს
(e.)	ჩუენ	"	მ-ე-ყ-ო-ს
(i.)	"	"	გ-ე-ე-ყ-ო-ს
	თქვენ	"	გ-ე-ყ-ო-ს
	მათ	"	ე-ყ-ო-ს

ბ) მწკრივის ნიშანია ა

	მე	იგი	და-მ-ე-დგ-ა-ს
	შენ	"	და-გ-ე-დგ-ა-ს
	მას	"	და- ე-დგ-ა-ს
(e.)	ჩუენ	"	და-მ-ე-დგ-ა-ს
(i.)	"	"	და-გ-ე-ე-დგ-ა-ს
	თქვენ	"	და-გ-ე-დგ-ა-ს
	მათ	"	და- ე-დგ-ა-ს

გ) მწკრივის ნიშანია ე

მი-მ-ე-ც-ე-ს	მე	იგი	მ-ე-ქნ-ე-ს
მი-გ-ე-ც-ე-ს	შენ	"	გ-ე-ქნ-ე-ს

ბი- ე-ც-ე-ს	მას	-	ე-ქნ-ე-ს
(ე.) ბი-მ-ე-ც-ე-ს	ჩუენ	-	მ-ე-ქნ-ე-ს
(ი.) ბი-გ-უ-ე-ც-ე-ს	"	-	გ-უ-ე-ქნ-ე-ს
ბი-გ-ე-ც-ე-ს	თქუენ	-	გ-ე-ქნ-ე-ს
ბი- ე-ც-ე-ს	მათ	-	ე-ქნ-ე-ს

შ მ თ ა მ ი ს ნ ი რ ი ა ნ ი ზ ა მ ა ბ ი

ებ თემისნიშნისნი ზმნები აქაც ისე იუღელის, როგორც II ხოლმეობითში: ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ ებ-მ აფიქსებს არ ჩაირთავს — დამ-ე-მცირ-ო-ს და არა: დამ-ე-მცირ-ებ-ი-ნ-ო-ს<sup>210</sup>.

გან-მ-ე-ტვე-ო-ს	მე	იგი	აღ-მ-ე-შენ-ო-ს
გან-გ-ე-ტვე-ო-ს	შენ	"	აღ-გ-ე-შენ-ო-ს
გან- ე-ტვე-ო-ს	მას	"	აღ- ე-შენ-ო-ს
(ე.) გან-მ-ე-ტვე-ო-ს	ჩუენ	"	აღ-მ-ე-შენ-ო-ს
(ი.) გან-გ-უ-ე-ტვე-ო-ს	"	"	აღ-გ-უ-ე-შენ-ო-ს
გან-გ-ე-ტვე-ო-ს	თქუენ	"	აღ-გ-ე-შენ-ო-ს
გან- ე-ტვე-ო-ს	მათ	"	აღ- ე-შენ-ო-ს

ახლა მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს ძველი ძველებიდან:

უკუეთუ კაცი ივსენებდეს ვისთვსმე ბოროტსა და ძვირ გულსა ეღვას მისთვის. დაღათუ ვისმე თუალი მარჯუენა მისი წარმოგდოს, არა აღიწევის ლოცვა მისი წინაშე ღმრთისა (სწავ. 307,2); მონაზონი ცოდვილი ვითარცა სახლი დარღუეული არს, უკუეთუ განიფრთხოს გონებამან მისმან აღშენებად დაცემულისა მის სახლისა. მრავალი საუმარი პოვოს, საუმარი ქვა და მიწა შემზადებად და ადრე წარმატებად უფროის მისა, რომელსა-იგი მო-ვე არა-ეთხაროს დადებად საფუძველსა. რაითა სრულ-ვითარ რაი-ყოს (ნოვ. II, 270,11); რა-ეამს იმარხვიდე შენ, მ კაცო, საზრდელი იგი, რომელ მოგუმზადოს შენ ღლისა მისთვის, მისგან ნაწილი უყავ გლახაკთა და ესრეთ იმარხვიდე (სწავ. 25,2); ხოლო ვაი ცოდვილთა, რომელთა არა შეენანოს პირველ სიკუდილისა მოწვენამდე მათ ზედა (იქვე, 60,6); ესევეითარნი მწუხარებანი მოიწევიან საშინელნი სულსა ზედა ჟამსა სიკუდილისა მისისასა, უკუეთუ შეცოდებული იყოს და არა შეენანოს (იქვე, 140,28); რამეთუ თითოეული მხედვიდეღს საქმეთა თვისთა, რომელნი ექნნენ, მის წინაშე მდგომარეთა: გინა თუ კეთილთა, გინა ბოროტთა. მაშინ რომელნი სრულ იყვნენ გზასა მას იწროსა და შესაჭირებულსა და რომელთა შეენანოს ჭეშმარიტითა სინანულითა და რომელნი გლახაკთ მოწყალე იყვნენ, იგინი აღდგენ სიხარულით (იქვე, 212,19,21. აქ ექნნენ ფორამში პირდაპირი ობიექტი მრავლობითმა, სწორედ ამიტომ აქვს განსხვავებული ფორმა. ამაზე

<sup>210</sup> ამის შესახებ იხ. ზემოთ. გვ. 248. რაც იქ ნათქვამია II თურმეობითზე. სავსებით იგივე ითქმის აგრეთვე III კავშირებითის შესახებაც.

ერცლად ქვემოთ გვეჩება საუბარი). არამედ დიდ ესე არს, უკუეთუ თავი შენი ყოველთა დაბადებულთა ქუემო კერძო შეგერაცხოს (ნოვ. II, 214,13); რომელსა შეეცოდოს და განურისხოს ღმერთი, თანა-აც მას, რაითა განაშოროს თავი თვისი შეებათაგან სოფლისათა (ლიმ. 141,19); ყოველსა რომელსა დაეტეოს სახლი ანუ ძმანი ანუ დანი ... ჩემისა სახელისათვის, ასი წილი მოიღოს მან და ცხორებად საუკუნო დაიმკდროს (მ. 19,29 C. ლატალის ლექციონარში ასეთივე ფორმა, ოღონდ უზმნისწინოდ: ყოველსა რომელსა ეტეოს სახლი...); ხოლო რომელსა ეტერთოს ეპისტოლე ესე ჩემი, არსმცა წმიდა და განყენებულ ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა, რაზეთუ ყოველივე ველითა ჩემითა დაწერილ არს (აღწ. 126,8); არღარა ვცივნოს ქათამსა დღეს, ვიდრე მღე სამგზის უვარ-მყო მე, ვითარმედ არა მიცი მე (ლ. 22,34. აღმის სახარებაში აქ ვცივლოს იკითხება, ხოლო სინურ ლექციონარში — ვციოს). ეგვე ადგილი მეორედება აგრეთვე სახარების იოვანეს თავშიც: არღარა ვცივნოს ქათამსა, ვიდრე მღე უვარ-მყო მე სამგზის (ი. 13,38). ამჯერად აღმის ოთხთავიც ასეთსავე ფორმას გვაწვდის; სადაცა არა ანებდე ძმასა შენსა, მუნ იყოფოდე, რაზეთუ ესე კაცი არს, რომელსა თავი თვისი ეცნას (ნოვ. II, 188,23); ხრქუა მას იესუ, რაზეთუ: მიხილე მე და გრწმენა: ნეტარ ხიყვნენ, რომელთა არა ხუეხილუო და ხურწმენე (ი. 20, 29 X).

## B. ართპირიანი ზმნები

ერთპირიანი ზმნები აქაც, ისევე როგორც I და II თურმეობითებში, აღწერითად იწარმოება: საუღლებელი ზმნის ვნებითი გვარის მიძლეობის ფუძეს ემატება ყოფა მეშველი ზმნა II კავშირებითის ფორმით:

წარსრულ ვიყო	დამალულ ვიყო
წარსრულ იყო	დამალულ იყო
წარსრულ იყოს	დამალულ იყოს
წარსრულ ვიყვნეთ	დამალულ ვიყვნეთ
წარსრულ იყვნეთ	დამალულ იყვნეთ
წარსრულ იყვნენ	დამალულ იყვნენ

ეს არის თეორიულად საკარაულებელი პარადიგმა, სინამდვილეში ამ პარადიგმის თითოეული ფორმა ძველ ქართულში ორგვარი გააზრების შესაძლებლობას იძლევა:

1) III კავშირებითი.

2) აბსოლუტურად უძრავლეს შემთხვევაში — შედგენილი შემასმენელი, რომლის პირველი წევრიც მიძლეობაა, ხოლო მეორე — მეშველი ზმნა II კავშირებითის ფორმით. მნიშვნელობაც ამისი შესაფერისი იგულისხმება: ის რომ მოვიდა, მე უკვე წასული ვიყავიო, დამალული ვიყავიო. ძალზე იშვიათად, ათასში ერთხელ, თუ შეგვხვდება, რომ ანაირი ფორმა III კავშირებითის გამოხატავდეს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, როცა გარდამავალი ზმნების ნიშუშებს ვასახლეობდით. საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო მას აქ განმეორებით წარმოვადგენთ: თითოეული მხედველეს საქმეთა თვისთა, რომელნი ეცმნენ, მის წინაშე მდგომარეთა:



გინა თუ კეთილთა, გინა ბოროტთა. მაშინ რომელნი სრულ იყვნენ გზასა მას იწროსა და შესაჭირებელსა და რომელთა შეენანოს ჭეშმარიტითა სინანულითა და რომელნი გლახაკთ მოწყალე იყვნენ, იგინი აღდგენ სიხარულით (სწავ. 212,20). აქ კონტექსტის აზრიც კარგად შეეფერება III კავშირებითის შინაარსს და ნამდვილი, უდავო III კავშირებითის ფორმების (ეჭვნენ, შეენანოს) გარემოცვაში ყოფნაც გახაზავს, რომ სრულ იყვნენ III კავშირებითთა. აღენიშნავთ იმ საინტერესო ფაქტსაც, რომ ჩვენი ზმნის მიმღეობა უზმნისწინოდ არის ნახმარი, რაც, საერთოდ, იშვიათია. შდრ. ზემოთ მოყვანილი უზმნისწინო III კავშირებითების ერთგვარი სიხშირე: ეტეოს, ეყვივოს, ეყვივლოს, ეცნას. მაგრამ ამგვარი მაგალითები, ეპიგორებთ, ძალზე იშვიათია.

### C. ორიანი ბარდაუპალი ზმნები

ორპირიან გარდაუეალ ზმნებს III კავშირებითშიც აქვს საკუთარი, ორგანული წარმოების ფორმები. ამაზე ზემოთ, I თურმეობითთან დაკავშირებით, უკვე გვქონდა საუბარი. აქ კი წარმოვადგენთ სათანადო პარადიგმას და ორიოდ საილუსტრაციო ნიმუშს (ბევრი ჯერ არაა მიგნებული):

და-ე-კ-ვიწყ-ებ-ოდ-ი

და- კ-ვიწყ-ებ-ოდ-ი

და- კ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-ს

და-ე-კ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-თ

და- კ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-თ

და- კ-ვიწყ-ებ-ოდ-ი-ან

და-ე-კ-კლ-ებ-ოდ-ი

და- კ-კლ-ებ-ოდ-ი

და- კ-კლ-ებ-ოდ-ი-ს

და-ე-კ-კლ-ებ-ოდ-ი-თ

და- კ-კლ-ებ-ოდ-ი-თ

და- კ-კლ-ებ-ოდ-ი-ან

და-ე-კ-მალ-ე-ოდ-ი

და- კ-მალ-ე-ოდ-ი

და- კ-მალ-ე-ოდ-ი-ს

და-ე-კ-მალ-ე-ოდ-ი-თ

და- კ-მალ-ე-ოდ-ი-თ

და- კ-მალ-ე-ოდ-ი-ან

შე-ე-კ-მთხე-ოდ-ი

შე- კ-მთხე-ოდ-ი

შე- კ-მთხე-ოდ-ი-ს

შე-ე-კ-მთხე-ოდ-ი-თ

შე- კ-მთხე-ოდ-ი-თ

შე- კ-მთხე-ოდ-ი-ან

აი, ის ორიოდ მაგალითიც: ხუცად იკურთხნენ და შეწყნარებულ იქნენ დიდსა მონასტერსა და ჟამსა წირვიდენ სხუათა თანა მღვდელთა, თუცა თუ არა დაკლებოდის რიცხუსა პირველ განწესებულთა მღვდელთასა (პეტრიწ. ტიპ. 31.5, გვ. 116. ა. მანიძის გამოც.); ვითარმედ ჯერ-არს, რაითა ყოველთა დღეთა აღუეარებდენ ძმანი წინამძღუარსა გულის სიტყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაიცა შეჰმთხუოდის მათ (იქვე, რიცხუნი თავთანი, 19. თავი 1<sup>წ</sup>, გვ. 63).

## V. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა

ახლა, როცა დავასრულეთ მსჯელობა მწკრივთა წარმოების შესახებ, დადგა დრო, ისევ დაუბრუნდეთ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას და დაწვრილებით განვიხილოთ. თუ როგორ არის წარმოდგენილი სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი (ნარიან) მრავლობითში II და III სერიის მწკრივებში.

მკითხველს მოეგონებთ, რომ, როცა პირდაპირი ობიექტი მიცემითში დგას, მისი მრავლობითობა ზნაში არასოდეს არ აისახება: მონადირე კლავს ირემსა, მაგრამ ისევ: ... კლავს ირემსა (გვ. 75).

როცა პირდაპირი ობიექტი სახელობითშია, მაშინ უნდა გავარჩიოთ ორი შემთხვევა:

- ა) ობიექტის მრავლობითობა ებ სუფიქსით არის წარმოდგენილი
- ბ) ობიექტის მრავლობითობა ენ სუფიქსით არის გამოხატული.

პირველ შემთხვევაში ობიექტის მრავლობითობა თითქმის ყოველთვის აუსახელო რჩება (მოპუარეს მას ემმაკეულუბი მრავალი: მ. 8,16); ძალზე იშვიათად შეიძლება იგი ზნაში გამოიხატოს: გარდაიხილუნით გუაშები იგი მოწამეთაი (ისტ. ქრ. I, 187,26); განასხნა სულუბი იგი (მ. 8,16 CD); მეორე შემთხვევაში იგი ყოველთვის აისახება: ივინი მოკლ-ენ. შეიყრ-ენ. დამალ-ნა.

რა გამოხატავს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას? ზოგის აზრით, ნ სუფიქსი: და-ე-წერე-ნ, და-ს-წერე-ნ, და-წერ-ნა, და-წერ-ნ-ეს. ასე ფიქრობდა, მაგალითად, ნ.მარი<sup>21</sup>. მაგრამ ეს მოჩვენებითია (დაეწერე-ნ, დასწერე-ნ, დაწერ-ნა, დაწერ-ნ-ეს...). აქ პირველ ორ შემთხვევაში ენ სუფიქსის ე შეცდომით ფუძეს აქვს მიკუთვნებული. ფორმები ასე უნდა დაშლილიყო: და-ე-წერ-ენ, და-ს-წერ-ენ, ბოლო ორში კი ენ სუფიქსისეული ე ამოღებულია მომდევნო ა და ეს სუფიქსების დართვის შედეგად (\*დაწერ-ენა → დაწერ-ნა, \*დაწერ-ენ-ეს → დაწერ-ნ-ეს).

თუ (პირდაპირი ობიექტის) მრავლობითობის ნიშნად მხოლოდ ნ-ს მივიჩნევდით, მაშინ აუხსნელი დაგვჩნებოდა ე.წ. უნიშნო (ნულიანი) წყვეტილის S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირთა ფორმებში ენ ბოლოსართის გამოვლენა: მო-ე-კლ-ენ, მო-კ-კლ-ენ. შე-ე-ი-პყრ-ენ. შე-ი-პყრ-ენ, ე-თქე-ენ, ს-თქე-ენ... აქ ე-ს ვერასგზით ვერ მივაკუთვნებთ ფუძეს, იგი ნ-სთან ერთად მხოლოდ მრავლობითობის ნიშანია. ყველგან, სადაც ნ ცალკე დგას და, ერთი შეხედვით, ის გვეჩვენება მრავლობითობის ნიშნად. იგი ინფიქსია, მას მოსდევს რაიმე ხმოვანი ან ხმოვნით დაწყებული ფორმანტი, რომელიც კუმშავს ენ ბოლოსართს — ე ამოვარდება და მარტო ნ რჩება. ეს ცალკე მდგომი ნ, მაშასადამე, ვეღან ენ სუფიქსის ნაშთია და შინაგანი აუცილებლობით გულისხმობს ფონეტიკური მიზეზებით დაკარგულ ე-ს. სადაც სათანადო ფონეტიკური პირობები არ

<sup>21</sup> Н.Март. Грамматика древне-литературного грузинского языка. გვ. 119.

არსებობს. ენ ხელუხლებელია: და-წუნ-ენ, და-ს-წუნ-ენ, და-წუნ-ენ! (შენ იგინი — ბრძ.), და-წუნ-ენ-ინ... მეორე მხრივ, თუ მარტო ნ-ს ჩაეთვლიდით მრავლობითობის ნიშნად, მაშინ გაურკვეველი იქნებოდა ფუძის შეკუმშვის მიზეზები ე.წ. კუმშვად ზმნებში (მო-ვ-კლ-ენ, მო-პ-კლ-ენ, შე-ვი-პყრ-ენ, შე-ი-პყრ-ენ, ვი-ვ-ს-ენ, ი-ვ-ს-ენ ...). მაგრამ სჯობს ვერ სათანადო პარადიგმები წარმოვადგინოთ.

## A. II სერია

### ა. წყვეტილი

აქ შეიძლება გამოვყოთ ზმნათა სამი ჯგუფი: ა) უნიშნონი (მო-ვ-კლ, შე-ვი-პყარ...), ბ) ე ნიშნისანი (და-ვ-წერ-ე, შე-ვ-წირ-ე...), გ) ისინი, რომელთაც ფუძის ბოლოს ნ ბგერა აქვთ (ე-ქმენ, გან-ე-კურნ-ე...). ყოველ მათგანს აქვს მცირეოდენი თავისებურება.

#### ა) უმწკრივისანიშნონი

მო-ვ-კლ-ენ	შე-ვი-პყრ-ენ	ე-ყვე-ენ
მო-პ-კლ-ენ	შე- ი-პყრ-ენ	პ-ყვე-ენ
მო- კლ-ნ-ა	შე- ი-პყრ-ნ-ა	ყვ-ნ-ა
მო-ვ-კლ-ენ-(ი)-თ	შე-ვი-პყრ-ენ-(ი)-თ	ე-ყვე-ენ-(ი)-თ
მო-პ-კლ-ენ-(ი)-თ	შე- ი-პყრ-ენ-(ი)-თ	პ-ყვე-ენ-(ი)-თ
მო- კლ-ნ-ეს	შე- ი-პყრ-ნ-ეს	ყვ-ნ-ეს

ე-თქუ-ენ	აღ-ვ-ძრ-ენ	და-ე-პ-ფლ-ენ
ს-თქუ-ენ	აღ-ს-ძრ-ენ	და- პ-ფლ-ენ
თქუ-ნ-ა	აღ- ძრ-ნ-ა	და- პ-ფლ-ნ-ა
ე-თქუ-ენ-(ი)-თ	აღ-ვ-ძრ-ენ-(ი)-თ	და-ე-პ-ფლ-ენ-(ი)-თ
ს-თქუ-ენ-(ი)-თ	აღ-ს-ძრ-ენ-(ი)-თ	და- პ-ფლ-ენ-(ი)-თ
თქუ-ნ-ეს	აღ- ძრ-ნ-ეს	და- პ-ფლ-ნ-ეს

#### ბ) ე მწკრივისანიშნისანი

და-ვ-წერ-ენ	შე-ვ-წირ-ენ	შე-ე-ჭამ-ენ
და-ს-წერ-ენ	შე-ს-წირ-ენ	შე-შ-ჭამ-ენ
და- წერ-ნ-ა	შე- წირ-ნ-ა	შე- ჭამ-ნ-ა
და-ვ-წერ-ენ-(ი)-თ	შე-ვ-წირ-ენ-(ი)-თ	შე-ე-ჭამ-ენ-(ი)-თ
და-ს-წერ-ენ-(ი)-თ	შე-ს-წირ-ენ-(ი)-თ	შე-შ-ჭამ-ენ-(ი)-თ
და- წერ-ნ-ეს	შე- წირ-ნ-ეს	შე- ჭამ-ნ-ეს

ღა-ე-კ-მარხ-ენ	მე-ე-კრიბ-ენ	ღა-ე-შირიტ-ენ
ღა- კ-მარხ-ენ	მე-კ-კრიბ-ენ	ღა-კ-შირიტ-ენ
ღა- კ-მარხ-ნ-ა	მე- კრიბ-ნ-ა	ღა- შირიტ-ნ-ა
ღა-ე-კ-მარხ-ენ-(ი)-თ	მე-ე-კრიბ-ენ-(ი)-თ	ღა-ე-შირიტ-ენ-(ი)-თ
ღა- კ-მარხ-ენ-(ი)-თ	მე-კ-კრიბ-ენ-(ი)-თ	ღა-კ-შირიტ-ენ-(ი)-თ
ღა- კ-მარხ-ნ-ეს	მე- კრიბ-ნ-ეს	ღა- შირიტ-ნ-ეს

გ) ნ ბერაზე ფუძეგათავებულნი

ე-ქნ-ენ	აღ-ე-ა-შენ-ენ	გან-ე-ღვენ-ენ
კ-ქნ-ენ	აღ- ა-შენ-ენ	გან-ს-ღვენ-ენ
ქნ-ნ-ა	აღ- ა-შენ-ნ-ა	გან- ღვენ-ნ-ა
ე-ქნ-ენ-(ი)-თ	აღ-ე-ა-შენ-ენ-(ი)-თ	გან-ე-ღვენ-ენ-(ი)-თ
კ-ქნ-ენ-(ი)-თ	აღ- ა-შენ-ენ-(ი)-თ	გან-ს-ღვენ-ენ-(ი)-თ
ქნ-ნ-ეს	აღ- ა-შენ-ნ-ეს	გან- ღვენ-ნ-ეს

მო-ე-იყვან-ენ	ღა-ე-თრგუნ-ენ	გან-ე-რყუნ-ენ
მო- იყვან-ენ	ღა-ს-თრგუნ-ენ	გან-კ-რყუნ-ენ
მო- იყვან-ნ-ა	ღა- თრგუნ-ნ-ა	გან- რყუნ-ნ-ა
მო-ე-იყვან-ენ-(ი)-თ	ღა-ე-თრგუნ-ენ-(ი)-თ	გან-ე-რყუნ-ენ-(ი)-თ
მო- იყვან-ენ-(ი)-თ	ღა-ს-თრგუნ-ენ-(ი)-თ	გან-კ-რყუნ-ენ-(ი)-თ
მო- იყვან-ნ-ეს	ღა- თრგუნ-ნ-ეს	გან- რყუნ-ნ-ეს

მოყვანილი პარადიგმების მიხედვით ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებანი:

1. თუ წყვეტილში S; პირის ნიშანი პირდაპირი ობიექტის მხოლოდობით დასმისას არის ა და ო (მან იგი დაწერა, თქვა. შეიპყრა, მოკლა... ყო, აღავსო, განვლო. დააღატო...), როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითია, გვაქვს ერთადერთი ა ნიშანი, ო არასოდეს არ გვხვდება (დაწერ-ნ-ა. თქუ-ნ-ა, შეიპყ-ნ-ა, მოკლ-ნ-ა, ყუ-ნ-ა. აღავს-ნ-ა, განვლ-ნ-ა. დააღატ-ნ-ა). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ა უნდა იყოს შესაბამე სუბიექტური პირის თავდაპირველი ნიშანი, ო აქედანაა მიღებული ფუძისეულ ე-სთან შერწყმის ნიადაგზე. მრავლობითში ეს ო ზოგჯერ იშლება და საგულებელი ე აღდგება: ყო, მაგრამ: ყენა, აღავსო, მაგრამ: აღავსნა, განვლო, მაგრამ: განვლ-ნ-ა, დააღატო, მაგრამ: დააღატენა.

2. კუმშვადი ფუძე პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაში ყოველთვის იკუმშება. ამის მიზეზი ასეთ ფუძეებზე ენ სუფიქსის დართვა უნდა იყოს: აღეძარ, აღსძარ, მაგრამ: აღეძრ-ენ. აღსძრ-ენ; მოკვალ. მოპკალ, მაგრამ: მოკვლ-ენ, მოპკლ-ენ; განეკჳსენ. განაჳსენ. მაგრამ: განეკჳსნ-ენ. განაჳსნ-ენ; განერყუნენ. განპრყუნენ. მაგრამ: განერყუნ-ენ. განპრყუნ-ენ. ამ მაგალითების განხილვის შედეგად კიდევ უფრო ნათელი უნდა იყოს, რომ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი არის ენ და არა ნ: (მხოლოდ) თანხმოვანს არ შეუძლია ფუძის შეკუმშვა. ფუძეს

კუმშავს ხმოვანი ან ხმოვნით დაწყებული სუფიქსი.

3. ახლა, თუ ასეა, კითხვა იხმის: რატომ ვერ კუმშავს იმავე ენ-ს ზოგჯერ იმის შემდეგ დართული ი? რატომ გვაქვს მოკლენ-ი-თ, მოკლენ-ი-თ. შევიპყრენ-ი-თ. შევიპყრენ-ი-თ და არა: მოკლენ-ი-თ, მოკლენ-ი-თ, შევიპყრენ-ი-თ. შევიპყრენ-ი-თ? ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ე.წ. თანხმოვანთგასაყარი ი აქ თავიდანვე არ ყოფილა. ის გვიან გაჩნდა გამოთქმის გასაადვილებლად, მას არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს, ფონეტიკურ ნიადაგზეა გაჩენილი. ამიტომ. ბუნებრივია. მას არა აქვს ის ძალა, რომ ფუძე შეკუმშოს. აქ იმასაც დაეძინო, რომ თვით ძველ ქართულშიც იგი ხშირად ზმნაში არა ჩანს: წარვედით და მოიძოწაფენთ ყოველნი წარმართნი (მ. 28. 19 X); განაშორებთ სიბრძისგან პირნი ეგე თქუენნი (სინ. 247,25. მაგრამ იქვეა: განიწმიდენით 24, მომიპყრენით, განამარტენით 26); მაჰქციენთ გულნი თქუენნი შეილთაგან და ისწავეთ საიდუმლოი ღმრთისაი (იქვე, 144,20); აწ მაჰქციენთ გულნი თქუენნი შეილთა თქუენთა და აღიხილენთ თუალნი თქუენნი ჭეშმარიტისა მიმართ (იქვე, 145,1); ვიხილენთ ცანი, ქმულნი თითთა შენთანი (იქვე, 136,30); იხილენთ თქუენ ყოველთა სულნი თქუენნი (იქვე, 247, 23); მოვიჰსენენთ ჩუენ სიმედგრენი მამთა ჩუენთანი (იქვე, 236,7). ძველი ქართულისათვის ნართაული ი-ს დართვით დამახასიათებელი მერყეობა კარგად ჩანს ამავე ხელნაწერის ერთ მაგალითზე: ერთგან გადამწერს უფრო ახალი, ინიანი ფორმა დაუწერია: ყმანი ეგე ჩუენ მოგუანი-ჭენით (145,16), მაგრამ მერმე ბოლო ი ამოუფხეკია და ფორმა ძველებური ნორმის მიხედვით გაუსწორებია: მოგუანიჭენთ. ცხადია, ასეთ ი-ს არ შეეძლო ფუძის კუმშვა და ვერც კუმშავდა.

4. იმის გამო, რომ მესამე ვჯგუფში შემავალ ზმნებს მესამე სუბიექტურ პირში (მხოლობითსა და მრავლობითში) ენ სუფიქსი ეკუმშებოდათ (ეს, როგორც აღნიშნული იყო, ა და ეს სუფიქსების დართვის შედეგად ხდებოდა). მარტოდ (უხმოვნოდ) დარჩენილი ნ უშუალოდ ეკეროდა ფუძისეულ ბოლოკიდურ ნ-ს და ერთად იყრიდა თავს ორი ნ: განკურნა, განკურნენს, ქმნა, ქმნენს, წარტყუენა, წარტყუენენს, განაჰინა, განაჰინენს, შესძინა, შესძინენს და სხვ. შემდეგში ამ ორი ნარიდან არაიშვიათად იკარგება ერთ-ერთი (ეს მსჯელობა ეხება სხვა მწკრივებსაც). მაგალითად: წარმოტყუენა და გამოიყვანა სულნი (სინ. 50,26 = წარმოტყუენა. საინტერესოა, რომ იქვე, მეორე ზმნაში, ორივე ნ დაცულია ხელუხლებლად: გამოიყვანა): ბაგინნი დაჰსნის (იქვე, 238,5); მაჯღონა ნერონ კეისარმან კაცნი (იქვე, 252,32); მოიყვანის მის თანა სხუანი სულნი შვლნი (მ. 12,45 C); არა ქნა მუნ ძალნი მრავალნი (მ. 13,58 D) და სხვა მრავალი<sup>12</sup>.

5. ენ სუფიქსი დაერთვის იმ ზმნებს, რომელთაც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაში ფუძე ეცვლებათ.

<sup>12</sup> აჩიქიძეა. რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითი დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: ტუმ. 9, 1929. გვ. 114-115; ა. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტ. ქრესტ.. ტ. I. ნაწ. II. გვ. 30; ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტ. ენის ისტ. საკითხები, გვ. 223-240; მისივე. ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი, გვ. 543-561. ავტორი ამ მოვლენას იმით ხსნის, რომ ამ დროს ხდებოდა სათანადო კატეგორიის მოძლა.

### აღღება — აღზუმა

აღღებს საფასეთა მათთა (მ. 2.11 D), მაგრამ: აღზუნეს საუნჯეთა მათთა (იქვე, C). პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი მხოლოდითში იგულისხმება, მეორეში — მრავლობითში. თუშეცა რეალურად არც ერთი არაა წარმოდგენილი.

### მოღება — მოზუმა

მოიღო გუამი იგი მისი იოსებ (მ. 27.59 DE), მაგრამ: მოიზუნა ჯორცნი იგი იოსეფ (იქვე, C); მოიღო შვილი იგი პური (მრ. 8.6 DE), მაგრამ: მოიზუნა შვილი იგი პური (იქვე, C); მოიღო პური იგი იესუ (ი. 6.11 C), მაგრამ: მოიზუნა პური იგი იესუ (იქვე, DE).

### წარღება — წარზუმა

მოიწია წყლით რღუნად და წარიღო ყოველი (მ. 24.39 DE), მაგრამ: მოიწია რღუნად იგი და წარიზუნა ყოველნი (იქვე, C).

### დაღება — დასხმა

დაღვა ორი მწულილი (ლ. 21,2 CDE), მაგრამ: დასხნა ორნი მწულილნი (მრ. 12, 42 DE, C: ფშიტნი); რადთამცა ველი დასღვა მას ზედა (მრ. 8.22 DE), მაგრამ: დაასხნა თითნი მისნი (მრ. 7.33 CDE); დასღვა მას ველი მისი (მრ. 8.23 DE), მაგრამ: დაასხნა ველნი მისნი (იქვე, C).

### განძება — განსხმა

განაძეს იგი გარე (ი. 9.35 DE), მაგრამ: ეშმაკნი მრავალნი განასხნეს (მრ. 6.13 DE).

### დასუმა — დასხმა

ეპისკოპოსმან საყდარსა იგი დასუს და თვთ თანა დაჯდის (ხანძთ. 30.42); დაისუა იგი დეღამან თვსმან მუკლთა თვსთა ზედა (4 მეფ. 4.20); დაისუა წიალთა თვსთა (რუთ 4.16); ქალწული წმიდაი მიიყვანიან და დაუსვან მას (სახ. 25.10), მაგრამ: ცა მანვე შექმნა და მას შინა მზმ და მთივარც და ვარსკულაენი დასხნა (სუან. 340b); რუდ გამოიღო ქსნით და დასხნა კაცნი მერუენი (ისტ. ქრ. I, 226.32); დასხნის მეფენი საყდართა ზედა და შეარტყის სარტყელი ძლიერებისა მათისაი (იობ 12.18). მართალია, აქ ზოგი ფორმა წყვეტილს არ ეკუთვნის (დასუს, დასხნის, დაუსვან), მაგრამ წამოყენებული დებულებისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა: ეს პროცესი II და III სერიის მწკრივებში ყველგან ერთნაირად ტარდება. ამიტომ ქვევით. სხვა მწკრივებზე მსჯელობისას, ამას აღარ გავიშვებთ.

### მოღება — მოთხება

მოიკეთეთ იგი და მოუღუ ეშმაკსა (სახ. 26.25); პირველი სასოვება მოიკუეთით და მოუღოთ ეშმაკსა (იქვე, 26.31). მაგრამ: მონადირც რაეამს სღევნ ჭალაკთა, თაკუან მან მოიკუეთის საურველნი და მოუთხნის მონადირესა მას (იქვე, 26.10).

ფუქეთა მონაცვლეობა მხოლოდითსა და მრავლობითში სხვა გარდამავალ

ზმნებშიც გვხვდება (გარდაგდება — გარდაყრა...). მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად აქ მოყვანილი ნიმუშებიც საკმარისია. დაეურთაეთ ბოლოს, რომ ეს მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში აღრევე იყო შენიშნული და გამოვლენილი<sup>213</sup>.

აქ არას ვამბობთ აგრეთვე ისეთ ფორმებზე, როგორცაა: განიცივნა, განილიძნა, უხთქნა, შეხედნა, შეპრისხნა... ზოგ მათგანზე უკვე არის ნათქვამი<sup>214</sup>, ზოგზეც ცალკე ვიტყვი.

უკანასკნელ, შევეხოთ ერთ საკითხსაც: როგორ უნდა დაიყოს და გაანალიზდეს წყვეტილის ისეთი ფორმები, სადაც მწკრივის ნიშნად ე გვაქვს და პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ენ ბოლოსართით არის გამოხატული:

და-ე-წერ-ენ თუ და-ე-წერ-ენ

და-ს-წერ-ენ თუ და-ს-წერ-ენ?

რაკი ჩვენ შევთანხმდით, რომ ენ სუფიქსა ობიექტის მრავლობითობის გამოხატველი, უნდა ჩავთვალოთ, რომ მისი დართვა ამოგდებას წინამავალ მწკრივის ნიშანს და მართებულია იმგვარი დაშლა, როგორც მარჯვენა სვეტშია მოცემული.

ახლა წარმოვადგინოთ საილუსტრაციო მასალას ძველი ძეგლებიდან:

ხოლო მე შევიძყენ და შენ, უფალსა, მიგიძღუნენ, რამეთუ შენ ველ-გეწიფების მაგათი განკითხვაი (ევსტ. 145,33); დავევენ მუნ მცირედნი ღღენი (ისტ. ქრ. I, 177,31); დავადგინენ თქვენ ზედა ებგურნი (იერ. 6,17).

აღვიზუენით უორცნი იგი წმიდათა მოწამეთანი და დავჰმარხენით აღმოსავალით კერძო მას კარისასა (ისტ. ქრ. I, 188,2); დავკუშენით ჩუენ კარნი წინაშე ჩუენსა (იქვე, 183,7); ვინაითგან გიზილუნით თქვენ, დავუაიწყადა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ (ხანძთ. 221,1); დავკრძალუნით წმიდანი იგი ნაწილნი წმიდისა შუმანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა (შუმ. 143,25); რომელთაგან ვისწავლუნით საქმენი მათნი (აბო 176,1).

წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ (შუმ. 135,11); იერუსალმ, იერუსალმ, რომელმან მოსწყვიდენ წინაისწარმეტყუელნი და ქვაი დაჰკრიბე მოციქულთა შენთა (მ. 23,37 C); შენ მაძისა შენისა საქმენი განაჰყუენ და სხუად გარდაჰქიონ კეთილნი მისნი. მაჰმან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თუსა. ხოლო შენ დეენი შემოიხუნენ (შუმ. 135,17); რამეთუ შენ...სწავლულნი უფროის გულისხმიერ ჰყვენ, შერყეულნი უფროის განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ (აბო 176,39).

თქვენ განამნიენით ცხოვარნი ჩემნი და განაშორენით იგინი და უგულვებელჰყვენთ იგინი (იერ. 23,2 D); განამრავლენით მკუდარნი თქვენნი ქალაქსა ამას და აღავსენით წყლულებითა გზანი მათნი (ეზეკ. 11,6 D); ვაი თქვენდა, რამეთუ დაჰმალუნით კლიტენი მეცნიერებისანი (ლ. 11,52).

ოღესმე შვლნი დედანი დავგომოწაფნა შჯულსა მისსა (მოქც. 231,32); არავინ დაგვღგინნა ჩუენ (მ. 20,7 C); ჭუმარიტად ცხოვარნი შეტომილნი მოგუაქცნა

<sup>213</sup> ა. მანბუ. პრეფიქსები, გვ. 34, 36 შშშ; ა. ჩიქობავა. რით არის წარმოდგენილი.... გვ. 115.

<sup>214</sup> ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტ. ქრესტ. ტ. I. ნაწ. II. გვ. 344-345.

(აბო 161,5); ას ესერა ეშმაკან გამოვითხოვნა თქვენ (ლ. 22,31); გვზიღნეს რაი კაცთა მის დაბა-წისქვილისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა (ზარზმ. 194,40).

მოიბნა ათნი აქლებნი (დაბ. 24,10 პარ.); მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი და მოილო სეტყუაი ლიტრისა სწორი ... და დალუწნა კერანი იგი და დაფქვნა და დაწულიონა და დაარღვნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან (მოქც. 230, 38); მისცნა იგინი საყრობილესა (დაბ. 40,3); განაბნინნა ამპარტაევანი, გარდამოსთბინნა ძლოერნი საყდართაგან, აღამაღლნა მდაბალნი, შშიერნი აღაესნა კეთილითა და მდიდარნი განაუღინნა ცუდნი (ლ. 1.51-53); მკუდარნი აღადგინნა და მკელობელნი აუღინნა და კეთორეანნი განწმოდნა და მრავალნი კურნებანი ყვნა ქრისტემან მათ შორის (ევსტ. 150,35); ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შემტკიცნა ერთ ზრახვად შეკრებულნი (ხანძთ. 205,37).

ხოლო ძუალთა მათ წმიდისა მოწამისათა რომელთა ვერღარა უძლეს დაწუკაი, შთაკრიბნეს ტყაესა ცხოვარისასა და შეკრნეს მტკიცედ და მიიზუნეს და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა (აბო 172,35); რომელნიმე ხერხითა განხერხნეს, რომელნიმე მვეცთა მისცნეს და რომელნიმე ქეთთა განტვნეს (ევსტ. 150,13); იხარებდეს სამნივე იგი...და წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი (ხანძთ. 225,12); შეჭამნეს შუღთა მათ ზროხათა შუდნი იგი ზროხანი (დაბ. 41,4).

მოუცდეს მას ბრძანი და მკელობელნი ... და განკურნნა იგინი (მ. 21,14); წარავლინნა კაცი კეთილნი (ხანძთ. 209,31); ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით (ხანძთ. 217, 19); ხუწუნნა მათ ველნი და გუერდიცა თვისი (ი. 20,20 X);

ამისა შემდგომად გამოაჩინნა უფალმან სხუანი სამეოც და ათორმეტნი და წარავლინნა იგინი ორ-ორი ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა (ლ. 10,1); წარგ ზავნნა ძმანი თვისნი და ჰრქუა მათ (დაბ. 45,24); მაშინ დაადგინნა მცველნი მის ზელა (შუშ. 138,37).

წარუღვინნეს ესე რვანივე წინაშე მარზაპანსა (ევსტ. 145,36); ნაშობნი ქრისტეანეთაგანნი გარდაგულარძნეს (აბო 159,2); მათ მოივსენნეს სიტყუანი მისნი (ლ. 24,8); მოუვლინნეს მას მოწაფენი იგი მათნი (მ. 22,16 C).

**b. II ბრძანებითი**

**ა) უაზარიაინიონონი**

2. შენ	იგინი	ყვენ	შე-ი-ყრ-ენ	მო-კლ-ენ
3. მან	"	ყვენ-ინ	შე-ი-ყრ-ენ-ინ	მო-კლ-ენ-ინ
2. თქვენ	"	ყვენ-(ი)-თ	შე-ი-ყრ-ენ-(ი)-თ	მო-კლ-ენ-(ი)-თ
3. მათ	"	ყენ-ელ	შე-ი-ყრ-ენ-ელ	მო-კლ-ენ-ელ
თქვენ			აღ-ძრ-ენ	და-კ-ფლ-ენ
თქვენ-ინ			აღ-ძრ-ენ-ინ	და-კ-ფლ-ენ-ინ



თქუენ-(ი)-თ	აღ-ძრ-ენ-(ი)-თ	და-პ-ფულ-ენ-(ი)-თ
თქუენ-ედ	აღ-ძრ-ენ-ედ	და-პ-ფულ-ენ-ედ

ბ) ა შპარივისნიშინანი

2. და-წერ-ენ	შე-წირ-ენ	შე-ჭამ-ენ
3. და-წერ-ენ-ი-ნ	შე-წირ-ენ-ი-ნ	შე-ჭამ-ენ-ი-ნ
2. და-წერ-ენ-(ი)-თ	შე-წირ-ენ-(ი)-თ	შე-ჭამ-ენ-(ი)-თ
3. და-წერ-ენ-ედ	შე-წირ-ენ-ედ	შე-ჭამ-ენ-ედ
2. და-პ-მარხ-ენ	შე-კრიბ-ენ	და-შრიტ-ენ
3. და-პ-მარხ-ენ-ი-ნ	შე-კრიბ-ენ-ი-ნ	და-შრიტ-ენ-ი-ნ
2. და-პ-მარხ-ენ-(ი)-თ	შე-კრიბ-ენ-(ი)-თ	და-შრიტ-ენ-(ი)-თ
3. და-პ-მარხ-ენ-ედ	შე-კრიბ-ენ-ედ	და-შრიტ-ენ-ედ

ბ) ნ ბაგრაჟი შუამბათაჟაჟულნი

2. ქნ-ენ	აღ-ა-შენ-ენ	გან-ღვენ-ენ
3. ქნ-ენ-ი-ნ	აღ-ა-შენ-ენ-ი-ნ	გან-ღვენ-ენ-ი-ნ
2. ქნ-ენ-(ი)-თ	აღ-ა-შენ-ენ-(ი)-თ	გან-ღვენ-ენ-(ი)-თ
3. ქნ-ენ-ედ	აღ-ა-შენ-ენ-ედ	გან-ღვენ-ენ-ედ
2. მო-ი-ყვან-ენ	და-თრგუნ-ენ	გან-რყუნ-ენ
3. მო-ი-ყვან-ენ-ი-ნ	და-თრგუნ-ენ-ი-ნ	გან-რყუნ-ენ-ი-ნ
2. მო-ი-ყვან-ენ-(ი)-თ	და-თრგუნ-ენ-(ი)-თ	გან-რყუნ-ენ-(ი)-თ
3. მო-ი-ყვან-ენ-ედ	და-თრგუნ-ენ-ედ	გან-რყუნ-ენ-ედ

**შენიშვნები:** 1. თანხმობიანთგასაყარი ი II და III პირებში სხედასხეა სახით წარმოვადგინეთ: და-წერ-ენ-ი-ნ (მან იგინი) უფრჩხილოდ და დაწერ-ენ-(ი)-თ (თქუენ იგინი) ფრჩხილში. რატომაა ეს ასე? — ჯერ ერთი, პირველი (და-წერ-ენ-ი-ნ) თვით უძველეს ძეგლებშიც ყოველთვის ინიით არის წარმოდგენილი, იმის გარეშე არ გვხვდება. რაც შეეხება მეორეს (და-წერ-ენ-ი-თ), იგი ორივე სახით გვხვდება. ინიითაც და უნიოდაც, ამასთან ინიანი ფორმები გაცილებით უფრო ხშირია. ეს იმას ნიშნავს, რომ ინის დამატება ადრე დაწყებულა, ძველ ქართულადღე დიდი ხნის წინათ. ახლა მეორე: და-წერ-ენ-ი-ნ ტიპის ფორმებს რატომღა აქვს ეს ი მუდამ? პასუხი იქნება: აქ ი უფრო ადრე გაჩნდა და საბოლოოდაც უფრო ადრე დამკვიდრდა.

რატომ? ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ფონეტიკური და გრამატიკული.

ო თანხმობანთვასაყარის გაჩენის ფონეტიკური მიზეზი ის იყო, რომ მას უნდა გაეთიშა ერთად თავმოყრილი ორი ნ (მო-კლენ-ნ მან იგინი), რადგან ნ-ნ ძნელი გამოსათქმელია, ხოლო გრამატიკული მიზეზი ის იყო, რომ გამოთქმაში შო-პლ-ან-ნ ისე აღიქმებოდა, როგორც შო-პლ-ან, გამოთქმაში ორი ნ (და სხვა ორი ერთი და იგივე თანხმობანი) ერთ (გრძელ) ბეგრად ისმის. შო-პლ-ან ფორმას კი სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ისიც ბრძანებითი იყო, მაგრამ სხვა შინაარსისა — შო-პლ-ან შენ იგინი. მაშასადამე, თუ ი არ ჩაემატებოდა, ზეპირი მეტყველების პროცესში კაცი ვერ გაიგებდა, ბრძანებისას რომელია სუბიექტი — შენ თუ მან. აი, ამ მიზეზებმა შეუწყვეს ხელი, რომ მესამე პირის ბრძანებითი (მო-კლ-ენ-ი-ნ) ი უფრო ადრე გაჩენილიყო და დამკვიდრებულიყო, ვიდრე მეორისაში (მო-კლ-ენ-ი-თ). და რადგანაც ამ უკანასკნელში ი ძველ ქართულში ხან არის და ხან არაა, პარადიგმაშიც ფრჩხილ-მა ჩასმული.

2. წყვეტილში მესამე ტიპის ზმნებში (ნ-ზე რომ უთავედებთ ფუძე) მიჯრით ორი ნ ორ შემთხვევაში გვქონდა — მესამე პირის მხოლოდობითსა და მრავლობითში: ბან-ბან-ნ-ა, ბან-ბან-ნ-ის, ბან-პურნ-ნ-ა, ბან-პურნ-ნ-ის. როგორც აღნიშნული იყო, სუბიექტური პირის ნიშნები ა და ეს კუმშავენ ენ სუფიქსს და ორი ნ ერთად აღმოჩნდება. ბრძანებითში ა-ს ნაცვლად ნ გვაქვს პირის ნიშნად, ნ კი, ცხადია, ვერ კუმშავს წინამავალ ხმოვანს და ამიტომაც ორი ნ არ შეიძლება ერთმანეთს შეხედეს უშუალოდ: ბან-ბან-ან-ი-ნ. მრავლობითში კი ედ სუფიქსი თავის ძალას იჩენს და ამიტომაც გვაქვს ბან-ბან-ნ-ან.

3. რატომ აქვს ჰ და ს პირის ნიშნები II პირის ბრძანებითს (და-ა-აშ-ან, და-ა-აშ-ან-ი-თ, შა-ს-აძნ-ან, შა-ს-აძნ-ან-ი-თ)? აკი კანონია: II პირის ბრძანებითი არის იგივე წყვეტილი, მინუს სუბიექტური პირის ნიშანი? ეს ასეა. მაგრამ ბრძანებითში ჰ და ს არის არა სუბიექტური პირის ნიშანი, არამედ ირიბი ობიექტისა. საქმე ისაა, რომ წყვეტილის ფორმებში (და-ა-აშ-ან, შა-ს-აძნ-ან) ჰ და ს საზიარო ნიშნებია, ისინი ერთდროულად მეორე სუბიექტურ პირსაც აღნიშნავენ და მესამე ირიბობიექტურსაც. ცალ-ცალკე ნიშანი ამათთვის არასდროს არა გვქონია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე.

ასევე განუსხვაებელი იქნება წყვეტილი და II ბრძანებითი II პირისა ყველა გარდამავალ ზმნაში, რომელთა ფუძე ხმოვნით იწყება და, მაშასადამე, IX საუკუნიდან სათანადო ნიშნები აღარა გვაქვს (დაკარგულია): ალ-ა-სარულ-ან, ალ-ა-სარულ-ან-(ი)-თ, ი-ხილ-ან, ი-ხილ-ან-(ი)-თ, უ-ჩაუნ-ან, უ-ჩაუნ-ან-(ი)-თ. ამ მწკრივების იდეალურად განსხვაებული და პირის ნიშნებით დაპირისპირებული ფორმები წარმოდგენილია ორპირიან გარდამავალ ზმნებში, რომელთაც ფუძე თანხმოვნით იწყებათ. შდრ.

წყვ.

გან-ჰ-ბან-ენ

გან-ჰ-ბან-ენ-(ი)-თ

და-ს-წერ-ენ

და-ს-წერ-ენ-(ი)-თ

ბრძ.

გან-ბან-ენ

გან-ბან-ენ-(ი)-თ

და-წერ-ენ

და-წერ-ენ-(ი)-თ

ჩენი მსჯელობა ე.წ. სანარეე ფორმებს ეხება. ხანმეტსა და ჰემეტს ძეგლებში ასეთსავე განსხვავებას მოგვცემდა ხმოვნით დაწყებული ორპირიანი გარდამავალი ზმნებიც:

წყვ.	ბრძ.
გან-ხ-ბან-ენ, გან-ჰ-ბან-ენ	გან-ბან-ენ
გან-ხ-ბან-ენ-(ი)-თ, გან-ჰ-ბან-ენ-(ი)-თ	გან-ბან-ენ-(ი)-თ
და-ხ-წერ-ენ, და-ჰ-წერ-ენ	და-წერ-ენ
და-ხ-წერ-ენ-(ი)-თ, და-ჰ-წერ-ენ-(ი)-თ	და-წერ-ენ-(ი)-თ
ხ-ა-ქენ, ჰ-ა-ქენ	ა-ქენ
ხ-ა-ქენ-(ი)-თ, ჰ-ა-ქენ-(ი)-თ	ა-ქენ-(ი)-თ
ხ-ი-ხილ-ენ, ჰ-ი-ხილ-ენ,	ი-ხილ-ენ
ხ-ი-ხილ-ენ-(ი)-თ, ჰ-ი-ხილ-ენ-(ი)-თ	ი-ხილ-ენ-(ი)-თ

აქამდე ვიხილავდით ისეთ შემთხვევებს, როცა ობიექტად III პირი იყო წარმოღვენილი. საქმის ვითარება ასე უფრო ნათლად ჩანს. მაგრამ თუ ჩვენ ობიექტად I პირს ავიღებთ, მაშინ წყვეტილსა და ბრძანებითს შორის არსად არ იქნება განსხვავება, არც ერთი პერიოდის ენაში. შეადარე, მაგალითად:

წყვ.	ბრძ.
მ-კითხ-ენ	მ-კითხ-ენ
მო-მ-წერ-ენ	მო-მ-წერ-ენ
მ-ი-თხრ-ენ	მ-ი-თხრ-ენ
მ-ი-ჩუენ-ენ	მ-ი-ჩუენ-ენ
მო-მ-ც-ენ	მო-მ-ც-ენ
მ-ა-უწყ-ენ	მ-ა-უწყ-ენ
შე-მ-ძინ-ენ	შე-მ-ძინ-ენ და სხვ.

დასასრულ. დაეურთავთ სათანადო მაგალითებს ძეგლებიდან:

მოგვტყვენ ბრალნი ჩუენნი და გუაჯურთხენ (შუშ. 142,21); მავასხენ მე სამნი პურნი (ლ. 11,5); განეღ და წინაისწარ დამოყრენ ყოველნი საზღვარნი მათნი, და მოგცნედ შენ თაენი მათნი, და დამიძარხენ მე ივინი დღედ მხილეებისა მათისა (ივლ. 2,10); საქმენი ველთა ჩუენთანი წარჰმართენ ჩუენ ზელა (ხანძთ. 207,33); შეიყვანენ კაცნი ესე სახიდ (დაბ. 43,16); დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი (ი. 21,16); ნახენ ღმრთის-მოფარდულნი (მრავ. 301,19); შეირტყენ სანდალნი შენნი (მოც. 12,8 პარიზ.: გამოცემებში — ი.აბულ., ე.გართი — შეისხენ იკითხება).

განყოფილთ მონაგებნი თქუენნი (ლ. 12,33); აღიხილენთ თუალნი და აღიპყრენთ თაენი თქუენნი (ლ. 21,28); იკითხენთ გზანი უფლისანი საუკუნენი (იერ. 6,16 I, იკითხენით O); მრგულიად-დასაწყველნი თქუენნი შეკრიბენთ მსხუერპლთა თანა თქუენთა (იქვე, 7,21 I); ისმინენთ სიტყუანი ამის შუკულისანი და ყვენთ ივინი (იქვე, 11,6 I); დაასხენთ პუნეთა თქუენთა (იქვე, 46,4 I, დაასხენით O); განიშზადენთ ისარნი, აღავსენით კაპარკნი თქუენნი (იქვე, 51,11, განაშზადენით O); აღივლინენთ მის ზელა პუნენი, ვითარცა სიმრავლჳ მკლისაი (იქვე, 51,27, აღივლინენთ I); შაბათნი ჩემნი წმიდა ყვენთ (ეზექ. 20,20 I, ყვენით O); მოღრიკენთ ბჭენი თქუენნი (ბარ. 2,21 I, მოღრიკენით O); მოკუეთეთ ხმ ევე და მოკაუენთ რტონი მისნი (დან.

## 4.11 D.

წმინდა ლოკითა თქუენითა მოგვსენენით (Опис. 275,3); წარისუენით ჯორცნი მისნი ქალაქსა გარე, განაბნიენით შესაჭმელად მკეტთა და მფრინველთა (ეესტ. 155.1); მოძიყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროისლა საცნობელნი ეგე ყურნი განამარტენით სმენად (აბო 158,11); განაშაღენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი (ლ. 3,4); კაცად-კაცადმან საქენი თვისნი განიშორენით (ეზეკ. 20,39 IO); დარეკენით იგინი გზასა ზედა მათთა (ივლ. 14,4); შეუყრენით მაგას კელნი და ფერჯნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესსენელსა (მ. 22,13).

ღირს მყვენინ ყოველნი ქრისტემან (Опис. 64,12); მაკურთხენინ ჩუენ ღმერთ-მან (ფს. 66,8); ყოველსა შინა განგამდიდრენინ ყოვლითა უხუებითა (2 კორ. 9,11 CD); მან განგამტკიცენინ და დაგამყარენინ, განგაძლიერენინ და დაგაფუნენინ (1 პეტ. 5,10 F); თქუენცა უფალმან მოგოვსენენინ სასუფეველსა მისსა (Опис. 23,26); ღმერთმან მოიტყუენინ, რომელ-რად იგი ჰყავთ (შუშ. 142,23); განაღენ პირი თვისი ქუეყანამან ამან და შთანთქენინ უღმრთონი ესე (აპოკ. 7,25); მშველობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ (აბო 170,40); დაადგინენინ ადგილთა მთავარნი ქუეყანასა ზედა (დაბ. 41,34); მივედინ და ალაღინენინ შეილნი იგი შენნი (კიმ. I, 147,18); დაუტყვენინ უღმრთომან გზანი მისნი (ეს. 55,7); მშველობამან ღმრთისამან ... განამტკიცენინ გულნი თქუენნი და გონებანი თქუენნი (ფილიპ. 4,7); შეჭამენინ /ცეცხლმან/ ნაძუნი შენნი (ზაქ. 11,1); გამოიხატენინ მან წინაშე თუალთა მისთა განსაცდელნი იგი იობ მართლისანი (სწავ. 180, 38).

გარდამოადინნედ თუალთა თქუენთა ცრემლნი დღე და ღამე და ნუ მოაკლებედ (იერ. 14,17); უბანთა ვაჭარნი მოიყვანნედ (მოც. 19,38); შეჰვედრნედ სულნი თვისნი კეთილისა საქითა (1 პეტ. 4,19 F); დაიპყრნედ მონათა შენთა წყარონი წყალთანი (ივლ. 7,12); შეიწყნარნედ ყურთა თქუენდა სიტყუანი პირისა ჩემისანი (იერ. 9,20); თუალნი, რომელნი ვეიცხებდენ მამასა და შეურაცხ-ჰყოფდენ სიბერესა დედისასა, აღმოჰყადნედ იგინი ყოვანთა ვევისათა და შეჭამედ იგი მართუეთა ორბისათა (იგაე. 30,17); ან მოგუენედ ჩუენ შვლნი კაცნი ძეთა მისთაგანნი (2 მეფ. 21,6).

**შენიშვნები:** მეორე პირის ბრძანებითი შედარებით კარგადაა დაცული და შემონახული. განწმიდენ და განწმიდენ(ი)თ მტკიცე ნორმად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ორივსა დარღვევას, რომლებიც შეიძლება უბრალო ლაფსუსი იყოს ან ამ კატეგორიის დაშლის პროცესის დაწყების მაუწყებელი.

რაც შეეხება III პირის ბრძანებითს. მის შესახებ ამის თქმა გაჭირდებოდა: აქ დარღვევები და საერთო წესიდან გადახვევა. თანაც ნაირ-ნაირი, ერთობ ხშირია. არის შემთხვევა (არცთუ იშვიათი), როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, მაგრამ ზნაში ეს არ აისახება (აკურთხენ მან იგინი); არის სხვანაირი შემთხვევა, როცა პირდაპირი ობიექტი მხოლოდითშია, ზნა კი მრავლობითის ფორმას გვიჩვენებს (უფალმან დაგიცვენინ შენ).

პირველი რიგის მაგალითებია:

ღმერთმან აკურთხენ მკლავნი შენნი და აღაორძინენ თესლნი შენნი მოუკლელად (ასურ. 110,18 = აკურთხენინ, აღაორძინენინ); წარვედ მშველობით და ღმერთ-

მან წარგიმართუნ სლევანი შენნი (კომ. I, 212,13 = წარგიმართუნინ); განუხუენ ლიბანუმან კარნი შენნი და შეჭაპენინ /ცეცხლმან/ ნაძუნი შენნი (ზაქ. 11,1 = განუხუენინ); საინტერესოა, რომ იქვე მეორე ზმნაში რიცხვში შეთანხმება სწორადაა წარმოჩენილი: შეჭაპენინ ნაძუნი. რყევა, რომელზედაც ლაპარაკი გვაქონდა ზემოთ. კარგად ჩანს ამ ერთ ნიმუშშიც); ზღუდემან ასულისა სიონისამან გარდამოდინენ. ეთარცა ნალუარეენი, ცრემლნი (გოდ. იერ. 2,18/40/).

მეორე რიგის ნიმუშებია:

უფლმან ჩუენმან ... წარჭმართუნინ სლეაი შენი (კომ. I, 134,2); მშვდობამან ღმრთისამან ... დაამტკიცენინ წმინდაი ეკლესიაი (კომ. II, 190,23); ეს ადგილი პავლეს ერთ-ერთ ეპისტოლეს ეყრდნობა, მაგრამ აქ პირდაპირი ობიექტი მრავლობით-შია და ზმნის ფორმაც გამართლებულია: მშვდობამან ღმრთისამან ... განამტკიცენინ გულნი თქუენნი და გონებანი თქუენნი (ფილიპ. 4,7); ზოლო შენ უფალმან დაგიცუენინ (აღწ. 188,5. უნდა ყოფილიყო: დაგიცუენინ).

ორივე ტიპის მაგალითები ბევრია. რას უნდა გამოეწვია ეს? თუ ვიტყვით, რომ ეს ამ კატეგორიის რღვევის საერთო მაგისტრალზე ძვესო (როგორც ფიქრობენ ზოგნი), მაშინ დაბრკოლებად გადაგველოებოდა II პირის ბრძანებითის მაგალითები (განწმინდენ შენ იგინი, მოკლენ/ით თქუენ იგინი...), სადაც ასეთი დარღვევა და არეუ-ღარევა არა გვაქვს. ჩვენი აზრით, საერთო წესის ამ ხშირი დარღვევის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ ერთად თავს იყრის რიცხვისა და პირის აღმნიშვნელი ენ და ნ სუფიქსები: აკურთხ-ენ-ი-ნ (აღრე მათ შორის თანხმოვანთვასაყარი ი არ უნდა ყოფილიყო: აკურთხენ მან იგინი), წარგიმართ-ენ-ი-ნ, განუხუენ-ი-ნ. ზოლო თუ ფუქე ნ-ზე იქნებოდა დაბოლოებული, მაშინ ერთმანეთთან შეზობლობაში სამი ნ მოიყრიდა თავს: აღაარძინ-ენ-ი-ნ, გარდამოდინ-ენ-ი-ნ. ამ აზრს ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ მრავლობითში, სადაც ნიშნად უდ გვაქვს (ნ ან რომელიმე წარანნი ვარანტი არაა), ასეთი დარღვევა არა გვხვდება (ყოველ შემთხვევაში, იშვიათია). ამითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ II პირის ბრძანებითა თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია, III პირისა კი ადრე გაეიღა ხმარებიდან.

## c. II ხოლმეობითი

### ა) უმჟაკიპისნიონონი

მო-ე-კლ-ნი

მო-კ-კლ-ნი

მო- კლ-ნი-ის

მო-ე-კლ-ნი-ით

მო-კ-კლ-ნი-ით

მო- კლ-ნი-იან

შე-ე-ი-პყრ-ნი

შე- ი-პყრ-ნი

შე- ი-პყრ-ნი-ის

შე-ე-ი-პყრ-ნი-ით

შე- ი-პყრ-ნი-ით

შე- ი-პყრ-ნი-იან

ე-ყენ-ნი

კ-ყენ-ნი

ყენ-ნი-ის

ე-ყენ-ნი-ით

კ-ყენ-ნი-ით

ყენ-ნი-იან

ე-თქუენ-ნი

ს-თქუენ-ნი

აღ-ე-ძრ-ნი

აღ-ს-ძრ-ნი

და-ე-კ-ფულ-ნი

და- კ-ფულ-ნი

თქუნ-ის  
 ე-თქუნ-ით  
 ს-თქუნ-ით  
 თქუნ-იან

აღ- ძრ-ნი-ის  
 აღ-ე-ძრ-ნი-ით  
 აღ-ს-ძრ-ნი-ით  
 აღ- ძრ-ნი-იან

ღა- კ-ფულ-ნი-ის  
 ღა-ე-კ-ფულ-ნი-ით  
 ღა- კ-ფულ-ნი-ით  
 ღა- კ-ფულ-ნი-იან

ბ) ე ზვარძლისნი

ღა-ე-წერ-ნი  
 ღა-ს-წერ-ნი  
 ღა- წერ-ნი-ის  
 ღა-ე-წერ-ნი-ით  
 ღა-ს-წერ-ნი-ით  
 ღა- წერ-ნი-იან

შე-ე-წირ-ნი  
 შე-ს-წირ-ნი  
 შე- წირ-ნი-ის  
 შე-ე-წირ-ნი-ით  
 შე-ს-წირ-ნი-ით  
 შე- წირ-ნი-იან

შე-ე-ჭამ-ნი  
 შე-მ-ჭამ-ნი  
 შე- ჭამ-ნი-ის  
 შე-ე-ჭამ-ნი-ით  
 შე-მ-ჭამ-ნი-ით  
 შე- ჭამ-ნი-იან

ღა-ე-კ-მარხ-ნი  
 ღა- კ-მარხ-ნი  
 ღა- კ-მარხ-ნი-ის  
 ღა-ე-კ-მარხ-ნი-ით  
 ღა- კ-მარხ-ნი-ით  
 ღა- კ-მარხ-ნი-იან

შე-ე-კრიბ-ნი  
 შე-კ-კრიბ-ნი  
 შე- კრიბ-ნი-ის  
 შე-ე-კრიბ-ნი-ით  
 შე-კ-კრიბ-ნი-ით  
 შე- კრიბ-ნი-იან

ღა-ე-შრიტ-ნი  
 ღა-კ-შრიტ-ნი  
 ღა- შრიტ-ნი-ის  
 ღა-ე-შრიტ-ნი-ით  
 ღა-კ-შრიტ-ნი-ით  
 ღა- შრიტ-ნი-იან

ბ) ე ბგარაჴა ჴუაბგათაჴაბუღნი

ე-ქმ-ნი  
 კ-ქმ-ნი  
 ქმ-ნი-ის  
 ე-ქმ-ნი-ით  
 კ-ქმ-ნი-ით  
 ქმ-ნი-იან

აღ-ე-ა-შცნ-ნი  
 აღ- ა-შცნ-ნი  
 აღ- ა-შცნ-ნი-ის  
 აღ-ე-ა-შცნ-ნი-ით  
 აღ- ა-შცნ-ნი-ით  
 აღ- ა-შცნ-ნი-იან

გან-ე-ღეენ-ნი  
 გან-ს-ღეენ-ნი  
 გან- ღეენ-ნი-ის  
 გან-ე-ღეენ-ნი-ით  
 გან-ს-ღეენ-ნი-ით  
 გან- ღეენ-ნი-იან

მა-ე-ი-ყვან-ნი  
 მა- ი-ყვან-ნი  
 მა- ი-ყვან-ნი-ის  
 მა-ე-ი-ყვან-ნი-ით  
 მა- ი-ყვან-ნი-ით  
 მა- ი-ყვან-ნი-იან

ღა-ე-თრგუნ-ნი  
 ღა-ს-თრგუნ-ნი  
 ღა- თრგუნ-ნი-ის  
 ღა-ე-თრგუნ-ნი-ით  
 ღა-ს-თრგუნ-ნი-ით  
 ღა- თრგუნ-ნი-იან

გან-ე-რყუნ-ნი  
 გან-კ-რყუნ-ნი  
 გან- რყუნ-ნი-ის  
 გან-ე-რყუნ-ნი-ით  
 გან-კ-რყუნ-ნი-ით  
 გან- რყუნ-ნი-იან

II ხოლმეობითის წარმოება მარტივია. მას ერთადერთი მწკრივის ნიშანი აქვს ყველაგან და ყოველთვის — სუფიქსი ი. ყოველი ტიპის ზმნა მხოლოდ ამ სუფიქსს დაირთავს, სულ ერთია. სუბიექტი მხოლოდობითშია თუ მრავლობითში, ასევე სულ ერთია, პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითშია თუ მრავლობითში. ყველაფერ ამას II და

III სერიის სხვა მწკრივების შესახებ ვერ ვიტყვით. რაკი ი სუფიქსი მწკრივის ნიშანია. იგი ყოველთვის კუმშავს მის წინ მდგარ ენ სუფიქსს: \*მოუ-კალ-ენ-ი → მოუ-კლ-ნი. სადაც კალ ძირის ა ხმოვანი ენ სუფიქსმა შეკუმშა. ხოლო თვით ენ სუფიქსისუელ ე-ს ეგვე ბედი ეწია ი მწკრივის ნიშნის დართვის გამო. რაკი, მამასადაძე, II ხოლომობითში ენ სუფიქსი მუდამ შეკუმშული სახით არის მოცემული, ცალად დარჩენილი ნ მესამე კვლევის ზმნებში უშუალოდ ეკერის წინამავალ ნ-ს და ყველგან ორი ნ გვაქვს ერთად: კქნნი, კქნნი, კქნის, კქნით, კქნით, კქნინან და სხვ. ზოგჯერ ერთი ნ იკარგება. ამაზე უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი და აღარ გავიმეორებთ.

დასასრულ, მოვიყვანთ ნიმუშებს ძველებიდან:

რაჟამს შენის ძუძან ლომან ლეკუნი, მკუდარნი სხნის. და ზინ და სცაენ ლეკუთა მათ ... დღესა მესამესა ჰბერის შუბლოსა და აღადგინნის ლეკუნი იგი (სახ. 236,7); აღუტენის რტონი დიდნი (მრ. 4,32 C); სულმან ნაყროენისა ტაბლისამან ... აღუშოთინის გულნი უბიწოთანი (სწავ. 303,17); მაშინ გამოიძინნის სიტყუანი (ებ. ანტ. 5,9); /ვარხუმან/ რაჟამს მართუენი გამოიჯადინის და კინ აღორინდინან, დათრ გუნნინან და მოკლნინან მართუენი თვსნი... დღესა მესამესა მოვიდის დედაი მათი, განუზნის გუერდნი იგი მათნი და ... აღადგინნის იგინი მკუდრეთით (სახ. 236-237); განგზნის იგინი და ჰბასრობნ (სწავ. 246,22); და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან განარჩინის ცხოვარნი თიკანთავან, და დაადგინნის ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი — მარცხენით (მ. 25,32 CE); განაღვძნის და მოსწრავუე ყუნის მბრძოლნი იგი (სწავ. 17,37); ორნი ესე ვნებანი დასთესნის ეშმაკან ჩუენ თანა თვნიერ ცნობისა ჩუენისა (სწავ. 162,25); რაჟამს აღვდის /გრძობი/ ვენავსა, ტევენნი დამომარცულნის და მოკუფხლნის და ქუე გარდამოაბნის (სახ. 239,1); რაჟამს შვიან ხუადი კიც, მამამან დაუკოხნნის საურველნი და უქმ ქნის (იქვე, 237,31); აღამაღლის და მისცნის მას საცთურად მონაგებნი მრავალნი (სწავ. 18,18); მოგუაკლდინნის ჩუენცა, ვითარცა-იგი მოაკლდინა ადამ (სწავ. 164,22); ესრჸთ ტყუელით მოიტაცნის იგინი და დაყარის ნაწლუევი მფრინველთაი მათ და ძვრძვრად მოწყვდნის იგინი (სახ. 239,10); ესეითარათა მათ ზედა სახიერმან ღმერთმან მოაწინნის შრომანი რისხვითა, ვიდრემდე ცნან შრომითა მით და შეინანონ და მოიქცენ (ებ. ანტ. 1,8); რაჟამს-იგი მოაწინის შენ ზედა გულის-სიტყუანი ბოროტნი (სწავ. 74,10); მოიხუნის რტონი დიდ-დიდნი (მრ. 4,32 DE); საშუკლისა სიტყუანი მასწავლნის ჩუენ (სწავ. 274,2); უცებით მენავენი შეიტყუენის: მივიდინან ნაენი ვითარცა ჭალაკსა ზედა, დააბნინან, მანანი დაასვინან და აღოსნი შთაუტყუენან (სახ. 139,29); მრავალნი მყის წარიტაცნის სიკუდილმან და არა აუფლის სიტყვსაცა ერთისა აღმოთქუმაღ (სწავ. 296,22).

რაჟამს დასთესნის ეშმაკან ჩუენ შორის ორნი ესე ვნებანი და ჩუენ შევიწყნარნით სიხარულით (სწავ. 162/163); უკუეთუ ვიხილით კაცი სათნოი და კეთილი, შევიყუარნით სათნოებანი მისნი, და უკუეთუ ვიხილით კაცი ბოროტის მოქმედი, მოვიძულნით ბოროტნი მისნი (იქვე, 164,20).

რაჟამს იხილიან მართუეთა დედაი ანუ მამაი დამდედებული და თუალთავან მოკლებული, მართუეთა მათ დაჰკრტინან ძუელნი ფრთენი და აღლომნინან თუაღნი

მათნი და განატონიანი ივინი ფრთითა თვისითა და განაახლნიანი და განაჭაპუკნიანი ივინი (სახ. 237,25); რომელთაჲ მისცნიანი თავნი თვისნი ნებსით ბოროტისა საქმესა და მრავალსა უსახურებასა და უმადრუკებასა და ესრეთ აღასრულნიანი დღენი მათნი (სწაე. 314, 10); დაიბურნიანი ცოდვილთა პირნი მათნი ჟამსა სიკუდილისა მათისასა, მოიდრიკნიანი თავნი მათნი (იქვე. 139,25); მრავალნი განსაცდელნი თავს-ისხნიანი (იქვე. 116,3); /ეშმაკთა/ მომაბულნიანი ჩუენ მკურნალნი (იქვე. 273,21); მსგავს არნ იგი რომელთაჲ მეძავთა, რომელთა მოიქნ(ნ)იანი პირნი მათნი სატრფიალოდ კაცთა უგუნურთა (იქვე. 133,7 AC); რაჟამს-იგი პირნი მათნი მოიკაზმნიანი საჩუენებულად (იქვე. B).

#### d. II კავშირებითი

თავდაპირველად ჩუენ მიერ ზემოთ გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით წარმოვადგენთ სათანადო პარადიგმებს:

##### ა) უშჰარივისნიშნონი

მო-ე-კლ-ნ-ე	შე-ე-ი-პყრ-ნ-ე	ე-ყე-ნ-ე
მო-კ-კლ-ნ-ე	შე- ი-პყრ-ნ-ე	კ-ყე-ნ-ე
მო- კლ-ნ-ე-ს	შე- ი-პყრ-ნ-ე-ს	ყე-ნ-ე-ს
მო-ე-კლ-ნ-ე-თ	შე-ე-ი-პყრ-ნ-ე-თ	ე-ყე-ნ-ე-თ
მო-კ-კლ-ნ-ე-თ	შე- ი-პყრ-ნ-ე-თ	კ-ყე-ნ-ე-თ
მო- კლ-ნ-ე-ნ	შე- ი-პყრ-ნ-ე-ნ	ყე-ნ-ე-ნ

ეთქე-ნ-ე	აღ-ე-ძრ-ნ-ე	და-ე-კ-ფულ-ნ-ე
ს-თქე-ნ-ე	აღ-ს-ძრ-ნ-ე	და- კ-ფულ-ნ-ე
თქე-ნ-ე-ს	აღ- ძრ-ნ-ე-ს	და- კ-ფულ-ნ-ე-ს
ეთქე-ნ-ე-თ	აღ-ე-ძრ-ნ-ე-თ	და-ე-კ-ფულ-ნ-ე-თ
ს-თქე-ნ-ე-თ	აღ-ს-ძრ-ნ-ე-თ	და- კ-ფულ-ნ-ე-თ
თქე-ნ-ე-ნ	აღ- ძრ-ნ-ე-ნ	და- კ-ფულ-ნ-ე-ნ

##### ბ) ე შჰარივისნიშნონანი

და-ე-წერ-ნ-ე	შე-ე-წირ-ნ-ე	შე-ე-ჭამ-ნ-ე
და-ს-წერ-ნ-ე	შე-ს-წირ-ნ-ე	შე-შ-ჭამ-ნ-ე
და- წერ-ნ-ე-ს	შე- წირ-ნ-ე-ს	შე- ჭამ-ნ-ე-ს
და-ე-წერ-ნ-ე-თ	შე-ე-წირ-ნ-ე-თ	შე-ე-ჭამ-ნ-ე-თ
და-ს-წერ-ნ-ე-თ	შე-ს-წირ-ნ-ე-თ	შე-შ-ჭამ-ნ-ე-თ
და- წერ-ნ-ე-ნ	შე- წირ-ნ-ე-ნ	შე- ჭამ-ნ-ე-ნ

და-ე-კ-მარხ-ნ-ე	შე-ე-კრიბ-ნ-ე	და-ე-შრიტ-ნ-ე
და- კ-მარხ-ნ-ე	შე-კ-კრიბ-ნ-ე	და-კ-შრიტ-ნ-ე



ღა- ქ-მარხ-ნ-ე-ს	შე- კრიბ-ნ-ე-ს	ღა- შრიტ-ნ-ე-ს
ღა-ე-ქ-მარხ-ნ-ე-თ	შე-ე-კრიბ-ნ-ე-თ	ღა-ე-შრიტ-ნ-ე-თ
ღა- ქ-მარხ-ნ-ე-თ	შე-ქ-კრიბ-ნ-ე-თ	ღა-ქ-შრიტ-ნ-ე-თ
ღა- ქ-მარხ-ნ-ე-ნ	შე- კრიბ-ნ-ე-ნ	ღა- შრიტ-ნ-ე-ნ

ბ) ნ ბაბრახე შუამბათავეზულნი

ე-ქმნ-ნ-ე	აღ-ე-ა-შმნ-ნ-ე	გან-ე-ღევენ-ნ-ე
ქ-ქმნ-ნ-ე	აღ- ა-შმნ-ნ-ე	გან-ს-ღევენ-ნ-ე
ქმნ-ნ-ე-ს	აღ- ა-შმნ-ნ-ე-ს	გან- ღევენ-ნ-ე-ს
ე-ქმნ-ნ-ე-თ	აღ-ე-ა-შმნ-ნ-ე-თ	გან-ე-ღევენ-ნ-ე-თ
ქ-ქმნ-ნ-ე-თ	აღ- ა-შმნ-ნ-ე-თ	გან-ს-ღევენ-ნ-ე-თ
ქმნ-ნ-ე-ნ	აღ- ა-შმნ-ნ-ე-ნ	გან- ღევენ-ნ-ე-ნ

მო-ე-ი-ყვან-ნ-ე	ღა-ე-თრგუნ-ნ-ე	გან-ე-რყუნ-ნ-ე
მო- ი-ყვან-ნ-ე	ღა-ს-თრგუნ-ნ-ე	გან-ქ-რყუნ-ნ-ე
მო- ი-ყვან-ნ-ე-ს	ღა- თრგუნ-ნ-ე-ს	გან- რყუნ-ნ-ე-ს
მო-ე-ი-ყვან-ნ-ე-თ	ღა-ე-თრგუნ-ნ-ე-თ	გან-ე-რყუნ-ნ-ე-თ
მო- ი-ყვან-ნ-ე-თ	ღა-ს-თრგუნ-ნ-ე-თ	გან-ქ-რყუნ-ნ-ე-თ
მო- ი-ყვან-ნ-ე-ნ	ღა- თრგუნ-ნ-ე-ნ	გან- რყუნ-ნ-ე-ნ

**შენიშვნები:** 1. როგორც ადრე აღნიშნული გეჰონდა (გვ. 196), როცა პირდაპირი ობიექტი (ნარიან) მრავლობითში ღვას, II კავშირებითის მწკრივის ნიშნად ერთადერთი ე გვევლინება, სულ ერთია, რა მწკრივის ნიშანი ქჷონდა ზმნას მაშინ. როცა პირდაპირი ობიექტი მხოლოდობით რიცხვში იყო წარმოდგენილი. შღრ.:

ე-წერ-ო	იგი	მაგრამ:	ე-წერ-ნ-ე	იგინი
ს-წერ-ო	"		ს-წერ-ნ-ე	"
წერ-ო-ს	"		წერ-ნ-ე-ს	"
ე-წერ-ო-თ	"		ე-წერ-ნ-ე-თ	"
ს-წერ-ო-თ	"		ს-წერ-ნ-ე-თ	"
წერ-ო-ნ	"		წერ-ნ-ე-ნ	"

მო-ე-კლ-ა	იგი	მაგრამ:	მო-ე-კლ-ნ-ე	იგინი
მო-ქ-კლ-ა	"		მო-ქ-კლ-ნ-ე	"
მო- კლ-ა-ს	"		მო- კლ-ნ-ე-ს	"
მო-ე-კლ-ა-თ	"		მო-ე-კლ-ნ-ე-თ	"
მო-ქ-კლ-ა-თ	"		მო-ქ-კლ-ნ-ე-თ	"
მო- კლ-ა-ნ	"		მო- კლ-ნ-ე-ნ	"
რა თქმა უნდა, მხოლოდობითის ე უცვლელედ გადავა მრავლობითშიც:				
მი-ე-ს-ც-ე	იგი	ღა	მი-ე-ს-ც-ნ-ე	იგინი
მი- ს-ც-ე	"		მი- ს-ც-ნ-ე	"

მი-ს-ც-ეს	"	მი-ს-ც-ნ-ეს	"
მი-ვ-ს-ც-უთ	"	მი-ვ-ს-ც-ნ-უთ	"
მი-ს-ც-უთ	"	მი-ს-ც-ნ-უთ	"
მი-ს-ც-ენ	"	მი-ს-ც-ნ-ენ	"

მამასადამე, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, II კავშირებითში ყველა ზნას მხოლოდ ე აქვს მწკრივის ნიშნად. ამიტომ ისეთი მაგალითი, როგორცაა: ვითარცა არემან ზაფხულისამან აღმოაცენნოს ფერად-ფერადნი სულნელუბანი (ეჭ. VIII, 54.35). უბრლო ლაფსუსია ან ბეჭდური შეცდომა. ეს წესი — როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია. II კავშირებითის მწკრივის ნიშნად ყოველთვის ე იყოს — ძალზე მყარია და მისი დარღვევები ძველი ქართულის უძველეს საუკეთესო ხელნაწერებში არ გვხვდება (ან ძალზე იშვიათია). წარმოების ეს ერთგვარობა საგრძნობლად აადვილებს II კავშირებითის ასეთი ფორმების ამოცნობასა და შესწავლას.

2. წყვეტილის S<sub>3</sub> პირის მრავლობითის ფორმა (მო-კლ-ნ-ეს) საესებით ეთხვევა II კავშირებითის S<sub>3</sub> პირის მხოლობითს (მო-კლ-ნ-ე-ს). მართალია, წყვეტილში სუბიექტი მრავლობითშია და ფორმაში იგი ეს სუფიქსით არის გამოხატული (მო-კლ-ნ-ეს მათ იგინი), II კავშირებითში კი იგივე სუბიექტი მხოლობითშია, მისი ნიშანიც მარტო ს სუფიქსია, წინამავალი ე მწკრივის ნიშანია (მო-კლ-ნ-ე-ს მან იგინი), მაგრამ ფორმა მთლიანად ერთი და იგივეა სრულებით: მოკლნეს — მოკლნეს. აი, ეს არის ამ მწკრივების შესწავლისას ყველაზე დიდი სირთულე. და ამგვარ თვისებას აელენს ყველა გარდამავალი ზნა. აღრევის საშიშროება დიდაა, გასარჩევი საშუალებანი — მცირე. როგორ უნდა განვასხვავოთ საცილობელი ფორმები? — ერთ-ერთ საშუალებაზე უკვე იყო საუბარი: როგორმე უნდა დავადგინოთ სუბიექტის რიცხვი. თუ იგი მხოლობითია, საქმე გვექნია II კავშირებითთან (რადთა მოკლნეს მან იგინი), თუკი სუბიექტი მრავლობითშია, მწკრივი წყვეტილია (მოკლნეს მათ იგინი).

აი, ორიოდე მაგალითი ძველი ტექსტებიდან:

ვედრებოდეს მას ფრად. რადთა მთავლინნეს იგინი გარეშე სოფელსა (მრ. 5.10 C). მთავლინნეს აქ კავშირებითია, რადგანაც სუბიექტი მხოლობითშია (მას): სთხოვდნენ მას, რომ მას არ გაეგ ზანა (არ გაეგლო, გაეძეგებინა) ისინი იმ მხარიდან. ამას ამტკიცებს აგრეთვე რადთა კავშირი, რომელიც მულამ კავშირებით კილოს ითხოვს. თხრობით კილოსთან მისი ხმარება შეუძლებელია.

ახლა ავიღოთ მეორე მაგალითი: მამნ წარვიდეს ფარისეველნი იგი და მთავლინნეს მოწაფენი მათნი პეროდიანელთა თანა და ჰრქუეს (მ. 22,16). აქ იგივე მთავლინნეს წყვეტილია, რადგან სუბიექტი მრავლობითშია (ფარისეველნი). ამას ამტკიცებს აგრეთვე მეორე უდავო ზნა ჰრქუეს (მათ, ფარისეველთა), რომელიც მხოლოდ მრავლობითის ფორმაა, მხოლობითში იქნება ჰრქუა (მან, ფარისეველმან).

მეორე წყვილი: არა ხოლო ნათესავისათვის, არამედ რადთა შვილიცა ღმრთიანი განბნულნი შეკრიბნეს ერთად (ი. 11,52). აქ არა ჩანს სუბიექტის რიცხვი, მაგრამ ცოტა ზემოთ ნათქვამია: ევლებოდა ეღუსეს მოსიკუდილ ნათესავისათვის (ი. 11,51); ამას მოჰყვა სადავო შეკრიბნეს. მამასადამე, რაკი ეღუსე აპირებდა სიკვდილს, ცხადია. შეკრიბნეს ზნისათვის ისა სუბიექტი და, ამგვარად, ფორმა მხოლობითი-

სა და მწკრივი II კავშირებითა. ამას თვალნათლივ ამტკიცებს აგრეთვე იგივე რაიმთა კავშირი (ერთ-ერთი მთავარი საშუალება გამოსაცნობად).

შდრ ამას: მოვიდეს მოსე და აჰრონ და შეკრიბნეს მოხუცებულნი ძეთა ისრა(ლ)ოსათანი (გამ. 4.29). სუბიექტია მოსე და აჰრონ (მრავლ.). მამასადამე, ფორმა წყვეტილისაა. შდრ. რუს თარგმ.: и пошел Моисей с Аароном и собрали они всех старейшин сынов Израилевых.

არის კიდევ ერთი საშუალება სადავო ფორმის გასარჩევად: თუ ზნით გამოხატული მოქმედება წარსულ დროში ხდება. მწკრივი წყვეტილია, თუ მომავალ დროში — II კავშირებითი. თუ, მაგალითად, შეჭამნეს წარსულ დროს გამოხატავს, იგი წყვეტილია და ამას ნიშნავს: შეჭამეს (მათ) ბუკრი რალაც: და შეჭამნეს შვდთა მათ ზროხათა, საძაგელთა ხილეთათ დ მჭლეთა ჯორცითა, შვდნი იგი ზროხანი, კეთილნი ხილეთათა და რჩეულნი ჯორცითა (დაბ. 41.4). ხოლო თუ იგივე შეჭამნეს მომავალ დროს გამოხატავს (მომავალი დროის გადმოცემა ძველ ქართულში კავშირებითებს, განსაკუთრებით, II კავშირებითს. ევალებოდა). მწკრივი II კავშირებითია (მოვიდეს ხვალე ზროხად ერთი და შეჭამნეს ყოველნი თივანი და მწუნავილნი). შეჭამნეს აქ ნიშნავს: "შეჭამს" (ბევრ თივას).

3. თუ ზნის ფუძე ნ ბევრაზე ბოლოვდება, აქ ყველგან, ორივე რიცხვის ყველა ფორმაში, თავს მოიყრის ერთად ორი ნ, რომელთაგან ერთი, პირველი, ფუძისა იქნება, ხოლო მეორე — პირდაპირი ობიექტის სიმრავლის აღწინაშენელი, რომელსაც წინამავალი ე ხმოვანი დაკარგული აქვს მომდევნო მწკრივის ნიშნის (ე-ს) დართვის გამო: ე-ქნ-ენ-ე → ე-ქნ-ნ-ე, მი-ავლინ-ენ-ე → მი-ავლინ-ნ-ე და ა.შ. ამ ორი ნ-სგან ზოგჯერ ერთ-ერთი იკარგება და ერთი რჩება. მაგალითად: მოიქცენ და მე განკურნე იგინი (მ. 13,17 D. უნდა ყოფილიყო: განკურნნე); მან უძღურებანი ჩუენნი იტვრონეს და სნეულებანი ჩუენნი განკურნეს (მ. 8,17 C — განკურნნეს). მაგრამ ეს მოვლენა ეხება არა მარტო II კავშირებითს, არამედ ყველა მწკრივსა და ყველა ფორმას, სადაც თავს იყრის ერთად ორი ნ ან სხვა ორი ერთნაირი ბევრა. ნაწილობრივ ამაზე უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

4. როგორ უნდა დაიშალოს და გაანალიზდეს II კავშირებითის ფორმები? — მო-ვ-კალ-ნ-ე ფორმაში მო ზნისწინია, ვ — სუბიექტური პირის ნიშანი. კლ — შეკუმშული ძირი. ძირისეული ა (მო-ვ-კალ) ამოღებულია მომდევნო ენ სუფიქსის (სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის სიმრავლის გამომხატველი) მიერ, რომელსაც, თავის მხრივ, ე დაკარგული აქვს ე მწკრივის ნიშნის დართვის გამო.

ახლა ეუჭვენოთ სათანადო ნიმუშები ძველი ძეგლებიდან:

უკუეთო მოვიქცე და აღვიარნე შეცოდებანი ჩემნი, ვად არს ჩემდა (სწავ. 260, 24); დავარღვენე საუნჯენი ჩემნი და უფროდინი აღვაშენნე და შევეკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი ჩემი (ლ. 12.18); გამოვიყვანნე თქვენ ერთაგან და მოვიყვანნე თქვენ სოფლებიდან (ეზეკ. 20.34); გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი (აბო 169.9); იგი კაცნი მოსაკლავად შეჰკვანდეს, ხოლო თქვენითა ოხითა განუტვენე ეგენი (ეესტ. 147.2); რაიმთა ვისძინნე სიტყუანი შენნი და გულისვმა-ვეყნე (სწავ. 75.10); მე მოვაჯლინნე თქვენდა წინაწარმეტყუელნი (მ. 23.34); რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შეილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა სჯულსა (შუშ. 133.24);

ვის ვაშგავხნე კაცნი ამის ნათესავისანი? (ლ. 7,31); რაითა შვეიცანზე თქვენ წინაშე მამის ჩემის ზეტათისა (სწავ. 61,12); გნებაესა, და გორუენე ურვანი განუქარებულნი (იქვე, 116,8).

არამედ აღვიარნეთ ცოდვანი ჩუენნი არა ხოლო თუ ენითა, არამედ გონებითაცა (სწავ. 78,13); ბრწყინვალედ აღვინთნეთ სანთელნი სულთა ჩუენთანი (იქვე, 56,15); რაითა მოვიგნეთ წიგნნი საღმრთონი და მათ მიერ გარე-წარვაქცინეთ ჩუენგან წყლულუბანი იგი სასიკუდიანელნი (იქვე, 76,5); რაითა დავიმარხნეთ თავნი ჩუენნი ყოვლისაგან ბოროტისა (იქვე, 26,4); დავაყენეთ ველნი ჩუენნი უმსჯავროდ მოხუე-ქისაგან (იქვე, 55,32); უკუეთუ ნებითა მიესცნეთ თავნი ჩუენნი ესეეთარსა მკეცსა ბოროტსა (იქვე, 27,27); ანუ რომელსა აღვილსა გპოვნეთ? (ისტ. ქრ. I, 248,24); რაითა არა უარ-ვეყნეთ და დაუფარნეთ ცოდვანი ჩუენნი (იქვე, 78,11); ესე შევზავ-ნეთ ურთიერთას (ხანძთ. 210, 19).

რაი სარგებელ არს შენდა. უკუეთუ იმარხვიდე და ხედვიდე გლახაკთა მშვირ-თა და არა გამოზარდნე (სწავ. 25,13); თუ განჰმარტნე სასმენელნი შენნი და გულს-მოღვინდე ისმენდე (ევსტ. 148,37); ვერ არს შენდა, რაითა დაიცვენე სასმენელნი შენნი ენებათაგან (სწავ. 279,22); ოღეს შეატყუნე ივინი და შეაწონნე აზნაურობასა ქრისტეანობისასა (იქვე, 111,30); რაითა არა შეიმთხვო ძვრი თავსა შენსა და შეგუა-წუნზე ჩუენ ყოველნი (აბო 168,40).

მე გვედრებთ თქვენ, მმანო ჩემო საყუარელნო, რაითა განუკუთნნეთ თავნი თქვენნი მორჩილებასა (სწავ. 271,2); მათგანნი მოწყვდნეთ და ვჯარს-აცუნეთ, და მათგანნი ჰგუებნეთ შესაკრებელთა შინა თქვენთა და სდევენთ ქალაქითი ქალაქად (მ. 23,34 C); უკუეთუ არა მოუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან ზეტათამან მოგიტევენს თქვენ შეცოდებანი თქვენნი (სწავ. 34,38); რაი უკუე სარგებელ არს, უკუეთუ შემოწყნარნეთ ჩუენ და ბრძანებისაებრ ჩუენისა არა იქმოლით? (იქვე, 104,27).

რამეთუ ცოდვნი, რავდენცა აღიარნეს კაცმან, მოაკლდების, თუ არა აღიარ-ნეს, შემატების ბოროტთა (სწავ. 78,8); დაღაცათუ მკუდარნი აღადგინნეს, არა უც ნაწილი ღმრთისა თანა (იქვე, 307,4); თუ ინებოს, დამოტევენს უძლურებასავე შინა (იქვე, 47,31); რაითა შევიდეს კაცი შინაგან გონებასა თვისსა და ჰბრძოდის ეშმაკსა და მოიძულნეს ენებანი და უვარ-ყოს თავი თვისი და განასხნეს ენებანი ჯორცთანი და წინა-აღუდგეს გუელს მას ბოროტსა (იქვე, 312,23); ევედრებოდეს ღმერთსა, რაითა მან დაივიწყნეს ივინი და შეუნდენეს მას (იქვე, 78,3); რაითა უფალმან დაიცვენეს /შვილნი მისნი/ დიდებით და დღევრძელებით კეთილსა შინა ღმრთის-შსახსურებასა (ხანძთ. 214,17); ხოლო მეძავნი იგი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან (ებრ. 13,4); ნებაი მოშიშთა მისთაი ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს ივინი (ხანძთ. 225,23); დაღაცათუ მრავალნი სასწაულნი ქნნეს, არა სთნავს ღმერთსა (სწავ. 307,8).

### ე. შერეული კავშირებითი

პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა, როგორც ნაჩვენები გვაქვს (გვ. 205 და სხვ.). შერეულ კავშირებითშიც აისახებოდა. უღლების ნიმუშებიც იქვეა მოყვანილი. მაგრამ ასეთი ნიმუშები ძალიან ცოტა გვხვდება ძველ ქართულში. სურათის სისრულისათვის იმ პარადიგმებს აქაც მოვიყვანთ და ზოგ სხვასაც დაეუმატებთ:

შე-ე-წირ-ნ-ოდ-ი	მი-ე-ს-ც-ნ-ოდ-ი
შე-ს-წირ-ნ-ოდ-ი	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი
შე-წირ-ნ-ოდ-ი-ს	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-ს
შე-ე-წირ-ნ-ოდ-ი-თ	მი-ე-ს-ც-ნ-ოდ-ი-თ
შე-ს-წირ-ნ-ოდ-ი-თ	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-თ
შე-წირ-ნ-ოდ-ი-ან	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-ან

შე-უ-მცირ-ნ-ოდ-ი	აღ-ე-ა-სრულ-ნ-ოდ-ი
შე-უ-მცირ-ნ-ოდ-ი	აღ-ა-სრულ-ნ-ოდ-ი
შე-უ-მცირ-ნ-ოდ-ი-ს	აღ-ა-სრულ-ნ-ოდ-ი-ს
შე-უ-მცირ-ნ-ოდ-ი-თ	აღ-ე-ა-სრულ-ნ-ოდ-ი-თ
შე-უ-მცირ-ნ-ოდ-ი-თ	აღ-ა-სრულ-ნ-ოდ-ი-თ
შე-უ-მცირ-ნ-ოდ-ი-ან	აღ-ა-სრულ-ნ-ოდ-ი-ან
თუ ზნის ფუძე ნ-ზე ბოლოვდება, ორი ნ აქაც მოიყრის თავს ერთად:	
მო-ე-ი-უსენ-ნ-ოდ-ი	წარ-ე-ა-ვლინ-ნ-ოდ-ი
მო-ი-უსენ-ნ-ოდ-ი	წარ-ა-ვლინ-ნ-ოდ-ი
მო-ი-უსენ-ნ-ოდ-ი-ს	წარ-ა-ვლინ-ნ-ოდ-ი-ს
მო-ე-ი-უსენ-ნ-ოდ-ი-თ	წარ-ე-ა-ვლინ-ნ-ოდ-ი-თ
მო-ი-უსენ-ნ-ოდ-ი-თ	წარ-ა-ვლინ-ნ-ოდ-ი-თ
მო-ი-უსენ-ნ-ოდ-ი-ან	წარ-ა-ვლინ-ნ-ოდ-ი-ან

თუ ტექსტებში ყველგან ორი ნ მიჯრით არ გვხვდება, ეს საერთო მოვლენაა და მხოლოდ შერეულ ხოლმეობითს არ ეხება. ამის შესახებ ზემოთ არაერთხელ გვექონდა საუბარი.

რაც შეეხება შერეულ ხოლმეობითს, ჯერჯერობით მისი მხოლოდ ხუთი მაგალითია გამოვლენილი: ჭამოდან, დადვოდან, დაიბანოდან<sup>215</sup>, აღიღოდან (ორჯერ)<sup>216</sup>, რომელთაგანაც ერთი ენებითა (დაიბანოდან) და ამჟამად ჩვენთვის საინტერესო არაა. ვთქვათ, იგივე ჭამოდან სადმე პირდაპირ ობიექტს მრავლობითში წარმოგვიდგენდეს. მისი უღლების პარადიგმაც ისეთივე იქნებოდა, როგორიც აქვს შერეულ კავშირებითს:

ე-ჭამ-ნ-ოდ-ი	ე-ჭამ-ნ-ოდ-ით
შ-ჭამ-ნ-ოდ-ი	შ-ჭამ-ნ-ოდ-ით
ჭამ-ნ-ოდ-ი-ს	ჭამ-ნ-ოდ-ი-ან.

<sup>215</sup> ლ. კეკელიძე, შერეული ხოლმეობითის შწკრივი ძველ ქართულში, გვ. 187-189.

<sup>216</sup> ზ. ხარაჯიძე, ქართული სალიტ. ენის ისტ. შესავალი, გვ. 456.

B. III სერია

III სერიის ფორმები, როგორც აღნიშნული იყო, გვიანდელია და წარმოშობით ვნების ეპყარება. ასე, მაგალითად, I თურმობითის (და)უწერიეს, (და)უყრიეს სხვა არაფერია, თუ არა სტატიკური ვნებითები უწერიეს, უყრიეს, ხოლო II თურმობითის დაეწერა, შეეძინა, დაეწუა და III კავშირებითის დაეწეროს, შეეძინოს. დაეწუას წარმომავლობით არის ენაბი ვნებითის წყვეტილი და II კავშირებითი (შესაბამისად). დასახელებულ ფორმათაგან თითოეული ორნაირად შეიძლება გაეიზროთ: 1. ვნებითად; 2. მოქმედებითად, რომელიც ამ ვნებითს ეფუძნება. შდრ., მაგალითად:

ვნებ.	მოქმ.
<u>აწმყო</u>	<u>აწმყო</u>
შე-მ-ე-ძინ-ებ-ი-ს	შე-ე-ს-ძინ-ებ
შე-გ-ე-ძინ-ებ-ი-ს	შე- ს-ძინ-ებ
შე- ე-ძინ-ებ-ი-ს	შე- ს-ძინ-ებ-ს
(e.) შე-მ-ე-ძინ-ებ-ი-ს	შე-ე-ს-ძინ-ებ-თ
(i.) შე-გ-ე-ძინ-ებ-ი-ს	
შე-გ-ე-ძინ-ებ-ი-ს	შე- ს-ძინ-ებ-თ
შე- ე-ძინ-ებ-ი-ს	შე- ს-ძინ-ებ-ენ

<u>წყვეტ.</u>	<u>II თურმ.</u>
შე-მ-ე-ძინ-ა (იგი მე)	შე-მ-ე-ძინ-ა (მე იგი)
შე-გ-ე-ძინ-ა	შე-გ-ე-ძინ-ა
შე- ე-ძინ-ა	შე- ე-ძინა
(e.) შე-მ-ე-ძინ-ა	შე-მ-ე-ძინ-ა
(i.) შე-გ-ე-ძინ-ა	შე-გ-ე-ძინ-ა
შე-გ-ე-ძინ-ა	შე-გ-ე-ძინ-ა
შე- ე-ძინ-ა	შე- ე-ძინ-ა

<u>II კავშ.</u>	<u>III კავშ.</u>
შე-მ-ე-ძინ-ი-ს (იგი მე)	შე-მ-ე-ძინ-ი-ს (მე იგი მისთვის/მას)
შე-გ-ე-ძინ-ი-ს	შე-გ-ე-ძინ-ი-ს
შე- ე-ძინ-ი-ს	შე- ე-ძინ-ი-ს
(e.) შე-მ-ე-ძინ-ი-ს	შე-მ-ე-ძინ-ი-ს
(i.) შე-გ-ე-ძინ-ი-ს	შე-გ-ე-ძინ-ი-ს
შე-გ-ე-ძინ-ი-ს	შე-გ-ე-ძინ-ი-ს
შე- ე-ძინ-ი-ს	შე- ე-ძინ-ი-ს

ამ ორი ერთნაირი ფორმიდან, ცხადია, ერთი უნდა იყოს თავდაპირველი და ამოსავალი. ესაა ვნებითის ფორმები. მათზე დაფუძნებული მოქმედებითი — III

სერიის ფორმები — მეორადია, მერვეა შექმნილი და განვითარებული. ამიტომაა, რომ ასეთი წარმოშობის სამპირიან ზნებს III სერიაში აღარა აქვს მესამე პირი, სწორედ ირიბობიექტური პირი: შეეძინა მას იგი (+იგი მას). ყოფილი ირიბი ობიექტი ნათესაობითში გადადგება და თანდებულს დაირთავს: შეეძინა იგი მას მისთვის. ეს მისთვის ზნის შინაარსს აზუსტებს და საზგასმით მიუთითებს, რომ ზნას ოდესღაც მესამე პირიც ჰქონდა. ზოგჯერ ეს მესამე, დაკარგული, პირიც ახლავს ზნას (უძლევიეს იგი მას მას), მაგრამ ეს ძალზე იშვიათია და მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ფორმის წარმომავლობის მოგონებითაა გამოწვეული.

შემდეგში და შემდეგში I და II სერიის ფორმების ზეგავლენით, მათთან შეგუებით თუ მხარის აბმით, მათი შინაარსის შესაბამისად სახელობითში მღგარი სახელი პირდაპირ ობიექტად აღიქმეს, ხოლო მიცემითში მღგარი — სუბიექტად. ამიტომაა, რომ დღეს ერთმანეთის გაგრიძელებად გვესახება სამივე სერიის ეს ფორმები: კაცი წერს წერილს, კაცმა დაწერა წერილი და კაცს დაუწერია წერილი. არსებობდა რომ ვთქვათ, ეს ძველ ქართულშიც დაახლოებით ასეთი შინაარსით ესმოდათ, თუმცა ზნის ისტორია და ფორმა სხვას ამბობდა. აი, ეს ყოფილი სუბიექტი, მერვე პირდაპირ ობიექტად აღქმული და მიღებული სახელი, მრავლობითში სუბიექტური პირის ნიშნებით აღინიშნებოდა (ასეც უნდა მომხდარიყო: /ყოფილი/ სუბიექტი სუბიექტური ნიშნით უნდა ყოფილიყო გამოხატული). ეს ნიშნები იყო თ (I და II პირისათვის) და ან, ეს და ნ (III-ისათვის).

ქვემოთ წარმოვადგენთ ამ ორმაგებუნიანი ფორმების უღლების პარადიგმებსა და სათანადო ნიმუშებს ძველი ძეგლებიდან.

## ა. I თურმეობითი

### ა) ან და ან თამისნიშნისი ზნები

მო-მ-ი-კლ-ე-ან	მე	იგინი	მო-მ-ი-ბმ-ან
მო-გ-ი-კლ-ე-ან	შენ	"	მო-გ-ი-ბმ-ან
მო- უ-კლ-ე-ან	მას	"	მო- უ-ბმ-ან
(ე.) მო-მ-ი-კლ-ე-ან	ჩუენ	"	მო-მ-ი-ბმ-ან
(ი.) მო-გ-უ-ი-კლ-ე-ან	"	"	მო-გ-უ-ი-ბმ-ან
მო-გ-ი-კლ-ე-ან	თქუენ	"	მო-გ-ი-ბმ-ან
მო- უ-კლ-ე-ან	მათ	"	მო- უ-ბმ-ან
და-მ-ი-მარხ-ე-ან			აღ-მ-ი-თქუ-მ-ან
და-გ-ი-მარხ-ე-ან			აღ-გ-ი-თქუ-მ-ან
და- უ-მარხ-ე-ან			აღ- უ-თქუ-მ-ან
(ე.) და-მ-ი-მარხ-ე-ან			აღ-მ-ი-თქუ-მ-ან
(ი.) და-გ-უ-ი-მარხ-ე-ან			აღ-გ-უ-ი-თქუ-მ-ან
და- უ-მარხ-ე-ან			აღ- უ-თქუ-მ-ან

მ-ი-ხილ-ე-ან	მო-მ-ი-ხ-უ-მ-ან
გ-ი-ხილ-ე-ან	მო-გ-ი-ხ-უ-მ-ან
უ-ხილ-ე-ან	მო- უ-ხ-უ-მ-ან
(e.) მ-ი-ხილ-ე-ან	მო-მ-ი-ხ-უ-მ-ან
(i.) გ-უ-ი-ხილ-ე-ან	მო-გ-უ-ი-ხ-უ-მ-ან
გ-ი-ხილ-ე-ან	მო-გ-ი-ხ-უ-მ-ან
უ-ხილ-ე-ან	მო- უ-ხ-უ-მ-ან

აე და ამ თემის ნიშნების ა ხმოვანი ამოღებულია მომდევნო ან სუფიქსის მიერ.

რომ უფრო ნათლად ჩანდეს პირისა და ქცევის ნიშნები, I ობიექტური პირის (მრ. რ.) ინკლუზიური ფორმები დაშლილად არის წარმოდგენილი: მო-გ-უ-ი-კლ-ე-ან, მო-გ-უ-ი-ბ-მ-ან, თუმცა ტექსტებში უფრო ხშირად შერწყმული სახით გვხვდება, ვთი: მო-გ-კლ-ე-ან, მო-გ-ბ-მ-ან.

სუბიექტური წყობისას (რაც იშვიათად გვხვდება) გვექნებოდა:

მო-უ-კლ-ა-ვ-თ	გან-უ-ს-ხ-ამ-თ
მო-უ-კლ-ა-ვ-თ	გან-უ-ს-ხ-ამ-თ
მო-უ-კლ-ე-ან	გან-უ-ს-ხ-მ-ან და სხვ.

ნიშნუბანი ძველმედიან: კაცნი მინახან ყოვლად ჯორცითა მყოფნი (ზარზმ. 191,43); რამეთუ ესოდენსა ჟამსა არა გვნახან იგინი ჩუენ (Sin. 62, 132va,18); მცირედ ვენახნი ჭირით და ურვით დაუნერგან (ხანძთ. 218,23); რომელნი დაშთომილ იყენეს, იგინი მოგისრვან (საკ. წ. II, 62,29); რომელსა უტვრთვან დაბადებულნი ძალითა საღმრთოითა (სას. პ. 112,283); სურვილითა მათითა გეტვრთვან ძუალნი მათნი, რამეთუ დლითი-დლე სიკუდილსა მოგუავსენებენ (მალ. 95,36); სიყუარულსა სარგებლისასა და პატივისა და განსუენებისასა წარუტყუენვან ყოველთა კაცთა გონებანი (სწავ. 285,17); რავდენნი ხილვანი და ჩუენებანი უხილვან და არავისა ინება თხრობად (ს. მეს. 71,18).

რაოდენნივე დამიზმან ჟამნი უდაბნოს მყუდროებით მსახურებასა შინა ღმრთოსა ჩემისასა (კომ. I, 49,12); ხოლო მე ასერგასისთა მათგან საკითხავთა შორის შედნი გამომიხუშან (ურთ. 197,25); საფასენი კეთილთა საქმეთანი დაუსხმან ცათა შინა (მალ. 82,2); რამეთუ ფერეთ-შესასხმელნი რკინანი შეუსხმან უკეთურსა მას (კომ. I, 225,13); შედნი კარნი განვიხუშან თავსა შენსა (სწავ. 148,26).

#### ბ) სხვა ბარაბაპაალი ზმნები

ყველგან მრავლობითის ნიშნად გვაქვს ან, რომელიც წინამავალ ე ხმოვანს ამოაგდებს (და-უ-წერ-ი-ე-ს, მაგრამ: და-უ-წერ-ი-ან ← \*და-უ-წერ-ი-ე-ან):

და-მ-ი-წერ-ი-ან	მე	იგინი	შე-მ-ი-კრებ-ი-ან
და-გ-ი-წერ-ი-ან	შენ	"	შე-გ-ი-კრებ-ი-ან
და- უ-წერ-ი-ან	მას	"	შე- უ-კრებ-ი-ან



(e.)	ლა-ში-წერი-იან	ჩუენ	"	შე-ში-კრებ-იან
(i.)	ლა-გუ-ი-წერი-იან	"	"	შე-გუ-ი-კრებ-იან
	ლა-გ-ი-წერი-იან	თქუენ	"	შე-გ-ი-კრებ-იან
	ლა- უ-წერი-იან	მათ	"	შე- უ-კრებ-იან

	გან-ში-ტეე-ებ-იან	მი-კურთხ-ეე-იან		გან-ში-ზრდ-იან
	გან-გ-ი-ტეე-ებ-იან	გ-ი-კურთხ-ეე-იან		გან-გ-ი-ზრდ-იან
	გან- უ-ტეე-ებ-იან	უკურთხ-ეე-იან		გან- უ-ზრდ-იან
(e.)	გან-ში-ტეე-ებ-იან	მი-კურთხ-ეე-იან		გან-ში-ზრდ-იან
(i.)	გან-გუ-ი-ტეე-ებ-იან	გუ-ი-კურთხ-ეე-იან		გან-გუ-ი-ზრდ-იან
	გან-გ-ი-ტეე-ებ-იან	გ-ი-კურთხ-ეე-იან		გან-გ-ი-ზრდ-იან
	გაყნ- უ-ტეე-ებ-იან	უკურთხ-ეე-იან		გან- უ-ზრდ-იან

	გან-ში-ტფ-ობ-იან	მი-ში-ც-ემ-იან		მი-ყოფ-იან
	გან-გ-ი-ტფ-ობ-იან	მი-გ-ი-ც-ემ-იან		გ-ი-ყოფ-იან
	გან- უ-ტფ-ობ-იან	მი- უ-ც-ემ-იან		უ-ყოფ-იან
(e.)	გან-ში-ტფ-ობ-იან	მი-ში-ც-ემ-იან		მი-ყოფ-იან
(i.)	გან-გუ-ი-ტფ-ობ-იან	მი-გუ-ი-ც-ემ-იან		გუ-ი-ყოფ-იან
	გან-გ-ი-ტფ-ობ-იან	მი-გ-ი-ც-ემ-იან		გ-ი-ყოფ-იან
	გან- უ-ტფ-ობ-იან	მი- უ-ც-ემ-იან		უ-ყოფ-იან

სუბიექტური წყობისას იქნებოდა:

ლა-უწერი-ი-ეთ	მი-უ-ც-ემ-ი-ეთ
ლა-უწერი-ი-ეთ	მი-უ-ც-ემ-ი-ეთ
ლა-უწერი-იან	მი-უ-ც-ემ-ი-ან ლა სხვ.

**ნიშნავები ტექსტებიდან:** შუე და მთოვარე ლა ეარსკულაენი მას ლაუბადებთან (ბაღ. 92,32); მოიმი, საღა არა სთესი, ლა შეიკრიბი, რომელ არა განგიბნევიან (მ. 25,24); ესენი უფალსა უბლურებისა ჩუენისათვის უბოძებთან (ასურ. 164,4 წ); ამისთვის დაგიბრძობიან თავით თვისით თუაღნი ევე გულისა შენისანი (კომ. I, 136, 27); თუაღთა ჩემთა მრავალნი ცრემლნი დაუთხვევან შენთვის (სწავ. 119,22); რადთა მწუხარე ვიყო შენთვის დაკლებისათვის კეთილთა მათ, რომელნი მოძოგან (ბაღ. 104,6); ღამილევიან ღღენი ჩემნი ბოროტთა შინა საქმეთა (სწავ. 247,11); იხილენით მვეკნი ესე, რომელ განმომზადებთან თქუენთვის (კომ. II, 24,30); ესენი უფალსა ველთა ჩუენთა უბლურებისა ნუგემინის-საცემელად მოუნიჭებთან (ასურ. 164,6 წ); განგიყრიან შენგან ისარნი განკითხვისა ლა შესმენისანი (სწავ. 137,18); მარცხენით-კერძონი იგი საბრკენი შეუსწავლიან (ბაღ. 67,28); ზოლო რომელნი /ცოდენი/ მიქმნიან მე.... ვინ შემძლებელ არს განრინებად ჩემდა მათგან (სწავ. 261,3); სხუანი-ცა ესე ორნი ძენი ჩემნი მომიყვანებთან წინაშე სიწმიდისა შენისა (ასურ. 173,24); რადსათვის ესოდენ შეურაცხ-გიყოფიან უბლეველნი მეფენი (კომ. II, 62,24); აწ უკუე

წარმომოცემან ვენი წინაშე მეფობისა თქუენისა, რაითა ... განიკითხნეთ იგინი (კობ. II, 22,29); და შეუცთუნებთან ყოველნი (იქვე, 39,17); ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა დიდსა დიდითა ვედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა (აღწ. 145,5); რომელთა განუწმდიან თავნი მათნი ცოდვისაგან და ღმერთსა იწურთიან მარადის (Sin. 80, 13,12 ქვ.); რომელსა მრავალნი სულნი წარუწყმდიან (ქრისტინ. 192,16); ფერენი არა დაგიწყობან სახლსა შინა ჩემსა (აღწ. 170,10); ვითარმედ იხილნა იგინი მეფემან. შეუხდა, რამეთუ ესრეთ ჰგონებდა, ვითარმედ აუწყუდნიან ქუეყანით სრულიად (ბალ. 95,25); რომელთა არარაჲ აქუს საუმართაგანი, განუცმობან გუამნი მათნი მარხვითა (სწავ. 25,20).

I თურმეობითის ხოლმეობითის მაგალითები (სადაც პირდაპირი ობიექტი მრავლობითია), ძალიან ცოტაა (შეუმოსიედ, უქმნიედ, შეუსხმნიედ, შეუბორკილებიედ). მათზე საუბარი გვაქვს ზემოთ (გვ. 240) და აქ აღარ გავიმეორებთ.

### b. II თურმეობითი

II თურმეობითში ყველა გარდამავალი ზმნა ერთნაირად იუღვლის და ერთი სახე აქვს. ეს იმიტომ, რომ, როგორც აღნიშნული გვაქვს, II თურმეობითი ენიანი ენებითის წყვეტილს ეყრდნობა, ხოლო რაკი წყვეტილში (და, საერთოდ, II სერიის მწკრივებში) ზმნებს თემის ნიშნები არა აქვს. ამიტომ თემის ნიშნებზე დამყარებული განსხვავებაც ისპობა. წარმოვადგენთ უღლების პარადიგმებს, როცა პირდაპირი ობიექტი (ყოფილი სუბიექტი) მრავლობითში იქნება დასმული.

	და-მ-ე-წერ-ნ-ეს	მე	იგინი	შე-მ-ე-კრიბ-ნ-ეს
	და-გ-ე-წერ-ნ-ეს	შენ	"	შე-გ-ე-კრიბ-ნ-ეს
	და-ე-წერ-ნ-ეს	მას	"	შე-ე-კრიბ-ნ-ეს
(e.)	და-მ-ე-წერ-ნ-ეს	ჩუენ	"	შე-მ-ე-კრიბ-ნ-ეს
(i.)	და-გ-ე-წერ-ნ-ეს	"	"	შე-გ-ე-კრიბ-ნ-ეს
	და-გ-ე-წერ-ნ-ეს	თქუენ	"	შე-გ-ე-კრიბ-ნ-ეს
	და-ე-წერ-ნ-ეს	მათ	"	შე-ე-კრიბ-ნ-ეს

	გან-მ-ე-ტევ-ნ-ეს	გან-მ-ე-ზარდ-ნ-ეს	მ-ე-კურთხ-ნ-ეს
	გან-გ-ე-ტევ-ნ-ეს	გან-გ-ე-ზარდ-ნ-ეს	გ-ე-კურთხ-ნ-ეს
	გან-ე-ტევ-ნ-ეს	გან-ე-ზარდ-ნ-ეს	ე-კურთხ-ნ-ეს
(e.)	გან-მ-ე-ტევ-ნ-ეს	გან-მ-ე-ზარდ-ნ-ეს	მ-ე-კურთხ-ნ-ეს
(i.)	გან-გ-ე-ტევ-ნ-ეს	გან-გ-ე-ზარდ-ნ-ეს	გ-ე-კურთხ-ნ-ეს
	გან-გ-ე-ტევ-ნ-ეს	გან-გ-ე-ზარდ-ნ-ეს	გ-ე-კურთხ-ნ-ეს
	გან-ე-ტევ-ნ-ეს	გან-ე-ზარდ-ნ-ეს	ე-კურთხ-ნ-ეს

გან-მ-ე-ტფ-ნ-ეს	მი-მ-ე-ც-ნ-ეს	მი-ე-ყვ-ნ-ეს
გან-გ-ე-ტფ-ნ-ეს	მი-გ-ე-ც-ნ-ეს	გ-ე-ყვ-ნ-ეს
გან-ე-ტფ-ნ-ეს	მი-ე-ც-ნ-ეს	ე-ყვ-ნ-ეს

(e.)	გან-მ-ე-ტფ-ნ-ეს	მი-მ-ე-ც-ნ-ეს	მ-ე-ყვ-ნ-ეს
(i.)	გან-გ-უ-ე-ტფ-ნ-ეს	მი-გ-უ-ე-ც-ნ-ეს	გ-უ-ე-ყვ-ნ-ეს
	გან-გ-ე-ტფ-ნ-ეს	მი-გ-ე-ც-ნ-ეს	გ-ე-ყვ-ნ-ეს
	გან-ე-ტფ-ნ-ეს	მი-ე-ც-ნ-ეს	ე-ყვ-ნ-ეს

როცა ზმნის ფუძის ბოლოს ნ ბგერა გვაქვს, თავს მოიყრის ერთად ორი ნ:

	გან-მ-ე-კურნ-ნ-ეს	აღ-მ-ე-შენ-ნ-ეს	მ-ე-ქნ-ნ-ეს
	გან-გ-ე-კურნ-ნ-ეს	აღ-გ-ე-შენ-ნ-ეს	გ-ე-ქნ-ნ-ეს
	გან-ე-კურნ-ნ-ეს	აღ-ე-შენ-ნ-ეს	ე-ქნ-ნ-ეს
(e.)	გან-მ-ე-კურნ-ნ-ეს	აღ-მ-ე-შენ-ნ-ეს	მ-ე-ქნ-ნ-ეს
(i.)	გან-გ-უ-ე-კურნ-ნ-ეს	აღ-გ-უ-ე-შენ-ნ-ეს	გ-უ-ე-ქნ-ნ-ეს
	გან-გ-ე-კურნ-ნ-ეს	აღ-გ-ე-შენ-ნ-ეს	გ-ე-ქნ-ნ-ეს
	გან-ე-კურნ-ნ-ეს	აღ-ე-შენ-ნ-ეს	ე-ქნ-ნ-ეს

როგორ უნდა გაანალიზდეს ფორმებში გამოყოფილი ელემენტები? — როგორც აღნიშნული გვქონდა, ვთქვათ, და-მ-ა-წარ-ნ-ის ფორმაში და ზმნისწინა, მ — I ობიექტური პირის ნიშანი, ამჟამად ინვერსიის გამო სუბიექტს გამოხატავს; ე წარმოშობით ვნებითი გვარის მაწარმოებელია, თუმცა ფორმა ამჟამად მოქმედებითად გაიაზრება, წერ — ძირი, ნ — წარმოშობით პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატველი ენ სუფიქსის შეკუმშული სახე (იგი შეკუმშა ეს სუფიქსმა. ენ სუფიქსი გადმოჰყვებათ პრეფიქსიან ვნებითი გვარის ზმნებს სათანადო მოქმედებითიდან: და-ე-წერ-ენ მე იგინი → თვით იგინი და-ი-წერ-ნ-ეს), ეს III სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანია, რომელიც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს. ასეთი იქნება სხვა ფორმების შედგენილობის მორფოლოგიური ანალიზიც.

ახლა მოვიყვანოთ სათანადო მაგალითებს ძველი ძეგლებიდან:

ჯორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას (შუშ. 137,44); იხილა ... თავი მისი და ფერჯნი, რამეთუ დაებძარნეს (ნოვ. II, 252,20); იგინი მოფენეს საუნჯედ და სიძლიდრედ თვსად (ასურ. 41,19); პირველადე წარეგ ზაენნეს მას დედაი და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი (აბო 164,36); თვსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს და იგინი ილუწიდეს მათ (ხანძთ. 224,39); რომელნი მათ განეკუთნეს და შეეწუნნეს, შეაჩუნნეს, და რომელნი მათ ედიდნეს, აღიდნეს (კიმ. I, 97, 7); დაედრიქნეს პირნი მათნი ქუეყანად (ლ. 24,5); მეფესა პერაკლეს ... მრავალნი ქალაქნი დაეაყრნეს და პალატნი სამეუფონი და ათასეული ერისა მათისაი მოესრა და რომელი წარტყუენულ იყვენს ბერძენთაგანნი. უკუმოიყვანნეს და მონებისაგან განეთავისუფლნეს ძალითა ქრისტ(ს)ითა (წარტყ. 65, 3-7); წარეკითხნეს ებისტოლენი მისნი (კიმ. I, 66,16); აღეშენა მონასტერი და ძმანი შეეკრიბნეს (კიმ. II, 165,24); ერჩდეს მას, რამეთუ მრავლით ყამითგან გრძნებითა განეკვრენეს იგინი (მოც. 8,11); რომელთა აღულუნეს ენანი მათნი მოსეს ზედა (სწავ. 278,15); რომელნი-იგი ეშმაკსა განეშწარნეს სიმწართა თვსითა (სწავ. 180,29); ვხედვედი მეფეთა მათ ძალ-დიდთა და ყოველთა მთავართა, რამეთუ

ცოცხლივ შთაენთქნეს ეშმაკსა (მოქც. 230,12); განკვრეებასა შეეპყრნეს იგინი (ასურ. 119,16 ♀); სრულიად დაეეწყა სხეული და არარად შეერაცხნეს საშუებელნი სოფლისანი (ასურ. 43,9); ხოლო მარიამს დაესხნეს ყოველნი ესე სიტყუანი და დაედუ გულსა თვისსა (ლ. 2,19); ხოლო წმიდასა მამასა იოვანეს წარმოეტანნეს ქუეყანით თვისით ნაწილინი წმიდათა მოწამეთანი (ასურ. 40,10 ♀); მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი ექნნეს უმრავლესნი ძალნი მისნი (მ. 11,20); ნაბუქოდონოსორს მოეყვანნეს და დაეშენეს ქუეყანასა მას გალილეველთასა და პალესტინელთასა (თუალოთ. 90,5-6); დაუდუ მათ კანონი ნეტარმან მან, ვითარცა სხუათა მონასტერთა, რომელნი მას ეშენნეს (კომ. II, 173,37); ამას ხუცესსა ეშენეს მრავალნი შვილნი (კომ. I, 329,7); რომელნი დაეწუნეს ეკლესიანი (კომ. II, 206,25).

რათა განუტევენს ყოველნი, რომელნი შეეწყუდივნეს საყრობილესა (ბალ. 135,24); ვითარცა მიუხლა ადგილსა მას, სადა-იგი ასონი მართლისანი განეკრნეს, გარდამოვდა იგი სავედრისაგან თვისისა (კომ. II, 14,34); უკუეთუშუა არა გული მისი დარჩომოდ იყო სოლომს, არამცა უკუნებდნეს ქმრისა მისისაგან ხილვად დაწუეასა მას (სწაე. 196,11); ყოველნი ესე სასწაულნი და საქენი, რომელნი-იგი პირველ ებისკოპოსობისა და უკუანაისკენელ ეხილენეს, მოპითხრნეს (ზარზმ. 200,42); ყოველთა ერთბამად აღეშთო და აღეხუნეს მართუენი თვისნი (ასურ. 114,24 ♀).

### ც. III ხოლმეობითი

გან-მ-ე-ვლ-ნი-ი-ან	მე	იგინი	მო-მ-ე-ს-რ-ნი-ი-ან
გან-გ-ე-ვლ-ნი-ი-ან	შენ	"	მო-გ-ე-ს-რ-ნი-ი-ან
გან- ე-ვლ-ნი-ი-ან	მას	"	მო- ე-ს-რ-ნი-ი-ან
(ე.) გან-მ-ე-ვლ-ნი-ი-ან	ჩუენ	"	მო-მ-ე-ს-რ-ნი-ი-ან
(ი.) გან-გ-ე-ვლ-ნი-ი-ან	"	"	მო-გ-ე-ს-რ-ნი-ი-ან
გან-გ-ე-ვლ-ნი-ი-ან	თქვენ	"	მო-გ-ე-ს-რ-ნი-ი-ან
გან- ე-ვლ-ნი-ი-ან	მათ	"	მო- ე-ს-რ-ნი-ი-ან

მ-ე-ტ-ვ-რ-თ-ნი-ი-ან	მ-ე-ქ-ნ-ნი-ი-ან
გ-ე-ტ-ვ-რ-თ-ნი-ი-ან	გ-ე-ქ-ნ-ნი-ი-ან
ე-ტ-ვ-რ-თ-ნი-ი-ან	ე-ქ-ნ-ნი-ი-ან
(ე.) მ-ე-ტ-ვ-რ-თ-ნი-ი-ან	მ-ე-ქ-ნ-ნი-ი-ან
(ი.) გ-ე-ტ-ვ-რ-თ-ნი-ი-ან	გ-ე-ქ-ნ-ნი-ი-ან
გ-ე-ტ-ვ-რ-თ-ნი-ი-ან	გ-ე-ქ-ნ-ნი-ი-ან
ე-ტ-ვ-რ-თ-ნი-ი-ან	ე-ქ-ნ-ნი-ი-ან

ბან-მ-ა-ვლ-ნი-ი-ან ფორმაში გან ზმნისწინია, გ — II ობიექტური პირის ნიშანი, რომელიც ინერსიის გამო ამჟამად სუბიექტს გამოხატავს, ე აქაც წარმოშობით ენებითი გვარის პრეფიქსია, ვლ — შეკუმშული ძირი, ი ხოლმეობითის მწკრივის ნიშანია, ან კი — III სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანი, რომელიც ამჟამად პირდაპირ ობიექტს გამოხატავს.

III ხოლმეობითზე უფრო ვრცლად ზემოთ გვაქვს საუბარი (გვ. 259). სათანადო მაგალითებიც იქვეა მოყვანილი ორივე რიცხვისათვის (პირდ. ობიექტი მხოლ. და მრავლ.). რადგანაც ეს მაგალითები დღესაც მცირე რაოდენობით არის მოპოვებული. გასაყოფად არ ღირს და აქ საჭირო ფორმებისათვის მკითხველს იქ გავაგ ზაენით.

**d. III კავშირებითი**

	ლა-მ-ე-წერ-ნ-ენ	მე	ოგინი	შე-მ-ე-კრიბ-ნ-ენ
	ლა-გ-ე-წერ-ნ-ენ	შენ	"	შე-გ-ე-კრიბ-ნ-ენ
	ლა- ე-წერ-ნ-ენ	მას	"	შე- ე-კრიბ-ნ-ენ
(e.)	ლა-მ-ე-წერ-ნ-ენ	ჩუენ	"	შე-მ-ე-კრიბ-ნ-ენ
(i.)	ლა-გ-უ-ე-წერ-ნ-ენ	"	"	შე-გ-უ-ე-კრიბ-ნ-ენ
	ლა-გ-ე-წერ-ნ-ენ	თქუენ	"	შე-გ-ე-კრიბ-ნ-ენ
	ლა- ე-წერ-ნ-ენ	მათ	"	შე- ე-კრიბ-ნ-ენ

	გან-მ-ე-ტევ-ნ-ენ	გან-მ-ე-ზარდ-ნ-ენ	მ-ე-კურთხ-ნ-ენ
	გან-გ-ე-ტევ-ნ-ენ	გან-გ-ე-ზარდ-ნ-ენ	გ-ე-კურთხ-ნ-ენ
	გან- ე-ტევ-ნ-ენ	გან- ე-ზარდ-ნ-ენ	ე-კურთხ-ნ-ენ
(e.)	გან-მ-ე-ტევ-ნ-ენ	გან-მ-ე-ზარდ-ნ-ენ	მ-ე-კურთხ-ნ-ენ
(i.)	გან-გ-უ-ე-ტევ-ნ-ენ	გან-გ-უ-ე-ზარდ-ნ-ენ	გ-უ-ე-კურთხ-ნ-ენ
	გან-გ-ე-ტევ-ნ-ენ	გან-გ-ე-ზარდ-ნ-ენ	გ-ე-კურთხ-ნ-ენ
	გან- ე-ტევ-ნ-ენ	გან- ე-ზარდ-ნ-ენ	ე-კურთხ-ნ-ენ

	გან-მ-ე-ტფ-ნ-ენ	მი-მ-ე-ც-ნ-ენ	მ-ე-ყვ-ნ-ენ
	გან-გ-ე-ტფ-ნ-ენ	მი-გ-ე-ც-ნ-ენ	გ-ე-ყვ-ნ-ენ
	გან- ე-ტფ-ნ-ენ	მი- ე-ც-ნ-ენ	ე-ყვ-ნ-ენ
(e.)	გან-მ-ე-ტფ-ნ-ენ	მი-მ-ე-ც-ნ-ენ	მ-ე-ყვ-ნ-ენ
(i.)	გან-გ-უ-ე-ტფ-ნ-ენ	მი-გ-უ-ე-ც-ნ-ენ	გ-უ-ე-ყვ-ნ-ენ
	გან-გ-ე-ტფ-ნ-ენ	მი-გ-ე-ც-ნ-ენ	გ-ე-ყვ-ნ-ენ
	გან- ე-ტფ-ნ-ენ	მი- ე-ც-ნ-ენ	ე-ყვ-ნ-ენ

თუ ზნას ფუძის ბოლოს ნ ბგერა მოუდის, ყველა პირში ორი ნ მოიყრის  
თავს:

	გან-მ-ე-კურნ-ნ-ენ	აღ-მ-ე-შენ-ნ-ენ	მ-ე-ქნ-ნ-ენ
	გან-გ-ე-კურნ-ნ-ენ	აღ-გ-ე-შენ-ნ-ენ	გ-ე-ქნ-ნ-ენ
	გან- ე-კურნ-ნ-ენ	აღ- ე-შენ-ნ-ენ	ე-ქნ-ნ-ენ
(e.)	გან-მ-ე-კურნ-ნ-ენ	აღ-მ-ე-შენ-ნ-ენ	მ-ე-ქნ-ნ-ენ
(i.)	გან-გ-უ-ე-კურნ-ნ-ენ	აღ-გ-უ-ე-შენ-ნ-ენ	გ-უ-ე-ქნ-ნ-ენ
	გან-გ-ე-კურნ-ნ-ენ	აღ-გ-ე-შენ-ნ-ენ	გ-ე-ქნ-ნ-ენ
	გან- ე-კურნ-ნ-ენ	აღ- ე-შენ-ნ-ენ	ე-ქნ-ნ-ენ

ბი-ჰ-ა-ც-ნ-ა-ნ ფორმაში მი ზმნისწინია, მ — I ობიექტური პირის ნიშანი, რომელიც ინვერსიის გამო ამჟამად სუბიექტს გამოხატავს; ე წარმოშობით ვნებითი გვარის მწარმოებელია, თუმცა ფორმა ამჟამად მოქმედებითად გვესმის; ც ძირია; ნ, რომელიც მას მოსდევს. წარმოშობით პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მწარმოებელი ენ სუფიქსის შეკუმშული სახეა, იგი შეკუმშა მომდევნო ე ბოლოსართმა, რომელიც მწკრივის ნიშანია; ბოლო ნ III სუბიექტური პირის ნიშანია მრავლობითში. ცალკე ნ (პირისა და) რიცხვის ნიშნად აქვს მხოლოდ კავშირებითებს (მისცემდე-ნ, მისცე-ნ, მიეცნენ-).

III კავშირებითი, როგორც აღნიშნული გვეჩინდა, საერთოდ, ნაკლებად იხმარება, განსაკუთრებით იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია. ამ მწკრივზე უფრო ვრცლად ზემოთ გვაქვს ნათქვამი, სადაც მის შინაარსს, წარმოებასა და მწკრივთა შორის მის ადგილს ვეხებით (გვ. 263), მაგალითებიც იქვეა მოყვანილი და აქ აღარ გაეიმეორებთ.

ამით ვამთავრებთ საუბარს მწკრივების შესახებ და გადავდივართ ვნებითი გვარის ზმნების შესწავლაზე.

## VI. ჰენოტიზმი გვარის ზმნათა წარმოების თავისებურებაში

გვარი ქართულში მკვეთრად გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა. ძველი ქართული ახალთან შედარებით უფრო მდიდარი იყო გვარის ფორმებით. ახალ ქართულში ამ კატეგორიის წარმოება მცირედენ გამარტივდა, დაიხვეწა და გარკვეული ფალობები დამკვიდრდა. ძველ ქართულში კარგად არის ასახული გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების თანდათანობითი პროცესი, შეუნელებელი ჭიდილი ძველსა და ახალს შორის, ამ ნიადაგზე წარმოქმნილი პარალელური ფორმები, რომლებიც ერთიმეორის გვერდით არსებობენ. ფორმათა ამ სიჭრელეს ზოგჯერ შესაძლებელია ძველი ქართული სალიტერატურო ენა აძლევდეს საკვებს, ხოლო ზოგჯერ, დასაშვებია, სხვადასხვა კილოში ჰქონდეს ფესვები გადგმული. ენაში უმეტესად ორივე ეს ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს და ქმნის ნაირ-ნაირ ფორმებს<sup>17</sup>.

ა. შანიძის თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ და ვეყრდნობით და რომელიც, ცხადაა, ცნობილია ჩვენი მკითხველისათვის, ქართულში გვაქვს სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.<sup>18</sup> თავის მხრივ, ვნებითი გვარის ზნა შეიძლება იყოს დინამიკური და სტატიკური<sup>19</sup>. რაკი ფორმის თვალსაზრისით ვნებითი გვარი იყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, ჩვენც სწორედ მასზე შევჩერდებით სპეციალურად.

ძველ ქართულშიც ნათლად გამოიყოფა სამი ტიპის ვნებითი<sup>20</sup>. ესენია:

1. პრეფიქსიანი ვნებითი, რომელიც ორ ქვეჯგუფს მოიცავს:

a) ინიანს: ი-თქმის, ი-სმის, ი-ძლევის, ი-ძრვის, აღ-ი-ესების, ი-ცვალების.  
b) ენიანს: ე-ღმის, შე-ე-მთხუევის, ე-რევის, ე-სმის, ე-ვედრების, ე-ზიარების, ე-კრძალების.

2. სუფიქსიანი, რომელიც აგრეთვე ორი ქვეჯგუფით არის წარმოდგენილი. ესენია:

a) ენ სუფიქსიანი: განელი-ენ, განელი-ენ, დავლახაკ-ენ, შეეწუხ-ენ, დავდუმ-ენ.

b) დონიანი: დაბერ-და, განძლიერ-და, განმართლ-და, დაბუელ-და, შეძრ-

<sup>17</sup> ქართული ზნის გვარის კატეგორიის ისტორიის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია ბ.ჯორბენაძის ნაშრომი "ზნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში", 1975.

<sup>18</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 280.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 313.

<sup>20</sup> რაკი სტატიკური ვნებითების რიცხვი მცირეა (ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 315). კერძოდ, ბით მათ არ ვიღებთ მხედველობაში.

წუნ-ღა.

3. უნიშნო: ღავადგერ, ღავღენ. შევღერკ, განკეკერთ, მოკეკედ, განკტეფ, ღავკვენ, ღავსცხერ.

ყველა ამათგანს (ხუთივე ჯგუფს) გარკვეული თავისებურება ახასიათებს ძველ ქართულში (განსაკუთრებით პირველ ოთხს), ამიტომ ყველა ისინი უნდა მიმოვიხილოთ. მაგრამ სანამ მათ ცალ-ცალკე დაწვრილებით გაეანალიზებდეთ, უზჯოხესია ჯერ ეწვეწნოთ მათი საერთო ღამახასიათებელი თვისებები, რომ შემღღე-ში. ამ ჯგუფების ცალ-ცალკე მიმოხილვისას, განმეორება არ მოგვიხდეს. ეს საერთო თვისებებია:

1. მესამე სუბიექტური პირის ნიშნად აწმყოში ყველას აქვს მხოლოდ ს სუფიქსი: იცვალები-ს, ევეღრები-ს, შეწუნხნები-ს, დაბერღები-ს, განტფეები-ს. ახალ ქართულში ყველა ამ შემთხვევაში ა გვაქვს: იცვლება, ევეღრება, წუნხდება, ბერღება, თბება. თუ ძველი ფორმა გადმონაშთის სახით შემორჩა ღღეღღე, ს-ც შემონახუ-ღა: ნავი არ იძერი-ს, მისი ხმა არა მესმი-ს, სანთელი იწვი-ს, ქერღს ქული ეწვი-ს. ეს ეხება მხოლოდ ინ-წნიანი ვნებითების უძველეს წარმოებას, რომელშიც ებ სუფიქ-სი ჯერ კიდევ არ არის შესული. სადაც ებ გვაქვს, ღღეს აქ ს პირის ნიშნად არსად გვხვდება: შეიძერება, მოესმება, ღაიწვება, ღაეწვება.

2. ყველა ვნებითს აქვს უკვე აღნიშნული ს-ს წინ ე-ბ დაბოლოება: ინ-წნიანი ვნებითებში ამის პარალელურად შეიძლება იყოს უფრო ძველი ღროიღან მომღინარე ე-ბ ან მ-ბ დაბოლოება: ი-ძრ-ვი-ს, ი-თქუ-მ-ი-ს, მაგრამ ამათ გვერდით უკვე არის შე-ი-ძრ-ვი-ებ-ი-ს, ი-თქუ-მ-ებ-ი-ს.

3. ყველა ვნებითს აქვს ოდ საერცობი: იცვალებ-ოდ-ა, ევეღრებ-ოდ-ა, შეწუნხნებ-ოდ-ა, ტფებ-ოდ-ა. გამონაკლისად მიჩნეული ისეთი ე პრეფიქსიანი ზნები, როგორიცაა ე-ღღოვ-ს, ე-კიცხევ-ს, ე-მღერ-ს, ე-რჩ-ი-ს, ე-ს-ავ-ს, ე-ტყ-ებ-ს, ე-მურ-ობ-ს, ე-მულ-ობ-ს... ვნებითი გვარისა არც უნდა იყოს, ესენი უფრო საშუაღ გვარს უნდა განეკუთვნონ და ამიტომ ბუნებრივია, თუ მათ არა აქვთ ვნებითათვის ღამახა-სიათებელი ძირითადი ნიშნები — ოდ საერცობი, (ებ)-ბ დაბოლოება (ი სუფიქსი იმათგან მხოლოდ ერთს აქვს: ერჩ-ი-ს, მაგრამ ეს გვიანღელი მოვლენა უნდა იყოს. სიმპტომურია, რომ, ამის მიუხედავად, ზნაში ოდ არ შესულა). ერთი სიტყვით, ოდ საერცობი ნამღვიღ ვნებითათვის მოუცილებელი მორფოლოგიური ნიშანია.

4. წინა ნიშანს უკავშირდება კიდევ ერთი საერთო თვისება: ყველა ვნებითი გვარის ზნას უწყვეტელში მწკრივის ნიშნად აქვს ე სუფიქსი, ხოლო I კავშირებით-ში — ი სუფიქსი.

უნყვ.

ე-ტფ-ებ-ოდ-ე

ს-ტფ-ებ-ოდ-ე

ტფ-ებ-ოდ-ა

ე-ტფ-ებ-ოდ-ე-თ

ს-ტფ-ებ-ოდ-ე-თ

ტფ-ებ-ოდ-ეს

I კავშ.

ე-ტფ-ებ-ოდ-ი

ს-ტფ-ებ-ოდ-ი

ტფ-ებ-ოდ-ი-ს

ე-ტფ-ებ-ოდ-ი-თ

ს-ტფ-ებ-ოდ-ი-თ

ტფ-ებ-ოდ-ი-ან



ამ საერთო თვისებებს ქვევით, სხვადასხვა ჯგუფის ვნებითების ცალკე განხილვისას. აღარ დაეუბრუნდებით (რაც შეეხება ამ ტიპის ზნათა უღლებას. მასზე ადრე უკვე გვქონდა საუბარი და ქვემოთ, სათანადო ადგილას, მოკლედ გავიმეორებთ ხოლმე). ახლა შევეხებით მათ ცალ-ცალკე.

#### A. ინიანი ვნებებითი

ინიანი ვნებითი ერთპირიანია. იგი ნაწარმოებია ორპირიანი მოქმედებითისაგან ი პრეფიქსის საშუალებით: კლავს იგი მას — იკვლებს იგი; მოკლა მან იგი — მოიკლა იგი; დაწერა მან იგი — დაიწერა იგი; შესუა მან იგი — შეისუა იგი; დაუნა მან იგი — დაიუნა იგი; შეკრიბა მან იგი - შეიკრიბა იგი (ერი); შეძრა მან იგი — შეიძრა იგი და სხვ. როგორც ცნობილია, მოქმედებითი გეარის ზმნის ვნებითად მოქცევისას მოქმედებითის პირდაპირი ობიექტი (დაწერა მან იგი) ვნებითში სუბიექტად იქცევა (დაიწერა იგი), ხოლო მოქმედებითის სუბიექტი კონვერსიისას აღარ უკავშირდება ზმნას და ორპირიანი ზმნა ერთპირიანად იქცევა (სათანადო სამპირიანი — ორპირიანად). მოქმედებითის თავის ვნებითზე ერთი პირით მეტი აქვს, ასევე: ვნებითს თავის მოქმედებითზე ერთი პირით ნაკლები მოუპოვება (ა. შანიძე). არ შეიძლება ინიანი ვნებითი სამპირიანი მოქმედებითს ჰქონდეს: დაუწერა მან მას იგი — ამის შესაფერისი ვნებითად დაეწერა იგი მას.

ინიანი ვნებითი ისე იუღლება, როგორც ყოველი სხვა ვნებითი — როგორც ყოველი ოდიანი ზმნა. ოდიანი ზმნების უღლებას ჩვენ უკვე გავცანით ადრე (გვ. 136). ჩვენი საკითხის სურათის სისრულისათვის აქაც გავიმეორებთ ამ უღლებას კომენტარების გარეშე, რადგან I სერიაში ასეთი ზმნები საერთო წესიდან გადახვევა-სა და თავისებურებას არ გვიჩვენებს.

#### I სარია

<u>აწმყო</u>	<u>აწ. ხოლომ.</u>
და-ე-ი-მაღ-ებ-ი	—
და- ი-მაღ-ებ-ი	—
და- ი-მაღ-ებ-ი-ს	და-ი-მაღ-ებ-ი-ნ
და-ე-ი-მაღ-ებ-ი-თ	—
და- ი-მაღ-ებ-ი-თ	—
და- ი-მაღ-ებ-ი-ან	და-ი-მაღ-ებ-ი-ედ
<u>უნწყვ.</u>	<u>I ბრძან.</u>
და-ე-ი-მაღ-ებ-ოდ-ე	—
და- ი-მაღ-ებ-ოდ-ე	და-ი-მაღ-ებ-ოდ-ე
და- ი-მაღ-ებ-ოდ-ა	და-ი-მაღ-ებ-ოდ-ე-ნ
და-ე-ი-მაღ-ებ-ოდ-ე-თ	—
და- ი-მაღ-ებ-ოდ-ე-თ	და-ი-მაღ-ებ-ოდ-ე-თ
და- ი-მაღ-ებ-ოდ-ე-ს	და-ი-მაღ-ებ-ოდ-ე-დ

უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი

და-უი-მალ-ებ-ოდ-ი

და-უი-მალ-ებ-ოდ-ით

და- ი-მალ-ებ-ოდ-ი

და- ი-მალ-ებ-ოდ-ით

და- ი-მალ-ებ-ოდ-ის

და- ი-მალ-ებ-ოდ-იან

ეს პარადოგმები კარგად არის ჩვენთვის ცნობილი. ინიანი ვნებითის მთელი თავისებურება II სერიაში იჩენს თავს — ამ სერიის ყველა მწკრივს გასდევს.

## II სერია

წყვეტ.II ბრძ.

და-უი-მალ-ე

—

და- ი-მალ-ე

და-ი-მალ-ე

და- ი-მალ-ა

და-ი-მალ-ენ

და-უი-მალ-ენ-(ი)-თ

—

და- ი-მალ-ენ-(ი)-თ

და-ი-მალ-ენ-(ი)-თ

და- ი-მალ-ენ-ეს

და-ი-მალ-ენ-ელ

II ხოლმ.II კავშ.

და-უი-მალ-ი .

და-უი-მალ-ო

და- ი-მალ-ი

და- ი-მალ-ო

და- ი-მალ-ის

და- ი-მალ-ო-ს

და-უი-მალ-ნი-ით

და-უი-მალ-ნი-ეთ

და- ი-მალ-ნი-ით

და- ი-მალ-ნი-ეთ

და- ი-მალ-ნი-იან

და- ი-მალ-ნი-ენ

მხოლოდობითში უღლება ჩვეულებრივია, თავისებურება მრავლობითში გვაქვს. რა არის ეს ენ და ნ სუფიქსი, მრავლობითში რომ იჩენს თავს? საიდან მოდის იგი?

პრეფიქსიან ვნებითებში გამოვლენილი ენ → ნ სუფიქსი წარმოშობით არის პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი, რომელიც ზმნას გადმოჰყვება ვნებითად მოქცევის შემთხვევაში: დამმალენ შენ ჩუენ — ჩუენ დავიმალენით; დავმალენ მე თქუენ — თქუენ დავიმალენით; დავმალენ მე ივინი — ივინი დავიმალენს (\* დავიმალენს).

რას შეეძლო მოეცა ვნებითის პირველი პირის ფორმა დავიმალენით? ამ ერთ ფორმას (მოქმედებითში 4 შესატყვისი აქვს. იგი შეეძლო მოეცა სათანადო მოქმედებითის 4 ფორმას:

- |                                  |      |             |
|----------------------------------|------|-------------|
| a) დამმალენ (დავუმალენ) შენ ჩუენ | ჩუენ | დავიმალენით |
| b) დამმალენა მან ჩუენ            | ·    | ·           |
| c) დამმალენით თქუენ ჩუენ         | ·    | ·           |
| d) დამმალენს მათ ჩუენ            | ·    | ·           |

მეორე პირის ფორმასაც 4 შესატყვისი აქვს მოქმედებითში:

- |                      |   |       |            |
|----------------------|---|-------|------------|
| a) დავმალენ მე თქუენ | — | თქუენ | დაიმალენით |
|----------------------|---|-------|------------|

- |                          |   |   |
|--------------------------|---|---|
| b) დაგმალნა მან თქვენ    | " | " |
| c) დაგმალენით ჩუენ თქვენ | " | " |
| d) დაგმალნეს მათ თქვენ   | " | " |

რაც შეეხება შესამე პირის ერთ დაიმალნეს ფორმას, მას მოქმედებითში ნ შესატყვისი აქვს. იგი შეეძლო მოეცა მოქმედებითის ნ ფორმას:

- |                           |                 |
|---------------------------|-----------------|
| a) დაემალენ მე ივინი —    | ივინი დაიმალნეს |
| b) დაჰმალენ შენ ივინი     | " "             |
| c) დამალნა მან ივინი      | " "             |
| d) დაემალენით ჩუენ ივინი  | " "             |
| e) დაჰმალენით თქვენ ივინი | " "             |
| f) დამალნეს მათ ივინი     | " "             |

რატომ აქვს I და II პირს 4-4 ფორმა, ხოლო III-ს — 6? — I და II პირი არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს სუბიექტიც იყოს და ობიექტიც, ამიტომ მათ ორი ფორმით (მხოლოდობითსა და მრავლობითში) ნაკლები აქვთ. III პირს ეს შეზღუდვა არ ეხება, რადგან იგი ბევრია, სხვადასხვაა; რაც არ არის I და II პირი, ყველა შესამე პირია. ამიტომ ჩვეულებრივია მან იგი მოკლა, მან იგი დაძალა, მან ივინი მოკლნა. მან ივინი დამალნა, მათ იგი დაწერეს, მათ ივინი დაწერნეს და სხვ.

სულ, მამასადამე, ვნებითის სამი პირი მრავლობითში შესაძლებელია წარმოშობილი იყოს სათანადო მოქმედებითის 14 ფორმიდან. ეს ეხება მრავლობითს, რომელიც ჩვენ ამჟამად გვიანტერესებს (თუ ამას მხოლოდობითსაც დაეუმატებდით, რომელიც აქ ახლა არ გვჭირდება, მივიღებდით, რომ ვნებითის ნ ფორმას მოქმედებითში 28 შესატყვისი ექნებოდა. ეს კარგად არის ცნობილი ა. შანიძის შრომებიდან).

მამასადამე, როცა მოქმედებითი გეარის ზმნა პრეფიქსიან ვნებითად იქცევა, პირდაპირ ობიექტს, რომელიც ვნებითში სუბიექტად არის ქცეული, თან გადმოჰყვება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი ენ → ნ სუფიქსი.

რატომ არა აქვს ენ → ნ სუფიქსი ვნებითის მხოლოდობითში (და-ე-ი-მალ-ე, და-ი-მალ-ე, და-ი-მალ-ა)? — იმიტომ, რომ ასეთი ნიშანი არა აქვს სათანადო მოქმედებითის პირდაპირ ობიექტს მხოლოდობითში: დამძალა მან მე, დაგმალე მე შენ, დამალა მან იგი.

როგორც ვნახეთ, II კავშირებითის ვნებითში ორი მწკრივის ნიშანი აქვს, ერთი — მხოლოდობითში და მეორე — მრავლობითში. რატომ ხდება ეს? რატომ გვაქვს

- |               |         |                 |
|---------------|---------|-----------------|
| და-ე-ი-მალ-ო  | მაგრამ: | და-ე-ი-მალ-ნ-ეთ |
| და- ი-მალ-ო   |         | და- ი-მალ-ნ-ეთ  |
| და- ი-მალ-ო-ს |         | და- ი-მალ-ნ-ენ  |

- |             |         |                |
|-------------|---------|----------------|
| მო-ე-ი-კლა  | მაგრამ: | მო-ე-ი-კლ-ნ-ეთ |
| მო- ი-კლა   |         | მო- ი-კლ-ნ-ეთ  |
| მო- ი-კლა-ს |         | მო- ი-კლ-ნ-ენ? |

— იმავე მიზეზის გამო: როცა სათანადო მოქმედებითის პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითშია, II კავშირებითის ნიშანი სამია — ო, ა, და ე, ხოლო როცა ეს ობიექტი

მრავლობითშია, II კავშირებითის ნიშანი ერთადერთია — ე:

ღ-ე-ძლო	იგი	მაგრამ:	ღ-ე-ძალ-ე	ივინი
ღ-პ-ძლო	"		ღ-პ-ძალ-ე	"
ღ- ძლო-ის	"		ღ- ძალ-ე-ის	"
ღ-ე-ძლო-თ	"		ღ-ე-ძალ-ე-თ	"
ღ-პ-ძლო-თ	"		ღ-პ-ძალ-ე-თ	"
ღ- ძლო-ნ	"		ღ- ძალ-ე-ნ	"

მო-ე-კლა	იგი	მაგრამ:	მო-ე-კლ-ე	ივინი
მო-პ-კლა	"		მო-პ-კლ-ე	"
მო- კლა-ის	"		მო- კლ-ე-ის	"
მო-ე-კლა-თ	"		მო-ე-კლ-ე-თ	"
მო-პ-კლა-თ	"		მო-პ-კლ-ე-თ	"
მო- კლა-ნ	"		მო- კლ-ე-ნ	"

რღა თქმა უნდა, როცა მწკრივის ნიშნად მხოლოდითში ე გვაქვს, ეგვე ე იქნება მრავლობითშიც: მო-ე-ს-ც-ე და მო-ე-ს-ც-ნ-ე.

სწორედ პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნ სუფიქსის გამოვლენა ძნელი და ენაღი ვნებითების ძირითადი დამახასიათებელი თვისება. ამიტომ ენაღი ვნებითის შესახებ საუბრისას ქვემოთ ამ საკითხზე აღარ ვილაპარაკებთ. პრეფიქსიანი ვნებითების ეს თვისება საფუძვლიანად არის გამოკვლეული ა.შანიძის შრომაში "აქტივი და პასივი ერთურობის მიმართ მრავალპირიანი ზნის ჩვენებით" (სამ, ტ. IV, N4, 1943) და მკითხველს შეუძლია მას გაეცნოს.

რაც შეეხება ენაღი ვნებითების უღლებას III სერიის მწკრივებში, აქ ახალი არაფერია სათქმელი: ისინი ისე იღვლიან, როგორც ყოველი ერთპირიანი ზნა: დამალულ ვარ, დამალულ ხარ, დამალულ არს... დამალულ ვიყავ, დამალულ იყავ, დამალულ იყო და სხვ.

ამ ზოგადი თავისებურებების აღნიშვნის შემდეგ შევეხებით ძნელ ვნებითთან დაკავშირებულ ზოგ კერძობითს საკითხსაც.

### 1. ორი თავისებური ზნა (მოიძეა, დარიღა)

ზემოთ განხილულ თავისებურებას არ იზარებს ორი ზნა, რომლებიც გამოწკრივება იმ მხრივ, რომ მათ II სერიის მწკრივებში არ მოეპოვებათ ენ → ნ სუფიქსი. ეს ზნებია მოიქცეს და დარიღეს ყველა შესაძლო ზნისწინითა და ვნებითის (ი, ე) ნიშნით. ამ გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგი სახის ვნებითის წარმოშობისა და აგებულების ისტორიისათვის. აი, რამდენიმე მაგალითი:

მოიქცეს და წარვიღეს მწყემსნი იგი (ლ. 2,20. მოიქცეს და არა მოიქცნეს, როგორც არის: მოვიღინეს, იყენეს, ითქენეს); მოიქცეს და მოუთხრეს ესე ყოველი ათერთმეტთა მათ (ლ. 24,9 C); უკუეთუ არა მოიქცეთ და იქნეთ ვითარცა ყრმანი (მ. 18,3); მოიქცნ. და მე განკურნნე ივინი (მ. 13,15); ნუკუე ... მოგაქცნ და განგხე-

თქვენ თქვენ (მ. 7.6) და ბევრი სხვა.

ღაირლუეს და დაიხსნეს ძარლუნი მკლავთა მათთანი (კობ. I, 307.20); ღაირლუეს და არა ღაირლუნეს); განირყუნეს საუნჯენი, ღაირლუეს საწნებელნი (იოველ 1.17. შდრ. განირყუნეს და ღაირლუეს!); საკერპონი ღაირლუეს (მოქც. 39.13); თორნენი და ყუერბნი ღაირლუედ (ლევ. 11,35); ოდეს-იგი ღაირლუენ მრავალყურად განწესებანი ძალთა ცისათანი, რაჟამს-იგი ღაირლუენ აგებულუბანი ეტლისთუალთანი (სწავ. 123.28); მოელოდეთ და ისწრაფდით მოსლევასა მას დღისა ღმერთისასა, რომელსა შინა ცანი მკურვალენი ღაირლუენ და წესნი დაიწუნენ და დაღნენ (2 პეტ. 3,12 წ. შდრ. აქაც ერთმანეთის გვერდით: ღაირლუენ და დაიწუნენ. ეს ფორმა გამოცემაში გასწორებულია: ღაირლუნენ, რაც არ იყო საჭირო).

ღლეკანდელ ქართულში მოხდა გათანაბრება და სათანადო ენა ამ ზმნებსაც გაუწდათ: მოიქცენენ, გაიქცენენ, წაიქცენენ, ღაირლუნენ. გათანაბრების ამ პროცესს სათავე თვით ძველ ქართულში უძევს, ნარიანი ფორმები იშვიათად იქაც გვხვდება: კაცად-კაცადმან ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თვისნი გარე-წარიქცინნენ და ზღაპრუბასა მოიქცენენ (საკ. წ. II, 46,17); მიწადვე თვსად მიიქცინან (Sin. 11, 9v,2); რამთა ნუკუეე მას შინა მოიქცენენ და აღიარონ ღმერთთა უფლებად (საკ. წ. II, 89,16 B).

მაგრამ რაღა გასაკვირია, ვნებითი გვარის ზმნებს გაუწდათ ენა სუფიქსი, როცა სათანადო ვნებითების გავლენით საშუალოა არაიშვიათად აქვთ დართული. აი, მაგალითი იმავე ხელნაწერიდან: რამეთუ ზეცით გარდამოცუივნით ყოველნი მისთანანი (საკ. წ. I, 38,27). ეს ტენდენცია სხვა ხელნაწერებიდანაც არის ცნობილი: დაეცვენით პირთა თვისთა ზედა (სინ. 267.25; კობ. I, 29,27); ესევეითარი საეშმაკობსა მის ქარისაგან შვირყინენ და დაეცვენენ (გამოცხ. 6,13 თ C).

## 2. ვნებითის დაბოლოება

ვნებითებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ებ-ი დაბოლოება. უეჭველად მხოლოდ ამ დაბოლოებით გვხვდება ყველა სუფიქსიანი (ენ სუფიქსიანი და ღონიანი). აგრეთვე უნიშნო ვნებითი: შეწუნს-ებ-ის, განძლიერდ-ებ-ის, განტფ-ებ-ის. ეს სამი ჯგუფი, ვიშორებთ, მხოლოდ ებ-ი დაბოლოებით იხმარება. ეს იმდენად დამახასიათებელია, რომ, როცა უნიშნო ვნებითებს სპეციალური მაწარმოებელი ვერ მოუნახეს, ზოგი მათ ებიან ვნებითს უწოდებდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გაუგებრობა იყო: ებ-ი შეიძლება ყველა ვნებითს ჰქონდეს. და ის, რაც ყველას აქვს, ვერ იქნება ერთი მათგანის სპეციფიკური ნიშანი.

პრეფიქსიან ვნებითებსაც ჩვეულებრივად აქვთ ებ-ი დაბოლოება, უკეთ რომ ვთქვათ, ებ სუფიქსი, რადგან მომდევნო ი ყველა ვნებითს მოეპოვება გამოუკლებლად: დაიწერების, იდიღების, აღივსების, ეზიარების, განეშხადების, შეიმკვების, განიპების, განერების, მოისპობის, განეფინების, აღეშმნების, ეწუნების, გამოიცადების, განიწმიდების, აღივოცების, განივწუნების და ბევრი სხვა.

რომ გადავხედოთ ამ მოკლე სიას, დავინახავთ, რომ აქ არის სხვადასხვაგვარი მოქმედებითების შესაბამისი ვნებითები: უთემისნიშნოთა (დაიწერების), ფუძედრეკად-

თა (განუფინების), ი თემისნიშნანთა (გამოიცადების), ებ თემისნიშნანთა (აღუშნე-ბის) და სხვა ზმნები.

მაგრამ იმავე პრეფიქსიან ენბითებს სშირად არა აქვთ ებ სუფიქსი. იგი არ მოეპოვება, უპირველეს ყოვლისა, არც ერთ ევიან ზმნას, არის ევ თემის ნიშანი (იქცევის, დაირღუევის, იკურთხევის) თუ ფუძედრეკადთათვის დამასასიათებელი (განიბნევის, შთათხევის, განილევის, შეემთხევის, იძლევის), შემდეგ ის არა აქვს ზოგ ავიან, ამან და სხვა სახის ზმნას, მაგალითად: ებრძვის, მიეგებვის, ედგმის, დაეთესვის, დაითრუნვის, შეითხზვის, მოიკლვის, შეიკრვის, იკუსვის, ეღმის, შეიბუსრვის, განიპარვის, მოირწყვის, გამოისახვის, ისმის, ესმის, იურვის, დაიფარვის, იძრვის, შეიწირვის, იჭირვის, დაიუშვის, ... ითქუმის, ეთქუმის, ერქუმის, მოისხმის, ივლტის, ევლტის, ეწყალის.

ამთ გვერდით გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომელნიც ზოგჯერ ებ სუფიქსით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი — უბისოდ. გვაქვს, მაგალითად,

ერთი მხრივ

დაიმალოდეს (კომ. II, 46,4)

დავიწუვი (პარხ. 1201)

ვიყოფოდით (ქებ. 7,11 O)

შეიპყრობის (იგავ. 6,2)

შეიპყრობიედ (კომ. I, 226,16)

მეორე მხრივ

დაიმალებოდეს (წარტყ. 16,7)

დავიწუები (კომ. I, 323,30)

იყოფებოდან (კომ. I, 57,22)

შეიპყრობებოდეს (Sin. 11, 41v,2)

ასეთი პარალელური ფორმები სხვაც ბევრია. როგორ უნდა აიხსნას ეს? უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო მარტივი ფორმები (იმაღვის, იწუვის, შეიპყრობის, იყოფ-ვის...) ძველია, როცა ჯერ კიდევ არ შექმნილა საჭიროება, იგი მაწარმოებელი ელემენტით გართულდეს, როცა, მამასადაბე, ძველი, შედარებით მარტივი იმაღვის და მისთანანი დაუბრკოლებლად ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციას — აწმყოს შინაარსის გადმოცემას. მაგრამ ბერბე, როცა ებ სუფიქსმა ფართოდ იწყო ენაში გავრცელება, შეიქმნა მრავალი ებ თემის ნიშნანი ფორმა, ძველი წარბეება გადასხ-ლისდა, შეივსო ახალი ელემენტით — დაიმატა ებ სუფიქსი და გვერდში ამოუდგა სხვა ებ თემისნიშნან ფორმებს. ამ საერთო ყალიბის შექმნის სურათს ასახავს ზემოთ მოყვანილი პარალელური ფორმები: უფრო ძველი დაიმალოდეს და შედარე-ბით ახალი დაიმალებოდეს. აღსანიშნავია, რომ ებ-ის დართვას ზოგან შედეგად მოჰყვა ძველი ვ (←აე) მაწარმოებლის დაკარგვა (დაიმაღვის → დაიმაღების, დაიმაღ-ვოდა → დაიმაღებოდა). ვამბობთ, ზოგანო, რადგან ვ აქა-იქ ებთანაც შენახულა: იხილვებან, იხილვებოდა, ირწყვებოდე. მაგალითად, გვაქვს, ერთი მხრივ, განიკთხ-ვის (მატბ. 79,29), ხოლო მეორე მხრივ — აღმოიკითხვების (თუალთ. 47,12). დღევანდელ ენაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ებიანი ფორმები გაბატონდა, ძველი ფორმები კანტიკუნტად ნაშთის სახით თუა შემორჩენილი: ნიაეი არ იძერის (←იძრვის), ახალი საკითხი აღიძერის, სანთელი იწვის, მიწა არ დაიხვნის. უფრო სშირია ითქმის, ეთქმის, თითქმის ერთადერთია ისმის, ესმის.

## 3. პროზაული ნ

თუ ზმნის ფუძე ნ-ზე ბოლოვდება, აქაც, როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლობითში დასმისას, ორი ნ მოიყრის თავს ერთად: ამას ადგილი ექნება, გასაგებია, მხოლოდ მრავლობითში. წყვეტილსა და ბრძანებითში ეს შემთხვევა მხოლოდ შესაძლებელია ორივე რიცხვში გვენება, II ხოლმეობითსა და II კავშირებითში — მრავლობითის სამივე პირში. მაგალითად:

## წყვეტილი

მი-ე-ი-ვლინ-ე	გან-ე-ი-კურნ-ე
მი- ი-ვლინ-ე	გან- ი-კურნ-ე
მი- ი-ვლინ-ა	გან- ი-კურნ-ა
მი-ე-ი-ვლინ-ენ-(ი)-თ	გან-ე-ი-კურნ-ენ-(ი)-თ
მი- ი-ვლინ-ენ-(ი)-თ	გან- ი-კურნ-ენ-(ი)-თ
მი- ი-ვლინ-ნ-ეს	გან- ი-კურნ-ნ-ეს

## II ბრძანებითი

მი-ი-ვლინ-ე	გან-ი-კურნ-ე
მი-ი-ვლინ-ენ	გან-ი-კურნ-ენ
მი-ი-ვლინ-ენ-(ი)-თ	გან-ი-კურნ-ენ-(ი)-თ
მი-ი-ვლინ-ნ-ედ	გან-ი-კურნ-ნ-ედ

## II სრულყოფილი

მი-ე-ი-ვლინ-ი	გან-ე-ი-კურნ-ი
მი- ი-ვლინ-ი	გან- ი-კურნ-ი
მი- ი-ვლინ-ის	გან- ი-კურნ-ის
მი-ე-ი-ვლინ-ნ-ით	გან-ე-ი-კურნ-ნ-ით
მი- ი-ვლინ-ნ-ით	გან- ი-კურნ-ნ-ით
მი- ი-ვლინ-ნ-იან	გან- ი-კურნ-ნ-იან

## II ააშვირებითი

მი-ე-ი-ვლინ-ო	გან-ე-ი-კურნ-ო
მი- ი-ვლინ-ო	გან- ი-კურნ-ო
მი- ი-ვლინ-ო-ს	გან- ი-კურნ-ო-ს
მი-ე-ი-ვლინ-ნ-ეთ	გან-ე-ი-კურნ-ნ-ეთ
მი- ი-ვლინ-ნ-ეთ	გან- ი-კურნ-ნ-ეთ
მი- ი-ვლინ-ნ-ენ	გან- ი-კურნ-ნ-ენ

პროზაული ძველი მხატვრობა: კლდენი განსთქვიან და მუნვე ურთიერთსა შეიბრძენნან (სინ. 221,23); ივინი წარეგ ზაუნნეს კრებულისა მისგან (მოც. 15,3); აღეგ ზნნეს ცეცხლებრ გულის-წყრომითა და მვეცებრ იღრჭენდეს კბილთა (სას. 3.

184.103); სიტყვთა შეიგინნეს ივინი და წარწყმდეს (სწავ. 278,13); უკუეთუ მსწრაფლ მოეკუდინოთ ვე, არა შეეცონნენ სატანჯკელთა სიმძაფრენი (კომ. I, 122,12); შეერდომილ არს ფერკი მათი საბრკესა და მახესა წაროგრაგნენ (იობ 18,8); უკუეთუ დავიდგინეთ ჩუენ მარჯუენით კერძო მსაჯულისა მის (სწავ. 15,25); რავდენნი იგი ურწმუნო იქნნეს და გამოიღვენეს ჰურასტანით ბრძანებითა დედოფლისაითა (სინ. 243,6); არა შეახოთ მას კელი, რამეთუ ქეთია განიტყვნეთ, ანუ თუ ისრითა განიღვენეთ (გამ. 19,13).

მრავალნი გუებულნი სულთაგან არაწმიდათა ... განიკურნნეს მას დღესა (კომ. I, 114,6); ესენი, ვითარცა პირუტყუნი საცხოვარნი, ... ხრწნილებითა მათითა განიკურნნენ (2 პეტ. 2,12 5); შუებით ზრდინ და ზრუნვით პოხნ ყრმათა მათ, რომელნი ერწმუნნან (სწავ. 301, 29); უკუეთუ ეტკივნენ სიტყუანი შენნი, ნუ სწყალობ მას (სწავ. 81,28); იერება და ნაბუეთ ქეთია განიტყვნეს (ებრ. 11,37); ყოველსა სოფელსა განეფინნეს სიტყუანი მისნი საღმრთონი (კომ. I, 75,7). მყოვარეამ ვიფუფუნეთ მას შინა ეაშა ზაფხულისასა (ექუსთ. 86,30); იქნნეს მეგობარ პილატე და ჰეროდე მას დღესა შინა (ლ. 23,12); ცუდად იქორწინნეს (სწავ. 116,12).

ღალად-ყვეს ეშმაკთა მათ და განეყვნეს და განივლტოდეს ქალაქით მათით (კომ. I, 191,24); შეეყვნეთ სენაკთა ჩუენთა (სწავ. 178,3); რადთა განეყვნეთ უნდოსა მას მსახურებასა (ასურ. 192, 33); მათ მიერ აღმოვიყვანეთ მღვმისაგან ბნელისა (სწავ. 150,27); მღინარენი ... მყინვარით ამით შეიყონნეს და დინებისაგან დაღდეს (სინ. 119,20); სიზმარნი შემადრწუნებულნი არა გერწუნნენ (სწავ. 198,27); რომლისაგან აღმოეცნნეს სიმრავლენი ღირსთა და წმიდათანი (ასურ. 146,28); და ლათუ ყოველივე პყთო და შეეძინეთ მას (იობ 13,9); ერთი-ერთსა ვერ განეშორნან და მიიძღუნნან მეფისა (სინ. 141,11); ხრწნილებასა მათსა შინა განიხრწნენ (2 პეტ. 2,12 5 G); რომელნი-იგი წინა მოიხსენნეს წიგნსა ამას მოწაფენი მისნი (კომ. II, 163,15); განიხსნნეს წმიდისა მისგან (კომ. II, 35,19).

აქვე შეიძლება დაემატოს ევიან ხმოვანმონაცვლე ზნათა ფორმები, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში ორ ნ-ს წარმოგვიდგენენ<sup>21</sup>:

განიბინნეს ყოველნი იგი მვეცნი შთამართსა მას (ასურ. 115,7 CD); განიბინნელ ყოველნი მტერნი მისნი (ფს. გვ. 455,12 A); რავდენნი უბრალონი სისხლნი დაითხინნეს მათგან, აღრაცხად ვინ შეუძლოს (ლიტ. ქრ. 82,5); შეითხინნელ სათხეველთა მისთა ცოდვილნი (ფს. 140,10 A); რადთა გულის-თქუმათა თქუენთა განილინნეთ (იაკ. 4,3 5 G); აწ ვიწრაფოთ, რადთა მივემთხვნეთ აზნაურებასა მას (სინ. 97, 8rb,6); შევემთხვნეთ ურთიერთას (სინ. 35, 65rb,3); დაერივნეს და დაუდეს ვითარცა ბრპენი წყალთა მათ ძლიერთა (გალობ. 1,10 AD); მიიწინნეს აღვილსა ერთსა კლდესა (კომ. II, 155,34. ნ.კ. სინ. 80,16; 232,9; ებ. ანტ. 28,12); აწ აღდგე და შევეწინნელ და გეყენელ თქუენ ივინი მფარველ (გალობ. 2,38 A); ეგრძით რბოდეთ და ეწინნეთ (1 კორ. 9,24).

<sup>21</sup> იხ. ამის შესახებ დ. თანაშუალო. მრავალი ნ-ს ხმარების ერთი განსაკუთრებული შემთხვევა ძველ ქართულში: თუმ. ტ. 96. 1963. გვ. 117-137. ზემოთ მოყვანილი მაგალითები იქიდანვეა აღილებული.



## 4. შუაის უაუშავლოზის შამთხავეზი

პრეფიქსიანი ვნებითების ერთ ჯგუფს ძველ ქართულში კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: მათი (მოქმედებითში კუმშვადი) მარტივი ფუძეები I სერიის მწკრივებში არ იკუმშება და გვაქვს: იზარღების, იზარღებოდა. იზარღებოდეს (და არა: იზარღების, იზარღებოდა. იზარღებოდეს), ითარგმანების, დაითხარების. ისაჯების, იშალებების, გამოიცადების, მოეცალების, იცვალების, იჭამების, მოეცადების და სხვ. ამ ზნათა ფუძეები (აქტივისა და პასივისა) II სერიის მწკრივებში საერთოდ არ იკუმშება: გაზარდა — გაიზარდა, თარგმანა — ითარგმანა, დასაჯა — დაისაჯა, გაშალა — გაიშალა, გამოცადა — გამოიცადა, შეცვალა — შეიცვალა. შეჭამა — შეიჭამა და სხვ. რაც შეეხება აქტივის ფუძეებს I სერიაში, ზოგი მათგანი იკუმშება, ზოგი — არა. სახელდობრ, იკუმშება ის ფუძეები, რომელთაც თემის ნიშნად აქვთ o სუფიქსი, სხვები კი უკუმშველია. ამიტომ, ერთი მხრივ, გვაქვს:

ზარდა — ზრდ-ი-ს, საჯა — სჯ-ი-ს, გამოცადა — გამოსცდ-ი-ს, მოჰვადა — მოჰვად-ი-ს.

მაგრამ, მეორე მხრივ, არის: შალა — შალ-აე-ს, თარგმანა — თარგმან-ებ-ს, ცვალა — ცვალ-ებ-ს.

რატომ მაინცდამაინც ი კუმშავს ფუძეს და სხვა სუფიქსები (აე, ებ ...) — არა? შესაძლებელია, ამის მიზეზი ის გარემოება იყოს, რომ პირველი წყების მაგალითების შეუკუმშველობის შემთხვევაში ისინი II ხოლმეობითს დაემთხვეოდნენ: გაზარდ-ი-ს, დასაჯ-ი-ს, გამოცად-ი-ს, მოჰვად-ი-ს სწორედ II ხოლმეობითა. ამ შემთხვევაში კუმშვა-უკუმშველობა ორი მწკრივის დამატებითს განმასხვავებელ ნიშნად არის გამოყენებული, ე.ი. ხდება ფონეტიკური პროცესის გრამატიზაცია. მსგავსი მოვლენები ჩვენს ენაში სხვაგვარა ცნობილი<sup>33</sup>.

რაც შეეხება ამ ზნათა ვნებითებს, როგორც უკვე ითქვა, მათი ფუძეები I სერიის მწკრივებში არ იკუმშება. აქ უკვე გარჩეული აღარაა ზემოთ აღნიშნული ორი ჯგუფი (სჯის, ცვალებს), ამ ტიპის ვნებითი ყველა უკუმშველია. ეს გასაგებიცაა: აქ უკვე შეუძლებელია, II ხოლმეობითისა და აწმყოს ფორმები დაემთხვეს ერთმანეთს თუნდაც მარტო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვნებითებს აწმყოში თემის ნიშნები აქვთ, II ხოლმეობითში კი — არა. შდრ.

II ხოლმ.

გამოიცად-ი-ს

განიზარდ-ი-ს

დაისაჯ-ი-ს

აწმყო

გამოიცად-ებ-ი-ს

განიზარდ-ებ-ი-ს

დაისაჯ-ებ-ი-ს

მაშასადამე, მოცემული ტიპის ვნებითების აწმყოში (და, საერთოდ, I სერიაში) უკუმშველობის ერთ-ერთი მიზეზი მითითებული გარემოება უნდა იყოს. დაეძინებოლოს, რომ ახალ ქართულში ამ ზნების ფუძეები იკუმშება როგორც აქტივში, ისე პასივში: შლის — იშლება, ცლის — იცლება, ცვლის — იცვლება.

აღსანიშნავია, რომ აქ წარმოდგენილ ზნათა ფუძეებში ყველგან ერთი და

<sup>33</sup> გახლელანია. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 210.

იგივე ხმოვანი გვაქვს. ეს არის ა (ზარდ. ცად. ცალ, ცვალ...). ისიც არის საინტერესო. რომ 10 ხზინდან. რომლებიც ჩვენი მსჯელობის საგანს შეადგენს, სამში ფუძისეულ ა-ს ლ მოჰყვება (მაღ. ცალ. ცვალ), ორორში — რ და ღ (ზარდ, თხარ; ცად, ვად). ამთ უერთდებოდა სხვა მსგავსელებთან ფორმებიც, რომელთა მაგალითებიც აქ არაა წარმოდგენილი. მაგრამ ენაში უთუოდ არის: ალ-იანი: გათალა — გაითალეების, დაგალა — დაიგალეების, დაღალა — დაიღალეების; არ-იანი: დაღურა — დაიღურების, შესურა — შეისურების, დაყარა — დაიყარების, შეხარა — შეიხარების; ღონიანი: აღმოწუადა — აღმოიწუადების და სხვ.

ხომ არ არის აქ აღ. არ, აღ ძველი სუფიქსები?

ახლა მოვიყვანო სათანადო მაგალითებს ძველებიდან:

1. ზარდ: მწუნეთაგან ვიზარდები (Sin. 35, 159rb,8); მისგან იზარდების (Sin. 36; 13b,9); აღვიზარდებით და ნაყოფი გვზილავს (კიმ. II, 71,5); რამეთუ ძაღლნიცა იზარდებოდნა ნაბიჭვეისა მისგან უფალთა მათთადას (ისტ. ქრ. II, 6,33); იზარდებოდეს ნატყუნევისა მისგან (Опис. 179,22).

მაგრამ ძველ ქართულშივე დაწყებულია ამ ფუძის შეკუმშვა: ... მხალი, რომლითა ვიზარდები (მაღ. 122,19 ლ BCDE); ჩუენცა ვიზარდებით (ასურ. 115,20 E); რაითა ამიერ ვიზარდებოდითა (იქვე, 134,18); ვიზარდებოდეთა (იქვე CD).

ასეთი ნეოლოგიზმი შედარებით მოგვიანო ხელნაწერებში ჩნდება პირველად, მაგრამ მერმე და მერმე თანდათან მატულობს, ღღეს კი მხოლოდ აშხაირი, შეკუმშული, ფორმები გვაქვს.

2. თარგმან: რომელ თარგმანების ძედ ღმრთისა (ისტ. ქრ. I, 244,18); რომელი თარგმანების (ი. 1,38,42; 9,7; 20,16 C); რომელ გამოითარგმანების (ი. 1,38 C; 41C; ისტ. ქრ. I, 152,37,40).

3. თხარ: კედელი დაითხარებოდა და საფასც გამოიპარვოდა (სინ. 223,14).

4. საჯ: შენ დაისაჯები, რომელი განრისხებულ ხარ (ბოლნ. 43,6); რომელი არა დაისაჯების (Опис. 189,9 ქვ.); აწ უკუე სამართლად დავისაჯებით ჩუენ ღმრთისა მიერ (სწავ. 95,1); ფარისეველნი დაისაჯებთან (უდაბ. 48ra); არამედ დახოლო-ვისაჯებოდე და მრცხუნოდა აღსარებად (აღწ. 240,20 = დახვსაჯებოდე ← დახვისაჯებოდე?); მაშინ კაცად-კაცადსა დაფარულნი ემხილებოდან და საქმეთაებრ და გულის-თქუმათა დაისაჯებოდან (სწავ. 123,12). არის ერთი შეკუმშული ფორმაც: სადა მძა იგი შენი ურბანოს დაისაჯების (ქრისტინ. 191,33, თუ ეს კორექტურული შეცდომა არაა).

5. მაღ: შეთხზულუბა ესე ცხორებისა ჩუენისაი დლითი-ღღედ დაიშალების (სწავ. 252,24 = აღწ. 80,10 ქვ.).

6. ცად: გამოიციადებოდა ეშმაკისაგან (მრ. 1,13; ლ. 4,2); ვინ-შემცა იყო, საყურელნო, რომელიმცა არა განიცადებოდა, ოდესღა თვთ იგი თავადი უფალი განიცადებოდა უდაბნოსა ზედა ეშმაკისაგან, და პეტრც, თავი იგი მოწაფეთაი, განიცადებოდა ზღუასა ზედა (ბოლნ. 19,24,25,27).

აქაც გვაქვს შეკუმშული ფორმები: განვიცდებით (ასურ. 136,34); განვიცდებოდით (იქვე. 136,33,36); განვიცდებოდეთ (იქვე. 136,6 CD). მაგრამ ასეთი მაგალითები მოგვიანო ხანის ძველებში დასტურდება მხოლოდ.

7. ცალ: არა მოეცალების მოძიებად (Sin. 35, 134ra.14).

8. ცეალ: ნუმცა იცვალუბის გულის-სიტყუა ჩემი შენგან (საკ. წ. I, 31,23); არცა მიდრკების და არცა შეიცვალუბის (ეტ. VIII, 112,18); იცვალუბოდა ხატი პირისა მისისა (კომ. I, 121,33); იცვალუბოდეს ათორმეტნი მტარვალნი (ეტ. III, 186,39).

9. ჭამ: ვითარ-იგი იჭამების ქერციკი და ირემი (2 შჯ. 12,22 პარიზ.); თითოეული ჩუენი განლაღებულ არს მოყუასსა თვისსა ზედა, და შევიჭამებით ურთიერთას (სწავ. 266,27); მისციის თევზი და არა იჭამებინ (პარხ. 766b); შევიჭამებინ ცეცხლისა მისგან (Sin. 35, 289ra,3); არცა ესძულობდეთ და შევიჭამებოდით ურთიერთას (სწავ. 268,21).

10. ჯად: მოსესხე ხარ სასტიკი, რომელი არა გარდაივადები (სწავ. 220,4); ყოველთა ამთ დათათვის საშჯელი შენ მიგვეადების (ლიმ. 59,18); შენ რაი მიგვეადების (სწავ. 81,13); მიგვეადებოდის თითოეულსა თვისი ვალი (ასურ. 137,30); ჯერ-არს ჩუენდა არა მოგებად საუმარი ჯორცთაი, გარნა რომელი უნაბლადით მოგუევადების (მამ. ცხორ. 136,42); რაჟამს-იგი სიტყუა მიგუევადებოდის ყოველთავე საქმეთა ჩუენთათვის (სწავ. 15,22).

არის აგრეთვე შეკუმშული ფორმა ისევე გვიანდელ ხელნაწერში: მიუცდებოდის თითოეულსა ვალი თვისი (ასურ. 137,30 D). ხელნაწერი, როგორც ითქვა, გვიანდელია და ძველ ქართულზე სწორ წარმოდგენას ყოველთვის არ იძლევა.

## 5. იაოვა, იაადავა

იაოვა და იქადავა ძველ ქართულში მხოლოდ ვნებითის გაგებით იხმარება, ინიანი ვნებითა (ერთპირიანი): იაოვა იგი — აღმოჩნდა (ნახულ იქნა) იგი. იქადავა — ქადაგებულ იქნა. მაგალითები:

არამელ ვიპოვე მე მეთერთმეტისა ჟამისათა თანა (ისტ. ქრ. I, 179,6 = აღმოჩნდი); რადსათვის მე არა განმხეთქა მვეცმან მან მათა ზედა, და ვიპოვემცა შესაჭმელად მისა (საკ. წ. II, 64,3); შსაგესად საყდრისა მის ელუარე იპოვე (სინ. 10,2 = აღმოჩნდი); ესე ძქ ჩემი მომკუდარ იყო და განცხოველდა, წარწყმედულ იყო და იაოვა (ლ. 15,24); ამიერიითგან მრჩობლ გიხაროდენ, რამეთუ ესევიითართა ყრმათა მამად იაოენით (სინ. 144,37 = აღმოჩნდი); რაქდენნი იაოენეს პრომნი და სპარსნი ქრისტეანენი, სიკუდილითა მახვლისაითა მოსწყევდნა (Sin. 11,388v = აღმოჩნდნენ); და თუ ვთქუა, თუ: არა ვიცი იგი, თქუენებრ ცრუ ვიპოო (ი. 8,55 C = აღმოჩნდები. DE-ში ამის ნაცვლად ვიყო იკითხება, რაც იმავეს ნიშნავს: ვიქნები); მერმეცა იაოოს ვინმე, რომელმან ესე შეიძკოს (შუშ. 137,27).

აღდგომი იგი, რომელ იქადავა ანგელოზთაგან (სინ. 154,21 = ქადაგებულ იქნა); იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისაი ყოველსა სოფელსა საწამებულად ყოველთა წარმართთა (მ. 24,24 = იქადაგება); სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის, რომელცა-ესე, საკსენებულად მაგისა (მ. 26,13 = სადაც იქადაგება).

შეიძლება კითხვა გაჩნდეს: თუ ეს ასეა, მაშინ როგორღა იქნება ძველ ქარ-

თულში მოქმედებითი გეარის ფორმებიო. დღევანდელი ქართულის მან იგი იზოვა-სა და იქადაგა-ს შესატყვისი? — მოქმედებითისათვის გამოყენებული იყო უქცევისნიშნო ფორმები: მან იგი პოვა, პოვის, პოვოს, პოვეს, პოვენ, ქადაგა, ქადაგეს, ქადაგონ...

ჩვენთვის დღეს ინიანი ფორმები სათავისო ქცევისაა, მაშასადამე, ზნა ორპირიანი და შინაარსიც სხვა აქვს. ჩვენ ასეთ ფორმებს ვართ შერვეული. ამიტომ ცდუნება დიდა, რომ ძველი ფორმები ახლებურად გავიგოთ ანდა ახლებური ფორმები ჩავსვათ ძველის უნიშნოთა ნაცვლად. ასეთი შეცდომა ბევრს მოსვლია, მათ შორის დიდ ნიკო მარს. ძველი ქართული ენისა და ტექსტების უბადლო მცოდნეს. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გამოცემისას წინადადებაში "და ესევეითარცა კეთილსა განზრახვასა და გზანასა მისსა პოვნა მოყუანსი კეთილინი" (5,1) პოვნა-ს ნაცვლად ჩასვა იზოვნა. იზოვნა ყოვლად შეუძლებელი ფორმაა ძველი ქართულისათვის: თუ მას მოქმედებითად გავიგებთ, ი არ არის საჭირო, უნდა: პოვნა მან ივინი; ხოლო თუ მას ვნებითად გავიგებთ, მაშინ საჭირო იქნება იზოვა იგი (მხ.) ან იზოვნეს ივინი (მრ.). მიზეზი შეიძლება ახალი ქართულის გავლენა იყოს, შეიძლება უბრალო კორექტურა; არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ი-ს ჩამატება ნუსხური პ-ს მოხაზულობამ უკარნახა, პ-ს წინა ნაწილი ი-დ იქნა გავებული (ასეთი რამ სხვასაც მოსვლია).

#### 6. ინიანი ვნებითისა და სათავისო ძეგვის შორავთა შიგართიანი სათავის

ინიანი ვნებითებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: გარკვეულ შემთხვევებში (უმთავრესად II სერიის მწკრივებში) ისინი გარეგნულად მოქმედებითი გეარის სათავისო ქცევის ფორმებს ემთხვევიან. თუ ერთ შემთხვევაში, მაგალითად. მოიყვანა სათავისო ქცევა (ამან მოიყვანა იგი იესუდა: ი. 1,42), მეორეში იგივე ფორმა ინიანი ვნებითია<sup>22</sup> (ძმად შენი მოსრულ არს და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული, რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი: ლ. 15,27). პირველ შემთხვევაში ზნას ორი პირი შეეწყობა: მოიყვანა მან იგი, მეორეში — ერთი: მოიყვანა იგი, ე.ი. მოიყვანილ იქნა (სხვის მიერ), მოვიდა. ეს ზნა შემთხვევითი და ერთადერთი არ არის. ასეა თითქმის ყველა ნორმალური ზნა, რომელთაც სათავისო ქცევის ფორმაც აქვს და ინიანი ვნებითიც. მაშასადამე, ეს არის ამ ტიპის ზნათა საერთო დამახასიათებელი თავისებურება, საერთო თვისება.

რატომ ხდება ასე? სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინიანი ვნებითი მომდინარეობს სათავისო ქცევისაგან, რომ გეარის მაწარმოებელი ი პრეფიქსი წარმოშობით არის სათავისო ქცევის ნიშანი ი, რომ ინიანი ვნებითის ფორმა ისტორიულად სათავისო ქცევის ფორმაა, ვნებითმა ფორმა ისეხსა, მას შინაარსი შეუცვალა (ერთი პირი ჩამოაკლო), აგებულება, ფორმა კი იგივე დარჩა.

ეს შეხედულება ა.შანიძეს ეკუთვნის. ავტორმა იგი ჯერ კიდევ 1926 წელს

<sup>22</sup> ა.შანიძე. საფუძვლები. 1973. გვ. 300.

გამოთქვა ქართული ზმნის კვლევასთან დაკავშირებით<sup>24</sup>, ხოლო შემდეგ საეციალურად შეისწავლა და დაასაბუთა თავის ფუნდამენტურ შრომამ<sup>25</sup>.

ქვემოთ წარმოვადგენთ ამგვარ საზიარო ფორმებს, რომლებიც ძველი ქართული ტექსტებში შეგვხვდებოდა, და დავალაგებთ გვერდიგვერდ, რომ უფრო ნათელი იყოს წარმოშობის საერთო საფუძველი. ასეთი ფორმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ. II სერიის მწკრივებში გვხვდება, პირველ სერიაში აქტივსა და პასივს თაუთავის ფორმა აქვთ. ასეთი საზიარო ფორმებია:

### 1. შეიგბო — შეიგბო

ხოლო მოწაფეს ვითარცა აქუნდა ჩუქულებამ, შეიგბო უცუნისა მისგან (მამ. ცხორ. 248,2 = მოქმ.). შდრ. და ჭურჭური კეცისამ, რომლითა შეიგბოს იგი, შეიგბუს-რენ (ლევ. 6,28 = ვნ.).

### 2. მოიღვა — დაიღვა

მაშინ კაპრაულნიცა მოიღვნა საშსახურებელად ლავრისათვის (კიმ. II, 152,3 = მოქმ.). შდრ. დაიღვა ყოვლად მენე იგი გუამი მისი მასვე მღვმესა შინა (ასურ. 142,3 = ვნ.). პირველ ფორმაში პირდაპირი ობიექტი მხოლოდითში რომ ყოფილიყო. გვექნებოდა: მო-ი-ღვ-ა მან იგი.

### 3. დაიღვე — დაიღვე

დაიღვე გულსა შენსა, და გიჩუენო შენ (ისტ. ქრ. I, 250,12 = მოქმ.). შდრ. საფლავსა დაიღვე მოკუდავთაებრ (ასურ. 177,35 ყ = ვნ.). შდრ. კიდევ ვნებითის პირველი პირის ფორმა: დავიღვე მე ნებსით მღვმესა ამას ქუესკნელსა ბნელსა შინა (იქვე, 139,31).

### 4. დავიფიწყე — დავიფიწყე

მცირისა გემოდსათვის დავიფიწყე კეცხლი იგი ჯოჯობეთისამ (სწავ. 229,15 = მოქმ.). შდრ. დავიფიწყე მე, ვითარცა მკუდარი, გულითა და ვიქმენ ვითარცა ჭურჭელი წყმედული (იქვე, 223,13 = ვნ.).

### 5. აღვივსნეთ — აღვივსნეთ

რადთა აღვივსნეთ პირინ ჩუენნი დიდებითა შენითა (სწავ. 65,10 = მოქმ.). შდრ. მოვედით, ჰ ნაკლულევანხო, და აღვივსნეთ ამის მადლისაგან (იქვე, 188,24 = ვნ.).

### 6. განიკითხოს — განიკითხოს

რომელმან განიკითხოს, იგიცა განიკითხოს ღმრთისაგან (სწავ. 149,10 B). აქ პირველი "განიკითხოს" მოქმედებითა, სათავისო ქცევა (განიკითხოს მან იგი). მეორე — ვნებითი (განიკითხოს იგი: განიკითხული — გასამართლებული — იქნება ღმრთისაგან); რადთა მან განიკითხოს იგი (საკ. წ. II, 25,8 = მოქმ.). შდრ. კაცი საქმეთა თვისთა ზედა განიკითხოს (ზირ. 16,14); ნუთუ შენგან განიკითხოს იგი (იოზ 34,34 pb = ვნ.).

### 7. შეიკრძალა — შეიკრძალა

შეიკრძალა ყრმამან მან თევზი იგი (ტობ. 6,4 აპოკრ. = მოქმ.). შდრ. რომელნი უშზირდეს მას, შეიკრძალა იგი მათგან (სიბრძ. ი,12 აპოკრ. = ვნ.).

<sup>24</sup> ა. მანძუ, ქართული ზმნის საქვეი: ტუბ. 6, 1926. გვ. 332-333 და სხვ.

<sup>25</sup> ა. მანძუ, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 354-356.

## 8. დაიმარხა — დაიმარხა

ამან დაიმარხა ჭეშმარიტი ქალწულებად არა ხოლო ვორცითა ოდენ (ხანძთ. 127,30); ხოლო ადამ დაიმარხა სიტყუად ესე გულისა შინა თვისსა (ლიტ. ქრ. 7,3 = მოქმ.). შდრ. და იშვა რად. საშოა იგი გებულად დაიმარხა და ქალწულებად განუკრწნულად დაიცვა (სინ. 35,15 = ენ.).

## 9. შეიშადა — შეიშადა

/მან/ შეიშადა მსხელი და ენება მოკლეად მისი (ი—ე, 105,7 = მოქმ.). შდრ. რამეთუ კარავი შეიშადა პირველი (ებრ. 9,2; კარავი აღმართულ იყო პირველი AB = ენ.).

## 10. შეიქო — შეიქო

შეიქო თავი თვისი ფრად საცთუნებულად მამაკაცისა (იედ. 10,4 = მოქმ.). შდრ. ენ.: ნათლითა მოუწდომელითა შეიქო შუენიერად ხილვად მისი (ხანძთ. 153,8); /ველესაი/ შეიქო ყოვლითა განგებითა (ზარზმ. 167,23).

## 11. შეიშოსა — შეიშოსა

ქეროდე შეიშოსა სამოსელი საძეფოად (მოც. 12,21 = მოქმ.). შდრ. შეიშოსა მესამედ წმიდად ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა სინა-წმიდას (სინ. 282,3 = ენ.).

## 12. გამოიპარა — მიიპარა

გამოიპარა თავი თვისი (1 მეფ. 25,1 = მოქმ.). შდრ. რომელი-იგი მოკულა და დაეფლა და მიიპარა მოწაფეთა მათ მიერ (თუალთ. 82,27 = ენ.).

## 13. შეიპყრა — შეიპყრა

ქეროდე მამინ შეიპყრა ოიანე (მ. 14,3 = მოქმ.); განკვრებამან შეიპყრა იგი (ლ. 5,1 = მოქმ.); არაინ შეიპყრა იგი (ი. 8,20 = მოქმ.). შდრ. ენ.: შეიპყრა ესე შახხურთაგან (სინ. 62, 81ra,3 ქვ.); პირველ საზრდელისა მიღებადმდე ერისაგანთა მიერ შეიპყრა იგი (პარხ. 1201); არამედ შეიპყრა მათ მიერ (ექუსთ. 68,6). შდრ. აგრეთვე პირველი პირის ენებითის ფორმა: მეყსეულად მპარავად შეიპყარ და ქუეყანასა უცხოსა მონებად მივეცი (საქ. წ. II, 73,13). შეიპყარ აქ ნიშნავს: შეპყრობილ ვიქენ.

## 14. შეიპყრას — შეიპყრას

განპყრატო მახც ჩემი და შეიპყრას გარემოდგომითა მისითა (ეზეკ. 17,20 = მოქმ.). შდრ. უკუეთუ ვინმე შეიპყრას და დაეკეს თვისითა გულის-სიტყვითა (საქ. წ. I, 47,8 = ენ.).

## 15. შეიპყრენით — შეიპყრენით

შეიპყრენით ეგენი ცოცხალნი და მოსრენით (4 მეფ. 10,14 = მოქმ.); შეიპყრენით მელნი მტბიერნი, განმრყუნელნი საყურძნისა ჩემისანი (სახ. 18,29 = მოქმ.). შდრ. მოვიდა ბეფისა ბრძანება და შეიპყრენით სამეუფოთაგან (სვან. 230b = ენ.).

## 16. განირცხეს — განირცხეს

რომელმან ჭამოს მკუდარი მათგანი, განირცხეს სამოსელი თვისი (ლევ. 11,40 = მოქმ.). შდრ. ენ.: ყოველი ჭურჭერი რომლითა იქნებვის საქმე, წყლითა განირცხეს (ლევ. 11,32); წყლითა არა განირცხეს იგი (იერ. 13,1).

## 17. გამოისახა — გამოისახა

ამან პირველად გამოისახა პირსა ზედა თვისსა სასწაული პატიოსნისა ჯუჯარი-საი (მ. ცხ. 46r=მოქმ.). შდრ. ენ.: რომლისაგან გამოისახა თხრობაი ძეგლთა შჯულთაი (თუალთ. 60.19): ვიდრე მიქცეადმდე შენდა მუნეე ქუეყანად, რომლისა-განცა გამოისახე (ბოლნ. 62,2).

## 18. გამოისაჭურისნეს — გამოისაჭურისნეს

არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს: და არიან საჭურის-ნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათეს ცათაისა (მ. 19.12). ამ მაგალითში პირველი გამოისაჭურისნეს ენებითის ფორმა, ხოლო მეორე — მოქმედებითისა სათავისო ქცევით.

## 19. ისხნეს — ისხნეს

რომელთა შვილ-ისხნეს და აღიზარდნეს, მოწვენასა სიკუდილისასა ვერაი ირგეს (სწაე. 224,12=მოქმ.). შდრ. ისხნეს იგინი პირ-დაქცევით ქუეყანასა ზედა (ისტ. ქრ. II. 106,39=ენ.).

## 20. წარიტაცა — აღიტაცა

მვეცმან ბოროტმან წარიტაცა (თუალთ. 71,33=მოქმ.). შდრ. კორცითა აღიტაცა წმიდაი ნერსე (ურთ. 79,3=ენ.).

## 21. წარიტაცის — წარიტაცოს

მრავალ გზის წარიტაცის იგი /ეშმაკან/ (ლ. 8,29=მოქმ.). შდრ. ერთი იგი წარიტაცოს. და ერთი იგი დაეტევის (ლ. 17,34=ენ.), ე.ი. ერთი მოტაცებულ იქნება, მეორე კი დარჩება (დატოვებულ იქნება).

ასეთივე ენებითაა აგრეთვე შემდეგი ფორმები: ვიხილე მე დღეს, რეცა მივიტაცე მე სულითა და აღვედ მე ბორცუსა ერთსა მცირესა (კიმ. I, 307,14): მივიტაცე მე ქალაქად და უთხარ ყოველი ესე ჩუენებაი ეპისკოპოსსა მას იოვანეს (ისტ. ქრ. I, 251,4); იხილა ყრმამან მან ამალღებული თავი თვისი ჰაერთა შინა ცისათა და მიიტაცა იგი კიდელმდე ქუეყანისა (კიმ. I, 231,4): და მერმე მიიტაცა სამოთხედ (იქვე, 231,6).

## 22. შევიტყუეა — შევიტყუე

ვითარ შევიტყუეა შენ ეშმაკან გარდასლვად მცნებათა (კიმ. I, 301,31=მოქმ.). შდრ. ვითარცა ადრე-ადრე შევიტყუე შენ მიერ (იქვე, 179,3=ენ.).

## 23. დაიფარა — დაიფარა

შემან ბრწყინვალეზაი თვისი დაიფარა (კიმ. I, 197,2=მოქმ.). შდრ. ენ.: მსაცთურებელთაგან დაიფარა იგი (სიბრძ. ი.12 შ); ესრეთ დედაი ამისი ნეტარისაი საველ-მოუესენებელად დაიფარა სოფლით (ზარზმ. 87,7).

## 24. დაიფაროს — დაიფაროს

დაიფაროს იგი /მან/ ქუეშე ენასა მისსა (იობ 20,12. и он таит его под языком своим=მოქმ.). შდრ. ენ.: დაიფაროს ვითარცა წყალთაგან სასტიკად მომავალთა (იობ 32,2); მიეცით ბეჭედი ველსა მისსა, რომელი არს სულისაგან, და შეიცუას და დაიფაროს მისგან (ბოლნ. 39,24).

## 25. იქმენ — იქმენ

უცხო იქმენ თავი შენი სიბდაბლისაგან ღმრთისა (Sin. 35, 197va,15=მოქმ.).

შდრ. ვნ.: მცირეს ზედა სარწმუნო იქნენ, და მრავალსა ზედა დაგადგინო შენ (მ. 25,21); გნებავს, ვითარცა ცოცხალ იქნენ (ი. 5,14).

### 26. იქნნეს — იქნნეს

და იქნნეს საყოფელნი ვურელთა შინა ქუეყანისათა (ურთ. 23,15=მოქმ.).  
შდრ. ვნ.: ტვროსს თუმცა და სიღონს იქნნეს ძალნი, რომელნი იქნნნეს თქუენ შორის (მ. 11,21); შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქნნეს, ვითარცა მკუდარნი (მ. 28,4); იქნნეს მეგობარ პილატე და პეროდე (ლ. 23,12).

### 27. იქნ(ნ)ენ — იქნ(ნ)ენ

შეიმოსეს ორთავე მათ ნეტართა სამოსელი სამდაბიოდ, რადთა უცნაურ იქნნენ თავნი თუნისნი ვერ ცნობისათუის მათისა ჰურიისა მისთუის, თუ ქრისტეანენი არიან (ისტ. ქრ. II, 85,36=მოქმ.). შდრ. არქუ ქვათა ამათ, რადთა პურ იქნ(ნ)ენ (მ. 4,3=ენ.).

### 28. აღმოიყვანეს — აღმოიყვანა

აღმოიყვანეს ყრმა იგი იერუსალმად (ლ. 2,22=მოქმ.). შდრ. ვნ.: მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ (მ. 4,1); სიყუარულითა სიკუდილი დაითრგუნა, ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა და აღამ აღმოიყვანა (სწავ. 207,24). შდრ. კიდევ: რადთა მათ მიერ აღმოიყვანნეთ მღვმისაგან ბნელისა (Sin. 36, 147b,5=ენ.).

### 29. აღიყვანა — აღიყვანა

შერბე წარიყვანა იგი ეშმაკმან მან და აღიყვანა იგი მთასა ფრიად მაღალსა (მ. 4,8=მოქმ.). შდრ. მაშინ იესუ აღიყვანა სულისა მისგან უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან (მ. 4,1 C=ენ.).

### 30. მოიყვანე — მოიყვანე

მოიყვანე ძმ ჩემი შენდა (მრ. 9,17=მოქმ.). შდრ. ვნ.: ეგვპტელ მოიყვანე ველთაგან უცხოთათა (საკ. წ. II, 66,37); შდრ. კიდევ: რამეთუ ყოველნივე მის მიერ არარაისაგან არსად მოიყვანნით (ასურ. 13,21); დღესა კვრიაკესა გამოიყვანნით ჯოჯოხეთით (სწავ. 218,10).

### 31. მოიყვანეთ — მოიყვანეთ

მოიყვანეთ იგი აქა (მრ. 9,19=მოქმ.). შდრ. ვნ.: ვინამცა მოიყვანე (დაბ. 3,19 ლაგ.). შდრ. კიდევ: რადთა შეიყვანნეთ თქუენ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა (Sin. 36, 16b,17).

### 32. მოიყვანა — მოიყვანა

/იესუ/ მოიყვანა ყრმა და დადგინა იგი შორის მათსა (მრ. 9,36=მოქმ.); მოიყვანა იგი /ეშმაკმან/ იერუსალმად (ლ. 4,9=მოქმ.); მან მოიყვანა იგი იესუჲსა (ი. 1,42=მოქმ.). შდრ. ვნ.: ძმა შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭაბუბული, რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი (ლ. 15,27); ვინამცა მოიყვანა (დაბ. 3,23 ლაგ.).

### 33. მოიყვანა — მოიყვანა

თაყადმან მოიყვანა მამა მის ყრმისაჲ და დედაჲ (მრ. 5,40=მოქმ.); მაშინ მოიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი (ი. 19,1=მოქმ.). შდრ. ვნ.: იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მოიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა (ლ. 16,22); პირველ საზრდელისა მიღებადმდე ერისაგანთა მიერ შეიპყრა იგი და მოიყვანა წინაშე



კისრისა (პარხ. 1201).

#### 34. იყო — იყო

ფრიად სარგებელ იყო ძმამან მან სწავლა ბერისა (ლიმ. 9,19=მოქ.). შდრ. ვნ.: იყო იგი მდიდარ ფრიად (მ. 19,22); რომლისა თანა იყო სული არაწმიდაი (მრ. 5,2).

#### 35. იყვნით — იყვნით

იყვნით თავებისა თქუენისა მეგობრებ ფასისაგან სიცრუვისა (ლ. 16,9 C). შდრ. ვნ.: უკუეთუპცა შეილნი აბრაჰამისნი იყვნით (ი. 8,39); უკუეთუპცა ბრამნი იყვნით (ი. 9,41).

#### 36. დაიცევ — დაიცევ

წმიდაო გრიგოლ საკრველთმოქმედო, შენდა შევედრებული მკვალი შენი სასაკლუხტ დაიცევ ყოვლისაგან ბოროტისა (ისტ. ქრ. I, 15=მოქ.). შდრ. ვნ.: ეილოდე ყოველსა მასაკა ქრისტ(ს)სა და ძალითა მისითა უბიწოდ დაიცევ (მრავ. 301,17). შდრ. აგრეთვე: დავიცევ ქალწულადვე (სინ. 174,11); მშველობით განვერი და უნებელად დავიცევ ლოცვითა მის ბერისადა (ლიმ. 19,20).

#### 37. დავიცვენით — დავიცვენით

ვევედრნეთ ღმერთსა, რაითა მოგვეკლინოს ჩუენ შიში მისი, რაითა დავიცვენთ გონებანი და ასონი ჩუენი სიწმიდით, რაითა დავიცვენთ ცოდვისაგან (სწავ. 142,7). აქ პირველი "დავიცვენთ" მოქმედებითა სათავისო ქცევით, მეორე — ვნებითი.

#### 38. მოიცვა — მოიცვა

მოვიდა და მოიცვნა ჰურიანი (ისტ. ქრ. I, 243,25=მოქ.). შდრ. ამისთვის მოიცვა იერუსალმში ვესპასიონის მიერ (იქვე, 243,27=ვნ.). პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითში რომ ყოფილიყო, გვექნებოდა მოიცვა და მთლიანად დაემთხვეოდა ვნებითს.

#### 39. განიდარცუე — განიდარცუე

განიდარცუე საბურველი შუებისა (სევან. 70a=მოქ.); განიდარცუე შენგან ძონეული ევე (კიმ. I, 137,19 =მოქ.); განიდარცუე ძაძაი ევე შენი წელთაგან შენთა (ეს. 20,2=მოქ.). შდრ. არა მვეცმან შევჭამა შენ.... არამედ ველთაგან განიდარცუე და მოიკალ (საკ.წ. II, 64,16=ვნ.).

#### 40. განიდარცუა — განიდარცუა

მაშინ განიდარცუა მან სამოსელი თვისი (აბო 192,26=მოქ.); აღდგა მეფე იგი და ძონეული თვისი მსწრაფლ განიდარცუა და ძაძაი შეიმოსა (ისტ. ქრ. II, 41,3 =მოქ.). შდრ. რაი მიევათ უფალსა ჩუენსა? რამეთუ უფალიცა ჩუენი განიდარცუა (სინ. 119,31=ვნ.).

#### 41. შეიწიროს — შეიწიროს

უფალმან არა შეიწიროს იგი (ოსე 8,13=მოქ.); უკუეთუ შეიწიროს ღმერთმან ათეული ვერძთაი (მიქ. 6,7=მოქ.). შდრ. ესე არს შჯული შესაწირავისა ცხორებისაი, რომელი შეიწიროს ღმრთისა (ლევ. 7,1=ვნ.).

#### 42. შეიხვე — შეიხვე

მოიგე შენდად სახუეველი მურისაი და შეიხვე წელთა შენთა (იერ. 13,1 =მოქ.). შდრ. ვნ.: რომელი იშვე ქალწულისაგან და შეიხვე სახუეველითა (სინ.

16.28): შეიხვე. ვითარცა მკუდარი. ტილითა და სუდართა (სას. პ. 333,39).

#### 43. შეიწყალნეს — შეიწყალნეს

ობოლნი მათნი და ქურივნი მათნი არა შეიწყალნეს (ეს. 9.17=მოქმ.: не помилует). შტრ. ენ.: ნეტარ იყენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ (მ. 5.7); ხოლო აწ ... შეიწყალენით (1 პეტრ. 2.10=ენ. = შეწყალებულ იქმენით).

ამგვარი მაგალითები ბევრია. სხვა აღარ მოგვეყვას, მაგრამ აქ წარმოდგენილიც საკმარისია, რომ ამჟამად დავინახოთ სათავისო ქცევისა და ინანი ენებითის ფორმების გენეტური კავშირი. ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ პირველისაგან მომდინარეობს მეორე, რადგან (ინანი) ენებითის სუბიექტი სხვა არა არის რა, თუ არა სათანადო (სათავისო ქცევანი) მოქმედებითის პირდაპირი ობიექტი, რომელიც კონვერსიის შედეგად სუბიექტად იქცა. სწორედ ამიტომაც, რომ, როცა პირველ შემთხვევაში (სათავისო ქცევის ფორმაში) პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითაა, კონვერსიისას მიღებული ენებითის ფორმაში სუბიექტიც მხოლოდობითაა (დავიცვა მან შენ — დაიკვე შენ). ხოლო პირველის მრავლობითს მეორის მრავლობითი ეფარდება (დაგვცვენეს მან ჩუენ — დავიკვენეთ ჩუენ). ა.შანიძის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დებულების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ გვარის კატეგორია ქართულში გაცილებით უფრო გვიან არის ჩამოყალიბებული, ვიდრე პირისა, რიცხვისა, (განსაკუთრებით) ქცევისა და სხვ. ამიტომ ამ ტიპის ენებითების ჩვენებებს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ზნის სხვადასხვა კატეგორიის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ისტორიისათვის.

### 7. ნასახულარი პრაფიშსიანი შნაბითუბი

პრეფიქსიანი (ინანი და ენანი) ენებითი, როგორც ცნობილია<sup>226</sup>, ჩვეულებრივ, პირველადი ზნებისაგან იწარმოება (მაღავს — იმაღების — ემაღების), მაგრამ ზოგჯერ აგრეთვე ნასახულარ ზნებსაც ახასიათებს<sup>227</sup>.

ეს წესი ძველ ქართულში უფრო მკვეთრად და გამოკვეთილად ჩანს: იქ ნასახულარ ზნებს უმთავრესად სუფიქსიანი ენებითები მოეპოვებათ: ცოფი — განცოფნა-ა, კაცი — განკაცნა-ა, ლალი — განლაღნა-ა, სუბუქი — აღსუბუქნა-ა, დიდი — განდიღნა-ა. ცხადი — განცხადნა-ა, ჭაბუკი — განჭაბუკნა-ა, ბნელი — დაბნულნა-ა, ძლიერი — განძლიერნა-ა, მკნე — განმკნენა და მისთ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ნასახულარი ზნების ენებითებს იქაც (ძველ ქართულში) აწარმოებს არა სუფიქსი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ პრეფიქსი (ი და ე). აქ ვურყენებთ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას. ჩვენ უმთავრესად ინანი ენებითი გვანტერესებს და მაგალითებსაც ამათ შესახებ მოვიყვანთ.

1. დიდი: იგი თავადი იდიღებოდა ყოველთაგან (ლ. 4,15); ოდესცა იდიღა იესუ (ი. 12,16); რადთა იდიღოს ძმ ღმრთისაჲ მისგან (ი. 11,4); რადთა იდიღნენ კაცთაგან (მ. 6,2).

<sup>226</sup> ა.შანიძე, საფუძვლები. გვ. 289.

<sup>227</sup> იქვე. გვ. 289-290.

ყველა აქ მოყვანილი მაგალითი უზმნისწინაა. გან ზმნისწინით კი გვაქვს ძველ ქართულში ჩვეულებრივ მოსალოდნელი (ენ) სუფიქსიანი წარმოება: ნუმცა განდიდნების მოხუცება, რათა არა განდიდნეს შურის-გება (სწავ. 150, 21); რამეთუ განსდიდნ და განსძლიერდი და სიმდიდრე შენი განდიდნა (დან. 4,19); რათა არა განვდიდნე და განვრცნე (ივავ. 10,9); რამეთუ განსდიდნე ღმრთისა თანა და მოილო ნეტარება (კიმ. I, 179,34).

2. ერთი: დღესა კვრიაკესა შეიერთა განყოფილება ცისა და ქუეყანისა (სწავ. 218,19 = შეერთდა, გამთლიანდა, გაერთიანდა); ოდეს შეიერთნეს დაყულება და შიში ღმრთისა (იქვე, 22,17 = შეერთდნენ).

3. თოვლი: განთოვნეს ივინი სელმონს (ფს. 67,15).

ზმნა ნაწარმოებია არა თოვა-საგან, არამედ თოვლი-ისაგან: თოვლივით გათეთრდნენო. ამიტომ მოსალოდნელი იყო ვნებითის ფორმის სუფიქსური წარმოება, რაც გვაქვს კიდევ გიორგისეულ რედაქციაში: განთოვლდენ. სუფიქსიანი ფორმები არის აგრეთვე სხვა ხელნაწერებშიც: განსთოვლდეს BC, განსთოვლდეს D, განთოვლდეს E. თავდაპირველად A-შიც განთოვლდეს ყოფილა<sup>28</sup>.

4. კეთრი: ერთი სიტყუა თქუა განკითხვისა მარიამ და მისთვის განკეთრებულ იქნა იგი, ვითარცა თოვლი. მარიამ წინაწარმეტყუელი იყო და განკითხვისათვის განიკეთრა (სწავ. 277,13). განკეთრებულ იქნა (აღწერიითი წარმოება) და განიკეთრა (ორგანული წარმოება) შინაარსით ერთი და იგივეა. საინტერესოა მხოლოდ, რომ ორგანული წარმოებისას ორივე ხელნაწერში (მესამეს ეს ძეგლი არ მოუპოვება) ვნებითის პრეფიქსულ წარმოებას მიმართეს და არა სუფიქსურს.

5. კნინი: რათა დიდთა ქებათა და შესხმათა მიმთხუეად ღირსი არა დაიკნინებოდის ბიწიანად მქონებელთა მიერ ბაგეთა სულისათა (ასურ. 144,12).

6. მარილი: უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რათა-მე დაიმარილოს (მ. 5,13; ლ. 14,34); ყოველივე ცეცხლითა დაიმარილოს (მრ. 9,49); უკუეთუ მარილი განწბილდეს, რამ-მე შეიმარილოს (მრ. 9,50 C).

7. მტერი: ანგელოზნი და მთავარანგელოზნი არა იმტერებთან და არცა იმურებენ თითოეული მათი (სწავ. 267,17).

8. მტკიცე: დაჰწერგენ ივინი, და დაიმტკიცნეს ძირნი, შვილიერ იქნნეს (იერ. 12,2 D). ოშკის ხელნაწერში ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი ენიანი ფორმა: დაემტკიცნეს. ფორმა ვნებითა (მღრ. რუს. თარგმ. они укоренились). შესაძლებელი იყო აგრეთვე: დამტკიცნეს (ენ სუფიქსით).

9. შწიფე: ზოგი ოდენ დაიშწიფის აღმოცმნებულისა მის (საკ. წ. II, 143,15). სხვაგან გვაქვს ჩვეულებრივად მოსალოდნელი ენ სუფიქსიანი ფორმა: არა აქუს ნება, რათამცა მოშწიფნა კეთილად საქმითა კეთილითა (საკ. წ. II, 50,16).

10. ნადირი: ფრხილითა ოდენ შევარდის მახესა და მონადირის იგი (სწავ. 179,36). ფორმა ვნებითისა: დაიჭირება, დაჭერილ იქნება, მახეში გაეპბება. მოქმედებითი ჩვეულებრივ ნულიანი საარვისოთი იწარმოება: კითხვითა მით მოჰნადირებდა ადამს ღმერთი ცხორებად (ფს. გვ. 456,23); რათამცა მონადირეს იგი სიტყვითა

<sup>28</sup> ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მ. შანჭყ. 1960.

(მრ. 12,13 C); რაითა მონადირონ იგი სიტყვითა (იქვე, DE); რაითამცა მოუნადიროთ სიტყვითა მონაი ესე ღმრთისაი (Опис. 48,6); ნადირებით მონადირეს მე, ვითარცა სრი. მტერთა ჩემთა (აღწ. 96,3); წარმონადირენს ყრმანი ჩემნი (გოდ. 4,18); რაითა არა მოუნადირონ მტერთა შენთა უწყალოდ (სწავ. 291,4).

11. ნაწილი: ესე არს ჯორცი ჩემი, რომელი თქუენთვის დაინაწილების და მივეცემის მისატყეველად ცოდეთა (კერიაკისათვის, 204,31 B).

არის ენ სუფიქსიანი მაგალითიც: განნაწილნეს (ოსე 10,2 თბ. გამოც.).

12. ოვერი: გამოაჩინე პირი შენი სიწმიდესა ზედა შენსა, რომელი-იგი მოიოჯრა შენთვის (დან. 2,17). ჩვეულებრივ, რასაკვირველია, ღონიანი ფორმები გვაქვს ვნებითისათვის, მაგალითად: ყოველი სამეუფო, გაეთული თავსა ზედა მისსა, აღოჯრდის (მ. 12,25 C); ყოველი მეუფემა, რომელი განეეთის თავსა თვისსა, მოოჯრდის (მ. 12,25; ლ. 11,17).

13. საღილი: იწყეს განცხრომად, რომელ არს განცხრომა სულისაი, და ისაღილებიან, რომელნი შესწირვენ წმიდასა შესაწირავსა (ბოლნ. 40,18); პრქუა მათ იესუ: მოველით და ისაღილენით (ი. 21,12 DE); ... მოველით, ვისაღილენთ (იქვე, C); ოდეს ისაღილნეს, პრქუა სიმონ-პეტრე იესუს (ი. 21,15). აღნიშნული ფორმები ვნებითისაა. ვნებითა აგრეთვე ამავე შინაარსის მქონე მეორე ზმნაც: სამხრობა (სამხარიდან ნაწარმოები).

14. სამხარი: მაშინ ეპიფანე ასწავებდა ტაბლასა მას ზედა, რომელნი-იგი ისამხრებოდეს (საკ. წ. II, 119,13); ხოლო ქარინოს პრქუა მათ, რომელნი-იგი ისამხრებოდეს (იქვე, 119,14); უბრძანებდა იგი სამხარსა მას ზედა. და ისამხრნეს იგინი (იქვე, 72,9).

პირველი ისამხრებოდეს ხელნაწერში ასე იკითხება: ისამხრებდეს. თუ აქ გადაწერს უბრალო ლაფსუსი არ მოსვლია და ო ისე არ გამორჩინა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ფორმის გაგებაში აზრთა სხვადასხვაობა ძველადაც ყოფილა (ხელნაწერი 982 წელს არის გადაწერილი). ზოგს იგი ვნებითად არ მიაჩნდა და ოდის ნაცულად დ-თი წერდა, სუბიექტად, აღბათ, მოთხრობითს შეუწყობდა, როგორც ჩვენ ვიქცევით დღეს: ისაღილეს მათ, ისამხრეს მათ.

15. სოველი: შეისოველა უფლისა ფერვი (კურთხ. იაკ. 190,16); შეისოველოს ფერვი მისი ზეთითა (იქვე, 184,9); ერთი ნაწილი შეისოველოს და ერთი ნაწილი არა შეისოველოს, იგი განემეს (ამოს 4,7 პარიზ.); შეისოველნენ ფერვნი მისნი ზეთითა (კურთხ. იაკ. 186,12). დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ღონიანი ფორმა გვაქვს: დასველდა, დასველდეს (გურულში ძველებური ფუძით: დასოლდა, დასოლდეს, რომელშიც ო-ს შემდეგ ვ დაკარგულია. შდრ. ცივი — ციოდა, კივის — კიოდა...).

16. ტენი: დადაღებნ და ქვითა დაიტენენ (მრ. 5,5 C); ერთ-გზის ქვითა განვიტენე (2 კორ. 11,25); იგი თავადი არს უფალი ჩემი სტეფანე, რომელი-იგი ქვითა განიტენა ურწმუნოთა მიერ ჰურიათა იერუსალმშს (ისტ. ქრ. I, 248,27); იერემა და ნაბუთე ქვითა განიტენნეს (ებრ. 11,37); უკუეთუ შეეწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა საძაგელი ეგვიპტისაი წინაშე მისსა, ქვითა განვიტენნეთ (გამ. 8,26).

17. ქორწილი (ქორწინი): ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და

განპქორწინებენ (ლ. 20,34); არცა იქორწინებთან, არცა განპქორწინებენ (ლ. 20,35); ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განპქორწინებდეს (მ. 24,38; ლ. 17,27); რაჟამს მკუდრეთით აღდგენ, არცა იქორწინებუდთან, არცა განპქორწინებდენ (მრ. 12,25; ლ. 20,35 C); რომელნი არა წესიერებით იქორწინეს (თუალთ. 70,27); რომელნი იქორწინეს სიხარულითა მეუღლისათა (სწავ. 224,10 B). AC ხელნაწერებში კი გვაქვს რომელთა იქორწინეს. ეს უკვე აღარ არის ენებითი: აქ სუბიექტად მოთხრობითია, ზმნაში ენებითათვის დამახასიათებელი ნ-ც (←ენ) აღარ არის. როგორც ჩანს, ძველად ამ ფორმის გაგებაშიც სხვადასხვა აზრის იყვნენ: თუ ზოგი მას უფრო ძველი ნორმების მიხედვით ენებითად თვლიდა და სუბიექტს სახელობითში უწყობდა, ზოგს, ეტყობა (დღევანდელსავე), სათაისო ქცევად მიაჩნდა (პირდაპირი ობიექტი ახლაც არა ჩანს) და სუბიექტს მოთხრობითში უთანხმებდა. შდრ. ზემოთ განხილული ისაშხრებოდეს.

18. ღმერთი: ერთმან ორთა ამთჳანმან განაღმრთო და მეორე იგი განიღმრთო (მრავ. 299,2). ჩვეულებრივია ამ ზმნის ენებითის ენ სუფიქსით წარმოება, მაგალითად: წადიერებით ამისითა ღმრთისა მიმართ განაღმრთნეს ივინი (მრავ. 297,34).

19. შიშუელი: განშუარცულ იქმნა იგი ურწმუნოებისაგან და განიშიშულა საფასეთაგან მიცემითა გლახათათა (საკ. წ. II, 20,16); აღდგა და განუყო ყოველი მონაგები მისი გლახათა და განიშიშულა წამებისათვის (Sin. 62. 31v.3); ოდეს-იგი განიშიშულოს მკერდი შენი და ცხადად გამოჩნდეს წერილი იგი გულისა შენისა (სწავ. 131,1).

დღეს, რა თქმა უნდა, გვაქვს წესის მიხედვით ნაწარმოები ღონიანი ფორმა: გამიშვლდა. ასეთი ფორმა აქა-იქ გვაქონდა ძველდაც: შემოსული ცათაი ღრუბლითა განშიშულდი (სას. პ. 151,7); განშიშულდი შენ სათნოებათა მოგებითა (იქვე. 154,66); განშიშულდი, რადთა შეიძოსო (სწავ. 289,17); ოდეს-იგი ჭამა მისგანი, განშიშულდა, განიძო იგი სამოთხით ღმრთისათ (სწავ. 217,9); განიძარცუეთ და განშიშულდით და შეირცთო წელთა თქვენთა ძაძაი (ეს. 32,11); არასადა განშიშულდის და არცა იბანის სადა და პრცხუენინ ხილვად ვისამე (კომ. I, 16,21).

20. ცხადი: რადთა არავის უთხრან, ვიდრემდის თვთ ივინი განიცხადნენ (კომ. II, 75,18 A = A-19 /სევან. მრავ./). ეს საკმაოდ უჩვეულო ფორმა ძველი ქართულისათვის. მოსალოდნელი იყო, ჩვეულებრივ, განეცხადნენ (რელატიურად) ან განცხადნენ (აბსოლუტურად). მეორე ხელნაწერში (C = A-95 /პარხ. მრავ./), როგორც სქოლიოში ჩატანილი ფორმა უჩვენებს, მართლაც, ენ სუფიქსიანი აბსოლუტური ფორმა ყოფილა, ოღონდ გამო ზმნისწინით: გამოცხადნენ.

21. წილი: რომელ განიწილა ორგან (თუალთ. 88,17); რომელნი განიწილნეს მთასა მას გარიზინს და გებალს (იქვე, 94, 13).

რაც შეეხება ენიან ენებითებს, ისინი თავისი შინაარსითა და ფორმებით უფრო მრავალფეროვანია. მაგალითად, ნასახელარ ზმნებში იხდნენ და იგუებენ ე-ს გამოყენებას, ახალ ქართულსაც უფრო ეხმარებთან და დღეს იმდენად ყურს არ გვაქრის, როგორც ზოგი ინიანი (დაიბოწაფა, დაიძარილა, დაიქინა, განიცხადა...), ძველ ტექსტებშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება, მაგალითად: შევერთა (= შეუერთდა), დაემგობრნეს, დაემკვდრა, დაემუშაკა, დაესახლა, განემორა, განეცხადა, დაემოწა-

ფა. ქემტერა... დახადა-ს ტიპის ზნებს, მაგალითად. მხოლოდ და მხოლოდ ენიანი ენებითი მოეპოვებათ (დაებადა. განეშხადა. დაენერგა. დაეფულა, დაეშა. დაემარხა, დაეთესა...)»<sup>29</sup>.

#### 8. ი პრეფიქსის საზღვარი უნაწიანი ზნებაში

ი პრეფიქსი ზნებში შეიძლება შეგვხვდეს სამგვარი ფუნქციით: ა) იგი აღნიშნავს ენებით გვარს (ი-თარგმან-ა იგი), ბ) სათავისო ქცევას (ი-თარგმან-ა მან იგი) და ც) სასხვისო ქცევას (გამო-მ-ი-თარგმან-ა მან მე/ჩუენ იგი, მ-ი-ე-ი-ს იგი მე/ჩუენ). ამ სამი შემთხვევის ერთმანეთისაგან გარჩევა ძველ ქართულში ყოველთვის ადვილი არ არის.

როგორ უნდა განვასხვავოთ ეს პრეფიქსები ერთმანეთისაგან?

თუ ზნა ერთპირიანია, ცხადია, მისი ი პრეფიქსი ენებითი გვარის ნიშანია, იგი ზნას ყველა პირში ექნება: ე-ი-ყავ-ე, ი-ყავ, ი-ყო (\*ი-ყავ-ა), და-ე-ი-მალ-ე, და-ი-მალ-ე, და-ი-მალ-ა, მო-ე-ი-კალ, მო-ი-კალ, მო-ი-კლა.

თუ გარდამავალი ზნა ორპირიანია, მისი ი პრეფიქსი სათავისო ქცევის ნიშანი იქნება. ამ შემთხვევაშიც ი სამივე პირს გასდევს უცვლელად: ე-ი-ხილ-ე (მე იგი), ი-ხილ-ე, ი-ხილ-ა, შთა-ე-ი-ცუ, შთა-ი-ცუ, შთა-ი-ცუა.

თუ გარდამავალი ზნა სამპირიანია, სადაც ი პრეფიქსი სასხვისო ქცევის ნიშანი იქნება. აქ ის მხოლოდ I და II პირის ფორმებში გამოვლინდება. შესაძლო ირიბობიექტური პირის ფორმებში სასხვისო ქცევის ნიშანი უ პრეფიქსია: და-მ-ი-წერ-ა, და-გ-ი-წერ-ა (მაგრამ: და-უ-წერ-ა); აღ-მ-ი-თქუ-ა, აღ-გ-ი-თქუ-ა (მაგრამ: აღ-უ-თქუ-ა).

ი ორპირიან გარდაუვალ ზნებში მხოლოდ სასხვისო ქცევის ნიშანია; ამიტომ ის აქაც მხოლოდ I და II ირიბობიექტური პირების ფორმებს მოეპოვებათ, III-ისაში აქაც უ გვაქვს: მ-ი-ე-ი-ს, გ-ი-ე-ი-ს (მაგრამ: უ-ე-ი-ს); მ-ი-ყუარ-ს, გ-ი-ყუარ-ს (მაგრამ: უ-ყუარ-ს).

აი, ორიოდ მაგალითი ტექსტებიდან:

#### ა) ი უნაწიანი გვარის ნიშანი

რომელ ითარგმანების: მოძღურ, სადა იყოფი (ი. 1,38); რომელ ითარგმანების მოვლინებულად (ი. 9.7); რომელ გამოითარგმანების: მოძღურ, სადა არს საეანე შენი (ი. 1,38 C); ანეი გამოითარგმანების: იყან (გამოცხ. 1,7 თ).

რამეთუ ამისთვის მოვივლინე (მრ. 1.38; ლ. 4,43); მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას (ლ. 1,19); ამის მიზეზისათვის მოვივლინე მე მამისა მიერ ზილვად მათა (საკ. წ. II, 63,19); მოვივლინე შენ წმიდათა მიერ მღვდელთ-მოძღურათა განმსტრობად ჩემდა (იქვე, 115,7); მოვივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქსა გალილეუელთასა (ლ. 1,26 C); არავისა ერთისა მათგანისა მოვივლინა ელია, გარნა სარეფთად სიდონიამსა, დედაკაცისა ქურივისა (ლ. 4,26); საშინელ არს, ოდეს მოვივლინენ სეფეკაცინი ძიებად ავაზაკისა და შეიპყრან იგი (სწავ. 139,10).

<sup>29</sup> ამის თაობაზე იხ. ა. თამაშვილი. ენებითი გვარის ზნათა თავისებურებანი. გვ. 32-35 და სხვ.

გვეტედ მოიყვანე ველთაგან უცხოთათა (საქ. წ. II, 66,37); ვინაიცა მოიყვანე (დაბ. 3.19 ლაგ.); მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ. რაითა გამოიყვანოს ეშმაკისაგან (მ. 4,1); პირველ საზრდელისა მოღებამდე ერისაგანთა მიერ შეიპყრა იგი და მოიყვანა წინაშე კეისრისა (მარხ. 1201); რამეთუ ყოველივე მის მიერ არადასაგან არსად მოიყვანებით (ასურ. 13,21); /რადენინი/ უერწნელს მას სიმართლისა სასძლოსა მიიყვანნენ (სინ. 10,22 = მიყვანილ იქნებთან, მივლენ).

მპარავად შევიპყარ და ქუეყანასა უცხოსა მონებად მივეცი (საქ. წ. II, 173,17).

#### ბ) ი სათავისო ძაჲვის ნიჲანი

დაწერა კოსტანტინე მეფისათვის და სხუათათვისცა მრავალთა; და ითარგმანნა ბუელნი და ახალნი წიგნი (ცხოვრ. ფერ. 107,22); ეძიებდეს მას და ითარგმანეს მათ ადგილი იგი ეპიფანსსი (საქ. წ. II, 100,10 = გამოიკითხეს, გამოიკითხვით გაიგეს).

აღივლინნეთ მის ზედა ჰუნენი, ვითარცა სიმრავლე მკლისა (იერ. 51,27).

მოიყვანე ძქ ჩემი შენდა (მრ. 9,17 D); შემპყრეს და მომიყვანეს მე განკითხვად შენ წინაშე (კიმ. I, 133,15); მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი შედნი სულნი (მ. 12,45; ლ. 11,26).

შევიპყარ იგი და არა განუტეო იგი (სინ. 160,34); განკერვებამან შეიპყრა იგი (ლ. 5,9); დღითი-დღედ თქვენ თანა ტადარსა შინა ვცუდ და გასწავებდ და არა შემპყართ მე (მ. 26,55; მრ. 14,49); რაითა იესუ ზაკუეთი შეიპყრან (მ. 26,4).

განოგმირა დანაკითა მით თავი თვისი (ლიბ. 36,20).

#### ც) ი სასხვისო ძაჲვის ნიჲანი

ა) ვითარ-იგი გამოძითარგმანებდა ჩუენ წიგნთა (ლ. 24,32); გამოგვთარგმანნა ჩუენ ყოველთა წიგნთაგან აღდგომისა მისისათვის (სინ. 157,35).

რომელსა-იგი ქორწინებასა ოდენ სენი ვორცთაი მომივლინე (კიმ. I, 200,27); მე მოვივლინო თქვენ აღთქმად იგი მამისა ჩემისა (ლ. 24,49); უკუეთუ მივიდე. მოვივლინო იგი თქვენდა (ი. 16,7 C); რომელი მოვივლინოს მამამან სახელითა ჩემითა (სინ. 185,14).

მოვიდა და დადგა მახლობელად წინაშე ჩემსა და მოგუძირა მით /კუერთხითა/ გუერდსა ჩემსა და მიწოდა მე სახელით სამ გზის (ისტ. ქრ. I, 248,10). სინურ მრავალთავეში (ამავე თხზულებაში) ეს ზმნა შე ზმნისწინით არის წარმოდგენილი: შემოგუძირა მე კუერთხითა მით სამ გზის (64,4).

უყრა ფერვი აქლემსა მას (საქ. წ. II, 95,23); არა-მე უყრასა და აღმოიქუას იგი (მ. 12,11); შეუყარ (მე) ბარკალი მისი (ისტ. ქრ. II, 91,29). ამ ზმნაში ირიბობი-ექტური პირები ყველგან მესამეა. პირველ და მეორე პირებში (რაც ახლა ჩვენ გვანტერესებს) გვექნებოდა: მ-ი-პყრ-ა, გ-ი-პყრ-ა.

ბ) იგი ხოლო მარტოი მივის (ლ. 9,38); არა გივის ქმარი (ი.4,17); მამად გვეის ჩუენ აბრაჰამი (მ. 3,9; ლ. 3,8).

ჰკითხა ქსენადუქარსა: უკუეთუ გიდგს ღენოი? ხოლო მან პრქუა: ყოველთად-ვე არა გვდგს. გარნა აყიროსა მცირედ ძმარი მიდგს შესანელეებელად წუენისათვის (კიმ. II, 176,23); რომელსა უდგს ასი ცხოვარი (ბოლნ. 27,7); ჯარნი არა უდგან

(Опис. 185,3).

შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ (ი. 21,15,16,17); მიყუარს მამა ჩემი (ი. 14,31); სიბონ იონაისო, გიყურ მეა? (ი. 21,15,16 E); ამისთვის მამასა უყუარ მე (ი. 10,17); შენ უყუარ უფროის აზნაურთასა (სწავ. 146,14); უკუეთუშეცა გიყუარდი მე, გიხაროდამცა (ი. 14,28); გიყუარდელ მტერნი თქუენნი (მ. 5,44).

ვითარ გინს თქუენ (მრ. 14,64 C); მეღთა კურელი უწნს და მფრინველთა ცისათა საყუდელი, ხოლო ძესა კაცისასა არა უწს. სადა თავი მიიდრიკოს (ლ. 9,58); არცა თავი ჩემი ღირს მიჩნდა მისლვად შენდა (ლ. 7,7); ჯერ-მიჩნდა მეცა ... შემდგომითი-შემდგომად მიწერად შენდა (ლ. 1,3); ჯერ-გიჩნდინ და ბრძანე, რადითა მეორედ და შესამედ გამომეტხადოს (სინ. 65,33).

მე მიხარის თქუენთვის (ი. 11,15); სიხარულით უხარის ვძითა სიძისადითა (ი. 3,29 D); ამის ზედა ნუ გიხარინ (ლ. 10,20); გიხაროდენ და მხიარულ იყვენით (მ. 5,12; ლ. 6,23).

ვერ ველ-ეწიფების თუალსა, ვითარმცა პრქუა ველსა: არა მივმ შენ, ანუ კუალად თავსა — ფერვთა, ვითარმედ: არა მივმთ თქუენ (1 კორ. 12,21); მე მივმს შენ მიერ ნათლის ღებად (მ. 3,14); იცის მამამან თქუენმან ზეცათამან, რად გივმს თქუენ (მ. 6,8); არა უვმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა (მ. 9,12); რადისლა გვვმს მოწამე (მ. 26,65 C); უფალსა მაგისსა უვმან ვენი (მ. 21,3 C); იყიდე, რად გვვმდეს დღესასწაულსა ამას (ი. 13,29).

რადგანაც ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ხშირია მი კომპლექსი (შე-მ-მ-ყრ-ეს, მო-მ-ი-ყვან-ეს, გამო-მ-ი-თარგმან-ე, მო-მ-ი-ელინ-ე, მ-ი-გუმირ-ა, მ-ი-ე-ი-ს, მ-ი-ღ-ს, მ-ი-ყუარ-ს, მ-ი-ვ-მ-ს...), არის ცდუნება, რომ ამას გაუთანაბრონ და აქვე განიხილონ ისეთი მი კომპლექსიანი მაგალითები, როგორიცაა: მი-ვსცემ, მი-ვილე, მი-ვართუ, მი-ვრბი, მი-ვიყვანე და სხვ. მაგრამ არა: უკანასკნელ მაგალითებში მი მთლიანად ზნისწინია, ის არ დაიშლება, მისი მოვალეობაა ზნის მიერ გამოხატული მოქმედების მიმართულების ჩვენება, პირთან მას არავითარი კავშირი არა აქვს, მასთან შეიძლება ვიხმართო როგორც I, ისე II და III პირები: მი-ვიყვანე (მე იგი), მი-იყვანე (შენ იგი). მი-იყვანა (მან იგი). ეს ორი, სხვადასხვა წარმოშობისა და შედგენილობის მი შემთხვევით ჰგავს ერთმანეთს: ერთი ზნისწინია და არ დაიშლება, იხმარება ყველა პირთან, მეორე იშლება: მ პირველი ობიექტური პირის ნიშანია, ი კი ორი ფუნქციით გვხვდება: ის ზოგჯერ (იშეიათად) სათაეისო ქცევას აღნიშნავს (შემ-ი-პყრეს, მო-მ-ი-ყვანეს). უფრო ხშირად კი სასხვისო ქცევას გამოხატავს (მ-ი-ვის, მ-ი-ვმს, მო-მ-ი-ელინოს, მ-ი-თხრას, გამო-მ-ი-თარგმანე...).

არის შემთხვევები, როცა ეს ორგვარი მი (მი ზნისწინი და პირისა და ქცევის მი ნიშნები) ერთსა და იმავე ფორმში იხმარება და ყოველთვის ადვილი არ არის მათი ერთმანეთისაგან განსხვავება. მიზიდავს, მაგალითად, უკონტექსტოდ ამასაც ნიშნავს: მიზიდავს იგი მე (он притягивает меня) და ამასაც: მიზიდავს ის წიგნებს სახლში (он приносит мне книги домой). ასეთი შემთხვევები ახალ ქართულში გაცილებით მეტია. მაგალითად:

მი-ღელავს მტკვარი	და	მი-ღელავს მე გული
მი-ხტუნავს და მიღის	და	მი-ხტუნავს მე გული



მოქრის მატარებელი	და	მოქრის თავში აზრები
მოფრინავს თვითმფრინავი	და	მოფრინავს მე წინ ჩიტო
მოთესავს და მოთესავს	და	მოთესავს მე ყანას
მოხატავს და მოხატავს	და	მოხატავს ის მე სურათს და სხვ.

კონტექსტში. რა თქმა უნდა, ამათი გარჩევა გაცილებით ადვილია. მაგრამ სიძნელე მინც არსებობს. ჩვენი მსჯელობის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ამ შესაძლო სიძნელეს მივაქციოთ ყურადღება. რომ გარეგნულად ერთნაირი, მაგრამ შედგენილობითა და მნიშვნელობით სულ სხვადასხვა ფორმები ერთ ტაფაში არ მოაქციონ და ერთმანეთში არ აურიონ.

## B. შინაინი კვებითი

### 1. შინაინი კვებითი ორადიანია.

ოგი მას: ე-სმი-ს, ე-ვედრები-ს, შე-ე-მთხუევი-ს, და-ე-მალეები-ს, გან-ე-ყინები-ს, გან-ე-ლები-ს, ე-წამები-ს... მისი შესატყვისი მოქმედებითი სამპირიანია: ოგი მას მას : ასმენს (შეასმინებს), შეავედრებს, შეამთხუევს, დაუმალავს, განაყინებს, განულებს, უწამებს. მოქმედებითსა და მის ენებითს შორის პირთა რაოდენობის კოორდინაცია აქაც გვაქვს: მოქმედებითს თავის ენებითზე ერთი პირით მეტი უნდა ჰქონდეს, ენებითს თავის მოქმედებითზე — ერთი პირით ნაკლები.

### 2. ნასახელარი შინაინი კვებითი.

ენიანი ენებითიც (როგორც ინანი) ჩვეულებრივად პირველადი ზმნებისაგან იწარმოება, მათთვის არის დამახასიათებელი (უწერს—ეწერების, მოკრუთს—მოკრუთების, დაუფენს — დაეფენების ...). მაგრამ ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როცა ოგი ნასახელარ ზმნებსაც მოეპოვებათ: ჩვენი ენა ზმნის მოქნილობის ამ მძლავრ რესურსს აქაც მთელი ძალით იყენებს. აი, რამდენიმე ნიმუში:

მართი — შამართა: შეეერთა ძალი ძალსა (კომ. I, 246,34).

მამოვარი — ლამამოვრა: შემდგომად სიკუდილისა სათენიკისა სხუანი ვინმე მოვიდეს ... და დაემგობრნეს მათ (ურთ. 17,2).

მიჯლი — ლამიჯლა: მივიდა ოგი მებაანოეს თანა და დაემიზლა მას (ცხორ. ეფრ. 89,25).

მამდრი — ლამამდრა: დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკვდრა კაფარნაუმს (მ. 4.13 D).

მორაილი — ლამორაილა: უფალო, ეშმაკიცა დაგუმორჩილებიან სახელითა შენითა (ლ. 10,17).

მორაჟა — ლამორაჟა: რომელთა დაემოწაჟე (ლ. 1,4 C).

მბარი — ემბარა: ჰეროდსა ჰემტერა მას (მრ. 6,19 C).

მბაიდა — ლამბაიდა: მიერ ყამითგან დაემტკიცა სახლი ოგი (კომ. I, 258,21).

მშაბაი — ლამშაბაა: შენცამცა დაემუშაჟე მუშაკობას ამას ჩემსა (ურთ. 37,8).

ნარი — ლანარა: აღიფხურ და დაენერგე ზღუასა შინა (ლ. 17,6).

რანი — შიარა: მიერულა ყოველთა და დაიძინეს (მ. 25,5 C).

სახლური — ლანასახლური: არამედ მგელნი იგი მოიქცეს მორჩილებად და დაესახლულენეს ცხოვართა მათ (სინ. 220, 19).

სრანი — აღსარა: აღესრულა თქუბული იგი იერებია წინაწარმეტყუელისაი (მ. 2,17).

უხანი — უხა: რომლითა გრძობითა შეუფლები (ეგ. III, 190,9).

ცრუ — ვარა: ხოლო ფიცისათვის და მუხნეთა მათთვის არა ეცრუა მას (მრ. 6,26 C).

ცხანი — ზამოცხანი: ამისა შექმდომად ორთა მათგანთა სლუასა შინა გამოეცხანა სხვსა ხატითა (მრ. 16,12).

### 3. ენიანი ენებითვის უღლება

უღლების ყალიბი ენიან ენებითებს საეხებით ისეთივე აქვს, როგორც ენიან ენებითებს ყველა დამახასიათებელი თვისებითა და თავისებურებით, მათ შორის II სერიის მწკრივების მრავლობითში ენ-ან სუფიქსის გამოკლებით (ძირითადი თავისებურება). ამიტომ აქ მხოლოდ უღლების ნიმუშების ჩვენებას დაეკერძებით (ახსნას მკითხველი ენიან ენებითთან იპოვის).

## I სერია

### აწაჲ

ე-ეღრ-ე-ბი	მი-ე-ე-ც-ემ-ი	შე-ე-ე-მთხ-უე-ე-ი
ე-ეღრ-ე-ბი	მი- ე-ც-ემ-ი	შე- ე-მთხ-უე-ე-ი
ე-ეღრ-ე-ბი-ს	მი- ე-ც-ემ-ი-ს	შე- ე-მთხ-უე-ე-ი-ს
ე-ეღრ-ე-ბი-თ	მი-ე-ე-ც-ემ-ი-თ	შე-ე-ე-მთხ-უე-ე-ი-თ
ე-ეღრ-ე-ბი-თ	მი- ე-ც-ემ-ი-თ	შე- ე-მთხ-უე-ე-ი-თ
ე-ეღრ-ე-ბი-ან	მი- ე-ც-ემ-ი-ან	შე- ე-მთხ-უე-ე-ი-ან

### აწაჲს სოლმეობითი

ე-ეღრ-ე-ბი-ნ	მი-ე-ც-ემ-ი-ნ	შე-ე-მთხ-უე-ე-ი-ნ
ე-ეღრ-ე-ბი-ი-ელ	მი-ე-ც-ემ-ი-ი-ელ	შე-ე-მთხ-უე-ე-ი-ი-ელ

### უწაჲბათლი

ე-ეღრ-ე-ბი-ო-ღ-ე	მი-ე-ე-ც-ემ-ო-ღ-ე	შე-ე-ე-მთხ-უე-ე-ო-ღ-ე
ე-ეღრ-ე-ბი-ო-ღ-ე	მი- ე-ც-ემ-ო-ღ-ე	შე- ე-მთხ-უე-ე-ო-ღ-ე
ე-ეღრ-ე-ბი-ო-ღ-ა	მი- ე-ც-ემ-ო-ღ-ა	შე- ე-მთხ-უე-ე-ო-ღ-ა
ე-ეღრ-ე-ბი-ო-ღ-ე-თ	მი-ე-ე-ც-ემ-ო-ღ-ე-თ	შე-ე-ე-მთხ-უე-ე-ო-ღ-ე-თ

ე-ვედრ-ებ-ოდ-ეთ	მი- ე-ც-ემ-ოდ-ეთ	შე- ე-მთხუვე-ოდ-ეთ
ე-ვედრ-ებ-ოდ-ეს	მი- ე-ც-ემ-ოდ-ეს	შე- ე-მთხუვე-ოდ-ეს

I ზრახვებითი

ე-ვედრ-ებ-ოდ-ე	მი-ე-ც-ემ-ოდ-ე	შე-ე-მთხუვე-ოდ-ე
ე-ვედრ-ებ-ოდ-ენ	მი-ე-ც-ემ-ოდ-ენ	შე-ე-მთხუვე-ოდ-ენ
ე-ვედრ-ებ-ოდ-ეთ	მი-ე-ც-ემ-ოდ-ეთ	შე-ე-მთხუვე-ოდ-ეთ
ე-ვედრ-ებ-ოდ-ედ	მი-ე-ც-ემ-ოდ-ედ	შე-ე-მთხუვე-ოდ-ედ

უფხვატლის სრლხეოზითი ღა I კაჲოიკაზითი

ე-ე-ვედრ-ებ-ოდ-ი	მი-ე-ე-ც-ემ-ოდ-ი	შე-ე-ე-მთხუვე-ოდ-ი
ე-ვედრ-ებ-ოდ-ი	მი- ე-ც-ემ-ოდ-ი	შე- ე-მთხუვე-ოდ-ი
ე-ვედრ-ებ-ოდ-ის	მი- ე-ც-ემ-ოდ-ის	შე- ე-მთხუვე-ოდ-ის
ე-ე-ვედრ-ებ-ოდ-ით	მი-ე-ე-ც-ემ-ოდ-ით	შე-ე-ე-მთხუვე-ოდ-ით
ე-ვედრ-ებ-ოდ-ით	მი- ე-ც-ემ-ოდ-ით	შე- ე-მთხუვე-ოდ-ით
ე-ვედრ-ებ-ოდ-იან	მი- ე-ც-ემ-ოდ-იან	შე- ე-მთხუვე-ოდ-იან

ამ ორი მწკრივის მრავლობითის შესაშე პირებში აქაც გეხვდება გარჩეული

ფორმები:

უფხვატლის სრლხეოზითისათვის

ე-ვედრ-ებ-ოდ-ი-ედ	მი-ე-ც-ემ-ოდ-ი-ედ	შე-ე-მთხუვე-ოდ-ი-ედ
-------------------	-------------------	---------------------

I კაჲოიკაზითისათვის

ე-ვედრ-ებ-ოდ-ი-ენ	მი-ე-ც-ემ-ოდ-ი-ენ	შე-ე-მთხუვე-ოდ-ი-ენ
-------------------	-------------------	---------------------

II სერია

ფხვატლი

ე-ე-ვედრ-ე	მი-ე-ე-ც-ი	შე-ე-ე-მთხუვე
ე-ვედრ-ე	მი- ე-ც-ი	შე- ე-მთხუვე
ე-ვედრ-ა	მი- ე-ც-ა	შე- ე-მთხუვე-ა
ე-ე-ვედრ-ენ-(ი)-თ	მი-ე-ე-ც-ენ-(ი)-თ	შე-ე-ე-მთხუვენ-(ი)-თ
ე-ვედრ-ენ-(ი)-თ	მი- ე-ც-ენ-(ი)-თ	შე- ე-მთხუვენ-(ი)-თ
ე-ვედრ-ენ-ეს	მი- ე-ც-ენ-ეს	შე- ე-მთხუვენ-ეს
		(/შე-ე-მთხუვენ-ეს/
		/შე-ე-მთხუვენ-ეს)

## II ბრანჯებითი

ევედრე	მი-ე-ცი	შე-ე-მთხვე
ევედრ-ენ	მი-ე-ცი-ენ	შე-ე-მთხვე-ენ
ევედრ-ენ-(ი)-თ	მი-ე-ცი-ენ-(ი)-თ	შე-ე-მთხვე-ენ-(ი)-თ
ევედრ-ენ-ელ	მი-ე-ცი-ენ-ელ	შე-ე-მთხვე-ენ-ელ

## II სოლავოზითი

ე-ე-ე-დ-რ-ი	მი-ე-ე-ცი	შე-ე-ე-მთხვე-ი
ე-ე-ე-დ-რ-ი	მი-ე-ე-ცი	შე-ე-ე-მთხვე-ი
ე-ე-ე-დ-რ-ი-ს	მი-ე-ე-ცი-ის	შე-ე-ე-მთხვე-ი-ს
ე-ე-ე-დ-რ-ი-თ	მი-ე-ე-ცი-ით	შე-ე-ე-მთხვე-ი-თ
ე-ე-ე-დ-რ-ი-თ	მი-ე-ე-ცი-ით	შე-ე-ე-მთხვე-ი-თ
ე-ე-ე-დ-რ-ი-ან	მი-ე-ე-ცი-იან	შე-ე-ე-მთხვე-ი-ან

## II კავშირებითი

ე-ე-ე-დ-რ-ო	მი-ე-ე-ცი-ე	შე-ე-ე-მთხვე-ო
ე-ე-ე-დ-რ-ო	მი-ე-ე-ცი-ე	შე-ე-ე-მთხვე-ო
ე-ე-ე-დ-რ-ო-ს	მი-ე-ე-ცი-ეს	შე-ე-ე-მთხვე-ო-ს
ე-ე-ე-დ-რ-ი-ეთ	მი-ე-ე-ცი-ით	შე-ე-ე-მთხვე-ი-თ
ე-ე-ე-დ-რ-ი-თ	მი-ე-ე-ცი-ით	შე-ე-ე-მთხვე-ი-თ
ე-ე-ე-დ-რ-ი-ენ	მი-ე-ე-ცი-ენ	შე-ე-ე-მთხვე-ი-ენ

შესაბე სერიის ფორმები ინიან და ენიან ვნებითებს სულ სხვადასხვაგვარად აქეთ ნაწარმოები: ინიანებს აღწერითად (ღამალულ ვარ, ღამალულ ხარ, ღამალულ არს... ნ. ზემოთ, გვ. 231), ენიანებს (და ყველა ორპირიან გარდაუვალოთ) კი ორგანუ-ლად: შემმთხვევიეს, შეგმთხვევიეს, შეჰმთხვევიეს, მომცემიეს, მოგცემიეს, მოსცემიეს... შემმთხვეოდა, შეგმთხვეოდა, შეჰმთხვეოდა (ნ. ზემოთ, გვ. 235). ენიან ვნებითებს ინიანებთან საერთო აქეთ აგრეთვე შეუკუმშავი ფუძე ისეთ ზნებში, როგორცაა: ღაითხარების, ღაითშალების, ღაითსაჯების, გარღაივადების და სხვ. შდრ. ღაითხარების, ღაითხარებოდა, ღაითშალების, ღაითშალებოდა, ღაითსაჯების, ღაითსაჯებოდა. გარღაივადების, გარღაივადებოდა და სხვ. ნ. ზემოთ, გვ. 307).

როგორც აღნიშნული გეჰინდა, ენიანი ვნებითი ინიანთა მსგავსად გეჰიკენებს II სერიის მწკრივებში მოქმედებითიდან გადმოყოლილ პირდაპირი ობიექტის აღმნიშვნელ ენ-ნ სუფიქსს: ღაითშალებით — ღაითშალებით, ვიქნებით — ვიქნებით, განიყარებით — განიყარებით, ღაითფარნეს — ღაითფარნეს, შევიყარებით — შევიყარებით და სხვ. ეს იმდენად საერთო და უცვლელი თვისებაა, რომ ინიანი და ენიანი ვნებითები შეიძლება ერთად წარმოგვიდგინენ, მხოლოდ ი-სა და ე-ს განსხვავების ჩვენებით. მაგალითად:

## წყვე-

და-ვ-ი/ე-მალენით  
 და- ი/ე-მალენით  
 და- ი/ე მალენს

## II კავშ.

და-ვ-ი/ე-მალნეთ  
 და- ი/ე-მალნეთ  
 და- ი/ე-მალნენ

ზემოთ განვიხილეთ ორად ორი გამონაკლისი, როცა ენ-ან სუფიქსი არ უწნდება ინიან ვნებითებს (მოიქცეს, დაირლუეს და არა: მოიქცენეს, დაირლუნეს). ეს თავისებურება დამახასიათებელია ენიანებისთვისაც: მივექცეცით, მოვექცეცით, მივექცეცით, მივექცეს, მოვექცეს და არა: მივექცენით, მოვექცენით, მოვექცენით, მივექცენს, მოვექცენს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ზმნებში ორივე სახის ვნებითებში სხვა ზმნების ანალოგიით თანდათან იწყებს განვითარებას იგივე ენ-ან სუფიქსი: /კაცად-კაცადნი/ ზღაპრობასა მივექცენ (საკ. წ. II, 46,17); ლოცვა-ყავ ჩემთვის. რადთა მომექცენ კელნი ჩემნი ჩემდა (Sin. 11, 235,6 ქვ.).

როგორც ვნახეთ, ინიანსა და ენიან ვნებითებს უღლების საერთო სქემა და ყალიბი აქვს: აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია II კავშირებითში ერთსა და იმავე ზმნაში ორი მწკრივის ნიშნის წარმოდგენა: ერთი (ო, ა, ე) — მხოლოდითში, მეორე (ე) — მრავლობითში. ამ გარემოებაზე ზემოთ (გვ. 198) სპეციალურად გვაქვს საუბარი და ახსნილი გვაქვს პრეფიქსიან ვნებითათვის დამახასიათებელი ენ-ან სუფიქსის წარმოშობის ისტორია. ეს თანაბრად ეხება ენიან ვნებითათაც:

და-ვ-ი-მალ-ო

და- ი-მალ-ო

და- ი-მალ-ო-ს

და-ვ-ი-მალ-ნ-ე-თ

და- ი-მალ-ნ-ე-თ

და- ი-მალ-ნ-ე-ნ

და-ვ-ე-მალ-ო

და- ე-მალ-ო

და- ე-მალ-ო-ს

და-ვ-ე-მალ-ნ-ე-თ

და- ე-მალ-ნ-ე-თ

და- ე-მალ-ნ-ე-ნ

(და)შე-ვ-ი-პყრ-ა

შე- ი-პყრ-ა-

შე- ი-პყრ-ა-ს

შე-ვ-ი-პყრ-ნ-ე-თ

შე- ი-პყრ-ნ-ე-თ

შე- ი-პყრ-ნ-ე-ნ

და-ვ-ე-პყრ-ა

და- ე-პყრ-ა

და- ე-პყრ-ა-ს

და-ვ-ე-პყრ-ნ-ე-თ

და- ე-პყრ-ნ-ე-თ

და- ე-პყრ-ნ-ე-ნ

ინიანსა და ენიან ვნებითებს სხვაეც არაერთი რამ აქვთ საერთო და საზიარო, როგორც, მაგალითად, შედარებით მარტივი ფუძის (ებ-ის გარეშე) ქონება: ისმის, იელტის და ესმის, ეელტის; იმალვის და იმალეპის — ემალვის და ემალეპის, ითქუმის და ითქუმების — ეთქუმის და ეთქუმების (ერქუმის და ერქუმების) ... მრჩობლი ნარი ნ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან II სერიის მწკრივებში (მრავლობითში), მაგალითად: იქმნენს და ექმნენს, მიივლინენს და მიველინენს, შეიწუნენს და ეწუნენს და ბეერი სხვა. ამ და ამის მსგავს სხვა საერთო თვისებებს მკითხველი აღვიღლად ნახავს

ინანი ენებითის დახასიათებისას. ახლა აქ მთავარია არა საერთო, არამედ განსხვავებული თვისებებისა და თითოეული მათგანისათვის (ამჟამად უნან ენებითათვის) დამახასიათებელი ნიშნების განხილვა და შესწავლა. ახლა სწორედ ამითვე გვექნება საუბრი.

#### 4. "ლაჰადა"-ს ტიპის ზმნები

ე პრეფიქსი ენებითის ნიშნად, როგორც ითქვა, შესაბამის სამპირიან მოქმედებითი გეარის ზმნებს აქვთ (დაუწერა მან მას იგი — დაეწერა იგი მას). ეს გასაგებია. მაგრამ არის ერთი ტიპის ზმნები, რომელთაც მხოლოდ ორი პირის გაგება აქვთ (ორპირიანია). მაგრამ ენებითი არა ინანი (როგორც საერთო წესი მოითხოვს), არამედ უნანი მოეპოვებათ: ლაჰადა მან იგი — დაედა იგი. აღჰმართა მან იგი — აღემართა იგი, დაჰჰა მან იგი — დაეჰა იგი (= დაიხშა, დაიხურა, დაიკეტა). რატომ ხდება ასე? ა. შანიძემ გამოარკვეა, რომ ამგვარი ზმნები (რომელთაც ავტორმა ლაჰადა-ს ტიპის ზმნები შეარქვა) წარმოშობით სამპირიანია. დროთა ვითარებაში მათ დაუკარგა ერთი (ირიბობიექტური) პირი და ჩვეულებრივ ორპირიან გარდამავალ ზმნებად ქცეულან. იმ დაკარგული ირიბობიექტური პირის ნიშანი კი (ზ, ჰ, ს) დარჩენილა. ამიტომაც, რომ II სერიის მწკრივებში, სადაც ჩვეულებრივი სახის ორპირიან გარდამავალ ზმნებს (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი არ სჭირდებათ, აღნიშნული ტიპის ზმნებს ეს ნიშანი ყოველთვის აქვთ დაცული: მან იგი ლაჰადა, აღჰმართა, დაჰჰა, დაჰკრძალის, დაჰმარხოს, დაჰჟვლას, დასთესა, დასთხია. კარგად შენიშნავს ავტორი: ფორმა ძველი, შინაარსი ახალი<sup>20</sup>. სწორედ ასეა. ცნობილია, რომ ენაში ფორმას დიდი გამძლეობა აქვს, სიტყვის შინაარსი კი მაღიმაღ იცვლება. აი, ამ ტიპის უმთავრესი ზმნები<sup>21</sup>:

1. ლაჰადა: ცოლი ვისუ, და შეილი არა მეზადების (ისტ. ქრ. II, 86,3 = არ მიზნდება); შაბათი კაცისათვის დაედა და არა კაცი შაბათისათვის (მრ. 2,27); რომლისა მიერ დაედადნეს დაბადებულნი ყოველნი, და თვნიერ შენსა არარაი დაედადა (ისტ. ქრ. II, 97,33).

მღრ. მოქმ.: რომელ დაჰადა ღმერთმან (მ. 19, 4 C).

2. დაჰეჭდა: დღეს აღმოპოვწყინდი საფლავით, რომელსაცა შინა დაებეჭდე (სას. 3. 277,137); /ღმერთი/ დაებეჭდა საფლავსა (იქვე, 331,35).

მღრ. მოქმ.: დაჰეჭდა კარი საყრობილისაი მის (საკ. წ. II, 42,34).

3. დასთესა: რომელ-იგი გზასა ზედა დაეთესა (მ. 13,19); რომელნი კეთილსა ქუეყანასა დაეთესნეს (მრ. 4,20); ვითრაცა-იგი მღოვცსა მარცუალი, რომელი დაეთესის ქუეყანასა (მრ. 4,31).

მღრ. მოქმ.: რომელმან დასთესა თესლი კეთილი (მ. 13,24); მთესვარმან მან სიტყუაი დასთესის (მრ. 4,14 C).

4. შეჰკაზმა: ხოლო ვიდრე აქამოდე ეკაზმები და ჩუეულებისაებრე იქადი

<sup>20</sup> ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 74-83.

<sup>21</sup> იხ. აგრეთვე ზემოთ. გვ. 60 და შემდ.

სინანულსა (სწავ. 254,21); ამა ესერა აქამოდღე დლითი-დღედ იქადი და ეკაზმები და ეშაღები სინანულსა (იქვე. 255,6); არცა იქადიან და არცა ეკაზმებიან პირველ საქმისა (იქვე. 255,10).

მღრ. მოქმ.: აღკაზმა იგი განსლვად სამეუფოდ თვსად (ბალ. 135,18); რაითა შეკკაზმით ეკლესიად და საკურთხეველი ჟამისწირვისათვს (კიმ. I, 209,2).

5. აღმართა: მეცსეულად აღმართა /დელაკაცი იგი/ (ლ. 13,13); მყის აღმართნეს და დადგეს ფერუთა თვსთა ზედა (ისტ. ქრ. II, 98,2); /მვეცი/ აღმართის ზე და ეგრძთ შეიკყრის საზრდელი იგი პირსა მისსა (ეტ. III, 218,5); რაითა შებმა-უყონ მას დაცემულთა და აღმართნენ (უდაბ. 58ra); უბრძანა, რაითა აღმართნენ (ისტ. ქრ. II, 75,5).

მღრ. მოქმ.: აღზუმართე ესე ჯუარი სახელითა ღმრთისაითა (ისტ. ქრ. I, 15); აღზუმართეთ ესე ჯუარი სალოცველად ჩუენდა (იქვე); მესამესა დღესა აღკკმართო ევე (ი. 2,19 C).

6. განკმარტა: რაჟამს განიკნისის და განემარტის /ფირტვი/. მოზიდვით მოიზიდის აერისაგან სული (უძე. რედ. 225,18).

მღრ. მოქმ.: განკმარტანა ველნი მისნი (საკ. წ. II, 140,23); სასმენელნი თქუენნი საჩინოდ მომიკყრენით და საჩინონი ევე განკმარტენით (სინ. 247,26).

7. დაკმარხა: მაშინლა მე, გამალიელ, შემდგომად მისა აღვესრულე და დავემარხე ... ზეეთა სამარხეოსა მას სტეფან(ძ)სსა (სინ. 65,23).

მღრ. მოქმ.: არა განრყუნა, არცა წარწყმიდა, არამედ დაკმარხა (სინ. 107,26).

8. განკმარხა: ვითარ განეშაღები შენ ჰუნეთა ზედა (იერ. 12,5); ხოლო აწ ჩუენ განვეშაღებოდეთ... და ვიწყეთ მარხეად (ბოლნ. 16,3); განეშაღნეს აღსრულეზად ბრძანებასა მთავრისასა (კიმ. II, 33,4); განეშაღენით პსუსისა მიცემად (წარტყ. 35,7).

მღრ. მოქმ.: რომელმან განკმარხანა მთანი (ფს. 64,7); რაითა განკმარხლოს პირველად, რაი-იგი უკმს საჭმელად (უძე. რედ. 147,14).

დაკმარდა-ს ტიპის ზმნებიდან ეს არის ერთადერთი ზმნა, რომლის ენებითსაც დღეს ე პრეფიქსით ეხმარობთ: მოვეშაღე, გავეშაღე...

9. დაწერგა: რაიდათეს დაწერგვის, რომელსა ნაყოფი არა გამოაქეს (ბოლნ. 18,6); ენავი იგი, რომელ დაწერგა (სინ. 159,29); აღიფხურე და დაწერგე ზღუასა შინა (ლ. 17,6); დაწერგენით სამოთხესა ეკლესიისასა (სწავ. 164,13).

მღრ. მოქმ.: რომელი არა დაწერგა მამამან ჩემმან (მ. 15,13); რომელნი-იგი მან თავადმან დაწერგნა, თქუენ ურთიერთას დაწერგეველით (სინ. 246,31).

10. აღხასრულა: აღესრულების მათ ზედა სიტყუად იგი (მ. 13,14); სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების (მრ. 9,48); სადა უშურველი იგი სიყუარული აღხესრულებინ და ხიდილებინ მამად და ძმ და სული წმიდაი (ისტ. ქრ. I. 32,36).

მღრ. მოქმ.: რაჟამს წარხასრულანა იესუ სიტყუანი ესე (მ. 7,28 Y); ვერ დახასრულოთ ქალაქები ისრა(ძ)ლისაი მოსლვადმდე ძისა კაცისა (მ. 10,23 Y). მართალია, ამ უკანასკნელ ფორმაში მეორე სუბიექტური პირიც გვაქვს, მაგრამ (სხვა მსგაესი მაგალითების მიხედვითაც) ნიშანი უნდა აგრეთვე მესამე ირიბობიექტურ

პირსაც (რომელიც აქ იგულისხმება). ხოლო როცა ეს ორი პირი ერთადაა წარმოდგენილი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთ-ერთი ნიშანი იკარგება და დარჩენილი ნიშანი საზიარაოა.

11. განაჟინა: ჩუენი სარწმუნოებაი განეჟინების ყოველსა ადგილსა (უღაბ. 31vb); წყალუბისა იგი ბადენი განეჟინებოდეს (კიმ. I. 63,29); განეჟინა და მიიწია სურნელუბაი იგი ვითარ ათ მილიონ ოდენ გარემო მათ ადგილთა (ისტ. ქრ. I, 253,3); შვიროთა მათ შეიმართეს და განეჟინნეს გაბას შინა (მსაჯ. 20,37); განეჟინნენ ჭირნი ქუეყანასა ზედა (ლიტ. ქრ. 9,2); მერმეცა გან-ვე-ჟუფნუნქ ქალაქნი კეთილთა შინა (ზაქ. 1,17).

მღრ. მოქმ.: განაჟინა სასმენელნი თვისნი (მრავ. 256,18).

12. დაჰვლა: ვითარცა სახელ რაიბე დაეფულე წყალთა მათ შინა (სინ. 88,33); მის თანა მოჰკუელ, მის თანა დაეფულ (სევან. 70b); მოკულა მდიდარიცა იგი და დაეფულა (ლ. 16,22); უკუეთუ თავი და ტანი მისი ერთსა ადგილსა დაეფულნენ (სინ. 212, 17).

მღრ. მოქმ.: ამის შემდგომად დაჰვლა აბრაჰამ სარრა (დაბ. 23,19).

13. განხალო: ესე არს დღჳ, რომელსა შინა სასუფეველი ცათაი განელუბის და მართალნი შევლენან მას შინა (წარტყ. 29,13); უხაროდენ ყოველსა სოფელსა, რამეთუ დღეს დაეშა ჯოჯოხეთი და განელო სასუფეველი (ბოლნ. 79,14); სიკუდილი დაირღუა, სამოთხჳ განელო (სევან. 49a = გაილო, გაიხსნა).

მღრ. მოქმ.: ყოველმან წულმან რომელმან განხალოს საშოი, წმიდა უფლისა ეწოდოს (ლ. 2.23 Y).

14. დახაყნა: დავეყნებით მერმე არა საქმედ უჯეროსა (სწავ. 76,14); ნუ ვინ პატრონებისათვის დავეყნებინ შახსურებისაგან მძათა თვისთაისა (იქვე, 177,13); ბუბუეს-შწოვარნი ბუბუესა დავეყნნეს და საცხოვარნი — საძოვარსა (უღაბ. 62va); დავეყნ(ნ)ედ ფერჯნი ჩუენნი ბოროტისაგან გზისა (სევან. 472b); რაითა დავეყნოს შენი ეგე გულის-თქუმა (იპოლ. 2,292); უკუეთუ დედანი დავეყნნენ ქორწინებისაგან (კიმ. II, 83,8).

მღრ. მოქმ.: ხაყნებდეს ივინი დაწერასა მას (ისტ. ქრ. I, 32,11). ხ ამ მაგალითში ირიბისაა, პირდაპირ ობიექტს უზმნისწინო ფორმებში (I სერიაში) არა აქვს ნიშანი.

15. აღუშნა: აღუშნების ერი იგი სიტყუათაგან მისთა (კიმ. I, 86,29); აღუშნა ტადარი დიდებული და ქებული (კიმ. II, 15,28); მივედ შენ ცოცხლებით და აღუშნო მამათაგან (საქ. წ. II, 111,14); რომელნი გუხედვიდენ ჩუენ და ესმოდის ჩუენი, აღუშნნენ (ისტ. ქრ. II, 17,32).

მღრ. მოქმ.: ნუ ხაშნებთ საფლავსა წინაწარმეტყუელთასა (მ. 23,29 Y).

16. დაჰჳმა: დაეშა კარი (მ. 25,10); დღეს დაეშა ჯოჯოხეთი და განელო სასუფეველი (ბოლნ. 79,13); ნუკუეე სასიძობელსა მას გარე დაშთეს და დაეშას კარი (სინ. 142,2); ოდეს-იგი დაეშნეს ცანი სამ წელ და ექუს თთუე (ლ. 4,25).

მღრ. მოქმ.: დაჰჳმა ღმერთმან პირნი მათ ლომთანი (დან. 6,18); დაჰჳშენით კარნი ეკლესიისანი (კიმ. I, 209,1).



### 5. იმედიანი პედაგოგიური მეთოდები

დროთა ვითარებაში ეს შეუსაბამობა ფორმას და შინაარსს შორის თანდათან ქრება. იმარჯვებს შინაარსი, ამ შინაარსს უბამს მხარს ფორმა: ქრება ირიბი ობიექტური პირის ნიშანი მოქმედებითი (მან იგი დაბადა, დაბეჭდა, განშადა, აღმართა...). ვნების ე-ს ნაცვლად ი აწარმოებს (იგი დაბადა, აღმართა, დაიშა, დაიფლა...). ამ პროცესს სათავე თვით ძველ ქართულში უძველეს. სადაც არა ერთი და ორი შემთხვევაა, როცა დაბადა-ს ტიპის ზნათა ვნებითები ინიშნა არის ნაწარმოები. აი, ამის თითო-ორი მაგალითი:

სადა-იგი დაბადებულა კაცი (სუან. 281a); თუთი ჯელმწიფედ დავიბადენით (ეპისტ. ანტ. 29,2); რამეთუ შენ დაბადენ ყოველნივე, და ნებითა შენითა იყენეს და დაბადენეს (გამოცხ. 4,11 A); ვინაიფიან კაცნი დაბადენეს ქუეყანასა ზელა (იქვე. 16,8 B).

სიქადულთი აღიბეჭდვის ნიშნითა მით ცხორებისათა საცოდ შუბლსა თვისსა (თუალთ. 25,4); ძესა შეფისასა და დისწულსა ნათელს-ვსცემდი და ჩემ მიერ აღიბეჭდოლეს (Опик. 183,5).

რაჟამს-იგი დაითესა სიტყუა წმიდისა სახარებისა (Sin. 11, 204r,10); განვითესენით შორად ქუეყანად (სწავ. 147,7); /მარტული მღოვცსა/ ოღეს დაითესის, აღმოვდის და იქნის იგი უფროის ყოველთა მხალთა (მრ. 4,32 D).

აღიშარათა და იწყო სლვად (მოც. 14,10 ლგ.); რომელნი ... განიშარტებინან (უძვ. რედ. 223,21 A; B: განიშარტებინან).

არამედ შთასხიან ღვნიო ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიშარტებინან (მ. 9,17); ღვნიო ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად. და ორნივე დაიშარტებინან (ლ. 5,38 C).

რაჟამს პატიოსან ყო მარხვაი, დაიყენა სიკუდილი იგი (სინ. 102,9); წმიდაი და სანატრელი მქსიმე ... შეიყენა ზემოწერილსა მას ციხესა (კიმ. I, 94,21).

და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხველნი აღიშნებით სახლად სულიერად (1 პეტ. 2,5 წ); მას ჟამსა განიბნინეს ენანი გოდლის მისთვის, რომელი აღიშნებოდა ბოროტად (სინ. 181,15); ორმოც და ექუსსა წელსა აღიშენა ტადარი ევე, და შენ სამსა დღესა აღმართო ესე (ი. 2,20 C).

კარი სარწმუნებისა განმოდებოა წინაშე შენსა, რომელი განსაცდელთაგან არა დაიშვის (გამოცხ. 3,8 თ); დაიშვიან კარნი სინანულისანი და მოტევებისანი (ურთ. 166,34); შენ გამო განდებად არს კარი სამოთხისა მის. რომელ დაიშვა ევაისგან (მრავ. 263,3); დაეშას, ვითარცა დაიშვა პირისაგან ძრვისა დღეთა მათ ოზია შეფისა ოუდაისთა (ზაქ. 14,5); ქალაქი ბლუარით კრძონი დაიშენეს და არავინ იყო განმოდებელ (იერ. 13,19); ბჭენი მისნი არა დაიშენენ დღისი (გამოცხ. 21,25 A. C: დაეშენენ; 21,25 თ AB. C აქაც: დაეშენენ); რათა დაიშენენ ეკლესიანი ქრისტიანეთანი (Sin. 11, 224v,14. რამდენადც კ. კეკელიძის გამოცემიდან ჩანს, სხვა სამ ხელნაწერშიც ინიან ფორმა ყოფილა: ეტ. VIII, 64,6); რათა დაიშენენ წმიდანი ეკლესიანი ქრისტეს ღმრთისა ჩუენისანი (Sin. 11, 25r,13. სხვა ხელნაწერებში აქაც

ინანი ფორმა ყოფილა: დაიშენ A / = A-95/. დაიხსენ B / = H-341/): დაიშენ თუალნი და დადუნეს პირი (სწავ. 60.11. ორ სხვა ხელნაწერში მწკრივი სხვაა, მაგრამ α(α) ორივეგან გვაქვს: დაიშვიოდ C. დაიშვიოდ B).

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ დაჰმად-ს ტიპის ზმნათა ვნებითებში ი-ს თანდათანობითი დამკვიდრება თვით ძველ ქართულშია დაწყებული და დაიშენ-ს ტიპის მაგალითები არც ისე იშვიათია. ახალ ქართულში, როგორც ითქვა, ეს პროცესი დასრულდა, ამ ტიპის როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ზმნები ჩადგა საერთო კალაპოტში და არაფრით არ განირჩევა სხვა ჩვეულებრივი ორპირიანი გარდამავალი ზმნებისა და მათგან ნაწარმოები ვნებითებისაგან. ერთადერთი გამონაკლისია განშაღება — მოშაღება ზმნის ვნებითი, რომელიც, თუმცა ერთპირიანია, მაგრამ ძველებურად მინც ეთი იწარმოება: მოვეშაღეთ, გავეშაღეთ, შევეშაღეთ და სხვ. ძველი ტრადიცია აქ უცვლელ კანონად იქცა და ეს არაეის აკვირებს დღეს.

## 6. აღუბონა (აღუბ.) — აღუბონა (აღუბ.)

ენიანი ვნებითების ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა, რომ მათი წყვეტილის ფორმა ემთხვევა მათივე მოქმედების II თურმეობითის ფორმას, ხოლო ვნებითის II კავშირებითის ფორმა — მოქმედებითის III კავშირებითისას. ვთქვათ, აღუშნა ამასაც ნიშნავს: აუშენდა მას, აშენდა მისი, და ამასაც: თურმე მას აეშენებინა იგი; ასევე, დაევშა. ერთი მხრივ, იქნება: დაიხშო მისი (რადაც), დაიკეტა, დაიხურა, ხოლო მეორე მხრივ: თურმე მას იგი დაეხშო, დაეხურა, დაეკეტა. ამ ორი მწკრივის ფორმების ამგვარი დამთხვევა დღესაც გვაქვს: ცელქი ბიჭუნა დედას გაექცა და ბუჩქებში დაემალა (ვნებითი = წყვ.) და: გუშინ ბიჭუნას პატარა ძმისთვის ბურთი წაერთმია და ბუჩქებში დაემალა (მოქმედებითი = თურმ.). მაგრამ ასეთი დამთხვევა დღევანდელ ენაში შეუდარებლად ცოტაა, ვიდრე ძველ ქართულში იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გარემოებაა, რომ დღევანდელ ქართულში ამ მსგავსი ფორმების განმასხვავებლად (ებ თემისნიშნიან ზმნებში) მოქმედებითს ებ-მ სუფიქსები ემატება (დაეფარებინა, აეშენებინა), ძველად კი ამ სუფიქსების დართვა არ იყო საჭირო (დაეფარა, აღუშნა). გავეცნოთ ჯერ ამ მსგავსი ფორმების ნიმუშებს:

არა მოკლა მან მეფე ამაღლეისაჲ, ვითარცა ებრძანა მისა ღმერთსა (სწავ. 113.5) = ებრძანებინა, მოქმ., II თურმ.). მაგრამ: მათ მიერ ბრძანებულ არს ჩუენდა მოთმინებით ჭამად მისი, ვითარცა-იგი ებრძანა ადამს (სწავ. 164, 17 = ვნ., წყვ.).

ხოლო რისხვად მხოლოდ ბოროტთ დასაბამისა ეშმაკისა მიმართ მოეგო (ასურ. 15, 29 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: მან განირთხა უელი, და კუალად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი (მ. 12.13; მრ. 3.5 = ვნ., წყვ.); შემდგომად სამისა დღისა მოეგო გონებასა თვისსა სახილავისა მისგან საშინელისა და განსაკვრეელისა (ებ. III. 212, 5 = ვნ., წყვ.).

რომელთა შეეზავა წამალი იგი მაკუდინებელი წმიდისა მისთვის (ღობ. 45, 32 = მოქმ., II თურმ.); იხილეს ესე მათ. რომელთა შეეზავა, შეინანეს (იქვე, 46, 9 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: არამედ აქა ნეშტი წინაუკმოცვალებით, რამეთუ შეეზავა სიტყუად სიტყუასა და ვერღარა განყვავით აღშენებაჲ იგი მონასტრისაჲ (ისტ. ქრ. I,

199.31 = ვნ.. წყვ.)

რამეთუ განძღუნ ივინი შურისგებითა, რომელი დაენერგა მათ შორის უკეთურ-სა ეშმაკსა წმიდისა მისთვის (კიმ. II, 13,5 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: საცთური განიდევნა... სიტყუაი ღმრთის მსახურებისაი ყოველსა ადგილსა განეფინა და ზეცისა ცხორებაი ქუეყანასა დაენერგა (სინ. 36.25 = ვნ.. წყვ.)

რამეთუ იგი შეერთო მას ცოლად (მრ. 6.17 = მოქმ., წყვ.). მაგრამ: უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატრომანი და შეერთო იგი უღმრთოთა (შუმ. 134.6 = ვნ.. წყვ.); ესე ნეტარი ეფთვმის გარდაღვინებასა არა შეერთო (კიმ. II, 179,18 = ვნ.. წყვ.)

მას ეამსა უკუეთუმცა ვინ მიახლებულ იყო მათდა და ეგრეთ ერქუა (სწავ. 37.20 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: უყუარს ... პირველ მოკითხვაი უბანთა ზედა და რამთამცა ერქუა კაცთაგან: მოძღუარ! (მ. 23,7 = ვნ., წყვ.)

ელისა, მთავარეპისკოპოსისა იერუსალმისისა, არღა დაესრულა გეორგი წელი (კიმ. II, 179,17 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: დაესრულა ყოველი მღვდელობაი და წინაისწარმეტყუელებაი (ლიტ. ქრ. 25.9 = ვნ., წყვ.); წელიწადი დაესრულა (მალაქ. 3,10 = ვნ., წყვ.)

სხუანი მრავალნი ესეკითარნი ქნა საღიდებულად ღმრთისა. და მრავალნი საიდუმლონი და დიდ-დიდნი საქენი აღესრულნეს ზეცისა ერთისა ზედა (კიმ. I, 329.5 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: და იყო ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი, წარვიდა სახიდ თვსა (ლ. 1,23 = ვნ., წყვ.)

ესეკითარი ვედრებაი განამრავლა ღმრთისა მიმართ და უელნი მისნი დაესხნეს მუართა ზედა ბარაქაისთა (ბალ. 160,22 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: ავაზაქნი დაესხნეს და განძარცუეს იგი (ლ. 10,30 = ვნ., წყვ.)

დაეტევა მათ ბილწი იგი წვალებაი მათი და აღეარა მართალი სარწმუნოებაი (ლიმ. 42,29 = მოქმ., II თურმ.); კაცსა მას დაეტევა საწუთროი ესე და შეუღვა სრულიად ქრისტესა (ბალ. 4,31 = მოქმ., II თურმ.); ქუეყანაი თვისი დაეტევა და გარეგან საზღვართა მამულისა და ადგილისა თვისისათა ქნულ იყო (ასურ. 29,8 = მოქმ., II თურმ.); ვინმე ვიხილენ მეოტნი, რომელთა დაეტევა პიტალოითა მოქმნი-ლები სენაკები, საესე წიგნის ტყავებითა (ნოვ. II, 32,5 = მოქმ., II თურმ.); მაგრამ: რამეთუ დაუტევა სჯულის-მღებელი იგი და იგიცა დაეტევა მისგან (Sin.97. 17v,16 = ვნ., წყვ.)

წმიდაიცა ესე ... სარწმუნობითა მტკიცითა შეუორგულებელითა შეჭურვილ იყო და ამიერ მიულო უელმწიფებაი ქნად ძალთა და საკვრეულებათა (ასურ. 118,11 = მოქმ., II თურმ.). მაგრამ: მეყსეულად მიულო თუალთა მისთა ნათელი და განცოფნა (ასურ. 205.3 = ვნ., წყვ.)

ესეკითარი კადნიერებაი მოუღო ღმრთისაგან ... სანატრელსა შიოს (ასურ. 103,25 = მოქმ., II თურმ.); არასადამცა ხისა მის ნაყოფი მოუღო ბოროტად (სწავ. 135,24 = მოქმ.). მაგრამ: მოუღო მას ძალი იგი ძლიერებისა მისისაი მისგან... მოუღო მას სიმენე იგი ძარღუთაგან მისთა (ისტ. ქრ. I, 254,16,17 = ვნ.)

დაეყო მას სამეოცდასამი წელი ქუაბსა მას შინა ამით კანონითა (ლიმ. 6,21 = მოქმ.); რომელსა დაეყო წიღონებასა შინა ათორმეტი წელი (მ. 9,20 = მოქმ.). მაგ-

რამ: მეყსეულად აეტიოსის სიტყუასა მას ოდენ ეპიფანძსსა დაეყო მას პირი და ვერ-  
ღარა შეუძლო მან აღმოთქმად სიტყუას მიერ დლითგან (საქ. წ. II. 134,16 = ენ.).

რადთა დადენან იგი ტაძარსა მას შინა, რომელი-იგი მათ აღეშენა სახელად  
წმიდისა პეტრესა (ლიმ. 94.3 = მოქმ.); გოდოლი აღეშენა წარმართთა და ემმაჟნი  
ფრიად დამკვდრებულ იყვნეს (ასურ. 26.27 4 = მოქმ.); მას თვთ აღეშენა სენაკი  
(კიმ. I. 173,29 = მოქმ.). მაგრამ: აღეშენა ტაძარი დიდებული და ქებული და შეიძჳო  
იგი ლუაწლითა და მოლუაწებითა წმიდისა ახოენისა მოწამისაითა (კიმ. II, 15,28  
= ენ.); ხოლო ესე ვითარცა ისწავა წმიდამან ქრისტძს მოწამემან ანგელოზისა  
მისგან, და აღეშენა (ეც. III. 223,14 = ენ.).

მიეცა მცნებად მღღელთ-მოძღუართა მათ და ფარისეველთა, რადთა, უკუეთუ  
ვინმე იცოდის, სადა არს, აუწყოს მათ, და შეიპყრან იგი (ი. 11,57 = მოქმ.). მაგრამ:  
ვითარცა ესმა იესუს, რამეთუ იოვანე საყრობილესა მიეცა, განეშორა და წარვიდა  
გალილეად (მ. 4,12 = ენ.); უწყოდა, რამეთუ შურობით მიეცა იგი (მ. 27,18 C = ენ.);  
რომელსა მიეცა ფრიად. უმეტძსი მოჰყადონ მას (ლ. 12,48 = ენ.).

ყოველთა ერთბამად აღემსოთ და აღეხუნეს მართუენი თვისნი რომელსამე  
კბილითა, რომელსამე ქედითა (ასურ. 114,24 4 = მოქმ.). მაგრამ: საფლავენი აღეხუ-  
ნეს, და მრავალნი გუამნი შესუნებულთა წმიდათანი აღდგეს (მ. 27,52 = ენ.).

ამნაირი ორგვარი, წყვილ-წყვილი მნიშვნელობის მქონე მაგალითები ძველ  
ქართულში ძალიან ბევრია. რატომ არის ასე? რატომ აქვს თითოეულ მათგანს ორ-  
ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მნიშვნელობა?

## 7. თანხადენილი შორაგების წარმოშობის ისტორია

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ წყვილ  
ფორმებს (აღეშენა მას იგი — აღეშენა იგი) ერთი წარმოშობა აქვთ, უკუთ რომ  
ვთქვათ, პირველი (მოქმ. = II თურმ.) მეორისაგან (ენ. = წყვ.) მომდინარეობს, III  
სერიის ამგვარი წარმოება (მას იგი აღეშენა, დაეშა, შეერაცხა, მიეცა, აღეშართა,  
ებრძანა...) წარმოშობით II სერიის ენაინი ენებითის წყვეტილის ფორმებს ეყრდნო-  
ბა. ადრე მათ შორის უფრო მჭიდრო კავშირი იყო შინაარსითაც და ფორმითაც. მერმე  
და მერმე ისინი თანდათანობით დასცილდნენ ერთმანეთს ასევე შინაარსითაც და  
ფორმითაც. ამიტომაც, რომ დღეს მათ შორის უფსკრულია შინაარსის მიხედვით,  
მაგრამ ფორმით ასევე მკვეთრად დაცილებული არ არიან. ასეც უნდა იყოს. სიტყვის  
შინაარსი და მნიშვნელობა შედარებით ადრე იცვლება, გარეგანი სახე, ფორმა კი  
დიდხანს განაგრძობს ძველი სახით არსებობას, იგი უფრო კონსერვატულია. სწორედ  
ამიტომაც, რომ, თუმცა განსახილველ ზმნათა წყვილებს დღეს სულ სხვადასხვა  
მნიშვნელობა აქვთ და ერთმანეთისაგან ძალიან შორი-შორ დგანან, ფორმა, როგორც  
ნაჩვენები გვაქვს. ზოგჯერ ახლაც ერთნაირი მოგოვებით: მიელ ლამეს ეწერა  
მოხსენების თეზისები, მაგრამ მეორე დილას ყველაფერი შავი ფანქრით გადაეშალა  
(II თურმ.) და: ტყეში რომ შევიდა, წინ თვალწარმტაცი სურათი გადაეშალა (წყვ.).  
პირველი ზმნის (ეწერა) ენებითის ფორმა იქნება: მისი გვარის გასწვრივ უყრნაღში  
სულ ხუთიანები ეწერა (წყვ.). ეს ორი ფორმა ძველ ქართულში იმდენად ხშირად

იხმარება (ხანდახან ერთმანეთის გვერდით), რომ ზოგჯერ უჭირთ მათი შინაარსის დადგენა და არა ერთი და ორი მაგალითია ცნობილი, როცა წყვეტილის ფორმა II თურმობითისად მოუწნევიათ და პირიქით. ეს გარემოებაც კიდევ მეტად გვაიძულებს, რომ აზნაირ ფორმებს ძველ ქართულში უფრო დაკვირვებით და ფრთხილად მოვუყურათ. არსებითად ეგვევ ითქმის აგრეთვე III კავშირებითისა (მოქმ.) და II კავშირებითის (ენ.) შესახებ, მაგრამ ამის მაგალითები შეუდარებლად ნაკლებად გვხვდება.

## 8. ზოგიერთი ე არაუზიჟსიანი ზმნის ბუნება

ძველ ქართულში არის ერთი ჯგუფის ე პრეფიქსიანი ზმნები, რომლებიც შეიძლება ვნებითი გვარიისად მოგვეჩვენოს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიცაა: ეგლოვს, ეციცხვეს, ერჩის, ესავს, ეტყებას, ეშურობს და სხვ. ამ ტიპის ზმნებს ჩვეულებრივს ვნებითთან მხოლოდ ე პრეფიქსი აქვს საერთო (ე-მაღ-ებ-ი-ს — ე-ციცხ-ვე-ს), სხვა მხრივ ისინი არსებითად სცილდებიან ერთმანეთს. ესავს, ეტყებას, ეციცხვეს, ერჩის და სხვა შსგავს ფორმებს არც შინაარსი აქვს ვნებითისა და არც ფორმა: აქ სუბიექტი აქტიურია, მას პასივობის არაფერი სცხა: ეციცხვეს თავისი აქტიური შინაარსით არაფრით განსხვავდება კიცხავს ფორმისაგან. ეს — რაც შეეხება შინაარსს.

მაგრამ ამ ზმნებს ამავე დროს ფორმაც არა აქვთ ნამდვილი ვნებითების მსგავსი: ა) არ მოეპოვებათ სუფიქსი ი, რომელიც ყველა ნამდვილ ვნებითს აქვს (ემაღლებ-ი-ს, იდევენებ-ი-ს, კულებ-ი-ს, შეწუნებ-ი-ს, განმრავლდებ-ი-ს, ტფებ-ი-ს)<sup>22</sup>; ბ) მათ არა აქვთ აგრეთვე ყველა ტიპის ვნებითისათვის დამახასიათებელი ოდ სერცობი: ე-გლოვ-და, ე-ციცხვე-და, ე-რჩ-და, ე-ს-ე-ი-და, ე-ტყ-ებ-და, ე-შურობ-და. ეს უკანასკნელი გარემოება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ოდ სუფიქსი ვნებითის განუყრელ ნიშნად არის ქცეული უძველესი დროიდან დღემდე. მარტო ე პრეფიქსით კი მათი ვნებითად მიჩნევა არ იქნებოდა მართებული, რადგან, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული, ე პრეფიქსი თავიდანვე ვნებითის ნიშანი არ უნდა ყოფილიყო, ის მოქმედებითი გვარის ზმნებისთვისაც არ არის უცხო (მი-ე-ე-ე, ე-ძი-ებ-და, ე-ს-რ-ოლ-ა)<sup>23</sup>. როგორც ჩანს, ამ ტიპის ზმნები ძალიან ძველი წარმოშობისაა და წინ უნდა უსწრებდეს ქართულში გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებას<sup>24</sup>. ამიტომ საჭიროა გადაისინჯოს მათი ვნებითობის საკითხი და ისინი საშუალო გვარის ზმნებში ჩაირიცხონ.

ქვემოთ ვურქვენებთ სათანადო მაგალითებს ამ საინტერესო ფორმების შესახებ.

1. ე-აღ-აღ-აღ-ი-ს: თქუენ მებრკუმობთ მე (მალაქ. 3,9 I). შდრ. უკუეთუ უბრკუმოს კაცმან ღმერთსა (იქვე, 3,8). ოშკურ ხელნაწერში ორივეგან მიბრკუმოთ იკითხება, რომელიც ჩვეულებრივი და საყოველთაოდ ცნობილი ფორმაა.

2. ე-ბღ-ი-ს: ეგლოვს მამად ვიდრე აქა ჟამადმდე (საქ.წ. II, 70,29); ვმანი

<sup>22</sup> გამოწკლისა ერთადერთი ე-რჩ-ი-ს, რომელიც ადვილად შეიძლება ნამდვილი ვნებითის ანალოგიით ან სხვა მიზეზებით აიხსნას.

<sup>23</sup> ა. შანბუ. საფუძვლები, გვ. 299.

<sup>24</sup> ი. ქავთარაძე. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის, გვ. 300-312.

ესე ტყეებისანი არიან ეშმაკთა სიძრავლისანი. რამეთუ ველოვნ თავთა მათთა ოჯრებასა (მოქც. 21,14 = ე.თაყ.; ახალ გამოცემაში/ავ. ძეგლ. I, 139,24/ ველოვიან იკითხება. რაც არ უნდა იყოს სწორი); ნუ შეგლოვნ<sup>235</sup> მე მამა ჩემი. ვითარ-იგი რაქელს ველოვდა (საკ. წ. II, 60,36); ხოლო ტირნ და ველოვნ მათთვის წმიდაა ტიმოთე მოციქული (კიმ. I, 105,31); მოგუებასა და ცთომასა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათვის და უცხოვებასა ჩემსა ველოვდი (მოქც. 90,14); რაჟამს გხედვიდა ყოვლად უბიწოა შობილი შენი შეურეებული, გულითა გველოვდა შენ (სას. პ. 317,272); ველოვდა ძესა თვისსა დღეთა ბრავალთა (დაბ. 37,34); ყოველნი ქალწულნი ქალწულებისა თვისისა განრყუნასა ველოვდეს და ყოველნი მიდგომილნი ქმრისა ცოლნი ქმართა თვისთა ველოვდეს და ქმარნი ცოლთა თვისთა ველოვდეს და სტიროდეს (წარტყ. 17,20,21,22); წმიდამან ნერსე განაშოვრა თავი თვისი მეფისაგან და ველოვა ვითარცა სამოელი საულს (ურთ. 71,16).

3. მ-ზა(პ)-ოზ-ს: შეილო ჩემო, არა ესე იყო სასოება ჩემი შენდამი, რამეთუ გეზაობდი შენ სინათლედ ცხოვრებისა ჩემისა და ნაცვალად ჩემდა შემდგომად სიკუდილისა ჩემისა, ხოლო შენ დაჰკვსენ სასოება ჩემი (ბაღ. 129,29).

4. მ-კი(პ)-მ-ს: არავეს ვეციხევე, არამედ უფროისად ვიგლოე ცხოვრებასა ჩემსა (კიმ. I, 70,17); მართლიად იქმს, რომელი ვეციხევეს (იქვე, 70,19); ვეციხევედ მას და ეტყვედ: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო (მ. 27,29 C); ხოლო იგინი ვეციხევედ მას (მ. 9,24; მრ. 5,40 C); პასხრობდეს მსახურებათა მათთა და ვეციხევედეს მათ (კიმ. I, 195,28); ვეციხევედ მას და ტანჯონ იგი (მრ. 10,34).

5. მ-მ-მ-ს: ემღერდეს მას და ეტყოდეს (მ. 27,29; მრ. 15,31; ლ. 23,36).

6. მ-მ-მ-მ-ს: სადაით ანუ რომლითა საქმითა ვენუკევედ ღმერთსა შენდობასა ცოდვათა ჩემთასა (ლიბ. 73,14). აი, კიდევ ამ იშვიათი ზმნის სხვა ფორმები: ანუკევენ (სწავ. 301,28); ვინუკე (ბაღ. 15,61); ნუკევა (სწავ. 169,10; ნუკევით (იქვე, 153,25).

7. მ-რ-ი-ს: მე შევეალი ვარ ქრისტესი და არა გერჩი (საკ.წ. II, 81,4); რად არა ერჩი ბრძანებასა ჩემსა (იქვე, 37,1); ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქართლთა უბრძანებს და წყალთა. და ერჩიან მას (ლ. 8,25); ხოლო იგი არავე ერჩდა მას (საკ. წ. II, 81,6); ვითარ-იგი არა ხოლო მიერჩდა იოსები სიტყუათა მათ დედოფლისა თვისისათა (იქვე, 67,1); მერჩლით მე გონებითა თქუენითა (მრავ. 313,38); არამედ დეე აქა და გუასწავებდ ჩუენ, და ყოველნი მოგუნი გერჩდეთ თქუენ (საკ. წ. II, 102,5); რაითა ერჩდენ უფალთა მათთა სიძეად (იქვე, 81,12). განსახილველი ზმნის ფორმათა შესახებ სპეციალურად მსჯელობს რ.ენუქაშვილი: "აღმათ, თავდაპირველად აწმყოში უსუფიქსო ფორმა უნდა ვივარაუდოთ, რომელსაც შემდეგ ე პრეფიქსისა და ვნებითთან საკმაო შინაარსობრივი მსგავსების გამო (ერჩის = ემორჩილება) ი სუფიქსი გაუჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში ჩნდება ტენდენცია სისტემის გათანაბრების ერთი ან მეორე მიმართულებით. ზოგჯერ აწმყოში გვაქვს უსუფიქსო ფორმა (და ნუ ერჩ გულის-სიტყუასა მაგას: ნოვ. 2,15,7). ზოგჯერ კი -ოდ სავერცობი გამოვლინდება უწყვეტელში: და იონა ღმერთსა სწორად ერჩოდა: ისტ. ქრ. II,

<sup>235</sup> გამოცემაში შეცდომით იკითხება მოგლოვნ.

47.14; რომელნი ურითერთას ერჩოდეს: ისტ. ქრ. II, 46,16; ეფრ. იონ. 69<sup>236</sup>.

8. **მ-ს-ა-მ-ს:** ვის ესავ, ანუ რომელი ღმერთი გრწამს (საკ. წ. II, 37,1); მე შესავს სიონი (ეს. 60,8); ჩუენ ვესავთ, ვითარებდ იგი არს, რომელმან იესნეს ისრაჲ-ლი (ლ. 24,21 DE); არს შემასმენელი თქუენი მოსე, რომელსა თქუენ ესავთ (ი. 5,45); რომელნი გესვენ შენ (დან. 3,40); რომელნი საფასეთა ესვენ (მრ. 10,24); ჩუენ ვესვედით (ლ. 24,21 C); აწ სარწმუნოებით ესვედ მადლსა მათსა (კობ. I, 214,21); ვითარ-მე გესვიდეთ განრომასა (სწავ. 76,3); სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ (მ. 12,21).

9. **მ-ტ-მ-ს:** ეტყებ უშეილოებასა ჩემსა (აღწ. 184,22); გოდებს და ეტყებს დედოფალი (პარხ. 649b); გიგოდებდით, და არა ეტყებდით (მ. 11,17); სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს (ლ. 8,52); მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი (მ. 24,30).

10. **მ-გ-მ-ო-ბ-ს:** შენ, ფარისეველო, ეშურობა? (სინ. 211,13); ესრე უწყის ყოველმან სახც შენი და არაეინ გეშურობს (იქვე, 211,11); გარდამოცვეს იგინი ზეცისა მისგან გონიერებისა და ... ჩუენ, ქრისტეანეთა, გუეშურობენ (მაბ. ცხორ. 21,15); ნუ გეშურობნ თუალი შენი ყოფად მოწყალებისა (ტობ. 4,7); ჰ უცნობელნი გალატელნი, ვინ გეშურობდა თქუენ (გალატ. 3,1); ძმანი შენნი გეშურობდეს შენ (საკ.წ. II, 63,29); ნუთუ მე ეგრეთ გეშურო შენ (3 ეზრა 15,52 შ).

11. **მ-გ-მ-ო-ბ-ს:** ნუ ებულობ სულსა შენსა (Sin. 50, 9v,14); უკუეთუ სოფელი გებულობს თქუენ (ი. 15,18 M); ამისთვის ებულობდეს იგინი იოსებს, რამეთუ უცხო იყო იგი ბოროტისაგან საქმისა (საკ. წ. II, 59,29).

### C. 26 სუჴიქსიანი ჴეპიბითი

ინიანი და ენიანი ენებითები, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, უმთავრესად პირველადს ჴნებებს მოეპოვებათ (იქმნა, ექმნა), ენ სუჴიქსიანი და ღონიანი კი — ნასახელარ ჴნებებს: შფოთი — აღაშფოთა მან იგი — აღშფოთ-ნა იგი (აღ-ე-შფოთ-ენ მე, აღ-ჰ-შფოთ-ენ შენ); ძლიერი — განაძლიერა მან იგი — განძლიერ-და იგი (გან-ე-ძლიერ-დი მე, გან-ს-ძლიერ-დი შენ). მაშასადამე, სუჴიქსიანი ენებითები (ენ სუჴიქსიანიცა და ღონიანიც) უმთავრესად და არსებითად სახელისაგან ნაწარმოებ ჴზნათათვის ყოფილა დამასასიათებელი. ასეთებია კიდევ, ერთი მხრივ: ცოფი — განეცოფ-ენ, კაცი — განკაც-ენ, მტკიცე — განემტკიც-ენ, გლახაკი — დაჰგლახაკ-ენ, დიდი — განსდიდ-ენ, სუტაკი — განესუტაკ-ენ, ლალი — განჰლალ-ენ, ბოროტი — განეპოროტ-ენ, ხოლო მეორე მხრივ: ბერი — დაებერ-დი, წყნარი — დასწყნარ-დი, მაღალი — აღმაღლ-და, ნათელი — გაჴნათლ-დი, მწუანე — აღმწუან-და, ბრძენი — განბრძნ-და, მენე — განმენ-და და მრავალი სხვა. ასეა ძირითადად და უმთავრესად. მაგრამ ჴოგჯერ სუჴიქსიანი ენებითი ე.წ. პირველადს ჴნებებშიც გეხედება ხოლმე. მაგალითად: განკჴ-და (ჴზნური ფუჴეა კჴ), დაბრკოლ-და (ბრკოლ), დაჴსენ-და (ესენ), შეზრუნ-და (ზრუნ), განჴლოგ-ენ (ლოგ), აღჰბორგ-

<sup>236</sup> რ. ენქსიქსილო. საშუალი გვარის ჴნები ძველ ქართულში. გვ. 82.

ენ (ბორჯ). განჯრისხ-ენ (რისხ), შესწუხ-ენ (წუხ) და სხვ. მაგრამ შესაძლებელია დაუშვათ, რომ ასეთ შემთხვევებში წარმოდგენილი ფუძე (კაფ, ბრკოლ, ვსენ, ზრუნ, ლიგ, ბორჯ, რისხ, წუხ...) უფრო ადრე სახელის ფუძე იყო, მერმე სახელებად აღარ იხმარებოდა და მხოლოდ ზმნის ფუძეში შემოგვენახა.

როგორ არის საჩქე ძველ ქართულში, როგორ ნაწილდება ენ და დ სუფიქსების გამოყენების არე? ა. მანიძემ დაადგინა, რომ ენ და დ სუფიქსების მიერ სხვადასხვა უბნის არჩევას საფუძვლად უძევს ფონეტიკური ფაქტორი — დისიმილაცია: რ, ლ, ნ (ნარნარა) თანხმოვნებზე დასრულებული ფუძეები დ-ს იყენებენ (რნ, ლნ, ნნ → რდ, ლდ, ნდ). სხვა თანხმოვნებზე დაბოლოებული — ენ-ნ-ს: განძლიერ-დ-ა, დასწეულ-დ-ა, აღმწუან-დ-ა, მაგრამ: განლიგ-ნ-ა, დაყუდ-ნ-ა, აღშფოთ-ნ-ა, განჭაპუკ-ნ-ა, განმწვს-ნ-ა, განბოროტ-ნ-ა, განცოფ-ნ-ა, განსუქ-ნ-ა, განლაღ-ნ-ა, დაბუშ-ნ-ა, განმტკიც-ნ-ა, შეწუხ-ნ-ა<sup>27</sup>.

ვ და შ სონორებთან ერთივ გვხვდება და მეორეც: დაშაე-ნ-ა და დაშაე-დ-ა, განცრუე-ნ-ა და განცრუე-დ-ა, დაღამ-ნ-ა და დაღამ-დ-ა, დადუმ-ნ-ა და დადუმ-დ-ა.

ენ სუფიქსი ხელუხლებლად არის შენარჩუნებული ისეთ მწკრივებში, სადაც მას არ მოსდევს რაიმე ხმოვანი ან ხმოვნით დაწყებული სუფიქსი. ასეთია მხოლოდ წვეტილი (I და II პირი) და II ბრძანებითი (II პირისა ორივე რიცხვში და III-ისა მხოლოდითში): და-ე-დუმ-ენ, და-ს-დუმ-ენ, და-ე-დუმ-ენ-(ი)-თ, და-ს-დუმ-ენ-(ი)-თ... და-დუმ-ენ, და-დუმ-ენ-ინ, და-დუმ-ენ (ი)-თ. სხვაგან ყველგან მომდევნო სუფიქსის დართვის გამო ენ შეკუმშულია და მხოლოდ ნ რჩება: და-ე-დუმ-ნ-ები, და-ე-დუმ-ნ-ებოდე, და-ე-დუმ-ნი, და-ს-დუმ-ნ-ე.

რა კავშირშია ენებითობის აღმნიშვნელ ამ ენ სუფიქსთან პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი ენ სუფიქსი (დაეადუმ-ენ იგინი, შეეაწუხ-ენ იგინი)? ერთი და იგივეა თუ სხვადასხვაა? მასალობრივად, რა თქმა უნდა, ერთია, მაგრამ ისინი სულ სხვადასხვა წარმოშობისაა. ისე, როგორც სულ სხვადასხვაა, ვთქვათ, ს მიცემითი ბრუნვის ნიშანი (კაც-ს-ა) და მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდითში (წერ-ს). ნ სახელის მრავლობითობის ნიშანი (კაც-ნ-ი) და იმავე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდითში (ჭამ-ნ, არ-ნ), ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ (იერუსალ-მ-დ, ბეთლემ-დ). იმავე მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდითში (მთიე-დ, წარუგდებიე-დ) და უწყვეტლის საერცობი მოქმედებითი გვარის ზმნებში (ეწერ-დე, ჰხედდე-დ. ჭამ-და). დამთხვევა შემთხვევითია.

ახლა წარმოვადგინოთ ამ ტიპის ენებითთა უღლების პარადიგმები.

## I სარია

### აწაჲო

აღ-ე-შფოთ-ნ-ები

შე-ე-წუხ-ნ-ები

და-ე-დუმ-ნ-ები

აღ-პ-შფოთ-ნ-ები

შე-ს-წუხ-ნ-ები

და-ს-დუმ-ნ-ები

<sup>27</sup> ა. მანიძე. ნასახელარი ზმნები ქართულში: ტუმ. 1, გვ. 87-96. შტრ. ფ. ერთულიშვილი. დ/ნ-ენ) ენებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის: თუმ. 93, 1960; აგრეთვე გ. მაჭავარიანი, ენებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე. 1, 1973.



აღ-მფოთ-ნ-ებ-ი-ს  
აღ-ე-მფოთ-ნ-ებ-ი-თ  
აღ-პ-მფოთ-ნ-ებ-ი-თ  
აღ- მფოთ-ნ-ებ-ი-ან

შე- წუხ-ნ-ებ-ი-ს  
შე-ე-წუხ-ნ-ებ-ი-თ  
შე-ს-წუხ-ნ-ებ-ი-თ  
შე- წუხ-ნ-ებ-ი-ან

ღა- ღუმ-ნ-ებ-ი-ს  
ღა-ე-ღუმ-ნ-ებ-ი-თ  
ღა-ს-ღუმ-ნ-ებ-ი-თ  
ღა- ღუმ-ნ-ებ-ი-ან

აფაჟონ სოლავობითი

აღ-მფოთ-ნ-ებ-ი-ნ  
აღ-მფოთ-ნ-ებ-ი-ჯღ

შე-წუხ-ნ-ებ-ი-ნ  
შე-წუხ-ნ-ებ-ი-ჯღ

ღა-ღუმ-ნ-ებ-ი-ნ  
ღა-ღუმ-ნ-ებ-ი-ჯღ

უფავებელი

აღ-ე-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
აღ-პ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
აღ- მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ა  
აღ-ე-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
აღ-პ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
აღ- მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ეს

შე-ე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
შე-ს-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
შე- წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ა  
შე-ე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
შე-ს-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
შე- წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ეს

ღა-ე-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
ღა-ს-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
ღა- ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ა  
ღა-ე-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
ღა-ს-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
ღა- ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ეს

I ბრანებითი

აღ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
აღ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე-ნ  
აღ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
აღ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ე-ჯღ

შე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
შე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე-ნ  
შე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
შე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ე-ჯღ

ღა-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე  
ღა-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე-ნ  
ღა-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე-თ  
ღა-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ე-ჯღ

უფავებელის სოლავობითი და I კანონებითი

აღ-ე-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ი  
აღ-პ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ი  
აღ- მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ი-ს  
აღ-ე-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ი-თ  
აღ-პ-მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ი-თ  
აღ- მფოთ-ნ-ებ-ი-ღ-ი-ან

შე-ე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ი  
შე-ს-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ი  
შე- წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ი-ს  
შე-ე-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ი-თ  
შე-ს-წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ი-თ  
შე- წუხ-ნ-ებ-ი-ღ-ი-ან

ღა-ე-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ი  
ღა-ს-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ი  
ღა- ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ი-ს  
ღა-ე-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ი-თ  
ღა-ს-ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ი-თ  
ღა- ღუმ-ნ-ებ-ი-ღ-ი-ან

II სარია

ფავებელი

აღ-ე-მფოთ-ნ-ებ-ი-ნ  
აღ-პ-მფოთ-ნ-ებ-ი-ნ

შე-ე-წუხ-ნ-ებ-ი-ნ  
შე-ს-წუხ-ნ-ებ-ი-ნ

ღა-ე-ღუმ-ნ-ებ-ი-ნ  
ღა-ს-ღუმ-ნ-ებ-ი-ნ

აღ-შფოთ-ნ-ა  
 აღ-ე-შფოთ-ენ-(ი)-თ  
 აღ-ქ-შფოთ-ენ-(ი)-თ  
 აღ-შფოთ-ნ-ეს

შე-წუხ-ნ-ა  
 შე-ე-წუხ-ენ-(ი)-თ  
 შე-ს-წუხ-ენ-(ი)-თ  
 შე-წუხ-ნ-ეს

და-ღუმ-ნ-ა  
 და-ე-ღუმ-ენ-(ი)-თ  
 და-ს-ღუმ-ენ-(ი)-თ  
 და-ღუმ-ნ-ეს

II ბრძანებითი

აღ-შფოთ-ენ  
 აღ-შფოთ-ენ-ი-ნ  
 აღ-შფოთ-ენ-(ი)-თ  
 აღ-შფოთ-ნ-ედ

შე-წუხ-ენ  
 შე-წუხ-ენ-ი-ნ  
 შე-წუხ-ენ-(ი)-თ  
 შე-წუხ-ნ-ედ

და-ღუმ-ენ  
 და-ღუმ-ენ-ი-ნ  
 და-ღუმ-ენ-(ი)-თ  
 და-ღუმ-ნ-ედ

II სოლპროვითი

აღ-ე-შფოთ-ნ-ი  
 აღ-ქ-შფოთ-ნ-ი  
 აღ-შფოთ-ნ-ი-ს  
 აღ-ე-შფოთ-ნ-ი-თ  
 აღ-ქ-შფოთ-ნ-ი-თ  
 აღ-შფოთ-ნ-ი-ან

შე-ე-წუხ-ნ-ი  
 შე-ს-წუხ-ნ-ი  
 შე-წუხ-ნ-ი-ს  
 შე-ე-წუხ-ნ-ი-თ  
 შე-ს-წუხ-ნ-ი-თ  
 შე-წუხ-ნ-ი-ან

და-ე-ღუმ-ნ-ი  
 და-ს-ღუმ-ნ-ი  
 და-ღუმ-ნ-ი-ს  
 და-ე-ღუმ-ნ-ი-თ  
 და-ს-ღუმ-ნ-ი-თ  
 და-ღუმ-ნ-ი-ან

II კავშირებითი

აღ-ე-შფოთ-ნ-ე  
 აღ-ქ-შფოთ-ნ-ე  
 აღ-შფოთ-ნ-ე-ს  
 აღ-ე-შფოთ-ნ-ე-თ  
 აღ-ქ-შფოთ-ნ-ე-თ  
 აღ-შფოთ-ნ-ე-ან

შე-ე-წუხ-ნ-ე  
 შე-ს-წუხ-ნ-ე  
 შე-წუხ-ნ-ე-ს  
 შე-ე-წუხ-ნ-ე-თ  
 შე-ს-წუხ-ნ-ე-თ  
 შე-წუხ-ნ-ე-ან

და-ე-ღუმ-ნ-ე  
 და-ს-ღუმ-ნ-ე  
 და-ღუმ-ნ-ე-ს  
 და-ე-ღუმ-ნ-ე-თ  
 და-ს-ღუმ-ნ-ე-თ  
 და-ღუმ-ნ-ე-ან

შესამე სერიაში ამ ტიპის ვნებითებიც ისე ითვლებიან, როგორც ყოველი ერთობი-  
 რიანი ზმნა, რომელთა ულლებაც ადრე გვექნა და ნაჩვენები (გვ. ? და შემდ.).

I თუარაპროვითი

აღშფოთებულ ვარ  
 აღშფოთებულ ხარ  
 აღშფოთებულ არს  
 აღშფოთებულ ვართ  
 აღშფოთებულ ხართ  
 აღშფოთებულ არიან

შეწუხებულ ვარ  
 შეწუხებულ ხარ  
 შეწუხებულ არს  
 შეწუხებულ ვართ  
 შეწუხებულ ხართ  
 შეწუხებულ არიან

დაღუმებულ ვარ  
 დაღუმებულ ხარ  
 დაღუმებულ არს  
 დაღუმებულ ვართ  
 დაღუმებულ ხართ  
 დაღუმებულ არიან

## II თარგობითი

აღმოვლილ	ვიყავ	შეწუხებულ	ვიყავ	დაღმებულ	ვიყავ
აღმოვლილ	იყავ	შეწუხებულ	იყავ	დაღმებულ	იყავ
აღმოვლილ	იყო	შეწუხებულ	იყო	დაღმებულ	იყო
აღმოვლილ	ვიყვენით	შეწუხებულ	ვიყვენით	დაღმებულ	ვიყვენით
აღმოვლილ	იყვენით	შეწუხებულ	იყვენით	დაღმებულ	იყვენით
აღმოვლილ	იყვენეს	შეწუხებულ	იყვენეს	დაღმებულ	იყვენეს

## III კაპიტალიზითი

აღმოვლილ	ვიყო	შეწუხებულ	ვიყო	დაღმებულ	ვიყო
აღმოვლილ	იყო	შეწუხებულ	იყო	დაღმებულ	იყო
აღმოვლილ	იყოს	შეწუხებულ	იყოს	დაღმებულ	იყოს
აღმოვლილ	ვიყვენით	შეწუხებულ	ვიყვენით	დაღმებულ	ვიყვენით
აღმოვლილ	იყვენით	შეწუხებულ	იყვენით	დაღმებულ	იყვენით
აღმოვლილ	იყვენენ	შეწუხებულ	იყვენენ	დაღმებულ	იყვენენ

ენ სუფიქსიანი ენებითი პრაქტიკულად და ჩვეულებრივად მოეპოვებათ ბ, გ, დ, ვ, თ, კ, მ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, შ, ც, ხ ბერებზე დასრულებულ ფუძეებს, როგორცაა, მაგალითად:

ბ: დატკბნა. აქედანა ნაწარმოები სასხვისო ქცევის ფორმები: დაუტკბნების, დაუტკბნა. ხოლო აქედან ქცევის ნიშნების დაკარგვის შემდეგ მიღებულია: დაუტკბნების, ნუ დაგტკბნებინ (ნუ გაგიტკბებთ ხოლმე), დასტკბნა (გაუტკბა), დასტკბენეს, დაგტკბნედ (ბრძ.). დასტკბნის.

თანხმოვნების თავმოყრის გამო (გტკბნ, სტკბნ...) ზოგჯერ ენებითის ცალად დარჩენილი ნ-ც იკარგება და ფორმა მარტივდება: დაგტკბების, დასტკბობოდა, დასტკბეს...

ზოგჯერ იმავე მიზეზით შეიძლება სხვა ბერაც (ბერებიც) დაიკარგოს: დაუტკბნების (ბ), დატბობიედ (ს,კ). აქ სპეციალურად არაფერს ვამბობთ იმის შესახებ. რომ თვით ზმნის საყრდენი სახელური ფუძის (ტბილ) ილ სუფიქსი არსად ჩანს ზმნში. ამის მიზეზი ცნობილია: ნასახელარი ზმნა ეყრდნობა არა მთლიან ტბილ ფუძეს, არამედ სახელის ძირს (ტბ), რომლიდანაც ერთნაირი წესით არის ნაწარმოები სახელიც (ტბ-ილი) და ზმნაც (და-ტკბ-ნ-ა-ა\*და-ტკბ-ენ-ა: ა. მანიძე, ა. ჩიქობავა). შდრ. ვრც-ელი — გან-ვრც-ნ-ა, ზრქ-ელი — გან-ზრქ-ნ-ა, თხ-ელი — გან-უ-თხ-ნ-ის (ნ. ქვემოთ) და სხვ.

გ: აღ-ბორგ-ნ-ებ-ი-ს, გან-ლოგ-ნ-ებ-ი-ს

ღ: გან-დიდ-ნ-ებ-ი-ს, და-მშვედ-ნ-ებ-ი-ს, და-ყუდ-ნ-ა, გამო-ს-ცხად-ნ-ებ-ი

ვ: აღ-სიყ-ნ-ებ-ი-ს, აღ-კ-ყუა-ნ-ებ-ი-ს, გან-ციც-ნ-ებ-ი-ს, შე-ჭუე-ნ-ებ-ი-ს

თ: გან-ღმრთ-ნ-ებ-ი-ს, აღ-შფოთ-ნ-ებ-ი-ს, შე-შფოთ-ნ-ებ-ი-ს, გან-უწით-ნ-ეს

კ: და-გლახა-ნებ-ის, გან-ჭაბუკ-ნებ-ის, გან-სპეტაკ-ნებ-ის

ძ: და-დუმ-ნებ-ის, და-ღამ-ნა

ს: გან-შწეს-ნებ-ის

ტ: გან-ბოროტ-ნებ-ის

უ: შერიუ-ნებ-ის

ფ: მო-მწიფ-ნებ-ის, გან-ცოფ-ნებ-ის

ქ: აღ-სუბუქ-ნებ-ის, გან-სუქ-ნებ-ის, გან-ქიქ-ნებ-ის, გან-ზრქ-ნებ-ის  
(ზოგჯერ ამ ზმნაში ენებითის ნ (+ენ) ნიშანი დაკარგულია: განზრქა გული ერისაჲ ამის (მ. 13.15 DE. C: განზრქა)<sup>238</sup>.

ღ: აღ-დულ-ნებ-ის, გან-ღალ-ნებ-ის

ც: გან-კაც-ნებ-ის, გან-მტკიც-ნებ-ის, და-მტკიც-ნა, გან-ვრც-ნებ-ის. ვრც იგივე ფუძეა, რაც ვრცელში გვაქვს: ენ სუფიქსით ენებითის წარმოებისას (ვრც-უნ) მეორე მანარობელი ელ სუფიქსი ჩამოცილებული აქვს.

შ: და-ბუმ-ნებ-ის, შე-ა-ბუმ-ნა

ხ: გან-უთხ-ნებ-ის (ვიდრე ტყავი განეველტის და განუთხნის: სახ. 238,6 = გაუთხელდება ხოლმე), გან-ფიცხ-ნებ-ის, შე-წუხ-ნებ-ის, გან-რისხ-ნებ-ის.

ცალკე უნდა განვიხილოთ უკანასკნელი ზმნის ორპირიანი (სამპირიანი?) ფორმები. ასეთები გვაქვს მხოლოდ შე ზმნისწინით წარმოებისას (შეპრისხნა, შეპრისხნის, შეპრისხნეს... ჰავს დართვა გვიჩვენებს, რომ ზმნას ირიბი ობიექტი მოეპოვება: შეპრისხნა მას (მათ). მაგრამ თავიდათავი საკითხია: რომელ ბრუნვაშია სუბიექტი — სახელობითსა თუ მოთხრობითში? უძველესი ტექსტების ჩვენებაში დიდი სიჭრელაა: ზოგი სუბიექტს სახელობითში სვამს (იგი შეპრისხნა მას), ზოგი კი მოთხრობითში (მან შეპრისხნა მას). მაგრამ უკერძო მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები.

a) სუბიექტი სახელობითშია: შეპრისხნა იგი სიცხესა (ლ. 4,32 L); ხოლო თავადი შეპრისხნა მათ (ლ. 2,21 CE); ხოლო თავადი თვთ შეპრისხნა ქართა მათ და ზლუას (სინ. 163,21); მაშინ წმიდად შეპრისხნა ეშმაკსა მას (მამ. ცხორ. 222,28; ცხ. ეფრ. 98.10); შეპრისხნა მას ბერი (ლიმ. 13,22); შეპრისხნა მეფე (პარხ. 803a); ძაღლსა ოდეს კაცი შეპრისხნის, მუნთქუესვე ოდენ გარე განვიდის (სწავ. 273,18); უკუეთუ არა შეპრისხნეს მოხუცებული, არასადა სრულ იქმნეს ჭაბუკი (იქვე, 273.16); შეპრისხნა მას ღმერთი (ფს. 17.8 BC).

b) სუბიექტი მოთხრობითშია: შეპრისხნა მამამან მისმან და პრქუა (დაბ. 37,10); ერმან მან შეპრისხნა მათ (მ. 20.31 C); თავადმან შეპრისხნა მათ (ლ. 9,21 D); ქრისტემან შეპრისხნა ლეგეონსა მას ეშმაკსა (ეესტ. 151,35); შეპრისხნა მას ღმერთმან (ფს. 17,8 E); შეპრისხნა მონამან ღმრთისამან ეშმაკსა მას (კიმ. I, 254,9); ხოლო წმიდამან სემონ შეპრისხნა მას წყევით (იქვე, 306,26); შეპრისხნა მათ ნეტარმან (იქვე, 191,2); ხოლო წმიდამან მან რომელთაჲ მათგანთა შეპრისხნა (კიმ.

<sup>238</sup> თვით ზრქ ელ სუფიქსის დართვით იძლევა ძველ ქართულში კარგად ცნობილ სიტყვას ზრქელი. რომელიც ახალ ქართულში სტელის სახით არის შემონახული.

II. 197.1); ერთმან მან ორთაგანმან შეპრისხნა წმიდასა სეპონს (ს. მეს. 53,7); შეპრისხნა მათ ღმერთმან (2 მეფ. 22,8); მამამან არასადა რაჲ შეპრისხნა (3 მეფ. 1,6); შეგრისხენინ შენ უფალმან (ეპისტ. იულ. 1,9); შეგრისხენინ შენ ღმერთმან, ეშმაკო (სკან. 290a).

ამ ტიპის მაგალითები ძველ ქართულ ტექსტებში ბევრია. უფრო მეტია შემთხვევა, როცა სუბიექტად წარმოდგენილია ადამიანის სახელი (შეპრისხნა მათ იესუ) ან პირის ნაცვალსახელი (უკუეთუ შეგცოლოს შენ ძმამან შენმან, შეპრისხენ მას: ლ. 17,3. იგულისხმება შენ). მაგრამ აშაირი მაგალითები ბრუნვის დადგენის საქმეში არ გამოვკვადგება: იესუ და შენ სახელობითიცი და მოთხრობითიცი ოდენ ფუძის სახით გვხვდება და ეს ორი ბრუნვა ერთმანეთისაგან გარეგნულად არ განიარჩება.

პირველ შემთხვევაში (როცა სუბიექტი სახელობითია) ენა-სუფიქსი ენებოთის ნიშნად ესმით, როგორც მაგალითად, განრისხნა, განურისხნა, დაგლახაგნა, განლოგნეს და მსგავს ფორმებში; მეორე შემთხვევაში (როცა სუბიექტი მოთხრობითია) ის პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშნად მანჩნათ, როგორც, მაგალითად, ვიხილენით. შეხელნა, განიცივნა, განილიშნა და სხვა ამგვარ ფორმებში. ამ ზნასთან შეწყობილი სახელის (სუბიექტის) ბრუნვის არჩევისას დიდი სიჭრელეა.

თუ რამდენად ყოყმანობდნენ ჩვენი ძველი მწერლები და რელაქტორ-გადამწერები ასეთ ფორმებთან ბრუნვის შერჩევაში, ეს კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ რყევა და ყოყმანი ეტყობა თვით ერთსა და იმავე გადამწერს (აეტორს, რელაქტორს). ასე, მაგალითად, ადიშის ოთხთაეში, როგორც გადამწერს (აეტორს, რელაქტორს). ასე, მაგალითად, ადიშის ოთხთაეში, როგორც ზემოთ ენახეთ, ერთგან იკითხება: ერმან მან შეპრისხნა მათ (მ. 20,31 C); ხოლო მეორე ადგილას: თავადი შეპრისხნა მათ (ლ. 9,20). და ამას წერს ერთი ადამიანის ხელი. მაგრამ ეს ცოტაა: იმავე გადამწერს უკერ დაუწერია: მოწაფეთა მათ შეპრისხნეს (მ. 19,13 C). მაგრამ შემდეგ მოწაფეთა-ს თა გადაუსწორებია და ნი გამოუყვანია: მოწაფენი მათ შეპრისხნეს. საინტერესოა, რომ საბოლოოდ სახელობითს მიეცა უპირატესობა და ის დარტოვეს ტექსტში, ენა-სუფიქსი ენებოთის მანარმობელ ნიშნად მიიჩნიეს. ასე აშკარა და ენაში ფართოდ გაერცელებული ორგანი, სრულიად საპირისპირო, შეფასება ერთი და იმავე ფორმის ენაში სხვა არ გვევლდება. მას აქვს ერთგვარი საფუძველი: პირდაპირი ობიექტის მრავლობითობისა და ენ სუფიქსიანი ენებოთის წარმოება (II სერ.) ერთნაირ პრინციპს ემყარება, გარეგნულად ერთნაირია. გარდა ამისა, შეპრისხნა ზნის აქტიური შინაარსიც (გაუწყრა, გაუჯავრდა, უსაყველურა) არევის საბაბს იძლეოდა.

მაინც რომელი ბრუნვის გამოყენება აქ მართებული? ჩვენ გვეონია, სახელობითისა. ადიშის ოთხთაეის გადამწერსა თუ რელაქტორს ტყუილად არ გადაუსწორებია მოთხრობითი სახელობითად (მოწაფეთა შეპრისხნეს კი არა, მოწაფენი შეპრისხნესო). შეპრისხნა ფორმითაც და შინაარსითაც განრისხნა-ს ბადალია, ოღონდ პირველი ორპირიანია. მეორე — ერთპირიანი: განრისხნა იგი, შეპრისხნა იგი მას. შე ზნისწინის დართვით ზნას ერთი, ირიბობიექტური, პირი მოემატა. ამის მაგალითი სხვაეცაა ცნობილი ძველსა და ახალ ქართულში: შე უმატებს ირიბობიექტურ პირს. შდრ. გაბედა და შეგბედა, დაყარა და შეყარა, იკადრა და შეკადრა, გაჭრა და შესჭრა, გაწყრა და შესწყრა და სხე.

მერმე: განრისხნა-ს გვერდით ძველ ქართულში ხშირია სასხვისო ქცევის ფორმანი განურისხნა: განურისხნა მას უფალი იგი თვისი (მ. 18,34); შენ მოწაფე ხარ ამის მოძღურისაჲ, და მყის განურისხნი ძმასა შენსა (სწავ. 71,22). შდრ.: უკუეთუ შეგცოდოს ძმამან შენმან, შეპრისხენ მას (ლ. 17,3). განურისხნი შენ მას და შეპრისხენ შენ მას შინაარსით ერთია, ფორმაც შესატყვისია: ერთში სასხვისო ქცევის ნიშანია, მეორეში ამ ნიშნის ჩაგარდნის შემდეგ აღმდგარი პირის ნიშანი: განურისხნი — შეპრისხენ. აქ შეიძლება გავიხსენოთ დააკრა და დაქრა, დაუფენდა და დაჟენდა, დააკუეთა და დაქუეთა და ბევრი სხვა<sup>29</sup>.

შემდეგ: შეპრისხნა ფორმაში ზოგან საცილობელი ნ-ს (←ენ) ნაცვლად ღონია წარმოდგენილი და ამით უკვე ნათქვამია, რომ ზნა (ღონიანი) ვნებითაო: შეპრწუნ-და, რამეთუ შეპრისხდა მას ღმერთი (ფს. 17,8 წკ); არამედ უკუეთუ ვინმე შეპრისხდის, პასუხობნ ტყივილით (სწავ. 265,7 C). პარალელურად ორივეგან ნარიანი ფორმებია მოცემული: შეპრისხნა, შეპრისხნის. ღონი აქ ტყუილად არა ცვლის ნარს: ვნებთის ერთი მაწარმოებლის ნაცვლად მეორის გამოყენებით ფორმა უფრო გასაგები და უქვეო გახდა. მოთხრობითი აქ გაუმართლებელია ისტორიულადაც და კონტექსტის აზრითაც. რა უნდა ყოფილიყო ის პირდაპირი ობიექტი, რომლის აღნიშვნელიც სადავო ფორმაში თითქოს ნ (←ენ) სუფიქსია? ის არა ჩანს და არც იგულისხმება. საანალოგიოდ შეხედნა-ს გახსენება არ გამოდგება: ჯერ ერთი, აქ თუაღნი-ს დაშვება, როგორც ფიქრობენ, სრულიად ადვილი და გასაგებია, მეორე: შეხედნა-სთან არავის არასოდეს სახელობითი არ უხმარია. ერთი სიტყვით, შეპრისხნა, შეპრისხნეს ფორმებთან სუბიექტად სახელობითია სწორი და გამართლებული.

მოქმედებითისა და ვნებთის სრული დამთხვევა გვაქვს განწმედა-ში. ეს მაშინ ხდება, როცა მოქმედებითი პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, ხოლო ვნებთი, როგორც წესია, ენ სუფიქსითაა ნაწარმოები. დამთხვევა. რა თქმა უნდა, მხოლოდ II სერიის მწკრივებში გვაქვს.

აი, ამ საინტერესო ზნის მოქმედებითი და ვნებთი პარალელურად:

#### ვაკატინი

მოქმ.	მე	ივინი	ვნებ.	მე
გან-ვ-წმიდ-ენ	მე	ივინი	გან-ვ-წმიდ-ენ	მე
გან-ს-წმიდ-ენ	შენ	"	გან-ს-წმიდ-ენ	შენ
გან- წმიდ-ნ-ა	მან	"	გან- წმიდ-ნ-ა	იგი
გან-ვ-წმიდ-ენ-თ	ჩუენ	"	გან-ვ-წმიდ-ენ-თ	ჩუენ
გან-ს-წმიდ-ენ-თ	თქვენ	"	გან-ს-წმიდ-ენ-თ	თქვენ
გან- წმიდ-ნ-ეს	მათ	"	გან- წმიდ-ნ-ეს	ივინი

<sup>29</sup> ა. ჩაქმავა. ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზნებში: იკვ. 11, 1959.

## II ზრამნაბითი

გან-წმოდ-ენ	შენ	ივინი	გან-წმოდ-ენ	შენ
გან-წმოდ-ენ-ი-ნ	მან	"	გან-წმოდ-ენ-ი-ნ	ივი
გან-წმოდ-ენ-თ	თქვენ	"	გან-წმოდ-ენ-თ	თქვენ
გან-წმოდ-ენ-ელ	მათ	"	გან-წმოდ-ენ-ელ	ივინი

## II სოლპოზიტი

გან-უ-წმოდ-ენ-ი	მე	ივინი	გან-უ-წმოდ-ენ-ი	მე
გან-ს-წმოდ-ენ-ი	შენ	"	გან-ს-წმოდ-ენ-ი	შენ
გან- წმოდ-ენ-ი-ს	მან	"	გან- წმოდ-ენ-ი-ს	ივი
გან-უ-წმოდ-ენ-ი-თ	ჩვენ	"	გან-უ-წმოდ-ენ-ი-თ	ჩვენ
გან-ს-წმოდ-ენ-ი-თ	თქვენ	"	გან-ს-წმოდ-ენ-ი-თ	თქვენ
გან- წმოდ-ენ-ი-ან	მათ	"	გან- წმოდ-ენ-ი-ან	ივინი

## II კაპოზიტი

გან-უ-წმოდ-ენ-ე	მე	ივინი	გან-უ-წმოდ-ენ-ე	მე
გან-ს-წმოდ-ენ-ე	შენ	"	გან-ს-წმოდ-ენ-ე	შენ
გან- წმოდ-ენ-ე-ს	მან	"	გან- წმოდ-ენ-ე-ს	ივი
გან-უ-წმოდ-ენ-ე-თ	ჩვენ	"	გან-უ-წმოდ-ენ-ე-თ	ჩვენ
გან-ს-წმოდ-ენ-ე-თ	თქვენ	"	გან-ს-წმოდ-ენ-ე-თ	თქვენ
გან- წმოდ-ენ-ე-ან	მათ	"	გან- წმოდ-ენ-ე-ან	ივინი

რატომ ხდება ასეთი დამთხვევა მხოლოდ აქ და სხვაგან არა? მიზეზი ერთადერთია: მოქმედებითი ამ ზმნას სუფთა ფუძით იყენებს; სხვა ნასახელარ ზმნებს კი (ყველას გამოუკლებლივ) წინ ურთავს ქცევის ნიშნებს, უფრო ხშირად საარვისო ქცევის ა პრეფიქსს (უფრო ნაკლებ — სასხვისო ქცევის უ-ს). ამიტომ გვაქვს:

ერთი მხრივ:

გან-უ-ა-შტოც-ენ	მე	ივინი
გან-ა-ცოფ-ენ	შენ	"
გან-ა-ქიქა	მან	"
აღ-უ-ა-შფოთ-ენ-თ	ჩვენ	"
შე-ა-წუხ-ენ-თ	თქვენ	"
გან-ა-ფიცხ-ენ-ეს	მათ	"

მორე მხრივ:

გან-უ-შტოც-ენ	მე
გან-ს-ცოფ-ენ	შენ
გან-ქიქ-ა	ივი
აღ-უ-შფოთ-ენ-თ	ჩვენ
შე-ს-წუხ-ენ-თ	თქვენ
გან-ფიცხ-ენ-ეს	ივინი

როგორც ვხედავთ, ა მაქცერის უქონლობა ენებითში სპობს განსხვავებას მოქმედებითისა და ენებითის ფორმებს შორის. ა არ შეიძლება ქჷონდეს ამ ტიპის ენებითს. მაგრამ ივი (ან სასხვისო ქცევის ნიშნები) აუცილებლად უნდა ქჷონდეს და აქვს კიდევ აღწერილი ტიპის მოქმედებითს.

ამ ზმნის მოქმედებითი და ენებითი გვარის ფორმათა აღნიშნულმა დამთხვევამ გამოიწვია ის გარემოება, რომ ენა შეეცადა, სხვადასხვა გზით აეცილებინა ეს

სრული დამსგავსება. ამიტომ ენაში ენ სუფიქსიანი ვნებითის გვერდით გაჩნდა პარალელურად ინიანი ვნებითიც: ტირილითა და აღსაარებითა ცოდვითაჲთა განვიწმიდებით კუალად (სწავ. 133.4 B); ვითარცა-იგი წყლისაგან და სულისა განვიწმიდებით პირველად (იქვე, 133.3); განიწმიდებით გუამისაგან, რომელი ჰგვის ჭეშმარიტად (სინ. 247.24); ყოვლითა სათნოებითა განვიწმიდებით ყოველთაგან ცოდვათა (სწავ. 26,27 B).

მეორე შემთხვევაში ვნებითის ენ სუფიქსიანი წარმოება რჩება, მხოლოდ წმედ ფუქეს კუმშვენ, რომ ამით განასხვავონ იგი მოქმედებითისაგან: კეთროვანნი განწმდნებან (ლ. 7.22 D); მეყსეულად განწმდნა იგი კეთროვნებისა მისგან (მ. 8.3 D); მნებაეს /განწმედაი შენი/, განწმდნი (მ.8.3 E).

დასასრულ, განსახილველი ზმნის ვნებითი იხმარება უნიშნოდ, როგორც სხვა უნიშნო ვნებითები: კეთროვანნი განწმდებან (მ. 11.5); ყოველივე იგი სისხლითა განწმდებოდა (ებრ. 9.22 ლაგ.); განწმდე მე ცოდვისაგან დიდისა (ფს. 18,14); განწმდე (4 მუფ. 5, 10,13). ამით მითითებულ დამთხვევას გვერდი აუარეს. აქ გამოკლინდა მორფოლოგიური ომონომიის თავიდან აცილების ტენდენცია. დღევანდელ ქართულში ამ 4 სახეობიდან მხოლოდ ინიანი ვნებითი დამკვიდრდა (გაიწმინდება. გაიწმინდა, გაიწმინდოს). დანწმდება, დანწმდა (უნიშნო) ფორმებს დღეს სხვა ნოუანსური ელფერი გადააქრავს.

სასხვისო ქცევის უ პრეფიქსით სავარაუდო იყო მოქმედებითისა და ვნებითის ფორმათა დამთხვევა სხვა ზმნებშიც გვექნოდა, მაგალითად:

<u>მოქმ.</u>		<u>ვნებ.</u>
განუსპეტაქნა	მან მას ივინი	და განუსპეტაქნა იგი მას
აღუსუბუქნა	" " "	აღუსუბუქნა " "
განუფიცხნა	" " "	განუფიცხნა " "
განურისხნა	" " "	განურისხნა " "
დაუბუშნა	" " "	დაუბუშნა " "
აღუბორგნა	" " "	აღუბორგნა " "
დაუტკბნა	" " "	დაუტკბნა " "

მაგრამ აწნაირი სრულიად შესაძლებელი დამთხვევები ჩვენ ძეგლებში არ შეგვხვედრია.

უკვე აღნიშნული იყო და აქაც გავიმეორებთ (ერთად თავმოყრის მიზნით), რომ ელ და ილ სუფიქსიანი სახელები ვნებითების წარმოებისას ამოსავლად ძირს იყენებს და ელ და ილ სუფიქსებს ნაწარმოებ ფორმებში ვერ ვხვდავთ. ეს ასეც უნდა იყოს: ვნებითის ეს ძველი წარმოება ისევე დამოუკიდებლად მიმართავს მარტივ ფუქეს (ძირს), როგორც ზედსართავი იქცევა იმავე მასალაზე ელ და ილ სუფიქსების დამატებისას:

გან-ერც-ნა	← ერც →	ერც-ელი
გან-ზრქ-ნა	← ზრქ →	ზრქ-ელი
გან-უთხ-ნ-ი-ს	← თხ →	თხ-ელი
გან-სხუ-ნა	← სხუ →	სხუ-ელი (-→სხვლი-ი)
და-უტკბ-ნა	← ტკბ →	ტკბ-ელი



გან-ფიცხ-ნ-ა

← ფიცხ →

ფიცხ-ული

განგე-წით-ნ-ეს

← წით →

წით-ული

მღრ. ვრც და ა-ვრც-ობ-ს, სა-ვრც-ობ-ი, სი-ვრც-ე (და არა: სივრცულე); ზრქ →სქ და სი-სქ-ე, უ-სქ-ეს-ი, მო-სქ-ო; თხ და სი-თხ-ე, და-ს-თხ-ი-ა, თხ-ვე-აღ-ი; ტპბ და სი-ტპბ-ო, უ-ტპბ-ეს-ი, მო-ტპბ-ო, ჩა-ტპბ-არ-უნ-ებ-ა, და-ა-ტპბ-ო, და-უ-ტპბ-ა: ფიცხ და სი-ფიცხ-ე, გა-ფიცხ-ებ-ა, წით და წით-ს (ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაი: მ. 16.2). წით-ური და სხვ. აქ პარალელურ წარმოებასთან გვაქვს საქმე, რომელიც სხვადასხვა დროს (ხან ერთდროულად) სხვადასხვა განზომილებით და სხვადასხვა გეზით მიემართება.

ახლა წარმოვადგენთ სანიმუშო მაგალითებს:

კუალადცა ვიტყვ და არა დავდუნები (სწავ. 88,28 AB; C: დავდუნები); შევბოროტენ, დავმდაბლი ფრიად (ფს. 37,9); დავგლახკენ, დავმდაბლი ფრიად. მარადლე მწუხარე ვილოდე (ფს. 37,7); მეუფებასა ზედა ჩემსა დავმტკიცენ (დან. 4,33); ამისთვის განჯრისხენ შენ ზედა (ხანძი. 156,10); შეეწუხენ მე ფრიად ვიდრე სიკუდილამდე (ს. მეს. 69,15); ხოლო აწ ვდუნე და არარაი მიუვო (მრავ. 264,7); რაითა არა განვლიდნე და განჯრცენ (იგავ. 10,9); ანუ ვითარ განჯრისხნე (იობ 21,4); დავგლახკენით ფრიად (ფს. 78,8; სინ. 43,26).

ნუ დაიღუბებ, ნუცა დაჰმშვენები, ღმერთო (ფს. 8,2); ნუ აღზუენები (სწავ. 9,31); აწ ნუ დასდუნები (ისტ. ქრ. I, 251,32); ნუმცა დასდულნები (კურთხ. იაკ. 54,1).

განსიღენ და განსძლიერდი (დან. 4,19); დავჯედ ... და დუმენ და დიმაღლე (კობ. I, 211,10); განჯრცენ, იაფეთ, შორის ნათესაეთა (სას. პ. 50,120); განმტკიცენ, იოსებ, ქალწულისა მიმართ (იქვე, 185,22); შენ გესმინ და ნეფსით დასდუნნი და უგულუბელს-ჰყვი (სწავ. 88,10); არცა ვის განიკითხვიდე და არცა ვის ზედა აღზუენე (იქვე, 78,21); ნუკუე განჰრისხნე, უფალო (დაბ. 18,30).

ნუმცა დავუტკინების ჩუენ უდებებაი და სოფლისა ამის ზრუნვაი (ისტ. ქრ. II, 20,38); სიტყუაი მეუფისაი არა განჯრუნების (სწავ. 281,13); ვორცითა დავგლახკენების და წარმიძღვს ჩუენ ზეცად (სას. პ. 60,24); განირცხინ იგი ცრემლითა, რამეთუ ამით განსაქტკინების უფროის ყოვლისა სარცხელისა (სწავ. 281,18); ენისაგან განქიქების ცნობაი (აღწ. 133,8).

ნუცა მდიდარნი განვლანებთან (სინ. 189,20); უფროისლა განმტკიცებთან ქრისტეანობასა ზედა (რიფს. 166,28); რომლისა საქმე პატიოსან და დიდებულ არს, ნუ აღზუენებინ (სწავ. 176,38); შუოდენ-რამეტქობადა, და არღარა მოსრულ იყო მათა იესუ (ი. 6,17); ღელვანი მისნი განსასტიკებოდეს (იონა 1,13).

იგი უფროისლა აღბორენა (ხანძი. 145,28); განლოენა სიტყუათა მისთა ზედა და არარაი პოვა, რაიმცა მიუვო მას (კობ. II, 83,33); დამშენდა ბუნებაი მვეცთაი (აპოკრ. 8,24); დავუნდა ზღუაი იგი (თუალთ. 48,18); არა არს საიდუმლოი, რომელი-მცა არა განცხადნა (მრ. 4,22 C); შემთხვევითა საღობისაითა განსივნა მუცელი მისი (კობ. I, 242,19); დამვენა უფროის ნაყშირისა ფერი მათი (ვოდ. 4,8); მუნქუესვე განცივნა და განვმა წყალი იგი (ლიბ. 13,8); განჯრუნა სასოებაი ბილწისა მის მტარვალისაი (ანტიოქ. 368,31); ვერეცა ესე შეჰქუნა (სინ. 210,11); განბოროტნა

მოსე მათთვის (ფს. 105,32); აღლუნა გულის-წყრომითა (სინ. 118,33); განვრცნა პირი ჩემი (1 მეფ. 2,1); იოვანძისი იგი ქადაგება და მტკიცება (კომ. II, 71,25); განუროსხნა მას უფალი იგი თვისი (მ. 18,34); რაემს-იგი განფიცხნა ფარაო (გამ. 13,15).

ვერცა სახლები მათი საესე არს ზაკუეთთა. ამისთვის რამეთუ განდიდნეს და გაძლიერდეს და განსუქნეს და განპოხნეს და გარდაუდეს სიტყუათა ჩემთა უკეთურებად (იერ. 5,27); მას ეამსა აღლუნეს. რომელნი-იგი გარემოის დგეს (კომ. I, 137,27); წადიერებითა მისითა ღმრთისა მიმართ განღმრთნეს იგინი (მრავ. 297,34); ვითარ იხილეს მათ ნათელი იგი მომავალი. განფიცხნეს (სინ. 135,21).

რომელთა აღუსივნის მუცელი თვისი (თუალთ. 20,13); განცივნის ჰაერი ესე ქუეყანისა (ექუსთ. 73,14); სადაცა დაულანის დღე, მუნცა დაადგრიან (საქ. წ. II, 56,23); ჭეშმარიტად დასტკბნის სიტკბობა ჩემი და მარადის მის თანა ვიყო (აღწ. 70,11); ორბსა სიმძღრითა დაუძიმდიან ფრთენი მისნი და ვერ უძლის აღფრენად სიმალესა ჰაერისასა, ვიდრემდის არა აღუსუბუქნის სიმძიმე იგი მძღრობისა (სწავ. 199,14); უკუეთუ თავით თვისით დაყუდნეს (სწავ. 150,7); არცა საიდუმლოი /არს/, რომელი არა გამოცხადნეს (მ. 10,26); ოდეს აღზუავენეს კაცი და განლაღნეს ღმრთისა ზედა (სწავ. 316,39); რაითა პირითა მოწამეთა ორთაითა ანუ სამთაითა და მტკიცნეს ყოველი სიტყუა (მ. 18,16 C); რაითა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი (ლ. 2,35); ვიდრემდე გამოერჩინენ და გამოსატყაყენენ და გამოიკურნენენ მრავალნი (დან. 12,10. ამ ერთ პატარა წინადადებაში სამი სახის ვნებითა: ინანი — გამოიკურნენენ, ენანი — გამოერჩინენ და ენ სუფიქსიანი — გამოსატყაყენენ); გინა თუ განმწესნენ. პურის მთხოველივე იქმნენ (იობ 27,14).

#### D. ღონიანი ვნებითი

ღონიანი ვნებითი ნასახელარ ზნებებს მოეპოვებათ: ცხოველი — განაცხოველა — განცხოველა, მწუანე — განამწუანა — განმწუანდა, ძლიერი — განაძლიერა — განძლიერდა; ეწარმოება აგრეთვე რამდენიმე პირველადს ზნასაც: მოაკლდა, განსთქდა (← განპოქდა ← განხთქდა), გამოჩნდა, გან(პ)კვრდა. ძველი ქართულის ვნებითი გვარის ზნებიდან წარმოებით ახალ ქართულთან ყველაზე ახლოს სწორედ ღონიანი ვნებითობა. აქ ძველსა და ახალს შორის განსხვავება მინიმალურია. შეიძლება ეს გარეგნობა იმითაც აიხსნას, რომ დ სუფიქსი უფრო გამძლე აღმოჩნდა, მას ფონეტიკური ცვლილებები არ შეხებია, ის ამავე დროს ფართოდ იყო გავრცელებული ენაში, მან შეუმკირა სამოქმედო ასპარეზი ენ სუფიქსს, ხოლო შემდეგ სულ გააძევა ხმარებიდან და თვით დაიკისრა მისი ფუნქციების შესრულება. ერთი სიტყვით, დღევანდელი ღონიანი ვნებითი ძალიან ახლოს დგას ძველ წარმოებასთან. ამიტომ ძველი ქართულის ვნებითის ეს ვჯგუფი შედარებით ადვილი გასაგები და შესათვისებელია.

როგორ აქვთ განაწილებული მოქმედების არე სუფიქსიანი ვნებითობა: როდის იხმარება ენ და როდის დ? როგორც აღნიშნული იყო, ენ-ი იხმარება ისეთ ნასახელარ ზნებში, რომელთა ფუძეც არ ბოლოვდება ნარანარა (ლ. ნ, რ) ბგერებზე, დ კი სწორედ ნარანარა ბგერებთან გვაქვს: განცხოველ-დ-ა, განმწუან-დ-ა, განძლიერ-დ-ა. დაკურთავთ აქვე, რომ ესა და მ-ზე დაბოლოებულ ფუძეებს შეიძლება ორივე წარმო-

ება ჰქონდეს: დაშენა და დაშედა, განცრუენა და განცრუედა ... დაღამა და დაღამ-  
და, დაღუძა და დაღუძდა. ეს გასაგებია: ვ და შ სონორები ძალიან ახლოა ნ. ლ და  
რ ნარნარებთან. შეზღვე და შეზღვე, როგორც ითქვა, ყველა ნასახელარი ზმნის  
ერთადერთ სუფიქსად მხოლოდ ლ რჩება და, აზგვარად, ენებითი გვარის ზმნათა  
უღლებს საგრძობლად გამარტივებულა. ასეა: დროთა ვითარებაში ენა იხვეწება,  
უფრო მწყობრი და ადვილად გასაგები ფორმები ბატონდება. მაგრამ წარმოვადგინოთ  
ვერ დონიანი ენებითის უღლების პარადიგმები:

## I სერია

### აწავო

აღ-ემღოღ-ღები	გან-ე-შუენ-ღები	და-ებერ-ღები
აღ-ქ-მღოღ-ღები	გან-ქ-შუენ-ღები	და-ქ-ბერ-ღები
აღ- მღოღ-ღები-ის	გან- შუენ-ღები-ის	და- ბერ-ღები-ის
აღ-ემღოღ-ღები-ით	გან-ე-შუენ-ღები-ით	და-ებერ-ღები-ით
აღ-ქ-მღოღ-ღები-ით	გან-ქ-შუენ-ღები-ით	და-ქ-ბერ-ღები-ით
აღ- მღოღ-ღები-ან	გან- შუენ-ღები-ან	და- ბერ-ღები-ან

### აწავოს სრულყოფითი

აღ-მღოღ-ღები-ინ	გან-შუენ-ღები-ინ	და-ბერ-ღები-ინ
აღ-მღოღ-ღები-იედ	გან-შუენ-ღები-იედ	და-ბერ-ღები-იედ

### უწყვეტელი

აღ-ემღოღ-ღები-ოდ-ე	გან-ე-შუენ-ღები-ოდ-ე	და-ებერ-ღები-ოდ-ე
აღ-ქ-მღოღ-ღები-ოდ-ე	გან-ქ-შუენ-ღები-ოდ-ე	და-ქ-ბერ-ღები-ოდ-ე
აღ- მღოღ-ღები-ოდა	გან- შუენ-ღები-ოდა	და- ბერ-ღები-ოდა
აღ-ემღოღ-ღები-ოდ-ეთ	გან-ე-შუენ-ღები-ოდ-ეთ	და-ებერ-ღები-ოდ-ეთ
აღ-ქ-მღოღ-ღები-ოდ-ეთ	გან-ქ-შუენ-ღები-ოდ-ეთ	და-ქ-ბერ-ღები-ოდ-ეთ
აღ- მღოღ-ღები-ოდ-ეს	გან- შუენ-ღები-ოდ-ეს	და- ბერ-ღები-ოდ-ეს

### I ბრძანებითი

აღ-მღოღ-ღები-ოდ-ე	გან-შუენ-ღები-ოდ-ე	და-ბერ-ღები-ოდ-ე
აღ-მღოღ-ღები-ოდ-ენ	გან-შუენ-ღები-ოდ-ენ	და-ბერ-ღები-ოდ-ენ
აღ-მღოღ-ღები-ოდ-ეთ	გან-შუენ-ღები-ოდ-ეთ	და-ბერ-ღები-ოდ-ეთ
აღ-მღოღ-ღები-ოდ-ედ	გან-შუენ-ღები-ოდ-ედ	და-ბერ-ღები-ოდ-ედ

უწყებლის სრულებითი და I კატორჯებითი

არ-ემარულ-დებ-ოდ-ი	გან-ე-შუენ-დ-ებ-ოდ-ი	და-ე-ბერ-დ-ებ-ოდ-ი
არ-ქ-მარულ-დებ-ოდ-ი	გან-ქ-შუენ-დ-ებ-ოდ-ი	და-ქ-ბერ-დ-ებ-ოდ-ი
არ- მარულ-დებ-ოდ-ი-ს	გან- შუენ-დ-ებ-ოდ-ი-ს	და- ბერ-დ-ებ-ოდ-ი-ს
არ-ემარულ-დებ-ოდ-ი-თ	გან-ე-შუენ-დ-ებ-ოდ-ი-თ	და-ე-ბერ-დ-ებ-ოდ-ი-თ
არ-ქ-მარულ-დებ-ოდ-ი-თ	გან-ქ-შუენ-დ-ებ-ოდ-ი-თ	და-ქ-ბერ-დ-ებ-ოდ-ი-თ
არ- მარულ-დებ-ოდ-ი-ან	გან- შუენ-დ-ებ-ოდ-ი-ან	და- ბერ-დ-ებ-ოდ-ი-ან

II სარია

წყებითი

არ-ემარულ-დი	გან-ე-შუენ-დი	და-ე-ბერ-დი
არ-ქ-მარულ-დი	გან-ქ-შუენ-დი	და-ქ-ბერ-დი
არ- მარულ-და	გან- შუენ-და	და- ბერ-და
არ-ემარულ-დი-თ	გან-ე-შუენ-დი-თ	და-ე-ბერ-დი-თ
არ-ქ-მარულ-დი-თ	გან-ქ-შუენ-დი-თ	და-ქ-ბერ-დი-თ
არ- მარულ-დე-ს	გან- შუენ-დე-ს	და- ბერ-დე-ს

II ბრძანებითი

არ-მარულ-დი	გან-შუენ-დი	და-ბერ-დი
არ-მარულ-დინ	გან-შუენ-დინ	და-ბერ-დინ
არ-მარულ-დი-თ	გან-შუენ-დი-თ	და-ბერ-დი-თ
არ-მარულ-დე-დ	გან-შუენ-დე-დ	და-ბერ-დე-დ

II სრულებითი

არ-ემარულ-დი	გან-ე-შუენ-დი	და-ე-ბერ-დი
არ-ქ-მარულ-დი	გან-ქ-შუენ-დი	და-ქ-ბერ-დი
არ- მარულ-დი-ს	გან- შუენ-დი-ს	და- ბერ-დი-ს
არ-ემარულ-დი-თ	გან-ე-შუენ-დი-თ	და-ე-ბერ-დი-თ
არ-ქ-მარულ-დი-თ	გან-ქ-შუენ-დი-თ	და-ქ-ბერ-დი-თ
არ- მარულ-დინ-ან	გან- შუენ-დინ-ან	და- ბერ-დინ-ან

II კატორჯებითი

არ-ემარულ-დე-ე	გან-ე-შუენ-დე-ე	და-ე-ბერ-დე-ე
არ-ქ-მარულ-დე-ე	გან-ქ-შუენ-დე-ე	და-ქ-ბერ-დე-ე
არ- მარულ-დე-ე-ს	გან- შუენ-დე-ე-ს	და- ბერ-დე-ე-ს

აღ-მადლ-ღ-ეთ	გან-ე-შუენ-ღ-ეთ	ღა-ე-ბერ-ღ-ეთ
აღ-ქ-მადლ-ღ-ეთ	გან-ქ-შუენ-ღ-ეთ	ღა-ქ-ბერ-ღ-ეთ
აღ-მადლ-ღ-ენ	გან-შუენ-ღ-ენ	ღა-ბერ-ღ-ენ

III სერიის ფორმები, როგორც არაერთხელ გვაქვს ნათქვამი, ყველა ერთპირიან ზმნას (ღონიანი ენებითები კი მეტწილად ერთპირიანია) ერთნაირად აქვს ნაწარმოები — აღწერთად: დაბერებულ ვარ, ხარ, არს, ვართ, ხართ, არიან (I თურმეობითი); დაბერებულ ვიყავ, იყავ, იყო, ვიყვენით, იყვენით, იყენეს (II თურმეობითი); დაბერებულ ვიყო, იყო, იყოს, ვიყენეთ, იყენეთ, იყენენ (III კავშირებითი). ამიტომ აქ მათი უღლების პარადიგმებს აღარ მოვიყვანთ, მით უმეტეს, რომ ამგვარი მაგალითები (საერთოდ, ენებითა III სერიის ფორმები) ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება. როგორც თავის ადგილას გვაქვს ნათქვამი, არა ყოველი დაბერებულ ვარ, დაბერებულ ვიყავ, დაბერებულ ვიყო არის შესაბამისად I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი. აბსოლუტურად უძრავებს შემთხვევაში ეს წყვილ-წყვილი ფორმები ცალ-ცალკე სიტყვება, ვარ, ვიყავ, ვიყო ცალკე უნდა შეფასდეს და. შესაბამისად, აწმყოდ, წყვეტილად და II კავშირებითად უნდა გავოგოთ. ერთპირიან ზმნებზე ზემოთ (გვ. 231 და შემდ.) უკვე გვქონდა საუბარი და აქ განმეორება არ არის საჭირო.

ყველა ღონიან ენებითს წყვეტილისა და II ხოლმეობითის პირველი და მეორე პირები მხოლოდობითა და მრავლობითში ერთი სახით აქვს წარმოდგენილი, ერთმანეთს ემთხვევა: დაებერდით და დაებერდით, დაჰებრდით და დაჰებრდით. ამ წესმა გამონაკლისი არ იცის. ამ ორ მწკრივს განსხვავებული აქვს მხოლოდ მესამე პირის ფორმები ორსავე რიცხვში: დაბერდა და დაბერდის, დაბერდეს და დაბერდინ. მაგრამ ეს დამთხვევა მეორეული მოვლენა უნდა იყოს. ბოლოკიდური ი II ხოლმეობითში მწკრივის ნიშანია და იგი თავიდან ბოლომდე გასდევს ყველა ფორმას. იგივე ი წყვეტილში წარმოდგენით თანხმოვანთგამყარი უნდა იყოს, რომელიც უკერ მრავლობითში გაჩნდა დთ-ს გამოთქმის გასაადვილებლად: \*დაებერდთ → დაებერდით. \*დაჰებრდთ → დაჰებრდით. რაკი ი მრავლობითში მტკიცედ დამკვიდრდა, იგი შემდეგ მხოლოდობითიც გადავიდა ანალოგიით. ანალოგიას ქონდა მყარი საფუძველი: როგორც აღნიშნული გვაქვს ზემოთ, ქართულ ზმნაში I და II სუბიექტური პირის მრავლობითი უდრის მხოლოდობის, ჰლუს თ. ეს წესი ურყევია და უგამონაკლისო. ქართველი კაცის მეტყველება და აზროვნება ქვეცნობიერად ემორჩილება და მისდევს ამ შეუძლარ კანონს. ამიტომ მრავლობითში ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ი დაუბრკოლებლად უნდა გადასულიყო და გადავიდა კიდევ მხოლოდობითში. მდრ ამას მსგავსი მოვლენა უწყვეტლში: ე-წერ-ღ, ს-წერ-ღ (უფრო ძველი და ძველებით ფართოდ დადასტურებული) ფორმები მერმე ი-ს ირთავენ — ე-წერ-ღ-ი, ს-წერ-ღ-ი. რადგან იმავე მიზეზით ეს ი უკერ მრავლობითში გაჩნდა (ე-წერ-ღ-ით, ს-წერ-ღ-ით) და იქიდან გადმოვიდა მხოლოდობითში. აქ ორივეგან ერთი და იგივე ფონეტიკური (და ფსიქოლოგიური) კანონი მოქმედებს.

დამთხვევა გვაქვს აგრეთვე წყვეტილსა და II კავშირებითში: წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი (დაბერდეს იგინი) ყოველთვის უდრის II

კავშირებითის შესაძლებელი სუბიექტური პირის მხოლოდობის (დაბერდეს იგი). მართალია, გარეგნულად მსგავსი ფორმები სხვადასხვანაირად იწოდება (და-ბერ-დ-ეს და და-ბერ-დ-ეს), მაგრამ ეს ჩანს ანალიზისას. ტექსტებში და მეტყველებისას მათ შორის გარჩევა არაა. აქ დამთხვევის მიზეზია ე და ს ელემენტების (მწკრივისა და პირის ნიშანთა) გარეგნული მსგავსება ერთიან ეს სუფიქსთან, რომელიც შესაძლებელი სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანია, ე.ი. დამთხვევის საფუძველი (მიზეზი) წმინდა გრამატიკულ-მორფოლოგიურია. ფორმათა გასარჩევად ზმნის შინაარსეული მხარე უნდა გავითვალისწინოთ, ტექსტის აზრი და მნიშვნელობა. დამთხვევის გამოწვევა შედარებით ადვილია: თუ სუბიექტი მხოლოდობით იგულისხმება (ამას ადვილად მივხვდებით). მწკრივი II კავშირებითი იქნება: და-ბერ-დ-ეს იგი, ხოლო თუ მრავლობითში — საქმე გვექნება წყვეტილთან: და-ბერ-დ-ეს იგინი.

უფრო ძნელია წყვეტილისა და II ხოლმეობითის გარეგნულად იდენტურ ფორმათა გარჩევა, რადგან ორივე წარსულ დროს გამოხატავს (წყვეტილი — ყოველთვის, II ხოლმეობითი — უმეტესად). პირი და რიცხვი ორივეს ერთი და იგივე აქვს. მართალია, II ხოლმეობითი წარსულში მომხდარ განმეორებად, განგრძობილ მოქმედებას გამოხატავს, წყვეტილი კი ერთჯერადს, დამთავრებულსა და შეწყვეტილს, მაგრამ ხშირად ასეთი განსხვავების დადგენაც ჭირს. ერთი სიტყვით, ამ ტიპის დამთხვევისას მწკრივის დადგენა უფრო ძნელია, ვიდრე მაშინ, როცა მოზარეა წყვეტილი და II კავშირებითი.

ახლა შეიძლება დავსვათ კითხვა: რა ურთიერთობაა ენებითა მწარმოებელ ენა და სუფიქსებს შორის? თავიდანვე იყო ორივე თუ ერთ-ერთისაგან მომდინარეობს მეორე და, ადვილად, ორი სუფიქსის ერთდროულად არსებობა მეორეულა? ზოგი რამ ამის შესახებ უკვე ითქვა ზემოთ. არის გამოთქმული ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი. ერთი შეხედულების მიხედვით, თავიდანვე ნასახელარ ზმნათაგან ენებითის საწარმოებლად მხოლოდ ერთი, ენ სუფიქსი, იყო გამოყენებული, მეორე, დ სუფიქსი, მერმე წარმოიშვა. უპირველეს ყოვლისა, ისეთ ზმნებში, რომელთა ფუძეც ნარნარა (ლ, ნ, რ) ბგერებზე ბოლოვდება. ენ სუფიქსისეული ნ-სა (რომელიც მარტო რჩებოდა ენ-ის შეკუმშვის შემდეგ) და ფუძის ბოლოკიდური ლ, ნ, რ ბგერების შეხედრისას დისიმილაციის ნიადაგზე ეს ნ დ-ს იქცეოდა: დასნეულანა → დასნეულდა, განმწუანანა → განმწუანდა, დამწუხრანა → დამწუხრდა. რადგანაც ასეთი ზმნები უმრავლესობას წარმოადგენდა (ქართულში ლ, ნ, რ-ზე დაბოლოებული სახელები ძალიან ბევრია), დროთა ვითარებაში ყველა სხვა ნასახელარ ზმნაც ამ წესს გაჰყვა და ენებითის საწარმოებლად დ გაიჩინა (მოხდა უნიფიკაცია). ამ შეხედულებას იცავს ა. შანიძე.

მეორე მოსაზრების მიხედვით, ორივე სუფიქსი თავიდანვე გვექონდა. დ-ს, როგორც მეორე, ენ სუფიქსს, წინ ე ხმოვანი უნდა ქონოდა. ამგვარად, უფრო ძველად ნასახელარ ზმნათაგან ენებითთა საწარმოებლად ენ და ედ სუფიქსები იყო ენაში გამოყენებული. ედ სუფიქსის ხმარების გადმონაშთები დღემდე შემონახული, როგორც, მაგალითად: დავე-ედ, მოვე-ედ, მივსწ-ედ, დავსხ-ედ-ი-თ, მოვ-ედ, წარვე-ედ, მოვსწ-ედ-ი-თ. ეს ზმნები წარმოშობით ენებითებია. ედ-ს მერმე ე ჩამოსცილდა და მხოლოდ დ დარჩა. ერთი და იმავე ფუნქციის შესასრულებლად სხვადა-

სხვა სუფიქსის გამოყენება შეიძლება იმით აიხსნას, რომ ისინი სხვადასხვა დიალექტში ან დიალექტთა წრეში იხმარებოდნენ. ძველმა ქართულმა ორივე შემოგვინახა. ხოლო შემდეგ ხანგრძლივ ჭიდილში დამ გაიმარჯვა და ნასახელარ ზმნებში ყველგან ის გაბატონდა. ეს მოსაზრება ვ.თოფურაის კუთვნიის.

ჩვენც გვეონია, რომ დ (←უღ) სუფიქსის სიძველის დაშეება შესაძლებელიცაა და საჭიროც. ნაკლები გამართლება ექნება დ-ს მეორეულად მიჩნევას და მის აგერ თითქმის ჩვენ თვალწინ გარენას. საესებით ნორმალური და მართებულია, რომ ისინი სხვადასხვა დიალექტის თუ დიალექტური წრის კუთვნილებად იქნეს გამოცხადებული. ამნაირი შემთხვევები ძველ ქართულში სხვაც ბევრი გვაქვს. სხვას ყველას რომ თავი დავანებოთ. მარტო მესამე სუბიექტური პირის ნიშნების ისტორიის გახსენება იქნებოდა საკმარისი. რა საჭირო იყო ერთი (მესამე სუბიექტური) პირის გამოსახატავად 10 ნიშანი (ყველა სუფიქსი) — 5 მხოლობითში (ს, ნ, დ, ა, ო) და 5 მრავლობითში (ეს, ენ, ედ, ან, ნ)? საყურადღებოა, რომ მრავლობითში სამ მათგანს წინა ხმოვნად ე აქვს, რომელთაგან ორი აგრეთვე ვნებითებსაც აღმოაჩნდათ (ენ, ედ). ეს ელემენტები ენაში სხვადასხვა ფუნქციისათვის იყო გამოყენებული. რაც შეეხება ვნებითის საწარმოებლად ძველი ქართულის ორ ნიშანს და მათგან ერთის დაკარგვისა და მეორის გაბატონების ისტორიას, ეს უეჭველად კარგად აქვს ახსნილი და დასაბუთებული ა.შანიძეს. ამ ახსნას თვალნათლივ ამტკიცებს ნასახელარ ვნებითთა შემდგომი განვითარების მთელი ისტორია.

ზემოთ ითქვა, რომ ე-სა და მ-ზე დაბოლოებული ფუძეები ვნებითს ორივე საშუალებით აწარმოებს: ღონითაც (ღამედა, ღაღამდა) და ენ-ითაც (ღამენა, ღაღამნა). ამის ახსნაც იქვე იყო მოცემული. ეს, ეიმეორებთ, ნათელი ილუსტრაციაა ღონიანი ვნებითის თანდათანობითი გაბატონების ისტორიისათვის: მისი სამოქმედო არის გაფართოება ჯერ ვ და მ ბგერებთან დაიწყო, მერმე ყველგან დამკვიდრდა. ამ ტიპის ენ სუფიქსიანი მაგალითები ჩვენ უკვე ენახეთ ზემოთ (გვ. ?); ახლა გავეცნოთ ამავე ტიპის სხვა. ღონიან, ნიმუშებს:

ღელაკაცი ვინმე დაქერიდა (კომ. I, 303,22); დაბრმავდა და დაყრუვდა (აღწ. 137,7); აღჰყუავდი ვითარცა მცენარე ღმრთის მეცნიერებისა (სას. პ. 117,55); ვიდრემდის ღამავდა ფერი მისი (კომ. I, 204,14 E; ვარიანტი: ღამენა L); განცრუვდეს ცრუმონაშეთა წამებანი და მზაკუევარებანი (სას. პ. 296,186); ნუ დაგიბრმავდებიან თუაღნი გულთა თქვენთანი (აპოკრ. 17,29); ამას ვიტყუი და კუალადცა ვიტყუი და არა დავეღუბდები (სწავ. 88,28 C. დავეღუბები C); ორბსა სიმაძღირთა დაუბძიძიან ფრთენი მისნი (სწავ. 199,13); რაეამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოი (შუშ. 22,3; ვარ.: დაღამნეს); შეუღამდა უკუე უღამბოსა ადგილსა, და დაესხნეს მათ ზედა ავაზანი (ასურ. 201,16); ესე ძმ ჩემი მომკუდარ იყო და ცხობდა (ლ. 15,24 C).

ამის შემდეგ დამ გაბატონება იწყო სხვა თანხმოვნების შემდეგაც. დღეს ეს პროცესი სალიტერატურო ქართულში დასრულებულია. დაწყებით კი იგი ძველსავე ქართულში დაიწყო. მის სათავეს თვით უძველეს ძეგლებში ვხვდებით. ენ სუფიქსის საბოლოოდ დ-თი შეცვლის ისტორიის ნათლად გასათვალისწინებლად ამ მაგალითების გაცნობაც არის საჭირო. აი, ზოგიერთი მათგანი:

აღბორავდა კარაული და გარდამოავდო იგი ქუეყანად (კომ. I, 337,29); მდიდარ-

ნი დაგლახაქლეს (ფს. 33,11 წ, დაგლახაქნეს ყ BDE, უ); დაყუდდა ზღუაი (ცხ. ეფრ. 96,14); გამოვიცხადლეს შენ საიდუმლოი დიდი და მრავალი ადგილსა მას (ამოკრ. 90,10); სრულიად დამეტკიცებოდეს და განჭეშმარიტდებოდეს (თეკლა 122,7); განგყფიდი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა (ურთ. 167,25); რაითა არა ერთი ერთსა ზედა გაპლადლეთ (1 კორ. 4,6 ლატ.); ერი შესტყუებოდა და არა უტყევებდეს პტიოსანსა გუამსა და წმიდათა ნაწილთა მისთა დამარხვად (კომ. I, 165,5); მაშინ განრისხდა ფრიად მარზაანი იგი მეფისაი (ასურ. 193,31 F); შეპრისხდა მას ღმერთი (ფს. 17,8 წუ, შეპრისხნა ყ); განურისხდა მას უფალი იგი თვისი (მ. 18,34 ლატ. სხვაგან: განურისხნა); მაშინ შეწუხლეს იგინი ფრიად განშორებისა მისისათვის (ცხ. ეფრ. 96,24).

დასასრულ, დაეურთათ აერეთვე ღონიანი ვნებითების ტაძარ ნიბუშებსაც:

ნუ შეზრუნდები, რამეთუ მე არა დაგაგლო შენ (ამოკრ. 22,5); ნუ ცადმდე აშაღლდები (მ. 11,23; ლ. 10,15); ნუ მოაშქვდრდები და ნუ მიიზიდვი წურთად და გულის-სიტყუად სამაგელოსა (საკ. წ. II, 6,33); ყოველი კაცი ამოდ შურების და ვითარცა არდილი მოაკლდების სოფლისა ამისგან (კომ. I, 241,31); მისი იგი შეცოდება განქარდების (სინ. 19,9); არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი (მ. 4,4); ქმართა გიყუარდედ ცოლნი თვისნი და ნუ განაშწარდებით მათა მიმართ (კოლას. 3,19); რაყამს გესმოდან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ყოფად (მრ. 13,7); ამას თუალსა პტიოსანსა ყოველნი ნათესავნი დაიწერებინ და განმართოდებინ (თუალთ. 29,8).

თესლი იგი აღორძნდები, ვითარ არა უწყინ მან (მრ. 4,27 C).

ვითარ შეშწუნდებოდა და შხმ დაკვიდოდა (მრ. 1,32); ყრმაი იგი იესუ აღორძნდებოდა და განძლიერდებოდა და აღიესებოდა სიბრძნითა (ლ. 2,40 C); ყოველნი დაბრკოდდებოდეს მისა მიმართ (მ. 13,57); მაშინ ნებითა ღმრთისაითა განმრავლდებოდეს მისი ქრისტეს მსახურნი (ხანძთ. 208,35).

მიგანიჭეს ძალი კურნებისაი, რაითა მით სცხოვნდებოდი უცხოსა ამას ქუეყანასა (მოქც. 232,4); ეგრეცა რომელი ოწეჯებდეს თავისა თვისისათვის, და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის (ლ. 12,21); მას ჟამსა გუამები გამოვიდოდის საფლავითგან და შებრძუნდებოდან ასონი ურთიერთას მოსწრაფებით (სწავ. 211, 22); ოდეს დაკუნძნდებოდან მისანი ბორცუთა თანა, მაშინ ასოები მათი ყოველით კერძო შეკრბებოდან (საკ. წ. II, 57,3).

განვახლდი მამისა ჩემისა ქრისტესგან (ქრისტინ. 190,11); ჟამ იყენენ ჩემდა გუემანი ესე, რამეთუ მოუსუსურდი (ამოკრ. 38,16); ფრიად აღვშენდი ამითთა ხილვითა (ლიტ. ქრ. 175,19); შეეცუნდი, თუ რომლითა სატანჯველითა გგუემო შენ (აღწ. 176,15); რომელნი განაშათლით უფლისა მიერ (ამოკრ. 9,20); დაბნელდა შხმ (ლ. 23,45); ვითარ დაშწუნხრდა, მართუეს მას ეშმაკეულებ მრავალ (მ. 8,16 C); კერთხი იგი აპრონისი, რომელ განედლდა (ებრ. 9,4); შემდგომად ამისა დასნეულდა (ისტ. ქრ. II, 98,22); კითხვიდა მათ ჟამისა მისთვის, რომელსა მოქარდა (ი. 4,52 C); სიძალესა ესეკითარსა მიიწია და აღყუაილდა დღესასწაული ესე (მრავ. 291,23 BC); ეინაი აღმოსცენდა ლუარბლი (მ. 13,27); წყურნი მისნი რაი შეიტყუნეს, არღარა მოუგრბდეს (მამ. ცხორ. 69,1); განაწუნდეს ველნი უღაბნოისანი (იოველ



2.22): საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი (მ. 28,4).

ხოლო შესაყრობილეთ-მოძღუარმან პრეტა მეფესა: უკუნისამდე ცხოვრი (გულანდ. 291.16. ცხოვნი: A); შებრძვლინ წყლული შენი და განიკურნენ (კომ. I. 246.33); ძწოდენ გული შენი და შეძრწუნდინ სული შენი (Sin. 97. 124va.3).

დაბაყლდის სამოსელი, განირყუნან თმანი, დაჰყსნდის ძალი (კომ. I. 57.9); ფრიად დადუხჭირდის ხედვა მათი (სწავ. 139.17); შექსინდის იგი ცუდთა და უნდოთა რამე საქმეთათვის კაცსა მართალსა და ცრუსა (იქვე, 239.25); რაჟამს მამალი /ასპიტ/ შეეხის დედალსა, პირით მკნდის (სახ. 237.34); ყოველი მეუფეზაი. რომელი განვეთის თავსა თვისსა, მოოჯრდის (მ. 12.25); ზოგსამე ჟამსა წადნიერობით დასწყნარდის გონება მისი (Sin. 35. 134va.16); მისგან დაბრყვლიდან და ვერ შეუძლიან ხილვად სიძიდრე იგი წარუვალი (სწავ. 193,34).

და დათუ სხუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დაებრკოლდე (მ. 26,33; მრ. 14,29); შე-ხოლო თუ-ვახო ფესუსა სამოსლისა მისისა-სა, ვცხოვრდე (მ. 9,21); ვერეცა ჩვენ შესავსად ლუაწლსა მას მისსა განვეშაღნეთ. რაითა განქველდეთ (სინ. 262,8); სიტყუათა შენთაგან განაშროლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო (მ. 12,37); შხმ დაბნელდეს და მოოჯრემან არა გამოსცეს ნათელი თვისი (მ. 24,29 C); რომელმან აღიძალღოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს. და რომელმან დაიძაბღოს თავი თვისი, იგი აღმაღლდეს (ლ. 14,11); რაითა არა განაშარდეს ტირილი ჩუენი მუნ (Sin. 97. 147v.3 ქვ.); ყათ თავისა თქუენისა საფასმ, რომელი არა დაბუღლდეს (ლ. 12,33); უკუეთუ მარილი გაწბილდეს, რაი-მე შეიძარიღოს (მრ. 9,50 C); რჩეულთა მათთვის შემოკლდენ დღენი იგი (მ. 24,22); არა განქარდენ სიტყუანი პირისა ჩემისანი (იელ. 6,5).

## E. უნიშნო ვნებითი

უნიშნო ვნებითს უწოდებენ ვნებითი გეარის ზმნათა ერთ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელსაც ვნებითობის გარკვეული მაწარმოებელი არ გააჩნია. ესაა დნების, ტფების, ვების, ვნების, სცთების და ამ ტიპის ზმნები. შინაარსით ისინი ყველა ერთპირიანია (საარვისო ქცევით). მხოლოდ ერთი პირის გაგება მოუპოვებათ, ფორმა კი ზოგ მათგანს ორპირიანისა აქვს. სუბიექტის ნიშანთან წარმოდგენილია ირიბი ობიექტის ნიშანიც: შე-ს-ცთ-ა. გან-პ-კრთ-ა, და-ს-ცხრ-ა, და-ხ-ა-დგრ-ა და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ახსნილია, რომ წარმოშობით ესენი ორპირიანი ზმნებია, მათ ძველად სუბიექტთან ერთად ირიბი ობიექტიც შეეწყობოდა. ამის კვალი გადმონათის სახით თვით ძველ ქართულშიც არის შემონახული, მაგალითად: დასცხერ ნებისა შენისა ყოფჲსა და თავისა მართლუბასა და კაცთა მოთნებასა (Sin. 35. 190ra.12); და ვითარ მივიღოდა, შესცთა იგი გჲსა უდაბნოსა ზედა და ვერ პოვნა ძმანი თვისნი სამწყსოთურთ (საკ. წ. II, 60,1). ამ მაგალითებში ახლაც კარგად იგრძნობა ირიბი ობიექტის საჭიროება: შეწყვიტე, თავი დაანებე თავის მართლუბასო. უდაბნოში გჲსა ასცდაო, გჲ დაებნაო. ასევე ითქმის ამ ტიპის სხვა ორპირიანი ფორმების შესახებაც. მაშასადამე, უნიშნო ვნებითები არსებითად ერთპირიანი ზმნებია და უღლების ყალიბით ყველა ერთად დგას, ყველა ერთნაირად იუღლება.

რადგანაც ყველა სხვა ვნებითს საკუთარი ნიშანი, ვნებითობის მაწარმოებელი აქვს (ი. ვ. ენ. დ). ამათ კი არა. ზოგს ესენი ვნებითად არ მაჩნია ("თუ ვნებითია, ნიშანიც უნდა აქონდეს"<sup>240</sup>) და, უბრალოდ, დინამიკურ ზმნებს უწოდებს. ამასთან საგანგებოდ გახაზავს მათს სიძველეს. მაგრამ ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიისათვის აუცილებელი არაა. უეჭველად მორფოლოგიური ნიშნით იყოს გამოხატული. თვით მოქმედებით გვარს არავითარი მორფოლოგიური ნიშანი (მაწარმოებელი) არ მოუპოვება, მაგრამ სხვა ნიშნების მიხედვით (სინტაქსურად, ფორმათა დაპირისპირებით) იგი ყველას მიერ გვარის ფორმად არის აღიარებული და ამაზე არ დავობენ. უნიშნო ვნებითები თავიანთი შინაარსითა და ფორმათა დაპირისპირებით სრულიად ისეთ სურათს გვიჩვენებს, როგორც, მაგალითად, სხვა, ამა თუ იმ ნიშნიანი, ვნებითისა და მოქმედებითის დაპირისპირება: აცივებს, ატფობს — ცივების, ტფების; განაცივა, განატფო — განცივდა (განცივნა), განტფა; განაცივოს, განატფოს — განცივდეს, განტფეს; განუცივებიეს, განუტფობიეს — განცივებულ არს, განმტფარ არს. მოქმედებითისა და ვნებითის დამთხვევას აქაც არსად არა აქვს ადგილი სწორედ ისე, როგორც სხვა (ნიშნიანი) ტიპის ვნებითებში. შინაარსით, როგორც ითქვა, უნიშნო ვნებითები გვერდში უდგას სხვა ვნებითებს და ამ მხრივ ოდნავადაც არ განსხვავდებიან მათგან: ორივეგან საესებით ერთნაირი, პასიური შინაარსია გამოხატული. ამიტომ, ვიმეორებთ, უნიშნობა ვერ იქნება შემაფერხებელი, რომ ესენი ვნებითების ცალკე ჯგუფად გამოვყოთ და მათ უნიშნო ვნებითები ვუწოდოთ.

იმის გამო, რომ ვნებითთა ამ ჯგუფს რაიმე მაწარმოებელი არ უჩანს, სხვათაგან განსხვავების ძლიერი სურვილით ასეც ეძახიან: "ტფების" (ახ. ქართ. "თბების") ტიპის ვნებითი, ან: "დნების", "ქრების" ტიპის ვნებითი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისეც ასახსნელია, თუ რა არის თვით ეს "ტფების" ტიპის ვნებითი.

მეორე მხრივ, იმის დიდი სურვილით, რომ ამათაც რაღაც ნიშანი გამოუძებნონ, "ები"-ანი ვნებითიც შეურქმევიათ მათთვის, ვითომდაც ამათ "ები" დაბოლოება აქეთო. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არასწორია: "ები" ყველა ვნებითს აქვს დაბოლოებად: დინიანსა და ენ სუვიქისიანს მუდამ, ინ-ენიანს — აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში. ასეთ იშვიათ ფორმებს, როგორიცაა: ითქემის, გამოისახვის, იძრვის, განიკითხვის, ივლტის, იქცევის, ისმის ... ელტვის, ესმის, ექცევის, ერთვის, ემაღვის... დიდი სიძველის ელფერი დაპკრავს და გარკვეული ახსნაც მოეძებნება. მაშასადამე, ის ("ები" დაბოლოება), რაც ყველა ვნებითს ახასიათებს, ერთი მათგანის სპეციფიკური თავისებურება ვერ იქნება. მაგრამ ეს მოსაზრება იმითაა საინტერესო, რომ ასეთი ფორმები ვნებითად არის მიჩნეული, ესენი გატოლებულია სხვა, უდავო, ვნებითებთან.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ამ სადავო ვნებითებშიც სპეციფიკური მაწარმოებელი ნიშანი დაინახონ. მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, როცა განსახილველი ზმნების უღლებას გავეცნობით.

უნიშნო ვნებითები ძველ ქართულში დიდ თავისებურებებს მეორე სერიის მწკრივებში იჩენენ, პირველ სერიაში კი ჩვეულებრივ, სხვა ვნებითების მსგავსად, იულღე-

<sup>240</sup> ა. ჩიქაბავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქველ. I. გვ. 060.

ბიან, მაგრამ ავტობუს, უღლების პარადიგმები სამსავე სერიაში წარმოვადგინოთ.

I სერია

აფაქო

(გან-)ე-ტფ-ები-ი	(შე-)ე-დრკ-ები	(შე-)ე-ს-ცთ-ები-ი
ს-ტფ-ები-ი	ს-დრკ-ები-ი	ს-ცთ-ები-ი
ტფ-ები-ის	დრკ-ები-ის	ს-ცთ-ები-ის
ე-ტფ-ები-ით	ე-დრკ-ები-ით	ე-ს-ცთ-ები-ით
ს-ტფ-ები-ით	ს-დრკ-ები-ით	ს-ცთ-ები-ით
ტფ-ები-იან	დრკ-ები-იან	ს-ცთ-ები-იან

აფაქოს სრულპოზიტი

(გან-)ტფ-ები-ინ	(შე-)დრკ-ები-ინ	(შე-)ს-ცთ-ები-ინ
ტფ-ები-იედ	დრკ-ები-იედ	ს-ცთ-ები-იედ

უფავატალი

(გან-)ე-ტფ-ებ-ოდ-ე	(შე-)ე-დრკ-ებ-ოდ-ე	(შე-)ე-ს-ცთ-ებ-ოდ-ე
ს-ტფ-ებ-ოდ-ე	ს-დრკ-ებ-ოდ-ე	ს-ცთ-ებ-ოდ-ე
ტფ-ებ-ოდ-ა	დრკ-ებ-ოდ-ა	ს-ცთ-ებ-ოდ-ა
ე-ტფ-ებ-ოდ-ეთ	ე-დრკ-ებ-ოდ-ეთ	ე-ს-ცთ-ებ-ოდ-ეთ
ს-ტფ-ებ-ოდ-ეთ	ს-დრკ-ებ-ოდ-ეთ	ს-ცთ-ებ-ოდ-ეთ
ტფ-ებ-ოდ-ეს	დრკ-ებ-ოდ-ეს	ს-ცთ-ებ-ოდ-ეს

I ბრძანებითი

(გან-)ტფ-ებ-ოდ-ე	(შე-)დრკ-ებ-ოდ-ე	(შე-)ს-ცთ-ებ-ოდ-ე
ტფ-ებ-ოდ-ენ	დრკ-ებ-ოდ-ენ	ს-ცთ-ებ-ოდ-ენ
ტფ-ებ-ოდ-ეთ	დრკ-ებ-ოდ-ეთ	ს-ცთ-ებ-ოდ-ეთ
ტფ-ებ-ოდ-ედ	დრკ-ებ-ოდ-ედ	ს-ცთ-ებ-ოდ-ედ

უფავატლის სრულპოზიტი და I კავშირებითი

(გან-)ე-ტფ-ებ-ოდ-ი	(შე-)ე-დრკ-ებ-ოდ-ი	(შე-)ე-ს-ცთ-ებ-ოდ-ი
ს-ტფ-ებ-ოდ-ი	ს-დრკ-ებ-ოდ-ი	ს-ცთ-ებ-ოდ-ი
ტფ-ებ-ოდ-ის	დრკ-ებ-ოდ-ის	ს-ცთ-ებ-ოდ-ის
ე-ტფ-ებ-ოდ-ით	ე-დრკ-ებ-ოდ-ით	ე-ს-ცთ-ებ-ოდ-ით
ს-ტფ-ებ-ოდ-ით	ს-დრკ-ებ-ოდ-ით	ს-ცთ-ებ-ოდ-ით
ტფ-ებ-ოდ-იან	დრკ-ებ-ოდ-იან	ს-ცთ-ებ-ოდ-იან

## II სარია

## წამატონი

გან-უტეფ	შე-უ-ღერკ	შე-უ-ს-ცეთ
გან-ს-ტეფ	შე-ს-ღერკ	შე ს-ცეთ
გან- ტფ-ა	შე ღერკ-ა	შე ს-ცთ-ა
გან-უტეფ-ით	შე-უ-ღერკ-ით	შე-უ-ს-ცეთ-ით
გან-ს-ტეფ-ით	შე-ს-ღერკ-ით	შე ს-ცეთ-ით
გან- ტფ-ეს	შე ღერკ-ეს	შე ს-ცთ-ეს

## II ბრანაბითი

გან-ტეფ	შე-ღერკ	შე-ს-ცეთ
გან-ტეფ-ინ	შე-ღერკ-ინ	შე-ს-ცეთ-ინ
გან-ტეფ-ით	შე-ღერკ-ით	შე-ს-ცეთ-ით
გან-ტეფ-ელ	შე-ღერკ-ელ	შე-ს-ცთ-ელ

## II სოლბოპითი

გან-უტფ-ი	შე-უ-ღერკ-ი	შე-უ-ს-ცთ-ი
გან-ს-ტფ-ი	შე-ს-ღერკ-ი	შე ს-ცთ-ი
გან- ტფ-ი-ს	შე ღერკ-ი-ს	შე ს-ცთ-ი-ს
გან-უტფ-ით	შე-უ-ღერკ-ით	შე-უ-ს-ცთ-ით
გან-ს-ტფ-ით	შე-ს-ღერკ-ით	შე ს-ცთ-ით
გან- ტფ-ი-ან	შე ღერკ-ი-ან	შე ს-ცთ-ი-ან

## II კაპოპითი

გან-უტფ-ე	შე-უ-ღერკ-ე	შე-უ-ს-ცთ-ე
გან-ს-ტფ-ე	შე-ს-ღერკ-ე	შე ს-ცთ-ე
გან- ტფ-ე-ს	შე ღერკ-ე-ს	შე ს-ცთ-ე-ს
გან-უტფ-ეთ	შე-უ-ღერკ-ეთ	შე-უ-ს-ცთ-ეთ
გან-ს-ტფ-ეთ	შე-ს-ღერკ-ეთ	შე ს-ცთ-ეთ
გან- ტფ-ე-ნ	შე ღერკ-ე-ნ	შე ს-ცთ-ე-ნ

ახლა შეიძლება დავსვათ კითხვა: რა არის ე ხმოვანი, რომელსაც გამოავლენს ამ ტიპის ყველა ზმნა II სერიის ზოგ მწკრივში, სახელდობრ, წყვეტილსა და II ბრძანებითში: გან-უ-ტეფ, გან-ს-ტეფ, გან-უ-ტეფ-ით, გან-ს-ტეფ-ით, გან-ტეფ, გან-ტეფ-ინ, გან-ტეფ-ით... (III პირის ფორმებში ეს ე ამოღებულა ა, ეს და ელ სუფიქსების დართვის გამო: \*გან-ტეფ-ა → გან-ტფ-ა, \*გან-ტეფ-ეს → გან-ტფ-ეს, \*გან-ტეფ-

ელ → გან-ტფ-ელ)? რის მაქნისა ეს ე? გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს არის შინაგანი ფლექსია (ა.შანიძე)<sup>241</sup>, სხვა შეხედულებით, ეს არის სწორედ ამ ტიპის ვნებითა მწარმოებელი ინფიქსი, რომელიც ე თავსართიანი ვნებითებისაგან განსხვავებით (ე-მალუბის, ე-კედრების, ე-სმის). შიგ ფუძეში, ძირშია შეჭრილი (ვ.თოფურია)<sup>242</sup>: ასე რომ, არსებითად ესენიც ენიანი ვნებითებია, ოღონდ აქ ე ზმნას წინ კი არ უდგას, მის მარტივ ფუძეში, ძირშია შესული.

მაგრამ ამ უკანასკნელი შეხედულების გაზიარებას რამდენიმე გადაულახავი დაბრკოლება ელოდება წინ.

1. ქართულში მორფოლოგიურ ფორმანტები ძირს ერთვის წინ ან უკან, ეს ფორმანტები ძირში არსად არაა შეჭრილი. ამისი სხვა მაგალითი ქართულში არ იცის. თუ ენას არსად დაუნახავს საჭიროდ ერთ-ერთი მწარმოებელთაგანი (ან რამდენიმე) ძირში შეეტანა, რა გაუჭირდა, რომ ტფ (ცმ, ჭნ...) გახლიჩა და შიგ შეიტანა მორფოლოგიური ნიშანი?

2. თუ ე აქ მართლა ვნებითის მწარმოებელი იყო, რატომ გვაქვს განსხვავება ჩვეულებრივი ე პრეფიქსიანი ვნებითებისაგან? შდრ. ე-ხატ-ებ-ი-ს, ე-კედრ-ებ-ი-ს, ე-მალ-ებ-ი-ს. რატომ ამთსავით წინ არ დაერთო ზმნას?

3. ჩვენს ენაში ის ვნებითი, რომელსაც ნამდვილი ე პრეფიქსი ემატება თავში, ორპირიანია, სადავო ზმნები კი — მხოლოდ ერთპირიანი (აქ ხელს ვერ შეგვიშლის და-ს-ცხრ-ა, შე-ს-ცთ-ა და ამ ტიპის ფორმები, რომლებშიც მეორე პირიც იყო — ირიბი ობიექტი, მაგრამ შემდეგ დაიკარგა. თუ ეს ე მართლა ორპირიანი ვნებითის მწარმოებელია, ფორმაში ორი პირი ყველგან უნდა ჩანდეს).

4. წყვეტილში ამგვარად გამოვლენილი ე ზოგჯერ მოქმედებითი გვარის ზმნებსაც აღმოაჩნდებათ და როგორღა უნდა იყოს იგი ვნებითობის ნიშანი? შდრ., მაგალითად: შევიძულ. აღმოფხუჯურ.

5. ზოგჯერ ამგვარი ე ინიან ვნებითებსაც აქვთ ხოლმე. მაგალითად: აღიფხუჯურ (აღიფხუჯურ და დაენერგე ზღუასა შინა: ლ. 17,6). რა ტიპის ვნებითია აღიფხუჯურ? ინიანი თუ სადავო ენიანი? აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს, აღიფხუჯურ ინიანი ვნებითია, შემდგომი ე ხმოვანი ფუძის (ძირის) კუთვნილებათა მხოლოდ. რომ ამ ფუძეში ე ვნებითის ნიშანი არ არის. ამას ხაზგასმით ამტკიცებს აგრეთვე შემთხვევები, როცა აქ ე-ს ნაცვლად ა არის წარმოდგენილი: აღიფხუჯურ ამიერ და შთავარდი ზღუად (ასურ. 118,7). მაგალითები ხშირია. სადავო ე ა-თი შეიცვალა, ფორმა მინც ვნებითია. ცხადია, ვნებითს აქ ი აწარმოებს. მეორე მხრივ, სადავო ხდება ზოგადად მიჩნეული დებულება, რომ ა ამ ტიპის ზმნების ფუძეში მოქმედებითის ნიშანიაო (განჯადა, მაგრამ: განვეედ). ეს კონკრეტული შემთხვევა ვერ განზოგადდება.

ასე უნდა ითქვას აგრეთვე ამ ტიპის ყველა სხვა ფორმის შესახებაც — აქ ჩვენ საჭიე გვაქვს უნიშნო ვნებითთან.

სად აღდგება ეს დაკარგული ე? როცა მარტივ ფუძეში (ძირში) მხოლოდ სამი

<sup>241</sup> ა. შანიძე. საფუძვლები. გვ. 462-463.

<sup>242</sup> ვ. თოფურია. შესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: სმამ. ტ. III, №9, 1942.

ბერაა. ე ხმოვანს ყოველთვის შუა ადგილი უჭირავს და იქვე აღდგება: და-ღნ-ა — და-უ-ღნ. და-ჭნ-ა — და-ს-ჭნ. გან-ჰმ-ა — გან-უ-ჰმ. გან-ძლ-ა — გან-ს-ძლ. მაგრამ როცა შეკუმშულ ფუძეში თავს იყრის სამი თანხმოვანი, მაშინ სად უნდა აღდგეს დაკარგული ე? — პირველი თანხმოვნის შემდეგ: შე-ღრ-ჟ-ა — შე-უ-ღრ-ჟ, შე-ჭრ-ბ-ა — შე-უ-ჭრ-ბ-ით, გან-ჰ-კრ-თ-ა — გან-უ-ჰ-კრ-თ. სხვაგვარადაა საქმე და-ა-ღგრ-ა — და-უ-ა-ღგრ ზნაში, მაგრამ მასში ღს პრეფიქსული წარმოშობისად თვლიან (ე.თოფურა. ი.ქავთარაძე). თუ ეს არა, მაშინ ჩვეულებრივი ორთანხმოვნისანი ფუძე გვექნებოდა და საერთო წესს გაამართლებდა. რაც შეეხება მო-ს-წყლ-ა — მო-ს-წყლ-ით ფორმას, ამაში წყ პარაზიტული წყვილია და არსებითად ერთ ბგერად ითვლება, მათი დაცილება შეუძლებელია.

არსებითად ევვე უნდა ითქვას უმარცვლო უნიან ფუძეებზე. თავის დროზე ესენი ორმარცვლიანნი იყვნენ და მხოლოდ შემდეგ იქცნენ ერთმარცვლიანებად. უმარცვლო უ. ცხადია, პირველ. მის წინ მღგარ, თანხმოვანს მიეკვლია, რადგან ისტორიულად თავიდანვე მასთან იყო დაკავშირებული. აქაც ე ამ უმარცვლო უ-ს შემდეგ აღდგება (უმარცვლო უ-ს ჩვეულებრივად ხმოვნები მოსდევდნენ): გან-ძურ-ა — გან-ს-ძურ. და-შურ-ა — და-ჰ-შურ. თუმცა აქაც გვაქვს წარ-უ-ძელუ.

ზემოთ ითქვა, რომ ძირისეული ე აღდგება წყვეტილსა და II ბრძანებითში (წყვეტილის შესამე პირისა და II ბრძანებითის შესამე პირის მრავლობითის გამოკლებით, სადაც იგი ა. ეს და ედ სუფიქსების დართვის გამო იკარგება), სხვაგან ყველგან ამოღებულია და გაუწინარებული: I სერიაში ამის მიზეზი ებ თემის ნიშანია (\*ე-ტეფე-ები → ე-ტეფე-ი, \*ე-ტეფე-ბ-ოდ-ე → ე-ტეფე-ბ-ოდ-ე), II ხოლმეობითში ე-ს ამოაგდებს მწკრივის ნიშანი ი (\*გან-ე-ტეფე-ი → გან-ე-ტეფე-ი), ხოლო II კავშირებითში — მწკრივის ნიშანი ე (\*გან-ე-ტეფე-ე → გან-ე-ტეფე-ე). ასე რომ, სადაც სათანადო ფონეტიკური მიზეზი ხელს არ უშლის, ე თავის ადგილზეა, ხოლო როცა საქმეში ფონეტიკური მოვლენა ერევა, იგი იკარგება. ეს სწორედ ისე ხდება, როგორც სხვა კუმშვად ფუძეებს ემართებათ. ავიღოთ, ვთქვათ. კალ ფუძე: I სერიაში მომდევნო ავ სუფიქსის დართვის გამო იგი ყველგან შეკუმშულია (ე-კლ-ავ, ჰ-კლ-ავ, ჯლ-ავ-ს, ე-კლ-ევ-დ. ჰ-კლ-ევ-დ. ე-კლ-ე-ი-დ-ი, ე-კლ-ე-ი-დ-ე), შეკუმშულია II სერიაში, სახელდობრ, II ხოლმეობითსა და II კავშირებითში, პირველ შემთხვევაში მომდევნო ი მწკრივის ნიშნის დართვის გამო, მეორეში — ე მწკრივის ნიშნის მიზეზით (და-ე-კლ-ი, და-ჰ-კლ-ი, და-ჯლ-ი-ს... და-ე-კლ-ა, და-ჰ-კლ-ა, და-ჯლ-ა-ს). და მხოლოდ იმავე წყვეტილსა და II ბრძანებითში აღდგება ფონეტიკური მიზეზის გამო დაკარგული ა: მო-ე-კალ, მო-ჰ-კალ, მო-ე-კალ-თ, მო-ჰ-კალ-თ, მო-კალ, მო-კალ-თ, მო-კალ-ნ. შესამე პირში აქაც, როგორც განტყვა-ს შემთხვევაში, ისევე ამოღებულია ძირისეული ა: მო-კლ-ა, მო-ჯლ-ეს, მო-ჯლ-ედ. ეს ორი სულ სხვადასხვა გერისა და ტიპის ზნა ამ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით დგას, ორივე ერთი და იმავე მიზეზით კარგავს ე და ა ხმოვნებს. ძირისეულ ხმოვნებს: ე-ცა (გან-ტეფე) და ა-ც (მო-კალ) ძირისეულია. ასე რომ, სადაც ვნებითი გვარის გამოვლენილი ე მარტივ ფუძეს, ძირს, უნდა მიეკუთვნოს და. ცხადია, მას ვერ ჩავთვლით ვნებითის მაწარმოებელ სპეციფიკურ ნიშნად.

როგორ აქვთ ნაწარმოები III სერიის ფორმები უნიშნო ვნებითებს? რადგანაც უნიშნო ვნებითები, როგორც ითქვა, არსებითად ერთპირიანი ზნებია, მათაც III

სერიის ფორმები აღწერთად ეწარმოებათ, როგორც ყველა ერთპირიან ზმნას, ე.ი. საუღლებელი ზმნის ვნებითი გვარის მიმღობის ფუძეს ემატება ყოფა მეშველი ზმნა აწმყოს, წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმით შესაბამისად I თურმეობითის, II თურმეობითისა და III კავშირებითისათვის.

მაგრამ უნიშნო ვნებითებს აქაც აქვთ ერთი დიდი თავისებურება: მაშინ, როდესაც ყველა სხვა ერთპირიანი ზმნა ვნებითი გვარის მიმღობას იღ და ულ სუფიქსით აწარმოებს (და-წერ-ილი-ი, გა-ჭრ-ილი-ი... და-დებ-ული, გან-საქტა-ე-ბ-ული, წარ-სრ-ული-ი... უნიშნო ვნებითები ცალკე დგას, ისინი შ-არ (შ-აღ) პრე-ფიქს-სუფიქსით აწარმოებენ სათანადო მიმღობას: გან-ტფ-ა — გან-მ-ტფ-არ-ი, მო-კუ-და — მო-მ-კუ-დ-არ-ი... თუ ზმნის ფუძეში რაე გვაქვს, დისიმილაციის წესის თანახმად სუფიქსად ალ გვექნება: და-ს-ცხრ-ა — და-მ-ცხრ-აღ-ი, შე-დრ-კა — შე-მ-დრ-კაღ-ი ...

აი, ასეთი მიმღობებია გამოყენებული III სერიის აღწერთი ფორმებისათვის, მაგალითად:

### I თურმეობითი

განმტფარ ვარ	დამცხრალ ვარ	შემდრკალ ვარ
განმტფარ ხარ	დამცხრალ ხარ	შემდრკალ ხარ
განმტფარ არს	დამცხრალ არს	შემდრკალ არს
განმტფარ ვართ	დამცხრალ ვართ	შემდრკალ ვართ
განმტფარ ხართ	დამცხრალ ხართ	შემდრკალ ხართ
განმტფარ არიან	დამცხრალ არიან	შემდრკალ არიან

### II თურმეობითი

განმტფარ ვიყავ	დამცხრალ ვიყავ	შემდრკალ ვიყავ
განმტფარ იყავ	დამცხრალ იყავ	შემდრკალ იყავ
განმტფარ იყო	დამცხრალ იყო	შემდრკალ იყო
განმტფარ ვიყვენით	დამცხრალ ვიყვენით	შემდრკალ ვიყვენით
განმტფარ იყვენით	დამცხრალ იყვენით	შემდრკალ იყვენით
განმტფარ იყვენეს	დამცხრალ იყვენეს	შემდრკალ იყვენეს

### III კავშირებითი

განმტფარ ვიყო	დამცხრალ ვიყო	შემდრკალ ვიყო
განმტფარ იყო	დამცხრალ იყო	შემდრკალ იყო
განმტფარ იყოს	დამცხრალ იყოს	შემდრკალ იყოს
განმტფარ ვიყვენეთ	დამცხრალ ვიყვენეთ	შემდრკალ ვიყვენეთ
განმტფარ იყვენეთ	დამცხრალ იყვენეთ	შემდრკალ იყვენეთ
განმტფარ იყვენენ	დამცხრალ იყვენენ	შემდრკალ იყვენენ

ეს არის თეორიულად საგარაუდებელი ნორმა. მაგრამ ამგვარი ფორმები აქ

წარმოდგენილი მწკრივების შინაარსით ძალზე იშვიათად გვხვდება, თუ არ ვიტყვით, რომ სულ არა გვხვდება. ესენი ჩვეულებრივ, შესაბამისად აწმყოს, წყვეტილისა და II კავშირებითის გაგებით იხმარებიან.

მაგრამ ძველ ქართულშივე იწყება უნიშნო ვნებითების გათანაბრება სხვა, უფრო გავრცელებულ. უმთავრესად პრეფიქსიან (უფრო, როგორც მოსალოდნელი იყო, ინიან) ვნებითებთან.

უფრო ხშირია მ—არ (მ—ალ) პრეფიქს-სუფიქსიანი მიძლეობის შეცვლა უფრო გავრცელებული ილ სუფიქსიანით, მაგალითად: აღ-დგ-ომ-ილ-ი (ეს იოვანე ნათლის-მცემელი არს, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით: მ. 14,2), და-ჭნ-ობ-ილ-ი/და-ჭნ-ობ-ილ-ი (დაჭნობილ იყო იგი დიდითა მით მარხვითა: პარხ. 1264b), გან-ტფ-ობ-ილ-ი, შე-ცთ-ობ-ილ-ი (რომელნი არა შეცთობილ იყვნეს: მ. 18,13). აქედანაც კარგად ჩანს, რომ ერთი ტიპის ვნებითი მეორე, უფრო გავრცელებული ტიპით იცვლება. აქაც ეს უნიშნო ვნებითი სხვა (ნიშნთან) ვნებითებს უდგას გვერდში. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ახლა მოვიყვანთ უნიშნო ვნებითების უმთავრესსა და ყველაზე გავრცელებულ მაგალითებს ძველი ქართულის ძეგლებიდან.

**ღაბრძობა:** დედაკაცი ვინმე ღაბრძა ორითავე თუალითა (კომ. I, 316,35); რომელნი ჰხედვიდეს, ღაბრძეს (ი. 9,39). შეუკუმშავე ფორმად მოსალოდნელია: დაებრემ, დაპბრემ, მაგრამ ჯერჯერობით არ არის მოპოვებული. არის სასხვისო ქცევის ფორმა: თუაღნი მისნი დაუბრძელ ნათლითა მაგით შენითა (ამკრ. 19,29);

**ღგობა, მიღგობა:** რომელი შეუდგ პირველითგან ყოველთა ... მიწერად შენდა (ლ. 1,3); აღდგ და წარმოდგ აქა შორის (მრ. 3,3); რომელსა უნდეს ჩემდა შემოდგომად.... აღიღენ ჯუარი თვის და შემომიღგენ მე (მ. 16,24); იგი აღდგა მეყსეულად (მ. 9,7); ხოლო პეტრე მოუდგა მას შორით (ლ. 22,54 სინ. ლექც.); ჩუენ დაუტყვეთ ყოველივე და შევიღგით შენ (ლ. 18,28).

**დადგრობა:** დავადგერ მასვე მარხვასა და მოველოდე შესამედ მოსლევას მისსა (სინ. 67,3; ისტ. ქრ. I, 250,36); დაადგერ ჩუენ თანა (ლ. 4,29); დაადგრა მარიამ მის თანა სამ თთუე (ლ. 1,56); რაითამცა დავადგერთ ჩუენ მუნ (სინ. 279,6); მის თანა დაადგრეს მას დღესა შინა (ი. 1,39); რაითა დაადგრენ მუნ (ლ. 9,12); დადგრობილი (ი. 3,36; სინ. 94,13).

**დადნობა:** მე დავდნები და ეძწი მეუფებისაგან შენისა (კომ. I, 12,25); დავდნე ზოდე, რამეთუ მცნებანი შენნი არა დაიმარხნეს (სწავ. 163,23); სული მათი ძვრითა დავდნებოდა (ფს. 106,26); მტერნი იგი თქუენნი ვითარცა ცვლნი დავდნებოდან ჯოჯოხეთის შინა (წარტყ. 33,25); უკეთურებანი მათნი ვერ დავდნეს (იერ. 6,29); დავდნენ ბორცუნი მალაღნი (ამბაკ. 3,6); იყაენ გუამი შენი განმეჰმარ და დამდნარ შრომითა (სწავ. 168,25); იქნა გული ჩემი ვითარცა ცვლი დავდნობილი შუა მუცელსა ჩემსა (ფს. 21,15).

**მი(მო)დრკობა:** არცა მიდრკების, არცა შეიცვალების (ეფ. VIII, 112,17); მივედრე იძულებით დაცემად და უფალმან ველი აღმიპყრა მე (მაღ. 126,17); ვითარცა მივედრეთ, შესმა მე ვამი (Sin. 36, 506a,6); აღუდგეთ და მოვედრეთ ლოცვად, ძმარ (იქვე, 506a,4); მე უფროის მივსდრკო მოწყალებად (Sin. 97, 170vb,4 ქვ.); რაითა იგინი არა მიდრკენ ჭეშმარიტებისაგან (კომ. I, 72,6).



**(შეკრება.** ამ ზმნას. სპეციფიკური შინაარსის გამო, არა აქვს I და II პირის ფორმები მხოლოდობითში. III პირი კრებითად არის წარმოდგენილი (ერი, სიმრავლმ...) და ხშირადაც იხმარება. შეკრების ერთ მის ზედა (მრ. 9,25); ვითარცა ერთი იგი შეკრებულა მას (ლ. 11,29); შეკრება მისა ერთი მრავალი (მ. 13,2); დღესა მესამესა აღკრება (ასურ. 108,16); აგრძნა ერმან ჰურათამან ... /და/ მოკრება (სინ. 125,27); ვისწრაფეთ და შეგკრებით თავსა ზედა მის მთისასა (პარხ. 862b); ხვალისა დღე კულად შეკრებით და შეიკრენით ნათესაენი ევე უსწავლენი (სოფ. 2,1); შემოკრებით მოხუცებულნი ყოველნი სახლსა შინა ღმრთისასა (ბოლნ. 24,7); შემომიკრებით და გითხრა თქვენ. რამ-იგი შეგემთხუევის თქვენ (აღწ. 89,4 ქვ.); სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრებს ორბები (მ. 24,28 = II კავშ.); რადთა ყოველნი ერთად ხვალისაგან მსთუად მოკრებით თხრად ბორცვსა მის (ისტ. ქრ. I, 252,9); მოკრებით (სინ. 68,21).

შემდეგ და შემდეგ ამ ზმნაში ენებითის ნიშნად ი მკვიდრდება და დღეს მხოლოდ ის გვაქვს: ხალხი შეიკრება, ახალგაზრდები შეიკრებიან, ხვალ უნდა შეიკრიბოთ და სხვ.

**(განკრთობა:** ნუ განკრთებით (მრ. 16,6); ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა მისსა (ლ. 1,14); დადაცათუ განტევების უნდა. ვერ ეგებოდა, რამეთუ ერთი განკრთებოდა (კობ. I, 171,1); მეყსულად განეკრთო მე ძილისაგან (რავახ. 88,25); ვითარცა გამოვიდა იამბლიქოს ქუაბით ..., განკრთა და არარაი განიზრახა მათთვის და ... ეშინოდა სლვად გზასა (ისტ. ქრ. II, 110,40); ივლტოდეთ ფრიად და განკრთით (იერ. 49,30 I, განკრთით O); იხილის, რამეთუ დღმ მიდრეკილ არს, აღკრთის და იწყის მალედ სლვად (აღწ. 231,24); მაშინ განკრთეთ და შესძრწუნდე (სინ. 92,29); ჰურიანი და ყოველნი დაბადებულნი მათსა მას კადრებასა მის ზედა განკრთენ და შეიშალნენ (იქვე, 92,24); განკრთომილი (მრ. 3,21).

**მოკულობა:** რამეთუ შიმშილითა უფროის ხოლო მოკულების (შუშ. 139,1); არა მოკუელდ. არამედ ცხოველ ვარ (სინ. 252,11); მის თანა მოკუელდ. მის თანა დაეფალ (მრავ. 301,28); ვითარცა-იგი ადამის მიერ მოკუელდით (იქვე, 294,20); გამოვდა ცეცხლი ღმრთისა მიერ და შეწუნა იგინი, და მოკუელეს წინაშე უფლისა (ლევ. 10,2 G); მოკუელ მთასა (2 შჯ. 32,50 M); რომელმან ბოროტი თქუას მამისათვის და დედისათვის, მოკუელინ (მ. 15,4); არა მომკუდარ არს ყრმა ივე, არამედ სძინავს (მ. 9,24).

**(განტყვობა:** დაჯდა იგი მსახურთა თანა და ტყვებოდა ნათელსა ცეცხლსა წინაშე (მრ. 14,54) ნარისუევითა ტარიგთა ჩემთადთა განტყვებოდეს ბეჭნი მათნი (იობ 31,20); შეიბოსეთ და ვერ განსტყვით (ანგ. 1,6); მოვედ ჩუენ თანა და გატყვ ბრწყინვალებასა მას მზის-თუალისასა (კობ. I, 144,30); წარვედით მშველობით, განძელით და განტყვით (კათ. იაკ. 2,16); შეიბოსიან იგი სამოსლითა. და ვერ განტყვის (3 მეფ. 1,1).

**ღამდობა, დაშობა:** ამოსავალია დაშობა, ძირია შედ. დ ე-ს ამოდების შემდეგ არის დაყრუებული მ-ს გამო: შღ-შთ (ე.თოფურია). მესამე პირის შეკრუმული ფორმა (ღამდა → დაშთა) მერმე განზოგადდა და პირველ-მეორე პირებშიც დამკვიდრდა. იშეათად შემონახულია უფრო ძველი, შედ ძირის შემცველი, ფორმე-

ბიც (უ-ს შენარჩუნებით და ღ-ს დაუკრებლად — დავშლით).

აპ ეგერა დავშლების თქვენ სახლი თქვენი ოკერი (მ. 23,38 C); ხოლო მე დავშლით ეკალთა შინა ვარდისათა (მოქ. 228,32); დავშლით მე იერუსალმს (წარტყ. 62,10); წარსლევას მას მათსა დავშთა იესუ ყრმაი იერუსალმს (ლ. 2,43); არა დაუშთა შვილი (ლ. 20,31); რამეთუ დავშლით მკირენი მრავალთაგან (იერ. 42,2 I, დავშლით O); ზუსტად ასე აქვს ბარუქს (2,13; დავშლით I, დავშლით O); დავშლით ძირი და თესლი მოდუნდულად დღედმდე (2 ეზრა 8,86); არა დავშლეს აქა ქვაი ქვასა ზედა, რომელ არა დაირღუეს (მ. 24,2 C, დავშლეს DE), დავშლილი (ლ. 24,25 C).

დაშრეტა: სადა-იგი...ცეცხლი არა დაშრეტების (მრ. 9,48); სანთელნი ჩუენნი დაშრეტებან (მ. 25,8; დავშრეტებან C); არცა ცეცხლი იგი დაშრეტებოდა (სინ. 219,32); დაშრეტა სიბრძნე იგი და აღევზნა უგუნუებამ (ბალ. 48,2). I და II პირებში თეორიულად მოსალოდნელია დავშერტ, დაშშერტ, დავშერტი, დაშშერტი. მერმე ცნობილი ფონეტიკური პროცესებით აქედან მიიღება დავშრტი, დაშშრტი, დავშრტით, დაშშრტით; დაუშრტა ცეცხლი თვისი (სინ. 261,7); ნაკურცხალი იგი დაშრტის (თუჯლთ. 18,17); რადთა არა დაშრტეს სიმუჟრვალე გარდარეულებითა მით ნოტიობისათა (უძე. რედ. 227, 17); დაშრტან ნებანი გემოთანი (სწავ. 113,22); დაშრტელი (საკ. წ. II, 74,34).

დასასრულ, უნიშნო ვნებითის რღვევისა და სხვა ტიპზე გადასვლის საინტერესო მაგალითი: ცეცხლი იგი დაშრტდა და თეკლა განერა მისგან (თეკლა 105,20 A = H-341); B-ში (A-643) ძველებური და სწორი დაშრტა იკითხება. A-ს გადამწერის მიზანი გასაგება: ვნებითის ნიშანი არა ჩანს, ფორმას დ დაუშტა და ღონიან ვნებითად აქცია. ასეთი მიღრეკილება იყო ძველადაც და არის ახლაც<sup>243</sup>.

დაშურება, მოშურება: აწ ვპხვდავ, ვითარ ცუდად დავშურები (ბალ. 12,35); უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ არა ღირს ვარ (ლ. 7,6); დაღაცათუ...სიყრბითგან ჩემით მსგავსად ძალისა ვშურ (ხანძთ. 152,33); დავშური მე სულთქემითა ჩემითა (ფს. 6,7; სწავ. 204,9); რადსათვის დაშურ, მამაო, რადსათვის მოხუდ კაცისა ცოდვილისა (სეან. 299a); დაშურა და განისუნა (საკ. წ. II, 12,21); ღამე ყოველ დავშურით და არა რა მივიღეთ (ლ. 5,5); მე წარგავლინებ თქვენ მკად, რომელსა თქვენ არა დაშურით (ი. 4,38); დაშურეს ფერენი გზისა სლვითა (ისტ. ქრ. II, 48,8); ვითარცა დაშურის, დაიყვნის ფრთენი და თესავე შეიკრბნის დაშრომისაგან (სახ. 236,27); არა ვინებე მოშრომა მუფისა (ბალ. 91,18); ვინაი არს მიზეზი მოშრომისა შენისა (ხანძთ. 217,9).

ცთობა, შეცთობა: უგზოსა ნუ შესცთები (სწავ. 73,1); სცთებით, რამეთუ არა იცით წიგნი და არცა ძალი ღმრთისა (მ. 22,29); სცთებოდეს მისა მიმართ (მ. 13,57 C); ცთებოდეს (მრ. 6,3 C); უშეკარნი არა მოსცთებოდეს (კომ. I, 131,2); მისცთებოდეს კურთხნი იგი წმიდასა მას გუემისა მისგან (იქვე, 138,15 = ასცდებოდა); ცკოდე

<sup>243</sup> ა. კ. ერთი ამგვარი მაგალითი დღევანდელი ენიდან: "...რომელიც ცდილობს ამ ხალხმრავლობაში ხელიდან გაუხსლტლეს წესრიგის დამკველებს" (მ.მახვილაძე, "თვითმფრინავში ჩასხლამდე...": "თბილისი", N268. 17. XI. 1975). დაქაუ მტრთა, ძველი ხაზი გრძობდება: ძველსა და თანამედროვე შერეულს ერთი და იგივე სურვილი ამოძრავებს: ფორმა შინაარსით ვნებითა, ვნებითის ნიშანი კი არა აქვს. უწერენ ვნებითის გავრცელებულ ღ ნიშანს.

და ვსკეთ. არამედ შევინანო (საქ. წ. II. 112,12); მცნებათა შენთაგან მე არა შევსკეთ (ფს. 118,110). სარწმუნოებასა შინა ღმრთისასა ვსკეთი (კომ. I. 72,10); მცირედლა და შემცა ვიდრე მე ვკეთ გონებითა ჩემითა (ისტ. ქრ. II. 111,30); რად სკეთ. საწყალო. და მე მაცთუნებ (ხანძთ. 155,43); სარგებელთა მათგან შესკეთ (სინ. 110, 1); ვიდრე იგი ჭაბუკ იყო. არა სკეთა იგი (საქ. წ. II. 32,1); შესკეთის გზასა (ექუსთ. 91,28); ყოველნი ვითარცა ცხოვარნი, შევსკეთით (ეს. 53,6); შემე-ვსკეთითა გზისაგან ჭეშმარიტისა და სიმაართლისა (სიბრძ. 5,6); ნუჟკუე მოვსკეთო ცუდად დიდებითა (კომ. I. 208,26); შეტომილი (სინ. 11,35,36).

(ღა)ცხრომა: არა დასცხრები უკეთურთა ამით და ბოროტთა საქმეთაგან (ლიმ. 73,2); ჩუენ ქუეყანასა ზედა განვსცხრებით (საქ. წ. II. 52,27); არა დასცხრებთან ზაქულებისაგან (ისტ. ქრ. II. 69,9); უკეთუ დაეცეს მტერი შენი, ნუ მოვცხრებინ (იგაე. 24,17); შეგინებულნი და ბიწიერნი იშუებენ სიყუარულსა შინა მათსა და თქუენ შევცხრებთან (2 პეტ. 2,13 წ); დასცხრა მდინარე იგი წყარო სისხლისა მის (სინ. 227,22); ღამე სცხრეს (რავახ. 463,25); ოდეს დასცხრის, დასცხრის მის თანა გონებაცა სახედ ცეცხლისა (უძე. რედ. 171,27); რომელნი ბრძოლისაგან დასცხრინ (სინ. 232,14); დამცხრალ არს საღმობა იფერვისაგან შენისა (საქ. წ. II. 132,32).

ძ(ქ)რომა: რომელი ბურების პირსა ზედა ქუეყანისასა (2 შჯ. 4,18); ქუეყარ-მაველთაგანი, რომელნი ბურებიან ქუეყანასა ზედა (ლევ. 11,29); ლომდენ მიწასა, ვითარცა გუელნი. და ბურებოდან ქუეყანასა (მიქ. 7,17); შებურეს ქუაბებსა და სერტყთა შინა დაემალნეს (იერ. 4,29).

ძლ(უ)ოლა. ძლ(უ)ომა: აღდგა და ამა წინა-გიძღვს თქუენ გალილუად (მ. 28,7); თუალნი ხედვენ და უძღვან ფერჯთა. ვიდრეცა მაქუენდეს გუამი (სწავ. 176,10); უძღოლე მას ყოველსა ქუეყანასა (ისუ 6. 24,3); აღდგე და მიქნენ ჩუენ ღმერთნი, რომელნი წინა-მიძღოდან ჩუენ (გამ. 32,1); ღმერთი მოუძღუა მას ეგვიპტით (რიცხ. 24,8 G); მიძღლე ჩუენ ცთომილებისაგან გზასა ცხოვრებისასა (ისტ. ქრ. II. 96,35); ღმერთი წარგიძღვენ წმიდასა ნებასა მისსა (ი—ე. 26,36); ვინ მიძიძღუეს მე იღუმბამდე (ფს. 107,11); დაგვტობიეს გზაი ჭეშმარიტებისა და ძღობაი წმიდათაი (მ. ცხ. 144v); წინა-ძღობით სხუათა მიერ შევიდა პველე დამსკედ (სწავ. 87,15).

ძღობა: ყოველივე ვეენები შესდის ზღუასა, და ზღუაი იგი არა განძღების (ეკლ. 1,7); ვორცთა ჩემთაგან ვერ განსძღებით (იობ 19,22); ჭამდენ და ვერ განძღე-ბოდან (ოსე 4,10); განვძელით პურითა და ვიქმნინით ტკილ (იერ. 44,17); განძღე შენცა ჩემისაგან ქმულკეთილებისა (საქ. წ. II. 65,38); ვერ განძღეს ჭამითა ვორცი-თა მკლავისა თვისისაი (ეს. 9,20); სწადონ განძღობად ნაბიჭვეისა მისგან (ლ. 16,21C); აწვე განძღარ ხართ (1 კორ. 4,8).

წილა: ვაი არს მისა, რომელი დაწვების სარეცელსა ზედა ღბილსა (სწავ. 249,33); დაწვა იგი ცხედარსა ზედა (3 მეფ. 20,4); დაწვე ფერჯთა თანა მისთა (რუთ 3,4); ოდეს დაწვეი, ვთქე: ოდეს-მე განთენეს (იობ 7,4); ერგასისსა წელსა ჭილსა ზედა მისწვი (ლიტ. ქრ. 315,26); შენ დაწვე გუერდას შენსა ზედა მარცხე-ნესა (ეზექ. 4,4); არა აგრძნა დაწოლაი მისი და აღდგობაი (დაბ. 19,33); მოკალთ კაცი იგი დაწოლილი მის თანა (2 შჯ. 22,25 G).

წულობა. წუთობა: შემდგომსა მას დავიციწყებ და წინასა მას მივსწულები

(ფილმ. 3.13); ვერვე მისწუთების გონება ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად შენდა (ხანძი. 218.4); კაცი უგუნური შეწუთებინ და იჭკვრობნ სახიდ შემართ (ზირ. 21.26); ვერ მისწუთებოდა ბუნება ჩუენი (ურპ. 344.5); რომელი აღსწულებოდა ვიდრე ღრუბლადმდე (უდაბ. 271); გულს-მოდგინედ ეძიებდე. რომელსა ვერ მისწუეთ (ბალ. 68.35); მისწუელს ცოდვანი მისნი ცადმდე (გამოცხ. 18.5 B, მისწუეთს AC); მიწდომილ (რიცხ. 24.16); მიწთომილი (2 შუკ. 4,6).

მოწყდომ: შენთვის მოესწყდებით ჩუენ მარადლე (სინ. 261.1); ყოველნი რომელნი იპონენ ქრისტიანენი და ქრისტეს ერისაგანნი, მოწყდებოდედ (სინ. 251. 21); ერთბადად მეყსეულად მოწყდებოდეს (ისტ. ქრ. II, 36.6); მოსწყდა (მოწყდა C) შესაბედი დაბადებულთა ზღვასთაი (გამოცხ. 8,9 AB); შემთხვევითა მით ჩუენდა ბორცთისაითა, რომელსა შინა ყოველნი მოესწყედით (ებისტ. ანტ. 32.9); ვითარცა თევზთადა დაყონიან ვებლსა ქუეყანასა და მოსწყდიან (მამ. ცხორ. 49.16); რადითა მოესწყდეთ (მოწყდეთ E) მის თანა (ი. 11.16); მოწყდენ სიყმილითა იგინი (ივდ. 7.14).

მოწყდომ მეტად საინტერესო ზნაა. იგი ერთ-ერთი იმ ზნათაგანია, რომელთაც ფუძის ბოლოს დონი აქეთ და. მამასადამე, წყვეტილის პირველ-შეორე პირთა ფორმებში ედ დაბოლოება მოუდით (მოესწყედით, მოკუედ, დაეკედ, დაემედით, მიესწყედ...). მეორე მხრივ, შესაბე ირიბობიექტური პირის ნიშანს ხან წარმოგვიდგენს და ხან — არა (მოესწყედით, მოესწყედეთ, მოსწყედეს, მაგრამ: მოწყედეთ, მოწყედეს). ამ მხრივ იგი გვერდში უდგას სხვა უნიშნო ვნებითებს, როგორცაა: დასცხრა და დაცხრა, განკრთეს და განკრთეს, შესცთენ და ცთენ. ეტყობა, სათანადო ირიბობიექტური პირი დიდი ხნის დაკარგულია. რომ შესატყვისი ნიშანი ძალიან ხშირად არა ჩანს. დამახასიათებელია, რომ ეს ბერყეობა სათანადო მოქმედებითსაც ეტყობა. აქ ხშირია როგორც მოსწყედნა, ისე მოწყედნა, როგორც მოსწყედლოს, ისე მოწყედლოს და სხვ. დასასრულ. აღვნიშნავთ, რომ უმარცკლო უ, რომელიც მოქმედებითში ყოველთვის გვხვდება (მოსწყედდა, მოსწყუიდა). ვნებითში არაა: მოსწყედეს, მოწყედენ. შემთხვევითი არაა, რომ ყველაზე ადრე ამ ტიპის (დ, ტ, თ-ზე დაბოლოებულ) ზნებში მოიძალა მათთვის დამახასიათებელი უღლების თავისებურება და ისინი ნელ-ნელა და თანდათანობით სხვადასხვა ტიპის ვნებითებს შეუერთდნენ.

დაჭნობა: დიდება სოფლისაი ამის წარმაველ არს, ვითარცა არადილი და ვითარცა მდელიო დაჭნების (სწავ. 10,17); ვარდი დაჭნის და განვმის (სწავ. 191, 14); არცაღა ნერგი იგი მისი დაჭნეს (სინ. 221,29); დაჭნა ვითარცა მოლოქი სიცხესა (იობ 24.24); შეუხრი დაჭნენ და განვუნ და დაკუიუნ (ფს. 89,6); გვრგვნი დავიდათ ვარდისა რტოთაი ვიდრე დაჭნობადმდე (სიბრძნ. 2.8); დამჭნარ (სინ. 267.5); დამჭნარნი (შუშ. 141,11); დაჭნობადი (სწავ. 258,34). მაგრამ არის აგრეთვე ილ სუფიქსიანი მიძლეობაც: დაჭნობილ იყო იგი დიდითა მით მარხვითა (პარხ. 1264b).

უარყოფით მიძლეობაშიც ორი სუფიქსი გვაქვს: ობ და ობ. ამათგან უნიშნო ვნებითების საწყისებისათვის აბსოლუტურად უბეტეს შემთხვევაში სწორედ ობ სუფიქსისა დამახასიათებელი. მაგალითად: დგობა, დადგრობა, დრკობა, კრთობა, დაშობა, დაშ(ურ)ობა, ცთობა, ძ(ურ)ობა, ძღობა, დაცხრობა, წუდობა, მოწყდობა და სხვ. ჩუენი ზნის საწყისში ძველ ქართულში ობ სუფიქსი გვაქვს, მაგრამ უფრო

ძველი. ოზიანი. წარმოება მიძლეობებს უნდა ჰქონდეს შემონახული. მაგალითად: ნაყოფი დაუჭნობელი (მამ. ცხორ. 127,15); მტევანი მწიფე დაუჭნობელი (კომ. I. 158,13); მოსცემდეს დაუჭნობელს მას გვრგვნს (უდაბ. 842a); დაუჭნობელად (I პეტ. 1,4 ო. E). ამის გვერდით არის აგრეთვე ოზიანი მაგალითებიც: ნათელ არს და დაუჭნობელ არს სიბრძნე (სევან. 387b); დაუჭნობელი იგი ... გვრგვნი (სინ. 10,20); გვრგვნი დაუჭნობელი (ხანძი. 114,5); დაუჭნობელს (გამოცხ. 21,18 თ ) და სხვ.<sup>244</sup>

განვზობა: შემცა-გუაუჭების ტყავი ჩუენი ბუალთა ჩუენთა (სწავ. 168,17); პეროვინ და იღრჭენ კბილთა და განვუჭინ (მრ. 9,18); მე ვითარცა თივაი განვუჭმ (ფს. 101,12); მაშინ ჩუენ ყოველნი განვუჭმით შიშისგან და ყვთულ იქნნეს პირნი ჩუენნი (პარხ. 872a); შემუჭეს (შეპუჭეს BD) ვორცნი ჩენნი ბუალთა ჩემთა (ფს. 101,6); რაჟამს განვზმის ყუაილი, ყოველი შუენიერება მისი წარჯდის (სწავ. 193, 11); განვზმენ შესაჭრებელნი წყალთანი (ეს. 19,6); მუნქუესვე განვუჭმეს ორნივე ველნი მისნი (ურპ. 336,12); დაუტევის განვზობად (სახ. 240,2); იყავნ გუამი შენი გან(მ)უჭარ და დამდნარ შრობითა (სწავ. 168,25); გამუჭარი (სინ. 215,20).

ჯღღობა (მხ.). სხღობა (მრ.): რაჟამს გხადოს ვინმე ქარწილსა, ნუ დაშუჯღები პირველსა საინაუესა (ლ. 14,8); რომელსაცა ზედა მე ვჯღედ (ნემ. 2,12 თბ.); დაჯღედ მთავრად და დამკვდრებულ ვიყავ, ვითარცა მეფე (იობ 29,25); აწ ვითარ ვგვეითარსა ცხედარსა ზედა დაშუჯღი (ლიტ. ქრ. 315,26); ბრმა ვინმე ჯღა გზასა ზედა მთხოველად (ლ. 18,35); აღჯღა კარაულსა თვისსა (I მეფ. 25,42); ჯოჯიყ ... მოიკითხა წმიდაი შუმანიკ, თანა-დაუჯღა და ჰკითხვიდა საღობათა მათთვის (შუშ. 141,35); მოაქციე, დაჯღედ აქა საიდუმლოდ (რუთ 4,1); იგი დაჯღედინ საყდართა ჩემთა (3 მეფ. 1,24); შეჯღდის ნაესა (სწავ. 107,28); არა პირველად დაჯღდეს და აღირაცხოს (ლ. 14,28); დაჯღღობა (მ. 20,33); დაჯღღობილ (მრ.11,2).

ეს ფუძე მხოლობითი იხმარება. მრავლობითი მას ცვლის სხედ, რომლის ედ ნაწილი ისეთივე ხასიათისა უნდა იყოს, როგორც არის ედ ვ-ჯ-ედ, მო-ვ-კუ-ედ, და-ვ-შ-ედ, მი-ვ-ს-წუ-ედ, მო-ვ-ს-წყ-ედ-ით ფორმებში. როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, აქაც ე აღდგება წყვეტილისა და II კემირებითის სათანადო პირებში (ვ-სხ-ედ-ით, პ-სხ-ედ-ით, და-სხ-ედ-ით). ე აქ იმავე პირებში აწმყოშიც ხელუხლებელია, თითქოს იმის გამო, რომ ბოლოს არ ერთვის რაიმე ხმოვნით დაწყებული სუფიქსი (სხედ-ს, პ-სხედ-თ). მაგრამ S<sub>3</sub>-ის მრავლობითობის ან სუფიქსიც ვერ კუმშავს მას (სხედან). სხედ შესამე პირში შეიძლება მხოლობითის ფორმითაც შეგვხედეს (სხედს — სხდა), როცა სუბიექტად კრებითი სახელია ნაგულისხმევი.

ერი ესე, რომელი სხედს მთასა მას (ივდ. 5,3); რომელთა შორის თქვენ ჰსხედთ (მსაჯ. 6,10 G); სხდა გარემო მისა ერი (მრ. 3,32 E); დასხდა კაცები იგი (ი. 6,10); მუნ დაესხედით და ვტროოდეთ (ფს. 36,1); და შესხდეს ნაესა (ი. 6,17 C); პრქუა მათ: დასხედით! და დასხდეს (რუთ 4,2); რომელნი ჰსხედთ ქუეყანასა ეგვიპტისასა (იერ. 44,26); დასხდომით დასხდეთ ქუეყანასა ამას (იერ. 42,10); საყდართა

<sup>244</sup> აღარაფერს ეამბობთ იმის შესახებ, რომ ამ ზმნის ფუძეში თანამედროვე ქართულში ჭის შემდეგ კ არის განვითარებული: დაჭკნო. დაჭკნა და სხვ. მაგრამ ეს უკვე ფონეტიკის სფეროს განეკუთვნება.

ზელ მოსესთა დასხლომოდ არიან მწიგნობარნი და ფარისეველნი (მ. 23,2 C).

უნიშნო ვნებითთა ჳკუფს კიდევ ბევრ სხვა ზმნას მიაკუთვნებენ. ეს ზოგ შემთხვევაში სადავოა, ზოგჯერ კი — უდავო. რაც მთავარია, მაგალითებია ცოტა. მათზე აქ არას ვიტყვი. სანიშნოდ და უნიშნო ვნებითების შესახებ ზოგადი წარმოდგენის შესაქნელად აქ მოყვანილი მაგალითებიც სავსებით საკმარისად გვეჩვენება. ამიტომ ჩვენს მსჯელობას უნიშნო ვნებითებზე ამით დავამთავრებთ.

## F. სტატიკური ჰეპათიტი

სტატიკური ვნებითი ღინამიკურთაგან თვალნათლივ განსხვავდება თავისი მინარსითაც და ფორმითაც. იგი გამოხატავს სტატიკურ, უძრავ, გაქეპებულ მდგომარეობას. კარგად აშობს ა. შანიძე: "ღინამიკურია ფორმა, რომელიც მოქმედებას აჩენს პროცესის სახით (ე.ი. მსვლელობაში), და სტატიკურია ფორმა, რომელიც მოქმედებას ერთ ვითარებაში წარმოგვიდგენს ... ღინამიკა — ეს არის მოქმედება მოძრაობის სახით, სტატიკა კი — "მოქმედება" უძრავ მდგომარეობაში"<sup>245</sup>.

სტატიკური ვნებითი ფორმითაც ვერ შეედრება ღინამიკურს: მაშინ როდესაც ღინამიკური ვნებითი ღიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, სტატიკური ვნებითი შესაძინევად ღარიბია მწკრივთა ფორმებით. ასე, მაგალითად, I სერიაში ამ ზმნებს მოუპოვებთ მხოლოდ აწმყო და მასზე დაფუძნებული აწმყოს ხოლმეობითი (ჰმოსი-ეს, ჰმოსიენ/ჰმოსიედ), სხვა მწკრივები, რომლებიც, საერთოდ, ძველ ქართულში მეტიმეტად მღიდარ და მრავალფეროვან ფორმებს გვიჩვენებს, სტატიკურთ არ გააჩნით.

II სერიაში ისინი ე პრეფიქსით იწარმოებენ ფორმებს: ე-მოსა, ე-ღვა, ე-ჰყრა, ე-ცუა, ე-სმა, ე-მარხა, ე-გონა. სხეანარიად რომ ვთქვათ, აქ ისინი ვერღნობიან ენიან ვნებითს: ე-მოს-ა — შე-ე-მოს-ა (←შე-ე-მოს-ებ-ი-ს).

სტატიკურ ვნებითებს არ მოუპოვებთ, ჩვეულებრივ, III სერიის ფორმებიც. თუ სადმე ასეთი რამ აღმოჩნდა, ისიც ენიანი ვნებითის შთამომავალი იქნება, საკუთარის უქონლობის გამო სესხებით მიღებული და გამოყენებული.

სტატიკურ ვნებითებს არ ერთვის ზმნისწინი: უყყრის — ეყყრა, ჰმოსიეს — ემოსა. ჰმარხავს — ემარხა, აღვს — ეღვა, ჰგიეს — ეგო. თუ ზმნისწინი ღაერთო, ის უკვე აღარაა სტატიკური ვნებითი (და, შესაბამისად, აწმყო), არამედ — მოქმედებითი (და I თურმეობითი). მღრ. უყყრის (სტატ.) და შეუყყრის (მოქმ. I თურმ.), ჰმოსიეს და შეუმოსიეს, ჰმარხავს და ღუმარხავს.

ერთი სიტყვით, სტატიკური ვნებითები ბევრი თავისებურებით ხასიათდება და მათი ფორმების გარჩევისას ეს გარემოება ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში.

სტატიკურ ვნებითებს (აწმყოში) აქვს სპეციფიკური დაბოლოებები (და ფორმები). ამათგან

a) ყველაზე ხშირი და ნიშანდობლივია ი-ე-ს დაბოლოება: ჰ-გ-ი-ე-ს, ჰ-გონ-ი-ე-

<sup>245</sup> ა. შანიძე. საფუძვლები. გვ. 313.

ს. კ-მოს-ი-ე-ს, უ-მტკმ-ი-ე-ს, კ-ნთ-ი-ე-ს, ა-სმ-ი-ე-ს, უ-ფლ-ი-ე-ს, ა-ცვ-ე-ს (←ა-ცუ-ი-ე-ს), ს-წერ-ი-ე-ს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამით სტატიკური ვნებითი სათანადო მოქმედებითი I თურმეობითი მიემსგავსება. მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ:

ა) სტატიკურს ზნისწინი არა აქვს (კმოსიეს), I თურმეობითი კი ჩვეულებრივად ზნისწინით იხმარება (შეუბოსიეს).

ბ) სტატიკური ახლანდელ დროს გამოხატავს, I თურმეობითი კი — წარსულს.

გ) I თურმეობითი შეიძლება ყველა თემის ნიშანი ჰქონდეს (მოუკლავს, უთქუამს, უბრძანებებს, უბღევიეს, მოუცემეს, გამოუცდიოს, უცნობიეს, უყოფიეს). სტატიკურს კი ერთადერთი ავ (კმარხავს), ისიც იშვიათად და მხოლოდ ორიოდ ზნაში.

ბ) ი-ა, გამარტივებული ი-ე-ს (უფრო ზუსტად: ს სუფიქსი ა-მ შეკვალა, ამ უკანასკნელმა წინამავალი ე ამოიღო): ა-დგ-ი-ა, ა-რტყ-ი-ა.

ც) ავ თემისნიშნანი: კ-ბურ-ავ-ს, ს-თრ-ავ-ს, კ-კიდ-ავ-ს, კ-მარხ-ავ-ს, კ-რთ-ავ-ს, კ-კურ-ავ-ს.

დ) გვაქვს ზნის მარტივი ფუძე (ძირი) სხვადასხვა ქცევის ნიშნით:

ა: ა-ბ-ს, ზარ-მ-ა-ც (←\*ზარ-მ-ა-ძს), ზედა-მ-ა-ც, თანა-მ-ა-ც, ა-ხ-ს.

ი/უ: მ-ი-ც (←\*მ-ი-ძ-ს), გ-ი-ც, უ-ც, . ძალ-მ-ი-ც, ძალ-გ-ი-ც, ძალ-უ-ც.

წყვეტილში (და, საერთოდ, II სერიაში) ყველა სტატიკურ ზნას, როგორც აღვნიშნა, ე ექნება.

1) ე-გ-ო, ე-გონ-ა, ე-მოს-ა, (აღ)ე-მტკმ-ო, ე-ნთ-ო, ე-პყრ-ა, ე-წერ-ა.

2) ე-დგ-ა, ე-რტყ-ა.

3) ე-ბურ-ა, ე-რთ-ო, ე-კიდ-ა, ე-მარხ-ა, ე-კურ-ა.

4) ე-დგ-ა, ზარ-ე-დგ-ა, ზედა-ე-დგ-ა, თანა-ე-დგ-ა, ძალ-ე-დგ-ა.

როგორც ვხედავთ, ყველა სტატიკური ვნებითი რელატიურია, აქ არა გვაქვს ერთპირიანი ფორმა, ყველა ორპირიანია. ეს არის ამ ტიპის ზნების ერთ-ერთი ფრიად დამახასიათებელი ნიშან-თვისება: მათ არ შეიძლება ჰქონდეთ აბსოლუტური ფორმები. დღევანდელი ამხვია, გღია, ყრია, ანთია, ალაგია, ჰკიღია და სხვანი წარმოშობით ორპირიანია, მათთან მეორე (ირიბობიექტური) პირის გააზრება არც ისე ძნელია: კ-კიღია იგი მას, ამხვია მას(ზე), დამხობიღია მას(ზე). სხვა რომ არა იყოს რა, მათი ე პრეფიქსი (წარმოშობით უნანი ვნებითის ნიშანი) დემონსტრაციულად გახაზავს, რომ ფორმა ორპირიანია: ემოსა იგი მას, ენთო იგი მას, ედგა იგი მას. მერმე და მერმე ზოგ მათგანში მიიჩქმალა ირიბობიექტური პირი და ერთი — სუბიექტილა — ჩანს (გღია იგი), თუმცა ფორმა ისევ ძველი დარჩა.

სტატიკური ვნებითების უღლება, როგორც ითქვა, საკმაოდ მარტივია. ნორმა I სერიაში ორი მწკრივი (აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი) II-ში — ოთხი: წყვეტილი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი და II კავშირებითი. III სერიაში ჩვეულებრივ არ იხმარება.

აღნიშნული ზნები გვხვდება სუბიექტური წყობითაც და ობიექტურითაც. ზოგს ორივე წყობა აქვს, ზოგს — თითო: ან მხოლოდ სუბიექტური (ეპვიე). ან მხოლოდ ობიექტური (აცვეს). ჩვენ აქ ვუჩვენებთ უფრო დამახასიათებელს.

I სარია

აწმყო

ა) სუბიექტური წყობით

ე-კ-გ-ი-ე	ე-კ-გონ-ი-ე	უ-პყრ-ი-ე
კ-გ-ი-ე	კ-გონ-ი-ე	უ-პყრ-ი-ე
კ-გ-ი-ე-ს	კ-გონ-ი-ე-ს	უ-პყრ-ი-ე-ს
ე-კ-გ-ი-ე-თ	ე-კ-გონ-ი-ე-თ	უ-პყრ-ი-ე-თ
კ-გ-ი-ე-თ	კ-გონ-ი-ე-თ	უ-პყრ-ი-ე-თ
კ-გ-ი-ან	კ-გონ-ი-ან	უ-პყრ-ი-ან

ე-კ-მარხ-ა-ე	ე-კ-კიდ-ა-ე	ე-კ-რთ-ა-ე
კ-მარხ-ა-ე	კ-კიდ-ა-ე	კ-რთ-ა-ე
კ-მარხ-ა-ე-ს	კ-კიდ-ა-ე-ს	კ-რთ-ა-ე-ს
ე-კ-მარხ-ა-ე-თ	ე-კ-კიდ-ა-ე-თ	ე-კ-რთ-ა-ე-თ
კ-მარხ-ა-ე-თ	კ-კიდ-ა-ე-თ	კ-რთ-ა-ე-თ
კ-მარხ-ე-ან	კ-კიდ-ე-ან	კ-რთ-ე-ან

ბ) ობიექტური წყობით

მ-გონ-ი-ე-ს	მ-მოს-ი-ე-ს	მ-ა-სმ-ი-ე-ს
გ-გონ-ი-ე-ს	გ-მოს-ი-ე-ს	გ-ა-სმ-ი-ე-ს
კ-გონ-ი-ე-ს	კ-მოს-ი-ე-ს	ა-სმ-ი-ე-ს
(ე.) მ-გონ-ი-ე-ს	მ-მოს-ი-ე-ს	მ-ა-სმ-ი-ე-ს
(ი.) გუ-გონ-ი-ე-ს	გუ-მოს-ი-ე-ს	გუ-ა-სმ-ი-ე-ს
გ-გონ-ი-ე-ს	გ-მოს-ი-ე-ს	გ-ა-სმ-ი-ე-ს
კ-გონ-ი-ე-ს	კ-მოს-ი-ე-ს	ა-სმ-ი-ე-ს

მ-კიდ-ა-ე-ს	მ-ა-ბ-ს	მ-ი-ძლ-ა-ე-ს
გ-კიდ-ა-ე-ს	გ-ა-ბ-ს	გ-ი-ძლ-ა-ე-ს
კ-კიდ-ა-ე-ს	ა-ბ-ს	უ-ძლ-ა-ე-ს
(ე.) მ-კიდ-ა-ე-ს	მ-ა-ბ-ს	მ-ი-ძლ-ა-ე-ს
(ი.) გუ-კიდ-ა-ე-ს	გუ-ა-ბ-ს	გუ-ი-ძლ-ა-ე-ს
გ-კიდ-ა-ე-ს	გ-ა-ბ-ს	გ-ი-ძლ-ა-ე-ს
კ-კიდ-ა-ე-ს	ა-ბ-ს	უ-ძლ-ა-ე-ს

მ-ძინ-ა-ე-ს	თანა-მ-ა-ც	ძალ-მ-ი-ც
გ-ძინ-ა-ე-ს	თანა-გ-ა-ც	ძალ-გ-ი-ც
ს-ძინ-ა-ე-ს	თანა- ა-ც	ძალ- უ-ც
(ე.) მ-ძინ-ა-ე-ს	თანა-მ-ა-ც	ძალ-მ-ი-ც



(i.)	გუძინ-აე-ს გძინ-აე-ს სძინ-აე-ს	თანა-გუა-ც თანა-გ-ა-ც თანა- ა-ც	ძალ-გვ-ც ძალ-გ-ი-ც ძალ- უ-ც
------	--------------------------------------	---------------------------------------	-----------------------------------

აწმარს სწოლადობით

ა) სუბიექტური წყობით

ჰ-ი-ენ ჰ-ი-ელ	ჰ-ონ-ი-ენ ჰ-ონ-ი-ელ	უ-ჰ-ი-ენ უ-ჰ-ი-ელ
ჰ-მარს-აენ ჰ-მარს- ე-ელ	ჰ-კიდ-აენ ჰ-კიდ- ე-ელ	ჰ-რთ-აენ ჰ-რთ- ე-ელ

ბ) ობიექტური წყობით

	მ-გონ-ი-ენ/ელ გ-გონ-ი-ენ/ელ ჰ-გონ-ი-ენ/ელ	მ-მოს-ი-ენ/ელ გ-მოს-ი-ენ/ელ ჰ-მოს-ი-ენ/ელ	მ-ა-სმ-ი-ენ/ელ გ-ა-სმ-ი-ენ/ელ ა-სმ-ი-ენ/ელ
(e.)	მ-გონ-ი-ენ/ელ	მ-მოს-ი-ენ/ელ	მ-ა-სმ-ი-ენ/ელ
(i.)	გუ-გონ-ი-ენ/ელ გ-გონ-ი-ენ/ელ ჰ-გონ-ი-ენ/ელ	გუ-მოს-ი-ენ/ელ გ-მოს-ი-ენ/ელ ჰ-მოს-ი-ენ/ელ	გუ-ა-სმ-ი-ენ/ელ გ-ა-სმ-ი-ენ/ელ ა-სმ-ი-ენ/ელ

	მ-კიდ-აენ გ-კიდ-აენ ჰ-კიდ-აენ	მ-ა-ბ-ნ გ-ა-ბ-ნ ა-ბ-ნ	მ-ი-ძლ-აენ გ-ი-ძლ-აენ უ-ძლ-აენ
(e.)	მ-კიდ-აენ	მ-ა-ბ-ნ	მ-ი-ძლ-აენ
(i.)	გუ-კიდ-აენ გ-კიდ-აენ ჰ-კიდ-აენ	გუ-ა-ბ-ნ გ-ა-ბ-ნ ა-ბ-ნ	გვ-ძლ-აენ გ-ი-ძლ-აენ უ-ძლ-აენ

	მ-ძინ-აენ გ-ძინ-აენ ს-ძინ-აენ	თანა-შ-ა-ც-ნ თანა-გ-ა-ც-ნ თანა- ა-ც-ნ	ძალ-ში-ც-ნ ძალ-გ-ი-ც-ნ ძალ- უ-ც-ნ
(e.)	მ-ძინ-აენ	თანა-შ-ა-ც-ნ	ძალ-ში-ც-ნ
(i.)	გუ-ძინ-აენ გ-ძინ-აენ ს-ძინ-ა-ენ	თანა-გუ-ა-ც-ნ თანა-გ-ა-ც-ნ თანა- ა-ც-ნ	ძალ-გვ-ც-ნ ძალ-გ-ი-ც-ნ ძალ- უ-ც-ნ

## II სარია

სტატისტიკურ ენებითებს II სერიაში ჩვეულებრივად და ნორმალურად წყვეტილი და II კემორებითი ეწარმოებათ. ჩვენც ამ დამახასიათებელი მწკრივების უღლებით დაკმაყოფილდებით.

## წამეტილი

## ა) სუბიექტური წყობით

ეუგე	ეეგონე	ეეეყარ
ეეე	ეეგონე	ეეეყარ
ეეეო	ეეგონა	ეეეყრა
ეეეგენით	ეეეგონენით	ეეეყარენით
ეეეენით	ეეგონენით	ეეეყარენით
ეეენეს	ეეგონენეს	ეეეყარენეს

ეეეარხე	ეეეკიდე	ეეერთე
ეეეარხე	ეეკიდე	ეერთე
ეეეარხა	ეეკიდა	ერთო
ეეეეარხენით	ეეეეკიდეენით	ეერთენით
ეეეეარხენით	ეეკიდეენით	ერთენით
ეეეეარხენეს	ეეკიდეენეს	ერთენეს

## ბ) ობიექტური წყობით

მეეგონა	მეემოსა	მეესმა
გეეგონა	გეემოსა	გეესმა
ეეგონა	ეემოსა	ესმა
(e.) მეეგონა	მეემოსა	მეესმა
(i.) გეეეგონა	გეეემოსა	გეეესმა
გეეგონა	გეემოსა	გეესმა
ეეგონა	ეემოსა	ესმა

მეეკიდა	მეეეა	მეეელო
გეეკიდა	გეეეა	გეეელო
ეეკიდა	ეეეა	ეეელო
(e.) მეეკიდა	მეეეა	მეეელო
(i.) გეეეეკიდა	გეეეეა	გეეეელო
გეეკიდა	გეეეა	გეეელო
ეეკიდა	ეეეა	ეეელო

	მუძინ-ა	თანა-მ-ე-ღვ-ა	ძალ-მ-ე-ღვ-ა
	გ-უძინ-ა	თანა-გ-ე-ღვ-ა	ძალ-გ-ე-ღვ-ა
	უძინ-ა	თანა- ე-ღვ-ა	ძალ- ე-ღვ-ა
(e.)	მუძინ-ა	თანა-მ-ე-ღვ-ა	ძალ-მ-ე-ღვ-ა
(i.)	გუუძინ-ა	თანა-გუუ-ღვ-ა	ძალ-გუუ-ღვ-ა
	გ-უძინ-ა	თანა-გ-ე-ღვ-ა	ძალ-გ-ე-ღვ-ა
	უძინ-ა	თანა- ე-ღვ-ა	ძალ- ე-ღვ-ა

## II კავშირებითი

### ა) სუბიექტური წყობით

ვე-გ-ო	ვე-ე-გონ-ო	ვე-პყრ-ა
ე-გ-ო	ე-გონ-ო	ე-პყრ-ა
ე-გ-ო-ს	ე-გონ-ო-ს	ე-პყრ-ა-ს
ვე-გ-ნ-ე-თ	ვე-ე-გონ-ნ-ე-თ	ვე-პყრ-ნ-ე-თ
ე-გ-ნ-ე-თ	ე-გონ-ნ-ე-თ	ე-პყრ-ნ-ე-თ
ე-გ-ნ-ე-ნ	ე-გონ-ნ-ე-ნ	ე-პყრ-ნ-ე-ნ

ვე-ძარხ-ო	ვე-კიდ-ო	ვე-ერთ-ო
ე-ძარხ-ო	ე-კიდ-ო	ე-ერთ-ო
ე-ძარხ-ო-ს	ე-კიდ-ო-ს	ე-ერთ-ო-ს
ვე-ძარხ-ნ-ე-თ	ვე-კიდ-ნ-ე-თ	ვე-ერთ-ნ-ე-თ
ე-ძარხ-ნ-ე-თ	ე-კიდ-ნ-ე-თ	ე-ერთ-ნ-ე-თ
ე-ძარხ-ნ-ე-ნ	ე-კიდ-ნ-ე-ნ	ე-ერთ-ნ-ე-ნ

### ბ) ობიექტური წყობით

	მ-ე-გონ-ო-ს	მ-ე-მოს-ო-ს	მ-ე-სმ-ა-ს
	გ-ე-გონ-ო-ს	გ-ე-მოს-ო-ს	გ-ე-სმ-ა-ს
	ე-გონ-ო-ს	ე-მოს-ო-ს	ე-სმ-ა-ს
(e.)	მ-ე-გონ-ო-ს	მ-ე-მოს-ო-ს	მ-ე-სმ-ა-ს
(i.)	გუუ-ე-გონ-ო-ს	გუუ-ე-მოს-ო-ს	გუუ-ე-სმ-ა-ს
	გ-ე-გონ-ო-ს	გ-ე-მოს-ო-ს	გ-ე-სმ-ა-ს
	ე-გონ-ო-ს	ე-მოს-ო-ს	ე-სმ-ა-ს

	მ-ე-კიდ-ო-ს	მ-ე-ბ-ა-ს	მ-ე-ძლ-ო-ს
	გ-ე-კიდ-ო-ს	გ-ე-ბ-ა-ს	გ-ე-ძლ-ო-ს
	ე-კიდ-ო-ს	ე-ბ-ა-ს	ე-ძლ-ო-ს
(e.)	მ-ე-კიდ-ო-ს	მ-ე-ბ-ა-ს	მ-ე-ძლ-ო-ს
(i.)	გუუ-ე-კიდ-ო-ს	გუუ-ე-ბ-ა-ს	გუუ-ე-ძლ-ო-ს

გ-უ-ქ-ღ-ო-ს უ-ქ-ღ-ო-ს	გ-უ-ბ-ა-ს ე-ბ-ა-ს	გ-ე-ძ-ღ-ო-ს ე-ძ-ღ-ო-ს
მ-ე-ძ-ნ-ო-ს	თანა-მ-ე-ღ-ე-ა-ს	ძალ-მ-ე-ღ-ე-ა-ს
გ-უ-ძ-ნ-ო-ს	თანა-გ-უ-ღ-ე-ა-ს	ძალ-გ-უ-ღ-ე-ა-ს
ე-ძ-ნ-ო-ს	თანა- ე-ღ-ე-ა-ს	ძალ- ე-ღ-ე-ა-ს
(e.) მ-ე-ძ-ნ-ო-ს	თანა-მ-ე-ღ-ე-ა-ს	ძალ-მ-ე-ღ-ე-ა-ს
(i.) გ-უ-ე-ძ-ნ-ო-ს	თანა-გ-უ-ე-ღ-ე-ა-ს	ძალ-გ-უ-ე-ღ-ე-ა-ს
გ-ე-ძ-ნ-ო-ს	თანა-გ-ე-ღ-ე-ა-ს	ძალ-გ-ე-ღ-ე-ა-ს
ე-ძ-ნ-ო-ს	თანა- ე-ღ-ე-ა-ს	ძალ- ე-ღ-ე-ა-ს

როგორც ვხედავთ, I სერიის ერთი ფუძის სხვადასხვა ქცევის ფორმები II სერიაში გაერთიანებულია და მხოლოდ ერთ, უქცევისნიშნო, ფორმას გვაძლევს. შტრ.

I სერია

თანა-მ-ა-ც

ძალ-მ-ი-ც

ასევე იქნებოდა. მაგალითად. აბს და უბს ზმნების შემთხვევაშიც

ა-ბ-ს

უ-ბ-ს

II სერია

თანა-მ-ე-ღ-ე-ა, თანა-მ-ე-ღ-ე-ა-ს

ძალ-მ-ე-ღ-ე-ა, ძალ-მ-ე-ღ-ე-ა-ს.

ე-ბ-ა, ე-ბ-ა-ს

ე-ბ-ა, ე-ბ-ა-ს

ეს გასაკებია. სტატიკურ ვნებით II სერიაში საკუთარი ფორმები არა აქვს და დინამიკური ენიანი ვნებითის ფორმებს იყენებს. ამიტომ, როცა ტექსტში მღვდა ფორმა შეგვხვდება, იგი შეიძლება როგორც მ-ა-ც, ისევე მ-ი-ც ფორმის გაგრძელება იყოს.

ახლა გავეცნოთ ნიმუშებს:

ა) ი-ა-ს დაბრუნებანი ზამანი

1. ქ-ბ-ი-მ-ს: მე მცნებანი მამის ჩემისანი დავიმარხენ და ვჭიე სიყუარულსა ზედა მისსა (ი. 15,10); შენ ქალწულებასავე ჰგიე (სინ. 96,30); ქალაქი ჩემი ველით-უქნელი არს და უკუნისამდე ჰგიეს (საკ.წ. II, 25,4); ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა (ი. 15,10); ჰგიანმცა დღენდელად დღედმდე (მ. 11,23); ვგრევე ჰგიენ ვითარცა-იგი არნ (თუალთ. 25,25); ესე არს ტაბლამ, რომელსა ზედა ჰგიედ ერთი ხოლო საჭმელი (სწაე. 316,11); ადგილი იგი, ზარზმად წოდებული, ეგო უძრავად ყოვლად-ვე (ზარზმ. 200,34); ეგო /იგი/ უვნებულად და თუალნი ცოცხლად ეგნეს (მამ. ცხორ. 52. 36,37); მტკიცედ ეგნით სიყუარულსა მას ჩემსა (ი. 15,9 C); ნაყოფი იგი თქუენი ეგენ (ი. 15,16 C = იყოს); უკუეთუ დაიმარხნეთ მცნებანი ჩემნი, ეგნეთ სიყუარულსა ჩემსა (ი. 15,10 C).

2. ა-პ-ო-ნ-ი-ა-ს. თქუენ ვინ გგონიე მე (მ. 16,15; ლ. 9,20); ვინ ვჭონიე ერსა ამას (ლ. 9,18); ვგრეცა თქუენ გარეშე ჰჭონიეთ მართალ (მ. 23,28); შენ ლმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს (შუშ. 140,32); ნუ ადვილ და მტირე გგონიეს (სინ. 77,19); რომელილა-იგი ჰჭონიეს. ვითარმედ აქუს. მო-ვე-ელის მას (ლ. 8,18); ხოლო ჯუარი

ნუ ესე გგონიენ. რომელ-ესე ჩას, ვითარცა შეურაცხი (სინ. 247,19); ხოლო მას ესრცით ჰგონიოდ თავი. ვითარცა მსახური (Sin. 35, 163ra,18); არამედ მეგობარნიცა ჩუენნი და მწუხარებაი მათი ნუგეშინის-ცემა ჩუენდა გუგონიოდ (სწავ. 29,15): მეგონა. ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო (შუშ. 135,32); ეგონა. ვითარმედ საუცარ რაიბე იხილეს (ლ. 24,37); არამედ ესე თუ ძისაი მეგონოს. მამისად ვქადაგო (სინ. 138,9).

3. ა-მოს-ი-ე-ს. ვითარ შემოხუედ აქა, რომელსა არა გმოსიეს სამოსელი საჭორწინც (მ. 22,17); რომელთა ჰმოსიეს სამოსლები სპეტაკები (გამოცხ. 7,13); ვითარცა-იგი ვის სამოსელი რაი ბრწყინელც ჰმოსიენ და ეკრძალებინ (სინ. 9,15); არამედ ჰმოსიენ მას სულისა სამოსელი (ისტ. ქრ. I, 242,11). ეგვეუ ძეგლი სინურ მრავალთავემც მოიპოვება, იქ ეს ზნა დ სუფიქსითა წარმოდგენილი: ჰმოსიედ მას სულისა სამოსელი (55,12). ჰმოსიედ იკითხება აგრეთვე პარხლის მრავალთავეში (A-95) დაცულ ძეგლშიც (94b). ჰმოსიენ და ჰმოსიედ ორივე აწმყოს ხოლმეობითა: შე-რაი-იზოსიან იგი, ვითარცა მოძღურებაი მისი, ჰმოსიედ (მამ. ცხორ. 52,29).

ძველსავე ქართულში გვხვდება გამარტივებული, ი-ა დაბოლოებანი (ახალი) ფორმა: რომელთა ჰმოსია სამოსლები სპეტაკები (გამოცხ. 7,13 C).

თავადსა იოვანეს ეზოს სამოსლად მისა სტევისაგან აქლებისა (მ. 3,4); კაცნი, რომელთა ეზოსა საჭურველი ბრძოლისაი (მსაჯ. 18,17 M).

4. ა-მთ-ი-ე-ს. სადაცა-იგი ჰმთიენ, ყოვლადვე მუნ არნ (პარხ. 441a); არამედ ღამც შორით, ვითარცა სანთელი, ჰმთიედ (თუალთ. 12,1).

5. ა-მყრ-ი-ე-ს. არა ხეთა რტოი მიყრიეს, არცა ქნარი მაქეს, არცა ღამპარნი მიყრიან აღნთებულნი (სინ. 32,19); აღდედ და მოვედ აღდილსა თვისსა და ნუ ეგვეითარი გონებაი გიყრიეს (შუშ. 135,27); ყოველთა ვითარცა წინაწარმეტყველი უყრიეს იოვანე (მ. 21,26); თეთა წინაშე მიყრიედ იგი (Sin. 35, 307ra,4); რამეთუ ძიებაი რაი სასყიდლისაი საქმედ უყრიედ მათ და ყოვლადვე ბრძობედ (ხანძთ. 99,9); მსგავს არს ეგვეითარი იგი კაცსა, რომელსა ყანაი უყრიედ და ნაყოფი ჭიათა დაუჭამიედ (ნოვ. II, 192,15); აქ კარგად ეგუება ერთმანეთს აწმყოს ხოლმეობითისა და I თურმეობითის ხოლმეობითის ფორმები: უყრიედ — დაუჭამიედ.

ძველსავე ქართულში გვხვდება გამარტივებული (ახალი) წარმოება ი-ა დაბოლოებით: ხოლო ერთი იგი მას უყრია მარადის (საქ. წ. II, 173,31).

რამეთუ ეყრა მათ მოცემული იგი მოძღურებაი ხუცესთაი (მრ. 7,3); ეყრა მათ ვეშაბი იგი (გულანდ. 217,17).

6. ა-სმ-ი-ე-ს. რომელსა-იგი ვეტყვოდი, უწყის ქრისტემან, არავისგან მასმიეს გინა მისწავიედ (რავახ. 93,25); გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ (მ. 5,21,27,33); საუკუნითგან არავის ასმიეს, თუ აღ-ვინმე-უხილნა თუალნი ბრძისანი (ი. 9,32 C); DE-ში ესმა იკითხება, რაც აგრეთვე სტატიკური ვნებითა (წყვეტილი); ხოლო ჩუენ გუასმიეს მისი იგი უძღურებაი (მამ. ცხორ. 30,22); რომლისათვის მასმიედ ბრალი რაიბე (Sin. 35, 294vb,7).

7. ა-ფლ-ი-ე-ს. მიფლიეს გუამი ჩემი დადებად, მიფლიეს მერმე აღებად იგი (სახ. 10,1,2); არცაღა დიდსა მაგას შარავანდედსა თავსა თვისსა უფლიეს, და ყოველსა კაცსა არა უფლიეს მიახლებად მაგისა (ეზრა ზორ. 4,28); ნუ გიფლიენ შენ ჭამად

ურიდად საკლევლისა მისგან (2 შჯ. 16,5 M); სხუასა ნუვის უფლიოდ ჩუენ თანა შემოსულად (მუშ. 136,14); ესე სასწაული მეფლო თხრობად შენდა (ეზრა სუთ. 3,13).

8. ა-ა-ა-ს. ეს ფუძე ჰმოსიეს ფორმის სინონიმია. ძალზე იშვიათად გვხვდება. მომპყარ სამოსელი შენი, რომელი გაკცეს შენ, და განჰმარტე (რუთ. 3,15 პარიზ. ლექც.); ოშკის ბიბლიაში ჩვეულებრივი და საყოველთაოდ გავრცელებული ჰმოსიეს იკითხება. მეტად და მეტად საყურადღებოა პარიზული ლექციონარის ეს საინტერესო ჩვენება.

#### b) ანიანი ზანაი<sup>246</sup>

1. ა-ა-ა-ს (ახლოა). ესრეთ ილოცვიდა ღმრთისა მიმართ, ვითარმცა ახლავ და გახლავს, და რამეთუ გუახლავს ჭეშმარიტად (მ. ცხ. 291r); გახლავს შენ საყოფელი ეშმაკისა (H-341,353 = შენთან ახლოა, შენთანაა); ოდეს ახლავს კაცი კორციელებრსა ბრძოლასა (Sin. 35, 294ra,11 = ახლოა ზოლმე)

2. ა-ა-ა-ა-ს. არს მუნ შინა დედაკაცი, რომელსა ჰპურავს თავსა ძინძი ძუელი, ხოლო შინაგან ადგია მას გვრგვინი სულიერი (კომ. I, 206,17). წყვეტილში იქნება ებურა.

3. ა-ა-ა-ა-ს (მთერალა). ამ ზმნას სხვებისაგან განსხვავებით I სერიის სხვა მწკრივებიც (უწყვეტელი და I კავშირებითი) აქვს. მოსალოდნელი იყო წყვეტილის ეთრო და სხვანი ჰქონოდა, მაგრამ არ შეგვხვდებოდა. რომელთა გთრავს თვნიერ ღვინისა (ეს. 28,1); სთრავს, რამეთუ სუეს ცნობადისა მის ვენაჲისა (სინ. 189,1); თქვენ ჰკონებთ, ვითარმედ ამთ სთრავს და რამეთუ გუთრავს ჩუენ (იქვე, 188,29); ვანიფრთხვედ. რომელთა-ეგე გთრავს ღვინითა თვისითა (იოველ 1,5); რომელსამე ჰმშინ და რომელსამე სთრავს (1 კორ. 11,21); სთროდა მთრეალობითა მით სიფრთხილისაითა (სინ. 188,32); იგი სუმიდა და სთროდა (3 მეფ. 16,9); ვიდრემედ გთროღის (1 მეფ. 1,14).

4. ა-ა-ა-ა-ს (ჰკიდა). რამ არს ძუალები ეგე, რომელ გკიდავს (მაღ. 94,32 = გკიდა); ვისი არს მათორი ისი სადღეოდ, რომელი ჰკიდავს (მ. ცხ. 162r); /ოუდა/ მმარავი იყო და გუადრუცი იგი აქუნდა მას, და შთასადებელი იგი მას ჰკიდავს (ი. 12,6 = გკიდა ზოლმე); გკიდა მას თვისი იგი ჯუარი (ი. 19,17); გკიდა რამ სფირიდებითა კეცი (მ. ცხ. 133v).

5. ა-ა-ა-ა-ს (მარხია). მოვედ შენ საფლავსა ჩემსა, სადა ვჰმარხავ (ლიბ. 83.4 S სქოლ. = ემარხივარ); აქა ჰმარხავს მამა ჩუენი (მამ. ცხორ. 316,5). ზუსტად ასეთი სტატიკური ვნებითის ფორმა რუსთველის ჰრავს: რამან შეგქნა მოყვითანედ. ვარდ-გიშერი რომე ჰრავსო (602.3 — ა.შ. და ა.ბ. გამოც.). დღეს მოსალოდნელი იყო (ჰ)რავა, მაგრამ არ იხმარება.

6. ა-ა-ა-ა-ს (ურეცია). აწ ვინამ ჰრავს ღუარძლი (მ. 13,27); იგი ხოლო

<sup>246</sup> ერთგვარად ძნელია ზღვარის დადება. ამ ტიპის ზმნათაგან რომელია სტატიკური და რომელი — საშუალი (მედიოპასივი). მაგალითად. რ.ენუქსეილის დასახლებულ სადისერტაციო ნაშრომში ბერი ამთგანი საშუალი გვარის ზმნადაა ჩათვლილი.

გურთავს ჩუენ მოწამედ (ისტ. ქრ. I. 250,27); არასადა ვერთე შეკრებასა მას მათსა (სინ. 240,6 = ვერიე); რომელ ერთნეს მათ ღლეთა შინა (იქვე, = ვერიენენ).

7. კ)-სწორ-ამ-ს (თანასწორია, ტოლია, შეედრება, უტოლდება, უსწორდება). სხუად სიყუარული არა სწორავს სიყუარულსა მისსა თანა (ისტ. ქრ. II. 1,27); გუამი ჩემი არა სწორავს კუერცხსა სირაქლებისასა (ბალ. 58,29); ოდეს შვიმკვის მით მეფე, არა სწორავნ იგი ერთსაცა ყუაილსა მთისა თივისასა (სწავ. 191,9).

8. ქ-შორ-ამ-ს (დაშორებულია). მახლობელ ხარ პირსა მათსა და ქშორავ თორკუმელთა მათთა (იერ. 12,2); რომელი ესეზომ შორავს კორციელისა მის შეერთებისგან. რაზომ ნათელი ბნელსა შორავს და სიმყარაღ — სულნელებასა (გამოცხ. 19,9 თ); ქშორავს ქალაქსა მდინარეც იგი ექუს მილიონ (საკ. წ. II, 91,10); უწყალოეზად და შეურაცხებად ძმისა შორავნ წესსა ქრისტეანობისასა (სწავ. 175,33); რავდენ უკუე შორეული და გეშორა ღლეკანდელი ესე ღლე (სწავ. 256,29); რომელი ... ეშორა ... მიტალიკსა ოციტ სტადიონით (მამ. ცხორ. 57,22); ეშორნთან ურთიერთას, არასადა აღდევის ცეცხლი (სახ. 236,21); რაითა ეშოროს მონაზონი ხილვად პირსა ღელათასა (სწავ. 182,6).

9. ს-ძინ-ამ-ს. რაისა გძინავს (ლ. 22,46); სიძინ, გძინავს (მრ. 14,37); არა მომკუდარ არს ყრმაი ეგე, არამედ სძინავს (მ. 9,24; მრ. 5,39; ლ. 8,52); მეძინა. ვითარცა წინაით ჩუეულებასა მას ჩემსა. განშორებულსა მას სახლსა სანათლოისასა (ისტ. ქრ. I. 247,36; სინ. 63,22); ხოლო თავადსა ეძინა (მ. 8,24).

10. უ-გლ-ამ-ს (შეუძლია, შეძლებელია). საჭედ არა მიძლავს. თხოვად მრცხუნენის (ლ. 16,3 C); გიძლავს თუ რამე, შეგუეწიე ჩუენ (მრ. 9,22 C); არა გეძლო, არცა აწ გიძლავს (1 კორ. 3,2); ვერ უძლავს სენად (იერ. 6,10); ჰრქუეს მას: არა გეძლავს (მ. 20,22 C; მ. 10,39 C); არავის ეძლო დაყენებად მისა (მრ. 5,4); არა-მეძეა ეძლოა ამას ... ყოფად რაისამე (ი. 11,37); რავდენცა ეძლოს (ეზგ. 46,11); უკუეთუ ვერ ეძლოს ველსა მისსა ყოფად ცხოვარი (ლევ. 5,7 O).

11. ქ-ხილ-ამ-ს (ჩანს, იხედება, გამოიყურება). თუალად ჰხილავნ თუალნი იგი საფირონი (თუალთ. 13,14); სვეტაკის ფერადცა ჰხილავნ და მსგავსადცა ღვინისა (იქვე, 61,6).

12. ქ-პურ-ამ-ს (ხურს, გახურებულია; გადატ. აგზნება. გამხნეება, შეგულისა-ნება, თანაგრძობა). რომელიმე ვურავნ სხვსაცა საღმობასა თანა და რომელიმე ვურავნ ხოლო მარტოდ (Sin. 35, 254vb,3 ქვ.); რომელი ვურავნ ხოლო მარტოდ. გინა თუ რომელსა თუალნი ხოლო ეღმიედ (იქვე, 255ra,14-17).

ამ ზმნასაც უნდა ჰქონდეს I სერიის სხვა მწკრივები: ვინ უძლურ არნ, და მე არა უძლურ ვიყვი? ვინ დაბრკოლდებინ, და მე არა ვკურვიდი (2 კორ. 11,29). ზოგ ხელნაწერში უწყვეტლის ხოლმეობითის ნაცვლად უწყვეტელია: ვკურვიდი (უწყვეტელსაც აქვს განგრძობილი მოქმედების გადმოცემის უნარი).

### ც) სხვა ზმნები

აქ შემოდის რელატიური ზმნები, რომლებიც საარვისო ან სასხვისო ქცევის ფორმით იხმარება. პირველ შემთხვევაში მათ ჰრეფიქსად ა აქვთ (ა-ბ-ს, ა-ღ-ს, ა-ს-ბ-

ს...) ანდა იშვიათად უნიშნოა (ჰ-მატ-ს). მეორე შემთხვევაში — ი/უ (უბ-ს, უდგ-ს...). მეორე სერიაში ყველა გაერთიანებულია და ე პრეფიქსით იწარმოება (ე-მატ-ა, ე-ბ-ა, ე-დგ-ა, ე-სხ-ა ...).

მიყვეთ ამ რიგით.

1. ჰ-მატ-ს (მეტია, აღმატება, აჭარბებს, მეტი აქვს). არაა ით ვინ მშატს სახლს ამას შინა და არც გარეშე (დაბ. 39,9); რაოდენთა სასყიდლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა მშატს პური (ლ. 15,17); ვარსკულაენი ვარსკულაესა მშატნ ღიდებითა (1 კორ. 15,41); რაოდენ ეამ მკვდრი იგი ყრმაღა არნ, არაა ით მშატნ მონასა (გალატ. 4,1 CD); მთავარი ... ყოველთა მშატლად სიმღიდრითა (ზარზმ. 190,43); არა თუ მატლეს სიმართლუ თქუენი უფროს მწიგნობართასა და ფარისეველთასა, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა (მ. 5,20 C); რომელმან ფრად მობილო, არა ემატა (2 კორ. 8,15 CD).

2. ა-ბ-ს (აბია). არა ცუდად ვრმაღ აბს (პრომ. 13,4); პირი ჩუენი განღებულ არს და არა აბს კარ (აღწ. 233,3); აწ უკუე რომელი-მე ვნებაი არს, რომელი არა შეაბს სიმორეალესა? (სინ. 113,4 = გამობმულია, დამოკიდებულია); ამა ორთა მცნებათა შინა ყოველი შჯული და წინაისწარმეტყუელნი გამოაბენ (მ. 22,40 C). ზმნისწინიანი ფორმები აქაც გვხვდება. უზმნისწინობა, მამასადამე, სტატეკური ვნებითის აბსოლუტური ნიშანი არ არის; მუნ ება /ცხენი/ (Q-240, 164).

3. ა-დგ-ს (აქვს). სასტიკ არს მვეცი იგი და რქაი ერთი ადგს თავსა მისსა ზედა (სახ. 240,29); თავი ადგს ... წულილი (პარხ. 764a); პირ ადგს (ათქს ო) და არა იტყვან (ფს. 113,13); ყურ გადგან და არა გესძის (მრ. 8,18 C). აქვე შეიძლება დაეუმატოთ ამ ტიპის ია დაბოლოებანი წარმოება: თავსა ადგია გვრგვნი (ათონ. 11, 198v); არს მუნ შინა დედაკაცი, რომელსა ჰბურავს თავსა ბონძი, ხოლო შინაგან ადგია მას გვრგვნი სულიერი (კიმ. I, 206,17).

ასეთივეა აგრეთვე არტყია: შერტყებული სარტყელითა ოქროსადითა არა წულთა ზედა, ვითარცა-იგი სხუათა კაცთა არტყია..., არამედ მკერდსა ზედა ერტყა ბუბუთა თანა (გამოცხ. 1,13 თ); რომელსა ებოსა სამოსელი სელისად წმინდა და ბრწყინვალე, და მკერდთა მათთა ზედა ერტყა სარტყელები ოქროსად (გამოცხ. 15,6).

დედალს მას არა ადგნ მუცელი (სახ. 237,38); იყო მუნ კაცი, რომელსა ველი განვებლ ედგა (მრ. 3,1,3; ლ. 6,6,8); რომელსა ერთი თუალი ედგა (საკ. წ. II, 92,6); ას ეშაბი ცეცხლისად დიდი, რომელსა ედგნეს თავნი შვდნი და რქანი ათნი (გამოცხ. 12,3); გესხნეს ყურნი და არა ისმინეთ (სინ. 144,1); ხოლო ამას უბადრუკსა ძაღლისა თუალნი ესხნეს (საკ. წ. II, 119,2); ვითარმცა ვის ესხნეს ცოცხალნი ველნი და ფერვნი და წინა-ედგა მას ჭამადი მრავალი და სცონრადამცა, რადით მიყოს ველი მისი პირსა და მობილოს ჭამადისა მისგანი და განიძლოს თავი თვისი (ისტ. ქრ. II, 11,10).

როგორც ვხედავთ, სუბიექტის მრავლობითში დასმისას ზმნას ფუძე ზოგჯერ ეცვლება (სხენ ენაცვლება — ყურნი გესხნეს, თუალნი ესხნეს), ზოგჯერ კი უცვლელი რჩება (თავნი ედგნეს).

4. ა-სხ-ს. /ზეთისხილსა/ ფურცელი ასხს მარადის (სინ. 232,25); თმაი არა ასხს მათ (ცხ. ეფრ. 86,22); მსგავს არს იგი ხესა, რომელსა ფურცელი არა ასხს და



ნაყოფი არა აქუნ (Sin. 35, 280ra.4).

5. ა-ე [-\*ა-ძს ← ა-ბ-ს] (აქეს). სხუაი სამარადისოი სახმ აც (სახ. 239,36).

5'. ზარ-ა-ე ხოლო მამულისა ჩემისა რჩულისათვის სიტყუადვე ზარ-მაც და მრცხუნენისცა (ევსტ. 153,35); ვითარცა დედაკაცისა ბოროტისა და სახე-უკეთურისა-გან ზარ-გაც და ერიდებით მარხეასა (სინ. 109,23).

5'. ზედა-ა-ე (ვეალება, მართებს, აკისრია, ვალდებულა). აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა-მაც მისლვად და ხილვად (ლ. 14,18); მეცა ზედა-მაც ესე ყოველი (საკ. წ. II, 129,25); მოილე .. ასი დრაჰკანი, რომელსა ზედა-აც ჩემი შენსა ამას მოყუასსა მწირსა (იქვე, 118,19); ზედა-ედვა მას ასი დრაჰკანი (იქვე, 118,13).

5'. თანა-ა-ე (ვალდებულა, აკისრია, მართებს). აწ მეცა თანა-მაც, რაითა განუვდე ბრძოლად მტერსა მას ქრისტიანეთასა (აბო 170,7 =მევალება, მოვალე ვარ); რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისა (ლ. 16,5); თქვენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანად ფერუთა (ი. 13,14); თანა-აც ეგვიპტისა ქორწილისა ქებათა სულიერად აღწერად (სინ. 230,35); თანა-ხაც ჯორციელობათა მსახურებდ მათა (პრომ. 15,27 X); რომლისათვისცა თანა-გუაც კმა-ყოფად სიტყუათა ამით (სინ. 110,28); სამართალ არს მიცემა სესხისა. რომელი-ოგი თანა-ედვა (ისტ. ქრ. II, 33,38); რომელი თანა-გუედვა ყოფად, ვყავთ (ლ. 17,10).

6. ა-ხ-ს (ახლოა, უახლოვდება). მე მივახ აღსრულებად (დაბ. 25,32 ლატ. ოშკისაში იკითხება "მახლოვებულ ვარ" და უკვე აღარაა სტატიკური ვნებით); ჭირი მახს მე (ფს. 21,11); ახს ოგი მას ვითარ სამით მილიონით (საკ. წ. II, 66,21); ნუმცა ვინ დააკლდების სანატრელსა მას სამკვდრებელსა, რამეთუ ესერა მახს მოსლვად (ისტ. ქრ. II, 21,29).

როგორც ვხედავთ, იშვიათად ამ ტიპის ზმნებს შეიძლება ზმნისწინიც დაერთოს (მივახ, მოვახ...). მაგრამ საერთო წესს ოდნეადაც ვერ დაარღვევს. სხვა ყველა კომპონენტი სტატიკურისა აქვს (თემის ნიშნისა და სხვა რაიმე მანარამობელის უქონლობა). ამიტომ დინამიკურ ვნებითან არევის (დამთხვევის) საშიშროება არა დგას. შდრ. დინ. ვნ.: მი-ე-ე-ახლ-ებ-ი, მო-ე-ახლ-ებ-ი-ს, რომლებშიც, ახლ. თავის მხრივ, ალბათ, დასაშლელია.

7. უ-ა-ს (უბია, აქეს). არა უბნ მათ ძირ, არამედ საწუთრო არიედ (მრ. 4,17 C); მათ ძირი არა უბნ, რომელთა-ოგი ჟამ ერთ ჰრწამნ და ჟამსა განსაცდელისასა განდგიან (ლ. 8,13).

8. უ-დ-ს (უდგას, აქეს). წყალი არა გვქეს და ამისთვის წარვლენ ფარას, რაითა წყალი მოიღონ (მამ. ცხორ. 173,5. გვქეს ←გვდგეს); ნუუკუე სახლებ არა გიდგს ჭამად და სუბად (1 კორ. 11,22); ვის უდგნ სახლი უსუსური (Sin. 35, 305ra. 10); რომელსა კარნი არა უდგანედ (ლიბ. 8,29); ედვა მათ კარული ხენეში სამსახურებელად მათა (საკ. წ. II, 92,21); უკუეთუ არა მედგას ვარი მშრომელი, ვითარმე იყოს ჩემდა აგარაკი ოგი (ისტ. ქრ. I, 251,11; სინ. 67,20); კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი (მ. 18,12); ამას ნაწინ ედგნეს ექუსნი თვისნი (საკ. წ. II, 130,13); საცხოვარი თუ გედგნენ, ჰლუწოდ მათ (ზირ. 7,24).

9. უ-ე (უბევს, აქეს). არა იცი, ვის-ესე ჰბრძავ შენ და ვისა მიმართ საჭმე ვიც? ფოკა ჰრქუა: მე ვიცი, ვისა მიმართ საჭმე მიც (საკ. წ. II, 40,2); მიც ჩუენ

ნუგეშინის-საცემელი პური უბელი (კომ. I, 166.6 = გვაქვს); დიდი იყო იოვანეცა, არამედ რამ სწორება უც უფლის თანა (სინ. 87.21); უკუეთუ ვისმე ყანაი უცნ უცმარი და უნაყოფო და ეკლოვანი (სინ. 139.11); უწყის კაცად-კაცადმან, რამ ვის უცნ თვისს ვანსა (ისტ. ქრ. II, 3.12); არა თუ გლახათაი რამე ზრუნვაი ედვა მას (ი. 12.6); რომელსა ედვას ორი სამოსელი, მიეცინ, რომელსა-იგი არა აქუნდეს (სინ. 87.5).

9. **ძალ-მც.** გრწამსა, ვითარმედ ძალ-მცე ესე ყოფად (მ. 9.28 = შემიძლია); ხოლო სახესა მას შობისასა ვერ ძალ-მცე მიწდოლვად (სინ. 33.5); ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განსაქტაკებად გინა დაშავებად (მ. 5.36); ძალ-გიც შესუმად სასუმელი, რომელ ჩემდა შესუმად არს (მ. 20.22; მრ. 10.38); როცა ნაგულისხმევი მორფოლოგიური სუბიექტი ნარიან მრავლობითშია წარმოდგენილი, მისი მრავლობითობა ზოგჯერ ასახულია ამ რთული ზმნის მეორე ნაწილში (თვით ზმნაში): ხოლო სასწაული ეამთანი ვერ ძალ-გისხენ გულისუპის-ყოფად (მ. 16.3 C. მაგრამ შდრ. იქვე: ვერ ძალ-გიც გულისუპის-ყოფად DE. ასეთი იშვიათი ფორმები ნიშანდობლივია ადიშის ოთხთავისათვის); სხუანი აცხოვნა, თავისა თვისისა ვერ ძალ-უც ცხოვნებად (მ. 24.42; მრ. 15.31); უკუეთუ ჰგონებთ თქვენ, ვითარმედ ძალ-რამე-უც კერპთა მათ თქვენთა (საქ. წ. II, 24.7); ხოლო მათ ჰრქეეს: ძალ-გვც (მ. 20.22); იშვიათად ამ რთული ზმნის სახელადი ნაწილი სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი: ძალი არა უც დადგომად წინაშე შენსა (ისტ. ქრ. II, 9.39); მას ძალი არა უც და უძღურ არს (იქვე, 17.19). ეს უკვე არა სიძველე, არამედ სიახლეა, რთული ზმნა დაშლილია, სახელი ცალკე ერთეულადაა გამოყოფილი, მათ შორის (ორივე შემთხვევაში) არა ნაწილაკა მოთავსებული. მნიშვნელობაც თითქოს ცოტათი შეცვლილია: "ძალა არა აქვს". ორივე მაგალითი ერთ ხელნაწერშია (Sin. 97).

ვერ ძალ-მედვა (მ. ცხ. 241v); რომელ შენ ... ტვრთვად ვერ ძალ-გედვა (სინ. 10.1); ვერ ძალ-ედვა სლვად (მამ. ცხორ. 6.21); რადენ ძალ-ედვას წარლებად (დაბ. 44.1).

## G. ტიპის (და ჯგუფის) შეცვლა

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულში ვნებითი გვარი მრავალგვარ ფორმას გვიჩვენებდა. ეს იყო პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და უნიშნო სახეობანი. პირველ ორში ორი ქვეჯგუფი გვქონდა: პირველში — ინიანი (დაიძალა) და ენიანი (დაემძალა), ხოლო მეორეში — ენ სუფიქსიანი (შევეწუხენ) და ღონიანი (დავებრდი). ასე რომ, არსებითად სულ 5 ტიპი იყო.

ღრთთა ვითარებაში ამ მწყობრ სისტემას ბზარი გაუწინდა, ცალკეულ ტიპებში დიდი ცვლილებები მოხდა: ზოგი ჯგუფი გაუქმდა, ზოგიერთში შემავალი ზმნები სხვა ჯგუფებში გადავიდა. ყველაფერ ამას გარკვეული, თავ-თავისი საფუძველი ჰქონდა.

a) ყველაზე მეტად მინც ენ სუფიქსიანი ვნებითი დაზარალდა. ენ სუფიქსის ნაცულად ყველა ზმნამ დ სუფიქსი მიიღო და მთლიანად ღონიანთა ჯგუფში მოექცა (შეწუხ-და, დაგლახა-და, განმტკიც-და). ეს რღვევა თვით ძველ ქართულში

დაიწყო. მერმე თანდათან სწრაფი ტემპით განვითარდა და ახალ ქართულში აღარც ერთი ფორმა არ გადმოსულა. ამ საკითხზე ზემოთ უკვე იყო მსჯელობა. ახლა თავმოყრილი სახით წარმოვადგენთ ნიმუშებს:

გ: აღბორცდა კარაული იგი და გარდამოავლო იგი ქუეყანად (კომ. I, 337,29); აღბორცდა ეშმაკი მის ზედა და უშზირდა. ვითარცა მონადირა იგი (ლიტ. ქრ. 313,8).

დ: დაყუღდა ზღუა და ლელუანი მისნი (ცხ. ეფრ. 96,14); მაშინდა დაყუღდეს კაცნი და აღასრულეს ესრცთ (იქვე, 102,3); გიბრძანებ, რაითა დასცხრე და დაყუღ-(დ)ენ ლოცვანი შენნი (იქვე, 96,13); დაყვენ ქუაბსა შინა სხუანი ათნი დღენი და გამოვიცხადდეს შენ საიდუმლოდ დიდი (აპოკრ. 90,10).

კ: მღიდარნი დაგლახაკეს (ფს. 33,11 წლ; ყ რედაქციის BDE ხელნაწერებში ძველებური დაგლახაკენს იკითხება).

ტ: ყოველნი, რომელნი მუნ ღგეს...სრულიად დაემტკიცებოდეს და განჭეშმარიტდებოდეს (თეკლა 122,7).

ფ: განკვფდი ცოდვასა შინა და ვერ შემძლებელ ვარ განრომად (სწავ. 205,18); განკვფდი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა (ურთ. 167,25; შდრ. იქვე მოქმედებით: განმკაფეს მე და განმლიეს მტერთა ჩემთა: 168,28); სადა არს, რომელი-იგი დაშურა და განკვფდა შეკრებასა მონაგებისასა (სწავ. 222,31); ზოგჯერ ეს დონი ყრუ კჳ ბერების გაუღენით ყრუდება და თ-დ იქცევა: უკუეთუ ოქროი და ვეცხლი და ფასი, რომელი განკჳთების, იგი გიყუარდეს, მიცემულ არს შენდა (თეკლა 223,27 A). B ხელნაწერში უასიმილაციო ფორმა იკითხება (განკჳდების). დონიანის გვერდით არის ინიანი ვნებითიც: ვორცნი მათნი დაიბზარნეს და განიკაჳნეს, რომელშიც კაჳ ძირი უკუმშეველადაა დაცული.

ღ: რაითა არა ერთიერთსა ზედა განპლადდეთ (1 კორ. 4,6 ლატ.).

ხ: მაშინ განრისხდა მარზაპანი იგი მეფისაი (ასურ. 193,31); განრისხდა დიკო მსაჯული (Sin. 62, 39va,3 ქვ.); ნუკაჳე განრისხდეს უფალი (ფს. 2,12); განურისხდა მას უფალი იგი თვისი (მ. 18,34 ლატ.); შეპრისხდა მას ღმერთი (ფს. 17,8); უკუეთუ ვინმე შეპრისხდის, მასუხობნ ტკივილით (სწავ. 65,7 C); მაშინ შეწუხდეს იგინი ფრიად განშორებისა მათისათვის (ცხ. ეფრ. 96,24); რაითა არა შესწუხდეთ (1 თესალ. 4,13 ლატ.).

ვ-სა და მ-ზე დაბოლოებულ ფუძეებში დ უკვე თავიდანვე გვქონდა. ყოველ შემთხვევაში ძველ ქართულში ის საკმაოდ ხშირად გვხვდება (დადუმდა, ადყუავდა, განცრუვდა, დაღამდა...). ამის შესახებ უკვე ითქვა, როცა დონიან ვნებითებს ვიხილავდით.

რატომ დათმო ენ სუფიქსმა თავისი ადგილი და იგი დ (←ედ) სუფიქსს გადაულოცა? ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ აქ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით.

1. დ-ზე დაბოლოებული ფუძეები ბევრი იყო, ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ. თუმცა ენ სუფიქსი გაცილებით მეტი თანხმონის შემდეგ იხმარებოდა, მაშინ როდესაც დ-ს მოქმედების არე მხოლოდ სამი თანხმონით განისაზღვრებოდა (ლ. ნ. რ. რაც შეეხება ვ-სა და მ-ს, ამათ შემდეგ ორივე სუფიქსი გამოიყენებოდა), მაგრამ სახელთა ლ. ნ. რ-ზე დაბოლოებული ფუძეები გაცილებით მეტია ჩვენს ენაში, ვიდრე

ყველა დანარჩენ თანხმობანზე დაბოლოებული. უნიფიკაციისას ამ სიმრავლეს გადა-  
შეწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ერთ უპირატესობა სწორედ დ-ს და არა ენ-ს.

2. ენ მეტისმეტად გადატვირთული იყო ძრავალი სხვადასხვაგვარი ფუნქციის შესრულებით: ა) იგი გამოხატავდა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობას (წერ-ენ, ჰყოფ-ენ, ილოც-ენ, აქებ-ენ...); ბ) მას ევალებოდა გარკვეულ შემთხვევებში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა (მოკლ-ენ მკეცი, კენ-ენ საჭენი, მიეს-ენ წიგნი...); ც) ენ აწარმოებდა ვნებითებს გარკვეული ტიპის ნასახელარი ზმებიდან (შეწუხ-ენ, განსჭაპ-ენ, დატლასა-ენ ...); დ) ენ დაბოლოება გექანდა II ბრძანებითის მესამე პირის მხოლოდობით ისეთ ზმნებში, რომელთაც წყვეტილის მწკრივის ნიშნად ე მოუდიოდათ: (მან იგი) დაწერ-ენ, ჭამ-ენ, იხილ-ენ, დაუტყუ-ენ, განამტკიც-ენ... მართალია, ეს ენ დაბოლოება იშლება: ე წყვეტილის მწკრივის ნიშანი (სწორედ ამ ფუძეს იყენებს II ბრძანებითიც), ხოლო — მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლოდობით, მაგრამ ეს ანალიზისას. ტექსტებში კი ისინი ერთად იყენენ და ერთი მთლიანი სუფიქსის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ყოველ შემთხვევაში, სხვა ენ სუფიქსებში არევის საშიშროება ახლდა თან. ამ არევის თავიდან ასაცილებლად, რა თქმა უნდა, ენა უპირატესობას მისცემდა ვნებითის გამოსახატავად ძალზე გავრცელებულ დ სუფიქსს.

3. იშვიათად ზოგ ზმნაში ენ სუფიქსით ნაწარმოები ვნებითი და მოქმედებითი, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითში იგულისხმებოდა, ერთმანეთს ემთხვეოდა საესებით, და ეს არა ერთ რომელიმე მწკრივში, არამედ II სერიის ყველა მწკრივში. მაგალითად:

მოქმ.

ვნებ.

წვეპილი

გან-ე-წმიდ-ენ	მე	ივინი
გან-ს-წმიდ-ენ	შენ	"
გან- წმიდ-ნ-ა	მან	"
გან-ე-წმიდ-ენ-თ	ჩვენ	"
გან-ს-წმიდ-ენ-თ	თქვენ	"
გან- წმიდ-ნ-ეს	მათ	"

გან-ე-წმიდ-ენ	მე
გან-ს-წმიდ-ენ	შენ
გან- წმიდ-ნ-ა	იგი
გან-ე-წმიდ-ენ-თ	ჩვენ
გან-ს-წმიდ-ენ-თ	თქვენ
გან- წმიდ-ნ-ეს	ივინი

II ბრძანებითი

გან-წმიდ-ენ	შენ	ივინი
გან-წმიდ-ენ-ი-ნ	მან	"
გან-წმიდ-ენ-თ	თქვენ	"
გან-წმიდ-ენ-ელ	მათ	"

გან-წმიდ-ენ	იგი
გან-წმიდ-ენ-ი-ნ	იგი
გან-წმიდ-ენ-თ	თქვენ
გან-წმიდ-ენ-ელ	ივინი

II სოლპობითი

გან-ე-წმიდ-ნ-ი	მე	ივინი
გან-ს-წმიდ-ნ-ი	შენ	"

გან-ე-წმიდ-ნ-ი	მე
გან-ს-წმიდ-ნ-ი	შენ

გან- წმიდ-ნ-ის მან "   
 გან-ე-წმიდ-ნ-ით ჩუენ "   
 გან-ს-წმიდ-ნ-ით თქვენ "   
 გან- წმიდ-ნ-იან მათ "

გან- წმიდ-ნ-ის იგი   
 გან-ე-წმიდ-ნ-ით ჩუენ   
 გან-ს-წმიდ-ნ-ით თქვენ   
 გან- წმიდ-ნ-იან ივინი

II კავშირებითი

გან-ე-წმიდ-ნ-ე მე ივინი   
 გან-ს-წმიდ-ნ-ე შენ "   
 გან- წმიდ-ნ-ე-ს მან "   
 გან-ე-წმიდ-ნ-ეთ ჩუენ "   
 გან-ს-წმიდ-ნ-ეთ თქვენ "   
 გან- წმიდ-ნ-ენ მათ "

გან-ე-წმიდ-ნ-ე მე   
 გან-ს-წმიდ-ნ-ე შენ   
 გან- წმიდ-ნ-ე-ს იგი   
 გან-ე-წმიდ-ნ-ეთ ჩუენ   
 გან-ს-წმიდ-ნ-ეთ თქვენ   
 გან- წმიდ-ნ-ენ ივინი

ასეთი რამ დ-ს არასოდეს არ შეეძებოდა. ამიტომ. ბუნებრივია, ენა სწორედ დონს ირჩევს ამ ტიპის ზმნათაგან ვნებითების საწარმოებლად.

4. ენ სუფიქსიანი ფორმები (ვნებითი) საუღლებლადაც უფრო რთული იყო, ვიდრე დ სუფიქსიანი. ეს ეხება განსაკუთრებით წყვეტილს, აგრეთვე მასზე დამყარებულ II ბრძანებითს. აქ I და II პირები ერთად დგანან (ენ სუფიქსი უკუმშველია). მესამე პირი (მხოლოდობითა და მრავლობითში) — ცალკე (ენ სუფიქსი შეკუმშულია, ე დაკარგულია):

შე-ე-წუხ-ენ შე-ე-წუხ-ენ-თ   
 შე-ს-წუხ-ენ შე-ს-წუხ-ენ-თ   
 შე- წუხ-ნ-ა შე- წუხ-ნ-ეს

სხვა რომ არა იყოს რა, როცა კაცი მესამე პირში შეწუხნა-ს ნახავს (ტექსტში) ან თუ გაიგონებს, აქედან ერთი მოკლე ნაბიჯია იქამდე, რომ I და II პირში დაწეროს (თუ თქვას): მე შეეწუხნი, შენ შესწუხნი. მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს შეცდომაა. საქმეს ართულებს ის გარემოებაც, რომ ენაში ხშირად შეგვხვდება შეეწუხნი-ც და შესწუხნი-ც (აგრეთვე მრავლობითში: შეეწუხნით და შესწუხნით), მაგრამ ესენი II ხოლმეობითია და არა წყვეტილი.

აი, ამიტომ იყო, რომ ენამ ენ სუფიქსი სამართლიანად სულ გააძევა და მისი ფუნქციები დ-ს გადააქისრა. დ თავიდანვე თავის პოზიციაზე მტკიცედ იდგა და ახალ შეთავსებულ ფუნქციებსაც პირნათლად ასრულებს.

ამ ტიპის (ენ სუფიქსიანი) ზმნები ზემოთ, თავის ადგილზე გვაქვს ჩამოთვლილი (გვ. 341) და აქ აღარ გავიშორებთ.

b) გარკვეულ შემთხვევებში ენიანი ვნებითი ინიანმა შეცვალა (აღეშართა — აღიმართა). ეს მოხდა, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. დაჰმად-ს ტიპის ზმნებში. როგორც ცნობილია, ეს ისეთი ზმნებია, რომელთა მოქმედებითიც წარმოშობით სამპირიანია, მაგრამ დროთა ვითარებაში მათ ერთი პირი (ირიბი ობიექტი) დაეკარგათ და ჩვეულებრივ ორპირიან გარდამავალ ზმნებად იქცნენ. შინაარსი, გაგება მხოლოდ ორი პირისა აქვთ, სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტისა. მაგრამ ამ შინაარსეულ ცვლას შედეგად არ მოჰყოლია ფორმის შეცვლაც, პირის ნიშანი დაკარგული ირიბი ობიექ-

ტის ამ ზნებს დიღხანს შემორჩათ: ძველ ქართულში. ყოველ შემთხვევაში, ამ ნიშნის ქონება ნორმაა. მაგალითად: მან იგი დაჰადა, დაჰბეჭდა...

ზუსტად ასევე ორმაგი ბუნებისა ამათი ვნებითიც: მათ შინაარსი. გაგება ერთი პირისა აქვთ. ფორმა კი ორპირიანი ვნებითისათვის განკუთვნილი მოეპოვებათ — ე პრეფიქსით: დაჰადა (= დაიბადა, ე.ი. შეიქმნა, გაჩნდა). დაჰბეჭდა ...

ამ ტიპის ერთადერთ ზნას ვნებითში ერთპირიანთათვის დამახასიათებელი და სუფიქსი მოეპოვება, მაგრამ იქვე წარმოდგენილი დაკარგული ირიბი ობიექტური პირის ნიშანი ჰ-ც: და-ჰ-ცსნ-და (გან-ჰ-ცსნ-და). მაშასადამე, აქაც მართლდება ფორმულა: შინაარსით ერთპირიანი (დაჰცსნდა იგი), ფორმით ორპირიანი (და-ჰ-ცსნ-და იგი).

შემდეგში და შემდეგში ეს განსხვავება ზნის შინაარსსა და ფორმას შორის თანდათან ისპობა, სახელდობრ, ფორმა იცვლის სახეს, შინაარსიც უბაშს მხარს, ერთპირიან ვნებითათვის განკუთვნილ ი პრეფიქსს იყენებს და გვაქვს: დაიბადა, დაიბეჭდა, დაითესა, შეიკაზმა (მოიკაზმა); დაიკრძალა, აღიმართა, განიმარტა, დაიმარტა; \*განიმარჯვა (დღეს აღარ იხმარება ვნებითად), დაინერგა, განიფინა, დაიფლა, განილო, დაიყენა, აღიშენა, დაივსნა (გაივსნა), დაივსა.

ეს ით შეცვლის ამ პროცესს უკვე ძველ ქართულში აქვს სათავე. უკვე აქ გვხვდება არა ერთი და ორი შემთხვევა, როცა მოსალოდნელი ეს ნაცვლად ი არის წარმოდგენილი. ამის მაგალითები ზემოთ, ენა ვნებითებზე საუბრისას, მრავლად გვაქვს მოყვანილი (გვ. 331) და აქ აღარ გავიმეორებთ.

დღეს ზოგ ზნაში მოსალოდნელი ი-ს ნაცვლად ვნებითის მეორე ნიშანი — დ სუფიქსი — გვაქვს. შდრ.

ძველი

აღ-ე-სრულ-ა

აღ-ე-შენ-ა

აღ-მო-ე-ცნ-ა

ახალი

აღ-სრულ-და

ა-შენ-და

აღ-მო-ცენ-და

ძველი ქართულიდან ახალ ქართულს გადმოეცა ამ ტიპის ერთადერთი ზნა. რომელმაც უარი თქვა ი პრეფიქსზე და ისევე ძველებურად ე პრეფიქსით განაგრძობს არსებობას. ესაა მოვეშაღები — მოვეშაღე (განვეშაღები — განვეშაღე). უნდა მოვეშაღო (განვეშაღო), რომელსაც მხოლოდ ერთი პირის გაგება აქვს, ფორმა კი არქაული მოეპოვება — ე პრეფიქსით, თითქოს ორპირიანი იყოს. ესაა ძველი დროის გადმონაშთი, რომელმაც უცვლელად მოაღწია ჩვენამდე.

ც) ზემოთ აღნიშნული გექონდა, რომ ნასახელარი ზნებიდან ვნებითი, ჩვეულებრივ, სუფიქსით იწარმოებოდა. ეს სუფიქსები იყო ენ და დ. გავიხსენოთ, რომ მათ მკაცრად ჰქონდათ განაწილებული სამოქმედო არე: ლ, ნ რ-ზე დაბოლოებული ფუძეებიდან ვნებითს დაწარმოებდა (განცხოველდა, აღშუქანდა, დაბერდა), სხვებიდან — ენ (განვლიგენ, განვჭაპუკენ, შეეწუხენ, განპრისხენ).

ვ და მ ბგერებით დაბოლოებულ ფუძეებთან ენ სუფიქსიც გვხვდება და დ-ც, მაგრამ ძველ ქართულში ეს წესი ზოგჯერ ირღვევა და ნასახელარ ზნებს ამ სუფიქსების (უბთაურესად დ-ს) ნაცვლად ი პრეფიქსი აქვთ. მაგალითად:

ერთ: შეიერთა, შეიერთნეს (= შეერთდა, შეერთდნენ)

კეთარ: განიკეთრა (=გაკეთორიანდა)

კინ: დაიკინა. დაიკინებოდის

მარილ: დაიმარილა, დაიმარილოს (=დამარილდა)

მაალ: აღიმაღლა (=აღმაღლდა)

მწიფ: დაიმწიფის

ნაწილ: დაინაწილებს

ოჯერ: მოიოჯრა (=მოოჯრდა)

სოველ: შეისოველა, შეისოველოს, შეისოველენ (=დასველდა)

ქორწინ: იქორწინებან (ცოლი მოჰყავთ = დაქორწინდება /ვაჟი/)

ღმერთ: განიღმერთო (=გაღმერთდა)

შიშუელ: განიშიშულა, განიშიშულოს.

ყველა ამ შემთხვევაში დღეს ნასახელარ ზნანთა ვნებითის წარმოების გენერალური ხაზი გასწორებულია და მას წესის მიხედვით დ სუფიქსი აწარმოებს (შეერთდა, დაკინდა, დამწიფდა, დანაწილდა, გამიშველდა და სხვანი).

არ შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულში აღნიშნული ზნები მხოლოდ ი პრეფიქსით იწარმოებოდეს. არა. თვით ძველ ქართულშიც გვხვდება სუფიქსიანი წარმოებაც, ყოველ შემთხვევაში, ჩამოთვლილი ზნებიდან ზოგიერთისთვის მაინც (აღმაღლდა, მოოჯრდის, განიშიშულდა...). მაგრამ ნასახელარი ზნების ვნებითების ი პრეფიქსით წარმოება მაინც ნიშანდობლივია ჩვენი ენის განვითარების უძველესი საფეხურებისათვის. ამ საკითხზე უკვე გეჰქონდა საუბარი ინიანი ვნებითების ანალიზისას (გვ. 316), სათანადო მაგალითებიც იქვეა მოყვანილი და აქ აღარ გაეიმეორებთ. ჩვენ აქ გვიანტერესებდა ვნებითის წარმოებისას ტიპის შეცვლა და ის მიზეზები, რამაც ეს პროცესი განაპირობა.

d) უნიშნო ვნებითები ზოგ შემთხვევაში ცდილობენ ნიშანი გაიჩინონ. მათ ყველაზე მეტად შეეფერებათ (მათთან ყველაზე ახლოა) ინიანთა ჯგუფი. ამიტომ ძველი უნიშნო დღეს ინიანი ხდება. ამის კარგი მაგალითია ძველი ქართულის შეკრბა და ახლის შეიკრბა: ხალხი შეიკრბა, ჩვენ შევიკრბეთ (/შევიკრბენით), თქვენ შეიკრბეთ (/შეიკრბენით), იგინი შეიკრბენ. ამის მსგავსად გვაქვს დღეს: დაიშრიტა (←დაშრტა); დაისხლიტა (←დასხლტა); დაიგლიჯა (←დაგლჯა); დაიწრიტა (←დაწრდა. შდრ. ადგილნი, რომელთა შინა შეწრდის წყალი წვძისა: ექუსთ. 57,26) და სხვანი.

ცალკე უნდა შევეხოთ ორ ზნას: დავიღინე მე ღმრთისა მიერ მცველად მას ზედა (ლომ. 3,32; 5,34); ბაგათა შინა დაიწონა ველთ-შეუხებელი იგი და წრფელი და უსხეული (მრავ. 283,3). ორივე ზნას უნიშნო ვნებითის მარტივ ფუძეზე ინი სუფიქსი აქვს დამატებული: დევ + ინი → დეინ. წევ + ინი → წეინ, და მათგან ი პრეფიქსიანი ვნებითია მიღებული.

თვით ძველ ქართულში ზოგი ამ ტიპის ფორმა დონიანი ვნებითითა შეცვლილი: ცეცხლი იგი დაშრტდა, და თეკლა განერა მისგან (თეკლა 105,20 A). ვარიანტი (B) ძველებური დაშრტა იკითხება. როცა ფორმაში ვნებითის მაწარმოებელი ნიშანი არა ჩანს, გასაგებია, რომ ზოგი ასეთ ნიშნად ი-ს ჩასვამს, ზოგიც დ-ს. დღეს, როგორც ვნახეთ, აქ უმეტესად ინიანი ფორმები იხმარება.

არის საწინააღმდეგო შენაცვლება: ძველი ქართულის ინიან ვნებითს დღეს უნიშნო ენაცვლება. ამის მაგალითია დაეთვერ (ძველი) და დაეთვერი (ახალი). აი, ამის მოწმობანი ძველი ქართულიდან: ნუ დაითრეუბი ღვინთა (ბოლნ. 82,25); დაითრეუ გულის-წყრომისაგან (პარხ. 969a); ვითარ სუა მან ღვინო და დაითრო და იღვა განძიშულუბული (ისტ. ქრ. I, 254,31); დაითრევნით ნუ ღვინსაგან (ეს. 29,9); სუეს ღვინო და დაითრევენს მის თანა (დაბ. 43,34); რაჟამს დაითრევის, არა მოივსენის ბეგობარნი (2 ეზრა 3,22); ყოველმან კაცმან კეთილი ღვინო პირველად წარმოღვის და, ოდეს დაითრევიან. მაშინ უჯერესიცა (ი. 2,10); შენ დაითრო და იყო უგულუბელ (ნაუბ 3,11); ხოლო იგი დაითროს და დაბნულდეს და ჩემთა მათ განიხარონ და აღდგენ (უდაბ. 102rb).

დღეს ორივე ფორმა იხმარება (დათვრა, დაითრო). უნდა ვიფიქროთ, რომ ძველადაც, უფრო ადრე, უნიშნო ვნებითიც უნდა გვქონოდა. სხვა საბუთთა შორის (ზნის აგებულება, ფუძე ...) ამას უჩვენებს აგრეთვე მიძღვობის ისეთი წარმოება, როგორიც უნიშნო ვნებითის ტიპის ზნებს სასაიათებს — მ—არ (მ—ალ) აფიქსებით. შდრ. მთრვალი (სინ. 69,20); დამთრვალი (გამოცხ. 17,6). აქედან: მთრვალობა (ლ. 21,34); მომთრვალი (მ. 24,49).

## H. უნიშვიკაძის

ქართულში ვნებითის სხვადასხვა სახეობიდან ყველაზე ხშირია პრეფიქსიანი ვნებითები — ინიანი და ენიანი (ერთად აღებული). მათ ბევრი თვისება ერთნაირი სასაიათებთ. მაგალითად, ორივეს ერთნაირად უწოდება II სერიის მწკრივების მრავლობითში ენ—ნ სუფიქსი, რომელიც, როგორც ვნახეთ, მათ სათანადო მოქმედებითიდან გადმოჰყვათ, როცა ამ უკანასკნელში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა იყო ასახული: დამმალენ შენ ჩუენ (პ. ობ.) — ჩუენ (სუბ.) დავიძალენით. ეს ენ—ნ სუფიქსი, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო პრეფიქსიანი (ინიანი და ენიანი) ვნებითისათვის, შემდეგ და შემდეგ ზოგადდება და სხვა ტიპის ვნებითებსაც უწოდება.

1. უპირველეს ყოვლისა, იგი იწყებს დამკვიდრებას ინი-ენიანი ვნებითის იმ ორ ზნაში, რომლებიც გამონაკლისის სახით არ დაირთავდა ამ სუფიქსს. ესაა მოქცევა (მიქცევა, შექცევა ...) და რღუევა ზნები. აქ ენ—ნ-ს გაჩენას ყველაზე მეტი საფუძველი ჰქონდა: თუ ინიანი ან ენიანი ვნებითია (იყო კიდევ ასეთი), მაშასადამე, ენ—ნ სუფიქსიც უნდა ჰქონდესო. ეს თვალშისაცემი თვისება კი ახსოვდათ, მაგრამ აგონდებოდათ ამ ზნების ისტორია და ენ—ნ-ს განუკითხავად ამატებდნენ. მაგალითად: კულად იქცენს ქალაქადვე (ცხ. ეფრ. 92,21); და მიქცნან მუნვე მიწად მათა (ფს. 145,4 ლ. B); სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებასა მიექცნენ (აბო 49,28 IKMN); კაცად-კაცადმან ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თვისნი გარე-წარიქცინნენ და ზღაპრებასა მიექცნენ (საქ. წ. II, 46,17); რაჟამს მართლუკუნიქცნენ ყოველნი მტერნი ჩემნი (ისტ. ქრ. II, 60,19); დაირღვნან მთანი მყარნი და კლდენი (მოქც. 133,20 ლ.). სხვა მაგალითები ნ. ზემოთ (გვ. 302).

2. შემდეგ ეს ენ—ნ სუფიქსი ანალოგიით გადადის უნიშნო ვნებითებშიც. მაგალითად: შევიდა იგი ერთსა რომელიმე მონასტერსა და დაადგრნა მუნ (საქ. წ. II,



138.10): რომელინ დაადგინენ შიშსა შენსა (რიფს. 29): განტყნის სულსაგან წმიდისა (Sin. 97, 190vb.3): ვითარცა ჩველთა უგუნურთა, შესცთნეს (სიბრძ.ობ.24შ).

3. ენ-ნ გეხვდება ნასახელარ ზნაში, რომლის ფუძეც რ-ზეა დაბოლოებული. როგორც ვნახეთ. ასეთ ზნათა ვნებითი ღონიანია, მაგრამ ენ-ნ სუფიქსს აქაც კი შეუღწევია და ღონის ადგილი დაუჭერია: რაითა მე განვმდიდრენე ღმრთეებითა (მრავ. 299,6).

ენ-ნ სუფიქსი საშუალი გვარის ზნებშიც გადავიდა. ეს გასაგებია: საშუალი გვარი თავისი შინაარსით ვნებითის გვერდით დგას, იგიც გარდაუვალია, იმაშიც ნაკლებად იგრძნობა სუბიექტის აქტიურობა. აღნიშნული პროცესი შეეხო რწმენა და ცვენება ფუძეებს. აი, რამდენიმე ნიმუში: და ჰრწმენეს მთავრისა სიტყუანი (აპოკ. 74,1); დაეცვენით პირთა თვისთა ზედა (სინ. 267,25); ჩუენ ყოველნი ქუეყანად დაეცვენით (მოც. 26,14); ზეით გარდამოეცვენით ყოველნი მისთანანი (პარხ. 691a); სამართლად შეეცვენით ამას განსაცდელსა (კიმ. I, 306,17); დიდსა ღელვასა და მიმოტაცებასა შთაეცვენით (ი-ე, 116,3); ესევითარნი საეშმაკოისა მის ქარისაგან შეირყინენ და დაეცვენენ (გამოცხ. 6.12 თ C).

## I. ვნებითის მოწალა

ძველი ქართული ვნებითის მრავალფეროვანი ფორმებით უფრო მდიდრი იყო, ვიდრე ახალი ქართულია. ზოგი ვნებითი ახალ ქართულში სულ მოიშალა და ახლა დიდი გაჭირვებით გვიხდება მათი აღწერითად წარმოება. საუღლებელი ზნის ვნებითი გვარის მიძლეობას (ფუძეს თუ სახელობითი ბრუნვის ფორმას) იქნა მეშველ ზნას ეუმატებთ. მაგალითად. თუ ძველად გეჭონდა ვნებითის მარტივი ფორმები იპოვა. იქადაგა, მოიყვანა, მოიკლა, ახლა ამით ნაცულად იძულებული ვართ. ვთქვათ და ვწეროთ: პოვნილ(ი)/ნაპოვნი იქნა (აღმოჩნდა), ქადაგებულ(ი) იქნა. მოყვანილ იქნა (მოვიდა), მოკლულ(ი) იქნა (მოკვდა). და ეს გამოთქმებიც ყოველთვის ზუსტი არაა: "მოვიდა" ზუსტად ვერ გამოხატავს ძველებურ მოიყვანა-ს. "მოიყვანა" "მოვიდა"-ზე მეტია. ეს არაა უბრალოდ. თავისი ნებით მოვიდა, აქ მომყვანიც იგულისხმება: მოვიდა ვილაცის დახმარებით, ხელის შეწყობით, იძულებით თუ ძალით. ასევე, სხვადასხვაა "მოკვდა" და "მოიკლა" (ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარამედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ კელმწიფობენ ძენი მისნი: ხანძთ. 214,5). "მოიკლა" — მტრის მიერ მოკლულ იქნა, მტერმა მოკლა. ეს ნიუანსი ძველი ქართულის თვით ფორმაში ჩანს. ახლა კი იმავე ნიუანსის გამოსახატავად რამდენიმე სიტყვა უნდა ვიხმაროთ. ერთი სიტყვით, ძველი ვნებითების მოშლით ჩვენმა ენამ არამცირედი გამოშახველობითი უნარი დაკარგა.

რამ გამოიწვია ამ ვნებითებზე ხელის აღება? სხვა მიზეზთა შორის მთავარია ის გარემოება, რომ ამ ვნებითთა უმრავლესობა სათავისო ქვეყის ფორმას ემთხვეოდა (რომლისაგანაც არის წარმომობილი ინიანი ვნებითი); ამ დამთხვევას ადგილი ჰქონდა მხოლოდ II სერიაში (I სერიაში თითოეულს თავ-თავისი განსხვავებული ფორმები ჰქონდა: მო-ი-კლ-ა-ეს — მო-ი-კლ-ე-ი-ს/მო-ი-კლ-ე-ი-ბ-ი-ს, მო-ე-ი-ტა-ც-ე-ბ — მო-ე-ი-ტა-ც-ე-ბ-ი ...): მოვიკალ მე წყურვილი — მოვიკალ მე, შევიყარ მე ავაზაკი —

შეიქყარ მე. მოვიყვანე მე შვილი ჩემი — მოვიყვანე მე ... ამ ორაზროვნების აღმოსაფხვრელად აიღეს ხელი ასეთი ტიპის ინანი ვნებითებზე. სიმპტომურია, რომ ასეთი ვნებითები დღეს მოიშალა სწორედ II სერიაში, I სერიაში ზოგი მათგანი დღესაც გვხვდება. მაგალითად. იტყვიან: მოიპოვება, აიღება, მიიღება. არ წაიყვანება, ვალი არ გადაიხდება, მაგრამ II სერიაში არც ერთი მათგანი არ იხმარება. ვერ ვიტყვით (ინანი ვნებითის მნიშვნელობით): მოიპოვა, აიღო, მიიღო, წაიყვანა, გადაიხდა. ყველა ამით დღეს მხოლოდ სათავისო ქცევის მნიშვნელობით ვიყენებთ. როცა ამათი ვნებითი დაგვეკორდება, როგორც ითქვა, აღწერთს ფორმებს უნდა მივმართოთ. ასე და ამგვარად, ერთი მხრივ, ორაზროვნება და ორჭოფობა გაქრა, მაგრამ, მეორე მხრივ, დაგვეკარგა (ინანი) ვნებითის მარტივი, გამჭვირვალე და დიდი გამოშასხველობითი ძალის ფორმები, ამის ნაცვლად ხელში შეგვკრა არაეკონომიური, ერთფეროვანი, აღწერთი ფორმები, რომლებიც ენას ამძიძებს.

ახლა აღვწესავთ ამ მოშლილი ვნებითის უმთავრეს ნიმუშებს:

1. ზინე [ვინება, შებიღწვა]: განწმოდენ საქენი შენნი წინაშე ღმრთისა და ნუ რაით ცოდვითა შეიგინებთ (სწავ. 78,26); დედათა გამო ... ყოველნი იგინებთან (სინ. 214,7); უნდოთთა სატურითა შეიგინებთიდ (კომ. I, 105,23); უკუეთუ იგინე ვისგანმე, მოიხსენე, რამეთუ ღმერთი შენი იგინებოდა კაცთაგან (სწავ. 198,30); რომელი იგინა მათგან, კუალად აღდგა აქა (სინ. 155,8); იგინე, რაითა იქო (სწავ. 289,17); გიკხებედენ მას, და იგინოს (ლ. 18,32); იგინი არა შევიდეს ტაძრად, რაითა არა შეიგინენ (ი. 18,28).

2. ღაბ: დაიდგა ყოვლად მუნე იგი მისი მასვე მღვმესა შინა (ასურ. 142,11 = დადებულ იქნა); დაიდგას საყდარი ცეცხლისა საშინელი დიდებითა დიდითა (სწავ. 124,32); რაეამს-იგი საყდარი მსაჯულისანი დაიდგენ (იქვე, 125,15).

3. მალ: გზასა მას სულიერსა ივლინებთიდ (კომ. I, 226,16); რაეამს-იგი განივლინა მიერ პირველ შექმნული მამაი ჩუენი ადამ (სწავ. 101,31); მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას (ლ. 1,19); იონაც მივლინა სინანულისა ქადაგებად ნინეველ (სინ. 163,13); მოვივლინენით წარწყმედად მაგისა და შთაგდებად წყალსა გინა ცეცხლსა (კომ. I, 289,25); წინაწარმეტყუელნი მოივლინენ (სინ. 221,21). დღეს ამით ნაცვლად ვამბობთ: მივლინებულ იქნა, გაგზავნილ იქნა.

4. შირა: აჰა ესერა დღენიცა ვითარცა მკუდარი დავიფლიან და დავიწყებთან (სწავ. 257,9); სახელი ჩუენი დავიწყოს ეამად-ეამად (სიბრძ. 2,4); დავიწყე მე, ვითარცა მკუდარი გულითა (ფს. 30,13; სწავ. 223,13); საინტერესოა, რომ ამავე ფორმით იქვე მოცემულია სათავისო ქცევა: მცირისა გემოდისთვის დავიწყე ცეცხლი იგი უკოვლობისა (სწავ. 129,15). აი, ასეთი ზიარი ფორმების არსებობამ გამოიწვია ამ ტიპის ინანი ვნებითების მოშლა და გადაეარდნა.

5. მალ: იოსებ უდაბნოსა ზედა მვეცისაგან მოიკლოდა (საქ. წ. II, 173,14); არა მვეცმან შეგვკამა შენ, ... არამედ ველთაგან განიძარცუე და მოიკალ (იქვე, 64,16); ესმა, ვითარმედ ღუაწლსა შინა მოიკლა (გულანდ. 213,21). დღეს, როგორც უკვე ითქვა, იქნება: მოკლულ იქნა.

6. მათრა: ერთი სიტყუაი თქუა განკითხვისა მარიამ და მისთვის განკეთებულ იქნა იგი. ვითარცა თოვლი. მარიამ წინაწარმეტყუელი იყო და განკითხვისათვის

განიკეთრა (სწავ. 277,13). ამ საინტერესო მაგალითში ორივენაირი წარმოება გვაქვს: ძველი, ორგნული განიკეთრა და ახალი, აღწერილი განკეთარებულ იქნა. ესაა ამ ტიპის ვნებითის განვითარების მთელი ისტორია.

7. **აოთხ:** ხოლო სულიერმან მან განიკითხის ყოველი და იგი არვისგან განიკითხვის (მატბ. 79,29). აქ განიკითხის სათავისო ქცევაა (II ხოლმ.). განიკითხვის კი — ვნებითი (აწმყო): რომელმან განიკითხოს. იგიცა განიკითხოს (Sin. 36, 145a,15). აქაც პირველი ფორმა სათავისო ქცევისაა, მეორე — ვნებითი. მწკრივი კი ორივეგან ერთია: II კავშირებითი. კვლავ ვიმეორებთ: ამ ტიპის ვნებითების მოშლა და გაქრობა უშთავრესად ასეთ დამთხვევას უნდა გამოეწვია; ნუ განიკითხავთ, რადთა არა განიკითხნეთ (ლ. 6,37).

8. **შახაზრ:** არს პირუტყვ თივის მჭამელი, რომელი ომსახურების ველითა კაცთათა (ეტ. VI, 94,8); /ზეთისხილი/ საკურნებელთა ომსახურების და სათლად (სინ. 233,5); ძმ კაცისად არა მოვიდა, ვითარმცა ომსახურა ვისგანმე (მრ. 10,45).

9. **ნადირ:** რომელი ფრიად მოინადირების ცხოველთაგანი (უძე. რედ. 130,26); იხილულა მფრინველი, რამეთუ ოდესმე ფრზხილითა ოდენ შევარდის მახესა და მოინადირის იგი (სწავ. 279,36). ეს ვნებითია: მოინადირება ხოლმე, გაებება მახეში. მოქმედებითისათვის უფრო ძველ ძეგლებში ნულიანი საარვისო ქცევა იყო გამოყენებული (ცნობადითა მით სათრომელითა სიტყვსადთა სამ ათასნი სულნი მონადირა ცხორებად: სინ. 190,1), მერმე ამ მინაარსით სათავისო ქცევას მიმართავენ (ინადირობდა ნადირთა: ლიტ. ქრ. 166,4; მაშინ ველურთა მათ ღვენა უყვეს და მოინადირნეს და მოსწყვიდნეს ივინი: ბალ. 80,14). ამ დამთხვევას აქაც იგივე შედეგი მოჰყვა: სათავისო ქცევა დარჩა, ვნებითი მოიშალა და გავიდა ხმარებიდან.

10. **ოტ:** ზემოწერილნი იგი წვალუბანი შეიწუნენეს და განიოტნეს წმიდათა მათ კრებათა მიერ (კომ. I, 62,3).

11. **პარ:** ახალ ქართულში ინიანი ვნებითი გა. შე. ჩა ზნისწინებით იხმარება და გაპარვას, ჩუმაღ წასვლას აღნიშნავს. ძველად ასეთი სიტყვა ყოველგვარი საგნის მოპარვაზე ითქმოდა. მაგალითად: საფასეცა მისი მუნ დამარხულ არს და ვერ განიპარვის იგი მპარავთაგან (სწავ. 194,26); კედელი დაითხარებოდა და საფასც არა გამოიპარვოდა (სინ. 223,15); კარი კლიტული ეპოვე, ხოლო არა უწყი, სადათ განიპარა იგი (ლიმ. 53,24. I თურმეობითიე ჩვეულებრივი წესით აქვს: ხუცესი იგი, რომელ საყრობილესა შეეყენეთ, ამას ღამესა განპარულ არს იგი საყრობილით: იქვე, 53,21); რომელ-იგი მოკულა და დაეფლა და მიიპარა მოწაფეთა მათ მიერ (თუალთ. 82,27 = მოპარულ იქნა); ვითარ-იგი მიიპარნეს ჟამნი ჩემნი განმცხრომელი-სანი, ვერ გულისხმა-ვყავ ვემშარიტად (საკ. წ. II, 53,14); მაშინ წარიპარიან მორწმუნენი ესე წმიდანი და შევიდინ ეკლესიად (ისტ. ქრ. II, 104,39).

12. **პოვ:** არამედ ვიპოვე მე მეთათრთმეტისა ჟამისა თანა (ისტ. ქრ. I, 179,6 = აღმოჩნდი); ვიპოვემცა შესაძმელად მისა და განსაძმებელად იოსების წილ (საკ. წ. II, 64,3); ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა (მ. 1,18 = აღმოჩნდა); დიდსა შინა ბრალსა ვიპოვენით მონანი შენნი (საკ.წ. II, 73,33); ვარნი არა იპოვნეს ბაგასა (ამბაკ. 3,17); ვიპოო მე უფსკრულთა დათქული და პაერთა ზედა მავალად შერაცხილ ვიქმნე (სინ. 24,14); მერმეცა იპოოს ვინმე.

რობულან ესე შეიმკოს (შუმ. 137,27); აწ ვიწრაფოთ, საყუარელნო, რადთა არა ვიპოვნეთ ვითარცა მონა იგი ფუფუნებასა შინა და უღებებასა (ისტ. ქრ. II, 21,15). დღეს აქ მოყვანილი ყველა ფორმა სათავისო ქცევისაა (მოქმედებითი გეარია); ვნებითი კი, სამწესხაროდ. ამ ზმნას აღარ მოეპოვება და აქაც იძულებული ვართ, ისევ იმ ხელოვნურ აღწერითს ფორმებს მივმართოთ: პოვნილ იქნა. რაც შეხება მეორე სათარგმნელ კეივიკალენტს (აღმოჩნდა, აღმოჩნდნენ...), ეს კარგია, მაგრამ სულ სხვა სიტყვაა. ჩვენ აქ საქმე გვაქვს პრ(6)ა ფუძესთან და ჩვენი მსჯელობაც საკუთრივ მას ეხება.

13. აპარ: შეიპყრობვის ბაგითა პირისა თვისისაითა (იგავ. 6,2); გულის-სიტყვითა მით სულიერითა შეიპყრობვიედ და გზასა მას სულიერსა ივლინებიედ (კომ. I, 226,16); აოტენ ვნებანი იგი, რომელი აღდგებოდეს ჩემ ზედა, რომელნი ვერ შეიპყრობებოდეს (Sin. II, 41v,2); და მე ესერა, დედაო, მეყსეულად მპარვად შევიპყარ და ქვეყანასა უცხოსა მონებად მივეცი (საკ. წ. II, 73,13); ორივე ზმნა ვნებითია: შეპყრობილ ვიქენ და მიცემულ ვიქენ; ნებითა ღმრთისაითა შეიპყრა ესე მსახურთაგან აღექვანდრე ველმწიფიისა მის ბოროტის მოყუარისა (Опис. 124,5); პირველ საზრდელისა მიღებადმდე ერისაგანთა მიერ შეიპყრა და მიიყვანა წინაშე კეისრისა (პარხ. 1201. აქაც ორივე ზმნა ვნებითია: შეპყრობილ იქნა და მიიყვანილ იქნა. დღეს არც ერთის ორგანული ვნებითი არა გვაქვს); მთად კერძო ივლტოდე, ნუუკუე თანა-შეიპყრა (დაბ. 19,17); უკუეთუ ვინმე შეიპყრას და დაეცეს თვისთა გულის-სიტყვითა, ეგვეითარმან მან განიკურნენ წყლულებადი თვისი სინანულითა (საკ. წ. I, 47,8). აქაც ორივე ზმნა ვნებითია (= შეპყრობილ იქნეს, დაეცეს). "დაეცეს" დარჩა ძველებურად, ხოლო "შეიპყრას" მხოლოდ სათავისო ქცევის გაგებით შემოგვრჩა (შეიპყრას მან იგი). ვნებითის მინარისთ კი მოიშალა.

14. სადილ. სადილება და სამხრება ძველ ქართულში ვნებითად ითვლება ვნებითის ყველა თვისების დაცვით: არა აქვს ობიექტი, I სერიის სავრცობიან მწკრივებში ართავს ოდ სავრცობს, II სერიაში სუბიექტი სახელობითშია, ზმნას მრავლობითში უწნდება პრეფიქსიან ვნებითთა უტყუარი მასსათათებელი ენ-ნ სუფიქსი. თუმცა დაწყებულია პროცესი, რომ პრეფიქსი ი სათავისო ქცევის ნიშნად გაიგონ და ამიტომ ზოგან ოდ-ის ნაცვლად დ სავრცობს იყენებენ. ერთი სიტყვით, ძველ ქართულში გვაქვს იმ პროცესის ჩანასახი. ახალ ქართულში რომ დასრულდა: ფორმა სათავისო ქცევისად გვესმის და II სერიაში სუბიექტს მოთხრობითში ვსვათ (ისადილა მან, ისადილეს მათ). ეს კია, რომ პირდაპირი ობიექტი არა და არ ჩანს. დღეს ჩვენ წინაშე ჩვეულებრივი მედიოაქტივის ფორმები.

ენახით ახლა სათანადო მაგალითები: ისადილებიან, რომელნი შესწირვენ წმიდასა შესაწირავსა (ბოლნ. 40,18); ისადილებიან და არა ისადილებენ; მაგრამ სხვაგან გვხვდება ასეთი. აქტივისათვის დამახასიათებელი, აწმყოს ფორმაც: ხოლო მათ მოშადეს ძღუენი მოსლვად იოსებისა სამხრად. რამეთუ ესმა, ვითარმედ ისადილებს მუნ (დაბ. 43,25); ოდეს ისადილნეს, პრქუა სიმონ-პეტრეს იესუ (ი. 21,15); პრქუა მათ იესუ: მოვედით და ისადილნით (ი. 21,12 DE). C-ს II კავშირებითის ფორმა აქვს გამოყენებული (მოედით, ვისადილნეთ). რადგანაც I პირიც არის ჩართული ბრძანებითში. ასეთ შემთხვევაში II კავშირებითი აუცილებელია. ცხადია, ამ

ფორმებში სუბიექტად სახელობითი იგულისხმება: ისადილნეს იგანი, ისადილნით თქუენ — მოწაფენი, ვისადილნეთ ჩუენ — მოწაფენი.

15. საშარ: ხოლო ქარინოს ჰრქუა მათ, რომელნი-იგი ისაშზრებოდეს (საქ წ. II, 119,14. მაგრამ: მაშინ ეპიფანე ასწავებდა ტაბლასა მას ზედა, რომელნი-იგი ისაშზრებდეს: იქვე. 119,13); და ისაშზრეს იგანი, და წარვიდა კაცად-კაცადი თვისსა ეკლესიასა (იქვე. 118,9). მაგრამ ზოგან არა ჩანს ვნებითის ენა სუუიქსი, ე.ი. ფორმა მედიაოქტიკად ესმით: ვისაშზრეთ ერთად (მ. ცხ. 215v); რაითა ისაშზრონ (იქვე. 218v). ძველი წესით მოსალოდნელი იყო: ვისაშზრენით და ვისაშზრნეთ, მაგრამ ვნებითის მოშლა ამ ზნებში თვით ძველ ქართულშია დაწყებული. ამიტომ ზემოთ მოყვანილი ჭრული მაგალითები საკითხის ისტორიის შესწავლისათვის მეტად ფასეულია.

16. საჭურის: არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათეს ცათასა (მ. 19,12). ხაზგასმული ორი ერთნაირი ფორმიდან პირველი ვნებითია, მეორე — მოქმედებითი, სათავისო ქცევა. პირველს, როგორც წესია, აჩრდილივით თან ახლავს მოქმედების რეალური ჩამდენი, რომელიც ნათესაობითში დგას და გან თანდებული ერთვის — კაცთაგან (შიდიღებოდა მიერ თანდებულიც ხლებოდა — კაცთა მიერ). ვიმეორებთ, ინიანი ვნებითის თვისება სწორედ ესაა: ფარულად, შინაგანად იგულისხმება ნამდვილი მოქმედი, რომელიც ზმნის ფორმასთან პირის საშუალებით არაა დაკავშირებული, მაგრამ აზრით, შინაარსით იქვე ივარაუდება. ამას ვერ ვიტყვივით დონიან და უნიშნო ვნებითებზე: როცა ვამბობთ, ვთქვათ, დაბერდა და გახმა, შინაგანად არ იგულისხმება, თუ ვინ დააბერა და გაახმა, ვისგან, ვის მიერ დაბერდა და გახმა. განსახილველი ზმნის სათავისო ქცევა დღეს შიდიღება ვიხმაროთ. ვნებითი კი — არა.

17. სწავლა. სწავლა ძველად აგრეთვე "დასჯას", "გვემას", "ტანჯვას" აღნიშნავდა. ეს შემთხვევითი არაა. შდრ. ბერძნული παιδεύω, რომელიც აგრეთვე სწავლა-აღზრდასა და დასჯას გამოხატავდა. ჩვენ სწორედ უკანასკნელი მნიშვნელობა გვაინტერესებს. აი, ორიოდე ნიმუში: რომელი განისწავლა ღმრთისა მიერ განსაცდელითა აქა, არა იტანჯოს იგი საუკუნესა (სწაე. 48,6); წერილ არს, ვითარცა თქუა პავლე მოციქულმან. მსწავლის ჩუენ ღმერთი აქა, რაითა არა ვისწავლნეთ დღესა მას აღდგომისასა (იქვე. 48,4).

18. ტად: სიტყუა და საქმ მისი ვითარცა ფურცელი ქარისაგან მიმოდაიტაცებინ (სწაე. 237,20); ვიდრე იგი დგადა და მითქმინდა ჩუენებასა მას შინა, მივიტაცე მე ქალაქად და უთხარ ყოველი ესე ჩუენება ეპისკოპოსსა მას იოვანეს (ისტ. ქრ. I, 251,4, სინ. 67,12); ვიხილე მე დღეს, რეცა მივიტაცე მე სულითა და აღვედ მე ბორცუსა ერთსა მცირესა (კიმ. I, 307,14 = მიტაცებულ ვიქენი); ხოლო ეტყფანე ჰგონებდა, ვითარმედ ვორცითა აღიტაცა წმიდა ნერსე (ურთ. 79,3); ამაკუმ ანგელოზისაგან აღიტაცა და მიიცვალა (სინ. 167,14); ვითარცა შესწირვიდა ოდენ წმიდა იგი ლოცვასა მას, აღიტაცნეს სულნი წმიდისანი მის ზედა (კიმ. I, 159, 33); ვითარცა აღიტაცის მტურერი ძლიერისაგან ქარისა (ისტ. ქრ. II, 17,22); ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს. და ერთი დაეტყეოს (მ. 24,41; ლ. 17,35

=გატაცებულ. წაყვანილ იქნება); აღიტაცნენ მართალნი იგი ღრუბლითა შემთხუვად უფლისა (ისტ. ქრ. II. 22,26); მოიტაცნენ შესუენებულნი ანგელოზთაგან საშინელთა (საქ. წ. II. 59,8). რაითა არა წარიტაცნენ სიკუდილისა მიერ (გამოცხ. 6,6 თ).

საზგასმული მაგალითები ყველა ვნებითა, ერთპირიანია. უძრავლესობაში იქვეა წარმოდგენილი ყოფილი (კონვერსიამდელი) სუბიექტი, რომელიც ახლა ზმნასთან პირის საშუალებით აღარაა დაკავშირებული, მაგრამ მას ახლავს თან. ესაა ანგელოზისაგან (აღიტაცა), ანგელოზთაგან (მოიტაცნენ), ძლიერისაგან ქარისა (აღიტაცის), სიკუდილისა მიერ (წარიტაცნენ), ღრუბლითა (აღიტაცნენ), სულითა (მივიტაცე) და სხვ. სხვა შემთხვევაში, როცა ასეთი რეალური სუბიექტი არაა წარმოდგენილი, იგი მინც იგულისხმება ან შეიძლება ვიგულისხმოთ. აქაც უნდა გავიშუროთ: ასეთი ვნებითის ფორმები დღეს აღარ გვაქვს, მოგვეპოვება კი (და ხშირადაც) სათავისო ქცევა: მან იგი მოიტაცა, აღიტაცა, გაიტაცა, წარიტაცა.

19. **აჲ:** "განტყვნა", "დატყვნა" ძველად ნიშნავდა თავის გატყვნას (ტვინის გამოდენით), ჩაქოლვას. იხმარებოდა მოქმედებითადაც (განტყნა მან იგი) და ვნებითადაც (განიტყნა იგი). დღევანდელ ენაში ეს ფუძე საერთოდ აღარ იხმარება, ამდენად, არა გვაქვს მისი ვნებითის ფორმებიც. აი, ძველი ქართულის რამდენიმე ნიმუში: მეძავნი პირველითა შჯულითა ქვითა განიტყვნოდეს (სწავ. 129,22); სამ-გზის კურთხითა ვიგუებე. ერთ-გზის ქვითა განვიტყნე (2 კორ. 11,25); იგი თავადი არს უფალი ჩემი სტიფანე, რომელი-იგი ქვითა განიტყნა ურწმუნოთა მიერ ჰურიათა (ისტ. ქრ. I, 248,27; სინ. 64,22); მარადის დღე და ღამე სამარობანსა შინა და მათათა შინა იყო, ღალადებნ და ქვითა დაიტყვნინ (მრ. 5,5 C); კუროი იგი ქვითა განიტყვნენ და უფალი მისი მის თანავე მოკუდეს (გამ. 21,29).

20. **აჲჲ:** ნუმცა შევიტყუებთ ჩუენ დაწყეულისა და ამოის-შსახ-ურისა მეფისა მიერ (ურთ. 106,2); ნუ ჰკონებ ჩემსა, ვითარცა აღრე-აღრე შევიტყუე შენ მიერ (კიმ. I, 179, 3); ოდესმე ძმაი ვინმე შეიტყუეა ეშმაკისაგან ესევითარითა რაითმე (ნოვ. II, 182,19 = მოტყუდა, შეცდენილ იქნა).

21. **ქადაგ:** და მე, რომელი წინაწარმეტყუელთაგან ვიქადაგები, მეცრუებით (სინ. 147,22); ჯუარი არა იქადაგებოდა პირველ და ყოველი სოფელი სიკუდილსა დაეპყრა (იქვე, 234,9); აღივსო ყოველი სოფელი ქრისტეანებითა, და ყოველსა ქუეყანასა იქადაგა ქრისტემ (ეესტ. 153,23); ცხოვრებაი საკუნოი სოფელსა შინა იქადაგოს (იქვე, 8,29 = იქადაგება); ძველად ამ ზმნას სათავისო ქცევის ფორმები არ ჰქონდა, მოქმედებითი ნულიანი საარვისოთი და სასხვისო ქცევის ფორმებით იწარმოებოდა: ქადაგა მან იგი, ქადაგეს მათ იგი, ჰქადაგო შენ იგი, უქადაგა მან მას იგი. ასე რომ, იქადაგა ძველ ქართულში მხოლოდ ერთი გაგებით იხმარებოდა — ვნებითად (იქადაგა — ქადაგებულ იქნა, ნაქადაგები იქნა). ასეთი (ინიანი) ფორმები დღესაც მხოლოდ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება — მოქმედებითად (სათავისო ქცევით: იქადაგა მან იგი). აქ ფორმა დარჩა. შინაარსი (ზემოთ აღნიშნულთა მიხედვით) შეიცვალა. პასივი აქტივად იქცა. სრულიად ამგვარი ხასიათისაა აღრე აღნიშნული იპოვა, რომელიც ძველად მხოლოდ ვნებითი იყო (პონილ იქნა), ხოლო დღეს მხოლოდ მოქმედებითა და სათავისო ქცევაა (იპოვა მან იგი).

22. ლ: კაცნი მართალნი აღილებიან და არაუნ განიცდის. რამეთუ პირისაგან სიცრუისა აღებულ არს მართალი (იერ. 57,1). აღება აქ მიტაცების, გაჭრობის. მოსპობის მნიშვნელობით არის ნახმარი: მიმღობასაც ეს გაგება აქვს. საინტერესოა, რომ ლ ფუძე მრავლობითში არ არის შენაცვლებული მრავლობითისათვის განკუთვნილი ხუ ფუძით — აღიხუნიან. მაგრამ ლ მრავლობითში ძველ ქართულში სხვაგანაც გვხვდება. სხვა მაგალითები: არა შენ შესცოდე, არამედ შეცოდებათათვის ერისათა აღილო ნათესავი თქუენი მათგან (ურთ. 81.8 = მოისპო, გაჭრა); მოვიდენ დღენი, რაუჟამს აღილოს მათგან სიძმ იგი. მაშინლა იმარხვიდენ მათ დღეთა შინა (მრ. 2,20 C). DE-ში ამის ნაცვლად აღმაღლდეს იკითხება, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს: რაუჟამს კარი დაევძას. ვერლარავინ შემძლებულ არს ვაჭრობად ... ცულ იქნეს სავაჭროდ და აღილოს ვაჭრობად (სწავ. 95.31). ეს ნიშნავს: შეწყდება, გაუქმდება. მოისპობა ვაჭრობა. დღეს, რა თქმა უნდა, აილო, აილოს ამ გაგებით (ვნებითად) არ იხმარება, ესენი დღეს მხოლოდ სათავისო ქცევის შინაარსით გვაქვს გამოყენებული. ვნებითისთვის აქაც აღწერითის ფორმას ვიყენებთ (მოსავალი აღებულ იქნა, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, სახსრები გაღებულ იქნა).

23. ჰმან. ზემოთ (გვ. 314) ამ ზმნაზე სხვა საკითხთან დაკავშირებით (აღმოიყვანა — აღმოიყვანა = მოქმ. და ენ.) უკვე საკმაოდ გვექონდა საუბარი. სათანადო მაგალითებიც იქვეა მოყვანილი. ამიტომ აქ მოკლედ მოვეჭრით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მოიყვანა. წარიყვანა და სხვა ინიანი ფორმები დღევანდელ ენაში მხოლოდ და მხოლოდ სათავისო ქცევის გაგებით იხმარება (მოიყვანა მან იგი), ვნებითის მნიშვნელობით (მოიყვანა იგი) იგი დიდი ხანია არ გვხვდება. ამის ნაცვლად აქაც, როგორც სხვა შემთხვევებში, აღწერითი წარმოება გვაქვს: მოყვანილ იქნა, გაყვანილ იქნა, შეყვანილ იქნა და სხვ. მაშასადამე, ორგანული ვნებითი ამ ზმნაშიც მოშლილია და აღარ იხმარება.

აი, რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი ძველი ძეგლებიდან: ხოლო წმიდაი იგი მიიყვანებოდა ქრისტის მიერ ვებლად (ისტ. ქრ. II, 60,15); ოდეს იხილოს თვისი უფალი, შეკრული ველითა და მიიყვანებოდის ჭენებით და ყურიბლის ცემით განკითხვად უღმრთოთა წინაშე (სწავ. 180,9); ევკატედ მოიყვანე ველთაგან უცხოთათა (საკ. წ. II, 66,37); მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უღაბნოდ (მ. 4,1 = ამოყვანილ იქნა); იყო სიკუდილი გლახაკისა მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიადთა აბრასამისთა (ლ. 16,22); ორნი იყვნენ ველსა გარე: ერთი იგი წარიყვანოს, და ერთი დაეტყვოს (მ. 24,40 = ერთი წაყვანილ იქნება, მეორე დარჩება. აღიშნის ოთხთავში წარიყვანონ იკითხება, მაშასადამე, ფორმა მოქმედებითისადაა გაგებული); დღესა კერიაკესა გამოიყვანენით ჯოჯოხეთით (სწავ. 218, 10); /რადენნი/ უკრწუნელს მას სიძარტილისა სასძლოსა მიიყვანნენ (სინ. 10,22 = მიყვანილ იქნებიან).

24. ჩუნდ: ნუკუკუ შენ გაქვს უწუძროებაი იგი ისრაელისა, რამეთუ ეგვიტარად იწუნები (სინ. 130,12 = ჩანხარ); განწესებაი იგი ღმრთის შახსურისა მეფისა ჩუენისა მიერ დაწერილი შეიწუნების (კიმ. I, 73,3); ზემოწერილი იგი წვალუბანი შეიწუნნეს და განიოტნეს წმიდათა მათ კრებათა მიერ (იქვე. 62,2). შეიწუნნეს = შეჩვენებულ იქნენ. ასეთი მიმღობიანი ფორმა მოქმედებითშიც გვხვდება: შეწუნებულ ყვეს იგი და მიულეს პატივი მთავრობისა მისისა (სინ. 65,6). უფრო მორგებუ-

ლი და უფრო ხშირია, რა თქმა უნდა, შეაჩვენეს.

25. **აღ.** განცდას ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: ა) დანახვა, შეხედვა, დათვალიერება და ბ) გამოცდა შეცდენის მიზნით. აქ ჩვენ მეორე მნიშვნელობას ვეხებით: ვინმემცა იყო. საყუარელნო, რომელიმცა არა განიცადებოდა, ოდესღაც თვთ იგი თავადი განიცადებოდა უდაბნოს ზედა ემმაკისაგან. და პეტრე, თავი იგი მოწაფეთად, განიცადებოდა ზღუას ზედა, ოდეს-იგი იწყო დანთქმად (ბოლნ. 19,24,25,27); ნუ განსციდი, რამთა არა განიცადო (საკ. წ. II. 140,21; 141,1); რომელნიმე ტანჯვითა და გუემითა განიცადნეს (ებრ. 11,36). გამო ზმნისწინით ეს ზმნა ძველადაც ხშირად იხმარებოდა და დღესაც არაიშეითად გვხვდება: ერთ დღეს ასი სტუდენტი გამოიცადა.

26. **აფ.** მონაი დაიცვების და უფალი არა ჩას (სინ. 98,20); არამედ ძალისაგან უხილავისა დაიცვებოდეს (ურთ. 57,6); მიყავ ველი შენი და დამდეუ გუერდსა ჩემსა, რომელ უთესლოდ მოვილე ქალწულისა მარიამისაგან და დავიცვე ქალწულადვე (სინ. 174,11); ზოლო ნეტარი იგი უფლისა მიერ შეწეენითა დაიცვა (სინ. 11, 354v,1 ქვ.); ამისთვის მწრაფლ მოიცვა იერუსალმში ვესპასიონის მიერ (ისტ. ქრ. I, 243,27; კომ. II,100,10 გარემოცულ იქნა. შდრ. იქვე სათავისო ქვეყის ფორმა: მოვიდა და მოიცვნა ჰურიანი: ისტ. ქრ. I, 243,25; სინ. 56,39; კომ. II, 100,8); ვიდოდე ყოველსა პასაკსა ქრისტესსა და ძალითა მისითა უბიწოდ დაიცვე (მრავ. 301,17); რამთა დავიცვნეთ გონებანი და ასონი ჩუენნი სიწმიდით, რამთა დავიცვნეთ ცოდვისაგან (სწავ. 142,7). აქ ორი დავიცვნეთ გვაქვს, რომელთაგან პირველი მოქმედებითია, სათავისო ქვეყა, ზოლო მეორე — ვნებითი. აქედან მეორე აღნიშნული მიზეზის გამო მოიშალა, პირველი კი კვლავინდებურად იხმარება.

27. **ა:** ზოლო ბუნება გონებისა არა დანთქმის სიღრმესა შინა გუამისასა და არცა განიბების სივშომისაგან ვორცთამსა (უძე. რედ. 166,14); ოდეს-იგი ჭამა მისგანი. განშიშულდა. განიძო იგი სამოთხით ღმრთისაით (სწავ. 217,9); რაჟამს ექსორია იქმნის უცხოსა ქუეყანასა და განიძის სამკვდრებელისაგან მამულისა (იქვე. 79,7); ოდეს-იგი განიძო /შენ/ მათგან, პოვო იგი, რომელი წარიძლუნე წინაშე შენსა (ბალ. 41,31). დღეს ვიტყვით "გაძეებულ იქნაო", ორგანული ვნებითი აღარა გვაქვს. შევნიშნათ იმასაც, რომ თვით მოქმედებითი დღეს სხვანაირად იწარმოება: ძვე მარტივ ფუძედ ესმით. ამას ემატება ებ თემის ნიშანი. მეორე სერიაში ებ ჩამოსცილდება, მაგრამ ძვე უცვლელად რჩება: გააძევა, გავაძევე, გააძევეს. ძველ ქართულში კი ევ არ ჩანდა არც I და არც II სერიაში: გან-ე-ა-ძე-ბ, გან-ა-ძე-ბ, გან-ა-ძე-ბ ... გან-ე-ა-ძე, გან-ა-ძე, გან-ა-ძო. ცხადია, სხვადასხვა საწყისებიც: გან-ძ-ე-ბ-ა (ძველი) და გა-ძე-ე-ბ-ა (ახალი).

28. **აზ:** დლითგან იოვანე ნათლის-მცემელისაით ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაი იბულების (მ. 11,12); ყოველი ვინვე მისა მიმართ იბულების (ლ. 16,16); მადლისაგან ღმრთისა იბულებოდა იგი, რამთა გამოჩნდეს მვნედ მოწამედ (კომ. I. 120,24); მას ეაშსა ვიბულებ წარსლვად მიტროპოლიტისა ჩუენისა (ლიმ. 103,22); მაშინ ... იბულებს მიცემად იოვანსსავე ტყუედ (ლიმ. 56,9). ახლა ვიტყვით: იბულებული გახდაო.

29. **აა:** აქ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა უნდა გამოვეყოთ: ა) მოწყვლა,



დაჭრა და ბ) შეწყალება. ფუძე ორივეს ერთი აქვს — წყალ.

ა) უმანი საზარელნი ისპოდანი, და პირნი საშინელნი იხილევბოდანი, გონებანი კაცთანი დაიწყლევბოდანი და ცრემლთა მდინარენი დიოდანი და საფუძველნი ქუეყანისანი იძროდანი (სწავ. 123,5); დაღათუ შეგცოდე შენ და მოვიწყალ წყლულე-ბითა სასიკუდინობითა (იქვე, 231,8); ვითარ წარეწყმდი და მოვიწყალ წყლულეობითა დიდითა (პარხ. 767b); ვითარცა-იგი ლუაწლსა სოფლისასა მრავალნი იწყლნიან და იცემნიან (სწავ. 134,24).

ბ) რომელი ვიყავ მე პირველად შემობარ და მდეენელ და მაგინებელ, არამედ შევიწყალე, რამეთუ უმეტრებით ვიყავ ურწმუნობასა შინა (1 ტიმ. 1,13); ვცრემლო-ოდე წინაშე წმიდათა მარტვლთა შენთა, რადითა შევიწყალო მე ჟამსა მას ძწოლისასა (საკ. წ. II, 47,28); რამეთუ გუასწავა, რომლითა მიზეზითა შევიწყალნეთ ღმრთისა მიერ მოწყალისა (სწავ. 200,7).

30. პაჲ: მოსესხე ხარ სასტიკი, რომელი არა გარდაიჲადები (სწავ. 220,4).

ამნაირი მაგალითები სხვაც ბევრია, მაგრამ აქ შეიძლება აღნუსხულითაც დაკმაყოფილდეთ.

## VII. მომავალი დროის გამოხატვის საშუალებანი ძველ ქართულში

როგორც აწმყოს მწკრივის განხილვისას დავინახეთ, ძველ ქართულში აწმყოს ზმნისწინიან ფორმებს არ ძალუშ მომავალი დროის გამოხატვა, იქ აწმყოს უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები ორივე ახლანდელ დროს უჩვენებს (გვ. 79). წერს და დასწერს (გადასწერს, მისწერს, მოსწერს, შთასწერს ...) ორივე ახლანდელი დროა (пишет), იქ ზმნისწინი ასეთ შემთხვევაში უძღურია. მაგრამ ხომ საჭირო იყო მომავალი დროის გამოხატვა? რასაკვირველია, ისეთ განვითარებულ და ფორმებით მეტისმეტად მდიდარ ენაში, როგორც ძველი ქართულია, მომავალი დროის გადმოცემის შეუძლებლობა a priori აბსოლუტურად გამორიცხულია. და, მართლაც, ძველ ქართულ ენას შეეძლო მომავალი დროის გამოხატვა სხვადასხვა საშუალებით. თანაც ამ განსხვავებულ საშუალებებში სხვადასხვა ნიუანსი იყო ჩაწნული.

### A. კავშირებითის შორეები მომავალი დროის გამოსახატავად

ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო I და II კავშირებითის მწკრივები, პირველი უფრო ნაკლებად, მეორე — გაცილებით უფრო ხშირად.

როდის იხმარებოდა I კავშირებითი და როდის — II? მათი ხმარება დამოკიდებული იყო იმაზე, სრული ასპექტის გამოხატვა სჭირდებოდათ თუ უსრულისა. სრულ ასპექტს II კავშირებითი გამოხატავდა, უსრულს — I. მაგრამ აქ თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა ლაპარაკია მომავალი დროის I და II კავშირებითის ფორმებით გადმოცემაზე, ჩვენ ვგულისხმობთ თხრობითიკლოიან მომავალ დროს, ისეთ მომავალ დროს, რომელსაც თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, თორემ I და, განსაკუთრებით, II კავშირებითი მომავალ დროს დღესაც გამოხატავენ. მაგრამ დღეს ასეთ ფორმებს მნიშვნელობაც კავშირებითისა აქვს, მაგალითად: მინდა, რომ ვაკეთებდე. ეწერდე, ესწავლობდე, მივდიოდე ... მინდა, რომ ვაკეთო, ეწერო, ვისწავლო, წავიდე. ვიპოვებო. ჩვენი მსჯელობა აქ მხოლოდ თხრობითიკლოიანი მომავალი დროის წარმოებას ეხება.

მეორე მხრივ, I კავშირებითის იმ შემთხვევებშიც ირჩევდნენ, როცა ზმნას II სერიის ფორმები საერთოდ არ ჰქონდა. როგორცაა ბევრი საშუალები გვარის ზმნა, სტატიკური ვნებითი და სხვ. მაგალითად: ტიროდის, წუხდეს, იგლოვდეს, გოდებდეს. უხაროდის, იტყოდის, მიელოდის, აქუნდეს, გალობდეს, კმოდის, სწყუროდის, უწყოდის, იცოდის, ივლტოდის და სხვ.

როგორ უნდა განვასხვაოთ ძველ ქართულში, თუ როდის აქვს I და II კავშირე-

ბითით გამოხატულ ფორმებს თხრობითი კილოს მნიშვნელობა და როდის — კავშირებითი კილოსი? მინაარსის გარდა არის ფორმალური განმასხვავებელი ნიშნები: როცა ფორმებს სათანადო კავშირებიც ახლავს (რადია, ნუკუე), მაშინ საქმე გვაქვს კავშირებით კილოსთან (რადია წარვიდეს საზღვართაგან მათა: მ. 8,34; ნუკუე დათრგუნონ იგი ფერვითა მათითა და მიგექცენ და განგხუთქენ თქუნ: მ. 7,6). ხოლო როცა ფორმები ამ და სხვა კავშირების გარეშე იხმარება — თხრობითთან (არა მნებაეს, არა წარვიდე: მ. 21,30 = არ მინდა. არ წავალ). კავშირებიდან ყველაზე უტყუარია რადია და ნუკუე (=ვაითუ, რომ არ), სხვები შეიძლება ორივე კილოსთან შეგვხვდეს.

აი, რამდენიმე მაგალითი:

**a) გომაველ დროს გამოხატავს I კავშირებითი:**

მიგდეველ შენ, ვიდრეცა ხვდოდი (მ. 8,19 = გამოგყვები შენ, სადაც წახვალ); ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქეელის-საქმესა შენსა, ნუ სცნობნ მარცხენც შენი, რასა იქმოდის მარჯვენც შენი (მ. 6,3 = როცა მოწყალებას გასცემ, ნუ შეიტყობს შენი მარცხენა, რას იზამს შენი მარჯვენა); შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით (მ. 11,3 = ველოდით); ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდან მას (მ. 16,18 = ვერ მოერევიან); კაცად-კაცადი თვისთა სიმდიდრითა იქადოდის მუნ და იხარებდეს (აღწ. 232,21); მაშინ დაბრკოლდებოდან მრავალნი და ურთიერთას შინა-განსცემდენ და იძულობდენ ურთიერთას (მ. 24,10); ყოველი რომელი მოვიდოდის წინაშე ძუალთა ჩემთა და ილოცვიდეს სარწმუნოებით, ეყავნ მათ სიხარულ და კურნება ენებისა მათისათვის (ისტ. ქრ. II, 99,3 = მოვა, ილოცავს); ვინ არა ტიროდის, ანუ ვინ არა იგლოვდეს ჩუნესა ამას წესიერებასა, რომელი საუსე არს მედგრობითა (საკ. წ. II, 52,7 = იტირებს, იგლოვს); ტიროდი აწ და გიგლოვდე ყოველსა ეაშსა (იქვე. 64,12); მიველოდის თქუნ სიმრავლც ანგელოზთაი და ახალსა შესხმასა გალობით გაქებდენ (ეტ. VII, 85,34).

**b) გომაველ დროს გამოხატავს II კავშირებითი:**

აღვდე, წარვიდე მამისა ჩემისა და ეპრქუა (ლ.15,18 = ავდეგები, წავალ მამაჩემთან და ვეტყვი); ვსწავლო და განუტეო ევე (ლ. 23,22 = მაგას დავსჯი და გავუშვებ); არამედ შევიპყრა ყუაეი ისი, მზრდელი ჩემი, შევჭამო და განვისუნო ორ დღე და მომეცეს ძალი და ვიწყო წესისაებრ ნადირობად, მამათა ჩუნთაებრ (ქ. ცხ. I, 190,16 = დავიჭერ იმ ყუავს, შევჭამ, მოვისვენებ ორ დღეს, ძალა მომეცმა და დავიწყებ ნადირობას); უკუეთო განმიტეო მე, მიგცენ შენ სამნი მცნებანი და უზჯობეს იყვნენ ყოველთა მონაგებთა, და-ხოლო თუ-იმარხნე იგინი (ბალ. 57,36 = თუ გამიშვებ მე, მოგცემ შენ სამ მცნებას და /ის/ უკეთესი იქნება ყოველგვარ ქონებაზე, თუ დაიცავ; რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს (მ. 23,12 = ვინც თავის თავს აიმაღლებს, იგი დამდაბლდება, და რომელიც დაიმდაბლებს თავის თავს, იგი ამაღლდება); არა აღვდე ამირ აღვილით (კომ. I, 162,23 = არ ავდეგები).

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ოთხთავის ერთი ადგილი, რომელშიც გადმოცემულია ქრისტეს მორიერდ მოსვლის მითის ზოგიერთი დეტალი. ტექსტში, ცხადია, სულ მომავალ დროზეა საუბარი. მაგალითად: მათ დღეთა შინა შემდგომად

ჭირისა მის შხმ დაბნულეს (=დაბნულდება). მთოვარემან არა გამოსცეს (=გამოსცემს) ნათელი თვისი. და კარსკულენი ზეით გარდამოცკვენ (=გადმოცივდებიან), და ძალნი, რომელნი იყენენ (=იქნებიან) ცათა შინა, შეიძრენენ (=შეიძრებიან). და მაშინ იხილონ (=იხილავენ. ნახვენ) ძმ კაცისაჲ. მომავალი ძალითა და ღიღებითა მრავლითა. და მაშინ წარავლინნეს (=გაგზავნის) ანგელოზნი თვისნი და შეკრიბნეს (=შეკრებს) რჩეულნი იგი ოთხთაგან ქართა კიდითგან ქუეყანისადთ ვიდრე კიდედმდე ცისა (მრ. 13,24-27). აქ ყველა ზმნა II კავშირებითია, ყველა მომავალ დროს გამოხატავს.

მაგრამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა I და II კავშირებითის ფორმები ერთადაა მოცემული. ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს — პირველი, ხან ერთია უფრო ხშირად, ხან — მეორე; ეს ასეცაა მოსალოდნელი: შინაარსი მოითხოვს, რომ ასპექტი სრული უნდა იყოს — ტექსტშიც II კავშირებითი გვაქვს; ტექსტის აზრი საჭიროებს უსრულ ასპექტს — I კავშირებითი იჭერს სათანადო ადგილს. ზოგ ზმნას არა აქვს II სერიის ფორმა, ამიტომ ერთადერთი გზაა, ეს ზმნა I კავშირებითით გადმოიკეს. ერთი სიტყვით, ამა თუ იმ მიზეზის გამო ბევრგან I და II კავშირებითის ერთად ვხვდებით ერთ ნაწყვეტში, ერთ აბზაცში, ერთ მუხლში, ხან ერთმანეთის გვერდიგვერდ. ეს აცილებს ტექსტს ერთფეროვნებას და მას ღიღი გამოშსხველობითი ძალით მოსავს. აი, ამის რამდენიმე ნიმუში:

ნეტარ იყენენ, რომელთა ქმოდის და სწყუროდის სიმართლისათვის (მ. 5,6); არა მივიქცე სარეცელსა მეუღლისა ჩემისასა, ვიდრე არა ღებრთმან მომიბოძოს ძმ ჩემი, არამედ ეტროდი და ვკოდეზდე დღეთა სიბერიისა ჩემისათა (კიბ. I, 162,19); ამენ, ამენ გეტყვ თქვენ, რამეთუ სტიროდით და ჰკოდეზდეთ თქვენ, ხოლო სოფელსა უხაროდის. და თქვენ სწუხდეთ, ხოლო მწუხარებაი თქუენი სიხარულად გარდაიქცეს (ი. 16,20. აქ წარმოდგენილი 5 ზმნიდან პირველი 4 I კავშირებითია, მეხუთე — II კავშირებითი. დრო ყველგან მომავალია: იტირებთ, იგლოვთ, გაუხარდება, იწუხებთ-მეწუხდებით, გადაიქცევა); ვინ არს, რომელი არა ტროდის? ანუ ვინ არა წუხდეს, და რომელი არა განჰკრთეს (ისტ. ქრ. II, 4,9); ხოლო მტერნი იგი თქუენნი, ვითარცა ცვლნი, დადნებოდან ვოჯოხეთსა შინა, ... იყენენ იგინი მუნ ღრჭენასა შინა კბილთასა და სულთქუმასა და იგლოვდენ იგინი ტირილითა ღიღითა და სირცხველულნი დაცვოდან პირსა ზედა თვისსა და ბნელსა მას გარესენელსა მიისხმოდან გუემითა ღიღითა შემთობილნი და არა აქუნდეს მას ყაშსა სიტყვსგებაჲ, არამედ შეძრწუნებულნი ზარისა მისგან განილეოდან, რამეთუ ხელვიდენ საშინელთა მათ პირთა და გულგდებულნი განკვდებოდან (წარტყ. 33,25-32); რომელნი მოვიდოდან თქუენდა სამოსლითა ცხოვართადთა, ხოლო შინაგან იყენენ მეელ მტაცებელ (მ. 7,15).

ასეთია, მოკლედ, ძველ ქართულში მომავალი დროის გამოხატვის ერთი, ყველაზე გავრცელებული და ძველებში უხედა დადასტურებული, საშუალება.

## B. "უნდარობითი" ფორმები (მოსლვაჲ არს)

მომავალი დროის გამოხატვის მეორე გზა, რომელიც შედარებით ნაკლებად

იხმარებოდა. აღწერითი სახისა იყო: საუღლებელი ზმნის ვითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისს ემატებოდა ყოფა მეშველი ზმნა აწმყოში: მოსლვად არს (=მოვა), ყოფად არს (=იქნება, მოხდება), შესლვად ხარ (=შეხვალ), დაქცევად არს (=დაიქცევა), შობად არს (=იშობა, დაიბადება) და სხვ.

მაგრამ ამ ტიპის მომავალ დროს ერთი თავისებურება ახასიათებდა: ის გამოხატვდა ისეთ მომავალ დროს, რომელიც უქცველად. აუცილებლად უნდა მოხდარიყო. ამიტომ ზემოთ მოყვანილი მაგალითების ზუსტი აზრი ახალ ქართულზე გადმოტანისას იქნება: უქცველად, აუცილებლად მოვა; ნინევი დაქცევად არს (იონა 3.4 ლავ.) — ნინევი აუცილებლად დაიქცევა (აოხრდება, განადგურდება). ოშკის ბიბლიაში ეგვიპტე ადგილი ძველი საშუალებით არის გადმოცემული (ნინევი დაიქცეს) და ამით უკვე ნათელი უნდა იყოს, რომ ეს ორი გზა ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის (მომავალი დროის) გადმოცემისათვის არის დანიშნული. მაგრამ ოშკის ხელნაწერის ფორმას აღარ ახლავს ის კატეგორიული, აუცილებლობის მარკენებული ელფერი თუ ნიუნანი, რომელიც ლავურკის ხელნაწერის მიხედვით იგრძნობა. როცა შეძრწუნებული პეროდე მეფე ჩატიებით კითხულობს: სადა შობად არს ქრისტე (მ. 2,4). იგი დარწმუნებულია, მან უქცველად იცის, რომ ქრისტე აუცილებლად დაიბადება. მაგრამ არ იცის დაბადების ადგილი.

კატეგორიულობა და აუცილებლობა არის ამ ტიპის მომავალი დროის განუყრელი ნიშანი. საკვებით ბუნებრივია, რომ ა.შანიძე ასეთ ნიმუშებს "უნდაობით ფორმებს" უწოდებს<sup>27</sup>.

ზემოთ ითქვა, რომ ასეთი მომავალი დროის გამოსახატვად ვითარებითში დასმულ საწყისს ყოფა ზმნა უნდა დაემატოს აწმყოს ფორმით (წარსლვად ვარ, მოწვენად ხარ, შობად არს). ახლა ნათქვამს უნდა დაეუმატოთ: ყოფა ზმნის ფორმები მაშინ ერთვის, როცა საჭიროა ზმნა ერთპირიანი იყოს (როგორც გვაქვს აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში). მაგრამ როცა აუცილებელია ზმნას ორი პირის გაგება ჰქონდეს, მაშინ უნდა ავიღოთ სათანადო (შესატყვისი) ორპირიანი ფორმა. ესაა მიც (მაქვს), გიც, უც: შობად უც მას ყრმაა წული და ეწოდოს მას სახელი სვიმონ (კიმ. I, 218.12). ეს ნიშნავს: ის აუცილებლად შობს (მან აუცილებლად უნდა შეას) ვაჟიშვილს და ეწოდოს მას სვიმონი. მაქციით ყურადღება, აქ ორივე სერხია გამოყენებული: შობად უც (კატეგორიული მყოფადი) და ეწოდოს (ჩვეულებრივი მყოფადი). კატეგორიულობა, აუცილებლობა სწორედ შობას ეხება. ამიტომაც იგი მეორენაირი საშუალებით გამოხატული. მაგრამ რადგანაც ზმნა ორპირიანი უნდა იყოს, ამის გამოა უც (მას იგი) და არა არს (იგი).

მიც, გიც, უც რიცხვში მონაცვლე ზმნაა. როცა სათანადო სახელი (წარმოშობით სუბიექტი) მრავლობითშია, ამ ფორმებს ცვლის მისხენ, გისხენ, უსხენ. ვთქვათ: შობად უსხენ მას ყრმანი.

ორპირიანი ფორმების მაგალითები ძველ ქართულში, საერთოდ. ძალიან ცოტაა, ხოლო კიდევ იშვიათია შემთხვევები, როცა სათანადო სუბიექტი მრავლობითში დგას და ამის გამო ზმნის ფუძე შენაცვლებულია.

<sup>27</sup> ა.შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 135.

ახლა წარმოვადგინოთ ზემოთ აღნიშნულის მოწმობას ძველი ძეგლებიდან: მოსლვად ვარ ჩემსავე მას საყდარსა სამეუფოსა (გულანდ. 225,22); მე აქა არღარა მოქცევად ვარ (ევსტ. 147,23 = ველარ დაებრუნდები); ლუაწლოს დიდსა შესლვად ხარ. დედოფალო (შუშ. 134,25); ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ. გარნა თუ ოთხითა გამოვიღონ (იქვე, 138,30); შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, რომელი მოსლვად ხარ სოფლად (ი. 11,27 C. DE-ში იკითხება: სოფლად მოსრული. მშვენიერი მაგალითია: მოსლვად ხარ იმდენად აუცილებლად და გარდუვალად არის მიჩნეული, რომ ზოგან უკვე მოსულად ითვლება); მიბრძანოს თუ მე ქრისტემან, შენ ჩემ წინაშე ვერ დადგომად ხარ (Sin.62, 39va,10); შენ უძვრეს(ს)ალა საარებად ხარ ჩემსა (იქვე, 41vb,14); შენ ველთა მეფისა ბაბილონისათა მიცემად ხარ (იერ. 37,17); ქარი სასტიკი ეკუთებად არს მისა (ს. შეს. 27,27); თუნიერ ყოვლისა იჭვისა ესე ყოფად არს (Sin. 36, 40b,6. ეს არის ამ ტიპის ფორმათა საუცხოო მაგალითი. თვით ტექსტში არის ნათქვამი: თუნიერ ყოვლისა იჭვისა, ე.ი. ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოხდება ესო. ესაა სწორედ ამ ტიპის მომავალი დროის აღფა და ობევა: უეჭველად. აუცილებლად. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, უსათუოდ); დაცემა და დარღვევაჲ ქალაქთაჲ ყოფად არს სოფლებითურთ (კიმ. I, 263,7); რაჲ-მე ყოფად არს ამისა შემდგომად (დან. 2,29); ნუ შესძრწუნდებით, შეიღნო, რამეთუ აღძრეა ზღვსაჲ ყოფად არს დიდი (საქ. წ. II, 140,18); იგი არს ელია, რომელი მოსლვად არს (მ. 11,14); უკუეთუმცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოსლვად არს, იღვებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისისა (მ. 24,43); ნუკუე გალილუადით მოსლვად არს ქრისტე (ი. 7,41); ეუწყა, ვითარმედ /იშხანი/ კულად განახლებად არს პირველებრ ველითა საბანისითა (ხანძთ. 268,8); დავსნად არს სიცოფმ გეჲ შენი მრავალთა წელთაჲ (ეტ. VIII, 91,8); რომელსა-მე ჟამსა ღამისასა ქალაქი ესე დაიქცეს: შემწუნებრებასა-მე დაქცევად არს, ანუ განთიად-მე დათქმად არს? რომელსა-მე ჟამსა ვამა დაქცევისაჲ მოიწიოს (იქვე, 44,34. ამ ნაწყვეტში მომავალი დროის გადმოცემის 4 მაგალითია: ორი II კავშირებითს იყენებს — დაიქცეს, მოიწიოს, ორი კი აღწერითად გამოხატავს მას: დაქცევად არს, დათქმად არს. ის ნოუანსური განსხევება, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, აქ მიმქრალია და მიწინამდელა დაყვანილი); რომელი-იგი შემთხუევად არს მას ჟამსა ყოველთა ცოდვილთა (საქ. წ. I, 46,16); უკუეთუ არა წარვეწყმიდნე ოთხნი ესე კაცნი ადრე, განქარებად არს მსახურებაჲ ღმრთითაჲ (ისტ. ქრ. II, 63,32); ოდეს ქალაქი ესე შუენიერი განრყუნად არს (იქვე, 36,19); იგი თავადი მოსლვად არს და განმჯად ცხოველთა და მკუდართა (ქრისტეფ. 192,14); შესულად ხართ კულად განსაცდელსა და მწუნებრებასა (ისტ. ქრ. II, 77,21); თქვენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ ამას ღამესა (მ. 26.31 DE. C-ში მეორე, ცნობილი, გზა არჩეული: ყოველნი დაბრკოლდეთ); შუოთნი და განსაცდელნი შემთხუევად არიან ადგილსა მას ნამუშავესა შენსა (ზარზმ. 340,2); ყოველნი ერთბამად ერთსა შინა დღესა შთასლვად არიან ჯოჯობეთა დაქცევისა მას ქალაქისასა (ისტ. ქრ. II, 38,14).

აწმყოს გვერდით იშვიათად შეიძლება აწმყოს ხოლმეობითიუ შეგვხვედეს: არა ემინინ თხრობად, უკუეთუ კბილი აღმოვხურად არნ (ისტ. ქრ. II, 40,11).

გიხროდენ, მიმადლებული, რამეთუ მკლავთა შენთა ზედა შემოქმედი ყოველ-

თაი ტვრთვად გიც (სინ. 9.6); ცნობად გიც. ვითარებელ შემძლებელ ვართ შენ თანა შესლვად (აპოკრ. 66.20); მამანო, რომელთა დამკვრებად გიც თქვენ სასუფეველი ცათაი კეთილითა საქმითა თქუენითა (სწავ. 232.29 = უეჭველად. აუცილებლად დაიმკვიდრებთ); უწყებულ იყო მისა. ვითარებელ ფრად შეყვარებად უც მას კეთილი სარწმუნობაი ქრისტის ღმრთისაი და მოძულვად უსხენ კრანი ვლით ქმნულნი (ეტ. VIII. 123.20 = უეჭველად შეუყვარდება. უეჭველად მოიძულვებს); შედგომად შენსა მათ დაყრობად უც პატივი შენი (ისტ. ქრ. II. 76.8); მაგრიად დაწერეთ. რაითა არა შეიძრას. რამეთუ დიდძალი ნაყოფი გამოლვად უც (ს. მეს. 27.26); დაეტევა იგი ვითარცა მკუდარნი და პონებდეს. ვითარებელ არღარა ხლვად უც იგი (იქვე. 49.18 = ვედარ ნახავენ); უკუეთუ ვცხონდეთ, ხლვად გვც იგი, რომელი მამათა ჩუენთა არა იხილეს (ეტ. III, 225.13 = აუცილებლად ენახეთ); დამიწერიეს არა ხოლო მაგისი სახელი, არამედ ყოველთა მოწაფეთა შენთაი. რომელნი წინა ამისა მოავლინენ და რომელნი მოვლინებად გისხენ (კომ. I, 265.15); გამოცხადებად უსხენ ყოველნი საქმენი შენნი (Sin. 36, 110b,3).

ეს მეორე გზა ნაკლებად იყო გავრცელებული ძველ ქართულში და, როგორც ენახეთ, განსაკუთრებულ ელფერს ატარებდა, სხვა ნოუნსური მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნულ საშუალებათა გვერდით ენაში ჩნდება მომაველი დროის გამოხატვის ახალი, მესამე, გზა. ეს ფუნქცია იკისრა ზმნისწინანმა აწმყომ.

### C. ზმნისწინიანი აწმყო მომაველი დროის გამოსახატავად

დროთა ვითარებაში ქართულმა ზმნისწინმა გაიფართოვა თავისი მოქმედების არე და თანდათანობით შეიძინა უნარი, აღენიშნა სრული ასპექტი, ხოლო ზმნისწინიანმა აწმყომ იწყო მომაველი დროის გამოხატვა. ამ დროიდან ძველი აწმყო ორ წრედ გაიყო: უზმნისწინო დარჩა ახლანდელი დროის აღნიშვნელად (წერს, კლავს, კრებს, ენავს, ატფობს ...), ხოლო ზმნისწინიანი გამოყენებულ იქნა მომაველი დროის საწარმოებლად (დასწერს, მოკლავს. შეკრებს, დაკენავს, განატფობს ...). ეს მოხდა სწორედ ისე, როგორც ეს აქეთ სლავურ ენებს, მათ შორის რუსულს (пишет — напишет). დღეს სწორედ ეს წესია დამკვიდრებული ჩვენს ენაში.

როდის მოხდა ამ ახალ წესზე გადასვლა? ეს საშუალ ქართულში ჩამოყალიბდა და მერმე თანდათანობით დამკვიდრდა ახალ ქართულში. სათავე კი თვით ძველ ქართულში ძეგს. ძველ ქართულში მოიპოვება არა ერთი და ორი შემთხვევა, როცა ზმნისწინიანი აწმყო მომაველ დროს გამოხატავს. ამ საკითხს პირველად ყურადღება მიაქცია ა. შანიძემ<sup>248</sup>. მასზე ზ. ჭუმბურიძეს აქვს ვრცელი საციცალური მსჯელობა<sup>249</sup> და ამიტომ სიტყვას აღარ განეგარძობთ, მოვიყვანთ მხოლოდ სათანა-

<sup>248</sup> А. Шанидзе. Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: სმპ, ტ. III, N9, გვ. 953-958; მისივე, საფუძვლები, გვ. 268-270.

<sup>249</sup> ზ. ჭუმბურიძე. მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში: მშეგმ, 11, 1968, გვ. 55-76 (ზოგიერთი მაგალითი ამ შრომიდან გვაქვს დამოწმებული): იხ. მისივე, მყოფადი ქართულ ენაში, 1986.

ლო საილუსტრაციო მასალას.

ყველაზე ნათლად მყოფადის ახალი წესით წარმოება მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში ჩანს, სახელიობრ, სულაში, მისულა-მოსულაში. ეს გასაგებიცაა, რადგან ეს ზმნა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებულია ენაში. ჩვენც აქედან დავიწყით:

თქვენ აღვედით დღესასწაულსა ამას, ხოლო მე არა აღვალ (ი. 7,8). აღვალ აქ ახალი მნიშვნელობითაა ნახმარი. შდრ. ბერძნ. ἔγω οὐκ ἀναβαίνω, რუს. а я еще не пойду. აღიშნის ხელნაწერში ისევე ძველებური II კავშირებითა: მე არა აღვიდე.

არა დაგიტენე თქვენ ობლად. მოვალ თქვენდა (ი. 14,18 C). შდრ. придю к вам. ეს სახლე აღიშნის ხელნაწერს აქვს მოცემული. ძველებურ ფორმას ახლა უკვე DE ხელნაწერები წარმოგიდგენენ.

არამედ მოვალს ეამი (ი. 4,23 DE). შდრ. ἀλλὰ ἔρχεται ἡρα, но настанет время. C-შიც ახალი წარმოებაა, ოღონდ მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: მოვლენან ეამნი. ასეთი მაგალითებია აგრეთვე ი. 5,25,28; ი. 16,2 მუხლებშიც.

ვიცი, უფალო, რამეთუ მესია მოვალს (ი. 4,25). შდრ. Μεσσίας ἔρχεται, придет Мессия. აქ სამივე შატბერდული ხელნაწერი ერთად დგას და ახალ წარმოებას გეჩვენებს.

ოთხლა თთუე არიან, და მოვალს მკაი (ი. 4,35 DE). შდრ. ὁ ἕρισμὸς ἔρχεται, наступит жатва. აღიშნის ოთხთაეი აქაც ძველის ერთგულია. ისევე II კავშირებითს ირჩევს და სხვა ფუძესაც მიმართავს: მკაი მიიწიოს.

წინამძღუარიცა იგი შჯულისა მათისაი მოცემულ არს ველთა ჩუენთა, და ხელე შემოვალს იგი ჩუენდა ერთითურთ მისით (წარტყ. 50,22). შდრ. ნ.მარის თარგმანი: в наши руки предан и вождь их закона, и завтра он придет к нам вместе с своим народом. ორივე ხელნაწერში ასეა (შემოვალს).

არამედ მოვლენან დღენი, ოდეს აღმალდეს მათგან სიძმ იგი, და მშინ იმარხვიდენ (მ. 9,15). შდრ. ἐλεύσονται δὲ ἡμέραι, но придут дни. აღიშნის ხელნაწერი კვლავ ძველებურ წესს იცავს: მოვიდენ დღენი. სრულიად ასეთი სურათი გვაქვს აგრეთვე მრ. 2,20; ლ. 17,22; ლ. 23,29 მუხლებში. ხოლო ლ. 21,6-ში სამივე ხელნაწერში ახალი მოვლენან იკითხება.

მეტ-ნაკლებად იგივე უნდა ითქვას სხვა ზმნების შესახებაც.

წერილ არს: დავსცემ მწყემსსა, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოისა მისიანი (მ. 26,31 DE). შდრ. πατάξω τὸν ποιμένα, поражу пастыря. ესეც ახალი წარმოებაა, ზმნისწინანი აწყყო, დრო კი, როგორც ბერძნული და რუსული თარგმანები უჩვენებენ, მოძავალია. როგორღა იქცევა აღიშნის ოთხთაეი? იგი აქაც ძველ წარმოებას აძლევს უპირატესობას (დავსცე მწყემსი). საინტერესოა, რომ ეგვე ადგილი მარკოზის თავში (14,27) სამივე შატბერდულ ხელნაწერს ძველებურად აქვს მოცემული (დავსცე მწყემსი). ექვთიმესეული რედაქცია (BFGM) პირველ შემთხვევაში (მ. 26,37) ახალ ფორმას ხმარობს (დავსცემ მწყემსსა), მეორეში (მრ. 14,27) — ძველს (დავსცე მწყემსი). გამონაკლისია მხოლოდ B (ტბეთის) ხელნაწერი, რომელსაც ორივეგან ახალი წარმოება აქვს გამოყენებული. გიორგისეული რედაქცია (HIK),



მოლოდინის წინააღმდეგ, ორივეგან ძველ წარმოებას იცავს<sup>20</sup>.

ხოლო ვაი არს კაცისა მის, რომლისა მიერ ძქ კაცისაი მიეცემის (მ. 26,24 E). ასე გვაქვს ეს ახალი ფორმა კიდევ ორ ადგილას სამივე ხელნაწერში (მრ. 14,21; ლ. 22,22). ასე რომ, ძველებური წარმოება მხოლოდ D-ს დაუცავს, და ისიც ერთხელ სამი შემთხვევიდან. აქ ახალი სიოს ქროლა თვალშისაცემა.

ახლა ვნახოთ ამის მოქმედებითი: რომელმან შთამოყოს პინაკს ამას ველი ჩემ თანა, იგი მიმცემს მე (მრ. 14,20). შღრ. εις τὸ τριβλιον, предаст меня. აღიშის ხელნაწერი ისევ და ისევ კავშირებითს მიმართავს: მან მიმცეს მე.

ნუკუეე მოიკლავს თავსა თვისსა (ი. 8,22). შღრ. неужели он убьет сам себя.

უკუეთუ მსწრაფლ ნებაი შენი არა აღასრულო ჩუენ ზედა, ჩუენ შენ მოგვლავთ და ყოველნი ნების-ყოფელნი შენნი ავეოცნეთ (ებ. VI, 97,36). ამ ახალი ფორმის გვერდით წარმოდგენილია ძველი, II კავშირებითით ნაწარმოები მყოფად: ავეოცნეთ (და არა: ა[ლ]ვეოცთ).

ხოლო უკმს მთესვარსა, რადთა, ვითარცა დასთესოს, მესესულად დაჰფლას იგი; თუ არა, მოვლენ მფრინველნი და წარიტაცებენ მას (Sin. 85, 178v). სულ ახალ ქართულს მოგვაგონებს. გარდა ამისა, ახლებურია მოვლენან ფორმის გამარტივება. ცხადია, ამის დამწერი ფიქრობდა, მოვლენ-ის ენ დაბოლოება მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ნიშანი არისო.

ჩუენ მოვსწყდებით, უკუეთუ ვეი ვგოს ცოცხალი (ევსტ. 155,38): ვგოს II კავშირებითია, რადგან ამ ზმნას სხვანაირად მომავალი დროის გამოხატვა არ შეეძლო.

ხოლო კაცთა ვიეთიე უკუეთურთა აუწყეს დედოფალსა თვისსა, ვითარმედ სრულიად მოჰკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიად კეთილსა (ზანძთ. 292,24).

ვიდრე აქამოდესცა ტკბილ არს წყალი იგი და მხალიცა, რამეთუ მიერთიან დგას ადგილსა მას ნიახური, და რომელნი მივიდენ ადგილსა მას, მიიღებენ ევლოგიად წყლისა მისგან და მხლისა (ასურ. 184,15).

მიიწევის ყრმაი ესე დიდებასა მეფობისასა, რომელ არავინ მიწეუნულ არს ეგვიპტარსა მეფობასა და სიმალლესა ქუეყანასა პინდოეთისასა (მალ. 9,35).

რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაი ესევიტარსი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს (მ. 18,5 HI); უკუეთუ ვინმე შეიწყნაროს, რომელი მე მივაჯლინო, მე შემიწყნარებს; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებელსა ჩემსა (ი. 13,20 HIK). ეს გიორგის რედაქციაა. სხვაგან ყველგან II კავშირებითი გვაქვს (შემიწყნაროს, შეიწყნაროს). თვით გიორგისეული რედაქციის ერთ (K) ხელნაწერში ერთგან (მ. 18,5) ისევ ძველებური შემიწყნაროს იკითხება. სახარების ახალი რედაქციის შექმნისას გიორგის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ჰქონდა მიღებული ენის განახლება, უფრო ახალი, ხალხისთვის უფრო ადვილად გასაგები ფორმების ხმარება. ჩვენი ზემომოყვანილი მაგალითებიც ამ აზრის ნათელი დადასტურებაა.

<sup>20</sup> ამ მაგალითის შესახებ იხ. А.Шанидзе. Изменение системы выражения.... გვ. 956.

## VIII. საშუალი გვარის ზმნები

A. საშუალი გვარის ზმნები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდ არის ქცეული. უკეთ რომ ვთქვათ, ამ ტიპის ზმნების ცალკე (საშუალ) გვარად გამოყოფა სადავოდ გამხდარი. ზოგი მათ ცალკე გვარად გამოყოფს და საშუალს უწოდებს, ზოგი კი არ მიიჩნევს ცალკე გვარად და უგვაროს ეძახის. ამ უკანასკნელი შეხედულების მიხედვით, ენაში არის მხოლოდ ორი გვარი — მოქმედებითი (აქტივი) და ვნებითი (პასივი). რაც ამ ორი გვარის გარეთ რჩება, რაც არაა მოქმედებითი და ვნებითი, ის უგვარაა. ასეთი ზმნები ყოველ ენაში საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება. სხვა, უფრო მართებული, შეხედულებით, საცილობელი ზმნები საშუალი გვარისაა. ისინი არანაკლები თავისებურებებით ხასიათდება, ვიდრე მოქმედებითი და ვნებითი. მათ აქვთ ზოგი ისეთი მკვეთად განსხვავებული თვისება, რომლებიც არ გააჩნია არც მოქმედებითს და არც ვნებითს. ისინი, ერთი მხრივ, მოქმედებითს მიუმსგავსებან (უშთავრესად ფორმის მიხედვით); მეორე მხრივ, ვნებითს ჰგვანან (უშთავრესად შინაარსის მიხედვით). ეს ზმნები გარდაუვალია, რითაც ისინი ეთიმუზბან მოქმედებითს და უახლოვდებიან ვნებითს, მაგრამ მათ ვნებითების არც ერთი მწარმოებელი ნიშანი არ გააჩნიათ და არც მათს უღლებას მიჰყვებიან. ამიტომ ისინი ცალკე გვარად უნდა იქნეს მიჩნეული. სწორად შენიშნავს ა. შანიძე: "საშუალი გვარი მორფოლოგიურად მოქმედებითისაგანაც განსხვავდება და ვნებითისაგანაც; მოქმედებითისაგან ფუნქციით, ვნებითისაგან ფორმით. თუ განსხვავების ნაცვლად მსგავსების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ: საშუალ გვარს ფორმა მოქმედებითისა აქვს, ფუნქცია — ვნებითისა"<sup>21</sup>.

ეს საერთოდ. ძველ ქართულში საშუალი გვარის ზმნა უფრო მკვეთრად განსხვავდება როგორც მოქმედებითისაგან, ისე ვნებითისაგანაც, ვიდრე ახალ ქართულში. იქ მას მეტი თავისებურება და თავისთავადობა ახასიათებს. ამიტომ ძველ ქართულში მისი ცალკე გვარად მიჩნევა უფრო გამართლებულია და აუცილებელიც.

B. საშუალი გვარის ზმნა მწკრივნაკლია: ზოგ მათგანს მხოლოდ აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი მოებოვება, სხვა მწკრივები არ გააჩნია. ასეთია, მაგალითად: ვ-არ, ვ-დგ-ა. შე-უ-დგ, მ-ი-ვ-ი-ს, ვ-ზ-ი, ვ-ძე, ვ-წევე, წით-ს და სხვ. დიდ ნაწილს საკუთარი მხოლოდ I სერიის მწკრივები აქვს, II და III სერიისა კი (საკუთარი) არაფერი მოებოვება. ასეთია საშუალ ზმნათა აბსოლუტური უმეტესობა, მათ შორის: ბრწყინ-ავ-ს, ბრწყინ-ვი-დ-ა; ჰ-გავ-ს, ჰ-გვან-დ-ა; ეჭუ-ს, ეჭუ-დ-ა; ა-კლ-ს, ა-კლ-დ-ა, უ-კვრ-ს, უ-კვრ-დ-ა; ა-ქუნ-ს, ა-ქუნ-დ-ა; ყფ-ს, ყფ-დ-ა; უ-ყუარ-ს, უ-ყუარ-დ-ა; ჰ-გლ-ი-ს, ჰ-გლ-ოდ-ა; დი-ს, დი-ოდ-ა; კუნეს-ი-ს, კუნეს-ოდ-ა; ჰ-მში-ი-ს, ჰ-მში-ოდ-ა;

<sup>21</sup> ა. შანიძე, საფუძვლები, გვ. 304.

რბ-ი-ს, რბ-ი-ოდ-ა; სურ-ი-ს, სურ-ოდ-ა; ძრწ-ი-ს, ძრწ-ოდ-ა; ს-წყურ-ი-ს, ს-წყურ-ოდ-ა და სხვ. დაკლებულ მწკრივებს ზოგი მათგანი ივსებს მოქმედებითი გვარის (გარდამავალი) ზმნების ფორმებით, ზოგი კი ვნებითი გვარის (გარდაუვალი) ზმნების მიხედვით. პირველთ მელიოაქტივს უწოდებენ, მეორეთ — მელიოპასივს.

ფუძის საწარმოებელი სავრცობის მიხედვით (მაშასადამე, უღლების მიხედვითაც) საშუალო გვარის ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: ერთია ღონიანი, მეორე — ოდიანი. ამთი უღლება ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება: პირველი ჯგუფის ზმნები კვალდაკვალ მისდევენ მოქმედებითი გვარის ზმნებს, მეორე ჯგუფისას საფუძვლად ვნებითი გვარის ზმნათა უღლება უძევს და მათ მიჰყვებიან. ვნებითი გვარის ზმნებს კი ძველ ქართულში, როგორც ვნახეთ, უაღრესად რთული და დახლართული უღლება ახასიათებს.

C. როდის აქვს ზმნას დ სავრცობი და როდის ოდ?

აქ საზომად შეიძლება სხვადასხვა კრიტერიუმი ავიღოთ, ვთქვათ, პირთა რაოდენობა (ორპირიანებს უძებტესად დ მოუღის: იგი მას ჰკვანდა, სძაგდა, სჭირდა, ემღერდა, ჰრწამდა .. მაგრამ: ჰკლოდა, ჰშმოდა, სწყურდა ...) ან ქცევის პრეფიქსის ქონება-არქონება, რაც იმავე პირთა რაოდენობამდე დაიყვანება (ნიშნანებს დ აქეთ, უნიშნოებს — ოდ: იგი მას უკვრდა, უშზირდა, აქუნდა, უყუარდა ...), მაგრამ არც ერთი ასეთი საზომი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არაა. ჩვენი ტიპის ზმნათათვის კრიტერიუმად უფრო მეტად გამოდგება ი თემის ნიშნის ქონება-არქონება: თუ ი აქვს თემის ნიშნად, სავრცობად ოდ ეწება (კუნესის — კუნესოდა), ხოლო თუ ი არა აქვს — დ (უყუარს — უყუარდა)<sup>22</sup>. ასე გვაქვს:

	დ	ოდ	
ებრკუმობს	ებრკუმობდა	გამობუტკოვის — გამობუტკოდა	
ბრწყინავს	ბრწყინვიდა	ჰკლის	ჰკლოდა
ჰგავს	ჰგვანდა	ღის	ღიოდა
ღუღს	ღუღდა	თესლოვის	თესლოოდა
ეგლოვს	ეგლოვდა	კივის	კიოდა
ეჭუს	ეჭუდა	კოლტოვის	კოლტოოდა
ეციხნევის	ეციხნევდა	კუმის	კუმიოდა
უკვრს	უკვრდა	კუნესის	კუნესოდა
ემღერს	ემღერდა	ლალოვის	ლალოოდა
ენუკევის	ენუკევდა	მალლოვის	მალლოოდა
ჰრწამს	ჰრწამდა	მდიდროვის	მდიდროოდა
ესავს	ესვიდა	მრუმლოვის	მრუმლოოდა
სუფევის	სუფევდა	ჰშმის	ჰშმოდა
ეტყებს	ეტყებდა	შქეფოვის	შქეფოოდა
აქუს	აქუნდა	მწიფოვის	მწიფოოდა
ქუნს	ქუნდა	პეროვის	პეროოდა

<sup>22</sup> რ. ენციკლოპედია, საშუალო გვარის ზმნები ძველ ქართულში. გვ. 161-167.

ლაღაღებს	ლაღაღებდა	ჟუვის	ჟუოდა
(შე)სყავს	(შე)სყავანდა	რბის	რბოდა
ყფის	ყფულა	პრულოვის	პრულოდა
უყუარს	უყუარდა	პრცხუენის	პრცხუენოდა
ემჟურობს	ემჟურობდა	სასტოვის	სასტოოდა
ჩანს	ჩნდა	სულოვის	სულოოდა
ჩქუეფს	ჩქუეფდა	ქსურის	ქსუროდა
სცალს	სცალდა	სტკივის	სტკიოდა
სძაგს	სძაგდა	ფიცხოვის	ფიცხოოდა
უძნს	უძნდა	ფუვის	ფუოდა
სძულს	სძულდა	ფურცლოვის	ფურცლოოდა
ეძულობს	ეძულობდა	ფშუეის	ფშუოდა
მოსწონს	მოსწონდა	ქრის	ქროდა
სწუნს	სწუნდა	ღუელფოვის	ღუელფოოდა
სწუნობს	სწუნობდა	ყივის	ყიოდა
წუხს	წუხდა	ყუავის	ყუაოდა
წვძს	წვძდა	ქშუენს	ქშუენოდა
სჭირს	სჭირდა	ცბის	ცბოდა
იხარებს	იხარებდა	ცისკროვის	ცისკროოდა
ხურიანავს	ხურიანავდა	სციონის	სციონოდა
უცძს	უცძდა	ცრემლოვის	ცრემლოოდა
ავსოვს	ავსოვდა	ცრის	ცროდა
კუძილავს	კუძილავდა	ცკვის	ცკოდა
		ძრწის	ძრწოდა
		ძენოვის	ძენოოდა
		უძლვს	უძლვოდა
		სწადის	სწადოდა
		წითლოვის	წითლოოდა
		აღმოუწყაროვის	აღმოუწყაროოდა
		სწყურის	სწყუროდა
		ჭუეის	ჭუოდა
		უხარის	უხაროდა
		ხისტოვის	ხისტოოდა
		კვივის	კვოდა
		კვეწლოვის	კვეწლოოდა

D. არის ორიოდე გამონაკლისი ორივე ჯგუფში. ერთი მხრივ, ი არაა თემის ნიშნად, მაგრამ სავრცობად მანც ოდ გვაქვს: ტირ-ს — ტირ-ოდ-ა, ყარ-ს — ყარ-ოდ-ა (მღრ. შსგავს იქნების იგი მკუდარსა, რომელი ძენ სახლსა შინა და ყარნ: მ. ცხ. 78r). შეიძლება დაეუშვათ, რომ ე-ტირ, ს-ტირ, ტირ-ს ფორმების პარალელურად ძნაინი ვარიანტებიც არსებობდა: ე-ტირ-ი, ს-ტირ-ი, ტირ-ი-ს, ამას კი სავრცობად ოდ შეეფერება. დღევანდელ ქართულში, მართლაც, სწორედ ეს ფორმები დამკვიდრ-

და. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ზმნის საწყისში გვაქვს იღ სუფიქსი, რომელშიც აწმყოს ფუძის ი საწარმოებელს გამოყოფენ<sup>233</sup>. ყოიდა-ს ისტორია გასარკვევია.

მეორე მხრივ, ზმნაში ი თემის ნიშანი გვაქვს. მაგრამ სავრცობად არა ოდ. არამედ ღ არის წარმოდგენილი: ერ-ის — ერ-ღა (თუცა იშვიათად გვხვდება აგრეთვე ერ-ოდა). უმზირ-ის — უმზირ-ღა. შეიძლება აქ ეს ინები მეორეული წარმოშობისა<sup>234</sup>, როცა სავრცობად უკვე ღ იყო დამკვიდრებული. ერის ტიპის სხვა არც ერთ ზმნას ი არ გააჩნია (ებრკუმობს. ეგლოეს. გეცხეეს. ემღერს. ენუკეეს. ესავს. ეტყეებს. ეშურობს. ებულობს).

ოდ სავრცობიანი ზმნებიდან ყურადღებას იქცევს კიდევ რბოდა, სადაც თემის ნიშანი გადაჰყვა ოდ სავრცობიან ფორმას. შღრ. ქრის — ქოდა, ცრის — ცოდა, ძრწის — ძრწოდა, ცბის — ცბოდა. ზოგ საწყისში არა ჩანს ინიანი ფორმა (ს-რბ-ა, რბ-ეე-ა). მაგრამ ზოგში იგი მოგვეპოვება (სი-რბ-იღ-ი). სწორედ ამას გულისხმობს ჩვენი რბოდა. ახალ ქართულს საწყისად ინიანი სირბილი გადმოეცა, მაგრამ პირიანი ფორმები ინის გარეშე იწარმოება: მივრბოდი, მირბოდა. ამ წესით იხმარება აგრეთვე უზმნისწინო ფორმაც (გახსოვს, ტურფაე, ჩვენს ღიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდით — ილია).

რაც შეეხება სხვა ი-ოდა დაბოლოებიან ფორმებს (ღიოდა, კიოდა, ჰმშიოდა, სტკიოდა, ყიოდა, ცვოდა, ვვოდა), მათში ი ყველგან ფუძისეულია: ღი-ის, კიე-ის. ჰმში-ის, სტკიე-ის, ყიე-ის, ცვე-ის (←ცუეი-ის), ვვე-ის (←ვუეი-ის), ხოლო ე თანხმოვანი, პირველის გარდა, ყველა ზმნაში დაკარგულია სავრცობისეული ო ხმოვნის წინ და თემის ნიშნის სავრცობიან ფორმებში გადასვლაზე არ გვიხდება ლაპარაკი.

ზემოთ საშუალი გვარის ზმნათა შორის საყოველთაოდ ცნობილ ზმნებთან ერთად შევიტანეთ ორი სადავო ტიპის ზმნები. ესა გეცხეეს და პეროვის ჯგუფის ზმნები.

სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ზოგნი ენებითებად თვლიან (ქეგლ — ენუკვის და ესავს: III, 1379, 2431). მაგრამ, როგორც სამართლიანად ფიქრობს ი.ქავთარაძე. ამ ტიპის ზმნებს "ენებითის მნიშვნელობა სრულებითაც არა აქვთ"<sup>235</sup>. ესენი საშუალი გვარის ზმნებია, რომელთაც ძალიან გრძელი გზა აქვთ გამოვლილი და სათავე შორეულ წარსულში უძეეს.

E. ესავს ტიპის ზმნებზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, როცა ვცდილობდით დაგვეტყვიცებინა, რომ ესენი არ შეიძლება ენებით გვარს მიეკუთვნოთ, რომ მათ ენებითი გვარის ზმნების არც შინაარსი და არც ფორმა არ გააჩნიათ (გარდა იმისა, რომ ე პრეფიქსიანია). სათანადო ზმნები და საილუსტრაციო მაგალითებიც იქვე იყო მოყვანილი (6. ზემოთ, გვ. 335). ამიტომ აქ აღარ ვაევიწორებთ.

<sup>233</sup> ა.ჩიქობავა. სახლის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. გვ. 65: 222.

<sup>234</sup> ამის შესახებ იხ. რ.ჩუბუაშვილი. საშუალი გვარის ზმნები. გვ. 82.

<sup>235</sup> ი.ქავთარაძე. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის. გვ. 300. 6. კ. გვ. 120-121. 303-305. 309-312 და სხვ.

F. პეროვის ტაძის ზმნები არაერთხელ გამხდარა ყურადღების ობიექტი<sup>256</sup>. აქ მხოლოდ ამ ტაძის ზმნების სისტემური აღნუსხევითა და თითო-ოროლა მაგალითის მოყვანით დავეკმაყოფილდებით.

1. **ბუბა-ოზა**: რტონი მისნი დაჩიან. და ფურცელი გამობუტკონ (მ. 24,32 C); საძნი რტონი ვარდისანი გამობუტკოადეს (საქევს. 327,3). ოვ სუფიქსისეული ვ ო-სა და ო-ს შორის ხშირად იკარგება, ხოლო როცა ზმნას ოდ სავრცობიკ ახლავს, ორ ო-ს შორის ვ თითქმის ყოველთვის გაუჩინარებულა. ამ გარემოებაზე ქვემოთ აღარ მივეუთითებთ.

2. **ვლ-ოზა**: ვტირ მე და ვგლოი ქალაქისა მისთვის (წარტყ. დ. 9); არღარა ვტირ, არღარა ვოგლოი (A-95, 474ra,10); რამეთუ ცოდვილ ვარ და ვოგლოი (კომ. I, 57,6); ნეტარ იყენენ, რომელნი ტიროდიან და ოგლოიედ (სწავ. 97,26 B); რამეთუ ვგლოიან თავთა მათთა ოვრებასა (მოქც. 139,24). საყურადღებოა, რომ სამი რიგის ფორმა გვაქვს: უპრეფიქსო, ო- და ო- პრეფიქსიანი.

3. **თვსლ-ოზა**: სელი და ქრთილი იგუემა, რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოოდა (გამ. 9,31).

4. **ქოლტ-ოზა**: დულდა წყალი იგი, კოლტოოდა და ფოფინებდა (ეზეკ. 47,5 /სინ. ლექც./).

5. **ლაღ-ოზა**: ნულარა უკუე ჰლადოი და ზუაობ (მ. ცხ. 300r); ჰლადოოდიოთ მარხვასა ზედა (იქვე, 247v).

6. **მაღლ-ოზა**: ნუ ჰმაღლოი, არამედ გეშინოდენ (პრომ. 11,20 ო-ს-ს; ვარ. ჰმაღლოი); ჰზუაობ და მაღლოი (სწავ. 311,39); ენაი მცირჲ ასოი არს და დიდად მაღლოის (ებ. იაკ. 3,5 წ; მაღლოის ო); სიყუარულსა არა ჰშურნ, არა მაღლოინ, არა განღაღნის (1 კორ. 13,4 ო-ს; სხვებში: მაღლოინ); ჩუენ, მონანი ცოდვისანი, დიდად ვმაღლოით (სწავ. 70,8 AB; ვმაღლოით C); ჰმაღლოოდე რაი შენ ჩუენ ზედა (ამოკრ. 37,9); რომელი დმერთი არს, არა მაღლოოდა (სწავ. 70,7); კელსა დაერდომილისასა და გლახაკისასა არა აღუყკობდეს და დიდად მაღლოოვდეს (ეზეკ. 16,50 I; მაღლოოდეს O); არა ვმაღლოოდეთ დღე-კეთილობისათვის ცხორებო-სა (ექესთ. 77,20); მდიდართა მათ ამას სოფელსა ამცნებდ, რაითა არა მაღლოოდინ (1 ტიმ. 6,17).

7. **მდიდრ-ოზა**: არა თუ ქვეყანიერთა და ქვემეთრეეთაგან მდიდროოდა, არამედ ... (ზარზმ. 191,1); ხოლო იყო ფაბი მაისისა (თ)თვსა(დ) და მდიდროოდა მდინარე არაგვ (ასურ. 85,20).

8. **მრუშლ-ოზა**: ზამთარი ყოფად არს, რაჟამს ცაი მრუშლოვის და წითელ არს (უქვ. რედ. 82,14).

9. **მამუშრ-ოზა**: სახედ მძაფრისა წემისა საშინელებით მჩქეფროის აღრეული წუნწუნებას თანა (ქრონიკები, II, 67).

10. **მწიფ-ოზა**: მოიწიოს ლეწეად სთულეზად და მწიფოოადის ყურძენი ვნვათა

<sup>256</sup> ი. ჭყუანაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის, გვ. 141-149 და სხვ.; ი. მანაშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, გვ. 17-18; რ. უწყაშვილი, საშუალო გვარის ზმნები, გვ. 117-118 (ამ ტაძის ზმნების ქვემოთ ჩამოთვლილი ნუსხიდან ზოგიერთი ამ ნაშრომიდან გვაქვს დამოწმებული).

ზედა (ამოს 9,13).

11. პრ-ოვ-ა: სადაცა დააპყრის იგი, დააკუთის, და პეროინ და ილტყენნ კბილთა და განკმებინ (მრ. 9,18 E; პეროინ CD); სულმან უკეთურმან შვიპყრის იგი და მექსეულად ღალად-ყვის და დააკუთის და პეროინ (ლ. 9.39 D; პეროინ CE); რაყამს იხილის მთოეარძ, დაადღის თავი თვისი ქუეყანასა ზედა. ირჩებინ, პეროინ (მამ. ცხორ. 304,3); დაეცა იგი ქუეყანასა, გორვიდა და პეროოდა (მრ. 9,20); საწყა-ლობელად პეროოდა და ვალალებდა (ანტიოქ. 347,19); მაშინ დაეცა მამა იგი და იწყო ძრწოლად და პეროვად (მამ. ცხორ. 159,10).

პერული ამ ზმნისაგან ნაწარმოები მიძლეობაა. ხოლო აქედან კვლავ იწარმოება ჩვენთვის საინტერესო ტიპის ზმნა: რაყამს პერულიოინ სინოტივე სიმძაფრითა ქარისათა (უძე. რედ. 49,31); ვითარ-იგი პერულიოდა (A-397, 184r,23).

#### რულ-ოვ-ა 6. კრულ-ოვ-ა

12. სასტ-ოვ-ა: თვთ თავადი უთქემიდა და სასტოდა, რაითამცა დაათქა იგი (სინ. 105,2).

13. სულ-ოვ-ა: მოაკლდა ცხორებისაგან...რომელი სულოდა (უძე. რედ. 208,10).

14. ფიც-ოვ-ა: არამედ წინა-აღუდგებოდის და უმეტესად ფიცხოოდის და ურგებად შეპრაცხოს მხილებამ იგი უხუცესისა (პეტრიწ. ტიპ. 41,3).

15. ფარკალ-ოვ-ა: იხილეს შუენიერად დგომამ ხისა მის. ხოლო ფურცლოო-და ჟამთა არისათა (მოქც. 86,21).

16. ღელა-ოვ-ა: ზღუა ივრეთ ღელვოდა (ოქროპ. 207v,5).

17. ღუელფ-ოვ-ა: ხოლო მეოცესა /ღლესა/ ფანქლნი გამომტყუვოლვარენი ღუელფოოდეს (ხრონ. 51,7).

18. ფოთ-ოვ-ა: რაისა შფოთოდა. უბადრუკო კაცო (A-1105, 342rb,25).

19. ფისარ-ოვ-ა: გიხაროდენ. სუეტო წმიდაო და ცხოველო, რამეთუ კუართსა ზედა საღმრთოსა ჰცისკროი (ლიტ. ქრ. 387,23); გიხაროდენ, რამეთუ წმიდასა ზედა და ნეტარსა ჰცისკროი კუართსა (იქვე. 387,43); რომელი ნათობს საუფლოსა ... და ცისკროის (იქვე. 387,15).

20. ფრემლ-ოვ-ა: რაისა სცრემლოი, დედაო (Опис. 200.13 ქვ.): შვილო, ცრემლოვის შენთვის, გოდებს და ვტყებს დედოფალი (პარხ. 649b); და იგი ჩემი, რომელ-იგი მაშინვე ცრემლოინ ჩემთვის (კიმ. I, 155,37); ნუ სტარ ცრემლოი, ნუცა ცრემლოიდ ამათ ზედა (მიქ. 2,6); მოიხსენენ ცრემლნი ჩემნი, ვითარ-იგი ვცრემლო-ოდე წინაშე წმიდათა მარტვლთა შენთა (საქ. წ. II, 47,27); სამეჯერ სულთ-ითქუნა მან და ცრემლოოდა (იქვე. 138,36); და ცრემლოოდა იესუ (ი. 11,35); გეგლოვდა შენ და ... გცრემლოოდა (სას. პ. 317,273); ყრმანი ცრემლოოდეს (ისტ. ქრ. II, 43,24); ვითარ ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი (შუშ. 135,39); ვაი მე, სულო ჩემო, გეღობდენ და ცრემლოოდე (საქ. წ. II, 50,32); რაითა ვცრემლოოდი ღლე და ღამე (იქვე. 3,35); რაი არს მიზეზი ცრემლოისა შენისა (საქ. წ. II, 21,14).

21. ჰან-ოვ-ა: დაეკვამ ზღუაი ბჭეებითა, ოდეს-იგი ძენოდა (იობ 38.8 = სინ. ლექ.).

22. ჟულ-ოვ-ა: და ჩუენ გუტულოის (A-19, 479vb,2).

23. **წითლ-მ-ა**: ზამთარი იყოს, რამეთუ წუხს და წითლოის ცაი (ექუსთ. 67,38; ვარ. წითლოის DEF).

24. **ფარ-მ-ა**: ვითარცა მდინარე ედემისაი, აღმოუწყაროდა ოქრონაკადულით პირით მისით (ზარზმ. 156,31).

25. **ხისტ-მ-ა**: უბრძანა შეკრევი და ცემა; ხისტოდა და იტყოდა (შუმ. 20,3 BD).

26. **კ-მ-ა**: მარადის აღაუშობის იგი (Sin. 11, 335r,18).

27. **ჯაჯლ-მ-ა**: ჯეჯლოვის (უდაბ. 122vb); რამეთუ ყოველი თესლი გამოჯეჯლოვის (სინ. 159,19; Sin. 83, 152r).

28. **პრულ-მ-ა**. **რულ-მ-ა**: იგინი გამოერჩევიან, და ჩუენ გურულოის (საკ. წ. II, 52,25 ო); პრულოდა და იძინა (იქვე, 12,12); პრულოდა მათ, რომელნი-იგი ზესხდეს ჰუნებსა (ფს. 75,7); რაგამს-იგი თაყუანის-სცემდი, პრულოდა პეტრეს (ჭილ-ებრ. 155v,15); ოდეს პრულოადის და შეიპყრას ძილმან (ს. მეს. 11,12); არცა პრულოადის, არცა დაიძინონ (ეს. 5,27).

G. საშუალი გეარის ზმნების ერთ ნაწილს ახალ ქართულში აწმყოს I და II სუბიექტურ პირებში მეშველი ზმნა ემატება: გიყვარვარ, უყვარვარ, მიყვარხარ, უყვარხარ, გიყვარვართ, უყვარვართ, მიყვარხართ, უყვარხართ, გბულვარ, ებულვარ, მბულხარ, სბულხარ, ებულვართ, ებულვართ, მბულხართ, სბულხართ. მაგრამ მესამე სუბიექტურ პირში მეშველი ზმნა საჭირო აღარაა: მიყვარს, გიყვარს, უყვარს, მბულს, ებულს, სბულს.

ძველ ქართულში მეშველი ზმნის დამატება არც ერთ პირში არ იყო საჭირო: შენ მე მიყუარ, მე შენ გიყუარ, მე მას უყუარ. შენ მას უყუარ; მე შენ მბულ, მე შენ ებულ. მე მას ვსბულ. შენ მას სბულ. თავისთავად იგულისხმება, რომ მესამე პირშიც მარტივი ფორმები გექონდა: იგი მე მიყუარს, მბულს; იგი შენ გიყუარს, ებულს; იგი მას უყუარს, სბულს.

აი, ამის რამდენიმე ტიპური მაგალითი:

ბაბ: რამეთუ სახითა ხოლო მონაზონთა ვჰგავთ და საქმით უმაღლოდ მეძებნი (სწავ. 266.6). ვჰგავთ და არა ვჰგავვართ.

ღაბ: რომელი ვღაა წინაშე ღმრთისა (ლ. 1,19 C = ვღაეარ); რომლისა თანაცა ვღაა (სინ. 130,17); უკუეთუ მოგიღებთ ჩემ ზედა ბრძანებაი, ნუ სღაა, ყავ (მამ. ცხორ. 62,36); შენ, ლუკიანე, სღაა მღდელად (ისტ. ქრ. I, 249,12); მტკიცედ სღაა? (შუმ. 134,35 = ღაბარა?); გუაქუს აღგილიცა ესე, რომელსა შინა ვღაათ (სინ. 166,28); რომელსაცა ზედა სღაათ (1 კორ. 15,1); თქუენ გეტყვ, რომელნი-ევე გარემოის სღაათ (კობ. I, 143,27).

ღაბ: აწ ბუნებისასა მას ვეძიებ, ხოლო უფროის ბუნებისასა ვღუმი (სინ. 32,36 = ვღუმეარ); პრეტა უფალმან ... პავლეს: ნუ გეშინინ, არამედ იტყოდე, ნუ სღუმი (მოც. 18,9); დაღად-ყავ ძლიერად და ნუ სღუმ (ეს. 58,1 I; სღუმი O); ჩუენ ვღუმით (4 მეფ. 7,9); ჩუენ ვღუმით მოღებად მისა ველთაგან მეფისა ასურთაისა (3 მეფ. 22,3); სღუმით მეუღართა აღღგომასა (უდაბ. 30va); აწ თქუენ რად სღუმით და მსხედთ (2 მეფ. 19,10).

ბ: შენ ხოლო მარტოი მივი (ქრისტინ. 187,14).



**ზი:** ზი მხოლოდ მხოლობითში იხმარება. მრავლობითში მას სხედ ფუძე ენაცვლება. მე აქა მშვლობით ვზი (კობ. I, 204,21); შენ იტყვ. ვითარმედ ... პეტრეს საყდარსა ვზიო (ლიტ. ქრ. 202,47); შენ ჰზი აქა პარეხსა მარტო (კობ. I, 206,18); აღდგ, მოხუცებულო, რად ჰზი? (სინ. 96,7); აპა ეგერა შენ. მარკიანე, ჰზი აქა განსუენებულად (მამ. ცხორ. 72,8); რომელი ზი ქერაბინთა (დან. 3,55 I).

**ზა:** მე უკუ აწ ეგრეთ ვზი. ვითარცა არა უჩინოდ (1 კორ. 9,26); ხოლო შენ მოკლედ ჰზი (PO, XLX/5, 76,19).

**ზაზა:** ჰრქუა მას იესუ: მიხილე და გრწამ (ი. 20,29); რომელთა ვჰრწამ მე (მ. 18,6 C; მრ. 9,42 C); უფალო ღებრთო, მრწამ, რომელიცა ამით ჰრწამენი (მარხ. 429b); არამედ მრწამ შენ (Sin. 62, 36va); ჩუენ გურწამ, ვითარმედ კაცი ღმრთისაი ხარი შენ (ცხ. ეფრ. 114,26); ჩუენცა გურწამ, რომელსა ველ-გეწიფების ცხორებაი მოსავთა შენთაი (მარხ. 806a; 816b).

**ზაზა:** ეს ფუძე მხოლოდ მრავლობითში იხმარება (მხოლობითში მას ზი ფუძე ენაცვლება); აწ თქუენ რად სდომით და ჰსხედთ (2 მეფ. 19,10); რომელთა შორის თქუენ ჰსხედთ (მსაჯ. 6,10 G); რაისა სხედ(თ) და მცავთ მე (აპოკრ. 19,42 = ხელნ. H-341). თ შემთხვევით უნდა აკლდეს (ხელნაწერს თუ გამოცემას).

**ზირ:** რაისა ესრტთ სტირ (ათონ. 12, 229r); ღედაკაცო, რაისა სტირ (ი. 20,13,15); რაისა აღშფოთებულ ხართ და სტირთ (მრ. 5,39).

**ზამ:** აწ ესერა ქნარი მათი მე ვარ და მე სასიტყუელად ვაქუ (იობ 30,9 = სალაპარაკოდ ვყავარ); აქუ შენ ყოველსა ქუეყანასა ზედა მეოხად მათა (მარხ. 638b = ჰყავხარ).

**ზამ:** ანუ რაისა არა მოყავ ვ-უარცუმად (აპოკრ. 45,25 = მოყავარ); აპა ესერა მე ტყუედ წარეყავ ეგვტედ (საკ. წ. II, 62,4 = მიყავარ); განყავ შენ ღაკლვად (აპოკრ. 31,15); მუნვეცა მოყავ შენ (საკ. წ. II, 63,10); შეყავ შენ ქუეყანასა მას კეთილსა (2 შჯ. 8,7).

**ზამარ:** სიმონ იონაისო, გიყვარ მეა? (მ. 21,15,16E,17 = გიყვარვარ?); იგი არს. რომელსა უყვარ მე (მ. 14,21); შენ უწყი, რამეთუ მიყვარ შენ (ი. 21,15,16,17); შენ უყვარ უფროის აზნაურთასა (სწავ. 146,14); თვთ მამასა ჩემსა უყვართ თქუენ (ი. 16,27).

**ზან:** ნუცა შენ აქა შან (სევან 226v = ჩანხარ); რამეთუ შან შენ აზნაურად (საკ. წ. II, 63,4); ცთომით ვინმე მოწ შენ, კაცო (კობ. I, 152,5 = მოჩანხარ, მჭყენები); გარეშთ ვნათ მდაბლად და შინაგანითა სულითა ვეძიებთ პტივისა და ღიდებასა (სწავ. 264,21 AB; ჟანთ C); რომლისათვის შნათ, ვითარცა ნათელი (მარხ. 93b); ეგრეცა თქუენ გარეშე უთ კაცთა მმარხველ, ხოლო შინაგან საესე ხართ ზაკუვითა და უშეჯულობითა (მ. 23,28 C).

**ზამ:** აწ ნურას მერიღებით და ნუცალა გძავ (მუშ. 135,10 = გძავგარ, გეზიზღე-ბით).

**ზა:** ვბე მე ბნელსა შინა (ტობ. 5,12); რაისა სძე და ხურინავ (იონა 1,6; სინ. 163,17). მრავლობითში ამ ზმნას სხენ ფუძე ენაცვლება .

**ზალ:** მე ესბულ /სოფელსა/ (ი. 7,7); ამისთვის სბულთ თქუენ სოფელსა (ი. 15,19).

წამ: შენ ... სწევ და ჰკუნესი (ლიტ. ქრ. 27,15); ნუ ღლეს ქუეყანასა სწევ და ხუალუ ცხედარსა ზედა (აღწ. 229,40 = წევხარ).

წამ: არღარა ვწუხ (ტომ. 11,8); საქმესა ზედა ცოდვილთასა ვწუხთი (Sin. 6, 178r,6).

ამ: ვერ ველ-ეწიფების თუალსა, ვითარმცა ჰრქუა ველსა: არა მიჰმ შენ; და კუალად თაემან — ფერუთა, ვითარმედ: არა მიჰმთ თქუენ (1 კორ. 12,21).

ასწამ: უკუეთუ ვაგსო მე გულსა შენსა (საკ. წ. II, 71,21 = ვახსოვარ); გონება-სამცა თქუენსა ვაგსოვ მე, და მუნ ვიპოვო მე და გივსნნე თქუენ (გულანდ. 220,10).

ეს საკითხი დაწვრილებით ლ.ბარამიძეს აქვს გამოკვლეული და სათანადო მაგალითებიც იქვეა მითითებული<sup>27</sup>, ამიტომ ჩვენ ამ ნიშნუების ჩვენებით შემოვიფარ-გლებით.

შემდეგ და შემდეგ ამ ტიპის ზმნებს აწმყოს I და II პირში მეშველი ზმნა ემატება: ვდგაეარ, სდგახარ, ვდგაეართ, სდგახართ... ასეთი მეშველ ზმნიანი ფორმების ჩანასახი თვით ძველ ქართულში გვხვდება, საშუალ ქართულში თანდათან ღვივდება და ფართოვდება, ხოლო დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ნორმა და ერთადერთი ფორმაა. მეშველი ზმნის დამატების ეს საინტერესო პროცესი ლ.ბარამიძეს დაწვრილებით აქვს შესწავლილი ზემოთ დასახელებულ შრომაში და აქ აღარაა საჭირო ამაზე საეციალური მსჯელობა. დაესვათ მხოლოდ კითხვა: რამ გამოიწვია მეშველი ზმნის დამატება?

შეიძლება გამოითქვას ორი მოსაზრება:

1. მარტივ, უთემისნიშნო ფუძეებს (გავ, ღუმ, ზი, ძაგ...) უჭირდა განსხვავებული ფორმების წარმოება. ამიტომ მიმართა მეშველ ზმნას დასახმარებლად.

2. S<sub>1</sub> და S<sub>2</sub> პირთა ფორმები O<sub>1</sub> პირთან კომბინაციაში სასხვისო ქცევისათვის ერთნაირი იყო: უყუარ მე მას — უყუარ შენ მას, უყუართ ჩუენ მას — უყუართ თქუენ მას; უვი მე მას — უვი შენ მას ...

შეიძლებოდა სხვა მიზეზების დასახელებაც, მაგრამ აზერად ამით დაკმაყოფილდეთ.

H. საშუალი გვარის ზმნათა ერთ მცირე ფეგუფს აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის შესამე სუბიექტური პირის მრავლობითში აქვს ან-ან, ან-მე, ან-ან, ან-მე დაბოლოება:

ღვ-ან-ან	ღვ-ან-მე
ჩ-ან-ან	ჩ-ან-მე
წე-ან-ან	წე-ან-მე
ჰ-ყე-ან-ან	ჰ-ყე-ან-მე

ვლ-ენ-ან	ვლ-ენ-მე
სხ-ენ-ან	სხ-ენ-მე

გასარკვევია, რა არის ეს ორი ან (ყველაზე ხშირად ეს გვხვდება)? რას გამოხატავს ან-მე, ან-ან, ან-მე? საანალიზოდ ან-ან ავიღოთ, ამის შესახებ მსჯელობა

<sup>27</sup> ლ.ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ ზმნიან ფორმათა ჩანასხვა და განვითარება, გვ. 95-150.

სხეებსაც თანაბრად ეხება.

აღრე ა. შანიძე ორივე მათგანს მრავლობითობის ნიშნად თვლიდა, ამ ტიპის ზმნებს "მარობლი დაბოლოება აქვს მრავლობითი რიცხვის შესამე სუბიექტურ პირში (ან +ან) და ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენსა"<sup>238</sup>.

ან სუფიქსის წინ მხოლოდ ნ-ს გამოყოფენ და იგი შესამე სუბიექტური პირის ნიშნად მიაჩნიათ ა. ჩიქობავას<sup>239</sup> და ე. თოფურისას<sup>240</sup>. ისინი აქ ისეთსავე მოვლენას ხედავენ, როგორც I და II სუბიექტურ პირებში გვაქვს: ვ-წერ-თ, ს-წერ-თ ფორმებში ვ და ს მხოლოდ პირებს აღნიშნავენ, ხოლო თ მრავლობით რიცხვსა. ასე: დგან-ან, ჩან-ან ფორმებში ნ შესამე სუბიექტური პირის ნიშანია, ხოლო ან — მრავლობითი რიცხვისაო.

შემდეგში ლ. კიკნაძემ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ეს შეხედულებები არ გამოხატავენ საქმის ნამდვილ ვითარებას. მისი აზრით, ამ წყვილი სუფიქსიდან ბოლო ან, მართლაც, შესმე სუბიექტური პირის მრავლობითობის ნიშანია (იგინი დგან-ან, ჩან-ან, წვან-ან), ხოლო პირველი — (ამ ტიპის ზმნების) ფუძის საწარმოებელი სუფიქსი I სერიაში (დგ-ან-ან, ჩ-ან-ან, წვ-ან-ან...). ავტორი წამოყენებულ დებულებას შემდეგი საბუთებით ამტკიცებს:

1. ან-ან დაბოლოება მხოლოდ საშუალი გვარის გარკვეული რიგის ზმნებს აქვთ. სუბიექტის პირისა და რიცხვის გამოხატვაში კი გვარის მიხედვით არ არის სხვაობა.

2. ეს სადავო ნ, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ზოგიერთნი (შესამე სუბიექტური) პირის ნიშნად თვლიან, მხოლოდ I სერიის მწკრივებშია წარმოდგენილი, პირის ნიშნის გამოხატვა კი ზმნის მწკრივზე არ არის დამოკიდებული.

3. ნ გვხვდება საერცობიან ფორმებში საერცობის წინ (ჩანდა, ჩანდეს, მყვანდა, მყვანდეს). როცა შესამე სუბიექტური პირის ნიშანი თავის ადგილასაა წარმოდგენილი (მყვანდა-ა, მყვანდეს-ს). სუბიექტური ნიშანი კი მწკრივის ნიშნისა და საერცობის წინ არასოდეს არა დგას. გარდა ამისა, თუ ამას დაეუშვებთ, გამოდის, რომ სუბიექტური პირის ნიშანი ორჯერ იქნება მოცემული: მყვანდა, ჩანდა, მყვანდეს, ჩანდეს. რომელია ნამდვილი ნიშანი?

4. თვით ამ ნ-ს გვერდითაც არის შესამე პირის სუბიექტური ნიშანი: ჩანს, აქუნს, ჩანწ. აქუნწ. რაღა საჭიროა მაშინ ორი ნიშანი ერთად?

5. ნ არის I და II პირის ფორმებშიც: ვჩან(ვარ), სჩან(ხარ), ვკყვანდი, მოკყვანდი, დიალექტური ვღვანვარ, დგანხარ.

6. აუხსნელი რჩება ა-ს არსებობა ნ-ს წინ: დგ-ან-ან, ჩ-ან-ან, წვ-ან-ან. რა არის ამ ა-ს ფუნქცია? ყოველგვარი ცდა, ა სხვა კატეგორიის ნიშნად ჩათვალონ, მარცხით მთავრდება. რადგან აღნიშნული ა და მოძღვენო ნ ერთად ფუძის საწარმოე-

<sup>238</sup> ა. შანიძე პრეფიქსები. გვ. 72.

<sup>239</sup> ა. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. 1928. გვ. 209; მისივე. შესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენძიკის მოამბე. 5-6. 1940, გვ. 41.

<sup>240</sup> ე. თოფურია. ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. III. - ელ. - ურ. რ. აფიქსებისათვის: ენძიკის მოამბე. 5-6. 1940; მისივე. ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში: სმამ. ტ. II. N 1-2. 1941. გვ. 191.

ბელი სუფიქსა და მათი გაყოფა და დანაწილება შეუძლებელია.

7. გაურკვეველი იქნება ა-ს ფუნქცია ნ-ს შემდეგ დიალექტურ ფორმებში: ჩანა, ღვანა, წვანა.

8. სადავო ნ არის მასდარულ ფორმებში (ჩენა, ქონა ...)

9. ნ გვხვდება ამ რიგის ზნათა შესაბამისი მოქმედებითისა და ვნებითი გვარის, აგრეთვე მასდარულ ფორმებში (აჩენს/აჩინებს, ადგენს/ადგინებს; გამოჩნდა, დადგინდა; გამოჩენა, გამოჩინება; დადგენა, დადგინება)<sup>261</sup>. დღეს ეს დებულებები გაზიარებულია. ამგვარად, ღვანან, ვლენან, სხენან ტიპის ზნებში ზახგასმული ან და ენ ელემენტები გარკვეული ჯგუფის საშუალო გვარის ზნების ფუძის საწარმოებელი სუფიქსა და მისთვის სხვა ფუნქციის მიწერა ანდა მისი დაშლა და ცალკე ელემენტების სხვადასხვა ფუნქციის მაწარმოებლად მიჩნევა შეუძლებელია.

ახლა ეუწვენებთ სათანადო მაგალითებს ძველი ქართულის ძეგლებიდან:

1. **პბრძანან**. ხშირად იხმარება ძველ ქართულში. წარმოშობით გარდამავალია. სხვებისაგან განსხვავებით აქვს II სერიის ფორმები. აქ სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობს: პბრძო მან. პბრძვეს მათ; პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვს და ჩამდგარია აღნიშნული ტიპის ზნათა რიგში. ჩვენთვის საინტერესო ზნა წარმოების თვალსაზრისით არაფრით განსხვავდება ტიპური ღვანან, ჩანან, წვანან ზნებისაგან: ურვილ ვარ მე ფრიალ და უცხოთესლნი მბრძვანან მე (1 მეფ. 28,13); ქალაქი მიეცა კელთა ქალდეველთასა, რომელნი პბრძვანან მას (იერ. 32,24); ივინი პბრძვანან მტერთა ჩუენთა (წარტყ. 29,21); რომელნი გულს-მოდგინელ პბრძვანან ეშმაკსა (ისტ. ქრ. II, 17,21); ეშმაკნი მბრძვანან მე. პრქუა მას მამამან პიშენ: შენ გბრძვანანა და ჩუენ არა გუბრძვანან (Sin. 35, 294v,20); ვერეოდით მტერთა ჩუენთა, რომელნი გუბრძვანან ფარულად აწ (სინ. 261,30; სევან. 468r); ხოლო აწ საზნი არიან, რომელნი გუბრძვანან ჩუენ: ეშმაკი, დუქსი და მსაჯული (პარხ. 426a); რაეაშს ვეტყოდი მათ, ივინი მბრძვანელ მე (ფს. 119,7); ვითარცა მვედარნი რაე პბრძვანელ მტერთა მეფისათა, ევრსით პბრძვანან მტერსა ჩუენსა (სწავ. 74,5); მრავალნი პბრძვანელ მას და არა ერევიდ (სინ. 221,33).

2. **პბანან**: იხილეთ, ვითარ ჰგვანან მარტკლნი უფალსა ჩუენსა (სინ. 256,8); გუელ-თევზი და ვეშანი და სპორენე..., რომელნი ჰგვანან ბუნებით მკებნართა მათ უფრომს, ვიდრე არა თევზთა (უძვ. რედ. 97,26).

3. **ღვანან**: დედაი შენი და ძმანი შენნი ღვანან გარეშე და უნებს რადმე სიტყუად შენდა (მ. 12,47; მრ. 3,32; ლ. 8,20); რომელნი ღვანან წინაშე საყდართა (საყ. წ. II, 89,21); რომელნიმე შეკრებულნი ღვანან (უძვ. რედ. 55,25); ხენი, რომელ ღვანელ თანა-წარსადინელსა წყალთასა (სინ. 258,17)<sup>262</sup>.

<sup>261</sup> **ლ. კვანაძე**, ძირეული და ნასახელარი ზნები ქართულში. I. ან/ენ. უნ. ოლ. ობ სუფიქსებიანი გარდამავალი ზნები: თუმ. 28. 1946. გვ. 163-176; მისივე, ძირეული და ნასახელარი ზნები ქართულში. II. - ხმოვანი ან. ენ. უნ. ოლ. ობ სუფიქსთა წინ: გორის პედინსტიტუტის შრომები. 2. 1947. გვ. 123-144.

<sup>262</sup> ამ ზნაში ან-ან დაბოლოების პირველი, ფუძის საწარმოებელი, ან სუფიქსი ამჟამადაც არის დაცული გურულ კოლოში. იქ იგი მხოლოდითის სამივე პირში ხელუხლებლად არის შემონახული: ამ ეზოში მე ვღვანეარ. შენ ღვანზარ. იგი ღვანა. ამ უკანასკნელ ფორმაში ბოლო ა მესამე სუბიექტური პირის ნიშნაა. მრავლობითიც. ცხადია. ეს ან გვაქვს: ჩვენ ვღვანეართ, თქვენ ღვანართ, ივინი

4. სონაანა: მე ფრადცა მონვანან ივინი (A-1105, 277r); ღმერთსაცა ვერეთვე ივინი უფროის სონვანან, რომელნი შრომით და ტკივილით მცირედ ცრემლოიან, ვიდრეა რომელნი-იგი უშრომელად ფრად დასთხევენ ცრემლთა (კლემქსი /კიბე/. 169,3 ქვ.).

5. აშანან: ნუმცა გული შენი მოუძღურდები ორთა ამათგან შემათა მუგუხთა, რომელნი-იგი კუმანან (ეს. 7,4).

6. არშანან: უფალო, მრწმანან მე სიტყუანი შენი (სწავ. 75,29); თუ ჩემი ესე სიტყუანი არა გრწმანან, მკურნალთაგან მეცნიერ იქმენ და ისწავე მათგან (სინ. 109,10; უღაბ. 55va).

7. აშანან: არა ჰქუანან ქალაქი და ნაშენებნი, არამედ ყოველნი ტალავარნი ადგილდ-ადგილდ (ებ. II, 51,10); ველთა მათთა ჰქუანან მახვლნი ცეცხლისანი (იქვე, 57,7). უფრო ხშირია ჰქონან, რომელშიც უა შერწყმულია და ოდ არის ქცული; ჰქონან ჩემ ქვეშე ერისგანნი (მ. 8,9; ლ. 7,8. მქონან-ჰქუანან); ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი (ლ. 16,29).

8. აშანან: ვერეთვე შენცა გყვანან, რომელთა უყრიეს სწავლაი იგი ნიკოლავლთაი (გამოცხ. 2,15); აგრძნა ნეტარმან ანდრიანე, ვითარმედ მოყვანან ივინი წინაშე მეფისა (ანდრ. 206,6); რომელმან მკლავითა თვისითა შეკრიბნა ცხოვარნი განბნეულნი და წილითა მოყვანან კრავნი შეტოიბილნი (სას. 3. 81,165):

პირველი ან შენარჩუნებულა სავრცობან ფორმებშიც; მეცა, ხუცესი დედოფლისა შუმანიკისი, თანა ვყვანდი ეპისკოპოსსა მას (შუშ. 134,19); მაშინ წარმოიყვანეს და მოყვანდა წმიდაი შუმანიკი უკამური და თმა-გარდატევებული (იქვე, 138,16): მოყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი (მრ. 1,32)

9. ჩანან: სიტყუაი ხოლო ფრინავს უნაყოფოდ, ხოლო საქმენი ჩანან ნაყოფიერად (საკ. წ. II, 109,33); საქმენი იგი, რომელნი ჩანან მას შინა, წამებენ, ვითარმედ გუამი იგი მისი არა განიხრწნების (უძე. რედ. 80,33): რომელნი გარეშე ჩანედ კაცთა წინაშე შუენიერ (მ. 23,27).

ჩვენთვის საინტერესო ან სუფიქსი შეკრუმულად არის წარმოდგენილი სავრცობან მწკრივებში: რომელ-იგი ჩნდა ყრმად ყოველთა უფალი (სინ. 95,21); აწ აღვედ გოდოლსა მას ტაძრისასა, რაითა უაღრჰს შინდე ყოველთასა (ისტ. ქრ. I, 242,30; სინ. 56,4).

10. შანან: ამისთვის ფრად არიან თქვენ შორის უძღურ და სნეულ და წვანან მრავალნი (1 კორ. 11,30); ესენი არიან ... რომელნი კვრიაკესა ქვე წვანან (ლიტ. ქრ. 16,24).

11. შანან: მამანი ჯმანან და არა დედანი ყოფად ბუნებისა მისთვის და ვნებისა საცთურისაგან (1 ტიმ. 2,10-ის შემდეგ წითურით).

უფრო ნაკლებად იხმარება ენ-ან დაბოლოებიანი ფორმები, რომლებშიც ენ სუფიქსი I სერიის თემის საწარმოებელია, ხოლო ან, როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევებში, შესაშე სუბიექტური პირის მრავლობითობას გამოხატავს. აქ ტიპურია ორი ზმნა — ვლენან და სხენან. პირველი ამათგანი უზმნისწინიოდაც იხმარება და

სხვადასხვა ზმნისწინითაც (ვლენან, მივლენან, მოვლენან ...). ხოლო მეორე — მხოლოდ უზმნისწინოდ (სხენან). ორივე ზმნა იხმარება მხოლოდ აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითში. სხვა მწკრივები არ გააჩნიათ (შდრ. I ვჯგუფის მაგალითები: ჰყვანან — ჰყვანდა. ჰყვანდეს; ჩანან — ჩნდა, ჩნდეს; ჰბრძენან — ჰბრძოდა, ჰბრძოდეს...). ამ მხრივ ესენი გვერდში უღებან ღებანან, წებანან ფორმებს, რომელთაც აგრეთვე არ გააჩნიათ I სერიის სხვა მწკრივები.

#### ნიშნავა:

ბრძანი აღიხილვენ, მკელობენი ვლენან (მ. 11,5; ლ. 7,22); რაისათვის მოწაფენი შენნი არა ვლენან მოძღურებისაებრ ხუცესთასა (მრ. 7,5); მოვლენან ღღენი (მ. 9,15; მრ. 2,20; ლ. 5,35); მრავალნი არიან, რომელნი შევლენან მას (მ. 7,13); ყოველნი მოვლენან მისა (ი. 3,26); ესენი არიან, რომელთა ისმინიან სიტყუად და ... ვლენედ და შეაშთიან (ლ. 8,14); კაცნი ზედა ვლენედ და არა იციან (ლ. 11,44 E); რომელ ერდობესა ზედა იყენენ, ნუ გარდამოვლენედ სახიდ, ნუცა შევლუნედ აღებად რაისმე სახლისაგან თვისისა (მრ. 13,15 C); ნუ შევლუნედ მუნ (ლ. 21,21).

გვხვდება გამარტივებული ფორმები — აკლია ან სუფიქსი. ეტყობა, ფუძისეული ენ სუფიქსი (ვლ-ენ, განვლ-ენ, გამოვლ-ენ ...) მრავლობითობის ნიშნად არის გაგებული და საჭიროდ არ მიაჩნიათ, (განმეორებით) დაურთონ კიდევ ან: კაცნი ზედა ვლენ და არა იციან (ლ. 11,44 C). ეს ერთი ადგილი სამ შატბერდულ ხელნაწერში სამკვარად არის წარმოდგენილი: ვლენან D (აწმყო), ვლენედ E (აწ. ხოლმ.) და ვლენ C (გამარტივებული აწმყო). სხვა მაგალითები: გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყენი ბოროტნი (მ. 15,19; მრ. 7,21); ყოველნი ესე ბოროტნი შინაგან გამოვლენ (მრ. 7,23); რაისათვის მოწაფენი შენნი გარდაჰვლენ მოძღურებასა მას ხუცესთასა (მ. 15,2). ღღეს სწორედ ეს გამარტივებული ფორმებია ერთადერთი ნორმა, ძველის რაიმე გაღმონაშთი ახალ სალიტერატურო ენაში არა გვაქვს. გამარტივებული ფორმა გვაქვს აწმყოს ხოლმეობითშიც: რომელნი შევლედ (თეკლა 95,4)<sup>261</sup>.

სხენან შედარებით ნაკლებად იხმარება: სხენან იგინი მღნართა შინა და მზირიან (იობ 38,40 ლაგ.); რომელნი სხენან ზედა ზღუდეთა (4 მეფ. 18,27); მართენი იგი გამოფრინდეს, და უგუნურნი იგი ბუდეთალა ზედა სხენან (სინ. 34,19; სენ. 46a); ვინათჳან ესენი სხენან წინაშე ჩუნესა გამოსაძიებელად (ექუსთ. 87,10); ხოლო თაველსა კვრიაკესა სხენედ იგინი სენაკებსა მათსა გარემო მათსა მას წმინდასა (კობ. I, 29,3); დავრდომილნი სხენედ, ვითარცა მკუდარნი (სენ. 476a); სხენედ თავთა ზედა მათ მთათასა (თუალთ. 18,5). გამარტივებული სახეობა აქ არ შეგვხვდრია. ღღეკანდელ ენაში ამათ ნაცულად გვაქვს: სხედან, წებანან, არიან, იმყოფებან (ხოლმე).

საშუალი გვარის ზმნათა უღლება მოცემულია სათანადო მწკრივების შესწავლისას და აქ აღარ გავიმეორებთ.

<sup>261</sup> რ. ჩუქუაშვილი. საშუალი გვარის ზმნები. გვ. 138.

## შინაარსი

წინათქმა	3
I. ზმნისწინი	5
II. პირის ნიშნები	22
A. სუბიექტური პირის ნიშნები	22
1. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ( $S_1$ )	22
2. მეორე სუბიექტური პირის ნიშანი ( $S_2$ )	25
3. მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ( $S_3$ )	27
B. ობიექტური პირის ნიშნები	31
4. პირველი ობიექტური პირის ნიშანი ( $O_1$ )	32
5. მეორე ობიექტური პირის ნიშანი ( $O_2$ )	35
6. მესამე ობიექტური პირის ნიშანი ( $O_3$ )	36
7. ხანმეტისა და ჰემეტის ურთიერთმიმართება	47
8. ხანის ფუნქციები ხანმეტ ძეგლებში	49
9. ხანმეტი და ჰემეტი ძეგლების აღმოჩენის მოკლე ისტორია	54
10. ტერმინები "ხანმეტი", "ჰემეტი", "სანნარევი"	58
11. "დაპადა" და მისი ტიპის ზმნები	59
12. პირდაპირობიექტდაკარგული ზმნები	62
13. მრჩობლი პრეფიქსი ჰს	64
14. ჰ ზ, ს, შ, ლ, ხ სპირანტების წინ	65
III. ზმნის რიცხვი	70
A. სუბიექტური პირის რიცხვი	70
B. ობიექტური პირის რიცხვი	73
IV. მწკრივები	78
A. I სერა	78
1. აწმყო	78
2. აწმყოს ხოლმეობითი	102
საერცობიანი მწკრივები	109
a. ღონიანი ზმნები	110
3. უწყვეტელი	110
4. I ბრძანებითი	114
5. უწყვეტლის ხოლმეობითი	118
6. I კავშირებითი	122
b. ავიანი და აძიანი ზმნები	125
3. უწყვეტელი	125
4. I ბრძანებითი	129
5. უწყვეტლის ხოლმეობითი	132
6. I კავშირებითი	134

c. ოღიანი ზმნები . . . . .	136
3. უწყვეტელი . . . . .	136
4. I ბრძანებითი . . . . .	140
5—6. უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი . . . . .	143
ა) უწყვეტლის ხოლმეობითი . . . . .	147
ბ) I კავშირებითი . . . . .	148
B. II სერია . . . . .	150
7. წყვეტილი . . . . .	152
a. შწკრივის ნიშანია შ . . . . .	154
b. შწკრივის ნიშანია ე . . . . .	161
c. შწკრივის ნიშანია ი . . . . .	163
8. II ბრძანებითი . . . . .	170
9. II ხოლმეობითი . . . . .	181
10. II კავშირებითი . . . . .	188
11. შერეული კავშირებითი . . . . .	202
12. შერეული ხოლმეობითი . . . . .	208
C. III სერია . . . . .	210
13. I თურმეობითი . . . . .	211
a. აჟიანი და აჟიანი ზმნები . . . . .	212
b. სხვა გარდამავალი ზმნები . . . . .	215
c. ერთპირიანი ზმნები . . . . .	231
d. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები . . . . .	233
14. I თურმეობითის ხოლმეობითი . . . . .	237
15. II თურმეობითი . . . . .	243
a. გარდამავალი ზმნები . . . . .	243
b. ერთპირიანი ზმნები . . . . .	255
c. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები . . . . .	257
16. III ხოლმეობითი . . . . .	259
17. III კავშირებითი . . . . .	263
a. გარდამავალი ზმნები . . . . .	264
b. ერთპირიანი ზმნები . . . . .	266
c. ორპირიანი გარდაუვალი ზმნები . . . . .	267
V. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა . . . . .	268
A. II სერია . . . . .	269
a. წყვეტილი . . . . .	269
b. II ბრძანებითი . . . . .	274
c. II ხოლმეობითი . . . . .	279
d. II კავშირებითი . . . . .	282
e. შერეული კავშირებითი . . . . .	286
B. III სერია . . . . .	287
a. I თურმეობითი . . . . .	289



b. II თურმეობითი . . . . .	292
c. III ხოლმეობითი . . . . .	294
d. III კაემირებითი . . . . .	295
VI. ვნებითი გვარის ზმნათა წარმოების თავისებურებანი . . . . .	297
A. ინანი ვნებითი . . . . .	298
1. ორი თავისებური ზმნა (მოიქცეს, დაირღუეს) . . . . .	302
2. ვნებითის დაბოლოებანი . . . . .	303
3. მრჩობლი ნ . . . . .	305
4. ფუძის უკუმშველობის შემთხვევები . . . . .	307
5. იპოვა, იქადაგა ზმნები . . . . .	309
6. ინანი ვნებითისა და სათ. ქცევის ფორმათა მიმართებისათვის . . . . .	310
7. ნასახელარი პრეფიქსინი ვნებითები . . . . .	316
8. ი პრეფიქსის სამგვარი ფუნქცია ზმნებში . . . . .	320
B. ენანი ვნებითი . . . . .	323
1. ენანი ვნებითი ორპირიანია . . . . .	323
2. ნასახელრი ენანი ვნებითები . . . . .	323
3. ენანი ვნებითის უღლება . . . . .	324
4. "დაჰბადა" ტიპის ზმნები . . . . .	328
5. ინან ვნებითთან გათანაბრება . . . . .	331
6. აღეშენა (მოქმ.) — აღეშენა (ვნებ.) . . . . .	332
7. თანხედენილი ფორმების წარმოშობის ისტორია . . . . .	334
8. ზოგიერთი ე პრეფიქსიანი ზმნის ბუნება . . . . .	335
C. ენ სუფიქსისნი ვნებითი . . . . .	337
D. ღონიანი ვნებითი . . . . .	348
E. უნიშნო ვნებითი . . . . .	355
F. სტატუკური ვნებითი . . . . .	368
a. ი-ეს დაბოლოებანი ზმნები . . . . .	374
b. ავიანი ზმნები . . . . .	376
c. სხვა ზმნები . . . . .	377
G. ტიპის (და ჯგუფის) შეცვლა . . . . .	380
H. უნიფიკაცია . . . . .	386
I. ვნებითის მოშლა . . . . .	387
VII. მომავალი დროის გამოხატვის საშუალებანი ძველ ქართულში . . . . .	396
A. კაემირებითის ფორმები მომავლის გამოსახატავად . . . . .	396
B. "უნდაობითი" ფორმები (მოსლევად არს) . . . . .	398
C. ზმნისწინიანი აწმყო მომავალი დროის გამოსახატავად . . . . .	366
VIII. საშუალო გვარის ზმნები . . . . .	404